



სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში

Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი TBILISI
2016

ეძღვნება პროფესორ-ემერიტუს
მზია ლეკვეიშვილის ხსოვნას

პროექტის მონაწილეები:

ნონა თოდუა – სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

† **მზია ლეკვეიშვილი** – სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, პროექტის ექსპერტი

გურამ ნაჭყებია – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, პროექტის ექსპერტი

მაია ივანიძე – სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პროექტის ექსპერტი

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი – სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პროექტის ექსპერტი

თემურ ცქიტიშვილი – სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი, პროექტის ექსპერტი

რედაქტორი – პროფ. ნონა თოდუა

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2016

© ავტორთა კოლექტივი

ISBN 978-9941-25-079-8

გურამ ნაჭყებია – საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის
ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები

ნონა თოდუა – ძმედების კრიმინალიზაცია – დეკრიმინალიზაციის საკითხები;
პირობითი მსჯავრი

მზია ლეკვეიშვილი – სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის
შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი

მაია ივანიძე – ალტერნატიული სასჯელები

თემურ ცქიტიშვილი – სასჯელის პროპორციულობა

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი – საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა
საზღვარგარეთის ქვეყნებში

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

აღნიშნული პროექტი თსუ იურიდიული ფაკულტეტისათვის დაუვიწყარი გახდა იმით, რომ მასზე მუშაობის დასრულება დაემთხვა ემერიტუს-პროფესორ მზია ლეკვეიშვილის გარდაცვალებას, რამაც ეგზომ დასწყვიტა გული ყველა ჩვენთაგანს. მიუხედავად ქალბატონ მზიას მხცოვანი ასაკისა, პროექტის ავტორებისათვის წარმოუდგენელი იყო, რომ წინამდებარე ნაშრომის გამოცემა მის გარეშე მოხდებოდა.

ქალბატონი მზია იყო ამოუწურავი ენერგიის პატრონი და ახალ-ახალი წამოწყების ავტორი. შეუფასებელია მისი წვლილი ჩვენი დედა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის განვითარებაში როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიური თვალსაზრისით. მისთვის უნივერსიტეტი განსაკუთრებით დაკავშირებული იყო სტუდენტებთან, რის გამოც ბოლო წუთამდე აქტიურად ეწეოდა საადუიტორიო საქმიანობას.

ქალბატონი მზია წლების განმავლობაში გახლდათ თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე არსებული კრიმინოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რომლის თაოსნობითაც ჩატარებულა არაერთი სამეცნიერო კონფერენცია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

წინამდებარე წიგნში ქალბატონი მზია ლეკვეიშვილის ნაშრომი ერთხელ კიდევ გაახსენებს იურიდიულ საზოგადოებას ამ ჭეშმარიტი პედაგოგის, მეცნიერისა და ღირსეული ადამიანის ღვაწლს.

წინასიტყვაობა

ა(ა)იპ – ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ 2014-2016 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომელთა მიერ წარდგენილ იქნა პროექტი – „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა.

პროექტში მონაწილეობდნენ ექსპერტები: თსუ პროფესორი ნონა თოდუა (პროექტის ხელმძღვანელი), რომელმაც დაამუშავა ქმედების კრიმინალიზაცია-დეკრიმინალიზაციის საკითხები და პირობით მსჯავრთან დაკავშირებული პრობლემები; ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი, რომელსაც გამოიკვლია ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდების დროს; ემერიტუსი გურამ ნაჭყებია, რომელმაც დაამუშავა საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები; თსუ პროფესორი მაია ივანიძე, რომელმაც იმუშავა სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში ალტერნატიული სასჯელების როლსა და მნიშვნელობაზე; საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ს მოწვეული პროფესორი ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, რომელმაც შეისწავლა უცხო ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ალტერნატიულ სასჯელებთან მიმართებით და მოახდინა მათი შედარებით- სამართლებრივ ანალიზი ქართულ კანონმდებლობასთან; სამართლის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი თემურ ცქიტიშვილი, რომელმაც დაამუშავა პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის მნიშვნელობის საკითხი სასჯელის დანიშვნის დროს.

ბოლო წლებში (2004 წლიდან), ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობას აშკარად დაეტყო ავტორიტარიზმის ზეგავლენა. კერძოდ, იგი შეიცვალა იმ მიმართებით, რომ მოხდა ახალ ქმედებათა კრიმინალიზაცია, გაფართოვდა უკვე მოქმედ დანაშაულთა შემადგენლობა, შეიცვალა სასჯელები იმგვარად, რომ მოსამართლეს შეეზღუდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის განხორციელების შესაძლებლობა, უსაზღვროდ და ზოგჯერ უსამართლოდ გაფართოვდა ჯარიმის, როგორც დამატებითი სასჯელის, გამოყენების შესაძლებლობა, ასევე, გაუქმდა დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შთანთქმის წესი და დაკანონდა მისი შეკრების წესი; პირობითი მსჯავრის გამოყენებისა და კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის საკითხი მიება საპროცესო შეთანხმებას, რითაც ამ ინსტიტუტის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი გახდა არა

სასამართლო, არამედ პროკურატურა.

2013 წლიდან, საქართველოში დაიწყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესი, მაგრამ მისი სრულყოფისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კანონმდებლობის ლიბერალიზაცია რამდენიმე კუთხით უნდა წარიმართოს: 1) ცალკეულ ქმედებათა დეკრიმინალიზაცია, როგორც საკანონმდებლო კუთხით, ისე მართლმსაჯულების აღსრულებისას; 2) სასჯელთა ლიბერალიზაცია, ალტერნატიული სასჯელების გაფართოებისა და დახვეწის თვალსაზრისით; 3) სასჯელთა ლიბერალიზაცია იმ თვალსაზრისით, რომ ის იყოს პროპორციული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან; 4) სასჯელთა ლიბერალიზაცია იმ კუთხით, რომ სასამართლოს მიეცეს ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების მეტი შესაძლებლობა; 5) გაფართოვდეს პირობითი მსჯავრის გამოყენების შეაძლებლობა, რაც ეგზომ შეიზღუდა 2004 წლიდან გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის საბოლოო მიზანია, შედეგად მივიღოთ არა ლიბერალური, არამედ სამართლიანი, ზომიერი კანონმდებლობა.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა როგორც ქართული ისე უცხოენოვანი ლიტერატურა, ასევე სასამართლო პრაქტიკა.

2013 წლის იანვრიდან იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილია სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება სამუშაო ჯგუფებისაგან და მათში დღემდე აქტიურად მონაწილეობს პროექტის ექსპერტთა ნაწილი. მათ მიერ მიწოდებულ საკანონმდებლო წინადადებათა უმრავლესობა ასახულია შესაბამის კანონპროექტებში.

2015 წლის მაისში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო მეგობრის სტატუსით პროექტის ექსპერტთა მიერ გაეგზავნა მოსაზრება სსკ 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის კონსტიტუციურობაზე (მისი პროპორციულობის კუთხით) შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე განიხ.ლა და 2015 წლის 24 ოქტომბერს შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო;

2015 წლის ოქტომბერის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს პროექტის ექსპერტთა სახელით გაეგზავნა შენიშვნები საქართველოს სს კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილების პროექტზე;

ასევე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა პრაქტიკული წინადადებები პირობით მსჯავრთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე.

პროექტის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომში არაერთი მეცნიერული წინადადება და პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციაა შემუშავებული როგორც კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის დახვეწის კუთხით.

დაბოლოს, პროექტის მონაწილეთა სახელით, გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ა(ა)იპ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ *ქეთევან ხუციშვილს*, ასევე, ფონდის თანამშრომლებს – *ნიკა*

ჯეირანაშვილს, გიორგი ბურჯანაძესა და ეკა გაბუნიას, ჩვენდამი გულისხმიერი და საქმიანი დამოკიდებულებისათვის, რამაც წარმოდგენილი პროექტის ამგვარ დასრულებას უდაოდ შეუწყო ხელი.

დასასრულს, მადლობას ვუხდით პროექტის კოორდინატორს, ჩვენი ფაკულტეტის დოქტორანტ გიორგი ამირანაშვილს, რომლის დახმარების გარეშეც რთული იქნებოდა პროექტის განხორციელება.

პროექტის მონაწილენი მოთმინებით ელიან ყველა სახის შენიშვნასა თუ წინადადებას ნაშრომის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ნონა თოდუა

საგრანტო პროექტის – „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“ ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, თსუ იურდიული ფაკულტეტის პროფესორი.
თბილისი,
2015 წლის 23 დეკემბერი

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები 13

შესავალი 13

თავი პირველი 17

ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა 17

§1. ტერმინი „ლიბერალიზმი“ 17

§2. ლიბერალიზმის ისტორია რუსეთში 22

§3. მე-19 და მე-20 საუკუნის რუსული ლიბერალიზმის ტრანსფორმაცია 30

§4. თანამდეროვე რუსეთის ფედერაციაში სისხლის სამართლის საკანმომდებლო ცვლილებების პოლიტიკური შეფასების პრობლემა 32

§5. რუსეთში ლიბერალური პოლიტიკის გაკოტრების კონცეფცია 38

თავი მეორე 41

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკისა და სამართლის მიმართებების გამოვლენა 41

§1. პოლიტიკისა და სამართლის მიმართების პრობლემა თანამედროვე რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში 41

§2. საზოგადოების ღირებულებითი ცნობიერების ფორმები და მათი ურთიერთკავშირი 47

§3. სამართალი, როგორც გაბატონებული კლასის ნება-სურვილი, გამოხატული კანონში 58

§4. სახელმწიფოს ფორმის პრობლემა 62

§5. სამართალი, როგორც სახელმწიფოს წარმოშობის ნორმატიული საფუძველი 62

§6. გერმანული „Rehtstaat“-ისა და ინგლისური “Rule OF Law“-ის მიმართების პრობლემა 64

§7. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება 65

§8. პოლტიკური ფილოსოფიის ცნება და სამართლის ფილოსოფია 69

თავი მესამე 75

ნორმატიული აქტის შექმნისა და ნორმაშეფარდების შემოქმედებითობის პრობლემები 75

§1.სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების (ნორმატიული აქტების) მიმართების პრობლემა 75

§ 2. საქარველოს სისხლის სამართლის კოდექსი ლიბერალიზმის თვალსაზრისით 90

§ 3. სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებისა და მისი შემოქმედებითობის პრობლემა 94

ქმედების კრიმინალიზაცია – დეკრიმინალიზაციის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 103

სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი 158

თავი I 158

სასჯელის მიზნები 158

თავი II 188

სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი 188

თავი III 213

მოსამართლის მიერ ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება სასჯელის შეფარდებისას 213

თავი IV 242

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის 242

ალტერნატიული სასჯელები 300

ალტერნატიული სასჯელების მოკლე ისტორიული ანალიზი (ქართული სამართლის მიხედვით) 301

ალტერნატიული სასჯელები საქართველოში დღემდე (2000 წლამდე) მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით 308

ალტერნატიული სასჯელები საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 316

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 332

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 340

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სლოვაკეთში 341

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით 342

თავისუფლების შეზღუდვა 344

სახლიდან გაუსვლელობა სლოვაკეთში 351

სახლიდან გაუსვლელობა ესპანეთში 353

გამასწორებელი სამუშაო 353

დასკვნა 360

ალტერნატიული სასჯელების ეფექტურობა 362

საფუძველზე 610
12.2. უმართლობის მონისტური და დუალისტური გაგება 612
12.2.1. შედეგისგან დამოუკიდებელი უმართლობა: უმართლობის მონისტურ-სუბიექტური მოძღვრება 612
12.2.2. უმართლობის დუალისტური გაგება და მონისტური მოძღვრების კრიტიკა ... 613
13. ქმედების შემადგენლობის ნიშნების ფუნქციის სწორად განსაზღვრის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის 615
13.1. ქმედების შემადგენლობის ნიშნების ორმაგი ფუნქცია? 615
13.2. ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი 617
14. ბრალის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის 628
14.1. ბრალი, როგორც სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ფაქტორი 628
13.2. ბრალი, როგორც სასჯელის პროპორციულობის წინაპირობა 632
15. სამართლიანობა, როგორც პროპორციულობის არგუმენტი 636
16. რამდენად შესაძლებელია სასჯელის და დანაშაულებრივი ქმედების აბსოლუტური პროპორციულობა? 642
17. პროპორციული სასჯელის ზეგავლენა მესამე პირზე და სასჯელი, როგორც სოციალური ინსტიტუტი 643
18. სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შეუსაბამობა დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების პრინციპთან 645
19. საპროცესო შეთანხმება და მისი გავლენა სასჯელის პროპორციულობაზე 647
1. საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში 660
1. თავისუფლების აღკვეთა - პირველი ნაბიჯი სასჯელის ჰუმანიზაციის გზაზე 660
2. საერთაშორისო სტანდარტები 664
3. საპატიმრო სასჯელების ალტერნატივათა ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები 670
4. თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივათა სახეები 671
2. პირობითი მსჯავრი 676
3. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა 683
4. ელექტრონული ზედამხედველობა 692
ტერმინთა განმარტება 692
5. ზარალის ანაზღაურება მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთიერთობის დაბალანსება 715
6. არაფორმალური სანქციონირება და საპატიმრო სასჯელების ორიგინალური ალტერნატივები გერმანიაში 717
7. თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივები ამერიკის შეერთებულ შტატებში ..723

გურამ ნაჭყებია

საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პროგლემები

შესავალი

„ლიბერალიზმი“, როგორც ტერმინი, ისტორიულად სამი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ჯერ ერთი, იგი ნიშნავდა, ადამიანის თავისუფლების ფილოსოფიურ დასაბუთებას, ადამიანის, როგორც ფილოსოფიური პრობლემის, დასმისა და განმანათლებლური იდეების შესაბამისად მის თავისუფლებას. მეორე მნიშვნელობით ეს ტერმინი ნიშნავდა ეკონომიკურ სფეროს თავისუფლებას, კერძო საკუთრებისა და სანარმოო საქმიანობის სფეროში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვას, იმის მიუხედავად, რომ საზოგადოების ეკონომიკური წარუმატებლობის თავიდან აცილებას საბოლოოდ ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის მოთხოვნით ცდილობდნენ. ესე, რომ ეკონომიკური გამოვლენა წინააღმდეგობისგან თავისუფალი არ იყო. მესამე მნიშვნელოით ეს ტერმინი ნიშნავდა პოლიტიკურ დოქტრინას, რომლის თანახმად, ადამიანის პიროვნება ცხადდებოდა თავისუფალ არსებად, სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკის შეზღუდვის მოთხოვნისა და პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ გალაშქრებით, თუმცა პოლიტიკური ლიბერალიზმი ანარქისტული და სხვა ანტიდემოკრატიული პრინციპებისგან მკვეთრად იყო გამიჯნული.

როგორც ჩანს, ტერმინი „ლიბერალიზმი“ საკმაოდ ტევადია. ამიტომ მისი ყველა მნიშვნელობის ზუსტი ანალიზი საკმაოდ რთულია. ამ ტემინს ხშირად ურევენ „დემოკრატიზმის“ პოლიტიკურ პრინციპში, რადგან დემოკრატიზმი ადამიანის თავისუფლების გარკვეული ხარისხის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ დემოკრატიზმი უფრო საზოგადოების თავისუფლებას გამოხატავს, ვიდრე პიროვნულს. ამდენად, დემოკრატიზმი და ლიბერალიზმი ერთი და იგივე არაა, თუმცა დემოკრატიული პრინციპის გარეშე ლიბერალიზმიც აღარ არსებობს. გარდა ამისა, „ლიბერალიზმს“ ხშირად ურევენ „ჰუმანიზმში“, რაკი ეს უკანასკნელი ადამიანისადმი სიყვარულისა და პატივისცემას გამოხატავს. ამ და სხვა მსავსი ტერმინებისა და ცნებების ანალიზი ცალკე საკითხად გვექნება გამოყოფილი. მთავარი მაინც ისაა, რომ სწორად იქნეს გაგებული ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა, სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკისა და ადამიანის თავისუფლების თავსებადობის პრობლემა. აქ, როგორც ჩანს, ადამიანის თავისუფლება წამყვანია, ხოლო, ადამიანის პირად ცოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა, პირიქით, ლიბერალური პრინციპის საწინააღმდეგოა. ამიტომ ლიბერალიზმის პოლიტიკური დოქტრინა

საკმაოდ ძნელი გასაგებია. მით უფრო, რომ ლიბერალიზმი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი გახლდათ. მით უფრო, როცა ლიბერალიზმი, მისი თავდაპირველი გაგებით, პიროვნების თავისუფლების მოთხოვნით და პიროვნების პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ გალაშქრებით ინდივიდუალიზმის დამკვიდრებასა და აღიარებას მოასწავებდა. ამგვარი ინდივიდუალიზმის სანაცვლოდ პიროვნებისგან არაფერს სხვას არ მოითხოვდნენ, რის გამოც ეს ლიბერალიზმიც საკმაო ცალმხრივ ხასიათს იღებდა. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ ლიბერალიზმის ადრინდელ გაგებებში პიროვნების თავისუფლებას ამავე პიროვნების პასუხისმგებლობას არ უკავშირებდნენ. სადღეისოდ კი, მართლაც წარმოუდგენელია, პიროვნების თავისუფლების აღიარება მისივე პასუხისმგებლობასთან არ იყოს დაკავშირებული. ცხადია, იგულისხმება პოზიტიური პასუხიმგებლობის იდეა, რათა ადამიანის თავისუფლება მის თვითნებობაში არ გადაიზარდოს. უფრო მეტიც, სწორედ პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეის წყალობით ხდება შესაძლებელი, სისხლის სამართლის სფეროში დანაშაულთა თავიდან აცილების იდეა დანაშაულის ჩადენის გამო ურთიერთობის იდეას დავუპირისპიროთ.

ცხადია, ამ საკითხებს უფრო კონკრეტული და საფუძვლიანი ანალიზი სჭირდებათ. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ამ მიმართებით წარმოქმნილი მეთოდოლოგიური პრობლემები სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ლიბერალიზმის პოლიტიკური დოქტრინა ბუნებრივად მოითხოვს „პოლიტიკურის“ ცნებისა და ბუნების დადგენას. მეორე მხრივ, ლიბერალიზმის პოლიტკური დოქტრინა ასევე ბუნებრივად მოითხოვს „სამართლებრივის“ ცნებისა და ბუნების დადგენას, რადგან ლიბერალიზმი სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოვლენის თავისებურებას გამოხატავს. მაშასადამე, საქმე შეეხება პოლიტიკისა და სამართლის მიმართების პრობლემას. გასაგებია, რომ პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სფერო, პოლიტოლოგიის, როგორც პოლიტიკის შესახებ მეცნიერების, საგანია. პოლიტოლოგია, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკა სამართლის სფეროსგან მოწყვეტილი არაა, სამართლებრივის ცნებისა და ბუნების დამდგენი ვერ იქნება. მით უმეტეს, რომ პოლიტოლოგია პოლიტიკის შესახებ კერძო მეცნიერებაა და მას, საკუთარი ფარგლების გადალახვის გარეშე, არ შეუძლია სამართლებრივის ცნება და ბუნება დაადგინოს. ეს უკანასკნელი კი პოლიტოლოგიის საგანი კი არაა, არამედ იურიდიული მეცნიერების სფეროა.

ამრიგად, „პოლიტიკურის“ და „სამართლებრივის“ მიმართების პრობლემა არც პოლიტოლოგიის სფეროში ეტევა და არც სამართლის მეცნიერების სფეროში. გასაგებია, რომ პოლიტიკურის და სამართლებრივის მიმართების პრობლემა, თავისი არსით ფილოსოფიურია, რადგან ამ მიმართებით საქმე შეეხება როგორც პოლიტიკურ ფილოსოფიას, ისე სამართლის ფილოსოფიას. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, პოლიტოლოგიას, როგორც პოლიტიკის შესახებ კერძო მეცნიერებას, არ შეუძლია პოლიტიკურის ბუნება და საზღვრები დაადგინოს.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ პოლიტიკურის და სამართლებრივის კავშირის პრობლემა არც პოლიტოლოგიის სფეროში ეტევა და არც სამართლის მეცნიერების სფეროში. ეს პრობლემა ფილოსოფიაში გადადის, რადგან სწორედ ფილოსოფიურ მიდგომას შეუძლია გადალახოს როგორც პოლიტოლოგიის, ისე იურიდიული მეცნიერების, როგორც კერძო მენიერებათა, შეზღუდულობა და პოლიტიკისა და სამართლის მიმართება მთელი სიგრძე-სიგანით იკვლიოს.

სამწუხაროდ, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში თითქმს ბატონდება მოსაზრება, რომ არსებობს „სამართლებრივი პოლიტიკის" კატეგორია, რომელიც თურმე იურიდიული მეცნიერების საგანსა და სფეროს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, პოლიტიკისა და სამართლის ამგვარი მექანიკური კავშირი, როცა „პოლიტიკურიც" „სამართლებრივი" ხდება, არსებითი გაუგებრობაა. მით უფრო, რომ არსებობს საზოგადოებრივი ცნობიერების ღირებულებითი ფორმები. კერძოდ, არსებობს ზნეობის სფერო, რომელშიც ორი დაპირისპირებული კატეგორიაა ცნობილი (სიკეთე და ბოროტება); არსებობს ხელოვნების სფერო (მშვენიერი და მახინჯი); რენტაბელური და არარენტაბელური (ეკონომიკის სფერო); არსებობს პოლიტიკურის ორი ესეთი კატეგორია, როგორიცაა, მეგობარი და მტერი (კარლ შმიტდის თეორია). ჩვენი აზრით, არაფერი არ დაშავდება, თუ სამართლებრივის სფეროს ორი დაპირისპირებული კატეგორიით – „მართლზომიერის" და „მართლსაწინააღმდეგოს" და მათ შორის კავშირის ფორმით, ანუ „ქმედების შემადგენლობით", წარმოვადგენთ.

აშკარაა, რომ პრობლემა ბუნებრივად გადადის ფილოსოფიის სფეროში. მით უფრო, რომ ღირებულებითი ცნობიერების ფორმების ანალიზი ფილოსოფიური მიდგომის გარეშე შეუძლებელია. როგორც შემდგომაც დავინახავთ, იმანუელ კანტს სავსებით ბუნებრივად დასჭირდა ზნეობის, პოლიტიკის და სამართლებრივის მიმართების პრობლემა, ხოლო, როგორც ირკვევა, ზნეობრივის და პოლიტიკურის კავშირის ფორმას სამართალი წარმოადგენს.აქედან გამომდინარე, დასმული პრობლემა საკმაოდ რთულია და „სამართლებრივი პოლიტიკის" ვითომდა იურიდიულ კატეგორიამდე მისი დაყვანა არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. კიდევ უფრო რთული და თავსატეხია თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში ლიბერალიზმის გამოვლენა და მისი მეთოდოლოგიური დასაბუთება. მით უფრო, რომ საქართველოში რეპრესიული პოლიტიკის დასრულების შემდეგ ჯერი ლიბერალურ პოლიტიკას უნდა დაეჭირა. ყველაფერი თითქოს ამ მიმართულებით მიდიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო დროს (2015 წლის) ფრიად გახმაურებულმა მკვლელობებმა, კრიმინალის ზრდის შესახებ აზრის გაჩენამ და სხვა სიძნელებმა საქართველოს მთავრობის შეშფოთება გამოიწვია და აშკარად გაუღერდა კრიმინალთან გაათმაგებული ბრძოლის მოთხოვნა. ასეთ პირობებში „ლიბერალიზმის" თემა თითქოს უადგილოა. მაგრამ აქ გაუგებრობა თავიდან უნდა იქნეს აცილებული. მართლაც, ჯერ ერთი, განსაკუთრებით საშიშ კრმინალთან ბრძოლის გამკაცრების მოთხოვნა სისხლის სამართლის პოლიტიკის ნორმალური გამოხატულებაა, რადგან „ლიბერალიზმი" ამ მხრივ თავაშ-

ვებულობას და სახელმწიფოს დასუსტებას სრულიადაც არ ნიშნავს. მეორეც, ყველა დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოში ბუნებრივად დგება ის პრობლემა, თუ რამდენად გონივრულადაა სისხლის სამართლის კანონში გამოხატული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების და მისთვის კანონით დადგენილი სასჯელების თანაფარდობა. ამ მხრივ დგება დანაშაულისა და სასჯელის პროპორციულობის პრობლემაც, რომელიც სწორედაც სისხლის სამართლის სფეროში ლიბერალური პოლიტიკის მოთხოვნას გამოხატავს. ამ მხრივ ჩვენ უკვე შევეცადეთ ლიბერალიზმის პოზიციიდან შეგვეფასებინა თავისუფლების უვადოდ აღკვეთის, როგორც განსაკუთრებული სასჯელის, თანამედროვე სისხლის სამართლის კანონში შემონარჩუნების პრობლემა.[1] ეს პრობლემა მით უფრო აქტუალურია დღეს, როდესაც, რამოდენიმე გახმაურებული მკვლელობის გამო, საქართველოში ვითარება დამძიმდა. მაგრამ, ვფიქრობთ სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკა საქმის ვითარების კონკრეტულ გამწვავების ემოციურ ფონზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. პირიქით, ეს პოლიტიკა უფრო სტაბილური ტენდენციით უნდა იყოს გაპირობებული. სწორედ ამგვარი ტენდენცია უფრო ნათლად წარმოაჩენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულისა და მისი შესატყვისი სასჯელის არა მარტო პროპორციულობის პრობლემას, არამედ ამ მიმართებით დგება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებათა შემცირებისა და სხვა სახის სამართალდარღვევის სფეროში მისი გადართვის პრობლემაც. მით უფრო, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და იგი ამ მხრივ თავს გამოიჩენს დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის არა სასტიკი ფორმებით, არამედ, ლიბერალური პოლიტიკით. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ თამარ მეფის ეპოქაში სიკვდილით დასჯა ოფიციალური წესით გაუქმებული არ იყო, მაგრამ ამ ეპოქაში სიკვდილით არავინ დაუსჯიათ. ასე, რომ ამ მხრივ ლიბერალიზმი საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა და არც იქნება. უფრო მეტიც, აქ ბუნებივად დგება სისხლის სამართლის სფეროში ლიბერალიზმის გამოვლენის ისეთი სფერო, როგორიცაა მართალი მსაჯულების პრობლემა. მით უფრო, რომ სასამართლო სახელმწიფოს წარმომადგენელია და, იმდენად, სასჯელთა შეფარდების პრობლემატიკაში სასამართლო მიხედულების პრობლემა მეტად აქტუალურია. ამ მიმართებით ბუნებრივად დგება ქმედებისა და მომქმედის თანაფარდობის პრობლემაც. მართლაც, სისხლის სამართალი, უპირველეს ყოვლისა, ქმედების სამართალია, რადგან აზრთა ცუდი წყობის ქმედებაში გამოხატვის გარეშე არავინ არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი წესით დაისაჯოს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სისხლის სამართალი „მომქმედის" გარეშე შეუძლებელია. აქ იგულისხმება „მომქმედის" პერსონალური მახასიათებლები, რომელთა გულდასმით შესწავლის გარეშე დანიშნული სასჯელი

[1] გ. ნაჭყებია, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხ.დვით, (სისხლის სამართლის სფეროში ლიბერალიზმის გამოვლენის ერთი ასპექტი), „მართლმსაჯულება და კანონი" 2013, N2, გვ. 106-114

„მართალი მსაჯულების“ აქტი ვერ იქნება. აქ მოკლედ ვიტყვით იმასაც, რომ ადამიანის პიროვნება მისი ქმედებისაგან მოწყვეტით ვერ გაიგება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პიროვნება ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე მის მიერ ჩადენილი ქმედება. აქ მოკლედ იმასაც ვიტყვით, რომ, თუ სახელმწიფო კანონშემომქმედია, სასამართლო მის მიერ გამოტანილი განაჩენის შემომქმედი უნდა იყოს. ეს სავსებით სწორი დებულებაა, რადგან როგორც სისხლის სამართლის კანონი, ისე სასამართლო განაჩენი შემოქმედების აქტებია, ხოლო რაკი „შემოქმედება“ ფილოსოფიური კატეგორიაა, როგორც კანონის, ისე და სასამართლო განაჩენის შექმნა ერთი და იგივე საწყისიდან იღებს სათავეს და, მაშასადამე, ერთნაირ მიდგომას მოითხოვს.

თავი პირველი

ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა

§1. ტერმინი „ლიბერალიზმი“

ამ ტერმინით დაიწყო პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც სამრეწველო დასავლეთის მოთხოვნას გამოხატავდა. ამ იდეოლოგიამ დიდი გავლენა მოახდინა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ჩამოყალიბებაზე. ტერმინი „ლიბერალიზმი“ პირველად გაჟღერდა ესპანეთში, სადაც მე-19 საუკუნის დასაწყისში ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ ნაციონალ დეპუტატთა ერთ ჯგუფს, ხოლო შემდეგ იგი გავრცელდა ევროპულ ქვეყნებშიც და იგი მნიშვნელოვან პოლიტიკურ იდეოლოგიად იქცა.[2]

ლიბერალიზმი, როგორც ირკვევა, ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბების შედეგი გახლდათ. ეს ტერმინი თავდაპირველად ეკონომიკური იდეოლოგიის გამოხატულება იყო და ნიშნავდა ფართო პროპაგანდას თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების სასარგებლოდ, ხოლო ამ ურთიერთობებში სახელმწიფოს უხეშ ჩარევას აპროტესტებდა. მაგრამ ეკონომიკაში წარუმატებლობის შემთხვევაში იგი სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვდა. ასე, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი, როგორც უკვე ითქვა, წინააღმდეგობისაგან თავისუფალი არ ყოფილა.

ლიბერალიზმის თავდაპირველი ნიშნები:

1. ინდივიდუალიზმი, რაც იმას ნიშნავდა, რომ პიროვნების თავისუფლება და ინტერესები არც ერთი ჯგუფის ან კოლექტივის ინტერესებს არ უნდა შესწირვოდა;

2. თავისუფლება ლიბერალიზმის მთავარი ღირებულებაა. მას იგი თანასწორობაზე და სამართლიანობაზე მაღლა აყენებს;

---

[2] იხ. მაია ამირგულაშვილი, პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2010, გვ. 285

3. შემწყნარებლობა, როგორც პიროვნების თავისუფლების გარანტი და საზოგადოების სიჯანსაღის მაჩვენებელი;

4. შეთანხმებები, მოლაპარაკებები, რითაც ლიბერალიზმი დემოკრატიის იდეებს ეხმიანება;

5. ლიბერალიზმი კატეგორიულად მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლებათა დანაწილებას (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების სახით) და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას ეხმიანება;

6. ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა, იმითაც გამოირჩევა, რომ იგი ემყარება ბუნებითი სამართლის იდეებს და მისთვის ამ მხრივ უფრო წინ დგას სამართალი, ვიდრე სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება. ჩვენი აზრით, სწორედ ამ პოზიციიდან ხდება ლიბერალიზმისათვის არსებითი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, როცა სამართალი სახელმწიფოს გენეზისში მონაწილეობს და სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება.

ლიბერალიზმს საყვედურობენ დემოკრატიის დილემურ გაგებაში, როცა თავისუფლება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა ცნობილი ღირებულებანი. მართალია, ლიბერალიზმის საწყისი პოზიცია ინდივიდუალისტურია, მაგრამ იგი არ მთავრდება პიროვნების აბსოლუტური თავისუფლებიდან გამომდინარე, ანარქიზმის რადიკალური მოთხოვნით. პირიქით, ლიბერალიზმი პიროვნების თვითნებობის ასალაგმავად ზეპიროვნული მექანიზმის შექმნასაც კი მოითხოვს.[3]

ლიბერალიზმის თავისებურ შეჯამებას გამოხატავენ ვაჟა შუბითიძე და ნინო წერეთელი ნაშრომში „პოლიტოლოგია“, თბილისი 2012. აქ, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკის ცნებისა და ნიშნების პრობლემაა განხილული, მაგრამ ამ საკითხებს მოგვიანებით შევეხებით. ამჯერად გვაინტერესებს ხსენებული ავტორების მიხედვით ლიბერალიზმის ძირითადი ნიშნები. ავტორები არ უარყოფენ ლიბერალიზმის მთავარ იდეას – ადამიანის თავისუფლების იდეას – საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ უფრო კონკრეტულად გამოხატავენ ლიბერალიზმის შემდეგ ნიშნებს: 1. მოქალაქეთა სამართლებრივი თანასწორობა; 2. სახელმწიფოს ხელშეკრულებითი ხასიათი; 3. რელიგიური შემწყნერებლობა და პლურალიზმი; 4. ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და პროფესიული გაერთიანების თანასწორუფლებიანობა.

ლიბერალიზმის, როგორც პოლიტიკური დოქტრინის, საინტერესო დახასიათებას იძლევა ანდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკის ამერიკელი მკვლევარი ნაშრომში „პოლიტიკა“, თბილისი, 2008. ამ ავტორის აზრით, „ლიბერალური თვალსაზრისით, სახელმწიფო, საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ ჯგუფებს შორის მიუკერძოებელი მსაჯულის ფუნქციას უნდა ასრულებდეს მხოლოდ და ცალკეული პიროვნებების, ყველა თანამოქალაქის დაცვა შეძლოს“.[4] მაგრამ საქმე ის

[3] იხ. გურამ ასათიანი, დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური ისტორია (ნარკვევები). თსუ, 2003

[4] ანდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკა, თბილისი, 2008, გვ. 132

გახლავთ, რომ ავტორი უკვე ახალ ასპექტებს წარმოაჩენს, როცა ეკონომიკური საქმიანობა, ფინანსური ბაზარი, სრულიად გლობალიზირებულია, თუმცა ამ მხრივ გლობალიზმი რეგიონალიზმს შეიძლება დავუკავშიროთ. როცა პიროვნებას ერზე მაღლა აყენებენ, – მსჯელობს ანდრიუ ჰეივუდი, – ლიბერალები – უნდათ მათ ეს თუ არ უნდათ, ეხლა სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობის საფუძვლების მორყევას უწყობენ ხელს".[5] მით უფრო ეს ასეა გლობალიზაციის პირობებში, როცა საფრთხე ერების თავისუფლებას ემუქრება. აქედან გამომდინარე, ეროვნული სახელმწიფო მაინც წამყვან როლს ასრულებს, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ზეეროვნული სტრუქტურების მზარდი გავლენაც სახეზეა.[6] ასე, რომ ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპებისა და სახელმწიფოებრიობის თანაფარდობის პრობლემა დღითი დღე მწვავდება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლიბერალიზმი საქართველოშიც განიხ. ლება, ზოგჯერ კრიტიკულადაც კი. მაგალითად, ალექსანდრე ორახელაშვილი ლიბერალიზმს, ესე ვთქვათ, ძირფესვიანად აკრიტიკებს. ავტორი აღწერს საქართველოში 2001 წლისათვის არსებულ კრიზისს, ხოლო, ამ კრიზისიდან გამოსავალს, ავტორის აზრით, ლიბერალიზმში ეძებენ. ისინი არიან ადამიანები, რომელთაც ლიბერალიზმის კლასიკური გაგება არ გააჩნიათ, მაგრამ მაინც ლიბერალურად აზროვნებენ და მოქმედებენ, სახელმწიფოს უპასუხისმგებლობის იდეას ქადაგებენ. ავტორი კი ფიქრობს, რომ ლიბერალიზმის მიერ სოციალურ პროცესებში სახელმწიფოს ჩაურევლობის მოთხოვნა იმდენად ალოგიკური იყო, რომ ფერდინარდ ლასალმა ლიბერალების სახელმწიფოს დაცინვით „ღამის დარაჯი" უწოდა. ავტორი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ ლიბერალებმა დღემდე ვერ გაიგეს მთავარი: არა იდეების ჭიდილი, არამედ ამომრჩეველთა ინტერესების დაცვის პოლიტიკა. ამიტომაა, რომ ლიბერალიზმი ჩამავალ მზეს მიაგავს. უფრო მეტიც, ავტორის აზრით, ისეთ სახელმწიფოში, სადაც რეალურად მოქმედებს კონსტიტუცია, ლიბერალიზმის ადგილი აღარ არის. მით უფრო, რომ ლიბერალიზმი, თავისი არსით, უცვლელია; დღესაც ისეთია, როგორიც იყო ორასი წლის წინათ; დღესაც ქადაგებენ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩაურევლობას პიროვნების თავისუფლების სასარგებლოდ. მაგრამ, – მსჯელობს ავტორი, – ყოველივე ეს საზოგადოებრივ ქაოსსა და მონოპოლიების ფარფაშს გამოიწვევდა. უფრო მეტიც, ავტორი ფიქრობს, რომ ლიბერალიზმი იცავს მეწარმეთა ინტერესებს, მაგრამ მას მხედველობიდან რჩება საზოგადოების სხვა ფენები, რომლებიც მეწარმეები არ არიან: პენსიონერები, სტუდენტები, მეცნიერები და ა.შ. ცივილიზირებულ სახელმწიფოებში კი იცავენ არა მარტო იმათ ინტერესებს, ვისაც ფული აქვს, არამედ იმათაც, ვისაც ფული არ აქვს. აქედან გამომდინარე, ლიბერალიზმი უმწეოა, ამოვიდეს საზოგადოებისთვის წამყვანი ღირებულებებიდან. ბოლოს, ავტორი არც იმას ტოვებს ყურადღების გარეშე, რომ ლიბერალიზმი ხელს უწყობს ინდივიდუალისტური

[5] იქვე, გვ. 164
[6] იქვე, გვ. 177

ეგოიზმის ჩასახვასა და განვითარებას. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ლიბერალიზმის მავნე დოგმებისგან პირველ რიგში ახალგაზრდა თაობა უნდა გათავისუფლდეს. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება იგი საქმის მკეთებელ თაობად ჩაითვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს მომავალი თაობების წინაშეც.[7]

ლიბერალიზმს, როგორც საზოგადოების განსაკუთრებული იდეოლოგიის, კრიტიკა ახალი არაა, მით უფრო, რომ მას თან ახლავს რიგი წინააღმდეგობანი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ კონსტიტუციურად მოწყობილ სახელმწიფოში ლიბერალიზმისათვის ადგილის გამოძებნა მართლაც რთულია. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ლიბერალიზმის იდეოლოგიაში მხოლოდ უარყოფითის წარმოჩენა სამართლიანიც არაა, სხვას რომ თავი დავანებოთ. მით უფრო, რომ ლიბერალიზმი სახელმწიფოსთან მიმართებით სამართლის პოლიტიკაში მეტად არსებითია. როგორც შემდგომ იქნება ნაჩვენები, ჩვენ ლიბერალიზმი უფრო პოლიტიკური დოქტრინის სახით წარმოგვიდგება, თუმცა მის უფრო ზოგად იდეოლოგიურ ხასიათსაც ვითვალისწინებთ. ამ პოზიციიდან ყურადღებას იქცევს ლიბერალიზმის კრიტიკა უკვე წმინდა რელიგიური მოტივით. მაგალითად, ეპისკოპოსი სტეფანე ლიბერალიზმს „თავისუფლების ნიღბით სიცრუესა და ცოდვის მონობას" უწოდებს. ავტორი საჯაროდ აცხადებს, რომ საქართველო დიდი საფრთხის წინაშეა. სახელმწიფო რელიგიად, მისი ყოველგვარი გამოცხადების გარეშე, მკვიდრდება ლიბერალიზმი, რომელსაც, ავტორის აზრით, აქვს პრეტენზია, იყოს ყველა საკითხის არბიტრი, მათ შორის სარწმუნოებრივ საკითხებშიც. „ჩვენ გვატყუებენ, – აცხადებს ავტორი, – თითქოს იძრძვიან ჩვენი უფლებებისთვის. სინამდვილეში კი, ცოდვის მონობას და სიცრუეს მარადიულ ღირებულებად ამკვიდრებენ".[8] ავტორი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ ამ ახალი სახელმწიფო რელიგიის უმაღლესი ქურუმები საზღვარგარეთიდან მართავენ პროცესებს და ქართველ პოლიტიკოსებად წოდებულ პიროვნებების მეშვეობით აღწევენ თავიანთ მიზნებს. ისინი სკოლებშიც შეიჭრნენ და მოსწავლეებს მშობლებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ აქეზებენ. ავტორს მოაქვს მაგალითი, როცა ცოლი და ქმარი შეკამათდნენ, ხოლო მათმა პირმშომ სრულიად გულგრილად გამოუძახა პოლიციას და თავისი უფლებების დაცვა მოითხოვა. ავტორი ირონიით შენიშნავს, რომ ლიბერალიზმი თითქოს ქრისტიანული სარწმუნოების პირმშოა („ამას გვიმალავდით?" – შენიშნევს იგი.) ვერ ვენდეთ თავისუფლების ინსტიტუტის მტკიცებას, რომ ლიბერალიზმი ქრისტიანული მოძღვრების ფუძემდებლური პრინციპების იდეებითაა ნასაზრდოები. სინამდვილეში – ხაზს უსვამს იგი – ეს ასე არაა. ამის საბუთად ავტორი იმოწმებს ჯონ ლოკს, რომელსაც, ავტორის აზრით, სიკეთე და ბოროტება ჩვენს

[7] ალექსანდრე ორახელაშვილი, ლიბერალიზმი და კონსტიტუცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ალმანახი", თბილისი, 2001, N 16, გვ. 35-38

[8] ლიბერალიზმი – სიცრუე და ცოდვის მონობა თავისუფლების ნიღბით. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია, თბილისი, 2004, გვ. 3-5

შეგრძნებებზე დაჰყავდა. ამ პოზიციიდან არა მარტო ნარკოტიკული ნივთიერებაა სასიამოვნო, არამედ კაცის კვლაც კი. ბოლოს, ავტორი ამტკიცებს, რომ თავისუფლება ადამიანს ღვთისაგან აქვს ბოძებული, მაგრამ თავისუფლება არაა ის აღვირახსნილობა, რასაც პრესით, წიგნებით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით გვიჩვენებენ. ლიბერალიზმის ქურუმები, ავტორის აზრით ამ მხრივაც ცრუობენ.[9]

ამრიგად, ლიბერალიზმი ამჯერად მართლმადიდებლური რელიგიის პოზიციიდანაა გაკრიტიკებული. ჩვენ გვესმის, რომ ლიბერალიზმის ზოგიერთი უარყოფითი მხარე მართლაც დამაფიქრებელია, მაგრამ ეს უარყოფითი მხარე ზოგჯერ ხელოვნურად არის გაზვიადებული, რაც საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის სერიოზულ უარყოფით რეაქციას იწვევს. უფრო მეტიც, ლიბერალიზმი გაიგივებულია ისეთ იდეოლოგიასთან, რომელიც თავისუფლების იდეას აღვირახსნილი ამორალიზმით გამოხატავს. ჩვენ ისიც კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში პრორუსული ორიენტაციის ადამიანები, დასავლური ორიენტაციის დისკრედიტაციის მიზნით, ლიბერალიზმის სახელს მიაწერს ყველა იმ სისაძაგლეს, რომელთანაც ლიბერალიზმს უშუალო კავშირი არა აქვს. სამწუხაროდ, ე.წ. „ერთსქესიანთა ქორწინების" იდეა ლიბერალიზმის საწინააღმდეგოდაა გამოყენებული. ამდენად, აშკარაა, რომ ლიბერალიზმის კრიტიკას პოლიტიკური მიზნები იშვიათად არ ნარმართავს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ლიბერალიზმის იდეას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სულ ახლახან გამოცემული ფრიად საინტერესო ნაშრომი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ლიბერალიზმის იდეის ჩასახვისა და განვითარების ფაქტებზე მოგვითხრობს. ლაპარაკია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ნაშრომზე:[10] ამ ნაშრომში სათანადოდაა ნაჩვენები ქართველი ხალხის დაუღალავი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ხოლო ლიბერალიზმის იდეები ქართულ ლიტერატურაში რუსეთის სინამდვილეში გავრცელებული იდეების მეშვეობით გავრცელდა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა – აი ის ქართველი მწერლები და მოღვაწეები, რომლებიც თავიანთ ნაწერებში და პრაქტიკულ საქმიანობაში ლიბერალიზმის იდეებს გამოხატავდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სახრჩობელაზედ", რომელიც ხსენებულ კოლექტიურ ნაშრომში ლიბერალიზმის კუთხითაა შეფასებული. მით უფრო, რომ ილია ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის, გამოყენების წინააღმდეგ გამოდიოდა.

არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ქართულ ენაზე არაერთი პოლიტიკური ხასიათის ნაშრომია გამოქვეყნებული ან თარგმნილია ქართულად. მაგალითად, ქართულ ენაზე თარგმნილია სტატიების კრებული „ლიბერალიზმი

[9] ლიბერალიზმი – სიცრუე და ცოდვის მონობა თავისუფლების ნიღბით. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია, თბილისი, 2004, გვ. 5

[10] ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 2015

და ძალაუფლება", რომელშიც მოთავსებულია ლიბერალიზმის გამოჩენილი წარმომადგენლების ბენჟამინ თაკერის, ერბერტ სპენსერის, ფონ ჰაიეკისა და სხვათა ნააზრევი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც, ლიბერალური ღირებულებების შესაბამისად, ბევრ რამეს გვავალებს.

§ 2. ლიბერალიზმის ისტორია რუსეთში

ლიბერალიზმის წარმოშობა და განვითარება თავისებური გახლდათ რუსეთშიც. მაგრამ ვიდრე რუსეთში ლიბერალური იდეების წარმოშობაზე ვისაუბრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, პოსტკომუნუსტური რუსეთის სინამდვილეში ლიბერალიზმის თაობაზე დისკუსიის მასალების განხილვა. მხედველობაში გვაქვს რუსეთში შემდგარი სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული.[11] ამ კრებულის შესავალში (უფრო სწორად, შესავლის მაგიერ წინასიტყვაობაში) ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ იმ რუსეთში, რომელიც კომუნისტური რეჟიმისაგან გათავისუფლდა, მაგრამ სადაც ახალი საზოგადოებრივი წყობა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ლიბერალიზმის თემა პრინციპულად საკამათოა. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ რამდენადაც რუსეთში, ზემოთხსენებული ვითარების გათვალისწინებით, შეიძლება დავუშვათ გარდამავალი ეტაპი ლიბერალური იდეების სასარგებლოდ. მაგრამ ეს „გარდამავალი ეტაპი" იმდენად გაურკვეველია, რომ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, დასახელებულ კრებულში ხსენებული დროისათვის ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა რუსეთის სინამდვილეში ლიბერალიზმის საწინააღმდეგოდ, თუმცა მაინც იტოვებენ იმედს, რომ რუსეთი საბოლოოდ განვითარების ლიბერალურ გზას დაადგება. ამ მხრივ საინტერესოა რ. კატელნიკოვის სტატია (Рассийский либерализм: быть или не быть?), რომელშიც მაშინდელი რუსეთის რეალური მდგომარეობაა გაანალიზებული და ლიბერალიზმის საწინააღმდეგო არგუმენტებია მოტანილი. კერძოდ, რუსეთში არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო სამართლებრივი ნიჰილიზმი იმდენად აშკარაა, რომ ამ ვითარებაში ლიბერალიზმის თემა უადგილოა. მით უფრო, რომ იმ დროის რუსეთში საშუალო კლასი არ არსებობდა. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კომუნისტური რეჟიმის პირობებში წამყვანი გახლდათ, ამჯერად დემორალიზებულია და იგი შველას სახალმწიფოსგან მოელის. იმის მიუხედავად, რომ ხსენებული დროის რუსეთში ლიბერალიზმის მომხრე პოლიტიკური პარტიები არსებობენ, მაინც არ იყო ნიადაგი ლიბერალისტული იდეებისათვის, რადგან მაშინდელი სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს ავტორიტეტი ნულის ტოლი გახლდათ. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნიდა, რომ

[11] იხ. Либерализм в России, М. 1993

რუსეთისათვის სახელმწიფო მშენებლობის ლიბერალური მოდელი უბრალოდ არარეალურია.[12]

ხსენებულ კრებულში მოთავსებულია ა. სალმინის სტატია „Националный вопрос и религия в контесте государственного строительства в посткоммунисическом мире", რომელშიც პირდაპირაა გაცხადებული იმის შესახებ, რომ პოსტკომუნისტურ რუსეთში მოსახლეობის უმრავლესობა მტკიცედ ადგას იმ გზას, რომ ყოფილ კომუნისტურ რეჟიმს, რომელიც ადამიანის ბუნების სანინააღმდეგო იყო, არასდროს არ დაუბრუნდება. ავტორი ამავე დროს იმასაც აღნიშნავდა, რომ რუსეთში იმ დროისათვის ისახებოდა საბაზრო ეკონომიკის სტიქია, თუმცა ეს მაინც არ ნიშნავდა რუსეთში ლიბერალიზმის დამკვიდრებას. ავტორი აღნიშნავდა, რომ დასავლეთის ტიპის ლიბერალიზმის გაგება მისი ისტორიის გაგებას მოითხოვს. ამდენად, ასკვნის ავტორი, – ლიბერალიზმის ხელახალი რეკონსტრუქცია მისი ისტორიულად თანხმლები პირობების გათვალისწინებას მოითხოვს. პარადოქსი კი, ავტორის აზით, ისაა, რომ საკუთარი პრობლემების გარკვევა შესაძლებელია ჩვენთვის უფრო ადექვატური ტერმინების გამოყენებით. ამ პოზიციიდან ავტორი აყენებს ორ პრობლემას – ეროვნულს, რომელიც შეესაბამება საკუთარ სულიერ ტრადიციებს, ხოლო, მეორე ისაა, რომ ეს ჩაჯდეს მსოფლიო პოლიტიკის განვთარების კონტექსტში. ავტორი ეხება ეთნიკურ კონფლიქტებს, სადაც „ნაციონალიზმი" თითქოს სახეზეა. არადა ეროვნული სახელმწიფო უამისოდ შეუძლებელია! მაგრამ, პრობლემა რთულდება, როცა ნაციონალიზმი რელიგიურ ფორმას იღებს და ამ მხრივ კონფლიქტი კიდევ უფრო მწვავდება. ავტორი, როგორც ჩანს, ერთმანეთს უპირისპირებს კომუნისტური იდეოლოგიის მოთხოვნას მორალის კლასობრივი ბუნების შესახებ და ზოგადკაცობრიულ მორალურ პრინციპებს, რის გამოც დგება ახალი პრობლემები როგორც ეროვნული, ისე რელიგიური თვალსაზრისით. ავტორი შემდგომ გადადის რუსეთში „დასავლური იდების" მომხრეებსა და პატრიოტებს შორის დაპირისპირებაზე, ავტორი საბოლოოდ ასკვნის, რომ, თუ უახლოეს მომავალში არ შეიქმნა ახალი მსოფლიო წესრიგის პოლიტიკური და კულტურული საფუძვლები, მაშინ ეთნიკური კონფლიქტები ისე გამწვავდება, რომ მათი მართვა შეუძლებელი აღმოჩნდება.[13] ჩვენ კი, დავსძენთ, რომ ავტორის მიერ დახატულ სურათში ლიბერალიზმისათვის ადგილი აღარ რჩება.

აღნიშნულ კრებულში მოთავსებულია ბ. ბუნინის სტატია (Новые российские предпртнтиатели и мифы поскоммунического сознаня), რომელშიც ნაცადია, „მეწარმის" ცნების მნიშვნელობის გააზრება ადამ სმიტის დროიდან მოყოლებული. ავტორი ასახელებს ხსენებული დროისათვის რუსეთში არსებულ სიძნელეებს, როცა მეწარმეები ან თვითონ არღვევდნენ კანონს, ან მათ აიძულებდნენ, გაიღოთ ქრთამი. ეს ის ვითარებაა, როცა ხალხმა პრივატიზაციის პროცესს, ავტორის აზრით, „პრიხ.ატიზაცია" უწოდა. ავტორის მტკიცებით, ამ სფეროში არსე-

[12] Либерализм в России, М. 1993, გვ. 9

[13] იქვე, გვ. 44

ბულმა უწესრიგობამ სახელმწიფო სექტორში მომუშავე პირებს დიდი დარტყმა მიაყენა. ავტორი საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსეთში ყალიბდება ახალი იდეოლოგია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ამ იდეოლოგიას ავტორი „ლიბერალიზმს“ არ უწოდებს და ამიტომ მას აქ არ განვიხ.ლავთ. სამაგიეროდ, ლიბერალიზმის საკითხს ეხება მ. ურნოვი, რომლის მოსაზრებებს აქ მოკლედ გადმოგცემთ. კერძოდ, ირკვევა რომ 1993 წელს ჩატარებულ მრავალპარტიულ არჩევნებში ლიბერალიზმის მომხრეებმა1% მიიღეს. ისიც აღსანიშნავია, რომ, ლიბერალიზმის მომხრეებს, ავტორის მტკიცებით, ლიბერალური შეხედულებები ყოველთვის გამოკვეთილი როდი აქვთ. მაგალითად, თავს ლიბერალებს თურმე უწოდებს ინტელიგენციის ის ნაწილიც, რომელიც დიდმპყრობელური იდეოლოგიისკენაა მიდრეკილი.[14] ავტორი საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ ლიბერალიზმი, მისი მომხრეების უფრო კეთილი სურვილებია, ვიდრე რეალობა, თუმცა ავტორი არც იმას გამორიცხავს, რომ ბიზნესის სფეროს მუშაკებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა გაერთიანებით შესაძლებელია ეკონომიკური ლიბერალიზმის ჩამოყალიბება.

ხსენებულ ნაშრომში სხვა საინტერესო სტატიებიცაა გამოქვეყნებული, მაგრამ რამდენადაც მათ ლიბერალიზმთან უშუალო კავშირი არა აქვთ, მათ აქ არ განვიხ.ლავთ. ზოგადად შევნიშნავთ, რომ სტატიების ხსენებულ კრებულში ტერმინი „ლიბერალიზმი“ სათანადოდ არაა განმარტებული. მაგრამ რუსეთში ლიბერალიზმზე იმდენია დაწერილი, მისი მიახლოებით ანალიზიც კი შეუძლებელია. ამჯერად მოკლედ შევეხებით ლუდვიგ მიზესის ნაშრომს,რომელსაც „ლიბერალიზმი კლასიკურ ტრადიციაში“[15] ქვია. ამ წიგნის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ლ. მიზესის ეს ნაშრომი ფნდამენტურია, რომ მასში გადაჭრილია ლიბერალიზმის ძირითადი პრობლემები, მართალია, ძირითადად ეკონომიკური პოზიციიდან,მაგრამ იგი მთლიანად ლიბერალიზმის იდეოლოგიასაც მოიცავს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლ. მიზესი კერძო საკუთრების სისტემას კაპიტალიზმს უწოდებს, რადგან, მისი აზრით, კაპიტალიზმი ერთადერთი შესაძლებელი სოციალური და ეკონომიკური სისტემაა. არსებობს მხოლოდ არჩევანი ლიბერალიზმს, საზოგადოებრივ და კერძო საკუთრებას შორის. ირკვევა, რომ ყველა სხვა შუალედური სისტემა უსარგებლოა. ამ პოზიციიდან აფასებს იგი სოციალიზმს, რომელიც შრომისუუნაროა. კაპიტალიზმი კი ერთადერთი შესაძლებელი სოციალური სისტემაა, რომელიც შრომის დანაწილებას ემყარება. ეს თეორიული დასკვნა ისტორიკოსისა თუ ფილოსოფოსისათვის მოულოდნელი ვერ იქნება, იმის მიუხედავად, რომ კაპიტალიზმი წინააღმდეგობებისგან თავისუფალი არაა. კერძოდ, მასში არსებობს შრომის ექსპლუატაცია და უთანასწორობა, უმუშევრობა – ის მაინც ძლიერია და ყველა სხვა სოციალურ სისტემაზე იმარჯვებს. მისი წყევლა-კრულვის მიუხედავად, ის მყარად დგას ფეხზე და ვითარდება. მართალია, მთავრობა ერევა ეკონომიკურ სფეროში, ად-

[14] ბ.ბუნინი, Новые российские предпртниатели и мифы поскоммуническоого сознания, გვ. 84
[15] თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე, 1994

გენს ფასებს და საქონლის სახეს, რომელიც უნდა იწარმოოს, – მაინც არსებობს წესრიგი, რომელიც, შესაძლოა, ადამიანის ბუნებას უფრო შეესაბამება. ავტორი იმოწმებს ფაქტებს, როცა, პირიქით სოციალიზმი ინვევს სიღატაკეს და შიმშილს და რომ კომუნისტურმა რეჟიმმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ლ. მიზესი ტერმინ „ლიბერალიზმსაც“ ეხება, რაკი იგი, როგორც ჩანს, არც თუ ისე ადვილი გასაგებია. მასში იგულისხმება ლათინური ტერმინი „ლიბერ“, რაც ნიშნავს თავისუფლებას, რომელიც თავიდანვე ფილოსოფიის პრობლემას წარმოადგენდა. მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ ათწლეულში სულ სხვა მნიშვნელობასაც იძენს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში ლიბერალიზმი გამოყენებულ იქნა ე.წ. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ სინონიმად. ავტორი კი, ლიბერალიზმს განმატავს, როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკასა და მეურნეობაში მთავრობის ჩარევის გარეშე, ინდივიდუალური თავისუფლების პირობებში, ადამიანთა საქმიანობის წესს.

ნიშანდობლივია, რომ ლ. მიზესი ამ ნაშრომის ბოლოს კვლავ უბრუნდება ტერმინი „ლიბერალიზმის“ დაზუსტების პრობლემას და ცდილობს თავიდან აიცილოს მისი არაერთნაირი გაგება. მართალია, ტემინოლოგიური საკითხი, ავტორის აზრით, მეორეხარისხოვანია, მაგრამ არც ტერმინოლოგიური აღრევაც ივარგებს. რა ვუწოდოთ თეორიულ სკოლას, რომელიც იცავს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების იდეას? – გვეკითხება ავტორი და მასზე მისი პასუხი ასეთია: ამ იდეას უფლება აქვს, ერქვას თავისი სახელი, იმის მიუხედავად, რომ ტერმინი „ლიბერალიზმი“ ერთნაირად გაგებული მაინც არაა. ავტორი ფიქრობს, რომ ლიბერალიზმის ერთადერთი სწორი გაგება ისაა, რომ ის ყოვლისმომცველი იდეოლოგიაა, რომელიც მთელ სოციალურ ცხოვრებას მოიცავს. დემოკრატიზმის იდეა, რომელიც სახელმწიფოს ახასიათებს, სოციალური ცხოვრების მხოლოდ ნაწილს მოიცავს. დემოკრატიზმი ლიბერალიზმის შედეგია.[16]

რუსეთში ლიბერალიზმის გაგებისა და დამკვიდრების პრობლემებს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მაგრამ ამჯერად მხედველობაში გვაქვს ლიბერალიზმის პრობლემისადმი მიძღვნილი შრომების კრებული. ირკვევა, რომ არსებობს მუდმივმოქმედი სემინარი, რომელზედაც ლიბერალიზმის თემა სპეციალურადაა განხილული.[17] ამ ნაშრომის შესავალ სიტყვაში ს. სუკლასინი ამბობს, რომ ლიბერალიზმი – ეს ისეთი ტერმინია, მატერიაა, რომლის შესახებ უკვე მილიონჯერაა ყველაფერი ნათქვამი. ამის მიუხედავად, ავტორი მაინც ფიქრობს, რომ ამ მიმართულებას ადამიანის ინდივიდუალურ ცნობიერებაში ფართო დასაყრდენი აქვს, თუმცა ფილოსოფიური თვალსაზრისით მისი ღირებულებითი და კატეგორიალური საფუძვლები არც თუ ისე ნათელია. მისი აზრით, ლიბერალიზმის ძირითადი კატეგორია მითოლოგიზირებულია, დამახინჯებულია. ახალ პირობებ-

[16] ლ. მიზესი, ლიბერალიზმი კლასიკურ ტრადიციაში, გვ. 184-187

[17] იხ. Либерализм: теория, состояние, прогноз, Материалы постоянно действуюшего научного семинара, № 5, М. 2010, გვ. 82-83

ში კი შესაძლებელია მისი ახალი ვერსია, მით უფრო, რომ რუსეთში ახალი კონსტიტუციის შემუშავების პრობლემა დგას, ხოლო ამ პრობლემას ლიბერალიზმის თემასთან კავშირი უეჭველად ექნება.

ამ სემინარზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ა. სოლოვიოვი. მან ყურადღება მიაქცია ლიბერალიზმის ისტორიას. მისი აზრით, ლიბერალიზმის სათავეებს ზოგჯერ ანტიკურ ხანაშიც ეძებენ. მეორენი აქცენტს ალორძინების ეპოქაზე აკეთებდნენ. მაგრამ ისტორია დაადასტურებს, რომ არსებობს ლიბერალიზმის არაერთი თეორია, რომელიც ერთ კონცეპუალურ ფორმაშია მოქცეული, თუმცა მისი განსხვავებული ინტერპრეტაციებიც ფაქტია. აქ სახეზეა მისთვის უნივერსალური მნიშვნელობის კატეგორიები: ხელისუფლება, სახელმწიფო, თავისუფლება, ადამიანის უფლება, მორალის ადგილი პოლიტიკაში, საჯარო დისკურსი, სამოქალაქო აქტივობა, თვითშეზღუდვა და ა.შ. ამას, ავტორის აზრით, ემატება საზოგადოების წინაშე ინდივიდუალური თავისუფლების პრიმატი, კერძო საკუთრება, კონკურენცია, ხელისუფლებათა დანაწილება და ა.შ.[18] ავტორი არც იმას ივიწყებს, რომ ლიბერალიზმს უარყოფით კონტექსტშიც განიხილავენ: დემაგოგია, ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, თავისუფლება და ანარქია და ა.შ., თუმცა ყოველივე ეს ლიბერალიზმის იდეურ მხარეზე ნაკლებ გავლენას ახდენდა.[19]

ავტორი ეხება რუსეთის პირობებში ლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის, თავისებურებას და აღნიშნავს, რომ რუსულ ნიადაგზე ლიბერალიზმის ეროვნული ვერსია ჩამოყალიბდა. ეს იყო იდეოლოგია, რომელიც სახელმწიფოს ძლიერ კონტროლზე იყო დამოკიდებული. რუსეთში თავისუფლება ესმოდათ, როგორც ნება, რომელიც პასუხისმგებლობის ყველა ფორმას იყო მოწყვეტილი, რაც ლიბერალიზმის მიმართ უარყოფით განწყობას ქმნიდა, განსაკუთრებით ანარქისტების მხრივ. ასეთი თავისუფლება ფასდებოდა, როგორც არარეალური.[20] მიუხედავად ამისა, მომხსენებელი მაინც უსვამს ხაზს ლიბერალიზმის მნიშვნელობას რუსეთში ახალი დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რადგან ლიბერალიზმის იდეოლოგიური პოტენციალი მეტად არსებითია. საზოგადოების და ინდივიდის ურთიერთობა, როცა წინა პლანზეა ინდივიდის აქტივობა, მის პირად ცხოვრებაში ხელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპი, თუმცა ისიც არსებითია, რომ თანამედროვე ვითარებაში დგას გლობალიზაციისა და ე.წ. ინფორმაციული საზოგადოების პრობლემა, რაც ახლო მომავალში მსოფლიო წესრიგის პრობლემას დაუკავშირდება.[21]

ხსენებულ დისკუსიაზე გამოითქვა ისეთი მოსაზრებაც კი, რომ ლიბერალიზმი – ეს ფაშიზმია (ე. ბაღდასარიანი). ავტორი იმით იწყებს, რომ ლიბერალიზმი დიდი უტოპიაა – მას რეალურად არასრდროს არ უარსებია და ვერც

[18] იქვე, გვ 12
[19] იქვე, გვ. 13
[20] იხ. Либерализм: теория, сотояние, прогноз, Материалы постоянно действующего научного семинара, № 5, М. 2010, გვ. 34
[21] იქვე, გვ. 52

ვერასდროს ვერ იარსებებს. სოციალობის გარეშე ადამიანი არ არსებობს, ხოლო სოციალურობა ყოველთვის ქმნის „ტაბუს“, აკრძალვების სისტემას, სისხლის აღრევის წინააღმდეგ, ხოლო ლიბერალები, პირიქით, დეტაბუაციის მოთხოვნით გამოდიან.ლიბერალიზმი უარყოფით იდეას შეიცავს, მასში რაიმე პოზიტიური პროგრამა არ დევს, ხოლო მას დროისა და ეპოქის მოთხოვნების დაკმაყოფილების პრეტენზია კი აქვს. ლიბერალიზმი სრულად უმწეოა იმისთვის, რომ რაიმე რეალურად გადაწყვიტოს და განახორციელოს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ აქ კითხვა-პასუხების რეჟიმში გამოითქვა ზოგიერთი დამაზუსტებელი მოსაზრებაც, მაგრამ ლიბერალიზმი, როგორც პრობლემა, მაინც პრობლემად რჩება იმის მიუხედავად, რომ ლიბერალიზმის თემას კიდევ ერთი ძალიან ვრცელი გამოკვლევა მიეძღვნა. (Российский либерализм: идея и люди, Под общей редакции Кара-Мурзы. М. 2007) ესაა სტატიების კრებული (თითქმის 800 გვერდამდე), რომელიც რუსული ლიბერალიცმის ცალკეულ წარმომადგენლებს ეძღვნება მათი ბიოგრაფიული მონაცემების თანდართვით. აქ წარმოდგენილია, მაგალითად, ნ. პაპინი, ნ. ნოვიკოვი, ა. ვორონცოვი, მ. სპერანსკი და სხვა. საბოლოოდ დავასკვნით, რომ ამ ნაშრომში ლიბერალიზმის ზოგადი თეორიული ანალიზი იმდენად არაა, რამდენადაც ამ მხრივ წამყვანია რუსი ლიბერალის პირადი წარმოდგენები, ცხოვრება და მოღვაწეობა.გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კრებულში გამოხატულია არა იმდენად ლიბერალიზმისადმი პატივისცემა, რამდენადაც ამ მხრივ რუსული კულტურის წარმოჩენის სურვილი,იმისი დამტკიცება, რომ რუსული ლიბერალიზმი ორიგინალურია და რომ რუსი ლიბერალები არავისზე ნაკლები არ არიან. ცხადია, აქ შესაძლოა, იყოს გადაჭარბება, მაგრამ ლიბერალიზმი რუსული კულტურის ნაწილი იყო წარსულში, არის დღესაც და დარჩება მომავალშიც. ამის გამო ამგვარი ძალისხმევა, რაც ამ ფრიად ვრცელ გმოკვლევაშია გამოხატული, ესე ვთქვათ, სრულიად ლეგიტიმურია, იმის მიუხედავად, რომ რუსეთის სინამდვილეში ლიბერალიზმი ხშირად იყო და არს დღესაც აგრესიული თავდასხმის ობიექტიც. მაგალითად, ლ. რისკენდლევა ეხება ლიბერალიზმის ფილოსოფიურ მხარეს, მის მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს და ამ მხრივ აკრიტიკებს მას. ავტორი ცდილობს განმარტოს ტერმინი „ლიბერალიზმი“, რომელიც თითქოს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ ეს ასე არაა. ამის საბუთად ავტორი იმოწმებს ლუდვიგ მიზესის ცნობილ დებულებას, რომ ლიბერალიზმის იდეები ბოლომდე არც ერთ სახელმწიფოში არაფერში არ განხორციელებულა, თუნდაც ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. და მაინც ის, როგორც თავისუფლების იდეოლოგია, არსებობს. იგულისხმება, რომ აკეთო ის, რაც გინდა. სხვა დანარჩენზე ლიბერალიზმს, ავტორის მტკიცებით, მიუფურთხებია კიდეც. დესპოტიზმთან და ტირანიასთან, დემოკრატიასა და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა, სამეწარმეო თავისუფლება, სამართლებრივი სახელმწიფო და ქალთა ემანსიპაცია, ადამიანთა უმცირესობის უფლებათა დაცვა – აი, – ავტორის აზრით, – ლიბერალიზმის ძირითადი სპექტრი. მაგრამ ავტორი ფიქრობს, რომ ამ მიმართულების ფილოსოფიური

მხარე საკმაოდ რთულია, რიგ შემთხვევებში საპირისპირო დებულებათა გაერთიანებაა. ამიტომაა, რომ ფილოსოფიას, ავტორის მტკიცებით, დღემდე არ აქვს გარკვეული პასუხი კითხვაზე, თუ რა არის თავისუფლება და ხომ არაა აქ პრაქტიკული ფილოსოფია? ამ ფილოსოფიაში თავისუფლების იდეა, ერთი მხრივ, თეორიულად დაუსაბუთებელია, ფიქციაა. ამდენად, თავისუფლება აქ მხოლოდ პრაქტიკული ფილოსოფიის სფეროა. ავტორი ამ მხრივ იმოწმებს ბენტამის ლიბერალიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებს, რომელშიც თავისუფლება ცხადდება ფიქციად. ის მწვავედ აკრიტიკებს ეთიკური მოვალეობისა და ჯერარსის ცნებებს, რასაც ბენტამი, ლ. რისკენდლევას აზრით, საკმაოდ გონებამახვილურად და დამაჯერებლად აკეთებს. ავტორი ბოლოს აკრიტიკებს იმანუელ კანტის სინდისის თეორიას, როცა სინდისი შინაგანია, ხოლო მას გარეგანისგან ათავისუფლებენ. ეს, ხსენებული ავტორის აზრით, კითხვას ბადებს: რატომ სინდისის თავისუფლება გარეგანისაგან? საბოლოოდ ავტორი ასკვნის, რომ ლიბერალიზმის ფილოსოფიიდან ფილოსოფიური ლიბერალიზმის მომხრეს მისთვის უხერხული პოზიცია უჭირავს, – ამ პოზიციის დაჭერა საკმაოდ რთულია. ეს პოზიცია არის „სუი იურის", რომელიც მართავს თავს და მშვიდად ამბობს უარს სხვისი თავისუფლების განხორციელებაზე, რადგან ლიბერალ-ფილოსოფოსი თავისუფლებას ამკვიდრებს არა ძალით, არა ძალადობით, მათ შორის – ინტელექტუალურად.[22]

როგორც ჩანს, ლიბერალიზმის ფილოსოფია მართლაც არაა ადვილი და ცალსახა. იგი წინააღმდეგობრივ დებულებებსაც კი შეიცავს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ლიბერალიზმის იდეა, რომ ეს იდეა სხვას არ მოახვიოს თავს, თვითონ კი მისდიოს მას, – ხომ არ მიუთითებს ლიბერალიზმის სუსტ მხარეზე? მით უფრო, თუ ამ მხრივ შევაფასებთ პოლიტიკურ ლიბერალიზმს, აღმოჩნდება, რომ ის მხოლოდ პოლიტიკური იდეაა, ხოლო, თუ იგი რომელიმე საკანონმდებლო პროექტში გადავიდა და კანონის ფორმით გამოვლინდა, მაშინ ეს უკვე ლიბერალიზმად ვერ ჩაითველება, რაკი კანონი მოქალაქის ვალდებულებას გამოხატავს და არა მის თავისუფლებას. პრობლემის ამ მხარეს ჩვენ შემდგომშიც შევეხებით.

ამჯერად ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება უახლოესი თვალსაზრისი ლიბერალიზმის შესახებ. მაგალითად, ა. პოპოვა ლიბერალიზმს განმარტავს ფართო აზრით, როგორც ის საზოგადოდ არის მიღებული: იგი იბრძვის იმისთვის, რომ მის ყოფა-ცხოვრებაში უხეშად არ უნდა ერეოდეს, თუმცა ლიბერალიზმი სახელმწიფოებრივი წესრიგის წინააღმდეგი სულაც არაა. ლიბერალიზმი აქაც ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, ხოლო პოლიტიკის სფეროში იგი აქაც, ესე იგი, რუსეთშიც, მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლებათა დანაწილებას, როგორც ის საზოგადოდ არის მიღებული. ცხადია, აქაც წინა პლანზე დგება ადამიანის თავისუფლებისა და მისი უფლებების დაცვის პრობლემები.

[22] იხ. Л. Г. Рыскельднева, философский либерализм и практическая философия, уч. зап Таврического университета им.В. И. Верданского, Серия „философия социология" 21 №1, 2008

ირკვევა, რომ კლასიკური ლიბერალიზმი წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში, მე-18 საუკუნეში ე.წ. განმანათლებლობის ეპოქაში. აქედან გამომდინარე, ლიბერალიზმის სრუქტურაში შეიძლება გამოიყოს სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი. 1. დასავლეთ ევროპული ეკონომიკური ლიბერალიზმი, რომელიც ადამ სმიტის ეკონომიკურ თეორიაში გამოიხ.ტა. 2. პოლიტიკური ლიბერალიზმი, რომელიც ობიექტურად წარმოიქმნა ბურჟუაზიული განმანათლებლური იდეების ზეგავლენით. 3. ფილოსოფიური ლიბერალიზმი, რომელიც სათავეს იღებს რაციონალიზმის, ემპირიზმის, ინდუქციისა და ფრანგულ – ინგლისურ განმანათლებლური იდეებიდან.[23] ავტორი იმოწმებს ბ. კაპუსტინის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პირობითად გამოყოფენ ლიბერალიზმის კონცეფციას, რომლის საფუძველში დევს ინდივიდების განსაკუთრებული საქმიანობა. ამ საქმიანობის წყალობით ისინი იძენენ უნარს, დაადგინონ კანონები. ამ უნარებს განსაზღვრავენ როგორც ონტოლოგიური, ისე გნოსეოლოგიური წინამძღვრებით. ლიბერალიზმის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთში მოარიგოს ინდივიდუალური თავისუფლება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრინციპი. ამ ტიპის ლიბერალიზმი დამახასიათებელი გახლავთ მე-19 საუკუნის რუსეთში. ეს ლიბერალიზმი დასავლური ლიბერალიზმისაგან არსებითად იყო განსხვავებული. რუსულ ლიბერალიზმს არ ჰქონდა ისტორიული წინამძღვრები. იგი საკმაოდ გვიან წარმოიშვა და ემყარებოდა მოსახლეობის საკმაოდ ფართო ფენებს. ხაზგასმულია, რომ აქცენტი თვითმპყრობელურ ხელისუფლებაზე იყო გადატანილი. ამ დროის პოლიტიკური იდეალი გახლდათ მონარქიასთან არსებული სათათბირო ორგანოს შექმნა. ამასთან, ირკვევა, რომ რუსეთში ლიბერალიზმის განვითარება სამ საფეხურად იყოფა. ამ მხრივ პირველი იყო განმანათლებლური, რომელიც ზემოდან იყო ინიცირებული ეკატერინე პირველისა და ალექსანდრე მეორის მეფობის ხანებში. შემდეგი ნაბიჯი იყო შეზღუდულ მონარქიაზე გადასვლის სპერანსკისეული საკონსტიტუციო პროექტი, რომლებმაც დეკაბრისტების ოპოზიციური გამოსვლები გამოიწვია. შემდეგი ეტაპი იყო ე.წ. დაცვითი ტიპის, ანუ კონსერვატიული ლიბერალიზმი. ეს იყო საზოგადოების წინაშე მდგარი ძირეული ამოცანების გაცნობიერების შედეგი – შემოენარჩუნებინათ ეროვნულ-რელიგიური ტრადიციები. შემდეგი ეტაპი იყო ახალი, ანუ ნეოლიბერალიზმი მე-20 საუკუნის დასაწყისში ოქტომბრის რევოლუციალმდე, რომლის ძირითადი იდეა ყოველი ადამიანის ღირსეული არსებობის უზრუნველყოფა გახლდათ.

იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ლიბერალიზმზე გავლენა დასავლურმა ლიბერალიზმმა მოახდინა, აქ მაინც წინა პლანზე წამოიწია ეტატიკური სახელმწიფოს იდეამ, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. ირკვევა, რომ რუსეთში ლიბერალიზმი არ იყო ერთიანი. მასში გამოიყოფოდა საერო, კონსერვატიული, რაციონალური და ნეოლიბერალური ნაკადი. საბოლოოდ ავტორს მოაქვს თანამედროვე მეცნიერებაში დამკვიდრე-

[23] იხ. А Попова, Либерализм и неолиберализм в правовом измерени России на рубеже 19-20 в. в Журнал „Россикого права", 2011, № 4

ბული აზრი, რომლის თანახმად, „მოსახლეობა რომელიც მიიღებდა ლიბერალიზმს იდეოლოგიის სახით, ვალდებული იქნებოდა, მთლიანად შეეცვალა თავისი ბუნებრივი მენტალიტეტი და სულიერად გადაგვარებულიყო".[24] ავტორი მაინც ფიქრობს, რომ რუსეთისათვის აჯობებდა ნეოლიბერალიზმი, რომელიც მასთან უფრო ახლოს იდგა. აქაც მთავარი გახლდათ პიროვნების თავისუფლების იდეა, ნეოლიბერალები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ სამოქალაქო მშვიდობა და დაესაბუთებინათ რუსეთში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, ესე იგი „სამართლებრივი რეჟიმის სახელმწიფო", სახალხო წარმომადგენლობით და პასუხისმგებლური მთავრობით; დემოკრატიული თავისუფლებით, გარედან რეაქციის შემოტევის გარეშე. ირკვევა, რომ რუსული ლიბერალიზმი ერთმანეთისგან მიჯნავდა სამართალს, როგორც სამართლიანობის ზოგად პრინციპს, და კანონს, და რომ სამართალი მაღლა დგას კანონზე. ავტორი ასკვნის, რომ ნეოლიბერალიზმი მთლიანად პასუხობს თანამედროვე რუსეთის სამართლებრივ იდეოლოგიას, რამდენადაც იგი აგებულია ადამიანის ბუნებრივი უფლებების პოზიტივისტურ იდეოლოგიაზე, სოციალური პროცესის ყველა სუბიექტის თანასწორობაზე, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკით, ხელისუფლებათა დანაწილებით, კერძო საკუთრების სოციალური როლით, ხალხის ხელისუფლების დაცვის მოთხოვნით, მაგრამ ხელისუფლების მხრივ ჩაგვრის შემთხვევაში აჯანყების უფლების შემონარჩუნებით.[25]

§ 3. მე-19 და მე-20 საუკუნის რუსული ლიბერალიზმის ტრანსფორმაცია

მხედველობაშია ო. ანდრეევას ნაშრომი, რომლის შესვალშივეა დასახელებული ამ თემის მთავარი კატეგორიები: ლიბერალიზმი, სახელმწიფო, სამართალი, პოლიტიკა, ღირებულება. ავტორი ამტკიცებს, რომ სოციალური პროგრესის თაობაზე დისკუსიის მსვლელობაში იქმნება იმისი გაგება, რომ საჭიროა საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმების გარდაქმნა. ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ და სამართალმა გაწმინდეს გზა ახალი პარადიგმისათვის, რომელშიც ისე ბუნებრივად ჩაექსოვა ისეთი ლიბერალური ღირებულება, როგორიც გახლდათ: „თავისუფლება, თანასწორობა,ძმობა". ამ იდეამ კი, თავის მხრივ, გამოიწვია სამოქალაქო სფეროში მოქალაქისა და პიროვნების უფლებების დაცვის განმტკიცება. ბურჟუაზიულმა მართლშეგნებამ საზოგადოება განვითარების ისეთ ახალ საფეხურზე აიყვანა, როცა დაამყარა სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში ლიბერალური ურთიერთობები. ირკვევა რომ, მე-19საუკუნისა და მე-20 საუკუნის ლიბერალურ-სამართლებრივ

[24] А Попова, Либерализм и неолиберализм в правовом измерени России на рубеже 19-20 вв Журнал Россикого права, 2011, № 4, გვ. 107

[25] იქვე, გვ. 112

კონცეფციებში განიხ.ლებოდა იდეა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არამარტო ბოროტებაა,არამედ „მებრძოლ ბოროტებას“ წარმოადგენს. ლიბერალური თეორიის ეს დებულება რუსულ ისტორიულ-ფილოსოფიურ სივრცეში გავრცელდა, როგორც სახელმწიფოს მწვავე კრიტიკა. ეს იყო თვითმყრობელობის მოსპობის იდეა,რომლის, თანახმად, მმართველობის ძველი ფორმები უნდა დანგრეულიყო, ვიდრე მათი რაიმე ფორმით ტრანსფორმაცია მოხდებოდა.

როგორც ირკვევა, რუსულ ლიბერალურ-ფილოსოფიურ მოძღვრებაში იმედს საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე ამყარებენ, მაგრამ გაირკვა, რომ საზოგადოების ეს ფენებიც არ იყვნენ მზად ამ მისიისთვის. პროლეტარიატის, როგორც საზოგადოების განსაკუთრებული ფენის, იდეამ ღრმა სკეფსისი გამოიწვია ითქვა, რომ პროლეტარიატი ამ უნარს მოკლებულია.

რუსეთის ლიბერალები ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების, როგორც უმაღლესი ღირებულებების, აღიარებას მოითხოვდნენ, ხოლო იმის გამო, რომ რეალური ვითარება სხვაგვარი იყო, ვიდრე ლიბერალებს წარმოედგინათ, საზოგადოების იდეალური გარდაქმნის იდეა ილუზიაში გადაიზარდა. ეს იყო ფილოსოფიურ-სამართებლივი მითოლოგია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ლიბერალიზმის იდეოლოგიაში სამართალს მეტი პატივი დაედო. ამ მხრივ წამყვანი აღმოჩნდა განმანათლებრული იდეა, რომლის თანახმად, საზოგადოების წამყვანი ძალა ჭეშმარიტებაა. ამ პოზიციიდან საზოგადოების პოზიტიურ ძალას მეცნიერება გამოხატავდა. მაგრამ, ეს, როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, – იყო საზოგადოების არა იდეოლოგიური-პოლიტიკური გარდაქმნის მოთხოვნა, არამედ მეცნიერული იდეების მიხედვით საზოგადოების მართვის იდეა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისსა და მე-20 საუკუნეში რუსეთში პოლიტიკური ბრძოლის არენა ძალიან გართულდა.ლიბერალები დემოკრატიულ გარდაქმნებს არ უარყოფდნენ, მაგრამ მათ იმის შიში ჰქონდათ, რომ უმრავლესობის ბიუროკრატიული აპარატი მაინც თავისას გაიტანდა. ლიბერალები ამტკიცებდნენ, რომ ტოტალიტარიზმის ბელადებს საქმე თავისი ხალხის თვითმკვლელობისკენ მიჰყავთ! თუმცა ირკვევა, რომ ლიბერალიზმის რუსული იდეა სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა განვითარებადი კაპიტალიზმის ვარიაცია. ნაშრომში საგანგებოდაა განხილული პ.მილიუკოვის იდეა, როცა მან ერთმანეთს დაუპირისპირა რუსეთის მე-20 საუკუნის ორი საპირისპირო ტენდეცია -სტალინიზმი და ნაციონალიზმი, მაშინ როდესაც, სტატიის ავტორის აზრით, ეს იყო დამარცხებული მხარის აღიარება და მისი გაბათილება, რომ „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.“ ავტორი საბოლოოდ ასკვნის: „თნამედროვე რუსეთი, რომელმაც აქცენტი ლიბერალურ-დემოკრატიულ გარდაქმნაზე გადაიტანა, – რისკს ეწევა იმაში, რომ გახდეს მსოფლიო პროგრესის აუტსაიდერი.“

ავტორი საბოლოოდ ასკვნის: მე-19 და მე-20 საუკუნეების რუსული სამართლის ფილოსოფიისთვის იდეოლოგიურად იყო შემზადებული რუსეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების იდეა. თანამედროვე ეტაპზე რუსეთის ფი-

ლოსოფიურ-სამართლებრივი კონცეფცია, ლიბერალიზმის ჩათვლით, მოითხოვს არსებით შესწორებას თანამედროვე სამართლის ფილოსოფიაში.[26]

§ 4. თანამდეროვე რუსეთის ფედერაციაში სისხლის სამართლის საკანმომდებლო ცვლილებების პოლიტიკური შეფასების პრობლემა

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა რასულ აკუტაევის ნაშრომი:[27]ავტორი იმ ფაქტის აღნიშვნით იწყებს, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანამ, აგრეთვე 2011 წლის 7 დეკემბრის ცალკეულმა საკანმომდებლო ცვლელებებმა, მეცნიერულ წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ამ ცვლილებათა ძირითადი ლეიტმოტივი იყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაცია, თუმცა ამ ცვლილებების შემოწმებით ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაცია გამოვლინდა. ავტორის აზრით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა ამ საკანონმდებლო ცვლილებების ძირითადი მიზანი იყო ის, რომ მაქსიმალურად შემცირებული იყო იმ პირთა წრე, რომელიც სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იხდიდა. ავტორს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ფართომასშტაბიანი ამნისტია, რომლის ძირითად მიზანს სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განტვირთვა წარმოადგენდა. მაგრამ ამგვარმა ფართომასშტაბიანმა ამნისტიამ, როგორც ამას წარსულის გამოცდილებაც ადასტურებს, დაარღვია დანაშაულისათვის სასჯელის გარდუვალობის პრინციპი. ავტორი ფიქრობს, რომ კანონმდებელს ყველა ამ ცვლილების პასუხისმგებლობა თავის თავზე არ უნდა აეღო. გარდა ამისა, რუსეთში დაწესდა სასჯელის ახალი სახე ე. წ. იძულებითი სამუშაოები, – მასთან ერთად რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში რევოლუციური ცვლილებებით. კერძოდ, გაზრდილია თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა. მასთან, თავისებურადაა გაგებული დანაშაულის კატეგორიები. ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ ყველაზე უფრო ღირებული სიკეთის – სიცოცხლის – ხელყოფა, თუ მას თან ახლავს ქმედების პრივილეგირებული შემადგენლობა, კანონმდებლის შემწყნარებული გადაწყვეთილებით, ნაკლებად მძიმე დანაშაულად გადაიქცა. სამწუხაროდ, კანონმდებელი არც ამით დაკმაყოფილდა. კერძოდ, მე-15 მუხლის მე-6 ნაწილში ჩაიწერა, რომ სასამართლოს უფლება აქვს, დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, შეცვალოს დანაშაულის კატეგორია ნაკლებად მძიმეზე, მაგრამ არა უმეტეს ერთისა. დანაშაულის კატეგორიზაცია, რომელიც კანონმდებლის პრეროგატივაა, ამჯერად სასამართლო მიხედულების

[26] იხ. О. А. Андреева, Трансформаця идей русского ливерализма конца 19 и 20 вв в современном философско-правовом дискурсе, „философия права" 2011, № 1.

[27] Некоторые новелы ливерализаци Россиского уголовного законодательства, „Государство и право", 2013, №3, გვ. 56-61

სფეროში გადავიდა. მით უმეტეს, რომ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ავტორის აზრით, ობიექტური კატეგორიაა და ვისიმე სუბიექტური შეხედულებაზე დამოკიდებული არაა. ავტორი საბოლოოდ დასკვნით, კანონმდებელმა ამით დაარღვია დანაშაულის კატეგორიზაციის ობიექტური მხარე იმგვარად, რომ რეალურად დადგა დანაშაულისა და ადმინისტრაციული გადაცდომის გამიჯვნის პრობლემა. გარდა ამისა, ავტორი ხაზს უსვამს ამ საკანმომდებლო ნოვაციების კორუფციული მიზნებით გამოყენების რეალურ შესაძლებლობასაც.

შემდეგ ავტორი გადადის სასჯელის ახალი სახის – იძულებითი სამუშაოების – განხილვაზე. დაგეგმილია, რომ მთელ რუსეთში შეიქმნას 150 გამასწორებელი ცენტრი, თუმცა საწყის ეტაპზე – 7-8 -ის ოდენობით. მაგრამ ირკვევა, რომ ამ კანონს აქვს უკუძალა, და, მაშასადამე, აუცილებელი იქნება ამ კუთხით საქმეების განხილვა. ავტორი ამ საკანონმდებლო ცვლილებების მეტის-მეტ ლიბერალურ ხასიათზე ლაპარაკობს. ეს ლიბერალიზმი აქ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ახალი სასჯელი – იძულებითი სამუშაოები – შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც მძიმე დანაშაული პირველად ჩაიდინეს. გარდა ამისა, ავტორი ფიქრობს, რომ ეს ახალი სასჯელი -იძულებითი სამუშაოები – უცნაურობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს სასჯელი ძირითადია, მაგრამ იგი ამავე დროს დამოუკიდებლად არ დაინიშნება, არამედ თავისუფლების აღკვეთის გარეშე ის გამოყენებული ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, ეს ახალი სასჯელი სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების აღკვეთა პირობით, მჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ბოლოს, ავტორის აზრით, იურიდიულ ლიტერატურაში უყურადღებოდ დარჩა ის გარემოება, რომ 2011 წლის 7 დეკემბერს კანონში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. ამ უკანასკნელს ადგილი ადრეც ჰქონდა, მაგრამ იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პირობად არ განიხილებოდა. ამჟამად კი, მაგალითად, მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან დამდგარი ზიანის დაფარვა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, თუ პირი, ამავე დროის, ქმედით მონანიებას და დაზარალებულთან შერიგების მიმართავს.[28] ახალი, საბაზრო ეკონომიკის, შესაბამისად, მიყენებული ზიანისანაზღაურება, – ნიშნავს იმას, თუ არ გადაიხდი – ჩაჯდები; გადაიხდი არ ჩაჯდები! ავტორის დასკვნით – ერთი და იგივე დანაშაულისათვის სხვადასხვა პირების სხვადასხვა პასუხისმგებლობა, სხვა არაფერია,თუ არა „არჩევითი იუსტიცია“, რაც, ვ. პასტუხოვის მოსწრებული გამოთქმით, რუსეთის იუსტიციის აქილევსის ქუსლია. ავტორი ასკვნის: სისხლის სამართლის კანონი, რომელიც არაა წინააღმდეგობრივი, დიდი ხანია, დროის მოთხოვნად იქცა. ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭიროდ ჩანს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემმუშავე-

[28] რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე; 76-ე მუხლები

ბელი კომისიის შექმნა.[29]

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონში შეტანილ ცვლილებებს პოლიტიკურ შეფასებას აძლევს არა მარტო რ. აკუტაევი, არამედ თანამედროვე რუსეთის სხვა პროფესიული წარმომადგენლებიც. ამჯერად საინტერესოდ გვეჩვენება მ. ბაბაევისა და ი. პუდოვოჩკინის ერთობლივი ნაშრომი, რომელშიც სათანადოდ არის განმარტებული ჩვენთვის მნიშვნელოვანი ცნებები და ტერმინები.[30] ხსენებული ავტორები აღნიშნავენ, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ ცვლილებათა პოლიტიკური შეფასება აუცილებელი ხდება. საკითხავია: შეესაბამება თუ არა ეს ცვლილებები, ერთი მხრივ, დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ ხაზს, ხოლო, მეორე მხრივ, – სისხლის სამართლის ნორმალური განვითარების ლოგიკას? მეორენაირად რომ ვთქვათ, შესაბამება თუ არა ეს საკანონმდებლო ცვლილებები რუსეთის სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას? მთელი უბედურება, ამ ავტორთა აზრით, ისაა, რომ ეს საკითხი უკვე დაგვიანებულია, თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია.

ირკვევა, რომ ამგვარ საკანონმდებლო ცვლილებების პროფესიული წინასწარი განხილვა, უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე დადგენილი წესი. ამის ერთერთ მაგალითად ავტორები ასახელებენ სისხლის სამართლის იმ კანონს, რომლის თანახმად, ფართოვდება სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო მიხედულება სასჯელის დანიშვნის დროს. ისიც ირკვევა, რომ კანონშემოქმედებითი გადაწყვეტილებების პროფესიული განხილვა თითქმის შეუძლებლად ხდება იმის გამოც, რომ საკანონმდებლო პროცესი აშკარად ჩქარია. ავტორები ამის მაგალითსაც ასახელებენ, როცა კორუფციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი განსახილველად შეტანილ იქნა 2011 წლის 16 თებერვალს, ხოლო, ამის შემდეგ სახელმწიფოს სამი თვეც კი არ დასჭირდა იმისათვის, რომ სისხლის სამართლის კანონიდან ამოეგდო თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზომა. ამ პოზიციიდან ავტორები გადადიან უფრო შორს მიმავალ დასკვნაზე, რომლის თანახმად, საქმე ეხება სახელმწიფო მმართველობის ისეთ რეჟიმს, როცა მართვის სუბიექტი მოკლებულია შესაძლებლობას, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში პრობლემის ყველა სპექტრს ხედავდეს (ან მას არც სურს, ხედავდეს). ეს კი, სტრატეგიულად საშიში და მიუღებელია. კანონთა ამგვარი დაჩქარებული ცვლილებები საშუალებას უსპობენ სპეციალისტებს, საქმის კურსში იყვნენ და ამის გამო იძულებულნი არიან, ამ ცვლილებათა კუდში იჩანჩალონ. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებებს ობიექტური დასაბუთება არ ჰქონდა. ეს იმაში გამოიხატა, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებებს წინ არ უძღოდა ქვეყანაში კრიმინალური სიტუაციისა და ხსენებული საკანონმდებლო ცვლილე-

[29] В. Акутаев, Некоторые новелы ливерализаци Россиского уголовного законодательства, „Государство и право“, 2013, №3, გვ. 61

[30] იხ. Измерения Российского Закона и их уголовно – политическая оценка, „Государства и право“ 2012, №8

ბების ეფექტურობის შესახებ რაიმე ობიექტური ინფორმაცია. აქედან ავტორები ასკვნიან, რომ ყველა ეს საკანონმდებლო ცვლილება იმითაა გამართლებული, თითქოს საქმე ეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციას და ლიბერალიზაციას, რასაც არავითარი ობიექტური საფუძველი არა აქვს, რის გამოც ყველა ეს საკანონმდებლო ცვლილება ნაადრევი და დაუსაბუთებელია.[31] ირკვევა, რომ ამ ცვლილებათა ერთადერთი გამამართლებელი საბუთი არის სტატისტიკური მონაცემი იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადში (2005 წ.) დანაშაულობის მასშტაბი 26% – ით შემცირდა. მაგრამ ხსენებული ავტორები ფიქრობენ, რომ სტატისტიკა – ეს ჩვეულებრივი სიცრუეა. ამის საბუთად ისიც კმარა: თუ დანაშაული ყოველ წელს 26% – ით შემცირდება, მაშინ 2020 წლისთვის რუსეთში დანაშაულობა საერთოდ უნდა გაქრეს.[32] ავტორებს ამ მხრივ მოაქვთ სხვა სახის სტატისტიკური მონაცემი, რომლებიც რეალურ სინამდვილეს აყალბებენ, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის გარემოება, რომ ყველა ეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, თურმე გამართლებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციისა და ლიბერალიზაციის პრინციპებით. ხსენებული ავტორები კი, ფიქრობენ, რომ ამ ტერმინების ამგვარი გამოყენება ზუსტი არაა. მით უფრო, რომ ამ ცვლილებებს არც ლიბერალური საფუძვლები აქვთ და არც ჰუმანური, რადგან ეს ტერმინები დასაშვებია მთლიანად სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ, და არა ცალკეული კანონებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიმართ. ამის საბუთად ავტორები იმოწმებენ შესატყვის ლექსიკონს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ლიბერალიზმი“ – ეს არის ამა თუ იმ სფეროში სახელმწიფო შეზღუდვების გაუქმება. სხვა აზრით ის შეიძლება ნიშნავდეს ზედმეტ მიმტევებლობას, მავნე მიმნებებლობას.[33] ხსენებული ავტორების აზრით, „ლიბერალიზმი“ ასოცირდება სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში გაუმართლებელ გათვლებთან, ნიშნავს რეალურად არსებული კრიმინოლოგიური ვითარების მიმართ სახელმწიფოს უყურადღებობას, გულგრილობას დამნაშავეთა და მათ მსხვერპლთა მიმართ. მით უფრო, როცა ამ პოზიციიდან რეალურია ე.წ. თეთრსაყელოიანთა (ბიზნესის სფეროში) დანაშაულის დაუსჯელობა.[34] აქედან ავტორები ლიბერალიზმს განმარტავენ „თავისუფლების“ და „სახელმწიფო კონტროლის“ კატეგორიებთან კავშირში. ეს კატეგორიები შეიძლება მიმართულ იქნან ორ სუბიექტზე: ერთი მხრივ, იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს იურისდიქციის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, ხოლო, მეორე მხრივ – სასამართლო ორგანოს მიმართ. გარდა ამისა, ხსენებული ავტორები ფიქრობენ, რომ არც თუ იშვიათად „ლიბერალურ პოლიტიკას“ შემოსაზღვრავენ მხოლოდ

[31] იხ. Измерения Российского Закона и их уголовно – политическая оценка, „Государства и право“ 2012, №8, გვ. 37
[32] იქვე, გვ. 37
[33] იქვე, გვ. 39
[34] იქვე, გვ. 39

ქმედების კრიმინალიზაციით და აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის კანონი მიმნებებლური უნდა იყოს ყველა იმ ქმედების მიმართ, რომლებიც ჰუმანისტურ ღირებულებეს არ არღვევენ. აქედან ავტორები ასკვნიან: ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ქმედების დეკრიმინალიზაციით და დანაშაულებრივი ქმედების სხვა სახის სამართალდარღვევაში გადართვის გზით მიიღწევა.[35] მათი აზრით, მნიშვნელოვანია ის გარემოება. რომ ლიბერალიზმი ნიშნავს ადამიანის თავისუფლების გაფართოებას, რაც ერთდროულად ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფლებასა და ძალას. ამ პოზიციისდან აშკარაა ლიბერალიზმის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი: ლიბერალიზმი ნიშნავს სუსტ სახელმწიფოს, რომელიც თავის მოქალაქეთა უსაფრთხოებას ვერ დაიცავს. ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ ამ შენიშვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში დანაშაულთა თავიდან აცილების იდეის გადართვას, იმ პირობით, რომ დანაშაულთა ამ თავიდან აცილებაში სახელმწიფოს როლი შეზღუდულია, რაკი ამ მიმართებით წინა პლანზე ადამიანის უფლება დგას. მაგრამ ამ მიმართებით სახელმწიფოს „სისუსტე" სრულიადაც არ ეწინააღმდეგება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის დამყარებას და ამიტომ იგი არ შეიძლება სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკის დეფექტად ჩაითვალოს. ამ არგუმენტაციაში საყურადღებოა სამოქალაქო საზოგადოების იდეა, რომლის თანახმად, რასაც სახელმწიფო თავისი ლიბერალიზმით კარგავს, იძენს საზოგადოება. ეს შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებული ინფრასტრუქტურის საფუძველზე.

ყველაფერი ეს ლიბერალიზმის პოლიტიკური დოქტრინის გასაგებად მეტად არსებითია, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დანაშაულთა თავიდან აცილებაში სამოქალაქო საზოგადოების ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანია მითითება პიროვნების პირადი, პერსონალური პასუხისმგებლობის აქტივიზაციაზეც.[36]მართლაც, პიროვნების თავისუფლება მის თვითნებობას არ ნიშნავს. ეს თავისუფლება ზღვარდადებულია მისი პასუხისმგებლობით. აქ იგულისმხება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, ესე იგი, ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როცა იგი ამ ვადებულებას ეკიდება მისი აღსრულების შინაგანი მზაობით, ესე იგი ყოველგვარი იძულების გარეშე.[37]ცხადია არსებობს პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტიც, როცა სუბიექტი სახელმწიფოს წინაშე პასუხს აგებს მის მიერ უკვე ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ წამყვანი მაინც პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეაა, რადგან ადამიანის პიროვნება, მისი ნორმალური ფსიქიკის ვითარებაში, პასუხისმგებლობის სათანადო გრძნობის გარეშე შეუძლებელია.

[35] იქვე, გვ. 39

[36] იქვე, გვ. 40

[37] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ გ. ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015, გვ. 60-76

პიროვნების სწორედ პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დანაშაულთა თავიდან აცილებისთვის. სამწუხაროდ, ლიბერალიზმის ძველ, ტრადიციულ, გაგებებში სახელმწიფო შეზღუდვებისგან პიროვნების თავისუფლების იდეა რატომღაც პიროვნების პასუხისმგებლობასთან არ იყო დაკავშირებული, რის გამოც პიროვნების ეს თავისუფლება თვითნებობას უფრო ჰგავდა, ვიდრე პასუხისმგებლობასთან ნაზიარებ თავისუფლებას. თანამედროვე გაგებით ადამიანის ფილოსოფიური პრობლემა მისი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობის გარეშე წარმოუდგენელია.

გარდა ამისა, ხსენებული ავტორები სწორად აღნიშნავენ, რომ გაუმართლებელი სისხლისსამართლებრივი შეზღუდვებისგან ადამიანის თავისუფლება ლიბერალიზმის ერთადერთი გამოვლენას არ წარმოადგენს, ვინაიდან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემაც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლებაზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმებას, სასამართლო მიხედულების მასშტაბის გაფართოებას. ლიბერალიზაციის ყველა ეს მნიშვნელობა არსებითია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ ირვევა, რომ ლიბერალიზაციის ყველა ასპექტი თანამედროვე რუსეთში ჯერ კიდევ ნაადრევია.[38]რაც შეეხება ჰუმანიზმის ცნებას, ის, როგორც ცნობილია, ადამიანისადმი პატივისცემას, მისადმი სიყვარულს გამოხატავს, ხოლო, უფრო კონკრეტულად იგი გამოხატავს დამოკიდებულებას როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის, ისე დანაშაულით დაზარალებული პირის მიმართ, აგრეთვე დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ საშუალებათა ჰუმანიზაციას. მაგრამ, როგორც ირკვევა, ლიბერალიზმი და ჰუმანიზმი არ შეიძლება სინონიმებად ჩაითვალოს. ირკვევა, რომ ლიბერალური კოდექსი, რომელიც დანაშაულთა მინიმალურ ჩამონათვალს შეიცავს, ამავე დროს აუცილებელი არ არის, რომ იყოს ჰუმანური. ასე, რომ „ლიბერალიზმი" და „ჰუმანიზმი" ერთამნეთისგან დამოუკიდებელი მოვლენებია და ერთი არ მოიცავს მეორეს.[39] ავტორები ჩამოთვლიან კანონპროექტებს, რომლებშიც, პირიქით, გაფართოებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასე, რომ თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია ფაქტებით ჯერ კიდევ გამყარებული არაა.[40] ამ ავტორების საბოლოო დასკვნა ასეთია: ლიბერალური და ჰუმანური შეიძლება იყოს მხოლოდ სისხლის სამართლის პოლიტიკა, მაგრამ არა სასჯელი, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.[41] აქედან გამომდინარე, ავტორები ასკვნიან, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს ლიბერალიზმთან და ჰუმანიზმთან არავითარი

[38] იხ. Измерения Российского Закона и их уголовно – политическая оценка, „Государства и право" 2012, №8 გვ. 40

[39] იქვე, გვ. 41

[40] იქვე, გვ. 42

[41] იქვე, 44-45

კავშირი არა აქვთ და ამ ცნებების არასწორ გამოყენებაზე მეტყველებენ.[42]

ამრიგად, აშკარაა, რომ ლიბერალიზმის და ჰუმანიზმის ცნებათა დაზუსტება აუცილებელი ხდება, რათა ერთმანეთში არ აგვერიოს ეს კატეგორიები, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები, და ცალკეული სისხლის სამართლის კანონები, რომლებიც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას წარმოადგენს.

ძალიან საინტერესოა ამ ავტორების შემდეგი დასკვნა: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკა არ შეიძლება იყოს ჰუმანური ან რეპრესიული, ლიბერალური ან მკაცრი. ყველა ესენი მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს კანონს, იყვნენ სამართლიანი და ექვემდებარებოდეს ერთიან მიზანს -უზრუნველყოფილი იქნეს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვა კრიმინალური საფრთხისგან.[43] ამ დასკვნას ნაშრომის პოზიტიურ ნაწილშიც შევაფასებთ. ამჯერად კი მოკლედ შევეხებით თანამედროვე რუსეთში ლიბერალური პოლიტიკის გაკოტრების კონცეფციას.

§5. რუსეთში ლიბერალური პოლიტიკის გაკოტრების კონცეფცია

ლაპარაკია ვ. ოსეიჩუკის ნაშრომზე:[44]

ავტორი აცხადებს, რომ 1991 წელს გაცხადებული სამამულო სახელმწიფო მშენებლობის ლიბერალური მოდელი, რომელიც, მისივე სიტყვებით, მმართველმა პარტიამ თავს მოახვია რუს ხალხს, ფრიად სერიოზულ გადამოწმებას მოითხოვს – აქვს თუ არა სახელმწიფო მშენებლობის ამ მოდელს ისტორიული პერსპექტივები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ავტორი მაქსიმალურ ობიექტურობას გვპირდება, როცა ჭეშმარიტების არ შეგვეშინდება და გამოირიცხება ობიექტური მონაცემებით მანიპულაცია.

ავტორის აზრით, რუსული სახელმწიფოს მშენებლობის ლიბერალური მოდელი განმტკიცებულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში, რომელშიც მოცემულია ცდა იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებითი სამართლის პრინციპების რეალიზაცია, მისი ლიბერალური გაგებით.

ავტორის მტკიცებით, ლიბერალები, შეუდგნენ რა საბჭოთა სახელმწიფოს დემონტაჟს, დაპირდნენ რუს ხალხს, რომ მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო ქვეყანას ნათელ მომავალს მოუტანდა, უზრუნველყოფდა ხალხის ცხოვრების, სამართლიანობას და შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალ დონეს. მაგრამ, ავტორის აზრით, არსებობს გამაოგნებელი ფაქტები, რომელებიც მეტყველებენ,

---

[42] იქვე, 45

[43] იხ. Измерения Российского Закона и их уголовно – политическая оценка, „Государства и право“ 2012, №8 გვ. 40

[44] О банкротстве либеральной модели государства и стратегии стройтельства нового государства, „Государство и право“, 2014. №11

რომ საქმის რეალური ვითარება პირიქითაა. მართალია, პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის მოსვლამ დადებითი ტენდენციები გამოიწვია, მაგრამ სახელმწიფოს ლიბერალური მოდელის მშენებლობა ისევე გრძელდება, – ყოველივე ამან საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამწვავება გამოიწვია. ავტორის მტკიცებით, ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ნულამდე დაეცა. ამას ვერ შველის ნავთობზე მაღალი ფასები, ასევე მითითება მსოფლიოს ეკონომიკურ კრიზისზე, მიჩქმალვა იმ უნიათობისა, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობის ლიბერალურ მოდელშია ჩადებული. ამავე დროს ავტორი ყურადღებას აქცევს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-80 მუხლის მესამე ნაწილს, რომლის თანახმად, რუსეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთმა პირმა (ესე იგი, პრეზიდენტმა) უნდა წარმართოს. გარდა ამისა, ირკვევა, რომ რუსეთის ფედერალური კანონმდებლობა არაა განმტკიცებული კადრების შერჩევის საკონკურსო სისტემით, რომელიც ხელმძღვანელ თანამდებობაზე ღირსეული კადრების შერჩევას და განაწილებას უზრუნველყოფდა. ამას ისიც ემატება, რომ, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მუშაკებს გადაუხდიან 5554 მანეთს თვეში, მაგრამ ეს ვერ უზრუნველყოფს განვითარების ინოვაციურ გზას და ისტორიული მარცხისთვის არის განწირული.

ავტორის აზრით, რუსეთის სახელმწიფო მშენებლობის ლიბერალური კურსის გამო რუსეთის ეკონომიკა, მისი ძირეული მაჩვენებლების მიხედვით, მე-20 საუკუნის დასაწყისის მაჩვენებლამდე დაეცა. რუსეთში ჩამოყალიბდა უკონტროლო და დაუსჯელი ეკონომიკური სისტემა, რომელსაც აქტიურად ამოაქვს ქვეყნის ენერგო-რესურსი და დიდი ოდენობით გააქვს ფული საზღვარგარეთ. მართალია, ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ ეკონომიკურ კურსს არ ეთანხმება და აქტიურად მოუწოდებს, ეს ფული საშობლოში დააბრუნონ, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი რიტორიკაა. ამ გზით რუსეთის ეკონომიკა ყოველ წლიურად კარგავს 100 მილიარდამდე დოლარს. ამასთან იზრდება რუსეთის საგარეო ვალი, მაგალითად, 2012 წელს 624 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მოხდა სასოფლო-სამეურნეო სამრეწველო წარმოების დეგრადაცია. რუსეთი სადღეისოდ უმწეოა, გამოკვებოს ქვეყნის მოსახლეობა. მოხდა მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, მისი ცხოვრების დონის გაუარესება. მკვეთრად მცირდება ბინების უფასოდ გადაცემის რაოდენობა. ირკვევა, რომ დეფიციტურია პირადი უსაფრთხოებაც. იზრდება ძალადური სიკვდილის ფაქტები. ყოველ წლიურად უგზო-უკვლოდ 70 ათასამდე ადამიანი იკარგება. იმის გამო, რომ სახელმწიფო უარს ამბობს ეროვნული შემოსავლის განაწილებაზე, საზოგადოება კრიმინალიზაციის გზას დაადგა. გაბატონდა საზოგადოების მართვის კორუფციული სისტემა. ლიბერალური კურსის გამო მოხდა რუსეთისათვის ტრადიციული ღირებულებების დანგრევა. რუსეთში ჩამოყალიბდა ოლიგარქიული, ბიუროკრატიული, კრიმინალური სახელმწიფო.

ირკვევა, რომ სახელმწიფო მშენებლობის ლიბერალური მოდელი აწყობს

მმართველი პარტიის პროდასავლურ ნაწილს, რომელიც მსოფლიოს ოლიგარქიულ ინტერესს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ეროვნულ ინტერესს. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ დგება ძირეული რეფორმების ამოცანა. ამ მხრივ პირველია დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების იდეა. ავტორი ახალი საზოგადოებრივი ხელშეკრულების შემუშავებას იდეასაც გამოხატავს.

საკითხავია: მართლაც ლიბერალური გახლდათ რუსეთის სახელმწიფოს მშენებლობის მოდელი? ნუთუ აქ ჩამოთვლილი ყველა ცოდვა ლიბერალური კურსის შედეგია? მით უფრო, რომ ავტორი ლიბერალურ კურსს ახსენებს, მაგრამ არ განმარტავს მას? რანაირად შეიძლება სახელმწიფო მშენებლობის ლიბერალური კურსის შედეგად ჩამოყალიბდეს ოლიგარქიული, ბიუროკრატიული, კრიმინალური სახელმწიფო? ჩვენი აზრით, ამგვარი სახელმწიფო არც ისტორიულად და არც სადღეისოდ, როგორც ლიბერალური ტიპის პოლიტიკური შედეგი, დღემდე არცერთ სხვა საზოგადოებაში დადასტურებული არ ყოფილა, იმის მიუხედავად, რომ ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, უნაკლო და წინააღმდეგობისაგან თავისუფალი არაა. მით უფრო, რომ თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციისა და ე.წ. ინფორმაციული საზოგადოების ვითარებაში არაა გამორიცხული ცალკეული სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მონოპოლიზმი და ოლიგარქიული მმართველობაც კი, რომლებიც განსაკუთრებით მცირე ზომის ეროვნული სახელმწიფოს მტრობენ და მათ შემდგომ განვითარებას ახშობენ. მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს დღევანდელი პრობლემები დემოკრატიზმის და ადამიანის პირადი თავისუფლების დეფიციტს უფრო მიეწერება, ვიდრე სახელმწიფო მშენებლობის ლიბერალური კურსის დამკვიდრების მცდელობას, რადგან, თუ ლიბერალური კურსი უკვე არსებობს, მაშინ დემოკრატიზმიც არსებულა, ხოლო ამგვარ ვითარებაში დემოკრატიზმის დამკვიდრების მოთხოვნას აზრი არა აქვს.

თავი მეორე

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკისა და სამართლის მიმართებების გამოვლენა

§ 1. პოლიტიკისა და სამართლის მიმართების პრობლემა თანამედროვე რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში

პოლიტიკისა და სამართლის მიმართების პრობლემა საკმაოდ რთულია. პოლიტიკა, მისი უმოკლესი განმარტებით, ნიშნავს „მართვის ხელოვნებას", ხოლო, ეს, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ პოლიტიკა საკმაოდ რთული სტრუქტურით ხასიათდება. ეს ბუნებრივია, რადგან „მართვის ხელოვნება" მართვის ობიექტსა და სუბიექტს მოიცავს, ხოლო თვით მართვა მიზნისა და საშუალების მიმართების გარეშე შეუძლებელია. ამ პოზიციიდან თითქოს აშკარაა, რომ პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სფერო, სამართალთან მიმართებაში პირველია, ხოლო სამართალი პოლიტიკის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა ვლინდება არა მარტო სამართალში, არამედ ეკონომიკაში, სოციალურის დემოგრაფიულის, ეროვნულის და ა.შ. სფეროებში. მაგრამ თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში საქმის ვითარება პირიქითაა შებრუნებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ლაპარაკობენ არა სამართალში პოლიტიკის გამოვლენაზე, არამედ, პირიქით „სამართლებრივ პოლიტიკაზე", მაგალითად, რ. სარკისოვმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი თემაზე: „რუსეთის სამართლებრივი პოლიტიკა". (2008); უფრო მეტიც ნ. ისაკოვს მიანიჭეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი თემაზე: „თანამედროვე რუსეთის სამართლებრივი პოლიტიკა," (2004).

ჩვენი აზრით, ეს საკითხი უფრო ღრმა ჩაფიქრებას მოითხოვს. მართლაც, პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სფერო, პოლიტოლოგიის, როგორც პოლიტიკის შესახებ კერძო მეცნიერების საგანია. შესაბამისად, სამართალი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სფერო, იურიდიული მეცნიერების საგანია. აქედან გამომდინარე, პოლიტოლოგია სამართალს ვერ შეეხება, ხოლო, იურიდიული მეცნიერება პოლიტიკის თეორია ვერ იქნება. ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ პოლიტიკისა და სამართლის მიმართების პრობლემა არც პოლიტოლოგიის სფეროში ეტევა და არც იურიდიული მეცნიერების სფეროში. საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ორი, მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ მაინც განსხვავებული სფეროების, მიმართების პრობლემა ფილოსოფიაში გადადის. ამ პოზიციიდან იკვეთება როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის, ისე სამართლის ფილოსოფიის მიმართების პრობლემები. ამდენად, აშკარაა, რომ ე.წ. „სამართლებრივი პოლიტიკის" სფეროში დაცული დისერტაცია იურიდიული მეც-

ნიერების სფეროში ვერ ეტევა და იგი ფილოსოფიურ მეცნიერებათა სფეროში გადადის. სამწუხაროდ, თანამედროვე რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში „სამართლებრივი პოლიტიკა" თითქმის ბატონდება, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია. საკითხავია: რანაირად შეიძლება პოლიტიკა იყოს სამართლებრივი? ისე ჩანს, ან სამართალი წინ უსწრებს პოლიტიკას და ამიტომ ეს უკანასკნელი ხდება „სამართლებრივი," ან, პირიქით, პოლიტიკა პირველია, იგი ვლინდება სამართალში და, ამდენად, ხდება „სამართლებრივი". უფრო კრიტიკულად რომ შევხედოთ „სამართლებრივ პოლიტიკას," აქ პოლიტიკისა და სამართლის მათი უფრო მექანიკური კავშირი იკვეთება, ვიდრე მათი ძირეული მიმართებანი. მაგალითად ა. მალკო და ვ. ტროფიმოვი ერთობლივ სტატიაში ცდილობენ დაასაბუთონ, რომ არსებობს „სამართლებრივი პოლიტიკის" კატეგორია, რომელიც გამართლებულია როგორც წარსულით, ისე თანამედროვეობით. აქ დასმულია ის საკითხებიც, თუ რას ნიშნავს „სამართლებრივი პოლიტიკა" და რა მიმართებაშია იგი ისეთ ცნებებთან, როგორებიც არიან სამართალშექმნითი და სამართალშემოქმედებითი პოლიტიკა?

ავტორები ფიქრობენ, რომ „სამართლებრივი პოლიტიკა" არის მეცნიერული კატეგორია, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთში მე-19 -მე-20 საუკუნეების მიჯნაზე. ხსენებული ავტორები უთითებენ ს. მუროვცევზე, რომელიც „სამართლის პოლიტიკის" მეცნიერებაზე მსჯელობდა, რომ სამართლის პოლიტიკის საგანია ის, რაც უნდა იყოს, რისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ საზოგადოების სამართლებრივი მოწყობის პრობლემატიკაში.[45]ხსენებული ავტორები ასახელებენ სხვა ისტორიულ წყაროებსაც, როცა „სამართლებრივი პოლიტიკის" სამეცნიერო ბრუნვაში უკვე იყო, ხოლო სადღეისოდ ეს კატეგორია კვლავ უნდა აღვადგინოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ყველაფერი ნათელი არაა. მართლაც, რანაირად შეიძლება იურიდიული მეცნიერების ფარგლებში გადაწყდეს ისეთი რთული პრობლემა, როგორიცაა კანონშემოქმედება? მით უფრო, „შემოქმედება" ფილოსოფიური ცნებაა და, მაშასადამე, ფილოსოფიურ მიდგომას მოითხოვს. აქ ჩვენ შეგნებულად ვიყენებთ ტერმინს „კანონშემოქმედებას," რადგან სახელმწიფო სამართალს კი არ ქმნის, არამედ ნორმატიულ აქტს, კანონს, როგორც სამართლის გამოხატვის ფორმას. მართალია, ნორმატიული აქტი, თუ ის მართლაც შემოქმედებითი აქტის შედეგია, მიუახლოვდება სამართლის იდეას, მაგრამ პირდაპირი ლოგიკური გზით სამართლის გამოხატვას არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ტერმინი „სამართალშემოქმედება" ზუსტი არაა და ძირეულად ამახინჯებს პოლიტიკისა და სამართლის მიმართების პრობლემას, რადგან სამართალი არსებობს ობიექტურად, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში და, როგორც შემდგომაც ვნახავთ, წინ უსწრებს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ ხელისუფლებას. მართლაც, ჯერ ერთი, საკითხავია: არის თუ არა „სამართლებრივი პოლიტიკა" დამოუკიდებელი კატეგორია, როგორც

[45] იხ. Правовая политика в современном России: проблемы, доктринального понимания и формирования, „Государпрство и право", 2013, №2, стр. 5

აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა? თუ ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხეთ, მაშინ დადგება მეორე პრობლემა: რომელი მეცნიერების კატეგორიაა იგი?

დავიწყოთ პირველი საკითხის განხილვით. კერძოდ, არის თუ არა „სამართლებრივი პოლიტიკა" დამოუკიდებელი კატეგორია, როგორც აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა? მართლაც, ცნობილია, რომ თეორიული აზრის ისეთი ლოგიკური ფორმა, როგორიცაა ცნება, იყოფა ზოგადისა და კერძოს, გვარისა და სახის მიხედვით. მაგალითად, არსებობს დანაშაულის ზოგადი ცნება და ცალკეული დანაშაულის ცნებები სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიხედვით. კატეგორიას, როგორც თეორიული აზრის ერთ-ერთ ფორმას, ცნებისათვის დამახასიათებელი დაყოფა არ გააჩნია. ამიტომაა, რომ კატეგორიას უზოგადეს ცნებას უწოდებენ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ კატეგორია არა მარტო აზრის ლოგიკური ფორმაა, არამედ შემეცნების საშუალებაც, როცა შემმეცნებელი სუბიექტი კატეგორიის გამოყენებით ამა თუ იმ სინამდვილეს უზოგადეს მხარეს გამოავლენს.[46] ირკვევა, რომ კატეგორიას არც გვარი აქვს და არც სახე, თუმცა არსებობს კატეგორიების გამოვლენის ფორმები; მაგალითად, ზომა არის თვისებრიობის და რაოდენობის კავშირის ფორმა. მაგრამ კავშირის წესით არსებობს მხოლოდ ზოგიერთი და არა ყველა კატეგორია. მაგალითად, მოვლენა, შემთხვევითობა კატეგორიებია, მაგრამ არა კავშირის ფორმები.[47]

გასაგებია, რომ „სამართლებრივი პოლიტიკა", თუ ის დამოუკიდებელი კატეგორიაა, კავშირის წესით არსებობს, რაკი აქ საქმე სამართლისა და პოლიტიკის კავშირს შეეხება. მაგრამ საქმე ის გლახლავთ, რომ კავშირის წესით არსებულ კატეგორიებში არსებობს არა ორის კავშირი, როგორც ეს „სამართლებრივი პოლიტიკის" ტრადიციულ გამონათქვამში იგულისხმება სამართლისა და პოლიტიკის კავშირის აღსანიშნავად, არამედ საქმე ეხება „მესამის" ცნებას, როცა ეს მესამე ორი კატეგორიის კავშირს გამოხატავს.ზემოთ უკვე მოტანილი ზომის კატეგორია, რომელიც თავისებრივისა და რაოდენობის კავშირის ფორმაა. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ არსებობს, მაგალითად, ბრალის კატეგორია, რომელიც პასუხისმგებლობისპოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირების ფორმაა; არსებობს ქმედების შემადგენლობა, რომელიც ამ ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმაა; არსებობს პასუხისმგებლობისკატეგორია, როგორც თავისუფლებისა და აუცილებლობის კავშირის ფორმა და ა.შ.

ამრიგად, აშკარაა, რომ კავშირის წესით არსებულ კატეგორიებში საქმე ეხება ორის კავშირს მესამეში, რომელიც დამოუკიდებელ კატეგორიას წარმოადგენს. მაგალითად, ქმედების მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობისა და ბრალის კავშირის ფორმაა, რადგან ბრალი ქმედების შემადგენლობის ელემენტად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ არც მისგან მოწყვეტით არსებობს. მეორე მხრივ, თუ ქმედება მოცემულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო არაა, მაშინ აქ არც ბრალი არსებობს.

---

[46] უფრო დაწვრილებით იხ. ს. წერეთელი, დიალექტური ლოგიკა, თბილისი, 1965, გვ. 51-52

[47] იქვე, გვ. 392

როგორც უკვე ჩანს, კავშირის წესით არსებულ კატეგორიებში საქმე შეეხება ორის კავშირის წესს მესამეში, რომელიც ამ ორს ერთმანეთთან აკავშირებს. „სამართლებრივი პოლიტიკა“ ამ მხრივ მხოლოდ ორის (სამართლის და პოლიტიკის) კავშირს გამოხატავს, რის გამოც აქ არ არსებობს ის „მესამე“, რომელიც სამართლისა და პოლიტიკის კავშირის წესს გამოხატავდა. მაშასადამე, „სამართლებრივი პოლიტიკა“ დამოუკიდებელ კატეგორიას, როგორც აზრის ლოგიკურ ფორმას, არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, აქ აშკარად იგრძნობა ე. წ. ნორმატივისტული აზროვნების წესი, როცა პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სფერო, ხდება „სამართლებრივი“, ისევე, როგორც ნორმატივისტები ხშირად ლაპარაკობენ, მაგალითად, სამართლებრივ მიზეზობრიობაზე, სამართლებრივ (ნორმატიულ) სურვილზე, სამართლებრივ სიკეთეზე და ა. შ.

ამრიგად, „სამართლებრივი პოლიტიკა“სამართლისადმი პოლიტიკის დაქვემდებარების, პოლიტიკის სამართლებრივად გარდაქმნის ნორმატივისტული მოდელია, რომელიც სამართლისა და პოლიტიკის ჭეშმარიტი კავშირის ლოგიკურ უარყოფას წარმოადგენს. სამწუხაროდ, „სამართლებრივი პოლიტიკის“ მომხრეებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ აქ სახეზეა დამოუკიდებელი კატეგორია. მაგალითად, ამ კითხვაზე თავისებურ პასუხს იძლევა ა. მალკო, რომელიც „სამართლებრივი პოლიტიკის“ ვითომდა კატეგორიის თავგამოდებული მომხრეა. მან, როგორც ირკვევა, ამ საკითხზე გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომლის შესახებ ვრცელი რეცენზია აქ დასმულ პრობლემებს გარკვეულწილად პასუხობს. კერძოდ, დასახელებული ავტორის აზრით, რუსეთში „სამართლებრივი პოლიტიკის“ კვლავ განვითარება სადღეისოდ ამ ზღვრამდე მივიდა, როცა შესაძლებელია და აუცილებელიც მისი გაშლილი თეორიის ჩამოყალიბება. მომწიფდა მისი სადისციპლინათშორისი გამოკვლევის გადაუდებელი მოთხოვნა ფილოსოფიის, ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიისა და იურისპრუდენციის მიმართების მიჯნაზე.[48] ა. მალკოს ნაშრომზე ხსენებული რეცენზიის მიხედვით ირკვევა, რომ სამართლებრივი პოლიტიკის“ დისციპლინათაშორისო გამოკვლევაში უფრო პროდუქტიულია ა. მალკოს მოსაზრება, რომ ეს კვლევა სახელმწიფოს და სამართლის მეცნიერების ბაზაზე განხორციელდეს.[49]

ამრიგად, ირკვევა, რომ „სამართლებრივი პოლიტიკის“ ვითომდა კატეგორია სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კატეგორიების სისტემას განეკუთვნება. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ხსენებული მეცნიერება ზოგადი ხასიათის კერძო მეცნიერებაა? რანაირად შეიძლება კერძო მეცნიერება „სამართლებრივი პოლიტიკის“ ფილოსოფიური, პოლიტოლოგიური და სხვა კვლევების საბაზო ცოდნას შეადგენდეს? თუ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია ფილოსოფიური მეცნიერებაა, მაშინ მართლაც შეიძლება იგი პოლიტიკისა და სამართლის მიმართების კვლევაში საბაზო მეთოდოლოგიურ ფუნქციას

[48] იხ. ა. მალკოს ნაშრომზე რეცენზია, „Государство и право“, 2013, №7

[49] იქვე, გვ. 19

ასრულებდეს. მაგრამ, იგი, როგორც წესი, კერძო მეცნიერებად ითვლება და, ამდენად, აქ დასმული პრობლემის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს არ უნდა წარმოადგენდეს. გარდა ამისა, უკვე ითქვა, რომ „სამართლებრივი პოლიტიკა“ დამოუკიდებელ კატეგორიას არ წარმოადგენს, რაკი აქ სახეზეა მხოლოდ სამართლისა და პოლიტიკის მექანიკური კავშირი სამართლისადმი პოლიტიკის ქვემდებარების პრინციპით, როცა „პოლიტიკა სამართლებრივია,“ მაშინ, როცა კავშირის წესით არსებულ კატეგორიაში ორის კავშირს მესამე წარმოადგენს. მაგალითად, როგორც შემდგომში დავინახავთ, იმენუელ კანტის ფილოსოფიურ მოძღვრებაში მორალი პოლიტიკაში, როგორც წესი, უშუალოდ არ გადადის. მორალი, როგორც წესი, გადადის სამართალში, ხოლო სამართალი მორალს პოლიტიკასთან აკავშირებს. მაშასადამე, სამართალი მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმაა. ეს კი იმასაც ადასტურებს, რომ სამართალი, როგორც მესამე, რომელიც მორალსა და პოლიტიკას აკავშირებს, ამ სისტემაში კატეგორიული ბუნებისაა, რადგან აქ იგულისხმება ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომელიც ღირებულებითი ცნობიერების ფორმებს ურთიერთკავშირში შეისწავლის.

ამრიგად, ტერმინი „სამართლებრივი პოლიტიკა“ დამოუკიდებელ კატეგორიას არ წარმოადგენს, რის გამოც იგი ვერც სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კატეგორიადაც ვერ ჩაითვლება. „სამართლებრივი პოლიტიკის“ ტრადიციულ გამოთქმაში პოლიტიკა ექვემდებარება სამართალს, ხდება „სამართლებრივი,“ რაც ნორმატივიზმია, რადგან სამართლისა და პოლიტიკის ასეთი მექანიკური კავშირი არ არსებობს, რადგან პოლიტიკური სამართლებრივში კი არ გადადის, არამედ, პირიქით, სამართლებრივი გენეზისურად პირველია, ხოლო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების გამოხატულება, მეორეა. სამართალი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისა და ორგანიზაციის ნორმატიული საფუძველია და, ამ აზრით, შეიძლება ითქვას, რომ „სამართლებრივი პოლიტიკა“ სამართლისა და პოლიტიკის მექანიკურ კავშირს კი არ გამოხატავს, არამედ „სამართლებრივი სახელმწიფოს“ იდეას, როცა სამართალი სახელმწიფოს გენეზისში ერთვება იმგვარად, რომ მისი შექმნისა და ორგანიზაციის ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს. აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს, რომ გენეზისურად სამართალს წინ უსწრებს ზნეობა, ხოლო სამართალი, თავის მხრივ, უკავშირდება ადათებს, ტრადიციებს, ზოგადად – კულტურის ნორმებსაც. სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ კი სამართალი უკავშირდება პოლიტიკას, ხოლო ამ კავშირის ფორმას კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი წარმოადგენს. მაშასადამე, ნორმატიული აქტი სამართლისა და პოლიტიკის კავშირის ფორმაა და, ამდენად, იგი დამოუკიდებელ კატეგორიად უნდა ჩაითვალოს. გასაგებია, რომ ნორმატიული აქტი, როგორც სამართლის და პოლიტიკის კავშირის ფორმა, ფილოსოფიური კატეგორიაა, რადგან მხოლოდ ფილოსოფიური პოზიციიდან არის შესაძლებელი სამართლისა და პოლიტიკის კავშირი მესამეში ანუ ნორმატიულ აქტში გადასვლით დასაბუთდეს. მით უმეტეს, რომ ნორმატიული აქტი, როგორც სამართლისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა, შემოქმედების

წესით მუშავდება, ხოლო, „შემოქმედება" ფილოსოფიური ცნებაა. ამ საკითხებს შემდგომ უფრო ღრმად შევეხებით.

აქ კი კვლავ დავუბრუნდებით „სამართლებრივი პოლიტიკის" ტრადიციულ გამოთქმას, როცა „სამართლებრივი პოლიტიკის" ამ გაგებაში პოლიტიკა ექვემდებარება სამართალს, ხდება „სამართლებრივი," რაც ნორმატივიზმია. უცნაურია მაგრამ ფაქტია, რომ სამართლებრივი პოლიტიკის ცნებაში თუ კატეგორიაში პოლიტიკის მონაწილეობას არავინ უარყოფს, ისევე, როგორც არავინ უარყოფს ამ კატეგორიაში სამართლის მონაწილეობას. მაგალითად, ა. მაზურენკო სპეციალურად ეხება საკითხს სამართალშემოქმედებითი პოლიტიკისა და სხვა მომიჯნავე იურიდიულ კატეგორიებთან მისი მიმართების შესახებ. ავტორი ამ პოზიციიდან ეხება „სამართლებრივი პოლიტიკის" ცნებას. არ გამორიცხავს პოლიტიკას, როგორც ასეთის, დამოუკიდებლობას, მაგრამ ავტორი ეთანხმება ა. კორობეევას მოსაზრებას, რომლის თანახმად, სამართლებრივი პოლიტიკა უნიკალურია, რადგან აქ სახეზეა ერთდროული კუთვნილება როგორც პოლიტიკისადმი, ისე სამართლისადმი.[50] ამასთან დაკავშირებით ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც ძალიან საინტერესოა. მისი აზრით, სამართლებრივი პოლიტიკა რთული ფენომენია, რომელსაც ორმაგი ბუნება აქვს. ერთი მხრივ, მისი საზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ის არის პოლიტიკა, რომელიც სამართალზეა დაფუძნებული, ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის სამართალი, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ სფეროში ხელისუფლებისა და მართვის საშუალებადაა გამოყენებული.[51] ირკვევა, რომ პოლიტიკა სამართალზეა დაფუძნებული. ამ ლოგიკით კი, სამართალი წინ უსწრებს პოლიტიკას, რადგან სხვანაირად პოლიტიკა სამართალს ვერ დაეფუძნება. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ამ დებულებას პირწმინდად უარყოფს, როცა სამართალს პოლიტიკის განხორციელების საშუალებად აცხადებს, რადგან ამ პოზიციიდან პოლიტიკა პირველია, რომელიც სამართლის სფეროში ვლინდება. ამ წინააღმდეგობის მიზეზი ისაა, რომ, ჯერ ერთი, ერთმანეთისგან გამიჯნული არაა პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის სფერო, და სამართალი, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ნორმატიული სისტემა. მეორეს მხრივ, ერთმანეთისგან არაა გამიჯნული კანონი, როგორც სამართლის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, და თვით სამართალი, რომელიც წინ უსწრებს პოლიტიკურ ხელისუფლებას და წარმოადგენს ამ უკანასკნელის ორგანიზაციის იურიდიულ ფორმას. ამ პოზიციიდან გასაგებია, რომ სამართლებრივი სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება.

ამ დასკვნის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ღირებულებითი ცნობიერების ფორმების ურთიერთობა, როცა ზნეობა პოლიტიკაში უშუალოდ არ გადადის, რადგან, როგორც ეს იმანუელ კანტმა გაარკვია,

---

[50] იხ. А. Мазуренко, Правотворческая политика: понятие и соотношение со смежными юридическими категориями, „Государство и право," 2010, №4, стр. 13

[51] იქვე, გვ. 14

შესაძლებელია მორალური პოლიტიკოსი, ხოლო, პოლიტიკური მორალისტი, პირიქით, შეუძლებელია, რადგან ზნეობა პოლიტიკით განსაზღვრული ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, ისე ჩანს, რომ ზნეობა გადადის სამართალში, ხოლო ზნეობა პოლიტიკას სამართლის მეშვეობით უკავშირდება. მაშასადამე, სამართალი ზნეობისა და პოლიტიკის კავშირის ფორმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი წინ უსწრებს პოლიტიკას. რაკი სამართალი ზნეობასა და პოლიტიკას ერთმანეთთან აკავშირებს. მოკლედ განვიხ.ლოთ ეს საკითხიც.

§ 2. საზოგადოების ღირებულებითი ცნობიერების ფორმები და მათი ურთიერთკავშირი

ცნობილია, რომ არსებობს საზოგადოების ღირებულებითი ცნობიერების ფორმები, რომლებიც ერთმანეთისგან მჭიდროდ კავშირ-ურთიერთობაშია. იგულისხმება ზნეობა, ხელოვნება, რელიგია, სამართალი, პოლიტიკა და ა. შ. ისიც ცნობილია, რომ საზოგადოების ეს ღირებულებითი ცნობიერების ფორმებში ორი დაპირისპირებული კატეგორია არსებობს. მაგალითად, ზნეობაში ცნობილია სიკეთისა და ბოროტების კატეგორიები, ისევე როგორც არსებობს ხელოვნებაში მშვენიერებისა და სიმახინჯის დაპირისპირება, სამართლის სფეროში – მართლზომიერისა და მართლწინააღმდეგობის კატეგორიები, თუმცა არსებობს მათი კავშირის ფორმაც – ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, რომელიც აღწერილობითი, ფაქტის, მსჯელობაა და ამიტომ არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. არსებობს პოლიტიკურის შესატყვისი კატეგორიებიც – მეგობარი და მტერი (კარლ შმიდტის თეორია). ამ თეროიას საგანგებო ყურადღება მიაქცია ამირან ბერძენიშვილმა, რომელიც პოლიტიკური ფილოსოფიის გამორჩეული მკვლევარია. ეს უკანასკნელი მოკლედ ალაგებს კარლ შმიდტის ნააზრევს პოლიტიკურის განსაკუთრებული კატეგორიების აღმოჩენის შესახებ. ირკვევა, რომ პოლიტიკურსაც უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც საკუთარი კატეგორიები, რომლებიც პოლიტიკის არსებას გამოხატავენ. ასეთი კატეგორიები, რომლებიც პოლიტიკურის არსება შეადგენენ, არის მეგობრისა და მტრის განსხვავება. მაშასადამე, „მეგობარი“ და „მტერი“ პოლიტიკურის სპეციფიკური კატეგორიებია, რომლებიც განსხვავდებიან საზოგადოების ცნობიერების სხვა ღირებულებებითი ფორმების კატეგორიებისგან. არაა აუცილებელი, რომ პოლიტიკური მტერი მორალურადაც იყოს ბოროტი ან ესთეტიკურად მახინჯი. ამით კ. შმიდტს იმის თქმა უნდა, რომ პოლიტიკურის ეს კატეგორიები, ესე იგი, „მეგობარი“ და „მტერი,“ არ უნდა აგვერიოს მორალურის, ესთეტიკურის თუ ეკონომიკურისკატეგორიებში. უფრო მეტიც, ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს პირადი და საჯარო მტერი, რადგან პოლიტიკური აზრით მტერი – ეს შენი ხალხის მტერია, რომელიც არ შეიძლება გიყვარდეს. ბიბლიური სენტენცია: „გიყვარდეს მტერი შენი“ მხოლოდ პირად მტერს ეხება და არა შენი ხალხის მტერს.

ხალხი, ერი, რომელიც თვლის, რომ მას მტერი არ ჰყავს, არცაა პოლიტიკური ერთიანობა და არც სუვერენულია. სანამ ხალხი არსებობს პოლიტიკურის სფეროში, მან უნდა გადაწყვიტოს მეგობრისა და მტრის დადგენა-განსხვავება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის წყვეტს პოლიტიკურ არსებობას. მით უფრო, რომ მეგობრისა და მტერის კატეგორიები განუყოფელია ომის ცნებისგან. ომი მომდინარეობს მტრისგან, ხოლო ომი არის სხვისი კონკრეტული არსებობის უარყოფა პოლიტიკა გულისხმობს ომს, შეირაღებულ ბრძოლას საგარეო თუ შიდა მტერთან, რომელიც უცხო ორიენტაციის მატარებელია. მხოლოდ ნამდვილ ბრძოლაში ვლინდება მეგობრისა და მტრის დაპირისპირება. თუმცა, კარლ შმიდტი მეგობრისა და მტრის კატეგორიების დადგენისას უპირატესობას ანიჭებს საგარეო ურთიერთობას, მაგრამ არ გამორიცხავს შიდა მტერს სამოქალაქო ომის პირობებში. ამის მიუხედავად, ამირან ბერძენიშვილის აზრით, კ. შმიდტის პოლიტიკური თეორია მრავალ საყურადღებო ასპექტს მოიცავს, მაგრამ მასში მაინც წამყვანია საგარეო პოლიტიკა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობანი, „მაშინ როდესაც პოლიტიკას, როგორც ადამიანთა უმთავრეს სფეროს, რომელიც მოწოდებულია ქვეყნის შიგნით ერთიანობის, სტაბილურობის, წესრიგისა და კეთილდღეობის დასამკვიდრებლად, ყურადღება თითქმის არ ექცევა. პოლიტიკურს ეს მხარეც აქვს და იგი არანაკლებ არსებითია, ვიდრე „მეგობარ-მტრის" დაჯგუფების განსაზღვრა".[52]

ამრიგად, არსებობს ღირებულებითი ცნობიერების ფორმები და მათი შესატყვისი დაპირისპირებული კატეგორიები: სიკეთე და ბოროტება – ზნეობაში, მშვენიერი და მახინჯი – ესთეტიკაში, მეგობარი და მტერი – პოლიტიკაში, მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო – სამართალში. აშკარაა, რომ საქმე ეხება შეფასებით კატეგორიებს, ხოლო თვით ღირებულებითი ცნობიერების ეს ფორმები გარკვეული იერარქიის წესით თანაარსებობენ. ამ თვალსაზრისით დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ზნეობა საზოგადოებრივ ღირებულებათა იერარქიის სათავეში დგას. კერძოდ, სიკეთეზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს ისევე, როგორც ხელოვნებაში „მშვენიერი" სიკეთესთან ხდება ნაზიარევი, თუმცა ხელოვნებას თავისი სპეციფიკა აქვს და სინამდვილესთან ე. წ. მხატვრულის ფენომენითაა დაკავშირებული. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მეგობრისა და მტრის კატეგორიები გამოიხატებიან არა მარტო პოლიტიკურის სპეროში, არამედ ხელოვნებაშიც, ოლონდ მხატვრული აზროვნების ფორმებით. პროფ. ნ. ჭავჭავაძე წერდა, რომ მხატრული სახე არის გაადამიანური სინამდვილე. ხელოვნების ეს გაადამიანურებული ხასიათი მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მხატვრული სახეები ცოცხლობენ ადამიანის გულსა და გონებაში, იქცევიან მათ მეგობრებად თანამებრძოლებად შრომასა და ბრძოლაში, ან მტრებად, რომლებთანაც ბრძოლაა საჭირო. ხელოვნება სინამდვილის უბრალო ასლი კი არაა, არამედ მოწოდებაა სილამაზის კანონების თანახმად

[52] იხ. ამირან ბერძენიშვილი, პოლიტიკა, როგორც სოციალური მოვლენა, „პოლიტიკურის ცნება", ფილოსოფიური ძიებანი, II, თბილისი, 2002, გვ. 134-148

მისი გარდაქმნისაკენ.[53]

გასაგები უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ადამიანური ცხოვრების უკეთესობისკენ გარდაქმნის მოწოდება არაა საკმარისი ადამიანის პრაქტიკული ცხოვრების გარდასაქმნელად, რის გამოც არსებობს ამ ცხოვრების გარდაქმნის ზნეობრივი ვალდებულებაც. ამ თვალსაზრისით სამართალი უკავშირდება ზნეობას, რადგან სამართალში ამოსავალია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება, რომელსაც სამართლის სუბიექტი პოზიტიური პასუხისმგებლობის მეშვეობით ასრულებს. მაშასადამე, ადამიანური ცხოვრების გარდაქმნა უკეთესობისკენ, ვიდრე ის ფაქტობრივად არის, საზოგადოების ღირებულებითი ცნობიერების ფორმების ზოგადი ამოცანაა, ხოლო ამ ამოცანას ყველა მათგანი სპეციფიკურად ასრულებს. ცხადია, ამ მხრივ სამართალი გამონაკლისს არ წარმოადგენს. კერძოდ, აქ ერთმანეთს უპირისპირდება „მართლზომიერის" და „მართლსაწინააღმდეგოს" კატეგორიები, თუმცა კავშირის ფორმაც არსებობს: ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, რომლის პრაქტიკული განხორციელების გარეშე დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. მართლაც, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება უკვე არა მართლზომიერი აქტი, მაგრამ იგი პირდაპირ ლოგიკური გზით არც მართლწინააღმდეგობაში არ გადადის. ამიტომაა ქმედების შემადგენლობა მართლზომიერისა და მართლსაწინააღმდეგოს კავშირის ფორმა. ამ თვალსაზრისით მთლად ზუსტი არ ჩანს პროფ. იროდიონ სურგულაძის მტკიცება, რომ სამართალი სინამდვილეს ემსახურება არა შემეცნების, არამედ შეფასების მეშვეობით.[54] მართალია, სამართალი ადამიანის ქმედების შეფასების საფუძველია და ეს შეფასება „მართლზომიერისა" და „მართლსაწინააღმდეგოს" დაპირისპირებით ვლინდება, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ სამართალი არც შემეცნებისგან მოწყვეტითაა შესაძლებელი. უკვე ითქვა, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა ქმედების მართლზომიერისა და მართლსაწინააღმდეგოს კავშირის ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. მაშასადამე, იგი შეფასებითი მსჯელობა არაა, ამის მიუხედავად, რომ მასში გვხვდება შეფასებითი ნიშნებიც (მაგალითად, მნიშვნელოვანი ან არსებითი ზიანი). რაკი ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, როგორც წესი, შეფასებითი არაა, არამედ აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა,[55] იგი ქმედების შეფასებას კი არ ესმახურება, არამედ მისი ფაქტობრივი არსებობის დადგენას, ხოლო ყოველივე ეს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება. ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა პრაქტიკულად თუ არ განხორციელდა, გამოძიება ვერ დაიწყება, ხოლო თუ ეს შემადგენლობა განხორციელდა, მაშინ არ უნდა არსებობდეს ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხ-

[53] იხ. ნიკო ჭავჭავაძე, ესთეტიკის საკითხები, თბილისი, ტ. 1. 2007, მეორე გამოცემა, გვ. 49

[54] იხ. იროდიონ სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბილისი, 2002, გვ. (გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო პროფ. ო. გამყრელიძემ).

[55] იხ. Г. Т. Ткешелияде, Судебная пракимка и уголовный закон, Тбилиси, 1975, стр. 51-54

ველი რომელიმე გარემოება. აქედან გამომდინარე, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის დადგენა უკვე იმას ნიშნავს, რომ არსებობს ქმედების მართლზომიერებასა და მართლსაწინააღმდეგობას შორის ლოგიკური კავშირი, როცა ქმედების უკვე განხორციელებული შემადგენლობა მართლზომიერი აქტი უკვე აღარაა, რაკი უკვე განხორციელებული ქმედების შემადგენლობა სცილდება სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ფარგლებს, მაგრამ ქმედების ეს საკანონმდებლო შემადგენლობა პირდაპირი ლოგიკური გზით არც მართლსაწინააღმდეგო სფეროში არ გადადის. ამიტომაა ქმედების შემადგენლობა ორი დაპირისპირებული კატეგორიის – მართლზომიერისა და მართლსაწინააღმდეგობის – კავშირის ფორმა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საფუძველია. ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის უტყუარად დადგენის გარეშე ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ვერ შეფასდება, ცხადია, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გარეშე სუბიექტის ბრალიც გამორიცხულია, იმის მიუხედავად, რომ ბრალი ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ელემენტს არ წარმოადგენს, მაგრამ არც მისგან მოწყვეტითაა შესაძლებელი. ქმედების უკვე განხორციელებული შემადგენლობისა და ბრალის კავშირის ფორმას კი ქმედების მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს.

ამრიგად, სამართალი გარესინამდვილისადმი ადამიანის ღირებულებითშეფასებითი დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც, როგორც უკვე ჩანს, ქმედების მართლზომიერებისა და მართლსაწინააღმდეგოს დაპირისპირებით გამოიხ.ტება, ხოლო, ამ ორი შეფასებითი კატეგორიის კავშირის ფორმას ქმედების შემადგენლობა წარმოადგენს. მაშასადამე, სამართალი გარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ღირებულებითიდამოკიდებულების ერთერთი ფორმაა, მაგრამ იგი არც შემეცნებისგან არის მოწყვეტილი, რადგან ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, თუ ის პრაქტიკულად განხორციელდება, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პირობაა.

ამრიგად, ღირებულებითი ცნობიერების ფორმები (ზნეობა, ხელოვნება, რელიგია, სამართალი, პოლიტიკა) ადამიანთა ქმედების შეფასების საფუძვლებს წარმოადგენენ. ამდენად, ისმის საკითხი მათი იერარქიის შესახებ. ამ მხრივ ზნეობის პირველადობა დავას არ უნდა იწვევდეს, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, სიკეთეზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს. მაგრამ ამჯერად გვინდა ყურადღება მივაქციოთ ზნეობის, პოლიტიკასა და სამართლის მიმართების პრობლემას. კერძოდ, გადადის თუ არა ზნეობა პირდაპირი ლოგური გზით პოლიტიკაში? უფრო ნათლად რომ ვთქვათ, არსებობს თუ არა ზნეობასა და პოლიტიკის პირდაპირი ლოგიკური კავშირი, თუ ეს კავშირი გაშუალებულია სხვა რომელიმე ნორმატიული სისტემით? ამ კითხვაზე პასუხისთვის მივმართოთ იმანუელ კანტის მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ შევაერთოთ მორალი და პოლიტიკა? ი. კანტის აზრით, პოლიტიკა ამბობს: – „იყავ ბრძენი, როგორც გველი," ხოლო მორალი უმატებს: „და წმინდა, როგორც მტრედი." ამ თვალსაზრისით მორ-

ალსა და პოლიტიკას შორის დავაა. პატიოსნება პოლიტიკაზე უკეთესია, ხოლო პოლიტიკა ადამიანთა მართვის ხელოვნებაა, რომელიც თავის თავში პრაქტიკულ სიბრძნეს განასახიერებს. კანტის მტკიცებით, მე შემიძლია წარმოვიდგინო მორალური პოლიტიკოსი, რომელიც ადგენს პოლიტიკის პრინციპებს, რაც თავსდებადია მორალთან, მაგრამ არ შემიძლია წარმოვიდგინო პოლიტიკური მორალისტი, რომელიც მორალს სახელმწიფო ინტერესებზე ააგებს.[56] აქედან გამომდინარე, კანტის წინაშე დადგა მორალისა და პოლიტიკის თავსებადობის პრობლემა. როგორ შევაერთოთ მორალი და პოლიტიკა? ისე ჩანს, რომ მორალი პოლიტიკის სფეროში, როგორც წესი, პირდაპირი ლოგიკური გზით არ გადადის. ეს იქედან ჩანს, რომ კანტი პოლიტიკურ მორალისტს უწოდებს იმას, ვისაც ხარები ურემზე უკან მიუბამს. მაშასადამე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მორალი პოლიტიკასთან პირდაპირ ლოგიკურ კავშირში არაა. ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია არსენ გულიგამ, რომელმაც კანტის შემოქმედებას მშვენიერი ნაშრომი უძღვნა. ავტორი ეხება მორალისა და პოლიტიკის თავსებადობის პრობლემას ი. კანტის მიხედვით. აქ ორი შესაძლო ვარიანტი არსებობს: ან მორალი შევუთავსოთ პოლიტიკის ინტერესებს, ან პოლიტიკა დავუქვემდებაროთ მორალს. პირიქით, პირველ ვარიანტს ირჩევს „პოლიტიკური მორალისტი," იგი იწყებს იქ, სადაც ჩერდება მორალური პოლიტიკოსი, რადგან პოლიტიკური მორალისტს ურემზე ხარები უკან მიუბამს. აქედან გამოდინარე, არსენ გულიგას აზრით, კანტი ფიქრობდა, რომ მორალის და პოლიტიკის ნამდვილი ერთობა შესაძლებელია მხოლოდ სამართლის საფუძველზე, რომლის საწინდარია საჯაროობა.[57] მართლაც, ნაშრომში „საყოველთაო მშვიდობისთვის" ი. კანტი სამართალს პოლიტიკის შემზღუდველ საშუალებად წარმოსახავს. აქ კანტს მხედველობაში აქვს საერთაშორისო ურთიერთობები და მათი სამართლებრივი მხარე, მაგრამ ი. კანტის მთელი ეს მსჯელობა დაიყვანება იმის მტკიცებაზე, რომ მორალისა და პოლიტიკის პირდაპირი ლოგიკური კავშირი არ არსებობს, რადგან მორალი ჯერ უკავშირდება სამართალს, ხოლო სამართალი მორალს პოლიტიკოსთან აკავშირებს. გამოდის, რომ სამართალი მორალსა და პოლიტიკის კავშირის ფორმაა. რაკი „კავშირის ფორმის" სახით შეიძლება არსებობდეს კატეგორია, როგორც თეორიული აზრის ლოგიკური ფორმა, მაშინ საქმე ეხება კატეგორიას. მაგრამ საკითხავია: რომელი მეცნიერების კატეგორიაა სამართალი, როგორც მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა? გასაგებია, რომ ეს არ იქნება იურიდიული მეცნიერების კატეგორია, ვითარაც „სამართლებრივი პოლიტიკის" გამოხატულება, როგორც ამას ფიქრობენ რუსეთში. ეს არ იქნება არც პოლიტოლოგიის კატეგორია, რადგან პოლიტოლოგია კერძო მეცნიერებაა და საკუთარი საზღვრის ფარგლებში „სამართლებრივი პოლიტიკის " ცნებას ვერ ააგებს. აქედან გამომდინარე, სამართალი, როგორც მორალისა და პოლიტიკის

[56] И. Кант, соч. Т. 6 М. 1966, СТР. 288-306

[57] იხ. არსენ გულიგა, კანტი, თბილისი, 1984, გვ. 262, (თარგმნა ოთარ გრატიაშვილისა და ლამარა რამიშვილისა).

კავშირის ფორმა, ფილოსოფიურ სიბრტყეზე გადადის, რადგან მორალი ეთიკის სფეროა, ხოლო მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა ეთიკის სფეროშიც ვერ ეტევა და ამიტომ ზოგადფილოსოფიური მსჯელობის საგანია.

ამრიგად, აშკარაა, რომ სამართალი, როგორც მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა, წინ უსწრებს პოლიტიკას, რადგან მორალი ჯერ სამართალს უკავშირდება, ხოლო სამართლის მეშვეობით – პოლიტიკასაც. მასაშადამე, ჯერ სამართალია, ხოლო შემდეგ – პოლიტიკა.ეს კი ეწინააღმდეგება გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ ჯერ პოლიტიკაა, ხოლო შემდეგ – სამართალი. აქ იგულისხმება სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც „სამართალშემოქმედების" მეშვეობით ქმნის სამართალს. ამ პოზიციიდან ჯერ პოლიტიკაა, ხოლო მერეა სამართალი, როგორციპოლიტიკის განხორციელების საშუალება. მაგალითად, ნ. ზაგოროდნიკოვის აზრით, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა – ესაა ურთიერთობა კლასებსა და ეროვნებათა შორის, სოციალურ ჯგუფებს თუ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის, რასაც თავისი შინაარსად აქვთ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მოქალაქეების მონაწილეობა.[58] ასეთივე პოზიცია ეკავა მ. კოვალიოვსაც. მისი აზრით, დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა – ეს სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი განსაკუთრებული სფეროა. საბჭოთა სახელმწიფოს შინაგანი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო ფართო სფეროა, ვიდრე სისხლის სამართალი. ავტორი, მთელ რიგ პრინციპს, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში მოქმედებს, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპად აცხადებს.[59] და მაშინ გაუგებარია, თუ რა რჩება სისხლის სამართალს, როგორც სამართლის დარგს, საკუთარი შინაარსისა და ფორმის სახით? ბოლოს და ბოლოს, სამართალი ხომ პოლიტიკა არაა და, პირიქით პოლიტიკა არაა სამართალი, იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ორი სფერო მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. რაც მთავარია, ყველა მკვლევარი, ვინც სამართლებრივ პოლიტიკაზე მსჯელობს, არსებითად პოლიტიკის პირველადობის პრინციპს ემყარება. ჯერ არის პოლიტიკა, როგორც დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოს სტრატეგია, ხოლო სამართალი ამ პოლიტიკური სტრატეგიის პრაქტიკული განხორვიელების საშუალებას წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს ნ. ბელიაევის პოზიციაც, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არის სახელმწიფოს საკანონმდებლო და კანონგამოყენებითი ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი დებულებების გამოსამუშავებლად, დასჯად ქმედებათა წრის დასადგენად და სასჯელის სახით განსაზღვრული სანქციების დასადგენად.[60] ავტორი ეხებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპებს და

[58] Н. И. Загородников, Советская уголовная политика, М. 1979, стр. 8

[59] М. И. Ковалев, Соотношение уголоной политики и уголовного права „Советское государство и право", 1979, № 12

[60] Н. А. Белаев, Уголовная политика и пути ее реализации, Ленинград, 1986, стр. 23

ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპებსა და საბჭოთა სისხლის სამართლის ერთსახელიან პრინციპებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.[61] აქ რეალურია ის საფრთხე, რომ პოლიტიკამ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების დამოუკიდებელმა სფერომ, ჩაყლაპოს სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, რაც, თავის მხრივ, სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის ლოგიკურ უარყოფას წარმოადგენს. ეს უეჭველი სიძნელეა და „სამართლებრივი პოლიტიკის" უფრო ფხიზელ ანალიზის საჭიროებაზე მიუთითებს.

ამრიგად, „სამართლებრივი პოლიტიკის" ტრადიციული გაგება პოლიტიკურის პირველადობის პრინციპიდან ამოდის, რადგან, ამ თვალსაზრისით, რაკი პოლიტიკა ვლინდება სამართალში, მაშასადამე, პოლიტიკა „სამართლებრივია". იმანუელ კანტის მოძღვრება იმის შესახებ, რომ მორალი პოლიტიკაში უშუალოდ არ გადადის, მეორენაირად, რამდენადაც პოლიტიკას პირდაპირი კავშირი წესით არ უკავშირდება, საჭიროა მათი კავშირის წესის დადგენა. უკვე, ითქვა, რომ მორალისა დაპოლიტიკის კავშირის ფორმას სამართალი წარმოადგენს. ამ გარემოებას ადასტურებს ნინო მშვენიერაძე, რომელმაც სპეციალურად განიხ. ლა ი.კანტის ნაშრომი „საყოველთაო მშვიდობისათვის," და ყურადღება მიაქცია ამ ნაშრომში მისი ავტორის მსჯელობის უმთავრეს მიმართულებას. ირკვევა, რომ ადამიანს აქვს თვითშეზღუდვის უნარი, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ეს ეხება ისეთ საზოგადოების ჩამოყალიბებას,რომელიც საფუძვლად დაედებოდა სახელმწიფოთა ერთიანობას. ამგვარი არსებობის სამართლებრივი ასპექტები მორალით გაპირობებული საერთაშორისო სისტემის პარადიგმას უნდა დაეფუძნოს. ომი, როგორც თავდაცვა, სამართლიანია, და რომ იგი სამხედრო ტალანტებს წარმოქმნის და კულტურის განვითარებასაც კი იწვევს, მაგრამ ეს ომი აუცილებლობით უნდა იყოს კანონიერების ფარგლებში, რაც სამოქალაქო-სამართელბრივი მოწესრიგების სფეროა. „ამგვარად,-ასკვნის ნინო მშვენიერაძე,-იდეას თეორიული და პრაქტიკული გონების წინააღმეგობრივი ურთიერთქმედების, ანტაგონიზმის შესახებ აუცილებლად მივყევართ სამართლებრივიმონყობის იდეამდე, რომელიც შინაგანი მოქმედების ლოგიკით მომავალში აუცილებლობით გავრცელდება ხალხებსა და სახელმწიფოებზე და შეიქმნება სხვა ტიპის მსოფლიო სხვაგვარი პოლიტიკური კავშირებით".[62]

ამრიგად, ი.კანტი მორალსა და სამართალს ერთმანეთთან აკავშირებს არა მარტო შიდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებშიც. სამართალი მორალით გაპირობებულ პრადიგმას ემყარება,როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ თვალსაზრისით სამართალი წინ უსწრებს პოლიტიკას, რადგან მორალი პირველ რიგში უკავშირდება სამართალს,

[61] იქვე, გვ. 31

[62] იხ. ნინო მშვენიერაძე, კანტის მარადიული მშვიდობის კონცეგფცია, „ფილოლოგიური ძიებანი," ტ. XVII, თბილისი, 2013.

ხოლო სამართლის მეშვეობით-პოლიტიკასაც. მაშასადამე, სამართალი, ვიმეორებთ, მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმაა, ე.ი. კატეგორია, რომელიც კავშირის წესით არსებობს. რამდენადაც სამართალი, როგორც მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა, არც ეთიკის და იურისპრუდენციის სფეროში არ ეტევა,-პრობლემა ფილოსოფიურ პრობლემატიკაში გადადის. სამწუხაროდ, იშვიათი არაა შემთხვევა, როცა კანტის კატეგორიული იმპერატივის ცნება პრინციპულად მიუღებელია. მაგალითად, ე.პოზდნიაკოვი კანტის ამ კატეგორიულ იმპერატივს კურიოზს უწოდებს. მისი აზრით, კანტის დებულება, რომ ადამიანი არ შეიძლება განვიხ.ლოთ მხოლოდ საშუალებად, არამედ ამავე დროს ის უნდა იყოს მიზანიც, უმწეოა, რადგან ხელს არაფერი გვიშლის, ადამიანი საშუალებად განვიხ.ლოთ, უფრო მეტიც, ადამიანი ყოველთვის საშუალებაა. ეკონომიკაში პიროვნება სამუშაო ძალაა, ხოლო სამართალში პიროვნება თითქმის ფიქციაა, რადგან სამართალი გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობას და უსამართლობას. ამიტომ აბსოლუტური ეთიკა მიუღებელია. თეზისი იმის შესახებ, რომ პოლიტიკა უნდა იყოს ზნეობრივი, საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში ილუზორულია. ამის მიუხედავად, ავტორი მაინც ცდილობს დაადგინოს მიმართება სახელმწიფოსა და ზნეობას შორის. ავტორი ამოდის იმ თეზისიდან, რომ ადამიანთა გარკვეული ერთობის გარეშე არც ზნეობა არსებობს და არც სახელმწიფო. ავტორი ამ მომენტს ხაზს თურმე იმიტომ უსვამს, რომ სადღეისოდ უფრო და უფრო იკრებს ძალას დასავლეთიდან მომდინარე ლიბერალური შეხედულებანი, რომელთა თანახმად, თავდაპირველად ადამიანის პიროვნებაა, ხოლო შემდეგ-სახელმწიფო და რომ პიროვნების უფლება სახელმწიფოს უფლებას აღემატება. ეს შეხედულება ავტორის აზრით, უმეცრებაზეა აგებული, რადგან პიროვნება მხოლოდ სახელმწიფოშია შესაძლებელი. სახელმწიფოს გარეშეის ცხოველია, რომელიც მოკლებულია ზნეობას.[63]

ხსენებული ვტორი მიდის დასკვნამდე, რომ სახელმწიფო თავის საკუთარ ზნეობას ფლობს. უფრო მეტიც, ავტორი ამოდის იმ საგანგებო ვითარებიდან, როცა საბრთხე ემუქრება როგორც საზოგადოების,ისე სახელმწიფოს არსებობას და საქმე მათ გადარჩენას ეხება. ამ ვითარებაში მორალი და პოლიტიკა ერთმანეთს ერწყმის და ერთმანეთში იგივდებიან.[64] ამ დებულებას ავტორი ამყარებს არისტოტელეს იმ დებულებაზე, რომ ეთიკური პოლიტიკურის შემადგენელი ნაწილია.

ჩვენი აზრით, ე. პოზდნიაკოვის ამ მსჯელობაში სხვას, რომ თავი დავანებოთ, პირდაპირი თუ ფარული გზით, გამოხატულია იმპერიული აზროვნების წესი, როცა ეს იმპერია თავის თავში მოიცავს მისი არსებობის წესის ზნეობრივ გამართლებასაც. ამის საბუთად აღებულია საზოგადოებასა და სახელმწიფოს არსებობისთვის მომაკვდინებელი საფრთხე, როცა გადარჩენის სხვა გზა არ ასებობს, გარდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთიანობისა. ეს არგუმენტი

[63] იხ. Э. А. Поздниаков, философя политики, т.1, М. 1994, стр. 189.
[64] იქვე, გვ. 185

უეჭველად საყურადღებოა, მსგრამ სხვა, ე.ი. მშვიდობიან პირობებში, რაკი სახელმწიფო მაინც პოლიტიკური ხელისუფლებაა, იგი ზნეობრივ სფეროსთან ვერ გაიგივდება. საზოგადოებრივი ცნობიერების ღირებულებითი ფორმების იერარქიული წყობის უგულებელყოფა, რასაც ე. პოზდნიაკოვი მიმართავს, ელემენტარული აქსიოლოგიური ცდომილებაა, რადგან სიკეთე აბსოლიტური ზნეობრივი ღირებლებაა, რომელიც ღირებულებათა ირარქიის სათავეში დგას. არისტოტელეს გამონათქვამი, რომ ეთიკური პოლიტიკურის შემადგენელი ნაწილია, სწორედაც იმპერიული აზროვნების გამოვლინებაა, რადგან არისტოტელემ მონობას თავისებური გამართლება მოუძებნა და ამდენად ზნეობა, როგორც წესი, პოლიტიკურის შემადგენელი ნაწილი ვერ იქნება. უფრო მეტიც,ზნეობა, როგორც უკვე აღინიშნა, პოლიტიკაში პირდაპირი ლოგიკურიგზით არ გადადის. ზნეობა, როგორც ჩანს, უკავშირდება ხელოვნებას, რელიგიას, სამართალს, ამ უკანასკნელის მეშვეობით-პოლიტიკასაც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ნ. ალექსეევის მოსაზრება სამართლისა და ზნეობის მიმართების შესახებ.ავტორი იხილავს საჯაროობას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების გამოხატულებას, რომელიც, თავის მხრივ, სოციალურის მსახურია. აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას: თუ სახელმწიფო სოციალურის მსახურია, მაშინ გაუგებარია, ეს საჯარო ხელისუფლება რატომ უნდა მიდიოდეს სამართლის გზით. ავტორი გვეკითხება: „ნუთუ მსახურების იდეა არაა წმინდა ზნეობრივი იდეა? და განა ხელისუფლება, რომელიც შეიგნებს თავის ზნეობრივ მოვალეობას, უფრო ცუდად მოემსახურება მთლიანს, ვიდრე ხელისუფლება, რომელიც სამართალზეა აგებული?"[65]

ამრიგად, როგორც ჩანს, ავტორს აეჭვებს სამართლის პირდაპირი კავშირი სახელმწიფოსთან. ხელისუფლება, რომელიც სოციალურის მსახურია, უფრო ზნეობრივი იდეიდან უნდა ამოდიოდეს, ვიდრე სამართლის მოთხოვნიდან- ასეთია ავტორის დასკვნა. აქ, როგორც ჩანს, ავტორი აღძრავს ზნეობის, პოლიტიკისა და სამართლის მიმართების ურთულეს პრობლემებს. ავტორი მართალია, როცა იგი სამართალზე მაღლა ზნეობას აყენებს. ეს გასაგებიცაა, რადგან, როგორც უკვე ითქვა, სიკეთე, როგორც ზნეობრივი კატეგორია, აბსოლუტურია, რომელსაც საზოგადოების სხვა ნორმატიული სისტემა ექვემდებარება, მით უფრო პოლიტიკაც და სამართალიც. მაგრამ, როგორც ჩანს, ნ. ალექსეევს სხვა რამ აწუხებს, კერძოდ, ხელისუფლება, რომელიც სამართალზეა აგებული, იმის აღიარებას ნიშნავს, რომ სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს, ე.ი. შესაძლებელია მართლწესრიგი სახელმწიფოს გარეშეც. ამისი აღიარება, – მსჯელობს ავტორი. – საინტერესო იქნებოდა ისტორიკოსისა და სოციოლოგისათვის, მაგრამ ისინი ხელს არ უწყობენ სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის ფილოსოფიური საკითხების სწორად გადაწყვეტას.[66] ავტორი ამოდის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობიდან, ხოლო ამ უზენაესობაში სამართალი

[65] Н. Н. Алексеев, Основы философии права, Санкт-Петербург, 1999, стр. 217

[66] იქვე, გვ. 214

არ მონაწილეობს. აქ, ავტორის აზრით, წამყვანია სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლება, ხოლო, ეს პოლიტიკური ხელისუფლება შეიძლება არც იყოს სამართლებრიბად ორგანიზებული. ამის მაგალითად ავტორი თეოკრატიულ სახელმწიფოს ასახელებს. ამ სახელმწიფოში ხელისუფლებას არა აქვს სამართლებრივი ფორმა, არამედ განსაზღვრელია ხელისუფალთა ზნეობრივი თვისებები. საბოლოოდ ავტორი ასკვნის, რომ ასეთი ხელისუფლება უფრო ზნეობრივია, ვიდრე იურიდიული.[67]

ამრიგად, თეოკრატიული სახელმწიფო სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული არაა. მაგრამ ნ. ალექსეევი ისეთი მარტივი მოაზროვნე არ იყო, ამ ერთი გამონაკლისიდან გაეკეთებინა განმაზოგადებელი დასკვნა,რომ სახელმწიფო სამართლებრიბად მოწყობილ და ორგანიზებულ ხელისუფლებას საერთოდ არ წარმოადგენს. ამ ავტორს უფრო სხვა აინტერესებს: საჭიროა კი, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლების განვითარებისათვის განუხრელად ვიაროთ სამართლებრივი გზით? ავტორი აკრიტიკებს იმ დროისთვის თითქმის გაბატონებულ დებულებას, რომ თურმე საკმარისია, სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლება სამართლის სფეროში გადავიდეს, რომ ხელისუფლება განვითარდეს. ავტორი კი ფიქრობს, რომ სრულყოფილ სახელმწიფოში, სამართლის გარდა, უნდა მოქმედებდნენ წმინდა მორალური ძალები – სიყვარულის, მეგობრობის, სოლიდარობის, მსხვერპლშეწირვისა და გმირობის სულისკვეთება. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეალში უნდა ვიგულისხმოდ არა მხოლოდ სამართალი, არამედ ზნეობაც.[68]

როგორც ჩანს, ნ. ალექსეევი არ გამორიცხავს სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ მოწყობას, მაგრამ ის არ უშვებს შესაძლებლობას, რომ სამართალი წინ უსწრებდეს სახელმწიფოს და მართლწესრიგი არსებობდეს სახელმწიფოს გარეშე. ავტორი უფრო იმ მოსაზრებას აკრიტიკებს, რომ სამართლის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების გადასვლა თითქოს ერთადერთი იწვევს ამ სახელმწიფოს განვითარებას, მაშინ, როცა ავტორის აზრით, სრულყოფილ სახელმწიფოში წამყვანია ზნეობა. ეს მოსაზრება დავას არ იწვევს, რადგან ღირებულებათა იერარქიაში, როგორც უკვე არა ერთხელ აღინიშნა, წამყვანი ზნეობაა. ეს პრინციპული დებულებაარც მაშინ ირღვევა, როცა სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფო ხელისუფლებას, როგორც ამ უკანასკნელის ორგანიზაციისა და მოწყობის ნორმატიული საფუძველი, მაგრამ ამ ვითარებაში სამართალს წინ უსწრებს ზნეობა. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ გვაროვნული საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე აიკრძალა ინცესტი(სისხლის აღრევა), ქორწინება სისხლითნათესავებს შორის.[69]რაც ზნეობრივი კულტურის განვითარების ნიშანიც იყო. ისიც საინტერესოა, რომ ამგვარი ტაბუს ან სხვა ხასიათის დარღვევაზე ხდებოდა გვარის უხუცესთა ან მთელი გვარის რეაქცია,

[67] იქვე, გვ. 218
[68] იქვე, გვ. 219
[69] იხ. Теория государства и права, учебник, М.1998 стр. 37

რომელიც იქამდეც მიდიოდა, რომ ამ დარღვევაში დამნაშავე[70] უნდა გაეძევებინათ თემიდან ან მოეკლათ იგი. აქ, როგორც ჩანს, არსებობს დანაშაული და სასჯელი, როგორც წმინდა სოციალური მოვლენები, რაკი ამ ეტაპზე იურიდიული აზროვნების წესი ასე საყოველთაოდ არ იყო წარმოქმნილი. მაგრამ იმ დროს საზოგადოებაში მოქმედი ნორმატიული სისტემა, რომელიც თუნდაც გვარის თემის შიგნით მოქმედებდა, სათანადო წესრიგის დაცვას ემსახურებოდა, ხოლო ამ სისტემაში სამართალიც უნდა ვიგულისხმოთ. ინცესტის აკრძალვა სისხლისსამართლებლივია. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სისხლის აღრევა საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით აიკრძალა, თუმცა სადღეისოდ იგი სისხლისსამართერივად აკრძალული არაა, მაგრამ ზნეობრივად მაინც არაა ნებადართული.

ამრიგად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნორმატიულ სისტემებში წამყვანი იყო ზნეობისა და სხვა ზოგადი კულტურის გამომხატველი ნორმები, მაგრამ ამ ნორმატიულ სისტემაში მონაწილეობდა სამართალიც, მაგრამ არა მხოლოდ შრომის პროდუქტების შორის გაცვლითი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, არამედ ზნობრივი ურთიერთობისა და ღირებულების დასაცავადაც, რაც სისხლის სამართლის ფაქტობრივ ელემენტს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, მოგვიანებით, როცა სახელმწიფოს ფორმის პრობლემა დადგა, სამართლებრივი აზროვნება პოლიტიკურ მხარესაც მოიცავს, ე.ი. მართლშეგნება უკავშირდება პოლტიკურ ცნობიერებას, სახელმწიფოს ფორმის პრობლემა იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე მართლშეგნება კარგად აცნობიერებს სახელმწფო ხელისუფლების შექმნისა და ოგანიზაციის სამართლებრივი დანაწესის პოლიტიკურ ასპექტს, რადგან აქ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის წესი- დანიშვნით თუ არჩევით? მართალია, ეს წესი სახელმწიფოს მხრივ სანქციონირებული ვერ იქნებოდა, მაგრამ სწორედ ესაა ამჯერად მთავარი, ხოლო ზნეობა, რომ სამართალზეც და პოლიტიკაზეც მაღლა დგას, – დავას არ ინვევს.

ამჯერად კი ვფიქრობთ, რომ დროა, გადავიდეთ სამართლისა და პოლიტიკის მიმართების ტერმინოლოგიის დაზუსტებაზე. როგორც უკვე ჩანს, ტერმინი „სამართლებრივი პოლიტიკა ნორმატივისტული ტენდენციის მატარებელია, პოლიტიკა თითქოს სამართლებრივია, ისევე, როგორც ნორმატივისტული აზროვნების წესის მიხედვით, თითქოს არსებობს სამართლებრივი მიზეზობრიობა, ნორმატიული ნებისყოფა, სამართლებრივი სიკეთე და ა.შ. რაკი ამ მიმარულებით იგულისხმება საელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც გასაზღვრული პოლიტიკური გეზისა თუ სტრატეგიის გამოხატულებაა, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ტერმინი „სამართლის პოლიტიკა“, რადგან ამ ტერმინში აშკარად ჩანს, რომ პოლიტიკა სამართლებრივი კი არ ხდება, არამედ ვლინდება სამართალშიც. ეს ტერმინი საკმაოდ ძველია, მაგრამ ის უფრო მართებულად მიგვაჩნია, რადგან სამართალში პოლიტიკის გამოვლენას გამოხატავს. მეორე მხრივ, ტერმინი „სამართლის პოლიტიკა,“ რაც სამართალში პოლიტი-

[70] იქვე. გვ. 37

კის გამოვლენას ნიშნავს, გულისხმობს საკანონმდებლო პროექტების პოლიტიკურ შეფასებას,მაშინ, როცა ტერმინი „სამართლებრივი პოლიტიკა", პირიქით, პოლიტიკის სამართლებრივ შეფასებას გამოხატავს, ხოლო პოლიტიკის სამართლებრივი შეფასება შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „სამართლებრივი სახელმწიფოს" ცნებას, როცა სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ ხელისუფლებას. ცხადია სამართალი შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სამართლის იდეის შესაბამისად, რაც სამართლის ფილოსოფიის სფეროა. ამ პოზიციიდან სამართალი გენეზისურად წინ უსწრებს პოლიტიკას, მაშასადამე, სახელმწფოსაც, როგორც პოლიტიკურ ხელისუფლებას. გამოდის, რომ ამ მიმართებით ყველაფერი თავდაყირა დგას: სახელმწიფო კი არ ქმნის სამართალს, როგორც ეს, როგორც წესი, გაგებულია ტრადიციულად, არამედ, პირიქით, ჯერ სამართალია, როგორც მორალისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა, ხოლო შემდეგ ყალიბდება სახელმწიფო, როგორც სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზმებული პოლიტიკური ხელისუფლება. ამ დასკვნის სასარგებლოდ რამოდენმე სერიოზული არგუმენტი არსებობს. მოკლედ განვიხილოთ ისინი.

§ 3. სამართალი, როგორც გაბატონებული კლასის ნება-სურვილი, გამოხატული კანონში.

როგორც ცნობილია, სამართალი, რომელიც კანონში გამოხატული ნებაა გაბატონებული კლასისა, სამართლის მარქსისტურ კონცეფციად ითვლება. ამ შემთხვევაში მხედველობაში იღებენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" დებულებებს, მათ შორის თითქოს იმ დებულებას, რომ სამართალი სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებული კლასის ნება-სურვილი, რომელიც კანონშია გამოხატული. მაგრამ ხსენებულ დოკუმენტს განსხვავებული ინტერპრეტაცია მიეცა. ითქვა, რომ კარლ მარქს, როცა იგი სამართალს გაბატონებული კლასის ნება-სურვილად აცხადებდა, მხედველობაში ჰქონდა არა სამართლის ნამდვილი ბუნება, არამედ სამართალზე ბურჟუაზიული კლასის წარმოდგენის კრიტიკა, როცა იგი ბურჟუაზიას მიმართავდა: თქვენ სამართალი გგონიათ თქვენივე ნება, რაც კანონშია გამოატული, მაშინ, როცა სამართლის მარქსისტული გაგება სხვანაირია. ეს საკითხი საინტერესოდ დასვა ჯანგირ ქერემოვმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია სამართლის შესახებ მარქსიზმის კლასიკოსების სულ სხვა გამონათქვამებს. უფრო სწორად, აქ ლაპარაკია სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების განსხვავების შესახებ. კერძოდ კ. მარქსი აკრიტიკებს კანონს ცენზურის შესახებ, რადგან ის ეწინააღმდეგება ნამდვილ კანონს, როგორც სამართლის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას, რადგან ის არის თავისუფლების დადებითი ყოფიერება. როგორც ცენზურა, ისე მონობა, არასოდეს არ შეიძლება გახდეს კანონიერი იმ შეთხვევაშიც კი, თუნდაც ის კანონის ფორმაში ათასჯერ გაეხვი-

ოს.[71] გარდა ამისა, ჯ. ქერიმოვმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ კ. მარქსის მიხედვით, პირველი გაცვლითი ურთიერთობები იყო სამართლებრივი ხელშეკრულების ფორმით. არის თუ არა სამართალი გამოხატული კანონში, ის მაინც არებობს ხელშეკრულების ფორმით. როგორც იურიდიული ურთიერთობა, რომელშიც ეკონომიკური ურთიერთობა აისახება. აქედან გამომდინარე, ჯ. ქერიმოვმა გააკეთა დასკვნა, რომ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" კ. მარქსი სამართლის პოზიციურ ცნებას კი არ აყალიბებდა, არამედ აკრიტიკებდა ბურჟუაზიას, როგორც ხელისუფლებაში მყოფ ძალას, რომელსაც უკვე არ აწყობდა სამართლისა და კანონის დაპირისპირება და სამართლად მიიჩნევდა იმას, რასაც იგი მის მიერ მიღებულ კანონში გამოხატავდა. აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ჯ. ქერიმოვის მოსაზრებას, რომ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" სამართლის პოზიტიური ცნება კი არაა გამოხატული, არამედ გაკრიტიკებულია სამართლის შესახებ ბურჟუაზიული წარმოდგენები, სამართალი თითქოს ისაა, რაც კანონში გაბატონებული კლასის ნების სახით გამოიხ.ტება.[72]

ჩვენი აზრით, ჯ. ქერიმოვის ეს მოსაზრებანი ფრიად საყურადღებოა. შეუძლებელია იმის ფილოსოფიური დასაბუთება, რომ ჯერ ყალიბდება სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო შემდეგ უკვე თვითონ ქმნის სამართალს. გამოდის, რომ სახელმწიფოს გენეზისში სამართალი არ მონაწილეობს. მასაშადამე, პირველი გაცვლითი ურთიერთობანი, რომელნიც შრომის დანაწილების შედეგად ჩამოყალიბდა მიწათმოქმედსა და მეჯოგეს შორის, აგრეთვე ხელოსნური ნაწარმის გამო, სამართლებრივი აქტები არ ყოფილან. ეს წინასწარ აკვიატებული პოზიცია, რომ სამართალს ქმნის მხოლოდ სახელმწიფო, ძირეულად ამახინჯებს მთელ ისტორიულ პროცესს, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფოს წარმოშობას. მაგალითად, ე. პოზდნიაკოვი იხ.ლავს სპინოზას მოსაზრებას სახელმწიფოს ბუნებრივი წარმოშობის შესახებ, კერძოდ იმ მოსაზრებას, რომ ბუნებითი სამართალი ქმედითი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიწა, რომელსაც ადამიანები ერთობლივად ამუშავებენ, ამ მიწის მფლობელები არიან და თავიანთ უსაფრთხოებას ერთობლივად დაიცავენ. სამწუხაროდ, ე. პოზდნიაკოვი კატეგორიულად აცხადებს, რომ სახელმწიფოს წარმოშობას წინ არაფერი უსწრებდა, არაფერი არ იყო წინ, ყველაფერი ადამიანიც ოჯახიც და სახელმწიფოც – იყო ერთად.[73]

ჩვენი აზრით, ე. პოზდნიაკოვის აღნიშნული მტკიცება არადიალექტიკურია, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანი, ოჯახი და სახელმწიფო ერთბაშად, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, წარმოქმნილიყვნენ. პირიქით, მიწადმოქმედებისა და მეჯოგეებს შორის, აგრეთვე ხელოსნური ნაწარმის გამო გაცვლითი ურთიერთობანი, თავიანთი ობიექტური ბუნებით, სამართლებრივი აქტებია, ხელშეკრულების ფორმით დადებული გარიგებებია, იმის მიუხედავად,

[71] К. Маркс, Ф. Энгельс, соч. т.1, стр. 52-63.

[72] Д. А. Керимов, Философские основания политико-правовых исследований,М. 1986

[73] იხ. Э. А. Позднияков, философя политики, т.1 М. 1994, გვ. 100

რომ ამ გარიგებაში მონაწილე პირებს ამ აქტების სამართლებრივი ბუნება, შესაძლოა, არც ქონდათ გაცნობიერებული. ამ შემთხვევაში შეიძლება სხვა ნორმატიული სისტემაც მოქმედებდა (მითიური წარმოდგენები, ადათები, ზნეობრივი ნორმები), მაგრამ წამყვანი მაინც სამართლებრივი ურთიერთობა იყო, ხოლო სამართლის გამოხატვის ფორმას ხელშეკრულება წარმოადგენდა. ამ გარემოებას ზოგიერთი იურისტი არც უარყოფს. მაგალითად, სამართლის ზოგადი თეორიის ერთ-ერთი სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ოჯახის ან პირის მიერ ზედმეტი პროდუქტის მითვისება, ამ ზედმეტი პროდუქტის დაგროვება, რომელიც წახალისებული იყო იმით, რომ, მეჯოგის მხრიდან საქონელი ხდებოდა გაცვლის საგანი და იგი ფულის ფუნქციას ასრულებდა. ამან, თავის მხრივ, თანდათან გამოიწვია კოლექტიური საკუთრების გამოდევნა და წარმოების ძირითად საშუალებებზე კერძო საკუთრების წარმოშობა.[74] სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა შეფასებული კარლ მარქსის შემდეგი დებულება: „კანონი თავისუფალი როდია, ლაპარაკობდეს ყველასათვის სავალდებულო სიმართლეს. ის ორმაგად ვალდებულია ეს გააკეთოს, ვინაიდან საგანთა სამართლებრივი ბუნების საყოველთაო და ჭეშმარიტი გამომხატველია. საგანთა სამართლებრივი ბუნება ამიტომ არ შეიძლება მიესადაგოს კანონს, – კანონი, პირიქით მას უნდა ესადაგებოდეს".[75]

როგორც ჩანს, კანონი, როგორც კანონშემოქმედებითი პროდუქტი, თავისი ძირითადი ტენდენციით, საგანთა ბუნების გამომხატველია. საგანთა ეს ობიექტური ბუნება კანონის შექმნამდე არსებობს, – ის ობიექტურად არის სამართლებრივი, იმის მიუხედავად, – მოწესრიგებულია ის თუ არა იგი ოფიციალური კანონმდებლობით. ეს აზრი შესანიშნავადაა დასაბუთებული გიორგი ნანეიშვილის ნაშრომში, რომელიც მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას სწორედ სამართლის ფილოსოფიის თვალსაზრისით. კერძოდ, ავტორი შემდეგნაირად მსჯელობდა: „რატომ არის, მაგალითად მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის ნორმები მიმართული იქითკენ, ვისკენაც ისინი ნამდვილად მიმართულნი არიან, თუ იმ თვისებაზე, რომელიც ერთს ქმნის მშობლად, ხოლო მეორეს შვილად, არ არის დამოკიდებილი იმ მოვლენად ყოფნა, რა მოვლენასაც ისინი სინამდვილეში წარმოადგენენ? არა, სამართალში შემთხვევით არაფერი ხდება. ვერაფერს აღმოვაჩენთ სამართალში, რაც ობიექტური თვალსაზრისით არ იყოს დანიშნული იმისათვის, რომ სამართალში არსებობდეს". და შემდეგ: „არსებობს ფაქტები, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობის თანახმად შეუძლიათ შექმნან აზრთა ისეთი კომპლექსი, რომლისადმი ლოგიკური დამოკიდებულებაც მე და სხვას გვსაზღვრავს უფლებისა და ვალდებულების მნიშვნელობით".[76]

როგორც ჩანს, ურთიერთობას მშობლებსა და შვილებს შორის კანონი კი არ

---

[74] იხ. Теория государства и права, стр. 1987, стр. 39

[75] Карл Маркс, ф. Энгельс, соч, Т, 1 стр. 52-63

[76] გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, თბილისი 1929, გვ. 89

ქმნის, არამედ გამოხატავს. ამიტომ არსებითად მიუღებელია თითქმის დღემდე გაბატონებული მტკიცება, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისთავად არაფერია სამართლებრივი, ვიდრე ეს ურთიერთობა კანონით არ იქნება მოწესრიგებული. გამოდის, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში საგანთა სამართლებრივი ბუნება კანონმდებლობას შეაქვს გარედან, რაც აშკარად კანტიანური თვალსაზრისია. პირიქით, რეალურ ურთიერთობებში არსებობს სწორედ ისეთი სამართლებრივი მხარე, ასპექტი, რომელსაც კანონი გამოხატავს. მაგალითად, ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციურია, იმის მიუხედავად, გამოხატულია თუ არა იგი სახელმწიფოს ოფიციალური კონსტიტუციით. ან აუცილებელი მოგერიების უფლებას კანონი კი არ ქმნის, არამედ გამოხატავს.[77] ყოველივე აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ „სამართლებრივი სახელმწიფო" – სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზაციული პოლიტიკური ხელისუფლებაა და, ამდენად, სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს.[78] ამიტომაა, რომ კანონი სამართალს მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოხატავს. კანონმა საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული სამართალი უნდა გამოხატოს.

მართებულად აღნიშნავდა პროფ. გიორგი ხუბუა: „კანონსა და სამართალს შორის თვისებრივი ხასიათის განსხვავება ჩანს, თუნდაც იქიდან, რომ ძველი კანონი „კვდება" გაცილებით უფრო ადრე, მის ოფიციალურად გაუქმებამდე, ახალი სამართალი ჩნდება უფრო ადრე, ვიდრე იგი გარანტირებული იქნება ახალი კანონით".[79]

როგორც ჩანს, მოქმედ კანონს შეიძლება საფუძველი გამოეცალოს ოფიციალურად მის გაუქმებამდე, რაკი რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მოხდა არსებითი ცვლილება. ან, პირიქით ამ ცვილებათა გამო შეიქმნა ახალი კანონის იდეალური პირობა, ასე, რომ კანონი და მისი, ესე ვთქვათ, სული – არსებითად დამოკიდებულია „საგანთა სამართლებრივ ბუნებაზე", რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების ცვალებადობის გამო მუდამ იცვლება. რის გამოც კანონმდებელი იძულებულია, ამ ამ ცვლილებებს ფხიზლად ადევნოს თვალი, რათა მისი საკანონმდებლო სისტემა არ იყოს მოწყვეტილი რეალური ცხოვრების პირობებს.

---

[77] იხ. გურამ ნაჭყებია, სამართლის სისტემა, როგორც იურიდიულ მეცნიერებათა დაფუძნების ლოგიკური პირობა, „სამართლებრივი რეფორმა საქართველოში", თბილისი 1994, გვ. 1114

[78] გურამ ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, (სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის ასპექტით) ნაწილი პირველი, თბ. 2000, გვ. 50

[79] გ. ხუბუა, კანონი სოციალისტიურ სამართლებრივ სახელმწიფოში, „საბჭოთა სამართალი", 1998, №7, გვ. 60

§4. სახელმწიფოს ფორმის პრობლემა

ნაშრომის ამ თავში დასმული პრობლემატიკის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა სახელმწიფო ფორმის საკითხი, რადგან ამ მხრივ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის წესი, მისი ორგანიზაცია, რომელიც სამართლის გარეშე უბრალოდ შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ამ პოზიციიდან სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება. მართლაც, როგორც ვ. ნერსესიანცი ამტკიცებს, სახელმწიფოს ფორმა – ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის, ორგანიზაციის და ფუნქციონირების წესი. სახელმწიფოს ფორმა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების, დანაწილებისა და მოქმედების სამართლებრივი წესის კომპლექსური დახასიათება, თავის თავში მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს: მმართველობის ფორმა, სახელმწიფო წყობილობის ფორმა და სახელმწიფოს (პოლიტიკური) რეჟიმის ფორმა.[80]

როგორც ჩანს, სახელმწიფო ფორმა არის სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის, განაწილებისა და მოქმედების სამართლებრივი წესი. მაშასადამე, სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს, რადგან სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება. მართლაც, სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის წესი (დანიშვნით თუ არჩევით) თავისივე გენეზისში სამართლებრივია, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის წესი ამ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ვერ იქნებოდა. ამ გარემოებაზე ისიც მეტყველებს, რომ ნებისმიერი მეტ-ნაკლებად განვითარებული საზოგადოება, მათ შორის სახელმწიფოს წინარე ფორმის სახით, განსაზღვრული ნორმატიული მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია. უკვე ითქვა, რომ ჯერ კიდევ პროდუქტებს შორის გაცვლითი ურთიერთობის დონეზე სამართალიც უნდა ვიგულისხმოთ, იმის მიუხედავად, რომ ეს პროცესი სუბიექტურად სათანადოდ შეიძლება არც იყო გაცნობიერებული, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრული ფორმა.

§5. სამართალი, როგორც სახელმწიფოს წარმოშობის ნორმატიული საფუძველი

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ა. რაზუვაევის სტატია, რომელშიც განხილულია სახელმწიფოს წარმოშობის სამართლებრივი წანამძღვრები. ავტორის მტკიცებით, ტრადიციული სახელმწიფო წარმოადგენს ისტორიულ-სამართლებრივ ფენომენს. მისი განმასხვავებელი ნიშნები იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციული სახელმწიფოს ხელისუფლება ეფუძნება კერძო სამართლებრივ

[80] В. С. Нерсесианц, Обшая теория права и государства, Учебник М. 2001, стр. 245

ინსტიტუტებს, უპირველეს ყოვლისა, მიწაზე საკუთრების უფლებას ძველ და საშუალო საუკუნეების საზოგადოებაში, რომელსაც არაერთგვაროვანი დონე ახასიათებდა. ეს, ავტორის აზრით, იმით აიხ.ნება, რომ სახელმწიფო, როგორც სოციალური ინსიტუტი, როგორც მართლწესრიგის განუყოფელი ნაწილი, თავის თავში განასახიერებს უმნიშვნელოვანეს დახასიათებებს. რამდენადაც ტრადიციული მართლწესრიგი დაფუძნებულია კერძო (სანივთო) სამართალზე, ამდენად, სახელმწიფო ხელისუფლებასაც აქვს ქონებრივი სამართლებრივი ბუნება. აქედან გამომდინარე, მართლწესრიგსაც აქვს კერძო სამართლებრივი ხასიათი. მიწაზე უზენაესი საკუთრების სახით ტრადიციული სახელმწიფო ახორციელებს ბატონობას ყველა პირზე, რომელიც მიწასთან დაკავშირებით ქონებრივ ურთიერთობებში იმყოფება.

ავტორი ეხება საკითხს იურიდიული ანთროპოლოგიის, როგორც იურიდიული დისციპლინის, შესახებ, რომელიც შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი კომპლექსურია და ეფუძნება მოძღვრებას ადამიანის ბუნების შესახებ, როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ გარემოში. ამგვარი კვლევის ნიმუშებად ავტორი ასახელებს ბახოფენის ცნობილ გამოკვლევებს მატრიარქატის შესახებ, აგრეთვე მ. კოვალევსკის ნაშრომს, რომელიც კაკასიის ხალხებში კანონისა და ჩვეულების საკითხებს ეძღვნება.

მართალია, ავტორი არ უარყოფს ამ პრობლემატიკაში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მნიშვნელობას, მაგრამ იურიდიული ანთროპოლოგია ამ უკანასკნელს უკვე ემიჯნება. ამის საბუთად ავტორი იმოწმებს ნ. რულანის ნაშრომს იურიდიული ანთროპოლოგიის შესახებ და ასკვნის, რომ ნ. რულანმა იურიდიული ანთროპოლოგიის განვითარებაში მნიშნელოვანი წვლილი შეიტანა. მართალია, იურიდიული ანთროპოლოგიის საგანი და საზღვრები ჯერ კიდევ სადავოა იმ მხრივ, რომ ერთნი ამ სფეროს მხოლოდ ძველ სამართებრივ სისტემას განაკუთვნებენ, ხოლო მეორენი მას თანამედროვე სამართალზეც ავრცელებენ. ეს მოსაზრება ნ. რაზუვაევის აზრით, საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ იურიდიული ანთროპოლოგიის დაყვანა ენთოგრაფიაზე. ისიც საინტერესოა, რომ იურიდიულ ანთროპოლოგიას განასხვავებენ სამართლის ისტორიისგან, რომელშიც ისტორიული ფაქტები მოტანილია მათი თეორიული ინტერპრეტაციის გარეშე. ბოლოს, ავტორი ფიქრობს, რომ იურიდული ანთროპოლოგიის საგანია სახელმწიფოსა და სამათლებრივი მოვლენების, სპეციფიკა ტრადიციულ საზოგადოებებში, მათი გენეზისი და ევოლუცია. ამ პოზიციიდან ცდილობს იგი, გაარკვიოს ტრადიციული სახელმწიფოს სამართებრივი საფუძვლები. კერძოდ, ავტორი ცდილობს ამოვიდეს იმ განსხვავებიდან, რაც არსებობდა პირველყოფილ საზოგადოებაში მიმთვისებელ და მწარმოებელ ფენათა შორის. ავტორს მხედველობაში აქვს შრომის დიდი საზოგადოებრივი დანაწილებანი, რომელნიც სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდნენ. იგულისხმება შრომის დანაწილებანი, უპირელეს ყოვლისა, მიწათმოქმედებსა და მეჯოგეებს შორის, აგრეთვე შრომის იარაღების წარმოება და გაცვლა.ირკვევა,

რომ ამ ობიექტური მოვლენების კვალდაკვალ იწყება სამართლებრივი აზროვნებაც. უკვე ძველინდურ მითოლოგიაში სიტყვა „რიტა“ თავის თავში მოიცავს სამართლებრივი ვალდებულების იდეას, რომელიც ერთიანობაშია რელიგიურ ვალდებულებასთან. აქედან ავტორი ასკვნის, რომ ტრადიციულ სახელმწიფოს აქვს არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი ბუნება. სამართალი არის სახემწიფოს წარმოშობის სპეციალური წანამძღვარი. ამათან, ირკვევა, რომ ტრადიციულ სახელმწიფოს ხელისუფლებას კერძო სამართლებრივი ბუნება ჰქონდა. ავტორი საბოლოოდ ასკვნის, რომ მიწაზე საკუთრების უზენაესი უფლება ქმნიდა პოლტიკურ ხელისუფლებას, პოლტიკურ ბატონობას, რომელიც უკანასკნელის თანამიმდევრული გაგრძელება იყო. მიწაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სამართლბრივი ურთიერთობა წინ უსწრებს ტრადიციულ სახემწიფოს.[81]მართალია,ავტორი ხსენებულ ეტაპზე უარყოფს საჯარო სამართლის არსებობას, რაც პოლიტიკური ხელისუფლების ნიშანი იქნებოდა, მაგრამ მისი ეს მოსაზრება მაინც საინტერესოა, რადგან ასაბუთებს შრომის დანაწილების საფუძველზე პრიმიტიული გაცვლითი ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებას, ხოლო უფრო ჩაღრმაბებული კვლევა შემდგომში იმასაც აღმოაჩენს, რომ სამართალი საზოგადოდ, მისი საჯარო თუ კერძო დარგად დაყოფის მიუხედავად, წინ უსწრებს სახელმწიფოს და წარმოადგენს ამ უკანასკნელის მოწყობისა და ორგანიზაციის ნორმატიულ წანამძღვარს. ეს დებულება სახელმწიფოს ფორმის ცნებამაც დაადასტურა, რადგან სახელმწიფოს ფორმა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის, განაწილებისა და საქმიანობის სამართლერივი საფუძველი. ამით იმის თქმა გვინდა, რომ სახელმწიფომდე არსებული სამართალი ხელშეკრულების ფორმით არსებობს, ხოლო სახელმწიფო ქმნის არა სამართალს, როგორც ასეთს, არამედ ნორმატიულ აქტს, რომელიც, ნორმაშემოქმედების შემთხვევაში, ნამდვილი სამართლის იდეას მიუახლოვდება.

§6. გერმანული „Rehtstaat"-ისა და ინგლისური "Rule OF Law"-ის მიმართების პრობლემა

ის ფაქტი, რომ სამართალი შეიძლება წინ უსწრებდეს სახელმწიფოს, დასტურდება სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული გაგებისა და მისგან ე.წ. „Rule of Law"-ის ინგლისურენოვანი ვარიანტის არსებითი განსხვავებისგან. ირვევა, რომ გერმანული „Rechtstaat"- ნიშნავს „სამართლებრივ სახელმწიფოს" ხოლო თვით სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია გერმანულ ტრადიციაში გულისხმობს სახელმწიფოზე დაწერილი კონსტიტუციის ბატონობას და მის შესრულებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას. აქედან გამოდინარე, სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს სახელმწიფოზე კანონის და არა სამართ-

[81] იხ. Н. В. Разуваев.Прававые предпосылки возникновсния и эволюции государства: очерк юридической антропологии, «Правоведение,» 2013, №4

ლის ბატონობას. ამ პოზიციიდან არსებითად განსხვავებულია ინგლისური „Rule Of Law", რომელიც სამართალს მისი ნორმატიული გამოხატვის გარეშეც წარმოადგენს. ამ ორი ტრადიციის უფრო ღრმა ანალიზი ადასტურებს, რომ ხსენებული ინგლისური ტერმინი აქცენტს კანონის ფორმაზე კი არ აკეთებს, არამედ, პირიქით, სამართალზე, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობს და სახელმწიფოზე ბატონობს. ამ თვალსაზრისით სამართალი საზოგადოებაზე, როგორც სოციალურ სისტემაზე, უფროა ორიენტირებული, ვიდრე სახელმწიფოზე, ხოლო აქედან ავტომატურად გამომდინარეობს ადამიანის თავსუფლებისა და მისი უფლებების დაცვა და სახელმწიფოზე სამართლის ბატონობა.[82]

სამწუხაროდ, ხსენებული ავტორები ზოგადად კი არ ამბობენ, ომ სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს, არამედ ზემოთხსენებული ინგლისური ტერმინის ზუსტი შინაარსიდან გამომდინარე, იძულებული ხდებიან ამტკიცონ, რომ ამ ტერმინის მიხედვით, სამართალი შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლადაც, ეს იმასაც ნიშნავს, რომ სამართალი შეიძლება წინ უსწრებდეს სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის გენეზისში იყოს ჩაქსოვილი. სამართალი, ამ თვალსაზრისით, – ეს უნდა იყოს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების, შექმნისა და ორგანიზების ნორმატიული საფუძველი. ამ დასკვნის ლოგიკურობას განაპირობებს ჩვენს მიერ უკვე განხილული მიმართება ზნეობის, სამართლისა და პოლიტიკას შორის. როგორც უკვე ითქვა,მორალი ჯერ სამართალს უკავშირდება, ხოლო სამართლის მეშვეობით პოლიტიკასაც. მაშასადამე, სამართალი წინ უსწრებს პოლიტიკას, ე.ი. სახელმწიფოსაც. სახელმწიფო ქმნის არა სამართალს, არამედ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ჭეშმარიტი ნორმაშემოქმედების ვითარებაში, შეიძლება სამართლის იდეას მიუახლოვდნენ.

ამრიგად, აშკარაა, რომ აქ მოკლედ გადმოცემული კონცეფცია,რომელიც სახელმწიფოს წარმოშობის სამართლებრივ წანამძღვრებს ეხება. ფრიად საინტერესოა და ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ სამართალი სახელმწიფოს კი არ შეუქმნია, არამედ, პირიქით, სამართალი გენეზისურად წინ უსწრებდა სახელმწიფოს და წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მოწყობისა და ორგანიზაციის ნორმატიულ საფუძველს. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო, როგორც სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება, სამართლებრივ სახელმწიფოს წარმოადგენს.

§7. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება

სამწუხაროდ, სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც წესი, გაგებულია სახელმწიფოზე კანონის ბატონობით, როცა სახელმწიფო მის მიერ მიღებულ

[82] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. С.Ф.Ударцев, Ж.Р. Темирбеков, Концепции «Rule if Law» (Верховенства права) "и Rechtstaat" (Правовое государство) сравнительный анализ („Государство и право"), 2015, №5

კანონებს ნებაყოფლობით, კეთილი ნებისამებრ, ემორჩილება. მაგალითად, კარლო შარია სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებაში გულისხმობს სახელმწიფოზე კანონის ბატონობას. იგი ჩამოთვლის სამართლებრივი სახელმწიფოს შემდეგ ნიშნებს: სახელმწიფოს შეზღუდვა სამართლით; კანონის უზენაესობა და სამართლიანობა; კანონის წინაშე ყველას თანასწორობა; ხელისუფლების დანაწილება; ხალხის აღიარება ხელისუფლების წყაროდ და საყრდენად; სახელმწიფოს და მოქალაქის ურთიერთპასუხისმგებლობა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების აღიარება და სხვა.[83]

როგორც ჩანს, ავტორი აქ კანონს და სამართალს აიგივებს, რის გამოც სახელმწიფოზე კანონის ბატონობას იგი სამართლებრივი სახლმწიფოს ერთერთ ნიშნად მიიჩნევს. ცხადია ძალიან კარგია, თუ რომელიმე სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც უზენაესობის ღირსია, მისივე კეთილი ნებით ემორჩილება. მაგრამ კანონისა და სამართლის გაიგივება სწორი არ უნდა იყოს და, მაშასადამე, „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ცნება სახელმწიფოზე სიმართლის პრიმატს უნდა ნიშნავდეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს, როგორც ამ უკანასკნელის მოწყობისა და ორგანიზაციის ნორმატიული საფუძველი.ამ პოზიციიდან ფრიად საინტერესოა ირაკლი კობახიძის ნაშრომი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას ეძღვნება. ავტორი ამოდის იმ დებულებიდან, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უშუალოდ მოქმედი სამართალია. ირკვევა, რომ კონსტიტუციური დებულებები- ეს უშუალოდ მოქმედი სამართალია, რადგან იურიდიული ძალის შესაძენად ისინი არ საჭიროებენ შემდგომ საკანონმდებლო დაზუსტებას და უშუალოდ წარმოშობენ სამართლებრივი მოთხოვნის ინდივიდუალურ უფლებას.[84] ავტორი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან დაკავშირებით მოკლედ ახსენებს ლიბერალიზმის იდეას, როცა ეს იდეა, ავტორის აზრით, უგულებელყოფდა თანასწორობის მატერიალურ საფუძველს, რის გამოც იგი ამ უთანასწორობის შენიღბვის ხერხად გამოიყურებოდა.[85] შემდგომ ავტორი გადადის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის განვითარებაზე, რომლის პრინციპებს ავტორიც ჩამოთვლის, რაც ფრიად საინტერესოა. მით უმეტეს, როცა ავტორი ამ მხრივ განიხ.ლავს საქართველოში არსებულ ვითარებას. მაგრამ, ჩვენი აზრით, „სამართლებრივი სახელმწიფო“ აქაც გაგებულია სახელმწიფოზე კანონის ბატონობის თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც ჩვენ სახელმწიფოზე სამართლის პრიმატი გვაინტერესებს. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო თავისი გენეზისშივე ეუფუძნება სამართალს, რის გამოც სახელმწიფო იმთავითვეა სამართლებრივი. აქ კიდე ერთხელ გავიმეორებთ: სახელმწიფო სხვა არაფერია,

[83] იხ. კარლო შარია, სამართლებრივი სახელმწიფო (ნაწილი პირველი) თბილისი, 2009, გვ. 7-8

[84] იხ. ირაკლი კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, „თსუ იურიდიული ფაკულტეტის ჟურნალი, 2013 №1, გვ. 307

[85] იქვე, გვ. 310

თუ არა სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება. ცხადია, სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება, ყოფიერების ელემენტია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „იურიდიული მეცნიერება სახელმწიფოს სწვდება სამართლებრივი მოწყობის, კანონქმედებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის თვალსაზრისით".[86]

ამ პოზიციიდან ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება ე. პოზდნიკოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა არის არა სამართლებრივი თეორიის, არამედ იდეოლოგიურ-პოლიტიკური თეორიის გამოხატულება, რომელიც საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის იდეას ეხმიანება. მისი აზრით, სამართლებრივი სახელმწიფო ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ავტორი ფიქრობს, რომ თვით სახელმწიფოს ცნებაც კი გამორიცხავს სამართლებრივ სახელმწიფოს იდეას, რადგან, როცა ჩვენ ვამბობთ „სახელმწიფო", – მხოლოდ ამ ერთი გამონათქვამით იმავდროულად ვადასტურებთ იმას, რომ იგი ემყარება სამართალს და აქ სხვა მტკიცება საჭირო არაა.[87] უფრო მეტიც, ირკვევა, რომ სახელმწიფო სამართლებრივია მაშინაც კი, როცა მას დესპოტის ნება განსაზღვრავს, რადგან სახელმწიფო იმანენტურად შეიცავს სამართლისა და მართლწესრიგის ცნებებს.[88]

ერთი შეხედვით, ავტორის აზრი გაუგებარია, რადგან თუ სახელმწიფო იმანტენტურად შეიცავს სამართალს და მართლწესრიგის ცნებებს, მაშინ სამართლებრივი სახელმწოფოც სახეზეა. მაგრამ, როგორც ჩანს, ხსენებული ავტორი არ ეთანხმება სამართლებრივი სახელმწიფოს იმ გაგებას, როცა სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონებს ემორჩილება. აქედან გამომდინარე, იგი ამოდის სახელმწიფოზე სამართლის პრიმატიდან, როცა სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის მოწყობას და ორგანიზაციის ნორმატიული საფუძველია. მაგრამ თუ სახალმწიფო სამართლებრივია იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას დესპოტის ნება განსაზღვრავს, მაშინ ამგვარ „სამართლებრივ სახელმწიფოს" კიტრის ფასიც არ აქვს. აქედან გამომდინარე, უფრო მისაღები და პრაქტიკული ჩანს სახელმწიფოზე კანონის ბატონობა, როცა სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონებს ემორჩილება. მაგრამ, ჩვენი აზრით, სამართლისა და კანონის გაიგივება მაინც შეცდომაა, რის გამოც ერთია სახელმწიფოზე სამართლის ბატონობა, როცა სამართალი გენეზისურად განსაზღვრავს სახელმწიფოს, მაგრამ ე. პოზდნიკოვა საბოლოოდ სხვა პოზიციას იკავებს, როცა აცხადებს, რომ სახელმწიფო ეფუძნება სამართალს. მისი აზრით, სამართალი არაა მოწყვეტილი მისივე სოციალურ საფუძვლებს და უკავშირდება ადამიანის კონცეფციას, რომლის თანახმად, ადამიანი სამართალის შემოქმედია. იგი სამართლის სუბიექტიც არის და ობიექტიც, და რომ სამართალი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის,

[86] იხ. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწილი პირველი, თბილისი, 2000, გვ. 45

[87] იხ. Э. А. Позднияков, Философия государства и права, М. 1995, стр. 197

[88] იქვე, გვ. 188

როგორც სოციალური და პოლიტიკური არსების, გამოხატულება. მხოლოდ ეს ერთი გარემოებაც კი, ავტორის აზრით, გვავალდებულებს, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა ამ გარემოებაზე იყოს რედუცირებული. ამ პოზიციიდან სამართლის ყოველგვარი თეორია პოლიტიკური იდეალების გამოვლენაა.სამართალი პრაქტიკული პოლიტიკის გამოხატულებაა. მათ შორის კაეშირი პირდაპირი უშუალოა.[89]

აქ, როგორც ჩანს, სამართალი სხვა არაფერია, თუ არა პრაქტიკული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. გამოდის, რომ სამართალს წინ უსწრებს პოლიტიკა. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, არსებობს სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება, ხოლო შემდეგ იქმნება სამართალი, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. მაგრამ ე. პოზდნიკოვი სულ სხვა პოზიციაზე ინაცვლებს, როცა ამტკიცებს, რომ, თუ საგნებს შევხედავთ ჯანსაღად და თავს დავაღწევთ ტრადიციების გავლენას, არსებობს სრული საფუძველი იმ დასკვნისთვის, რომ ის, რაც ტრადიციულად სამართლის ფილოსოფიად თუ თეორეად იწოდება, სინამდვილეში არის პოლიტიკის ფილოსოფია და მისი თეორია. ყოველ საყურადღებო პოლიტიკურ თეორიას საქმე აქვს სახელმწიფოსთან, მაგრამ სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები, მათი საქმიანობა განპირობებულია სამართლით, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოებისა და სახელმწიფოს, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობას, მაშინ სამართლის ყველა სარიოზული თეორია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის ფილოსოფია.[90]

როგორც ვხედავთ, ავტორი მთლიანად თანმიმდევრული არაა, რადგან, ის, ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მოქმედება განპირობებულია სამართლით (და მაშინ სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს), ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ სამართალი პრაქტიკული პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა (და მაშინ სახელმწიფო წინ უსწრებს სამართალს, ესე იგი, ქმნის მის პოლიტიკის შესაბამის სამართალს). ავტორი ასკვნის, რომ სამართალი ამა თუ იმ პოლიტიკური იდეოლოგიის გამოხატულებაა, თუმცა ავტორი პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის მეცნიერების გაიგივების წინააღმდეგია.[91] სამწუხაროდ, ეს ზოგადი განცხადება საქმეს ვერ შველის, რადგან ავტორი სამართალს პრაქტიკული პოლიტიკის გამოხატულებად აცხადებს. ამ თვალსაზრისში სამართალი პოლიტიკისგან არანაირად არაა დამოუკიდებელი. ავტორის მტკიცება, რომ სამართლის ყველა სერიოზული თეორია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის ფილოსოფია, სამართლის, როგორც პოლტიკისაგან შეფარდებით დამოუკიდებელი ფენომენის, ლოგიკურ უარყოფას წარმოადგენს. უფრო მეტიც,თუ სამართლის ყველა სერიოზული თეორია პოლტიკის ფილოსოფიაა, მაშინ სადღაა სამართლის ფილოსოფია? ნუთუ

[89] Э. А. Поздняков, Философия государства и права, М. 1995, გვ. 16
[90] იქვე, გვ. 17
[91] იქვე, გვ. 18

სამართლის ფილოსოფიაში სამართალი არ უნდა იყოს გააზრებული, როგორც სახელმწიფოზე წინსწრებული ნორმატიული სისტემა, რომელიც პოლიტიკაში კი არ ითქვიფება, არამედ,წინ უსწრებს მას. სახელმწიფო ქმნის არა სამართალს, არამედ ნორმატიულ აქტს, რომელიც, ერთი მხრივ, არაა მოწყვეტილი სამართლის ბუნებას ისე, როგორც ის იდიალურად არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, ეზიარება სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას, რის გამოც კანონი უკვე არის სამართლისა და პოლიტიკის კავშირის ფორმა. მაშასადამე, „სამართლებრივი პოლიტიკა“ კი არაა დამოუკიდებელი კატეგორია, როგორც ამას ამტკიცებენ თანამედროვე რუსეთში, არამედ კანონი, როგორც ნორმატიული აქტი, რომელიც სამართლისა და პოლიტიკის კავშირის ფორმაა.

§8. პოლტიკური ფილოსოფიის ცნება და სამართლის ფილოსოფია

საზოგადოდ ცნობილია და ჩვენც უკვე ავღნიშეთ, რომ არსებობს პოლიტოლოგია,როგორც პოლიტიკის შესახებ კერძო მეცნიერება. მაგალითად, ნოდარ ზაქარიაძე, პოლიტოლოგია, თბილისი, 1993: მამუკელაშვილი ელგუჯა, პოლიტოლოგია, თბილისი, 2010: რიმერ ნილი. პოლიტიკური მეცნიერება და სხვა. მაგრამ არსებობს პოლიტიკის ფილოსოფიაც, ესე იგი, პოლიტიკაზე ფილოსოფიური მოძღვრება. მაგალითად, ოსვალდ შპენგერი,პოლიტიკის ფილოსოფია, თბილისი,1995; მაგრამ ირკვევა, რომ ტერმინი „პოლიტიკის ფილოსოფია“ სწორი არაა და უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „პოლიტიკური ფილოსოფია“. მაგალითად, ლეო შტრაუსი; რა არის პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2011, განმარტავს, რომ აქ ფილოსოფია განხილვის წესს გულისხმობს, ესე იგი ამგვარი განხილვა საფუძვლებისკენაა მიმართული, ხოლო, „პოლიტიკური“ ერთდროულად საგანზეც და ფუნქციაზეც მიუთითებს.[92] ფილოსოფია არსებითად ჭეშმარიტების ფლობის გზა კი არაა, არამედ ძიებაა ჭეშმარიტებისა,- ფილოსოფოფოსმა იცის, რომ მან არაფერი არ იცის. ამიტომ სურს ჩასწვდეს ჩვენს უმეცრებას, რათა ილტვოდეს ცოდნისაკენ,[93]სამწუხაროდ, ავტორი სერიოზულადაა დაეჭვებული იმაში, არსებობს თუ არა სადღეისოდ პოლიტიკური ფილოსოფია? უფრო მეტიც, ავტორი აცხადებს, რომ პოლიტიკური ფილოსოფია უკვე აღარ არსებობს და იგი სამარხში ჩასასვენებელ მიცვალებულს ჰგავს,[94] მით უფრო, რომ პოლიტიკური მოვლენები შეფასებას მოითხოვენ, ხოლო, მეცნიერების კომპეტენცია მხოლოდ ფაქტებზე დაფუძნებული დასკვნით გამოიხ.ტება. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ ღირებულებისაგან თავისუფალი პოლიტიკური მეცნიერება შეუძლებელია.[95]გარდა ამისა, ფრიად საინტერესოა ავტორის მტკიცება, რომ

[92] ლეო შტრაუსი, რა არის პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2011, გვ. 71
[93] იქვე, გვ. 9
[94] იქვე, გვ. 23
[95] ქვეე.გვ. 34

პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარი თემა კანონები, კი არაა, არამედ რეჟიმია, ე.ი. საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაა, მთლიანობაა, ცხოვრების წესია, კანონთა სულია.[96]ეს მოსაზრება ფრიად საყურადღებოა „პოლიტიკურის",როგორც განსაკუთრებული კატეგორიის, გასაგებად, რადგან ამ ასპექტით იგულისხმება პოლიტიკურის ბუნება და საზღვრები, მისი სტრუქტურა, რომელიც გარკვეული ობიექტური წყობის სახით არსებობს (მაგალითად, პოლიტიკის ობიექტი, სუბიექტი, ურთიერთობა მათ შორის, პოლიტიკის მიზანი, საშუალება, შედეგი). ამრიგად, ლეო შტრაუსი იყენებს ტერმინს „პოლიტიკის ფილოსოფია", (როგორც ამას იყენებს ე. პოზნიაკოვი). უფრო მეტიც, მამუკა ბიჭაშვილი თავის ნაშრომს უწოდებს ნარკვევებს პოლიტიკურ თეორიაში, თბილისი, 2012, რომელშიც განხილულია პოლიტიკურის ისეთი კატეგორიები, როგორებიც არიან „მეგობარი" და „მტერი" (კარლ შმიდტის თეორიის მიხედვით, რაც ჩვენ უკვე განვიხ.ლეთ და აქ აღარ გავიმეორებთ). აქ გვინდოდა ტერმინი „პოლიტიკურის" მნიშვნელობის დადგენა. რით განსხვავდება ტერმინი „პოლიტიკური ფილოსოფია" ტერმინი „პოლიტიკის ფილოსოფიისაგან?" ამ კითხვაზე თავისებურად პასუხობს დემურ ჯალაღონია, რომელიც ამტკიცებს, რომ ''პოლიტიკური ფილოსოფია არის მოქალაქისა და სახემწიფოს ურთიერთობის მეტაფიზიკა. მან უნდა გაარკვიოს, როგორ გარდაიქმნება ძალაუფლების ველური სტიქია ხელისუფლებად, რომელიც თავის წევრს აქცევს ეთიკურ-სამართლებრივ სუბიექტად, იურიდიულ პირად, მოქალაქედ.[97]ამავე დროს ავტორი ამჯობინებს,ნაცვლად პოლიტიკის ფილოსოფიისა, გამოვიყენოთ „პოლიტიკური ფილოსოფია" ხოლო არგუმენტად მას მოაქვს ქართულ ენაზე თარგმნილი უცხოური ლიტერატურა პოლიტიკის შესახებ. მისი მტკიცებით, „პოლიტიკური" ზუსტად გადმოსცემს საგნის არსს, და ამის საბუთად იმოწმებს ედმუნდ ჰუსერელის აზრს იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ფილოსოფია არის პოლიტიკის მორფოლოგიური არსი, რომელიც შეადგენს პოლიტიკის ფენომენოლოგიურ მხარეს კონკრეტული გამოვლინებებით, ფორმებითა და ფაქტებით.[98]

ამრიგად, ტერმინი „პოლიტიკური ფილოსოფია" აშკარად განსხვავდება ტერმინი „პოლიტიკის ფილოსოფიისაგან" რადგან „პოლიტიკური", როგორც ჩანს, უფრო სრულიად გამოხატავს პოლიტიკის არსს და სტრუქტურას და იმასაც ამტკიცებს, რომ ფილოსოფია შეიძლება იყოს პოლიტიკურიც. აქედან გამომდინარე, ისიც აშკარაა, რომ მიმართებით სამართლისა და პოლიტიკის არსებითი განსხვავება იკვეთება, რადგან თუ პოლიტიკური ფილოსოფია არსებობს, „სამართლებრივი ფილოსოფია" შეუძლებელია. შესაძლებელია სამართლის ფილოსოფია ე.ი.ფილოსოფიური მოძღვრება სამართალზე. რომელიც პოლიტიკური ფილოსოფიის ბუნებრივ მოკავშირედ გამოიყურება. ცხადია, ტერმინი „სამართებრივი" როგორც ასეთი დავას არ იწვევს. მაგალითად, „სამართლებრივი შეფასე-

[96] იქვე, გვ. 61

[97] დემურ ჯალაღონია, პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2012, გვ. 6.

[98] იქვე, გვ. 10

ბა" შეფასების სხვა მასშტაბებისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ ვიმეორებთ, „სამართლებრივი ფილოსოფია"შეუძლებელია, მაშინ, როცა ფილოსოფია შეიძლება იყოს და არის კიდეც პოლიტიკური. ამაზე მეტყველებს მაია ამირგულაშვილის ნაშრომიც, რომელაც „პოლიტიკური ფილოსოფია" ჰქვია (თბილისი,2010). ავტორი მართებულად აღნიშნავს,რომ ადამიანის პრობლემა ამოსავალი წერტილია ყოველგვარი ფილოსოფოსობისა და ამდენად იგი ის გასაღებია, რომლის გარეშე ფილოსოფიის ტაძრის კარიბჭის შეხსნა შეუძლებელია.[99]ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის დასმისა და სათანადოდ გააზრების გარეშე არც პოლიტიკური ფილოსოფია აიგება და არც სამართლის ფილოსოფია. მართალია, ავტორი საგანგებოდ არ განმარტავს, თუ რატომ იყენებს იგი ტერმინს „პოლიტიკური ფილოსოფია", მაგრამ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყოფიერებისა და აზროვნების პრობლემის შესწავლაში პოლიტიკური მხარე ცალკე დარგად გამოიყოფა და მისი შესწავლა სავსებით ლოგიკურია და მას „პოლიტიკური ფილოსოფია" ეწოდება.[100]

როგორც ჩანს, ტერმინი „პოლიტიკის ფილოსოფია" ზუსტი არაა, რადგან უფრო არსებითი ტერმინია „პოლიტიკური ფილოსოფია," რომელიც ფილოსოფიის განშტოებას წარმოადგენს და ყველაზე ახლოსაა ადამიანის ცხოვრებასთან. ფილოსოფია არის უნივერსალური ცოდნის ძიება მთლიანის, ერთიანის შესახებ.[101] საინტერესო ისიცაა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი პოლიტიკისგან დამოუკიდებელია. პოლიტიკა სამართალზეა დამოკიდებული. მხოლოდ მისი განხორციელება შეიძლება, რაც სამართლებრივად გამართლებულია და რომ სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი თვითმიზანია.[102]ისმის კითხვა: თუ პოლიტიკა სამართალზეა დამოკიდებული, მაშინ სამართალი წინ ხომ არ უსწრებს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ ხელისუფლებას? სამწუხაროდ ეს საკითხი აქ არსებითად გაურკვეველია.

ტერმინი „პოლიტიკური ფილოსოფია" გამოყენებულია მ.ფედოროვას ფრიად საინტერესო ნაშრომშიც. ავტორის აზრით, პოლიტიკა ადამიანის ბუნებასთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, ადამიანის ბუნებისგან მოწყვეტით პოლიტიკური ფილოსოფიის აგება უბრალოდ შეუძლებელია. მით უფრო, რომ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ლაპარაკია ადამიანის არა აბსტრაქტულობაზე, არამედ ადამიანზე მის თანაცხოვრებაში, სადაც მისი ყოფიერება უშუალოდ გამოიხატება საზოგადოებისა და სახემწიფოს ურთიერთობებში. აქ სახემწიფო წარმოდგენილია, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს არა მხოლოდ წმინდა პოლიტიკური საკითხები, არამედ სამართლისა და სამართალშემოქმედების საკითხებიც.[103] ვფიქრობთ, დასახელებული ავტორი მართებულად

---

[99] მაია ამირგულაშვილი, პოლიტიკური ფილოსოფია თბილისი, 2010, გვ. 6

[100] იქვე, გვ. 7

[101] დემურ ჯალაღონია, პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2012, გვ. 33

[102] იქვე, გვ. 119

[103] იხ. М. Феодорова, Классическая политическая философия. М 2001. стр. 7

ამახვილებს ყურადღებას პოლიტიკურ ფილოსოფიაში საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე, ხოლო ამ ასპექტით ბუნებრივად იკვეთება სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა, რომელიც უკვე სამართლებრივი მოწესრიგების საგანია. სწორედ პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობანი არ უნდა აგვერიოს, რადგან „პოლიტიკური" ნიშნავს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ სუბიექტს, ხოლო „სამართლებრივი"ნიშნავს ურთიერთობას მართლზომიერი ქმედების გამო,რადგან სამართლის ნორმის მოთხოვნა მართლწესრიგში მართლზომიერ ქმედებას გადააქვს. მით უფრო,როცა ირკვევა, რომ ადამიანი, თავისი ბუნებით საბოლოო ჯამში სოციალური ცხოვრებისთვისაა დანიშნული.[104] რაკი აქ ადამიანს დანიშნულებაზეა საუბარი, ბუნებრივად დგება პრობლემა: როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის გაბატონდა დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახემწიფოსა და პიროვნებას შორის მყარდება დანაშაულის ჩადენის გამო. ამ მოსაზრებას ამყარებს „დანაშაულის სუბიექტის" ტრადიციული ცნებაც, ადამიანი თითქოს დანიშნულია დანაშაულის ჩასადენად, ხოლო, ყოველივე ეს პირიქით, ამახინჯებს ადამიანის დანიშნულების პრობლემას, რადგან ადამიანი დანიშნულია არა დანაშაულის ჩასადენად, არამედ, პირიქით, მართლზომიერი ქმედებისათვის. ეს კი იმას ადასტურებს,რომ სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი, აწესრიგებს არა დანაშაულის ჩადენის გამო ურთიერთობას, არამედ, პირიქით, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო, როცა პირიქით დანაშაულთა თავიდან აცილების გამო, როცა სისხლის სამართლის სუბიექტი, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი, ვალდებულია, მოქმედებს მართლზომიერად, და, როგორც პიროვნება, მოწოდებულია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად, ესე იგი, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით.[105] გასაგები უნდა იყოს, რომ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა არა მხოლოდ სამართლებრივადაა მიუღებული, არამედ პოლიტიკურადაც, რადგან შეუძლებელია სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილებისკენ არ იყოს მიმართული. მაგალითად, ნ. ზაგორიდნიკოვი თავის ნაშრომის ერთ თავს ასათაურებს: დანაშაულის თვიდან აცილება, როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის მთავარი მიმართულება (გვ. 41), მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის ჩდენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა იყო გაბატონებული. ამის გამო იყო, რომ ნ.ზაგორდნიკოვი არსებითად შემოიფარგლება სისხლის სამართლის კანონის პრევენციული მოქმედებით, მართწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებით, ხოლო დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის-სამართლებრივი ურთიერთიერთობა მისთვის არსებითად უცნობი იყო. პირიქით

[104] იქვე, გვ. 12

[105] იხ. გურამ ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციიები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადად ნაწილში, თბილისი, 2015

სისხლის სამართლის პოლიტიკა დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს უნდა ისახავდეს, ხოლო, სისხლის სამართლის კანონი ამ მიზნის საშვალებას უნდა წარმოადგენდეს. ეს დებულება ლიბერალიზმის იდეას ხომ არ ეწინააღმდეგება? მართლაც, ადამიანის პირადი თავისუფლება, რომელიც ლიბერალიზმის მთავარი ნიშანია, ადამიანის პასუხისმებლობას არუნდა იყოს მოწყვეტილი. ამ პოზიციიდან ადვილია იმის დამტკიცება, რომ დანაშაულთა თვიდან აცილება სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიურ პასუხისმგებლობის გამოვლენაა. ეს კი ლიბერალიზმის გამოვლენა კი არაა, არამედ, პირიქით, სახელმწიფოს ოფიციალური დანაწესით განსაზღვრული ვალდებულებაა. ხომ არ გამოდის, რომ ადამიანი, ლიბერალიზმის პოზიციიდან, სახელმწიფოს ოფიციალური კანონებისგან უნდა იყოს თავისუფალი? მაგრამ ეს დებულება ეწინააღმდეგება თვით ადამიანის ბუნებას. არისტოტელე წერდა: „ადამიანი, რომელმაც მიაღწია სრულყოფას, ის ცოცხალ არსებათა შორის საუკეთესოა, ხოლო ადამიანი, მოცილებული კანონსა და სამართალს, ყველაზე მდაბალი არსებაა".[106] მით უფრო, რომ არისტოტელეს აზრით, „სამართალი არის სახელმწიფოში ურთიერთობის მოწესრიგების საშუალება და სამართლიანობის საზომი".[107] გარდა ამისა, არისტოტელე ფიქრობდა, რომ ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე. აქედან გამომდინარე, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სფეროს მიზანი იგივე იქნება. ასეთი სფერო კი არის პოლიტიკა. პოლიტიკაში სიკეთე არის სამართლიანობა, ხოლო სამართლიანობა არის სასარგებლო მთელი საზოგადოებისთვის.[108] აქ ის შენიშვნა უნდა გაკეთდეს, რომ სიკეთე უმაღლესი, აბსოლიტური, ეთიკური ღირებულებაა, ხოლო სამართლიანობა უფრო დაბალი რანგისაა, ვიდრე სიკეთე, რადგან, თუ სიკეთე უნაცვალგებოა, სამართლიანობა ნაცვალგების პრინციპზეა აგებული. მაგრამ, ამის მიუხედავად, არისტოტელეს მტკიცება, რომ სამართლიანობა სიკეთეა პოლიტიკის სფეროში, ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან აქ, როგორც უკვე ჩანს, პოლიტიკისა და სამართლის კავშირი იკვეთება, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილება, კანონის ფორმაში შემუშავებულ და მიღებული იქნეს კანონის ფორმაში. ესა თუ ის კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი, სამართლიანობის იდეასთან უნდა იყოს ნაზიარევი, იმის მიუხედავად, რომ სამართალი და სამართლიანობა ერთი და იგივე არაა. სამართლიანობა პრინციპია, რომელიც სამართლის სფეროშიც ვლინდება, მაგრამ სამართალში შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტაც, რომელიც სამართლიანობის პრინციპით ვერ გაიზომება. მაგალითად, სასესხო ურთიერთობებში სესხის დაფარვის დადგენილი წესი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება უსამართლო აღმოჩნდეს, რაკი მსესხებელი იძულებული იქნება ძველი სასესხო ვალდებულება ახალი სესხით დაფაროს და, როგორც აქედან ჩანს, სასესხო

[106] არისტოტელე, პოლიტიკა, თბილისი, 1995, გვ. 13. (პროფ. თ. კუკავას თარგმანი ბერძნულიდან და შესავალი წერილი)
[107] იქვე, გვ. 13.
[108] იქვე, გვ. 84-85

კაბალას თავი ვერ დააღწიოს. ერთი სიტყვით, არისტოტელეს მსჯელობა, რომ სამართალი არის სახელმწიფოში ურთიერთობათა მოწესრიგების საშვალება და სამართლიანობის საზომი, ადამიანის, როგორც სოციალური და პოლიტიკური არსების, გარკვეული მთლიანობას გამოხატავს. აქედან გამომდინარე, არსებითად წინააღმდეგობრივია ჰანს კელზენის ცდა, სამართალი მოწყვიტოს ადამიანის ფსიქიკას, მის სოციალურ საფუძველს, ადამიანის მოღვაწეობის პოლიტიკურ მხარესაც კი, რათა სამართლის ე. წ. წმინდა თეორია აეგო. ამით მივიღეთ სამართალი, რომელიც მართლაც გაწმენდილია ყოველგვარი არასამართლებრივი მინარევისგან, მაგრამ მოწყვეტილია ყოველივე იმისგან, რასაც სამართალი აუცილებლობით უკავშირდება: ესაა ადამიანის სოციალურობა, მისი ფსიქიკის თავისებურება, რომელიც ფსიქიკურში ნორმატიულის გადატყდომას გვიჩვენებს, ადამიანის პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც სამართალთან კავშირის გარეშე შეუძლებელია. ეს უკიდურესი ნორმატივიზმია, დოგმატიკა და პოზიტივიზმია, რომელსაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, ანტიპოლიტიკურ ტენდენციაა რის გამოც არსებითად მიუღებელია.

პროფ. ბ. სავანელი მართებულად აღნიშნავს, რომ სამართლის წმინდა თეორია ასუფთავებს მისი შესწავლის საგანს ყველა იმ სოციალური თუ ბუნებრივი მინარევებისაგან, რომელიც განაპირობებს მის წარმოშობას თუ განხორციელებას. ამრიგად – ასკვნის ავტორი, – სამართლის წმინდა თეორია ემიჯნება სამართლის სოციოლოგიას. უფრო მეტიც, ის ემიჯნება პოლიტოლოგიას და ეთიკას, რადგან იკვლევს მოქმედ სამართალს და დამოუკიდებლად იმისა, რამდენად არის სამართლიანი, მიზანშეწონილი, დასაბუთებული და ა.შ. ამ თვალსაზრისით სამართლის წმინდა თეორია არის ანტიიდეოლოგიური და ანტიპოლიტიკური მეცნიერება.[109] პარადოქსი კი, როგორც ჩანს იმაში მდგომარეობს, რომ ჰანს კელზენმა მსოფლიო სახელი სწორედ სამართლის ამ წმინდა თეორიის აგებით მოიპოვა და ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სამართლის მეცნიერებას, რაკი იგი სამართლის თვითმყოფადობისა და ავტონომიურობის დასაბუთებას შეეცადა.[110]

[109] ბიძინა სავანელი, სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი 2009, გვ. 63
[110] იქვე, გვ. 66

თავი მესამე

ნორმატიული აქტის შექმნისა და ნორმაშეფარდების შემოქმედებითობის პრობლემები

§1.სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების (ნორმატიული აქტების) მიმართების პრობლემა

სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების, ანუ, ნორმატიული აქტების მიმართების პრობლემა დღემდე არაა ნათელი. ამ მხრივ უფრო გავრცელებულია სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების გაიგივების ტენდენცია. სამართლის მარქსისტულ კონცეფციად, როგორც ცნობილია, ითვლებოდა დებულება, რომლის თანახმად, „სამართალი სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებული კლასის ნება, რომელიც კანონშია გამოხატული". ჩვენ უკვე განვიხ.ლეთ ამ საკითხზე ჯანგირ ქერიმოვის მოსაზრება, რომლის თანახმად, კ. მარქსი, მიმართავდა რა ბურჟუაზიულ კლასს, აკრიტიკებდა მას იმისათვის, რომ მისთვის „სამართალი სხვა არაფრია, თუ არა მისივე ნება, რომელიც კანონშია გამოხატული." სამართლის შესახებ ბურჟუაზიული კლასის ამ წარმოდგენის მარქსისტული კრიკიტიკა, ჯანგირ ქერიმოვის აზრით, სამართლის მარქსისტულ კონცეფციად გასაღდა, მაშინ, როცა კ. მარქსს სამართლის არსის შესახებ სულ სხვა კონცეფცია ჰქონდა. იმის მიუხედავად, დავუჯერებთ თუ არა ამ ჯანგირ ქერიმოვის ამ მტკიცებას, ფაქტი მართლაც ჯიუტია: საბჭოურ იურისპრუდენციაში, როგროც წესი, გაბატონდა მოსაზრება, რომლის თანახმად, სამართალი გაბატონებული კლასის ნებაა, რომელიც კანონშია გამოხატული.

სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების გაიგივების ტენდენცია, როგორც ცნობილია, პოზიტივისტური თვალსაზრისია, რომელსაც მეორენაირად ლეგიზმსაც უწოდებენ. ამგვარი ტენდენცია მთელ რიგ წინაალმდეგობებს შეიცავს, რის გამოც მისი გაზიარება დაუშვებელია. ჯერ ერთი, თუ სამართალს ქმნის სახელმწიფო ხელისუფლება ნორმატიული აქტების ფორმების მეშვეობით, მაშინ გამოდის, რომ სამართალი ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ ხელოვნურად იქმნება სახელმწიფოს მიერ. მაგრამ მაშინ სამართლის ფილოსოფია თუ სამართლის მეცნიერება შეუძლებელია, რადგან ამ თეორიული სისტემების გამართლება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა სამართალი თავისი იბიექტური კანონზომიერებით არსებობს და მხოლოდ სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობაზე არაა დამოკიდებული. მეორეც, ნორმატიული აქტი სამართლის გამოხატვის ფორმაა, მაგრამ მაშინ როგორ შეუძლია ამ ფორმას შექმნას სამართალი, როგორც ამ ფორმის შინაარსი, რომელიც მისი ფორმებისაგან დამოუკიდებლად არსებობს? მესამეც, თუ ნორმატიული აქტი სამართალს კი არ გამოხატავს, არამედ თავისთავადობით გამოირჩევა, მაშინ ნორმატიული აქტი მოწყვეტილია სამართალს და მაშინ ეს ნორმატიული აქტი ხდება ანტი-

სამართლებრივი, რის გამოც ის სამართლის წყაროდ ვერ ჩაითვლება. მეოთხეც, სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების გაიგივების ტენდენციიდან გამომდინარე, სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელიუფლება, შეუძ;ლობელია, რაკი ამ პოზიციიდან სამართალს თავად სახელმწოფო ქმნის და, მაშასადამე, სახელმწიფოზე სამართლის ბატონობა შეუძლებელია. მეხუთეც, ნორმატიული აქტების ფორმაში გამოხატული სამართლის ბუნება სახელმწიფოს კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, რაკი ამ პოზიციიდან სახელმწიფოს შეუძლია მისი პოლიტიკის შესაბამისი ნორმატიული აქტი შექმნას და ეს ნორმატუული აქტი სამართლის იდეას შეიძლება მიუახლოვდეს. მექვსეც, აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული ბოროტი ნების სახელმწიფო, როცა იგი თავის ძალაუფლებას სამართთლის იდეისაგან მოწყვეტილი ნორმატიული აქტების გამოყენებით ახორციელებს და, მაშასადამე, უხეშად ბატონობს საზოგადოებაზე, არღვევს დემოკრატიის ელემენტარულ მოთხოვნებს, რის გამოც უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები. ასეთი გახლდათ ფაშიზმის პოლიტიკური რეჟიმი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინირ.[111]სამწუხაროდ, ამ მხრივ არც ყოფილი საბჭოთა კავშირიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგან სადღეისოდ უკვე დავას არ იწვევს ამ პოლიტიკური რეჟიმის ბოროტმოქმედებანი და მილიონობით ადამიანანთა უკანონო რეპრესიები, გადასახლებები და სხვა ამგვარი არადამიანური სისასტიკე. მეექვსეც, თუ სამართალი მისი გამოხატვის ფორმებზე დაიყვანება, მაშინ სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემაც ვერ დადგება, რადგან, სახელმწიფოს ამგვარი თვითნებობის შემთხვევაში, ადამიანის ნებისმიერი ქმედება შეიძლება გამოცხადდეს დანაშაულად და დასჯადად და, მაშასადამე, კრიმინინალიზაციის თუ დეკრიმინალიზაციის რაიმე ობიექტური კრიტერიუმების აღმოჩენა საჭირო არაა.

აი, არასრული არგუმენტი, რაც სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების გაიგივების წინააღმდეგ შეიძლება იქნეს გამოყენებული. აქ მოკლედ აღვნიშნავთ იმ გარემოებასაც, რომ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, გამოხატვის ნორმატიულ ფორმას სისხლის სამართლის კანონი წარმოადგენს. ცხადია, სისხლის სამართლის კანონი არაა მოწყვეტილი სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას, მაგრამ პოლიტიკაზე კანონის დაყვანა მეორე უკიდურესობაა, როცა სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი, თავისთავადობას მოკლებულია, პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძე;ლებას წარმოადგენს. მაგალითად, საყოველთაოდაა ცნობილია ლენინის დებულება, რომ კანონი პოლიტიკური ღონისძიებაა.

პროფ. გ. ხუბუა მართებულად აღნიშნავს, რომ განსხვავებით კანონისაგან, სამართალი პოლიტკისაგან სრული ავტონომიურობით ხასიათდება. ავტორი შენიშნავს, რომ აქ იგი გულისხმობს არა პოზიტიურ სამართალს, არამედ საზო გადოებრივ ურთიერთობებში უშუალოდ ჩამოყალობებულ სამართალს.

[111] ამის შესახებ იხ. Густав Радбрух, Философия права, М. 2004

მით უფრო, რომ, ავტორის აზრით, თვით სამართლებრივი სახელმწიფოც კი არაა პოლიტიკური პრინციპი, როგორიც არის, მაგალითად, დემოკრატია[112] აქედან გამომდინარე, როგორც პოლიტიკისათვის, ისე კანონისათვის კრიტერიუმი არის სამართალი.[113]უფრო მეტიც, ირკვევა, რომ პოლიტიკისა და სამართლის ერთგვარი სინთეზი ხორციელდება კანონში.პოლიტიკური ფაქტორები გავფლენას ახდენენ როგორც კანონშემოქმედების, ისე კანონის რეალიზაციის პროცესებზე.[114]ბოლოს, ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი სისტემა უნდა ამკვიდრებდეს ისეთ ლიბერალურ დემოკრატულ იდეებს, როგორიცაა: მოქალაქეთა იურიდიული თანასწორობა, პოლიტიკური მსოფლმხედველობის თავისუფლება, საკუთრების ხელშეუხებლობა და ა.შ.[115]

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნორმატიული აქტი პოლიტიკისა და სამართლის ერთგვარი სინთეზია. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ნორმატიული აქტი, საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში- სისხლის სამართლის კანონი, – პოლიტიკისა და სამართლის კავშირის ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონი კავშირის წესით არსებული კატეგორიაა, ესე იგი, მესამეა, რომელიც პოლიტიკისა და სამართლის კავშირს გამოხატავს. ვფიქრობთ, ე. წ. „სამართლებრივი პოლიტიკა," როგორც სამართლისა და პოლიტიკის ვითომდა პირდაპირი კავშირის გამოხატულება, ჩვენი აზრით, სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმების გაიგივების შედეგია, რადგან სადავო არაა, რომ სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოვლენა ამა თუ იმ ნორმატიული აქტის შემუშავებით გამოიხ.ტება. ეს უდავო დებულება რომ ცხადად ყოფილიყო გამოხატული, მაშინ ტერმინი „სამართლებრივი პოლიტიკა" პოლიტიკისა და სამართლის კავშირს ნორმატიული აქტების ფორმით, ანუ „მესამით" იქნებოდა გამოხატული, ხოლო, ეს „მესამე," ესე იგი, ნორმატიული აქტი, როგორც პოლიტიკისა და სამართლის კავშირის ფორმა, მართლაც იქნებოდა კატეგორიული აზროვნების წესის გამოვლენა. მაგრამ, სამწუხაროდ, „სამართლებრივი პოლიტიკა" პოლიტიკისა და სამართლის მექანიკურ კავშირს გამოხატავს და ამ ასპექტით კატეგორიალური აზროვნებისათვის ადგილი არ რჩება. რეალურ სინამდვილეში, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოვლენის ფორმას ანუ პილიტიკისა და სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, კავშირის ფორმას ანუ ნორმატიულ აქტს, სისხლის სამართლის კანონი წარმოადგენს, რადგან იგი სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა. სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ გერმანიის ფედერაციულ რესუბლიკაში, სადაც სისხლის სამართლის კოდექსის გარდა, სხვა ნორმატიული აქტებიც მოქმედებენ.

როგორც ჩანს, საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკისა

---

[112] იხ. გ. ხუბუა, როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, გვ. 42
[113] იქვე,გვ. 43
[114] იქვე,, გვ. 43
[115] იქვე, გვ. 45

და სისხლის სამართლის კავშირის ფორმას სისხლის სამართლის კანონი წარმოდგენს. შევნიშნავთ, რომ სისხლის სამართლის კანონი კატეგორიალური ბუნებისაა, ესე იგი, აზრის ისეთი ლოგიკური ფორმაა, რომელსაც კატეგორია ეწოდება.თუ ცნება, როგორც აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა, იყოფა ზოგადისა და კერძოს, გვარისა და სახის მიხედვით, კატეგორიას ამგვარი დაყოფა არ გააჩნია და ამიტომ მას უზოგადეს ცნებას უწოდებენ. ცხადია, იგულისხმება არა მხოლოდ საერთოდ „უზოგადესი," როგორც ეს ფილოსოფიის კატეგორიებზე ითქმის, არამედ „უზოგადესი" ამა თუ იმ სფეროში, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროშიც. საკითხავია: რომელი თეორიული სისტემის კატეგორია" სისხლის სამართლის კანონი"? გასაგებია უნდა იყოს, რომ პოლიტიკოლოგია, როგორც პოლიტიკის შესახებ კერძო მეცნიერება, და სისხლის სამართლის კერძო მეცნიერება, პოლიტიკისა და სისხლის სამართლის კავშირის ფორმას – სისხლის სამართლის კანონს – ვერ გასწვდებიან და ამიტომ დასმული პრობლემა ფილოსოფიის სფეროში გადადის. აქ იგულისხმება არა მარტო „ფილოსოფია" ზოგადად, არამედ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, ფილოსოფიაც. სამწუხაროდ, ზოგადად „სამართლის ფილოსოფიაზე" ბევრი იწერება, ხოლო სამართლის დარგობრივ ფილოსოფიებზე, – როგორც წესი, უფრო იშვიათად. კიდევ უფრო იშვიათია ამ მხრივ სისხლის სამართლის ფილოსოფიაზე მსჯელობა. ცხადია, დასმული პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ იგი დამოუკიდებელ და ვრცელ მსჯელობას მოითხოვს. აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ამჟამინდელი ჩვენი მიზანი იმ საკითხის დასმაა, არის თუ არა სისხლის სამართლის კანონის შექმნა შემოქმედებითი აქტი? „შემოქმედება," ფილოსოფიური ცნებაა, რომელიც, ჩვენში, სამწუხაროდ, ნაკლებად დამუშავებულ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. მით უფრო ნაკლებად ან სულაც არაა იგი დამუშავებული იურიდიულ ლიტერატურაში, რომელშიც ტერმინი" სამართალშემოქმედება" ხშირადაა გამოყენებული, მაგრამ სათანადოდ არაა ნაჩვენები, თუ რა არის ჭეშმარიტად შემოქმედებითი ამა თუ იმ ნორმატიული აქტის შექმნაში? ეს საკითხი კიდევ უფრო პრობლემურია სისხლის სამართლის სფეროშიც. ნ. ალიევი თავის დროზე წერდა: „სისხლის სამართლის საგანსა და სისტემაზე ყურადღების გამახვილება გვიჩვენებს, რომ მის ჩარჩოებში არ არსებობს კანონის ფუნქციონირების საწყისი რგოლი, – მისი შემნის თეორია, ესე იგი, სამართალშემოქმედების თეორია. მეცნიერების სრულყოფილობის მიღწევის ლოგიკა მოითხოვს, რომ ამგვარი თეორია, – დამატებითი გარემოებების გათვალისწინებით, – შევიდეს მის საგანსა და სისტემაში".[116]

სამწუხაროდ, თვით ავტორს არა აქვს სათანადოდ განხილული, თუ რას წარმოადგენს „შემოქმედება" ფილოსოფიაში და რა სპეციფიკური გამოვლენა აქვს მას სისხლის სამართლის კანონის შექმნის სფეროში? კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ დასმული პრობლემა, რამდენადაც შეგვიძლია ამ მხრივ განვსაჯოთ რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა, – არც თანამედროვე სისხლის

[116] იხ. Н. Г. Алиев, Теорические проблемы уголовного правотворчества, Ростов, 1986, стр. 48

სამართლის თეორიაშია დამუშავებული.

ვფიქრობთ, კანონი, როგორც ნორმატიული აქტი, საგანთა სამართლებრივ ბუნებას, ანუ, სამართლებრივ ურთიერთობას გამოხატავს, იმის მიუხედავად, მოწესრიგებულია თუ არა ეს ურთიერთობა ოფიციალური კანონმდებლობით. მაგალითად, სამართლის სისტემა ობიექტურია, რადგან იგი იყოფა მასში გამოხატული სამართლებრივი ღირებულების იერარქიის მიხედვით. კერძოდ, სამართლის სისტემის უპირველეს ელემენტს წარმოადგენს კონსტიტუციური სამართალი, ხოლო სისხლის სამართალი ამ სისტემის სასრული ელემენტია. ეს იმით აიხ.ნება, რომ კონსტიტუციური სამართალი სამართლებრივი მოთხოვნის, ანუ, ღირებულების, მაქსიმუმს გამოხატავს, მაშინ, როდესაც სისხლის სამართალში ამ მოთხოვნის მინიმუმია გამოხატული. ამიტომაა, რომ, ჯერ ერთი, დანაშაული სამართალდარღვევის უკიდურეს სახეს წარმოადგენს, ხოლო სასჯელი სახელმწიფო იძულების უკიდურესი სახეა. მეორეც, კანონმდებელმა სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის ადგილი სწორად უნდა გაარკვიოს. სხვაგვარად სისხლის სამართლის კანონის შექმნას აზრი არ ექნებოდა. მესამეც, სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის ადგილის დადგენა გასაგებს ხდის იმ გარემოებასაც, რომ „კანონშემოქმედების" ცნება თანაბრად აქტუალურია როგორც კონსტუტუციურ სამართალში, ისე სისხლის სამართალში. თვით კანონის შექმნა თვითნებური აქტი კი არაა, არამედ ობიექტური ვითარების თავისებური გამოხატვაა, იმის მიუხედავად, რომ კანონმდებელი გარესინამდვილისადმი „ნეიტრალური" დამოკიდებულებით კი არ მოქმედებს, არამედ, პირიქით, ეს დამოკიდებულება პრაქტიკულ-ღირებულებითია. ეს ნიშნავს, რომ კანონმდებელი საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტია, ესე იგი, კანონის შექმნა პრაქტიკული საქმიანობის სფეროა. ცხადია, კანონის შექმნა გარესინამდვილისადმი თეორიული, ანუ, მეცნიერული დამოკიდებულებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია, მაგრამ არც ამ მეცნიერულ დამოკიდებულებაზე არ დაიყვანება. ვფიქრობთ, კანონშემოქმედების ჭეშმარიტ ბუნებას არსებითად ეწინააღმდეგება სამართლის გნოსეოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმად, სამართალი სინამდვილეს ასახავს და ამიტომ ჭეშმარიტება-მცდარობის კრიტერიუმებით იზომება. მაგალითად, ვ. ბარანოვი ფიქრობდა, რომ სამართლის ნორმები შეიძლება შევაფასოთ, როგორც ჭეშმარიტი ან მცდარი, რადგან ისინი წარმოადგენენ" ობიექტური საზოგადოებრივი კავშირებისა და ურთიერთობის შესახებ მსჯელობებს"[117]ავტორი არც იმას უარყოფდა, რომ სამართალში შეფასებითი მსჯელობებიც გვხვდება, მაგრამ უპირატესობას მაინც გნოსეოლოგიური ტიპის მსჯელობებს ანიჭებდა. მისი საბოლოო დასკვნით, საბჭოთა სამართალი ჭეშმარიტია და ამიტომ სასარგებლოა კიდეც.[118]ისმის კითხვა: თუ სამართალი

[117] В. И. Баранов, Категория истины в советстком правроведении, методологическое зтачение, состояние и перспективыа исследования, „ Некоторые философские проблемы государства и права, „ Вып. 3. Саратов, 1978, сю 140

[118] იქვე, გვ. 63

ჭეშმაროტება-მცდარობის კრიტერიუმებით იზომება, მაშინ სამართალშემოქმედება თუ კანონშემოქმედება, პრაქტიკული შემოქმედების სახე კი არაა, არამედ, პირიქით, თეორიული, მეცნიერული, შემოქმედების სახეა. მეორეც, თუ ჭეშმარიტება არის ჩვენი წარმოდგენების შინაარსის ობიექტურობა[119], მაშინ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აღწერილი ქმედების შემადგენლობები „შემოქმედების" ცნებით ვერ გამოიხ.ტებიან. მართლაც, არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობანი, რომლებიც ე. წ. „ახსნის „პრინციპით გამოიხ. ტებიან. ამ პოზიციიდან ცნების გენეზისური განსაზღვრებაა შესაძლებელი და ამიტომ „ახსნითი" შემეცნებაც მნიშვნელოვანია. მაგრამ შემეცნების უფრო მაღალი საფეხურია „აღწერა," რომელიც მიზნისა და საშუალების მიმართებას გამოხატავს. ამ პოზიციიდან შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში აღწერილი ქმედების შემადგენლობები ე. წ. აღწერილობით, ფაქტის, მსჯელობებს წარმოადგენენ. მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მისი მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით. ცხადია, ეს დებულება, თავისი ბუნებით, აღწერილობითია, ფაქტის მსჯელობაა. აქედან გამომდინარე, დგება პრობლემები: 1. არის თუ არა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნა შემოქმედებითი აქტი? 2. სადაა სისხლის სამართლის ნორმა, როგორც აკრძალული ქცევის წესი, რომელიც ქმედების დადებითი ან უარყოფითი შეფასების საფუძველია? 3. რას ნიშნავს კრიმინალიზაციის ობიექტი და მისი სტრუქტურა?

ჩვენი აზრით, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნა, როგორც ასეთი, შემოქმედებითი აქტი ვერ იქნება. მით უფრო, რომ ამ ასპექტით უფრო ე. წ. საკანონმდებლო ტექნიკა იგულისხმება, თუმცა საკანონმდებლო ტექნკური წესის დარღვევაც სერიოზულ უარყოფით შედგებს შეიძლება დაუკავშირდეს. მაგალითად, პროფ. ო. გამყრელიძემ ცხადჰყო, რომ 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლში ქრთამის აღების გარემოებების არასწორმა ფორმულირებამ, ამ მუხლის მეორე ნაწილის გაფართოებამ და მესამე ნაწილის უგულებელყოფამ, ხელი შეუწყო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისთვის სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის შეფარდების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას.[120]

ვფიქრობთ, ქმედების საკანონმდებლო შემადგენოლობის შექმნა, როგორც წესი, შემოქმედებითი აქტი ვერ იქნება, მაგრამ ამ მიმართებით არაა გამორიცხული კანონმდებლის ოსტატობა, რომელიც, ერთი მხრივ, იმაში გამოიხ. ტება, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნისას მან უნდა გათვალოს დანაშაულის ჩადენის ყველა შესაძლო ვარიანტი, რაკი დანაშაულის ჩადენა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გზით ხდება; მეორე მხრივ, ეს ოსტატობა საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფილად გამ-

[119] იხ. ჯ. კორძაია, ჭეშმარიტების ზოგიერთი საკითხი ვ. ლენინის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში, თბილისი, 1973, გვ. 39

[120] იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 3. თბილისი, გვ. 83

ოყენებითაც შეიძლება გამოიხ.ტოს. მაგრამ ამ ასპექტით „შემოქმედება“ ვერ გამართლდება, რადგან კანონში სამართლის გამოხატვის გარეშე არც „სამართალშემოქმედება“ ხდება შესაძლებელი და არც „კანონშემოქმედება.“ აქედან გამომდინარე, მოკლედ მაინც უნდა განვიხ.ლოთ ის საკითხი, თუ რა დამოკიდებულებაა ჭეშმარიტების გამომხატველ მსჯელობებსა და ღირებულებით მსჯელობებს შორის, რადგან სამართალიარც ჭეშმარიტებისგანაა მოწყვეტილი, თუმცა არსებითად ღირებულებით (შეფასებით) მსჯელობას გამოხატავს. უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტებასა და ღირებულებას შორის არსებითი სხვაობაა. ამ საკითხზე საინტერესოდ მსჯელობდა ოთარ ბაკურაძე ჯერ კიდევ 1966 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. მისი აზრით, ჭეშმარიტება შემეცნებითი ტიპის მსჯელობაა, რის გამოც ჭეშმარიტება არაა ღირებულება, რადგან შემეცნებით და შეფასებით მსჯელობებს შორის სხვაობა არსებითია. თუ ჭეშმარიტებას ღირებულებას მივაწერთ, მაშინ ის შეფასებითი მსჯელობა გახდება. რაც ჭეშმარიტების არსებას ეწინააღმდეგება. სულ სხვა საკითხია, თუ ვიტყვით, რომ ჭეშმარიტებას აქვს შემეცნებითი ღირებულება, რადგან ამ ასპექტით ჭეშამრიტების გნოსეოლოგიური ფუნქცია არ იცვლება.[121] ავტორის მტკიცებით, ღირებულებითი მსჯელობა მიზნობრივია, ტელეოლოგიურია, რის გამოც ის ჯერარსის ფორმით გამოითქმის. ავტორი ფიქრობს, რომ ფაქტის მსჯელობაშიც კი ფორმალურად შეიძლება აღმოვაჩინოთ ღირებულებითი მსჯელობის მსგავსი ვითარება. მაგალითად, „ადამიანი უნდა მოკვდეს,“ ფაქტის მსჯელობაა, რადგან ის შეიძლება მეორე ფაქტის მსჯელობით შეიცვალოს: „ყველა ადამიანი კვდება“, მაგრამ „ადამიანი სიმართლეს უნდა ამბობდეს“, არ შეიძლება ასეთივე გზით შეიცვალოს ფაქტის მსჯელობის ფორმაში: „ყველა ადამიანი სიმართლეს ამბობს“, რადგან ეს უკანასკნელი მსჯელობა მცდარია.[122]აქედან ავტორი ასკვნის, რომ ადამიანი მხოლოდ შემეცნებას როდი ეყრდნობა. ის სოციალური არსებაა, რის გამოც მისი ინტერესების სისტემა განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი პირობებით, რომლებშიც იგი ცხოვრობს.[123]უფრო მეტიც, შეფასებითი მსჯელობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამა თუ ნორმატიული სისტემის სხვაობის მიხედვით. მაგალითად, ზნეობრივი ნორმისადმი ქცევის ფორმალური შესაბამისობა საკმარისი არაა, ხოლო, სამართლის სფეროში, პირიქით, ქმედება მართლზომიერია, თუ იგი ნორმის მოთხოვნას არ არღვევს.[124]

ამრიგად, ერთია გარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ღირებულებითი დამოკიდებულება, როგორც ადამიანის ყოფიერების პირველადი სფერო, და მეორეა სინამდვილისადმი მისი შემეცნებითი, თეორიული, დამოკიდებულება, რომელიც პრაქტიკულ დამოკიდებულებაზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია ჭეშმარიტებისა და ღირებულების ფუნქციები და ამის შე-

[121] იხ. О. М. Бакурадзе, Истина и ценность, „Воопросы философии, „ 1966, № 7, стр. 46
[122] იქვე, გვ. 47
[123] იქვე, გვ. 48
[124] იხ. О. М. Бакурадзе, природа морального суждения, ТГУ, 1982, стр. 81-82

საბამისად მათი ხასიათი. ამ საკითხზე თავის დროზე საინტერესოდ მსჯელობდა პროფ. ნ. ჭავჭავაძეც. მისი მტკიცებით, ჭეშმარიტებაც ობიექტურია და ღირებულებაც, რადგან ეს უკანასკნელი გარკვეული იერარქიის წესით არსებობს. ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ჭეშმარიტების ობიექტურობას და ღირებულების ობიექტურობას. კერძოდ, თუ ჭეშმარიტება სინამდვილეს ასახავს, ღირებულებამ სინამდვილე კი არ უნდა ასახოს, არამედ „გარდაქმნას თავის სახედ და შესაბამისად, ესე იგი, თვითონ უნდა გარდაისახოს რეალობაში".[125]ცხადია, ღირებულება, როგორც იტყვიან, ციდან კი არ ვარდება, არამედ ისიც სინამდვილის თავისებური ანარეკლია, მაგრამ სწორედ ისეთი, რომელიც გარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებას გამოხატავს და რეალური სინამდვილის გარდაქმნის მიზანს ისახავს, ქმნის ამ მიზნის შესატყვის საშუალებებს. აქედან ძნელი არაა იმ დასკვნის გაკეთება, რომ სამართალიც, ისევე, როგორც, მაგალითად, ზნეობა, არის საზოგადოების ისეთი ნორმატიული სისტემა, რომელიც სინამდვილის უკეთესობისკენ გარდაქმნის მიზანს ისახავს და ამავე დროს ამ მიზნის საშუალებასაც წარმოდგენს. აქ ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ სამართალი, საზოგადოების სხვა ნორმატიული სისტემის გვერდით, სულიერი კულტურის ფენას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, სამართალიც, ისევე, როგორც სულიერი კულტურის სხვა ფენა, გარკვეულ ქმნადობას ექვემდებარება, იმის მიუხედავად, რომ სამართალი მისი ხელოვნური ქმნადობის გარეშეც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რადგან, იგი, მაგალითად, გვაროვნულ საზოგადოებაში გაცვლით ურთიერთობებში, სულ მცირე, ხელშეკრულების ფორმით მაინც არსებობდა. უფრო თანამედროვე სამართლის ქმნადობაა სათანადო ნორმატიული აქტების ფორმაში.[126]როგორც უკვე ითქვა, ამ პროცესს, როგორც წესი, ტერმინით „სამართალშემოქმედება" აღნიშნავენ,თუმცა ზოგჯერ ტერმინ „კანონშემომედებასაც " იყენებენ. აქედან გამომდინარე, არის თუ არა სამართლის ნორმის კანონის ფორმით გამოხატვა შემოქმედებითი აქტი? ამ კითხვაზე პასუხისათვის საჭიროა თვით „შემოქმედების" ცნების განხილვა. ეს ცნება ფილოსოფიაში რამდენიმე ნიშნით ხასიათდება. პირველ რიგში აქ გამოყოფენ ნაქნარის არსებით სიახლეს, რაც აქამდე ამ სახით არ არსებობდა. მაგრამ არა ყოველგვარი სიახლე, არამედ ისეთი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოსა და პიროვნების ინტერესებისათვის, ესე იგი, ნაქნარს აქვს ღირებულება.[127]

შემოქმედების ფილოსოფიური ცნების გასაგებად, საჭიროა ყოფიერებისა და ცნიბიერების თანაფარდობის მაქსისტული გაგების გადასინჯვაც. მაგალითად, დებულება, რომ ცნობიერებას განსაზღავს ყოფიერება, როგორც ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მარქსისტული გადაწყვეტის გამოხატულება,

---

[125] Н. Чавчавадзе, Культура и ценности, „ Культура в свете философии, Институт философии Академии наук Грузинский ССР, Тбилси, 1979, стр. 45-46

[126] იხ. არსენ ბურჯალიანი, სამართლის ფოლოსოფია, თბილისი, 2012, გვ. 12

[127] იხ. О. Джиоев, Лультьура и творчечство, „Культура в свете философии", стр. 103

ე. პოზდნიაკოვის აზრით, გადასასინჯია, რადგან საქმის რეალური ვითარება პირიქითაა: ცნობიერება განსაზღვავს ყოფიერებას. ამის საბუთად ავტორი იმოწმებს კ. მარქსის ცნობილ გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ყველაზე საუკეთესო ფუტკარს განასხვავებს ყველაზე ცუდი არქიტექტორისაგან ის, რომ, თუ ფუტკარი მოქმედებს ინსტიქტით, არქიტექტორს მისი საქმიანობის გეგმა კი, უკვე თავში აქვს მოცემული. ე. პოზდნიაკოვი იმოწმებს გერმანელი პოეტის ჰაინრიხ.ჰაინეს პოეტურ ფრაზას, რომლის თანახმად, აზრი წინ უსწრებს ქმედებას, როგორც ელვა ჭექა-ქუხილს.[128] თუ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, მაშინ ცნობიერება ყოფიერების ასახვას წარმოადგენს, ხოლო, ამ პოიზიციიდან ცნობიერების აქტივობა და, მაშასადამე, მისი შემოქმედებითობა საეჭვო ხდება. მართალია, კ. მარქსი არ უარყოფს ადამიანის მიერ სინამდვილის გარდაქმნას, მაგრამ ამ მოძღვრებაში სუბსტაცია მაინც ყოფიერებაა და არა ცნობიერება. არა ცნობიერება-ასახვა ქმნის შემოქმედებითობას, არამედ ცნობიერება-კონსრუქტორი, რომელიც მოიხმარს ჭეშმარიტ ცოდნას და აპროგრამებს სინამდვილეს.[129] აქედან, ჩვენი აზრით, ძნელი არაა შემოქმედების ფილოსოფიური ცნების გაგება და მისი გამოყენება სისხლის სამართლის კანონშემოქმედების სპეციფიკის გასაგებად. კერძოდ, ცნობიერება-კონსტრუქტორი ნიშნავს „მოდელირებას," ისეთი ნორმატიული სინამდვილის შექმნას, რომელიც არსებობის ღირსია და ამიტომ უნდა იყოს. „ცნობიერება-კონსტრუქტორი, რომელიც მოიხ. არს ჭეშმარიტ ცოდნას და აპროგრამებს სინამდვილეს," – იმას ნიშნავს, რომ საქმე ეხება პრაქტიკულ საქმიანობას, რომელშიც თეორიული ცოდნაა გამოყენებული. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ კანონშემოქმედება, როგორც ასეთი, პრაქტიკული შემოქმედების სახეა, რადგან კანონმდებელი საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტია, რომელმაც სისხლის სამართლის კანონი დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის ენაზე უნდა აამეტყველოს. კანონმდებელი იყენებს როგორც მეცნიერულ ცოდნას, ვთქვათ, დანაშაულობის მდგომარეობის, დინამიკისა და სტრუქტურის შესახებ კრიმინოლოგიის მონაცემებს, ისე ითვალისწინებს საზოგადოებრივი პრაქტიკის წინაშე მდგარ ამოცანებს, მათ შორის – სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემატიკაშიც.

ის, რომ ადამიანის ცნობიერება წინ უსწრებს მის ქმედებას, დასტურდება აკად. ვ. კურდრიავცევის შემდეგი დებულებიდანაც. ავტორის აზრით, ადამიანის ქმედება იშლება დროსა და სივრცეში. ამ პროცესს აქვს გარეგანი და შინაგანი მხარე. თუ გარეგანი მხარე გამოიხ.ტება მოქმედების ფორმით, რომელიც მიმართულია რომელიღაც ობიექტზე, ან უმოქმედობის ფორმით, მისი „შინაგანი, სუბიექტური მხარე არა მარტო თან ახლავს ამ მოქმედებას ან უმოქმედობას, წარმოადგენს რა მის ფსიქოლოგიურ რეგულატორს და ცნობიერებაში მის ასახვას, არამედ, რაც მთავარია აღინიშნოს, – წინ უსწრებს მას. უმრავლეს შემთხვევაში იქამდე, ვიდრე ქმედება იქნება ჩადენილი, ადამიანი ჩაიფიქრებს

[128] იხ. Э. Поздняклов, Философия политики, Т.1, М. 1994, стр. 13).

[129] იხ. ჯანსულ კორძაია, კულტურის სუბსტანციისათვის, თბილისი, 2003, გვ. 77).

მას, ზოგჯერ იცდის გარკვეულ დრომდე, ხოლო შემდეგ მას ახორციელებს".[130]

როგორც ჩანს, ადამიანის ცნობიერება ნინ უსწრებს მის ქმედებას, მით უფრო, როცა საქმე ეხება ადამიანის საქმიანობის ისეთ რთულ სფეროს, როგორიცაა შემოქმედება. როგორც ჩანს, შემოქმედების შესახებ ცოტა იწერება თვითონ ფილოსოფიაშიც კი. ამჯერად მოკლედ შევეხებით შემოქმედების ფილოსოფიურ გაგებას, რომელიც პროფესორმა ოთარ ტაბიძემ წარმოადგინა ჯერ კიდე 1986 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „შემოქმედების არსი." ავტორის აზრით, შემოქმედებითობის რამდენიმე პირობა არსებობს. პირველი ამ მხრივ არის პირველქმნა და არა მიბაძვა. შემომქმედი პირველაღმომჩენი და პირველშემქნელია.[131]ეს გარემოება ართულებს შემოქმედების მეცნიერულ კვლევას, რომელიც გარკვეული განზოგადების გარეშე შეუძლებველია. გარდა ამისა, შემოქმედება ე. წ. ღვთიური სიშმაგისა და შთაგონების გარეშე ძნელია წარმოსადგენია, მაგრამ შემოქმედებითობის ნიშანი არის შემოქმედების მინაღწევარის ღირებულებითი დახასიათებაც.[132]ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის შემოქმედების მხოლოდ ფილოსოფიურ გაგებას წარმოაჩენს. იგულისხმება, რომ თუ საზოგადოდ შესაძლებელია შემეცნება, მაშინ შემოქმედების შემეცნებაც უნდა იყოს შესასძლებელი. ავტორის აზრით, ერთმანეთისაგან განასხვავებენ არმოჩენას, გამოგონებას და შემნას. ავტორი ამ მხრივ უპირატესობას ანიჭებს აღმოჩენას, რადგან ამ ლოგიკით ცხადია, რომ „აღმოსაჩენი არსებულა შემომქმედის გარეშე და შემომქმედის დამსახურება მხოლოდ მის დანახვაში, მისი დასანახი გზების გაკვლევაში უნდა მდგომარეობდეს."[133]თუ შემოქმედება გამოგონებაა, მაშინ გამონაგონის ფრიად სასარგებლო თვისების მიუხედავად, ის მაინც ფიქციაა, გონების კონსტრუქციაა.[134]აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ შემოქმედება აუცილებლობით გულისხობს აღმოჩენას, მაგრამ არა მხოლოდ მეცნიერულ შემოქმედებაში, არამედ მხატვრულ შემოქმედებაშიც, რაკი შემოქმედმა აქ ნახევრად რეალური უნდა გაითამაშოს.[135]საბოლოდ ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ შემოქმედება არის აღმოჩენა ობიექტური ღირებულების სფეროში. მეცნირული შემოქმედების სფეროში – ეს არის ჭეშმარიტება, ხოლო, მხატვრული შემოქმედების სფეროში რაღაც ობიექტური ღირებულების ანუ მშვენიერების მიკვლევა და შესაბამისი ხერხებით გამოსახვა.[136]ავტორი შემოქმედების სხვა სახეებსაც მოიხსენიებს, როგორცაა, მაგალითად, პრაქტიკული შემოქმედება, როელიც მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანია. მართლაც, კანონმდებელი, როგორც უკვე ითქვა საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბი-

[130] იხ. В. Н. Кудрявцев, Генезис преступления, Опыт криминологического моделироания, Учебное пособие, М. 1998, стр. 17

[131] ო. ტაბიძე, შემოქმედების არსი, თბილისი, 1986, გვ. 4

[132] იქვე, გვ. 7

[133] იქვე, გვ. 23

[134] იქვე, გვ. 24

[135] იქვე, გვ. 25

[136] იქვე, გვ. 26

ექტია, რომელიც მოწოდებულია, სისხლის სამართლის კანონი დანაშაულთა წინააღმდეგ ბძოლის პრაქტიკის ენაზე აამეტყველოს.

ამრიგად შემოქმედება არის ახლისქმნადობა, აღმოჩენაა როგორც მეცნიერების ისე მხატვრული შემოქმედების სფეროში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მაგალითად, პოლიტიკური საქმიანობა, კანონშემოქმედებითი საქმიანობა და სხვ. შეიძლება თუ არა შემოქმედების ამ გაგებიდან გამოვიყვანოთ კანონშემოქმედების ცნება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველივე დებულებას რომლის თანახმად, ეს კოდექსი განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას.აქედან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი კანონშემოქმედების პროცესში მოწოდებულია, საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეებში აღმოაჩინოს ისეთი ანტისაზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მის აკრძალვას იმსახურებს. ამ შემთხვევაში, ლათინური ტერმინი რომ გამოვიყენოთ საქმე შეეხება კრიმინალიზაციის ობიექტის აღმოჩენას. ამ შემთხვევაში კანონმდებელი შეარჩევს ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც თავისი არსით ანტისოციალურია და რომელიც არ უნდა ექნეს ჩადენილი. ქედან გამომდინარე კრიმინალიზაციის ობიექტის აღმოჩენა კანონმდებლის მართლაც შემოქმედებითი აქტია, რადგან ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ერთეული და ინდივიდუალური და შემთხვევითი ქმედება, რომელიც არ განმეორდება, არამედ პირიქით, სწორედ ისეთი, რომელიც, ესთეტიკის სფეროში მხატვრული სახის ცნება რომ გამოვიყენოთ, „ტიპური ხატია ტიპურ გარემოში". ეს ნიშნავს, რომ კანონმდებელი მოქმედებს გარკვეული პრინციპებით და კრიტერიუმებით. კერძოდ, სისხლის სამართლის ყველა ძირითადი პრინციპი მიმართულია კანონმდებელზე, რათა მან სისხლის სამართლის კანონი ამ პრინციპების მიხედვით ააგოს.[137]

კანონმდებელი უნდა ამოვიდეს კრიმინალიზაციის ობიექტის იმ თვისებიდან რომ, იგი ზიანს აყენებს როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს და პიროვნების ინტერესებს. ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება ჩეზარე ბეკარიამ თავის სახელგანთქმულ ნაშრომში „დანაშაულისა და სასჯელისათვის.[138]აღსანიშნავია რომ კრიმინალიზაციის ობიექტი, ვიდრე მისი საკანონმდებლო აკრძალვა მოხდება, ოთხი სტრუქტურით ხასიათდება. პირველი ამ მხრივ არის ქმედების ობიექტი, ესე იგი, რისკენაც ეს ქმედებაა მიმართული, მეორეა ობიექტური მხარე ანუ ქმედების გარეგანი მხარე, მისი სუბიექტური მხარე და სუბიექტი. მაგალითად, საქართველოში, ვიდრე არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი არ იყო აკძალული სისხლის სამართლის კანონით, ის არსებობ-

---

137 იხ. გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური საგანი, თბილისი, 1998.

138 ჩეზარე ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, იტალიურიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო ირაკლი ხუცურაულმა. თბილისი 2003

და, როგორც ანტისაზოგადოებრივი ურთიერთობა. მისი ობიექტი იყო ოჯახისა და არასრულწლოვნის ინტერესები; მას სჩადიოდნენ ადამიანები, რომლებიც ხასიადებოდნენ შერაცხუნარიანობით, არასრულწლოვანთა ტრეფიკინგიდან გარკვეული მატერილური თუ სხვაგვარი სარგებლის მიღებით; თვით ტრეფიკნგის აქტი შედგებოდა, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მხარეებისაგან. მაგრამ მას შემდეგ, რაც კანონმდებელმა აკრძალა არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი (იხ. საქ. სსკ-ის 143[2] მუხლი), შეიქმნა ამ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, ტრეფიკინგი წარმოჩნდა, როგორც ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა, ხოლო, ქმედების ობიექტი და სუბიექტი ამ ქმედების შემადგენლობის გარეთ აღმოჩნდა. ეს დებულება შეიძლება დავადასტუროთ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებით.კერძოდ, ამა თუ იმ ქმედების სისხლისსამართლებრივად დასჯადად გამოცხადებით, კანონმდებელი იდეალურად ქმნის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებს (ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და ა.შ.,), რომლებიც, ღირებულებათა იერარქიის მიხედვით, შეადგენენ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემას. ისიც აშკარაა, რომ ამ ობიექტებს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის პრევენციული ფუნქცია, როგორც ეს სისხლის სამართლის დოგმატიკაში ტრადიცულადაა მიღებული, არამედ, რაც მთავარია, სისხლის სამართლის სუბიექტის მართლზომიერი ქმედება. საქმე ის გახლავთ, რომ კანონმდებელი არა მარტო ქმნის სისხლის სამართლის კანონს, არამედ მას შესაბამის სუბიექტებზე (მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, მოხელე, მძღოლი, მედიცინის მუშაკი და ა. შ.) მიმართავს, რათა მათი მართლზომიერი ქმედებით დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცული იქნეს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტები. აქედან გამომდინარეობს, რომ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტები და სუბიექტები ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ელემენტებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს. სისხლის სამართლის სუბიექტი, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი, ერთი მხრივ, ვალდებულია, მოქმედებდეს მართლზომიერად, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც პიროვნება, მოწოდებულია, ამ ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად, ესე იგი, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ სისხლის სამართლის დოგმატიკაში სათანდოდ არაა დასაბუთებული დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და მისი სტრუქტურა, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში შეიტანეს ქმედების არა მხოლოდ ობიექტური და სუბიექტური მხარეები, არამედ ქმედების ობიექტიც და სუბიექტიც. ამით კრიმინალოზაციის ობიექტის სტრუქტურა, რომელიც სოციოლოგიურად არსებობს, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურად წარმოჩნდა, რის გამოც ქმედების საკნონმდე-

ბლო შემადგენლობაც სოციოლოგიურ ფენომენად გადაიქცა, ხოლო, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა სოციოლოგიურად არ არსებობს. მასასადამე, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის სტრუქტურაში ქმედების ობიექტისა და სუბიექტის შეტანა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ლოგიკურ უარყოფას წარმოადგენს. „დანაშაულის ობიექტი და სუბიექტი" კი არ არსებობს, როგორც ეს მიჩნეულია რუსული სისხლის სამართლის დოგმატიკაში, არამედ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, რომელსაც დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს სისხლის სამართლის სუბიექტის მართლზომიერი ქმედება. ამის გამო კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტები და სუბიექტები ქმედების შემადგენლობის ელემენტებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, რომლებიც სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემას ქმნიან და აფუძნებენ მართლზომიერ ქმედებას, რომლის მეშვეობით სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა მართლწესრიგში გადადის.

ამრიგად, კრიმინალიზაციის ობიექტის აღმოჩენა და შესაბამისი კრიტერიუმებით მისი წარმოჩენა შემოქმედებითი აქტია, მაგრამ, ვფიქრობთ, არაა გამორიცხული გარკვეული შენამქნი, რომელიც წმნიდა ობიექტურად არ არსებობს, მაგრამ კანონმდებელი მას ქმნის გარკვეული მოსაზრებით. მხედველობაშია სამართლებრივი ფიქციები, რომლებიც კანონმდებლის გამონაგონია, რადგან დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკა ამ ფიქციებს საჭიროებს. მაგალითად, ფაქტობრივად პირველი ქურდობა იურიდიულად მეორეა, თუ ის ჩადენილია ამ პირის მიერ, ვქთვათ, ბანდიტიზმის (საქ. სსკ-ის 224-ე მუხლი) ჩადენის შემდეგ (იხ. საქ. სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე შენიშვნა).

გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს სამართალშიც მემკვიდრებითობის პრინციპი, რომლის თანახმად, კანონმდებელი იყენებს ამ მხრივ წარსულის გამოცილებას, რის გამოც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კანონმდებელი კანონშემოქმედებას თავიდან კი არ იწყებს, არამედ ახალ ამოცანებთან კავშირში ქმნის ახალ ნორმას, რომელიც კრიმინალიზაციის ახალ ობიექტის აღმოჩენით გამოიხ.ტება ან ამ ობიექტის ახალ თვისებას გამოხატავს.

ბოლოს, არსებობს გარკვეული ანალოგია მხატვრულ შემოქმედებასა და სამართალშემოქმედებას შორის. ეს ანალოგია იმით აიხ.ნება, რომ არხებობს სამართლისა და ხელოვნების ანალოგიური ნიშნები. მაგალითად, თუ მეცნიერებაში ერთი მეცნიერის იდეები შეიძლება შემოქმედებითად გააგძელოს მეორემ, მხატვრულ შემოქმედებაში ერთი ხელოვანის იდეებს თვით ეს ხეოლოვანი თუ გააგძელებს, ხოლო, სხვის მიერ მისი მხატვრული შემოქმედების გაგძელება შეუძლებელია. მაგალითად, ცნობილია, რომ ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას" თავდაპირველი ვარიანტი შედარებით მოკლე იყო, ხოლო სტამბის მუშების თხოვნით მწერალმა იგი საკმაოდ მოზრდილ მოთხრობად აქცია. მაშასადამე, ისევე, როგორც ხელოვნებაში ერთი ავტორის იდეას მეორე ვერ გააგრძელებს, სამართალშიც მოქმედ ნორმატიულ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შე-

ტანა მხოლოდ კანონმმდებელს შეუძლია. გარდა ამისა, ხელოვნებაში ყოველი მხატვრული სახე ინდივიდუალური და განუმეორებელია, სამართლის ყოველი ნორმაც არ იმეორებს სხვას. მართალია, არსებობს ანალოგიური ნორმებიც, მაგრამ ორიგინალურობა და ინდივიდუალურობა არც ამ ნორმებშია გამორიცხული. თუ ყოველი მხატვრული სახე არა მარტო ინდივიდუალურია და განუმეორებელი, არამედ აბსოლუტურადაა დასრულებული. სამართლის ყოველი ნორმა, როგორც გარკვეული ღირებულების არსებობის ფორმა, თასვის თავში ისეა დასრულებული, რომ იგი ამ მხრივ აბსოლუტურია. ამიტომაა, რომ გარკვეული ქმედება ან არის დანაშაული, ან არ არის ასეთი.

სამართლისა და ხელოვნების ეს ზოგიერთი ანალოგიური ნიშანი ესთეტიკური შემოქმედებისა და სამართალშემოქმედების ანალოგიას განაპირობებს, ამ გარემოებას თავის დროზე ყრადღება მიაქცია გიორგი ნანეიშვილმა. მისი მართებული შენიშნვით, როგორც სამართალი არ არსებობს უდასაწყისოდ, ესე იგი, სათანადო ნორმატიული ფორმის გარეშე, ისე ესთეტიკური იდეა თავის გამოხატულებას ესთეტიკური შემოქმედების, მხატვრული სახის ანუ, სურათის გარეშე შეუძლეელია.[139] ავტორი ხაზს უსვამდა იმ ანალოგიას, რომელიც ხელოვნებასა და სამართალს შორის არსებობს. მისი დასკვნით, ისევე, როგორც ესთეტიკური იდეა თავის გამოხატულებას პოულობს სურათში ესთეტიკური შემოქმედების მეშვეობით, „სწორედ ასევე სამართლის არამომქმედი აზრის ნამდვილ (ქმედით) შინაარსად ქცევა შეიძლება მხოლოდ სამართლის შემოქმედების მეშვეობით".[140]

ამრიგად, კრიმინალიზაციის ობიექტის აღმოჩენა, სათანადო კრიტერიუმებით, მისი საკანონმდებლო შემადგენლობების შექმნითურთ, შემოქმედებითი აქტია, ხოლო, კანონმდებელი არა მარტო ქმნის სისხლის სამართლის კანონს, არამედ მას დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით აამოქმედებს. მაგრამ სისხლის სამართლის კანონის არა მხოლოდ ზოგადპრევენციული მოქმედების თვალსაზრისით, არამედ, რაც მთავარია, სისხლის სამართლის სუბიექტის, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატის, მართლზომიერი ქმედებით, რომელიც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი მისი პასუხისმგებლური დამოკიდებულების შედეგია.

ისმის კითხვა: როგორ ეგუება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობის იდეა სისხლის სამართლიას სფეროში ლიბერალიზმის იდეებს? მართლაც, ლიბერალიზმის კლასიკური სისტემა ამოდის სახელმწიფოს მხრივ რაიმე დანაწესებისგან პიროვნების თავისუფლებით იდეიდან, რაც ფრიად სადავო და გაურკვეველია, რადგან სახელმწიფოსა და პიროვნების რეალური ურთიერთობა მათი ურთიერთპასუხისმგებლობის გარეშე შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე

[139] გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, "სამართლის ფილოსფიის საკითხები," 1992, გვ. 66

[140] იქვე, გვ. 65

სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეას ემყარება, კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებთან შეუთავსებელი ჩანს. მართალია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სისხლის სამართლის სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება თავისუფლების იდეას ემყარება, მაგრამ სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის თუნდაც პოზიტიური პასუხისმგებლობა იმის აღიარებას ნიშნავს, რომ პიროვნება სახელმწოფოს მერ მიღებულ დანაწესებზეა დამოკიდებული და ამ თვალსაზრისით კლასიკური ლიბერალიზმი ერთგვარი მირაჟია, რომელსაც სახელმწიფო ცხოვრების რეალურ ვითარებასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლიბერალიზმის იდეა შეუძლება თანამედროვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფაქტან შესაბამისობით იქნეს გაგებული. ამ მხრივ ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება ინდირა აუბაკიროვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ვითარებაში უფრო მიზანშეწონილია ე.წ. „ეტატიკური ლიბერალიზმის" იდეა, რომელშიც საზოგადოების მართვაში წამყვანია სახელმწიფო, თუმცა ზოგიერთი ლიბერალური იდეის შემონარჩუნებით.[141]

ჩვენი აზრით, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლერივი ურთიერთობის პოზიციიდან ფრიად საინტერესოა ე. წ. სოციალური სახელმწიფოს იდეა, რომელშიც ყურადღება გამახვიებულია სახელწიფოს სოციალურ ფუნქციებზე, სამართლიანობის იდეაზე და სხვა გარემოებებზე, რომლებიც სახელმწიფოს როლის ზრდაზე მეტყველებენ.[142]მით უფრო, როდესაც დღითი-დღე იზრდება იმ ნაშრომების რიცხვი, რომლებიც ე. წ. გლობალიზაციის საფრთხეს წარმოაჩენენ, თანაც ისეთი მცირე ზომის სახელწმიფოსათვის, როგორიცაა საქართველო. ასეთ პირობებში კლასიკური ლიბერალიზმის იდეა ე. წ. სუსტი სახელმწიფოს შესახებ წარსულს უნდა ჩაბარდეს. სხვა საკითხია, თუ შესაძლებელია ლიბერალური ტიპის დემოკრატია, რომლის თანახმად, სახელმწოფო ხელისუფლება მოიპვება თავისუფალი და რეგულარული არჩევნების გზით; უზრუნველყოფილია პოლიტიკური თანასწორობა და პრულარიზმი; განსხვავებულია სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება, და სამოქლაქო საზოგადოება; აღიარებულია თავისუფალი ბაზარი და კონკურენცია; გმობს ომებს და სხვა ამგვარ ძალადობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.[143]

---

[141] იხ. И. У. Аубакирова, Государственно-управленческая модель „либерального этатизма „ в социальных средах нелиберального типа, „ Государство и право, „ 2015, № 6 .

[142] იხ. О. В. Мартишин,Идея социального государства и ее противники, „ Государство и право, „ 2011, № 12

[143] იხ. ჯამბულ ფუტკარაია, ლიბერალური პოლიტიკური თეორიის არსი, თბილისი, 2008, გვ. 20

§ 2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ლიბერალიზმის თვალსაზრისით

როგორც უკვე იყო აღნიშნული ამ ნაშრომის წინა ორ თავში, ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა, თავისთავად გასაგებია, რადგან, მას ამ მხრივ აქვს გარკვეული თავისთავადობა რაიმე ნორმატიულ აქტში გამოხატვის გარეშეც. მაგრამ როგორც კი ეს პოლიტიკური დოქტრინა რომელიმე ნორმატიულ აქტში გადავა, – იგი მაშინვე ჰკარგავს თავისთავადობას და ამ ნორმატიული აქტით სავალდებულო ხდება შესასრულებლად. ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ ეს ნორმატიული დანაწესი მის ადრესატს აკისრებს ვალდებულებას, რომ ის მართლზომიერი ქმედებით შეასრულოს. უფრო მეტიც, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით აღასრულოს იგი. მაშასადამე, განსხვავებით სისხლის სამართლის პოლიტიკური დოქტრინისაგან, რომელიც პიროვნების თავისუფლების იდეას გამოხატავს, ნორმატიული აქტი, პირიქით, პიროვნების პასუხისმგებლობას გამოხატავს. მართალია, ეს პასუხისმგებლობა თავისუფლებას ემყარება, მაგრამ აქ მაინც პასუხისმგებლობაა და არა თავისუფლება, როგორც ასეთი.

აქედან გამომდინარე, დგება პრობლემა: როგორ უნდა შევაფასოთ ესა თუ ის ნორმატიული აქტი ლიბერალიზმის პოზიციიდან?

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით არსებობს ერთი გამოსავალი – ერთმანეთს შევუდაროთ ორი ან მეტი საკანონმდებლო მოდელი და ამის მიხედვით გავაკეთოთ დასკვნა რომელიმე ნორმატიული აქტის ან მისი რომელიმე ნაწილის ლიბერალური ხასიათის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, მოკლედ წარმოვადგინოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, (1999 წლის 22 ივნისი) რომელშიც დღემდე საკმაოდ ბევრი ცვლილება და დამატება შევიდა.

ვითვალისწინებთ აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლებრივი რეფორმის სამთავრობო კომისიის მიერ ამ კოდექსში შეტანილი ცვლილებებისა და დამამტებების პროექტს, რომელიც ტექსტში „პროექტის“ სახით იქნება მოხსენიებული.

1.ჟურნალ „მართლმსაჯულებისა და კანონის“ ფურცლებზე (2013 N2) გამოქვეყნდა ჩვენი სტატია, რომელშიც სასჯელის მიზნების შესაბამისად, აგრეთვე სხვა რიგი გარემოებების გათვალისწინებით, დასმულ იქნა საკითხი თავისუფლების უვადოდ აღკვეთის, როგორც სასჯელის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღების შესახებ. სამწუხაროდ, ამ წამოწყებას საზოგადოების არცერთი ფენა არ გამოხმაურებია.

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი სერიოზული დამოკიდებულება გვმართებს, რადგან სასჯელის ეს სახე, მეტის-მეტი სიმკაცრისა და შინაგანი წინააღმდეგობის გამო, უნდა გაუქმდეს. ჩვენ არ გავიმეორებთ ყველა იმ არგუმენტს რაც ჩვენს უკვე გამოქვეყნებულ სტატიაშია გამოყენებული. მაგრამ ზოგიერთ ძირითად ასპექტს მაინც შევეხებით. პირველი

ამ მხრივ ის არის, რომ საქართველო, როგორც მცირე ზომის სახელმწიფო, მაგრამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა, გამოირჩეოდა ჰუმანიზმისა და მაღალი ადამიანური ღირებულებებით. მაგალითად, თამარის ეპოქაში სიკვდილით დასჯა ოფიციალური წესით გაუქმებული არ იყო, მაგრამ ფაქტობრივად არც გამოუყენებიათ. გარდა ამისა, საქართველოს ამჟამად მოქმედ კოდექსიდან სისკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი, ამოღებულია. სასჯელის ამ უკიდურესი ზომის მომხრეები აპოკალიფსით და თვითგასწორებების ქაოსით გვაშინებდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, არანაირი ქაოსი და თვითგასწორება არ მომხდარა. ჩვენი ხალხი ღირსეულად შეხვდა საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმებას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხი ღირსეულად შეხვდება თავისუფლების უვადოდ აღკვეთის, როგორც სასჯელის, გაუქმებასაც. ჯერ ერთი, თუ სასჯელის მიზანია, მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენა, მასში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძება, როგორც ეს გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილში – მაშინ ამ მიმართებით უვადო თავისუფლების აღკვეთას როგორც სასჯელს, აზრი არა აქვს. რაც უფრო ხანგძლივია თავისუფლების აღკვეთა, მით უფრო სახიფათოა მსჯავრდებულში პასუხისმგებლობის გამოღვიძების პრობლემა, რადგან სასჯელის სახით ხანგძლივად თავისუფლების აღკვეთას, როგორც წესი, პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძება კი არ მოსდევს, არამედ პირიქით, მისი დაჩლუნგება. დიდი რუსი მწერალი ფ. დოსტოევსკის აზრით, ადამიანის საუკეთესო დახასიათება ის არის, რომ ის ყველაფერს ეჩვევა. ეს ნიშნავს, რომ უვადო თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებული თავის ამ ყოფას შეეჩვევა და პასუხისმგებლობის გრძნობასთან მას არანაირი კავშირი არ ექნება. მაგრამ, ეს ხომ ადამიანის არსებითად გადაგვარებაა! სად პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძება და სად თავისუფლების უვადოდ აღკვეთა! მართალია, როგორც კანონით, ისე „პროექტით“ გათვალისწინებულია ამ სასჯელის გადასინჯვა 25 ან 20 წლის მისი ფაქტიური მოხდის შემდეგ, მაგრამ ეს მაინც არაა გამოსავალი, რადგან სასჯელის მიზნებსა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთას შორის შინაგანი წინააღმდეგობა გადაულახავია. კერძოდ, სიცოცხლე, რომ უფრო მაღალი ღირებულება იყოს, ვიდრე თავისუფლება, მაშინ თავისუფლებისთვის ბრძოლა, თუნდაც სიცოცხლის გაწირვით, უაზრო იქნებოდა. უფრო მეტიც, იმის მიუხედავად, რომ არსებობს სიცოცლის ხელშეუვალი უფლება, რომელიც დაცულია საქართველოს უზენაესი კანონით, – ის მაინც თვითმიზანი კი არაა არამედ საშუალებაა ღირსეული არსებობისთვის. მეორეც, თუ თავისუფლების უვადოდ აღკვეთას მხარს დაუჭერენ მისი ზოგადპრევენციული მნიშვნელობის გამო, – მაშინ გადაულახავ წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან იმანუელ კანტის იმ დებულებასთან, რომ ადამიანი მიზანია და არასოდეს მხოლოდ საშუალება!

ამრიგად, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის უმკაცრესი ზომა, ამოსაღებია. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ საქართველოს რეალური ყოფით სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. მართალია, თუ რომელიმე

ქმედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია, – მას თითქოს ლოგიკურად უნდა მოსდევდეს უმძიმესი სასჯელიც, მაგრამ სასჯელზე სახელმწიფოს უფლების ფილოსოფიური პრობლემა გვაიძულებს, უფორ ღრმად ჩავუფიქრდეთ საქართველოს ყოფის რეალობას და გავითვალისწინოთ საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მდგარი პრობლემები. ამ გამოწვევებს, საქართველოს სახელმწიფო სისასტიკით კი არ უნდა პასუხობდეს, არამედ გულმოწყალე და კეთილგონიერებით უნდა მოეკიდოს ადამიანთა ბედ-იღრბალს. გამორიცხული უნდა იყოს ურთიერთმტორება და ზიზღი. უნდა გვახსოვდეს დიდი ილია ჭავჭავაძის მეტად ბრძნული შეგონება, რომ კანონმდებელი და კანონი მზღვეველი კი არ უნდა იყოს, არამედ გულმოწყალე და კეთილგონიერი, რადგან კანონთან კონფლიქტის მქონე პირი არა მხოლოდ ბოროტმოქმედია, არამედ სათანადოდ ცოდვილიც. ეს მართლაც ასეა, რადგან თუნდაც ღრმად შეგნებული ბოროტების უკან დგას ბოროტმოქმედის მსოფლმხედველობრივი ცდომილება, რომელიც სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული.

ჩვენი აზრით, თავისუფლების უვადოდ აღკვეთის ნაცვლად უნდა დაწესდეს თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ფარგლებში.

2. ვფიქრობთ, უნდა შემცირდეს განაჩენთა ერთობლიობის დროს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა 25 წლამდე.

3. პირობითი მსჯავრი, (საქ. სსკ-ის 63-ე მუხლი), არ უნდა იყოს მიბმული საპროცესო შეთანხმებაზე, რადგან იგი თავის დროზე სრულიად დამოუკიდებლად არსებული ფრიად მნიშვნელოვანი საშეღავათო გარემოება გახლდათ, მათ შორის კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი. და მაშინ რატომ უნდა იყოს სადღეისოდ პირობითი მსჯავრი საპროცესო შეთანხმებასთან მიბმული?

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა სამართლებრივი რეფორმების სამთავრობო კომისიამ მის მიერ შემუშავებული „პროექტის“ მიხედვით, ამოიღო სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც პოზიტიური პასუხიმგებლობის იდეა გამოხატული და პასუხისმგებლობის გრძნობაზეა ლაპარაკი. გამოდს, რომ სისხლის სამართალს და სასჯელაღსრულებით სამართალს პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა და ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობა არ სჭირდებათ! მაგრამ, რა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე ადამიანი პიროვნება ცხოველს ემგვანება და იგი, როგორც პიროვნება, შეუძლებელია? აქედან გამოდინარე, საქართველოს სიხსლის ამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან „პასუხისმგებლობის გრძნობის“ ამოღება ანტისამართლებრივია და ანტიფილოსოფიურიც.

5. ვფიქრობთ, 69-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობისგან პირის გათავისუფლებას ეხება, რამდენადმე შესასწორებელია. კერძოდ, დაზარალებულთან შერიგება დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან.

ხომ არ აჯობებდა, რომ დაზარალებულთან შერიგება თავისთავად ყოფილიყო საკმარისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისათვის, როგორც ზნეო-

ბრივი აქტი და იგი აუცილებლობით არ იყოს დაკავშირებული ზიანის ანაზღაურებასთან, რადგან ასეთი მაღალი მოტივი, როგორიც არის შერიგება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან კარგავს თავის დამოუკიდებელ ღირებულებას.

6. 187-ე მუხლის (ნივთის დაზიანება და განადგურება) მე-4 ნაწილში პასუხისმგებლობა დამძიმებულია, თუ მას მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ჩვენ გვესმის, რომ ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობით ქმედებას მეტი ტრაგედია ახლავს, მაგრამ იქნებ აქ ობიექტური შერაცხვა უფროა, ვიდრე ბრალეული? საქმე ის გახლავთ, რომ გაუფრთხილებლობა წინდახედულობის ნორმისადმი სუბიექტის ქარაფშუტული ან დაუდევარი დამოკიდებულებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, აქ საქმის ვითარება იმითაც არის გართულებული, რომ თვით ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით ხდება და თუ ამას უნდა დაემატოს ახალი გაუფრთხილებლობა, თუ მას ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება ან ორი ან მეტისა, – თან სასჯელი საკმაოდ მძიმეა, 9-12 წლამდე, მითუმეტეს, რომ მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის ამ შუალედში მოსამართლეს არ რჩება შესაძლებლობა, მოახდინოს პასუხისმგებლობის დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია.

7. 194- ე მუხლის (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) მესამე ნაწილში, თუ თავმოყრილია ამ ქმედების დამამძიმებელი გარემოებანი, შეიძლება სასჯელი მკაცრი იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის (9-12) ზღვარი იმენად მცირეა, რომ აქაც, მოსამართლეს არ რჩება შესაძლებლობა მოახდინოს პასუხისმგებლობის დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია.

8. 198-ე მუხლის (ადამიანის სიცოცხლის ან ჯანრთლებისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია) მეორე ნაწილში გათვალისწინებულია იგივე ქმედება, თუ მან საფრთხე შექმნა ამ დაზიანებისათვის. პირველ ნაწილში აქ გათვალისწინებულია თავისუფლების შეზღუდვა სამ წლამდე, მაგრამ იქვე მითითებულია მეორე ალტერნატივა – თავისუფლების აღკვეთა 5- 8 წლამდე. გაუგებარია, ეს რა ალტერნატივაა?

9. სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით 2015 წლიე საკანონმდებლო ცვლილებაზე გათვალისიწნებული სანქცია – თავისუფლების აღკვეთა 7-14 წლამდე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულებამ ჩათვალა არაკონსტიტუციურად და მოითხოვა მისი მოქმდების შეჩერებება არამხოლოდ ერთი პირს მიმართ, არამედ ზოგადად.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ მხრივ, უყურადღებოდ დარჩა ამავე მუხლის მე-3 ნაწილი (ამჟამად, მე-6 ნაწილი). კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა 20 წლით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. მართალია, ამ ნაწილში პასუხისმგებლობას ამძიმებს ნარკოტიკის განსაკუთრებით დიდი ოდენობა და მისი ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, მაგრამ ამ მუხლის დისპოზიციაში არ არის გამიჯნული ნარკოტიკული საშუალების წარმოება, შენახვა, გასაღება. მეორეც, მართალია,

ნარკოტიკების გამოყენების სფერო სხვა მძიმე დანაშაულის წყაროა, მაგრამ ვფიქრობთ, სასჯელი მაინც მეტისმეტად მკაცრია და ამიტომ უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 20 წლამდე.

რასაკვირველია, შეიძლება ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო ღრმა ანალიზი, მაგრამ ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შესაბამისად, ეს ზოგიერთი წინადადებაც სასარგებლოდ მიგვაჩნია.

§ 3. სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებისა და მისი შემოქმედებითობის პრობლემა

დავას არ იწვევს ის დებულება, რომ მატერიალური სისსხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მატერიალური სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, იმის მიუხედავად, რომ ისინი დამოუკიდებელნი არიან, როგორც თეორიული კვლევის ობიექტები, დანაშაულის ჩადენის გამო პროცესუალური ურთიერთობის ფორმაში ერთვებიან და, ამდენად, გამოძიებისა და სასამართლო საქმიანობის ობიექტებსაც წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით ჩვენ უკვე განვიხილეთ ლიბერალიზმის პოლიტიკური დოქტრინა და სისხლის სამართლის სფეროში მისი გამოვლენის თავისებურებანი. მაგრამ ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა, არ ამოიწურება მხოლოდ მატერიალური სისხლის სამართლით, არამედ ის თავის გამოვლენას მართლმსაჯულების განხორციელებაშიც ნახულობს. მით უფრო, რომ სასამართლო პოლიტიკური ხელისუფლების გავლენისაგან უნდა იყოს თავისუფალი და მართლმსაჯულების განხორციელებაში სასამართლო მიხედულებას და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შემოქმედებითობას სათანადო ასპარეზი უნდა მიეცეს. ასე რომ, შემოქმედებითი აქტი უნდა იყოს არა მხოლოდ კანონის, როგორც ნორმატიული აქტის, შექმნა, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებაც, მეტადრე გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც, ერთი მხრივ, სასამართლო მიხედულების გამოკვეთილ ზღვარზეა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსამართლის შემოქმედებითობაზეც მიუთითებს. რასაკვირველია, მოსამართლე (სასამართლო), ყველა შესაძლო შემთხვევაში, კანონს ემყარება. მაგრამ არც თუ იშვიათად იქმნება ვითარება, როცა მოსამართლე კანონის წმინდა ფორმალურ ჩარჩოებში ვერ ეტევა და, როგორც იტყვიან, „სამართალს აჩენს," ესე იგი, მოსამართლე კანონის ფორმალური განსაზღვრებიდან სამართლის სფეროში გადადის. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამართლიანობის პრინციპი, რომლის განხორციელება, როგორც წესი, კანონის ფორმაშიც არის შესაძლებელი, ზოგჯერ სამართლის სფეროში მოსამართლის გადართვასაც მოითხოვს, ხოლო, საქმის ვითარების ეს მხარე მოსამართლის შემოქმედებითობაზეც მიუთითებს. ცხადია, ამ ასპექტით ერთხელ კიდეც დგას კანონის, როგორც ნორმატიული აქტისა, და სამართლის, როგორც საზოგადოების დამოუკიდებელი ნორმატიული სისტემის, მიმართების

პრობლემა, რომელიც სამართლის ფილოსოფიაში გადადის.

ამრიგად, ლიბერალიზმი, გარკვეული თავისებურებით, მართლმსაჯულების განხორციელების სფეროშიც ვლინდება. ამ მხრივ მეტად არსებითია საქართველოს კანონი არასრულწოვანთა მართლსაჯულების კოდესის თაობაზე, რომელიც საქართველოში 2014 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით (ემერიტუს-პროფესორი მზა ლეკვეიშვილის ხელმძღვანელობით) საგანგებო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის საგანი გახლდათ. მაგრამ იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო დამაჯერებლად ვაჩვენოთ მატერიალური სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის შინაგანი ერთიანობა, მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი თვალსაზრისი მატერიალური სისხლლის სამართლის სფეროდან. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება კლაუს როქსინის მოსაზრება ე. წ. „სამართლებრივი სიკეთის" ცნების ლობერალური წარმოშობის შესახებ. მკითველს შევახსენებთ, რომ გერმანულ დოგმატიკაში „სამართლებრივი სიკეთე" – რაც რუსულ ტრადიციაში „დანაშაულის ობიექტია," ჩვენი ტერმინილოგიით, „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია", რომელსაც კანონმდებელი იდეალურად ქმნის იმის შედეგად, რომ იგი ადამიანთა განსაზღვრულ ქმედებას დანაშაულად და სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადად აცხადებს. ამ მომენტიდან კი, ამოქმედდება არა მხოლოდ დასჯის მუქარა, არამედ საზოგადოების ყველა შერაცხადი პირის ვალდებულება, მოქმედებდეს მართლზომიერად, და მოწოდება, ამ ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად. მაშასადამე, არსებობს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, არამედ სისხლისსამართლებრივი დაცვის სუბიექტებიც (მაგალითად, მოქალაქე, გარკვეული სტატუსით მოქალაქეობის არმქონე პირი, მოხელე, მძღოლი, მედიცინის მუშაკი და ა.შ). **სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტები** (ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და ა.შ) **და სისხლისსამართლებრივი დაცვის სუბიექტები ქმედების შემადგენლობის ელემენტებს კი არ წარმოადგენენ,** როგორც ეს რუს და გერმანელ კრიმინასლისტებს აქვთ წარმოდგენილი, **არამედ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილი ურთიერთობის ელემენტებს,** სადაც სამართლის სუბიექტი ვალდებულია, მოქმედებდეს მართლზომიერად, და, როგორც პიროვნება, მოწოდებულია, ამ ვალდებულებას მოიკიდოს პასუხისმგებლურად, ესე იგი, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით.[144] შემთხვევითი არც ისაა, რომ თვით კლაუს როქსინი, რომელიც ჩვეულებრივ „სამართლებრივი სიკეთის „ცნებას იყენებს, რათა გამოხატოს" სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი," აცხადებს, რომ ამ ცნებას ლიბერალური წარმომავლობა აქვს და რომ ის სათავეს მე-19 საუკუნიდან იღებს, თუმცა ამ ცნების გამო ფართო დისკუსია უფრო მოგვანებით დაიწყო[145]

---

[144] უფრო დაწვრილებით იხ. გ. ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015, გვ. 31

[145] იხ. Claus Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, Crundlage der Aufbau der Verbrechenslehre,

აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით ფრიად არსებითია სწორედაც იმ საკითხის გარკვევა, თუ მოცემულმა დანაშაულებრივმა ქმედებამ სისხლისსამართლებრივი დაცვის რომელი ობიექტი ხელყო? ბუნებრივია, თუ ამის მიხედვით შეფასდეს ჩადენილი ქმედების არა მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ მისი მატერიალური მართლწინააღმდეგობაც. ცხადია, ყოველივე ეს ბრალის ხასიათისა და ხარისხის არსებითი კრიტერიუმია. გასაგებია, რომ ყოველივე ეს სასჯელის დანიშვნის არსებით პირობას წარმოადგენს.

სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ოტფრიედ ჰოფეს ნაშრომი სამართლიანობის კატეგორიის შესახებ, რომელიც სამართლიანობის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრების შესავალს წარმოადგენს. ჩვენთვის ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის აზრი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის სამართლიანობას, რაც მოსამართლის საქმიანობის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს[146]

სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ინგლისელი მკვლევარის ელან ბრენდერის ნაშრომი „სასჯელი და თავისუფლება," რომელშიც ლიბერალიზმის პოზიციებიდან განხილულია როგორც სისხლის სამართლის, ისე სისხლის სამართლის პროცესის პრობლემები. კერძოდ, ავტორი ცდილობს, ლიბერალიზმის პოზიციებიდან ერთმანეთს გადააბას სუბიექტის ნებელობა და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ავტორის მტკიცებით, ბოროტმოქმედის არჩევანი, ჩაერიოს ან სავარაუდოდ ჩაერიოს სხვა პირის არჩევანში, წარმოქმნის ბრალეულობის ხარისხს, რომელიც აფუძნებს სასჯელს, როგორც ბოროტმოქმედის საკუთარი ინიციატივით გამოწვეულს. ეს აზრი, ავტორის მტკიცებით, ლიბერალურია, რადგან ამ მიმართებით ადგილი აქვს ბრალის დადგენას სუბიექტის თავისუფლებასთან კავშირში. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს ქმედება (Aktus reus), რომელიც ობიექტურად მართლსაწინააღმდეგოა. ამ პოზიციიდან იგი გამოყოფილია ბრალისაგან და სხვა არაფერია, თუ არა არჩევანის საჯარო დემონსტრაცია, ხოლო ეს სუბიექტისათვის მისი ბრალად შერაცხვის პირობაა. მით უფრო, რომ ავტორი ხაზს უსვამს იმ საკითხის გარკვევასაც, თუ რითაა გამოწვეული ქმედების შედეგი – განზრახვით, უბრალო გულრილობით, თუ დაუდევრობით, ხოლო ყოველივე ეს, ავტორის აზრით,სასჯელის ზომისა და ზღვარის პირობაა. ატორი საბოლოოდ მაინც იქიდან ამოდის, რომ მთავარია სუბიექტის ავტონომია, მისი თავისუფალი ნება, რომელიც, კანონით დადგენილი პირობების გარდა, არ შეიძლება შეიზღუდოს. აქედან გამომდინარე, ფორმალური ქმედუნარიანობა და სუბიექტის ავტონომიური ნება ფუნდამენტურია არა მხოლოდ სისხლის სამართლისათვის, არამედ სისხლის სამართლის პროცესისთვისაც, რადგან ამ

4 Auflage, 2006, s. 16.

[146] იხ. Otfried Hoffe, Cerechtigkeit, Eine filosifische Einfurhung, 2001 .

უკანასკნელის სფეროში იგულისხმება ე. წ. აღდგენითი მართლმსაჯულება, რომელიც ამ ასპექტით ცენტრალური ინსტიტუტია. ამ უკანასკნელის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის არა დასჯა, არამედ მისი ჩართვა სასამართლო პროცესზე გამართულ დიალოგში, როცა ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი დაუფარავად ჰყვება იმას, თუ რა მძიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანი მიადგა მას ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედებისაგან. ბრალდებულს ამის გამო რცხვენია და იგი ითხოვს პატიებას. ამის შემდეგ შეიძლება დადგეს ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედების მიზეზების გამოკვლევის საკითხი, ხოლო, ამის შემდეგ, თავის მხრივ, შეიძლება დადგეს ბრალდებულის პატიების საკითხიც. ყოველივე ამის შემდეგ პოლიტიკური ხელისუფლება მოელის, რომ ყოფილი ბრალდებული ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს[147]

ამრიგად, ზემოთ მოკლედ განხილული სისხლისსამართლებრივი პრობლემების მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რა მჭიდროა კავშირი სისხლის სამართლსა და სისხლის სამართლის პროცესს შორის, მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის პროცესზე ბუნებრივად დგება სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა. ვფიქრობთ, სწორი არაა მტკიცება, რომ სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებას ენევიან არა მხოლოდ მოსამართლენი, არამედ გამომძიებლებიც და პროკურორებიც[148]. მართალია, ავტორს მხედველობაში ჰქონდა თანამდებობიდან ბრალდებულის გადაყენების დადგენილება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბრალდებული, თავისი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ არაბრალეულია, ვიდრე მისი ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში არ იქნება დადგენილი და დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული გამამტუნებელი განაჩენით. აქედან გამომდინარე, სავსებით მართალი იყო პროფ. ვ. აბაშმაძე, რომ სამართლის ნორმის შეფარდება მხოლოდ მისამართლის (სასამართლოს) საქმეა[149].

სამწუხაროდ, სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა პირდაპირ გაუგებარია იმ კონცეფციაში, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის გამო წარმოიშობა. ამ პოზიციიდან შეუძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სამართლის ნორმის მოქმედება და მისი შეფარდება. მით უმეტეს, რომ, ვიდრე სამართლის ნორმა მოქმდებს, მისი შეფარდების საკითხი არც დადგება. აქედან გამომდინარე, ყალბია დანაშაულის ჩდენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, რადგან საქმის რეალური ვითარება პირიქითაა, ესე იგი, არსებობს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ მოქმედებს იურიდიულ ძალაში მყოფი ნორმა, რომელიც სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას აკისრებს, ხოლო, სამართლის სუბიექტი, თავის მხრივ, როგორც პიროვნება, მონოდებულია, მართლზომიერი

[147] იხ. Alan Brunder, Punishment and Fredoom, Oxford, 2009.

[148] იხ. В.Н. Куврявцев, Общая теория квалификации преступлкений, М. 1972, стр. 15

[149] ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სამართლის შეფარდება, თბილისი, 1972 , გვ. 61.

ქმედების ვალდებულებას მოეკიდის პასუხისმგებლურად, ესე იგი, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. მაშასადამე, **დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა — ესაა სისხლის სამართლის ნორმის**, როგორც ჯერარსის, და მართლწესრიგის, როგორც ნაწილობრივ განხორციელებული სამართლის **(როგორც არსის), კავშირის ფორმა**. მაშასადამე, **სამართლის ნორმა მართლწესრიგში მართლზომიერ ქმედებას გადააქვს**. აქედან გამომდინარე, ვიდრე სამართლის ნორმა მოქმედებს, ესე იგი, მართლწესრიგში გადადის, მისი შეფარდების პრობლემა არ დადგება. ეს საკითხი დადგება მხოლოდ მაშინ, როცა სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა მართლწესრიგში არ გადადის. ეს ნიშნავს, რომ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მართლწესწრიგში სისხლის სამართლის ნორმის გადასვლას აჩერებს. ამ ვითარებაში ისიც აშკარაა, რომ **მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მისი ჩამდენი პირი გადაჰყავს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ**, ხოლო ეს დაუშვებელია, რადგან სახელმწიფო მის მოქალაქეებთან სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. აქედან გამოდინარე, აშკარაა, რომ დგება სახელმწიფოსთან აღნიშნული პირის სამართლებრივ, ნორმატიულ, კავშირში იძულებითი წესით აღდგენის პრობლემა. სასამართლომ ამ პირის ქმედებას, ობიექტური მხრივ, უნდა შეუფარდოს სისხლის სამართლის სწორედ ის ნორმა, რომელიც სამართლის სუბიექტმა ნებაყოფლობით არ შეასრულა.

ამრიგად, ობიექტური მხრივ სისხლის სამართლის ნორმის შეფარდება ნიშნავს მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტის იძულებითი წესით აღდგენას სახელმწიფოსთან ობიექტურ, ნორმატიულ კავშირში, რომელშიც ის მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე იმყოფებოდა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სისხლის სამართლის **სუბიექტი სახელმწიფოსთან მხოლოდ ობიექტურ კავშირში როდია. ის სახელმწიფოსთან სუბიექტურ კავშირშიც იმყოფება**. ეს სუბიექტური კავშირი იმის გამო მყარდება, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი მოწოდებულია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად. ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ სახელმწიფოსთან სუბიექტის ამგვარი სუბიექტური კავშირის გარეშე არც ხსენებული ობიექტური კავშირი იქნებოდა შესაძლებელი. მით უფრო, რომ დანაშაულის ჩადენა, მისი გენეზისის მიხედვით, იწყება არა ქმედების მართლწინააღმდეგობიდან, ესე იგი, სახელმწიფოსთან სუბიექტის ობიექტური კავშირის დარღვევიდან, არამედ, პირიქით, სახელმწიფოსთან სუბიექტური კავშირის დარღვევიდან, როცა სისხლის სამართლის სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება არა პასუხისმგებლურად, არამედ, პირიქით, უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, ბრალეულად, რაც, თავის მხრივ, არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რაც ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია. შედეგად კი ხორციელდება სისიხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა. მაშასადამე, გამოდის, რომ, **თუ დანაშაულის გერმანული მოდელი იწყება** ქმედების შემადგენლობის დადგენი-

დან, შემდეგ ხდება ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენა, **დანაშაულის ცნების გენეზისური მოდელი**, საიდანაც დანაშაულის ჩადენას იწყება, პირიქით, პირველია ბრალი, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. როგორც სუბიექტის ბრალის სინონიმი, რომელიც არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რაც ქმედების მართლწინააღდეგობის ნიშანია, ხოლო, შემდეგ ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

ამრიგად, თუ დანაშაულის გერმანული მოდელი გადმოცემულია უკვე ჩადენილი დანაშაულის ნიშნების დადგენის მიხედვით (ქმედების შემადგენლობა, მისი მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი), დანაშაულის გენეზისური მიდელი, საიდანაც დანაშაულის ჩადენა იწყება, ესე იგი, ბრალიდან, სისხლის სამართლის დოგმატიკაში დღემდე გათვალისწინებული არაა. აქედან გამომდინარე, ვიმეორებთ, სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტს სახელმწოფოსთან ობიექტურ, ნორმატიულ, კავშრში იძულებითი წესით აღადგენს, ჯერ კიდევ არაფერს ამბობს სახელმწიფოსთან სისხლის სუბიექტის სუბიექტურ კავშირის აღდგენის შესახებ. მართლაც, რაა საჭირო იმისათვის, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი, რომელიც ბრალდებულია დანაშაულის ჩადენისათვის, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ამიერიდან მოეკიდოს პასუხისმგელურად? გასაგებია, რომ სასამართლომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ბრალდებულის პირონებაში პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძება გამოიწვიოს. სასამართლო (მოსამართლე) ამას შეძლებს, თუ იგი ამ მხრივ შეასრულებს მთელ რიგ პირობებს. ჯერ ერთი, არსებობს ე. წ. „სამოსამართლო სამართალი," რომელიც მოსამართლის საქმიანობას აწერიგებს იმ მიზნით, რომ მოსამართლემ, ყველა შესაძლო შემთხვევაში, არა მარტო უბრალოდ განაგოს სისხლის სამართლის საქმე, არამედ „მართალი სამართალი" გააჩინოს. სამწუხაროდ, სამოსამართლეო სამართლის პრობლემები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ სათანდოდ არაა შესწავლილი. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა გიორგი გოგიაშვილის ნაშრომი, რომელშიც სამოსამართლო სამართლის პრობლემები ძირითადად ადმინისტრაციული სამართლის კუთხითაა წარმოჩენილი, მაგრამ მასში ზოგადად მართებულადაა დასმული მოსამართლის მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით სამართლის კონკრეტული ნორმის შექმნის შემოქმედებითობის ფილოსოფია. გაკეთებულია საინტერესო დასკვნა, რომ მოსამართლე არის დამოუკიდებელი ფაქტორი სამართლის განვითარებაში[150]. ეს მით უფრო ითქმის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის შესახებ, რადგან ამ მიმართებით იქმნება არა ერთი სიძნელე. მაგალითად, **გაბატონებულია აზრი, რომლის თანახმად, სისხლის სამართალი ქმედების სამართალია**. წმინდა კანონიერებისა და დემოკრატიული პრინციპების თანახმად, ეს მოსაზრება სწორია,

[150] იხ. მისი: სამოსამართლო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 5

რადგან აზრთა ცუდი წყობის ქმედებაში გამოხატვის გარეშე დანაშაული არ არსებობს. მაგრამ, მათემატიკური ლოგიკის თანახმად, ის რაც ერთი რომელიმე კუთხით სწორია, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ ე. წ. „მომქმედისაგან „მოწყვეტით არანაირი ქმედება არ არსებობს, მაგრამ ქმედებაზე მომქმედის დაყვანა მეორე უკიდურესობაა. სამწუხაროდ, არა მარტო სისხლის სამართლის დოგმატიკამ, არამედ სისხლის სამართლის მეცნიერებამაც კი, დღემდე ვერ შესძლო, დაეცვა **„ქმედების „და „მომქმედის" ერთიანობის პრინციპი**, რადგან მომქმედის გარეშე ქმედება არ არსებობს, მაგრამ ქმედებაზე მომქმედის დაყვანა უხეში სოციოლოგიზმია, რომელიც ძირშივე ეწინააღმდეგება ქმედებისაგან მომქმედის შეფარდებით დამოუკიდებლობას. აქ ზედმეტად მიგვაჩნია მოვიტანოთ „მომქმედის" შესახებ თეორიები, რომლებიც, ერთი მხრივ, „მომქმედს „ქმედებისაგან მოწყვეტით წარმოაჩენდნენ (მაგალითად, ფრანც ლისტი), ან, პირიქით, „მომქმედი „ქმედებაზე დაჰყავდათ (მაგალითად, ჰეგელი, რომლის თანახმად, „რასაც იქმს ადამიანი, ისეთიც არის თვითონ ის"). აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ საბჭოთა ეპოქა, როცა დანაშაულის ჩამდენი პირის რაიმე დადებითი დახასიათება კომკავშირული ან პარტიული ორგანზაციებიდან, როგორც წესი, გამორცხული გახლდათ. საბჭოთა კრიმინალისტებმა კი, ვინ იცის, თუ რამდენი გვერდი უძღვნეს ე. წ. „დამნაშავის პიროვნების" ცნებას და პრობლემას, თითქოს „დამნაშავეს„ საკუთარი პიროვნება ჰყავდა. აქ, როგორც ჩანს, აღრეული იყო მსაზღვრელ-საზღვრული: როცა მსაზღვრელი პიროვნებაა, ის არ შეიძლება „დამნაშავედ" მოვიხსენიოთ, თუ ჩეზარე ლომბროზოს თეორას არ გავიზიარებთ. **ქმედებაზე მომქმედის დაუყვანლობა იმის ნიშნავს, რომ მეორე პირველზე მეტია, ხოლო, ეს თავის მხრივ, ქმედებისაგან მომქმედის შეფარდებით დამოუკიდებლობაზე მეტყველებს**. ამის გამო მომქმედს შეუძლია, მის წარსულ დანაშაულებრივ ქმედებაზე ისე ამაღლდეს, რომ, რაც არ უნდა დაუჯერებელი ჩანდეს, გაემიჯნოს ამ ქმედებას და მისი მომავალი ახალი ქცევის პარადიგმა შექმნას. ეს, ერთი მხრივ, მოსამართლეს უადვილებს საქმეს, რადგან, როცა ბრალდებულის პიროვნება დადებითობის ასპექტით ვლინდება, მაშასადამე, სახელმწიფოს წინაშე მისი წარსული უპასუხისმგებლობა, პირიქით, მის წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობით ადვილად შეიცვალება. მით უფრო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასჯელის ზემოქმედების შედეგად მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობა იღვიძებს, ხოლო, სასჯელის მოხდის შემდეგ, ყოფილი მსჯავრდებული ახალ პირობებში უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას, როცა იგი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდებოდა პასუხისმგელურად.

ამრიგად, სამართლის ნორმის შეფარდება არ ნიშნავს მხოლოდ სუბიექტის იძულებითი წესით აღდენას სახელმწიფოსთან ობიექტურ, ნორმატიულ, კავშირში, არამედ მიზნად ისახავს სახელმწიფოსთან მსჯავდებულის სუბიექტური კავშირის აღდგენასაც, რაც კიდევ უფრო რთულია და ამიტომაა, რომ მოსამარ-

თლეს ამ მიმართებით მეტად რთული და პასუხსაგები გადაწყვეტილების მიღება უწევს. დანაშაულის ჩამდენ პირს, როგორც წესი, სასჯელი ენიშნება, ხოლო, სასჯელი, როგორც უკვე ჩანს, მსჯავრდებულის პიროვნებაში პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოღვიძების საშუალებაა. აქ კი, აშკარაა, რომ მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს „მომქმედის" ანუ ბრალდებულის, პიროვნებას, რადგან ამ მიმართებით საქმე ეხება შერაცხვის მკაცრად პერსონალურ ხასიათს. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ზოგადი ნორმის ფარგლებში საკმაოდ რთულია დავინახოთ ქმედების შემადგენლობის განმხორციელების მკაცრად პერსონალური ბუნება და პირობები. ამიტომაა, რომ ამ ინდივიდუალური ვითარების მიმართ სისხლის სამართლის ზოგადი ნორმის გავრცელება საკმაოდ რთულია. როგორც პროფ. ბ. სავანელი აღნიშნავს, „სწორედ აქ იწყება კონკრეტული ნორმის გამომუშავების პროცესი, სამართლის კონკრეტული აზრის წვდომა, რაც გამოიხატება სამართლის ნორმის შეფარდების აქტებში (გადაწყვეტილება, დადგენილება, განაჩენი და ა.შ). ესაა კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ინდივიდუალური სამართლებრივი რეგულირების სფერო, ზოგადიდან კონკრეტულ-სამართლებრივ ჯერარსში ინდივიდულური აზროვნების გადართვის სამყარო[151]. მართლაც, საქმე საა, რომ მოსამართლის წინაშე ამ მხრივ დგება ორი სახის ინდუქციური დასკვნა,რომელიც მან დედუქციური ხასიათის დასკვნაში უნდა გადართოს. ჯერ ერთი, ქმედების შემადგენლობიდან, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში განხორციელდა, დასკვნა ამ ქმდების მართლწინააღმდეგობის შესახებ მხოლოდ ინდუქციურია (ესე იგი, სავარაუდოა). მეორეც, ქმედების ყოველი შემადგენლობა იმდენად მკარც პერსონალურ ვითარებაში ხორციელდება, რომ ამ მკაცრად პერსონალური ვითრებიდან ზოგად ნორმაზე გადასვლაც ინდუქცურია. ამის გამო მოსამართლე იწყებს ძიებას იმ ნორმისა, რომელიც, ერთი მხრივ, ქმედების მართლწინააღმდეგობაზე ლაპარაკობს, ხოლო, მეორე მხრივსუბიექტის ბრალზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ქმედების ზოგად საკანონმდებლო შემადგენლობის მკაცრ პერსონლურ პირბოებში განხორციელება ზოგადისა და კერძოს მიმართებას გამოხატავს. კიდევ უფრო მკაცრად პერსონალურია შერახვა, რომელიც ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ერთიანობის საფუძველზე ხორციელდება. ერთი სიტყვით, რამდენადაც გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის ნორმა-შეფარდების მკაცრად ინდივიდუალური აქტია. სწორად უნდა ჩათვალოს მოსაზრება, რომ კონკეტულ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლე ქმნის კონკრეტულ ნორმას, რომელიც ზოგჯერ შესაძლოა, არც იყოს საგანგებოდ გამოკვეთილი, მაგრამ ის მაინც იგულისხმება, როგორც მოსამართლის ქცევის წესი. უფრო მეტიც, განაჩენი დასაბუთებული უნდა იყოს, რისთვისაც საქართველოს უზენაეს სასამართლოს ხელმძრვანელობამ ბევრი რამ გააკეთა[152]. განაჩენი, მისი დასაბუთების გარეშე შემოქმედებითი

[151] ბ. სავნელი, სამართლის თეორა, თბილისი, 1997, გვ. 178

[152] იხ. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დას-

აქტი ვერ იქნება. ასე, რომ არსებობს ორი სამართალი- კანონმდებლის მიერ შექმნილი და მოსამართლის მიერ შექმნილი[153]. ამ დებულების ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის განჩინება (მაია ოშხარელი – თავმჯდომარე, წევრები- გიორგი შავლიაშვილი, პაატა სილაგაძე). საქმის ვითარება შემდეგში მდგომარეობდა: კახაბერ მარაქველიძემ შემოიტანა საჩივარი, რომელიც მოწმობდა, რომ იგი მის მიერ დანაშაულის ჩადენის დროისათვის არასრულწლოვანი იყო, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მისი საქმე ცალკე არ გამოჰყო, რის გამოც მისი საქმის განხილვა უსაფუძვლოდ გაჭიანურდა. ამასობაში იგი სრულწლოვანი გახდა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების სამართლებრივ რეგულაციას ზღუდავს განაჩენის გამოტანის მომენტში მისი სრულწლოვნობის დადგომით. ამ და სხვა მთელი რიგი არგუმენტის, მათ შორის – საერთაშორისო სამართლისა და მართმსაჯულების გამოცდილებათა გამოყენებით, სასამართლო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ზემოთაღნიშნული საკანონმდებლო შეზღუდვა მოცემულ შემთხვევაში უსამართლოა, რის გამოც კ, მარაქველიძის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. ამრიგად, აშკაარა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსამართლეებმა კანონმდებელს „შეუსწორეს" რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი ზუსტი არაა, ხოლო განჩინება, მოცემულ შემთხვევში, იმისი საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ ქმნის მოსამართლე ახალ ნორმას, რომელიც სამართლის განვითარების შესაძლებლობაზე მიუთითებს. რასაკვირველია, ამ პარაგრაფში დასმული პრობლემა შემდგომ უფრო გაღრმავებულ კვლევას მოითხვს, მაგრამ აქ განხლული ზოგიერთი საკითხი მაინც სასარგებლოდ მიგვაჩნია.

აბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015

[153] ბ. სავანელი, იურიდიული მეთოდები, თბილისი, 2006, გვ. 9

ნონა თოდუა

ქმედების კრიმინალიზაცია – დეკრიმინალიზაციის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ იმ საკანონმდებლო ცვლილების მიზანშეწონილობის საკითხს, რომლითაც ბოლო დროს (2006 წლიდან) ეგზომ გაფართოვდა სსკ კერძო ნაწილის მთელი რიგი ნორმების მოქმედების არეალი, რითაც ფაქტობრივად მოხდა ქმედებათა კრიმინალიზაცია .

სანამ უშუალოდ გადავალთ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების ანალიზზე, ჯერ უნდა განვიხილოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა კრიმინალიზაცია, დეკრიმინალიზაცია, პენალიზაცია, დეპენელიზაცია, მოჩვენებითი კრიმინალიზაცია და მოჩვენებითი დეკრიმინალიზაცია.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრება (კანონმდებლობის ავტორიზაცია) **უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზაცია**, რადგან ასეთი გამკაცრება თავისთავში მოიცავს ქმედებათა კრიმინალიზაციასაც, თუმცა იგი მხოლოდ მასზე არ დაიყვანება.

სს პოლიტიკის გამკაცრება შეიძლება მოხდეს კრიმინალიზაციის გარეშეც ახალი უფრო მკაცრი სასჯელის შემოღებით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ვადის გაზრდით, უკვე არსებულ სს ნორმებზე სასჯელის გამკაცრებით, მოსამართლისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობის შეზღუდვით, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის, სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობისა თუ სასჯელთან დაკავშირებული სხვა ინსტიტუტების გამოყენების საკანონმდებლო შეზღუდვის დაწესებით და ა.შ..

ამდენად, კანონმდებლობის გამკაცრების პროცესი ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესსაც მოიცავს.

თავის მხრივ, **კრიმინალიზაცია მოიცავს პენალიზაციასაც**, მაგრამ მასზე არ დაიყვანება, რადგან პენალიზაცია შესაძლებელია კრიმინალიზაციის გარეშეც.

იგივე ითქმის **სს კანონმდებლობის ლიბერალიზაციაზეც**. იგი თავისთავში მოიცავს დეკრიმინალიზაციის პროცესს, მაგრამ მხოლოდ მასზე არ დაიყვანება, რადგან კანონმდებლობის ლიბერალიზაცია შეიძლება მოხდეს დეკრიმინალიზაციის გარეშეც სს ზოგად ნაწილში ახალი ალტერნატიული სასჯელის შემოღებით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ვადის შემცირებით, უვადო თავისუფლების აღკვეთის გაუქმებით, პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის საკანონმდებლო შეზღუდვის მოხსნით, არსებულ სს ნორმებზე სასჯელის შემსუბუქებით და ა.შ.

კრიმინალიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა კანონმდებელი რომელიმე ქმედებას დანაშაულად გამოაცხადებს, ე.ი. მისი ჩადენისათვის სს კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს დააწესებს. შესაბამისად, ამა თუ იმ ქმედებისათვის

დასჯადობის დაწესება ამ ქმედების კრიმინალიზაციას გამოხატავს და პირიქით.[1]

კრიმინალიზაციის დროს კანონმდებელი ქმედების შემადგენლობას სსკ კერძო ნაწილში ათავსებს და მას შესაბამის სასჯელს უკავშირებს.[2] ამდენად, კრიმინალიზაციის ობიექტი არის ქმედება, რომელსაც კანონმდებელი დანაშაულად აკვალიფიცირებს და რომელიც წინ უსწრებს სს კანონს.[3]

მაგალითად, 2006 წლის 29 დეკემბრამდე 2000 წლის სს კოდექსით არ ისჯებოდა ცივი იარაღის უკანონო ტარება, იგი წარმოადგენდა ადმინისტარაციულ გადაცდომას. ხოლო 2006 29 დეკემბრიდან სს კოდექსს დაემატა ახლი 238 1 მუხლი, რომლითაც მოხდა ამ ქმედების კრიმინალიზაცია.

დეკრიმინალიზაციისას კი ადგილი აქვს პირუკუ პროცესს, კანონმდებელი სს კოდექსიდან ამოიღებს კონკრეტულ ქმედებას და აუქმებს მასზე დასჯადობას.

ამდენად, დეკრიმინალიზაცია ნიშნავს კანონმდებლის მიერ რაიმე ქმედებისათვის დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.[4] მაგალითად, საქართველოს 2000 წლის სს კოდექსით დანაშაულად ითვლებოდა ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით (სსკ 148-ე მუხლი), რომლის დეკრიმინალიზაციაც მოხდა.2004 წლის 24 ივნისს. შესაბამისად, ეს ქმედება სადღეისოდ სამოქალაქო სამართალდარღვევას წარმოადგენს.

ამდენად, კრიმინალიზაცია თავისთავში მოიცავს პენალიზაციას, რადგან იგი აუცილებლად დაკავშირებულია სასჯელის დაწესებასთან იმ ქმედებისათვის, რაც დანაშაულად ცხადდება.

ასევე დეკრიმინალიზაცია თავისთავში მოიცავს დეპენალიზაციასაც, რადგან კონკრეტული ქმედების სს კოდექსიდან ამოღება აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ ამ ქმედებისათვის უქმდება ის სასჯელი, რაც მისთვის იყო დაწესებული.

თუმცა პენელიზაციას და დეპენალიზაციას აქვს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ვინ არიან კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის სუბიექტები?

როგორც ზემოთ მითითებული განმარტებიდან ჩანს, კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის ავტორი **(სუბიექტი) უპირველესად არის კანონმდებელი,** რადგან სრული მოცულობით სწორედ იგი ახორციელებს როგორც ქმედების კრიმინალიზაციას, ასევე დეკრიმინალიზაციას.

---

[1] შეად. გ. ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ. 2015, გვ. 138-139.

[2] შეად. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, თბ. 2014, გვ. 19.

[3] შეად. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010, გვ. 105.

[4] იხ. გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2007, გვ. 56-57.

თუმცა არაა გამორიცხული, დეკრიმინალიზაციის (და არა კრიმინალიზაციის) სუბიექტი (პრაქტიკაში გამტარებელი) იყოს სხვა ორგანოც. მაგალითად, სასამართლო, ან საკონსტიტუციო სასამართლო.

ასევე არაა გამორიცული, მისი სუბიექტი იყოს ფიზიკური პირი.

საკონსტიტუციო სასამართლო. როგორც ქმედების დეკრიმინალიზაციის სუბიექტი („ნეგატიური კანონმდებელი"):

როცა საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს სსკ კერძო ნაწილის რომელიმე მუხლს, ამით ხდება ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს რომელიმე ქმედების ნაწილობრივი დეკრიმინალიზაციაც. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით (№2/2/516,542) ძალადაკარგულად ცნო სსკ 314-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლითაც ჯაშუშობად ითვლებოდა „უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება". ამდენად, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, თუკი ეს ინფორმაცია არ წარმოადგენს სსკ 202-ე მუხლის საგანს (ინსაიდერულ ინფორმაციას, კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას), პირი არ დაექვემდებარება სს პასუხისმგებლობას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ამ ქმედების ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია.

სასამართლო, როგორც ქმედების დეკრიმინალიზაციის სუბიექტი:

სასამართლოს, როგორც ქმედების დეკრიმინალიზაციის სუბიექტთან დაკავშირებით სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, სასამართლო პირს დანაშაულის მომზადების წინა სტადიაზე ხშირად პასუხისმგებლობიდან ათავისუფლებდა ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო დღევანდელი სსკ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, რითაც კანონმდებელი მოსამართლეს ქმედების (მათ შორის დაუმთავრებელი დანაშაულის) დეკრიმინალიზაციის უფლებას აძლევდა.[5]

სასამართლოს მიერ ქმედების დეკრიმინალიზაციის მაგალითად გამოდგება ის შემთხვევა, როცა სს კოდექსში მთელი რიგი ნორმებით, სასამართლოს უფლება აქვს (უფლება და არა მოვალეობა) გაათავისუფლოს პირი სს პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, სსკ 68-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია, სს პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს პირი, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, თუ იგი გამოცხადდება ბრალის აღიარებით, ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას და აანაზღაურებს ზიანს.

ასევე სსკ 70-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია სს პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს პირი, თუ ვითარების შეცვლის გამო მიზანშეუ-

[5] შეად. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. გვ. 26-27

ნონლად ჩათვლის სს პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ამ შემთხვევაში, მართალია, ჩადენილი ქმედება კანონმდებლის მიერ დანაშაულადაა დაკვალიფიცირებული, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს, სათანადო შემთხვევაში გააუქმოს ამ ქმედების დანაშაულებრივი მნიშვნელობა კონკრეტული პირის მიმართ, რაც ფაქტობრივად უტოლდება ქმედების დეკრიმინალიზაციას.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ განსხვავებით კანონმდებლისაგან (ასევე განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოსაგან), სასამართლოს არა აქვს უფლება, ზოგადად დანაშაულებრივი მნიშვნელობა დაუკარგოს სსკ კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, არამედ მას მხოლოდ იმისი უფლება აქვს, რომ კონკრეტული პირის მიერ ჩადენილ ქმედებას ამავე პირის მიმართ დაუკარგოს დანაშაულებრივი მნიშვნელობა კანონით დადგენილ ზემოთსხენებულ შემთხვევებში.

როგორც აღინიშნა, დეკრიმინალიზაცია შესაძლებელია განახორციელოს ფიზიკურმა პირმაც (მაგალითად, დაზარალებულმა). მაგალითად, საქართველოს სს საპროცესო კანონმდებლობა ბოლო დრომდე ითვალისწინებდა ე.წ. კერძო ბრალდების საქმეებს, რა დროსაც სს დევნის დასაწყებად აუცილებელი იყო დაზარალებულის საჩივარი, ასევე სს დევნა შეწყდებოდა, თუ დაზარალებული შეურიგდებოდა სავარაუდო დამნაშავეს. მაგალითად, ასეთი იყო სსკ 125-ე მუხლი – ცემა. ამ წესიდან არსებობდა გამონაკლისი (დაზარალებულის არასრულწლოვნება, ანდა მისი უუნარობა, მიემართა შესაბამისი ორგანოსათვის).

იმ ფაქტით, რომ სს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო კერძო ბრალდების საქმეები, კანონმდებელი ფაქტობრივად ამბობდა შემდეგს: „მე ვახდენ ამ ქმედების კრიმინალიზაციას იმ პირობით, თუ დაზარალებულიც დამეთანხმება ამაში“.[6]

აქვე ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით კანონმდებლისაგან, სასამართლომ, საკონსტიტუციო სასამართლომ და ფიზიკურმა პირმა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ დეკრიმინალიზაცია, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ განახორციელებს ქმედების კრიმინალიზაციას.

ქმედების კრიმინალიზაცია მხოლოდ კანონმდებლის პრეროგატივაა.

კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციისაგან უნდა გაიმიჯნოს მოჩვენებითი კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია.

მოჩვენებით ანუ არანამდვილ კრიმინალიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა კანონმდებელი კოდექსის კერძო ნაწილში არსებული რომელიმე ზოგადი შემადგენლობიდან ცალკე გამოჰყოფს კონკრეტულ ქმედებას და მისთვის შექმნის სპეციალურ შემადგენლობას. მაგალითად, 2000 წლის სს კოდექსით სსკ 108 -ე მუხლიდან (მკვლელობა) გამოეყო რამდენიმე შემადგენლობა და შეიქმნა სპე-

[6] სადღეისოდ სს საპროცესო კანონმდებლობით ყველა საქმე საჯარო ბრალდებისაა.

ციალური შემადგენლობები. ესენია მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (სსკ 110-ე მ.), ასევე დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (112-ე მ.).

ეს საკითხი დაკავშირებულია დანაშაულთა ერთობლიობის საკითხთან, კერძოდ, მოჩვენებით ერთობლიობასთან. სსკ 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით (იგულისხმება კერძო ნაწილის ნორმები), დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით. ამდენად, სსკ კერძო ნაწილის ზოგადი ნორმიდან სპეციალური ნორმის გამოყოფა არც კრიმინალიზაციას ნიშნავს და არც დანაშაულთა ერთობლიობას. ამ შემთხვევაში მოჩვენებითია როგორც კრიმინალიზაცია, ისე დანაშაულთა ერთობლიობა.

მოჩვენებით დეკრიმინალიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა კანონმდებელი სს კოდექსის კერძო ნაწილიდან ამოიღებს სპეციალურ შემადგენლობას, რითაც იგი გადააქვს ზოგად შემადგენლობაში.

მაგალითად, სს კოდექსში თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან (სსკ 143-ე მ.) ერთად არსებობდა სპეციალური მუხლი – ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, რაც ამოღებულ იქნა. ამით არ მომხდარა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია, არამედ ეს ქმედება შეუერთდა სსკ 143-ე მუხლს (თავისუფლების უკანონო აღკვეთა).

უფრო მეტიც, ვინაიდან ამ სპეციალური მუხლით დაწესებული იყო უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე სსკ 143-ე მუხლით, მისი კოდექსიდან ამოღებითა და ამ ქმედების სსკ 143-ე მუხლთან მიერთებით ფაქტობრივად გამკაცრდა პასუხისმგებლობა ქალის მოტაცებისათვის მისი ცოლად შერთვის მიზნით.

ასევე თუ დავუშვებთ, რომ ჩვენმა კანონმდებელმა სს კოდექსიდან ამოიღო სსკ 112-ე მუხლი (დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა), ეს ვერ შეფასდება, როგორც ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია, არამედ ამგვარი საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა დაკვალიფიცირდება სსკ 109-ე მუხლით, როგორც არასრულწლოვნის მკვლელობა.

ამდენად, სს კოდექსის კერძო ნაწილიდან სპეციალური მუხლის ამოღება არ ნიშნავს ქმედების დეკრიმინალიზაციას.

ამასთან დაკავშირებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, არის თუ არა სსკ კერძო ნაწილის მოცემული მუხლი კერძო ნაწილის რომელიმე ზოგადი ნორმის სპეციალური შემადგენლობა.

თუკი იგი არაა სპეციალური შემადგენლობა და არის დამოუკიდებელი შემადგენლობა, მაშინ მისი კოდექსიდან ამოღება ქმედების დეკრიმინალიზაციაზე მიუთითებს, რასაც მოჰყვება შესაბამისი სამარლებრივი შედეგი იმ პირთათვის, ვისაც ჩადენილი ჰქონდა ასეთი დანაშაული.

როგორ უნდა დადგინდეს ეს საკითხი?

განვიხილოთ ეს პრობლემა სსკ 184-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 23 მაისის კანონით ამოიღო სს კოდექ-

სიდან.

სანამ უშუალოდ ამ საკითხის განხილვაზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ კერძო ნაწილში არსებობს ზოგადი და სპეციალირი მუხლების რამდენიმე ჯგუფი:

ა) როცა ორივე – როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნორმა მატერიალური შემადგენლობისაა.

მაგალითად, მარტივი მკვლელობა (სსკ 108-ე მ.) და მკვლელობა დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებში (109- 114-ე მმ.) შედეგიანი, ანუ მატერიალური დანაშაულებია.

ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე) და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსკ 333-ე მ.) შედეგზე მიბმული მატერიალური დანაშაულებია;

ბ) როცა ორივე – როგორც ზოგადი, ისე სპეციალური მუხლები შედეგგარეშე, ანუ ფორმალური დანაშაულებია.

მაგალითად, ადამიანით ვაჭრობა (სსკ 143-ე მ.) და არასრულწლოვნით ვაჭრობა (სსკ 1431 მ.).

ასევე მტკიცებულების ფალსიფიკაცია (369-ე მ.) და სს საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია – 369 1 მ.) ფორმალური დანაშაულებია.

გ) როცა ზოგადი ნორმა მატერიალურია, ხოლო სპეციალური – ფორმალური. მაგალითად, ასეთია სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე მ.) და მისი სპეციალური შემადგენლობა სამსახურებრივი სიყალბე (სსკ 341-ე მ.), რომელიც განსხვავებით 332-ე მუხლისაგან, ფორმალური შემადგენლობისაა.

ჩვენს სს კოდექსში არ გხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ზოგადი ნორმა იყოს ფორმალური, ხოლო სპეციალური ნორმა კი მატერიალური შემადგენლობის.

ამასთან დაკავშირებით საკითხავია, სსკ კერძო ნაწილში თუ შეიძლება ზოგად და სპეციალურ ნორმებად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა ერთ-ერთი ნორმის სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი, ქმედების დამაფუძნებელი ნიშანია კანონით მითითებული რაიმე მიზანი, ხოლო მეორე მუხლის სუბიექტური შემადგენლობა კი პრინციპულად გამორიცხავს ასეთ მიზანს?

სწორედ ეს საკითხი დგას სსკ 177-ე და 184-ე მუხლებთან მიმართებაში.

სსკ 184-ე მუხლი ითვალისწინებდა სს პასუხისმგებლობას ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის მისაკუთრების მიზნის გარეშე. მისი დისპოზიცია შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული:

პირველი ნაწილი – ავტომობილის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი სარგებლობის მიზნით;

მე-2 ნაწილი – იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ძალადობით, რომელიც საშიში არა არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

მე-3 ნაწილი – ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

2006 წლის 28 აპრილის კანონით ამ მუხლის სანქციებმა განიცადა გარკვეული ცვლილება, კერძოდ, სასჯელის მინიმალური ზღვარი გაიზარდა, ხოლო მაქსიმალური კი შემცირდა, რითაც შემცირდა სასჯელის ამპლიტუდა.

როგორც ვხედავთ, განსახილველი ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით მაკვალიფიცირებელ გარემოებად გათვალისწინებული იყო ძალადობის ან მუქარის სხვადასხვა ხარისხი, რაც დამახასიათებელია ძარცვისა და ყაჩაღობისათვის.

საინტერესოა, თუ განხორციელდა ამ მუხლის ამოღებით სსკ 184-ე მუხლში აღწერილი ქმედების დეკრიმინალიზაცია?

ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, ჯერ ვნახოთ ა) რა მსგავსება და განსხვავება იყო სსკ 184-ე მუხლსა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დაუფლებით დანაშაულებს (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.) შორის.

ბ) ასევე ვნახოთ, თუ რით იხ.ლმძღვანელა საქართველოს პარლამენტმა, როცა მხარი დაუჭირა სს კოდექსიდან ამ მუხლის ამოღებას.

დავიწყოთ მათ შორის მსგავსება-განსხვავების განხლვით.

მათი მსგავსება შემდეგში გამოიხატება:

1. ორივე მათგანი არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;

2. ორივე შემთხვევაში დანაშაულის საგანია ნივთი, რომელზეც დახარჯულია ადამიანის შრომა, რომელსაც აქვს ნივთის ფიზიკური პარამეტრები და მატერიალური ღირებულება;

3. ორივე შემთხვევაში დანაშაულის საგანი დაუფლებამდე უნდა იმყოფებოდეს მესაკუთრის ან სხვა პირის მფლობელობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ უნდა იყოს ნებაყოფლობით ამორიცხული საკუთრებიდან და მიტოვებული პატრონის გარეშე. ამდენად, ამ დანაშაულთა საგნად ვერ ჩაითვლება ნივთი, რომელიც მესაკუთრემ ნებაყოფლობით დატოვა ისეთ ადგილას (მაგალითად, ნაგავსაყრელზე ან ე.წ. „მანქანების სასაფლაოზე"), რომ სადაო არაა მისი თავიდან მოშორების მიზანი. ანუ ოდაოა, რომ მესაკუთრემ იგი გადააგდო ;

4. ორივე შემთხვევაში დაუფლების ხერხი ერთნაირია – ფარული, აშკარა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში თავდასხმა და ა.შ.

5. ორივე შემთხვევაში დაუფლება დამთავრებულია მაშინ, როცა პირი ხელთ იგდებს სხვის ნივთს და მიეცემა მისი საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა, მანამდე კი ადგილი აქვს დაუმთავრებელ დანაშაულს (მომზადებას ან მცდელობას). აქედან გამონაკლისია ყაჩაღობა (179-ე მ.), რომელიც

დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან;

6. ორივე შემთხვევაში მოტივს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა;

7. ორივე შემთხვევაში დანაშაულის ამსრულებელია საერთო სუბიექტი;

8. ორივე დანაშაული არის განზრახი. კერძოდ, მათი ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით.

მათი განსხვავება:

როგორც ვხედავთ, ამ მუხლების **ობიექტურ შემადგენლობაში** არის რამდენიმე განსხვავება.

ერთ-ერთი განსხვავება არის ის, რომ სსკ 184-ე მუხლით დანაშაულის საგანია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება მაშინ, როცა ქურდობასა და სხვა დაუფლებით დანაშაულებში – ნებისმიერი ნივთი, რაზეც დახარჯულია ადამიანის შრომა, აქვს ნივთის ფიზიკური პარამეტრი, აქვს მატერიალური ღირებულება და არაა ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან (მაგალითად, მასობრივი განადგურების იარაღი), ან არაა დაწესებული სპეციალური კონტროლი (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი ან ნარკოტიკული საშუალება).

მეორე განსხვავება არის ის, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დაუფლებით დანაშაულებში ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან და არა აქვს მნიშვნელობა პირი დაეუფლა თუ არა მსხვერპლის ნივთს. ხოლო სსკ 184-ე მუხლის შემთხვევაში მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელი, მოხდეს სატრანსპორტო საშუალების დაუფლება. ამაზე მიუთითებს სსკ 184-ე მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიცია: „ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი...“. ვინაიდან ამ მუხლის პირველი ნაწილით დანაშაული მხოლოდ მაშინაა დამთავრებული, როცა მოხდება სატრანსპორტო საშუალების დაუფლება, იგივე უნდა ვიგულისხმოთ მე-3 ნაწილშიც.

საინტერესოა, რაში მდგომარეობს მათი ძირითადი განსხვავება?

მათი ძირითადი განსხვავება მდგომარეობს ამ დანაშაულთა სუბიექტურ შემადგენლობაში.

კერძოდ, დაუფლებითი დანაშაულების (მაგალითად, ქურდობის) სუბიექტური შემადგენლობაში მოტივს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუმცა როგორც წესი, ესაა ანგარების მოტივი, მაგრამ არაა გამორიცხული სხვა მოტივიც (მაგალითად, შურისძიება, გაჭირვებულებისადმი დახმარების მოტივი და სხვ.).

რაც შეეხება მიზანს, განსხვავებით სსკ 184-ე მუხლისაგან, ამ დანაშაულთა სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სპეციალური მიზანი – ესაა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო **მისაკუთრების მიზანი.** შესაბამისად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულები არის მიზნით დაფუძნებული, ანუ გამიზვნითი დელიქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი პირი, მართალია, დაეუფლა სხვის ნივთს, მაგრამ არ ჰქონდა მისი მართლსაწინააღმ-

I პირობითი მსჯავრი 364
საკითხის მოკლე ისტორია 364
პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება 365
სსკ 63-ე მუხლი – პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი 378
დამატებითი სასჯელის საკითხი პირობითი მსჯავრის დროს (სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნან.) 382
სსკ 64-ე მუხლი – გამოსაცდელი ვადა 430
სსკ 66-ე მუხლი – კონტროლი და დახმარება 441
სამოქალაქო შეთანხმება – სსკ 671 მუხლი 462
სსკ 67-ე მ-ის მე-5 ნაწილის არსი 478

სასჯელის პროპორციულობა 496
1. პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის არსი 496
2. პროპორციულობა როგორც კონსტიტუციური სამართლისა და მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი პრინციპი 503
3. პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობა ევროპის კავშირის და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიხედვით 507
4. სასჯელის პროპორციულობის მოძღვრების ისტორიული წანამძღვრები 509
5. პროპორციულობის პრინციპი, როგორც სახელმწიფოებრივი დასჯითი იძულების ზღვარგამყოფი 512
6. სასჯელის მიზანი, როგორც სასჯელის პროპორციულობის ორიენტირი 520
7. სასჯელის საზღვრები და მისი მნიშვნელობა სასჯელის პროპორციულობისთვის . 523
7.1. სასჯელის საკანონმდებლო საზღვრების მნიშვნელობა 523
7.2. კვალიფიციური და პრივილეგიური ქმედების შემადგენლობები 524
7.3. სასჯელის ფარგლების შეცვლის საფუძვლები სასჯელის შეფარდების პროცესში 526
7.4. სასჯელის საკანონმდებლო ფარგლების ორიენტირები 529
8. სასჯელთა სახეები და მათი შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან 532
8.1. ჯარიმა 532
8.2. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 540
8.3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ქართული სსკ-ს მიხედვით 543
8.4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით 548
8.5. გამასწორებელი სამუშაო 549
8.5 სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა 553
8.6. თავისუფლების შეზღუდვა 555
8.7. თავისუფლების აღკვეთა 556

8.7.1. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 556
8.7.2. უვადო თავისუფლების აღკვეთა 562
8.8. ქონების ჩამორთმევა 565
8.8.1. ქონების ჩამორთმევა ქართული სს კოდექსის მიხედვით და საკუთრების არსი 565
8.8.4. ქონების ჩამორთმევის და კონფისკაციის გამიჯვნა 568
8.8.5. ქონების მატერიალურ-სისხლისსამართლებრივი და პროცესუალური მიზნით ჩამორთმევის გამიჯვნა 569
8.8.6. მიზნის და საშუალების პროპორციის (თანაფარდობის) პრობლემა არაბრალეული მესაკუთრის ქონების ჩამორთმევის დროს 570
8.8.8. როგორ უნდა განიმარტოს კანონიერი მფლობელობა ქონების ჩამორთმევის დროს? 579
8.8.9. ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის მიმართება საკუთრების უფლების შეზღუდვასთან და საკუთრების ჩამორთმევასთან 581
8.8.10. ქონების ჩამორთმევა – დამატებითი სასჯელი, თუ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების (დაცვის) სხვა ღონისძიება? 585
8.8.11. კონფისკაციის პროპორციულობა გერმანული კანონმდებლობისა და დოგმატიკის მიხედვით 586
8.8.11. კონფისკაციის ცალკეული შემთხვევების პროპორციულობის შეფასება გერმანული მართლმსაჯულების მიერ 589
8.8.12. კონფისკაციის კლასიფიკაცია გერმანული დოგმატიკის მიხედვით 589
8.8.13. უდანაშაულო მესამე პირის ქონების კონფისკაცია საფრანგეთის სს კოდექსის მიხედვით 591
9. დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების მოძღვრება და მისი ალტერნატივები 591
9.1. თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორია („Spielraumtheorie") 592
9.2. საფეხუროვანი თეორია („Stufen"- oder „Stellenwerttheorie") 595
9.3. ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდების თეორია („Lehre von der Tatproportionalität") 597
10. დანაშაულის პროპორციული სასჯელის პრინციპული მნიშვნელობა და საფუძველი 599
11. პროპორციული სასჯელის შეფარდების მოძღვრების ძირითადი მახასიათებლები 602
11.1. ბრალეული ქმედების უმართლობაზე ორიენტირებული სასჯელის შეფარდება 602
11.2. დანაშაულის მოძღვრებაზე ორიენტირების დადებითი და უარყოფითი მხარე .. 604
11.3. ქმედების უმართლობის შეფასება 608
12. დანაშაულებრივი ქმედების უმართლობა, როგორც სასჯელის შეფარდების საყრდენი წერტილი? 610
12.1. უმართლობის ფარგლების განსაზღვრა ქმედების შემადგენლობის ნიშნების

დეგო მისაკუთრების მიზანი, სახეზე არაა დაუფლებითი დანაშაული (მაგალითად, ქურდობა).

შემთხვევა:

პეტრე მიწვეულია საქმიან შეხვედრაზე, მაგრამ არა აქვს სათანადო სამოსელი. იგი აივნიდან ჩუმად შეიპარა მეზობლის ბინაში, საიდანაც გამოიტანა შესაფერისი პიჯაკი და ჰასტუხი. ჩაიცვა და წავიდა შეხვედრაზე.

საღამოს, შეხვედრიდან დაბრუნების შემდეგ ეს ტანსაცმელი სათანადოდ მოაწესრიგა და ისევ ჩუმად შეიტანა მეზობლის ბინაში.

სახეზეა ქურდობის ობიექტური შემადგენლობა. კერძოდ, სახეზეა სხვისი მოძრავი ნივთი (პიჯაკი და ჰალსტუხი), პეტრე მას დაეუფლა, რისთვისაც გამოიყენა ფარული ხერხი. თანაც ეს გააკეთა სხვის ბინაში უკანონო შეღწევით. ამასთან დაუფლება დამთავრებული იყო, რადგან პეტრეს ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენებინა იგი ჰქონდა რა მისი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის შესაძლებლობა.

თუმცა სახეზე არაა ქურდობის სუბიექტური შემადგენლობა. კერძოდ, სახეზე არაა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

მაინც რატომ არაა იგი?

ეს საკითხი რომ გადავწყვიტოთ, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას:

რას ნიშნავს „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი“?

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი დაკავშირებულია **საკუთრების უფლებასთან**, რაც გულისხმობს ნივთის მფლობელობას, სარგებლობას და განკარგვას. აქედან ყველაზე ქმედითია განკარგვის (ე.ი. ნივთის იურიდიული ბედის გადაწყვეტის) უფლება, რადგან მფლობელობისა და სარგებლობის უფლება შეიძლება გადაცემული ჰქონდეს ნივთის არამესაკუთრესაც (მაგალითად, ნათხოვარი ნივთის მიმართ პირს აქვს მფლობელობისა და სარგებლობის უფლება).

გამომდინარე აქედან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი გულისხმობს პირის მიზანს, უკანონოდ ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგოს დაუფლებული ნივთი, როგორც საკუთარი.

პეტრეს ჰქონდა ამ ნივთების ფლობის და სარგებლობის მიზანი, მაგრამ **არ ჰქონდა მათი განკარგვის, ანუ მათი იურიდიული ბედის გადაწყვეტის მიზანი,** თუმცა ობიექტურად ჰქონდა ამის შესაძლებლობა. მას სურდა მხოლოდ დროებით გამოეყენებინა ისინი და კვლავ უკან დაებრუნებინა მესაკუთრისათვის, რაც გააკეთა კიდეც.

ეს იმას ნიშნავს, რომ პეტრეს არ ჰქონდა ამ ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

ამდენად, ერთია დაუფლებული ნივთის განკარგვის ობიექტური შესაძლებლობა (რაც პირს ჰქონდა სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროსაც) და **სულ სხვაა ასეთი მიზნის არსებობა.** ქურდობა და სსკ 184-ე მუხლების ძირითადი განსხვავება სწორედ ამ მიზანშია – ქურდობისას პირს აქვს

ეს მიზანი, ხოლო სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას კი – არა.

ამდენად, პეტრეს ქმედებაში არაა დაუფლებითი დანაშაული, კერძოდ, ქურდობა, რადგან ქმედების ქურდობად კვალიფიკაციისათვის საჭიროა, სახეზე იყოს როგორც მისი ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანი.

პეტრეს ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 160-ე მუხლის პირველი ნაწილით – ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა.

რაც შეეხება სსკ 184-ე მუხლს, მის სუბიექტურ შემადგენლობაშიც მოტივს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა, ამდენად, იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი.

რაც შეეხება მიზანს, იგი არ შეიძლება იყოს ნებისმიერი, კერძოდ, **არ შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.**

საიდან ჩანს ეს?

ეს ჩანს ამ მუხლის სათაურიდან: „სატრანსპორტო საშუალების დაუფლება **მისაკუთრების მიზნის გარეშე".**

რა გვითხრა კანონმდებელმა ამ სათაურით?

მან გვითხრა ის, რომ სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობაში შეიძლება იყოს ყველანაირი მიზანი, გარდა სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ კერძო ნაწილის მუხლის სათაური არის გზამკვლევი ამ მუხლის შინაარსის სწორად გაგებისა.

ამდენად, ამ მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია, სადაც ეწერა : „სატრანსპორტო საშუალ;ების დაუფლება დროებითი სარგებლობის მიზნით" ნიშნავს იმას, რომ აქ გამორცხულია მისი მისაკუთრების მიზანი.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი დაუფლებითი დანაშაულის (მაგალითად, ქურდობის) სუბიექტური შემადგენლობისათვის აუცილებელია ეს მიზანი, სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამორიცხული იყო ამ მიზანის არსებობა.

დაუფლებითი დანაშაულების (მაგალითად, ქურდობის) სუბიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოისახოს ასეთნაირად:

ქურდობის სუბიექტური შემადგენლობა = ნებისმიერ მოტივს და მიზანს + სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

ხოლო სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური **შემადგენლობა = ნებისმიერ მოტივსა და მიზანს – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.**

მინუსი კი არასოდეს არაა პლუსის კერძო შემთხვევა და პირიქით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პლუსი არასოდეს მოიცავს მინუსს თავისთავში, ვერასოდეს გადაფარავს მას, ასევე პირიქით.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის მოტივაციას ამ საკითხზე:

განმარტებით ბარათში, რაც თან ახლდა ამ მუხლის კოდექსიდან ამოღების მოთხოვნას, ნათქვამია: „კანონის პროექტის მიხედვით ხდება სსკ 184-ე მუხლის ამოღება, რადგან კოდექსის მოქმედი რედაქციით, სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, როცა მიზანი მისი დასაკუთრებაა, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად არის ჩამოყალიბებული ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის მუხლებში. კანონპროექტის მიზანია, გაუქმდეს აღნიშნული 184-ე მუხლი, რადგან სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით არ არის ისეთი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი, რომ აღნიშნული ქმედება იყოს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი. მით უმეტეს გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იყოს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით დანაშაული და სხვა ნივთების დაუფლება კი არა. კანონპროექტის მიხედვით ხდება აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია“.

მართლაც, ამ დროისათვის სსკ 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლებში უკვე შეტანილი იყო შესაბამისი ცვლილება, რითაც დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული იყო „იგივე ქმედება, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ“.

ამ განმარტებითი ბარათიდან აშკარად ჩანს, რომ კანონპროექტის მიზანია ამ მუხლის დეკრიმინალიზაცია.

საქართველოს პარლამენტმა განიხ.ლა რა ეს კანონპროექტი, მხარი დაუჭირა მას. პარლამენტის მიერ მოწონებულ კანონპროექტს საქართველოს პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი, იგი სათანადო წესით გამოქვეყნდა და დათქმულ დროს ძალაში შევიდა.

ყველაფერი ამის შემდეგ სადაო არ უნდა იყოს ის, რომ ამ კანონით მოხდა სსკ 184-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედების დეკრიმინალიზაცია. ეს კი იწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, სს დევნა უნდა შეწყდეს იმ პირთა მიმართ, რომლებიც სს პასუხისგებაში არიან მიცემული ამ მუხლით. ასევე უნდა მოხდეს იმ განაჩენთა გადასინჯვა, რითაც მსჯავრდებულები იხ.იან სასჯელს ამ მუხლის შესაბამისად, რათა მსჯავრდებულები გათავისუფლდნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.[7] პრაქტიკაში კი ყველას გასაოცრად ეს არ მოხდა.

ამ კატეგორიის ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2007 წლის 28 ივნისს მიიღო განჩინება ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე.[8]

ამ განჩინებაში აღნიშნულია: „...ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის ამოღება

[7] ამ საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, გვ. 200; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები. ტომი მე-3, გვ. 143-146; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 32-33.

[8] იხ. საქმე №1042აპ

არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია. ამჟამად მოქმედი სს კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები. კერძოდ – 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები. ... სატრანსპორტო საშუალების გატაცება სსკ 184-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე სხვისი ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შედეგად, რა დროსაც მას ჰქონდა მისი, როგორც საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა, განიზრახავდა დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა."

დავიწყოთ განჩინების ამ მონაკვეთის განხილვა.

პირველ აბზაცშივე აშკარაა, რომ უზენაესი სასამართლო **ფაქტობრივად არ იზიარებს საქართველოს პარლამენტის პოზიციას** იმ საკითხში, რომ ამ მუხლის ამოღებით მოხდა შესაბამისი ქმედების დეკრიმინალიზაცია.

რამდენადაა შესაძლებელი ნორმალურ სახელმწიფოში შეიქმნას ვითარება, როცა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მხარს უჭერს საკანონმდებლო ინიციატივას სს კოდექსიდან რომელიმე ქმედების დეკრიმინალიზაციაზე და იღებს შესაბამის კანონს, ხოლო უზენაესი სასამართლო კი იწყებს იმის დასაბუთებას, რომ ამ კანონის მიღებით სრულებითაც არ მომხდარა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. ფაქტობრივად იწყებს იმის მტკიცებას, რომ პარლამენტი შეცდა, როცა „ეგონა", რომ მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც ითხოვდა რომელიმე მუხლის დეკრიმინალიზაციას (თუმცა პირდაპირ ეს, რა თქმა უნდა, არაა ნათქვამი ამ განჩინებაში).

მითითებული განჩინების ამ მონაკვეთში უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ფაქტობრივად თქვა, რომ არც იმან, ვინც პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო ინიციატივით და არც პარლამენტმა თურმე არ იცოდა, რომ სსკ 184-ე მუხლი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულების კერძო შემთხვევა. ამდენად, პარლამენტს თურმე თავად ვერ გაურკვევია, რას მისცა ხმა ამ კანონპროექტზე მხარის დაჭერის ფაქტით – ქმედების დეკრიმინალიზაციას, თუ სპეციალური ნორმის ამოღებას სს კოდექსიდან.

ამდენად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ამ განჩინებით „მართლმსაჯულების მხსნელად" მოგვევლინა.

ამ საკითხზე სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „ასეთი მდგომარეობა, სამწუხაროდ, ეწინააღმდეგება სამართლის რომანულ-გერმანული სისტემის არსს, რომლის მიხედვით სამართლის წყარო არის კანონი და არა სასამართლო პრაქტიკა.... საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დიდმა პალატამ აშკარად გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და პარლამენტის უფლება მიითვისა".[9]

მივყვეთ განჩინების ტექსტის შემდგომ მონაკვეთს: „სატრანსპორტო საშუ-

[9] იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, ტბ. 2013, გვ. 26.

ალების გატაცება სსკ 184-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე სხვისი ავტომანქანაის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შედეგად, რა დროსაც მას ჰქონდა მისი, როგორც საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა, განიზრახავდა დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა".

რა არის აქ სწორი და რა – არასწორი?

სწორია ის, რომ სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას ქმედების ამსრულებელს ჰქონდა ამ ნივთის, როგორც საკუთარის გამოყენების შესაძლებლობა.

არასწორია ის, რომ პირი სხვისი ავტომანქანის დაუფლების შედეგად განიზრახავდა დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა.

ეს მონაკვეთი არა მარტო არასწორია, არამედ აზრობრივადაც გაუმართავია.

რას ნიშნავს „დაუფლების შედეგად განიზრახავდა"? პირმა შეიძლება რაიმე განიზრახოს ნივთის დაუფლებემდე ან დაუფლების შემდეგ, მაგრამ არა დაუფლების შედეგად.

ასეთი ბუნდოვანი მსჯელობით დიდ პალატას იმის თქმა უნდოდა, რომ დამნაშავეს ავტომანქანის დროებითი გამოყენების განზრახვა აღმოუცენდებოდა მისი დაუფლების შემდეგ და არა მანამდე, რაც პრინციპულად არასწორია და არასწორი გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზია.

სსკ 184-ე მუხლის არსი იმაში გამოიხ.ტება, რომ პირს ავტომანქანის დროებითი გამოყენების განზრახვა აღმოუცენდება მის დაუფლებამდე, ამდენად, დაუფლებას სჩადის მისაკუთრების მიზნის გარეშე დროებითი სარგებლობისათვის, რომლის შემდეგ მესაკუთრეს მიეცემა შესაძლებლობა, უკან დაიბრუნოს იგი. ამაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუთითებს მუხლის სათაური – სატრანსპორტო საშუალების დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს ამ ნივთის დაუფლების პროცესში არ ამოძრავებს მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

აღნიშნული განჩინების შემდეგ მონაკვეთში ვკითხულობთ: „ის ფაქტი, რომ სსკ 184-ე მუხლის დისპოზიციაში არაა მოცემული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დამნაშავე თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარების მოტივით თავის სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას – ავტოტრანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი".

როგორც ვხედავთ, დიდი პალატის აზრით ის ფაქტი, რომ სსკ 184-ე მუხლის დისპოზიციაში არაა მოცემული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ ამ დანაშაულის ჩადენისას არ არსებობს ასეთი მიზანი.

აშკარაა, რომ დიდ პალატას საკითხის გადაწყვეტისას მხედველობიდან

გამორჩა სსკ 184-ე მუხლის სათაური, სადაც არაორაზროვნადაა აღნიშნული, რომ ამ დანაშაულის ჩადენა ხდება მისაკუთრების მიზნის გარეშე. დიდი პალატის მიერ დაშვებული შეცდომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ამ მუხლის სათაურის ყურადღების გარეშე დატოვებაა, რომ არაფერი ვთქვათ თავად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსის არასწორად გაგებაზე.

გარდა ამისა, გაუგებარია ამ განჩინების ის მონაკვეთი, სადაც ნათქვამია; „ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით".

რას ნიშნავს „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით"?

თუკი აქ ნაგულისხმევია **დროებითი განზრახვა**, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, რადგან განზრახვა არ შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი (ანუ არადროებითი).თუ პირი განიზრახვას რაიმე ქმედების ჩადენას, ეს განზრახვა შეიძლება არსებობდეს მანამ, სანამ არ ჩაიდენს ამ ქმედებას, ან არ გადაიფიქრებს მის ჩადენას.

თუკი აქ ნაგულისხმევია **სხვისი ნივთის დროებით მისაკუთრების განზრახვა**, ასეთი რამ მართლაც შესაძლებელია, ოღონდ მასში სულ სხვა რამ უნდა ვიგულისხმოთ.

კერძოდ, არაა გამორიცხული, პირი დაეუფლოს სხვის რაიმე ნივთს და დაუფლებამდე გადაწყვეტილი ჰქონდეს, რომ მხოლოდ დროებით გამოიყენებს მას, შემდეგ კი გადაწყვეტს მის იურიდიულ ბედს. მაგალითად, აჩუქებს სხვას, გაყიდის, გაცვლის სხვა ნივთში, ან სულაც გადააგდებს.

მაგალითად, პეტრე ფარულად დაეუფლა სხვის ავტომანქანას იმ მიზნით, რომ მისი გამოყენებით წავიდეს აზერბაიჯანში, შემდეგ კი იქვე გაყიდოს იგი, ან აჩუქოს აზერბაიჯანში მცხოვრებ მის მეგობარს.

რა თქმა უნდა, ესაა სხვისი მოძრავი ნივთის (ავტომანქანის) ქურდობა, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რადგან პეტრეს სურდა ამ ნივთის როგორც ფლობა, ისე დროებითი სარგებლობა და რაც მთავარია, მისი განკარგვ. (ანუ იურიდიული ბედის გადაწყვეტა).

ამდენად, **მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი სრულებით არ ნიშნავს** პირის სურვილს, სამისდემშიოდ ფლობდეს და სარგებლობდეს ამ ნივთით. ასევე არ ნიშნავს მისი განუსაზღვრელი ვადით ფლობისა და სარგებლობის მიზანს. პირს შეიძლება დაუფლებამდე ჰქონდეს გადაწყვეტილი, დაახლოებით რა ვადით გამოიყენებს მას. მთავარია, სურდეს მისი იურიდიული ბედის გადაწყვეტა, ანუ მისი განკარგვა.

შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი საყოფაცხოვრებო მაგალითი. მოდას აყოლილი გოგონები ხშირად ყიდულობენ თანამდეროვე ტანსაცმელს და იმთავითვე გადაწყვეტილი აქვთ, ერთხელ ჩაცმის შემდეგ აჩუქონ იგი ნაცნობებს. აქ სახეზეა ამ ნივთის მისაკუთრების მიზანი (სხვა საკითხია, რომ იგი არაა მართლსაწინააღმდეგო). მართალია, ნივთის შეძენა ხდება მისი დროებითი გამოყენების მიზნით, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ დროებითი სარგებლობის შემდეგ გადაწყვიტოს მისი იურიდიული ბედი – გაასხვისოს ეს ნივთი (მაგრამ არა დაუბრუნოს

იგი მესაკუთრეს).

გამომდინარე აქედან, ქურდობისა და სსკ 184-ე მუხლის გამიჯვნისას მთავარია იმის გარკვევა, სურდა თუ არა მას განეკარგა ეს ნივთი როგორც საკუთარი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სურდა გადაეწყვიტა მისი იურიდიული ბედი, თუ სურდა დროებით გამოყენების შემდეგ მისი კვლავ მესაკუთრისათვის დაბრუნება.

ამდენად, **მისაკუთრების მიზანში არ იგულისხმევა ისეთი შემთხვევა,** როცა პირს სურს ამ ნივთის დროებითი გამოყენება, შემდეგ კი მისი კვლავ მესაკუთრეზე დაბრუნება.

ამ საკითხთან დაკავშირებით კარგი მაგალითია მოყვანილი იურიდიულ ლიტერატურაში: ახალგაზრდები სოფელის მინდორში სხვის ცხენებს დაეუფლებიან დროებითი გამოყენებისათვის, მაგრამ არა მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, რათა შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს იგი მესაკუთრეს. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში დააჭენებენ ამ ცხენებს და შემდეგ ტოვებენ მინდორში.[10]

რაც შეეხება განჩინების შემდეგ მონაკვეთს, აქ დიდი პალატა ცდილობს დაამტკიცოს, რომ დროებითი სარგებლობის მიზანი არის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის კერძო შემთხვევა.

კერძოდ, იქ წერია: „...რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი... როდესაც დამნაშავე მართლსაწინააღმდეგ დაეუფლება ავტომობილს, რა დროსაც მას აქვს მისი, როგორც ფაქტობრივად საკუთარის გამოყენების შესაძლებლობა, არა აქვს მნიშვნელობა, პირი რა სახით გამოიყენებს ავტომანქანას – მისი დროებითი სარგებლობა სურს, თუ ფიქრობს მისი გამოყენების სხვა ფორმებზე, – მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის გამოყენებული ხერხის მიხედვით საკუთრების წინაალმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით. “

პრაქტიკულად გამოვიდა, რომ სს კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღებით ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია კი არ განხორციელდა სასამართლო პრაქტიკაში, არამედ, პირიქით, გამკაცრდა პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების დროებითი დაუფლებისათვის, რადგან თუკი სსკ 184-ე მუხლის არსებობისას პირი პასუხს აგებდა 184-ე მუხლის სანქციის ფარგლებში, ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ჩადენილი ამგვარი ქმედებისათვის პირს პასუხისმგებლობა დაეკისრათ სსკ 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლების დამამძიმებელი გარემოების („იგივე ქმედება, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ“) სანქციის ფარგლებში, რაც გაცილებით მკაცრია.

რა პრინციპული სახის შეცდომაა დაშვებული ამ განჩინებაში?

განჩინების მიხედვით ჩანს, რომ უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას ერთმანეთში აერია დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა. შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტისას მან აქცენტი გააკეთა ობიექტურ შემად-

[10] იხ. ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 27.

გენლობაზე. კერძოდ იმაზე, თუ რას ნიშნავს „დაუფლება“ და ობიექტურად როდისაა დამთავრებული ქურდობა და სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ამასთანავე ყურადღების მიღმა დარჩა ქურდობის სუბიექტური შემადგენლობის ისეთი აუცილებელი ნიშანი, როგორიცაა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

გამომდინარე აქედან, ქურდობისა და სსკ 184-ე მუხლის შედარებისას აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ როცა პირი ეუფლება სატრანსპორტო საშუალებას დროებითი სარგებლობის მიზნით, მას შეუძლია იგი განკარგოს თაეისი შეხედულებისამებრ ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს ქურდობის დროს.

ეს მართლაც ასეა. როგორც ქურდობა, ისე სსკ 184-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, როგორც უკვე აღინიშნა, დამთავრებულია მაშინ, როცა პირი ხელთ იგდებს სხვის ნივთს (ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებას) და მიეცემა მისი განკარგვის შესაძლებლობა.

თუმცა 184-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა გულისხმობს, რომ პირს არა აქვს ამ ნივთის მისაკუთრების მიზანი, რადგან მისაკუთრების მიზანში მთავარი განკარგვის მიზანია. ხოლო ქურდობა გულისხმობს იმას, რომ პირს სწორედ ეს მიზანი აქვს.

ამდენად, სსკ 184-ე მუხლის ამოღება სს კოდექსიდან ნიშნავს ამ ქმედების დეკრიმინალიზაციას, ვინაიდან 184-ე მუხლი არ ყოფილა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულების (ქურდობა, ძარცვა, ყაჩარობა) კერძო შემთხვევა. დაუფლებითი დანაშაულები მიზნით დაფუძნებული, ანუ გამიზვნითი დელიქტებია, ხოლო სსკ 184-ე მუხლი კი გამორიცხვდა ამ მიზანს.

სხვა საკითხია, როგორ უნდა დამტკიცდეს, რა მიზნით დაეუფლა პირი სხვის ავტომანქანას – მას სურდა მისი მისაკუთრება, თუ დროებითი გამოყენება?

ამის დადგენა მტკიცების საკითხია, რასაც სადღეისოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის, არამედ ადამიანის ბედის გადაწყვეტისათვის, რადგან ავტომანქანის დაუფლება მისი დროებითი გამოყენების მიზნით მოქმედი კანონმდებლობით არ წარმოადგენს დანაშაულს.

საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ საქმის ყველა დეტალი: ვინაა ქმედების ამსრულებელი – სრულწლოვანი, თუ არასრულწლოვანი (მაგალითად, სკოლიდან სახლში მიმავალი მოსწავლე); ავტომანქანის დაუფლების შემდეგ საით წაიყვანა პირმა იგი. კერძოდ, ხომ არ ცდილობდა, გადაეყვანა იგი საქართველოს ფარგლებს გარეთ, ანდა საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე? ავტომანქანის გამოყენების შემდეგ სად დატოვა იგი – დასახლებული პუნქტის რომელიმე ნაწილში, თუ მიუვალ ადგილას (მაგალითად, ტყეში), ან თავისი სახლის ეზოში ან გარაჟში?

ყველა ეს გარემოება ერთობლივად უნდა შეფასდეს და არა ცალ-ცალკე. ამდენად, არაა გამორიცხული, სსკ 184-ე, უხლის ამსრულებელი სრულწლოვანიც

ყოფილიყო, თუმცა მას უფრო ხშირად არასრულწლოვნები სჩადიოდნენ მანქანით გასეირნების მიზნით.

მაგალითი: პეტრეს აგვიანდება აეროპორტში და ტაქსის გაჩერებას ვერ ახერხებს. თუ დააგვიანდა, ვერ გაფრინდება საზღვარგარეთ. მან დაინახა ქუჩაში გაჩერებული მანქანა, რომელიც არ იყო ჩაკეტილი და გასაღების შიგნით იყო ჩარჩენილი. პეტრემ ისარგებლა ამით, მიუჯდა საჭეს და აეროპორტისაკენ წაიყვანა იგი. მივიდა რა დანიშნულების ადგილას, მანქანა აეროპორტის ტერიტორიის სადგომზე დატოვა, თავად კი საზღვარგარეთ გაემგზავრა.

ცხადია, რომ პეტრეს მიზანი, როცა მართლსანინააღმდეგოდ დაეუფლა სხვის ავტომანქანას, არ ყოფილა მისი მისაკუთრება. მისი მიზანი იყო დროებით ესარგებლა მისით, მაგარამ არ განეკარგა, როგორც საკუთარი. ამდენად, ეს ქმედება წარმოადგენდა სსკ 184-ე მუხლის კლასიკურ შემთხვევას. დღეისათვის კი ასეთი ქმედება არაა დანაშაული. იგი შეიძლება გახდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველი (მესაკუთრემ სამოქალაქო სარჩელით მოითხოვოს დახარჯული საწვავის, მანქანის ცვეთისა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება).

საინტერესოა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში რამდენად მოიკიდა ფეხი „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის“ ასეთმა გაგებამ?

ამის გასარკვევად გამოგვადგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ოქტომბრის განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის განაჩენზე მსჯავრდებულ ა. კ-ესა და ა. გ-ის მიმართ.[11]

მათ მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხ.ტა შემდეგში:

2012 წლის 26 ნოემბერს, დაახლოებით 00.10 საათზე მსჯავრდებულებმა პირადი მოტივით განაწყენებულებმა საქმის გასარჩევად სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გაიყვანეს თურქი მოქალაქეები თ.ქ-ი და ს.ქ-ი, რომელთანაც ჰქონდათ საერთო ბიზნესი. თურქ მოქალაქეებს მსჯავრდებულების ერთ-ერთი ნათესავისაგან მინდობილობით გადაცემული ჰქონდათ ავტომანქანა, რომელსაც თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ გადასცემდა ხოლმე მსჯავრდებულ ა-ს, რომელიც თავის მხრივ ამ მანქანას უბრუნებდა მესაკუთრეს და ასე ხდებოდა სისტემატურად.

საქმის გარჩევის დღეს მანქანას მართავდა თურქეთის ერთ-ერთი მოქალაქე. მანქანის გაჩერების შემდეგ თურქმა მოქალაქემ გასაღები მანქანაშივე დატოვა. მანქანიდან ჩამოსვლისას მსჯავრდებულებმა სცემეს თურქთის ეს მოქალაქეები, რის შედეგადაც მიაყენებს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ნაცემი მოქალაქეები გაიქცნენ.

ამის შემდეგ ბრალდებულებმა წაიყვანეს თურქ მოქალაქეებზე მინდობილობით გადაცემული ავტომანქანა, რაც მიიყვანეს მათი ნათესავის სახლითან

[11] იხ. უზენაესი სასამართლოს არქივი, საქმე № 123ას-13

ახლოს, დაახლოებით 30 მეტრში და იქ დატოვეს.

ბრალდებულები ა.კ-ე და ა.გ-ი 2013 წლის 28 მარტს **ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენით ცნობილ იქნენ** დამნაშავედ სსკ 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა", „დ" და „ე" ქვ-ით (ძარცვა, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) და დანაშაულთა ერთობლიობის წესით შეეფარდათ სათანადო სასჯელები.

აღნიშნულ განაჩენში **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით** შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ორივე მსჯავრდებული ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა ძარცვის ბრალდების ნაწილში. შესაბამისად, ისინი დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ ჯანმრთელობის განზარხ მსუბუქ დაზიანებაში. შესაბამისი ცვლილება შევიდა სასჯელის ნაწილშიც.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ **ბრალდებულთა განზრახვაში არ იკვეთება ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.** ამ აუცილებელი მაკვალიფიცირებელი ნიშნის გარეშე კი არ შეიძლება არსებობდეს და არც არსებობს ძარცვის შემადგენლობა.

ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა უზენაეს სასამართლოში შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულთა დამნაშავედ ცნობა ძარცვაში.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განჩინებაში აღნიშნა, რომ ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულების განზრახვაში არ იკვეთება ავტომანქანი მისაკუთრების მიზანი და ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის გარეშე მსჯავრდებულების ქმედებაში არ არსებობს ძარცვის შემადგენლობა. ამდენად, მან არ დააკმაყოფილა პროკურორის საკასაციო საჩივარი, რომელიც ითხოვდა ქმედების ძარცვით დაკვალიფიცირებას.

ამავე დროს ამ განჩინებით უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულების ქმედების ეს ეპიზოდი **დაკვალიფიცირა თვითნებობით**, რაც ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით (სსკ 360-ე მ-ის მე-2 ნაწ.) შემდეგი არგუმენტაციით:

მსჯავრდებულებმა მათთვის დაგულვებული უფლებით, რომ რადგან ა/მანქანა ეკუთვნოდა მათ ახლობელს და მასთან მანქანა სხვა დროსაც მიჰყავდათ, მანქანა თვითონ წაიყვანეს და გააჩერეს მესაკუთრის სახლთან ახლის, რითაც უგულებელყვეს კანონით დადგენილი წესი... აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულებმა დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი. კერძოდ, წაიყვანეს ა/მანქანა თვითნებურად და დაზარალებულმა ვერ ისარგებლა მისთვის მინდობილობის საფუძველზე მინიჭებული უფლებით, მანქანა ჰყოლოდა თავის მართლზომიერ მფლობელობაში და ესარგებლა მისით საჭიროებისამებრ.

როგორც ვხედავთ, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ **„კარებიდან განდევნილი“** მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ **„ფანჯრიდან უკანვე იქნა შემოყვანილი“.**

ნაშრომის განსახილველ საკითხთან არაა დაკავშირებული იმის გარკვევა, **რამდენადაა დასაბუთებული ამ განჩინებაში მსჯავრდებულთა ქმედების კვალიფიკაცია თვითნებობით.** ამიტომ ამ საკითხს არ ჩავუღრმავდებით.

თუმცა მოკლედ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საკითხავია, მსჯავრდებულთა მიერ იმ მანქანის წაყვანა, რაც სასაფლაოს ტერიტორიაზე იყო დატოვებული და ეკუთვნოდა მათ ახლობლოს, თუ რამდენად გვაძლევს თვითნებობის შემადგენლობას;

უფრო მეტიც, მათ მხრიდან რამდენად სწორი იქნებოდა სასაფლაოს ტერიტორიაზე გასაღებთან ერთად დატოვებული მათი ნათესავის კუთვნილი ავტომანქანის მოტოვება?

მით უმეტეს, როცა ეს მანქანა მათივე თხოვნის საფუძველზე გადასცა მათმა ნათესავმა თურქ მოქალაქეებს საერთო ბიზნესის წარმოებისათვის და ამ ბიზნესში საერთოდ არ იყო ჩართული მანქანის მესაკუთრე; ეს ბიზნეს- ურთიერთობა კი მსჯავრდებულებსა და თურქ მოქალაქეებს შორის უკვე დამთავრდა ამ ჩხუბის ფაქტით;

ანდა, რატომ უნდა ესარგებლათ დაზარალებულებს ამ მანქანით მას შემდეგ, რაც მათ შორის დასრულდა ბიზნეს-ურთიერთობა, რატომ ჰქონდათ მათ ამისი უფლება?

ერთადერთი მიზანი, რითაც მათ შეეძლოთ ამ მანქანის გამოყენება, უკვე იყო არა ბიზნეს-ინტერესი, არამედ პირადი ინტერესი. არადა მათ ეს მანქანა არ ჰქონდა მინდობილი პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

შესაბამისად, საკითხავია, სად იკვეთება აქ დადგენილი წესის საწინააღმდეგო ქმედება, ანდა სადაა აქ მნიშვნე;ლოვანი ზიანი?

ასევე საკითხავია, მით უმეტეს რამდენადაა გამართლებული ქმედების **თვითნებობის მე-2 ნაწილით კვალიფიკაცია,** როცა მათ მიერ ჩადენილი ძალადობა არ იყო მიმართული თვითნებობის განხორციელებისკენ, **ანუ მისი გაადვილებისაკენ, არამედ მიმართული იყო შურისძიებისაკენ?**

ხომ არ გამოვიდა, რომ ასეთი კვალიფიკაციით ძალადობის ფაქტს ორჯერ მიეცა სამართლებრივი შეფასება – ერთი, როგორც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და მეორე- როგორც თვითნებობა, ჩადენილი ძალადობით?

საბოლოოდ, სსკ 184-ე მუხლთან დაკშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებლად მიგვაჩნია, კანონმდებელმა აღადგონოს იგი სს კოდექსში, **ანუ კვლავ უნდა მოხდეს ამ ქმედების კრიმინალიზაცია.**

სწორადაა დასაბუთებული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ განსხვავებით სხვა საგნებისაგან, ავტოტრანსპორტის დროებითი დაუფლების ფაქტი უნდა

ისჯებოდეს სს წესით.[12]

მართლაც, სატრანსპორტო საშუალება არის მომეტებული საფრთხის წყარო. ამდენად, მისი მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისას, იმის მიუხედვად, რომ პირს არა აქვს მისი მისაკუთრების მიზანი, არსებობს მრავალი საფრთხე. პირი ამ დროს, როგორც წესი, აღელვებულია, რადგან შიშობს, პოლიციის მიერ არ იქნეს დაკავებული, არ შეამჩნიონ სხვებმა და არ შეატყობინონ სათანადო ორგანოებს. არაა გამორიცხული, მართვის უფლების არქონის გამო მანქანის ტარებაც კარგად არ იცოდეს (უფრო მეტად ასეთ ქმედებებს არასრულწლოვნები სჩადიან) და სხვა.

გარდა ამისა, ამ მუხლის სს კოდექსში აღდგენით წერტილი დაესმევა იმ გაუგებრობას, რასაც ადგილი ჰქონდა სასამართლო პრაქტიკაში.

ქმედების პენალიზაცია:

რაც შეეხება პენალიზაციას, მასთან დაკავშირებით უნდა გაიმიჯნოს მისი ფართე და ვიწრო გაგება.

ვიწრო გაგების ერთ-ერთი გამოვლინებაა, როცა კანონმდებელი კონკრეტული დანაშაულისათვის (რაც სს კოდექსში უკვე არსებობს) სხვა სასჯელის გვერდით დააწესებს ახალ უფრო მკაცრი სახის სასჯელს, რაც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ამ დანაშაულისათვის. მაგალითად, მუქარისათვის (სსკ 150-ე მუხლით) 2001 წლის კოდექსით თავიდან სასჯელის სახით არ იყო დაწესებული თავისუფლების აღკვეთა. მისთვის დაწესებული იყო ჯარიმა, საზოგადეობრივად სასარგებლო შრომა ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე ანდა ტუსაღობა ვადით სამ თვემდე.

ხოლო 2006 წლის აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით სასჯელთა ამ სახეებს მიემეტა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლამდე ვადით, რითაც მოხდა ამ ქმედების პენალიზაცია.

ასევე სსკ 238[1] მუხლის პირველი ნაწილით – ცივი იარაღის უკანონო ტარებისათვის 2006 წლის 29 დეკემბრიდან (როცა შემოღებულ იქნა ეს მუხლი), სასჯელის სახით დაწესებული იყო მხოლოდ ჯარიმა. შემდეგ კი კანონმდებელმა მოახდინა ამ ქმედების პენალიზაცია იმ თვალსაზრისით, რომ მასზე სასჯელის სახით ასევე გაითვალისწინა უფრო მკაცრი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით.

პენელიზაციად ვერ ჩაითვლება პირუკუ პროცესი. კერძოდ, შემთხვევა, როცა კანონმდებელი სსკ კერძო ნაწილის რომელიმე მუხლის სანქციას დაამატებს ალტერნატიულ (ანუ არასაპატიმრო) სასჯელს, რაც მანამდე ამ მუხლით არ იყო გათვალისწინებული, რითაც ხორციელდება სს კანონმდებლობის ლიბერალიზაცია.

მაგალითად, რომელიმე დანაშაულისათვის საქნქციის სახით დაწესებული

[12] იხ. ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 26 -28.

იყო მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა და კანონმდებელმა ალტერნატიულ სასჯელად მას დაამატა თავისუფლების შეზღუდვა. ასეთი შემთხვევა არაა პენალიზაციის გამოვლინება..

პენალიზაციის ვიწრო გაგების სხვა შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა კანონმდებებელი რომელიმე მუხლიდან ცალკე გამოჰყოფს მის სპეციალურ შემადგენლობას და მასზე დააწესებს გამკაცრებულ სასჯელს.[13] მაგალითად, სსკ 334-ე მუხლით გათვალისწინებულია სს პასუხისმგებლობა ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლებისათვის, რაც წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ 332-ე მ.) კერძო შემთხვევას. მისთვის დაწესებულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილისათვის.

ასევე სსკ 335-ე მუხლით დაწესებულია მოხელის სს პასუხისმგებლობა განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებისათვის, რაც წარმოადგენს სსკ 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) კერძო შემთხვევას და მასზე უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული, ვიდრე სსკ 333-ე მუხლისათვის.

ამდენად, ადგილი აქვს ამ ქმედებათა პენალიზაციას.

ბოლო დროს პენალიზაციის პროცესი ფართედ იქნდა გამოყენებული ტერორიზმის თავში. კერძოდ, 2013 წლის 27 ნოენბრის კანონით სს კოდექსს დაემატა ახალი მუხლები, რომელიც წარმოადგენს ქურდობის, გამოძალვისა და საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების კერძო შემთხვევას, როცა ეს ქმედებები ჩადენილია ტერორიზმის მიზნით. მათთვის დაწესებულია გაძლიერებული პასუხისმგებლობა.

ესენია სსკ 3291-ე, 3303-ე, 3304-ე მუხლები.

პენალიზაციად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა კანონმდებელი ისე გაამკაცრებს პასუხისმგებლობას რომელიმე დანაშაულისათვის, რომ არ ქმნის სპეციალური შემადგენლობას და არც უფრო მკაცრი სახის ახალ სასჯელს აწესებს მასზე.

მაგალითად, 2013 წლის 27 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გაამკაცრა სასჯელი მთელი რიგი სქესობრივი დანაშაულისათვის, მათ შორის გაუპატიურებისათვის (სსკ 137-ე მუხლის პირველი ნაწ.), რითაც გაზარდა თავისუფლების აღკვეთის ზომა. კერძოდ, იგი გაზარდა ვადით ექვსიდან რვა წლამდე (ნაცვლად ადრე არსებული ვადისა- ოთხიდან ექვს წლამდე).

ეს არაა პენალიზაციის გამოვლინება, რადგან არც სპეციალური შემადგენლ;ობა შექმნილა გაზრდილი სანქციით და არც ახალი სახის უფრო მკაცრი სასჯელია დამატებული მუხლის სანქციაზე.

პენალიზაციად ასევე არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა ზოგადი ნორმიდან კანონმდებელი შექმნის სპეციალურ შემადგენლობას და მასზე დააწესებს უფრო მსუბუქ სასჯელს. მაგალითად, 1961 წლის სს კოდექსში თავისუფლების

[13] ასეთ გაგებას მხარს უჭერს მ. ტურავა, იხ. დასახ, ნაშრ. გვ. 25.

უკანონო აღკვეთის (სსკ 133-ე მ.) გვერდით არსებობდა მისი სპეციალური ნორმა – ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით – სსკ 134-ე მუხლი, რომლისთვისაც დაწესებული იყო უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის. კერძოდ, სსკ 133-ე მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და გასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გასახლების გარეშე. რაც შეეხება სსკ 134-ე მუხლს (ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით), ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ასევე დღეს მოქმედ სს კოდექსში არსებობს 110-ე მუხლი (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით), რომლისთვისაც დაწესებულია გაცილებით მსუბუქი სასჯელი, ვიდრე მარტივი მკვლელობისათვის (108-ე მ.).

არც ერთი ეს მაგალითი არაა პენალიზაციის გამოვლინება.

ასევე არ ჩაითვლება პენალიზაციად სსკ 333-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის მიხედვითაც სსკ 332-ე მუხლს – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გამოეყო მისი სპეციალური შემადგენლობა – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რომლისთვისაც დაწესებულია ანალოგიური სასჯელი, რაც 332-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

ამ დროს ადგილი აქვს ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციას, რა დროსაც, რა თქმა უნდა, იმარჯვებს სპეციალური ნორმა (ამ შემთხვევაში სსკ 333-ე მუხლი), მაგრამ ეს შემთხვევა პენალიზაციის გამოვლინება არაა.

რაც შეეხება **პენალიზაციის ფართე გაგებას**, მასში იგულისხმება შემთხვევა, როცა ადგილი აქვს ახალი სასჯელის დაწესებას არა სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში, არამედ ზოგად ნაწილში.

მაგალითად, კანონმდებელმა ზოგადი ნაწილის შესაბამის მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სასჯელთა სახეები, დაამატა ახალი სახის სასჯელი, რასაც მანამდე არ იცნობდა ჩვენი სს კოდექსი.ეს ჩაითვლება პენალიზაციის ფართე გაგებად. რა თქმა უნდა, ამ დროს შესაბამისი სასჯელები გათვალისწინებული იქნება სსკ კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებშიც.

პენალიზაციის ფართე გაგებას ასევე ადგილი აქვს იმ ფაქტით, რომლითაც ჩვენმა კანონმდებელმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არასრულწლოვანთათვის შემოიტანა სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რაც ჩვენი სს კანონმდებლობით დღემდე არ ყოფილა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს პენალიზაციას ფართე გაგებით.

რაც შეეხება დეპენალიზაციას, იგი ნიშნავს სს კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე სასჯელის გაუქმებას.

დეპენალიზაციასაც აქვს ფართე და ვიწრო გაგება.

ფართე გაგებით მას ადგილი აქვს მაშინ, როცა კანონმდებებლი სსკ ზოგადი ნაწილში სასჯელთა სახეებიდან ამოიღებს რომელიმე სახის სასჯელს. მაგალი-

თად, 2000 წლის სს კოდექსი ითვალისწინებდა ისეთი სახის სასჯელს, როგორიც იყო სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსება (სსკ 49-ე მ.), რაც გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისათვის, როცა დანაშაულს სამხედრო მოსამსახურე სჩადიოდა. 2000 წლის 5 დეკემბრის კანონით სასჯელის ეს სახე ამოღებულ იქნა სს კოდექსიდან.

ამით მოხდა სასჯელის ამ სახის დეპენალიზაცია ფართე გაგებით.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, სს კოდექსით სასჯელის ერთ-ერთი სახე იყო ტუსაღობა, რაც მოგვიანებით (კერძოდ, 2006 წლის 28 აპრილის კანონით), კანონმდებელმა კოდექსიდან ამოიღო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტუსაღობა ნიშნავდა მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციას, რაც ინიშნებოდა ერთიდან 6 თვემდე ვადით. შესაბამისად მართალია, მსჯავრდებული მკაცრად იყო იზოლირებული, მაგრამ ეს იყო ხანმოკლე სასჯელი.

2006 წლის 28 აპრილის კანონით მოხდა ამ სასჯელის დეპენელიზაცია ფართე გაგებით.

რა თქმა უნდა, შესაბამისად სასჯელის ეს სახე ამოღებულ იქნა კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებიდანაც.

ამდენად, დეპენალიზაცია ფართე გაგებით თავისთავში მოიცავს მის ვიწრო გაგებასაც, რადგან მას შედეგად მოჰყვება ის, რომ ამ დროს სსკ ზოგადი ნაწილიდან ამოღებული სასჯელის ამოღება ხდება კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებიდანაც.

ვიწრო გაგებით დეპენალიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა კანონმდებელი სს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლიდან ამოიღებს უფრო მკაცრი სახის სასჯელს და ტოვებს უფრო მსუბუქი სახის სასჯელს, რითაც შეამსუბუქებს სს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულის მიმართ. დეკრიმინალიზაციისაგან განსხვავებით, რა თქმა უნდა, ამ დროს არ ხდება ამ ქმედების სს წესით დასჯადობის გაუქმება.

მაგალითად, თუ კანონმდებელმა სს კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლიდან ამოიღო სასჯელის სახით დაწესებული თავისუფლების აღკვეთა და დატოვა სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.

დეპენალიზაციის გამოვლინებაა ასევე ისეთი შემთხვევა, როცა კანონმდებელი სს კოდექსის კერძო ნაწილიდან ამოღებს სპეციალური მუხლს, რომლითაც დაწესებული იყო გამკაცრებული პასუხისმგებლობა ამ სპეციალური შემადგენლობისათვის.

მაგალითად, სსკ კერძო ნაწილში, სამოხელეო დანაშაულის თავში 336-ე მუხლით გათვალისწინებული იყო გამკაცრებული პასუხისმგებლობა უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის, რაც იყო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსსკ 332-ე მ.) კერძო შემთხვევა.

კერძოდ, სსკ 336-ე მუხლი შედგებოდა რამდენიმე ნაწილისაგან.

პირველი ნაწილით უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა ისჯებოდა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის (უკანონო განაჩენის გამოტანა, თუ სასჯელის სახით დანიშნული იყო თავისუფლების აღკვეთა), სასჯელის სახით დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმოანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

თუ შევადარებთ ამ მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწესებულ სასჯელებს (ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით სამ წლამდე), აშკარაა, რომ სსკ 336-ე მუხლი ითვალისწინებდა უფრო მკაცრ სასჯელს.

2007 წლის 4 ივლისის კანონით საქართველოს პარლამენტმა სს კოდექსიდან ამოიღო 336-ე მუხლი, რითაც უარი თქვა სსკ 332-ე მუხლის ამ სპეციალური შემადგენლობის არსებობაზე.

ამით მოხდა ამ ქმედების დეპენალიზაცია, ანუ გამკაცრებული პასუხისმგებლობის გაუქმება.

ვინ არის დეპენალიზაციის სუბიექტი?

ისე როგორც კრიმინალიზაციისას, როგორც წესი, ესაა კანონმდებელი. თუმცა აქაც არაა გამორიცხული, დეპენალიზაცია განახორციელოს სხვა ორგანომ.

ასეთი ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც უფლება აქვს, საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადოს სს კოდექსის კერძო ნაწილში არსებული რომელიმე სასჯელი (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა), რითაც მოხდება ამ სასჯელის დეპენალიზაცია ამ კონკრეტული მუხლთან ან ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის რომელიმე საგანთან დაკავშირებით.

ეს იმას ნიშნავს, რომ საკონსტუტიციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლოს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ეს სასჯელი ამ მუხლის მიმართ.

მაგალითად, 2015 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ამ სასამართლოში განსახილველად შეტანილ საკონსტიტუციო სარჩელზე, რომლის მიხედვითაც ანტიკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სსკ 260-ე მუხლის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან 14 წლამდე" ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუ-

ფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადაოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხ.ანის,პირადი მოხმარების მიზნებისათვის შეძენის და შენახვის გამო.[14] საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად მოხდა 70 გრამამდე მარიხ. ანას პირადი მიზნების გამო შეძენა-შენახვის ფაქტის მიმართ სსკ 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული 2015 წლამდე მოქმედი სასჯელის (თავისუფლების აღკვეთა) დეპენალიზაცია. ამდენად, სასამართლოებს ამ ქმედებისათვის არა აქვთ უფლება, გამოიყენონ სასჯელი, სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით..

მაშ, რა სახის სასჯელი შეიძლება დაენიშნოს პირს 70 გრამამდე მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვის გამო? რა სასჯელი უნდა დანიშნოს სასამართლომ იმ შემთხვევაში, როცა თავისუფლების აღკვეთა ანტიკონსტიტუციურ სასჯელადაა ცნობილი, ხოლო სსკ კერძო ნაწილის მოცემულ მუხლში სასჯელის სხვა სახე არაა გათვალისწინებული?

მართალია, სსკ 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქციით) სასჯელის სხვა სახეს არ ითვალისწინებდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის (და არც მოქმედი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული სხვა სახის სასჯელი), მაგრამ ეს არ ცვლის საქმის არსს. სასამართლომ ამ ქმედებისათვის უნდა გამოიყენოს სსკ ზოგად ნაწილში არსებული სასჯელის სხვა სახე. მაგალითად, ჯარიმა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და ა.შ.

საკითხავია, აქვს კი სასამართლოს ასეთი შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში?

საკითხი შეიძლება სადაო გახდეს, რადგან სსკ 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის **კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით** დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით." თუმცა საქმე ისაა, რომ სსკ 53-ე მუხლის ეს ნაწილი ნორმალურ (ორდინალურ) შემთხვევეს აწესრიგებს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთხსენებული გადაწყვეტილებით კი შექმნილია არაორდინალური ვითარება. შესაბამისად, ეს ჩანაწერი განსახილველ ვითარებაში სასჯელის დანიშვნისას ზოგადი ნაწილის ნორმის გამოყენებას ხელს ვერ შეუშლის.

ამდენად, საკითხის გადაწყვეტისათვის სსკ ზოგადი ნაწილის სხვა ნორმა უნდა გამოვიყენოთ.

[14] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592)

კერძოდ, ესაა სსკ 55-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს აძლევს უფლებას, დანიშნოს ისეთი უფრო მსუბუქი სასჯელი, რაც არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, თუმცა გათვალისწინებულია სსკ ზოგადი ნაწილის მუხლით. ვინაიდან, დღეის მდგომარეობით სსკ 55-ე მუხლის გამოყენების უფლება შეზღუდულია საპროცესო შეთანხმებით, საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ეს მუხლი უნდა ანალოგიის სახით. რადგან სასამართლოს აქვს უფლება ანალოგია პირის სასარგებლოდ გამოიყენოს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას, მით უმეტეს მას ამის უფლება აქვს სასჯელის საკითხის გადაწყვეტის დროს.

ასევე, უნდა მოხდეს იმ სს საქმეებზე გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა, რომლითაც პირებს 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანას შეძება-შენახვის გამო დაიკისრათ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

ქმედების კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება განვიხილოთ საკითხი, ხომ არ **ნიშნავს სსკ 336-ე მუხლის მიმართ განხორციელებული ზემოთხსენებული საკანონმდებლო ცვლილება (მისი ამოღება სს კოდექსიდან) ქმედების ნაწილობრივ დეკრიმინალიზაციას?**

რას ნიშნავს ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია და თუ შეიძლება ასეთი რამ არსებობდეს?

სამწუხაროდ ეს საკითხი არაა დამუშავებული იურიდიულ ლიტერატურაში, თუმცა ამ ტერმინს ჩვენ ვხვდებით იმ შემთხვევის აღწერისას, როცა ხდება დისპოზიციაში დამატებითი ნიშნის შეტანა ან პირიქით, წინა კანონში მითითებული ნიშნების გამორიცხვა. მაგალითად, თუკი 1961 წლის სს კოდექსით ისჯებოდა ყველა კატეგორიის დანაშაულის მომზადება, 2000 წლის სს კოდექსის ძალაში შესვლისას დაწესებული იყო მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების დასჯადობა.[15]

განსხვავებით ქმედების დეკრიმინალიზაციისაგან, როცა საერთოდ უქმდება რომელიმე ქმედების დასჯადობა, ნაწილობრივი დეკრიმინალიზაციის დროს ქმედების დასჯადობა არ უქმდება, მაგრამ ხორციელდება ისეთი საკანონმდებლო ცვლილება, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის უკვე არაა საკმარისი მხოლოდ ქმედების ჩადენა, არამედ აუცილებელი ხდება შედეგის დადგომაც, რაც საკანონმდებლო ცვლილებამდე არ იყო საჭირო.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სსკ 157-ე მუხლი – პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა.

2001 წლის კოდექსის ძალაში შესვლისას 2012 წლის 25 მაისის საკანონმდებლო ცვლილებამდე იგი იყო შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაული, რადგან მისი პირველი ნაწილის შემადგენლობა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად:

[15] შეად. გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტივი, თბ. 2007, გვ. 81

„პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება". რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 ნაწილს, ისიც იყო ფორმალური შემადგენლობის: „პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით ან სხვა საჯარო გამოსვლისას".

2012 წლის 25 მაისის საკანონმდებლო ცვლილებით ამ მუხლმა განიცადა სხვადასხვა ცვლილება. კერძოდ:

ა) გაფართოვდა დანაშაულის საგანი – მას დაემატა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია ან პერსონალური მონაცემი;

ბ) მისი დასჯადობა მიება მართლსაწინააღმდეგო შედეგს – მნიშვნელოვანი ზიანის გამონვევას.

ჩვენთვის საინტერესოა, სწორედ ეს ბოლო ცვლილება (დასჯადობის მიბმა შედეგზე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, **შედეგიანი დანაშაულები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:**

1. ისეთი შედეგიანი დანაშაული, რომლის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. ამდენად, თუ მოცემულ შემთხვევაში ქმედებამ ეს შედეგი არ გამოიწვია, სახეზე არ გვაქვს დამთავრებული დანაშაული, არამედ სახეზეა დანაშაულის დაუმთავრებელი შემადგენლობა.

ასეთია მაგალითად, მკვლელობა, რომელიც დამთავრებულია მაშინ, როცა დადგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი (სიკვდილი). სხვა შემთხვევასი, სახეზეა მკვლელობის მომზადება, ან მისი მცდელობა.

2. არსებობს ისეთი შედეგიანი (მატერიალური) დანაშაული, რომლის არა დამთავრებულად ცნობის საკითხი, არამედ მის დასჯადობის საკითხია დაკავშირებული (მიბმული) კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომასთან.[16] ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ქმედებას ეს შედეგი არ მოჰყვა, პირს არ დაეკისრება სს პასუხისმგებლობა, რადგან სახეზე არაა დანაშაული, თუმცა შეიძლება იყოს სხვა სამართალდარღვევა (მაგალითად, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან დისციპლინური). ამდენად, ასეთ დროს სს პასუხისმგებლობა გამორიცხულია დაუმთავრებელი დანაშაულისთვის (მომზადების ან მცდელობისათვის) შესაბამისად, მართალია, სახეზეა შედეგიანი დანაშაული, მაგრამ მას არა ახასიათებს მომზადების და მცდელობის სტადია.

სწორედ ასეთ დანაშაულთა რიცხვს სხვა მუხლებთან ერთად, ეკუთვნის სსკ 157-ე მუხლი, რომლის დასჯადობა სადღეისოდ მიბმულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომასთან. ასეთი შედეგის გარეშე სახეზეა მხოლოდ სამოქალაქო სამართალდარღვევა.

გამომდინარე აქედან, ზემოთხსენებული საკანონმდებლო ცვლილება იმას

[16] ამ საკითხზე იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტივი, თბ. 2007, გვ. 173

ნიშნავს, რომ თუკი ადრე დანაშაული დამთავრებული იყო სსკ 157-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების (მაგალითად, სხვისი პირადი საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების) ჩადენის მომენტიდან, ამჟამად ეს ქმედება საერთოდ არ გვაძლევს დანაშაულს, თუ მან არ გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო შედეგი – თუ ამ ქმედებით დაზარალებულმა არ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი.

ამდენად, შეიქმნა ვითარება, როცა თავად ეს ქმედებები არ გვაძლევს დანაშაულის დაუმთავრებელ შემადგენლობასაც კი (მომზადებას ან მცდელობას).

იგივე შეიძლება ითქვას სსკ 332-ე (ასევე 333-ე მ.) მუხლის მიმართ.

კერძოდ, სსკ 332-ე მუხლი არის ისეთი შედეგიანი (მატერიალური) დანაშაული, რომლის სს წესით დასჯადობის საკითხი მიბმულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომასთან. ეს შედეგია ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, ან საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებამ არ გამოიწვია ზემოთ მითითებულ შედეგთაგან არც ერთი, ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ 332-ე მუხლით, არამედ სახეზე იქნება დისციპლინური გადაცდომა.

მაგალითად, სახელმწიფო მოხელემ თავის უწყებაში ერთ-ერთ პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნა მისი ნათესავი, რომელიც სრულებით აკმაყოფილებდა ამ თანამდებობისათვის დაწესებულ მოთხოვნებს.

მართალია, ასეთი ქმედებით მოხელე ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას, რადგან კანონით დაწესებული აკრძალვის მიუხედავად ნათესავს ნიშნავს თანამდებეობაზე თავის უწყებაში, მაგრამ ამ ქმედებას ვერ მიეცემა სამართლებრივი შეფასება სსკ 332-ე მუხლით, რადგან სახეზე არაა ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც გათვალისწინებულია სსკ 332-ე მუხლში – სხვა პირის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა.

აქ სახეზეა მხოლოდ დისციპლინური გადაცდომა (ე.წ. ნეპოტიზმი).

რაც შეეხება სსკ 336-ე მუხლს, იგი იყო შედეგგარეშე დანაშაული და შედგებოდა ორი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილით ისჯებოდა უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.

მეორე ნაწილით გამკაცრებული პასუხისმგებლობა იყო დაწესებული უკანონო განაჩენის გამოტანისათვის, თუ სასჯელის სახით დანიშნული იყო თავისუფლების აღკვეთა.

როგორც ვხედავთ, ეს დანაშაული წარმოდგენილი იყო ფორმალური (შედეგგარეშე) შემადგენლობის სახით, ანუ დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევდა ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, შედეგს კი ქმედების კვალიფიკაციისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა.

ბრალის ფორმის მიხედვით კი[17] იგი იყო განზრახი დანაშაული. კერძოდ,

[17] ბრალის საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, გვ.

ჩადენილი პირდაპირი განზრახვით. ამდენად, მოსამართლის მიერ უკანონო გადაწყვეტილების გაუფრთხილებლობით გამოტანის შემთხვევას ეს მუხლი არ გულისხმობდა.

ეს სწორიცაა, რადგან საერთოდ, პროფესიული (მათ შორის სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული) შეცდომა, როგორც წესი, არ იწვევს სს პასუხისმგებლობას (გამონაკლისია მიუტევებელი სამედიცინო შეცდომა, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია).[18] ეს მით უმეტეს ითქმის მოსამართლეზე, რადგან არც ერთი მოსამართლე არაა დაზღვეული ამგვარი შეცდომისაგან და ზემდგომი ინსტანცია სწორედ იმიტომ არსებობს, რომ გამოასწოროს მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა.

სსკ 336-ე მუხლი შედეგგარეშე დანაშაული რომ იყო, ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

მოსამართლემ განზრახ გამოიტანა უკანონო განაჩენი. ეს განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც იგი გაუქმდა და კანონიერი განაჩენით შეიცვალა.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის მიერ გამოტანალი უკანონო განაჩენით არ დამდგარა მართლსაწინააღმდეგო შედეგი – კერძოდ, პირის უფლების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა (რადგან სააპელაციო სასამართლომ მალევე გამოასწორა ეს უკანონობა), მაგრამ ამას სსკ 336-ე მუხლის მიხედვით არ ჰქონდა მნიშვნელობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის.

ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, სსკ კერძო ნაწილში **არსებობს ისეთი ზოგადი და სპეციალური შემადგენლობა, სადაც სპეციალური ნორმა არ მოიცავს ზოგადი ნორმის ყველა ნიშანს**, მაგალითად, მართლსაწინააღმდეგო შედეგს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა სპეციალური ნორმა არის შედეგგარეშე დანაშაული, ხოლო ზოგადი ნორმა კი ისეთი შედეგიანი დანაშაული, რომლის სს წესით დასჯადობა მიბმულია მართლსაწინააღმდეგო შედეგზე და ამ შედეგის გარეშე სახეზე შეიძლება იყოს მხოლოდ სხვა სახის სამართალდარღვევა და არა დაუმთავრებელი დანაშაული.

ამისაგან განსხვავებით ჩვენს სს კოდექსის კერძო ნაწილში ასევე არსებობს ისეთი ზოგადი და სპეციალური ნორმები, სადაც ზოგადი ნორმაც მოიცავს კერძო ნორმის ყველა ნიშანს. მაგალითად, სსკ 108-ე (მკვლელობა) და 110-ე (ევთანაზია) მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევა.

სწორედ ისეთ შემთხვევას (როცა ზოგადი და სპეციალური ნორმის ყველა ნიშანი არ ემთხვევა ერთმანეთს) ჰქონდა ადგილი სსკ 332-ე და 336-ე მუხლების ურთიერთმიმართებისას.

362-373; 378-400

[18] პროფესიული შეცდომის საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2013, გვ. 111-115; 121-142; ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2014 , გვ. 91-104.

დღეის მდგომარებით კი ასეთია სსკ 332-ე და 334-ე მუხლები, სადაც სსკ 334-ე მუხლი არ მოიცავს სსკ 332-ე მუხლის ყველა ნიშანს, რადგან იგი შედეგზე მიბმული დანაშაულია. ამდენად, თავად ქმედება მხოლოდ დისციპლინური გადაცდომაა.

სსკ 334-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კი სახეზეა ამ მუხლით აღწერილი ქმედების (ბრალდებულის სს-ვი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლების) მომენტიდან და შედეგს არა აქვს მნიშვნელობა.

მივუბრუნდეთ ზემოთ დასმულ საკითხს. ისმის კითხვა: სსკ 336-ე მუხლის სს კოდექსიდან ამოღებით ხომ არ განხორციელდა ამ ქმედების ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია?

განვიხილოთ ეს საკითხი შემდეგ მაგალითზე:

2007 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხ.ლა მსჯავრდებულ ბ. ჯ-ავას საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ოქტომბრის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.[19]

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ბ. გ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

ბ. გ-ავამ, როგორც ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, გამოიტანა უკანონო სასამართლო გადაწყვეტილება და განაჩენები. კერძოდ, 2001 წლის 7 სექტემბერს მან, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მოსარგებლედ ცნობისა და მასზე სანივთო უფლების რეგისტრაციის შესახებ შპს „კოლხას“ განხცადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე განიხ.ლა სამოქალაქო, მატერიალური და საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით და განზრახ გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელს (შპს „კოლხას“) შესაძლებლობა მისცა თავის სახელზე საკუთრების უფლებით უკანონოდ აღერიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი სტარტეგიული მნიშვნელობის ობიექტი – 61 000 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი.

მანვე 2002 წლის 6 მარტს გამოიტანა უკანონო განაჩენი, რომლითაც ქურდობისათვის პირობით მსჯავრდებულ პირს გამოსაცდელ ვადაში სსკ 219-ე მ-ის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვ-ით ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის, სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ნაცვლად განაჩენის ერთობლიობით სასჯელის რეალური ღონისძიების დადგენის აუცილებლობისა, განმეორებით შეუფარდა სსკ 63-64-ე მუხლებით გათვალისწინებული

[19] იხ. უზენაესის სასამართლოს არქივი, საქმე №11-83/საზ

პირობით თავისუფლების აღკვეთა გამოსაცდელი ვადის დანიშვნით.

მანვე 2003 წლის 6 ოქტომბერს გამოიტანა უკანონო განაჩენი, რომლითაც ყალბი ვალუტის შეძენა-გასაღებისათვის პირობით მსჯავრდებულ პირს გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი (სსკ 273-ე მუხლით) განზრახი დანაშაულისათვის, სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ნაცვლად განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის რეალური ღონისძიების დადგენის აუცილებლობისა, განმეორებით შეუფარდა სსკ 63-64-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობით თავისუფლების აღკვეთა გამოსაცდელი ვადის დანიშვნით.

მსჯავრდებულ ბ. გ-ავას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2006 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საბოლოოდ სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2 500 ლარის ოდენობით.

როგორც ვხედავთ, მოსამართლემ სამჯერ განზრახ გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება – ერთხელ სამოქალაქო დავის საქმეზე და ორჯერ სს საქმეზე. ამასთან ეს მოხდა მაშინ, როცა სს კოდექსში არსებობდა 336-ე მუხლი რაც, როგორც აღინიშნა, იყო სსკ 332-ე მუხლის კერძო შემთხვევა.

ამჯამად კი მსჯავრდებულმა საჩივრით მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო (2007 წლის 4 ივლისს მისი კოდექსისდან ამოღების გამო) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ზემოთ ხსენებული განჩინების გაუქმება და მის მიმართ სს დევნის შეწყვეტა.

უზენაესი სასამართლოს პალატამ აღნიშნული საჩივარი არ დააკმაყოფილა და სამოტივაციო ნაწილში ეს უარი შემდეგნაირად დაასაბუთა:

„...მართალია, ამჯამად მოქმედ სს კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობა აღარ არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას აღარ აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება, ვინაიდან სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედების დასჯადობას ამჟამად ფაქტობრივად ითვალისწინებს სამოხელეო დანაშაულთა სხვა მუხლები..... იგი მოიცავს სსკ 332-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ნიშანს. ამდენად, არ შეიძლება ს. ჯ-ავას მიმართ შეწყდეს სს დევნა, რადგან არ მომხდარა მის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება ანუ დეკრიმინალიზაცია.....მსჯავრდებულ ბ. გ-ავას ქმედება, რომელიც დაკვალიფიცირებული იყო სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილით, თავისი შინაარსით შეესაბამება სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი არაერთგზის), მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ უკანასკნელის სანქცია უფრო მძიმე იყო და არის, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში ბ. გ-ავას ქმედება დაკვალიფიცირებული სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვერ გადაკვალიფიცირდება სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვ-ზე და განაჩენი მის მიმართ კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად“.

რა არის სწორი და რა - არასწორი ამ განჩინებაში?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის ამ **განჩინებაში სწორადაა აღნიშნული**, რომ სს კოდექსიდან 336-ე მუხლის ამოღებით არ მომხდარა ამ მუხლში გათვალისწინებული ქმედების დეკრიმინალიზაცია, რადგან ეს მუხლი იყო სსკ 332-ე მუხლის სპეციალური შემადგენლობა.

თუმცა საკითხის გადაწყვეტისას **ვერ დავეთანხმებით** ამ განჩინების იმ ნაწილს, სადაც არგუმენტად მოყვანილია ის, რომ რომ სსკ 336-ე მუხლის შემადგენლობა მოიცავდა სსკ 332-ე მუხლით გათვალისწინებულ **ყველა ნიშანს**.

როგორც უკვა აღვნიშნეთ, სსკ 336-ე მუხლი იყო შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაული, ხოლო სსკ 332-ე მუხლი არის შედეგიანი (მატერიალური) დანაშაული და თანაც ისეთი სახის შედეგიანი დანაშაული, სადაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა აუცილებელია ამ ქმედების სისხლის სამართლის წესით დასჯადობისათვის (და არა დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის).

გამომდინარე აქედან, მართალია, ქმედების სსკ 336-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის შედეგს არ ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ სამაგიეროდ ქმედების სსკ 332-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამდენად, სსკ **336-ე მუხლი არ მოიცავდა** სსკ 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ყველა ნიშანს (კერძოდ, არ მოიცავს მართსაწინააღმდეგო შედეგს).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2007 წლამდე მოსამართლის მიერ სამსახურებრივ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, რაც დაკავშირებული იყო გადაწყვეტილების გამოტანასთან, ქმედების სს წესით დასჯადობისათვის დადგენილი იყო გაცილებით ნაკლები სტანდარტი (საკმარისი იყო მხოლოდ განზრახ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა), ვიდრე 2007 წლის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, რადგან უკვე აუცილებელია მართსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა.

შესაბამისად, 2007 წლის საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე კანონმდებელი გაცილებით საშიშ ქმედებად თვლიდა მოხელის (კერძოდ, მოსამართლის) მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რაც დაკავშირებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანასთან, ვიდრე მოხელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებს.

ამაზე **პირველ რიგში** მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსკ 336-ე მუხლი, განსხვავებით სსკ 332-ე მუხლისაგან, იყო შედეგგარეშე დანაშაული.

მეორე რიგში კი ის ფაქტი, რომ სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია გაცილებით მკაცრი იყო სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციასთან შედარებით.

აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ სწორად უნდა ჩაითვალოს ამ განჩინების შემდგომი მონაკვეთი იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულის ქმედება, რომელიც

დაკვალიფიცირებული იყო სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილით, თავისი შინაარსით შეესაბამება სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი არაერთგზის), რადგან მაშინ მოქმედი კანონმდებლობით (სსკ მე-15 მუხლის პირვ. ნაწ.) არაერთგზისი დანაშაულისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა პირის ნასამართლობას. ამ საქმეში კი მოსამართლე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის სამ სხვადასხვა ფაქტზე იყო მხილებული.

ეს მსჯელობა სწორია მხოლოდ იმ ნაწილში, რომ მოსამართლის ქმედება ჩადენილი იყო არაერთგზის, მაგრამ **იგი არასწორია** იმ ნაწილში, რომ მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება დღეის მდგომარეობით შეესაბამება სსკ 332-ე მუხლის შემადგენლობის ყველა ნიშანს.

ამდენად, საკითხავია, რამდენადაა დამაჯერებელი ამ განჩინების შემდეგ მონაკვეთში განვითარებული მსჯელობა? კერძოდ ის, რომ ვინაიდან სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქცია უფრო მკაცრი იყო და არის სსკ 336-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაზე, ეს ფაქტი უშლის ხელს მსჯავრდებულის ქმედების სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვ-ზე გადაკვალიფიცირებას.

საინტერესოა, მართლაც მხოლოდ ეს ფაქტი იყო ასეთი გადაკვალიფიცირების ხელის შემშლელი გარემოება?

ასეთი მსჯელობიდან გამოდის, რომ თუკი სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქცია იქნებოდა 336-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციის ანალოგიური, უზენაესი სასამართლოს სს საქმეთა პალატა ქმედებას გადააკვალიფიცირებდა სსკ 332-ე მუხლის მესამე ნაწილზე.

ასეთ შემთხვევაში **ისმის კითხვა**: რით დაასაბუთებდა იგი იმას, რომ მოსამართლის მიერ უკანონო გადაწყვეტილერების გამოტანამ გამოიწვია ვინმეს (ფიზიკური პირის, სახელმწიფოს ან საზოგადოებას) კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა და კერძოდ რაში გამოიხ.ტა ეს დარღვევა? იყო კი საქმეში ამისი დამადასტურებელი ფაქტები?

განსახილველ განჩინებაში საერთოდ არაა ყურადღება გამახვილებული ამ საკითხზე.

შესაბამისად აშკარაა, მსჯავრდებულ ბ. გ-ავას ქმედებაში უკანონო გადაწყვეტილების მხოლოდ ერთი ფაქტი რომ ყოფილიყო, უზენაესი სასამართლო მის ქმედებას ისე გადააკვალიფიცირებდა სსკ 332-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომ არც კი იმსჯელებდა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო შედეგზე და აქცენტს მხოლოდ ქმედებაზე გააკეთებდა.

ამ მუხლების ურთიერთმიმართების საკითხისადმი ასეთი მიდგომა არასწორი და მცდარია.

საბოლოოდ, 2007 წლის 4 ივლისის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ მივიღეთ ვითარება, როცა მოსამართლის მიერ უკანონო გადაწყვეტილების განზრახ გამოტანა სისხლისსამართლის წესით დაისჯება მხოლოდ მაშინ, თუ მან გამოიწვია ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც ჩამოთვლილია სსკ 332-ე ან

333-ე მუხლების პირველ ნაწილში.

სხვა შემთხვევაში ასეთი ქმედება შეფასდება არა სსკ 332-ე ან 333-ე მუხლების მომზადებად ან მცდელობად, არამედ მხოლოდ დისციპლინურ გადაცდომად.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებით კანონმდებელმა მოსამართლის მიერ განზრახ უკანონო გადაწყვეტილების მიღებისას მოახდინა ამ ქმედების ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად, რადგან საქმე ეხება მოსამართლის საქმიანობის იმ სფეროს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

ამდენად, როცა მოსამართლე განზრახ გამოიტანს უკანონო გადაწყვეტილებას, შედეგის მიუხედავად იგი უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თუკი არსებობს ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია, ლოგიკურია, რომ არსებობს ნაწილობრივი კრიმინალიზაციაც. (ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამდენად, **ქმედების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის გვერდით უნდა შემოვიტანოთ ნაწილობრივი კრიმინალიზაციისა და ნაწილობრივი დეკრიმინალიზაციის** ცნება.

ქმედების კრიმინალიზაციისა და პენალიზაციის კუთხით შეიძლება განვიხილოთ 2005 წლიდან 20015 წლის ჩათვლით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ჩვენს სს კოდექსში.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები: სსკ 223-ე და 225-ე მუხლები, რომლებმაც ერთდროულად (2011 წლის 1 ივლისს) განიცადა საკანონმდებლო ცვლილება.

სსკ 223-ე მუხლი ითვალისწინებდა სს პასუხისმგებლობას უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა თუ მასში მონაწილეობისათვის. ხოლო 225-ე მუხლი – მასობრივი არეულობისათვის.

უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა შეკვეცილი შემადგენლობის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, რადგან იგი დამთავრებულია ასეთი ფორმირების შექმნის მომენტიდან. 2011 წლის ცვლილებამდე მის აუცილებელ ნიშნად ითვლებოდა შეიარაღება, მაგრამ ხსენებული ცვლილების შემდეგ ამ მუხლის შენიშვნის მიხედვით ქმედების კვალიფიკაციისათვის არაა აუცილებელი, შექმნილი ფორმირება შეიარაღებული იყოს ცეცხლსასროლი, ცივი ან სხვა იარაღით. საკმარისია, იგი აღჭურვილი იყოს ნებისმიერი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად.

ამდენად, ამ ცვლილებით უკანონო ფორმირებად ჩაითვალა პირთა ჯგუფი, რომელიც აღჭურვილია ბეისბოლის ბურთებით, რიყის ქვებით, ხის ხელკეტებით და ა.შ., რადგანაც ეს ნივთებიც მიეკუთვნება **ნებისმიერ საგანს** და მათი გამოყენებითაც შესაძლებელია სხვისი ნივთის ან თავად ადამიანის დაზიანება.

ასევე ამ მუხლმა 2011 წლის 1 ივლისსა და 2015 წლის 12 ივნისს მიღებული კანონით განიცადა კიდევ სხვა ცვლილება. კერძოდ, მას დაემატა ახალი ნაწილები (ჯერ, მე-3, ხოლო 2015 წელს – მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილები), ასევე გაფართოვდა ამ მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა და რამდენადმე შეიცვალა მუხლის შენიშვნა.

ისმის კითხვა:

1. ხომ არ ნიშნავს ეს ცვლილება ქმედების კრიმინალიზაციას?

2. რა აუცილებლობით იყო განპირობებული იმ საკანონმდებლო ცვლილების შეტანა, რითაც ასე გაფართოვდა ფორმირების ცნება?

დავიწყოთ პირველი საკითხით.

სსკ 223-ე მუხლის შენიშვნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება ქმედების კრიმინალიზაცია არაა, მაგრამ **შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ კრიმინალიზაციად.**

საკითხავია, რატომ არ წარმოადგენს ეს ცვლილებები ქმედების კრიმინალიზაციას და რატომ უნდა შეფასდეს იგი მხოლოდ ნაწილობრივ კრიმინალიზაციად?

ქმედების კრიმინალიზაციას, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ადგილი აქვს მაშინ, როცა კანონმდებელი სს კოდექსში შემოიტანს ახალ დანაშაულს (როგორც წესი, ახალი მუხლის შექმნით). სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასჯადად ცხადდება ისეთი ქმედება, რაც ადრე სს წესით არ ისჯებოდა.

ზემოთხსენებულ შემთხვევაში კი უკანონო ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა ისჯებოდა 2011 წლამდეც და ისჯება მის შემდეგაც. საკანონმდებლო ცვლილებით მხოლოდ გაფართოვდა ამ მუხლის მოქმედების წრე – უკანონო ფორმირებად ჩაითვალა ისეთი ფორმირების შექმნაც, რაც ადრე არ იყო სს წესით დასჯადი (ნებისმიერი საგნით შეიარაღებული ფორმირება).

იგი არის ნაწილობრივი კრიმინალიზაცია, ვინაიდან ამ ცვლილებით უკვე დანაშაულად ითვლება ისეთი უკანონო ფორმირების შექმნა, თუ ხელმძღვანელობა, რომელიც აღჭურვილია ნებისმიერი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ანდა გასანადგურებლად. ამ ცვლილებამდე კი აუცილებელი იყო მათი აღჭურვა ცეცხლსასროლი, ცივი ან სხვა სახის იარაღით.

ამდენად, თუ 2011 წლამდე სს წესით დასჯად უკანონო ფორმირებად ითვლებოდა მხოლოდ ისეთი, რომელიც აღჭურვილი იყო იარაღით, სადღეისოდ მას დაემატა ისეთი ფორმორების შექმნა, რაც აღჭურვილია ნებისმიერი საგნით ან მოწყობილობით.

საინტერესოა, თუ ჩაითვლება ქმედების კრიმინალიზაციად სსკ 223-ე მუხლში მე-3, მე-4 და მე-6 ნაწლების დამატების ფაქტი?

ეს ნაწილები ითვალისწინებს სს პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის,

რომელთა ნაწილი ადრე არ წარმოდგენდა დანაშაულს, ხოლო მათი ნაწილი არ გვაძლევდა ამ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, თუმცა ისინი წარმოადგენდნენ ხელის შეწყობას ამ დანაშაულის ჩასადენად.

ეს ქმედებებია: 1. უკანონო ფორმირების დაფინანსება (2011 წლის ცვლილებით.), 2. უკანონო ფორმირებაში გაწევრებასთან ან/და მონაწილეობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალის ან/და სიმბოლიკის გავრცელება ან გამოყენება, 3. ამ ქმედებათა ჩადენისაკენ საჯაროდ მოწოდება (2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებით).

ამ ქმედებათაგან პირველი – უკანონო ფორმირების დაფინანსება 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე წარმოადგენდა თანამონაწილეობას სსკ 223-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. კერძოდ, დახმარებას (25, 223-ე მ-ის პირვ. ნაწ.), თუკი მისი ჩამდენი არ იყო ამ ფორმირების წევრი.

თუკი იგი იყო ამ ფორმირების წევრი, მაშინ საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით სახეზე იყო ან უკანონო ფორმირების შექმნა (ვინაიდან ფორმირების დაფინანსებაც მისი შექმნისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა), ანდა მასში მონაწილეობა (მე-2 ნაწ.), რადგან ფორმირებაში მონაწილეობა, გარდა მასში გაწევრიანებისა, გულისხმობს ფორმირების სასარგებლოდ ნებისმიერი ქმედების განხორციელებას.

მეორე ქმედება – უკანონო ფორმორებაში გაწევრებასთან ან მონაწილეობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალის ან/და სიმბოლოკის გავრცელება ან გამოყენება, მისი კვალიფიკაციის საკითხსაც 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ იმის მიხედვით, თუ ვინაა ამ ქმედების ჩამდენი- იგია ამ ფორმირების წევრი, თუ სხვა პირი. თუკი ეს ქმედება ჩადენილი იყო ამ ფორმირების წევრის მიერ, სახეზე იყო ამ მუხლის მე-2 ნაწლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, კერძოდ, უკანონო ფორმირებაში მონაწილეობა, რადგანაც როგორც უკვე აღინიშნა, მასში მონაწილეობა ნიშნავს, არა მარტო გაწევრიანებას ამ ფორმირებაში, არამედ ფორმირების სასარგებლოდ კონკრეტული ქმედების ჩადენასაც.

ხოლო უკეთუ ამ ქმედებას სჩადიოდა პირი, რომელიც არ იყო უკანონო ფორმირების წევრი, მაშინ სახეზე იყო თანამონაწილეობა ამ დანაშაულში, კერძოდ, დახმარება (25, 223-ე მ-ის მე-2. ნაწ.).

2011 და 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით ეს ქმედებები სახელდებულად ჩაინერა ამ მუხლის დისპოზიციაში და ამდენად ისინი გახდა ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პირი, ვინც მას ჩაიდენს, ხდება ამ დანაშაულის ამსრულებელი, რადგან იგი უშუალოდ სჩადის ამ დანაშაულს.

ვინაიდან ქმედების კრიმინალიზაცია ნიშნავს იმას, რომ კანონმდებელი დანაშაულად აცხადებს ისეთ ქმედებას, რაც მანამდე არ წარმოადგენდა სს წესით დასჯადს, შესაბამისად, ეს საკანონმდებლო ცვლილება არ წარმოადგენს ქმედების კრიმინალიზაციის შემთხვევას, თუმცა სახეზეა სს პოლიტიკის გამ-

კაცრება განსახილველ ნორმასთან მიმართებაში.

რაც შეეხება მესამე ქმედებას – ამ დანაშაულის ჩადენისაკენ (იგულისხმება სსკ 223-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისაკენ) საჯარო მოწოდებას (მე-6 ნაწ.), იგი უნდა ჩაითვალოს ქმედების კრიმინალიზაციის შემთხვევად.

საქართველოს სს კანონმდებლობაში გვაქვს ანალოგიური მუხლები სს კოდექსის სხვა თავებში. კერძოდ, სსკ 317-ე მუხლი (მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ), ასევე სსკ 330 1 მუხლი (ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება).

დასახელებული მუხლები არ შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის დანაშაულში (სსკ 223-ე, 315-ე და 323-ე მმ.) თანამონაწილეობად, როგორც წაქეზება.

წაქეზებისას პირი კონკრეტულ დანაშაულში დაიყოლიებს კონკრეტულ პირს ან პირთა ჯგუფს. ამდენად, წაქეზების დროს პერსონიფიცირებულია წასაქეზებელი პირი ან პირთა ჯგუფი, მათ შორის ურთიერთობა ინტიმურია.გარდა ამისა, წაქეზება სახეზეა მაშინ, როცა პირი შესძლებს დაიყოლიოს სხვა პირი დანაშაულის ჩადენაში.

საჯარო მოწოდებისას კი დამნაშავე დანაშაულის ჩასადენად მოუწოდებს განუსაზღვრელ პირთა ჯგუფს, რომელთა რაოდენობაზე და ვინაობაზე წარმოდგენაც კი არა აქვს. მაგალითად, ტელევიზიით თუ საჯარო მიტინგზე გამოსვლისას მან არ იცის, ვინ და რა რაოდენობის მსმენელმა გაიგო მისი მოწოდება. არც ის იცის (და ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს), თუ გაიზიარა ზოგიერთმა მათგანმა მაინც მისი მოწოდება. მისი ქმედება დამთავრებულია საჯარო მოწოდების მომენტიდან იმის მიუხედავად, გაიზიარა თუ არა ვინმემ ეს მოწოდება. [20]

ამასთანავე, სსკ 223-ე მ-ის მე-6 ნაწილი (უკანონო ფორმირების საქმიანობისაკენ მოწოდება) და 330[1] მუხლი (ტერორიზმისაკენ მოწოდება) წარმოადგენს კონკრეტული საფრთხის დელიქტს, ხოლო სსკ 317-ე მუხლი კი არის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ არაა აუცილებელი ამ მოწოდებამ გამოიწვიოს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის საფრთხე, არამედ ქმედება დასჯადია ასეთი მოწოდების განხორციელების მომენტიდან.[21] რადგანაც 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე ასეთი მოწო-

[20] ამ საკითხზე დეტალურად იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 163-165

[21] კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტზე იხ. თ. წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ. 2007, გვ. 406-421; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექ. თბ. 2007, გვ. 150-154; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 244; მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 4-41; ქ. მჭედლიშვილი-პედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 41-42; გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. თბ. 2014, გვ. 147-160; თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სი-

დება არ იყო სს წესით დასჯადი ქმედება, ეს იმას ნიშნავს, რომ განხორციელდა ამ ქმედების კრიმინალიზაცია.

2015 წელს სსკ 223-ე მუხლს ჩაემატა მე-5 ნაწილი (ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), რომელიც ასევე ვერ შეფასდება კრიმინალიზაციის გამოვლინებად, რადგან იგი არის როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევა, რაც ისედაც დასჯადი ქმედება იყო (სსკ 332-ე და 220-ე მმ.).

იგივე უნდა ითქვას სსკ 223-ე მუხლის მე-2 ნაწილში 2015 წელს განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც გაფართოვდა და დაკონკრეტდა ამ ნაწილის ობიექტური შემადგენლობა. კერძოდ, ნაცვლად ადრე არსებულისა (უკანონო ფორმირებაში მონაწილეობა), იგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „უკანონო ფორმირებაში გაწევრება ან/და მონაწილეობა, ასეთი ფორმირების მიერ ორგანიზებული წვრთნის გავლა, ამგვარ ფორმირებაში გაწევრების, მონაწილეობის ან მისი საქმიანობისათვის სხვაგვარი ხელშეწყობის მიზნით პირის გადაბირება, გაწვრთნა ან პირთა შეგროვება".

ჩამოთვლილ ქმედებათაგან ყველა, გარდა ერთი გამონაკლისისა (ასეთი ფორმირების მიერ ორგანიზებული წვრთნის გავლა), საკანონმდებლო ცვლილებამდე სსკ 223-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ქმედების (უკანონო ფორმირებაში მონაწილეობა) გამოვლინება იყო, ანდა წარმოადგენდა ამ დანაშაულში თანამონაწილეობას (მხედველობაში გვაქვს შემთხვევა, როცა მისი ჩამდენი არ იყო ამ ფორმირების წევრი).

ამდენად, ამ ქმედებათა დაკონკრეტება, ასევე ის ფაქტი, რომ მისი ჩადენა ყველა შემთხვევაში უკვე გვაძლევს დანაშაულის ამსრულებლობას (და არა თანამონაწილეობას), არაა კრიმინალიზაციის შემთხვევა.

რაც შეეხება ასეთი ფორმირების მიერ ორგანიზებული წვრთნის გავლას, მისი ჩადენა არათუ არ წარმოდგენდა ამ მუხლის ობიექტურ შემადგენლობას, არამედ რიგ შემთხვევაში იმის შესაძლებლობასაც კი არ იძლეოდა, რომ ქმედება დაგვეკვალიფიცირებინა ამ ფორმირებაში თანამონაწილეობად. ეს ის შემთხვევა იყო, როცა ამ ქმედების ჩამდენი არ იყო უკანონო ფორმირების წევრი.

მაგალითად, პეტრემ, რომელიც არ არის უკანონო ფორმირების წევრი, გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს ასეთ წვრთნაში, რათა შეიძინოს შესაბამისი უნარ-ჩვევები. მან ეს წვრთნა გაიარა მისი ბავშვობის მეგობრის მიერ შექმნილ უკანონო ფორმირებასთან, თუმცა მათი წევრი არ გამხდარა და არც მათი საქმიანობისათვის ხელის შეწყობის მიზანი ამოძრავებდა. მას არც ტერორისტულ ან სხვა კრიმინალურ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზანი ამოძრავებდა (ასეთი მიზანი ვერ დადგინდა).

ეს ქმედება 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე საერთოდ არ გვა-

---

ცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2014, გვ. 24-27; 96-99

ძლევდა დანაშაულის ნიშნებს.

სადღეისოდ კი, ეს ქმედება იმის მიუხედავად, არის თუ არა პირი ამ ფორმირების წევრი, ან სურს თუ არა, ხელი შეუწყოს მის საქმიანობას, გვაძლევს სსკ 223-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობას.

ამდენად, 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებით მოხდა ამ ქმედების კრიმინალიზაცია.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ **ქმედების კრიმინალიზაციას არ წარმოადგენს შემთხვევა,** როდესაც ახალი კანონით სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლს ემატება ისეთი ქმედება, რაც მართალია, ადრე აღწერილი არ იყო ამ მუხლის დისპოზიციაში, მაგრამ მასში იგულისხმებოდა.

ასევე ვერ ჩაითვლება კრიმინალიზაციად ისეთი შემთხვევა, როცა მართალია, ეს ქმედება არ წარმოადგენდა ამ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, მაგრამ წარმოადგენდა ამ დანაშაულში თანამონაწილეობას, როგორც ამას ადგილი აქვს ზემოთ განხილულ შემთხვევებში სსკ 223-ე მუხლთან მიმართებით.

2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით სსკ 223-ე მუხლმა **ნაწილობრივი დეკრიმინალიზაციაც განიცადა.**

ამაზე მიუთითებს სსკ 223-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის ჩანაწერი: **„...თუ ასეთი ფორმირება დანაშაულებრივი მიზნით არის შექმნილი".**

ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ფორმირების მიზანი არაა დანაშაულებრივი საქმიანობა, იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგალითად, თუ ფორმირება შექმნილია იმ მიზნით, რომ დაიბრუნონ საქართველოს დაკარგული ტერიტორიები, ანდა დაეხმარონ საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს ცხოვრების მშვიდობიანი პირობების შექმნაში (პატრიოტული მოტივი), სახეზე არაა სსკ 223-ე მუხლის შემადგენლობა. 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე კი ამას ქმედების სსკ 223-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა.[22] დღეის მდგომარეობით ასეთ შემთხვევაში პირთა სს პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ იარაღის უკანონო მოპყრობასთან დაკავშირებული ქმედებისათვის (სსკ 236-ე მუხლით).

შეიძლება ითქვას, რომ ამ შენიშვნიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ეს მუხლი გახდა მიზნით დაფუძნებული დელიქტი.

ამდენად, მოხდა ამ ქმედების ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია.

ამ მუხლის **შენიშვნით ასევე დაკონკრეტდა დანაშაულის საგანი,** რაც ფაქტობრივად წარმოადგენს ნაწილობრივი დეკრიმინალიზაციის შემთხვევას.

კერძოდ, 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებით უკანონო ფორმირება გულისხმობდა ჯგუფს, რომელიც გარდა იარაღისა, შეიარაღებული იყო „ნებისმიერი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებალად ან გასანადგურებლად".1

[22] ამ საკითხზე იხ. ნ.თოდუა, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2014 გვ. 582-583

ხოლო 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებით კი ეს ჩანაწერი შეიცვალა ასეთნაირად: "... ანდა ისეთი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს...."[23]

რით განსხვავდება ერთმანეთისაგან **„ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი"** და **„ისეთი მოწყობილობა ან საგანი"?**

ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი შეიძლება იყოს სწორედ რომ ნებისმიერი მყარი ნივთი (მაგალითად, თეფში, ჭიქა, ბოთლი, სავარცხელი, ბეისბოლის ბურთი, ხის ჯოხი, ცოცხლი, საწერ-კალამი და სხვ.), რადგან მათ შეიძლება მიეცეს ისეთი ფორმა, რომ ვარგისი იყოს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან გასანადგურებლად.

მაგალითად, თუ ცოცხს წვერს წავუთლით, ან თუ ბოთლს გადავამტვრევთ, იგი იქცევა სხეულის დაზიანების ან მკვლელობის იარაღადაც კი.

ასევე თუ ბეისბოლის ბურთს სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით ძლიერად გავისვრით, მასაც ექნება იგივე თვისება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **„ნებისმიერი"** მოწყობილობა ან საგანი არის ყველაფერი ის, რაც წარმოადგენს საგანს ან მოწყობილობას.

მისაგან განსხვავდება **„ისეთი მოწყობილობა ან საგანი"**. მასში არ იგულისხმება ნებისმიერი, არამედ **ნებისმიერს შორის მხოლოდ ისეთი**, რაც იმთავითვე, ყოველგვარი გადაკეთებისა თუ ფორმის შეცვლის, ყოველგვარი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეიძლება იქნეს გამოყენებული ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან გასანადგურებლად.

მაგალითად, ასეთი საგანი ან მოწყობილობა არის რკინის ჯოხი, შუშის ნატეხი, სხვადასხვა მჩხვლეტავი საგანი, ასევე ხორცის საჩეხი საგანი ან მოწყობილეობა, ხის საჭრელი, ფიცრის სათლელი მოწყობილობა და სხვ.

ამდენად, **„ისეთს"** მიეწერება რაღაც განსაკუთრებული თვისება, რაც არა ახასიათებს **„ნებისმიერს"**.

როგორც ვხედავთ, **ერთი საკანონმდებლო ცვლილებით სსკ კერძო ნაწილის ერთ მუხლთან მიმართებით შეიძლება განხორციელდეს როგორც ქმედების კრიმინალიზაცია, ასევე დეკრიმინალიზაცია**, ნაწილობრივი კრიმინალიზაცია და ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია, როგორც ამას ადგილი აქვს სსკ 223-ე მუხლთან მიმართებაში.

რაც შეეხება მეორე საკითხს – (რა აუცილებლობით იყო განპირობებული იმ საკანონმდებლო ცვლილების შეტანა, რითაც ასე გაფართოვდა უკანონო ფორმირების ცნება?) იგი პირდაპირ პირდაპირ კავშირშია ქმედების კრიმინალიზაცია-დეკრიმინალიზაციის საკითხთან, რადგანაც ამ დროს კანონმდებელმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს ქმედების საშიშროება. ამდენად, მან ისეთი ქმედება უნდა გამოაცხადოს დანაშაულად, რომელიც არსებით ზიანს

[23] აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ეს საკანონმდებლო ცვლილება რატომღაც არ შეეხო სსკ 225-ე მუხლის შენიშვნას (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება), სადაც იარაღში კვლავინდებურად იგულისხმება ასევე ნებისმიერი მოწყობილიბა ან საგანი

ინვევს ან შეიცავს რეალური საფრთხეს პიროვნების, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსათვის[24] გამომდინარე აქედან, სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტარატურაში, რომ როცა ესა თუ ის ქმედება ფასდება, როგორც დანაშაულებრივი აქტი, ეს წარმოადგენს სახელმწიფოს რეაქციის ფორმას საზოგადოებრივად საშიშ ქმედებაზე, რაც თავის მხრივ არის კრიმინალიზაციის პირველი ეტაპი.[25] ასევე არსებობს სს პოლიტიკის ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი: სამართალდარღვევის წრიდან იმ ქმედებათა გამოცალკევება, რომლებიც დანაშაულებრივ რანგში უნდა იქნეს აყვანილი და მეორე, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად სისხლის სამართლის კანონის გამოყენება.[26] ამდენად, დანაშაულად არ შეიძლება გამოცხადდეს ყოველგვარი სამართალდარღვევა.სწორედ ასეთი მიდგომით გამოიხატება სისხლის სამართლის ფრაგმენტული ბუნება. კერძოდ, კანონმდებებლი საშიშ ქმედებათა საერთო მასიდან შეარჩევს ისეთ ქმედებას და გამოაცხადებს მას დანაშაულად, რომლის წინააღმდეგაც სასჯელის გამოყენება პრაქტიკულ ეფექტს მოგვცემს.[27] კრიმინალიზაციის შესაძლებლობის ფართედ გამოყენება რომ დაუშვებელია, ამ საკითხზე ფუნდამენტური ნაშრომები იწერება საერთო სამართლის ქვეყნებშიც. მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი დუგლას ჰუსაკი აღნიშნავს, რომ დღეს ამერიკაში ჩვენ გვაქვს ზედმეტად ბევრი სასჯელი და ძალიან ბევრი დანაშაული. ჩვენ ვსჯით ზედმეტად, ან ზედმეტ კრიმინალიზაციას ვახდენთ... იურიდიული ფილოსოფოსისათვის კი სამართლიანობა წარმოადგენს ყველაზე რელევანტურ სტანდარტს... ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს ამდენად დიდი სასჯელები და ასევე ამდენი დანაშაულები, არის ის პრობლემა, რომ უნდა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, თუ რაოდენ დიდი და გადაუდებელი ნორმატიული ამოცანა დგას ჩვენს წინაშე. გონიერმა ადამიანმა არ უნდა გამორიცხოს, რომ მსგავსი სიდიდის სასჯელები და ამდენი რაოდენობა სისხლის სამართლის საქმეებისა, მიგვიყვანს იქამდე, რომ შუძლებელი გახდება გამართლება.[28]

როგორც ვხედავთ, პროფ. დ. ჰუსაკი საუბრობს იმაზე, რომ გაუმართლებელი კრიმინალიზაცია ხელოვნურად ზრდის ქვეყანაში დანაშაულთა რაოდენობას, რასაც თავისი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

შემდეგ იგი საუბრობს იმ შეზღუდვებზე, რასაც უნდა დაეყრდნოს კანონმდებელი ქმედების კრიმინალიზაციისას. კერძოდ, სისხლის სამარათლის კანონმდებლობამ უნდა მოახდინოს იმ ქმედების კრიმინალიზაცია, რაც არის ზიანის მომტანი, იგი უნდა იწვევდეს დამსახურებულ სასჯელს და მტკიცების ტვირთი

[24] შეად. გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. თბ. 2007, გვ. 57
[25] შეად. Основания Уголовно-Правого Запрета, Криминализация и декриминализация, М. 1982, Ред. В. Н. Кудрявцев, А. М. Яковлев. 1982, Стр. 127
[26] შეად. Гальперин И. М. Уголовная политика и уголовное законодательство _ В кн.: Основные направления с преступностью, с. 48.
[27] შეად. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 21
[28] შეად. Overcriminalization, The Limits of the Criminal Law, Douglas Husak, OXFORD University Press, 2008. P. 4.

უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელიც მხარს უჭერს სასჯელის დანიშვნას... თუმცა ეს სტანდარტებიც არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ხელი შეუშალოს ზედმეტ კრიმინალიზაციას, რადგან ზიანის, დანაშაულისა და სასჯელის ცნებები თავის მხრივ, ძალზე ელასტიური ცნებებია და ისინი შეიძლება (და არიან კიდეც) გაიწელოს და მოიცვას ნებისმიერი რამ, რისი კანონგარეშედ გამოცხადება სურს კანონმდებელს... ამდენად, სერიოზული საკითხია ის, თუ რა შემთხვევაში გვაძლევს კრიმინალიზაციის თეორია დასჯის უფლებას ე.წ. „ბოროტი აკრძალვის" **(ნაგულისხმევია არაკლასიკური დელიქტები – ნ.თ.)** დანაშაულების მიმართ, რა გაგებით უნდა იყოს ქმედება არასწორი და ზიანის მომტანი, რა სახის ზიანს ან ბოროტებას უნდა გვაცილებდეს თავიდან ეს აკრძალვა?[29]

მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალიზაციის შიდა შეზღუდვები,შეიძლება არც იყოს რადიკალური, მაგრამ ისინი ქმნიან სერიოზულ დაბრკოლებას მალა პროჰიბიტა-ს დანაშაულის მიზანშეწონილობის კუთხით..... აუცილებლად უნდა არსებობდეს რაიმე სახის შეზღუდვები ამ მიმართებით.[30]

იმის გამო, რომ არ არსებობს ნორმატიული თეორია, რომელიც შეზღუდავს კანონმდებელს, კონსტიტუცია იძლევა იმის კანონიერ საშუალებას, რომ დაადგინოს ასეთი შეზღუდვები.[31] საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინაში სერიოზული მსჯელობაა იმ პრობლემაზე, რომ ძალიან ბევრი დანაშაული იწვევს ზედმეტ სასჯელს. ასეთ ვითარებაში უმეტესობა სასჯელებისა ეკისრებათ მაშინ, როდესაც პირი დამნაშავედ ცნობს თავს. ამის საუკეთესო მაგალითია ის სიტუაცია, როდესაც პირი ახორციელებს ისეთ ქმედებას რომელიც შესაძლოა, არ არის აკრძალული სისხლის სამართლის კოდექსით. ამის მიუხედავად, ვინაიდან პირს ბრალი წაეყენა სხვადასხვა დანაშაულებისათვის, იგი თანხმდება იმას, რომ აღიაროს დანაშაულის ჩადენა, რათა სანაცვლოდ მას ერთ ან რამდენიმე ბრალდებას მაინც მოუხსნიან. აქედან გამომდინარე კი მართალია, იღებს სასჯელს, თუმცა უფრო ნაკლებად მკაცრს, ვიდრე ეს დაეკისრებოდა მაშინ, რომ წარმსდგარიყო სასამართლოს წინაშე.[32]

მივუბრუნდეთ დასმულ კითხვას: კერძოდ, რა აუცილებლობით იყო განპირობებული იმ საკანონმდებლო ცვლილების შეტანა, რითაც ასე გაფართოვდა უკანონო ფორმირების ცნება?

საქმე ისაა, რომ ასეთი ნებისმიერი საგნით თუ მოწყობილობით შეიარაღებული ჯგუფისათვის, მისი შექმნის მომენტიდან არაა დამახასიათებელი საზოგადოებრივი უშიშროებისათვის საფრთხის შექმნა, რადგან მათი მიზანი არაა თავდასხმითი (განგსტერული) ქმედებების ჩადენა. უფრო მეტიც, 2015

[29] შეად. Douglas Husak, დასახ. ნაშრ. გვ. 103

[30] შეად. Douglas Husak, დასახ. ნაშრ. გვ. 122

[31] Neil Colman McCabe, „State Constitutions and Substantive Criminal Law", 71 Temple law Review 521 (1998); Stephen Shute, With and without Constitutional Restraints: A Comparision between and the Criminal Law of England and America, Buffalo Criminal Law Review 329 (1998).

[32] შეად. Overcriminalization, The Limits of the Criminal Law, Douglas Husak, OXFORD University Press, 2008. P. 45

წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე არ იყო გამორიცხული, მათ პატრიოტული მიზანიც კი ჰქონოდათ.

ამდენად, შეიქმნა ვითარება, როცა ერთის მხრივ, ბანდის აუცილებელი ნიშანია შეიარაღება იმის მიუხედავად, რომ მათი მიზანი თავდასხმითი ქმედებებია, ხოლო მეორეს მხრივ, უკანონო ფორმირების აუცილებელი ნიშანი არაა შეიარაღება ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით მიუხედავად იმისა, რომ მისი მიზანი არაა თავდასხმითი ქმედებების ჩადენა.

ბანდიტიზმის სოციალური საშიშროება რომ მეტია, ვიდრე უკანონო ფორმირებისა, ეს აშკარად ჩანს მათზე დანესებული სანქციების შედარებითაც.

ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის ამ ცვლილებით ასევე გამკაცრდა ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია (თ. ა. 6-დან 12 წლამდე, ნაცვლად 6-დან 9 წლისა, რაც ადრე იყო დაწესებული).

სასჯელის ასეთი გამკაცრენა, როგორც უკვე აღინიშნა, არაა პენალიზაციის შემთხვევა.

როგორაა ეს საკითხი გადაწყვეტილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ მომზადებულ სს კოდექსის პროექტში?

პროექტის მიხედვით შემსუბუქდა სსკ 223-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია თ.ა. ვადით სამიდან ცხრა წლამდე, რაც უფრო მსუბუქია, ვიდრე ეს იყო 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე. რაც შეეხება შეიარაღებას, ამ მუხლის შენიშვნას ამ მხრივ არსებითი ცვლილება არ განუცდია. ამ შენიშვნის პირველი ნაწილის მიხედვით ფორმირება (ლაშქარი, გაერთიანება, რაზმი ან სხვა ჯგუფი) გულისხმობს არა მარტო ცეცხლსასროლი ან ცივი , თუ ასაფეთქებელი იარაღით შეიარაღებულს, არამედ „სხვისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების დაზიანების მიზნით“ ნებისმიერი სხვა მოწყობილობით ან საგნით შეიარაღებულ ჯგუფს.[33]

როგორც ვხედავთ, იარაღში კვლავ იგულისხმება „ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ აქცენტი გაკეთებულია პირის მიზანზე, გამოიყენოს იგი ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან საკუთრების დასაზიანებლად.

ასეთი ცვლილება, გარკვეულად არის წინგადადგმული ნაბიჯი, მაგრამ აშკარაა, რომ სრულყოფილად არაა აღმოფხვრილი ის ხარვეზი, რაც დაკანონდა 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებით.

ამასთანავე იგი გარკვეულწილად არ შეესაბამება 2015 წელს განხორციელებულ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც ნაცვლად ჩანაწერისა: „ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი“ დაწესდა: „ისეთი მოწყობილობა ან საგანი“.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მიზანშეწონილია სსკ 223-ე მუხლში შევიდეს ისეთი საკანონმდებლო ცვლილება, რომ შეიარაღების საკითხი გადაწყდეს ისე, როგორც ეს იყო 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე. სხვაგვარად რომ

[33] შეად. აღნიშნული პროექტის 223-ე მ-ის შენიშვნას

ვთქვათ, უკანონოდ ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ფორმირება, რომელიც შეიარაღებულია იარაღით და არა სხვა საგნებით ან მოწყობილობით.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოემსახურება არა მარტო სს კანონმდებლობის ლიბერალიზაციას, არამედ სამართლიანი კანონმდებლობის იდეას.

იგივე უნდა ითქვას სსკ 225-ე მუხლის მიმართ, რომელიც ითვალისწინებდა სს პასუხისმგებლობას მასობრივი არეულობის ორგანიზების ან ხელმძღვანელობისათვის, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა და სხვა ძალადობითი ქმედებები (მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა).

საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება არა მასობრივი არეულობის, არამედ ჯგუფური მოქმედების ორგანიზებაში, რასაც თან ახლავს ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები. როგორც ვხედავთ, დანაშაულის შემადგენლობას უკვე გვაძლევს ორი ან სამი პირის მოქმედება და არა მასის, ე.ი. რამდენიმე ათეული პირისა.

აქაც განხორციელდა ქმედების ნაწილობრივი კრიმინალიზაცია და ეს ცვლილებაც არ იყო განპირობებული რაიმე აუცილებლობით რადგანაც 225-ე მუხლი უკვე გულისხმობს სულ სამ პირს – ერთი ამ ქმედების ორგანიზატორი და კიდევ ორი პირი (ჯგუფი).

ორი პირის ქმედებისათვის კი არაა დამახასიათებელი ისეთი შედეგები, როგორიცაა რბევა, ან ისეთი ძალადობა ანდა ხელისუფლებისათვის ისეთი წინააღმდეგობის გაწევა, რომ ამით საფრთხეში აღმოჩნდეს საზოგადოებრივი უშიშროება. მით უმეტეს, რომ ამ მუხლის შენიშვნის მიხედვით სადღეისოდ აქაც იარაღში იგულისხმება არა მარტო ცეცხლსასროლი, ცივი ან სხვა იარაღი, არამედ ნებისმიერი საგანი ან მოწყობილობა (მაგალითად, ქვა, ხელკეტი, ბურთები), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად.

ამასთან ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასობრივი არეულობა (ამჟამად ჯგუფური ძალადობა) ესაა უკმაყოფილო მოქალაქეთა პროტესტის გამოხატვის მართლსაწინააღმდეგო ფორმა და არა რაიმე პირადი მოტივით კონკრეტული პირის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება. ამდენად, 2011 წელს გატარებული ეს საკანონმდებლო ცვლილება არ იყო განპირობებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საჭიროებით.

ამდენად, სსკ 225-ე მუხლის მიმართაც უნდა აღდგეს 2011 წლამდე არსებულ რედაქცია.

როგორ გადაწყდა ეს საკითხი ზემოთხსენებულ პროექტში?

პროექტში აღდგა სსკ 225-ე მუხლის დისპოზიციის ადრე მოქმედი რედაქცია, რაც უადაოდ მისასალმებელია, მაგრამ შენიშვნაში იარაღის ცნებაში აქაც დარჩა „ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან გასანადგურებლად", რაც ამ პროექტის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

სასჯელის პენალიზაციისა თუ დეპენალიზაციის კუთხით საინტერესოა, ის ფაქტი, რომ რომ ბოლო წლებში საქართველოში სს კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებით იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის დაწესდა გაცილებით მსუბუქი სასჯელი.

საქმე ეხება სსკ 117-ე მუხლს – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელმაც 2006 წლის 28 აპრილის კანონით განიცადა სერიობული საკანონმდებლო ცვლილება.

კერძოდ, ეს მუხლი ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოადგენდა მძიმე კატეგორიის დანაშაულს (ისჯებოდა თ.ა. ვადით ერთიდან რვა წლამდე), ხოლო საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ იგი გახდა ნაკლებად მძიმე დანაშაული (ისჯება თ.ა. ვადიათ სამიდან ხუთ წლამდე).

როგორც ვხედავთ, მინიმალურმა ზღვარმა აიწია, მაგრამ აქ მთავარი სასჯელის მაქსიმალური ზომაა, რადგან იგი განსაზღვრავს დანაშაულის ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიკუთვნების საკითხს.

ამავე ცვლილებით ამ მუხლს დაემატა ახალი მე-2 ნაწილი, თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა – იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. მანამდე კი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, რასაც სასიკვდილო შედეგი მოჰყვა, გათვალისწინებული იყო სსკ 119-ე მუხლი, რაც სს კოდექსიდან ამ ცვლილებით ამოღებულ იქნა, ხოლო ეს თანამდევი შედეგი გადანაწილდა ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლების სხვადასხვა ნაწილებში.

თავისთავად იმაში, რომ კოდექსიდან ამოღებულ იქნა სპეციალური მუხლი თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისა, უჩვეულო არაფერია. ეს საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია და ამასთანავე შესაძლოა, სასჯელთა დიფერენცირების კუთხით უპრიანიც კი იყოს.

მაგრამ საინტერესოა, სასჯელის კუთხით რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვა ამ თანამდევი შედეგის გადანაწილებას სსკ 117-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში?

ამისათვის ერთმანეთს უნდა შევადაროთ სსკ 117-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ადრე მოქმედი 119-ე მუხლის სანქცია.

სსკ 119-ე მუხლით თანამდევი შედეგის დადგომისას დაწესებული იყო თ.ა. ვადით სამიდან 12 წლამდე. ანუ სახეზე იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რადგანაც სსკ 11-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაუული ითვლება განზრახ დანაშაულად. ხოლო თუ განზრახი დანაშაულისათვის დაწესებული სანქცია აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას, სსკ მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით იგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია.

ვნახოთ, რა სასჯელია დაწესებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების თანამდევი სასიკვდილო შედეგისათვის დღეს მოქმედი კანონით 117-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

ესაა თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხიდან ექვს წლამდე. როგორც ვხე-

დავთ, სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი მხოლოდ ერთი წლითაა განსხვავებული ამ მუხლის პირველი ნაწილის სანქციისაგან. ამავე დროს ეს სასჯელი ორჯერ უფრო მსუბუქია, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო 119-ე მუხლით. გარდა ამისა, თუ 119-ე მუხლი წარმოადგენდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, სსკ 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს. ამდენად, საკანონმდებლო ცვლილებით მოხდა არა მარტო სასჯელის შემცირება, არამედ დანაშაულის კატეგორიის შეცვლაც მისი შერბილების კუთხით.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ხომ არაა ეს ფაქტი საქართველოს კანონმდებლოს მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ან დეპენალიზაციის გამოვლინება?

დავიწყოთ ლიბერალიზაციის საკითხის განხილვით.

ცნობილია, რომ ხშირია შემთხვევა, როცა კანონმდებლობის ავტორიტარული და ლიბერალური მოდელი ზოგ ქვეყანაში ერთმანეთს ერწყმის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგჯერ იქმნება ვითარება, როცა მოცემული ქვეყანა ლიბერალურია რომელიმე ასპექტში, ხოლო ავტორიტარულია სხვა საკითხთან დაკავშირებით.[34]

იქნებ საქართველოშიც ამ კანონის მიღებით მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე?

ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, ჯერ უნდა შევაფასოთ, რამდენად იყო ლიბერალიზაციის გამოვლინება სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციის ასეთი არსებითი შემსუბუქება?

ამ ცვლილების ლიბერალიზაციად შეფასება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი ასევე შეამსუბუქებდა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთათვის დაწესებულ სასჯელს თუნდაც უმნიშვნელოდ.

საქმე ისაა, რომ ამ თავით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებისათვის (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება) არ განუცდიათ არავითარი ცვლილება სასჯელთა შემსუბუქების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, თუ კანონმდებლის თვალსაზრისით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის დაწესებული სასჯელი იყო შეუსაბამოდ მკაცრი (8 წ-მდე თ.ა.) და იგი თითქოს შემსუბუქებას იმსახურებდა, მაშინ ამ ლოგიკით მას მკვლელობაზე დაწესებული სასჯელიც უნდა შეემსუბუქებინა, რაც არ მომხდარა.

მაშ, რა ლოგიკას ექვემდებარება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის სასჯელთა ასეთი არსებითი შემსუბუქება, რამაც ამ დანაშაულის კატეგორიისადმი მიკუთვნების საკითხიც შეცვალა?

მკვლელობის შემდეგ ადამინის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ყველაზე საშიშია ჯანმრთელოს მძიმე დაზიანება, რადგან მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის სხვა შედეგი არ არსებობს. თუკი მკვლელობა არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (და ეს ასეც უნდა იყოს), რატომ არაა ჯანმრ-

[34] შეადარ. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, რედ. პროფ. თ. ნინიძე,. გვ. 88).

თელობის განზრახ მძიმე დაზიანება მძიმე კატეგორიის დანაშაული მაინც? რატომ გადაიქცა იგი ნაკლებად მძიმე დანაშაულად?

რა თქმა უნდა, კანონმდებელი ამ ცვლილების გატარებისას არ ხელმძღვანელობდა რაიმე სამართლებრივი კრიტერიუმებით. პირიქით, საკითხისა ამგვარი გადაწყვეტით კანონმდებელმა დაარღვია სამართლიანობის პრინციპი, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფომ ქმედების კრიმინალიზაციის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის საკითხი. კერძოდ, სს კანონში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველი დანაშაულისა და მისი შემადგენლობის შესატყვისი (პროპორციული) სასჯელი ამ დანაშაულის სოციალური საშიშროების გათვალისწინებით, რათა მოსამართლემ შესძლოს, დანიშნოს სამართლიანი სასჯელი.[35] ამდენად, სამართლიანობის პრინციპი მიმართულია არა მარტო მოსამართლეზე, არამედ პირველ რიგში – კანონმდებელზე და მისი საფუძველი არის ქმედების სოციალური საშიშროების შესატყვისი ანუ პროპორციული სასჯელის დაწესება სს კოდექსის შესაბამისი მუხლით.

როგორც ვხედავთ, სსკ 117-ე მუხლი 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე არსებული სასჯელის თვალსაზრისით ამოვარდნილი იყო ჩვენი სამართლებრივი კონტექსტიდან.

2015 წლის 12 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით გაიზარდა როგორც სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილის, ისე მე-2 ნაწილის სანქციაც. კერძოდ, პირველი ნაწილისა – თავისუფლების აღკვეთით სამიდან 6 წლამდე, ხოლო თანამდევი შედეგისათვის – ოთხიდან 7 წლამდე, რაც წინგადადგმული ნაბიჯია სამართლიანობის თვალსაზრისით.

თუმცა როგორც ვხედავთ, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია კვლავ ერთი წლითაა განსხვავებული პირველი ნაწილის სანქციასთან შედარებით, რაც გაუმართლებელია.

საინტერესოა, რამდენად იყო სსკ 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით თანამდევი შედეგისადმი სასჯელის შემსუბუქება **ლიბერალიზაციის გამოვლინება,** რადგან შესაძლებელია, კანონმდებელმა ზოგადად ლიბერალური პოზიცია აირჩია თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობების მიმართ.

ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, საჭიროა, ერთამნეთს შევადაროთ კანონმდებლის პოლიტიკა სასჯელთან მიმართებით სსკ 117-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სხვა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულებში.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ საჰაერო, წყლის ან რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (227-ე მ.) და მეკობრეობა (228-ე მ.), რომელთა დამამძიმებელი გარემოება ითვალისწინებს თანამდევი სასიკვდილო შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას. ასევე გაუპატიურება (137 მ.) და სხვა ძალადობრივი სქესობრივი დანაშაულები, რომლის მე-4 ნაწილში მო-

[35] შეადარ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 32).

ცემულია სასიკვდილო თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა.

სსკ 227-ე მუხლი ითვალისწინრებს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, როგორც თანამდევ შედეგს და მისთვის დანესებულია თ.ა. ვადით 10-დან 15 წლამდე მაშინ, როცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით. გამოდის, რომ მაქსიმალურ სანქციათა შორის სხვაობა არის 5 წელი და ეს გასაგებიცაა,რადგან ეს ის ხუთი წელია, რაც დაწესებულია სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის (116-ე მ.) მე-2 ნაწილით, როგორც ამ დანაშაულისათვის დადგენილი ყველაზე მკაცრი სასჯელი.

იგივე ვითარება გვაქვს მეკობრეობის თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობაში (228-ე მ-ის მე-2 ნაწ.), სადაც თუ პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 10 წლამდე, მისი მე-2 ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-დან 15 წლამდე.

როგორც ვხედავთ, აქაც სხვაობა თანამდევი შედეგისათვის არის 5 წელი..

ამ საკითხის განხილვისას თვალში საცემია ის გარემოება, რომ ამ მუხლებმაც (227-ე და 228-ე მმ.) განიცადეს საკანონმდებლო ცვლილება იგივე კანონით (2006 წლის 28 აპრილის კანონით), რითაც ცვლილება განიცადა სსკ 117-ე მუხლმა.

აქედან გამომდინარე, **ისმის კითხვა:** თუკი კანონმდებელმა აირჩია ლიბერალური პოლიტიკა სსკ 117-ე მუხლის მიმართ და ასევე ამ მუხლით გათვალისინებული თანამდევი შედეგის მიმართ, მაშინ რატომ არ აირჩია იგივე ლიბერალური პოლიტიკა სსკ 227-ე და 228-ე მუხლების მიმართაც?

რაც შეეხება გაუპატიურების თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას (137-ე მ-ის მე-4 ნაწ-ის „ბ“ ქვ.) მისი მაქსიმალური სანქცია (თ.ა. 15 წლამდე) 3 წლით უფრო მკაცრია, ვიდრე ამ დანაშაულის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია (თ.ა. 12 წლამდე).

იგივე ვითარებაა სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც (მაგალითად, სსკ 138-ე მ-ის მე-4 ნაწ.) და ამ მუხლებმაც იგივე კანონით (2006 წ. 28 აპრილის) განიცადა გარკვეული ცვლილება.

ამდენად, ჩვენი კანონმდებელი სასიკვდილო თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობაში სულ მცირე 3 წლით უფრო მკაცრ სასჯელს აწესებს.

გამომდინარე აქედან, კეთდება დასკვნა, თუკი კანონმდებელს სურდა ლიბერალური პოლიტიკა გაეტარებინა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობების მიმართ, რატომ არა გაატარა იგი სხვა დანაშაულებთან მიმართებაში, მით უმეტეს, რომ ამ სხვა დანაშაულთა ძირითადი შემადგენლობა განსხვავებით სსკ 117-ე მუხლებისაგან, არის შედეგგარეშე ანუ ფორმალური დანაშაული. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება კი არის შედეგიანი ანუ მატერიალური დანაშაული, რის გამოც 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით ქმედების კვალიფიკაცია ნიშნავს იმას, რომ სასიკვდილო შედეგის დადგომამდე ჩვენ სახეზე გვქონდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის დამახასიათებელი შედე-

გებიდან სულ მცირე, ერთი შედეგი (მაგალითად, სხეულის ორგანოს დაკარგვა), რაც განზრახ იყო გამოწვეული.

რაც შეეხება მეკობრეობას და საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას, ისინი საფრთხის დელიქტებია. კერძოდ, პირველი- კონკრეტული საფრთხის დელიქტი, ხოლო მეორე- აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი.

ახლა პასუხი უნდა გაეცეს მეორე კითხვას: ხომ არ განხორციელდა ამ ცვლილებით (სს კოდექსიდან 119-ე მუხლის ამოღებით) ამ ქმედების დეპენალიზაცია?

როგორც უკვე აღინიშნა, დეპენალიზაცია ნიშნავს სს კოდექსის ზოგადი ნაწილიდან რომელიმე სასჯელის ამოღებას, ან კერძო ნაწილის რომელიმე მუხლიდან მკაცრი სასჯელის ამოღებას და მსუბუქი სასჯელის დატოვებას.

მართალია, ამ ცვლილების შემდეგ სს კოდექსში არ არსებობს სპეციალური შემადგენლობა (სსკ 119-ე მ.), რისთვისაც გათვალისწინებული იყო გამკაცრებული პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოხდა დეპენალიზაცია ამ ქმედების მიმართ.

საქმე ისაა, რომ ამ ცვლილების შემდეგ აღნიშნული თანამდევი შედეგის მიმართ დაწესებული სასჯელის სახედ კვლავ დარჩა თავისუფლების აღკვეთა, თუმცა რიგ შემთხვევაში მისი ვადა საგრძნობლად შემცირდა.

ამდენად, ამ საკითხში კანონმდებლობის ლიბერალიზავია არ იყო დაკავშირებული დეპენალიზაციასთან.

მოსაწესრიგებელია ნარკოტიკული დანაშაულის თავიც.

დღეს არსებული კანონი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარებისთვის სსკ 273-ე მუხლით, სადაც სასჯელის სახით ჯარიმისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გარდა, ასევე გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით. ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ სწორად არაა გააზრებული წამალდამოკიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემის ბუნება. კერძოდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ადამიანების, რომლებიც განიცდიან პათოლოგიურ დამოკიდებულებას ნარკოტიკულ ნივთიერებებზე, იზოლაცია საზოგადოებისაგან სრულიად არაპროპორციული მეთოდია პრობლემასთან საბრძოლველად. ასეთ პირებს უპირველეს ყოვლისა, სჭირდებათ მკურნალობა და არა საზოგადოებისაგან იზოლაცია.

საერთოდ ცივილიზებული სახელმწიფო შეზღუდულია ინსტრუმენტებისა და ფორმების შერჩევაში, მას არ შეუძლია მიმართოს არაპროპორციულ და რეპრესიულ მეთოდებს, თუნდაც სამართლიანი და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (მიზანი არ ამართლებს საშუალებას). ზოგადად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მითუმეტეს, თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობის დაწესება წამალდამოკიდებული პირების მიმართ არის სწორედ ამგვარი გაუმართლებელი და არაპროპორციული ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან, მიუხედავად

ჩარევის მიზნების ლეგიტიმურობისა. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ამყარებს, რომ ჩვენი კანონმდებლობით არაა დადგენილი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმები, მათ შორის, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები, ასევე არ არსებობს ზიანის შემცირების პროგრამები, რისკ-ჯგუფებზე ორიენტირებულ საზოგადოებრივი პროგრამები და სხვა ნაკლებად შემზღუდავი საშუალებები.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული საკოორდინაციო კომისიის მიერ მომზადებულ პროექტში არაა გათვალისწინებული სსკ-ის 273-ე მუხლთან დაკავშირებული ცვლილებები. ამიტომ, **აუცილებლად მიგვაჩნია კანონპროექტში შეტანილ იქნას ცვლილებები 273-ე მუხლის სანქციასთან მიმართებაში, რომლითაც ამ მუხლის სანქციდან ამოღებული იქნება თავისუფლების აღკვეთა, ანუ განხორციელდეს ამ სასჯელის დეპენალიზაცია.**

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის ოქტომბრის ზემოთხსენებული გადაწყვეტილებით, 70 გრამადე გამომშრალი მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტის გამო (როცა არაა სახეზე გასაღების მიზანი) სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ჩაითვალა არაკონსტიტუციურ სასჯელად, რაც მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, გაავრცელოს ეს გადაწყვეტილება სსკ 273-ე მუხლის მიმართაც, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ მარიხუანას და არა სხვა ნარკოტიკს. ამიტომ საკითხი სადაო რომ არ გახდეს, უმჯობესი იქნება, კანონმდებელმა სსკ 273-ე მუხლიდან ამოიღოს სასჯელის ეს სახე (თავისუფლებოს აღკვეთა).

სანამ იგი ამოღებულ იქნება სსკ 273-ე მუხლის სანქციიდან, სასამართლომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს იგი ამ მუხლით მსჯავრდებულის მიმართ, რადგან თუკი 70 გრამამდე (ანუ დიდი იდენობის) მარიხუანას შეძენა-შენახვის ჩადენისათვის (როცა სახეზე არაა გასაღების მიზანი) ანტიკუნსტიტუციურად ჩაითვალა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, მით უმეტეს ანტიკონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს სასჯელის ეს სახე მცირე ოდენობით ნებისმიერი სახის ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვის ჩადენისათვის. ასევე იმ შემთხვევაში, როცა პირმა მოიხმარა ნარკოტიკი (აქ ოდენობას უკვე არა აქვს მნიშვნელობა) ექიმის დანიშნულების გარეშე.

მართალია, ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობების განსაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებში არ შედის, მაგრამ შეუძლებელია სსკ-ის 260-ე მუხლის რეფორმა ისე, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობებთან დაკავშირებული პრობლემა. "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, გარკვეულ ნარკოტიკულ ნივთიერებებს მცირე ოდენობა არ გააჩნიათ. ასეთია, მაგალითად, ჰეროინი, ასევე დეზომორფინი, რომელიც ე.წ. „ნიანგის" შემადგენელი ნივთიერებაა. ამდენად, ამ ნივთიერებათა ჩამონათვალის გასწვრივ მე-3 ვერტიკალურ გრაფაში არაა დაფიქსირებული გრამების ოდენობა, არამედ დაფიქსირებულია ტირე (-). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მახმარების შემდეგ შპრიცსში ჩარჩა

ნარკოტიკის უმცირესი, სრულიად უსარგებლო დოზა, თავისუფლად შეიძლება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სსკ 260-ე მუხლით – ნარკოტიკის უკანონო შენახვისათვის.

უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში ზემოთხსენებული კანონის თანდართული სიის შენიშვნის მიხედვით, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სსკ 260-ე მუხლის არა პირველი ნაწილით, არამედ დამამძიმებელი გარემოებით (დიდი ოდენობა). რადგან როცა ნარკოტიკულ საშუალებას არ გააჩნია მცირე ოდენობა, იგი ითვლება დიდ ოდენობად. გამოდის, რომ ასეთ ნარკოტიკულ საშუალებებს არ გააჩნია არც მცირე და არც საწყისი ოდენობა, რაც სრულიად გაუმართლებელი და არალოგიკურია.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია 2014 წლის 16 აპრილს სსკ-ში განხორციელებული ცვლილება. 260-ე მუხლს დაემატა 11 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ასევე დასჯადი გახდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

აღნიშნული დამატების მიხედვით მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ოდენობის ფსიქოაქტიური ნივითერებაა აღმოჩენილი, აგრეთვე არაა გამიჯნული, ქმედება ჩადენილია პირადი მოხმარების თუ გასაღების მიზნით.

შესაბამისად, დღეს არსებული რედაქციით, უმცირესი ოდენობით ფსიქოაქტიური ნივთიერების აღმოჩენა, თუნდაც ის პირადი მოხმარების მიზნით იყოს შეძენილი, პირდაპირ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას 260-ე მუხლით. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა შეიძლება აიხ.ნას „ახალი ფსიქოაქტიური" ნივთიერებების ოდენობების განსაზღვრის შეუძლებლობით, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს საკითხი არ უნდა გადაიჭრას მხოლოდ ბრალდებულის ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე.

მაგალითად, თუკი ჩვეულებრივი ნარკოტიკული ნივთიერების მცირე ოდენობის აღმოჩენის შემთხვევაში პირს ჯერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება და მხოლოდ განმეორებით ქმედების ჩადენისას დაიწყება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, „ახალი ფსიქოაქტიური" ნივთიერების აღმოჩენისას, პირველივე შემთხვევას მოჰყვება სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ იმის გამო, რომ შეუძლებელია დადგინდეს, აღმოჩენილი ნივთიერება თავისი რაოდენობითა და ორგანიზმზე ზემოქმედების სიძლიერით აჭარბებს თუ არა იმ ზღვარს, საიდანაც სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენის დროს იწყება სისხლისსამათლებრივი დევნა.

ამდენად, სამართლიანობა მოითხოვს, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო მოპყრობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას წინ უნდა უძღოდეს ადმინისტრაციული პრეუდიცია.

მოქმედი რედაქციით 260-ე მუხლის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედების ჩადენა პირის მიერ, „ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული". აღნიშნული ჩანაწერი ერთნაირად ეხება ყველა ნარკოტიკულ დანაშაულს,

მათ შორის სსკ-ის 273-ე მუხლსაც. შესაბამისად, თუკი ამ მუხლით პასუხისგებაში მიცემულ პირს აღმოაჩნდება სისხლისამართლებრივად მნიშვნელოვანი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით. სამწუხაროდ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემოთავაზებული ცვლილებების პაკეტშიც არაა ყურადღება გამახვილებული აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებაზე და ეს ჩანაწერი უცვლელადაა გადმოტანილი, რაც არ შეესაბამება წამალდამოკიდებული პირების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებას და საერთოდ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციას.

გამომდინარე აქედან, 260-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოება – პირის მიერ, ვისაც ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„პირის მიერ, ვისაც ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული (გარდა სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული. დანაშაულისა)“.**

ნარკოტიკულ დანაშაულთა თავში არსებობს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მთელი რიგი მუხლების სპეციალური შემადგენლობა – სსკ 264-ე მუხლი, სადაც მის პირველ ნაწილში, ასევე დამამძიმებელ გარემოებებში გათვალისწინებულია ქურდობის, ძარცვის, თაღლითობის, მითვისების, ყაჩაღობის და გამოძალვის სპეციალური შემადგენლობა.

საერთოდ, სს კოდექსის კერძო ნაწილში ზოგადი ნორმების გვერდით სპეციალური ნორმების არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ მხრივ არც აქ არის რაიმე გამონაკლისი და პრობლემა. მაგრამ თუკი კარგად დავუკვირდებით სსკ 264-ე და 260-ე მუხლების შემადგენლობას, იმ უცილობელ დასკვნამდე მივალთ, რომ ეს მუხლები უნდა გაერთიანდეს. კერძოდ, სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული ხერხები სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების დაუფლებისა, უნდა გადავიდეს სსკ 260-ე მუხლში და 264-ე მუხლი კოდექსიდან ამოღებულ უნდა იქნეს.

საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: პეტრემ სპეციალური აფთიაქიდან მოიპარა ნარკოტიკული საშუალება და გავიდა ქუჩაში. მას სურდა ამ ნარკოტიკის სახლში წაღება, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ქუჩაშივე დააკავეს. (ანდა დააკავეს მაშინ, როცა მანქანით მიჰქონდა იგი სახლში). დადგინდა, რომ პეტრემ ეს ნარკოტიკი სპეც. აფთიაქიდან ფარულად გამოიტანა.

ისმის კითხვა: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მისი ქმედება – როგორც ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (264-ე მ-ის პირველი ნაწ.), თუ როგორც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა (სსკ 260-ე მ-ის პირვ. ნაწ.), ან იქნებ დაკვალიფიცირდეს იგი დანაშაულთა ერთობლიობით: სსკ 264-ე და 260-ე მუხლებით, რადგან პეტრე ფარული ხერხის გამოყენებით კიდეც დაეუფლა ნარკოტიკს მართლსაწინააღმდეგოდ, ამავე დროს კიდეც ინახავდა მას უკანონოდ, როცა ქუჩაში გამოსულს ხელთ ეპყრა ეს ნარკოტიკული საშუალება (ანდა ედო მანქანაში და მოძრაობდა სახლის მიმართულებით)?

დასმული კითხვის პასუხად უნდა ითქვას შემდეგი:

პეტრეს ქმედება სრულად მოცულია სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან ნარკოტიკის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ქურდობით (ისევე როგორც ზოგადად ქურდობა – სსკ 177-ე მ.) დამთავრებულია მაშინ, როცა პირი დაეუფლება მას და მიეცემა მისი საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა დაუფლება ხდება დაცულ ობიექტში (როგორიცაა სპეც. აფთიაქი), მაშინ განკარგვის შესაძლებლობას პირი იძენს ამ დაცული ობიექტიდან გამოსვლის შემდეგ (ფლობისა და სარგებლობის შესაძლებლობა კი მანამდეც აქვს). ჩვენს შემთხვევაში პეტრეს ქმედება დამთავრდა ქუჩაში მისი გამოსვლის შემდეგ. მანამდე ადგილი ჰქონდა სსკ 264-ე მუხლის მცდელობას. აქედან გამომდინარე კი, კეთდება ის უცილობელი დასკვნა, რომ სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მოიცავს ნარკოტიკების უკანონო შენახვის ფაქტსაც (ქუჩაში ნარკოტიკთან ერთად გამოსული ან მანქანაში მჯდარი პეტრე ნარკოტიკს ფლობს უკანონოდ) და მას დამატებით კვალიფიკაცია არ სჭირდება.

თითქოს აქ სადაო არაფერია, მაგრამ თუ საკითხს შევხედავთ სხვა კუთხით, პეტრეს ქუჩაში გამოსვლისას (ასევე მისი ნარკოტიკთან ერთად მანქანით მოძრაობისას) მისი ქმედება გარეგნულად ემსგავსება ასევე ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვასაც, რის გამოც საკითხისადმი ზერელე მიდგომის შემთხვევაში არაა გამორიცხული, პრაქტიკაში მოხდეს ამ ქმედების დანაშაულთა ერთობლიობად შეფასება – როგორც 264 – ე, ისე 260-ე მუხლებით.

ასეთი საკითხი არ დაისმევა, როცა სახეზეა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (სსკ 177-181-ე მმ.). კერძოდ, შეუძლებელია დაისვას საკითხი ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის შესახებ, როცა თავისუფალ ბრუნვაში მყოფი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას ეხება საქმე. მაგალითად, პეტრემ ჩაიდინა ქურდობა და ნაქურდალ ნივთთან ერთად დააკავეს ქუჩაში (ან მანქანაში მასთან ერთად გადაადგილებისას, ანდა სულაც ეს ნაქურდალი მას სახლში უპოვეს საგულდაგულოდ შენახული). ამ შემთხვევაში არავინ დასვამს საკითხს პეტრეს ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირების შესახებ – სსკ 177-ე და 186-ე მუხლებით (ქურდობა და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობა), რადგანაც სახეზეა თავისუფალ ბრუნვაში მყოფი ნივთი და იმთავითვე იგულისხმება, რომ ქურდობა მოიცავს სსკ 186-ე მუხლით გათვალისინებული დანაშაულის შემადგენლობას, რის გამოც მას არ სჭირდება დამატებითი კვალიფიკაცია. ამდენად, არაა სადაო, რომ სსკ 186-ე მუხლის ამსრულებელი ვერ იქნება იმ დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე, რა დანაშაულის ჩადენის გზითაც მოხდა ამ ქონების ხელში ჩაგდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირი იმიტომ ქურდობს, რომ ნაქურდალი ნივთი ან თავად გამოიყენოს, ან გაასხვისოს და ამ გზით მიიღოს სარგებელი. ამდენად, სსკ 186-ე მუხლის სუბიექტი არის მე-3 პირი, ვისაც წინასწარი შეხება პრედიკატულ დანაშაულთან არ ჰქონია ამსრულებლობის

ან თანამონაწილეობის სახით.[36]

ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში კი სახეზეა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება (ნარკოტიკი), რის გამოც ამ საკითხის განსხვავებულად გადაწყვეტის საფრთხე ნამდვილად არსებობს. ქმედების ერთობლიობით კვალიფიკაციის ინტერესი შესაძლოა, გაჩნდეს იმიტომაც, რომ სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია (ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ოთხ წლამდე) გაცილებით მსუბუქია, ვიდრე სსკ 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია (თავისუფლების აღკვეთა ვადით 6 წლამდე). ამიტომაც სანამ სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არის მძიმე კატეგორიის (2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე იგი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას მიეკუთვნებოდა), ხოლო სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კი – ნაკლებად მძიმე კატეგორიისა, ზემოთხსენებული შემთხვევის დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საკითხი მით უმეტეს დადგება დღის წესრიგში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად წარმოჩენისათვის საჭიროა, ჩვენი შეხედულების უფრო საფუძვლიანი დასაბუთება.

პეტრეს ქმედებაში რომ არაა დანაშაულთა ერთობლიობა, ეს შემდეგნაირად უნდა დასაბუთდეს:

ა) სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილი – სპეციალური კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გამოძალვა არის ე.ნ. ფორმალურ- მატერიალური შემადგენლობის დანაშაული. კერძოდ, გამოძალვის ნაწილში იგი არის ფორმალური შემადგენლობის დანაშაული. ე.ი. დამთავრებულად ითვლება ქმედების (ნარკოტიკის მოთხოვნის) ჩადენისთანავე და მნიშვნელობა არა აქვს იმას, შესძლო თუ არა გამომძალველმა ნარკოტიკის დაუფლება.

რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ნაწილში, ეს დანაშაული არის მატერიალური შემადგენლობის, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დამთავრებულად ითვლება არა მაშინ, როცა პირი ხელთ იგდებს ნარკოტიკს, არამედ იმ მომენტიდან, როცა მიეცემა მისი განკარგვის შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირს მიეცემა მაშინ, როცა იგი თავს დააღწევს დაცულ ობიექტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა მოშორდება იმ ადგილს, სადაც ნარკოტიკი ინახებოდა მის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებამდე. მაგალითად, გავა ქუჩაში.

ბ) ქუჩაში გასვლა კი ის მომენტია, როცა პირი უკვე ფლობს ნარკოტიკულ საშუალებას, რაც გულისხმობს მის უკანონოდ შენახვასაც (ჯიბეში, ხელჩანთაში ან სხვაგან).

ამდენად, სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – ნარკოტიკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, თავისთავში მოიცავს ნარ-

[36] ამ საკითხზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2013, გვ. 449

კოტიკის უკანონო შენახვასაც და მას დამატებითი კვალიფიკაცია არ სჭირდება სსკ 260-ე მუხლით.

გ) ამ შემთვევის დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია იმიტომაცაა დაუშვებელი, რომ ასეთი კვალიფიკაციისას გამოვა, თითქოს სსკ 264-ე მუხლი, როგორც დამოუკიდებელი (ავტონომიური) დანაშაული არ არსებობს და იგი დამთავრებისთანავე უნდა გადაებას სხვა დანაშაულს (სსკ 260-ე მუხლს). ასეთი რამ კი გამორიცხულია, რადგან სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელება არაა დაკავშირებული სხვა დანაშაულთან (ამ შემთხვევაში 260-ე მუხლთან), როგორც ამას ადგილი აქვს სსკ 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვ.-ში (მკვლელობა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით), სადაც ეს მკვლელობა აუცილებლად დაკავშირებულია პირის მძევლად ხელში ჩაგდებასთან და მის გარეშე იგი არ არსებობს. ამიტომ ასეთი სახის მკვლელობა ხორციელდება ან მძევლად ხელში ჩაგდების პროცესში, ან მძევლის ხელში ჩაგდების იურიდიულად დამთავრების შემდეგ, სანამ ეს დენადი დანაშაული მიედინება და ფაქტობრივად არ დასრულებულა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სსკ 109-ე მუხლის ამ დამამძიმებელი გარემოებით მკვლელობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა , ეს მკვლელობა დაკავშირებული იყოს სხვა დანაშაულთან, კერძოდ, მძევლად ხელში ჩაგდებასთან. თუმცა ამ შემთხვევაშიც არაა აუცილებელი, ამ მკვლელობის ჩამდენი ამავე დროს იყოს მძევლად ხელში ჩაგდების ამსრულებელი ან თანამონაწილე.

სულ სხვა ვითარებაა ნარკოტიკის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისას. მისი შემადგენლობის განხორციელებისათვის სრულებით არაა საჭირო სხვა რაიმე დანაშაულის ჩადენა.

ამდენად, რადგანაც ამ დანაშაულის განხორციელება არაა მიბმული სხვა დანაშაულთან, წარმოუდგენელია, მისი დასრულების მომენტი მიბმული იყოს სხვა რომელიმე დანაშაულთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკაში ამ საკითხის მიმართ აზრთა სხვადასხვაობის თავიდან აცილების მიზნით, უპრიანი იქნება სსკ 264-ე მუხლის გაერთიანება სსკ 260-ე მუხლთან მისი პირველი ნაწილის შემდეგნაირად ჩამოყალიბებით: „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა" .

რაც შეეხება ისეთ დამაძიმებელ გარემოებას, რაც მოცემულია სსკ 264-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტებში („ძალადობით ან მუქარით, რაც არაა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის" და „ძალადობით ან მუქარით, რაც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის"), იგი შესაბამისად უნდა გადავიდეს სსკ 260-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში. ასეთივე შინაარსის ცვლილება უნდა შევიდეს ასევე სსკ 260-ე მუხლის 11 ნაწილში, რითაც დაწესებულია სს პასუხისმგებლობა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობისათვის და სსკ 261-e მუხლშიც.

მზია ლეკვეიშვილი

სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი

თავი I

სასჯელის მიზნები

სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებითა და იმ ამოცანებით, რომელიც დგას მის წინაშე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელის მიზნები ლეგალურად არის დაკონკრეტებული, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ სხვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაზე.

მსოფლიო იურიდიულ ლიტერატურაში დგას საკითხი, თუ რამდენად აუცილებელია კანონმდებლობაში სასჯელის მიზნების ასახვა?

მეცნიერებაში ეს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იწვევს. პროფ. გ. ტყეშელიაძის აზრით, სასჯელის მიზნების თაობაზე ერთმანეთის გამომრიცხავ მოსაზრებათა არსებობა განაპირობებს საკანონმდებლო წესით მისი დადგენის სირთულეს. თუმცა იგი თვლის, რომ ჩვენს პირობებში სასჯელის მიზნების დადგენა საკანონმდებლო წესით მიზანშეწონილია. იგი ამის დასასაბუთებლად იხსენებს წარსულის გამოცდილებას, როდესაც „პენალიზაციისა და სასჯელის შეფარდებისას ესოდენ საბედისწერო შეცდომები იყო დაშვებული".[11]

უნდა დავეთანხმოთ გ. ტყეშელიაძეს, რომ სასჯელის მიზნების განსაზღვრით ერთგვარად იზღუდება კანონმდებელი, რომელსაც აღარ ექნება შესაძლებლობა ისეთი სასჯელის დადგენისა, რომელიც, ერთის მხრივ, შეუსაბამო იქნება დადგენილი სასჯელის მიზნებისა და, მეორეს მხრივ, დაარღვევს ზოგადი და სპეციალური პრევენციის მიზნის მნიშვნელობის თანაზომიერებას. ავტორი იმასაც უთითებს, რომ კანონმდებლობით დადგენილი სასჯელის მიზნები სასამართლოსათვის თავისებური ორიენტირი იქნება.

სახელმწიფოში სასჯელის როლისა და შესაძლებლობის გადაფასება, ისევე როგორც მისი უგულვებელყოფა, ხელს არ უწყობს არც დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობას და არც იმ მიზნების მიღწევას, რომელიც კანონმდებლობით,

[11] ამ საკითხზე იხ.: Г. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, Тб., с. 96-114; გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრის შესახებ; სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 405

მეცნიერებითა და პრაქტიკით აკისრია მას.

სისხლის სამართალში სასჯელის მიზნებისა და მისი დანიშვნის პრობლემა დღესაც რჩება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად. მიუხედავად იმისა, რომ მასზე არსებობს უამრავი მეცნიერული ნაშრომი, დოქტრინალურ განმარტებათა ნაირსახეობა, არ არის შემუშავებული ერთიანი თეორია სასჯელის მიზნების შესახებ.

ცნობილი რუსი მეცნიერი ი. ტაგანცევი უთანხმებოდა გერმანელ მელს, რომ ამ საკითხზე არსებული დაუსრულებელი დავა და ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია განპირობებულია იმით, რომ სასჯელი ემსგავსება რომის პანთეონის ღმერთს – ორპიროვან იანუსს: იგი ერთი სახით მიმართულია წარსულისაკენ – უკვე ჩადენილი დანაშაულისა და მისი სუბიექტისაკენ, მეორე მხრივ კი მომავლისაკენ – მსჯავრდებულის გამოსწორებისაკენ, რათა მან სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული.[22]

რეალურად შეუძლებელია სასჯელის ყველა მიზნის დაკონკრეტება, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ზოგჯერ მათი გამიჯვნა და ცალკე ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელია. ამერიკული დოქტრინა დღესაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასჯელი კვლავ რჩება ასთავიან არსებად თავისი მრავალფეროვანი სახითა და შედარებით მცირე მუდმივი სახეებით.[33]

ამისდა მიუხედავად, მაინც გამართლებულია სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის მიზნების დადგენა როგორც მნიშვნელოვანი ორიენტირისა, თუგინდ სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობაში კანონიერების განმტკიცების თვალსაზრისით.

სასჯელის მიზნისა და მისი დანიშვნის პრობლემით ოდითვე დაინტერესებული იყვნენ როგორც **თეოლოგები და ფილოსოფოსები**, ასევე სოციოლოგები, ფსიქოლოგები და სამართალმცოდნეები.

ისტორიულად უძველეს დროში სასჯელის უმთავრესი მიზანი იყო დანაშაულის ჩამდენისათვის სამაგიეროს მიზღვა. ცნობილია გამოთქმა, რომ დამნაშავეს უნდა მიზღოდა „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ". ამრიგად, პირველი თეოლოგიური თეორიები, რომლებიც ფაქტობრივად სასჯელის მიზანზე საუბრობდნენ, ეფუძვნებოდნენ ძველი აღქმის პოსტულატს და მიიჩნევდნენ, რომ სასჯელი ეს ბოროტებისათვის სამაგიეროს მიზღვაა.

სასჯელის ეს მიზანი დამახასიათებელი იყო სამართლის განვითარების ყველა ეტაპისათვის. მას სხვადასხვა ვარიაციით დღესაც კი ვხვდებით.

სასჯელის თაობაზე არსებული აბსოლუტური თეორიები მას ასაბუთებდნენ მეტაფიზიკური პოსტულატებით, ზნეობრივი კანონის, მარადიული სამართლიანობის მოთხოვნით და სხვა.[44]

ე. კანტის ფილოსოფია მიზნად ისახავდა რელიგიისა და მეცნიერების შერიგებას. იგი კატეგორიულ იმპერატივად თვლიდა სამაგიეროს მიზღვის განხორ-

---

2 2 Таганцев И.С., Русское уголовное право, Лекции, часть общая, Т. I, М., 1994, с. 17

3 3 Никифоров А.С., Решетников Ф.М., Современное американское право, М., 1990, с. 72

4 4 ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 7

ციელებას და მიაჩნდა, რომ დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დასჯილი უნდა ყოფილიყო იმისდა მიუხედავად, რამდენად სასარგებლო იქნებოდა ეს საზოგადოებისა თუ დამნაშავისათვის. მისი აზრით, სასჯელი შეეფარდება ადამიანს იმის გამო, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რაც ზნეობის კანონის დარღვევაა და ამიტომ სასჯელის გამოყენება რაიმე პრაქტიკული, თუგინდ საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნისათვის დაუშვებელია.

ე. კანტი ტალიონის პრინციპის განხორციელების მომხრე იყო, თუმცა იმავდროს აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს სადამსჯელო ძალაუფლება რეალიზებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში. ე. კანტის ამ პოზიციამ შემდგომში ასახვა ჰპოვა ანსელმ ფოიერბახის ცნობილ, საყოველთაოდ აღიარებულ დებულებაში „nullum crimen, nulla poena sine lege".

სასჯელის, როგორც ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვის მიზანი დასაბუთებულია **ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში**. სამართალი ეს არის საერთო ნებისყოფის განხორციელება, დანაშაული კი, როგორც ინდივიდუალური ნებისყოფის გამოვლენა, არღვევს სამართალს. მისი აზრით, სასჯელი შეეფარდება ადამიანს მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედებისათვის, რომელსაც კანონი დანაშაულად მიიჩნევს. დანაშაულის ჩადენისას დამნაშავე მოქმედებს თავისი ნების საფუძველზე, მაგრამ მას აქვს უფლება მოითხოვოს მოექცნენ მას როგორც გონიერ არსებას და არა როგორც ცხოველს, რომლის გაუვნებელყოფაც სურთ.

ჰეგელის აზრით, დამნაშავე არა მარტო დამსჯელი ხელისუფლების ობიექტია, არამედ სამართლის სუბიექტიც, რომლის ადამიანური ღირსება დაცული უნდა იქნეს. ამით ჰეგელი ეწინააღმდეგებოდა ა. ფოიერბახის პოზიციას, რომელიც მუქარაზე იყო დამყარებული: „სამართალი და სამართლიანობა გულისხმობს თავისუფლებასა და ნებისყოფას", მუქარა კი ადამიანის, როგორც გონიერი არსების დამცირებისკენაა მიმართული.[55]

თუმცა ჰეგელიც სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვას ასახელებდა, მაგრამ ე. კანტისაგან განსხვავებით, მას სამაგიეროს მიზღვა არ ესმოდა როგორც მატერიალურად სამაგიეროს მიზღვა, თავისებური თანაფარდობა დანაშაულსა და სასჯელს შორის, არამედ როგორც სამართლიანი თანაფარდობა დანაშაულით გამოწვეულ ზიანსა და დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებით მიყენებული ზიანის ფასეულობას შორის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მიზნად „სამაგიეროს მიზღვის" თეორიის საწინააღმდეგოდ და სასჯელისათვის უტილიტარული მიზნის დაკისრებამ ყველაზე უფრო თანმიმდევრული დამუშავება ჰპოვა მე-18 საუკუნეში „განმანათლებელთა" მიერ. სასჯელის პრაქტიკული დანიშნულების იდეას აღიარებდნენ ფრანგები მონტესკიე, ვოლტერი, იტალიელები ბეკარია და სხვები. განმანათლებელთა ფილოსოფია, რომელიც დანაშაულს ძირითადად უცოდინარობას, კანონების არცოდნას უკავშირებდა, სასჯელის მიზნად მის გამაფრთხ-

[55] იქვე, გვ. 28-29

ილებელ მნიშვნელობას თვლიდა. ამ პოზიციის კლასიკური გამოხატულება იყო ა. ფოიერბახის პოზიცია, რომელსაც ადამიანთა ქცევა სარგებლისა და დანაკარგის რაციონალური არჩევის შედეგად მიაჩნდა. ამის გამო, მისი აზრით, უფრო მძიმე დანაშაულს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს.

ყველაზე თანმიმდევრულად ეს მიზანი გატარებულია ჩეზარე ბეკარიას მიერ თავის ტრაქტატში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ". ჩ. ბეკარიაზე დიდი გავლენა მოახდინა ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიამ. ის უარყოფდა სასჯელის რელიგიურ გაშუქებას სამაგიეროს მიზღვის იდეით და სასჯელის გამოყენებას მიიჩნევდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებელ ზომად. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩ. ბეკარიამ შესძლო ერთიან სისტემად გადმოეცა ის ზოგადი პრინციპები და სისხლისსამართლებრივი მოთხოვნები, რომელმაც შექმნა კლასიკური სკოლისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძველი.

ჩ. ბეკარიამ სასჯელის მიზანი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: სასჯელის მიზანი არ არის წამება და ტანჯვა, და არა ის, რომ ჩადენილი დანაშაული არარსებითად გავხადოთ, არამედ მხოლოდ ის, რომ დამნაშავეს ხელი შეეშალოს კვლავ მიაყენოს ზიანი საზოგადოებას და სხვებიც შეაკავოს ასეთივე ქმედების ჩადენისაგან. ამიტომ საჭიროა მხოლოდ ისეთი სასჯელის გამოყენება, რომელიც დანაშაულთან თანაფარდობის გამო ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს სულზე და ნაკლებად მტანჯავი იქნება ადამიანის სხეულისათვის.[66]

კლასიკური სკოლის მიმდევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ანსელმ ფოიერბახს, რომელიც უარყოფს სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვის აღიარებას. მის მიერ შემუშავებულია ზოგადი პრევენციის თეორია, რომელიც „ფსიქოლოგიური იძულების თეორიის" სახელწოდებით არის ცნობილი. მისთვის მთავარია მოქალაქეებზე, როგორც მართლწესრიგის შესაძლებელ დამრღვევებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რაც მათ მიმართ სასჯელის შეფარდების მუქარაში გამოიხ.ტება. მუქარის რეალური განხორციელება კი დაქვემდებარებულ როლს ასრულებს, რამდენადაც როდესაც დამნაშავეს სისხლის სამართლის კანონი შეეფარდება, გამოსწორების მიზანს სწორედ მუქარა ახორციელებს.[77]

ამრიგად, უგულვებელყოფილი არ არის ასევე შიშის ფაქტორის ზეგავლენაც, ვინაიდან იმ პირთათვის, რომელთა მორალური იერსახე საკმაოდ დაბალია, დასჯის შიში დადებით როლს თამაშობს.

სამართლის სოციოლოგიური სკოლა. იგი სასჯელის მიზნად არ მიიჩნევდა სამაგიეროს მიზღვას და მას დამნაშავის პიროვნების თავისებურებას უკავშირებდა. ამ სკოლის მიმდევრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ დამნაშავეობასთან ბრძოლის ისეთ გამასწორებელ მეთოდებს, როგორიც იყო პირობითი მსჯავრი, პირობით ვადამდე გათავისუფლების, არასრულწლოვანთა მიმართ სხვა ლიბერალურ ღონისძიებათა გამოყენებას.

---

[66] ჩეზარე ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, თარგმანი იტალიურად, თბ., 2003, გვ. 209-211

[77] ალ. ვაჩეიშვილი, გვ. 49-50

სოციოლოგიურმა სკოლამ შეიმუშავა შემდგომი ლიბერალიზაციის პროგრამა. ამ სკოლის წარმომადგენელთა წინადადებით უარყოფილი უნდა ყოფილიყო სასჯელი თავისი უშედეგო სასტიკი ატრიბუტებით ზოგადი და სპეციალური პრევენციის სახით. მათი აზრით, ყოველივე ეს უნდა შეცვლილიყო არასამართლებრივი (სამედიცინო და ა.შ.) ზომებით.

დღესდღეობით სასჯელით სამაგიეროს მიზღვის მიზანი ფაქტობრივად უარყოფილია; თუმცა ჯერ კიდევ არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამ მიზანს ნაწილობრივ მაინც აღიარებენ. საქართველოში დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელის მიზნების შესწავლისას ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ამ საკითხს და განვიხილავთ მისი რეალურად არსებობის შესაძლებლობას.

სახელმწიფოები, თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე უკვე აღარ თვლიდნენ სამაგიეროს მიზღვას სასჯელის ერთადერთ მიზნად. ისინი მასში ასევე პრაქტიკულ, საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანსაც გულისხმობდნენ.

როგორც დავინახეთ, ისტორიულად, სუფთა აბსოლუტური თეორიების გარდა არსებობდნენ და დღესაც არსებობენ იმ თეორიის მიმდევრები, რომლებიც სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვის გარდა სასჯელის გამაფრთხილებელ მიზნებზეც საუბრობენ. ისინი **სამეცნიერო ლიტერატურაში შემაერთებელი თეორიების სახელით არიან ცნობილი.**

ახალ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც სასჯელსა და მის მიზნებს შეისწავლის, გვხვდება სხვა თეორიებიც, რომლებიც, ჩემი აზრით, ძირითადად ძველი თეორიების ნაირსახეობაა. არსებობს **დამნაშავის გაუვნებელყოფის თეორია, დანაშაულის პოტენციურ ჩამდენთა დაშინების თეორია, მართლწესრიგის დადგენისა და განმტკიცების,** ასევე სამართლის ავტორიტეტის აღდგენის თეორია და სხვა ეკლექტიკური თეორიებიც.

სასჯელის მიზნებისა და მისი დანიშვნის ისტორია არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მხოლოდ ბრძოლისა და იდეების ცვლილებათა ისტორია, რაც არც თუ იშვიათად ხდება. ასეთმა მიდგომამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ სასჯელის ფაქტობრივი ხასიათი განისაზღვრებოდა და განისაზღვრება მისი „ფილოსოფიით", რომელიც ასევე იცვლებოდა და იცვლება ადამიანის აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით, მისი შინაარსისა და მიზნების მეტნაკლებად უფრო ჰუმანური შეხედულებით. სასჯელზე, როგორც სამაგიეროს მიზღვაზე, ბრალის გამოსყიდვაზე წარმოდგენა სადამსჯელო პოლიტიკის საფუძველს ემყარებოდა და გამსჭვალული იყო ფიზიკური სისასტიკისა და ადამიანის ღირსების უპატივცემლობაზე.

რაოდენ სხვადასხვაგვარი არ უნდა იყოს სასჯელის მიზნებისადმი მიძღვნილი თეორიები, ისინი **საბოლოოდ მაინც სამაგიეროს მიზღვას, გამოსწორებას, ზოგადსა და კერძო პრევენციას გულისხმობს.**

როგორც უკვე აღინიშნა, საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში, როგორც წესი, სასჯელის მიზნები ცალკე გამოყოფილი არ არის.

მათ ადგილი აქვთ მიჩენილი იმ ნორმებში, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებსა და ამოცანებს ეთმობა. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში ეს მიზნები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: უზრუნველყოფილი იქნეს საჯარო უსაფრთხოების ხელყოფის თავიდან აცილება დამნაშავისათვის შეფარდებული სასჯელის დამაშინებელი გავლენის მეშვეობით; მსჯავრდებულის პიროვნების სოციალურად აღდგენის; ასევე საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე მისი იზოლაციის მეშვეობით.

გარდა ამისა, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტებისა და რეფორმის კომისიის მასალებში, რომელიც ფედერალურ და შტატების სისხლის სამართლის კოდექსს ეხება, სასჯელის ოთხ მიზანზეა მითითებული: სამაგიეროს მიზღვა, დაშინება, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის აღკვეთა და გამოსწორება. ნ. კუზნეცოვას აზრით ფაქტობრივად, სამაგიეროს მიზღვა (**воздаяние**) გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ქმედების გაკიცხვას უტილიტარული მიზნების გარეშე.[88] ჩემი აზრით, ამ ტერმინის ავტორისეული გაგება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. შეიძლება დავეთანხმოთ იმ პოზიციას, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფოს მიერ დამნაშავის გაკიცხვაა, მაგრამ თვით რუსული ტერმინი „**воздаяние**“ ამას არ გულისხმობს. სამწუხაროდ, მე შესაძლებლობა არა მქონდა წამეკითხა ტექსტი ორიგინალში, მაგრამ ვთვლი, რომ იგი ნამდვილად არ გულისხმობს სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვის გამოცხადებას.

რაც შეეხება ტერმინს „დაშინება“, აქ ნაგულისხმევია პოტენციურ დამნაშავეთა განუსაზღვრელი ჯგუფის გაფრთხილება (ზოგადი დაშინება) და უკვე ჩადენილი დანაშაულის გამო პირის გაფრთხილება (ინდივიდუალური დაშინება).[99] სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ საუბარია ზოგადსა და კერძო პრევენციაზე.

დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის აღკვეთაში იგულისხმება მსჯავრდებულის იზოლაცია საზოგადოებისაგან სამუდამოდ ან გარკვეული ვადით, რომლის არსიც გულისხმობს სხვა პირთა დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

სასჯელის მეოთხე მიზანი კი გულისხმობს სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულის სრულ გამოსწორებას, რომ იგი გათავისუფლდეს კრიმინალური თვისებებისაგან, მომავალში აღარ დაუშვას დანაშაულის რეციდივი ან კიდევ მის ნაწილობრივ გამოსწორებას; კერძოდ, უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავებას.

ამჟამადაც კვლავ გრძელდება დისკუსია სასჯელის მიზნების შესახებ. **სასჯელის მიზნები ტრადიციულად ორ ჯგუფად იყოფა:** უტილიტარულ და არაუტილიტარულ მიზნებად. ამ მეცნიერულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ე.წ. უტილიტარულ თეორიებს.

სასჯელის მიზნის უტილიტარული გაგება გულისხმობს სასარგებლო ეფექტის (ან სუფთა სარგებლის) მიღებას, კერძოდ, დამნაშავის ან სხვათა მხრიდან მომავალში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შეზღუდვასა და შემცირებას.

---

[88] Курс уголовного права, Общая часть, Учение о наказании, Т. П, 2002, с. 18

[99] იქვე

ხოლო სასჯელის არაუტილიტარული მიზანი კი მოიცავს მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის პრინციპის აღიარებას; რაც ამერიკელი მეცნიერის რ. ფრეისის აზრით, თვით სასჯელის მიზანია და არ ექცევა ყურადღება, შეუძლიათ თუ არა მათ კონკრეტული სოციალური თუ ინდივიდუალური სარგებლის მოტანა.

სასჯელის მიზნებისა და შეზღუდვის ეს ორი ძირითადი კატეგორია კონცეპტუალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ პრაქტიკაში ისინი მჭიდრო კავშირში არიან. სასამართლო განაჩენით დადგენილი სასჯელი თანაზომიერად და ერთნაირად უნდა იყოს გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება მომავალში დანაშაულის თავიდან აცილება.

რ. ფრეისი თვლის, რომ ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა დანაშაულის ჩადენის ნახალისებაც კი მოახდინოს და შემცირდეს პატივისცემა სისხლის სამართლისა და სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისადმი.[1010]

ამ თეორიების მიმდევართა შორისაც არ არის სრული ერთსულოვნება, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა სასჯელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად ზოგად და სპეციალურ პრევენციას ასახელებს.

ისინი, პირველ რიგში, ამას იმით ასაბუთებენ, რომ სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვის აღიარება მთელ სადამსჯელო სისტემის ორგანიზაციასა და საქმიანობაში გაუმართლებელ სისასტიკეს გამოიწვევს და აშკარა წინააღმდეგობაში მოვა დამნაშავეობასთან გონივრულ-ეფექტურ და მიზანსწრაფულ ბრძოლასთან.[1111]

სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციული მიზნები გულისხმობს მათ შეგნებულ, გონივრულ და რაციონალურ გამოყენებას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად. ამიტომ, ის თეორიები, რომელთაც სასჯელის მიზანი მხოლოდ ზოგად გაფრთხილებამდე დაყავთ, გამართლებული არ უნდა იყოს. პრევენციის ორივე სახე ერთიანობაში უნდა განვიხილოთ.

ევროპული კონტინენტის ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში „ზოგადი გაფრთხილება" გამოიყენება როგორც სასჯელის მუქარის მოტივირებული ზეგავლენის ტექნიკური ტერმინი; ხოლო „სპეციალური გაფრთხილება" (ან „ინდივიდუალური გაფრთხილება") კი – დამნაშავის მიმართ განხორციელებული სასჯელის გამოყენების ზემოქმედება. ზოგადგამაფრთხილებელი ზემოქმედება გულისხმობს არა მარტო სასჯელის შიშით მოტივირებულ ზეგავლენას, არამედ ასევე მორალურ ან აღმზრდელობით დადებით ჩვევათა გამომუშავებას. **ინგლისურენოვან ლიტერატურაში „ზოგადი გაფრთხილების"** ნაცვლად უფრო ხშირად ვხვდებით ტერმინს **„ზოგადი შეკავება"** (იგულისხმება დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავება). ლიტერატურაში ასევე გვხვდება ტერმინი **„გენერალური პრევენცია"**, რაც ასევე ზოგად პრევენციას გულისხმობს.

როგორც აღნიშნავდა მ. შარგოროდსკი, დანაშაულის თავიდან აცილების

[10] [10] Richard S. Frase, Punishment purposes, Stanford Law Review, Vol. 58:67 October, 2005, p. 72

[11] [11] И.А. Беляев, Цели наказания и средства их достижения, ЛГУ, 1963, с. 27

თვისება სასჯელის ობიექტური თვისებაა და სასჯელთა სისტემის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის, მისი სახისა და სასჯელის შეფარდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია. როგორიც არ უნდა იყოს სასჯელთა სისტემა, როგორც უნდა გამოიყენებოდეს, ადამიანებზე სასჯელი ყოველთვის ახდენს როგორც საერთო, ისე სპეციალურ გამაფრთხილებელ ზემოქმედებას. ცხადია, რომ სასჯელი იწვევს ტანჯვას, ობიექტურად და აუცილებლობით ფსიქიკურად ზემოქმედებს დამნაშავეზე და გარემოცვაზე; ამიტომ იგი ახდენს ზოგად და სპეციალურ პრევენციულ ზეგავლენას. არც დამნაშავესა და არც სხვებს არ სურთ, რომ ეს ტანჯვა მათ მიმართ იყოს გამოყენებული.[1212]

საინტერესოა, რომ სასჯელის შეფარდება ხშირად თავის თავში თავისუფლების შეზღუდვას, მსჯავრდებულის საზოგადოებრივ იზოლაციასა და მორალურ ტანჯვასთან ერთად ქონებრივ უფლებათა შეზღუდვასაც გულისხმობს. ანალოგიური მიზანი აქვს ქონების ჩამორთმევას, რითაც ხდება ანგარებით ჩადენილი მძიმე დანაშაულით მიყენებული ზიანის კომპენსირება.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელის ერთ-ერთ სახედ სწორედ ჯარიმაა გათვალისწინებული, რომელიც ბოლო დროს სასამართლო პრაქტიკაში ძალიან ხშირად გამოიყენება.

სასჯელის ზოგადი პრევენციული როლი იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავისათვის მისი შეფარდება თავისი არსებობის ფაქტითა და გამოყენების შესაძლებლობით დადებით ეფექტს ახდენს საზოგადოების მერყეე ელემენტებზე დანაშაულის ჩადენისაგან თავის არიდების ასპექტში.

ზოგადი პრევენციის მიზანი მიიღწევა ორი გზით: 1) თვით სისხლის სამართლის კანონის არსებობით, რომელიც სასჯელის მუქარით კრძალავს გარკვეულ ქმედებათა ჩადენას; განსაზღვრავს, რა არის დასაშვები, მართლზომიერი და რა მართლწინააღმდეგობასთან ერთად დანაშაულებრივი. მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა არ იდენს დანაშაულს არა იმის გამო, რომ მისი ჩადენისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელია გათვალისწინებული, არამედ იმიტომ, რომ ეს ენინააღმდეგება მის მსოფლმხედველობას, მორალურ-ეთიკურ ნორმებს, შეხედულებებსა და რწმენას; 2) დაშინებით: ადამიანთა გარკვეული ჯგუფი თავს იკავებს დანაშაულის ჩადენისაგან იმის გამო, რომ ეშინია დასჯისა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ჩაედინა დანაშაული. სისხლის სამართალში აღიარებული ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – სასჯელის გარდუვალობა მნიშვნელოვანი შემაკავებელი საშუალებაა ასეთი მერყეევი ადამიანებისათვის.

სპეციალური პრევენცია კი გულისხმობს იმ პირთა მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას, რომლებიც უკვე დასჯილნი იყვნენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.

სასჯელის ზოგადპრევენციული მნიშვნელობა დღესაც საკმაოდ საკამათოა. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, პოლიტიკური მოღვაწენი, სამართალდამცავი ორგანოები მაღალ შეფასებას აძლევენ დამნაშავეობასთან ბრძოლის

[12] [12] М.Д. Шаргородский, Наказание по советскому уголовному праву, М., 1958, с. 16

საქმეში სისხლის სამართლის ნორმათა შემაკავებელ როლს.

ინგლისურენოვან ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ტერმინ „deterrence", რაც შეკავებას, აცილებას ნიშნავს, სხვა შემთხვევაში კი ნახმარია ტერმინი „prevention" – გაფრთხილება. ორივე ტერმინს ფაქტობრივად ერთიდაიგივე მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, რომ ზოგადი პრევენციისათვის უპირატესობის მინიჭება სასჯელის სხვა მიზნებს შორის, გაუმართლებელია. როგორც ზოგადი, ისე კერძო პრევენციის მნიშვნელობა თანაბრად გასათვალისწინებელია დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნის დროს. სწორედ რომ სასჯელის ზომის დასაბუთებული და სამართლიანი დადგენა წარმოადგენს აუცილებელ პირობას ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისათვის.

პროფ. ი. ანდენესი თვლის, როგორც რეგისტრირებული, ისე ლატენტური დანაშაულის შესწავლამ იგი დაარწმუნა, რომ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში ზოგადი გაფრთხილება არაეფექტურია. ი. ანდენესი ამ დებულებას იმით ადასტურებს, რომ შეუძლებლად თვლის იმ ადამიანთა რაოდენობის განსაზღვრას, რომელთაც სასჯელის მუქარით არ ჩაიდინეს დანაშაული. იგი ზოგად პრევენციას დასჯის შიშს უკავშირებს და დაასკვნის, რომ სასჯელის მიზნებში ცალკე აღებული რომელიმე ფაქტორის გადამწყვეტი გავლენის გამოვლენა მეტად რთულია.

ი. ანდენესს მოყავს საყოველთაოდ ცნობილი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიწვია სახელმწიფო სტრუქტურის მოქმედების დროებითმა შეფერხებამ ანონიმური დამნაშავეობის ათჯერადი ზრდა, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულისა, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვა.[1313]

1977 წლის 13 ივლისს მთელ ნიუ-იორკში მაღალი ძაბვის მავთულზე მეხის დაცემის შედეგად ქალაქის ელექტროდენით მომარაგება შეწყდა 25 საათის განმავლობაში. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკა იმდენად არ შეაძრწუნა ამ სავალალო ფაქტმა, არამედ იმან, რომ ამით ისარგებლა ათასზე მეტმა ადამიანმა და ქალაქში ძარცვის ორგია განხორციელდა. ხალხი არბევდა ყველაფერს, ამტვრევდა კარს, ფანჯრებს და გაჰქონდათ ყველაფერი, რისი გატანაც კი შეიძლებოდა.

საკმაოდ საინტერესოა ჩიკაგოში ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორ მეთიუ ლიპპმენის მიდგომა ამ საკითხისადმი. იგი აღნიშნავს, რომ სისხლის-სამართლებრივ სასჯელთან მიმართებით გამოყენებული იყო სხვადასხვაგვარი მიდგომა. დღესაც გრძელდება დებატები იმის თაობაზე, დაეხმარება თუ არა დამნაშავეებს სასჯელის უმთავრესი მიზანი (ნაგულისხმებია კერძო და ზოგადი პრევენცია – მ. ლ.) დადებითად შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი ან რეალურად დაიცავს კი იგი საზოგადოებას დამნაშავეთა აგრესიისაგან.[1414]

---

[13] [13] И. Анденес, Наказание и предупреждение преступлений (перевод с английского), М., 1979, с. 77

[14] [14] Matthew Lippman, Contemporary Criminal Law: Concepts, Cases and Controversies, 2004, p. 55-60

ზოგადი გაფრთხილების (general deterrence) თეორიის თანახმად, დამნაშავის დასჯა მაგალითია დანაშაულის ჩადენისაგან სხვების შესაკავებლად. ამ პოზიციის კრიტიკოსების აზრით კი, დამნაშავეებს ნაკლებად ადარდებთ ან ნაკლებად აქვთ შეგნებული სხვათათვის მისჯილი სასჯელის ეფექტი. ამიტომ მკაცრი სასჯელის დანიშვნას ზოგადი გაფრთხილების (შეკავების) მიზნის მისაღწევად დადებითი შედეგი ნაკლებად მოსდევს.

მ. ლიპპმენი თავს იკავებს თავისი პოზიციის დაფიქსირებისაგან, მაგრამ აღნიშნავს, რომ მოქალაქეებზე სწრაფი სასჯელის მუქარამ შესაძლოა, შემაკავებელი გავლენა მოახდინოს. ავტორი იმასაც არ გამორიცხავს, რომ დამნაშავის დასჯით სხვებისთვის მაგალითის ჩვენებას შედეგად უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება მოჰყვეს, ვიდრე ეს სხვა პირთა დანაშაულის ჩადენის შეკავებისთვის იყოს მიზანშეწონილი.[1515]

რაც შეეხება სასჯელის შეფარდებით **სპეციალური მიზნის** მიღწევას, ვფიქრობ, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. თუ სასჯელის სახედ შერჩეულია თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულს რეალურად აღეკვეთება ახალი დანაშაულის ჩადენის ფიზიკური შესაძლებლობა (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დამნაშავე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს). ამას გარდა, მსჯავრდებულზე ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენს უკვე შეფარდებული სასჯელი. პირმა თავის თავზე იწვნია დანაშაულის ჩადენის სავალალო შედეგი და ეს გარემოება გამაფრთხილებელ ზეგავლენას მოახდენს მის მომავალ ქცევაზე. თუმცა, აქაც უნდა ითქვას, რომ სპეციალური პრევენცია ყოველთვის არ არის დანაშაულის რეციდივის პანაცეა.

სპეციალური პრევენციის მიზანი მიღწეული იქნება, თუ დასჯილი პირი აღარ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაძლოა, რომ მისი ქცევა არ შეესაბამებოდეს საზოგადოებაში გაბატონებულ თანაცხოვრების წესს, მან ჩაიდინოს სხვა სახის სამართალდარღვევა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, აღარ აღიქმება როგორც სასჯელის მიზნის მიუღწევლობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სპეციალური პრევენციით სასჯელის მიზნის მიღწევის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რეციდიული დამნაშავეობის მაჩვენებელი მიუკერძოებლად მიუთითებს, რომ კერძო პრევენციის განხორციელება იშვიათად ამცირებს დანაშაულის შემთხვევებს.

სამომავლოდ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების ეფექტურობის გაცნობიერება დამნაშავეთა მიმართ სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვს. მაგალითად, თუ ორმა პირმა პირველად ჩაიდინა ერთიდაიგივე დანაშაული და ერთ-ერთი მათგანი გულწრფელად ინანიებს დანაშაულს, აქვს პასუხისმგებლობის სხვა ნიშნები, ძლიერი ოჯახური კავშირები და დანაშაულის რეციდივის დაბალი რისკი, მისდამი მიდგომა სხვაგვარი უნდა იყოს, ვიდრე მეორე პირისადმი, რომელიც ბევრად რისკიანია და დაუსაბუთებლად თავდაჯერებული. ამიტომ პირველი დამნაშავის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს პრობაცია, ხოლო მეორისადმი სასჯელის უფრო მკაცრი ზომა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტით დაიზოგება

[15 15] Matthew Lippman, დასახ. ნაშრომი, გვ. 85

დამნაშავეთათვის გამოყოფილი მწირი რესურსები და ამავე დროს მიღწეული იქნება სასჯელის მიზანიც.

ცხადია, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გულისხმობს თანაბარი ბრალის მქონე დამნაშავეთათვის განსხვავებული სასჯელის დაკისრებას.

რიჩარდ ფრეისი ამ პოზიციას იზიარებს და დამნაშავეთა მიმართ არათანაბარ და არაპროპორციულ მიდგომას მოითხოვს; თვლის, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ფასს უკარგავს იმ პრაქტიკულ ფასეულობას, რასაც ემსახურება საკითხის გადაწყვეტის ერთგვაროვნება და თანაზომიერება.[1616]

რ. ფრეისის აზრით უნდა შემუშავდეს სასჯელის დანიშვნის ისეთი სისტემა, რომელიც სასჯელის ყველა კანონიერ მიზანს სათანადო შინაარსს მისცემს. გაიდლაინების სისტემა იმ თეორიების ვერსიაა, რომელიც ზღუდავს სამაგიეროს მიზღვის თეორიას, თუმცა ამ პოზიციის დასაბუთება ნაშრომში ბუნდოვანია.[1717] სასჯელის უმდაბლესი და უმაღლესი ზღვარის დაწესება, ცხადია, ერთგვაროვნებისა და თანაზომიერების პრინციპის განხორციელებას გულისხმობს, მაგრამ რითი იზღუდება სამაგიეროს მიზღვის თეორია ნაშრომიდან არ ჩანს.

რ. ფრეისი თავის ნაშრომში ჩამოთვლის იმ პრინციპებს, რომლებიც შეიცავენ არა მარტო დამნაშავეობის კონტროლირების ტრადიციულ მიზნებს, როგორიცაა დაშინება, უფლების შეზღუდვა და რეაბილიტაცია, არამედ ასევე იმ კონცეფციას, რომელიც სასჯელის ეკონომიის პრინციპის სახელწოდებით არის ცნობილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასჯელის შეფარდებისას უპირატესობის მინიჭება ხდება ნაკლებად მკაცრი სასჯელისათვის, რითაც, საბოლოო ჯამში მიიღწევა სასჯელის მიზანი.[1818]

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასჯელის ეკონომიის პრინციპის თანახმად, მკაცრი სასჯელები ძვირად ღირებულია, ხშირად დამნაშავის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის მავნეა, ხოლო მისი გამოყენების შედეგი (სარგებელი) საკმაოდ საეჭვო. ამ თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, მკაცრი სასჯელი უფრო იშვიათად უნდა იყოს შეფარდებული.

სავსებით სამართლიანია სასჯელის მეშვეობით დამნაშავეობის კონტროლირების ოპტიმალური დონის მიღწევა. სასჯელმა უნდა შეაკავოს ზიანის მომტანი ქმედება იმაზე მეტი ზიანის გამოწვევის გარეშე, რის პრევენციასაც ის თავად ახდენს.

უტილიტარული მიდგომით, ნებისმიერი ქმედება ზიანის მომტანია, რომელიც ხელს არ უწყობს მაქსიმალური სარგებლის მიღებას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაკლები დანახარჯით რაც შეიძლება მეტი სოციალური სარგებლის მიღებას. თუ სასჯელი ვერ ემსახურება სათანადო (საჭირო) რეალურ (მართებულ) მიზანს, იგი უსარგებლოა და სირთულის გამომწვევია.

---

[16] [16] Richard S. Frase, დასახ. ნაშრომი, გვ. 67-68

[17] [17] იქვე, გვ. 68

[18] [18] იქვე

უტილიტარული მიდგომის მომხრენი აცნობიერებენ, რომ ზოგჯერ ძალიან რთულია იმის დადგენა, რომელი ქმედებაა სოციალურად უფრო ღირებული. ასევე საკმაოდ რთულია სათანადო და საკმარისი ინფორმაციის შეგროვება იმაზე, თუ რა სახის ქმედება მოითხოვს დიდ დანახარჯს.

უტილიტარისტები თვლიან რა, რომ სასჯელს სოციალური ღირებულებაც გააჩნია, ამიტომ ზიანის მომტანი ანტისაზოგადოებრივი ქცევა სასჯელის შეფარდებას არ უნდა გულისხმობდეს. მას სარგებლობა მოაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი ქმედება საკმაოდ მძიმე და მავნეა.[1919]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ სასჯელის გამკაცრებასთან ერთად ზოგადი პრევენციის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ჯერ კიდევ ჩ. ბეკარია წერდა, რომ სისხლის სამართალში ზოგადი პრევენციის განხორციელებისას სასჯელის გარდუვალობის პრინციპს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დასჯის სიმკაცრის შესაძლებლობის ხარისხს. საწინააღმდეგო მოსაზრების ავტორები თვლიან, რომ სასჯელის გამკაცრება რიგ შემთხვევაში იწვევს მძიმე დანაშაულის ჩადენის რიცხვის შემცირებას და ამიტომ ეფექტური და მიზანშეწონილია. მ. შარგოროდსკის აზრით მკვლელობის, გაუპატიურების, ქონების გატაცებისა და ზოგიერთი სხვა დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრებამ შესაძლოა დადებითი შედეგი გამოიღოს.[20]

იგივე მოსაზრება აქვს ავსტრალიელ მეცნიერ ანდენესსაც. მისი აზრით, ზოგადგამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს არამარტო სასჯელის მუქარის ფაქტს, არამედ სასჯელის ზომის სიმკაცრესაც: „წარმოვიდგინოთ, რომ მკვლელობისათვის სასჯელის ზომა განისაზღვრებოდეს 3-4 წლით; ასეთ სიტუაციაში ანგარებით მკვლელობათა რიცხვი საკმაოდ გაიზრდება".[21]

ამგვარი შედეგი პრაქტიკით თითქოს ვერ საბუთდება, საჭიროა ამა თუ იმ სისხლის სამართლის კანონისა და მისი შეფარდების პრაქტიკის სისტემური შესწავლა, რაც საკმაოდ რთულია. ამიტომაც, ბოლომდე მართებულად ვერ ჩავთვლი ზემოაღნიშნულ ავტორთა პოზიციას, სასჯელის გამკაცრებით პრევენციის ეფექტურობის მიღწევას.

კანონით გათვალისწინებულ და კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დანიშნული **სასჯელის ზომის გამაფრთხილებელი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობისას ვაწყდებით არც თუ ისე მარტივ ეთიკურ პრობლემას:** არის თუ არა დასაბუთებული, და თუ დასაბუთებულია, რა ზომით და რა შემთხვევაში სასჯელის ე.წ „სამაგალითო" დანიშვნა, როდესაც მისი სიმკაცრე გამართლებულია დანაშაულის არა კონკრეტული გარემოებით, არამედ იმ მოტივით, რომ სხვებისათვის ეს სამაგალითო იყოს. ამგვარი მიდგომით დასჯილი ხდება სო-

[19] [19] John Kaplan, Robert Weisberg, Guyora Binder, Criminal Law: Cases and Materials, Fifth Edition, Aspen Publishers, 2004, 483

[20] [20] М.Д. Шаргородский, იქვე, გვ. 21

[21] [21] И. Анденес, იქვე, გვ. 78

ციალური წესრიგის დაცვის მსხვერპლი.

ი. ანდენესი არ ეთანხმება საკითხისადმი ამგვარ მიდგომას და თვლის, რომ სისხლის სამართლის კანონი ყველას უკრძალავს გარკვეული მოქმედების ჩადენას, მისი გამოყენება გამართლებულია კონკრეტულ შემთხვევაშიც, თუ სასჯელი „გონიერ შესაბამისობაშია" დანაშაულის სიმძიმესთან და არ არღვევს კანონის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობის პრინციპს".[22]

ავტორის საბოლოო დასკვნას „სამაგალითო" სასჯელის ეთიკური დაშვებულობის შესახებ შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ მისი არგუმენტაცია დაზუსტებას მოითხოვს. იგი ემყარება ზოგადი და კერძო პრევენციის შედარებას მაშინ, როდესაც სასჯელი გაფრთხილებასთან ერთად მიზნად ისახავს სხვა ინტეგრაციულ მიზნებსაც, როგორც დანაშაულით დარღვეულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს. ამიტომ იგი ყოველთვის გამოიყენება სხვებზე ზემოქმედების მოსახდენად. საკმაოდ რთულია იმის დადგენა, გადამეტებულია თუ არა ამ ზეგავლენის ზომა, ვინაიდან თვით დასჯილი, როგორც წესი, დანიშნული სასჯელის ზომას გადაჭარბებულად თვლის.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც დისკუსიის საგანს წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ მიზნად დასჯის აღიარება. დებატების დაწყებამდე მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება. ამდენად, სამაგიეროს მიზღვა, როგორც სასჯელის მიზანი გამორიცხულია. მაგრამ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აღიარებს დასჯას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ დამოუკიდებელ მიზანს.[23]

ზოგადი პრევენციის მეთოდის ეფექტი რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: შესაძლოა სასჯელის სიმკაცრეზეც, დამნაშავის დროულ დასჯაზე, დაკავებისა და დასჯის ალბათობაზე და მრავალ სხვა ფაქტორზე. ამ ფაქტორთა კომბინირებული ზეგავლენით საკარაუდოდ შესაძლებელი ხდება პოტენციურ დამნაშავეთა შეკავება დანაშაულის ჩადენისაგან. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გარემოება არ ვრცელდება დამნაშავე პირთა გარკვეულ ჯგუფსა და ზოგიერთ დანაშაულზე.

დანაშაულისაგან თავის შეკავების ზოგიერთი ფაქტორი ზეგავლენას ახდენს ერთმანეთზე. მაგალითად, მკაცრ სასჯელთა დანიშვნის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს სასჯელის სწრაფად დანიშვნის დროში გახანგრძლივება, ვინაიდან ეს გარემოება პოტენციურ დამნაშავეს უბიძგებს უფრო საფუძვლიანად და ღრმად შესძლოს შეეპასუხოს ბრალდებას.

სასჯელის გამკაცრებამ შესაძლოა გამოიწვიოს დამნაშავეობის ზრდა ან შენარჩუნდეს მისი ადრინდელი დონე.[24] საქართველოს სინამდვილიდან ნაშრომში მოყვანილია შესაბამისი მაგალითი.

---

[22] [22] იქვე, გვ. 176

[23] [23] И.И. Карпец, Индивидуализация наказания, М., 1961, с. 40

[24] [24] Richard S. Frase, დასახ. ნაშრომი, გვ. 73

ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სასჯელის გამკაცრებამ შესაძლოა, დადებითი გამაფრთხილებელი ზეგავლენა მოახდინოს დამნაშავეობის შემცირებაზე, თუ სასჯელის მეშვეობით ხდება საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობათა დაცვა.

ამ დებულების დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოში საკმაოდ გახმაურებული მაგალითი. რამოდენიმე წლის წინ სოფელ კაკაბეთში გაიტაცეს მცირეწლოვანი ბავშვი და მშობლებს გამოსასყიდი მოსთხოვეს. იმავე პერიოდში დაფიქსირდა ადამიანთა გატაცების კიდევ რამოდენიმე შემთხვევა. ამ დროს სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობდა მუხლი მძევლად ხელში ჩაგდების შესახებ. არსებული ნორმით კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყო მხოლოდ თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის და ამ ქმედებისთვისაც სანქცია საკმაოდ დაბალი იყო. საზოგადოება აღშფოთდა ასეთ დანაშაულთა ფაქტებით და მოითხოვდა სასჯელის გამკაცრებას ადამიანთა გატაცებისათვის. მართლაც, კანონმდებელმა გაითვალისწინა საზოგადოების დაკვეთა ადამიანთა გატაცებისათვის სასჯელის გამკაცრების შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, რომელიც აწესებდა მკაცრ პასუხისმგებლობას ადამიანთა გატაცებისათვის. შემდგომ ეს ნორმა „მძევლად ხელში ჩაგდების" სახელ ჩამოყალიბდა.

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ქმედების კრიმინალიზაციამ და სასჯელის გამკაცრებამ დადებითი შედეგი გამოიღო. ადამიანის გატაცების ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც იმას მოწმობს, რომ საზოგადოებაში მიღებულმა და გაბატონებულმა საერთო თანაცხოვრების წესების დანაშაულებრივმა ხელყოფამ თვით საზოგადოების წევრების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამ შემთხვევაში დანაშაულის შემცირება გამოიწვია არა სასჯელის შიშმა, არამედ საზოგადოების უმრავლესობის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩამდენთა საყოველთაო გაკიცხვამ.

ზოგიერთი მეცნიერი დაშინების ელემენტს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი სოციოლოგი ე. ფერრი მიუთითებდა, რომ სასჯელით დაშინებამ არ შეიძლება მოგვცეს დადებითი ეფექტი და გამაფრთხილებელი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენაზე.

რუსი მეცნიერი მ. შარგოროდსკი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მას დაუსაბუთებლად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებიც სწორედ სასჯელის შიშით არ სჩადიან დანაშაულს.

იგი ამ **თეზისის დასასაბუთებლად სვამს კითხვას**: გაიზრდება თუ არა დანაშაულის ჩადენის რაოდენობა, თუ გაუქმებული იქნება სისხლის სამართლის ნორმები, და თვითონვე იძლევა პასუხს: ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ ჰიპოთეტურ შემთხვევაში დანაშაულის ზრდას ექნება ადგილი იმ არამყარი და დანაშაულის ჩადენის მიდრეკილების მქონე პირების მიერ, რომლებიც სასჯელის შიშით არ სჩადიან დანაშაულს.

მ. შარგოროდსკი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებულ სასჯელს

აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. მაგრამ სისხლის სამართალში სასჯელის აღმზრდელობითი ხასიათი განსხვავდება სამართლის სხვა დარგებში არსებული ზეგავლენისაგან. სისხლის სამართალში სასჯელი აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს შიშის ფაქტორით, ხოლო იმათთვის, ვისთვისაც სასჯელით დაშინება საკმარისი არ არის – ზემოქმედებს სასჯელის შეფარდებით.[2525]

ვფიქრობ, რომ შესაძლოა იყვნენ ასეთი ადამიანები, მაგრამ მათი რაოდენობა მეტად მცირეა და ეს ის კატეგორიაა, რომელთაც თუ დასჭირდათ მაინც ჩაიდენენ დანაშაულს, თუმცა შეეცდებიან თავიდან აიცილონ სასჯელი. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შიშის გამო კი არ იკავებს თავს დანაშაულის ჩადენისაგან, არამედ ზნეობრივი მრწამსითა და გონიერებით იგი დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგია.

დაახლოებით იგივე პოზიციაა დაფიქსირებული სხვა რუსი ავტორის მიერაც: სასჯელის ფსიქოლოგიური ასპექტია დამნაშავისა და იმ პირთა დაშინება, რომელთაც სურთ დანაშაულის ჩადენა. თუ სასჯელი არავის არ დააშინებს, მის არსებობას, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას, აზრი არ ექნება.[2626]

შესაძლოა, რომ **კონკრეტულ საქმეთა განხილვისას უტილიტარულ პრინციპსა და დამსახურებული სასჯელის პრინციპს შორის კონფლიქტი წარმოიშვას.** ე.წ. დამსახურებული სასჯელის პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმის მიხედვით, რაც მან დაიმსახურა. ეს კი ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა სასჯელის სხვა მიზნების განსახილველად. მიუხედავად სხვადასხვა პოზიციისა, სასჯელთა თითქმის ყველა სისტემამ მიიღო „სამაგიეროს მიზღვის შეზღუდვის" გარკვეული ფორმა (რა თქმა უნდა, ამ ცნების ფართო და არა ისტორიულად არსებული გაგებისა). მას სხვაგვარად **მოდიფიცირებულ დამსახურებულ სასჯელს** უწოდებენ. ეს ფართოდ აღიარებული მოდელი გულისხმობს, რომ რაც დამნაშავემ დაიმსახურა განსაზღვრავს და მორალურად ამართლებს სასჯელის ფარგლებს უმდაბლესი და უმაღლესი ლიმიტის დაწესებით. ამ ლიმიტის დაწესება ასევე ხელს უწყობს უტილიტარული სარგებლის ერთგვაროვნებასა და პროპორციულობას. კონკრეტულ საქმეზე, დამსახურებული სასჯელის ფარგლებში შესაძლებელია უფლების შეზღუდვის, რეაბილიტაციის, დაშინებისა და სასჯელის სხვა მიზნების მიღწევა, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მოცემული შემთხვევისათვის არის გათვალისწინებული.

სასჯელი დამსახურების ფარგლებში არ უნდა იყოს იმაზე მეტად მკაცრი, რაც საჭიროა გარკვეული მიზნის მისაღწევად, როგორიცაა აუცილებლობისა და ეფექტურობის ჰუმანური და უტილიტარული პრინციპი.

დამსახურებულ სასჯელს მხოლოდ სასჯელის ფარგლების განსაზღვრა შეუძლია, ვინაიდან თვით დამსახურების ცნება არ შეიძლება მთლად ზუსტი იყოს. შეიძლება გავიზიაროთ ნორვალ მორისის პოზიცია, რომელიც თვლის,

[25] М.Д. Шаргородский, დასახ. ნაშრომი, გვ. 15-28

[26] [26] Коментарий к УК РСФСР, М., 1996, с. 57

რომ სასჯელის არსებულ ფარგლებში საკითხის ნაკლებად მკაცრი სასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტა, ემყარება მორალურ და პრაქტიკულ საფუძველს.

მორალური არგუმენტები მოითხოვენ, რომ ბრალდება უნდა ეფუძნებოდეს სათანადო სასამართლო პროცედურითა და გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. სასჯელის მეშვეობით ხდება ფიზიკურ თავისუფლებისა და სხვა მნიშვნელოვან უფლებათა შეზღუდვა და სასჯელის სარგებელი ამ შემთხვევაში ბუნდოვანია. ამიტომაც სასჯელის გამკაცრების აუცილებლობისას მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს უნდა დაეკისროს.

რაც შეეხება იმ პრაქტიკულ არგუმენტებს, რომლებიც უპირატესობას დამნაშავის დამსახურებულ სასჯელზე ნაკლებად მკაცრ სასჯელს ანიჭებენ, ისინი გამომდინარეობენ არა მხოლოდ სარგებლიანობის ინტერესიდან, არამედ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა საჭიროებიდან – წაახალისონ და ხელი შეუწყონ მათ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.

რ. ფრეისი თავის ნაშრომში საკმაო ადგილს უთმობს ბრალდებულთან თანამშრომლობის საკითხის განხილვას, სახელდობრ, ბრალის ოფიციალურად აღიარების შემთხვევაში, მისთვის რიგ შეღავათების დაწესებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ინსტიტუტის სარგებლიანობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაც იზიარებს. ჩვენთვისაც შეზღუდული რესურსისა და სახელმწიფოს ძალაუფლების გათვალისწინებით მიზანშეწონილია დამნაშავისათვის პრობაციის შეფარდება ან პირობით ვადამდე გათავისუფლება. ამასთან, მათ უნდა თავი აარიდონ სარისკო ადგილებზე ყოფნას და სარისკო ქმედებას, კეთილგანწყობით შეხვდნენ მათ მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა ზედამხედველობით ღონისძიებებს. ამასთან, სათანადო ორგანოების ვალია, შესაძლებლობის შემთხვევაში მათი სამუშაოთი უზრუნველყოფა.

რ. ფრეისი ანზოგადებს აღნიშნულ ქმედებათა განხორციელების შედეგს და აღნიშნავს, რომ აშშ-ში საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მოწონებულია, როგორც მეცნიერების, მოდელური კოდექსის შემდგენლების, ასევე კანონმდებლების, სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო პრინციპების შემმუშავებელი კომისიების, მოსამართლეებისა და პრაქტიკოსების მიერ.[27]

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით (1960 წლის კოდექსით) გამოიკვეთა სასჯელის შემდეგი მიზნები: 1) დამნაშავის დასჯა; 2) მისი გამოსწორება; 3) ხელახალი აღზრდა; 4) კერძო და ზოგადი პრევენცია.

დაუბრუნდეთ საკითხს – არის თუ არა სასჯელის მიზანი დასჯა. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ სისხლის სამართლის კანონმდებლობით, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისე პოსტსაბჭოურ სივრცეში სასჯელის ერთ-ერთ მიზნად დასჯა არ არის გათვალისწინებული (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მაგალითად ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსში დამნაშავის დასჯა სასჯელის მიზანია) ამ თემაზე დისკუსია დღემდე არ წყდება. პროფ. გ. ტყეშელიაძე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სასჯელის მიზანს არ შეიძლება

[27] Richard S. Frase, დასახ. ნაშრომი, გვ. 78-79

დასჯა წარმოადგენდეს. მაგრამ იგი, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ასაბუთებს აღნიშნულ პოზიციას. ავტორი თავისი შეხედულების დასადასტურებლად რუსულ ენაზე ლინგვისტურად „кара" და „наказание"-ს სინონიმებად თვლის. ალბათ ავტორმა დასჯის აღსანიშნავად რუსული ტერმინოლოგია იმის გამო გამოიყენა, რომ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი საერთო-საკავშირო კანონმდებლობას მიეკუთვნებოდა და სასჯელის მიზნები სიტყვა-სიტყვით იყო გადმოტანილი ქართულ ენაზე. ამ ორი ტერმინის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე გ. ტყეშელიაძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ „გამოთქმა „Наказание имеет целью карать" ნიშნავს იმას, რომ ვთქვათ „Наказание имеет целью наказание". მაშასადამე, სასჯელს არ ჰქონია მიზანი, იგი თვითმიზანი ყოფილა".[2828] ჯერ ერთი, თარგმანი ზუსტი არ არის: უნდა იყოს „Наказание имеет целью наказать", რაც ასევე ვერ გადმოსცემს ტერმინ „кара"-ს აზრს. ბოლოს ავტორი მიდის იმ პარადოქსულ დასკვნამდე, რომ „აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩება სასჯელის აბსოლუტურ თეორიებამდე. ასეთი თვალსაზრისი განსაკუთრებით კანტის თეორიაში აისახა".[2929]

მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი თვლის, რომ დასჯა არ წარმოადგენს თვითმიზანს, იგი სასჯელის აუცილებელია ნაწილია, მაგრამ არა მისი მიზანი და ამას იმით ასაბუთებს, რომ სასჯელის არსის სხვაგვარი გაგება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს – ჰუმანურობის პრინციპს (ა. გერცენზონი). ცოტა გაუგებარია, რატომ ეწინააღმდეგება სასჯელის მიზნად დასჯის აღიარება ჰუმანურობის პრინციპს. მაშ რატომ უფარდებს სახელმწიფო სასჯელს დამნაშავეს? მხოლოდ პრევენციის მიზნის აღიარება სასჯელის ინსტიტუტის არსებობას ვერ გაამართლებს. ეჭვს არ იწვევს, რომ დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება თავის თავში გულისხმობს მისთვის რაიმე სიკეთის (თავისუფლების, უფლების, ქონების) შეზღუდვას ან ჩამორთმევას. ამიტომ სასჯელი ყოველთვის დაკავშირებულია დამნაშავის მორალურ ან ფიზიკურ ტანჯვასთან (იგულისხმება თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა). სასჯელი ობიექტურად და აუცილებლობით ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენს დამნაშავეზე. სწორედ ამიტომ სასჯელის ერთ-ერთ მიზნად მისი დასჯა მიგვაჩნია. უნდა დავეთანხმოთ ი. კარპეცს, რომელიც ამის დასადასტურებლად წერს, რომ თუ სასჯელს არ ეწნება დასჯის მიზანი, მაშინ ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთის არსებობა ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. სასჯელი გულისხმობს როგორც დამნაშავის დასჯას, ისე მისი გამოსწორების მიზანს.[3030]

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მეცნიერი დასჯას მიიჩნევს როგორც სასჯელის მიზანს, ისე მის შინაარსსაც. მათი აზრით, „დასჯა" არის სახელმწიფოს რეაქცია დამნაშავის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე,

---

[28] [28] გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრის შესახებ: სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 407

[29] [29] იქვე

[30] [30] იქვე

რომელსაც გაკიცხვის ხასიათი აქვს. დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის დანიშვნაც ასევე დასჯაა. სოციალური სამართლიანობის აღდგენის მიზანი დასჯაა. ხოლო ფორმალიზებული პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის მოხდის შემდეგ გამოუსწორებელი მსჯავრდებულის გათავისუფლება ასევე მიზნის – დასჯის რეალიზაციაა.[3131]

ნ. კუზნეცოვა თვლის, რომ დასჯა, რეპრესია სწორედ უფლებათა და თავისუფლებათა ის შეზღუდვაა, რომელიც სასჯელის მიზანს კი არა, არამედ მის შინაარსს წარმოადგენს. მისი აზრით, კანონმდებლობით დადგენილი სასჯელის მიზნები არარეალურად არის გაზრდილი. თუ ამ მიზნებს სიტყვა-სიტყვით მივდევთ, მაშინ ყველა მსჯავრდებულის მიმართ ეს მიზნები განუხორციელებელი დარჩება.[3232]

ასევე გაუმართლებლად მიმაჩნია სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვისა და დასჯის გაიგივება. სამაგიეროს მიზღვა რომ სასჯელის მიზნად მივიჩნიოთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო შურს იძიებს დამნაშავეზე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, რაც ცივილიზებული სამყაროსათვის ნამდვილად არ არის დამახასიათებელი. სახელმწიფო დამნაშავის მიმართ შურისძიებას კი არ მიმართავს, არამედ მხედველობაში იღებს დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, დანაშაულის განხორციელების ხერხს, მის პიროვნულ თვისებებს, წარსულ ცხოვრებასა და მრავალ სხვა ფაქტორს. თუმცა არც ის უნდა უარვყოთ, რომ სასჯელს სხვა მიზნებიც გააჩნია, სახელდობრ, სასჯელის გამოყენებით საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა, ანუ ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შემცირება.

ცხადია, რომ **სასჯელის მიზნად დასჯის აღიარება გამორიცხულია არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.** არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის გამოყენების ძირითადი მიზანია მათი რესოციალიზაცია და გამოსწორებული სახით საზოგადოებაში დაბრუნება. საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის მიზანი სწორედ რომ გულისხმობს ყველა სათანადო ღონისძიების გამოყენებით ამ ძირითადი მიზნის მიღწევას.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემუშავების პროცესში სხვადასხვა პოზიცია იყო დაფიქსირებული სასჯელის მიზნების თაობაზე. პროფ. გ. ტყეშელიაძე თავის ერთ-ერთ სტატიაში იძლევა ამ მიზნების თავისეულ განმარტებას. იგი წერს: „(1) სასჯელის შეფარდების მიზნებია: ა) აცდენილ იქნას მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენა; ბ) სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენა." როგორც ვხედავთ, ავტორს სასჯელის მიზნებად მიაჩნია დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილება და ზოგადი პრევენციის განხორციელება.

ავტორისეული ჩანაფიქრით ამ მუხლის მეორე ნაწილი შემდეგნაირად უნდა

---

[31] [31] Дуянов В.П., Проблемы уголовного наказания в теории, законодательстве и судебной практике, Курск, 2000, с. 66-67

[32] [32] Курс уголовного права, Общая часть, Учение о наказании, Т. II, 2002, с. 19

იყოს ჩამოყალიბებული: „(2) ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული მიზნები ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირებზე ზემოქმედებით ღრმად გააცნობიერონ დანაშაულის გასაკიცხი ხასიათი, გამოიმუშაონ თვითკონტროლის გრძნობა, განეწყონ მართლწესრიგის დაცვისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით".[3333]

როგორც ვხედავთ, ავტორი მუხლის მეორე ნაწილში მითითებულ გარემოებებს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის მიზნების განხორციელების საშუალებად მიიჩნევს. გამოდის, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია არა თუ სასჯელის მთავარი და ძირითადი მიზანია, არამედ იგი პრევენციის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას ვერ დავეთანხმები.

დღეს მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის მიზნები კვლავ ასახულია და იგი სხვაგვარად არის ჩამოყალიბებული: სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია (სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 39). აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილში ხაზგასმით აღინიშნება, რომ სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

როგორც ვხედავთ, ახალმა კოდექსმა უარი თქვა სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის დასჯის მიჩნევა და სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენა დაადგინა.

სამართლიანობის აღდგენის გამოცხადება სასჯელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად, საკმაოდ საინტერესოა. კანონმდებელი ლაკონურია და არ იძლევა, და ალბათ ვერც შესძლებდა მოეცა სამართლიანობის ცნების ლეგალური განმარტება. ძნელად წარმოსადგენია სამართლიანობის აღდგენა დასჯის გარეშე. სწორედ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და თავისი ქმედებით ზიანი (ფიზიკური, ქონებრივი თუ მორალური) მიაყენა სხვას, დაუსჯელი არ დარჩეს.

სასჯელში დასჯის მიზანი რომ გამოვრიცხოთ, გაურკვეველი დარჩება თუ რატომ არ ათავისუფლებს კანონმდებელი დამნაშავეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისაგან, თუ იგი უკვე გამოსწორდა და შესაძლებელია დამნაშავის საზოგადოებაში დაბრუნება. სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაწესებულია შეზღუდვა: დადგენილია სავალდებულო ვადა, რომლის მოხდის შემდეგაც შესაძლოა დადგეს საკითხი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლში, რომელიც შეეხება სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობებს, ვკითხულობთ: „თუ პირი სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით, იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს, თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული

[33] [33] გ. ტყეშელიაძე, გვ. 410

სასჯელის მთლიანად მოხდა, ამასთანავე იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან".

აქვე, რაც ნიშანდობლივია, კანონმდებელი მესამე ნაწილში ზღუდავს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადით, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.

სამართლიანობის აღდგენა თავის თავში გულისხმობს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებას, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში გაბატონებული მორალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. სასჯელის შეფარდება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას და ტალიონის პრინციპის განხორციელებას. სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს დამნაშავის რაციონალური, მიზანშეწონილი დასჯა, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან წარმატებულ ბრძოლას, კანონების, ასევე საერთო თანაცხოვრების წესების სათანადო დაცვას, მომავალში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

როგორც სჩანს, სამართლიანობის ცნება, ფაქტობრივად, სასჯელის სხვა მიზნებისაგან განყენებული არ არის. იგი თავისი არსით სასჯელის სხვა მიზნების განხორციელებასაც ემსახურება; თუმცა, სამართლიანობის ცნება უფრო ფართოა, მასში ბევრი სხვა რამ არის ჩადებული.

სასჯელის სამართლიანობაში უნდა ვიგულისხმოთ სასჯელის შეფარდების სამართლებრივი გადაწყვეტა, საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანა და შესაძლებლობის ფარგლებში სადამსჯელო ღონისძიებათა ეკონომიკური გამოყენება.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორედ შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

ცხადია, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილებული პირები სათანადოდ უნდა იყვნენ დასჯილნი. მაგრამ მათ მიმართ სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი ისეთი გარემოებებისა, რომლებიც პირდაპირ სისხლის სამართლის კოდექსით, კერძოდ, სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით არის გათვალისწინებული (მ.53).

ცოტა უფრო ქვემოთ, უფრო დაწვრილებით იქნება განხილული სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელი გარემოებები. ამჯერად კი, ზოგადად მიუთითებთ, რომ დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი განსაკუთრებული ცხოვრებისეული სიტუაცია, მძიმე ოჯახურ გარემოებათა დამთხვევა და ბევრი სხვა რამ, რაც, შესაძლოა, სხვაგვარად წარმოაჩენდეს დამნაშავის ნამდვილ მორალურ სახეს.

სარგებელს კი არა, ზიანს მოუტანს მართლწესრიგს თავისუფლების აღკვეთის, უსაფუძვლოდ გამოყენება, განსაკუთრებით კი გრძელვადიანისა. არც თუ ისე იშვიათია, როდესაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ხვდებიან დამნაშავენი, რომელთა იქ ყოფნა სრულიადაც არ არის მიზანშეწონილი, მათ მიერ

ჩადენილი დანაშაულის საშიშროებისა და მორალური სახიდან გამომდინარე.

რუსი მეცნიერები სოციალური სამართლიანობის აღდგენის მიზანში გულისხმობენ თანაზომიერების დაცვას ჩადენილ დანაშაულსა და შეფარდებულ სასჯელს შორის და დანაშაულისათვის ორმაგი პასუხისმგებლობის აკრძალვას. ზოგიერთ მეცნიერს დამატებით მოყავს არგუმენტები დარღვეული სოციალური ინტერესის ანაზღაურებისა და აღდგენის სასარგებლოდ. სხვანი კი მიიჩნევენ, რომ სასჯელის მიზანია, ერთის მხრივ, დაზარალებულის მიმართ სოციალური სამართლიანობის აღდგენა, მეორეს მხრივ კი, დამნაშავის სამართლიანი დასჯა.[3434]

ნ. კუზნეცოვა მიმოიხილავს რა სოციალური სამართლიანობის აღდგენას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანს აღნიშნავს, რომ სამართლიანობა ფასდება როგორც სიკეთისა და ბოროტების ეთიკური კატეგორია ან მორალურ-სამართლებრივი და სოციალურ-პოლიტიკური შედეგი, მაგრამ როგორც სასჯელის მიზანი იგი იურიდიულ დასაბუთებას მოითხოვს. სოციალური სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს დანაშაულებრივი ქმედებით შელახული ადამიანის, საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესის აღდგენას. აღდგენის ხასიათი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: მიყენებული მატერიალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს ეკვივალენტური თანხით, ან ქონების ჩამორთმევით. მიყენებული ფიზიკური ზიანი ან სიცოცხლის მოსპობა შეუძლებელია აღადგინოს უშუალოდ დამნაშავემ, მაგრამ მკურნალობის, დასაფლავების ხარჯების ფულადი კომპენსაცია სავსებით დასაშვებია. ხოლო სახელმწიფოს სახელით სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით კმაყოფილდება დაზარალებულის ოჯახი და საზოგადოება.[3535]

დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებით სამართლიანობის აღდგენის მიზანი რომ განხორციელდეს, მისი გამოყენება დეტერმინირებული უნდა იქნეს. ეს კი შეუძლებელია სასამართლო საქმიანობის სფეროში იმ საშუალებათა ღრმა ანალიზის გარეშე, რომელიც სისხლის სამართალს გააჩნია. საკითხისადმი ამგვარი მიდგომით შესაძლებლობა გვეძლევა აღმოვაჩინოთ არსებული ნორმატიული მასალისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების როგორც ძლიერი, ისე ჩრდილოვანი მხარეები.

სახეზე გვაქვს პარადოქსული სიტუაცია: საკანონმდებლო ორგანო იღებს ახალს და ცვლის მოქმედ კანონებს, შემდეგ მრავალჯერ იყენებს მათ, მაგრამ საკმაოდ არ არის დამუშავებული სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პროცესში მისი სწორედ შერჩევის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის გამოყენებას.

სისხლისსამართლებრივი სანქციები, როგორც წესი, ითვალისწინებენ სასჯელის ალტერნატიულ სახეებს და მის ზომას (უმეტესად მინიმალურსა და მაქსიმალურს), რაც გამოხატულია თავისუფლების აღკვეთის ვადებში, ჯარიმაში,

[34] [34] И.И. Карпец, с. 40

[35] [35] Курс уголовного права, с. 20-21

გამასწორებელ სამუშაოში და ა.შ. სასჯელის დანიშვნისას სასამართლო განსაზღვრავს სასჯელის სახესა და ზომას კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლით (წელი, თანხა). ამიტომ სასჯელის ნაწილში სასამართლო განაჩენი ემსახურება იმ ფაქტორთა ერთობლიობას, რომელიც საფუძვლად უდევს სასჯელის ზომას და პრობლემა იმაში გამოიხატება, თუ რა შეფასება უნდა მიეცეს კონკრეტულ დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

ამ საკითხის გადასაჭრელად ამოსავალ დებულებას ნარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც საკმაოდ სრულად მიუთითებს იმ ფაქტორებზე, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სასამართლო სასჯელის შეფარდების დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსანინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს". მეტად ყურადსაღებია ისიც, რომ კანონმდებელი არ კმაყოფილდება იმ ორიენტირით, რაც ზემოაღნიშნულ მუხლშია გათვალისწინებული და ცალკე გამოყოფს არასრულწლოვან დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ დამატებით რეკომენდაციებს (მ. 53).

სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა სინთეზს უნდა წარმოადგენდეს. ხოლო სინთეზისათვის აუცილებელია ჩავწვდეთ მისი შემადგენელი ნაწილების არსს, რაც მხოლოდ ანალიზის გზით გახდება შესაძლებელი.

დამსახურებული სასჯელის დაკისრება ეფუძნება „დამსახურებული სასჯელის თეორიას" ("Just deserts"), რომლის თანახმადაც დამნაშავეს უნდა დაეკისროს ის სასჯელი, რაც მან დაიმსახურა, ცხადია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. პროფ. მეთიუ ლიპპმენი თვლის, რომ სადამსჯელო ფილოსოფია ემყარება ცნობილ ბიბლიურ გამონათქვამს „თვალი თვალის ნილ, კბილი კბილის წილ". მ. ლიპპმენი სვამს მთელ რიგ კითხვებს: როგორ უნდა განისაზღვროს, თუ რა სასჯელს იმსახურებს დამნაშავე: საპყრობილეში მოთავსებას, ჯარიმას, თუ შინაპატიმრობას? ამავე დროს როგორ უნდა იყოს დადგენილი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის შესაფერისი ხანგრძლივობა? ან კიდევ, რა ტიპის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში უნდა მოხდეს განაჩენის სისრულეში მოყვანა? მ. ლიპპმენის აზრით, დაყენებული საკითხების იოლად გადაწყვეტა შეუძლებელია. დამნაშავისათვის „დამსახურებული" სასჯელის დაკისრება დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის მთელ რიგ გარემოებებზე, დამნაშავის პირადულ თვისებებზე, დაზარალებულის პიროვნების გათვალისწინე-

ბაზე და სხვა.[3636]

სავსებით ვეთანხმები მ. ლიპპმენის მოსაზრებას დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დადგენისას სასამართლოს მიერ მრავალ გარემოებათა გათვალისწინების აუცილებლობას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დამნაშავისათვის სათანადო სიზუსტით სასჯელის შეფარდება განპირობებულია მთელ რიგ ობიექტურ გარემოებათა არსებობით. საქმე ეხება ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ურთიერთდამოკიდებულნი არიან, ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე და მათი ცალკე ანალიზი მეტად რთულია.

მიუხედავად ობიექტურად არსებული სიძნელისა, მაინც უნდა მოიძებნოს კრიტერიუმი ამ გარემოებათა გასამიჯნად და სასჯელის დანიშვნის ორიენტაცია უფრო მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა იყოს აღებული. ცხადია, რომ დანაშაულის ჩადენისას თითოეული გარემოება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე, ერთნაირი არ არის და ვერც იქნება.

სამართლიანად მსჯელობს ნ. კუზნეცოვა, რომელიც თვლის, რომ გამორიცხული არ არის ერთიდაიგივე სიმძიმის დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლომ დამნაშავეს სხვადასხვა სასჯელი დააკისროს. მისი აზრით, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უფრო მეტი ალტერნატიული სასჯელისა და მისი ზომის შეტანაა მიზანშეწონილი. ამით მხედველობაში იქნება მიღებული პიროვნების, როგორც დანაშაულის ადრესატის სოციალ-დემოგრაფიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური პარამეტრები, განსაკუთრებით ეს გასათვალისწინებელია იმ დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, რომლებიც უმეტესწილად ახალგაზრდული ასაკისათვის არის დამახასიათებელი.[3737]

როდესაც ვსაუბრობთ სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებზე, აუცილებელია მოვახდინოთ **დანაშაულებრივი ქმედებისა და პიროვნების ცნებათა თანაფარდობის ანალიზი.** მაგალითად, თუ საკითხი ეხება დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ცხადია, ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის პიროვნულ თვისებებსაც, რამაც გამოხატულება ჰპოვა ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, იმავდროულად გათვალისწინებული უნდა იყოს პირის ის მონაცემები, რომლებიც ამ ქმედებაში გამოვლინდა. ობიექტური ნიშნები, რაც დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულში აისახა, პიროვნებასაც ახასიათებენ.

საქართველოს სისხლის სამართლის **კანონმდებლობით სასჯელის ერთ-ერთ და, უდავოდ, უმთავრეს მიზნად აღიარებულია დამნაშავის რესოციალიზაცია.** ამ მიზნის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელს აზრი ეკარგება და იგი სამაგიეროს მიზღვის სახესხვაობად გადაიქცევა. კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში დაკონკრეტებულია ის ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში

[36 36] Matthew Lippman, დასახ. ნაშრომი, გვ. 64-67

[37 37] Курс уголовного права, с. 20-21

გატარების შედეგად შესაძლებელი გახდება სასჯელის მიზნის მიღწევა, სახელდობრ, დამნაშავის რესოციალიზაცია ანუ მისი გამოსწორება და საზოგადოებაში დაბრუნება; მასში ვკითხულობთ: „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. ბრალდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით".

ტერმინი „რესოციალიზაცია" სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ნოვაციაა. მისი, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის განმარტება მოცემულია პატიმრობის კოდექსში (იგი ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს). კოდექსის 121-ე მუხლში რესოციალიზაციის არსი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „1. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა პირების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; 2. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებებია: ა) სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; ბ) სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება; გ) აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ; დ) მსჯავრდებულთა დასაქმება; ე) ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება; ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობა. 3. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით".

უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული რესოციალიზაციის ცნება სრულად და დამაჯერებლად ვერ ასახავს სასჯელის ამ მიზანს. ფაქტობრივად არ არის განმარტებული რესოციალიზაციის არსი. ცხადია, რომ რესოციალიზაციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების წევრთა შორის თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; მაგრამ ეს საბოლოო შედეგია. უპირველეს ყოვლისა, ამ შედეგის მისაღწევად სავალდებულოა მსჯავრდებულის გამოსწორება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილში მითითებული მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითად საშუალებათა ჩამონათვალიც დასახვეწია.

კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტში გათვალისწინებული სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელება ფაქტობრივად გულისხმობს ამ მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ ყველა ღონისძიების განხორციელებას. ამ პუნქტებით სწორედ რომ სარეაბილიტაციო პროგრამის ცხოვრებაში გატარება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ასევე გაუგებარია ვის გულისხმობს კანონმდებელი რესოციალიზაციის ცნების განმარტებისას „სხვა პირებში". ეს პირებიც იგულისხმება, რომ საზოგადოების წევრები არიან.

დაუბრუნდეთ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლს. კანონმდებლობით

სასჯელის მიზნის განხორციელება ისეა ჩამოყალიბებული, რომ მასში კვლავ ზოგად და სპეციალურ პრევენციაზეა ლაპარაკი: „მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით". გამოდის, რომ რესოციალიზაციის არსი სწორედ გამოიხატება მსჯავრდებულის მიერ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებაზე; ანუ სასჯელის მიზანი და მისი განხორციელება ერთიდაიგივეა.

მაგრამ მარტო აღნიშნულით არ ამოიწურება კოდექსის 39-ე მუხლის ნაკლი. როდესაც კანონმდებელი წერს, რომ ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალება გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. პატიმრობის კოდექსში საუბარია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებზე და არაფერია ნათქვამი იმ პირებზე, რომლებსაც არასაპატიმრო სასჯელი შეეფარდათ. მაგალითად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო და სხვა. მსჯავრდებულთა ეს ჯგუფი რეალურად არ არიან თავისუფლებააღკვეთილები და ამიტომ როგორ უნდა მოხდეს მათ მიმართ რესოციალიზაციის მიზნის განხორციელება, გაუგებარი რჩება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს სასჯელის ზომად ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში. ესეც კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როცა ძირთად სასჯელად დანიშნულია ჯარიმა, იგულისხმება, რომ ამ პირის მიმართ დღის წესრიგში არ დგას მისი რესოციალიზაციის საკითხი.

აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მიზნის – დამნაშავის რესოციალიზაციის ცხოვრებაში გატარებას სასჯელის სამართლიანობა უნდა ედოს საფუძვლად, რაც, თავის მხრივ, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის 1960 წლის კოდექსით სასჯელის რესოციალიზაციის მიზანი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: კოდექსში აღინიშნებოდა, რომ სასჯელი სხვა მიზნებთან ერთად გულისხმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას და ხელახალ აღზრდას შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ნიშანდობლივია, რომ ტერმინების სხვაობისდა მიუხედავად, **რესოციალიზაციაც თავის თავში დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს**. მასში უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა, მისთვის ისეთი ჩვევისა თუ შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს. აღზრდის შემდეგ ეტაპად კი უნდა ჩავთვალოთ უკვე გამოსწორებული პირის სოციალურ გარემოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიან წევრად დაბრუნება.

სასჯელის მიზნად რესოციალიზაციის აღიარება ყურადღების ცენტრში კვლავ აყენებს **სასჯელის ეფექტურობის საკითხს**. უნდა ითქვას, რომ ეს მარტო

რესოციალიზაციის მიზანს არ შეეხება. სასჯელის ეფექტურობა, პირველ რიგში, გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ მისი მორალური მრწამსიდან გამომდინარე, მომავალში დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებას. შესაძლოა, რომ პირს დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი რთული ცხოვრებისეული სიტუაციის ზეგავლენით, ან წუთიერი სისუსტით, თავის ქცევაზე კონტროლის შესუსტებით. ასეთი დამნაშავის გამოსასწორებლად ხშირად საკმარისია მისი დადებითი მორალური თვისებების განმტკიცება და პატიოსანი ცხოვრებისადმი ინტერესის გაღვივება.

სხვა საქმეა ისეთი მსჯავრდებული, რომელსაც მანკიერი, კრიმინალური თვისებები ფსიქიკაში ღრმად აქვს გამჯდარი. მის ამორალურ და დანაშაულებრივ თვისებათა შესაცვლელად მეტი ძალისხმევაა საჭირო. შესაძლოა, რომ ეს ძალისხმევა ყოველთვის არც იყოს წარმატებული.

მეცნიერებს შორის დღესაც სხვადასხვა პოზიციაა დაფიქსირებული ე.წ. თანდაყოლილ და გამოუსწორებელ დამნაშავეთა შესახებ, რომელთა რესოციალიზაცია ანუ მათი საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ თანაცხოვრების წესებისადმი შეგუება მეტად საეჭვოა. არსებობს ე.წ. დამნაშავეობის ბიოკრიმინოლოგიური თეორია, რომელიც იქამდე მიდის, რომ ადამიანში „დანაშაულის გენის“ არსებობასაც კი აღიარებს.

საფიქრებელია, რომ სახელმწიფომ რეციდიულ დამნაშავეთა გამოსასწორებლად უნდა გააათკეცოს ზრუნვა, ვინაიდან, არცთუ ისე იშვიათად, დანაშაულის რეციდივს იწვევენ ყოფითი პრობლემები (უმუშევრობა, საცხოვრებელი პირობების არარსებობა და სხვა).

უნდა ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის გარკვეული რისკი არსებობს. ამ რისკის დადგენა ხშირად შესაძლებელია. ამიტომ რეაბილიტაციის მეთოდის დროული და სათანადო გამოყენებით ეს რისკი მინიმუმამდე შეიძლება იყოს დაყვანილი. რისკის დონის შემცირება შესაძლებელია საპატიმრო ან არასაპატიმრო პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, შრომითი ჩვევის გამომუშავების, სხვა გამასწორებელი ზემოქმედების გამოყენების მეშვეობით.

ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, დამნაშავეობასთან ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა მიერ შემუშავებული პროგრამების მეშვეობით მოსამართლეს მიეცემა ძალიან ფართო დისკრეცია, შეაფასოს თუ რამდენადაა დამნაშავე დანაშაულის კვლავ ჩადენის რისკის მატარებელი, დაადგინოს მისი მიზეზი, შესაძლებელია თუ არა დამნაშავისათვის თავისუფლების აღკვეთის გარეშე ზემოქმედების განხორციელება და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ დაასკვნის, რომ თავისუფლების აღკვეთა გარდუვალია, გადაწყვიტოს მისი მოთავსება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

ყოველივე ზემოთ თქმულის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ რისკის მაღალი დისკრეციულობის განსაზღვრა მეტად რთულია. უცხოეთში განხორციელებულმა მთელმა რიგმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ იმ დამნაშავეებს,

რომელთაც ერთიდაიგივე დანაშაული თითქმის ერთნაირ პირობებში ჩაიდინეს, სხვადასხვა მოსამართლემ საკმაოდ განსხვავებული სასჯელი დაუნიშნა, იგივე ტენდენცია აისახა პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ. დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასების სირთულის გამო, ის დამნაშავე, რომელიც კონტროლირებად საპატიმრო გარემოში დადებით შეფასებას იმსახურებდა, თითქმის გამოსწორებული იყო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებული მრავალ პრობლემას ჰქმნიდა, მაშინ, როდესაც სხვა მსჯავრდებულმა, რომელიც ნაკლებად ეგუებოდა პატიმრობის რეჟიმს, ზოგჯერ არღვევდა კიდეც მას, გათავისუფლების შემდეგ აშკარად უფრო ადვილად მოახდინა ადაპტაცია და უკეთ შეეგუა საზოგადოებაში დადგენილ საერთო ცხოვრების წესს.

ამგვარი პარადოქსული დასკვნა სახელმწიფოს, სამართალდამცავ ორგანოებს და მეცნიერებას უყენებს ამოცანას, უფრო ღრმად ჩაწვდნენ დამნაშავის რესოციალიზაციის პრობლემის არსს, ერთობლივად შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებელს გახდის სასჯელის უმთავრესი მიზნის – რესოციალიზაციის მიღწევას.

საინტერესოა დამნაშავის რესოციალიზაციის საკითხთან დაკავშირებით პროფ. გ. ტყეშელიაძის პოზიცია, რომელიც თვლის: „მთავარია, რომ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შედეგად გათავისუფლდეს კრიმინალური თვისებებისაგან იმდენად, რომ მან მომავალში აღარ დაუშვას დანაშაულის რეციდივი. დამატებით იმის მოთხოვნა, რომ იგი ზნეობრივად ისეთ პიროვნებად იქცეს, რომ საერთოდ არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა, არარეალურია".[38] საკითხის ამგვარი გადაწყვეტა აბსოლუტურად გამართლებულია და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანში მისი მორალური დახვეწის ასახვა ფანტასტიკური იქნებოდა.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით მაინც არ შევეხო ცნობილი ავსტრიელი სოციოლოგისა და კრიმინოლოგის ჯონ ბრეითუეთის გახმაურებულ ნაშრომს „დანაშაული, სირცხვილი და გაერთიანება". ავტორს შემუშავებული აქვს დამნაშავეობაზე სოციალური კონტროლის განხორციელების მეტად ორიგინალური თეორიული კონცეფცია. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილია სირცხვილის გრძნობის შთაგონება, როგორც ოფიციალური სისხლის სამართლისათვის არაფორმალური სოციალური მხარდაჭერის სახე.

ჯ. ბრეითუეთის აზრით, მისი ნაშრომი დაკავშირებულია ე.წ. აღდგენითი მართლმსაჯულების მსოფლიო საზოგადოებრივ მოძრაობასთან. ეს იმით არის საინტერესო, რომ იგი გზას უკვალავდა კომუნიკაციურ-საზოგადოებრივი და ოჯახური მექანიზმების შესწავლას, რომლის ფარგლებში დანაშაულთან დაკავშირებული მორალური აღშფოთება და სირცხვილის გრძნობის შთაგონება იქცევა საზოგადოების ჩამოყალიბების ძალად.

ავტორი მიუთითებს დენ ვან ნესსის იდეაზე, რომ რამდენადაც დანაშაულით ხდება ჭრილობის მიყენება, მართლმსაჯულების მიზანია მისი განკურნე-

[38] გ. ტყეშელიაძე, გვ. 409

ბა. ეს დემოკრატიული პრინციპია, რომელიც ყველა იმ ადამიანს, რომელსაც დანაშაული შეეხო, ჰქონდეს ხმის უფლება იმის განსასაზღვრად, თუ როგორ უნდა იყოს გადაწყვეტილი შექმნილი სიტუაცია. აღდგენითი მართლმსაჯულება განამტკიცებს მთელი სისხლის სამართლის პროცესის პროცედურულ სამართლიანობას და დიდ პრაქტიკულ შინაარსს დებს ადამიანის უფლებათა დაცვის საქმიანობის სფეროში.

ამ ბოლო ხანებში აშშ-ს კანონების კრიტიკული მიმოხილვის ავტორები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ სამარცხვინო სასჯელების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით წარმოებულ დებატებში. ასეთ სასჯელს, როგორც წესი, დამაგმობელი ხასიათი აქვს. მაგალითად, სახლზე მიკრული აბრა, რომელიც ამცნობს, რომ ამ სახლის მეპატრონე მსჯავრდებულია ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობისათვის. ჯ. ბრეითუეთი თვლის, რომ მხოლოდ ნოტაციებით, გაკიცხვითა და დაძრახვით აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელება გაუმართლებელია.

ავტორის რწმენით, თუ სამართალდამრღვევისათვის ნათელი ხდება, რომ ის პირები, რომლებსაც იგი უყვართ, კიცხავენ მას დანაშაულის ჩადენის გამო, დიდი ვარაუდია, რომ იგი იგრძნობს სინდისის ქეჯნას და გამოსწორების სურვილიც გაუჩნდება.[39]

ჯ. ბრეითუეთის კონცეფციის ცხოვრებაში გატარება, ცხადია, უამრავ დაბრკოლებათა გადალახვასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მის გამოკვლევაში რომ უამრავი რაციონალური იდეაა ჩადებული – უდავოა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოსაზრება არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს მსოფლიოში თანდათანობით იზრდება იმ მეცნიერთა რაოდენობა, რომლებიც აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებას აუცილებლად მიიჩნევენ.

სისხლის სამართლის სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ, რომელიც მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის კოდექსის ფართომასშტაბიან გადახედვას, დაფუძნებულს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე, განსაკუთრებული ადგილი დაუთმო არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის მოცულობის საკანონმდებლო შემცირებას. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია მოზარდი თაობის მიმართ ჩვენი სახელმწიფოს ჰუმანური დამოკიდებულებით, არასრულწლოვანთა სოციალურ-ფსიქოლოგიური და ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ჯერ კიდევ 1994 წელს საქართველომ მოახდინა ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება, როთაც მისმა დებულებებმა საქართველოსათვის სავალდებულო ხასიათი მიიღო და მას პირდაპირი გამოყენების ძალა მიენიჭა.

კონვენციის მესამე მუხლში ხაზგასმულია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს უპირველესი ყურადრება უნდა ექცეოდეს სისხლისსამართლებრივი

[39] Джон Брейтуэйт, Преступление, стыд и воссоединение (перевод с английского), М., 2002, с. 8-9

სასჯელის ამა თუ იმ სახისა თუ ზომის თუ სხვა სახის ღონისძიების გამოყენებისას. ეს პრინციპი ასახულია 1985 წლის არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების (პეკინის წესები) მე-5 და მე-17 1(დ) მუხლებში; ასევე, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში (1997წ.) მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის მიმართ განხორციელებული ღონისძიების შესახებ (ვენის დებულებები) მე-8 მუხლის (ა) წესში.

ყველა მათგანში, ფაქტობრივად, დადგენილია, თუ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს სასჯელის გამოყენებამ არასრულწლოვანთა მომავალ ცხოვრებაზე.

საქართველოს კანონმდებელმა მეტად საშური საქმე განახორციელა. 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც წინგადადგმული ნაბიჯია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სასჯელის ლიბერალიზაციის საქმეში.

კოდექსის პირველივე მუხლში (ნაწ. 2) მითითებულია, რომ „ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია... ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებათა გამოყენებასაც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ კოდექსს ან/და ითვალისწინებენ არასრულწლოვნისათვის შეღავათს. როგორც ვხედავთ, კოდექსში თავიდანვე ხაზგასმულია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი. საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დადგენა (14 წლიდან, ზოგიერთი დანაშაულისათვის – 18 წლიდან) სხვა ბევრ გარემოებასთან ერთად დაკავშირებულია არასრულწლოვნის მიერ ყოველდღიურ მოვლენათა აღქმის განვითარებასთან ერთად, წლების მომატებასთან უფრო რთულ მოვლენათა მისეულ აღქმასთან, გამოცდილების შეძენასა და დაგროვებასთან, საკუთარი ქცევის სულ უფრო ღრმად შეგნებასთან და სხვა.

ამავე დროს არასრულწლოვნებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ნებელობითი და ინტელექტუალური სიმწიფე, ფსიქიკის მდგრადობა და თავისი ქმედების სათანადო გააზრების უნარი. ეს კი, თავის მხრივ, არასრულწლოვანს არ აძლევს შესაძლებლობას სწრაფად გაერკვეს სიტუაციაში, აირჩიოს სწორი ორიენტაცია და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კანონის თანხვედრია. არასრულწლოვანს უჭირს ემოციის მოთოკვა, მისი ქცევა ხშირად იმპულსურია, რაც იმას მოწმობს, რომ ნებელობითი ქცევა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ამი-

ტომაც, სავსებით მისარები და გამართლებულია, რომ დამნაშავის არასრულწლოვანება მისთვის სასჯელის შემსუბუქების ერთ-ერთი საფუძველია.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ კოდექსში ცალკე VI კარი აქვს დათმობილი არასრულწლოვნის სასჯელს, რომელშიც ცალკე თავებად არის ჩამოყალიბებული არასრულწლოვნის სასჯელის მიზნები და სახეები, პირობითი მსჯავრი, არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნა და სხვა.

კოდექსის 65-ე მუხლში, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაული თავიდან აცილება".

ყურადსარებია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღარ არის მითითება სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა. ცოტა გაუგებარია, თუ რატომ შეიკავა თავი კანონმდებელმა დამნაშავე არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის მიზნებში სამართლიანობის აღდგენის მიზნის შეტანისაგან. ვფიქრობ, რომ სამართლიანობის მიზნის უგულვებელყოფა არასრულწლოვნისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სრულწლოვნისათვის სასჯელის დადგენისას. სასჯელის მიზნად სამართლიანობის აღდგენის მიზანშეწონილობაზე ზემოთ იყო საუბარი, რის საფუძველზეც ნათლად იკვეთება, რომ არ არსებობს არავითარი სამართლებრივი დასაბუთება, რომ ეს მიზანი არ იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვნისათვის სასჯელის შეფარდებისას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში უფრო დახვეწილია დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანი. კანონმდებელი უფრო ღრმა შინაარსს მატებს მას და გვთავაზობს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ცნებას.

ცნობილია, რომ რეაბილიტაცია უფლებებში აღდგენას, რეპუტაციის აღდგენს გულისხმობს, ხოლო რესოციალიზაცია კი საზოგადოებაში ადამიანთა თანაცხოვრებისა და ურთიერთობის არსებულ წესებისადმი პატივისცემასა და გაზიარებაში გამოიხატება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში საკანონმდებლო წესით არის განმარტებული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ცნება. იგი გულისხმობს არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობასა და მის მომზადებას საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად (მ. 3, ნაწ. 18).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით სახელმწიფომ ფაქტობრივად დააფიქსირა არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ლიბერალიზაციის პოლიტიკის სავალდებულობა. არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული პოლიტიკა მიზნად ისახავს

სისხლისსამართლებრივი რეპრესიის შემდგომ შესუსტებას, პასუხისმგებლობის უფრო მეტ დიფერენციაციას და სასჯელის მკვეთრ ინდივიდუალიზაციას. ამავე დროს იგი უნდა განხორციელდეს დეკრიმინალიზაციისა და დეპენალიზაციის მეშვეობითაც, იმ ზომათა გამოყენებით, რომლებიც სისხლისსამართლებრივი სასჯელის ალტერნატივად გვევლინება.

თავი II

სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი

ქართული საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს, რომელთაც კანონზომიერი ხასიათი აქვთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სისხლისამართლებრივი პოლიტიკა და სამართალი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს კავშირი ხშირად გამოხატულებას პოულობს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არ აისახება სამართლის სხვა დარგებშიც. ცნობილია, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში უპირატესობა ენიჭება სისხლის სამართალს, თუმცა ოპტიმალური თანაფარდობა უნდა არსებობდეს სისხლისსამართლებრივსა და სამართლებრივ ნორმებს შორის. ჩვენ ქვეყანაში დაწყებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია ეფუძნება ყველა მოქალაქის უფლებების დაცვას. მათი შეზღუდვა სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე ადამიანის უფლებების ევროპულ სტანდარტებთან მკაცრ შესაბამისობაში უნდა ხდებოდეს. იგი უკიდურეს საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და მხოლოდ მაშინ გამოიყენებოდეს, თუ გამოწვეული ზიანის სიმძიმიდან გამომდინარე, პირის სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შედეგს ვერ გამოიღებს. სისხლის სამართლის კანონით დაცული უნდა იქნეს მათი მხოლოდ მნიშვნელოვანი და ფასეული ნაწილი და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ურთიერთობათა დაცვა შეუძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს ნაკლებად რეპრესიული საშუალებით. სისხლის სამართლის კანონი უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი საშუალება.

რიგ შემთხვევებში სამართლებრივი სიკეთის დაცვა უფრო ეფექტურად შესაძლებელია სამართალდამრღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებით, რაც, ერთის მხრივ, დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს მუშაობის გაუმჯობესებაში, ხოლო, მეორეს მხრივ, გაზრდილი სახდელის დაკისრებით გაამდიდრებს ბიუჯეტს, ზოგჯერ კი ეს თანხა მოხმარდება (ნაწილობრივ მაინც) თვით სახდელდაკისრებულ პირთა ჯანმრთელობის გაუმჯობე-

სებას (მაგალითად, კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შედეგად).

ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმაზეც, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების ლიბერალიზაციის დადებითი ტენდენცია არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს კონსტიტუციურ პრინციპთან, რომელიც აღიარებს – მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო. სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის ახალი რედაქციით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს, რომელიც თუ მიიჩნევს, რომ პირს, რომელსაც სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა და მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, შეუძლია პირობით ვადამდე გაათავისუფლოს იგი სასჯელის მოხდისაგან, ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან. მით უფრო გაუმართლებელია ამავე მუხლის მე-7 ნაწილით სამინისტროს ადგილობრივი საბჭოსათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების უფლებამოსილების მინიჭება, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს უფლებამოსილებაა მსჯავრდებულს, რომელიც თავისუფლებააღკვეთილია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით (მ. 73, I ნაწილი) და ა.შ.

თითოეული მოქალაქისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა და სასჯელის შეფარდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. **იმ მიზნით, რომ გავიგოთ სასჯელის ინდივიდუალიზაციის მნიშვნელობა,** როლი და ადგილი სისხლის სამართლის პოლიტიკის გამოყენების სისტემაში, იგი დანახული უნდა იქნეს მიზნის პერსპექტივიდან და სისხლის სამართლის პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების შუქზე, სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში სისხლის სამართლის კანონისა და სასჯელის მიზანთან შედარებით, და რაც ყველაზე მთავარია, დაცული უნდა იყოს მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სხვა ქვეყნების სისტემასთან.[40]

სისხლის სამართლის სფეროში პასუხისმგებლობის მკაცრი ინდივიდუალიზაცია სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

სისხლისამართლებრივი პოლიტიკის განვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საქართველოს მიერ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებით აღებულ იმ ვალდებულებებს, რომლებიც შემდგომ იმპლემენტირებული უნდა იქნენ ჩვენ კანონმდებლობაში. სწორედ ამით იყო განპირობებული

[40] John Ifrim, Various Techniques of Individualizing Punishments in the New Criminal Law, Proceeding of the challenges of the knowledge Society Conference, Volume, 2011, p. 101

სისხლისსამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისხლისსამართლებრივ გარანტიათა გაძლიერება.

საქართველოში სასჯელთა შეფარდების პრინციპი და პრაქტიკა არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო კრიტიკის საგანი. 2009 წლის ციხის რეფორმის საერთაშორისო ანგარიშში ჩაიწერა, რომ საქართველოში მსჯავრდების პოლიტიკა არ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს, რაც „პატიმრობასთან დაკავშირებულ საყოველთაო მენტალობის", სასჯელთა ინდივიდუალიზაციის ნაკლებობისა და სასჯელთა ალტერნატივების შეზღუდულობის შედეგს წარმოადგენდა. ანგარიშში ჩაწერილი იყო, რომ 2008 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში მხოლოდ სამი სახის სასჯელი იყო გამოყენებული: პატიმრობა, ჯარიმა და პირობითი მსჯავრი[41].

2011 წლის 13 აპრილის ევროპის საბჭოს საპარლამენტო კომიტეტის მიერ მიღებული იყო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ციხეებში მსჯავრდებულთა ზრდა განპირობებული იყო სავალდებულო სახელმძღვანელო დირექტივებით მსუბუქი დანაშაულის ჩადენის დროსაც კი საკმაოდ მკაცრი და არაპროპორციულ სასჯელთა დაკისრებით. რეზოლუცია ასევე ხაზს უსვამდა სასჯელის დანიშვნისას მისი სრული შეკრებისა და არა შთანთქმის წესის გამოყენებას[42].

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი და სრულყოფილი ვერ იქნება. მაგრამ საზოგადოებრივი ქცევის ახალი ფორმების კრიმინალიზაციას შეზღუდული ხასიათი უნდა ჰქონდეს და მიზნად ისახავდეს სისხლისსამართლებრივი რეპრესიის შემცირებას, და არა კონიუნქტურულ ხასიათს. ამიტომ ხშირად დაუსაბუთებელია სისხლის სამართლის კანონთა ხშირი ცვლა, მათი არასტაბილურობა, რაც კოდექსში გათვალისწინებულ დანაშაულთა შორის წინააღმდეგობას ქმნის; ეს კი მძიმე ტვირთად აწვება მოსამართლეთა მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ხარისხობრივად გაიზარდოს კანონთა ტექნიკურ-იურიდიული დონე.

ყოველთვის არ უნდა იყოს გამართლებული სპეციალური ნორმებით კოდექსის გადატვირთვა. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ეკონომიკურ დანაშაულთა კარში. კიდევ ერთხელ უნდა ვუსაყვედუროთ კანონმდებელს, რომ სამეწარმეო სფეროში ჩადენილ დანაშაულთა თავში დამატებით შეტანილ დასჯად ქმედებათა უმრავლესობა კიდევ უფრო ზრდის ისედაც საკმაოდ დიდი მოცულობის სისხლის სამართლის კოდექსს. ეკონომიკურ სფეროში მოდავე მხარეთა ინტერე-

[41] Penal Reform International/2009). Assesment of Penal Legislation in Georgia, Tbilisi, European Union, p. 17

[42] the Hononring of Obligations and Commitments by Georgia (Emphasis added), Article 16, Resolution 1801 (2011)

სი უფრო ხშირად შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს სამართლის სხვა დარგის ნორმათა გამოყენების მეშვეობით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია რეპრესიის სფეროს შევიწროების ტენდენცია. იგი დაფუძნებულია ობიექტურ და კანონზომიერ პროცესებზე და მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისაკენ. დამნაშავეობაზე ამგვარი გეგმადასახული ზემოქმედების შედეგად საჭირო აღარ იქნება ფართო სადამსჯელო ზომების შენარჩუნების აუცილებლობა.

სასჯელთა **პროპორციულობის იდეა ემყარება ე.წ. „სამართლიანი საზღაურის" თეორიას.** პროფ. რიჩარდ ვოგლერი აღნიშნავს, რომ ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი სირთულე მდგომარეობს პროპორციულობის კონცეფციასა (ყოველი დანაშაულისათვის მის მიერ მიყენებული ზიანის თანაზომიერი სასჯელის შეფარდება) და „დამზოგველობის" ანუ მინიმალური ინტერვენციის პრინციპს (დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის უმდაბლესი ზომის შეფარდება) შორის კომპლექსურ დამოკიდებულებაში. რ. ვოგლერი იშველიებს ფონ ჰირშის პოზიციას, რომელმაც ამ დილემის გადაჭრა სასჯელის შეფარდების პროპორციულობის ორი სახეობის შემოთავაზებით სცადა. **პირველი სახეობაა „რელატიური" პროპორციულობა,** რაც სამ პრინციპს ემყარება: „პარიტეტის" პრინციპის საფუძველზე ერთიდაიგივე დანაშაულის ჩადენისათვის დამნაშავეებს თანაბარი სასჯელი უნდა შეეფარდოთ; **„რანგირების" პრინციპი** სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულის ჩამდენთ სასჯელის სხვადასხვა ზომა დაეკისრებათ; ხოლო **„შუალედური" პრინციპის** მოთხოვნაა სასჯელის სხვადასხვა ზომას შორის არსებული განსხვავება დანაშაულის სიმძიმეს უნდა ეფუძნებოდეს. ფონ ჰირში გვთავაზობს სასჯელის შეფარდების შეზღუდვას მინიმალური ინტერვენციის სასარგებლოდ.[43]

სისხლისსამართლებრივი რეპრესიის შევიწროების პროცესი შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა ფორმაში გამოიხატოს. უფრო თვალსაჩინოა დეკრიმინალიზაციის პროცესი და ნაკლებად თვალსაჩინო – დეპენალიზაცია. საქართველოში თანამედროვე პირობებში ინდივიდუალიზაციის ნორმატიული საფუძველი ღრმავდება და ფართოვდება, რაც სრულად მიესადაგება ქვეყნის სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას.

სისხლისამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობის საკითხი მარტო საქართველოს პრობლემა არ არის. საინტერესოა და ნიშანდობლივი ამერიკელი მეცნიერის, ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორის უილიამ ჯ. სტანტზის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აშშ-ში სახელმწიფო სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებს მაშინაც, როცა არსებული რეალობის გათვალისწინებით მიდის ერთგვარ დათმობაზე; იგულისხმება დროის კარნახით და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით გამოწვეული პროგრესული

[43] Von Hirsh, A. (1994) Censure and Proportionality. A Reorder in Punishment, Oxford University Press: p. 115-132

რეფორმების აუცილებლობა[44]

უილიამ ჯ. სტანტზი აშშ-ში სისხლის სამართლის კოდექსებში დანაშაულთა რაოდენობის ზრდის ტენდენციას ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ჭრილში განიხილავს, ცხადია, სისხლისსამართლებრივ ასპექტში. სტანტზი განმარტავს, რომ კანონმდებელი იღებს სისხლის სამართლის კანონს, პროკურორები აღასრულებენ მას, ხოლო მოსამართლეები მის ინტერპრეტაციას ახდენენ. ხელისუფლების ყველა შტო მოწოდებულია გააკონტროლოს სხვები. სინამდვილეში ასე არ ხდება. ფაქტობრივად, ამერიკული სისხლის სამართლის ისტორია კანონმდებელსა და პროკურორებს შორის მდუმარე თანამშრომლობის ისტორიაა. თითოეული მათგანი იღებს სარგებელს დანაშაულთა რაოდენობის ზრდისაგან. ეს უკავშირდება მოსამართლეთა მზარდ მარგინალიზაციას. მათ ისღა რჩებათ, რომ არჩევანი გააკეთონ ზოგად ნორმასა და სპეციალურ ნორმას შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. სტანტზი თვლის, რომ ასეთი სიტუაცია უფრო მკაცრი სასჯელების გამოყენების ბიძგია[45]

უ. სტანტზი ამ **პრობლემის მოგვარების ორ გზას ხედავს: პირველი** – სულ მცირე, საპროკურორო დისკრეციის შეზღუდვა; **მეორე** – სისხლის სამართლის დეპოლიტიზაცია ან სისხლის სამართლის კონსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს სასამართლოსათვის მეტი კანონშემოქმედებითი ძალაუფლების მინიჭებას.

ამერიკელი მეცნიერი სისხლის სამართლის დეპოლიტიზაციას ეჭვის თვალით უყურებს. იგი იხსენებს, რომ აშშ-ში სისხლის სამართლის კოდექსები მოდალური კოდექსის ანალოგიით შეიცვალა. შტატების უმრავლესობამ მოდალური კოდექსის რიგი ნორმები გადაიღო, თუმცა ამით მათი კანონმდებლები არანაირად არ შეზღუდულან. მათ კვლავ განაგრძეს კოდექსებში ცვლილებების შეტანა.

საინტერესოა და მნიშვნელოვანია უ. სტანტზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ აშშ-ში კანონმდებლები სისხლის სამართლის კონტროლის განხორციელებას ამერიკული სამართლის ინსტიტუტის ექსპერტებს არ დაუთმობენ.

ასევე საინტერესოა ირლანდიელი მეცნიერის ტომ ო'მეილის პოზიცია, რომელიც თავის ნაშრომში ეხება სასჯელის დანიშვნის პრინციპებთან დაკავშირებით არსებულ ზოგიერთ ბოლოდროინდელ პრაქტიკას. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში ირლანდიაში გატარებული რეფორმის საფუძველზე აქცენტი გაკეთდა ლმობიერი სასჯელისაგან განსხვავებით უფრო მკაცრი სასჯელების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ავტორი არ იზიარებს ამგვარ მიდგომას და მხარს უჭერს უფრო გააზრებული, ნაკლებად მკაცრი სასჯელების გამოყენებას. მიესალმება იმას, რომ უკვე 21-ე საუკუნის პირველივე წლებიდან დაწყებული გაიზარდა ნაკლებად მკაცრი სასჯელების გამოყენების ტენდენცია.

---

[44] William J. Stuntz, The Pathological Politics of Criminal Law, Michigan law Review (Vol. 100-505 December, 2001) p. 582-585.

[45] William J. Stuntz, The Pathological Politics of Criminal Law, Michigan law Review (Vo. 100: 505 December 2001), p. 510-514

ტომ ო'მეილს მოჰყავს ამის დასადასტურებლად მაგალითები ირლანდიის სასამართლო პრაქტიკიდან, მაგრამ ამავე დროს თვლის, რომ ზემდგომ სასამართლოს სააპელაციო წესით საქმის გადასინჯვისას არ უნდა ჰქონდეს უფლება გაზარდოს შეფარდებული სასჯელის ზომა იმ მოტივით, რომ ქვემდგომ სასამართლოს შეეძლო დამნაშავისათვის უფრო მაღალი სასჯელის შეფარდება; სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ მაშინ უნდა ჰქონდეს უფლება გაამკაცროს სასჯელი, თუ ქვემდგომი სასამართლოს სასჯელი აშკარად ზედმეტად ლმობიერი და მცირეა.[46]

დამნაშავეობასთან სისხლისსამართლებრივი საშუალებით ბრძოლის წარმატება მნიშვნელოვნად განპირობებულია კანონმდებლობაში ისეთ საშუალებათა სისტემის ოპტიმალური აგებით, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დიფერენციაციასა და ინდივიდუალიზაციას. ამიტომაც სამართალდამცავ ორგანოებს და პირველ რიგში, სასამართლოს უნდა ჰქონდეს სასჯელის სფეროში არჩევანის შესაძლებლობა, რათა კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ განხორციელებულმა სასჯელის მიზნებმა მაქსიმალური ეფექტი მოგვცეს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა და გულისხმობს სასამართლოს მიერ ყველა იურიდიულად მნიშვნელოვან გარემოებათა აუცილებელ გათვალისწინებას. აქ იგულისხმება როგორც თვით ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ისე მისი ჩამდენი სუბიექტი. თითოეულ დანაშაულს და ასევე მის ჩამდენ პირს აქვთ მათთვის დამახასიათებელი განუმეორებელი ინდივიდუალური თავისებურებანი, რითაც ისინი განსხვავდებიან თავისი ხასიათით და სოციალური საშიშროებით. ამიტომ კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მისი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას და მისთვის სასჯელის შეფარდებისას ერთობლიობაში გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტულ დანაშაულში ამ პიროვნების ეს თვისებები და ჩადენილი დანაშაულის საშიშროება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მკაცრი ინდივიდუალიზაცია ხორციელდება სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაში. იგი დიალექტიკურად არის დაკავშირებული მასთან. ინდივიდუალიზაცია გარკვეულწილად ავსებს, აკონკრეტებს და აღრმავებს მას. სასჯელის მიზნების მიმართ ყველა პრინციპი ასრულებს სამართლებრივ როლს, ვინაიდან ამ პრინციპებზე აგებული სწორად შერჩეული სასჯელი ოპტიმალურად მიესადაგება სასჯელის მიზნების განხორციელებას და ქმნის ყველაზე ხელსაყრელ ბაზას სასჯელისათვის სავალდებულო სოციალური ეფექტის მისაღწევად.

პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის რეგლამენტაცია სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა. სამართლიანობა, კანონიერება, ბრალეული პასუხისმგებლობა, კანონის წინაშე ყველას თანას-

[46] Tom O'Malley, Principles of Sentencing; Some Recent Developments, Judical Studies Insitute journal (1:1 2001), p. 52-53

წორობა, ჰუმანიზმი, ყოველივე აღნიშული შეადგენს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების გამოყენების მეთოდოლოგიურ, იდეურ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს საქმიანობის არსს სასჯელის ინდივიდუალიზაციის სფეროში. ასევე სამართალდამცავი ორგანოების სავალდებულო რეაგირებას მსჯავრდებულის იურიდიულად მნიშვნელოვან პოსტდანაშაულებრივ ქცევაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს სუბიექტის სამართლებრივი სტატუსის შეზღუდვის მოცულობის შეცვლას პოზიტიური ქცევის დროს, ან პირიქით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შეზღუდვის დაწესებას.

სასჯელის შეფარდება არ უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას; იგი რაციონალური უნდა იყოს, და რაც მთავარია, სასამართლომ რეალურად უნდა უზრუნველყოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარება. **სასჯელის დანიშვნის დისკრეცია არსებობს მაშინ,** როდესაც გადაწყვეტილების მიმღებს შეუძლია არჩევანი გააკეთოს ორ ან მეტ სამართლებრივად დასაშვებ ვარიანტს შორის იმგვარად, რომ გავლენას ახდენდეს სისხლისსამართლებრივ სანქციაზე, რომელიც მისი რწმენით სამართალდამრღვევს შეიძლება დაეკისროს. სასჯელის დანიშვნის დისკრეცია ხორციელდება არა მხოლოდ მოსამართლეთა, არამედ სამართლის განმხორციელებელ სხვა პირთა (პროცესის მონაწილეთა) მიერ, რომელთა გადაწყვეტილებას გავლენა აქვს სასჯელის დანიშვნის შედეგზე, მათ შორის, პროკურორებს.[47] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში (მ. 259) ხაზგასმულია განაჩენის სამართლიანობის პრინციპი. მასში ვკითხულობთ: „1. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი; 2. სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში; 3. სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს; 4. სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეს".

როგორც ვხედავთ, საპროცესო კანონმდებლობაში ხაზგასმულია, რომ მოსამართლის მიერ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინება და სასჯელის სწორად დანიშვნა არ არის საკმარისი, თუ განაჩენში სასჯელის დასაბუთების ნაწილში არ არის არგუმენტირებული სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის გამოყენება. თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდება, იგი მაღალი ალბათობით განაჩენის უარყოფითად შეფასების წინაპირობად შეიძლება იქცეს.

[47] Ely Aharonson, Determinate Sentencing and American Exceptionalism: The Underpinings and Effects of Cross-National Differences in the Regulation of Sentencing Discretion, Law and Contemporary Problems, (Vol. 76: 161 N.1 2013, p. 161

სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათია, რომ საკასაციო საჩივარში მსჯავრდებული აფიქსირებდეს, რომ დანაშაულში მის თანამონაწილეს გაცილებით უფრო მსუბუქი სასჯელი შეეფარდა მაშინ, როდესაც მისი დანაშაულში მონაწილეობა უფრო ნაკლები საშიშროებისა იყო. ამიტომაც სავალდებულოა, რომ მოსამართლემ განაჩენში მკაფიოდ, კვალიფიციურად ასახოს და დაასაბუთოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაირღვეს სასჯელის სამართლიანობის სტანდარტი.

საქართველოში სასამართლო პროცესების მონიტორინგის უკანასკნელ ანგარიშში ასახულია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებასთან დაკავშირებული ხარვეზები და მათ გამოსწორებაზე მიმართული რეკომენდაციები[48] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „სასამართლოში საქმის წარმოებისას, სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი დასაბუთება აძლევს საშუალებას ბრალდებულს, გაიგოს მისი მსჯავრდების განმაპირობებელი მიზეზები... დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიზანია იმის დემონსტრირება, რომ მხარეების არგუმენტები მოსმენილი და გათვალისწინებული იქნა და შესაბამისად მხარეებისათვის სასამართლო გადაწყვეტილება უფრო მისაღები ხდება, გარდა ამისა, მოცემული პრინციპი ავალდებულებს მოსამართლეებს თავიანთი მსჯელობა ობიექტურ არგუმენტებზე დაამყარონ და დაცვის უფლებები გაითვალისწინონ... გადაწყვეტილება ნათელი დემონსტრირება უნდა იყოს იმისა, რომ საქმის არსებითი გარემოებები განხილული და გათვალისწინებული იქნა[49] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არცთუ იშვიათად დადგენილია დარღვევები სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის გამო; მაგალითად, სასამართლომ დაადგინა დარღვევა განაჩენის არასაკმარისი დასაბუთებულობის გამო, რამდენადაც სასჯელის შეფარდებისას დარღვეული იყო ინდივიდუალიზაციის პრინციპი და მსჯავრდებულს შეეფარდა ორმოცწლიანი თავისუფლების აღკვეთა[50]; ან კიდევ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება არ იყო ნათლად დასაბუთებული და მასში შეუსაბამობა არსებობდა[51] .

სასჯელის ინდივიდუალიზაციის მიზანი არ არის მხოლოდ დარღვეული უფლებების აღდგენისაკენ მიმართული სასამართლოს საქმიანობა და სამართლიანობის აღდგენა. სასჯელის მიზნის მიღწევა ასევე მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული დამნაშავის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციასთან. სასჯელის სახისა და ზომის შერჩევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვისი მისამართით ხორციელდება იგი. სასჯელის ინდივიდუალიზაციის არსს,

[48] იხ. 2014 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებული ანგარიში, გვ. 85-89; http://www.osce.org(odihr)130676download=ru

[49] Bolden V. Romania, no. 1997/02, §30,15; 2007 წლის თებერვალი)". (თახქნეტ V. Belgium {GC}, §89

[50] Ajdaric v. Croatia, no. 20883/09, 2011 წლის 13 დეკემბერი

[51] Tatishvili v. Russia, no 1509/02, 2007 წლის 22 თებერვალი

შეიძლება ითქვას, წარმოადგენს სასჯელის პიროვნებაზე ზუსტად მორგება, როგორც მისი მომავლის საფუძველი, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიღწევის შესაძლებლობის აღიარება. იგი განპირობებულია სოციალურად დადებითი თვისებების ზემოქმედების აღქმის შესაძლებლობით, დამნაშავის დადებითი ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის მიუხედავად.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება სასჯელის არჩევასთან დაკავშირებით დამნაშავე პირის ყოველმხრივ შესწავლას ეფუძნება. მისი პიროვნების სისხლისსამართლებრივ ასპექტში გამოკვლევის მოცულობა და შინაარსი, სოციალური ნიშნები და ფსიქოლოგიური ანალიზი უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული დანაშაულებრივ ქმედებასთან. ზოგჯერ დანაშაული ლოგიკურად ამთავრებს პიროვნების ასოციალურ მიმართულებას, სხვა შემთხვევაში კი პირიქით, წინააღმდეგობაშია პირის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნიშანთან. სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად სასამართლო უნდა ფლობდეს პიროვნების უამრავ მახასიათებლებს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ სასამართლო პრაქტიკაში პიროვნების დახასიათება ხშირად ამოიწურება მისი სამსახურიდან, მეზობლებიდან მიღებული მოკლე დახასიათებით, რაც ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს. ეს ნამდვილად დაუშვებელია, რამდენადაც რეალურად მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სასჯელის განსაზღვრის დროს. ამიტომაც პირისათვის მიცემული დახასიათება შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც შემამსუბუქებელ, ისე დამამძიმებელ გარემოებად. ამისათვის სასამართლო ვალდებულია კარგად აწონ-დაწონოს მოცემული დახასიათების შინაარსი, ვის მიერაა გაცემული ეს დახასიათება, რამდენად ქმნის იგი ზუსტ სურათს ამ პირის შესაფასებლად, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს დახასიათება გამომდინარე საქმის გარემოებებიდან, დახასიათების შინაარსის გათვალისწინებით.

ამიტომაც, სისხლისსამართლებრივი ლიბერალიზაციის წარმატებული განხორციელებისათვის დღეს მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია სასჯელის, მისი მიზნების, სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზმის პრინციპის მეცნიერული კვლევა. სასჯელის ინდივიდუალიზაცია ობიექტურად აუცილებელია და სოციალურად განპირობებული. იგი სათავეს იღებს სამართლიანობის კატეგორიაში. **არ შეიძლება იყოს სასჯელი სამართლიანი, თუ იგი ინდივიდუალიზებული არ არის.** სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის სისტემაში სასჯელის ინდივიდუალიზაცია ზოგადი პრინციპის სტატუსის დონემდეა აყვანილი და სწორედ ამგვარად ჰპოვა მან გამოკვეთილი ადგილი თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია რეალურად მუშაობს სისხლის სამართლის სისტემაში, პოლიტიკისა და სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან სრულ ჰარმონიაში.

სისხლის სამართლის კოდექსებში, როგორც წესი, არ არის განსაზღვრული სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცნება. თეორიაში ეს პრინციპი ხშირად უსაფუძვლოდ ვიწროდ განიმარტება. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერი ცნების განმარტებისას შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი დამნაშავის საშიშროების შესაბამისი უნდა იყოს. სხვები თვლიან, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს სასჯელის ისეთი ზომის გამოყენებას, რომელიც შეესატყვისება ქმედების საშიშროებას, ბრალდებულის პიროვნებას და დამამძიმებელ გარემოებებს[52].

ვფიქრობთ, რომ არ არის მართებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობის შემოფარგვლა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებით. კანონმდებელი სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცნებაში ფაქტობრივად გულისხმობს არამარტო სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, არამედ კანონში მითითებული უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას ან სხვა უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლას, ან კიდევ პირობითი მსჯავრის გამოყენებას და სხვა. სასჯელის ინდივიდუალიზაციისას სასამართლოს შეუძლია გასცდეს კონკრეტული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის მაქსიმალურ ზომას დანაშაულთა თუ განაჩენთა ერთობლიობის დროს.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის სხვადასხვა ფორმების, საშუალებების და ეტაპების რთული ხასიათიდან გამომდინარე, მათი შეთავსება ვლინდება მისი ფარგლების რეგლამენტაციის თავისებურებებშიც. **შესაძლო ფარგლებთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ ინდივიდუალიზაციის შემდეგი ფორმები:** 1) სასჯელის ინდივიდუალიზაცია სსკ-ის კერძო ნაწილის სანქციის ფარგლებში; 2) კერძო ნაწილის სანქციის შეცვლა ზოგადი ნაწილის ფარგლებში; 3) კერძო ნაწილის ფარგლებიდან გამოსვლა როგორც სასჯელის დამძიმების, ისე მისი შემცირებისას; 4) დამნაშავე პირის გათავისუფლება სასჯელისაგან.

სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაციისათვის უფრო მეტი შესაძლებლობაა კერძო ნაწილის ნორმებში, რამდენადაც სასამართლოს შეუძლია იგი განახორციელოს ნორმის სანქციის ფარგლებში. ეს შესაძლებლობა მცირდება იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო ნაწილის ნორმაში რეგლამენტირებული სასჯელის ფარგლები კორექტირებულია ზოგადი ნაწილის ნორმებით: სანქციის მაქსიმალური ზომის შემცირებით ან მინიმალური სასჯელის ზომის გაზრდით.

სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეუძლია კოდექსის კერძო ნაწილის ნორმით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მცირე სასჯელი დანიშნოს. ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენების უფრო რადიკალურ ფორმას აქვს ადგილი, როდესაც ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის სასჯელისაგან გათავისუფლება. სასჯელის ინდი-

[52] Кругликов Л.Л., Смягчающие и отягчающие обстоятельства в Советском уголовном праве, Ярославль, 1977, с. 29

ვიდუალიზაციის ეს ფორმა განსაკუთრებული და ექსტრაორდინალურია. ამის-და მიუხედავად კანონმდებელი მას ითვალისწინებს და ამით შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ასცდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის სანქციის ფარგლებს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გარდა, **კანონმდებელი ასევე ითვალისწინებს სასჯელის ინდივიდუალიზაციის დამატებით კრიტერიუმებსაც** დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, თანამონაწილეთათვის, დანაშაულის რეციდივის დროს და სხვა.

სასჯელის ინდივიდუალიზაციისადმი მიძღვნილი ნაშრომებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაადასტურა, რომ სისხლისსამართლებრივ კატეგორიათა სისტემაში სასჯელის ინდივიდუალიზაცია განმარტებულია, როგორც სისხლის სამართლის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლოს სპეციფიკური საქმიანობა სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებთან შესაბამისობაში კონკრეტული პირისათვის სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრა.

აქედან გამომდინარე, საჭიროა **მოკლედ შევეხო დამნაშავის პიროვნებასაც.** დამნაშავის პიროვნება, ისევე როგორც ყველა ადამიანის პიროვნება წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო, კონკრეტულ-ისტორიულ, ინდივიდუალურად განსაკუთრებულ და რთულ უნიკალურ ნაერთს. ამიტომ თითოეული პიროვნება განსაზღვრული სოციალური ტიპია, რომელიც შესწავლილი უნდა იქნეს მისი მოქალაქეობრივი, მორალურ-ეთიკური, პოლიტიკურ თვისებათა ჭრილში.

პირს სასჯელი ეკისრება არა მარტო ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ იგი მიმართულია მისი სოციალური ჩვევის შეცვლისაკენ. სწორედ ამაში გამოიხატება სასჯელის სოციალური ფუნქცია. ეს ფუნქცია ახასიათებს სასჯელის ინდივიდუალიზაციასაც. სასჯელის ინდივიდუალიზაციის გარეშე სასჯელის მიზანი ვერ იქნება მიღწეული. გარკვეულ ეტაპზე სასჯელის ინდივიდუალიზაცია გადაიზრდება ინდივიდუალურ სასჯელში, რაც შეესატყვისება სასჯელის მიზანს. მაგრამ **სასჯელის ინდივიდუალიზაცია და სასჯელის დანიშვნა ერთიდაიგივე არ არის.** სასჯელის დანიშვნა უფრო ფართო ცნებაა. სასამართლო სასჯელის შეფარდებისას ხელმძღვანელობს ბრალეულობის, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის და სხვა მნიშვნელოვანი პრინციპებით. ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული „ზოგადი საწყისების" ანალიზი. ამდენად, სასჯელის ინდივიდუალიზაცია წარმოადგენს სასჯელის დანიშვნის დასკვნით ეტაპს, როდესაც გათვალისწინებულია კანონის ყველა სხვა მოთხოვნა და განისაზღვრება სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა კონკრეტული დანაშაულისათვის.

ცხადია, იდეალური იქნებოდა, რომ ინდივიდუალობის თეორიიდან გამომდინარე, თითოეული დამნაშავე შესწავლილიყო სპეციალურად მისთვის შემუშავებული მეცნიერული პროგრამით ამ ინდივიდის სულიერი და ფიზიკური ორგანიზაციის საფუძველზე[53]. მაგრამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა პრაქტიკულად

[53] Путкин А.А., Кузьмичева Л.А., Правоведение, 1985, N1, с.96

შეუძლებელია.

საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს სასჯელის გამოყენების სფეროს შემცირება. ადამიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის განხორციელება აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი სამართალდარღვევა მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. სხვა შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის არამარტო მკაცრი სასჯელის, არამედ საერთოდ სასჯელის გამოყენება.

პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სათანადო სანქციას, კერძოდ, სასჯელის სახესა და მის ზომას. ამ სანქციის ზღვარი ზოგჯერ საკმაოდ ფართოა, ამიტომაც სასამართლო ვალდებულია, დადგენილი სანქციის ფარგლებში დამნაშავეს მიუსაჯოს კონკრეტული სასჯელი. ანუ სასჯელის შეფარდება უნდა ასახავდეს საკანონმდებლო და კანონგამოყენებითი საქმიანობის თანაფარდობასა და შეხამებას.

სასჯელის შეფარდებისას სასამართლოს ვალდებულებაა ინდივიდუალურად მიუდგეს პირისათვის მის დადგენას. სასჯელი უშუალო ზეგავლენას ახდენს არამარტო გარეგან ობიექტურ პირობებზე, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის არსებობას, არამედ იგი ადამიანის სათანადო ქცევის სტიმულირების ხელშემწყობია, ანუ თავს შეაკავებინებს პირს საზოგადოებისათვის მავნე ქცევის ჩადენისაგან.

როგორც უკვე აღინიშნა, **სასჯელმა თავის მიზანს მაშინ შეიძლება მიაღწიოს, როდესაც იგი მიზანშეწონილი, თანაზომიერი და სამართლიანია**. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს, რომ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპით. ვინაიდან სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა და რესოციალიზაციაა, სასჯელი უნდა შეესატყვისებოდეს პირის ინდივიდუალურ ბრალს, იყოს ჰუმანური და მიზანშეწონილი. სამართლიანი სასჯელის დასადგენად მნიშვნელოვანი პირობაა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სწორი იურიდიული შეფასება.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონის, საქმეზე არსებული ყველა გარემოების შესწავლას და თავისი შინაგანი რწმენით განმტკიცებული კონკრეტული სასჯელის ღონისძიებას განსაზღვრას.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკაში მისი გამოყენების თვალსაზრისით, განხილული უნდა იქნას მატერიალური სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროკავშირის ქვეყნების სისტემასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

სისხლის სამართლის პოლიტიკა პრაქტიკულად, მიზნად ისახავს საზოგადოებაში დანაშაულის ფენომენის შემცირებას. ამ მიზანს ემსახურება პრევენციის ზომები, როგორც რეაქცია ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ. მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის ადექვატურობას, ანუ სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი რეაქცია დანაშაულზე ინდივიდუალიზე-

ბული უნდა იქნას. **სასჯელის ინდივიდუალიზაცია არა მხოლოდ სამართლიანი სასჯელის დადგენის პრინციპია, არამედ კანონის და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნის შესრულების ეფექტიანობის აუცილებელი პირობა.** ამიტომაც, სისხლის სამართლის პოლიტიკისა და სისხლის სამართლის სისტემაში სასჯელის ინდივიდუალიზაცია ზოგადი პრინციპის სტატუსის დონემდეა აყვანილი. ფაქტობრივად, იგი ასეა ასახული ევროპული ქვეყნების მატერიალურ სისხლის სამართალში.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი 132-24-ე მუხლი ადგენს ინდივიდუალიზაციის ზოგად კრიტერიუმს, მიუთითებს რა, რომ სასამართლოს კანონით დადგენილ ფარგლებში გამოაქვს სასჯელი, რომელიც ეფუძნება და ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის გარემოებებსა და დამნაშავის პიროვნებას.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მითითებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის ზოგად კრიტერიუმებზე, თუმცა, მასში სასჯელების სამართლებრივი ჩარჩო ძალიან ფართოა, რაც ხელს უწყობს სასჯელის დანიშვნისას მის ინდივიდუალიზაციას ქმედებისა და დამნაშავე პიროვნების მახასიათებლებიდან გამომდინარე[54].

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაცია მუშაობს სისხლის სამართლის სისტემაში და იგი სრულ ჰარმონიაშია სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან. პროფ. იონა რისტი, ეხება რა სასჯელის მიზნებს და მასში გულისხმობს დამნაშავის შეზღუდვას, ბოჭვას, ახალი დანაშაულის პრევენციის ფუნქციას და სამართალდამრღვევის ხელახალ აღზრდას, ჩერდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპზე და როგორც თვითონ აღნიშნავს **სასჯელის ზუსტად „მორგების" აუცილებლობაზე**. იგი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობაში სასჯელი არ უნდა იყოს იმპერატიულად დადგენილი. ავტორი იურიდიული ლიტერატურის მოშველიებით განმარტავს სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცნებას, როგორც ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასჯელის მოდიფიცირებას, კონკრეტიზაციას, მის ისეთ აღსრულებას, რომ მისი მიზნები მიღწეულ იქნას. იგი თვლის, რომ დამნაშავისათვის სასჯელის „მორგება" უნდა მოხდეს მისი ინდივიდუალიზაციის საფუძველზე, ხარისხობრივი მაჩვენებლის პროპორციულად განსაზღვრული დანაშაულის სახისა და ყველა გარემოებათა მხედველობაში მიღებით.[55]

სასჯელის „მორგებაუნარიანობით" (გადატანითი მნიშვნელობით-ინდივიდუალიზაციით) ხდება სასჯელის მიზნების რეალიზაცია, ანუ მისი სისრულეში მოყვანა. სხვადასხვა დანაშაული სოციუმისადმი საფრთხის ხარისხით არის განსხვავებული და თვით დამნაშავენიც ფსიქოლოგიურად და მორალურად გან-

[54] John Ifrim, Various Techniques of Individualizing Punishments in the New Criminal Law, Proceedings of the Challenges of the knowledge Society Conference, Volume 2011, p. 101

[55] Ristea Ion, Considerations on the concept of Personalizing the penalties. Lex ET Scientia Internation Journal, Issue No. XX, Vol. 2/2013/ p. 136-137.

სხვავდებიან ერთმანეთისაგან. ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემები, ასაკი, კულტურა, ქცევა, თანამდებობა თითოეული დანაშაულის ინდივიდუალიზაციას განაპირობებს. სასჯელი ვერ შეასრულებს პრევენციის ფუნქციას, თუ ყველა ზემოაღნიშნული გარემოება არ იქნება გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შურისძიებად გადაიქცევა. სასჯელი ადაპტირებული **უნდა იქნას დამნაშავის პიროვნების ბუნებასთან**. იგი არ უნდა იწვევდეს მის უფრო მეტად გარყვნას. ამავე დროს სასჯელის ინდივიდუალიზაცია უნდა ეფუძნებოდეს მისი ქმედებით გამოწვეულ სოციალური მნიშვნელობის ზიანს, ასევე იმას, თუ რამდენად მზაკვრულ და კომპლექსურ ხასიათს ატარებდა მისი ქცევა[56].

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება ინდივიდუალიზაციის პრინციპის სასჯელის პერსონიფიცირების პრინციპით ჩანაცვლების თაობაზე. ეს პოზიცია, ეყრდნობა სასჯელის განხორციელების მატერიალიზაციას და სხვა გარემოებებთან ერთად საბუთდება იმით, რომ რიგ სისხლის სამართლის კოდექსებში სამართლის სუბიექტად პიროვნების გარდა აღიარებულია იურიდიული პირიც. ამ იდეის ავტორები თვლიან, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარი არ არის ინდივიდზე, იურიდიული პირის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ხორციელდება სასჯელის პერსონიფიცირება.

ფრანგულ კოდექსში, მაგალითისათვის, გამოიყენება ტერმინი „პერსონალიზაცია" „ინდივიდუალიზაციის" ნაცვლად, რადგან ეს უკანასკნელი მიესადაგება მხოლოდ ადამიანს, ინდივიდს და არა იურიდიულ პირებს, რომლებიც ფრანგული სისხლის სამართლის მიხედვით შესაძლოა იყვნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები[57]

სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპის სასჯელის პერსონალიზაციის ტერმინით შეცვლისას ფაქტობრივად სასჯელის ადექვატურობის აუცილებლობა ისევ სავალდებულოდ რჩება. ახალი ტერმინის შემოღებით ბუნდოვანი გახდება თვით ის კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც გულისხმობს სასჯელის ინდივიდუალიზაციას.

ამის არგუმენტირება ეფუძნება ქართველ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილის პოზიციას, რომლებიც მიზანშეუწონლად მიიჩნევენ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. სამწუხაროდ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ გზას ბოლომდე არ ადგას. არც თუ იშვიათად გვხვდებოდა შემთხვევები დამნაშავეთა მიმართ (განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ) ისეთი სადამსჯელო ღონისძიებათა გამოყენებისა,

[56] იონა რისტი, გვ. 137

[57] Theodore Papatheadoru, De Individualisation, des peines et la personalization de Sanctions, Revue international de criminology ed de police technique, No. 1/1993, p. 109.

რომლებიც არ შეესატყვისება ჩვენ მიერვე საკანონმდებლო წესით დადგენილი სასჯელის მიზნებს.

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი და შეფასებული უნდა იქნას ზრდასრულ ადამიანთა ნეგატიური ზემოქმედების არსებობა (თუ ასეთი რამ სახეზეა), ასევე მისი ცხოვრებისა და ყოფის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე და სხვა მრავალი გარემოება. მათ შორის ისეთი, როგორიცაა ასაკი. რაც უფრო მცირე ასაკისაა არასრულწლოვანი, მით უფრო წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული მისი ასაკი, როგორც სასჯელის ინდივიდუალიზაციის სავალდებულო პრინციპი.

თოთხმეტი წლიდან თვრამეტ წლამდე ასაკი საკმაოდ გრძელი პერიოდია, იგი ოთხ წელს მოიცავს, რაც პიროვნების განვითარებისათვის დიდი ეტაპია. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ არასრულწლოვნის მიერ თვრამეტ წლამდე დანაშაულის ჩადენისას ამ გარემოებას მივუდგეთ როგორც ხარისხობრივად განსხვავებულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას. ამასთან, არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოსდა პირის არასრულწლოვნება ყოველთვის მისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებისათვის პანაცეას წარმოადგენს. პრინციპულად გაუმართლებელია მხოლოდ არასრულწლოვნობის, როგორც შეღავათის გამოყენება. არასრულწლოვნობის ამგვარი გაგება სოციალური სამართლიანობიდან გადახვევის, სასჯელის დიფერენციაციისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევას გულისხმობს.

ცხადია, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილებული პირები სათანადოდ უნდა იყვნენ დასჯილნი. მაგრამ მათ მიმართ სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მთელი რიგი ისეთი გარემოებებისა, რომლებიც პირდაპირ სისხლის სამართლის კოდექსით, კერძოდ, სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით არის გათვალისწინებული.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში და არ შეიძლება განისაზღვროს მოსამართლის მიხედულებით. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს არ ჰქონდეს საკმარისი თავისუფლება, რათა შეეძლოს ყველა კონკრეტული დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებისა და შეფასებისას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პირის ბრალეულობის საკითხი. სასჯელი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ იგი რაც შეიძლება გონივრულად, სამართლიანად და მიზანშეწონილად უზრუნველყოფდეს იმ მიზნების მიღწევას, რისთვისაც იგი ინიშნება და არსებობს. სისხლისსამართლებრივი ინდივიდუალიზაციის დროს სასამართლო მიხედულების საზღვრების გაფართოების ტენდენციამ შეიძლება მიგვიყვანოს აშკარად მოუფიქრებელ გადაწყვეტილების მიღებამდე.

იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. ი. ნოის მიერ გამოთქმული იყო მეტად სადავო მოსაზრება, რომელიც სავსებით სამართლიანად უარყოფილი იქნა სხვა მეცნიერთა მიერ. ი. ნოი თვლიდა, რომ კონკრეტული დანაშაულისათვის კონკრეტული სასჯელის შეფარდების ლოგიკურად დასაბუთება საერთოდ შეუძლებელია და რომ მოსამართლე სასჯელს უსჯის არა გონიერი, არამედ ემოცი-

ური პოზიციიდან[58].

შესაძლოა და დასაშვები, რომ მოსამართლე სასჯელის შეფარდებისას ერთგვარად ემოციურად იყოს განწყობილი ამა თუ იმ გამოთქმული პოზიციის მიმართ, ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა, მაგრამ სასჯელის შეფარდება, რა თქმა უნდა, გონივრული და დასაბუთებული უნდა იყოს.

უნდა შევნიშნო, რომ არცთუ იშვიათად ამას ხელს უწყობს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელთა ზომის ამპლიტუდის არასრულყოფილად განსაზღვრა, რაც გასაქანს აძლევს მოსამართლეს თავისი მიხედულებით გამოიყენოს სასჯელის ესა თუ ის ზომა. ჩვენ სინამდვილეში ეს საკითხი პრობლემურია, მას უფრო დაწვრილებით და მაგალითების მოშველიებით შემდგომ დავასაბუთებ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინგლისურ სისხლის სამართალში, მიუხედავად საერთო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკისა და სამოსამართლო სამართლის ინსტიტუტის არსებობისა, რიგ შემთხვევებში კანონით არის განსაზღვრული ამა თუ იმ დანაშაულისათვის მაქსიმალური სასჯელი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა აზრით, ინგლისური სამართლით სასჯელის შეფარდების სფეროში ძირითად წყაროს წარმოადგენს კანონმდებლობა, გაიდლაინები და სასამართლო გადაწყვეტილებები. ასევე შედარებით უფრო ნაკლებად მეცნიერ იურისტთა ნაშრომები. თუმცა, ბოლო წლებში, როგორც ინგლისელი მეცნიერები აღნიშნავენ, შეინიშნება როგორც მეცნიერ, ისე პრაქტიკოს ავტორთა ნაშრომების რაოდენობის ზრდა, რომლებიც კომენტარს უკეთებენ სამეფო და მაგისტრატ მოსამართლეთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნება სასჯელის შეფარდებაზე გაიდლაინების მზარდი გავლენა, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო წლებში ასევე გაიზარდა სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული კანონმდებლობაც. ენდრიუ ეშვორსი მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასჯელის შეფარდება ეჭვქვეშ დადგება, თუ მაქსიმალური დისკრეცია დარჩებათ მოსამართლეებსა და მაგისტრატებს.[59]

ასევე მეტად მნიშვნელოვანია, ის გარემოება, რომ დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო ხელისუფლება სულ უფრო მეტად იჭრება იმ სფეროში, რომელიც ადრე სამოსამართლო დისკრეციას ექვემდებარებოდა. სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით, ინგლისელმა კანონმდებელმა, მაგალითად, მკვლელობისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთასთან ერთად განსაზღვრა სასჯელის შეფარდებისას გასათვალისწინებელი რამოდენიმე ნიშანი, რომელიც მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ სასჯელის ინდივიდუალიზაციის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში; ასევე კანონით განისაზღვრა ნარკოტიკის უკანონო ბრუნვისათვის მინიმალური სასჯელის ზომა – 7 წლით

[58] Ной И.С. Сущность и функции уголовного наказания в советском государстве, Саратов, 1973, с. 61-63

[59] Andrew Ashworth, Sentencing and Criminal Justice, Fifth edition, Cambridge University Press, New York, 2010. p. 25

თავისუფლების აღკვეთა. კანონში ასევე მითითებულია, რომ ეს სასჯელი შეიძლება შემცირდეს ოც პროცენტამდე, თუ პირი თავს დამნაშავედ ცნობს. კანონი ასევე უფლებას აძლევს მოსამართლეებს, გამოიყენონ სასამართლო დისკრეცია და დამნაშავეს შეუფარდონ სასჯელის უფრო დაბალი ზომა, თუ საქმეზე არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც „უსამართლოდ" გახდიან კანონით დადგენილი მინიმალური სასჯელის დანიშვნას.

ე. ეშვორსს მოყავს მაგალითი სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკიდან, რომელმაც ჩათვალა, რომ არ იქნებოდა სამართლიანი კანონით გათვალისწინებული იმ მინიმალური სასჯელის დანიშვნაც კი ნარკოტიკის გამსაღებლისათვის („მიმწოდებლისათვის"), რომელიც მეგობრის შუამავალი იყო და არა კომერციული დილერი.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ე. ეშვორსის პოზიცია, რომ მხოლოდ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება არ უნდა ჩაითვალოს იმ „გამონაკლის შემთხვევად", რომელიც სასჯელის შემსუბუქების საფუძველი გახდება. მასვე მოყავს ძალიან საინტერესო მაგალითი სასჯელის შეფარდებისას მისი ინდივიდუალიზაციის სავალდებულო გათვალისწინების შესახებ. ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელიც დადებითად ხასიათდებოდა, ღიად იყიდა ხელოვნური იარაღი ინტერნეტით. როგორც გაირკვა, მან არ იცოდა, რომ ის აკრძალული ცეცხლსასროლი იარაღი იყო. სასამართლომ სავსებით სამართლიანად შეისწავლა საქმის ყველა გარემოება და ეს ქმედება „გამონაკლის შემთხვევად" შეაფასა და მას სასჯელი ერთ წლამდე შეუმცირა მისი დაუყოვნებელი გათავისუფლების ნებართვით.

მეცნიერს მოყავს იარაღთან დაკავშირებული სხვა შემთხვევებიც; ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც დიდი ხანია „დაბლოკილი" იარაღის კოლექციონერი იყო, სხვენში ინახავდა ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებულ იარაღს, რომელიც აკრძალულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ე. ეშვორსი სამართლიანად მიიჩნევს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ იარაღის კოლექციონერის ქმედება არ შეიძლება მიეკუთვნოს „გამონაკლის შემთხვევას" იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირმა აღიარა დანაშაული. თუმცა ავტორი იქვე დასძენს, რომ ეს საკმაოდ მკაცრი დებულებაა (იქვე, გვ. 26-27).

სასჯელის დანიშვნის გადაწყვეტილებაზე ზოგჯერ გავლენას ახდენს თვით შესაფასებელი სამართლის ნორმის ბუნდოვანება. ამიტომაც სასჯელის დანიშვნის სამართლებრივი რეგულირება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმურობის გამოყენებისათვის ეფექტური უნდა იყოს. ამისათვის სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა განსხვავებულ მექანიზმებს იყენებს, მათ შორის სახელმძღვანელო პრინციპებს, სასამართლო ზედამხედველობის სხვადასხვა ფორმებს.

საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მითითებულ სასჯელის შეფარდების ზოგად საწყისებსა და სხვა ნორმებთან ერთად მოსამართლეთათვის სასჯელის შეფარდების სამართლიანობისა და ინდივიდუ-

ალიზაციის პრინციპის განსამტკიცებლად უზენაესმა სასამართლომ მიიღო სახელმძღვანელო წინადადებები, რომლებიც უთუოდ შეუწყობს ხელს ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებას[60].

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის სათანადო განხორციელება ზოგჯერ წმინდა სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული. სახელდობრ, პროფესიულ პოტენციალსა ან მის დეფორმაციაზე, რაც უკვე იურიდიული ფსიქოლოგიის სფეროა. საქართველოს სისხლის სამართლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თანაბარი სოციალური საშიშროების ხასიათის დანაშაული და დამნაშავის პიროვნების ერთნაირი მახასიათებლების და საქმის გარემოებათა არსებობისას სასამართლოში არცთუ იშვიათად ადგენენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახისა და ზომის სასჯელს. ზოგიერთი ამ პრობლემას საკითხის სირთულითა და მოსამართლის მიხედულებით ხსნის. მოსამართლის მიხედულება სასჯელის დანიშვნისას უნდა წარმოადგენდეს სამართლიანი სასჯელის რეალიზაციის გარანტს. ამ პრობლემის არსებობა ბევრი ფაქტორით არის განპირობებული, რომელთა შორის ერთ-ერთი ფაქტორია რამდენიმე შესაძლებელი და კანონიერი გადაწყვეტილების არჩევა.

სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც, როგორც აღვნიშნე, სისხლის სამართლის კოდექსის ერთიდაიგივე მუხლით მსჯავრდებულ პირებს სხვადასხვა ზომის სასჯელი ეკისრებათ. ამავე დროს სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელიდან არ ჩანს, თუ რატომ შეეფარდათ ასეთ დამნაშავეებს სასჯელის სხვადასხვა ზომა. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ა. იაშვილი მიუთითებს, რომ „სასამართლო პრაქტიკაში საკასაციო საჩივრებში მსჯავრდებულს არაერთხელ დაუფიქსირებია პოზიცია, რომ დანაშაულში თანამონაწილე მეორე პირს შეეფარდა უფრო მსუბუქი სასჯელი, ხოლო მას – გაცილებით მძიმე". იგი ასკვნის, რომ უმრავლეს შემთხვევაში ერთიდაიგივე საქმეზე განსხვავებული სასჯელის დაკისრებას აქვს მყარი სამართლებრივი საფუძველი და ემყარება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, თუმცა განაჩენში თუ არ არის ასახული ეს საფუძვლები და დასაბუთებული განაჩენი, გაურკვეველი რჩება, თუ რამ განაპირობა მოსამართლის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება[61]

მოსამართლის მიხედულების აქტუალობის პრობლემა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას; მათ შორის, მოსამართლის პოზიცია შეიძლება ეფუძნებოდეს იმ სამართლის ნორმას, რომელიც სასამართლო პრაქტიკის მიერ არჩეულია და გამოიყენება სადავო სიტუაციაში; მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი სამართლებრივი პოზიციის სასარგებლოდ ან არსებული სასამართლო პრაქტიკის არ-

[60] იხ. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ., 2015.

[61] ალექსანდრე იაშვილი, სასჯელის დასაბუთება, „სახელმძღვანელო წინადადებები", 2015, გვ. 212

გუმენტაციის გასამყარებლად. ყველა შემთხვევაში, სასჯელის შეფარდების ფარგლები განსაზღვრულია კანონით. ამიტომაცაა, რომ მატერიალური სისხლის სამართალი და საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ანიჭებს უფლებას, კანონზე დაყრდნობით განსაზღვროს სასჯელის სახე და ზომა თავისი შინაგანი რწმენისა და სამართლებრივი შეგნების ფარგლებში. აქ საინტერესოა მოვიყვანოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 (ნაწ. 5) მუხლში არსებული დებულება, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს კოდექსში ხარვეზის არსებობისას კანონის ანალოგიის გამოყენებას, „თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს“.

ამასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვით მაინც უნდა შევეხოთ იმ საერთაშორისო სამართლებრივ დებატებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1870-1930 წლებში მიმდინარეობდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ რა გავლენას ახდენდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შედეგი კანონიერების პრინციპსა და კანონის უზენაესობაზე.

ამ კუთხით მეტად მნიშვნელოვანია ამერიკელი მეცნიერის მიშელ რიფერის კვლევა. მის ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია იმ სამართლებრივ დოქტრინაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე მოსამართლის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე.

მეცნიერის კვლევა განუსაზღვრელი სასჯელის გამოყენების იდეას უკავშირდება. მასში აქცენტი გაკეთებულია **განუსაზღვრელი სასჯელის სისხლის სამართლებრივ დოქტრინაზე**, რომ განუსაზღვრელი სასჯელი საუკეთესო გზაა სისხლის სამართლის ინდივიდუალიზაციისათვის, რამდენადაც დასჯის საშუალებათა საკანონმდებლო იმპლემენტაცია უფრო მეტად მიმართულია და მიზნად ისახავს სოციალურ დაცვას, ვიდრე ინდივიდუალურ გარანტიებს. მისი ისტორიული კვლევა ნათელყოფს, რომ აშშ-ში და ევროპაში განუსაზღვრელი სასჯელის იდეა სხვადასხვაგვარად იქნა აღქმული ამერიკისა და ევროპის სამართლებრივი კულტურის განსხვავების გამო. ამ ორმა, ატლანტიკის ორ სხვადასხვა მხარეს არსებულმა სახელმწიფოებმა სასჯელთან დაკავშირებულ განსხვავებულ თეორიებს სხვადასხვაგვარი დატვირთვა მიანიჭეს „nullum crimen"-ს სამართლებრივი წესრიგის კუთხით. მიშელ რიფერი აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა სასჯელის პრევენციულ მიზანს მთლიანად შეეცვალა ტრადიციული რეპრესიული ფუნქცია, სამართლებრივი აზროვნება იძულებული გახდა მოეპოვებინა არგუმენტაცია კანონიერებაზე ნაწილობრივ უარის თქმის გასამართლებლად. სხვადასხვა თანამედროვე კვლევაზე დაყრდნობით მ. რიფერი ხაზს უსვამს იმ დებულებას, რომ კანონის უზენაესობა სისხლის სამართალში არასოდეს ყოფილა უცვლელი კონცეფცია, არამედ იყო ისეთი მეთოდი, რომელიც პოლიტიკურ მოთხოვნათა შესაბამისად თავის თავზე იღებდა მის დასაბუთებას (მ. რიფერი, გვ. 2-3).

პრევენციისა და რეაბილიტაციისადმი ახლებური მიდგომის საფუძველზე

აშშ-ის სასამართლოების მიერ განუსაზღვრელი სასჯელი კონსტიტუციურად იქნა ცნობილი და ლიტერატურაში საყოველთაოდ იქნა აღიარებული, როგორც „nullum crimen"-ის პრინციპთან შესაბამისი[62].

ასევე საკმაოდ საინტერესოა ელი აარონსონის მოსაზრება სისხლის სამართალში თანამედროვე ტენდენციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე იმ პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ ფაქტორებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლეთა დისკრეციას. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროპული სამართლებრივი ტრადიცია მიისწრაფვის შეამციროს სასამართლო დისკრეციის ფარგლები, და აქედან გამომდინარე, ეფუძნებოდეს კოდიფიცირებულ სამართლის ნორმებს, მაშინ როდესაც სასამართლო სისტემის ამერიკული კონცეფციები ჩვეულებრივ ასოცირდებიან სასამართლო კანონშემოქმედებასთან.

მეცნიერი ეხება რა გლობალიზაციის ეპოქაში ამერიკული მოდელების მიგრაციის გავლენას ეროვნული სისტემების პოლიტიკაზე, იშველიებს მაიკლ ტონრისა და ქეთლინ ჰატლესტადის გამონათქვამს (თუმცა აქვე დასძენს, რომ ისინი ამ პოზიციას არ იზიარებენ) რომ „სხვა ქვეყნებში რეფორმატორები ათი ან მეტი წლით გვიან მისდევენ ამერიკის ნაბიჯებს იგივე მიმართულებით და იმყოფებიან გზის სხვადასხვა საფეხურზე". ე. აარონსონი მიიჩნევს, რომ თუმცა გლობალური მასშტაბით ახალი ამერიკული მოდელების გავრცელება სხვა სამართლებრივი სისტემების მიერ ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ ეს მხოლოდ დროის საკითხია[63]. ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობასა და ფედერალურ სისტემაში უაღრესად ფართოდ არის ინტეგრირებული ე.წ. **ციფრული სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო პრინციპები**. დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, დამნაშავეობის პრობლემებზე პოლიტიკური დებატების მზარდი ამერიკანიზაციის მიუხედავად ამ მოდელმა გავრცელება ვერ პოვა. ფაქტობრივად არცერთმა სხვა ქვეყანამ არ მოახდინა და არ მიიღო ციფრული სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო პრინციპების ამერიკული ვერსია[64] სტივენ ნეფს, მრჩეველს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხებში, მოყავს აშშ-ის მაგალითი, სადაც მკვლელობისათვის სასჯელის შეფარდების ზომა განპირობებულია უამრავი გარემოებით. „სახელმძღვანელო მითითებები" ითვალისწინებენ პირველი ხარისხის მკვლელობის შემთხვევაში დანაშაულის 43 დონეს; მეორე ხარისხის მკვლელობისათვის გათვალისწინებულია დანაშაულის 38 დონე. უფრო დაბალია დონე (29) წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელო-

[62] Individualization of Punishment and the rule of law: Reshaping the Legality in the United States and Europe between the 19th and the 20th century; from the selected works of Michele Pifferi, January 2011, p. 2-5

[63] Ely Aharonson, Determinate Sentencing and American Exceptionalism: The underpinnings and Effects of Cross-National differences in the regulation of sentencing discretion, Law and Contemporary problems, (vol. 76; 161 N1, 2013, p. 161-164)

[64] ელი აარონსონი – დასახ. ნაშრომი, გვ. 271

ბისათვის და ა.შ. ყველა ეს დონე უკავშირდება როგორც დანაშაულის სიმძიმეს, ასევე მთელ რიგ სხვა გარემოებებს (დანაშაულის აღიარება, ბრალდებულის ქცევა და მრავალი სხვა).

სასჯელის შეფარდების **ამერიკული კონცეფციები ასოცირებულია სამოსამართლო კანონშემოქმედებისადმი პრაგმატულ მიდგომასთან.** ევროპული სამართლებრივი ტრადიცია, ამის საპირისპიროდ, ცნობილია მისწრაფებით შეამციროს სასამართლო დისკრეციის ფარგლები და დაეყრდნოს კოდიფიცირებულ სამართლის ნორმებს[65].

მიუხედავად ამერიკული და ევროპული მართლმსაჯულების პოლიტიკაში სასჯელის შეფარდების საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომისა, მთავარია, რომ ორივე სისტემა ემსახურება სამართლიანი სასჯელის შეფარდების მიზანს.

ამ საკითხთან დაკავშირებით შევჩერდები ენდრიუ აშვორსის მიერ ჩატარებულ მნიშვნელოვან კვლევაზე, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად სასჯელის დანიშვნისას მოსამართლის მიხედულების პრობლემას ეხება. იგი აღნიშნავს, რომ თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ სამართლის არსებული ფორმალური წყაროები განსაზღვრავენ სასჯელის შეფარდების პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენების გარკვეულ შიდა წესებს, მათი უნარიანად გამოყენების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მაინც სასამართლოს ხელშია.

სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული საკმაოდ ბევრი, წინააღმდეგობრივი საკითხი, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს მიერ, მაინც სასამართლოს დისკრეციის სასარგებლო არგუმენტად რჩება. ფაქტების სხვადასხვა კომბინაცია შესაძლოა აღმოჩნდეს მეტად მკაცრი და უსუსური გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად. ერთმანეთისაგან განსხვავებული საქმეების მსგავსმა განხილვამ დისკრეციის გარეშე შესაძლოა უსამართლო შედეგი გამოიწვიოს. ე. აშვორსი თვლის, რომ ამგვარი მოსაზრება საკმაო სიფრთხილით უნდა შეფასდეს.

ლორდ ლეინმა, შემდგომში მთავარმა მოსამართლემ საინტერესო განცხადება გააკეთა: „სასჯელის შეფარდება მდგომარეობს მთელი რიგი სრულიად შეურიგებელი ფაქტების შერიგების მცდელობაში". მან ისიც აღნიშნა, რომ „სასჯელის შეფარდება არის ხელოვნება და არა მეცნიერება"[66]. ამ საკითხში ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ე. ეშვორსის პოზიციას, რომ „სინამდვილეში, სასჯელის შეფარდება მოიცავს წესებისა და პრინციპების გამოყენებას ფაქტებთან მიმართებით" (იქვე).

როგორც მეცნიერი აღნიშნავს, 1980-იან წლებში ჩატარებულმა კვლევამ ნათელყო, რომ მაგისტრატების აზრით, კანონმდებლობა უნდა ინტერპრეტირებულიყო „საღი აზრის" შუქზე, რაც გულისხმობდა იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს პრინციპები თანმიმდევრულად არ იყო ასახული მაგისტრატების

[65] სტივენ ნეფი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162-163

[66] ოქსფორდის საპილოტე კვლევა; 1984, გვ. 64) (Andrew Ashworth, Sentencing and criminal Justice, Fifth edition, Cambridge University Press, New York, 2010, p.41

მიერ სასჯელის შეფარდების პრაქტიკაში[67].

მეტად საინტერესოა ე. ეშვორსის მოსაზრება, რომელიც ჩატარებულ კვლევას ეფუძნება. იგი თვლის, რომ სასჯელშემფარდებლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელო მითითებების ზრდამ ინდივიდუალურ შემთხვევებში შეიძლება მიზანს ვერ მიაღწიოს. გულუბრყვილოა იმის დაჯერება, რომ ამით შემცირებული იქნება ინდივიდუალური ვარიაციები.

ავტორის აზრით, სასჯელშემფარდებლების **აზროვნების პროცესზე ფაქტორთა ოთხმა ჯგუფმა უნდა მოახდინოს** სათანადო ზეგავლენა:

1. საქმის ფაქტობრივმა გარემოებებმა;

2. სასჯელის შეფარდების პრინციპებმა (დანაშაულის სიმძიმემ, სასჯელის შესაძლო მიზანმა, ეფექტურობამ და ფარდობითმა სიმძიმემ (relative severity), შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ფაქტორების ფარდობითმა წონამ;

3.სასჯელის შეფარდების მიზნებმა და დანაშაულის გამომწვევმა მიზეზებმა, ასევე განაჩენის დადგენისას სასმართლოს ფუნქციის გააზრებამ;

4. სასჯელის შემფარდებლების დემოგრაფიულმა მახასიათებლებმა (ასაკი, სოციალური მდგომარეობა, პროფესია, ქალაქის თუ სოფლის გარემო (background), რასა, სქესი, რელიგია, პოლიტიკური კუთვნილება[68].

პირველი სამი ჯგუფი ფაქტობრივად ასახავს სხვადასხვა გარემოებაზე მოსამართლის შეხედულებას. რაც შეეხება **ფაქტორთა მეოთხე ჯგუფს**, იგი მეტად მნიშვნელოვანია. მოსამართლეთა უმრავლესობამ შესაძლოა ამტკიცოს, რომ ისინი არ დაუშვებენ პირადი არჩევანის გავლენას მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ეს არ ეფუძნება არანაირ მტკიცებულებას, თუ რამდენად წარმატებით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად რეალურად აისახება იგი მათ გადაწყვეტილებაზე.

მოსამართლის მიერ მიკერძოების ზოგიერთი წყარო შეიძლება არც იყოს გაცნობიერებული, ტენდენცია დაინახოს საკითხი ისეთ კონკრეტულ პერსპექტივაში, რაც თანმიმდევრულად იქნება ასახული სასჯელის შეფარდების პრაქტიკაში. ასევე ყურადსაღებია ჰოვარდ ზერის პოზიცია, რომელიც ეხება რა მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდების საკითხებს, აღნიშნავს, რომ მოსამართლეებს გასაოცრად სხვადასხვაგვარი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა სასჯელი მიესადაგება ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენს და რატომ. ამაშია იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზი, რომელიც არაერთგვაროვან განაჩენის გამოტანას უწყობს ხელს.

ჰოვარდ ზერი კვლევისას მიუთითებს, რომ მოსაზრებებსა და ფილოსოფიურ კონცეფციებშიც კი აშკარად გამოვლინდა პოზიციათა სხვადასხვაობა. როდესაც რამდენიმე მოსამართლეს განსახილველად გადასცეს იდენტური საქმეები და სთხოვეს განაჩენის დადგენა, შედეგში სხვაობა საოცრად დიდი იყო. თითოეული მოსამართლე მოქმედებს საკუთარი გაგების საფუძველზე თუ რას გულისხმობს

[67] იქვე გვ. 41

[68] იქვე, გვ. 41-42

სამართლიანობაში და ეს წარმოდგენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან[69].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ყველა ზემოაღნიშნული და სხვა გარემოებაც, ცხადია, ერთგვარ ზეგავლენას ახდენს მოსამართლეზე დამნაშავისათვის სასჯელის ზომის შეფარდებისას. **მეტიც, მოსამართლეზე შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ბრალდებულის ქცევამ სასამართლო პროცესზე (ქედმაღლობამ, თავხედობამ, ზედმეტმა მოკრძალებამ, სიმშვიდემ, რაც სინანულს არ გამოხატავს, სქესმა და სხვა მრავალმა).**

ყოველივე ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოსდა სისხლის სამართლის კანონში მითითებული სასჯელის შეფარდების „ზოგადი საწყისები" მოსამართლეთა მიერ უგულვებელყოფილი უნდა იქნეს. ცხადია, რომ მოსამართლე კანონს ემორჩილება, მაგრამ, როგორც დავინახეთ, სასჯელის შეფარდებისას ბევრი **ობიექტური და სუბიექტური პირობები განსაზღვრავენ სასჯელის სამართლიანობას.** მოსამართლის მიხედულება არგუმენტებით უნდა იყოს დასაბუთებული და არ უნდა სცილდებოდეს საკანონმდებლო ფარგლებს.

სასჯელის დანიშვნისას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ვერ წყვეტენ პრობლემას. სასამართლოს უხდება მოქმედებდეს და ეყრდნობოდეს არსებულ სასამართლო პრაქტიკას, პირად გამოცდილებას. ამიტომაც, ამ ამოცანის გადაწყვეტა ხშირად დაკავშირებულია მოსამართლის შემოქმედებით და პროფესიულ პოტენციალზე.

ამრიგად, **სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების, ბრალის ხარისხის, დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა შეფასების, ბრალდებულის პიროვნების და სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინებით მკაცრად ინდივიდუალიზებული სამართლიანი სასჯელის შეფარდებას.** იგი გამორიცხავს ფორმალიზმს სისხლისსამართლებრივი სასჯელის განსაზღვრის დროს, რამდენადაც გულისხმობს სასჯელის პერსონიფიცირებას ყველა ცალკეულ შემთხვევაში. მართალია, სისხლის სამართლის კანონი უშუალოდ არ ადგენს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, მაგრამ მისი შესრულების ვალდებულება ეფუძნება კოდექსის სხვა ნორმებს და უპირველესად კოდექსის 53-ე მუხლს.

ამავე დროს ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციას წინ უსწრებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესი, როდესაც ხორციელდება უამრავი საპროცესო ღონისძიება. მისი მიზანია საქმის გარემოებათა ზედმიწევნით შესწავლა, დანაშაულში მონაწილეთა დადგენა, მათი ბრალეულობის განსაზღვრა, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გამოვლენა და სხვა. საგამოძიებო მოქმედებათა განხორციელების შედეგად უკვე იკვეთება პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რაც ერთგვარი წინაპირობაა სასჯელის ინდივიდუალიზაციის რეალურად განხორციელებისათვის.

---

[69] Ховард Зер, Восстановительное правосудие; Новый взгляд на преступление и наказание; перевод с английского, М., центр «Судебно-правовая реформа», 2002, стр. 30-31

სასჯელის ინდივიდუალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, თავის დასაბუთებას პოვებს სისხლის სამართლის კანონში. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი, რომელიც ეხება სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, იძლევა ზოგად განმარტებას, თუ რა უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ სასჯელის შეფარდების დროს. ამ განმარტებას აბსტრაქტული ხასიათი აქვს და ამ მოთხოვნათა რეალიზება ხდება კონკრეტულ დანაშაულში დამნაშავის მიმართ. მაგრამ სასჯელის ინდივიდუალიზაცია არ შეიძლება შემოიფარგლოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახული დებულებებით. უმეტეს შემთხვევაში ეს დებულებები არ არის საკმარისი სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალური განხორციელებისათვის. ცნობილია, რომ **სასჯელის ინდივიდუალიზაცია უნდა გავიგოთ, როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ მიმართული პრინციპი, რომელიც საბოლოო ჯამში გარკვეული პრინციპების მიმართ სამართლიანი მსჯავრის გამოტანას გულისხმობს.**

ამგვარად უნდა დავასკვნათ, რომ კანონმდებლობაში ასახული სასჯელის ინდივიდუალიზაცია არის სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული ზოგადი დებულებები, რომლებიც აბსტრაქტულ ფორმაში ავალდებულებს სასამართლოს გაითვალისწინოს ისინი დამნაშავე პირისათვის სასჯელის დანიშვნის დროს. ხოლო რაც შეეხება სასამართლოში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის კონკრეტული პირისათვის სასჯელის შეფარდებისას გამოყენებას, იგულისხმება კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დებულებათა გამოყენება.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა როდი ნიშნავს იმას, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას ნაკლები ყურადღება დაეთმოს და არ იყოს სათანადოდ დაცული სისხლის სამართლის სხვა ძირითადი პრინციპები.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახულია სხვა კანონიერი შესაძლებლობებიც ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად. ასე მაგალითად, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის (რომელიც დანაშაულის ცნებას განმარტავს) მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ "დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე".

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან დაკავშირებით რამოდენიმე სიტყვით მაინც უნდა შევჩერდეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამართლის სუბიექტად იურიდიული პირის აღიარების პრობლემაზე. როდესაც მუშავდებოდა სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, ფაქტობრივად თითქმის არც განხილულა საკითხი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაშვების შესახებ. საქართველოს კანონმდებელი ეფუძნებოდა იმ

იურიდიულ დოქტრინას, რომლის მიხედვითაც, კონტინენტური ევროპის მთელი რიგი ქვეყნების სისხლის სამართალში გაზიარებული იყო ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი და მხარს უჭერდნენ პერსონალური პასუხისმგებლობის იდეას. ამავე პოზიციაზე დგას გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაც.

იურიდიული პირის ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება ფაქტობრივად შეუძლებელია მაშინაც, როდესაც საკითხი დგება მისთვის სასჯელის შეფარდებაზე.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. ლ. გ. კუტალიას მიერ გამოთქმულ და დასაბუთებულ მოსაზრებას, რომელიც თვლის, რომ **კოლექტიური ბრალი სისხლის სამართალში მიუღებელია სისხლის სამართლის თეორიის ფუძემდებლურ პრინციპებთან მისი აშკარა შეუთავსებლობის გამო**[70].

ამასთან, უნდა ისიც გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთმა ევროპულმა სახელმწიფომ გაიზიარა დებულება იურიდიული პირის პასუხისმგებლობის თაობაზე. ამგვარი მხარდაჭერა ძირითადად განპირობებულია მსხვილ კორპორაციულ წარმონაქმნებზე სახელმწიფოს მხრიდან უფრო მკაცრი კონტროლის განხორციელების აუცილებლობით. ეს საბუთდება იმითაც, რომ მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ მძიმე დანაშაულთა სიაში დიდი წვლილი შეაქვთ იურიდიული პირების საქმიანობას. მათ შორის განსაკუთრებით საშიშია იმ კორპორაციათა საქმიანობა, რომლის ნიღბითაც მოქმედებენ ტერორისტული ორგანიზაციები, მათში თავმოყრილი უზარმაზარი რესურსების დანაშაულებრივად გამოყენების გზით.

იურიდიულ ლიტერატურაში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებას ცდილობენ იმითაც, რომ **ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნული იქნას ფიზიკური და იურიდიული პირების პასუხისმგებლობა.** იურიდიული პირის ბრალეულობა მისი ქმედების სოციალურ მიუღებლობაში გამოიხატება.

ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიული პირებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება გლობალურ მნიშვნელობას იძენს. რა თქმა უნდა, იურიდიული პირების საქმიანობაში სხვადასხვაგვარი სამართალდარღვევა შეიძლება მოხდეს. ისინი პასუხს აგებენ მათ მიერ მიყენებული ქონებრივი ზიანისათვის, მათ მიმართ გამოიყენება ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციები, **შესაძლოა იურიდიული პირის ლიკვიდაციაც, მაგრამ ეს სანქციები სასჯელს არ უნდა წარმოადგენდნენ.** თვით სასჯელის არსი და მისი მიზნები ეწინააღმდეგება სისხლის სამართალში არსებულ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს.

ჟან პრადელი აღნიშნავს, რომ კომპარატივისტები გარკვეულ დათქმას აკეთებენ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად და სამ პირობას ასახელებენ: 1) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი, როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიული პირი უნდა იყოს; 2) მითითებული უნდა იქნას დანაშაულის ის სახეები, სადაც იურიდიული პირი სამართლის

[70] ლ. გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 145-160

სუბიექტად გვევლინება; 3) დანაშაულს იდენს კერძო ორგანიზაციის დირექტორი და ეს დანაშაული იურიდიული პირის სასარგებლოდ უნდა იყოს ჩადენილი[71].

საქართველოში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკანონდა 2006 წლის 25 ივლისს. კანონმდებელი ამას ხსნიდა საქართველოს სახელმწიფოს იმ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებით, რომლის იმპლემენტაციით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს მწვანე შუქი ეხსნებოდა ევროპული არჩევანის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად კიდევ ერთხელ უნდა გამოვხატო ჩემი პოზიცია, რომ იურიდიული პირის ბრალუნარიანობის დამტკიცება მისი მომხრეების მიერ მაინც ვერ ხერხდება და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული ფიქციაა[72].

თავი III

მოსამართლის მიერ ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება სასჯელის შეფარდებისას

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება ძირითადად ეფუძნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მესამე კარში გათვალისწინებულ დოგმატიკას. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კარი, რომელიც სასჯელს ეძღვნება, საკმარისი არ არის ზემოაღნიშნული პრინციპის ძირითად დებულებათა შესწავლისათვის. იმისათვის, რომ სასამართლოებმა სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინონ ყველა ის გარემოება, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებაზე, ნაშრომში მიზანშეწონილია გაშუქდეს სისხლის სამართლის კოდექსში ასახული ისეთი ძირითადი დებულებები, როგორიცაა, მაგალითად ბრალის ხარისხის პრობლემა, დაუმთავრებელი დანაშაულის მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნის დროს, თანამონაწილეობა, ასევე ჯგუფური დანაშაულის ჩადენისას დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდების კრიტერიუმი და ზოგიერთი სხვა საკითხი, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებისას დამნაშავის მიმართ ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენების სავალდებულობის გათვალისწინებას. სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მითითებული სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებში, მართალია, ზოგადად, მაგრამ მაინც განსაზღვრულია ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც მოსამართლე უნდა დაეყრდნოს დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდების დროს. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ სასჯელის დანიშვნა ღრმა შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს, მისი შეფარდების პრაქტიკის უნიფიცი-

[71] ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ. 228-233

[72] მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2014, გვ. 11-16

რებას. სასჯელის ინსტიტუტის ეფექტურობა და მნიშვნელობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იძლევა მოქმედი კანონმდებლობა სამართლიანი სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას, რაც დაფუძნებულია დამნაშავის მიერ ჩადენილ ქმედებაზე, მისი პიროვნების გათვალისწინებაზე და სხვა ყურადსაღებ ფაქტორებზე. საზოგადოება მკაცრად რეაგირებს დაუსაბუთებელ მსჯავრდების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ მტკივნეულად აღიქვამს არაადექვატური სასჯელის შეფარდებას. ეს კი მკვეთრად ამცირებს როგორც სახელმწიფოს, ისე სასამართლოს ავტორიტეტს.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდების საკითხთან დაკავშირებულ ტერმინს, ქართველი კანონმდებელი მას „სასჯელის დანიშვნას“ უწოდებს. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია, რომ სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ზოგადი ნაწილის დებულებების გათვალისწინებით.

ვერ დავეთანხმებით პროფ. ი. დვალიძეს პოზიციას, რომელსაც მიაჩნია, რომ სასჯელის დანიშვნაში „იგულისხმება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული საქმიანობა, არამედ დანაშაულისათვის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგების განსაზღვრული პროცესიც“[73]. ავტორი ძალიან აფართოვებს სასჯელის დანიშვნის ცნების განმარტებას, რამდენადაც მასში გულისხმობს პირობითი მსჯავრის დანიშვნას, არასრულწლოვანისათვის აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას და სხვა. მის მიერ ნაგულისხმევი დანაშაულისათვის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგის განსაზღვრის პროცესი, კერძოდ, ზემოაღნიშნული მაგალითები ვერ მოთავსდება არა მარტო „სასჯელი შეფარდების“, არამედ „სასჯელის დანიშვნის“ ცნებაშიც კი (თუნდაც პირობითი მსჯავრი, რომელიც არ წარმოადგენს სასჯელის სახეს). ეს ნათლად არის ჩამოყალიბებული მეთერთმეტე თავში, რომლის სათაურია „სასჯელის დანიშვნა“. ცხადია, რომ სავსებით მართებულად, მასში არ იგულისხმება ისეთი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა პირობითი მსჯავრი ან აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებები. (ეხლახან მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვანთა მიმართ იძულებით ღონისძიებათა გამოყენებას ახლებურად წყვეტს).

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1 ნაწილი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით“. აქ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონმდებელი, მიუთითებს რა დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნის პრიორიტეტულობას, ხაზს უსვამს სასჯელის ინდივიდუ-

[73] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 68

ალიზაციის ცხოვრებაში გატარების სავალდებულო პრინციპს. აქვე მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიყვანო სასექსის უნივერსიტეტის დოქტორის რიჩარდ ვოგლერის საექსპერტო დასკვნა, რომელიც მან გააკეთა ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტისათვის „საქართველოში კანონის უზენაესობის მხარდაჭერა" (2012წ. 15 იანვარს). მეცნიერი ეხება რა სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველ პუნქტს, სადაც სასჯელის დანიშვნის ზოგადი პრინციპებია ჩამოთვლილი და ხაზგასმულია დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნის პრინციპი, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განმარტებული ყოფილიყო „სამართლიანობის" კონცეფცია.

ჩემი აზრით, კანონმდებლობაში ამ ტერმინის სრულყოფილად განმარტება შეუძლებელია, ვინაიდან ეს უმნიშვნელოვანესი ცნება მრავალწახნაგოვანია და მის ასახვას სისხლის სამართლის კანონში შესაძლოა მოყოლოდა „სამართლიანობის" ცნების ან ძალიან ფართო გაგება, რაც ასევე, არასასურველი იქნებოდა, ან კიდევ შეზღუდული, რაც იგივე შედეგს გამოიწვევდა. სწორედ, არსებულ სასჯელთა სამართლიანობის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში სამართლიან გამოყენებას.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული იყო სასჯელის მკაცრ ზომათა სტერეოტიპი. პრაქტიკულად თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა სასჯელის უალტერნატივო სახეს, ანუ დანაშაულებრივი ქმედება ისჯებოდა ან მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით, ან სასჯელის სხვა სახეებით, რომელიც საკმაოდ მცირე იყო. ყოველივე ეს განპირობებული იყო სისხლის სამართლის პოლიტიკის რეპრესიულობის ზოგადი ტენდენციით. კანონმდებლობით მკაფიოდ იყო დადგენილი ამ სასჯელის რეალიზაციის მექანიზმი. ეს კი მოსამართლეებს აძლევდა მისი გამოყენებისათვის საიმედო არგუმენტს სასჯელის მიზნების მიღწევის საბაბით.

მე-13-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე განმანათლებელთა ფილოსოფიის ზეგავლენით თავისუფლების აღკვეთა განიხილებოდა მეტად მკაცრი და არაადამიანური სასჯელების ალტერნატივად, კერძოდ სიკვდილით დასჯის და დაზიანების სხვადასხვა სახეებთან შედარებით. თუმცა უკვე მე-19 საუკუნეში წარმოიშვა თეორიები, რომ დამნაშავისათვის თავისუფლების აღკვეთამ ყოველთვის არ შეიძლება გადაწყვიტოს სასჯელის მთავარი მიზანი მსჯავრდებულის სოციალურ რეაბილიტაციასა და გამოსწორებაში[74].

სასჯელის შეფარდებისას მის პროპორციულობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალიზაციის პრინციპის გონივრული გამოყენებისათვის. ეს პრობლემა დღესაც დგას დღის წესრიგში, რადგან ამა თუ იმ დანაშაულისათვის გონივრული და სათანადო სასჯელის ზომის განსაზღვრა უშუალო ასახვას პოულობს დამნაშავის მიმართ სასჯელის ინდივიდუალურად შეფარდებაში.

[74] Kalmhont A.M. Tak P.J.P. Sanctinnis-Sustem in the member-states of the Council of Europe, Part 1, 1988, p. 2

სასჯელის პროპორციულობის მნიშვნელობა აღიარებულია სისხლისსამართლებრივი დევნისა და ექსტრადიციის წარმოების სფეროში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება უფლებას აძლევს როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარეს გაასაჩივრონ ამა თუ იმ სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილება იმის საფუძველზე, რომ იგი არაპროპორციულია ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით, დანაშაულის სიმძიმესა და პირის ინდივიდუალურ გარემოებათა გათვალისწინებით[75] .

როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, ისე ნაციონალურმა სასამართლოებმა არ დაუშვეს პირთა ექსტრადიცია იმ საფუძვლით, რომ დამნაშავის გადაცემის შემთხვევაში მომთხოვნ სახელმწიფოში მათ მიმართ გამოყენებული სასჯელი არაპროპორციული იქნებოდა.

ამის დასადასტურებლად რიჩარდ ს. ფრეიზს თავის ნაშრომში მოყავს რამოდენიმე საუკეთესო მაგალითი სასჯელის პროპორციულობის მოთხოვნასთან დაკავშირებით: კანადის უზენაესმა სასამართლომ უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის მოთხოვნათა საფუძველზე მიუთითა, რომ სმიტის მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა ქვეყანაში შემოტანისათვის მინიმალური სასჯელის შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა არღვევს ქარტიის მოთხოვნებს. ქარტიის მე-12 მუხლი ადგენს სადამსჯელო სტანდარტს და ამ სტანდარტებიდან გამომდინარე სასჯელის სავალდებულო მინიმუმი ცნობილი იქნას ბათილად. ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული ნარკოტიკული დანაშაულისათვის დადგენილი მინიმალური სასჯელი, მიუხედავად ნარკოტიკული საშუალების სახის, რაოდენობის, დამნაშავის მიზნის, მისი პიროვნულ თვისებათა გაუთვალისწინებლად არაპროპორციულია და ფაქტობრივად შეუძლებლად ხდის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებას.

საინტერესოა სასამართლოს პოზიცია იმ კუთხითაც, რომ მან არ მიიჩნია გამართლებულად შედარებით ნაკლებად საშიში დანაშაულის ჩადენისათვის შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა, რათა უფრო საშიშმა (სერიოზულმა) დამნაშავეებმა თავი შეიკავონ ამ დანაშაულის ჩადენისაგან.[76].

ეროვნული სისხლის სამართლის პოლიტიკის კორექტირებამ შესაძლებელი გახადა საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე ისეთი სასჯელების გამოყენება, რომლებიც არა მარტო ჰუმანურობის პრინციპს გულისხმობს, არამედ რეალურად მიმართული იქნება სასჯელის ეფექტურობის გაზრდისაკენ. იმ ქვეყნებში, რომლებიც აღიარებენ ჰუმანიზმის საერთო სამართლებრივ პრინციპებს, დღესაც გრძელდება ძიება არასაპატიმრო სასჯელთა, როგორც სამართალდამრღვევებზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალების გამოყენების მეთოდის გაუმჯობესებისა. ჯერ კიდევ 1981 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ

[75] რომის სტატუტი საერთაშორისო სისხლის სამართლის შესახებ, მ. 78, ნაწ. I და მ. 81, მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი

[76] Richard S. Frase, Just Sentencing, Principles and Procedures for a Workable System, Oxford, 2013, p. 172

მონაწილე სახელმწიფოებს მისცა რეკომენდაცია შეცვალოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის სხვა ზომებით, რომელიც უფრო ეფექტური იქნებოდა[77].

თვით ტერმინ „ალტერნატიულ სასჯელებთან" მიმართებით, რომელიც გულისხმობს დამნაშავის მიმართ სახელმწიფო იძულების ისეთი ზომების გამოყენებას, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, პროფ. ბლაგოვის მიერ გამოთქმული საინტერესო მოსაზრება. იგი თვლის, რომ აღნიშნული ტერმინის გამოყენება სავსებით მიზანშეწონილია პუბლიცისტიკაში და სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ არა ოფიციალურ დოკუმენტებში. ალტერნატიული სასჯელის ცნება გამოხატავს არა სასჯელის არსს, არამედ უფრო ადამიანთა ემოციურ დამოკიდებულებას თავისუფლების აღკვეთის უნივერსალურ სადამსჯელო ღონისძიებასთან მიმართებით.

ს. ბლაგოვი პრაქტიკული მიზნებისათვის უფრო გამართლებულად მიიჩნევს ტერმინს „სასჯელი საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე[78]

განსაკუთრებით ყურადსაღებია ჰოვარდ ზერის მოსაზრება, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ პირის ბრალეულობის დადგენა წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ საკითხსა და ძირითად ამოცანას. მაგრამ, მას შემდეგ რაც პირის ბრალი დადგენილია, სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნას ნაკლები ყურადღება ექცევა. იგი თვლის, რომ მოსამართლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი და კიდევ უფრო ნაკლებად სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეები პროფესიულად არ არიან აღჭურვილნი სასჯელის განსაზღვრის ნაწილში.

ჰ. ზერი მიუთითებს სავსებით განსაზღვრულ ტენდენციაზე: „ჩვენ წარსული უფრო გვაინტერესებს, ვიდრე მომავალი. პროფესიონალი იურისტები მცირე დროს უთმობენ იმის განხილვას, თუ რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში ახალი პრობლემების თავიდან ასაცილებლად". ჰ. ზერი ხაზს უსვამს ნილს კრისტის მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის კანონი სინამდვილეში წარმოადგენს დეტალურად შემუშავებულ კანონს, რომელიც იძლევა საშუალებას ტანჯვის „სამართლიანი" დოზის განსასაზღვრად.[79]

სწორედ ამიტომაც, სანამ არ მოხდება მოსამართლეთა გარკვეული ნაწილის სტერეოტიპის შეცვლა, რომლებიც თვლიან, რომ დამნაშავის გამოსწორებისათვის და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მკაცრი სასჯელი, მიზანშეწონილი და აუცილებელიც კი არის ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება, კერძოდ, ქმედების პენალიზაციის აქცენტის გადატანა იმ სასჯელთა პრიორიტეტულ გამოყენებაზე, რომლებიც ე.ნ.

---

[77] United Nations Secretariat: "Alternatives to Imprisonment", International Review of Criminal Policy, N36, 1981, p. 9

[78] Благов, Назначение наказания (теория и практика, Ярославль, 2002, с. 85.

[79] Ховард Зер, Восстановительное правосудие: Новый взгляд на преступление и наказание; перевод с английского, М., центр «Судебно правовая реформа» 2002

არასაპატიმრო სასჯელების სახით არის ცნობილი.

ვეთანხმები რა უცხოელ ავტორთა მოსაზრებას, მაინც მინდა აღვნიშნო, რომ მართალია, ავტორები ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენენ მოქმედი სისტხის სამართლის კანონმდებლობისადმი და სასჯელის სიმკაცრისა და უსამართლობის ერთ-ერთ მიზეზად კანონის სოციალური მნიშვნელობის დაკარგვას ასახელებენ; ასევე, რომ იგი კონფლიქტის სამართლებრივი მოწესრიგების ინსტიტუტიდან გადაიქცა რეპრესიისა და იძულების კრიტერიუმად, ვთვლი, რომ არსებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობითაც კი შესაძლებელია სამართლიანი სასჯელის დადგენა. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის ნორმები კეთილგონიერად უნდა იქნეს გამოყენებული. თითოეული სისხლის სამართლის საქმე აბსოლუტურად კონკრეტულია, თითოეული პიროვნება უნიკალური და ამიტომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის სწორი გამოყენებით მოსამართლემ შეიძლება მიაღწიოს სამართლიანობის მაღალ ხარისხს.

სასჯელის მკაცრი ზომები მხოლოდ იმათ მიმართ უნდა იყოს გამოყენებული, ვინც ბრალეულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. სამწუხაროა, რომ როგორც სასამართლო პრაქტიკა მოწმობს არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც მოსამართლეები სცოდავენ და უგულვებელყოფენ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ზუსტი გამოყენების მნიშვნელობას.

ორიოდე სიტყვით მაინც უნდა შევჩერდეთ ქვეყნის სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში სასჯელის გამკაცრების ადრე არსებულ ტენდენციებზე, რომელსაც ბოლო ხანებში შედარებითი ლიბერალიზაცია მოყვა.

ბევრჯერ თქმულა, რომ სასჯელის გამკაცრება, როგორც წესი, დადებით შედეგს იშვიათად იწვევს; პირიქით, ადამიანი ეჩვევა სისასტიკეს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა უზომო გადატვირთვის ერთ-ერთ მიზეზს სწორედ რომ მაღალი სასჯელების არსებობა განაპირობებდა. რატომღაც ნაკლებად ექცევა ყურადღება იმ გარემოებას, რომ სწორედ მკაცრი სასჯელების არსებობა უწყობს ხელს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდას. მაგალითად, თუ დამნაშავეს 15 ან მეტი წელიც აქვს მისჯილი და თუ გინდ შემდგომ იგი პირობით ვადამდე გათავისუფლდეს, სანამ კანონი ამის შესაძლებლობას მისცემს, თავისუფლებააღკვეთილ პირთა ახალი ნაკადი კვლავ შეემატება მსჯავრდებულთა რიცხვს და კვლავ გადატვირთავს საპყრობილეებს.

სხვადასხვა ქვეყნებში პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის შეფარდების სხვადასხვა მოდელი არსებობს. მაგალითად, ბელგიაში სასჯელის შთანთქმის წესი; შვედეთში უპირატესობას აძლევენ სასჯელის ნაწილობრივი შთანთქმის წესს; ესპანეთის კანონმდებლობით ხდება სასჯელთა სრული შეკრება.

დღესდღეობით სისხლის სამართლის კანონმდებლობით უფრო გავრცელებულია სასჯელის შთანთქმისა და ნაწილობრივი შეკრების წესი. რაც შეეხება დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელების სრული შეკრების პრინციპს, იგი ნა-

კლებად არის აღიარებული. იგი გათვალისწინებულია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ესპანეთი, მექსიკა, ჩილე, ნიკარაგუა, იტალია. მაგრამ ამ ქვეყნებს შორისაც არის სხვაობა. მაგალითად, ჩილეს სისხლის სამართლის კოდექსით დაშვებულია სასჯელების შთანთქმის წესი მაშინ, თუ ერთი დანაშაული მეორე დანაშაულის ჩადენის საშუალებაა (მ. 74); იგივე წესია ნიკარაგუაშიც (მ. 89); რაც შეეხება ესპანეთს (მ. 76 (1) იქ ასევე დაწესებულია ე.წ. „არითმეტიკული მაქსიმუმი", ანუ დამნაშავისათვის მისჯილი სასჯელის ზომა არ შეიძლება იყოს დადგენილი სასჯელების ყველაზე მძიმე სასჯელის სამმაგ ოდენობაზე მეტი.

ამ საკითხზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს სისხლის-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელებაში არსებულ ხარვეზს, რომელიც სულ ბოლო დრომდე შეეხებოდა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესის რეგლამენტაციას.

2006 წლის ბოლომდე კოდექსით (მ. 59) დადგენილი იყო სასჯელთა სრული, ნაწილობრივი ან უფრო მკაცრი სასჯელით მსუბუქი სასჯელის შთანთქმის წესი, რასაც ქართველი მეცნიერები და პრაქტიკოს მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამართლებულად მიიჩნევდა.

2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებით დადგინდა, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნებოდა თითოეული დანაშაულისათვის და და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდებოდა სრული შეკრება. ეს ნოვაცია არ შეიძლება დადებით მოვლენად ჩათვლილიყო, ვინაიდან რამოდენიმე, თუ გნებავთ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისას სასჯელის ზომა შესაძლოა გათანაბრებოდა ან მეტიც კი ყოფილიყო, ვიდრე ერთ, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დადგენილ სასჯელზე.

დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა სრული შეკრების სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, ნათლად გამოჩნდება რაოდენ არასწორი იყო ეს სიახლე. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თუგინდ ერთი მაგალითის მოყვანა: საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აზერბაიჯანელი, სისტემატურად უკანონოდ კვეთდა სახელმწიფო საზღვარს (სსკ-ის მ. 344, ნაწ. 1), რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 3-დან 5 წლამდე და რომელსაც სხვა არავითარ დანაშაულში არ მიუძღოდა ბრალი, დაისაჯა თავისუფლების აღკვეთით 35 წლის ვადით. რამდენად სამართლიანი იყო სასჯელთა სრულად შეკრების წესი, თუგინდ სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, სხვაგვარ დასაბუთებას არ საჭიროებს. ეს ერთი მაგალითიც კი საკმარისია, რომ დავადგინოთ თუ როგორ არღვევდა თვით კანონმდებელი სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს სასჯელის ინდივიდუალიზაციის სახით.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მოგვიანებით კანონმდებელმა ფაქტობრივად ნაწილობრივ გამოასწორა დაშვებული შეცდომა და 2010 წლის სისხლის სამართლის კანონით შეცვალა დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების წესი. კოდექსის 59-ე მუხლის 11 ნაწილში ჩაიწერა: „თუ დანაშაულთა ერთო-

ბლიობის დროს რამოდენიმე დანაშაულისათვის ძირითადი სასჯელი ინიშნება თავისუფლების აღკვეთის სახით, ამ შემთხვევაში ყველაზე მძიმე ერთი ძირითადი სასჯელის გარდა, ხოლო თუ ინიშნება თანაბარი სიმძიმის რამოდენიმე სასჯელი – ერთ-ერთი მათგანის გარდა დანარჩენი ძირითადი სასჯელი (სასჯელები) ინიშნება ვადის ნახევრიდან სრულ მოცულობამდე ვადით და ისე ხდება მათი შეკრება საბოლოო სასჯელის დანიშვნისას".

ვერც ეს ნორმა იყო სრულყოფილი, მას მაინც მკაცრი სასჯელის დანიშვნამდე მივყვარათ, თუმცა ძველ ნორმასთან შედარებით იგი ერთგვარად უკეთესობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლში კვლავ განხორციელდა ცვლილება და დღესდღეობით 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს (საქართველოს 2013 წლის 17 აპრილის კანონი).

ჩემი აზრით, სსკ-ის 59-ე მუხლის ბოლო რედაქცია თითქოსდა უფრო ლიბერალური და მისაღებია, თუმცა ისიც არ არის სრულყოფილი. დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის გათანაბრება, მიუხედავად მათი სიმძიმისა, მიზანშეუწონელია ისევ და ისევ სასჯელის ინდივიდუალიზაციის განხორციელებიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სავსებით გამართლებული იყოს უფრო მკაცრი სასჯელით ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის იდეა, მაგრამ სასჯელის დანიშვნისას ბევრი სხვაც უნდა იყოს გათვალისწინებული, მითუმეტეს როდესაც საუბარია თანაბარი სასჯელის დანიშვნაზე. სასჯელის შთანთქმის პრინციპს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ თუ პირმა პირველად ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე, ხოლო შემდგომ კი შედარებით ნაკლები სიმძიმის დანაშაული, ან დანაშაულები, ისინი ფაქტობრივად აღარ დაისჯებიან. ფრანგი ავტორი გასტონ სტეფანი სავსებით დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ასეთ შემთხვევაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დამნაშავე აღარ დაისჯება, ვინაიდან სასჯელის დანიშვნისას განმსაზღვრელი იქნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ცხადია, რომ საკითხის ასე დაყენებისას ვერ იქნება მიღწეული სასჯელის მიზანი[80]. კერძოდ, ყველა ის გარემოება, რაც სასჯელის დანიშვნის საფუძველია: ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროება, პირის ბრალი, დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების ხასიათი და ყველაფერი ის, რაც საფუძვლად უდევს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებას.

სწორედ ამის გამოა, რომ დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, როდესაც ადამიანი სჩადის ორ ან მეტ და-

[80] Caston Stefan; Droit Penal General, გვ. 527-528; მომზადებულია სტივენ ნეფისა და ნატა წნორიაშვილის მიერ „სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას ძირითადი წესების შესახებ" სახელმძღვანელოს შინაარსთან დაკავშირებით (2014, 26/III)

ნაშაულს, ეს მისი სოციალური საშიშროების მაღალ ხარისხზე მეტყველებს. უმეტეს შემთხვევაში დამნაშავის ქმედება არ ატარებს შემთხვევით ხასიათს, თუგინდ დანაშაულის ჩადენა გამოწვეული იყოს პირის გაუმართლებელი, მაგრამ რიგ გარემოებათა დამთხვევის გამო. პირის მიერ რამოდენიმეჯერ, ერთიდაიგივე ან სხვადასხვა ხასიათის დანაშაულის ჩადენა მოწმობს მისი დანაშაულისადმი მიდრეკილებას, რომ იგი მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ასეთ ვითარებაში პირის მიერ ჩადენილ თითოეულ დანაშაულებრივ ქმედებას სათანადო იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს და ასახული იყოს მის მიმართ გამოტანილ სასჯელში. ამიტომაც სასჯელი უნდა იყოს მკაცრად ინდივიდუალიზებული, ყველა იმ სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც დამნაშავის და მის მიერ ჩადენილ დანაშაულთათვის არის დამახასიათებელი.

მართალია, სისხლის სამართლის კანონმდებლობით ამნისტიის შესახებ ნორმაში პირდაპირ არ არის და ვერც იქნება მინიშნებული, რომ დანაშაულთა ერთობლიობისას თუ ამნისტია შეეხო პირის მიერ ორ ჩადენილ დანაშაულთაგან ერთ-ერთს, რამდენად არის შესაძლებელი გამოყენებული იქნას დანაშაულთა ერთობლიობისათვის დადგენილ სასჯელთა შეკრების წესი. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რომ უკვე არ შეიძლება ვიმსჯელოთ და სასჯელს საფუძვლად დაუდოთ დანაშაულთა ერთობლიობისას დადგენილი სასჯელთა შეკრების წესი. ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას. რაც შეეხება დამნაშავისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრას განაჩენთა ერთობლიობის დროს, ამას სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ადგენს: „განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

უფრო რთულია დამნაშავისათვის რამდენიმე განაჩენით სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება. დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დადგენა ხდება ერთი სასამართლოს შემადგენლობის ფარგლებში და მას მეტი შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს და გაითვალისწინოს ჩადენილ დანაშაულთა სპეციფიური გარემოებები, რაც მას რეალურ შესაძლებლობას აძლევს სასჯელის ინდივიდუალიზაციის სწორედ განსაზღვრისათვის. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება სასჯელის შეფარდებას განაჩენთა ერთობლიობის არსებობისას, მაშინ უფრო ძნელია დამნაშავისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება მათ მთლიანობასა და ორგანულ კავშირში, რამდენადაც ამგვარი საქმეები განხილულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სასამართლოს მიერ. ამისდა მიუხედავად, ეს არ ათავისუფლებს სასამართლოს განაჩენთა ერთობლიობისას მსჯავრის გამოტანის დროს დასძლიოს ყველა სიძნელე, რათა დაადგინოს დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულთა როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელ გარემოებათა ანალიზის საფუძ-

ველზე მათი სიმძიმე და დამნაშავის ბრალის ხარისხი.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ფართოდ უღებს კარს სასამართლოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს მოსამართლეებს, რომ თუ ქმედებას მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ზიანი ან არ შეუქმნია ასეთის საფრთხე, პირის პასუხისმგებლობა არ დადგება; ან კიდევ: ასევე კანონით გათვალისწინებულია სათანადო პირობების არსებობისას უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობა (სსკ-ის მ. 55). ასევე, კანონმდებელი, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შესაძლებლად თვლის თავისუფლების აღკვეთის გარდა, სხვა ე.წ. ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას. კოდექსში მითითებულია რიგ შემამსუბუქებელ გარემოებებზე; კანონმდებელი ასევე შესაძლებლად მიიჩნევს პირობითი მსჯავრის გამოყენებას და სხვა.[81] ამასთან სავსებით ვეთანხმები რ. ვოგლერის პოზიციას, რომ სსკ-ის 53-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილების შინაარსი ერთგვარად ხელს უწყობს მოსამართლეებს გამოიყენონ სასჯელის „უფრო მკაცრი", ვიდრე „ნაკლებად მკაცრი" სახე. ამით სასამართლოებს იმთავითვე ეგზავნებათ მკაცრად დამსჯელ ღონისძიებათა გამოყენების ნამახალისებელი გზავნილი. ავტორი იშველიებს საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, ტოკიოს წესებს 2.6 მუხლით გათვალისწინებულ „მინიმალური ინტერვენციის" პრინციპსა და ციხის გადატვირთვის შესახებ 1999 წლის საბჭოს რეკომენდაციებს.

იგივე პოზიციას იზიარებს პრობაციის საკითხების პროექტის მთავარი ექსპერტი რანდელ ბაროუზი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტირებისას. ამასთან, იგი დასძენს, რომ ამისდა მიუხედავად (ნაგულისხმევია რ. ვოგლერის შენიშვნა) „ბალანსიც" არსებობს, რამდენადაც სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია ყველა ის გარემოება, რაც ემსახურება განსაზღვრული მიზნის შესრულებას: „ამ მიზნის შესრულება შესაძლებელია განმტკიცდეს მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნამდე პრობაციის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის არსებობით (რეკომენდაციები საქართველოში არსებულ სასჯელის მისჯის სისტემასთან დაკავშირებით – კომენტარები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილზე – 2013 წლის მაისი).

ამჯერად შემუშავებულია სათანადო კონცეფცია, რომელიც, იმედია, გამოასწორებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განსახორციელებლად კანონმდებელი 53-ე მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ დამნაშავე პირისათვის

[81] Vogler, Dr. R. (2012) University of Sussex, England. Expertise on behalf of the EU Funded project "Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia"

სასჯელის შეფარდების დროს. კერძოდ, „სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს". არ შეიძლება დავეთანხმო რუსი მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დანაშაულის გავრცელებულობა შეიძლება მხედველობაში იყოს მიღებული, როგორც სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმი.[82] ეს დებულება ეწინააღმდეგება როგორც ბრალეულობის და სამართლიანობის პრინციპებს, ასევე დამნაშავის მიმართ გამოყენებულ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. ამგვარი მოსაზრება რომ გავიზიაროთ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პირს ვსჯით იმისათვის, რაც მას არ ჩაუდენია.

როგორც უკვე ითქვა კანონმდებლის მიერ საკმაოდ ზოგადადაა ჩამოყალიბებული ის კრიტერიუმები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს და საფუძვლად დაედოს დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრას.

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია გვთავაზობს იმ საკითხთა მონახაზს, რომლებიც შეიძლება გაერთიანდნენ „ზოგად საწყისებში". რეკომენდაციის პირველივე მუხლი მოუწოდებს იმ ქვეყნების კანონმდებლებს, სადაც კონსტიტუციური პრინციპები და სამართლებრივი ტრადიცია იძლევა ამის შესაძლებლობას, ღიად გამოაცხადონ სასჯელის შეფარდების საფუძვლები[83].

1992 წლის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია თავიდან იქნეს აცილებული დისპროპორციულობა დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელს შორის.

რ. ვოგლერი თვლის, რომ კარგი იქნება, თუ დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელს შორის თანაზომიერების მისაღწევად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის „სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების" ნაწილს დაემატება დებულება დისპროპორციულობის აკრძალვის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამისთვის სპეციალურად გათვალისწინებულია სათანადო საფუძველი.

ორიოდე სიტყვით მაინც უნდა შევეხოთ ქართულ კანონმდებლობაში სანქციის ოპტიმალური ქვედა და ზედა ზღვარის დადგენას. სავსებით გამართლებულია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის მაქსიმალური შესაძლებლობის მისანიჭებლად, კანონმდებელი ადგენს ე.წ. შედარებით განსაზღვრულ სანქციებს, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს კონკრეტული

---

[82] Непомнящая Т.В., Общие начала, принципы и критерии назначения наказания (Журнал российского права, 1999, №12, стр. 83

[83] Council of Europe (1992). Recommendation No. R (92)17 of the Committee of Ministers to Member States

დანაშაულის ყველა ინდივიდუალური თავისებურება: მისი საშიშროება, დამნაშავის პიროვნება, დანაშაულის ჩადენის გარემოება და სხვა. სწორედ შედარებით განსაზღვრულ სანქციებშია შესაძლებელი გათვალისწინება, თუ საზოგადოებისათვის რამდენად საშიშია მისი ჩადენა და ყველა სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასჯელის სახისა და ქვედა და ზედა ზღვარის დადგენა.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას დანაშაულებრივი ქმედების აღწერის საფუძველზე სასამართლოს განუსაზღვროს სასჯელის ფარგლები. მაგრამ, ცალკეულ შემთხვევებში, გვხვდება ნორმები, რომლებისთვისაც დანაშაულებრივი ქმედებისათვის სანქციის მეტად ფართო საზღვრებია დადგენილი. სანქციისადმი ამგვარი მიდგომა სასამართლო პრაქტიკაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულვებელყოფას იწვევს: მოსამართლის მიხედულებით ერთიდაიგივე სოციალური საშიშროების შემცველი დანაშაულისათვის ხდება სასჯელის სხვადასხვა გაუმართლებელი ზომის დანიშვნა. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენს მოსამართლეს ჯერ კიდევ არ გააჩნია ცოდნისა და გამოცდილების ის დონე, რომ მან გადალახოს მინიმალურ და მაქსიმალურ სასჯელს შორის არსებული ზღვარი და სამართლიანი განაჩენი დაადგინოს.

ამიტომაც კარგი იქნება, თუ, ჯერ ერთი, კოდექსში დანაშაულის შემადგენლობა უფრო კონკრეტიზებული იქნება, უფრო ზუსტი და ამომწურავი და მეორეც, სანქციის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს შორის არ იქნება დიდი შუალედი. (მაგალითად, სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილში ერთადერთ სასჯელად თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული და იგი დღეს მოქმედი კანონმდებლობით გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას ექვს წლამდე). ხოლო 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე იგი იყო თ.ა 11 წლამდე ვადით. ვინაიდან, ქართული კანონმდებლობით თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა 6 თვეა, ნათელია, თუ რაოდენ ფართო გასაქანი ეძლევა ჩვენ სინამდვილეში სასჯელის ინდივიდუალიზაციის უგულვებელყოფას. ამავე მუხლის მე-6 ნაწილში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. კერძოდ, თუ ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ამგვარი მაგალითების მოყვანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან კიდევ შეიძლება. მაგალითად, დანაშაულში საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ, რაც მოწმობს კანონმდებლის მიერ სანქციათა გადასინჯვის აუცილებლობას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებისა და დამატების შეტანისას ხარვეზები უფრო შესამჩნევია, რაც დაბლა წევს სასჯელის პრევენციის მიღწევის ეფექტურობას. ზოგიერთი მეცნიერი სასჯელის ეფექტურობას მნიშვნელოვნად უკავშირებს დამნაშავის პოზიტიურ პასუხისმგებლობასა და

მისი სოციალური ქცევის უარყოფით მხარეს და მიიჩნევს, რომ რაც უფრო მაღალია დამნაშავის პოზიტიური პასუხისმგებლობა, მით ნაკლები უნდა იყოს სასჯელის ზომა და პირიქით. ეს დებულება სადაო არ არის, მაგრამ ვერ დავეთანხმებით პოზიციას სანქციის ოპტიმალური ფარგლების განსაზღვრისას სხვა ნიშნებთან ერთად სანქციის გამკაცრების გავრცელებულობის გათვალისწინებას[84]. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება მიგვიყვანოს მოქალაქეთა მართლშეგნების დეფორმაციამდე.

ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი საქართველოს სისხლისსამართლებრივი პრაქტიკიდან. როდესაც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქრთამის აღების დანაშაულმა ძალიან დიდი გასაქანი მიიღო, კანონმდებელმა ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენისათვის სიკვდილით დასჯაც კი დააწესა (იმ დროს სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე ჯერ კიდევ არსებობდა). ამგვარმა ნოვაციამ მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში ვერავითარი დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. ერთი ის იყო, რომ თუ ადრე ქრთამის ამღები ნაკლებ თანხას სჯერდებოდა, სანქციის გამკაცრებამ ეს თანხა უფრო გაზარდა.

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ თეზისს, რომ მხოლოდ სასჯელის გამკაცრებით დადებითი შედეგის მიღება მეტად პრობლემურია. დანაშაულთან ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების მართლშეგნების დონის ამაღლებას. ეს დებულება კი უნდა ემყარებოდეს იმას, საზოგადოება რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის დაცვას. თუ დარღვეულია დანაშაულსა და დადგენილ სასჯელს შორის თანაფარდობა, სასჯელი კარგავს ადამიანის ქცევის სწორი შეფასების უნარს, რაც, თავის მხრივ, აისახება სოციალურ ფასეულობათა შეფასების მთელ სისტემაზე.

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შექმნილმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ როგორც მოსამართლეები, ისე სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვეული სპეციალისტები, შეიმუშავა „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე (2015წ.)

„სახელმძღვანელო წინადადებებში“ ბევრი რამ მნიშვნელოვანია და სათანადოდ დასაბუთებულიც. სწორედ გადაწყვეტილ საკითხებთან ერთად ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება ისეთი მაგალითებიც, რომლებიც სათანადოდ ვერ ასაბუთებენ პირისათვის სასჯელის შეფარდებისას მისი გამკაცრების მიზანშეწონილობას. მაგალითად, სასჯელის ცალკეული კომპონენტის დასაბუთებისას

[84] Игнатов А.Н., Совершенствование уголовных санкций как средство повышения эффективности исполнения наказания в виде лишения свободы, в кн. Комплексная разработка проблем исполнения наказания , М., 1979, с. 50

ზოგიერთ პრაქტიკულ მაგალითში, თუმცა სამართლიანად არის მითითებული სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მაღალ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, იმპერატიულად მიჩნეულია სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით ლმობიერი სასჯელის გამოყენების მიზანშეუწონლობა. ზოგადად ლიბერალიზმი, როდესაც ეს ადამიანის სიცოცხლეს ეხება, ცხადია, ყოვლად გაუმართლებელია. მაგრამ ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ სიცოცხლის უფლებისა და მშვიდობიან პირობებში მისი შელახვის ყოველგვარი მცდელობა მკაცრად უნდა იქნას პასუხგაცემული. „სახელმძღვანელო წინადადებების" ამგვარმა ხასიათის ფრაზებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლეთა მიერ სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებას (გვ. 61).

ასევე მოსამართლის ნებას ბოჭავს და გაუმართლებელია „სახელმძღვანელო წინადადებებში" მითითება იმაზე, რომ დამნაშავის „მიმართ გაქცევის ეპიზოდში გამოყენებული უნდა იქნას მკაცრი სასჯელი", რომ „მსუბუქი სასჯელის გამოყენებით არ უნდა წახალისდეს ეს დანაშაული და მისი ფონი – მით უმეტეს – მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში" (გვ. 62).

თავისთავად, შესაძლოა, ეს დებულებები საფუძველს მოკლებული არ არის , მაგრამ კატეგორიულად, ყოველგვარი დათქმის გარეშე მათი გამოყენება სასჯელის ინდივიდუალიზაციის გამოყენებისათვის ისევ და ისევ საფრთხის შემქმნელია.

მკაცრი სასჯელის გამოყენების ეფექტურობის საკითხი მწვავედ დგას არა მარტო საქართველოს სისხლისამართლებრივ პოლიტიკაში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკელი ავტორის პოლ კასელის მოსაზრება, რომელიც მკაცრი სასჯელების დანიშვნას გაიდლაინების სისტემას უკავშირებს. მისი აზრით, გაიდლაინების საფუძველზე დადგენილ სასჯელთა დანიშვნის სავალდებულო მინიმუმი მეტად მკაცრია და გადახედვას საჭიროებს. ავტორი ამ საკითხს სასჯელის მიზნებს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ფედერალური კანონმდებლობით სასჯელის დანიშვნას ორი ძირითადი მიზანი გააჩნია: ჩვეულებრივად დასჯა და დამნაშავეობაზე კონტროლის განხორციელება (დამნაშავეობასთან ბრძოლა). გაიდლაინები იქმნება სოციალური გარემოს, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მნიშვნელობაზეა აგებული; ხოლო, რაც შეეხება დამნაშავეობაზე კონტროლს, მისი აზრით, გაიდლაინებს მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლიათ ფედერალური დანაშაულით გამოწვეული დანაკარგის აღსადგენად ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით.

პ. კასელი თვლის, რომ გაიდლაინების საფუძველზე დანიშნული სასჯელი მნიშვნელოვნად გადამეტებულია და სავალდებულო მინიმალური სასჯელის დამახასიათებელმა ნიშანმა – „სხვა გამოსავალი არ არის", შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში აშკარა უსამართლობამდე მიგვიყვანოს[85].

[85] Paul G. Cassell, Too severe: A Defence of the Federal Sentencing Guidelines (and a Critique of fed-

პ. კასელი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ აშშ-ში რენდ კორპორაციის მიერ ე.წ. „სამი დარღვევის" კანონის საფუძველზე ჩატარებული კვლევით ნათელი ხდება, რომ საპატიმრო სანქციები ხელს უწყობენ დამნაშავეობის რაოდენობის კლებას, რომ მათ ე.წ. „შემაკავებელი" მნიშვნელობა აქვთ და ზოგადი პრევენციაც ხორციელდება.

1994 წლიდან მოყოლებული, კონგრესმა გარკვეული მასტიმულირებელი გრანტებით უზრუნველყო ის შტატები, რომლებმაც მოძალადე დამნაშავეებს მიუსაჯა მათთვის განკუთვნილი სასჯელის სულ მცირე 85%. მძიმე დანაშაულთა ანალიზმა (განზრახ მკვლელობის – 16%-ით; დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თავდასხმის-12%-ით; ძარცვის 24%-ით, გაუპატიურების-12%-ით, ქურდობის 3%-ით კლებამ) დაადასტურა ამ დანაშაულთა საერთო რაოდენობის არსებითი შემცირება.[86]

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელ მეცნიერთა ნაწილი ილაშქრებს მკაცრი სასჯელების დანიშვნის წინააღმდეგ. ისინი გამოთქვამენ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ევროპულ ქვეყნებთან შედარებით სასჯელის დანიშვნის ამერიკული პრაქტიკა მეტისმეტად მკაცრია[87].

პ. კასელი თვლის, რომ, მართალია, აშშ-ში თავისუფლების აღკვეთის მეტად მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით აშშ-ში დამნაშავეობის საკმაოდ მაღალი დონეა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას, რომ ბოლო წლებში აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში დამნაშავეობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა მცირდება იმის გამო, რომ ევროპაში მიღებული დაბალი სასჯელებით შედარებით ნაკლებად „აკავებენ" დანაშაულის ჩადენას[88].

ყოვლად მცდარი და დაუსაბუთებელია ამერიკელი მეცნიერის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ევროპის ქვეყნებში შედარებით ლმობიერი სასჯელების არსებობა განპირობებულია ამერიკასთან შედარებით ევროპის სახელმწიფოების ნაკლები დემოკრატულობით (იქვე). ამა თუ იმ ქვეყანაში ლმობიერი თუ მკაცრი სასჯელის არსებობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული; არც თუ ისე მცირე ადგილი უკავია საზოგადოების მართლშეგნების დონეს, კულტურულ ტრადიციებს, ეთნიკურ შემადგენლობას, ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ ვითარებას და უამრავ სხვა ფაქტორს.

განსახილველ პრობლემას მეორე მხარეც აქვს. რამდენად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ძალიან დაბალი მინიმალური სასჯელების არსებობა? საქართველოს კანონმდებლობით თავისუფლების აღკვეთის ვადის ათვლა 6 თვიდან იწყება. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ჩემი აზრით, არ არის მართებული. ჯერ

---

eral Mandatory Minimums), Stanford Law Review (vol. 56: 1017 April 2004), p. 1017-1018

[86] დასახ. ნაშრომი, გვ. 1022

[87] David Cole, As Freedom Advances: The paradox of Severity in American Criminal Justice, 3 U.Pa. Coast, 2001, p. 455, 458

[88] დასახ. ნაშრომი, გვ. 1029-1031

ერთი, თუ პირის მიერ ისეთი შედარებით მცირე მნიშვნელობის დანაშაულია ჩადენილი, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთის ზომად შესაძლოა 6 თვე დაინიშნოს, ყოვლად გაუმართლებელია მისი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გამწესება, ან თუგინდ პირობითი მსჯავრის დაწესება. არაერთხელ თქმულა, რომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შერჩევა უკიდურესი ზომა უნდა იყოს. ამის გარდა, ასეთი ხანმოკლე ვადით დამნაშავის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსება გამორიცხავს სასჯელის მიზნის მიღწევას და ქმნის მისი დამნაშავეობის გზაზე დადგომის საშიშროებას. განსაკუთრებით ეს ეხება არასრულწლოვნებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა მათთვის თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ზომად 3 თვე შემოიღო.

ჩვენი სასამართლოს საქმიანობის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ფაქტობრივად თავისუფლების აღკვეთის ასეთ დაბალ ზღვარს არ იყენებს.

ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის რეკომენდაცია მოუწოდებდა კანონმდებლებს საკანონმდებლო წესით განესაზღვრათ, რომ სამართალშემფარდებლებმა არ დაადგინონ დისკრიმინაციული სასჯელი დამნაშავის რასის, კანის ფერის, სქესის, ეროვნული კუთვნილების, რელიგიის, სოციალური სტატუსისა თუ პოლიტიკური მრწამსის საფუძველზე. რეკომენდაციაში ასევე მითითებული იყო, რომ სამართალდამრღვევის უმუშევრობამ, კულტურულმა თუ სოციალურმა მდგომარეობამ არ უნდა მოახდინოს დისკრიმინაციული ზეგავლენა სასჯელის დანიშვნაზე.

მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142[1] მუხლი რასობრივ დისკრიმინაციას დანაშაულად თვლის, მაგრამ სსკ-ს 2012 წლის 27 მარტის კანონით 53-ე მუხლს დაემატა 31 ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ გარემოებას და მას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

კოდექსის 53-ე მუხლის ეს ნაწილი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „დანაშაულის ჩადენა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებულ ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

როგორც ვხედავთ, საქართველომ გაითვალისწინა ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქართველოს მისწრაფება და ერთგულება საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპებისადმი. მაგრამ როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს სტივენ ნეფი, სხვა ქვეყნების გამოცდილება შესაძლოა ითვალისწინებდეს ინსტრუქციულ ან დამარწმუნებელ მიდგომას სასჯელის შეფარდების

სქემის შედგენისას, მაგრამ არცერთი სისტემა არ არის სრულყოფილი და არცერთ მათგანის გადატანა არ არის სრულყოფილად შესაძლებელი. ზოგიერთ კულტურაში ერთიდაიგივე დანაშაულის მეტი ან ნაკლები საშიშროება სხვადასხვაგვარად აღიქმება, ამიტომაც სასჯელის შეფარდების სქემა უნდა ასახავდეს იმ ხალხის მიდგომას სხვადასხვა ღირებულებასა და პრიორიტეტებისადმი[89]

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები (სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი) არა მარტო განსაზღვრავენ სასამართლოს სამართლებრივ შესაძლებლობას გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები, არამედ ავალდებულებენ მას მათ გათვალისწინებას.

სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები ფაქტობრივად მისი შეფარდების წესისა და საზღვრების დადგენის სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნის ამოსავალი წერტილია. სწორედ ამით უნდა ხელმძღვანელობდეს სასამართლო კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტისას. მაგრამ სასჯელის დანიშვნისას „ზოგადი საწყისების" გამოყენების სირთულე იმაშია, რომ მასში სათანადოდ არ არის ასახული სასჯელის სისხლისსამართლებრივი ბუნება, მისი განსხვავება სასჯელის დანიშვნის სხვა წესებისაგან. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ერთიდაიგივე დებულებათა დუბლირებას და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა მიღებას.

თვით სახელწოდებაში „ზოგადი საწყისები" ნაგულისხმევია, რომ ისინი გამოსაყენებელია ყველა ტიპური შემთხვევებისათვის, ანუ მასში ნაგულისხმევია ჩვეულებრივი სიტუაცია: დამნაშავის მიერ ჩადენილი და ბოლომდე მიყვანილი (დამთავრებული) დანაშაული. ხოლო თუ დაუმთავრებელ დანაშაულთან გვაქვს საქმე, დანაშაულთა და სასჯელთა ერთობლიობასა, რეციდივსა, თანამონაწილეობასა და სხვა შემთხვევებთან, ეს ცნებები სსკ-ის 53-ე მუხლში ვერ თავსდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის თეორიაში დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებში. ამ საკითხზე მომუშავე იურისტების ნაწილი საერთოდ საჭიროდ არ მიიჩნევს „ზოგადი საწყისების" ცნების განმარტებას; მეორე ნაწილი კი თვლის, რომ „ზოგადი საწყისები" ეს არის როგორც ის წესები (მოთხოვნა, დებულება, კრიტერიუმი), რასაც უნდა დაეფუძნოს სასამართლო ყველა კონკრეტულ საქმეზე სასჯელის შეფარდების დროს; სხვათა აზრით, სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები ეს არის სისხლის სამართლის ნორმებით განმტკიცებული სახელმძღვანელო იდეები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის დროს[90] „ზოგადი საწყისების" ცნებათა განმარტებაში თითქმის ახალი არაფერია. ეს ცნებები სასამართლოსათვის გეზის მიმცემია, რათა მან დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას ინდი-

[89] სტივენ ს. ნეფი, ძირითადი კომენტარები „სასამართლო გადაწყვეტილების ძირითადი წესების შესახებ", თბ., 2014წ.

[90] Е.Б. Благов, Назначение наказания (Теория и практика), Ярославь, 2002, стр. 9-17

ვიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე დაყრდნობით მიაღწიოს სამართლიანი განაჩენის დადგენას.

თვით სახელწოდება „ზოგადი საწყისები" მოწმობს, რომ ისინი იძლევიან მითითებას მოსამართლეთა მიერ მასში ასახულ დებულებათა სავალდებულო გათვალისწინების თაობაზე. ეს წესები ტიპურია და მათი გამოყენება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკაზე არ არის გაანგარიშებული.

„მთლად ზუსტი არ არის მოსაზრება, რომ „ზოგადი საწყისების" რეგლამენტაციას არსებითად ჩვეულებრივი სიტუაცია აქვს მხედველობაში. მასში ვერ იქნება ასახული სასჯელის დანიშვნის ცალკეული სახეების სპეციფიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი ცალკე გამოყოფს სასჯელის დანიშვნის სპეციალურ შემთხვევებს. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად არის რეგლამენტირებული უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნა (მ 55); მაშინ, როდესაც „ზოგადი საწყისები" გულისხმობენ სასჯელის დანიშვნას იმ ფარგლებში, რაც დადგენილია სსკ-ის კერძო ნაწილის სათანადო მუხლით. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 53-ე მუხლში არის დათქმა: „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ... ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით".

როგორც ვრწმუნდებით, „ზოგადი საწყისების" ცნება, მართლაც, მეტად ზოგადია, მაგრამ ისინი იძლევიან შესაძლებლობას, რომ სასამართლომ ამ ნორმის გამოყენებით სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით შეძლოს სამართლიანი სასჯელის დადგენა.

საფიქრებელია, რომ ფაქტობრივად ამ მუხლის არსებობის მიზანია დაეხმაროს სასამართლოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებისას. მაგალითისათვის, საკანონმდებლო რეკომენდაციით სრულწლოვნად ითვლება პირი 18 წლის ასაკიდან ანუ იგი არასრულწლოვანია როგორც 17 წლის, ისე 14 წლისაც; ქალის ორსულობა შეიძლება იყოს დასაწყის ან ბოლო სტადიაზე; სასჯელზე მეტი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს დამნაშავისაგან დამოკიდებული პირის მიერ განხორციელებულმა დანაშაულმა, ვიდრე წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ ჩადენილმა დანაშაულმა და სხვა. ყველა ეს მნიშვნელოვანი გარემოება კანონმდებლობით ვერ მოწესრიგდება, ამიტომაც იგი აისახება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებისას.

უნდა შევნიშნოთ, რომ მოსამართლეთათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება როდია მხოლოდ რეკომენდაცია, რასაც კანონმდებელი სთავაზობს სასამართლოს, არამედ მისი ვალდებულებაა, რისგანაც მას თავის არიდება არ შეუძლია. მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს პიროვნების სუბიექტური მახასიათებლები, სასამართლომ არ უნდა განიხილოს დამნაშავე როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობების გათვალისწინებით პასუხს აგებს სისხლის

სამართლის წესით, არამედ როგორც ცოცხალი ადამიანი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით; ადამიანი, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ გარემოში, აქვს წარსული ცხოვრება და ა.შ. შესაძლოა, რომ სხვადასხვა პირს ერთი და იგივე ხასიათის დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, მაგრამ ეს განპირობებული იყოს კონკრეტული პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ამიტომ საქმის გარემოებათა ღრმა ანალიზის საფუძველზე, ჯეროვნად უნდა დასაბუთდეს თუ რამ განაპირობა ამ დამნაშავისათვის პრიორიტეტის მინიჭება, მის მიმართ დასჯისადმი დიფერენცირებული მიდგომა, რეპრესიული ხასიათისა და ხარისხიდან გამომდინარე, სასჯელის ზომის გაძლიერება თუ შემცირება.

„ზოგად საწყისებში" აშკარად არის გამოხატული სასჯელის ინდივიდუალიზაციის სავალდებულო ხასიათი. ეს თავის გამოხატულებას პოულობს მის პირველივე წინადადებაში „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს..." ხოლო სასჯელი სამართლიანი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების ორგანო დამნაშავეს შეუფარდებს კონკრეტული საქმის ყველა გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით. იგი საზოგადოებაში გაბატონებული მორალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სასჯელის შეფარდება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას და ტალიონის პრინციპის განხორციელებას. სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს დამნაშავის რაციონალური, მიზანშეწონილი დასჯა, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან წარმატებულ ბრძოლას, კანონების, ასევე საერთო თანაცხოვრების წესების სათანადო დაცვას, მომავალში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

სასჯელის სამართლიანობაში უნდა ვიგულისხმოთ სასჯელის შეფარდების სამართლებრივი გადაწყვეტა. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

სამართლიანი სასჯელის დადგენა შეუძლებელია სასამართლო საქმიანობის სფეროში იმ საშუალებათა ღრმა ანალიზის გარეშე, რომელიც სისხლის სამართალს გააჩნია. საკითხისადმი ამგვარი მიდგომით შესაძლებლობა გვეძლევა აღმოვაჩინოთ არსებული ნორმატიული მასალისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების როგორც ძლიერი, ისე ჩრდილოვანი მხარეები.

სახეზე გვაქვს პარადოქსული სიტუაცია: საკანონმდებლო ორგანო იღებს ახალს და ცვლის მოქმედ კანონებს, შემდეგ მრავალჯერ იყენებს მათ, მაგრამ საკმაოდ არ არის დამუშავებული სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პროცესში მისი სწორედ შერჩევის პრინციპი, რამაც უნდა უზრუნველყოს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის გამოყენება.

აქ კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა კანონში ჩამოთვლილ ფაქტორთა სინთეზს უნდა წარმოადგენდეს. ხოლო სინთეზისათვის აუცილებელია ჩავწვდეთ

მისი შემადგენელი ნაწილების არსს, რაც მხოლოდ ანალიზის გზით გახდება შესაძლებელი.

ორიოდე სიტყვით მაინც არ შეიძლება არ შევეხო საქართველოს სასამართლო საქმიანობაში გაბატონებულ არასწორ პრაქტიკას: ჩვენ ხელთ არსებულ სასამართლო განაჩენთა უმრავლესობაში, სამწუხაროდ, მეტად ზერელედ ხდება სასჯელის შეფარდებისას ყველა იმ გარემოებათა ღრმა ანალიზი, რაც საფუძვლად ედება დამნაშავისათვის სასჯელის ამა თუ იმ სახის თუ ზომის შეფარდებას. ვფიქრობ, რომ მოსამართლეები არ უნდა შემოიფარგლონ სასჯელის შეფარდებისას თვით სისხლის სამართლის კოდექსით რეკომენდირებულ გარემოებათა ჩამონათვალით. მაგალითად, „სასამართლომ გაითვალისწინა დამნაშავის წარსული ცხოვრება“ (მიუთითონ კერძოდ რაში გამოიხატა); ან კიდევ, „პირადი და ეკონომიკური პირობები“ (რაში ჰპოვა მან გამოხატულება) და სხვა. არ არის ძნელი დარწმუნდე, რომ ასეთი სახით სასჯელის შეფარდების მოტივაცია, იმ გარემოებათა ზოგადი ფორმების ჩამონათვალის კონკრეტიზაციის გარეშე, არ იძლევა პასუხს იმ კითხვაზე, თუ რომელი გარემოება და რა ხარისხში იყო სასამართლოს მიერ გათვალისწინებული სასჯელის შეფარდების დროს.

ვფიქრობ, რომ გასათვალისწინებელია რ. ვოგლერის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იქნეს მსჯავრდების დასაბუთებისას მითითება სასჯელის მიზნებზე, რაც დღეს სასამართლო პრაქტიკაში არ გვხვდება[91].

ცხადია გვხვდება კარგად დასაბუთებული განაჩენებიც, სადაც დაწვრილებით და სიღრმისეულად არის აღწერილი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები. მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ უფრო მკაცრი სასჯელი მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამრიგად, ჩვენი კანონმდებელი გვთავაზობს ისეთ კონცეფციას, რომელიც აწესებს სასჯელის შეფარდების შეზღუდვას მინიმალური ინტერვენციის პრინციპის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილშივე ხაზგასმულია, რომ სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამიტომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელთა უფრო ხშირად გამოყენება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ეს ნორმა დასაზუსტებელია და შეიძლება ითქვას, რომ იგი შეიცვლება.

მხოლოდ ზემოაღნიშნულ ფაქტორთა ანალიზით, თითოეულ გარემოებათა გათვალისწინებით გახდება შესაძლებელი სამართლიანი სასჯელის დადგენა, რაც ცხადია, სასჯელის მიზნის – სამართლიანობის აღდგენის წინაპირობაა.

[91] რიჩარდ ვოგლერი, სასექსის უნივერსიტეტის დოქტორი, ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, 2012წ.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზმის გათვალისწინება ბევრად არის დამოკიდებული თვით სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ნიშნების ზუსტად ჩამოყალიბებაზე. დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა წინაპირობაა დამნაშავისათვის ობიექტური და სამართლიანი სასჯელის დანიშვნისა. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ზოგჯერ ობიექტური შემადგენლობის ჩამოყალიბებისას არ შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. შეფასებითი ნიშნები, რაც უფრო შესაძლებელს გახდის ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის გამოყენებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთ მუხლში, განსაკუთრებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფულადი თანხის ზუსტი განსაზღვრა, შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კიდეც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას. მაგალითად, 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, კერძოდ, 177-ე მუხლს შენიშვნის სახით დაემატა ნორმა იმის თაობაზე, რომ კოდექსის ამ თავში მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით. ამ ნოვაციის შემოღებამდე სასამართლოს შესაძლებლობა ეძლეოდა სასჯელის შეფარდებისას გაეთვალისწინებინა როგორც დაზარალებულის, ისე დამნაშავის ქონებრივი მდგომარეობა. ამჟამად კი, თუ მითვისებული ნივთის ფულადი ღირებულება სცილდება კანონით განსაზღვრულ ზღვარს, თუგინდ მცირე ოდენობითაც კი, კანონის თანახმად იცვლება კვალიფიკაცია და დამნაშავეს უმძიმდება პასუხისმგებლობა. არ იქნება ურიგო, თუ კანონმდებელი ნორმის ძველ რედაქციას დაუბრუნდება და მნიშვნელოვან ზიანს შეფასების ნიშნად აღიარებს. სასამართლო კი, თავის მხრივ, გაითვალისწინებს დანაშაულის ყველა გარემოებას, დამნაშავის ბრალის ხარისხს, სხვა შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და ისე მოახდენს სასჯელის ინდივიდუალიზაციას.

ისევ ხაზი უნდა გაესვას, რომ არცთუ იშვიათად სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში სახელდებით არ არის მითითებული ამა თუ იმ სასჯელის ზომის გამოყენების არგუმენტაცია.

დამსახურებული სასჯელის დაკისრება ეფუძნება „დამსახურებული სასჯელის თეორიას“ („ჯასთ დესერთს“), რომლის თანახმადაც დამნაშავეს უნდა დაეკისროს ის სასჯელი, რაც მან დაიმსახურა, ცხადია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. პროფ. მეთიუ ლიპმენი თვლის, რომ სადამსჯელო ფილოსოფია ემყარება ცნობილ ბიბლიურ გამონათქვამს „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“. მ. ლიპმენი სვავს მთელ რიგ კითხვებს: როგორ უნდა განისაზღვროს, თუ რა სასჯელს იმსახურებს დამნაშავე: საპყრობილეში მოთავსებას, ჯარიმას თუ შინაპატიმრობას? ამავე დროს როგორ უნდა იყოს დადგენილი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის შესაფერისი ხანგრძლივობა? ან

კიდევ, რა ტიპის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში უნდა მოხდეს განაჩენის სისრულეში მოყვანა? მ. ლიპმენის აზრით, დაყენებული საკითხების იოლად გადაწყვეტა შეუძლებელია. დამნაშავისათვის „დამსახურებული" სასჯელის დაკისრება დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის მთელ რიგ გარემოებებზე, დამნაშავის პიროვნულ თვისებებზე, დაზარალებულის პიროვნების გათვალისწინებაზე და სხვა.[92]

სამართლიანობა გვიკარნახებს აღინიშნოს, რომ დამნაშავისათვის სათანადო სიზუსტით სასჯელის შეფარდება განპირობებულია მთელ რიგ ობიექტურ გარემოებათა არსებობით. საქმე ეხება ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ურთიერთდამოკიდებულნი არიან, ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე და მათი ცალკე ანალიზი მეტად რთულია. სასჯელის შეფარდებასათან დაკავშირებულ პროცედურებზე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები. მართალია, „სასჯელის განსაზღვრა ეროვნული სასამართლოების სრული პრეროგატივაა, მაგრამ სამართლიანი სასამართლოს გარანტია მოითხოვს, რომ სასჯელი, განსაკუთრებით გარკვეული კატეგორიის სასჯელები ისეთივე სტანდარტით იყოს დასაბუთებული, რაც სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების შემთხვევაში არის მოთხოვნილი"[93]

სავსებით სამართლიანად მიუთითებს კევინ ჰიუ, რომ გამოყენებული სასჯელის დასაბუთება რთულია. აუცილებელია, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული ჯეროვანი სასჯელის შერჩევისას, ასევე, თუ როგორი წონა მიენიჭათ ამ ფაქტებს.

კევინ ჰიუ სასჯელის დასაბუთებას განიხილავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და პრინციპების საფუძველზე და განსაკუთრებით ჩერდება საერთო ევროპული მოთხოვნების, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენციის მე-6 მუხლის დაცვაზე. ექსპერტი აღნიშნავს, რომ საკითხის სირთულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სასამართლოები ცდილობენ თავი გაართვან ამ რთულ საკითხს. მათ მიერ თანდათანობით განვითარდა პრაქტიკა, რომელიც რიგი ფაქტორების შეფასებას ეფუძნება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბოსნია-ჰერცოგოვინას სასამართლოებში შემუშავებული შვიდპუნქტიანი სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასჯელის დასაბუთება. ეს სისტემა ადგილს უთმობს კანონით დადგენილი სასჯელის მიზნების განხილვას და შემდეგ იხილავს 7 ფაქტორს კონკრეტული საქმის შუქზე. ეს ფაქტორებია: 1) დანაშაულის სიმძიმე; 2) მსჯავრდებულის პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენისას; 3) მსჯავრდებულის პერსონალური გარემოებები და მისი ქცევა დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის დროს და მას შემდეგ; 4) მოტივი; 5) მსჯავრდებულის პიროვნება; 6) პრევენციის საჭიროება და მსჯავრდებულის გამოსწორების

[92] Matthew Lippman, Contemporary Criminal Law: Concepts, Cases and Controversies, 2004, p. 64-67

[93] კევინ ჰიუ, ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში", ექსპერტი, სახელმძღვანელო წინადადებები, თბ., 2015, გვ. 377

შესაძლებლობა; 7) კანონით გათვალისწინებული სასჯელის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები[94].

უნდა შევნიშნო, რომ ექსპერტის მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინაში შემუშავებულ შვიდპუნქტიან სისტემაში ჩვენთვის ახალი არაფერია. ის, რომ სასამართლომ ამ პუნქტებში დასმულ საკითხებზე პასუხი უნდა გასცეს დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდების დროს – აშკარაა, სხვაგვარად ვერ იქნება განხორციელებული სისხლის სამართლის ისეთი პრინციპი, როგორიცაა სასჯელის ინდივიდუალიზაცია. განა ბოსნია-ჰერცოგოვინაში შემუშავებულ სისტემაში მითითებულ სასჯელის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე არ არის დაფუძნებული ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი?

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ დებულებას, რომ სისხლის სამართლის კანონში შეუძლებელია ყველა იმ გარემოების ზედმინევნით და სრულად განსაზღვრა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს სასჯელის შეფარდებას, რათა იგი სამართლიანი იყოს. ყოველივე ზემოაღნიშნული კვლავ ადასტურებს, რომ მეტად რთულია მოსამართლეთა მიერ სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცხოვრებაში გატარებისას ყველა მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინება. ეს მარტო საქართველოს როდი ეხება. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არცთუ იშვიათად ადასტურებს, რომ დამნაშავისთვის სასჯელის შეფარდება ყოველთვის დასაბუთებული და სამართლიანი არ არის. მაგალითად, სასამართლომ ვერ დაასაბუთა მსაჯვრდებულისათვის ისეთი მკაცრი სასჯელის დაკისრება, რაც ორმოცწლიან პატიმრობას გულისხმობდა[95].

ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის იურიდიული მრჩევლის სტივენ ნეფის კვლევა, რომელიც თვლის, რომ სასჯელის შეფარდების სისტემის შეფასებისას უნდა გამოყოფილი იქნას რამდენიმე უნივერსალური პრინციპი და აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლეს ფართო უფლებამოსილება გააჩნია სამართლიანი სასჯელის შეფარდებაში. იგი მიუთითებს, რომ აშშ-ში მოსამართლე სასჯელის განსაზღვრისას ეყრდნობა აშშ-ს კოდექსის მე-18 წიგნის 3553(ა) ნაწილს, სადაც განსაზღვრულია, რომ „სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი საკმარისი უნდა იყოს და არ აღემატებოდეს აუცილებელ სასჯელს იმ მიზნების მისაღწევად, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრულ სასჯელის შეფარდების საქმეში.

სტეფან ნეფის მიერ მინიშნებულ იმ სქემაში, რაც მოსამართლის მიერ უნდა იყოს გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებისას, თუმცა სხვაგვარი თანმიმდევრობით, მაგრამ გამოკვეთილია დანაშაულისთვის სამართლიანი დასჯის აუცილებლობა. ამასთან მის მიერ ხაზგასმულია ასევე სასჯელის მიზნებიც; კერძოდ, სასჯელის მეშვეობით ზოგადი და კერძო პრევენციის განხორციელება, ასევე დამნაშავის რეაბილიტაცია.

[94] კევინ ჰიუ, იქვე, გვ. 171
[95] Ajdarics Vs Croatia, no. 20883/09, 2011 წლის 13 დეკემბერი-legal summary

უნდა დავეთანხმოთ სტივენ ნეფის პოზიციას, რომელიც თვლის, რომ სასჯელის სქემის შედგენისას არცერთი სისტემა არ არის სრულყოფილი და შეუძლებელია ამ სისტემების გაიგივება და უცვლელად გადატანა. „სასჯელის შეფარდების სქემა უნდა ასახავდეს და ეყრდნობოდეს ამა თუ იმ ხალხის ღირებულებასა და პრიორიტეტს".[96]

მიუხედავად ობიექტურად არსებული სიძნელისა, მაინც უნდა მოიძებნოს კრიტერიუმი ამ გარემოებათა გასამიჯნად და სასჯელის დანიშვნის ორიენტაცია უფრო მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა იყოს აღებული. ცხადია, რომ დანაშაულის ჩადენისას თითოეული გარემოება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე ერთნაირი არ არის და ვერც იქნება.

სამართლიანად მსჯელობს ნ. კუზნეცოვა, რომელიც თვლის, რომ გამორიცხული არ არის ერთიდაიგივე სიმძიმის დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლომ დამნაშავეს სხვადასხვა სასჯელი დააკისროს. მისი აზრით, (და რომელსაც მეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა) სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უფრო მეტი ალტერნატიული სასჯელის და ზომის შეტანაა მიზანშეწონილი. ამით მხედველობაში იქნება მიღებული პიროვნების, როგორც დანაშაულის ადრესატის სოციალ-დემოგრაფიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური პარამეტრები. განსაკუთრებით ეს გასათვალისწინებელია იმ დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, რომლებიც უმეტესწილად ახალგაზრდული ასაკისათვის არის დამახასიათებელი[97]

სასჯელის დანიშვნის სისწორე, უპირველესად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დანაშაულის კვალიფიკაციის სიზუსტით. დანაშაულის კვალიფიკაცია სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა. ქმედების არასწორი და არაზუსტი შეფასება კი იწვევს ისეთი სასჯელის დანიშვნას, რომელიც ჩადენილ დანაშაულს არ შეესაბამება. სასამართლო არ ეთანხმება გამოძიების ორგანოს დასკვნას ქმედების სამართლებრივი შეფასების თაობაზე და უსაფუძვლოდ ცვლის დანაშაულის კვალიფიკაციას, რაც იწვევს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულებელყოფას. ჩვენ მიერ შესწავლილმა საქართველოს სასამართლოების პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ შესაძლოა არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც სცოდავენ ის მოსამართლეები, რომლებიც არასწორი კვალიფიკაციის საფუძველზე ფაქტობრივად არღვევენ ზემოაღნიშნულ პრინციპს და გამოაქვთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ამის გამო ან საკმაოდ მკაცრია ან პირიქით მეტად ლმობიერი.

ასე მაგალითად, ქალაქის სასამართლომ განიხილა რევაზ ზამბახიძის საქმე (სახელი და გვარი შეცვლილია), რომელმაც 2008-2009 წლებში განზრახ თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 202453 ლარის გადახდას. მან 2008 წელს მოგების წლიური დეკლარაციის თანახმად, ნაცვლად გადასახდე-

[96] სტივენ ს. ნეფი, მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, იუსტიციის დეპარტამენტი, აშშ-ს საელჩო, „სახელმძღვანელო ნინადადებები", გვ. 136

[97] Курс уголовного права, Общая часть, Учение о наказании, Т. П, 2002, стр. 20-21

ლი ძირითადი თანხის – 140088 ლარის, დეკლარაციის საფუძველზე გადაიხადა 12635 ლარი, ხოლო 2009 წლის იანვარში საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციაში არ შეიტანა გადასახდელი თანხა – 75000 ლარი. 2009 წლის აპრილში შპს (X)-ს შემოსავლების სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული რევიზიის აქტის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 1401667 ლარის გადახდა, აქედან რ. ზამბახიძის დირექტორად მუშაობის პერიოდში (2008-2009 წლებში) შპს-ს დავალიანებამ ბიუჯეტის მიმართ შეადგინა 202453 ლარი.

საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველზე, რ. ზამბახიძეს ძირითად სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 100000 ლარის ოდენობით. დადებითად უნდა შევაფასოთ მოსამართლის მიერ საპროცესო შეთანხმების დადების დასაბუთება; ამასთან, შემდგომ სასამართლო განაჩენში უკვე არაერთგზის გაჟღერებული ტრაფარეტია, რომ სასამართლო თვლის პროკურატურის მიერ შემოთავაზებულ სასჯელის ზომას სამართლიანად, რადგან იგი შეესაბამება განსასჯელის პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მიაჩნია, რომ გასაზიარებელია არსებული შემამსუბუქებელი გარემოებები და კერძოდ ის, რომ რ. ზამბახიძე სრულად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. სასამართლომ რ. ზამბახიძეს ძირითადი სასჯელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა ასი ათასი ლარის ოდენობით.

დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოების ამგვარი დასაბუთება (თუ დაუსაბუთებლობა) არცთუ ახალია. მაგრამ ჩვენ ყურადღება უნდა გადავიტანოთ კიდევ უფრო მნიშვნელოვან გარემოებაზე, რაც რეალურად უგულვებელყოფს დამნაშავის მიმართ სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის აშკარა დარღვევას. აქ იგულისხმება დანაშაულებრივი ქმედების არასწორი კვალიფიკაცია, რაც, ცხადია, პირდაპირ აისახა დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებაზე, დაამძიმა დამნაშავის პასუხისმგებლობა და ამით დაარღვია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი ეფუძნება სასამართლოებში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკას: კანონმდებელი დასჯადად აცხადებს ერთი დეკლარაციით 50000 ლარზე მეტი გადასახადისაგან თავის არიდებას, შემოსავლების სამსახური კი გადამხდელს შეუკრებს გარკვეულ დროის (სხვადასხვა წლის) მონაკვეთში გადაუხდელ გადასახადებს და ამის საფუძველზე ადგენს დამნაშავის მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებით დაზარალებულისათვის დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენებას. ეს გარემოება უშუალო გავლენას ახდენს პიროვნების პასუხისმგებლობაზე, რამდენადაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდება უკვე დამამძიმებელ გარემოებად ითვლება.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში დამნაშავემ 2008 წლის მოგების წლიური დეკლარაციის თანახმად, გადასახდის ძირითადი თანხის – 140088 ლარის ნაცვლად, დეკლარაციით გადაიხადა 12635 ლარი, ხოლო 2009 წლის იანვრის თვეში

საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციაში არ შეიტანა 75000 ლარით განსაზღვრული გადასახდელი თანხა.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის დამადასტურებელია, რომ კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ შემოსავლების სამსახური გადამხდელს გარკვეული დროის მონაკვეთში გადაუხდელ გადასახადებს უკრებს და ისე გამოყავს გადაუხდელი თანხის ოდენობა, რაც უშუალოდ აისახება დამნაშავე პირისათვის სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრაზე და საბოლოოდ მის მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციის გამოყენებაზე.

ქმედების არასწორი კვალიფიკაციის შედეგად დამნაშავისათვის სასჯელის არასწორად დაკისრება და ამით, ყველაფერთან ერთად, სასჯელის სამართლიანობისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევა არცთუ იშვიათია საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, რამდენადაც ქვემოთ მითითებული ნორმის არასწორად გაგება და, აქედან გამომდინარე, არასწორი კვალიფიკაცია ხშირად გვხვდება. პირველად სცოდავენ პირველი ინსტანციის მოსამართლეები, შემდგომ კი სააპელაციო სასამართლო მას კანონიერად, ანუ ქმედების სწორ კვალიფიკაციად მიიჩნევს.

2014 წლის 11 ნოემბრის განაჩენით, საქმე N1/ბ.608-14, რომელიც სსკ-ის 108-ე მუხლით მკვლელობას ეხებოდა, სააპელაციო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთის ვადა ძალაში დატოვა. აქ საინტერესოა ის, რომ დამნაშავეს გარდა ზემოაღნიშნული მუხლისა, სასჯელი დაეკისრა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისათვის – ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა (მ. 236-ე მუხლის I ნაწილი) და იმავე მუხლის მეორე ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

ამ შემთხვევაში, კვალიფიკაცია 236-ე მუხლის I და II ნაწილებით აშკარად არ არის გამართლებული. 236-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში მითითებული ქმედება, რომლებიც ერთმანეთის ლოგიკური გაგრძელებაა, ალტერნატიულ ქმედებას წარმოადგენს. სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებით, იმის მიუხედავად, რომ კანონმდებელმა ეს ქმედებანი მათი საშიშროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ნაწილებში გადააჯგუფა . ამდენად, როდესაც სახეზეა იარაღის შეძენა და ტარება, ქმედების კვალიფიკაცია არ უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით. კვალიფიკაცია საჭიროა მუხლის ყველაზე უფრო დამამძიმებელი გარემოებით, ანუ მეორე ნაწილით[98].

ასეთი ხარისხის შეცდომები არცთუ იშვიათად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში, რაც საბოლოოდ აისახება სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში. ფაქტობრივად, ხდება სასჯელთა შეჯამება და ამით მნიშვნელოვნად ირღვევა სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

---

[98] ნ. თოდუა, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებები, კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, კრებული, თბ., 2002, გვ. 335-338

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოსამართლეთა მიერ ბრალდებულის მონაცემთა გადმოცემისას მითითება, რომ ბრალდებულს ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს. ამგვარი შეცდომები იშვიათად გვხვდება, თუმცა იგი სისხლის სამართლის ნორმის საწინააღმდეგოა. სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილი პირდაპირ აღნიშნავს,რომ „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას". ამიტომაც განაჩენში ამის აღნიშვნა კანონის პირდაპირ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ. ეს აპრიორი მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპზე ზეგავლენის მოხდენას გულისხმობს[99].

სამართლიანი განაჩენის დასადგენად, დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაცია საკმარისი არ არის. აქ მოსამართლეს ევალება შედარებით განსაზღვრულ სანქციებსა და ალტერნატიულ სასჯელს შორის შეარჩიოს სწორედ კონკრეტული პირისათვის სანქციის ის სახე და ფარგლები, რაც მისი ღრმა რწმენითა და კანონზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების მიღება ზოგჯერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საკმაოდ ხშირ ცვლილებათა და დამატებათა შეტანასთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი ცვლილებისა და დამატების შეტანა აბსოლუტურად გაუმართლებელია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ხარვეზი, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის არსებობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სავსებით სამართლიანად დაუშვებლად მიიჩნევს. მით უმეტეს, რომ მისი არსებობა რეალურად გულისხმობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულვებელყოფას.

ამისდა მიუხედავად, დღესდღეობით სსკ-ში არსებობს რამოდენიმე მუხლი, რომელიც თუმცა სასჯელის ალტერნატიულ სახესაც ითვალისწინებს, მაგრამ თავისუფლების აღკვეთის დადგენისას, მას აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის სახეს აძლევს: მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინათ, სსკ-ს დაემატა 238[1] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცივი იარაღის ტარებისათვის. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვის ვადით.

უფრო შთამბეჭდავია მე-200[2] მუხლი, რომელიც აქციზური მარკების გამოყენებას ეხება: პირველი ნაწილით, სასჯელის ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 6 თვემდე, მაშინ როდესაც თავისუფლების აღკვეთის ვადის ათვლა იწყება ექვსი თვიდან.

[99] 2012 წლის 18/I სააპელაციო სასამართლოს განაჩენი – საქმე N/ბ-897-11

სამართალშემფარდებლის მართლშეგნება, რომელიც სამართლებრივი იდეოლოგიისა და სამართლებრივი ფსიქოლოგიის ურთიერთგანმსაზღვრელი ერთიანობაა გადაწყვეტილების მიღების სუბიექტურ საფუძველს წარმოადგენს. იგი მოსამართლისათვის მინიჭებული უფლების არსებითი ელემენტია, თუმცა უნდა ეყრდნობოდეს სისხლის სამართლის ნორმების გამოყენების ობიექტურ საფუძველს.

სასჯელის დანიშვნის დისკრეცია არსებობს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებს შეუძლია არჩევანი გააკეთოს ორ ან მეტ სამართლებრივად დასაშვებ ვარიანტს შორის იმგვარად, რომ იგი გავლენას ახდენდეს სისხლისსამართლებრივ სანქციაზე, რაც მოსამართლის რწმენით შეიძლება დაენიშნოს დამნაშავეს. ამიტომაც არის, რომ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მართლშეგნებას-გამოიყენოს დიფერენცირებული სასჯელისა და მისი ზომიდან ყველაზე შესაფერისი.

წინამდებარე ნაშრომში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის კვლევა, ცხადია, ძირითადად ეფუძნება სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი სასჯელის შეფარდების ზოგად საწყისებს. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კანონში მითითებულ სასამართლოსათვის სავალდებულოდ გათვალისწინებული სხვა გარემოებებიც მათ ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული.

როდესაც ვსაუბრობთ სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებზე, აუცილებელია მოვახდინოთ დანაშაულებრივი ქმედებისა და პიროვნების ცნებათა თანაფარდობის ანალიზი. მაგალითად, თუ საკითხი ეხება დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ცხადია, ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის პიროვნულ თვისებებსაც, რამაც გამოხატულება ჰპოვა ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქმედების სოციალური საშიშროებიდან გამომდინარე, იმავდროულად გათვალისწინებული უნდა იყოს პირის ის მონაცემები, რომლებიც ამ ქმედებაში გამოვლინდა. ობიექტური ნიშნები, რაც დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულში აისახა, პიროვნებასაც ახასიათებენ.

მაგალითად, თუ დამნაშავის მიერ გამოწვეული მძიმე შედეგი მის განზრახვას მოიცავდა, ეს დამნაშავის პიროვნების დამახასიათებელი ნიშანია, რამდენადაც მას სურდა ამ მძიმე შედეგის დადგომა ან შეგნებულად უშვებდა მას. ან კიდევ, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ქმედება, არამარტო დანაშაულის ჩადენის საშუალება, არამედ დამნაშავის ხასიათის ნიშან-თვისებაცაა.

ზემოაღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ქმედება არ წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც გავლენას ახდენს სასჯელზე. ცხადია, რომ განსაკუთრებით მძიმე და საშიში დანაშაულისათვის გათვალისწინებულია უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა. ამგვარი მარტივი ლოგიკით ქმედება საფუძვლად ედება დამნაშავისათვის დანიშნული სასჯელის

კონკრეტულ ზომას. ქმედება კრიმინალიზაციისა და კვალიფიკაციის საფუძველია. სასჯელის ზომა, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილ ქმედებას და სწორედ ამ აზრით ქმედება წარმოადგენს მთავარ (თუმცა არა ერთადერთ) საფუძველს სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას. ეს დასკვნა, ლოგიკური დასაბუთების გარდა, შეესაბამება სასჯელის სამართლიანობას, საზოგადოებრივ სამართალშეგნებას, რომლის ნაწილიც მოსამართლის მართლშეგნებაა.

ყოველივე ამის მიუხედავად, სასჯელის ზომა, ქმედების ხასიათისა და საშიშროებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს სხვა გარემოებათა გათვალისწინებითაც. ეს იმით შეიძლება დავასაბუთოთ, რომ სასჯელის შეფარდების (ინდივიდუალიზაციის) საფუძველი მოიცავს პიროვნების ისეთ თვისებასაც, რომელიც ქმედებაში არ გამოვლინდა. თუმცა ეს ფაქტები ქმედებასთან მიმართებაში უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია. ამ ფაქტებით ხდება სასჯელის ზომის კორექტირება. არსებობს გამონაკლისიც, როდესაც დამნაშავის დადებითი პიროვნული მონაცემები, რომლებმაც ასახვა არ ჰპოვეს დანაშაულებრივ ქმედებაში, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფაქტობრივად ზეგავლენას ახდენენ და განსაზღვრავენ შეფარდებული სასჯელის ზომას (მაგალითად, დამნაშავეს დაეკისროს მინიმალური სასჯელი, ან პირობითი მსჯავრი, გადაევადოს სასჯელის აღსრულება და სხვა); და პირიქით, დამნაშავის პიროვნულმა უარყოფითმა თვისებებმა განაპირობონ უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა.

მაგალითად, თუ წინად განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი კვლავ ჩაიდენს განზრახ დანაშაულს, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მის მიმართ უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა დადგება. ასევე ნიშანდობლივია პასუხისმგებლობის გამკაცრება დანაშაულის არაერთგზის ჩადენის შემთხვევაშიც.

ასევე გაუმართლებელი იქნებოდა ყველასათვის თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრება ერთიანი თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ დროს სავალდებულოა გათვალისწინებული იქნას თითოეული მონაწილის როლი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისას.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება განხილული იქნება სათანადო ადგილას იმის დასადასტურებლად, თუ რაოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ გათვალისწინებას დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას და ამით ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურ განხორციელებას.

თავი IV

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით, ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და შემდგომ ჩამოთვლის მათ. კერძოდ, მიუთითებს, რომ სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ვალდებულია გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

„ზოგად საწყისებში" ჩამოყალიბებულ დებულებათა არსი მდგომარეობს იმაში, რომ, **ერთის მხრივ**, ისინი მოიცავენ რეალურ ცხოვრებაში ფართოდ გავრცელებულ იმ სიტუაციებს, რომლებიც რიგ დანაშაულთა ჩადენისას მეტად ტიპურია და, **მეორეს მხრივ**, ამ ჩამონათვალში მითითებულია იმ გარემოებებზე, რომლებმაც სათანადო და შესაბამისი ზეგავლენა უნდა მოახდინონ დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით.

იურიდიულ ლიტერატურაში დღესაც არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი შემამსუბუქებელ და დამამაძიმებელ გარემოებათა არსებობის სპეციფიკაზე. **ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს**, რომ ეს გარემოებანი ზეგავლენას ახდენენ ბრალის ხარისხზე, **სხვათა აზრით**, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მათი დაკონკრეტება უფრო ნათელს გახდიდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას.

როგორც ცნობილია, დღეს მოქმედმა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობამ უარი თქვა ცალკე მუხლად და ამომწურავად ჩამოეყალიბებინა პირის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებანი. ჩვენი კანონმდებელი ამ საკითხის გადაწყვეტას ანდობს კოდექსის ზოგად ნაწილს და მის გამოყენებას კი კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებს, რამდენადაც მიუთითებს, რომ დამნაშავეს სასჯელი დაენიშნება კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით.

კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის შინაარსი მეტად ზოგადია და არასრული. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ამომწურავად არ არის განსაზღვრული პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამაძიმებელი გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ სასჯელის სახესა და ზომაზე, მოსამართლის ვალია, ინდივიდუალურად განსაზღვროს და შეაფასოს ეს გარემოებანი.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ სულ ცოტა ხნით ადრე მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლი, რომელიც ასევე ეძღვნება არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, არ

იმეორებს იმ ზოგად დებულებებს, რომლებიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში, განსაკუთრებით მის მესამე ნაწილში. ამიტომ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყველა ის პირობა, რაც 53-ე მუხლშია მოცემული, არასრულწლოვნებისათვის სასჯელის შეფარდებისასაც სავალდებულოა. კოდექსის 75-ე მუხლი მიუთითებს, რომ „არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს".

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი განმარტავს, რომ „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს-არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება".

კოდექსში ასევე გათვალისწინებულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში (მ. 27), რომელიც უნდა ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, კერძოდ, ასაკს, განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებასა და სხვა გარემოებებს, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე ზემოაღნიშნული, საბოლოოდ, არასრულწლოვნისათვის სასჯელის შეფარდებისას და სხვა გარემოებებთან ერთად ინდივიდუალიზაციის პრინციპს დაედება საფუძვლად.

მართალია, დღეს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა დანაშაულის განსაზღვრებიდან ამოიღო **ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ცნება**, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი მას არ ახასიათებს. დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ის საფუძველია, რომელიც განზოგადებული ფორმით არსებობს ყველა დანაშაულში, როგორც მისი აუცილებელი თვისება.

ვ. მაყაშვილი და თ. წერეთელი ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი საშიშროება, ობიექტური მხარის განსაკუთრებული ნიშანი კი არა, არამედ მთლიანად დანაშაულის შემადგენლობის თვისებაა.[100] პიტეშტის (რუმინეთი) უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც იმავდროულად პიტეშტის სააპელაციო სასამართლოს პროკურორია, თავის ნაშრომში, სასჯელის პერსონიფიცირების კონცეფციაზე არსებულ შეხედულებათა განხილვისას ჩერდება დანაშაულის ცნების განმარტებაზე. იგი მიუთითებს, რომ ტრადიციულად, დასავლეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ არის განმარტებული დანაშაულის ცნება, რამდენადაც, მისი აზრით, ეს სისხლის სსამართლის მეცნიერების საგანია. თუმცა იგი აქვს დასძენს, რომ რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსში გადმოცემულია ის სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც

[100] В.Г. Макашвили и Т.В. Церетели (Ж. «Советское государство и право», 1954, N5

სოციუმისათვის საშიშროების მქონე კომპლექსურ, პოლიტიკურ, სოციალურ, მატერიალურ და სამართლებრივ ფენომენს წარმოადგენენ. ამასთან იგი ეთანხმება იმ თანამედროვე ტენდენციის ავტორებს, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ჩამოშორებული უნდა იქნას დანაშაულის დეფინიციიდან. მისი აზრით, ვინაიდან კანონშემოქმედი ხაზს უსვამს, რომ დასჯადია ის ქმედება, რომელიც საზოგადოებრივ ღირებულებებს უქმნის საფრთხეს ან რაიმე სახით უარყოფით ზეგავლენას ახდენს მასზე, დანაშაულის დეფინიციაში სოციალური საფრთხის აღნიშვნა სავალდებულო არ არის.[101]

ჩვენ ვეთანხმებით პროფესორ გ. ნაჭყებიას პოზიციას, რომელიც ეხება რა დანაშაულის ცნების მატერიალური განსაზღვრების პრობლემას, იშველიებს საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილში მითითებულ დებულებას, რომლის თანახმადაც „მცირემნიშვნელოვანი ქმედება, რომელიც დანაშაულისათვის ნიშანდობლივ ზიანს არ აყენებს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს, ან არ უქმნის მას ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს-დანაშაულად არ ჩაითვლება". ამით აღიარებულია დანაშაულის ცნების მატერიალური გაგების აუცილებლობა, რომელიც არაერთ გაუგებრობას აბათილებს[102]. ვეთანხმები ავტორს, რომელიც მართებულად არ მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში საზოგადოებრივი საშიშროების ცნება საერთოდ არ არის ნახსენები. იგი საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ „საზოგადოებრივი საშიშროება" ქმედების საზოგადოებრივ, ხოლო „მართლწინააღმდეგობა" ქმედების სახელმწიფოებრივ შეფასებას გამოხატავს. გ. ნაჭყებიას აზრით, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმი აუცილებელი ხდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ცნება სასჯელთან მიმართებაში, რომ სასჯელის ხასიათი და ზომა არ შეიძლება კარგად იყოს გააზრებული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის გარეშე. მართლაც, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში ფაქტობრივად პირდაპირ არის მითითებული „პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამაძიმებელ გარემოებებზე, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე, რაც მართლწინააღმდეგობის ფორმალურ მხარეზე არ დაიყვანება, მით უფრო, რომ აქ მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომაზეა ლაპარაკი". აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე გ. ნაჭყებიას გამოაქვს დასკვნა, რომ დანაშაულის ცნებაში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების უგულვებელყოფა დაუშვებელია[103].

საინტერესოა, ცნობილი რუსი მეცნიერის ა.ნ. ტრაინინის მოსაზრება, რომელიც წერდა, რომ „ლოგიკურად და ფაქტობრივად სოციალური საშიშროების ყველა კრიტერიუმი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად... სოციალური საშიშროების

[101] Ristea I, Zex ET Scientia International Journal, Zesu No. XX, Vol 2/2013, p. 134

[102] გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 323)

[103] იქვე, გვ. 324-326

კრიტერიუმი, რაც ახასიათებს – მოქმედს, ქმედებასა და კონიუნკტურას"[104]. კონიუნკტურის ცნების ქვეშ ა. ტრაინინს ესმოდა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ქმედების ჩადენის დრო, ადგილი და გავრცელებულობა. კონიუნკტურა, ცხადია, ზეგავლენას ახდენს, პირველ რიგში, თვით ქმედების სოციალურ საშიშროებაზე, ამასთან ასევე სასჯელის ზომის განსაზღვრაზე. დღესაც, როდესაც კანონმდებელი ამკაცრებს ან ამსუბუქებს დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას, მოსამართლეთა ნაწილი ბოლომდე აღარ ეყრდნობა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს და სწორედ რომ არსებული კონიუნკტურიდან გამომდინარე დამნაშავეს უსჯის უფრო მკაცრ ან კიდევ ნაკლებად მკაცრ სასჯელს.

ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის მიყენებული ზიანის ხასიათისა და მოცულობით. იგი დამახასიათებელია არამარტო დანაშაულის მატერიალური შემადგენლობისათვის, არამედ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ფორმალურ შემადგენლობათა საშიშროების განსასაზღვრავად. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით რიგ შემთხვევებში დასჯადია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებიც, რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულის ისეთ ფორმალურ შემადგენლობებზე, რომლებიც თავისთავში უკვე შეიცავენ კონკრეტულ საფრთხეს, ე.ი სოციალურად საშიშნი არიან.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულთა დაყოფა კატეგორიებად ფაქტობრივად ხდება დანაშაულებრივ ქმედებათა საშიშროების გათვალისწინებით, რაც გამოხატულებას პოულობს თავისუფლების აღკვეთის სახესა და ზომაში. დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი არის გათვალისწინებული სსკ-ის 53-ე მუხლში მითითებულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალში.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დამნაშავისათვის სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრისას სასამართლოზე ზეგავლენას ახდენენ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. სასამართლო ცხადია, ვერ გადაუხვევს ამ სტანდარტულ ფორმულირებას, იგი ერთნაირად სავალდებულოა ყველა სისხლის სამართლის საქმეებზე.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორებია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაციის პროცესზე, სისხლისსამართლებრივი სანქციის განსაზღვრაზე. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას, თუ დადგინდა დამნაშავის ქმედებაში ბრალის მცირე ხარისხი, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ ზომაზე უფრო მცირე სასჯელის დანიშვნა.

[104] А.Н. Трайнин, Уголовное право, часть общая, М., 1929, стр. 466

ზოგჯერ პირის **ქმედებაში შეხამებულია და ერთდროულად არსებობს პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.** ასეთ შემთხვევაში აქცენტის გაკეთება მხოლოდ შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებზე დაუშვებელია. შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ხარისხობრივი შეფასება არც თუ იოლია. პასუხისმგებლობის შემსუბუქების თუ დამძიმების ყველა ცალკეულ შემთხვევაში ხარისხი მოსამართლის მიერ შეფასებული უნდა იქნას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე, სხვადასხვა გარემოებათა ურთიერთკავშირში.

ბუნებრივია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილზე მითითება ვერ იქნება სასჯელის ინდივიდუალიზაციის კომპონენტი, ამიტომ სასურველია მათი ცალ-ცალკე აღნიშვნა და შეფასება (თუ ამის საჭიროება სახეზე იქნება). საქმე იმაშია, რომ ის **ინდიკატორები, რომლებიც 53-ე მუხლშია მითითებული, ერთ შემთხვევაში შესაძლოა შემამსუბუქებელ გარემოებას ქმნიდნენ, მეორე შემთხვევაში კი – დამამძიმებელ გარემოებას.**

აუცილებელია ხაზი გაესვას სისხლის სამართლის კოდექსში 54-ე მუხლის შინაარსს, რომელიც არეგულირებს შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას სასჯელის ვადისა და ზომის შემცირების შესაძლებლობას. სახელდობრ, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებები, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.

სასამართლო პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც სასამართლო ტრაფარეტის სახით იყენებს და განაჩენში დაუსაბუთებლად მიუთითებს: „სასამართლომ გაითვალისწინა რა შემამსუბუქებელი გარემოებები, რომ პირმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, ხასიათდება დადებითად, აღიარა ბრალი" და ა.შ. – ეს არ ნიშნავს, რომ რეალურად არსებობს რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება. ან პირიქით, ასევე დაუსაბუთებლად სასამართლო ასკვნის: „გიორგი ცუდად სწავლობდა სკოლაში, ღამეს არ ათევდა სახლში, სახლიდან გარბოდა და ა.შ." აქედან გამომდინარე, მის მიმართ გამოყენებული იყო შედარებით მძიმე სასჯელი. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დამნაშავე ოჯახში იზრდებოდა დედის გარეშე, დედინაცვალი მას მკაცრად ეპყრობოდა, მამა ლოთობდა და შვილს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ამის შემდეგ კი არასრულწლოვანი მოექცა ცუდი ზეგავლენის ქვეშ, რამაც მისი დანაშაულებრივი ქმედება გამოიწვია.

სასამართლოს მთავარი ვალდებულებაა დამაჯერებელი მოტივაცია გაუკეთოს დამნაშავისათვის სათანადო სასჯელის სახისა და ზომის შეფარდებას. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე სასჯელის სათანადოდ დასაბუთება გულისხმობს სსკ-ის 53-ე მუხლში აღწერილ თითოეულ სტანდარტთან საქმის გარემოებებისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებას

და სასჯელში მის სათანადო ასახვას. ამიტომაც ცხადია, რომ **სასამართლოს არა აქვს უფლება შემოიფარგლოს მხოლოდ საქმის მასალების გადმოცემით. მან სწორედ რომ ამ მასალებზე დაყრდნობით დამაჯერებლად უნდა დააფიქსიროს თუ რამ განაპირობა დამნაშავისათვის კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენება.**

სამართლებრივ ლიტერატურაში პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებზე შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ზეგავლენასთან მიმართებით სხვადასხვა პოზიცია არსებობს. ავტორთა უმრავლესობა **შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს ორ ჯგუფად ყოფს:** 1) რომელშიც ვლინდება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და 2) რაც მხოლოდ დამნაშავის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი[105].

სხვა ავტორები კი მიიჩნევენ, რომ უფრო მიზანშეწონილია შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა **დაყოფა სამ ჯგუფად:** 1) გარემოებანი, რომელიც მიეკუთვნება დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ თვისებებს; 2) გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის ჩადენასა და პირობებს ახასიათებენ და 3) ამ დანაშაულის ჩადენის პირობები.

დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების ხარისხობრივი შეფასება განსაკუთრებით რთული საკითხია. მას აქტუალობას მატებენ ის შემთხვევები, როდესაც ერთდროულად სახეზეა რამდენიმე შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება, რომელთა ხარისხის დასადგენად გარკვეულად ზუსტი რაიმე „ფორმულის" წინასწარ შემუშავება შეუძლებელია. სწორედ, რომ ამა თუ იმ დანაშაულის ინდივიდუალობიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის შემსუბუქების თუ დამძიმების ხარისხის შეფასება მოსამართლეს ეკისრება.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, დამნაშავისათვის სასჯელის სახისა და ზომის შეფარდებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჩადენილი **დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე, ბრალის ხარისხი მოტივი და მიზანი** ასევე გასათვალისწინებელია სასჯელის შეფარდებისას სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მითითებულ გარემოებათა შორის დამნაშავის **ქმედებაში გამოვლენილი მოვალეობათა დარღვევის ხასიათს და ზომა**, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ პირისათვის სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებაზე და ბევრი სხვა რამ. როგორც ცნობილია, ქართული სისხლის სამართალი, ისევე როგორც ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა, პირისათვის ჩადენილი დანაშაულის შესარაცხად სავალდებულოდ მიიჩნევს მის ქმედებაში ბრალის არსებობას. ეს პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლში, სადაც მითითებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი და განმარტებულია დანაშაულის ცნება, რომლის ერთ-ერთ სავალდებულო კომპონენტად აღიარებულია პირის ბრალეულობა.

ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს ბრალის თაობაზე არსებული მრა-

[105] Ю.А. Красиков, Общая часть, Т.I, 1998, стр. 420-423

ვალი თეორიის განხილვა, იგი ფართოდ და ზედმიწევნით არის გაშუქებული იურიდიულ ლიტერატურაში და მათ შორის საკმაოდ ფართოდ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში[106].

ჩვენ ამ საკითხზე ვჩერდებით იმის გამო, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსკ-ის 53-ე მუხლში გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის „ზოგადი საწყისები", მართალია, ზოგადად, მაგრამ მაინც ჩამოთვლიან იმ გარემოებებს, რომლებიც, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მიზნიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას. ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა მასში მითითებულიყო დამნაშავის ქმედებაში ბრალის ხარისხის მნიშვნელობაზე. პროფ. გ. ნაჭყებია თვლის, რომ ბრალის ხარისხი ბრალის რაოდენობრივი მხარეა და იგი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლობის ზომას გამოხატავს[107]. იგი სავსებით დამაჯერებლად ადასტურებს, რომ პირის ქმედებაში ბრალის გათვალისწინების გარეშე მსჯავრდებულისათვის სამართლიანი და მისი პიროვნებისათვის ადექვატური სასჯელის ზომის შერჩევა შეუძლებელია.

როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლში ბრალის ცნება ძალიან ღრმად არის დამუშავებული, რასაც ვერ ვიტყვით ბრალის ხარისხის შესწავლაზე. ბრალის ხარისხის დადგენას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. იგი ყოველთვის უნდა იყოს მიღებული მხედველობაში პირის მიმართ კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნისას. იმის მიხედვით, რამდენად ზუსტად იქნება დადგენილი ბრალის ფორმა და მისი ხარისხი, ბევრად არის დამოკიდებული კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანა.

თავის დროზე იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლებოდა ბრალის ხარისხის ცნების არსებობის საჭიროება. მართალია, დღესაც მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს ბრალის ხარისხის ცნებას, მაგრამ თეორიასა და პრაქტიკაში იგი ფართოდ არის ცნობილი და აღიარებული.[108]

თეორიაში ამ ცნებაში სხვადასხვა შინაარსი არის ჩადებული. **ერთის მხრივ**, ბრალის ხარისხის დახასითებაში შეტანილია დანაშაულის ყველა ობიექტური გარემოებანი, დამნაშავე პიროვნების დამახასიათებელი თავისებურებანი, რაც გაუმართლებლად აფართოებს ბრალის ხარისხის ცნებას; **მეორე მხრივ** კი, ბრალის ხარისხს ზღუდავენ დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულების თავისე-

---

[106] იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 1, თბ., 2007; ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა; სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, თბ., 2006; ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000; Б.В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тб., 1981; Т.В. Церетели, В.Р. Макашвили, Понятие вины в уголовном праве, საქ. სსრ მეცნიერთა აკადემიის „მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986

[107] გ. ნაჭყებია, დასახ. ნაშრომი, გვ. 424

[108] Угрехелидзе М. Р. Уголовный закон опыт теоретического моделирования, М., 1987, сю 80-91

ბურებით. პროფ. თ. წერეთელი მიუთითებდა, რომ ბრალის ხარისხი და მისი სიმძიმე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ საზოგადოებრივად საშიში შედეგის შინაარსსა და სიმძიმეზე, რომლის გათვალისწინება მოსალოდნელია ან უნდა იყოს გათვალისწინებული[109].

მეტად საინტერესოა პროფ. გ. ნაჭყებიას პოზიცია რუსი მეცნიერის ი. ფილანოსვკის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომელიც ბრალის ხარისხის ცნებას განსაზღვრავს ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის შესაბამისად. ი. ფილანოვსკი წერს: „თუ ბრალი ფსიქოლოგიური კატეგორიაა, მაშინ ბრალის ხარისხიც შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური კატეგორია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალის ხარისხის განსაზღვრისათვის უნდა გაირკვეს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების ხარისხი და თავისი ქმედების საზოგადოებრივი საშიში შედეგის გათვალისწინების ხარისხი“[110].

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ბრალის ხარისხი ბრალის ფორმებშია გამოხატული. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, განზრახი დანაშაულის ჩადენისას ბრალის უფრო მაღალი ხარისხის არსებობა სახეზეა, თუმცა ამის განსაზღვრა ყოველთვის საკმარისი არ არის.

მისაღებია პროფესორ მ. უგრეხელიძის პოზიცია, რომელიც თვლის, რომ ბრალის ხარისხის განსაზღვრა ნების თავისუფლების პრობლემასთან არის დაკავშირებული. მისი აზრით, როდესაც სახეზეა ადამიანის ნების შემბოჭველი მრავალი გარემოება და რაც უფრო ძლიერია მათი გავლენა და შედარებით ნაკლებია შესაძლებლობა მათი თავიდან აცილებისა, მით უფრო ნაკლებია ბრალის ხარისხი, და, პირიქით; პასუხისმგებლობის ხარისხი შესაბამისად უნდა განისაზღვროს[111].

იმავე პოზიციას იზიარებს პროფ. გ. ნაჭყებიაც, რომელიც თვლის, რომ „თუ სუბიექტს აქვს იმისი თავისუფლება, რომ გააკეთოს არჩევანი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური თუ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას შორის, მაშინ ბრალის უფრო გამოკვეთილი ხასიათი და მაღალი ხარისხი დავას არ იწვევს[112].

როგორც წესი, კანონმდებელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის (იგულისხმება ერთგვაროვანი დანაშაულები, მაგალითად, ნივთის განადგურება ან დაზიანება განზრახ ან გაუფრთხილებლობით) უფრო მაღალ სასჯელის ზომას აწესებს, ვიდრე გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის. მართალია, კანონმდებელი არ ადგენს, თუ ბრალის ფორმებიდან რომელი უფრო საშიშია საზოგადოებისათვის და მისი დადგენის საჭიროება, ჩემი აზრით, არც არსებობს.

ბრალის ხარისხი განზრახ ჩადენილი დანაშაულის დროს განისაზღვრება

---

[109] Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве, М., 1961, с. 307

[110] И.Г. Филановский, ЛГУ, 1970, с. 122. citirebulia g. naWyebias naSromidan, gv. 167

[111] მ. უგრეხელიძე, ბრალის ხარისხის მნიშვნელობა, სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, ჟ. „საბჭოთა სამართალი“, 1978, N3, გვ. 48

[112] გ. ნაჭყებია, დასახ. ნაშრომი, გვ. 418

ქმედების ხასიათისა და მოცულობის გათვალისწინებით, განზრახვის სიზუსტით, ქმედების ჩადენის მოტივით, მიზნით და სხვა.

გაუფრთხილებლობის დროს მხედველობაში მიიღება გათვალისწინების ხასიათი და მოცულობა (თვითიმედოვნების დროს), უყურადღებობის ხარისხი, რამაც დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია (დაუდევრობა), თუ პირი ვალდებული იყო და შეეძლო კიდეც ამ შედეგის გათვალისწინება. ყოველი ეს განსაზღვრავს ბრალის სიმძიმეს (მის მაღალ და მცირე ხარისხს) და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასჯელის ზომის ინდივიდუალიზაციას.

ახალი ტექნოლოგიები მრეწველობაში, ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ენერგიის ახალი წყაროების გამოყენება, ფეთქებადსაშიში და რადიაქტიური ნარმოების განვითარება, რომ აღარაფერი ვთქვათ სატრანსპორტო საშუალებათა ინტენსივობის კატასტროფულ ზრდაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლას.

რამდენადაც სტატისტიკოსები გვარწმუნებენ, გაუფრთხილებელ დანაშაულთა ლატენტურობის დონე უფრო მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე განზრახ ჩადენილი დანაშაულისა. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნეგატიურ მოვლენათა შესამცირებლად სამართლებრივ საშუალებათა გამოყენებას და გაუფრთხილებლად ჩადენილ დანაშაულში პირის მხილებისას მისი ბრალის ხარისხიდან გამომდინარე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ზუსტად გამოყენებას. კვლავ უნდა დავესესხოთ პროფ. თ. წერეთელს, რომელიც სასჯელის ინდივიდუალიზაციაში გულისხმობს, ერთის მხრივ, დამნაშავისათვის სამართლიანი, დანაშაულის სიმძიმისა და პირის საზოგადოებრივ საზოგადოებრივ საშიშროების გათვალისწინებით თანაზომიერი სასჯელის დანიშვნას და, მეორე მხრივ – სისხლისსამართლებრივი ზეგავლენის ისეთი ზომის განსაზღვრას, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სასჯელის მიზნების განხორციელებას[113]. ამიტომაც გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსაზღვრისას სხვა გარემოებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ შედეგს, რაც დამნაშავის თვითიმედოვნებამ თუ დაუდევრობამ გამოიწვია. სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავში მაქსიმალურად გათვალისწინებულია იმ მძიმე შედეგით პირისათვის პასუხისმგებლობის დამძიმება, რაც ადამიანის სიცოცხლესთან არის დაკავშირებული, ან კიდევ, გათვალისწინებულია მომეტებულ საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით გამოწვეული მეტად დიდი მატერიალური ზიანი.

სასამართლომ სწორედ უნდა შეაფასოს, თუ რეალურად დამდგარი მძიმე შედეგიდან რა შეიძლება შეერაცხოს კონკრეტულ პირს, როგორც მისი ბრალის დამადასტურებელი ქმედების შედეგი. თუ შედეგი ქმედების შემადგენლობის კონსტიტუციური ელემენტია, იგი მხოლოდ კვალიფიკაციას განსაზღვრავს, თუმცა მის ფარგლებში ხდება სასჯელის ზომის განსაზღვრა ყველა გარემოებათა გათვალისწინებით. **მაგალითად, ავტოსატრანსპორტო დანაშაულში ბრალის**

[113] საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარი, თბ., 1976, გვ. 212-213

ხარისხის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ როგორი იყო საგზაო-სატრანსპორტო, კლიმატური პირობები, სიტუაციური ფაქტორები და სხვა, სწორედ ამ სატრანსპორტო საშუალებათა ავარიისათვის დამახასიათებელი გარემოებები. გაუფრთხილებლობისათვის სპეციფიურია არა იმდენად ობიექტური შინაარსი, რამდენადაც მისი სიტუაციის აღქმის სუბიექტური ხასიათი. როგორც ხაზგასმით მიუთითებს ვ. მაყაშვილი, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც შექმნილი ვითარება არ იძლევა შესაძლებლობას დამნაშავემ სათანადოდ გააკონტროლოს თავისი ქცევა და ამით ხელს უწყობს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას; უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა მას ასეთ ვითარებაში შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა თავისი ქცევის მავნე შედეგის დადგომა[114].

სამწუხაროა, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ მოსამართლეები არცთუ იშვიათად, გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულის დასასაბუთებლად ზერელედ, ზოგადი ფრაზებით იფარგლებიან, უბრალოდ უთითებენ „პირმა არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება“, „მძღოლმა ვერ შეძლო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ და ა.შ.

ამგვარი ზოგადი ფრაზები არ იძლევიან ნათელ სურათს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოსაყენებლად.

გაუფრთხილებლობის სახეებს არ შეიძლება მხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ. მათი პრაქტიკული მნიშვნელობა სასჯელის შეფარდებისას საკმაოდ დიდია, რამდენადაც ფაქტობრივად ზუსტად უნდა განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თვითიმედოვნებას, თუ დაუდევრობას. ამისათვის დადგენილი უნდა იქნას შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობა და მოცულობა, დამნაშავის უყურადღებობის ხარისხი და სხვა.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არცთუ იშვიათია, **როდესაც დამნაშავის ბრალის ხარისხზე გავლენას ახდენს დაზარალებულის ვიქტიმური ქცევა.** ვიქტიმოლუგიური კვლევით დადგენილია, რომ დამნაშავისათვის ბრალის გაუფრთხილებლობით შესარაცხად უნდა დადგინდეს, გამოწვეული იყო თუ არა დანაშაული დაზარალებულის ქცევით. ზოგჯერ იგი საერთოდ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ზოგჯერ აისახება ბრალის ხარისხზე, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებაზე.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართველმა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს მგზავრს, ფეხით მოსიარულეს ან მოძრაობის სხვა მონაწილეს. გარდა სსკ-ის 275-ე და 276-ე მუხლებში მითითებული პირებისა, რომლებმაც დაარღვიეს უსაფრთხო მოძრაობის წესები, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ან კიდევ ადამია-

[114] Макашвили В.Г, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, с. 191

ნის სიცოცხლის მოსპობა. ამ მუხლებში საუბარია ზემოაღნიშნულ პირთა მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევის შედეგად დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, ანუ აქცენტი გადატანილია მათი დ არა მძღოლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ამიტომაც, პასუხისმგებლობა გამორიცხულია პირისა, რომელიც მართავს ტრანსპორტს ვინაიდან არ ეფუძნება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას. ამიტომ მას ობიექტურად ვერ შეერაცხება ის შედეგი, რაც მგზავრის ან ფეხით მოსიარულის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას მოყვა.

მაგალითად, მძღოლი მართავდა ავტომანქანას ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, არც მათი ექსპლუატაციის წესი არ დარღვეულა (მანქანა ტექნიკურად გამართული იყო), მაგრამ მოქალაქე უეცრად დაიძრა და წითელ შუქზე გადაკვეთა ტრასა; მძღოლმა უმალვე დაამუხრუჭა და თავიდან რომ აეცილებინა საშიშროება, ავარდა ბორდიურზე და დაეჯახა გამვლელს, რომელსაც ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა. ექსპერტიზის სათანადო დასკვნის შემდეგ, რითაც დადასტურდა, რომ მძღოლს სხვაგვარად არ შეეძლო კიდევ უფრო მძიმე შედეგის თავიდან აცილება, მძღოლის პასუხისმგებლობა საერთოდ გამოირიცხა მის ქმედებაში ბრალის არარსებობის გამო.

ბრალის ხარისხი ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იდენს დანაშაულს. თუ პირი, მაგალითად, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის საფუძველზე ვალდებულია განახორციელოს კონტროლი ფულად ან სხვა მატერიალურ საშუალებათა სწორ ხარჯვაზე და თავისი მდგომარეობის გამოყენებით სჩადის დანაშაულს, ამით დასტურდება მისი ბრალის გარკვეული მიმართულება, რაც საკმაოდ საშიშია არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც, ვინაიდან მას აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ შესაძლოა, რომ პირმა ჩაიდინოს იგივე ქმედება, მაგრამ იგი მხოლოდ მის გამოუცდელობაზე ლაპარაკობდეს. მაშინ მისი ბრალის ხარისხი სხვაგვარი იქნება. **ზოგჯერ ბრალის ხარისხი მეტნაკლებად შეიძლება უკავშირდებოდეს დანაშაულის ჩადენის გააზრებასაც კი.** საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბრალის ხარისხი ნაკლებია, თუ დანაშაული ჩადენილია უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ამ დროს პირს უჭირს თავის შეკავება ქმედების ჩადენისაგან. ასეთ მდგომარეობაში ძლიერი სულიერი აღელვება წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ლაიტმოტივს და, როგორც წესი, გამორიცხავს ქვენაგრძნობის არსებობას. იგი, უბრალოდ, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებაა. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მითითებული დანაშაული (მკვლელობა ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აფექტში), რაც უკვე კანონის ფარგლებში ითვლება დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად. **დამნაშავის ბრალის ხარისხი მცირე იქნება იმ შემთხვევაშიც,** როდესაც, მაგალითად, ავტომანქანის მძღოლი მოძრაობდა ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, მაგრამ ეზოდან გამოგორებულ ბურთს ბავშვი გამოეკიდა, მძღოლმა უმალვე მანქანა დაამუხრუჭა, მა-

გრამ ბავშვი უკვე ბორბლებს შუა იყო ჩავარდნილი და გარდაიცვალა. ხმაურზე ბავშვის მამა გამოვარდა და ეს სურათი რომ დაინახა, დიდი ქვა აიღო, თავში ჩაარტყა მძღოლს და მოკლა.

ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, მართალია, ბავშვის მამა იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში, მაგრამ მის ქმედებაში არ იყო სსკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოება. ქმედება არ იყო გამოწვეული დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქცევით, ასევე სახეზე არ იყო მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმა. ამრიგად, ამ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვის მშობლის მიმართ გამოყენებული იქნეს მუხლი შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის შესახებ;

მართალია, ბავშვის მამა ტრაგიკულ სიტუაციაში მკვლელობისათვის დასჯილი უნდა იყოს, მაგრამ ვინაიდან სახეზე იყო მძიმე სულიერი ტრავმა და მკვლელობა ჩაიდინა პირმა, რომელიც სხვა გარემოებათა არსებობისას მას არ ჩაიდენდა, სასამართლომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებით, მხედველობაში უნდა მიიღოს დამნაშავის ფსიქიკის მდგომარეობა და მის ქმედებაში ბრალის შედარებით მცირე ხარისხის არსებობა. როგორც ვხედავთ, სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებისას სავალდებულოა გათვალისწინებული იქნას დამნაშავის ემოციური დაძაბულობა, რომელიც სცილდება სსკ-ით გათვალისწინებულ უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების ფარგლებში ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ იგი სხვა რიგ გარემოებათა გათვალისწინებით მაინც დამნაშავის ბრალის დაბალ ხარისხზე მეტყველებს; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობს პოზიცია, რომლის თანახმადაც ამ შემთხვევაში ბრალი საერთოდ გამოირიცხება.

ბრალის ხარისხზე მსჯელობისას მოსამართლემ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებაც, როდესაც დამნაშავის ფსიქიკა დათრგუნულია ძლიერი ნებისყოფის მქონე პირის მიერ. პირმა დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს არა საკუთარი ინიციატივით, არამედ იძულებით (თუ ეს იძულება ბრალს საერთოდ არ გამორიცხავს). ამ დროს დამნაშავის ქმედება ბრალის ხარისხით განსხვავებულია იმ პირის ქმედებისაგან, რომელიც მას აიძულებს დანაშაულის ჩადენას; ან კიდევ, ზოგჯერ დამნაშავის ბრალის ხარისხი განპირობებული შეიძლება იყოს სხვა პირის არაპირდაპირი იძულებითაც. პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას ბრალის ხარისხი შესაძლოა უფრო მცირე იყოს მისი ავადმყოფური მდგომარეობის გამო, როდესაც მას შესუსტებული აქვს გარემოს რეალური აღქმის შესაძლებლობა. ასევე პირს წინდახედულად მოქმედების უნარი შეზღუდული ჰქონდეს უძილობის გამო. მაგალითად, თუ მატარებლის მემანქანეს უფროსის ბრძანებით ორი დღე და რამე დაყავს მატარებელი და ავარია შეემთხვა. მისი ფიზიკური სისუსტე გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ბრალის დაბალი ხარისხით ჩადენილი დანაშაული.

მოსამართლის მიერ დანაშაულებრივი ქმედებისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას ემსახურება. ამიტომაცაა, რომ დამნაშავის ქმედებაში მოტივისა და მიზნის ზუსტი დადგენა დანაშაულის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინების აუცილებელი პირობაა. მათ სათანადო დადგენას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სასჯელის კონკრეტული სახის და ზომის განსაზღვრის მიზნით. ამიტომაც მათ აქვთ არა მარტო თეორიული, არამედ ხშირად განმსაზღვრელი პრაქტიკული მნიშვნელობა.

სავსებით სამართლიანია პროფ. ი. დვალიძის პოზიცია, რომელიც მიიჩნევს, რომ მოტივის საფუძველზე ხდება ქმედების შემადგენლობის დადგენა და მეტიც, მან შეიძლება გავლენა მოახდინოს ბრალის ხარისხზე[115].

მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიურ კატეგორიას განეკუთვნება, ისინი ურთიერთდაკავშირებულები არიან. ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა განპირობებულია გარკვეული მოტივისა და მიზნის არსებობით. არ არსებობს ადამიანის უმოტივო ქცევა. ყველა შერაცხადი პირის ქცევა მოტივირებული და მიზანმიმართულია.

პროფ. გ. ნაჭყებია აღნიშნავს, რომ „მოტივის გარეშე არცერთი ნებელობითი ქმედება არ ხორციელდება, იგი სისხლის სამართალში ქმედების შეფასების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა[116]. იგი იშველიებს და ეთანხმება პროფ. ბ. ხარაზიშვილის მოსაზრებას, რომ „დღემდე გაბატონებული ტერმინები „დანაშაულის მოტივი“ და „დანაშაულის მიზანი“ სწორი არაა, რადგან მოტივი და მიზანი აქვს ქცევას და არა დანაშაულს, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხს“[117] ().

მოტივი და მიზანი თანხვდომი ცნებები როდია, ვინაიდან ისინი სხვადასხვაგვარად ახასიათებენ დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილ ქმედებისადმი. მოტივი პასუხობს კითხვას, თუ პირმა რატომ ჩაიდინა დანაშაული, მიზანი კი განსაზღვრავს, თუ რისკენ მიისწრაფვოდა დამნაშავე. ამრიგად, ქმედების მიმართულებას მიზანი განსაზღვრავს[118].

პროფ. გ. ნაჭყებია მიუთითებს რა, რომ თუმცა მოტივი და მიზანი ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსის განუყოფელი ელემენტებია, ისინი მაინც განსხვავებული ცნებებია[119] გ. ნაჭყებია იშველიებს დ. კიკნაძის მიერ გამოთქმულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ მოტივი „მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხერხების არჩევას უკავშირდება და ამდენად, უფრო ენერგეტიკულ, ნებისმიერ

---

[115] ირაკლი დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 141-166

[116] გ. ნაჭყებია, დასახ. ნაშრომი, გვ. 287, 289

[117] ციტირებულია გურამ ნაჭყებიას წიგნიდან – გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 289 – Б.В. Харазишвили, Вопросы мотива поведения преступника в советском уголовном праве, Тб., 1963, стр. 63

[118] Курс уголовного права Т.1, Общая часть, Учение о преступлении, М., 2002, стр. 345

[119] გ. ნაჭყებია, დასახ. ნაშრომი, გვ. 293

სფეროში მოქმედებს, მაშინ, როცა მიზანი, მოთხოვნილების, როგორც მოქმედების აღმძვრელის, ახალ თვისობრიობას წარმოადგენს. იგი არაა მოწყვეტილი მოთხოვნილებას და, მაშასადამე, ნებასაც, მაგრამ მიზანი მაინც უფრო ინტელექტის სფეროა„[120] და რომ სუბიექტის ქცევის მიზანი ანალოგიური ხასიათის შემადგენლობათა გამიჯვნის არსებითი კრიტერიუმია[121].

ჩვენ ვეთანხმებით პროფ. გ. ნაჭყებიას ამ დებულებას და მიგვაჩნია, რომ ხშირად ერთიდაიგივე ქცევისას მიზანი და მოტივი სრულად სხვადასხვა შესაძლებელია იყოს, რაც ჩადენილი ქმედების სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას იძლევა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი მუხლების რაოდენობა საკმარისია, სადაც მიზანზე, როგორც შემადგენლობის ნიშანზე პირდაპირ არის მითითებული როგორც ძირითად, ისე მაკვალიფიცირებელ ან პრივილეგირებულ შემადგენლობაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის მუხლები: მ. 177-ქურდობა; მ. 178-ძარცვა; 323-ტერორისტული აქტი; 323[1]-იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ჩადენილი ტერორისტული მიზნით; მ. 309-ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება; მ. 318-საბოტაჟი და სხვა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ დანაშაულის დისპოზიციას დართული აქვს შენიშვნა, სადაც საკანონმდებლო წესით განმარტებულია ამ დანაშაულისათვის განკუთვნილი მიზნის ცნება (მაგ. მ. 323-ის შენიშვნა, მ. 255-ის შენიშვნა).

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გაჟღერებული იყო მოსაზრება, რომ მოტივი არ არსებობს დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის დროს. ვინაიდან ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მოტივი და მიზანი დამახასიათებელია პირის ქცევისა და არა დანაშაულისათვის, ამდენად მოტივისა და მიზნის არსებობა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულსაც ახასიათებს. მაგალითად, მძღოლი, რომელსაც აეროპორტში აგვიანდებოდა, არღვევდა მოძრაობის წესებს და გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, მანქანა დროზე ვეღარ შეაჩერა და დაეჯახა მოქალაქეს, რომელმაც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. აქ სახეზეა ქცევის მოტივი, რამაც განსაზღვრა დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა. მაგრამ, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს საუბარი სასურველ მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, რისკენაც მიისწრაფვის დამნაშავე. მძღოლის მიზანი იყო მიესწრო თვითმფრინავისათვის მის გაფრენამდე. სწორედ ამან განაპირობა მძღოლის ქცევა და ფაქტობრივად დანაშაულის ჩადენა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლებში პირდაპირ არის მითითებული სუბიექტური მხარის ისეთ ნიშნებზე, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. თუმცა უმეტესად მოტივი და მიზანი დანაშაულის შემადგენლობის გარეთ არის გამოტანილი და მათი დადგენა საბოლოო ჯამში სასამართლოს პრეროგატივაა. მათი განსაზღვრა იძლევა შესაძლებლობას სასამართლომ დანიშნოს ისეთი სასჯელი, რომელიც შეესა-

[120] გ. ნაჭყებია, დასახ, ნაშრომი, გვ. 294
[121] იქვე, გვ. 295

ტყვისება დამნაშავის ინდივიდუალურ ბრალს. დანაშაულის ჩადენის მოტივით არის უმეტესწილად განსაზღვრული ქმედების საშიშროების ხარისხი. ზოგიერთ დანაშაულში იგი ამძიმებს პასუხისმგებლობას, ზოგჯერ კი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იწვევს. სისხლის სამართლის კოდექსში უფრო ხშირად მითითებულია მოტივით დამძიმებულ პასუხისმგებლობაზე და იგი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებებშია ასახული (მაგ. მ.მ 109, 117 და სხვა). ცხადია, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან გამომდინარე, ხულიგნური მოტივით განხორციელებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება უფრო სახიფათოა, ვიდრე იგივე ქმედება, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

ანგარება, როგორც დანაშაულის ჩადენის მოტივი, როგორც წესი, პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს უფრო ამძიმებს, იგი მძიმე ელფერს სძენს დამნაშავის ქმედებას. განაჩენში ანგარებით ჩადენილ დანაშაულზე მითითება არ არის საკმარისი; მოსამართლემ კონკრეტულად უნდა დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატება ეს ქვენაგრძნობა, რამაც განაპირობა დანაშაულის ჩადენა.

მოტივის დადგენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა რიგ დანაშაულთა ჩადენისას მის შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ გარემოებად ალიარებისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დანაშაულის ჩადენის ნამდვილი მოტივის დადგენა საკმაოდ რთულია. მკვლელობის საქმეზე მისი დადგენა გადამწყვეტია ქმედების სწორი კვალიფიკაციის განსასაზღვრავად, ვინაიდან ერთიდაიგივე ქმედება შესაძლოა დაკვალიფიცირდეს სხვადასხვაგვარად, როგორც მკვლელობა შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, დამამძიმებელ გარემოებაში ან შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, ასახვას პოულობს დამნაშავის მიმართ სამართლიანი სასჯელის შეფარდებაში, მისი ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით.

აქვე ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ **დაზარალებულის ვიქტიმურობის საკითხს**, რომელიც ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის საფუძველია. შესაძლოა, რომ დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაული მძიმე იყოს, მაგრამ იგი პროვოცირებული იყოს დაზარალებულის მიერ. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ეს დამნაშავეს შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაეთვალოს (რა თქმა უნდა, დაზარალებულის მიერ გამოწვეული ქმედების საშიშროებიდან გამომდინარე). დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად უნდა დადგინდეს დაზარალებულის ქცევაში დანაშაულის პროვოცირების ნიშნები, ადრე არსებული კონფლიქტის ხელახლა გაღვივებისა და ინიცირების საფუძველი.

რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ დანაშაულს, მისი მოტივი, როგორც წესი, სახელდებით არ არის მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის ნაწილში, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, უმეტესწილად დამოუკიდებელ დანაშაულად ყალიბდება (მაგალითად, მ.მ 110-114).

ამასთან დაკავშირებით **ემოციასაც უნდა შევეხოთ**, რომელიც გრძნობისა და განცდის არსია. ემოცია აუცილებელი კომპონენტია ყოველგვარი ადამიანური საქმიანობისა, მათ შორის დანაშაულებრივისაც. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გარკვეულ დანაშაულთა შემადგენლობის სავალდებულო ნიშნებში. მაგალითად, როდესაც ვეხებით ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულს. აფექტის ცნებაში იგულისხმება უეცარად აღძრული და სწრაფწარმავალი სულიერი განცდა (ემოცია), რომელიც იწვევს შეგნებული ნებელობითი კონტროლის შემცირებას, ასეთი ემოცია დომინირებს ადამიანის შეგნებაზე და გამოსავალს მოქმედებაში პოულობს.

აქედან გამომდინარე, მოსამართლის მიერ ქმედების სწორი კვალიფიკაციისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე სასჯელის ზომის განსაზღვრისას, ზუსტად უნდა იქნას დადგენილი დაზარალებულის ვიქტიმურობა, რამდენადაც სწორედ იგი თავისი მოქმედებით პროვოცირებს დანაშაულის ჩადენას.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დამნაშავის ემოციური მდგომარეობა სამ შემთხვევაში დომინირებს დანაშაულებრივი ქმედების მისთვის შეფარდებისას: 1) დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა; 2) აფექტი, გამოწვეული დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქცევით მკვლელობისას და 3) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შემთხვევაში.

აქამდე ვსაუბრობდით განზრახი დანაშაულის ჩადენის მოტივზე. გაუფრთხილებლობით დანაშაულს არ ახასიათებს მთელი რიგი ის მომენტები, რომელიც გადამწყვეტია განზრახი დანაშაულისათვის.თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის სავალდებულო არ არის სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში თანმიმდევრულად გატარება.

რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თვითიმდევნებისა და დაუდევრობის დროსაც აუცილებელია მოტივის არსებობა, სასჯელის შეფარდებისას, სხვა თანაბარი პირობების არსებობისას, მათი არსიდან გამომდინარე თვითიმედოვნებით განხორციელებული დანაშაულისათვის სასჯელი უფრო მაღალი უნდა იყოს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მისთვის დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინებით, იგი შესაძლოა აისახოს სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაციის დროს. პირის დაუდევრობას შესაძლოა, ბრალის სხვადასხვა ხარისხი გააჩნდეს. იგი შეიძლება იყოს საკმაოდ ან ნაკლებად უხეში და ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ. აქედან გამომდინარე, ბრალის დაუდევარი ფორმის დროს სასჯელის დანიშვნა შესაძლებელია, საჭიროც არ იყოს.

არაერთხელ თქმულა, რომ **საქართველოში სამართალდამცავი ორგანოები სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ პირებს, რომელთა ქმედებაც ფაქტობრივად სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით დანაშაულად** არ ითვლება, თუმცა ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის

საფრთხე.

საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება ისეთი განაჩენიც, რითაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობად დაკვალიფიცირდა ორი ნასვამი ახალგაზრდის მიერ ორი ბოთლი ლიქიორის ქურდობა მაშინ, როდესაც მეორე დილას გამოფხიზლებულებმა ფული გადაიხადეს.

მისასალმებელია სხვა ფაქტი: ქალაქის ერთ-ერთმა მოსამართლემ სავსებით სამართლიანად და დასაბუთებულად გაამართლა პირი, რომლის მიმართაც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ავტომანქანის ღია ფანჯრიდან სალონში დადებული სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტის ამოღებისათვის. ამასთან ეს კოლოფი უკანვე იყო ჩადებული[122].

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა, რაც, ცხადია, სასამართლოს საქმიანობის ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

ამრიგად, პირის მიერ დაუდევრობით ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დაუდევრობის ხარისხითაც უნდა განისაზღვროს: თუ ბრალის ხარისხი მაღალია, შესაძლებელია პირის მიმართ რეპრესია იყოს გამოყენებული, როგორც პრევენციული ღონისძიება, რათა იგი მომავალში დაზღვეული იქნეს ანალოგიური შეცდომებისაგან.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ დამნაშავის ქმედებაში მოტივისა და მიზნის ზუსტ დადგენას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებისათვის. ამის გარდა, უნდა შევნიშნოთ, რომ ვინაიდან საქართველოს სსკ-ში არ არსებობს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავი ჩამონათვალი, სწორედ მოსამართლის სამართლიან გადაწყვეტილებაზეა დაფუძნებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცხოვრებაში გატარების რეალური საფუძველი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში **ადამიანს უფლებებთან ერთად უამრავი მოვალეობაც გააჩნია**. ყოველდღიურ ცხოვრებაში შესასრულებელ ვალდებულებათა გარდა ადამიანს ასევე გააჩნია რიგი იმ ვალდებულებისა, რომელიც მის სოციალურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. როდესაც საკითხი ეხება პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა საქმიანობას ეწევა იგი, **რა ხარისხისა და ზომისაა მის მიერ მოვალეობათა დარღვევით გამოწვეული შედეგი**. იმის მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანია მისი საქმიანობა საზოგადოებისათვის და, აქედან გამომდინარე, უფრო მძიმე მოვალეობათა დარღვევით გამოწვეული შედეგი, მით უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მას. მაგალითად, თუ ტურისტული ავტობუსის მძღოლი, რომელსაც ადამიანები შორ მანძილზე გადაყავს, მთვრალი უჯდება საჭეს და დიდი სიჩქარით მიაქროლებს მანქანას, რის შედეგადაც ავარიის საფრთხე გაზრდილია და მძიმე შედეგიც დგება, მის მიერ მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა უფრო მძიმეა, რისკის ხარისხიც გაზრდილია, ვიდრე მაშინ, როდესაც მძღოლი თუმცა

[122] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/5537-14,2014 წლის 21 ნოემბრის განაჩენი.

მთვრალია, მაგრამ დადგენილი მოვალეობის დარღვევით გამოწვეული რისკი უფრო ნაკლებია.

პირის მიერ თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის დარღვევად უნდა ჩაითვალოს ისიც, როდესაც დამნაშავე სარგებლობს ბუნებრივი კატაკლიზმების, საპროტესტო აქციისა თუ მანიფესტაციის შემთხვევებით, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ სხვა გარემოებებზე კონტროლი გართულებულია, დამნაშავე სარგებლობს მისთვის შექმნილი ხელსაყრელი პირობებით და იდენს დანაშაულს. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამიტომაც მოვალებათა დარღვევის ხასიათისა და ხარისხის შედეგად დამნაშავისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე უნდა შეფასდეს ყველა არსებული გარემოების მნიშვნელობა, რამაც ასახვა უნდა პოვოს სასჯელის სახისა და ზომის შეფარდებაში.

სიმთვრალეში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას ბრალის ხარისხის განსაზღვრა ზოგჯერ საკმაოდ რთულია. ცხადია, რომ პირის სიმთვრალე თავისთავად არ შეიძლება იყოს მისი სისხლის სამართლის წესით დასჯის საფუძველი. მაგრამ როდესაც საკითხი ეხება პიროვნების მიერ სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულში ბრალის ხარისხის დადგენას და მისთვის სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებას, სიმთვრალის ცნება მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს. ამიტომაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ სათანადოდ უნდა იყოს დადასტურებული, მოახდინა თუ არა და რამდენად მოახდინა სიმთვრალემ დამნაშავე პირის ქმედებაზე ზეგავლენა დანაშაულის ჩადენის დროს. სიმთვრალე უნდა შეფასდეს კონკრეტულ დანაშაულებრივ შედეგთან მიმართებით.

ამ ამოცანის გადაწყვეტის სირთულე სწორედ იმაშია, რომ ხშირად ძნელი დასადგენია მკვეთრი კავშირი სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებასა და დამნაშავე პირის სოციალურ საშიშროებას შორის.

რიგი მეცნიერებისა მიუთითებენ, რომ მძიმე დანაშაულის ჩასადენად საჭიროა შინაგანი ფსიქოლოგიური მზადყოფნა, რაც განპირობებულია დამნაშავის უარყოფით თვისებათა კომპლექსითა და დამნაშავის ანტისოციალური ქცევის ერთიანობით. მაგრამ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მეცნიერთა მიერ მითითებული დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებები და ანტისოციალური ქცევა ყველა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირისათვის არ არის დამახასიათებელი.

ადამიანის ფსიქიკაზე სიმთვრალის გავლენის სპექტრი საკმაოდ ფართოა და არც თუ იშვიათად ინდივიდის მიერ ისეთი ქმედების ჩადენას უწყობს ხელს, რასაც იგი ალკოჰოლის ზეგავლენის გარეშე არ ჩაიდენდა. სიმთვრალის ტიპურ სურათს ამძიმებენ ალკოჰოლის სუროგატებიც. ამიტომაც არის, რომ ის ადამიანი, რომელიც ბუნებით წყნარია, არ არის აგრესიული, სიმთვრალეში სხვაგვარად ავლენს თავს.

სამართლიანი სასჯელის დასადგენად სასამართლომ უნდა გაითვალისწინ-

ოს, როგორც პიროვნული თვისებები, ისე მისი სხვა მახასიათებლებიც. ერთ შემთხვევაში, დამნაშავის სიმთვრალე შეიძლება ეპიზოდური ხასიათისა იყოს და დანაშაულის ჩადენა არახელსაყრელ გარემოებათა დამთხვევის შედეგია, როცა პირის სიმთვრალემ ხელი შეუშალა მიეღო სწორი გადაწყვეტილება (მაგალითად, ქორწილში ამტყდარ ჩხუბში შემთხვევით ჩაბმული ახალგაზრდა); მეორე შემთხვევაში სიმთვრალე შეიძლება იყოს კრიმინალური აგრესიის კატალიზატორი, როდესაც ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა დამნაშავის ხასიათით არის განპირობებული; ან კიდევ, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზეგავლენით ადამიანს ისე დაერღვეს ფსიქიკა, რაც განაპირობებს მის არაადექვატურ ქცევას. ეს ქცევა აშკარად ეწინააღმდეგება მის სოციალურ და ეთიკურ განწყობას, ჩვეულ ცხოვრებისეულ ყოფას[123]. პროფ. ა. გაბიანის აზრით, ასეთ შემთხვევაში სიმთვრალე განხილულ უნდა იქნეს როგორც ნეიტრალური ფაქტორი[124].

სიმთვრალის ხარისხის დადგენას არც თუ ისე იშვიათად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრალის ხარისხის განსაზღვრისას. სიმთვრალე შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო და მძიმე.

ბრალის დასაბუთება ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის საკმაოდ ძნელია. მედიცინამ აღიარა, რომ ძლიერმა სიმთვრალემ გამორიცხული არ არის გამოიწვიოს ფსიქიკის ისეთი ცვლილება, როდესაც ადამიანი ითიშება და კარგავს უნარს უხელმძღვანელოს თავის ქმედებას. მეცნიერები მას პათოლოგიურ სიმთვრალეს უწოდებენ და პირის შეურაცხაობის გამო მის ბრალს გამორიცხავენ. თუმცა პროფ. ა. გაბიანი სავსებით სამართლიანად ასაბუთებს, რომ თუ პირმა თავი შეგნებულად მიიყვანა მძიმე დათრობამდე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა საქმის ყველა გარემოებათა ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს[125].

პროფ. ნ. თოდუა, განიხილავს რა მძიმე სიმთვრალეში მყოფი პირის ქმედებაში ბრალის არსებობის საკითხს, მიუთითებს, რომ პირს ყოველთვის არ შეუძლია გაითვალისწინოს, თუ კონკრეტულად რა მოქმედებას ჩაიდენს იგი სიმთვრალით გამოწვეულ შეურაცხაობის დროს. „ამიტომ არ შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ღრმა სიმთვრალეში საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის ყველა შემთხვევისათვის"[126].

თუმცა, პროფ. ნ. თოდუა სავსებით გამართლებულად მიიჩნევს, რომ თუ პიროვნებამ ნებაყოფლობით მოიყვანა თავი მძიმე სიმთვრალემდე იმ მიზნით, რომ სიმთვრალეში მიდრეკილია კონკრეტული საზიანო ქმედების ჩადენისაკენ და სურს მისი განხორციელება, არ გამორიცხავს დამნაშავის ქმედებაში პირდა-

[123] Габиани А.А. Уголовная ответственность за преступления, совершенные всостоянии опьянения, Тб., 1968, с. 25

[124] იქვე

[125] ა. გაბიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30

[126] ნონა თოდუა, სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საკითხები, თბ., 1997, გვ. 11-12

პირი განზრახვის არსებობას[127].

იგივე შეიძლება ითქვას ღრმა სიმთვრალეში არაპირდაპირი განზრახვის დასაბუთების თაობაზე, „ე.ი. action libera in causa-ს შემთხვევაში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გადატანილია იმ მომენტისთვის, როცა პირი ფხიზელი იყო და სწორედ აფასებდა მოსალოდნელ შედეგს ან შეეძლო შეეფასებინა იგი“[128]. პროფ. ნ. თოდუა, როდესაც მიმოიხილავს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის გასათვალისწინებელ პირობებს, აღნიშნავს, რომ გამართლებული არ იქნება სასჯელის ზომის გაზრდა სიმთვრალის ხარისხის მიხედვით. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, „სიმთვრალის ხარისხმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა სასჯელზე, თუკი პირი დათვრა დანაშაულის ჩადენის მიზნით ანდა მაშინ, როცა კავშირი ჰქონდა მომეტებულ საფრთხის წყაროსთან, ე.ი. მისი პროფესიული, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი მდგომარეობის გამო უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით წინდახედული“[129].

დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის სავალდებულო ხასიათის გათვალისწინება, როგორც ვხედავთ, მეტად მნიშვნელოვანია სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსასაზღვრავად. ამიტომაცაა, რომ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერები დღესაც სერიოზულ ყურადღებას უთმობენ პირის სიმთვრალისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად მისი ბრალუნარიანობის დასაბუთებას. ყურადსაღებია, რომ საზღვარგარეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსები შეურაცხაობის ცნების განმარტებისას, გვერდს უვლიან სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენისას პირის შეურაცხაობის ერთ-ერთ მაჩვენებელს. ამ მხრივ საინტერესოა ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც სხვა პირობებთან ერთად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას ძლიერი ალკოჰოლური მოწამვლის მდგომარეობაში, ტოქსიკური ან სხვა გამაბრუებელ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ, თუ პირს არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა ან არ ითვალისწინებდა და არც უნდა გაეთვალისწინებინა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, ასევე, იმყოფებოდა აბსტინენციის სინდრომის გავლენის ქვეშ, რაც ხელს უშლიდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებასა და მოქმედებაზე ხელმძღვანელობას.

პროფ. მერაბ ტურავა სისხლისსამართლებრივი ბრალის მოძღვრებაზე საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზემოაღნიშნულ ვითარებაში ბრალუნარიანობის დასაბუთების სხვადასხვა მოდელს, რომელიც გერმანელ მეცნიერთა ნაშრომებშია ასახული. მას მოყავს რამდენიმე თეორია სიმთვრალით გამოწვეულ შეურაცხად მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის

[127] დასახ. ნაშრომი, გვ. 28-29
[128] იქვე, გვ. 31
[129] ნ. თოდუა, დასახ. ნაშრ. გვ. 67

შესახებ.

პროფ. მ. ტურავა უარყოფითად აფასებს ამ საკითხზე ბრალუნარიანობის საგამონაკლისო თეორიის პოზიციას, რომელიც თვლის, რომ გამონაკლისის სახით „ბრალი და ქმედება შეიძლება ერთდროულად არ იყოს წარმოდგენილი და სამართლის ბოროტად გამოყენების გამო, ქმედების ჩადენა დაისაჯოს პირის ბრალუნარიანობის გარეშე"[130]. მეცნიერის აზრით, ეს თეორია ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობის შინაარსს, საზიანოა ბრალდებულის ინტერესისათვის და არღვევს კანონიერების პრინციპს.

მეორე თეორია, რომელიც ბრალუნარიანობის განვრცობის სახელით არის ცნობილი, თვლის, რომ ალკოჰოლის მიღება და შემდგომ დანაშაულის ჩადენა ერთ მთლიან ქმედებას წარმოადგენს. ამ თეორიის მომხრეები თავის პოზიციას იმით ასაბუთებენ, რომ „ქმედების ჩადენის დროს" ინტერპრეტაცია ხდება განვრცობილად[131].

გერმანიის მეცნიერეთა შორის გაბატონებულია ბრალუნარიანობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორია. ფაქტობრივად იგი ემთხვევა ამ საკითხზე პროფ. ნ. თოდუას მოსაზრებას. პროფ. მ. ტურავაც ამ აზრს იზიარებს და მიიჩნევს, რომ ქართული კანონმდებლობით პირის ბრალუნარიანობა სწორედ ამ თეორიის მიხედვით უნდა იყოს დასაბუთებული[132]. თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი სიმთვრალეში, იგი მოქმედებს როგორც შერაცხადი სუბიექტი. ამ თეორიის მომხრეები აცხადებენ, რომ თუმცა პირი დანაშაულს სჩადის შეურაცხად მდგომარეობაში, მიზეზობრივი კავშირის მოქმედებაში მოყვანა ხდება ჯერ კიდევ შერაცხად მდგომარეობაში.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, კოდექსში იშვიათად ხდება ბრალის დამძიმება სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის. იგი ძირითადად დაკავშირებულია სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენასთან (მ.მ. 275, 276). მართალია, ეს დანაშაულები ბრალის გაუფრთხილებელ ფორმას გულისხმობს, მაგრამ სატრანსპორტო დანაშაული მომეტებული საფრთხისა და ფართო ვალდებულებების გამო სავსებით მისაღებია სასჯელის გამკაცრება დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინებით.

აქამდე ვსაუბრობდით სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენისას პიროვნების ბრალის ხარისხზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი პოზიცია იმის თაობაზე, **ხომ არ შეიძლება დამნაშავის სიმთვრალე კონკრეტულ შემთხვევებში ბრალს ამსუბუქებდეს**. მეცნიერებს მოყავთ ძირითადად ისეთი მაგალითები, რომლებიც თავისთავად, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში სახელდებით

---

[130] გ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 430

[131] გ. ტურავა, იქვე, გვ. 431

[132] გ. ტურავა, იქვე

შემამსუბუქებელ გარემოებად არიან მიჩნეული. მაგალითად, მკვლელობა ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ან კიდევ დამნაშავის შეპყრობისას აუცილებელი ზომის გადაცილებით, თუ ეს ქმედება ჩადენილია სიმთვრალეში.

ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, რამდენადაც თვით სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის ჩადენის ეს გარემოებანი თავისთავად შემამსუბუქებელ ვითარებაში ჩადენილად ითვლება, დამნაშავისათვის დამატებითი შეღავათის მიცემა გამართლებული არ იქნება.

პროფ. ი. კარპეცი კი თავის საწინააღმდეგო პოზიციას იმით ასაბუთებდა, რომ არ შეიძლება შემწყნარებლობის გამოჩენა მთვრალ დამნაშავეთა მიმართ. იგი წერდა, თუ ვთვლით, რომ ალკოჰოლიზმს დანაშაულის ჩადენამდე მივყავართ, უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები და კატეგორიულად უარვყოთ სიმთვრალე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად[133].

მეცნიერის ეს პოზიცია გამართლებული არ უნდა იყოს. დამნაშავის მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად ცხოვრებაში გატარება იმის საწინდარი უნდა იყოს, რომ სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას სიმთვრალეს, ისევე როგორც დანაშაულის ჩადენის ყველა სხვა გარემოებას ზედმიწევნით სამართლიანად მიუდგეს, აწონ-დაწონოს ყველაფერი და სიმთვრალე დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებად ჩათვალოს, ან კიდევ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მას არცერთი ზემოაღნიშნული სტატუსი არ მიანიჭოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ სასამართლოს მიერ სამართლიანი განაჩენის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის ბრალის ხარისხის ზუსტ განსაზღვრას. ბრალის ხარისხის მიხედვით და ყველა სხვა გარემოების გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი პირის მიმართ სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის სათანადო გამოყენება.

მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომასთან მიმართებით რაიმე ერთმნიშვნელოვანი განმარტება სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს. პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად ხდება მისი გამოყენება. **ზოგიერთი მოსამართლის აზრით,** მასში ნაგულისხმევია სოციალური სუბიექტების (მოხელე, სამხედრო მოსამსახურე) და სხვა სათანადო პირთა მიერ მოვალეობის დარღვევა, რომელთაც ეს მოვალეობა აკისრიათ კანონით, სხვა ნორმატიული აქტით თუ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. **სხვები კი თვლიან,** რომ ეს ცნება ფართოდ უნდა გავიგოთ და არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ სპეციალური სუბიექტებით. იგი უნდა ეხებოდეს ყველა იმ პირს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა მისთვის დაკისრებული მოვალეობის დარღვევის შედეგად.

მთავარია, რომ მოსამართლემ მოვალეობის დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს ის, თუ საზოგადოებისათვის რაოდენ საშიში იყო დარღვევის ხასიათი და ზომა და სწორედ ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით

[133] Карпец И.И. Отягчающие и смягчающие обстоятельства в уголовном праве, М., 1959, с. 66

განსაზღვროს სასჯელის ზომა. სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს ამ სტანდარტული ფორმულირებათა განმეორებით, ვინაიდან იგი საერთოა ყველა სისხლის სამართლის საქმისათვის და ნაკლებად ნათელია კონკრეტული საქმისათვის, თუ ამ ზოგად მონაცემებს მოსამართლე სათანადო მოტივირებას არ გაუკეთებს სასჯელის სახისა და ზომის დადგენისას. სასამართლო საქმეში არსებული ტექსტის ციტირება არ არის საკმარისი, საჭიროა მასში გადმოცემულ დებულებათა სათანადო დასაბუთება სამართლიანი სასჯელის შეფარდებისათვის.

სასჯელის შეფარდებისას **ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების** სწორედ განსაზრვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს საკითხი საკმაოდ დამუშავებული არ არის. სასჯელის შეფარდებისას განსაზღვრული უნდა იქნეს მართლსაწინააღმდეგო ნების ხარისხობრივი მაჩვენებელი, რაც, თავის მხრივ, უნდა მიესადაგოს მოსამართლის მიერ სასჯელის სახისა და ზომის დადგენას. სწორედ დამნაშავის მართლსაწინააარმდეგო ნება ვლინდება დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისას, საით მიისწრაფვის იგი, რამდენად ეწინააღმდეგება ეს ნება ქვეყანაში არსებულ მართლწესრიგს, კულტურისა და ზნეობის ნორმებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ პირის მიერ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისას მართლსაწინააღმდეგო ნება შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე მოქმედებს თვითიმედოვნების ფარგლებში, ხოლო დაუდევარი ქმედებისას მისი დადგენა გამორიცხულია.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფესორ ი. დვალიძეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ვინაიდან მართლწინააღმდეგობა სამართლებრივი კატეგორიაა, ხოლო ნება კი წმინდა ფსიქოლოგიური, „მართლსაწინააღმდეგო ნება სამართლის ღირებულებათა სისტემიდან შეფასებული ნებაა[134].

ავტორი ემყარება რა დ. უზნაძის ნაშრომს, აკეთებს დასკვნას, რომ „მართალია, ნებისყოფა ნებისაგან მოწყვეტით არ განიხილება, მაგრამ მასზე არ დაიყვანება: „ნება შეიძლება ნდომის (სურვილის) სინონიმად წარმოვიდგინოთ. ნებისყოფა როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე მიღებული გადაწყვეტილების შესრულების პროცესშიც მონაწილეობს. ნებისყოფის სიმტკიცე, გადაწყვეტილების ადვილად მიღებასა და ერთხელ მიღებული შესაფერისი გადაწყვეტილების ბოლომდე შენარჩუნების უნარში მდგომარეობს"[135].

როდესაც მართლსაწინააღმდეგო ნების, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ გარემოებებზე ვმსჯელობთ, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას პიროვნების მიერ იმ ღირებულებათა აღქმა, რომელიც დაფუძნებულია სოციალურ გარემოში არსებულ საერთო ცხოვრების წესებზე.

---

[134] ირაკლი დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 140

[135] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV, თბ., 1998, გვ. 192-201; ციტირებულია ი. დვალიძის ნაშრომიდან, გვ. 89

მართალია, პროფ. ი. დვალიძე სიფრთხილეს იჩენს დამნაშავის მიერ ღირებულებათა სისტემის შეფასებისას და მიუთითებს, რომ „დამნაშავის წარსულის შესწავლა განსაზღვრულ ფარგლებში გვიხსნის ადამიანის შინაგან ბუნებას“, იგი ეყრდნობა დ. ბეჭვაიას პოზიციას, რადგან „ღირებულების ცნებაში“ სრულად ვლინდება სუბიექტის, ინდივიდის ინტერესები, სურვილები და ნებელობა[136]. მართალია, ი. დვალიძის პოზიციას აქვს დათქმა და იგი მისაღებია, ასევე მართებულია დ. ბეჭვაიას გამონათქვამი, რომ ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელ ისეთ გარემოებასაც, როგორიც არის დამნაშავის ყოფაქცევა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ნათლად იკვეთება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის **53-ე მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებები მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულები არიან** და მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდებისას მათი ცალ-ცალკე და იზოლირებულად განხილვისას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ვერ იქნება გარანტირებული.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალურად განსაზღვრისას **განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დანაშაულის განხორციელების ხერხს**. კოდექსის კერძო ნაწილით მთელ რიგ მუხლებში პირისათვის პასუხისმგებლობის დამძიმება ხდება დანაშაულის განხორციელების ხერხის გათვალისწინებით. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს იგი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენისას (მაგალითად, ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში, დანაშაულში საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების წინააღმდეგ (მ.მ. 315, 318, 323) და სხვა.

ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის ხერხი დაკავშირებულია ბირთვულ, რადიოლოგიურ, ქიმიურ ან ბაქტერიოლოგიური იარაღის ან მისი კომპონენტის გამოყენებასთან, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურების მიზნით მიწის, წყლის რესურსების მოწამვლასთან და სხვა. ცხადია, რომ ყოვლად წარმოუდგენელია ყველა იმ ხერხის ჩამოთვლა, რაც სასამართლოს ფაქტობრივად ავალდებულებს დამნაშავეს დაუმძიმოს პასუხისმგებლობა. ზოგიერთ ხერხთან დაკავშირებით პირდაპირპროპორციულია დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ ჩადენილი ქმედებისას პასუხისმგებლობის დამძიმება, რა თქმა უნდა, ყველა მონაწილის ინდივიდუალური ბრალის გათვალისწინებით.

ამ დროს, მართალია, დამნაშავის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგო ნებაა გამოვლენილი, მაგრამ იგი დაზარალებულის პროვოკაციული ქცევის შედეგია, ან კიდევ საკითხი ეხება აუცილებელი მოგერიების ან დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით ჩადენილ მსგავს დანაშაულებს,

[136] დ. ბეჭვაია, საზოგადოებრივი ცნობიერების აქტუალური საკითხები“, თბ., 1990, გვ. 227, ციტირებულია ი. დვალიძის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 140-141

როდესაც ფორმალურად სახეზე არ გვაქვს ყველა სამართლებრივი წინაპირობა. ეს დებულება ზოგჯერ გამართლებულია, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ალ. იაშვილს, რომელსაც სურს რა დაასაბუთოს ზემოაღნიშნული დებულება, მოყავს შემდეგი მაგალითები: ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ქმარი იცავს მეუღლეს, რომელთანაც არ იმყოფება სამოქალაქო ქორწინებაში და კლავს თავდამსხმელს; მეგობარი იცავს მეგობარს და კლავს თავდამსხმელს. იგი წერს, რომ თუმცა „შესაძლოა სახეზე იყოს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების თითქმის ყველა ნიშანი, მაგრამ ვინაიდან ახლო ნათესავად არ ითვლება სამოქალაქო ქორწინებაში არმყოფი მეუღლე, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება უფრო მძიმე მუხლით – სსკ-ის 108 ან 109-ე მუხლებით".[137] . ეს მცდარი პოზიციაა. მის საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში პირის ბრალი საერთოდ გამორიცხულია. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილ ქმედებასთან.

დანაშაულებრივ ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება დამნაშავის პოსტდანაშაულებრივი ქცევით შესაძლოა ნაწილობრივ განეიტრალდეს, თუ დამნაშავე აღიარებს რა დანაშაულს, ინანიებს მას, მზადაა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, შეურიგდეს დამნაშავეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია, გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის შედეგი, პიროვნების პოსტდანაშაულებრივი ქცევა და ერთგვარად შეუმსუბუქოს მას სასჯელის ზომა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ გარემოებათა შორის მითითებულია, რომ **სასამართლომ სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგი**. ამიტომაც დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დადგენილი იქნეს მოყვა თუ არა დანაშაულებრივ ქმედებას შედეგი. აქედან გამომდინარე, სავალდებულოა პირის პასუხისმგებლობის განსაზრვრისას, კონკრეტულად კი სასჯელის შეფარდებისას, დადგინდეს დანაშაულებრივი შედეგი.

დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკაში არცთუ იშვიათია, როდესაც დამნაშავე ვერ ახერხებს სრულად განახორციელოს თავისი განზრახვა და ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. ამიტომაცაა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ განსაზღვრული უნდა იქნეს ის ეტაპი, როდესაც შეწყდა დანაშაულებრივი საქმიანობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულებრივი ქმედების ზუსტი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, დადგენილ იქნას თუ რა სტადიაზე მოხდა მისი შეწყვეტა და ამავე დროს რამდენად იყო ეს დამოკიდებული დამნაშავეზე.

ცნობილია, რომ დანაშაულის განვითარების სტადიები დამახასიათებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის, რაც წარმოადგენს ადამიანის შეგნებულ, მიზანმიმართულ საქმიანობას. საქართველოს კანონმდებლობით შემოღებულია დასჯადობა დანაშაულის მომზადებისათვის მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით

[137] ალ. იაშვილი, სასჯელის დასაბუთება, „სახელმძღვანელო წინადადებები", თბ., 2015, გვ. 218

მძიმე დანაშაულისა და ასევე, სსკ-ით გათვალისწინებული ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში დანაშაულის მომზადება დასჯადი არ არის, კერძოდ, გერმანიასა და ავსტრიაში. თუმცა ამ ქვეყნებში დანაშაულის მოსამზადებელი საქმიანობა მეტად ფართოდ არის გაგებული და იგი მცდელობად კვალიფიცირდება.[138]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც იყო გამოთქმული მსგავსი მოსაზრება, თუმცა იგი კანონმდებლის მიერ გაზიარებული არ იქნა[139].

ჩემი აზრით, უფრო სწორია, რომ დანაშაულის მომზადება დასჯადი იყოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ასევე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილში არსებობს ზოგიერთი დანაშაული, რომელიც ქმედების საშიშროებიდან გამომდინარე მომზადების სტადიიდან დამთავრებულად ითვლება და დასჯადად არის გამოცხადებული (მაგ. მ. 224 (ბანდიტიზმი)); მ. 404 (აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება).

სსკ-ის მე-18 მუხლი დანაშაულის მომზადებად თვლის დანაშაულის ჩადენისათვის განზრახ პირობების შექმნას. მუხლის შინაარსიდან გამომდინარე უნდა ჩავთვალოთ, რომ ამაში იგულისხმება დანაშაულის ჩასადენად იარაღისა თუ საშუალებათა გამოძებნა (მაგალითად, ავტომანქანა, ყალბი დოკუმენტები და სხვა). მოსამზადებელი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ისინი არ უქმნიან უშუალო საფრთხეს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტსა თუ სისხლის სამართლის სუბიექტს, მათზე პირდაპირ არ არიან მიმართული. პირს ჯერ არ დაუწყია კონკრეტულად იმ დანაშაულებრივი ქმედების შესრულება, რომელიც ამ დანაშაულისათვის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს. პროფ. მ. ტურავა წინააღმდეგია პირის მიერ დანაშაულის ჩასადენად მოსამზადებელი საქმიანობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებისა, ვინაიდან მიიჩნევს, რომ მას ჯერ კიდევ ეძლევა შესაძლებლობა ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე და სამართლებრივ სიკეთეს არავითარი ზიანი არ მიადგეს[140]

ჩემი აზრით, სწორედ სასჯელის **ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს პირის მიერ წინასწარი საქმიანობის სოციალური საშიშროება;** რა პირობები იყო შექმნილი რეალურად დანაშაულის ჩასადენად. თუ დადგინდება, რომ დამნაშავემ მხოლოდ პირობები მოამზადა დანაშაულის ჩასადენად და აღარ განაგრძო დანაშაულებრივი ქმედება, როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა და ამით სამართლებრივ სიკეთეს ზიანი არ მიაყენა, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას ინდივიდუალიზაციის ზოგადი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, უნდა დაასაბუთოს სასჯელის გარკვეული სახისა

---

[138] ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 28

[139] ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 241

[140] მერაბ ტურავა, სისხლი სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 301

თუ ზომის შეფარდების მიზანშეწონილობა და შედარებით ლმობიერი სასჯელის განსაზღვრა. მოსამართლემ სასჯელის ზომის განსაზღვრისას კონკრეტული დანაშაულის არსიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინოს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საშიშროება და მთელ რიგ სხვა არსებულ გარემოებათა საფუძველზე შეურჩიოს დამნაშავეს სასჯელის ზომა. შესაძლოა, სასჯელის ზომის შემცირება მიზანშეწონილიც არ იყოს და მათზე დაყრდნობით დაასაბუთოს დანაშაულის მომზადებისათვის დასჯადობა. როგორც სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობა საკმაოდ იშვიათად დგება.

უფრო საშიშია დაუმთავრებელი დანაშაულის ისეთი სახე, რომელიც სსკ-ის მე-19 მუხლშია მითითებული – **დანაშაულის მცდელობა**, ე.ი. ისეთი განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

ცნობილია, რომ მცდელობა, როგორც დანაშაულებრივი ქმედების სტადია მომზადებისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს ხდება კონკრეტულ ობიექტზე უშუალო ხელყოფა; თუმცა დანაშაული არ არის დამთავრებული სხვადასხვა გარემოებათა ზეგავლენით, თვითონ დამნაშავისაგან დამოკიდებული თუ დამოუკიდებელი მიზეზის გამო[141]

ქართულ და არა მარტო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაშიც სხვადასხვა პოზიციაა დაფიქსირებული მცდელობისას განზრახვის სახეებთან მიმართებით. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მცდელობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელდეს[142]

ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს მცდელობისას პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვის არსებობის საკითხის განხილვა. თუმცა ცხადია, რომ მის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს ინდივიდუალიზაციის პრინციპის სწორედ გამოყენებისათვის. მხოლოდ შევნიშნავ, რომ ვიზიარებ იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებიც დამაჯერებლად ასაბუთებენ, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლოა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა (მ. 56) ცალკე გამოყოფს სასჯელის შეფარდების საკითხს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის: „დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი". მასში ნაგულისხმევია, მაგალითად, დამნაშავის მიერ მსხვერპლის შეცოდება, ან თუ პირი არ აღმოჩნდა შეპირებულ ადგილას, დამნაშავემ ესროლა

[141] ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 242

[142] ოთარ გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 244-251; თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, გვ. 191; მისივე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 37; ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დასახ ნაშრომი, გვ. 71); ხოლო მეორე ნაწილი კი მცდელობის სტადიას არ გამორიცხავს ევენტუალური განზრახვის არსებობის დროსაც (მერაბ ტურავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 310-312

პირს, მაგრამ ააცდინა და სხვა.

კანონმდებელმა მოქმედი სსკ-დან 2006 წლის ბოლოს ამოიღო ის ნორმები, რომლებიც დანაშაულის მომზადებასა და მცდელობისათვის ამცირებდნენ სასჯელის ზომას. ეს ნოვაცია გამართლებულია, ვინაიდან თუმცა სასამართლოს მიერ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ დანაშაულს სათანადო შედეგი არ მოყოლია, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი.

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას ყველა სხვა გარემოებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ჩადენის მომზადების ხარისხს, ასევე თუ რამდენად ახლოა დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რამ განაპირობა დანაშაულის შეწყვეტა. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ყველა შემთხვევაში შედეგის დადგომის სიახლოვეს არ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. შესაძლოა, რომ შედეგის დადგომის სიშორე განპირობებული იყოს არა სუბიექტის სურვილით, არამედ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით. სხვა თანაბარი პირობების არსებობისას წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობა უფრო სახიფათოა მაშინ, როდესაც დამნაშავის ქმედებაში დანაშაულის ჩადენის მზაობა ნათლად არის გამოკვეთილი. დანაშაულის მცდელობის დროს სასჯელის შეფარდებისას ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულისათვის მომზადების სტადიას, სუბიექტის მიერ ყველა გარემოების წინასწარ დაგეგმვას და კვალის დასაფარად ზომების მიღებას და ა.შ.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც პირმა წინასწარი განზრახვის გარეშე მაღაზიაში გარკვეული საგნის შესაძენად შესულმა დახლზე დაინახა ძვირადრირებული ჩანთა, რომლის შეძენის სურვილი დიდი ხანია ჰქონდა. როცა გამყიდველი სხვა მყიდველთან საუბრით იყო გართული, სტაცა ხელი ჩანთას და წყნარად აპირებდა მაღაზიის დატოვებას. მეორე გამყიდველმა იგი შეამჩნია, რომ ღარიბად იყო ჩაცმული, დაეჭვდა და გააჩერა. ქალაქის სასამართლომ სავსებით სამართლიანად, სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით ქურდობის მცდელობისათვის სასჯელის მინიმალური ზომა დააკისრა.

მეორე შემთხვევაში, ქალაქის სასამართლომ უფრო მკაცრი სასჯელი შეუფარდა დამნაშავეს საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით: პირმა წინასწარ იცოდა რა, რომ მისი ნაცნობის ბინაში დილის საათებში არავინ იყო, მორგებული გასარებით შეაღწია ბინაში და ის იყო, რომ კომპიუტერის მოპარვას აპირებდა, ოჯახის პატრონი რომ სახლში დაბრუნდა. მას სამუშაო მასალები სახლში დარჩენოდა. სახლის მეპატრონემ ადგილზევე დააკავა პირი. ამჯერად, მოსამართლემ სავსებით სამართლიანად ქურდობის მცდელობა, განხორციელებული ბინაში უკანონო შეღწევით, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ქურდობის მცდელობად დააკვალიფიცირა და სასჯელის შედარებით მაღალი ზომა შეუფარდა.

როგორც მოყვანილი მაგალითებით ირკვევა, **ორივე შემთხვევაში დაუმთავრებელ დანაშაულთან გვქონდა საქმე, თუმცა, ერთი განხორციელდა უეცრად აღძრული განზრახვით, მეორე კი წინასწარ მოფიქრებული იყო.** ამასთან, მეორე მაგალითში ქურდობა დაამძიმა ბინაში უკანონოდ შეღწევის ფაქტმა. მოსამართლეთა მიერ ორივე შემთხვევაში სამართლიანი განაჩენი იქნა გამოტანილი და ამავე დროს დაცული იყო სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებს. შეიძლება ითქვას, რომ თანამონაწილეობის ინსტიტუტი დანაშაულზე მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადისკუსიო პრობლემაა. მთელი რიგი ევროპული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში საერთოდ არ არის მოცემული თანამონაწილეობის ცნების განმარტება, ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ თანამონაწილეთა ცნების დეფინიციით. ჩვენი კვლევის მიზანია, ამ პრობლემის ჭრილში განვიხილოთ დანაშაულში თანამონაწილეთათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ზუსტი შესაბამისობით სასჯელის შეფარდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლწინააღმდეგი ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით". სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრალის შერაცხვა ხდება პერსონალური ნიშნის საფუძველზე, რაც გამორიცხავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გათანაბრებას. პირიქით, ბრალის ხარისხის გათვალისწინება გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის ინდივიდუალური როლის შეფასებას, რაც ასახული უნდა იყოს სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციაზე. **საჭიროა, რომ გამოკვეთილი იქნას თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენისას ძირითადი და მეორეხარისხოვანი პირები.** უნდა გაირკვეს არამარტო პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, არამედ ასევე მისი ფაქტობრივი ზეგავლენა სხვა თანამონაწილეებზე. ერთი შეხედვით, შესაძლოა ჩანდეს, რომ დანაშაულის ჩადენისას პირი ასრულებს მეორეხარისხოვან ფუნქციას, მაგრამ სინამდვილეში იგი წარმართავდეს სხვა თანამონაწილეთა დანაშაულებრივ საქმიანობას. ამიტომაც ცალკეულ თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაციისას ყურადღება უნდა მიექცეს ყველა იმ წანამძღვარს, რაც განაპირობებს მათთვის სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებას.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ვერ ავლენენ თითოეული თანამონაწილის ქმედების ფაქტობრივ ხასიათს და ჩრდილში რჩებიან უფრო საშიში დამნაშავეები. უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოები სჯერდებიან უშუალო ამსრულებლის მსჯავრდებას, ვინაიდან მათი გამოვლენა

ხშირად უფრო ადვილია და ორგანიზატორი და დამხმარე პასუხისმგებლობის მილმა რჩებიან. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ნარკოტიკულ დანაშაულთა ჩამდენ სუბიექტთა მიმართ. სასამართლო არცთუ იშვიათად განაჩენში მიუთითებს, რომ ნარკომანმა ნარკოტიკული საშუალება „შეიძინა გამოძიების მიერ დაუდგენელი პირისაგან". ცხადია, რომ ნარკოტიკების გამსაღებელი მსჯავრის მილმა რჩება და დაუბრკოლებლად განაგრძობს თავის ბნელ საქმიანობას.

თანამონაწილეთა ქმედების შეფასება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს თანამონაწილეთა სახეებზე, ვინაიდან კონკრეტულ საქმეში წამქეზებლის ან დამხმარის როლი შეიძლება მნიშვნელოვანწილად უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ამსრულებლის მონაწილეობის ხარისხი. ამრიგად, ერთიანი დანაშაულებრივი საქმიანობა არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის **ერთნაირ პასუხისმგებლობას, არამედ, პირიქით, გულისხმობს სასჯელის მაქსიმალურ ინდივიდუალიზაციას.** პროფ. ო. გამყრელიძე ეხება რა თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიან უმართლობას გულისხმობს. ეს არის ერთიანი მიზნით დეტერმინირებული უმართლობა"[143].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე მუხლს უთმობს სასჯელის დანიშვნის საკითხს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის. მასში აღნიშნულია, რომ „სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე". 58-ე მუხლის მე-2 ნაწილში კი მითითებულია, რომ ის შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოება, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთ თანამონაწილეს თუ ამსრულებელს ეხება, სასჯელის შეფარდებისას მხოლოდ მათ შეერაცხება.

როგორც ჩანს, ჩვენი კანონმდებელი ამა თუ იმ ნორმის შემოღებისას, რომელიც თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ისევ და ისევ ხაზს უსვამს სასჯელის ინდივიდუალიზაციის გამოყენების სავალდებულო პრინციპს.

ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ **არ შეიძლება კატეგორიულად თქმა იმისა, თუ თანამონაწილეთა რომელი სახეა ყველა შემთხვევაში უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი.** უნდა დავეყრდნოთ ამა თუ იმ დანაშაულში თითოეული თანამონაწილის როლის მატერიალურ შეფასებას. სასამართლოს ყოველთვის აქვს თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის მაქსიმალური ინდივიდუალიზაციის გამოყენების შესაძლებლობა. დამნაშავეთა მონაწილეობის ხარისხი ძირითადად განისაზღვრება იმ როლით, რომელსაც ასრულებდა ესა თუ ის მონაწილე დანაშაულის ორგანიზებასა თუ მის მომზადებასა და განხორციელებაში.

ამიტომ არ მიგვაჩნია სწორად იმ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც თვლიან,

[143] ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ. 2013, გვ. 274

რომ თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენისას ყველაზე საშიშ ფიგურას ამსრულებელი წარმოადგენს: ვინაიდან მხოლოდ იგი შედის კონტაქტში დანაშაულის საგანთან და ზიანს აყენებს მას[144]. „სწორედ ამსრულებელია ის ფიგურა, ვინც უშუალოდ უზრუნველყოფს დანაშაულის დასრულებას"[145].

დანაშაულის ამსრულებლის სოციალური საშიშროება მაღალია, მაგრამ სასამართლო პრაქტიკიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც წამქეზებელსა და დამხმარეს ფაქტობრივად გადამწყვეტი როლი უთამაშიათ დანაშაულის განხორციელებაში და **მათი ბრალის ხარისხი უფრო მაღალი ყოფილა** თუ დანაშაული რამოდენიმე ამსრულებელმა ერთობლივად ჩაიდინა, მათთვის სასჯელის შეფარდებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, არის თუ არა ჩადენილ დანაშაულში ერთგვაროვანი ან მასთან მიახლოვებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, თითოეულის მიმართ სასჯელი უნდა განისაზღვროს დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხისა და ზომის მიხედვით. სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციისათვის მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მიღწევაში, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათისა და ხარისხზე.

თუ სისხლის სამართლის ნორმაში თანაამსრულებლობა დამამძიმებელ გარემოებად არ არის მიჩნეული და არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოებები, არ უნდა იქნეს გამოყენებული სასჯელის უმკაცრესი ან მასთან მიახლოებული ზომა, რადგან იგი ვერ იქნება სამართლიანი და ადექვატური.

ი. დვალიძე თავის თავს ეწინააღმდეგება, როდესაც ნაშრომის მეორე გვერდზე საპირისპიროს ამტკიცებს და წერს, რომ „თანამონაწილეთაგან ყველაზე საშიშ ფიგურად ორგანიზატორი გვევლინება (იქვე, გვ. 112). შესაძლოა ეს იმით ავხსნათ, რომ ქართველი კანონმდებელი მიჯნავს ამსრულებლისა და ორგანიზატორის ცნებებს, რაც ჩვენთვის სავსებით მისაღებია. არავინ არ უარყოფს, რომ თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენისას ამსრულებელი სავალდებულო ფიგურაა. მაგრამ ამა თუ იმ დანაშაულის თანამონაწილეობით ჩადენისას გამორიცხული არ არის, ორგანიზატორი იყოს მთავარი ფიგურა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რიგ მუხლებში დანაშაული დამთავრებულად ითვლება დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის მომენტიდან; მაგალითად: სსკ-ის 223-ე მუხლი ითვალისწინებს უკანონო ფორმირების შექმნას ან ხელმძღვანელობას; 224-ე მუხლი – ბანდიტიზმი დამთავრებულია მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნის მომენტიდან; ან კიდევ ტერორისტული ორგანიზაცია მისი შექმნის მომენტიდან (მ. 327). ეს ის მუხლებია, სადაც ჩვენი კანონმდებლობით ამ დანაშაულთა ფორმალური შემადგენლობის გათვალისწინებით ამსრულებელი, რა მიზნითაც ეს დაჯგუფებაა შექმნილი, მისი ორგანიზატორია.

ზემოაღნიშნული დანაშაულები ორგანიზებული დანაშაულის სახეებია;

[144] Благов Е.В. Применение уголовного права, СП. с. 414

[145] ი. დვალიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112-113

მინდა საკითხიდან ერთი გადახვევა გავაკეთო: თუ საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლს, რომელიც ჯგუფური დანაშაულის სახეებს შეიცავს, კანონმდებლობის საფუძველზე დაემატება მეოთხე სახეც – დანაშაულებრივი ორგანიზაცია (ან დანაშაულებრივი გაერთიანება), უფრო ნათელს გახდის ჯგუფურ დანაშაულთაგან ყველაზე მძიმე სახეს – დანაშაულებრივ გაერთიანებას.

ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული დამნაშავეს აძლევს უფრო მეტ შესაძლებლობას როგორც გააზრებული მიზნის მისაღწევად, ისე დანაშაულის კვალის დასაფარად. არ იქნება გამართლებული ზოგადად უპირატესობა მივანიჭოთ თანამონაწილეობის ამა თუ იმ ფორმას, თუ არ იქნება გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ყველა გარემოებანი.

როდესაც თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენაში ამსრულებლის განსაკუთრებულ როლზეა საუბარი, აქცესორული თეორიის თანახმად თანამონაწილეთა დანაშაულის კვალიფიკაცია და, აქედან გამომდინარე, სასჯელის ზომა დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედებაზე. იგი ახდენს ზეგავლენას სხვა თანამონაწილეთა დანაშაულის კვალიფიკაციაზე. თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და რეალურად მხოლოდ მომზადების თუ მცდელობის სტადიის საფეხურამდეა მისული, სხვა თანამონაწილეები ასევე პასუხს აგებენ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის.

სისხლის სამართლის მეცნიერება ერთმანეთისაგან ანსხვავებს თანამონაწილეობის ერთიან და დუალისტურ სისტემას. პროფ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კვლევისას აღნიშნავს, რომ დუალისტური ანუ აქცესორული კონცეფცია ერთმანეთისაგან ანსხვავებს ამსრულებელსა და თანამონაწილეს: „ქართული სისხლის სამართალი განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ამსრულებლის სხვადასხვა ცნებებს ხმარობს. განზრახი დანაშაული ამსრულებლის დუალისტურ (აქცესორულ) კონცეფციაზეა აგებული... გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კი ერთიანი ამსრულებლის კონცეფცია უდევს საფუძვლად[146]

ამრიგად, თანამონაწილეობის აქცესორული არსი იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ცენტრალური ფიგურაა ამსრულებელი, ხოლო სხვა თანამონაწილეთა საქმიანობას არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, იგი დამხმარე ხასიათისაა. თანამონაწილეთა ქმედებისა და პასუხისმგებლობის შეფასება სრულად არის დამოკიდებული ამსრულებლის ქმედებასა და მის პასუხისმგებლობაზე.

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა დაფიქსირებული თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის უფრო მაღალ სოციალურ საშიშროებაზე; ზოგიერთი მეცნიერი მას უარყოფს. არსებობს მესამე კომპრომისული პოზიციაც, რომელიც თვლის, რომ თანამონაწილეობა ყოველთვის როდის ზრდის

[146] ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 137

ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას[147].

როდესაც ვსაუბრობთ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხზე და თანამონაწილეთა მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპით გადანაწილებაზე, უნდა ხაზი გავუსვათ, რომ ქართული კანონმდებლობით ორგანიზატორის ფიგურა გამოყოფილია სხვა თანამონაწილეთაგან. სსკ-ის 24-ე მუხლის I ნაწილით ორგანიზატორია, ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას. ევროპის სახელმწიფოების კანონმდებლობით კი ამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც ფიზიკურად უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, არამედ ასევე, ვინც ბატონობს უშუალო ფიზიკური ამსრულებლის (ამსრულებლების) ნებაზე.[148] ქართული კანონმდებლობით ასევე ცალკეა გამოყოფილი თანამონაწილეთა ისეთი სახეები, როგორიცაა წამქეზებელი და დამხმარე (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

გასაზიარებელია იმ მეცნიერთა პოზიცია, რომლებიც თანამონაწილეობისას ნაკლებად საშიშ ფიგურად დამხმარეს ასახელებენ. დანაშაულის ჩადენის ინიციატივა მას არ ეკუთვნის, ის არ ხელმძღვანელობს სხვა პირთა დანაშაულებრივ საქმიანობას, მის ქმედებაში განხორციელებულია სხვა პირის განზრახვა, იგი მხოლოდ შემწეობას უწევს დამნაშავის მიერ დანაშაულის შესრულებას.

საინტერესოდ ასაბუთებს რუსი მეცნიერი მ. შარგოროდსკი თავის პოზიციას, მიუთითებს რა, რომ ერთია მისცე პირს დანა მკვლელობის ჩასადენად და მეორეა იგივე დანა ჩაარტყა ცოცხალ ადამიანს, ერთია – დაამზადო გასაღები კარის გასაღებად და სხვა – მისი მეშვეობით შეაღწიოა სხვის ბინაში[149].

მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა დამხმარის როლი და მნიშვნელობა საკმაოდ დიდი იყოს. სწორედ ამიტომაც არის სავალდებულო, რომ სასამართლომ სწორად განსაზღვროს დანაშაულში დამხმარის მონაწილეობის ხარისხი და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის ყველა გარემოების საფუძველზე დაუნიშნოს მას სასჯელი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს **თანამონაწილეობისა და დამხმარის ცნებათა გამიჯვნის საკითხზე**, ვინაიდან საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება, რაც, თავის მხრივ, ზოგჯერ დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას ირღვევა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო პოზიციაც, ჩვენ ვემხრობით პროფ. მ. ტურავას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც ეფუძნება პრაქტიკაში ფუნქციონალური თეორიის გამოყენებას და მიიჩნევს, რომ პირი თანაამსრულებელია მაშინაც, როდესაც იგი „ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორ-

[147] Курс уголовного права, Общая часть, Учение о преступлении, М., 2002, с. 385-391

[148] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013წ. გვ. 331

[149] М.Д. Шаргородский, Вина и наказание в советском уголовном праве, М. 1945, с. 28

ციელების უშუალო პროცესთან და უშუალოდ ჩართული იყო მის მიმდინარეობაში“ [150].

ვფიქრობთ, რომ თანაამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის პირიც, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების უშუალოდ განხორციელებისას თავისი ქმედებით შესაძლებლობას აძლევს მეორე პირს თავიდან აიცილოს შესაძლო დაბრკოლება, გაიადვილოს დანაშაულის ჩადენა, ამდენად იგი ფაქტობრივად უშუალოდ ჩართულია დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს სსკ-ით მეტად ლაკონურად არის ჩამოყალიბებული დამხმარის, როგორც თანამონაწილის ცნება: დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. ეს ხელშეწყობა უფრო ხშირად გამოიხატება დანაშაულის ჩადენის წინარე სტადიაზე, თუმცა, ცხადია, რომ არ არის გამორიცხული მისი მონაწილეობა თვით დანაშაულის განხორციელების დროსაც.

ჩვენი აზრით, **ბრალის აღიარებით გამოცხადებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც**, როდესაც პირის მიმართ, მართალია, მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ პირის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის თაობაზე არ იყო ცნობილი გამოძიებისათვის. ვფიქრობთ, რომ პირის ამგვარი ქმედება, ყველა გარემოებათა გათვალისწინებით ბრალის ნებაყოფლობით აღიარებად ჩაითვალოს და ყურადღება მიექცეს მისთვის სასჯელის შეფარდების დროს.

პირის ქმედებაში ისეთ გარემოებათა არსებობა, რომელიც, შესაძლოა, გახდეს მისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველი, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მთავარია, რომ სასამართლომ იგი დამაჯერებლად დაასაბუთოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით. მაგალითად, დამნაშავის მიერ ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულისათვის უმალვე სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რათა თავიდან იქნას აცილებული უფრო მძიმე შედეგი. მით უმეტეს, თუ დანაშაული ჩადენილია დასახლებულ ადგილიდან მოშორებით (ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, სისხლდენის შეჩერება და სხვა.) ან კიდევ, დამნაშავის სამსახურებრივი დამოკიდებულება შესაძლოა გახდეს მისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, თუ დადგინდება, რომ უფროსის მიერ გაცემული უკანონო ბრძანების ხასიათი და ხარისხი მისთვის ბოლომდე ნათელი არ იყო.

ასევე, სასამართლომ შესაძლოა შეუმსუბუქოს დედას შვილის დასახსნელად ქრთამის მიცემა იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ შვილის დანაშაულებრივი საქმიანობა მცირე მნიშვნელობისა იყო.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა იძლევა შემამსუბუქებელ გარემოებათა ფართო და მრავალმხრივი გამოყენების საფუძველს. **ეს განსაკუთრებით დაკავშირებულია დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებთან**. მას დიდი როლი აკისრია არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში სასჯელის შემცირებისას, არამედ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას. რაც შეეხება არასრულ-

[150] მ. ტურავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 337

წლოვნებს, ბავშვთა უფლების კონვენციის მე-40 (1) მუხლი, მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზემოქმედების ღონისძიება უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულისა და პიროვნების მდგომარეობის პროპორციული, ამავე დროს გვამცნობს, რომ მკაცრი სადამსჯელო მიდგომა არ შეესაბამება კონვენციით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს. იგი მიზნად უნდა ისახავდეს არასრულწლოვნის რესოციალიზაციას, მისი სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებას და არა დასჯას. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანთათვის სასჯელის შეფარდებისას პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს არასაპატიმრო სასჯელებს.

კონვენციის 37 (ბ) მუხლის თანახმად, საპატიმრო სასჯელი უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი ღონისძიება და შესაძლო მოკლე ვადით მხოლოდ იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც ასამართლებენ სხვა პირის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის ან დანაშაულის არაერთგზის ჩადენისათვის.

კონვენციაში (მ. 25) ასევე მითითებულია, რომ არასრულწლოვანთათვის დანიშნული სასჯელის გადახედვა უნდა ხდებოდეს პერიოდულად. მისი ბრალის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდ იქნას ასაკი და მისი განვითარების დონე.

მისასალმებელია, რომ ახლად მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ეფუძვნება ბავშვთა უფლებებს კონვენციასა და სხვა საერთაშორისო ნორმებს და ითვალისწინებს რეპრესიულ ღონისძიებათა ნაცვლად არასრულწლოვანთა მიმართ რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებას. ასევე კოდექსი მიუთითებს, რომ კოდექსის მიზნების მისაღწევად პრიორიტეტულობა ყველაზე მსუბუქ საშუალებებისა და ალტერნატიულ ზომებს ენიჭება (მ. 8).

ვინაიდან საჭიროდ მივიჩნიეთ ნაშრომში ადგილი დაგვეთმო არასრულწლოვნის მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაციის მნიშვნელობისათვის, ორიოდე სიტყვით მაინც უნდა **შევჩერდეთ იმ საკანონმდებლო ნოვაციაზე, რომლითაც 2007 წლის 4 ივლისის კანონით საქართველოს პარლამენტმა გარკვეულ დანაშაულთათვის დააწესა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 12 წლის ასაკიდან.** კანონპროექტის ავტორების აზრით, ეს გარემოება გამოწვეული იყო არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის ზრდით (რაც, სინამდვილეში, ყველაზე ნაკლებად ეხებოდა 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვნებს და, ცხადია, ახალ რეგულაციამდე ფაქტობრივად სტატისტიკაც არ არსებობდა, რადგან ამ არასრულწლოვნების მიმართ სისხლის სამართლის დევნის განხორციელების დაწყება შეუძლებელი იყო).

საკანონმდებლო ნოვაციის დასასაბუთებლად ავტორები იშველიებდნენ საზღვრაგარეთის ზოგიერთი სახელმწიფოს მაგალითს, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი საკმაოდ დაბალი იყო. მაგრამ მათ მხედვ-

ელობიდან რჩებოდათ ის გარემოება, რომ ამ ქვეყნებში არასრულწლოვნები განთავსებულნი იყვნენ სპეციალიზებულ დაწესებულებებში, რომლებიც იმ დროს საქართველოში არ არსებობდა.

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ სამართლიანად განსაზღვრა, რომ ასეთი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების აშენებამდე ან მოდიფიცირებამდე, სადაც 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვანი მსჯავრდებულები განთავსდებოდნენ, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად დაკისრებოდათ ჯარიმა.

კოდექსის გარდამავალ დებულებებში (მ. 414, ნაწ. 7) ასახული ეს შეზღუდვა მაინც არ შეიძლება ბოლომდე კარგ გამოსავლად ჩათვლილიყო, ვინაიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ის ჩამონათვალი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლში იყო მოცემული და 12 წლიდან პასუხისმგებლობას გულისხმობდა, ძირითადად მძიმე დანაშაულს ითვალისწინებდა და თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა.

მისასალმებელია, რომ არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის 12 წლამდე დაწევის შეცდომა კანონმდებელმა მალევე გამოასწორა: 2010 წლის 23 თებერვლის კანონით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად აღდგენილი იქნა 14 წელი. ამავე კანონით გაუქმდა კოდექსის 414-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

აქვე ყურადღება უნდა შევაჩეროთ გაუქმებული 414-ე მუხლის მე-7 ნაწილში მოხსენიებულ ჯარიმაზე. კოდექსის 42-ე მუხლს, რომელიც სასჯელის ერთ-ერთ სახედ ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს, დაემატა მე-5[1] ნაწილი, რომლის მიხედვითაც თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებდა მშობელს, მეურვესა ან მზრუნველს.

კანონში ასახულმა ამ ცვლილებამ დაარღვია სისხლის სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ბრალეული და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპები და პასუხისმგებლობა სხვაზე იქნა გადატანილი. გამოდიოდა, რომ არასრულწლოვანი ფაქტობრივად დაუსჯელი რჩებოდა და, რაც მთავარია, და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: ამ ნოვაციით განსაკუთრებით არასრულწლოვანთათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი სასჯელის მიზანი-რესოციალიზაცია-მიუღწეველი.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეიტანა კონსტიტუციური სარჩელი სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

საქმე განიხილა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა იმის გამო, რომ სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, ეს საქმე წარმოადგენდა კონსტიტუციური განმარტების იშვიათ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

სახალხო დამცველი მოითხოვდა ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისობის დადგენას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან მიმართებით. სახალხო

დამცველი მიუთითებდა, რომ თუმცა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, ისევე როგორც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაუშვებლობის პრინციპი კონსტიტუციაში პირდაპირ არ იყო დეკლარირებული, მაგრამ ეფუძნებოდა კონსტიტუციის 39-ე მუხლის დებულებებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა და ვფიქრობ, რომ არც არის აუცილებელი სასამართლო გადაწყვეტილების მოტივაციის ფართო განხილვა. მხოლოდ მიუთითებთ, რომ საკოსტიტუციო სასამართლომ აქცენტი მთლიანად გადაიტანა პასუხისმგებლობის ცნების განმარტებაზე და მეტად ფართოდ და ელემენტარულად მოგვითხრო საყოველთაოდ ცნობილ დებულებათა შესახებ. მან მიუთითა, რომ სადავო ნორმის შესაბამისად, მსჯავრდებულია არა მშობელი, არამედ არასრულწლოვანი და რომ სამართლიანი სასჯელი დადგენილია არა მშობლის, არამედ არასრულწლოვნის მიმართ. ამაზე დავა არ შეიძლება! მაგრამ რა მიზანი აქვს სასჯელის დანიშვნას ზოგადად და, კერძოდ, არასრულწლოვნის მიმართ? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში მითითებულია, რომ სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამ მუხლის მეორე ნაწილში კი ხაზგასმულია თუ როგორ ხორციელდება ეს მიზანი: „მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით".

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ **სამწუხაროდ საკონსტიტუციო სასამართლო ღრმად ვერ ჩაწვდა კანონმდებლის აზრს სასჯელის მიზნებთან და განსაკუთრებით რესოციალიზაციის მიზანთან დაკავშირებით.** სწორედ რომ არასრულწლოვანთათვის სასჯელის შეფარდების ძირითად მიზანს მისი რესოციალიზაცია წარმოადგენს, რაც, რა თქმა უნდა, ვერ მიიღწევა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამიტომაც ასევე სადავო ნორმის ანტიკონსტიტუციურობის დასასაბუთებლად არ გამოდგება დებულება, რომ „ნორმით დადგენილი მშობლის ვალდებულება ჯარიმის გადახდისა მომდინარეობს აღნიშნულ პირებს შორის არსებული განსაკუთრებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან და უკავშირდება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებას[151]. **ამგვარი პრაქტიკა არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მშობლის ფინანსურ პასუხისმგებლობაზე და არა მის ვალდებულებაზე მიიღოს ზომები** არასრულწლოვნის დანაშაულებრივი ქცევის აღსაკვეთად. მიზანშეწონილია აქცენტი გაკეთდეს მშობლებისათვის შესაბამის მხარდაჭერასა და დახმარების აღმოჩენაზე, რათა მათ მიიღონ ზომები

[151] მ. კოპალეიშვილი, იწვევს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის მოქმედება მშობლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, „სამართლის ჟურნალი" N1, თბ. 2013, გვ. 304

ბავშვის დანაშაულებრივი ქცევის აღსაკვეთად (მშობლებისა და ბავშვებისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი ერთობლივი ჩართვა ამ ღონისძიებებში[152].

აქვე მინდა დავურთო, რომ ჯარიმა, როგორც ალტერნატიული სასჯელი, ამცირებს არასრულწლოვნისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ სასჯელის ამ სახის გამოყენება სოციალური ინტეგრაციის სახით საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგო პრაქტიკად არის მიჩნეული იმის გამო, რომ ქმნის ეკონომიკური ნიშნით არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის საფრთხეს[153]

მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილია კანონით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობის განსხვავება, მაგრამ მაინც უფრო მიზანშეწონილი იქნება კიდევ ერთხელ გადავხედოთ სსკ-ში ალტერნატიული სასჯელების გამოყენების რაოდენობას და არ დავტოვოთ შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვნისათვის ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისას სასჯელის ღონისძიებად მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა იყოს გათვალისწინებული.

ამ საკითხზე მსჯელობა, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინების სავალდებულო ხასიათთან მიმართებით იყო განხილული, იმით მინდა დავამთავრო, რომ აღნიშნული სამართლებრივი დავა აბსოლუტურად სწორად და სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით გადაწყვიტა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა. ამ კიდექსის 68-ე მუხლში, რომელიც არასრულწლოვანთა სასჯელის სახეებს და მათ შორის ჯარიმას ეხება, ჩაწერილია: „1. არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. 2. არასრულწლოვნისათვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება". ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე დავა ერთხელ და სამუდამოდ იქნება გადაწყვეტილი.

ჩევნს მიერ ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინება, როგორც სასჯელის შეფარდებისას მისი ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენების საფუძველი, სავალდებულო ხასიათს ატარებს და მეტად მნიშვნელოვანია. ამავე დროს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელ გარემოებათა გამოყენება სათანადო დასაბუთებული და არგუმენტირებული უნდა იყოს.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ისეთი წამახალისებელი ნორმებიც, რომლის მიხედვითაც ბრალის ნებაყოფლობით აღიარება პირს საერთოდ ათავისუფლებს სისხლისსამარ-

[152] Juidance fo Legislative on Juvenile Justice, (CLC/UNICEF, (2011), p. 89

[153] juidance for Legislative Reforms on juvenile justice, CLC/UNICEF (2011), p. 89)

თლებრივი პასუხისმგებლობისაგან: მაგალითად სსკ-ის 236, 260-ე მუხლების შენიშვნები, ან კიდევ მ. 322, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ქმედით მონანიებას ეხება; უნდა აღინიშნოს, რომ პირი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ამის თაობაზე მან ნებაყოფლიბით და დროულად განუცხადა ხელისუფლების ორგანოს და ამით თავიდან იქნა აცილებული საქარათველოს ინტერესებისათვის მოსალოდნელი ზიანი.

თავისთავად, **ბრალის აღიარებით გამოცხადება**, საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით მესაძლოა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

კარგი იქნება, თუ ჩვენი მოსამართლეები სასჯელის შეფარდებისას უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ პიროვნების ინდივიდუალურ მახასიათებლებს და შეეცდებიან, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში, იყვნენ უფრო ლმობიერები და ლიბერალები და სასჯელის სხვა მიზნებთან ერთად განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანონ სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორიცაა დამნაშავის რესოციალიზაცია.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია თავის თავში გულისხმობს პიროვნების მახასიათებლებსაც. მოსამართლემ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის წარსული ცხოვრება. მართალია, სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის მინიშნებული ყველა ის გარემოება, რაც მხედველობაშია მისაღები დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას და ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ სასამართლომ ყველა კონკრეტული დანაშაულის განხილვისას, უნდა გაითვალისწინოს ის, რაც დამნაშავის პიროვნებას ახასიათებს. მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს ადამიანის ისეთ პირადულ თვისებებს, რომლებიც გამჟღავნებულია სოციალურ გარემოში მისი საქმიანობით. მაგრამ, ცხადია, რომ მხოლოდ მარტო ეს პირობა თავისთავად ვერ შეამცირებს დანაშაულით მიყენებულ ზიანს, ვერ შეცვლის ბრალის ფორმას. შესაძლოა, რომ მან სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მისცეს სასამართლოს შესაძლებლობა ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით უფრო კარგად გაერკვეს, იმსახურებს, თუ არა პირი სასჯელის სახისა თუ ზომის შემსუბუქებას და აუცილებელია თუ არა მისი საზოგადოებისაგან იზოლაცია.

საინტერესოა, რომ საზღვარგარეთელი მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დამნაშავის პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებას სასჯელის შეფარდების დროს. მათი აზრით, ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება, სხვა ყველა გარემოებასთან ერთად გულისხმობს დამნაშავის კრიმინალური წარსულის შესწავლასაც. ამის თაობაზე სასამართლოს უნდა გააჩნდეს საკმაო რაოდენობით ინფორმაცია პირის საშიში ქმედებისადმი მიდრეკილებასა და ასევე მისი გამოსწორებისა და საზოგადოებაში დაბრუნების შესაძლებლობაზე. სასამართლო უნდა დაეყრდნოს პიროვნების შესახებ მოპოვებულ სათანადო მონაცემებს, რომლებიც მოიცავენ დამნაშავის ცხოვრების ფსიქიკურ,

ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ მონაცემებს, რათა ამ მონაცემების საფუძველზე ინდივიდუალურად განსაზღვროს მისი სასჯელი. ამავე დროს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისა და სასჯელის შეფარდებისას მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ მომავალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარსული[154]. **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსკ-ის 54-ე მუხლის შინაარსი,** რომელიც სპეციალურად არის დაკავშირებული შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნასთან. მასში ვკითხულობთ: თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებები, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გატვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.

პიროვნების სოციალური დახასიათებისათვის ნასამართლობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ წარსულში პირის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა ყოველთვის მის უარყოფით დახასიათებაზე მოახდინოს გავლენა. პირის ნასამართლობა, როგორც დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსის რიგ დანაშაულებშია გათვალისწინებული. ეს გასაგებიც არის, როდესაც დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაული სერიოზულია, მაგრამ თუ პირის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მძიმეა, ან კიდევ გამორიცხული არ არის, რომ პირის ადრინდელი ნასამართლობა უკავშირდებოდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენას გაუფრთხილებლობით; ან კიდევ, ადრე ჩადენილი განზრახი დანაშაული მცირე მნიშვნელობისა იყოს; დამნაშავის პოსტდანაშაულებრივი ქცევა მოწმობდეს, რომ მან მოინანია დანაშაული და გამოსწორდა. მსგავსი სიტუაცია სხვა ბევრ რამესაც შესაძლოა გულისხმობდეს. ამიტომ, მხოლოდ იმის გამო, რომ პიროვნება ადრე ნასამართლევი იყო (თუ ნასამართლობა მის მიერ ახლად ჩადენილ დანაშაულში დამამძიმებელ გარემოებად არ არის მიჩნეული) ყოველთვის არ გულისხმობს ამ პირის გაზრდილ სოციალურ საშიშროებას.

სასამართლოს ფუნქციაა დამნაშავისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად შეაფასოს მისი ცხოვრების წესი, მისი რეპუტაცია. ხომ არ იყო მისთვის დანაშაულებრივი საქმიანობა საარსებო წყარო, ასევე დამნაშავის წარსული საქმიანობა დაკავშირებული ერთიდაიგივე ქმედებათა განხორციელებასთან სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს და შეაფასოს ადრე რა საფუძვლით იქნა გათავისუფლებული მსჯავრდებული ამნისტიის, შეწყალების, პირობით ვადამდე, სასჯელის გადავადების, მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის ან სხვა საშეღავათო საშუალებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დადებითად უნდა იქნას შეფასებული ახლახან მიღებული არასრულწლოვანთა

[154] Saeed Gohari, Amir Kondori, Mohammed Nehdipour, Abozar Ahmadi:, A Consideration on Individualization of Punishments and Securing Provisional and Educational Plans, International Journal of Economy, Management and Social Sciences, 2(6) June, 2013; p. 419-420

მართლმსაჯულების კოდექსში ასახული ლიბერალური მიდგომა არასრულწლოვანთა ნასამართლობის თაობაზე. კოდექსის მე-12 მუხლში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას-გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ამით კანონმდებელი ნდობას უცხადებს არასრულწლოვანს და გზას უხსნის მას სასჯელის მიზნის მისაღწევად მისი სრული რეაბილიტაციისათვის.

თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ არასრულწლოვნის მიმართ გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში მის მიმართ მოქმედებს ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტი, რომელიც თავის მხრივ უფრო შეღავათიანია, ვიდრე სრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადები.

ამასთან ერთად, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია და მისი ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის.

საჭიროა შევჩერდეთ საქართველოს სასამართლოს მიერ დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას არსებულ არასწორ პრაქტიკაზეც. გვხვდება ისეთი განაჩენები, და არც თუ იშვიათად, სადაც **შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეულია დანაშაულის ჩადენა პირველად**. სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებთან კავშირის არარსებობისას მარტო ამ გარემოების გათვალისწინება არ იძლევა პირისათვის მინიმალური სასჯელის შეფარდების საფუძველს.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები მაშინაც, **როდესაც დამნაშავეს უმსუბუქებენ სასჯელს გამოუცდელობის მოტივით**: მაგალითად, ბუღალტერიაში გამოუცდელმა პირმა მოკიდა ხელი ამ საქმიანობას, დაარღვია ფინანსური დისციპლინა და მატერიალური ზარალი მიაყენა საწარმო დაწესებულებას. აქ სხვა საკითხიც წარმოიშვება, რაც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს: ხომ არ უნდა დადგეს საკითხი იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც გამოუცდელ ახალგაზრდას ჩააბარეს ეს საქმე. მასში უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც დამნაშავის პიროვნებისათვის იყო დამახასიათებელი, როგორც საჯარო ურთიერთობებში, ისე პირად ცხოვრებაში: მისი ზნეობრივი სახე, მისი ამორალური ქცევისადმი მიდრეკილება, ურთიერთკავშირები საზოგადოების წარმომადგენლებთან. ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების ეკონომიკურ მდგომარეობას (განსაკუთრებით, თუ ჩადენილია ეკონომიკური დანაშაული). პიროვნების მახასიათებლის განსასაზღვრავად მნიშვნელობა ენიჭება ოჯახურ ურთიერთობებსაც; მის სურვილს საზოგადოებაში დაბრუნების თაობაზე.

დამნაშავის პიროვნების შესაფასებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მისი ქცევა დანაშაულის ჩადენისას (ნაგულისხმევია დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება), ასევე ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. აქ მოსამართლის განსასჯელია, რა მოიმოქმედა დამნაშავემ მას შემდეგ, რაც განხორციელდა დანაშაული (ამჯერად, მნიშვნელობა არ აქვს, დანაშაული განზრახ არის ჩადენილი, თუ გაუფრთხილებლობით). შესაძლოა, რომ დამნაშავის ქმედება დანაშაულის

ჩადენის მცდელობისას თუ დანაშაულის დამთავრების შემდეგ იყოს არაადექვატურიც (რაც განპირობებულია მძიმე შედეგით). მთავარია, რომ სასამართლომ ნათლად დაინახოს, რომ დამნაშავე ცდილობდა თავიდან აეცილებინა შედეგი, დახმარებოდა დაზარალებულს, გამოიძახა სასწრაფო დახმარების მანქანა, შველა სთხოვა სხვა პირებს და ა.შ. ყოველივე ეს მიუთითებს დამნაშავე პიროვნების დადებით მხარეებზე და გასათვალისწინებელია სასჯელის შეფარდების დროს.

სასჯელის დაკისრებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ხელყოფის ობიექტს, არამედ ასევე, იმ ხერხსა და საშუალებას, რომელიც გამოიყენა დამნაშავემ დანაშაულის განხორციელებისას. **ქმედების განხორციელების ხერხის ზუსტ განსაზღვრას რიგ დანაშაულებში კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება** (მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი და სხვა მრავალი). როცა ხერხი არაა მაკვალიფიცირებელი გარემოება, მოსამართლის ვალია სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ეს გარემობა.

თუ დამნაშავის დახმარება მარტო სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახებით ამოიწურება და თვით პირი კი მიიმალება, ეს უკვე აღარ აღიქმება როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

რაც შეეხება **ქონებრივი ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურებას**, იგი მიმართულია უკვე არსებული დანაშაულებრივი შედეგის ლიკვიდაციისაკენ.

სასამართლო პრაქტიკაში **ქონებრივი ზიანის ანაზღაურება** უფრო გავრცელებულია და გამოიხატება მოქალაქის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსათვის ნებაყოფლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში (მაგალითად, სამოხელეო დანაშაულის ჩადენისას, ან კიდევ გარემოს დაცვის სფეროში ეკოლოგიური სახის დანაშაულის ჩადენისას საგნის პირველადი მდგომარეობის აღდგენაში, ქონების დაბრუნებაში, ფულად კომპენსაციაში და სხვა).

დანაშაულით გამოწვეული **მორალური ზიანი**, რაც ზნეობრივ ან ფსიქიკურ ტანჯვაში გამოიხატება, გულისხმობს ტანჯვას ახალშობილის დაკარგვასთან, საქიმო საიდუმლოების გახმაურებასთან, საქმიანი რეპუტაციის ან ღირსების შელახვასთან დაკავშირებით და სხვა. თუ ამ დროს დამნაშავის ქმედება დაზარალებულის რეალურ თანადგომაში გამოიხატება, რომელიც ერთჯერადი არ არის და სოციალური სამართლიანობიდან გამომდინარე ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება, შესაძლოა იგი შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალოს.

ზოგჯერ არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, როგორც დანაშაულის ჩადენის მოტივი შესაძლოა პირს პასუხისმგებლობასაც კი უმსუბუქებდეს, თუ ეს ინტერესი დამნაშავის გაუნათლებლობის ბრალიც კი იყოს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ საკმაოდ ბევრი დანაშაული, მათ შორის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული, ასევე საკუთრების სფეროში ჩადენილი დანაშაულები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ობიექტურ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან, ერთგვარად ასტიმულირებენ ადამიანთა ქცევას. ასე მაგალითად, ბოლო პერიოდში მეტად

აქტუალური გახდა სხვისი საკუთრების ხელყოფა, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია უმუშევრობით, მოსახლეობის ნაწილის ცხოვრების დონის დაცემით.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლომ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს სასჯელის სახის შეცვლა ან მისი ზომის შემცირება იმ მოტივით, რომ ჩადენილ დანაშაულს არ გამოუწვევია მძიმე შედეგი, პირი ინანიებს თავის დანაშაულს და არსებობს სხვა მნიშვნელოვანი გარემოებაც. კერძოდ, დამნაშავის მიერ ოჯახზე მზრუნველობისას ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულება, რათა რეალური ეკონომიკური საფრთხე არ შეექმნას ოჯახს, თუ არ არსებობს ოჯახზე მზრუნველის ფუნქციის ალტერნატიული ვარიანტი.

„მძიმე ცხოვრებისეულ გარემოებებში“ იურიდიული თეორია და პრაქტიკა გულისხმობენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციას, მძიმე ოჯახურ გარემოებათა დამთხვევას, ეკონომიკური სიდუხჭირის დონეს, თუ რა უკიდურესმა პირობებმა გადააწყვეტინა დამნაშავეს დანაშაულის ჩადენა, რისთვის იყო განკუთვნილი დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება, ასევე ოჯახის წევრის ან თვითონ დამნაშავის ავადმყოფობის, ინვალიდობის, ოჯახის წევრთა გარდაცვალებასა და მრავალ სხვას.

დანაშაულის ჩადენის სხვა მიზეზებში **გამორიცხული არ არის სიბრალულის მოტივის არსებობაც**. დანაშაულის ჩადენა სიბრალულის მოტივით შედარებით იშვიათია სასამართლო პრაქტიკაში. ძირითადად ეს დაკავშირებულია უიმედო ავადმყოფისადმი მძაფრ სიბრალულთან, როდესაც მისი შველა, დამნაშავის აზრით, შეუძლებელია. მკვლელობის ეს შემამსუბუქებელი გარემოება სპეციალურად არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში და მისი დამატებით, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებაზე მითითება ჩვენი კანონმდებლობით დაუშვებელია.

დანაშაულის ჩადენა **თანაგრძნობის საფუძველზე** საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. მასში უნდა ვიგულისხმოთ, მაგალითად, პროდუქტების ან ტანსაცმლის ქურდობა მცირენლოვანი ბავშვის საჭიროების უზრუნველსაყოფად.

როდესაც ვსაუბრობთ ამგვარი გარემოების არსებობისას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებაზე, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეს გარემოებები ნამდვილად არსებობენ, ემყარებიან რეალურ ფაქტებს და დამნაშავის ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები არიან. ამასთან, დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს სხვა პირის მძიმე ცხოვრებისეული სიტუაციის როგორც არსებობა, ისე მისი ხარისხიც, რამაც მას უბიძგა თანაგრძნობის მოტივით ჩაედინა დანაშაული. ფაქტიურად უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი არსებულ მძიმე მდგომარეობასა და ჩადენილ დანაშაულს შორის.

დამნაშავისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ შემამსუბუქებელ გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ **სხვადასხვა გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევა**. აქაც, ცხადია, იგულისხმება და მხედველობაში მიიღება ის ობიექტური და სუბიექტური პირობები, რომლებმაც აიძულეს პირი მისი სოციალური სტატუსის

მიუხედავად ჩაედინა დანაშაული მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში, გამომდინარე მისი ხასიათიდან, ამგვარი ქმედება მისთვის დაუშვებელი იქნებოდა.

გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევა შეფასებითი ცნებაა, კონკრეტული ფაქტის საკითხია. ასეთ გარემოებად შეიძლება ასევე ჩავთვალოთ, მაგალითად, არახელსაყრელი სწრაფწარმავალი კონფლიქტური სიტუაცია; ცდომილება ქმედების საშიშროების აღქმაში; ქცევაში ბოროტგანზრახულობის არ არსებობა; პირის შემთხვევით მოხვედრა იმ ჯგუფში, რომელიც დანაშაულს სჩადიოდა; სულიერი განცდა წარუმატებლობის გამო და ხვა.

ჩამოთვლილი გარემოებანი მოწმობენ, რომ დამნაშავეს არ ახასიათებს ანტისაზოგადოებრივი განწყობა და მანკიერება შეგნებასა და ქცევაში. ასეთ გარემოებაში დანაშაულის ჩადენა მეტყველებს პირის ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ყაიდაზე, რომელიც ხასიათდება გარემოს გავლენისადმი წინააღმდეგობის გაწევის დაბალი უნარით.

სოციალური თვალსაზრისით დანაშაულის არსში იგულისხმება ადამიანის ისეთი საზოგადოებრივად საშიში, შეგნებული და ნებელობითი მოქმედება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების თავისუფლად მიღება, რაიმე გარე პირობებისა და გარემოებისაგან დამოუკიდებლად.

თუკი პირს არ ჰქონდა თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გავლენის ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამო, მაშინ შესაძლოა გამოირიცხოს მისი ბრალი დანაშაულის ჩადენაში ან **ქმედება ჩაითვალოს ჩადენილად შემამსუბუქებელ გარემოებებში**. ეს კი, თავის მხრივ, აისახება პირისათვის სასჯელის შეფარდებისას, ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებაში.

პირის ბრალი გამოირიცხება მაშინ, როდესაც მას არ შესწევს მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელების უნარი. მაგალითად, შებოჭილი დარაჯი ვერ შეძლებს მისთვის მინდობილ მატერიალურ ფასეულობათა დაცვას. ეს შემთხვევა უნდა განვიხილოთ როგორც დაუძლეველი ძალის შედეგი, რაც საერთოდ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ხოლო თუ **პირს, თუმცა შეზღუდული ჰქონდა მოქმედების თავისუფლება** ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამო, მაგრამ **ალტერნატიული ქცევის შესაძლებლობა გააჩნდა**, შესაძლოა იგი სასჯელის შეფარდებისას შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ნების გამოვლენის თავისუფლების შეზღუდვას, ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს მისი ბრალის უფრო დაბალ ხარისხზე.

აღნიშნულ შემთხვევაში შედარებით მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობა განპირობებულია იმით, რომ პირის დანაშაულებრივ ქცევაზე გავლენას ახდენს პირდაპირი იძულება (ფიზიკური ან ფსიქიკური), ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესების შიში, სამუშაოს შესაძლო დაკარგვა, იმ პირის კეთილგანწყობის დაკარგვა, რომელზეც იგი დამოკიდებულია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ფაქტორთა არსებობა, როგორც წესი, გულისხმობს დანაშაულის

ჩადენაში ქვენაგრძნობის, ბოროტი ნებისა და წინასწარი განზრახვის არარსებობისას.

დანაშაულის ჩადენის იძულება, პირველ რიგში, შეიძლება გამოიხატოს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებაში. ფიზიკური ზემოქმედება უფრო ნათელია და ხასიათდება ძალადობით, მაგალითად, ცემით ან სხეულის დაზიანებით, იძულებითი იზოლაციით, ქონების დაზიანებით ან განადგურებით და ა.შ. საფიქრებელია, რომ დანაშაულის ჩადენა ფიზიკური ძალადობის ზეგავლენით, სხვა გარემოებებთან კავშირში შესაძლოა, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალოს, ვიდრე მუქარის ზეგავლენით ჩადენილი ქმედება, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში დამნაშავის მუქარა მომავლისკენ არის მიმართული და პირს ეძლევა შესაძლებლობა (თუმცა ყოველთვის არა) მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს. არც ის არის გამორიცხული, რომ მუქარის შესრულებას იმწუთიერი ხასიათი ჰქონდეს, რაც, თავისთავად, მოქმედებს პირის მიერ ამა თუ იმ ქმედების განხორციელების შესაძლებლობაზე.

თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავის მუქარა პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ გარემოებად იოლი გადასაწყვეტი არ არის. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული რეკომენდაცია და ეს სავსებით გასაგებიცაა. რეალურად ამ საკითხის გადაწყვეტა დანაშაულის ჩადენის უამრავ გასათვალისწინებელ გარემოებას ეფუძნება. ავიღოთ მაგალითად, ხელმძღვანელის კეთილგანწყობის დაკარგვის შიშით დანაშაულის ჩადენა. არასწორად მიგვაჩნია ა. მიხლინის პოზიცია, რომელიც თვლის, რომ ხელმძღვანელის კეთილგანწყობის დაკარგვის შიშით დანაშაულის ჩადენა შემამსუბუქებელ გარემოებად არ უნდა ჩაითვალოს[155]. ამგვარი კონკრეტული მოთხოვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და უარყოფითად აისახება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებაზე. მაგალითად, იმ ქალის სამსახურიდან დათხოვნა, ვის კმაყოფაზეც ორი მცირეწლოვანი ბავშვია და დედას ბავშვების სარჩენად სხვა სახსრები არ გააჩნია, შესაძლოა ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის შემამსუბუქებელ გარემოებად; კერძოდ, მის მიერ ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება, ან თავისი უფროსის თხოვნით ნაკლებად მძიმე სხვა დანაშაულის ჩადენა.

სხვა შემთხვევაში კი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ხელმძღვანელის კეთილგანწყობის შენარჩუნების მიზნით (მოსალოდნელი დაწინაურების მოლოდინი) პირისათვის დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად შერაცხვის საფუძველი არ არის.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან დაკავშირებით მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით **მინიმუმზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას**. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ეფუძნება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის სავალდებულო დის-

[155] А.Н. Михлин, Комментарии к уголовному кодексу Российской федерации, М., 1994, стр. 66

პოზიციის ფარგლებს, თუმცა გარკვეულ პირობათა არსებობისას კანონი იძლევა ამ ნორმიდან გადახვევის შესაძლებლობას, ანუ იგი თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს გამონაკლისს საერთო წესიდან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი ნორმის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში იმითაც არის განპირობებული, რომ მოქმედი კანონმდებლობა არასრულყოფილია. ამ ნორმას თავისი იურიდიული ბუნებით საგამონაკლისო ხასიათი აქვს. იგი რეალურად გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას. ამ გარემოებებში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც ეფუძნება ამა თუ იმ საქმის ისეთ სპეციფიკურ თავისებურებას, რაც მოწმობს, რომ ეს დანაშაული „ტიპურ" დანაშაულთა რიგს არ განეკუთვნება და მისი ჩამდენი პირი არ არის სოციალურად საშიში. შესაძლოა, რომ არსებობდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელთა ერთობლიობაც განსაზღვრავს კონკრეტული საქმის გამონაკლის ხასიათს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავისთავად მხოლოდ რამოდენიმე შემამსუბუქებელი გარემოების არსებობა არ არის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სასჯელის ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების საკმარისი საფუძველი.

საქართველოს კანონმდებელი არ მიუთითებს შეიძლება თუ არა ამ გამონაკლისის გამოყენება ყველა დანაშაულისათვის მისი სიმძიმის მიუხედავად, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ რაც უფრო მძიმეა დანაშაული, სასჯელის შემცირების გამონაკლისის დაშვებას უფრო უმაღლესი ხარისხი მოეთხოვება.

სამწუხაროდ, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას დაუსაბუთებლად, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ შეცვალა საქალაქო სასამრთლოს განაჩენი სასჯელის შეფარდების ნაწილში და აზერბაიჯანის მოქალაქეს კანონით გათვალისწინებულ სასჯელის მინიმუმზე ნაკლები სასჯელი განუსაზღვრა[156].

საქმის გარემოებიდან ირკვეოდა, რომ აზერბაიჯანის მოქალაქემ აზერბაიჯანიდან უკანონოდ შემოიტანა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი"-0,264 გრ. და გაასაღა საქართველოში. დამნაშავის ქმედება დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და (ნარკოტიკული საშუალების გასაღება) და 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა) ერთობლიობით. სასჯელის ზომად განესაზღვრა სსკ-ის 260-ე მუხლით – 8 წელი, 262-ე მუხლით – 9 წელი. სასჯელის სრული შეკრების საფუძველზე დამნაშავეს უნდა მოეხადა 17 წელი. ამის გარდა, მას ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონით გათვალისწინებული უფლებები. სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე დაამტკიცა პროკურორის მიერ წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმება და

[156] საქმე N1/გ-897-11

შეიტანა ცვლილება საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენში.

განსაკუთრებით საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც იგი იყენებს სსკ-ის 55-ე მუხლის დებულების სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობის შესახებ და ადგენს კოდექსის 260-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთას ხუთი წლით და 262-ე მუხლით ასევე თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით. სააპელაციო სასამართლო ამავე დროს დამატებითი სასჯელის სახით უნიშნავს ჯარიმას ათი ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ჩვენ არ ვართ სასჯელთა სიმკაცრის მომხრე და არასოდეს ვიზიარებდით კანონმდებლის მოსაზრებას სასჯელთა სრული შეკრების თაობაზე, მაგრამ სავალდებულოდ მიგვაჩნია, რომ განაჩენს, მით უმეტეს, მისი შეცვლის შემთხვევაში, სათანადო არგუმენტაცია ერთვოდეს. ჩვენ მიერ მოყვანილ განაჩენში არც სასამართლოსი და არც პროკურორის პოზიცია არ არის დასაბუთებული.

თბილისის საქალაქო და შემდგომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი სხვა მხრივაც ვერ აკმაყოფილებს სასამართლოებისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის სავალდებულო გამოყენების აუცილებლობას. სასამართლოს კვალიფიკაცია აზერბაიჯანის მოქალაქის მიერ **ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობად გამოცხადება არასწორია.**

ჩვენ ადრეც შევჩერდით სასამართლოების ამგვარ მანკიერ პრაქტიკაზე და აქ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ კოდექსის 262-ე მუხლი ლოგიკური გაგრძელებაა 260-ე მუხლის შინაარსისა, რამდენადაც თუ ნარკოტიკული საშუალება უკანონოდ არ იქნა დამზადებული ან ნაწარმოები, შეძენილი ან შენახული, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება შემოტანილი საქართველოში. ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს ერთი დანაშაული – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა საქართველოში, რამდენადაც განაჩენიდან არ ჩანს, რომ მოხდა მისი გასაღება. ეს დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და იგი დამთავრებულია ქმედების განხორციელების მომენტიდან. ხოლო თუ დამტკიცებულია მისი საქართველოში გასაღების ფაქტი, მაშინ სახეზეა სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და ზედმეტია ქმედების კვალიფიკაცია სსკ 262-ე მუხლით.

ანალოგიური ხასიათისაა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, გამოტანილი 2013 წელს 12/II საქმე N1/ბ-566-12. ეს განაჩენიც ასევე კოდექსის ორი მუხლის სხვადასხვა ნაწილებით (260-ე მ. მე-3 ნაწილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით შეძენა-შენახვითა და 262-ე მ. მე-4 ნაწილით) არის დაკვალიფიცირებული. აქაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, შეიცვალა საქალაქო სასამართლოს განაჩენი, ამასთან, 2012 წლის კანონით „ამნისტიის შესახებ“ პირი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან 260 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ასევე, სააპელაციო სასმართ-

ლომ სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით (კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელი) შეუფარდა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. ეს სასჯელიც 2012 წლის ამნისტიით შეუმცირდა ერთი მეოთხედით. ყოველივე ამის შემდეგ დამნაშავეს დარჩა მოსახდელად თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და 6 თვით. დამატებით სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა ასი ათასი (100 000) ლარის ოდენობით.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ტრაფარეტი, რასაც, როგორც წესი, იყენებენ სასამართლოები თავისი პოზიციის გასამაგრებლად: „პალატა თვლის, რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს სსსკ-ის შესაბამისი თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რის გამოც, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიიჩნევა საპროცესო შეთანხმების დამტკიცება“. სასამართლომ კოდექსის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამნაშავეს დამატებითი სასჯელის სახედ განუსაზღვრა ჯარიმა 100000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით“.

ამ განაჩენთან მიმართებით ბევრი კითხვა ჩნდება, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას ეხება. სააპელაციო სასამართლოს, როდესაც იგი ამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას, ევალებოდა აეხსნა, თუ რას გულისხმობდა „საჯარო ინტერესში“, ალბათ ხაზინის შევსებას, რომელიც ასი ათასი ლარით გაიზარდა. მართალია, სწრაფად, მაგრამ რამდენად ეფექტურად განხორციელდა მართლმსაჯულება? რა ედო საფუძვლად ამ გამონაკლის შემთხვევას, როდესაც დამნაშავე პირს კანონით გათვალისწინებულ სასჯელის ზღვარზე უფრო ნაკლებ სასჯელს უფარდებენ?

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება საფუძველს ურყევს სსკ-ის 55-ე მუხლით ნაგულისხმევ მეტად მნიშვნელოვან და ჰუმანურ იდეას, გაითვალისწინოს დანაშაულის სიმძიმე, ასევე დამნაშავე პიროვნების მახასიათებლები, მისი ბრალის ხარისხი და მხოლოდ შემდგომ, როგორც გამონაკლისი კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი შეუფარდოს დამნაშავეს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, **შეიძლება თუ არა სასამართლოს ჰქონდეს კანონით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მინიმალური სასჯელის შეფარდების უფლება, თუ კოდექსში არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულის ცალკე მუხლი.** ვფიქრობ, რომ ოპონენტთა მტკიცება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან თვითონ კანონმა გაითვალისწინა დანაშაულებრივი ქმედება, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, ეს დაუშვებელია, არ უნდა იყოს სწორი თუნდაც იმიტომ, რომ კანონმდებელი ამგვარ დანაშაულს ნაკლებად საშიშად მიიჩნევს და თვლის, რომ ასეთი დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. მაშ რატომ უნდა ვთქვათ უარი კიდევ უფრო შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას მინიმალურ ზღვარზე უფრო ნაკლები სასჯელის გამოყენებაზე?

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სს კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ **როდესაც კანონში პირდაპირ არის მითითებული ესა თუ ის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს უკვე აღარ აქვს უფლება სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღოს იგივე გარემოება.** ასეთ პირობებში სასჯელის ინდივიდუალიზაცია უკვე სხვა კრიტერიუმების მეშვეობით უნდა იყოს განსაზღვრული, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს წარმოადგენენ. მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ხშირად ვხვდებით ისეთ დამამძიმებელ გარემოებას, როგორიცაა, მაგალითად, ძარცვის ან მითვისება-გაფლანგვის დროს მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა, როგორც დანაშაულის სავალდებულო ნიშანს. კანონმდებლობით ძარცვა მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევია მაშინაც კი, თუ ნაძარცვის ღირებულება 200 ლარი ან 9000 ლარია. ცხადია, სასამართლო ვალდებულია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე დაადგინოს დამამძიმებელი გარემოების ფარგლებში ჩადენილი ქმედებისათვის სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, კანონის შინაარსიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს სხვა არსებული გარემოებები და ხომ არ არის შესაძლებელი სასჯელის მინიმუმის გამოყენება.

აქვე უნდა გავაკრიტიკოთ ზოგიერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული **სასჯელების დაუსაბუთებელი სიმკაცრე** და რაც ასევე მნიშვნელოვანია, **სასჯელის სხვა ალტერნატივის არარსებობა.**

ისიც უნდა ითქვას, რომ კანონმდებელს არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ყველა შესაძლო გარემოებანი და ნიშნები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პრაქტიკაში. მოსამართლე სასჯელის შეფარდებისას არ უნდა შემოიფარგლოს ზოგადი ფრაზით მიზანშეწონილობის შესახებ, არამედ დაასაბუთოს მის მიერ არჩეული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენების მოტივაცია და საფუძველი.

2006 წლის 26 აპრილამდე მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ერთ-ერთი პრინციპულად **მეტად მნიშვნელოვანი დებულება იყო ასახული** (სსკ-ის 55-ე მუხლი). კანონით შესაძლებლად მიიჩნევდა დანაშაულისათვის დანესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდებას. ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივას შეადგენდა. თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ არსებობდა განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოება და ამასთან ერთად გაითვალისწინებდა დამნაშავის პიროვნებას, მას ხელეწიფებოდა აღნიშნული ნორმა გამოეყენებინა.

კანონმდებელმა 2006 წელს განხორციელებული ცვლილებით შეზღუდა სასამართლოს იურისდიქცია სასჯელის ინდივიდუალიზაციის სფეროში. სსკ-ის 55-ე მუხლის **ახალი რედაქციით ამ ნორმის გამოყენება შესაძლებელი ხდებოდა პროკურორთან საპროცესო შეთანხმების პირობებში.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაირღვა სასამართლოს პრეროგატივა სასჯელის დანიშვნის საკითხთან მიმართებით.

სულ ახლახან მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით აღდგენილია სასამართლოს უფლებამოსილება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის თაობაზე. კოდექსის 76-ე მუხლში მითითებულია, რომ „მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა“.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკანონმდებლო რეფორმების განხორციელების საბჭოს წინაშე სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე მეცნიერებმა კვლავ დასვეს საკითხი სსკ-ის 55-ე მუხლის დისპოზიციის სრულყოფისა და სასამართლოსათვის სასჯელის დანიშვნის საკითხზე წართმეული უფლების აღდგენის თაობაზე. შემუშავდა კანონპროექტი, რომელიც დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ არ შევჩერდებით მის განხილვაზე, რამდენადაც უახლოეს მომავალში ეს პროექტი (უთუოდ დახვეწილი) კანონად იქცევა და მასზე მსჯელობა შემდგომ იქნება შესაძლებელი. პროექტთან მიმართებით მხოლოდ ორი შენიშვნა მინდა გავაკეთო: 1) სასამართლოს კანონით უნდა მიეცეს უფლება სათანადო პირობების არსებობისას, საპროცესო შეთანხმების გარეშეც დამნაშავეს შეუფარდოს კოდექსის შესაბამისი მუხლით დადგენილი სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე უფრო მცირე სასჯელი; 2) სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლში აღდგენილი იქნას ამ ნორმის გამოყენების შესაძლებლობა, თუ არსებობს განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოება. აქვე მინდა დავძინო, რომ განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოების ცნება ფართოდ არ უნდა იყოს გაგებული და მხოლოდ ფორმალურად არ მოიცავდეს რამდენიმე შემამსუბუქებელ გარემოებას. აქ უნდა ვიგულისხმოთ ისეთ მოვლენათა დამთხვევა, რომელიც საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, იძლევა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონი მოსამართლის მიერ მინიმალურ სასჯელზე უფრო ლმობიერი სასჯელის დანიშვნისას არ იძლეოდა განსაკუთრებით შემამსუბუქებელ გარემოებათა შეფასების არც რაოდენობრივ და არც ხარისხობრივ კრიტერიუმებს. ამ საკითხის გადაწყვეტა მოსამართლის უფლებამოსილებაში შედიოდა და სასჯელის ინდივიდუალიზაციას გულისხმობდა.

ცხადია, რომ **სასამართლო სასჯელის ინდივიდუალიზაციისას უნდა დაეყრდნოს სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლში მითითებულ საფუძვლებს**, სახელდობრ, სასჯელის დანიშვნის შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობას. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის გამოცხადება ბრალის აღიარებით, ან როდესაც

დამნაშავემ ხელი შეუწყო დანაშაულის გასხნას.

კანონმდებლის ეს მითითება მეტად ზოგადია, თუმცა აქ ნიშანდობლივია ის, რომ ასეთ შემთხვევაში სასჯელის ვადა და ზომა არ უნდა აღემატებოდეს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.

ურიგო არ იქნება თუ კანონმდებელი ერთ მუხლში გააერთიანებს ამ ორ ნორმას და ხაზგასმით მიუთითებს, რომ მინიმუმზე მსუბუქი სასჯელის გამოყენება სასამართლოს შეუძლია განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ეს გარემოებები სასამართლოს მიერ დამაჯერებლად უნდა იყოს შეფასებული და ზედმიწევნით დასაბუთებული.

ზემოაღნიშნული დებულება თავის დადასტურებას პოვებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ზოგად პრინციპებში. კოდექსის მე-8 მუხლი ადგენს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა საქართველოს სსკ-ის დადგენილი მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება. აქვე მითითებულია, რომ უნდა დადგინდეს, უკეთ ხომ არ უზრუნველყოფს განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ამ პრინციპზე დაყრდნობით, კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნევს არასრულწლოვნისათვის სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთას და იგი გამოიყენება როგორც უკიდურესი ღონისძიება. მას ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი (მ. 73).

არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციის გამოყენების ვალდებულების გარდა, კანონმდებელი კოდექსში იმპერატიულად მიუთითებს, რომ 14-დან 16 წლამდე ასაკის პირისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით უნდა შემცირდეს და იგი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. ასევე 16-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა ¼-ით უნდა შემცირდეს.

და კიდევ ერთი: სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთ მუხლში, ძირითად სასჯელთან ერთად, კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს დამატებითი სასჯელის გამოყენებასაც, მაგალითად, სამოხელეო დანაშაულში (მ.მ 332, 339), სადაც თავისუფლების აღკვეთასთან ერთად გათვალისწინებულია თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოება შეიძლება უკავშირდებოდეს დანაშაულის ჩადენის მოტივს და მიზანს, პირის ქცევას დანაშაულის ჩადენამდე და მას შემდეგ, ყველა ისეთ გარემოებას, რაც ამცირებს ბრალსა და სოციალური საშიშროების ხარისხს; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მძიმე ცხოვრებისეულ გარემოებათა დამთხვევა, ასევე დანაშაულის ჯგუფურად ჩადენისას ერთ-ერთი მონაწილის აქტიური დახმარება სამართალდამცავი ორგანოებისათვის განსა-

კუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნისას და ა.შ. მთავარია, რომ მოსამართლის მოტივაცია დამაჯერებელი იყოს.

სისხლის სამართალში ამ მეტად მნიშვნელოვანი და ჰუმანური გარემოების გათვალისწინება იმით არის განპირობებული, რომ ზოგჯერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც კანონის სანქციაში გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის დანიშვნაც კი მკაცრია და არ მიესადაგება ჩადენილი ქმედებისა და თვით მისი ჩამდენის საშიშროებას.

როდესაც კანონმდებელი დასჯადად მიიჩნევს ამა თუ იმ ქმედებას, იგი არ ეფუძნება არც ამ ნორმის ფარგლებში ჩადენილ რაიმე კონკრეტულ ქმედებას და არც კონკრეტულ დამნაშავეს. კანონმდებელი ემყარება დანაშაულებრივი ქმედების ტიპურ შინაარსს, ზოგადად აფასებს დანაშაულებრივ ქმედებასა და ამ ქმედებას საშიშროებას.

ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი – საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 10 იანვრის განჩინება N165-აჰ:

სალარიძის (გვარი შეცვლილია) უმცროსი ძმა ყაჩაღებმა საკუთარ ბინაში მოკლეს. სალარიძემ ეს უბედურება მეტად მძიმედ განიცადა, ვინაიდან მას ძმა შვილივით ობლობაში ყავდა გაზრდილი. მას ადრე ორი ძმა დაელუპა, აქედან ერთი ავტოკატასროფაში, ხოლო ერთი თვის შემდეგ დედაც გარდაეცვალა. გარკვეული დროის შემდეგ სალარიძემ გაიგო, რომ ყაჩაღობა და მკვლელობა მისი ოჯახის ნათესავებმა ჩაიდინეს. იგი მაშინვე გაეშურა ყაჩაღების საცხოვრებელი სახლისაკენ და გზაში კიოდა, რომ მკვლელებს სახლს დაუწვავდა. მართლაც, მან ჯერ ერთი ნათესავის სახლი, ხოლო მაშინვე მეორე სახლიც დაწვა.

სასამართლომ საესებით სამართლიანად ჩათვალა, რომ აქ ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებით შემამსუბუქებელ გარემოებას და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე. სალარიძეს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასჯელის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები (4 წელი) დაუნიშნა.

ამ საკითხთან მიმართებით უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კანონში ზოგჯერ „უფრო მსუბუქი“ სასჯელი გათვალისწინებული არ არის, მაგრამ სათანადო პირობების არსებობისას სსკ-ის 55-ე მუხლზე დაყრდნობით მისი გამოყენება დასაშვები იყო.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში საკანონმდებლო ნორმით დაწესებულია **დამნაშავისათვის ზოგიერთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამძიმება.** კერძოდ, რაც შეეხება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დაწესებას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მას განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებს. ეს საესებით გასაგებიცაა, ვინაიდან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ჯგუფურ დანაშაულთა შორის ყველაზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია.

პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „ორგანიზებული ჯგუფი 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ისეთი მყარი ჯგუფია, რომელიც ზოგჯერ რამოდენიმე, ესე იგი ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად არის შექმნილი"[157]. ცოტა ქვემოთ კი იგი მიუთითებს, რომ „ორგანიზებული ჯგუფი ხშირად მყარი ჯგუფია, ხოლო სიმყარე, როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი. ჯგუფი მყარია იმიტომ, რომ ერთი დანაშაულის შემდეგ კი არ იშლება და დანაშაულებრივ საქმეს აგრძელებს[158].

ნაკლებად დამაჯერებლად მიგვაჩნია ო. გამყრელიძეს პოზიცია ორგანიზებული ჯგუფის განმარტების იმ ნაწილში, რომელიც ეხება ერთი დანაშაულის ჩასადენად შექმნილ ჯგუფს[159]. იგი მიიჩნევს, რომ თუ ორგანიზებული ჯგუფი შექმნილია ერთი დანაშაულის ჩასადენად, მაშინ ჯგუფის წევრის მოქმედება დაკვალიფიცირდება ჩვეულებრივ ჯგუფურ დანაშაულად, ანდა „ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით" თუკი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს ითვალისწინებს. ჩვენი აზრით სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის დღეს არსებული რედაქცია და პროფ. ო. გამყრელიძეს მიერ შემოთავაზებული კვლევის ინტერპრეტაცია დასაზუსტებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეთათვის სასჯელის შეფარდებისას დანაშაულებრივი ჯგუფის სახის განსაზღვრა უფრო რთული გახდება.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის (მაგალითად, ყაჩაღობა (მ. 179), გამოძალვა (მ. 181) დამამძიმებელ გარემოებებში მითითებულია ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულზე, ხოლო კიდევ უფრო დამამძიმებელ გარემოებებში კი იგივე ქმედებაზე, რომელიც ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ვფიქრობთ, რომ დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის, და აქედან გამომდინარე, სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის სიზუსტისათვის ჯგუფური დანაშაულის სხვადასხვა სახე ზედმიწევნით უნდა იყოს განსაზღვრული.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთი დანაშაულის ჩასადენად ორგანიზებული ჯგუფის შექმნა მეტად იშვიათია. სსკ-ის 27-ე მუხლი მეტ დახვეწას მოითხოვს, რათა კოდექსის კერძო ნაწილში ზუსტად იყოს მითითებული ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის სახე. ეს კი იმის გარანტია იქნება, რომ ყველა კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას დაცული იქნება სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

ჩვენი კვლევის მიზანი არ არის ორგანიზებული დანაშაულის და ჯგუფური დანაშაულის სახეების შესწავლა, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ჯგუფური დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახის, ე.წ. დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცალკე გამოყოფა, რაც სასამართლო პრაქტიკაში ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის შეფარდებისას ბევრ შეც-

---

[157] ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, წიგნში „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პრობლემები", ტ. III, თბ., 2013წ. გვ. 290

[158] იხ. იქვე

[159] იქვე, გვ. 291

დომას აგვაცილებდა. მით უმეტეს, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაცია, როგორც ჯგუფური დანაშაულის ყველაზე რთული და საშიში ფორმა, არაერთხელ გამხდარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსჯელობის საგანი. გაეროს თვლის, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაცია პირდაპირ საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის ეროვნულ, ისე საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მსოფლიოს სტაბილურობას.

დავუბრუნდეთ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ქმნის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამ ჯგუფის წევრების მიმართ ერთნაირი მიდგომა უნდა განხორციელდეს. სასჯელის ინდივიდუალიზაციისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, იყო თუ არა პირი შეიარაღებული, მის მიერ განხორციელებული ქმედება სადისტური, რა როლი მიუძღვის დანაშაულებრივ საქმიანობაში და მრავალი სხვა.

იგივე შეიძლება ითქვას წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენისას თანაამსრულებელთა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების სხვადასხვა ხარისხის თაობაზე, რაც აუცილებლად უნდა აისახოს სასჯელის შეფარდების დროს. შესაძლოა, რომ ერთ-ერთ დამნაშავეს დაუმძიმდეს პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ დაზარალებული იმყოფებოდა მისი პატრონაჟის ქვეშ, ან მასზე სხვაგვარად იყო დამოკიდებული, ან ერთ-ერთმა დამნაშავემ დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება და ა.შ.

კოდექსის 58-ე მუხლი დანაშაულის რეციდივის დროს ადგენს, რომ „ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ოდენობას". თუმცა აქვე კანონმდებელი აკეთებს დათქმას, რომ თუ კოდექსის მუხლში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე, დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ზემოაღნიშნული წესი. ჩემი პოზიცია ამ საკითხში რანდელ ბაროუზის მოსაზრებას ემთხვევა. მიმაჩნია, რომ **კანონმდებლის ამგვარი მიდგომა გაუმართლებლად მკაცრია.** აღნიშნულ შემთხვევაშიც სასამართლომ ინდივიდუალურ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს სასჯელი. ყოველ საქმეზე დამატებით მინიმუმ ერთი წლის დამატება არღვევს მინიმალური ჩარევის შესახებ საერთაშორისო სტანდარტს. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისა და მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის პირობითად ჩათვლის თაობაზე (მ. 63, ნაწ 1).

გარდა ამისა ბრალის ხარისხთან მიმართებაში საინტერესოა, თუ რა ვითარებაში, ვის მიმართ და რა სახის დანაშაული იყო განხორციელებული. თუ

დამნაშავემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი დანაშაულის მსხვერპლი დაუცველი იყო ასაკის, ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის ან სხვა გარემოებათა გამო, მაშინ, ცხადია, მის ქმედებაში ბრალის ხარისხი უფრო მაღალია (მაგალითად, დაზარალებული მძიმე ავადმყოფობის გამო იმდენად არის დაუძლურებული, რომ არ შესწევს უნარი წინ აღუდგეს დამნაშავეს, თუგინდ გაქცევით უშველოს თავს).

ასევე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს თუ რამდენად ბოროტად გამოიყენა დამნაშავემ პასუხსაგები თანამდებობა, ბოროტად გამოიყენა დაზარალებულის ნდობა ან კიდევ ხომ არ ჩააბა მცირეწლოვანი დანაშაულებრივ საქმიანობაში; თავისი საქმიანობით ხომ არ აბრკოლებდა მართლმსაჯულების განხორციელებას; და პირიქით, სასამართლომ ისიც უნდა მიიღოს მხედველობაში, თუ დამნაშავე ასაკოვანია, ფიზიკურად დასუსტებულია და საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლოა უფრო სამართლიანი იყოს მისთვის სასჯელის შემსუბუქება.

ზოგჯერ, დამნაშავის მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციას ისიც განსაზღვრავს, რამდენად რეალურად არსებობს მის ოჯახში მისი ფუნქციის ალტერნატიული შემსრულებლები: ოჯახზე მზრუნველობის ტვირთი და ფინანსური მხარდაჭერა, სხვა გარემოებებთან ერთად შესაძლოა, გახდეს დამნაშავისათვის სასჯელის შემსუბუქების საფუძველი.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებში დამამძიმებელ გარემოებათა არსებობა ზოგჯერ გადაულახავი წინაღობაა დამნაშავის მიმართ სასჯელის შემსუბუქების გამოყენებისათვის. ეს განსაკუთრებით შეიძლება გამოვლინდეს პირის პოსტკრიმინალურ ქცევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოზიტიურ ქცევას მიზანდასახული ხასიათი აქვს სათანადო ორგანოებთან თანამშრომლობის სახით. დამნაშავეს, რომელიც თანამშრომლობს გამოძიებასთან და ამით ხელს უწყობს მართლმსაჯულების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას, სათანადო გარანტიები უნდა ჰქონდეს. ასეთივე გარანტია იმასაც უნდა ჰქონდეს, რომელსაც, მართალია, დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში აქვს ჩადენილი, მაგრამ დანაშაულის შემდგომი მისი განსაზღვრული პოზიტიური ქცევა, სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, წახალისებული უნდა იქნას. თუმცა პოსტკრიმინალური ქცევის წახალისება შეუზღუდავი არ უნდა იყოს. საჭიროა მისი კარგად გააზრება სასჯელის დანიშვნის ზღვარის დანიშვნის დროს. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი შემთხვევა სასჯელის ინდივიდუალიზაციის მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამგვარი პოზიციის გავრცელება ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების დროს. აქ სუბიექტის აქტივობა უფრო მაღალი რანგისაა, ვიდრე ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულისათვის. იგი თავისი პოსტდანაშაულებრივი ქცევით ეხმარება სათანადო ორგანოებს თანამზრახველების გამოვლენაში, აწვდის მათ სათანადო ინფორმაციას. პირი სწორედ ჯგუფურ დანაშაულში ჩაბმულ პირთა შეთანხმებული ძა-

ლისხმევის წინააღმდეგ ილაშქრებს და ამხელს მათ. ეს შეიძლება საფუძვლად დაედოს სამართალდამცავთა სამძებრო მოქმედებას, ჯგუფის მომავალ წევრთა გამოვლენას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ამოღებას და სხვა. ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით, პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათოც კი იყოს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის დანაშაულის გახსნაში აქტიური თანამშრომლობა, მათ მიერ დაგეგმილი ქმედების ჩადენის თავიდან აცილებაში, შეფასებული უნდა იყოს სათანადოდ. ასეთ შემთხვევაში ამგვარი პირის პოსტდანაშაულებრივი საქმიანობა მის მიერ ჩადენილ დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებითაც კი აუცილებლად უნდა აისახოს მისთვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას. შესაძლებელია, რომ სათანადო პირობების არსებობისას საქართველოს მთავარმა პროკურორმა გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლება და პირი გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან. უნდა შევნიშნოთ, რომ სასამართლო პრაქტიკაში ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობა, რომელიც, როგორც წესი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გვევლინება, შესაძლებელია სასჯელის ლიბერალიზაციის საფუძველი გახდეს.

ვფიქრობთ, რომ პოსტსაბჭოური სივრცის ზოგიერთ სისხლის სამართლის კოდექსში **დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავი ჩამონათვალი გამართლებული** არ უნდა იყოს (რუსეთის ფედერაციის სსკ-ის მ.63; ბელარუსის სსკ-ის მ.64; უკრაინის სსკ-ის მ.67). ამგვარი ნორმების არსებობა ხელს შეუშლის პირისათვის სასჯელის შეფარდებისას ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის გამოყენებას, როგორიცაა სასჯელის ინდივიდუალიზაცია.

ამ საკითხთან მიმართებით რუს მეცნიერებს სხვადასხვა პოზიცია აქვთ დაფიქსირებული. პროფ. ლ. ლობანოვა, ეხება რა რუსეთის ფედერაციის სსკ-ში დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალის მიზანშეწონილობის პრობლემას, მიიჩნევს, რომ იმ ავტორთა პოზიცია და ნაწილობრივ სასამართლო პრაქტიკა არასწორია, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დიფერენციაციიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევენ ადამიანის პიროვნების მახასიათებლებს, რაც ამ ჩამონათვალში არ არსებობს. იგი იშველიებს ბელორუსისა და უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც პირდაპირ კრძალავენ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად იმის აღიარებას, რაც ამ ნორმით გათვალისწინებულ ფარგლებს სცილდება.

პროფ. ლ. ლობანოვა ალოგიკურად მიიჩნევს დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების უარყოფით დახასიათებას ქმედების დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევას. მისი აზრით, მეცნიერთა და ნაწილობრივ სასამართლო პრაქტიკის შეცდომები განპირობებულია ისეთი კრიტერიუმებით, როგორიც დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებებია. ეს კი თავისთავად დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავი

ჩამონათვალის გაფართოების ლეგალიზებაა.

მეცნიერი სისხლის სამართლის კოდექსში დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალის არსებობას ამართლებს და წინააღმდეგია მისი გაფართოვებულად გამოყენებისა. თუმცა იგი სისხლის სამართლის კანონის პრინციპულ დებულებათა შესატყვისად მიიჩნევს პიროვნების როლის გათვალისწინებას კანონში.[160]

სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება საინტერესოა **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლთან მიმართებითაც,** რომელიც სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. ამ მუხლის მე-5 ნაწილი ეთმობა სასამართლოს უფლებამოსილებას, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო დანარჩენი ნაწილი პირობით მსჯავრად ჩათვალოს, რაც საქართველოს კანონმდებლობით სასჯელად არ ითვლება.

პირისათვის პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელია, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ ნაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა ზომა.

ჩემი აზრით, პირის მიერ დანაშაულის აღიარება და თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან სხვადასხვა სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებებია და ეს გარემოებები სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს უნდა გულისხმობდნენ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა აშშ-ს სადამსჯელო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრავად მნიშვნელობა ენიჭება პირის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგებზე პასუხისმგებლობის თავისთავზე აღებას: კერძოდ, მთავრობის მიერ გასაწევი ხარჯების ანაზღაურებას. ამით პიროვნება აღიარებს დანაშაულისათვის მსჯავრდების საფუძველს, რაც ასევე გამოიხატება მის სათანადო ორგანოებისათვის ნებაყოფლობით ჩაბარებაში, შესაბამის მტკიცებულებათა ამოღებაში და მრავალი სხვა.

ზემოაღნიშნული გარემოება გულისხმობს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას. ეს ფაქტები ამომწურავი არ არის და ამავე დროს არც ყველა მათგანის არსებობა არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ პირმა აღიარა ბრალი. ამიტომაც, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე დამნაშავისათვის სასჯელი შემცირებული იქნება.

რაც შეეხება სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას, აშშ-ს სასჯელის სქემის მიხედვით პირი დამატებით შეღავათს მიიღებს, თუ იგი აქ-

[160] Л.В. Лобанова, О некоторых проблемах использования отягчающих обстоятельств в качестве средства дифференциации уголовной ответственности; В сборнике «Современные проблемы уголовно-правового воздействия; Луганск, 2013 с. 291-295

ტიურად დაეხმარება ბრალდების მხარეს სხვა იმ პირთა მიმართ წარმოებულ გამოძიებაში, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ დანაშაულის ჩადენაში; ან კიდევ მონაწილეობდნენ სხვა ისეთ დანაშაულში, რომელიც ამ დანაშაულთან არ არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში სხვათა მიმართ დევნის განხორციელებაში დახმარება ასევე გათვალისწინებული იქნება სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

მიზანშეწონილია, რომ პირის მიერ ბრალის აღიარება და თანამშრომლობა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს. მართალია, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა ეფუძნება ბრალის აღიარებას, მაგრამ ეს ორი ცნება თავისი შინაარსით განსხვავებულია. **არ არის გამორიცხული, რომ პირმა აღიაროს დანაშაული, მაგრამ აქტიურად ან საერთოდ არ ითანამშრომლოს გამოძიებასთან.**

ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ თანამშრომლობისათვის სასჯელის შესამცირებლად სავალდებულოა, როგორც თანამშრომლობის უტყუარობა და სისრულე, ასევე პირის მიერ ორგანოებისათვის არსებითი დახმარება.

ამ პირობების საფუძველზე დამნაშავისათვის სასჯელის ინდივიდუალურად განსასაზღვრად სასამართლომ შემდეგი ფაქტორები უნდა მიიღოს მხედველობაში: 1) პირის მიერ გაწეული დახმარების მნიშვნელობა ბრალდების მხარის შეფასების გათვალისწინებით; 2) მიწოდებული ინფორმაციის ან ჩვენების უტყუარობა, სისრულე და საიმედოობა; 3) ინტენსიური დახმარების მასშტაბი; 4) დახმარების გამო პირის ან ოჯახისათვის არსებული საფრთხის რისკი; 5) რამდენად დროული იყო ეს დახმარება.

აშშ-ს მიერ სასჯელის შეფარდების შესახებ დადგენილ სავალდებულო მითითებებს საკონსულტაციო ხასიათი აქვთ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ აშშ-ში გამოყენებული გაიდლაინების სისტემამ საქართველოში დადებითი გამოხმაურება ვერ ჰპოვა და სავსებით სამართლიანად. რონალდ ფ. რაითი აღნიშნავს, რომ გაიდლაინების რეალური პრობლემა იმაში კი არ არის, რომ გაიდლაინმა შესაძლოა აიძულოს მოსამართლე, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რაც მას არ სურს. მისი აზრით, საქმე სხვაგვარადაა: გაიდლაინების შემოღება მოხდა მოსამართლეთა სამსახურის დაუფასებლობის გამო. ვფიქრობ, რომ მისი პოზიცია არ შეიძლება იქნას მიღებული და ბევრი მეცნიერი მას არ იზიარებს.[161]

ასევე მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელ წლებში დიდ ბრიტანეთშიც, სასჯელის შეფარდებისას შეიმჩნევა გაიდლაინების გამოყენების ზრდის ტენდენცია, რომელიც სასჯელის ინდივიდუალიზაციის შეზღუდვის ერთ-ერთ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ. ამჟამად, როგორც ე. ეშვორსი მიიჩნევს, გაიდლაინები არსებობს ყველაზე მნიშვნელოვან დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას ძირითადად მაგისტრატ სასამართლოში. ავტორის აზრით, ამ მეთოდის მიზანი მდგომარეობს სამოსამართლო დისკრეციის სტრუქტურირებაში, არა მის წართმევაში, არამედ ერთგვარი ჩარჩოს უზრუნველყოფაში, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს ეძლევა უფლება, შესაბამისი დიაპაზონის ფარგლებში განსაზღვ-

[161] Ronald F. Wright, Rules for Sentencing Revolutions, The Jale Law Journal, 1998-1999, p. 1380

როს სასჯელის ზომა.

ე. ეშვორსი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამისათვის არსებობს მტკიცე კონსტიტუციური საფუძვლები, რამდენადაც დამნაშავისათვის სასჯელის სწორ შეფარდებას საზოგადოებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დამნაშავის მიმართ გამოყენებულმა სასჯელმა, ანუ დამნაშავის გაკიცხვის ხარისხმა შეიძლება გამოიწვიოს საკმაოდ დიდი დროით თავისუფლების აღკვეთა, ქონების ჩამორთმევა და სხვა. მისი აზრით, აბსოლუტურად გამართლებულია, რომ მასზე უნდა გავრცელდეს კანონის უზენაესობა.

ვფიქრობ, რომ ე. ეშვორსი ეწინააღმდეგება საკუთარ პოზიციას, როცა იმავდროულად მიუთითებს: „მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის გამოტანა ყოველთვის მოითხოვს შეფასების ელემენტს, ეს შეფასება უნდა განხორციელდეს პრინციპებისა და გაიდლაინების ფარგლებში, რომლებიც წინასწარ არის დადგენილი იმგვარად, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს ამ მიდგომას და შედეგი გონივრულად პროგნოზირებადი იყოს".[162]

ჩვენი აზრით, თვით გაიდლაინებში ასახული სისტემა ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას, ზღუდავს მოსამართლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის შესაფარდებელი სასჯელის გონივრულ გააზრებას. განსაკუთრებით არასწორად მიმაჩნია ე.წ. სასჯელის შეფარდების გაიდლაინების საბჭოს უფლებამოსილება გამოეცა „ზუსტი გაიდლაინები" ("Definitive guidelines"), რომლის თანახმადაც სასამართლოს მოვალეობა იყო ნებისმიერი გაიდლაინი მიეღო მხედველობაში, რასაც კავშირი ჰქონდა ამა თუ იმ კონკრეტულ დანაშაულთან და დაესაბუთებინა განაჩენში გაიდლაინში მითითებული დიაპაზონის გაუთვალისწინებლობა.

დიდ ბრიტანეთში დღესაც არსებობს შეხედულება გაიდლაინების მიზანშეწონილობის თაობაზე. არსებობს კანონპროექტებიც. მაგალითად, 2009 წელს კორონერებისა და მართლმსაჯულების კანონპროექტი, რომელიც ლორდთა პალატას გადაეგზავნა, უკვე სხვაგვარად ცვლის სასამართლოს კანონით დადგენილ ვალდებულებას. მასში ჩაწერილია, რომ სასამართლომ უნდა დაიცვას ნებისმიერი გაიდლაინი, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ეს დაცვა მართლმსაჯულების ინტერესების საწინააღმდეგო არ იქნება.[163]. როგორც ვხედავთ, ეს დებულება მეტად ზოგადია და ფაქტობრივად ისევ მოსამართლის დასაბუთება განსაზღვრავს, რამდენად მიესადაგება მის მიერ გამოტანილი სასჯელი პიროვნების დანაშაულებრივი ქმედებისათვის ინდივიდუალურად სასჯელის შეფასების პრინციპს.

ჩვენ შეგვიძლია დავძინოთ, რომ მითითებული გარემოებები შესაძლოა გახდეს კანონით განსაზღვრულ მინიმალურ სასჯელზე უფრო დაბალი სასჯელის გამოყენების საფუძველი.

ქართველ მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამ სფეროში **გაიდლაინების**

[162]Andrew Ashworth, Sentencing and Criminal Justice, Fifth Edition, Cambridge University Press, New York, 2010, p. 27

[163] ე. ეშვორსი, იქვე, გვ. 31

სისტემა ფაქტობრივად სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს ეწინააღმდეგება, აშშ-ის სახელმძღვანელო მითითებებში გარკვეული ნორმების დადგენა შემზღუდველია მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის. მის მიერ საქმის ყველა გარემოებათა დადგენისა და შესწავლის საფუძველზე, ყველა მოსამართლემ კანონზე დაყრდნობითა და თავისი შინაგანი რწმენით უნდა განსაზღვროს დამნაშავის ქმედებაში არსებული შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოების გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების დამნაშავისათვის შესარაცხად. არსებული გაიდლაინების სისტემა კი ნებით თუ უნებლიედ, შემბოჭავია მოსამართლის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

გაიდლაინების სისტემის მიზანშეწონილობა, როგორც ამას მისი გამოყენების მომხრეები თვლიან, იმაშია, რომ ერთიდაიმავე და ერთნაირ პირობებში და დანაშაულის ჩამდენი პიროვნების თანაბარი საშიშროების შემთხვევაში თავიდან იყოს აცილებული სხვადასხვა სასჯელის შეფარდება. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ საქართველოს სინამდვილეში გვხვდება ასეთი მანკიერი პრაქტიკა, მაგრამ გაიდლაინები გამოსავალი არ არის. საჭიროა მოსამართლეთა იურიდიული განათლების ამაღლება, მათ მიერ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ყველა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებათა გარკვევა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებას სავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, მოკლედ მაინც უნდა შევეხო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ „გაიდლაინების“ სასამართლო პრაქტიკაში დანერგვის მიზნით გამოცემულ „სახელმძღვანელო წინადადებებსა და რეკომენდაციებს სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე“ (თბ., 2007).

ნაშრომის წინასიტყვაობაში მითითებულია, რომ ეს „სახელმძღვანელო წინადადებები“ გათვალისწინებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და მიზნად ისახავს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭირო იყო მსოფლიოში აპრობირებული ყველა სათანადო მექანიზმის გამოყენება. მით უმეტეს, ტრადიციული დემოკრატიული სახელმწიფოების (განსაკუთრებით აშშ-ის) გამოცდილებისა. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ამ ქვეყნებში დამკვიდრებულ ე.წ. „GUIDLINES“ შექმნის პრაქტიკას.

ამ სისტემის მომხრეები თვლიან, რომ ეს „წინადადებები“ კიდევ უფრო უწყობენ ხელს ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებას: „ამის დასტურია ის გარემოება, რომ არის გადაწყვეტილებები, რომლებიც მსგავსი გარემოების მქონე საქმეზე რადიკალურად განსხვავებულ შედეგს ადგენენ, ე.ი. არსებობს უამრავი ნორმა, რომელთან მიმართებითაც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ და სხვადასხვა

პრაქტიკას მისდევენ, რაც საბოლოო ჯამში საქმეთა გადაწყვეტილებაზე აისახება და საქმეთა განხილვის გაჭიანურებას იწვევს[164].

ზემოაღნიშნული მიზნის ცხოვრებაში გასატარებლად, 2007 წლის 5 თებერვალს შეიქმნა სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და საერთო სასამართლოს მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისია.

განსაკუთრებით მიუღებელია, რომ შექმნილ „გაიდლაინებში" პირდაპირ და დეტალურად იყო დადგენილი, თუ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში მითითებული სასჯელიდან, რა ზომის სასჯელი უნდა დაუნიშნოს დამნაშავეს მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად. აქვეა დათქმა, თუ რა სასჯელის შეფარდება უნდა მომხდარიყო შესაბამისი გარემოების არსებობის თუ არარსებობის შემთხვევაში.

მიმაჩნია, რომ ჩვენი „სახელმძღვანელო წინადადებების და რეკომენდაციების" შემუშავებული სისტემა **პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საყოველთაოდ აღიარებულ სასჯელის ინდივიდუალიზაციის ძირითად პრინციპს**. მასში ფაქტობრივად თითქმის აღიარებულია აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის არსებობის შესაძლებლობა. საქმეს ვერ შველის „სახელმძღვანელო წინადადებების რეკომენდაციის" დათქმა იმის თაობაზე, რომ თუ არსებობს სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, შესაძლებელია მითითებული სასჯელების შემცირება ან გაზრდა გარკვეულ, პირდაპირ ფიქსირებულ ვადამდე; მაგალითად, ქურდობისათვის (სსკ-ის 177-ე მ.) ექვს თვემდე ვადით, ცხადია, არსებული სანქციის ფარგლებში.

ყველა დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას, როგორც ტრაფარეტი, გასათვალისწინებელ გარემოებებს შორის მითითებულია წინასწარ გამოძიებასთან თანამშრომლობის ფაქტი და ნასამართლობა. კიდევ ნიშანდობლივია, რომ ჯარიმის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახის შეფარდებისას ყველგან მითითებულია ჯარიმის მინიმალური ზღვარი – „არანაკლებ".

სტივენ ნეფის რეკომენდაცია ბრალის აღიარების შემთხვევაში (იგი ხმარობს ტერმინს „პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება") სასჯელის შემცირების ფიქსირებული პროცენტის დაწესებაა და იგი შეესაბამება აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში გამოსაყენებელ რეკომენდაციას.

[164] დასახ. ნაშრომი, გვ. 7

მაია ივანიძე

ალტერნატიული სასჯელები

მოცემული კვლევა სისხლის სამართლის თანამედროვე მიმართულებებს ეძღვნება.

ამ კუთხით ჩვენი საზოგადოების მთავარ გამოწვევას სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია წარმოადგენს.

სასჯელის მიზნები, მისი თითოეული სახე და გამოყენების ეფექტურობა განსაკუთრებული მნიშველობის მქონეა, არამარტო სისხლის სამართლის თეორიაში, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც. სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე ალტერატიული სასჯელების როლი თავისებურად წარმოჩინდა. თითოეული ალტერნატიული სასჯელის შესწავლა და განზოგადება სასჯელის მთავარ მიზანს – დანაშაულის რესოცალიზაციას ემსახურება. პრობლემის აქტულობიდან გამომდინარე, ყურადღება სწორედ ალტერნატიულ სასჯელებს დავუთმეთ და საკითხის სრული ანალიზისთვის, მის შესწავლას ისტორიული გადმოსახედიდან შევეცადეთ.

საკვლევი საკითხის ფარგლებში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემული ალტერნატიული სასჯელების ცალკეული სახის განხილვა და მათი შედარება სხვა ქვეყანაში არსებულ ალტენატიულ სასჯელთა სახეებთან.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადებამ ამჟამად არსებული ალტერნატიული სასჯელების ეფექტურობაზე მსჯელობის საშუალება მოგვცა.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის ცნების განმარტება არ არის მოცემული, მასში სასჯელთა ამომწურავი ჩამონათვალია ასახული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში მოცემული სასჯელთა სახეები თანმიმდევრული სიმძიმის მიხედვით არის დალაგებული, ისინი საბოლოო ჯამში სასჯელთა სისტემას ქმნიან. აქვეა გათვალისწინებული ალტენატიული სასჯელებიც.

ყველასთვის გასაგებია, რომ ალტერნატიული სასჯელი ნიშნავს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სასჯელისგან უფრო ეფექტური სასჯელის არჩევას.

წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს სწორედ იმ ალტერნატიულ სასჯელებზე მსჯელობა წარმოადგენს, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ამ კუთხით ყურადღება გავამახვილეთ ალტერნატიული სასჯელების ისეთ სახეებზე როგორიცაა: ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა და გამასწორებელი სამუშაო.

ჯარიმა – როგორც ალტერნატიული სასჯელის სახე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად რეალური ალტერნატივაა ის, სასჯელის ისეთი სახისა, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა. ყველა საკითხს

თავისი ისტორია აქვს. მათ შორის ქონებრივი დასჯის ისეთ საშუალებას, როგორიც ჯარიმაა. ამიტომ შევეცადეთ სასჯელის ეს სახე ისტორიული გადმოსახედიდან შეგვესწავლა. პრობლემის აქტუალობას ხაზს უსვამს საქართველოში არსებული საკანონმდებლო ცვლილებები. სწორედ ამ ცვლილებების მხედველობაში მიღებით, უცხოური გამოცდილების გაზიარებით, ჯარიმის, როგორც ალტერნატიული სასჯელის სახის შესახებ, ჩვენი მოსაზრებები გადმოცემის შესაძლებლობა მოგვეცა. ყოველივე ეს კი სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – როგორც ალტერნატიული სასჯელის სახე ყურადღებას მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით იძენს. კერძოდ, თუ რა კატეგორიის დანაშაულებზე ხდება მისი დანიშვნა, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე ზემდგომი ინსტანციების სასამართლოში. შეეფარდება თუ არა ამ კატეგორიის სასჯელი არასრუწლოვან მსჯვრდებულებს. ჩვენი ინტერესის სფეროს ამ კუთხით, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის გაზიარება წარმოადგენს.

თავისუფლების შეზღუდვა – სასჯელის მოხდის ამ ტიპის დაწესებულება საქართველოში ახლახანს ამოქმედდა. იმის გასარკვევად, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება მისი გამოყენება, პროექტის ფარგლებში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას ვესტუმრეთ. შევხვდით ამ ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს და ასევე იმ პირებს, რომლებსაც სასჯელის სახედ თავისუფლების შეზღუდვა აქვთ დანიშნული.

გამასწორებელი სამუშაო – საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელის ამ სახეს ითვალისწინებს, მაგრამ მთელი რიგი გარემოებების გამო ის დღეს პრაქტიკულად არ გამოიყენება. აღნიშნული სასჯელის სახის შეფასებას სწორედ ამ გადმოსახედიდან შევეცადეთ.

ალტერნატიული სასჯელების მოკლე ისტორიული ანალიზი (ქართული სამართლის მიხედვით)

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ალტერნატიული სანქციები სასჯელის ჰუმანურ სახეს წარმოადგენს. ისინი რეალურად თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივაა და მათი ხშირი გამოყენება სასჯელის მთავარ მიზანს – დანაშაულის თავიდან აცილებას ემსახურება.

ისტორიულად ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა სასჯელის ჰუმანურ სახეებს ძველი ქართული სამართლის ძეგლებიდან იცნობს. ის, რაც დამნაშავეს ჩადენილი ქმედებისთვის მოსამართლის ხელით უნდა გადახდენოდა „სასჯელის სახით იყო ცნობილი“, ამ სიტყვის გარდა სასჯელის ცნებას სხვა ტერმინებიც გამოხატავდა „სისხლი“ და „მისაგებელი“.

პირდაპირი მნიშვნელობით „სისხლი“- „სისხლის ფასს“ ნიშნავდა და იმ

ქონების საზღაურს წარმოადგენდა, რომელიც დამნაშავეს დაზარალებულისთვის უნდა გადაეხადა.

„მისაგებელიც“ სასჯელის ცნებას გამოხატავდა და დამნაშავეს ჩადენილი ბოროტმოქმედებისთვის მიეზღვებოდა. მოგვიანებით, „მისაგებელი“ უკვე სასჯელის ცნების ზოგადაღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა და თავის პირველად მნიშვნელობას აღარ გამოხატავდა.[1]

ძველ ქართულ სამართალში არსებული სასჯელთა ერთი ჯგუფი ქონებრივი ხასიათისა იყო და „მსუბუქი დანაშაულებისათვის“ ინიშნებოდა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს დაზარალებულისა და მისი ნათესავების სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდა ევალებოდა. მე-14-ე- მე-17-ე საუკუნეების საქართველოში ქონებრივი სასჯელები ძირითადი სასჯელის სახედ გამოიყენებოდა. მათი დაკისრება სხვა სასჯელებთან ერთად იყო შესაძლებელი.

ძველ ქართულ სისხლის სამართალში არსებულ სასჯელთა ცალკეულ სახეს განეკუთვნებოდა „ექსორი.ა“ და „გაძევება.

მე-19-ე – მე-20-ე საუკუნეების ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით სასჯელთა სისტემა შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: 1.სიკვდილით დასჯა, 2 მოკვეთა, ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება, 3. გაძევება, 4.ქონებრივი სასჯელი, 5.გამაწბილებელი სასჯელები, 6. დაწყევლა, 7. გარკვეული ვალდებულების შესრულება, 8. თავისუფლების შეზღუდვა, 9. უფლების ჩამორთმევა, 10. დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელები.

აღნიშნული სასჯელები საჯარო და კერძო სასჯელების სახეებად იყოფოდა:

კერძო სასჯელი კონკრეტულ პირთა ინტერესების ხელმყოფი დანაშაულებისათვის- დაზარალებულის, (ცალკეული პირების, ოჯახის, ნათესაური ჯგუფის) დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა და ძირითადად ქონებრივი საზღაურში გამოიხატებოდა. კერძო ხასიათის სასჯელი ზოგჯერ საჯარო ინტერესსაც ითვალისწინებდა. მაგალითად – საზღაურის გარკვეული წილის გადახდა საჯარო ინეტერესის დასაკმაყოფილებლად.

საჯარო სასჯელის გამოყენება ე.წ . საჯარო დანაშაულისთვის იყო გათვალისწინებული და სოფლის, თემის ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ასეთი ტიპის სასჯელს განეკუთვნებოდა მოკვეთა, გაძევება და სიკვდილით დასჯა, ისინი თავისი არსით მკაცრი სახის სასჯელი იყო.[2]

ილია ჭავჭავაძის მტკიცებით, ჩვეულებითი, ადათობრივი სამართალი, სამართლის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენდა. ეს მნიშვნელობა იმით იყო განპირობებული, რომ ხალხის მიერ გახლდათ შემუშავებული და მათ განწყობილებასა და შეხედულებას გამოხატავდა. ხალხს სწამდა, რომ მის მიერ შემუშავებული ჩვეულებებით ყველაზე სამართლიანად შეიძლებოდა საზოგადოე-

[1] ივანე ჯავახიშვილი, „თზულებანი თორმეტ ტომად“, მე-4 ტომი, თბილისი – 1984 წელი, 358-360 გვ.

[2] გიორგი დავითაშვილი „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში“, გამომცემლობა თბ. „მერიდიანი“ 2011 წელი, გვ-187-188

ბრივი ურთიერთობების მოწესრიგება.[3]

ქართულ ჩვეულებით სამართლში სასჯელის მიზნებიც თავისებურად იყო გამოხატული. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებნი კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას, ხშირად სასჯელის გამაფრთხილებელ მიზანზე მიუთითებდნენ, ანუ მის პრევენციულ ხასიათს უსვამდნენ ხაზს. სანდო მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელი იყო სასჯელის ისეთ მიზანზე მსჯელობა, როგორიცაა დამნაშავის გამოსწორება. პიროვნების დასჯა შესაძლებელი იყო არამარტო სამაგიეროს მიზღვის ან გაფრთხილების გამო, არამედ მისი გამოსწორების მიზნითაც. ცნობილია, რომ როდესაც პიროვნება დანაშაულს პირველად ჩაიდენდა (აქ საუბარი არ არის უმძიმეს დანაშაულზე), შესაძლოა მის მიმართ შედარებით მსუბუქი სასჯელი გამოეყენებინათ. ეს ხდებოდა დამნაშავის გაფრთხილების მიზნით, რომ მომავალში აღარ ჩაედინა დანაშაული. სამეგრელოში მცხოვრები პირი (ე.წ ინფორმატორი) ქურდი და იმავდროულად სუსტი ყოფაქცევის ქალის მიმართ გამოყენებულ გამაწბილებელ სასჯელზე საუბრისას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთხელ დასჯის შემდეგ ეს ქალი გამოსწორდა და თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა შეწყვიტა.[4]

სასჯელთა მიზანს ასევე კერძო თუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა წარმოადგენდა. ბუნებრივია, კერძო სასჯელი (ძირითადად ქონებრივი) კერძო პირთა ინტერესის დაკმაყოფილებასა და დაცვას ისახავდა მიზნად, ხოლო საჯარო სასჯელი, საჯარო ინტერესის. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით დასტურდება სასჯელთა შემდეგი მიზნები:

1. სამაგიეროს მიზღვა, 2. პრევენცია (კერძო და ზოგადი), 3. დამნაშავის გამოსწორება,

4. კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა.

ქართულ ჩვეულებით სამართალში გავრცელებული სასჯელის უმკაცრეს სახეს სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა. თუმცა მე-19-ე, მე-20-ე საუკუნეების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ ჩვეულებით სამართალში სიკვდილით დასჯა საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა. საქართველოს მთიანეთში, ფშავსა და ხევსურეთში, თუშეთში-ხევში უაღრესად გავრცელებულ სასჯელის – მოკვეთა იყო. განარჩევდნენ მის ორ სახეს: 1. თემიდან და სოფლიდან მოკვეთა, 2. ნათესაობიდან მოკვეთა. ვაჟა ფშაველას მითითებით, მოკვეთა ხდებოდა თემის პირის გატეხვისთვის, ხატის წესის დაკლებისთვის.[5]

სასჯელის საინტერესო სახე ქართულ ჩვეულებით სამართალში გაძევება გახლდათ. მას ვხვდებით ბექა – აღბუღას სამართლსა და გიორგი ბრწყინვალის

[3] ვახტანგ აბაშმაძე „ილია ჭავჭავაძე-სახემწიფოს და სამართლის პრობლემები", გამომცემლობა თბ. „განათლება" 1987 წელი, გვ. 301

[4] გიორგი დავითაშვილი „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში", გამომცემლობა თბ. „მერიდიანი" 2011 წელი,გვ325;

[5] ვაჟა ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. მე-9, თბ. 1964 წელი, გვ 71

„ძეგლისდებაში". აღნიშნული ძეგლებით გაძევება დაკავშირებული იყო მამულის ჩამორთმევასთან.[6]

სასჯელის ეს სახე გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში. აჭარაში იგი „განდევნადაც" მოიხსენებოდა.[7]

რაც შეეხება დასჯის ალტერნატიულ სახეებს, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იგი სხვადასხვა ფორმითა და სახით გვხვდება. მე-19-ე – მე-20-ე საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისას განსხვავებული ქონებრივი საზღაურის დაკისრება ფიქსირდებოდა. საქართველოს მთის რეგიონებში დანაშაულის ჩადენისას კი „სისხლის" ნატურის სახით ანაზღაურება იყო დამკვიდრებული. იგი შედარებით დიდხანს შემორჩა და მე-20-ე საუკუნეშიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით სასჯელის ძალზედ გავრცელებული სახე ქონებრივი საზღაური-კომპოზიცია იყო.

კომპოზიცია ძველ გერმანულ კოდექსებში ფულადი ანაზღაურების სისტემის სახელით გავრცელდა.[8]

საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით სვანეთსა და ხევსურეთში, სისხლის აღების, შურისძიების ინსტიტუტი საკმაოდ დიდხანს შემორჩა. თუმცა კომპოზიციათა სისტემა, რომელიც აქ მის ალტერნატივას გულისხმობდა, საკმაოდ სრულყოფილად ჩამოყალიბდა. მ.შ მკაცრი სასჯელის შედარებით ალტენატიული სახე საქართველოში ოდითგანვე ცნობილი გახლდათ და ქონებრივი საზღაურის სახე ჰქონდა.

სხვადასხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურის გადახდა ხევსურეთში, ძირითადად „ხელითი ძროხის სახით ხდებოდა" (ერთ ძროხას 4 კილოგრამ სპილენძად ანგარიშობდნენ). ერთ-ერთი წყარო აღნიშნავს, რომ მის დამჭრელს 5 ძროხის გადახდა დააკისრეს. თუმცა მას დამნაშავემ ძროხები კი არ მოუყვანა, არამედ 20 კილოგრამი სპილენძი გადაუხადა.[9]

სვანეთში ძირითადი საგადამხდელო ერთეული მიწის ნაკვეთი იყო. სისხლის ფასი სახნავი მიწის ზომით განისაზღვრებოდა (ე.ი ნალჯომი, რაც ქართულად საზომს ნიშნავს და დღიური ოდენობით ფასდებოდა. ეს იყო მთელი დღის მანძილზე მოხნული მიწა)[10].

სვანეთის სხვადასხვა ადგილზე ნალჯომის ზომები სხვადასხვა იყო. მაგალითად, მესტიაში, უშგულსა და ლენჯერში ისინი ერთმანეთისგან საჟენების, მიხედვით განსხვდებოდა. (საჟენი-დამუშავებული მიწის საზომი ერთეული)

[6] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953 წელი. გვ 234

[7] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989 წელი, გვ 45

[8] М. Косвен Престурление и наказание в догосударственном обществе, 1925 78

[9] კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 32- 33

[10] დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი თბ. 1974-75 წ. გვ. 170

რაც შეეხება საზღაურის ისეთ სახეს, როგორიც „თავსისხლი“ იყო, ამის თვალსაჩინო მაგალითია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეები, სადაც საზღაური კაცის მკვლელობისას 60 ძროხა იყო, ხოლო ქალის მკველელობისას-30 ძროხა.[11]

სვანურ ჩვეულებით სამართალში მკვლელობისთვის გათვალისწინებულ გადასახადს „წორი“ ეწოდებოდა და მიწის საზომით ანუ „ნალჯომით“ განისაზღვრებოდა, მაგალითად, უშგულში „წორი“ 6 ნალჯომ სახნავ ყანას შეადგენდა. თითო ნალჯომი 6 ხარი ღირდა. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების თანახმად, შესაძლებელი ყოფილა, რომ სისხლის აღებისაგან თავის დასაღწევად გახიზნული მკვლელის მიერ მიტოვებული სახლ-კარი და მამული „თავსისხლის“ ანგარიშში (სისხლის ფასში) მთლიანად მოკლულის ნათესაობას დარჩენოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და სვანეთში შემორჩენილი იყო ქონებრივი საზღაურის მთელი სისტემა, რაც დაჭრისა და დასახიჩრებისთვის იყო გათვალისწინებული. ჭრილობის საზღაურის ოდენობა დამოკიდებული იყო ჭრილობის სიმძიმეზე – მის სიდიდეზე, სიღრმესა და ადგილმდებარეობაზე. სახის ჭრილობის საზღაური ქერისა და ხორბლის მარცვლებით იზომებოდა, ხოლო სხეულის სხვადასხვა ნაწილისთვის სხვადასხვა სახის გადასახადი წინასწარ იყო განსაზღვრული.

სამართლის ისტორიისთვის ცნობილია ქურდობისას ნაქურდალის დაბრუნება და ასევე მისი ანაზღაურების რამდენჯერმე დაბრუნება. ნაქურდალის ასეთ ანაზღაურებას ქართული სამართლის ძეგლებიც იცნობს. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებით გათვალისწინებული იყო ნაქურდალის სამმაგი ოდენობით ანაზღაურება (მუხლი 44-ე). ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით სამცხეში გავრცელებული გახლდათ ნაქურდალის ორმაგი სახით ანაზღაურება (მუხლი 62-ე), ხოლო ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნით ნაქურდალის შვიდმაგი სახით ანაზღაურებას ჰქონდა ადგილი (მუხლი 140, 151, 152, 153, 154-ე).[12]

სამეგრელოს სინამდვილეში ქურდობისთვის ასეთივე ანაზღაურებაზე საუბრობს ა. ლამბერტი. იგი წერს: „თუ ქურდს მხოლოდ ერთი ძროხა ან ერთი ხარი, ან ერთი ღორი, ან ერთი ცხენი, ან ერთი სხვა ამისთანა მოუპარავს, დაჭერისთანავე მას დაუყოვნებლივ დაედება სასჯელი. ეს სასჯელი იმაში მდგომარეობს, რომ მან ნაქურდალის ფასი 15- ჯერ მეტი ოდენობით უნდა გადაიხადოს, აქედან 5 ნაწილი პატრონს ერგება, 5 ნაწილი ხაზინას და 5 იმ მოხელეს ვინც სასჯელი დაუდგინა დამნაშავეს“.

ნაქურდალის თხუთმეტმაგი ანაზღაურება საქართველოში სხვაგან არსად არ გვხვდება. სამეგრელოში ასეთი მკაცრი სასჯელი, სავარაუდოდ ქურდობის

---

[11] ო. ზოიძე სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი) კრებული, „ ქართული ჩვეულებითი სამართალი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ, 1919, გვ. 125

[12] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. ტომი 2, თბ. 1965 წელი. გვ 204

უაღრესი გავრცელებულობით იყო განპირობებული. მსგავსი წესები სვანეთის ისტორიული ძეგლებითაც დასტურდება.[13] ამრიგად, საქართველოში ცნობილია ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება, რაც ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქართველოს მთის რეგიონებში (სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი) მე-19-ე საუკუნის ბოლოს და მე-20-ე საუკუნეშიც შემორჩა.

საქართველოში დღეს მოქმედი ალტერნატიული სასჯელის სახეებიდან, თავისი მნიშვნელობით ეფექტური ხასიათის მქონეა სასჯელის ისეთი სახე, როგორიცაა – ჯარიმა. ქართული სამართლის ძეგლებიდან მოყოლებული სასჯელის ამ სახეს ჩვენს ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს. ფშავ- ხევსურეთში მას „ჯუ-რუმს" უწოდებდნენ, ხოლო სვანეთში მისი მნიშვნელობა ტერმინი „ჰიბარის" შესატყვისი იყო. ორივე შემთხვევაში ისინი ქონებრივ საზღაურს გამოხატავდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებით სამართალში ჯარიმის გამოყენება მრავალგვარ შემთხვევაში შეიძლებოდა. იგი გამოიყენებოდა, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართალდარღვევისათვის, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ჯარიმა შესაძლოა გადახდილიყო საზოგადოების სასარგებლოდაც და კერძო პირისთვისაც.

გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ჯარიმის დაკისრება საზოგადოებრივი სამუშაოების თავის არიდებისთვის, უღირსი საქციელის ჩადენისთვის, უკანონო ქორწინებისთვის, საზოგადობერივი წესრიგის დარღვევისათვის, საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფისათვის, მაგალითად ტყის გაჩეხვისთვის. ე.ი ისეთი სამართალდარღვევისათვის, რომლებიც საზოგადოების ინტერესს ხელყოფდნენ. საზოგადოების სასარგებლოდ გადახდილ ჯარიმას, როგორც წესი თვითონ საზოგადოების წევრები საერთო პურობაზე მოიხმარდნენ.[14] სვანეთში ფიქსირდებოდა გარკვეული სახის დანაშაული რისთვისაც, სწორედ დანაშაულის ჩამდენ ოჯახს ჯარიმა „ჰიბარ" უნდა გადაეხდა. მაგალითად, მელოგინე ქალის დანიშნულ ვადაზე ადრე სახლიდან გამოყვანისას, უქმე დღეების გატეხვისათვის, (რაც ნიშნავდა სამუშაოდ გასვლას ისეთ დღეებში, როდესაც რაიმე რელიგიური რიტუალი ტარდებოდა), ნათესაობისა და მირონის გატეხვისთვის, სასულიერო პირის სიმთვრალისა და ლოთობის შემთხვევაში და ა.შ.[15] ეს ყოველივე გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივი ინტერესის ხელყოფისთვის.

საზოგადოების ინტერესების ხელმყოფი დანაშაულის ჩადენისას დაჯარიმება ე.წ„დარბევის" ფორმით ხდებოდა, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: ხალხს დაჯარიმებული ოჯახიდან თავად გამოჰქონდა პირუტყვი, ღვინო. სწორედ, ასეთი სახით ხდებოდა ჯარიმის ამოღება. რაც შეეხება კერძო ხასიათის დანაშაულისთვის განსაზღვრულ ჯარიმის სახეს, ხევსურეთში მისი დაკისრება

[13] ა. ლამბერტი სამეგრელოს აღწერა თბ.1938 წელი, გვ 74

[14] გიორგი დავითაშვილი „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში", გამომცემლობა თბ. „მერიდიანი" 2011 წელი, გვ. 375

[15] გიორგი დავითაშვილი „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში", გამომცემლობა თბ. „მერიდიანი" 2011 წელი, გვ. 375

ძირითადად „მამკალ მამკვდრობის", მკვლელისა და მოკლულის მხარეებს შორის ურთიერთობის წესების დარღვევისათვის ხდებოდა. მას როგორც წესი, თვითონ დაზარალებული მხარე აკისრებდა დმნაშავე მხარის წარმომადგენელს. როგორც ვხედავთ, საქართველოს ამ რეგიონში ჯარიმის დაკისრება ისეთი მკაცრი დანაშაულისთვისაც იყო გათვალისწინებული, როგორიცაა მკვლელობა.

ჯარიმის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ „საუპატიო" – მისი გამოყენება შეურაცხყოფის და შერცხვენის დროს ხდებოდა.

ქართული ჩვეულებითი სამართალი არაერთ გამაწბილებელ სასჯელს იცნობდა. გ.ნადარეიშვილის მითითებით გამაწბილებელი სასჯელების მიზანი ფიზიკური ტანჯვის მიყენება კი არა, დამნაშავის ზნეობრივი დამცირება და შერცხვენა იყო. ასეთი გამაწბილებელი სასჯელების სახეებია: ვირზე შესმა, ტალახში ამოსვრა, სახალხოდ ჩამოტარება, თავზე წვენის დასხმა, თავზე ნაცრის დაყრა, გაკიცხვა, სახალხოდ შერცხვენა.[16]

შევეხოთ ერთ-ერთ მათგანს. მაგ. ქმრის მოღალატე ცოლს, ან მეძავ ქალს ვირზე პირუკუ შესვავდნენ, ვირის კუდს ხელში დააჭერინებდნენ და სოფელში აატარ-ჩამოატარებდნენ. სოფლელები მას აფურთხებდნენ, ლაფს ესროდნენ.

თავისუფლების აღკვეთის (ხშირად თავისუფლების შეზღუდვად მოიხსენიება), გვემითი და სხვა მკაცრი სასჯელების ფონზე, შედარებით მსუბუქად მოიაზრებოდა დაწყევლა, რომელიც დამოუკიდებელ სასჯელის სახეს წარმოადგენდა. ამ სასჯელის არსებობას და მის შინაარსს რელიგიური ფაქტორი, კერძოდ, საზოგადოებისა და ხალხის რწმენა განაპირობებდა. რწმენა იმასა, რომ პიროვნების მიერ წარმოთქმულ საწყევარ სიტყვებს, რომელსაც თან ახლდა შესაბამისი რიტუალი, აუცილებლად მოჰყვებოდა რაღაც შედეგი.

ამრიგად, ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში და ქართულ ჩვეულებით სამართალში ასახული სასჯელის სახეები თავისი ისტორიული მნიშვნელობით სწორუპოვარია. გვხვდება მკაცრი სასჯელებიც, მაგარამ დასჯის ალტერნატივები თავისებურია, კერძოდ ასეთი ღონისძიებების სახეებია: კომპოზიცია-ქონებრივი საზღაური, ჯარიმა, გაკიცხვა და სხვა გამაწბილებელი სასჯელები. ისინი სხვადასხვა სახის დანაშაულებისთვის გამოიყენებოდა და როგორც კერძო, ისე საჯარო ხასიათს ატარებდა. მათი შესწავლა და განზოგადება საგულისხმოა ისტორიული თვალსაზრისით და იმავდროულად შემდგომი პერიოდის სასჯელთა სისტემაზე მსჯელობისთვის ემპირიულ წყაროს წარმოადგენს.

[16] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ალმანახი №14, ოქტომბერი, 2000 წელი, გვ. 125

ალტერნატიული სასჯელები საქართველოში დღემდე (2000 წლამდე) მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

ძველი ქართული სამართლის ზემოთხსენებული ძეგლებისაგან განსხვავებით, საქართველოს საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში უხვადაა წარმოდგენილი ისეთი დანაშაულის შემადგენლობები, რომელთა ჩადენისთვისაც რამდენიმე ალტერნატიული სასჯელის სახეა გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ 1917-1922 წლების საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტში სასჯელის ცნებას ყველგან ვხვდებით.

1919 წელს გამოცემული „სახელმძღვანელო საწყისები" სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს იძლევა და ისეთ ცნებებს განმარტავს, როგორიცაა სამართალი, დანაშაული, სასჯელი და სხვა. თუმცა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა ახალი ტერმინი სოციალური დაცვის ღონისძიება შემოიღო და საერთო მიზნიდან გამომდინარე კანონმდებლის მიერ სასჯელი სოციალური დაცვის ღონისძიებად იქნა მიჩნეული.

ამ საერთო მიზანს წარმოადგენდა: 1) გაფრთხილება, 2) დამნაშავის შეგუება ცხოვრების პირობებთან შრომა-გასწორებითი ზემოქმედების გზით, 3) დამნაშავისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა. შესაბამისად 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 კარის სათაური შემდეგი იყო: „სასჯელთა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებათა გვარეები და სახეები". ბუნებრივია კანონმდებელი, სასჯელს და სოციალური დაცვის ღონისძიებას ერთმანეთისგან განასხვავებდა, მაგარამ მას სასჯელი სოციალური დაცვის ღონისძიებათა ნაირსახეობად მიაჩნდა. მათი გამაერთიანებელი ნიშანი კი მართლწესრიგის დაცვა იყო, თუმცა სასჯელს რაღაც სპეციფიკური ნიშანიც ახასიათებდა, რის გარეშეც მისი ცალკე სახედ გამოყოფა გაუგებარი რჩებოდა.[17]

სოციალური დაცვის ალტერნატიულ ღონისძიებებს მიეკუთვნებოდა: 1) გონებრივად ან მორალურად დეფექტურთა დაწესებულებაში მოთავსება, 2) იძულებითი მკურნალობა, 3) ამა თუ იმ თანამდებობის დაჭერისა და საქმიანობის ან ხელობის აკრძალვა, 4) განსაზღვრული ადგილიდან გაძევება.

ასეთი იყო სოციალური დაცვის ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც თავისი დატვირთვით სასჯელის არსს ცვლიდნენ..

აღნიშნულის დასტურს წარმოადგენდა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი, რომლის თანახმად, „სასამართლო არ უფარდებს ბრალდებულს სასჯელს, ხოლო ცნობს რომ მისი თავისუფლად ყოფნა საშიშია საზოგადოებისათვის, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას მისი მოთავსების შესახებ გონებრივად ან მორალურად დეფექტურთა ან სამკურნალო დაწესებულებაში".

იგივე კოდექსის 50-ე მუხლის ძალით, მოსამართლეს უფლება ჰქონდა

[17] ა. ვაჩეიშვილი, „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიება" , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1960 წელი, გვ. 233

სასჯელთან ერთად ბრალდებულისთვის 32-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სოციალური დაცვის ღონისძიება დაეკისრებინა. ალ. ვაჩეიშვილის აზრით, სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართალში სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიება იყო, რომელსაც სასამართლოები მხოლოდ დანაშაულის ჩამდენ პირებს უფარდებენ .სოციალური დაცვის ღონისძიება კი მხოლოდ შეურაცხად პირთა და არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენებოდა. სწორედ ამიტომ საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელი სოციალური დაცვის ღონისძიებისგან პრინციპულად განსხვავდებოდა.

ალტერნატიული სასჯელის ფართოდ განმარტების შემთხვევაში, შესაძლებელია სოციალური დაცვის ღონისძიებანი სასჯელისგან განსხვავებულ, სხვა ალტერნატიულ ღონისძიებად მივიჩნიოთ. (ალტერნატიული სასჯელის ცნების ანალოგად) ალტერნატიული სასჯელის, როგორც ცნების, ვიწროდ გაგების შემთხვევაში კი, იგი სასჯელის სახესხვაობას არ წარმოადგენდა.

მაშასადამე, სოციალური დაცვის ღონისძიების შემოღებით კანონმდებელს შესაძლოა სურდა სასჯელის მიზნის – სამაგიეროს მიზღვის მოსაზრება უკუეგდო.

ამიტომ 1959 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში, სოციალურად საშიში ქმედებას აღარ ვხვდებით და მასში პირდაპირ სასჯელის ცნებაა მოცემული: „სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელსაც სასამართლო უფარდებს კანონის საფუძველზე დანაშაულში ბრალდებულ პირს და რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ სიკეთეთა, უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვასა და აღკვეთასთან".

სასჯელის ცნების მოცემული განმარტებიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, სასჯელის აღმზრდელობით მნიშვნელობას ექცეოდა ყურადღება და მასში საზოგადოების მერყევ წევრებზე აღმზრდელობითი ზემოქმედება მოიაზრებოდა. სასჯელის ერთ-ერთ ამოცანას დასჯაც წარმოადგენდა. ბუნებრივია, მასზე უარის თქმა დანაშულობასთან ბრძოლის შესუსტებას გამოიწვევდა. სოციალური დაცვის ღონისძიებაზე უარის თქმით, კანონმდებელი გულისხმობდა იმ გარემოებას, რომ სამაგიეროს მიზღვა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით სასჯელის ამოცანას არ წარმოადგენდა.

1960 წელს საქართველოს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სისხლის სამართლის კანონი სასჯელის ცნების განსაზღვრებას აღარ იძლეოდა და 23-ე მუხლში კანონმდებელი მხოლოდ ცხრა ძირითადი და სამი დამატებითი სასჯელის შემოღებით შემოიფარგლებოდა. ესენი იყო:

1. თავისუფლების აღკვეთა;
2. გადასახლება;
3. გასახლება;
4. გამასწორებელი სამუშაო თავისუფლების აღუკვეთლად;
5. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

6. ჯარიმა;
7. თანამდებობიდან დათხოვნა;
8. საზოგადოებრივი გაკიცხვა;

ვადიანი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ შეიძელება აგრეთვე გამოყენებული ყოფილიყო სასჯელი სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის სახით.

საინტერესოა რომ, იმ პირის მიმართ, რომლებიც ალიმენტის გადახდას ან შვილების რჩენას ბოროტად თავს არიდებდა, (აგრეთვე არღვევდნენ საპასპორტო სისტემის წესებს), შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სასჯელი შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნის სახით.

იმ პირის მიმართ, რომელიც ნასვამ მდგომარეობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო დანაშაულს ჩაიდენდა, შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო დამატებითი სასჯელი პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით.

ძირითადი სასჯელის გარდა მსჯავრდებულის მიმართ სასამართლოს შეიძლება შემდეგი დამატებითი სასჯელი დაენიშნა:

პირველი – ქონების კონფისკაცია, რაც სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულის მთელი ქონების ან მისი ნაწილის უსასყიდლოდ ჩამორთმევაში მდგომარეობდა.

იგი გამოიყენებოდა მხოლოდ სახელმწიფო და მძიმე ანგარებითი დანაშაულებისათვის, ისიც კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ქონების კონფისკაცია იყო ერთადერთი დამატებითი სასჯელი, რომელიც ყოველთვის თავისუფლების აღკვეთასთან და რიგ შემთხვევებში სიკვდილით დასჯასთან ერთად ინიშნებოდა.[18]

მეორე დამატებით სასჯელს სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა წარმოადგენდა. რაც გულისხმობდა, მსჯავრდებულისთვის საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდების ან საპატიო, სამხედრო თუ სხვა წოდების ჩამორთმევას. წარდგინების შეტანა ხდებოდა იმ ორგანოში, რომელმაც მსჯავრდებულს ეს წოდება მიანიჭა.

1960 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დამატებითი სასჯელის სახე იყო – მშობლის უფლების ჩამორთმევა, რომელიც მას შემდეგ გამოიყენებოდა, თუ სასამართლო დაადგენდა მსჯავრდებულის მიერ მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტს.

სასჯელის ამგვარი სახეები ბუნებრივია, სასჯელის მიზნებიდან გამომდინარეობდა. სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზნს ადამიანის ღირსების დამცირება და მისთვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება არ წარმოადგენდა. მისი ძირითადი მიზანი შემდეგი სახით იყო განსაზღვრული – „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯა-

[18] ალ. შუშანაშვილი, „სახალხო მსაჯულის წიგნი“ 1985, თბილისი, გვ. 200-204

ვრდებულნი, შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო ცხოვრების ნესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით".

სასჯელის მიზნის ამგვარ დეფინიციაში ქვეშეცნეულად იყო გაცხადებული ის ჩანაფიქრი, რაც მაშინ კანონმდებელმა სასჯელის სახეებში და მის მიზანში ჩადო. კერძოდ, „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის", შეიძლება პირდაპირი გაგებით არა, მაგრამ თავისთავად გამოხატავდა აზრს, რომ სხვა მიზნებთან ერთად სასჯელის ერთ-ერთი მიზანი დასჯაც იყო.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლში სისხლის სამართლის სასჯელები სიმძიმის კლებადობის მიხედვით იყო განლაგებული. 1) თავისუფლების აღკვეთა; 2) გადასახლება; 3) გასახლება; 4) გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად; 5)გარკვეული თანამდებობისა ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; 6) ჯარიმა; 7) თანამდებობიდან დათხოვნა; 8) საზოგადოებრივი გაკიცხვა; სამხედრო მოსამსახურეების მიმართ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სასჯელი სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის სახით.

თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, კოდექსი ცალკე მუხლად, სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებად სიკვდილით დასჯას გამოყოფდა. იგი დახვრეტის ფორმით მოიყვანებოდა სისრულეში და სახელმწიფო დანაშაულების, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისა და ასევე კოდექსით გათვალისწინებული სხვა სპეციალური დანაშაულის შემადგენლობის ჩადენისათვის გამოიყენებოდა. სიკვდილით დასჯა თითქმის ყველა შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელი იყო. მას ხშირად დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაცია ერთვოდა. 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა სიკვდილით დასჯა ოფიციალურად გააუქმა.

სასჯელის მნიშვნელოვან სახეს თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა. იგი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული და სამხედრო დანაშაულების ჩადენისათვის გამოიყენებოდა. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშულებისთვის თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად მოცემული იყო ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო.

იმ პერიოდის სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი სასჯელის სახეებია- გადასახლება და გასახლება. ისინი როგორც ძირითად, (მაგ: მუხლი 236) ისე დამატებით სასჯელის სახედ შეიძლება დანიშნულიყო. გადასახლებაში იგულისხმობდა მსჯავრდებულის გაძევება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან მისი სხვა ადგილას სავალდებულო დასახლებით.[19] იგი ისეთი კატეგორიის დანაშაულისთვის გამოიყენებოდა, როგორიცაა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული და თანამდებობრივი დანაშაული, ხოლო გასახლება ნიშნავდა მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილიდან გაძევებას – განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვით. იგი ძირითადად პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის იყო გათვალისწინებული.

[19] М Д Шаргородский, „извранные работы по уголовному праву", 2003г стр. 321

რაც შეეხება უშუალოდ ალტერანტიულ სასჯელებს, საბჭოთა პერიოდის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობდნენ დასჯის ალტერანტიული მექანიზმები, რომლებიც თავისი არსით შედარებით მსუბუქი სასჯელის სახეს წარმოადგენდნენ. ესენი გახლდათ: ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო თავისუფლების აღუკვეთლად, საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს ჯარიმა წარმოადგენდა. ჯარიმა ეს იყო ფულადი გადასახადი, სახელმწიფოს სასარგებლოდ. ჯარიმა არ შეიძლებოდა ყოფილიყო 10 მანეთზე ნაკლები. მართალია იმდროინდელი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 30-ე მუხლით არ იყო განსაზღვრული ჯარიმის მაქსიმუმი, მაგრამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი მუხლი, ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე, შესაბამისი ჯარიმის მაქსიმუმს ითვალისწინებდა. თუ პირი ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმის გადახდას თავს აარიდებდა, მაშინ მას სასჯელი თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით შეეცვლებოდა. თუ ჯარიმის გადახდა შეუძლებელი გახდებოდა, სასამართლოს შეეძლო დაედგინა მისი შეცვლა საზოგადოებრივი გაკიცხვით.

საზოგადოებრივი გაკიცხვის არსი სასამართლოს მიერ დამნაშავის საჯაროდ შერცხვენაში მდგომარეობდა. იგი საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებას პრესის ან სხვა საშუალებით ეცნობებოდა. ჯარიმა და საზოგადოებრივი გაკიცხვა გამასწორებელი სამუშაოების შემდგომ, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად გამოიყენებოდა. მაგალითად, იგი ისეთ შემთხვევაში ინიშნებოდა, რასაც 126-ე მუხლი მშობლის ან მეუღლისათვის დახმარების გაწევაზე ბოროტად თავის არიდება გულისხმობდა. იგი შრომისუუნარო მშობლებისა და მეუღლისთვის მატერიალური დახმარების გაწევაზე უარის თქმაში გამოხატებოდა. ასეთი ქმედებისთვის განსაზღვრული იყო თავისუფლების აღკვეთა ან საზოგადოებრივი გაკიცხვა ან გამასწორებელი სამუშაო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი გაკიცხვა ძირითადად გამასწორებელი სამუშაოების ალტერნატივას უფრო წარმოადგენდა და ზოგიერთი დანაშაულისთვის გამასწორებელ სამუშაოებთან ერთად გვხვდებოდა. მაგალითად: 155-ე მუხლი მითვისება – ე.ი. მოქალაქეთა პირადი ქონების დაკავება მისაკუთრების მიზნით იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა – ისჯებოდა გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

ალტერნატიული სასჯელის ერთ-ერთი სახე იყო გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, რომელიც მსჯავრდებულს სასამართლოს გადაწყვეტილებით თავის სამუშაო ადგილას უნდა მოეხადა. იგი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად გამოიყენებოდა და განსაზღვრული იყო თანამდებობრივი და ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის. იმ პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად იყო მითითებული, რომ სასჯელის ისეთი სახე, როგორიც გახლდათ სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა,

თავისი შინაარსით აერთიანებდა გამასწორებულ სამუშაოს და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.[20]

სასჯელის ალტერნატიულ სახედ შეიძლება ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულის ჩამდენი პირის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და მისი საქმის ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემა. იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, თუ პირი ისეთ დანაშაულს ჩაიდენდა, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, მაშინ პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებოდა და საქმის მასალები განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს გადაეცემოდა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მხედველობაში იღებდა ჩადენილი ქმედების ხასიათსა და დამნაშავის პიროვნებას. ე.ი რამდენად შესაძლებელი იყო პირის გამოსწორება მკაცრი სასჯელის გამოუყენებლად. ამხანაგურ სასამართლოზე განსახილველად საქმის გადაცემის დროს გარკვეული შეზღუდვებიც იყო გათვალისწინებული. კერძოდ, ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად არ შეიძლებოდა გადაცემოდა საქმე ისეთი პირის მიმართ, რომელიც წინათ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის იყო მსაჯვრდებული ან თავდებობაში იყო გადაცემული.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ასევე შესაძლებელი გახლდათ პირის თავდებქვეშ გადაცემით. ეს იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავდა ისეთი დანაშაულის ნიშნებს, რომლისათვისაც შესაძლებელი იყო თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს სამი წლის ვადით, ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. ასეთ დროს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობით პირი შესაძლებელია გაეთავისუფლებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და იგი თავდებში იმ ორგანიზაციას ან კოლექტივს გადაეცემოდა, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა.

ალტერნატიული სასჯელების ფართოდ განმარტების კუთხით, არანაკლებ საინტერესოა საქართველოში მოქმედი საბჭოთა კოდექსით მოწესრიგებული პირობითი მსჯავრის, როგორც სასჯელის ალტერნატივის გამოყენების თავისებურებები. როგორც იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შინაარსიდან ირკვევა, თუ სასამართლო ბრალდებულის პიროვნების, დანაშაულის სიმძიმის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას დაადგენდა, მას შეეძლო პიროვნება ორგანიზაციისა და კოლექტივისთვის გადაეცა.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონისგან განსხვავებით, საქართველოში საბჭოთა პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ძირითა-

[20] ზურაბ გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელები ლექციების კურსი, თბ. 2001, გვ 24

დი სასჯელის სახედ განიხილავდა. სასამართლო თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას მსჯავრდებულს მაშინ უნიშნავდა, თუ მიიჩნევდა, რომ ჩადენილი ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, პირისთვის გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების შენარჩუნება შეუძლებელი იყო. (მუხლი 29), თუკი სასამართლო მიიჩნევდა, რომ მსჯავრდებულის დატოვება დაკავებულ თანამდებობაზე შეუძლებელი იყო, ასეთ შემთხვევაში მას თანამდებობიდან დაითხოვდა (მუხლი 31). ბუნებრივია, იგი თანამდებობრივი დანაშაულების ჩადენისთვის გამოიყენებოდა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. მაგ: მუხლი 186 – ხელისუფლების ან სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. 187 – ხელისუფლების ან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება. ორივე დანაშაულისთვის გამოიყენებოდა თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნა. მაშასადამე, მსგავსი დანაშაულისთვის სხვადასხვა სახის დასჯის ალტერნატიული მექანიზმები იყო შეთავაზებული.

თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ზოგადად სპეციალური სუბიექტის მქონე დანაშაულის შემადგენლობებისათვის გამოიყენებოდა. მაგ: აბორტის უკანონოდ გაკეთება.

და ბოლოს, ვადიანი სამხედრო მომსახურეების მიერ მსუბუქი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა მოქმედებდა. იგი უალტერნალტივოდ სამი თვიდან ორ წლამდე ვადით ინიშნებოდა და მთლიანად სასამართლო შეხედულებაზე იყო დამოკიდებული.

რაც შეეხება დამატებით სასჯელებს, როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის სახეები, სამი სახის დამატებით სასჯელს ითვალისწინებდა. ესენი იყო: 1. ქონების კონფისკაცია. 2. სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა; 3. მშობლის უფლების ჩამორთმევა.

საქართველოში საბჭოთა სისხლის სამართლისთვის არ იყო ცნობილი არც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა და არც არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებული სასჯელების ცალკე ჩამონათვალი; თუმცა კოდექსი ითავლისწინებდა იმ ცალკეული კატეგორიის დანაშაულთა ჩამონათვალს, რისთვისაც შეიძლებოდა 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაკისრებოდა. სხვა შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა 16 წლის ასაკიდან იყო დაწესებული.

სამაგიეროდ, კოდექსში მოცემული იყო იმ აღმზრდელობით ღონისძიებათა ფართო ჩამონათვალი, რომელიც 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევაში შეეფარდებოდა, რაც ალბათ, ალტერნატიული ღონისძიების სახედ იყო მიჩნეული. საბჭოთა კოდექსით გათვალისწინებული იყო აღმზრდელობითი ხასიათის ისეთი იძულებითი ღონისძიებები, როგორიცაა დაზარალებულის წინაშე საჯაროდ ბოდიშის მოხდა; საყვედურის ან

სასტიკი საყვედურის გამოცხადება; გაფრთხილება; 64-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად იმ არასრულწლოვანის მამართ, რომელსაც შეუსრულდებოდა 15 წელი შესაძლებელი იყო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ მას დამოუკიდებელი ხელფასი ჰქონდა. ეს კოდექსი ასევე ითვალისწინებდა, არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემას მშრომელთა კოლექტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან საზოგადოებრივი აღმზედელისათვის ამ უკანასკნელის თანხმობით. ბავშვის ან მოზარდის სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსების წესი რეგულირდებოდა იმ დროს მოქმედი არასრულწლოვანთა კომისიის დებულებით. იგი ნამდვილად წარმოადგენდა სისხლის სამართლის სასჯელისაგან მკვეთრად განსხვავებულ ალტერნატიულ ღონისძიებათა ერთობლიობას.

ამდენად, საქართველოში საბჭოთა პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულმა სასჯელის სახეების ზოგადმა ანალიზმა ცხადყო, რომ იმ პერიოდის სისხლის სამართალი იცნობდა, როგორც კოდექსით გათვალისწინებულ ალტერნატიული სასჯელების სახეებს, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის ალტერნატიულ საშუალებებს. ამ სიტყვის ფართო გაგებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთ სახეებს წარმოადგენდა ჯარიმა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, შედარებით მსუბუქი ღონისძიების სახედ იყო მიჩნეული თავდებქვეშ გადაცემა, ამხანაგური სასამართლოსთვის გადაცემა და საჯაროდ ბოდიშის მოხდა.

დასკვნა ერთია, რომელ ეპოქასაც არა უნდა ეხებოდეს საუბარი, ალტერნატიული სასჯელები მისი არსიდან და მიზნებიდან გამომდინარეობს და მათსავით ფილოსოფიური ბუნებით გამორჩევა. ამ საკითხზე კი არაერთ ფილოსოფოსსა და მეცნიერს გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება.

ცნობილი იტალიელი განმანათლებლის ჩეზარე ბეკარიას აზრით: „სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ წინ აღუდგეს დამნაშავეს, რათა კვლავ არ დააზიანოს საზოგადოება და სხვები ანალოგიურის ჩადენისგან. ამრიგად, საჭიროა გამოვიყენოთ მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც დანაშაულთან შესაბამოსობით ყველზე ძლიერ და უმეტესად ხანგრძლივ შთაბეჭდილებას მოახდენდა ადამიანთა სულებზე და დამნაშავის სხეულისთვის ნაკლებ სატანჯველი იქნებოდა".[21]

ეს სიტყვები მთელი დატვირთვით გამოხატავს ალტერნატიული სასჯელების საჭიროებას ყველა ეპოქაში, ყველა სამართლებრივ სისტემაში.

[21] ჩეზარე ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, გამომცემლობა საქართველოს მაცნე", თბ. 2003, გვ 69

ალტერნატიული სასჯელები საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

სასჯელის (ალტერნატიული) სახეების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, მივადექით მთავარ განსახლველ საკითხს, რომელიც საინტერესოა დღევანდელობის გადმოსახედიდან.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის სახეები ამომწურავადაა ჩამოთვლილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში.

ისინი კანონით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სასჯელების ერთობლიობას წარმოადგენენ და სასჯელთა სისტემას ქმნიან. მოცემულ მუხლში სასჯელები სიმძიმის ზრდადობის მიხედვით არის დალაგებული. მათი იერარქია შემდეგია:

1) ჯარიმა; 2) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; 3) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 4) გამასწორებელი სამუშაო; 5) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; 6) თავისუფლების შეზღუდვა; 7) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა; 8) უვადო თავისუფლების აღკვეთა; 9) ქონების ჩამორთმევა.

მოცემული სასჯელის სახეებიდან ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად. რაც შეეხება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, ჯარიმას და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ისინი შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. დანარჩენი სასჯელთა სახეები კერძოდ, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ძირითადი სასჯელებია.

„სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს ძვირი უჯდება. ეს განსაკუთრებით საგრძნობია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდი ეკონომიკური სტაბილიზაციით არ გამოირჩევიან და ამის გამო დანაშაულიც იქ მძლავრად არის ფეხმოკიდებული. ზოგიერთი სასჯელის გამოყენება განსაკუთრებით ძვირი ჯდება და ზოგიერთისა უფრო იაფი. ძვირი ჯდება, მაგალითად თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე და საკმაოდ გავრცელებული სასჯელია. თავისუფლების აღკვეთა მოითხოვს ციხეებისა და სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებათა მშენებლობასა და სათანადო მოწყობილობით აღჭურვას. ციხეებს ესაჭიროებათ მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი, რომლის შენახვა ცოტა როდი უჯდება ქვეყანას.“[22]

ზემოაღნიშნული გარემოებები კარგად გამოხატავს და ახასიათებს თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის უკიდურეს ზომას. სწორედ აქედან

[22] ო. გამყრელიძე,თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, გამომც. მერიდიანი, თბ. 2013, გვ. 111

ჩნდება მისი ალტერნატივების არსებობისა და გამოყენების აუცილებლობა.

ალტერნატიული სასჯელის ყველა სახეს, რომელსაც მოცემულ კვლევაში განვიხილავთ, მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებაში შევაფასებთ და პირველ რიგში, ვიმსჯელებთ მათ ეფექტურობაზე. ბუნებრივია, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება თითოული ალტერნატიული სასჯელის გამოყენების თავისებურებაზე საუბარი.

ჩვენი კვლევის საგანს ალტერნატიული სასჯელები წარმოადგენს. შესაბამისად მთავარი ყურადღება, სწორედ მათ ეთმობა ე.ი. ალტერნატიული სასჯელების სწორედ შერჩევას, გამოყენებას და ეფექტურობას. ყველასათვის გასაგებია რომ ალტერნატიული სასჯელი ნიშნავს ორი განსხვავებული სასჯელისაგან, ერთერთი შესაძლებელი სასჯელის არჩევას. ე.ი ეს არჩევა ძალზედ ზუსტად, სამართლიანად და ჩადენილი ქმედების პროპორციულად უნდა მოხდეს. საერთო შეჯამებით, ალტერნატიული სასჯელები დანაშაულის პრევენციაში მთავარ როლს ასრულებენ.

„ალტერნატიული სასჯელები არ არის მხოლოდ მოსამართლეებისათვის სასჯელის დანიშვნის დისკრეციის გამოყენების შესაძლებლობის შეთავაზება. იგი გვთავაზობს პროგრამების, სტრატეგიების და ტაქტიკის რიგს, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეთა დასახმარებლად".[23]

„ხშირად ალტერნატიული სასჯელები შესაძლებლობას აძლევს ინდივიდებს შევიდნენ საზოგადოებაში წარმატებით, მაშინ როდესაც ციხის შესაძლოა ჰქონდეს საწინააღმდეგო ეფექტი".[24]

მოცემულ კვლევაში შევეხებით სასჯელის ისეთ ალტერნატიულ სახეებს, როგორიცაა: ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და გამასწორებელი სამუშაო.

მათ განვიხილავთ, როგორც საქართველოს, ასევე გაეროს მინიმალური სტანდარტების (ტოკიოს წესების) და უცხო ქვეყნების ძირითად ესპანეთის , სლოვაკეთის და ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მაგალითზე.

იმისთვის, რომ დაცული იქნეს ადამიანის უფლებები და ღირსება, ნებისმიერი შეზღუდვების და პირობების დაკისრებისათვის უნდა გავითვალისწინოთ საერთაშორისო სტანდარტები.

„გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები) ინსტრუმენტია, რომელიც ძლიერად უწყობს ხელს არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას".[25]

[23] Institute of Public Policy, Truman School of Public Affairs, University of Missouri-Columbia, Alternatives Sentencing & Strategies for Sccessful Prisoner Reenrty, 2006, gv. 11, http://www.mosac.mo.gov/file.jsp?id=45353_(მოპოვების თარიღი 29.04.2012)

[24] იქვე, გვ 11

[25] OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER FOR HUMAN RIGHTS IN COOPERATION WITH THE INTERNATIONAL BAR ASSOCIATION, PROFESSIONAL TRAINING SERIES No. 9, HUMAN RIGHTS IN THE ADMINISTRATION OF JUSTICE: A Manual on Human Rights for Judges,

„ტოკიოს წესები ალტერნატიული სასჯელების ფართო ჩამონათვალს აკეთებს ესენია:

1) სიტყვიერი სანქციები, როგორიცაა შენიშვნა, საყვედური და გაფრთხილება;

2) პირობითი გათავისუფლება; 3) სტატუსთან დაკავშირებული სასჯელები;

4) ეკონომიკური სანქციები და ფულადი სასჯელები, როგორიცაა ჯარიმები და დღიური ჯარიმები;

5) კონფისკაცია; 6) დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურება; 7) გადადებული სასჯელი; 8) პრობაცია და სასამართლო მეთვალყურეობა; 9) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ბრძანება; 10) დასწრების ცენტრის მიმართულება;

11) შინაპატიმრობა; 12) არაინსტიტუციონალური მკურნალობის ნებისმიერი სხვა მეთოდი; 13) ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ზოგიერთი კომბინაცია".[26]

„8.2 მუხლში ჩამოთვლილი არასაპატიმრო ღონისძიებები შეიცავს არასაპატიმრო ღონისძიებების ფართო სპექტრს, რათა მოერგოს სხვადასხვაგვარ გარემოებებს და მიაღწიოს სხვადასხვა მიზნებს".[27]

„ტოკიოს წესები ჩამოთვლის ალტერნატიული სანქციების დისპოზიციებს, მაგრამ არ აღწერს არც მათ არსს და არც შეიმუშავებს ადმინისტრაციულ სტრუქტურებს, რომლებიც საჭიროა, რათა ისინი განხორციელდნენ როგორც თავისუფლების აღკვეთის რეალური ალტერნატივები".[28]

ამასთან, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივები არ შეიძლება იყოს სასტიკი, არაჰუმანური ან შეურაცხმყოფელი.

მოცემული კვლევის ფარგლებში საძიებელი საკითხს განვაზოგადებთ გაეროს მინიმალური სტანდარტების (ტოკიოს წესების) მიხედვით. ეს წესები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თითოეულ ქვეყანაში ეკონომიკური სასჯელები არის ყველაზე ეფექტური ალტერნატივებს შორის. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა დამნაშავემ თავისუფლების აღკვეთის გარეშე – ციხის გარეთ მოიხადოს მასზე დაკისრებული სასჯელი. მნიშვნელოვანია, რომ ჯარიმის ეფექტური გამოყენება სასჯელის მთავარ მიზანს დანაშაულის თავიდან აცილებას ემსახ-

Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS New York and Geneva, 2003, გვ. 396, http://www.ohchr.org/Documents/Publications/training9chapter9en.pdf

[26] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 28, http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

[27] OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER FOR HUMAN RIGHTS IN COOPERATION WITH THE INTERNATIONAL BAR ASSOCIATION, PROFESSIONAL TRAINING SERIES No. 9, HUMAN RIGHTS IN THE ADMINISTRATION OF JUSTICE: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS New York and Geneva, 2003, გვ 386, http://ohchr.org/Documents/Publications/training9chapter9en.pdf citirebulia UN doc. ST/CSDHA/22, Commenraty on the united Nations Standard Minimum Rules for Non-custodial Measures (the Tokio Rules), p. 18

[28] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 28, http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

ურება. ეს ყოველივე კი სახელმწიფოს მხრიდან ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მოითხოვს.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის სახეს ჯარიმას, იგი ფართოდ გავრცელებული ალტერნატიული სასჯელია, ვინადან მისი გამოყენება არ არის დაკავშირებული მსჯავრდებულის საზოგადოების იზოლირებასთან. ალტერნატიული სასჯელების ისტორიულმა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ჯარიმა სხვადასხვა დატვირთვით, სხვადასხვა სახელწოდებით ოდითგანვე არსებობდა. ის ფულადი სახის სასჯელი იყო და ე. წ. კომპოზიციის პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენდა. ეს მისი მნიშვნელობიდანაც მომდინარეობს – მას ხომ საზღაური ეწოდებოდა.

ჯარიმა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სასჯელი, სახელმწიფოს მხრიდან პირის მიერ ჩადენილი ქმედების უარყოფით შეფასებას გამოხატავს და დამნაშავეს ქონებრივი გადასახადის სახით ეკისრება.

ჯარიმა, როგორც ეფექტური სასჯელის სახე მთლიანად ეხმიანება სასჯელის გარდაუვალობის პრინციპს, რამდენადაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე მსჯავრებულს უნდა დაეინიშნოს მისი ქმედების შესაბამისი, პროპორციული და სამართლიანი სასჯელი. გარდუვლობის პრინციპს პირველად 1789 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში ვხვდებით, მას ასევე ვხვდებით ევროპულ კონვენციაში და მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის R(92) 17 რეკომენდაცია ნაციონალურ კანონმდებლობებს მოუწოდებს სასჯელთა გამოტანისას გაითვალისწინონ საბაზისო პრინციპები. იმავდროულად უთითებს რომ მათი გადასინჯვა პერიოდულად უნდა მოხდეს, რათა თანამედროვე ჰუმანურ პოლიტიკას შეესატყვისებოდეს.

ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებით: „სამართლიანობის აღდგენა სასჯელის მიზანია და ნიშნავს, რომ ყველა ადამიანმა ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი ზომით და ხარისხით უნდა აგოს პასუხი."[29] ასეთ შემთხვევაში კანონმდებლისთვის კლასიკური სასჯელის განსაზღვრის ძვირფასი პირმშოა ჯარიმა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებელი მხოლოდ ჯარიმას ითვალისწინებს დანაშაულთა დიდი რიცხვისთვის, ზოგიერთი კი სასჯელის სახედ პატიმრობას და ჯარიმას. ზოგ სახელმწიფოში კი მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირე კანონმდებლებს საშუალებას არ აძლევს სასჯელის სახედ ჯარიმა შემოიღონ.[30]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ჯარიმის, როგორც ძირითადი სასჯელის სახით გამოყენება, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებისა, მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლით ან მისი ნაწილით არის შესაძლებელი.

დამატებითი სასჯელის სახით კი ჯარიმის გამოყენება მაშინაც შეიძლება, როცა იგი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით

---

[29] Коган В. М. Содержание наказания и его цели. Актуадьные проблеми уголовного права. М., 1988. С. 90-91

[30] ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი; 1999 წელი, გამომც. „სანი", გვ. 426

არ არის გათვალისწინებული.

ჩვენს ქვეყანაში ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრული არ არის, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარია. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით ითვალისწინებს, ასეთ შემთხვევაში ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. საქართველოში ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ლარებში. ამასთან ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. კანონის ეს მოთხოვნა გულისხმობს, რომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლომ მხედველობაში მიიღოს პირის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი შემოსავალი, ოჯახური მდგომარეობა და ბუნებრივია, პირველ რიგში თავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი.

ამასთან, ჯარიმის გადახდა სხვადასხვა სახით შეიძლება მოხდეს და სწორედ ისეთი ფორმა უნდა იქნეს შერჩეული, რომელიც დამნაშავის მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილი და ეფექტური იქნება.

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესების) მიხედვით არსებობს პოზიცია, რომლის თანახმადაც „ფიქსირებული ჯარიმების დაარსება თავიდან არიდებს რთულ კითხვებს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა ოდენობის ჯარიმა უნდა იყოს განსაზღვრული ცალკეულ საქმეზე. თუმცა ფიქსირებული ჯარიმები უფრო უხეშ დარტყმას აყენებენ ხელმოკლეებს, ვიდრე მდიდრებს. თანასწორობა მოითხოვს, რომ უნდა განხორციელდეს მცდელობა, რათა ჯარიმა დაკავშირებული იყოს დამნაშავის შემოსავალთან.

ხშირად სასამართლოს ამის მოხერხება შეუძლია დამნაშავის შემოსავლების გამოკვლევით და ამის შემდეგ ჯარიმის დარეგულირებით. ეს მეთოდი უზრუნველყოფს უხეშ ეკვივალენტობას განხვავებული ფინანსური საშუალების მქონე დამნაშავეებს შორის".[31]

ჯარიმის დანიშვნისას ყურადღება უნდა დაეთმოს რამდენად ემსახურება დანიშნული სასჯელის სახე მთავარ მიზანს- მომავალში მსგავსი დანაშაულის თავიდან აცილებას. ამ მიზნით სწორად უნდა შეირჩეს გადასახდელი თანხის ოდენობა და მისი გადახდის ფორმები. „დამნაშავის შესაძლებლობიდან გამომდინარე ჯარიმის გადახდის უფრო დახვეწილი გზა არის დღიური ჯარიმების სისტემა. დაჯარიმების ამ ფორმით დანაშაულის სერიოზულობა თავდაპირველად გამოიხატება „დღეების" რაოდენობით. ასეთ შემთხვევაში განისაზღვრება დამნაშავის ყოველდღიური საშუალო შემოსავალი ან ყოველდღიური საშუალო დანამატი, ნაშთი. რეალური ჯარიმა გამოითვლება დღეების რაოდენობის გამრავლებით ყოველდღიურ საშუალო შემოსავალზე ან ყოველდღიურ საშუალო

[31] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 29-30 http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

ნამატზე".[32]

ერთ-ერთი ქართველი ავტორის მოსაზრებით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯარიმის გადახდა შეიძლება მთლიანად და ნაწილ-ნაწილაც, რადგან დრო რომლის განმავლობაშიც მსჯავრებული იხდიდა ამ სასჯელს ჩაითვლება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში"[33] – ეს სიტყვები მიანიშნებს მისი გადახდის პერიოდსაც და გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში ჯარიმის შეცვლას სხვა სახის სასჯელით.

იმავე ავტორის განმარტებით, შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარებაც, როდესაც მსჯავრდებული ნაწილ-ნაწილ იხდიდა ჯარიმას და შემდეგ იგი დარჩენილი ჯარიმის გადახდას თავს არიდებს ან ვეღარ იხდის. ამ დროს სასამართლოს საშუალება აქვს ჯარიმა სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ ჩამოთვლილი რომელიმე სასჯელიდან ერთ-ერთით შეცვალოს და ასეთ შემთხვევაში გადახდილი ჯარიმის 50 ლარი ჩაითვლება შეცვლილი სასჯელის დროში შემდეგი გაანგარიშებით:

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი;

გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე;

თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია ჯარიმის მინიმალური ზღვარი, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ჯარიმის მაქსიმუმი.

სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის ზედა ზღვარის დადგენის აუცილებლობას ის თავისებურება განაპირობებს, რაც ახლავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილს. საკითხი ეხება ისეთ შემთხვევას, როცა მსჯავრდებული არასრულწლოვანია და სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას ავალებს მშობელს, მეურვეს ან მის მზრუნველს. აღნიშნული საკითხი არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. მართალია მასზე საკონსტიტუციო სასამართლომაც იმსჯელა, მაგრამ იგი განხილვის თემად მაინც რჩება.

მოზარდთან სათუთი მოპყრობა ჩვენი ქვეყნის ტრადიციისა და კულტურის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია როგორი მიდგომა არსებობს საქართველოში არასრულწლოვნის, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ მოცემულობაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ბოლო დროს

---

[32] იქვე, გვ. 30, citirebulia Hans Thornstedt, "The Day-Fine System in Sweden", 1975, Criminal Law Review, pp. 307-312; Gary M. Friedman "The West German Day-Fine System: A Poossibility for the United States" (1983), 50 Universary of Chicago Law Review, pp.281-304;

[33] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომც. „მერიდიანი", თბ. 2013, გვ. 44-45

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა და 2015 წლის 12 ივნისს ძალაში შევიდა, არასრულწლოვათა მიმართ ლიბერალური მიდგომით გამოირჩევა და ახალ სტანდარტებსა და ნორმებს აყალიბებს. ამ კოდექსით ხაზგასმულია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, ასევე მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომა და ყველზე მთავარი მიზანი-თავისუფლების აღკვეთა მიიჩნევა სასჯელის უკიდურეს ზომად. ბუნებრივია ეს ყოველივე ალტერნატიული სასჯელების უფრო ფართო სპექტრით გამოყენების საშუალებას იძლევა. ამას ის გარემოებაც ემატება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს, მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები ახორციელებენ. ე.ი პირები, რომლებიც სპეციალიზებულ გადამზადებას გაივლიან-მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, პოლიციელი, ადვოკატი. არასრულწლოვანთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სასჯელის სახეები: 1) ჯარიმა, 2) შინაპატიმრობა, 3) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, 4) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, 5) თავისუფლების შეზღუდვა, 6) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. როგორც ვხედავთ არასრულწლოვანის მიმართ განსაზღვრული სასჯელის სახეების ჩამონათვალში ჯარიმა პირველია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად მხოლოდ იმ შემთხევევაში შეიძლება დაინიშნოს, თუ მას კანონიერი საქმიანობიდან დამოუკიდებელი შემოსავლი აქვს . არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი. ასეთ შემთხევევაში მოსამართლე მხედველობაში იღებს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობას.

როგორც ვხედავთ, მოსამართლეს კანონი ანიჭებს უფლებას არასრულწლოვნის პიროვნების, აგრეთვე მისი შემამსუბუქებელი გარემობების გათვალისწინებით დანიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი.

მთავარ პირობას ასეთ შეთხვევაში წარმოადგენს, ის რომ არასრულწლოვნის მიმართ წარსულში არ უნდა იყოს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან არასრულწლოვნისთვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე უფლებამოსილია ამ სასჯლეთან ერთად მას დააკისროს ამავე კოდექისის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მოვალეობა, მაგალითად, ბინადრობის ადგილის შეცვლა, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან სხვა პროგრამის შესწავლა.

ცნობილია „რომ საქართველოში მომზადდებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც გათვალისწინებულია ცვლილებები სისხლის სამართალშიც და ბუნებრივია, ეს ცვლილებები ჯარიმასაც ეხება. უნდა აღინიშნოს,

რომ ამ კუთხით სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, განსაზღვრულია ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, ის დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად დაინიშნება.

მოცემულ კანონპროექტში ჯარიმის გადახდის წესთან დაკავშირებითაც მთელი რიგი სიახლეებია ასახული. კერძოდ, ჯარიმის დანიშვნა შესაძლებელი იქნება დღიური ანაზღაურების წესით, რასაც სასამართლო დაადგენს მსჯავრდებულის მატერალური მდგომარეობის გათვალისწინებით. მხედველობაში მიიღება მისი ქონება – ე.ი. მატერიალური ფასეულობა, რაც უკვე არსებობს ბრალდებულის საკუთრებაში, ასევე მსჯავრდებულის საშუალო დღიური შემოსავალი და სხვა გარემოებები. ჯარიმის დღიური ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრული იქნება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მიყენებული ზიანის და სასჯელის მოსალოდნელი შედეგის გათვალისწინებით. ცვლილებათა პაკეტის მომზადებისას მხედველობაში იქნა მიღებული გარკვეული მითითებები გაეროს მინიმალური სტანდარტებიდან (ტოკიოს წესებიდან).

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების შესაბამისად „დღიური ჯარიმის სისტემის ფუნდამენტური იდეა არის ის, რომ მოხდეს ჯარიმის რაოდენობის გამოანგარიშების განცალკევება ორ კომპონენტად: პირველი არეგულირებს რაოდენობას დანაშაულის სიმკაცრისთვის და მეორე- დამნაშავის ფინანსური მდგომარეობისათვის.

ამ მიდგომის ძირითადი მიზანი არის ის, რომ მისცეს ჯარიმას უფრო მეტი თანმიმდევრული ზემოქმედება მდიდარზე და ღარიბზე".[34] ე. ი. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე გათვალისწინებული იყოს პირის შესაძლებლობები, კერძოდ მოცემულ შემთხვევევში მისი გადახდისუნარიანობა.

„დღიური ჯარიმების სისტემა ახდენს იმის ილუსტრირებას, თუ როგორ ცდილობს დაჯარიმების ეს სისტემები სასჯელის დანიშვნისას შეუთავსოს ერთმანეთს პროპორციულობისა და სამართლიანობის პოტენციურად შეუთავსებელი პრინციპები.[35] გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები რეკომენდაციის სახით გვთავაზობს იმ გზებსა და მექანიზმებს, რომლის ამოქმედების შემთხვევაში ეფექტურად მოხდება სასჯელის დაკისრებაც და გადახდაც.

---

[34] Hillsman S. T., Fines and Day Fines, *Crime and Justice,* Vol. 12, 1990, გვ. 76 http://wwwjstor.org/stable/1147438?seq=28&Search=yes&searchText=day-fines&searchText=criminal&list=hide&searchUri=%2Faction%2FdoBasicResults%Fhp%3D25%26la%3D%26wc%3Don%26acc%3Don%26gw%3Djtx%26jcpsi%3D1%26artsi%3D1%26Query%3Dcriminal%2Bday-fines%26sbq%3Dcriminal%2Bday-fines%26si%3D1%26jtxi%3D1%26resultsServiceName%3DdoBasicResultsFromaRTICLE&PREVsEarch=&item=1&ttl=75&returnArticleService=showFullText

[35] Hillsman S. T., Fines and Day Fines, *Crime and Justice,* Vol. 12, 1990, გვ. 51, http://wwwjstor.org/stable/1147438?seq=28&Search=yes&searchText=day-fines&searchText=criminal&list=hide&searchUri=%2Faction%2FdoBasicResults%Fhp%3D25%26la%3D%26wc%3Don%26acc%3Don%26gw%3Djtx%26jcpsi%3D1%26artsi%3D1%26Query%3Dcriminal%2Bday-fines%26sbq%3Dcriminal%2Bday-fines%26si%3D1%26jtxi%3D1%26resultsServiceName%3DdoBasicResultsFromaRTICLE&PREVsEarch=&item=1&ttl=75&returnArticleService=showFullText

„მნიშვნელოვანია, რომ ისინი, ვინც ვერ გადაიხადეს დაკისრებული ჯარიმა, არ უნდა დადგნენ ავტომატურად თავისუფლების აღკვეთის წინაშე. ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ვალდებულების დამრღვევთა ურთიერთობის მოგვარების სხვა შესაძლო გზებს. მაგალითისთვის, მათ შეიძლება განახორციელონ საზოგადოებრივი შრომა ან სახელმწიფომ უზრუნველყოს ისინი სამუშაოთი, რათა გადაიხადონ ჯარიმა“.[36]

ტოკიოს წესები გვთავაზობს ჯარიმის განწილვადების სახით გადახდის მეთოდს. მას ჯარიმის განვადებით გადახდის სისტემა ეწოდება. მსგავსი სისტემით გადახდა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონპროექტით. იგი შესაძლებლობას აძლევს კონკრეტულ პირს ,თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეძლოს მასზე დაკისრებული ჯარიმის გადახდა. კერძოდ, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მსჯავდებულს მისი პირადი ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, არ შეუძლია ჯარიმის ერთიანად გადახდა, ის უფლებამოსილი იქნება მიიღოს გადაწყვეტილება ჯარიმის განანილვადების შესახებ. ამასთანავე, ჯარიმის ნაწილ-ნაწილ გადახდის უფლებას სასამართლო მიანიჭებს აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც სხვაგვარად ვერ შეძლებს დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. თუ მსჯავრდებული ზედიზედ სამჯერ დაარღვევს ჯარიმის გადახდისთვის დადგენილ წესს, სასამართლო უფლებამოსილი იქნება მას დააკისროს ჯარიმის გადაუხდელი ნაწილის ერთიანად გადახდის ვალდებულება.

„ჯარიმების შეგროვება შეიძლება იყოს ძნელი, თუ დამნაშავე არის უმუშევარი ან გააჩნია დაბალშემოსავლიანი სამსახური. იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ჯარიმების შეგროვების ტემპი, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: 1) დამნაშავეთა მიერ ჯარიმების განვადების სისტემით გადახდა; 2) გადახდისათვის საკრედიტო ბარათების დაშვება; 3) აღრიცხვის სისტემის კომპიუტერიზირება; 4) ტელემარკეტინგი (ტელეფონის გამოყენება და ადამიანებთან დაკონტაქტება და მათთვის გადასახადების თაობაზე შეხსენება)“.[37] ეს საინტერესო მეთოდები ვგონებ ყველა ქვეყნისთვის სახელმძღვანელო და მხედველობაში მისაღებია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ჯარიმის დამატებით სასჯელად დანიშვნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს მოსალოდნელი სასჯელის განსაზღვრის წესს. თუკი ისევ მონტესკიეს დავ-

[36] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 29,
http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

[37] Gardner T. J., Anderson T. M., CRIMINAL LAW, Eleventh Edition, 2010, გვ. 207,
http://books.google.ge/books?id=AcJte9is2QQC&pg=PA207&lpg=PA207&dq=nature+of+fine+in+criminal+law&source=bl&ots=uDTTt8BCjE&sig=0K59BCkmtKhu8M8mSVZYEtVPF-o&hl=ka&sa=X&ei=8J-mT9bNC4Xzsgb80NjtBA&ved=0CFIQ6AEwCA#v=onepage&q=nature%20of%20fine%20in%20criminaal%20law&f=false (მოპოვების თარიღი 06.05.2012)

ესესხებით, იგი ფულად სასჯელებზე მსჯელობისას მიუთითებდა, რომ „გერმანები მხოლოდ ფულად სასჯელებს უშვებდნენ, ხოლო იაპონელები პირიქით, სასჯელის ამ ფორმას იმ მოტივით უარყოფდნენ, რომ მდიდრები თავს დააღწევდნენ სასჯელს. განა ფულადი სასჯელი არ შეიძლება ქონების პროპორციული იყოს?“[38]

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია ჩვენი ქვეყნის სამართალწარმოებაში სრული დატვირთვით პოვებს ასახვას, რაც თავისთავად ალტერნატიული სასჯელების ეფექტურად გამოყენებაში გამოიხატება.

2014-2015 წლების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ალტერნატიულ სასჯელთაგან ჯარიმა, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სახით კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სხვადასხვა ზომით ინიშნება. სასამართლომ ყოველ შემთხვევაში მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, კერძოდ, მისი შემოსავლის, მასზე რიცხული ქონების, მის კმაყოფაზე მყოფი პირების გათვალისწინებით უნდა დაადგინოს ჯარიმის ოდენობა.

ბუნებრივია, ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურია. ამდენად, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას თითოეული დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე მხედველობაში უნდა მიიღოს პირის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დამნაშავის პიროვნება და მისი ინდივიდუალური მახასიათებლები. ამის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება შეფარდებული ჯარიმის ოდენობაც. პრაქტიკის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ დღეს ჯარიმა ფართოდ გამოყენებადი სასჯელის სახეა. ხშირ შემთხვევაში იგი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივაა და ჩვენი კვლევის მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს – მივუთითოთ და ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, რამდენად ეფექტურად გამოიყენება ჯარიმა, რამდენად ანაცვლებს იგი თავისუფლების აღკვეთას და საბოლოო ჯამში რამდენად ემსახურება სასჯელის მიზანს. ამისთვის ბუნებრივია, მოსამართლემ მთელი რიგი გარემოებები უნდა მიიღოს მხედველობაში. კერძოდ, ჯარიმის დანიშვნის საფუძველი, მისი გამოყენების მიზანშეწონილობა, შესაბამისი ოდენობა და ეს ყოველივე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სათანადოდ უნდა დაასაბუთოს.

2014 წლის 10 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, საჯარო სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, იმის მიერ ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავდა. აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ეს ყოველივე გამოიხატა შემდეგში:

2014 წლის 4 მარტს დაახლოებით 18:00 საათზე პირი მოძრაობდა თბილისში, რა დროსაც მოსახვევში მსვლელობის დროს ვერ უზრუნველყო ავტო-

[38] შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994, გვ. 121

მობილის უსაფრთხო მართვა და ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობების გარეშე მისი ავტომობილი მოცურდა, იგი გადავიდა საპირისპირო სავალ გზაზე, სადაც შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ მანქანას, რომლის მძღოლმაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო. აღნიშნულით პირმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. მან, როგორც წინა სასამართლო სხდომაზე, ისე საქმის არსებითი განხილვისას სრულად სცნო თავი დამნაშავედ. სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო აღნიშნული პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, ის რომ პირი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ხოლო დამამძიმებელი გარემოება არ გაჩნია. მისივე მითითებით, პირს ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა შეეფარდოს სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავის რესოციალიზაციას. ამდენად, მოსამართლემ პირს სასჯელის სახედ განუსაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 6 თვის ვადით ჩამოართვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია მისასალმებელია თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით სასჯელის უფრო ჰუმანური სახის შერჩევა, მაგრამ იმისთვის რომ ვიმსჯელოთ, თუ რამდენად ეფექტური სასჯელის სახეა შეფარდებული, საჭიროა უფრო მეტად იყოს დასაბუთებული ის გარემოებები, რომელზე დაყრდნობითაც შეირჩა ჯარიმის მოცემული ზომა.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალათი, როდესაც პირს ჩადენილი ქმედებისთვის ჯარიმა შეეფარდა . 2014 წლის 16 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ პირს შეუფარდა სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევაში პირის მიერ არ იქნა შესრულებული მის მიმართ გამოტანილი, ძალაში შესული გადაწყვეტილება. კერძოდ, 2013 წლის 17 აპრილის განაჩენით მას პასუხისმგებლობა დაეკისრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტებითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ამავე პირს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით. მასვე ჩამოერთვა 5 წლის ვადით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რაც მის მიერ დარღვეული იქნა. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და ნასამართლევი აღარ არის. მოცემულ შემთხვევაშიც კარგი იქნებოდა

უფრო მეტი მსჯელობა პირის გადახდისუნარიანობის, ოჯახური მდგომარეობის და მათი დანაშაულის სიმძიმესთან თანაფარდობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, სასამართლოში საქმის განხილვისას ჯარიმა, როგორც ძირითადი სასჯელის სახე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად იგი ნარკოტიკული დანაშაულის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის ინიშნება. ხაზს ვუსვავთ ამ მუხლისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა გარემოებებს. კერძოდ, გამოყენებული ნარკოტიკული ნივთიერების სხვადასხვა სახეს, ასევე მათ რაოდენობას. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ მხედველობაშია მისაღები ნარკოტიკული ნივთიერების სახე, რაოდენობა, დამნაშავის პიროვნება. სასჯელის დანიშვნისას კი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

ჯარიმის დანიშვნის შემთხვევაში ზემოთდასახელებულ გარემოებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ. იმავდროულად აუცილებელია მსჯავრდებულის მატერიალურ მდგომარეობაზე, მის ქონებასა და შემოსავალზე მსჯელობა, რაც თითოეულ გაწყვეტილებაში სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

2014 წლის 3 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის პირს სასჯელის ზომად დაენიშნა 3000 ლარის ოდენობით ჯარიმა და მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 60 (სამოცი) საათის ოდენობით. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლის საფუძველზე პირს სამი წლის ვადით ჩამოერთვა გარკვეული უფლებები. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ მსჯავრდებულის შემამსუბუქებელ გარემოებად მიუთითა პირის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები მას არ გააჩნია.

ახლო წარსულში ნარკოტიკული დანაშაულის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ფაქტებზე (273-ე მუხლი) ხშირად სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა გამოიყენებოდა. უდაოდ მისასალმებელი ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში სასამართლო მსგავსი კატეგორიის დანაშაულებზე ძირითადი სასჯელის სახედ ხშირად ჯარიმას იყენებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასჯელის დასაბუთებისას მითითებულია მხოლოდ პირის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება, ასევე ხაზგასმულია სასჯელის ზოგადი მიზნები. ვფიქრობთ უკეთესი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო ის საფუძველი რის გამოც სასჯელის სახედ შერჩეული იქნა ჯარიმა და გამოყენებული სასჯელის ოდენობაზეც სათანადო მსჯელობას ჰქონოდა ადგილი.

ჩვენს მიერ შესწავლილი 2014 წლის სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი რამოდენიმე მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჯარიმის გამოყენება აქტიურად ხდებოდა სხავადასხვა სახის დანაშაულებზე. მათ შორის ნარკოტიკული დანაშაულის ექიმის დანიშნულების გარეშე გამოყენების ფაქტებზე. ასეთი სახის დანაშაულს

2015 წლის სასამართლო პრაქტიკაშიც აქტიურად ვხვდებით

2015 წლის 14 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე ადრე ნასამართლევი პირის მიმართ, რომელმაც ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინოლი მოიხმარა. წარდგენილ ბრალდებაში პირმა სრულად სცნო დამნაშავედ, რაც მხარეთა მიერ სადავო არ გამხდარა.

აღნიშნული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადასტურებული იქნა შესაბამისი მტკიცებულებებით. სასჯელზე მსჯელობისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი. ის გარემოება, რომ მის მიერ ჩადენილი გახლდათ ნაკლებად მძიმე კატეგორიის, არაძალადობრივი, არაქონებრივი ხასიათის დანაშაული და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად მას შეეფარდა 4000 ლარის ოდენობით ჯარიმა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 (ას ორმოცდაათი) საათის ვადით. ამავე პირს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე სამი წლის ვადით ჩამოერთვა შესაბამისი უფლებები. ჩვენი შეხედულებით, ამ შემთხვევაშიც კარგი იქნებოდა სასამართლოს უფრო დეტალურად ემსჯელა პირის ქონებრივ მდგომარეობაზე, მის შემოსავალზე, ასევე ოჯახურ მდგომარეობაზე, (კერძოდ, ჰყავდა თუ არა კმაყოფაზე ოჯახის წევრები), ანუ იმ გარემოებებზე რაც მან მხედველობაში მიიღო ჯარიმის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისას.

შევეხებით დანაშაულის კიდევ ერთ კატეგორიას, რომელზეც ბოლო დროს სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენება ხდება. ეს გახლავთ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლზე დაყრდნობით ჯარიმის გამოყენებისას სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობა – მისი ქონება, შემოსავალი და სხვა გარემოებები. ეს მონაცემები სხვა დანაშაულების მსგავსად, კარგად უნდა იყოს გამოკვლეული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის დროს. ვინაიდან ასეთი დანაშაულის ჩადენისას მნიშვნელობა ენიჭება მიყენებული ზარალის ოდენობას, ჩადენილი ქმედების განხორციელების ხერხს, დამნაშავის სურვილს აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

ბუნებრივია, ჩამოთვლილი გარემოებების შესაბამისი უნდა იყოს სასამართლოს მიერ დანიშნული ჯარიმის ოდენობა. რაღა თქმა უნდა მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. 2014 წლის 20 ნოემბერს პირი მაღაზიაში 15 ლარის ღირებულების საკვებ პროდუქტს დაეუფლა. მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. სასამართლო გარდა ბრალდებულის

აღიარებითი ჩვენებისა დაეყრდნო სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლებიც კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენას ადასტურებდნენ. სასჯელზე მსჯელობისას კი მოსამართლემ მიუთითა ის გარემოებანი, რაც მან სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო. კერძოდ, მსჯავრდებულის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა (ხოლო კონკრეტულად რა მდგომარეობა – ეს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული). აქედან გამომდინარე სასჯელის სახედ მოსამართლემ შეარჩია ჯარიმა (500 ლარის ოდენობით). ასეთ შემთხვევაში აუცილებელია პირის ეკონომიკური შესაძლებლობები და გადახდისუნარიანობა კონკრეტულად იყოს მითითებული გადაწყვეტილებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ალტერნატიულ სასჯელს ვერ ექნება მოსალოდნელი ეფექტი, ვერც სასჯელის მიზნებიდან და ვერც სხვა დატვირთვიდან გამომდინარე. (თუნდაც სისხლის სამართლის დაცვითი ფუნქციიდან და ხასიათიდან გამომდინარე)

„სისხლის სამართლის დაცვითი ფუნქცია თითოეული სისხლის სამართლის ნორმის მოქმედებისას ხორციელდება" აღნიშნავდა ერთ-ერთი ავტორი სისხლის სამართლის აღდგენით და გამაფრთხილებელ ხასიათზე მსჯელობისას.[39]

ამდენად, ჯარიმის, როგორც ალტერნატიული სასჯელის, თეორიული და პრაქტიკული განზოგადების შედეგად მივდივართ ერთ საერთო შეფასებამდე, იგი თავისუფლების აღკვეთის რეალური და ეფექტური ალტერნატივაა. ის ჩვენს ქვეყანაში გმოიყენება, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით. გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესების) და ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, საჭიროა შევჯერდეთ მისი გადახდის ფორმაზე. მაგალითად ფიქსირებულ (განსაზღვრული ოდენობა) თუ შერჩეულ ოდენობაზე (მაქსიმუმი და მინიმუმი). ასევე მისი გადახდის სახეზე, რაც ხშირ შემთხვევაში განისაზღვრება ფულადი ოდენობით ან დღიურ შემოსავალით (გათვლილი დღეები)

თუმცა ფაქტი ერთია, რომ მისი გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა გარემოებები. ეს ყოველივე აუცილებლად უნდა იქნეს დასაბუთებული სასამართლო გადაწყეტილებებში.

საქართველოსაგან განსხვავებით ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ფულადი სასჯელების ორი განსხვავებული სისტემა: დღიური-ჯარიმის სისტემა ან ტრადიციული ფიქსირებული თანხის სისტემა. ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე სხვაგვარია ესპანეთსა და სლოვაკეთში.

ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი ზოგადად არ განსაზღვრავს ალ-

[39] В. Д. Филимонов, ОХРАНИТЕЛЬНАЯ ФУНКЦИЯ УГОЛОВНОГО ПРАВА, Санкт-Петербург 2003 стр. 72

ტერნატიულ სასჯელებს, მაგრამ წიგნის ერთ-ერთი კარი არეგულირებს „თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მაგიერ (სანაცვლო) ფორმებს“,[40] 88-ე მუხლი ითვალისწინებს, იმ გარემოებას როდესაც სასამართლოს შეუძლია 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს ჯარიმით ან საზოგადოებისათვი სასრგებლო შრომით.

ესპანეთში ჯარიმის დღიური სისტემა გამოიყენება, თუ ეს კანონითაა დადგენილი. დღიური ჯარიმის სისტემის მნიშვნელობა ის არის, რომ თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე შეესაბამება ჯარიმის განსაზღვრულ თანხას. დღიური ჯარიმა მერყეობს 10 დღიდან 2 წლამდე. ჯარიმის ერთი დღიური ოდენობა შეესაბამება მინიმუმ 2 ევროდან 400 ევრომდე ოდენობას.

ესპანეთში ჯარიმის გადაუხდელობამ შეიძლება დამატებითი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა გამოიწვიოს და მოხდეს ჯარიმის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით. სასამართლოს დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად შეუძლია ყოველდღიური ჯარიმა თავისუფლების აღკვეთის ერთ დღედ შეცვალოს. სასამართლოს ასევე შეუძლია ჯარიმის სახე შინა პატიმრობად (სახლიდან გაუსვლელობა) შეცვალოს.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზომებს ჯარიმის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შესაცვლელად, რასაც მსჯავრდებულის წინასწარი თანხმობა სჭირდება. ყოველდღიური ჯარიმის ერთი დღე შეესაბამება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ერთ დღეს. ეს არ ეხება იმ შემთხვევებს, როცა თავისუფლების აღკვეთის სანქცია აღემატება ხუთ წელს. თუ მსჯავრდებული აკმაყოფილებს დამატებითი სამოქალაქო პასუხისმგებლობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს, ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება აუქმებს ჯარიმის გადახდის აუცილებლობას, მაშინაც კი, თუ მსჯავრდებულის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე სლოვაკეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

რაც შეეხება სლოვაკეთის რესპუბლიკას, იგი იყენებს ჯარიმის ფიქსირებული თანხის სისტემას. სლოვაკეთში სისხლის სამართლის კანონპროექტი შეიცავდა დღიური – ჯარიმის სასჯელის ჩარჩო – რეგულაციას, მაგრამ სამწუხაროდ პარლამენტის მიერ არ იქნა მიღებული. სლოვაკეთის სისხლის სამართლის კანონის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ფულადი სასჯელი ორ განსხვავებულ სიტუაციაში დააკისროს:

1. თუკი განზრახი დანაშაულის ჩადენისას პირი იღებდა ან ცდილობდა მიეღო რაიმე მატერიალური სარგებელი, სასამართლოს შეუძლია დააკისროს ფულადი სასჯელი;

2. ზემოაღნიშნული პირობების გარდა, სასამართლოს შეუძლია დამნაშავეს

[40] L. Tobiasova, Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, გვ. 276

ფულადი სასჯელი დააკისროს ჩადენილი დანაშაულის ბუნების და დამნაშავის რეაბილიტაციის გათვალისწინებით. ზოგჯერ, ეს შესაძლებელია მსჯავრდებულის პირადი და ფინანსური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით. სლოვაკეთში სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ჯარიმის გადახდა ყოველთვიურად უნდა მოხდეს. თუ აშკარაა, რომ მსჯავრდებული არ გადაიხდის ფულად სასჯელს, ეს სასჯელი მსჯავრდებულს არ დაეკისრება.[41]

ჯარიმა ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად – საერთო მოსაზრებით ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად ჯარიმა წარმოადგენს ბრალდებულის მიერ სახელმწიფოსთვის გარკვეული თანხის გადახდის საშუალებას, განსაზღვრული უპირატესობის მიღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში პირი ციხეში არ თავსდება და თავისი დატვირთვით ჯარიმა თავისუფლების აღკვეთის ტოლფასი ხდება. ზოგადი გამოცდილებით არსებობს ჯარიმის ფიქსირების სამი საშუალება:

1. ჯარიმა ჩვეულებრივი ფორმით, ეს ყველაზე ძველი სისტემაა და დამახასიათებელია ესპანურ-ლათინურ-ამერიკული სამყაროსთვის. 2. ზოგჯერ კანონმდებელი მიუთითებს ჯარიმის ოდენობის მინიმუმს და მაქსიმუმს. ეს მიღებულია მრავალ ქვეყანაში, იმავდროულად ევროპის ფარგლებს გარეთაც. 3. უფრო თანამედროვე, მაგრამ ნაკლებად გამოყენებული მეთოდის თანახმად, კანონმდებელი მხოლოდ ჯარიმის მაქსიმუმს მიუთითებს დანაშაულთა კლასიფიკაციის მიხედვით.

მაგალითისთვის გამოდგება საფრანგეთი და ნიდერლანდები, რაც ორი სამართლის სივრცის შედარების საშუალებას იძლევა.

სასამართლო პრაქტიკის დაკვირვების თანახმად საფრანგეთსა და ლუქსემბურგში დანაშაულთა დიდი რიცხვისთვის კანონმდებელი მხოლოდ ჯარიმას ითვალისწინებს. ბრაზილიის 1984 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, 213 დანაშაულიდან 62 პატიმრობით ისჯება, მათ შორის 98 დანაშაული – პატიმრობით და ჯარიმით. ხოლო 53 დანაშაული – პატიმრობით ან ჯარიმით, მოსამართლის სურვილისამებრ.[42]

უცხო ქვეყნების გამოცდილებით ცნობილია ე.წ. საჯარიმო დღე. ასეთ შემთხვევაში ბრალდებულზე დაკისრებული ჯარიმის ოდენობა დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე გამოითვლება.

საჯარიმო დღე 1921 წელს პირველად ფინეთმა შემოიღო. მისი მაგალითი გაიზიარა შვეციამ 1931 წელს და დანიამ 1939 წელს, მაგრამ ნორვეგია იგივე გზას არ გაჰყვა. მათ რიცხვს შეუერთდა ინგლისი 1991 წელს. მსოფლიო გამოცდილებით ცნობილია ე.წ. პროპორციული ჯარიმის სახე, რომლის თანახმად ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება მიყენებული ზიანით. მაგალითად: დომინიკეს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის მიხედვით, ხმის

[41] L. Tobiasova, Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, გვ. 27

[42] ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, გამომც. „სანი", თბ. 1999, გვ. 426

მოსყიდვის შემთხვევაში დამნაშავე დაჯარიმდება შეთავაზებული თანხის ათმაგი ოდენობით. მექსიკის ფედერალური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი ავტომანქანის მოძრაობის დროს მიყენებული უნებური ზიანის შემთხვევაში დამნაშავეს ავალდებულებს მიყენებული ზიანის კომპენსირებასთან ერთად გადაიხადოს ზარალის შესატყვისი ჯარიმა. საპირისპიროდ, ჩრდილოეთ ევროპაში პროპორციული ჯარიმა თითქმის მთლიანად მოისპო.[43]

ამდენად, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, იმავდროულად ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ალტერნატიული სასჯელის ისეთი სახე როგორიც გახლავთ- ჯარიმა -ეფექტური და მიზანშეწონილი დასჯის საშუალებაა. მას შეუძლია შეცვალოს ისეთი მკაცრი სასჯელის სახე, როგორიც თავისუფლების აღკვეთაა. საბოლოო შეფასებით მისი სამართლიანი და სწორი გამოყენება ემსახურება სასჯელის ისეთ მთავარ მიზანს, როგორიცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის გამოსწორება.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

ალტერნატიული სასჯელებიდან ჯარიმის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან სახეს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს. იგი გულისხმობს ანაზღაურების გარეშე, ბიუჯეტისა და საზოგადოების სასარგებლოდ სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას იმ პირის მიერ, რომელსაც ეს სასჯელი შეეფარდა. მის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბერს მიღებული „ევროპული წესები საზოგადოების სანქციებისა და ზომების შესახებ“ – მიიჩნევს რომ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ეს არის გამასწორებელი, პოზიტიური და ე.წ. თერაპიული სანქცია. მისი აქტიურად გამოყენების მიზეზია ის, რომ ყველა ქვეყანაში რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი იყოს და არ მოხდეს მათი საზოგადოებისაგან გარიყვა. ამასთან მსჯავრდებულის შრომა წარმოადგენს დიდ შრომით რესურს, როგორც სახელმწიფო, ისე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის. მისასალმებელია ჩვენი სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გულისხმობს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, ოღონდ, მას უნდა ჰქონდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო ხასიათი. „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების 4 საფუძველი შეიძლება გამოიყოს:

1. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა გამამტყუნებელი გა-

[43] იქვე გვ .427

ნაჩენით;

2. სასამართლოს მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით. (სსკ-ის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი);

3. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევა. (სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი);

4. თუ საპროცესო შეთანხმებით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გათვალისწინებულია სასჯელის სახედ. (სსსკ-ის 211-ე მუხლის მე-4 ნაწილი).[44]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ახლებურ მიდგომებს აყალიბებს და ბავშვის საუკეთესო ინტერესს იცავს. ამდენად, სასურველია არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

ამდენად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით შეიძლება არასრულწლოვანსაც დაენიშნოს. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად მას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. არასრულწლოვანს სასჯელის ეს სახე ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც განისაზღვროს. ეს რაც უშუალოდ არასრულწლოვანს ეხებოდა.

„სასამართლო ვერ დანიშნავს პრობაციას, თუ სათანადო მომსახურების ინფრასტრუქტურა არ არსებობს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის ზარალის ანაზღაურების ფორმა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, ვიდრე დაზარალებულისათვის და სამუშაოს ფორმით გამოიმუშავებს სასარგებლო შედეგს".[45]

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების თანახმად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მოითხოვს, რომ დამნაშავემ შეასრულოს უსასყიდლო

---

[44] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომც."მერიდიანი", თბ.2013, გვ. 48

[45] იხ. United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 38, http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

შრომა ან სპეციალური სამუშაო. ასეთი ბრძანების გამოყენებამდე სასამართლოს სჭირდება სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესეთი შრომა ხელმისაწვდომია სათანადო ზედამხედველობის ქვეშ. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მოითხოვს დაწვრილებით მეთვალყურეობას.[46]

სასარგებლო შრომის მოხდის ზოგად წესსა და პირობებს საქართველოში, იგი რეგულირდება კანონით არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.

კერძოდ, მას შემდეგ რაც პირს სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დაენიშნება, პრობაციის ბიუროს მიერ განისაზღვრება მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი, აგრეთვე საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება გამოიხატოს სკვერების დალაგებაში, მცენარეთა დარგვაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში და ა.შ. არ შეიძლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დაკავშირებული იყოს ფიზიკურ ტკივილთან ან პიროვნების ღირსების შელახვასთან. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლებელია განხორციელდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. სამუშაო პერიოდი მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული სასჯელდადებულის ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმზე. ამასთან, კანონმდებლობა ადგენს, რომ მსჯავრდებულის სურვილის გათვალისწინებით შესაძლებელია სამუშაო განხორციელდეს დასვენების დღეებშიც.[47]

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესრულებისას სახელმწიფო ვალდებულია მსჯავრდებული უზრუნველყოს კვებით, ან კვებისთვის გამოიყოს შესაბამისი სახსრები.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადა გამოითვლება საათებით, რომელთა განმავლობაშიც მსჯავრდებული ასრულებს სავალდებულო შრომას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ყოველდღიურად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. იგი ინიშნება ორმოციდან რვა საათამდე ვადით, ამავე მუხლის მესამე ნაწილით თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული

[46] იხ. United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 35,
http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

[47] კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ

იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის 5 საათი – თავისუფლების შეზღუდვის 1 დღე; და ასევე თავისუფლების აღკვეთის 1 დღე.

„ტოკიოს წესებში არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობა ნათლად არის ხაზგასმული. საზოგადოების წევრებს შეუძლიათ უზრუნველყონ მუშაობის შესაძლებლობები დამნაშავეებისათვის, თუმცა მათ არ უნდა განახორციელონ იძულებითი ან დისციპლინური ფუნქციები. მაგალითად, მათ არ უნდა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, დამნაშავემ შეასრულა თუ არა ის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რაც მას ჰქონდა დაკისრებული".[48]

„ტაილანდის პრობაციის სამსახურმა სასამართლოებთან მჭიდრო თანამშრომლობით მთვრალი მძღოლების წინააღმდეგ წარმატებული კამპანია განახორციელა. აღნიშნული ინიციატივით, პირებს, რომლებსაც, როგორც წესი, თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებოდათ, ამის ნაცვლად დაენიშნათ პრობაცია იმ მოთხოვნით, რომ ისინი შეასრულებდნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. ხელისუფლებამ შეარჩია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ისეთი სახე, რომელიც შექმნილი იყო იმისთვის, რომ მოეხდინა მთვრალ მძღოლებზე გარკვეული მგრძნობელობითი ეფექტი.რაც მდგომარეობდა ავტოსაგზაო შემთხვევების დაზარალებულებისათვის დახმარებაში, საავადმყოფოებში მუშაობასა და ავტოსაგზაო შემთხვევების საგანგებო სამაშველო ერთეულებში მოხალისედ წასვლაში".[49] ე.ი. ტოკიოს წესების თანახმად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შემთხვევაში ამ პროცესების გამჭირვალობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია საზოგადოების წევრების ჩართვა, რათა დამნაშავის მხრიდან მეტად იყოს უზრუნველყოფილი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობები.

ჩვენს მიერ უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში მომზადებულია სისხლის სამართლის კანონპროექტი, სადაც გარკეული ცვლილებები ეხება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასაც, კერძოდ შეცვლილია მისი მოხდის დრო და განსაზღვრულია ორმოციდან ოთხას საათამდე ვადით. ასევე დადგენილია ის ვადა, რომლის ზემოთაც არ შეიძლება დაინიშნოს ეს სასჯელი. კერძოდ, კანონპროექტის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით ან იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც, მაგრამ არაუმეტეს რვაასი საათისა.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კანონპროექტის 44-ე

[48] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 35-36 http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

[49] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 36,
http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

მუხლის 2^2 მუხლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უნდა დაინიშნოს იმ ზომით და პერიოდულობით, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. თუმცა, ამგვარმა შეზღუდვამ შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევაში ცუდად იმოქმედოს მსჯავრდებულის მდგომარეობაზე, მაგ: ქალბატონს რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის ბავშვები შეიძლება შეუმცირდეს ამგვარი ალტერნატიული სასჯელის გამოყენების ფართო არიალი. ალტერნატიული სასჯელების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

ეს ყოველივე ალბათ გათვალისწინებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედგენისას.

უფრო თვალსაჩინო რომ გაგვეხადა საქართველოში ალტერნატიული სასჯელის გამოყენების რეალური სურათი, წარმოგიდგენთ 2014 წლისა და 2015 წლის 9 თვის სტატისტიკურ მონაცემებს ჯარიმისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების შესახებ. კერძოდ, 2014 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა 16335 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა 5143 საქმეზე, ხოლო ჯარიმა 2493 სისხლის სამართლის საქმეზე და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 484 სისხლის სამართლის საქმეზე.

თუკი აღნიშნულ მონაცემებს გასული წლების, კერძოდ, 2008-2013 წლების სტატისტიკას შევადარებთ, სურათი ნათელია. ყოველ წელს თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის სახის გამოყენება თანდათან კლებულობს. რაც შეეხება ჯარიმა, მისი გამოყენება საზოგადოებისთვის სასრგებლო შრომასთან შედარებით უფრო ბევრ საქმეზე ხდება.

აღსანიშნავია უშუალოდ საზოგადობისთვის სასარგებლო შრომის აქტიური გამოყენება 2011 წლიდან დაიწყო და თანდათან უფრო გააქტიურდა მაგალითად, თუკი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 2011 წელს 71 სისხლის სამართლის საქმეზე იქნა გამოყენებული, 2014 წელს იგი 484 სისხლის სამართლის საქმეზე დაინიშნა სასჯელის სახედ. ხოლო 2015 წლის 9 თვის განმავლობაში – 292 სისხლის სამართლის საქმეზე. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ალტერნატიული სასჯელების გამოყენება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში აქტიურად ხდება. სისხლის სამართლის კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები, ვიმედოვნებთ კიდევ უფრო დახვეწს მათი გამოყენების მექანიზმებს.

2014-2015 წლების საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც ალტერნატიული სასჯელის სახე უფრო ფართოდ და ხშირად გამოიყენება ჩვენი ქვეყნის სა-

სამართლო საქმიანობაში.

ამ თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებანი შეიმჩნევა. კერძოდ, რა კატეგორიის დანაშაულებზე ხდება მისი გამოყენება; რა ოდენობით ენიშნება(იგულისხმება დანიშნული საათების რაოდენობა) იგი კონკრეტულ მსჯავრდებულს და რა ფაქტორებს იღებს მხედველობაში სასამართლო ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე სასჯელის დანიშვნისას. ჩვენი დაკვირვებით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა ხდება, როგორც ძირითადი ისე, დამატებითი სასჯელის სახით სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებზე. ხშირად იგი გამოიყენება ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების დროს. ჩვენი მოსაზრებით, დანაშაულის სიმძიმისა და სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის სახე კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ჯარიმასთან შედარებით შესაძლოა უფრო ეფექტური აღმოჩნდეს. მაგალითად, როცა პირს არ შეუძლია ჯარიმის გადახდა ოჯახური მდგომარეობის გამო, ასევე შემოსავლის უქონლობისას და ა.შ.

მაგალითად: 2014 წლის 22 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით პირს სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათით განესაზღვრა, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის როგორიც არის ნარკოტიკული საშუალების ტეტრაჰიდროკანაბინოლი (მარიხუანა) მოხმარება. მას 2012 წელს ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელი ჰქონდა შეფარდებული. სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლემ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პირი აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს, მის მიერ ჩადენილი იყო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნული პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლებელი გახლდათ მისთვის ჯარიმის დაკისრება, რამდენადაც მისი ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. მოსამართლემ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამო მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ამ პირის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენება. ნარკოტიკული საშაულების მომხმარებელს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ჩამოერთვა მთელი რიგი უფლებები.

აღნიშნული კატეგორიის დანაშაულზე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახედ გამოყენება ხშირია 2015 წლის სასამართლო პრაქტიკაშიც. კერძოდ, 2015 წლის 30 იანვარს იგივე ნარკოტიკული საშუალების მარიხუანას ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ფაქტზე პირს შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათის ვადით. სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს ოჯახი, 9 თვის შვილი და დამამძიმებელი გარემოებები მას არ

გააჩნია. 2014-2015 წლებში საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ალტერნატიული სასჯელის სახედ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გამოიყენებოდა ისეთი კატეგორიის დანაშაულისათვის, როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა. 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით პირს შეეფარდა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და შესაბამისად ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 5 წლის ვადით. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ გაითვალისწინა პირის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. კერძოდ ის რომ მას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნდა. რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ პირი პრეზიდენტის დადგენილებით 2013 წლის 2 ოქტომბერს შეწყალებული იქნა. ამასთან მსჯავრდებულს ჰყავდა მეუღლე, 4 შვილი, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ და ის რომ პირი ოჯახის ერთადერთი მარჩენელი იყო. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ მას 273-ე მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული სასჯელებიდან მას შეეფარდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას.

როგორც ვხედავთ, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელის შედარებით მსუბუქი სახისა და ზომის შერჩევა ხშირად ხდება. სასჯელის ასეთ ეფექტურ სახეს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს. მაგალითად, ხშირია სასჯელის ამ სახის გამოყენება სსკ-ის 126[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. სამწუხაროდ, კანონმდებლობა ალტერანტიული სასჯელის ფართო არჩევანს არ იძლევა, ანუ ამგვარი სასჯელის გამოყენება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის არც თუ ისე ბევრი მუხლით არის გათვალისწინებული.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ყოველ კონკრეტულ საქმეზე ალტერნატიული სასჯელის სახის და ზომის დასაბუთება სასამართლოს მხრიდან. ბუნებრივია, აქ ერთი წესით შეუძლებელია განისაზღვროს საკითხი, მაგრამ მთავარია, რომ ყველა შემთხვევაში მოსამართლემ სასჯელი უნდა განსაზღვროს ინდივიდუალურად, ჩადენილი ქმედების და დამნაშავის პიროვნების შესაბამისად. ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს, კონკრეტული დამნაშავის პიროვნული მახასიათებლები. პირის ოჯახური მდგომარეობა, მისი ცხოვრება დანაშაულის ჩადენამდე, სოციალური გარემო, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, დამდგარი შედეგი და მიყენებული ზიანის ოდენობა. სასამართლოს მხრიდან ასევე გასათვალისწინებელი გარემოებაა დამნაშავის ყოფა-ქცევა ქმედების შემდეგ, მისი სურვილი აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს. ქმედების შემდგომმა სამაგალითო ყოფა-ქცევამ შესაძლოა სრულად გადაფაროს დამნაშავის წარსული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უარყოფითი ნიშნები.

სასჯლის დანიშვნის საკითხზე მსჯელობისას, გვსურს შევეხოთ ერთ მნიშ-

ვნელოვან გარემოებასაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი – სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები, მთელ რიგ გარემოებებს ჩამოთვლის, რაც მოსამართლის მხრიდან შესაძლებელია ამა თუ იმ სასჯელის სახის დანიშვნის საფუძველი გახდეს. ამ ჩამონათვალში დამნაშავის პიროვნება მითითებული არ არის. ის, რომ დამნაშავის წარსული ცხოვრება ამ მუხლში მითითებულია, კანონმდებლის ჩანაფიქრს გამოხატავს და ალბათ ნიშნავს, რომ დამნაშავის წარსული ცხოვრება დამნაშავის პიროვნებასაც მოიცავს.

ჩვენი მოსაზრებით, დამნაშავის პიროვნება, თავისი მახასიათებლებით ყველაზე მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნისას. იგულისხმება, არამარტო მისი დადებითი ან უარყოფითი მახასიათებლები, განათლება, მისწრაფებები, მისი აქტივობები, არამედ პიროვნული ღირებულებები.

აქვე დავძენთ, დამნაშავის მხრიდან დანაშაულის აღიარებისა და მონანიების შემთხვევაში, მოსამართლე ბოლომდე უნდა იყოს დარწმუნებული პირის გულწრფელობაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირის აღიარება სასურველია გამოძიების ეტაპზე, რაც ხელს უწყობს დანაშაულის გახსნასა და დამნაშავე პირების გამოვლენას. (თუკი ასეთი პირები მონაწილეობდნენ). თუმცა აღიარება და მონანიება სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია დამნაშავეს.

ზემოთგანხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ პირის მხრიდან ქმედების აღიარება და მონანიება გახდა იმის საფუძველი, რომ მოსამართლემ კონკრეტულ შემთხვევაში ალტერნატიული სასჯელი გამოიყენა. (ზოგ შემთვევაში ჯარიმა, ზოგ შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა).

ყველანი ვთანხმდებით იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ ეს მონაცემები არ არის საკმარისი მსჯელობისთვის, რომ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე სასჯელის ეს სახეები სამართლიანად და პროპორციულად შეირჩა. ამ ყოველივეს სასამართლოს თითოეულ გადაწყვეტილებაში სათანადო დასაბუთება სჭირდება.

ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისას, მისი სწორად შერჩევის დასაბუთება მრავალმხრივი დატვირთვის მქონეა. ერთი რომ, თავად დამნაშავეს უჩნდება სამართლიანობის განცდა და გრძნობს, რომ ეს სასჯელი ნამდვილად გამომდინარეობს მისი პიროვნული მახასიათებლებიდან და ჩადენილი ქმედების ხასიათიდან. მეორე – მისი პრევენციული ხასიათი. ე.ი საზოგადოების სხვა წევრებსაც უნდა გაუჩნდეს სამართლიანობის შეგრძნება.

ის, რომ თითოეული გადაწყვეტილება სასჯელის ნაწილში საკმარისად უნდა იყოს დასაბუთებული საქმეში არსებული მასალებიდანაც უნდა გამომდინარეობდეს. ამ კუთხით, მხარეების მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო პროცესი მხარეთა შორის შეჯიბრობითობის პრინციპს ეყრდნობა. მოსამართლეს არ აქვს უფლება თავად გამოიკვლიოს კონკრეტული გარემოებანი. (მაგ: ყველა ის გარემოება, რაც მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში). ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ მხარეთა აქტიურობა არის პირდაპირ კავ-

შირში საკითხის საფუძვლიანად დასაბუთებისათვის. არის შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე არ თვლის საჭიროდ წარმოადგინოს სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მაგ: ის სასამართლო პროცესზე აღნიშნავს რომ ბრალდებული არის სოციალურად დაუცველი, ჰყავს მეულლე, მცირეწლოვანი შვილები ან ავადმყოფი მშობლები და ა.შ. მაგრამ, საქმეში ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ მოიპოვება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე სასჯელზე მსჯელობისას ჩამოთვლილ შემამსუბუქებელ გარემოებებს ვერ გაითვალისწინებს.

ამდენად, თითოეულ გადაწყვეტილებაში სასჯელის სახესა და ზომაზე მსჯელობისას მოსამართლე მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ეყრდნობა. ბუნებრივია, თუკი ასეთი გარემოებები საქმეში არ მოიძიება, მაშინ მხოლოდ პირის აღიარება და მონანიება საკმარისი არ არის, თუნდაც ფულადი სახის (ჯარიმა) სასჯელის შერჩევისას. ასეთი სასჯელის დანიშვნას აუცილებლად სჭირდება პირის ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის განმსაზღვრელი მონაცემების არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი სახის სასჯელმა შეიძლება ეფექტურად ვერ იმოქმედოს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

აღნიშნულ ქვეყანაში სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მასთან წინასწარი თანხმობით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხასიათი გამომდინარეობს კრიმინალური ქმედების ხასიათიდან. მსჯავრდებული ვალდებულია შეასრულოს არაანაზღაურებადი სამუშაო, სულ ცოტა 31 დღიდან 180 დღემდე – ნაკლებად სერიოზული დანაშაულისათვის, ან 1 დღიდან 30 დღემდე კი – სამართალდარღვევებისათვის. მსჯავრდებული ვალდებულია შეასრულოს მაქსიმუმ 8 საათიანი არაანაზღაურებადი სამუშაო ერთ დღეში. ფაქტიურად ჩვენი ქვეყნისა და ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პირობების მიმართ ერთნაირია.[50]

კერძოდ, ნებისმიერმა დაკისრებულმა სამუშაომ არ უნდა შელახოს დამნაშავის ღირსება და ამით მსჯავრდებულმა არ უნდა მიიიღოს რაიმე ფინანსური სარგებელი. ესპანეთში არ არის სპეციალური სამსახური (მაგ: პრობაციის შესაბამისი ორგანო), რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ალტერნატიული სასჯელების აღსრულების ზედამხედველობაზე. კომპეტენტური ადმინისტრაციული სამსახური ან ცენტრი (ძირითადად შრომითი ცენტრი) არის ორგანო, რომელიც სთავაზობს მსჯავრდებულს ცალკეულ სამუშაოს. ზოგიერთი დაწესე-

[50] L. Tobiasova, Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, გვ. 274

ბულება რეგულარულად აცნობებს მოსამართლეს (ზემდგომ მოსამართლეს), ასრულებს თუ არა მსჯავრდებული თავის მოვალეობას და ასევე სხვა პირობებს დაკისრებული სასჯელის ფარგლებში. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სათანადოდ შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს ამ სასჯელის გაუქმება. დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შეუსრულებლობა ნიშნავს მაგალითად, თუ მსჯავრდებული მის სამუშაოზე საკუთარი ნებით არ გამოცხადდა, სულ ცოტა 2 დღის განმავლობაში ან მსჯავრდებული არ ასრულებს პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემულ ბრძანებებს. ასევე არის შემთხვევა, როცა დაკისრებული სამუშაოს შესრულების აქტივობა მსჯავრდებულის მხრიდან აშკარად დაბალია.

ასეთ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ მსჯავრდებული შესაძლებელია დარჩეს იგივე ცენტრში ან გაიგზავნოს სხვა ცენტრში. სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მსჯავრდებული არ აკმაყოფილებს სასჯელის მოთხოვნებს. სლოვაკეთის სისხლის სამართლის კოდექსთან შედარებით, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახში ძალადობის ფენომენზე. მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ასევე მსჯავრდებულს დააკისროს გარკვეული მოვალეობები და შეზღუდვები, იმ პირობით, რომ დამნაშავემ გაიაროს სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამები და ფსიქოლოგიური მკურნალობა.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სლოვაკეთში

სლოვაკეთში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა მერყეობს 40-დან 300 საათამდე ვადით. იგი შეიძლება დაენიშნოს პირს, იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მსჯავრდებულს უფლება არა აქვს შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს რაიმე ანაზღაურება. გარდა იმისა, რომ დამნაშავე ექვემდებარება გარკვეული სამუშაოს შესრულებას, იგი ასევე ექვემდებარება სხვადასხვა მოვალეობებსა და შეზღუდვებს. ერთ-ერთი ამ პირობათაგანი, რომელიც დამნაშავემ უნდა შეასრულოს, არის ის, რომ იგი უნდა ეწეოდეს „წესიერ (მოწესრიგებულ) ცხოვრებას“. ასეთი პირებისათვის დაწესებულია გარკვეული აკრძალვები. მაგალითად:

კონკრეტული ადგილების მონახულება. ასეთია სპორტული სანახაობები, სათამაშო ადგილები. აგრეთვე იმ ადგილის მონახულება, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი; ასეთი პირებისთვის აკრძალულია ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, აგრეთვე იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვისთან ერთადაც ჩაიდინა დანაშაული. ხშირად ასეთი პირებისთვის აკრძალულია მინიმუმ 5 მეტრის მანძილზე დაზარალებულის სახლთან მიახლოება; მანვე გამოსაცდელი ვადის პერიოდში უნდა აანაზღაუროს ზარალი; ვალდებულია, დატოვოს ის სახლი ან

ბინა, სადაც ჩადენილი აქვს კანონდარღვევა; ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამებში – პრობაციისა და მედიაციის თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ; პირი ვალდებულია გადაიხადოს ალიმენტი და დაფაროს ვალები; გარკვეულ შემთხვევებში პირი ვალდებულია დაზარალებულს პირადად ან საჯაროდ მოუხადოს ბოდიში; ასეთი პირი ვალდებულია გაიაროს სამედიცინო მკურნალობა; მოვალეა, დაესწროს საგანმანათლებლო ტრენინგებს გამოსაცდელი ვადის პერიოდში ან მიიღოს მონაწილეობის გადამზადების კურსში და ა.შ. სლოვაკეთში N. 528/2005- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების აქტი შეიცავს სპეციალურ დებულებას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების შესახებ.[51]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების თანახმად ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც შექმნა კანონმდებელმა XX სკ-ის ბოლო ათწლეულებში. დამნაშავის ამგვარი საქმიანობა საზოგადოებას აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, იმავდროულად უზრუნველყოფს დამნაშავის რეინტეგრაციას საზოგადოებაში. პირველად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა თავს იჩენს ინგლისში 1972 წელს. აქ მისი ორი ფორმა არსებობს: 1. ავტონომიური; 2. ან ჩართული პრობაციასა თუ პირობით სასჯელში. ინგლისის კანონმდებლობაში სამუშაოები ჩამოთვლილი არ არის. მისი ხანგძლივობა შეესაბამება თავისუფალ დროს. იგი გათვალისიწნებულია 17 წლის ასაკის დამნაშავეთათვისაც. სამუშაო დრო არის 40-დან 240 საათამდე და შეიძლება გაგრძელდეს 1 წლის განმავლობაში.

ინგლისში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის მოხდის მნიშვნელოვანი დეტალია ამ სასჯელის გამოყენება ბრალდებულის თანხმობით. „არავინ შეიძლება აიძულონ შეასრულოს ძალდატანებითი ან სავალდებულო სამუშაო, გარდა პატიმრობის ან ზოგიერთი სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისა“. ინგლისში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ძირითადად ავტონომიური სასჯელია.

ინგლისში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის სახე დანაშაულის სერიოზულობიდან და საშიშროებიდან გამომდინარეობს. გასათვალისწინებელია, რომ იგი არის საერთო სამართლის სისტემის ქვეყანა და ბევრი რამ სახელმძღვანელო მითითებებით განისაზღვრება. მაგ: გაიდლაინებით. კერძოდ, საჯარიმო სანქციები განისაზღვრება იმ სახელმძღვანელო მითითებით, რომლებსაც საბჭოს წევრები განსაზღვრავენ. ამ საბჭოს წევრები

[51] L. Tobiasova, Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, გვ. 273-274

არიან, როგორც მოსამართლეები, ისე არამოსამართლეები. კანონით განსაზღვრულია გარკვეული აკრძალვები მაგ: ადამიანს შეიძლება აეკრძალოს რაიმე აქტივობა – პარლამენტის წევრს პარლამენტში მუშაობა, ან პირიქით დაევალოს რაიმე ვალდებულება. მაგ: 18-დან 21-მდე ასაკის ბიჭებს დაევალოთ გამოცხადდნენ პოლიციაში. ხშირად გათვალისწინებულია თავად დაზარალებულის ქცევაც. ამას ერთი ცნობილი მაგალითიც მეტყველებს. მანჩესტერის გუნდში ფეხბურთის მატჩის დროს ცნობილი ფეხბურთელი გადახტა და სახეში დაარტყა დაზარალებულს. მას თავისუფლების აღკვეთა შეუცვალეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, რამდენადაც გაითვალისწინეს რომ იგი იყო 25 წლის, მხედველობაში მიიღეს დაზარალებულის პროვოკაციის ხარისხიც. ინგლისში მოსამართლეს შეუძლია მსჯავრდებულს პირობა ჩამოართვას, დააკისროს ჯარიმა ან დამატებითი საათები ან პატიმრობა მიუსაჯოს.

საფრანგეთში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 1983 წლის 10 ივნისის კანონიდან დღემდე მოქმედებს. იგი ორი სახისაა: 1. ავტონომიური, ანუ ინგლისურის მსგავსი; 2. ან პირობითი სასჯელის ერთ-ერთი ფორმაა გამასწორებელი რეჟიმითურთ. ე.ი. საუბარია პირობით სასჯელზე, რომელსაც ემატება საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულების ვალდებულება. ორსავე შემთხვევაში მუშაობის ხანგძლივობა 40 – 240 საათია. მისი განხორციელების მაქსიმალური ვადაა 18 თვე. ეს სასჯელი ვერ დაეკისრება, თუ ბრლდებული უარს ამბობს მის შეფარდებაზე ან არ ესწრება სხდომას.[52]

8 წლიანი ექსპერიმენტის შემდეგ **ნიდერლანდებმა** ავტონომიური სასჯელის სახით 1989 წელს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ლეგალიზება მოახდინა, მაგრამ ეს არის „საზოგადოებრივი ინტერესის სასარგებლოდ არაანაზღაურებადი სამუშაო", კანონით ფიქსირებული მხოლოდ მაქსიმალური 240 საათი. სასჯელი პატიმრობის ალტერნატივას წარმოადგენს, თუ მისი ვადა არ აჭარბებს 6 თვეს.

ბელგიაში საზოგადოებისთვის საშიშროების შინაარს გამოხატავს ე.წ. კომუნიტარული სასჯელები, რაც პატიმრობის ალტერნატივად არსებობს, თუმცა სასჯელის ეს სახე წარმატებით ვერ სარგებლობს. მაგალითისთვის მოჰყავთ სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილება ლოთობაში ბრალდებული სტუდენტის შესახებ, რომელმაც არ ისურვა სამი წლის მანძილზე ემუშავა ახალგაზრდობაში ალკოჰოლიზმის გავრცელების ინფორმაციაზე. თუმცა ბელგიურ კანონმდებლობაში ამ სასჯელის წარუმატებლობა დაკავშირებულია სათანადო სოციალური სამსახურის არარსებობასთან. მსგავსი მდგომარეობაა კანადაშიც. აქ ეს სასჯელი გაერთიანდა პრობაციასთან და, მაგალითად, მოსამართლე დამნაშავეს ავალებს დახმარება გაუწიოს ლტოლვილების დამცველ ასოციაციას. სასამართლოები აქ კომუნიტარული სამუშაოების რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებად ითვლება.

იგივე მიდგომაა **ამერიკის შეერთებულ შტატებშიც**. ამერიკის ფსიქოლოგ-

[52] ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, გამოც. „სანი", გვ. 437-438

თა ასოციაციის მოსაზრებით „დანაშაულის, როგორც სოციალური პრობლემის, უაღრესად ინდივიდუალურ პასუხს წარმოადგენს ციხის. თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორია. იგი ფუნდამენტურად განსხვავებულ პერსპექტივებს გვთავაზობს და სვავს კითხვას – გააგრძელოს თუ არა თავისუფლების აღკვეთის ტრადიციული ფორმების გამოყენება. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პიროვნული მახასიათებლები, თვისებები, სოციალური სტრუქტურა".[53]

უცხო ქვეყნის კანონომდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თითოეულ ქვეყანაში, ალტერნატიული სასჯელები სხვადასხვა სახითა და ფორმით გამოიყენება. ისინი თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით რეალური საშუალებაა, რათა მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები.

თავისუფლების შეზღუდვა

ალტერნატიულ სასჯელზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ თავისუფლების შეზღუდვას. იგი განეკუთვნება თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სახეს. საქართველოში ეს სასჯელი პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

„სსკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თოთხმეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში, მასზე ზედამხედველობის განხორციელებით. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება ხორციელდება დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. მისი მოხდის პირობები გულისხმობს სასჯელის მოხდის პეროდში მსჯავრდებულის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნას. საქართველოში ასეთი ტიპის დაწესებულებაა:

ა) სრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულება;

ბ) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულება;

გ) ქალ მსჯავრდებულთა დაწესებულება.

ასეთ დაწესებულებაში სასჯელს იხ.ის:

ა) მსჯავრდებული, რომელსაც შეფარდებული აქვს სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვა;

ბ) მსჯავრდებული, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა თავისუფლების შეზღუდვით.

მაშასადამე, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, საქა-

[53] Craig Haney, Reforming Punishment, PSYCHOLOGICAL LIMITS TO THE PAINS OF IMPRISONMENT, P. 6-7

რთველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია იმ პირს, ვისაც შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, მისივე თანხმობით სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს თავისუფლების შეზღუდვით. რაც შეეხება სასამართლოს მიერ თავისუფლების შეზღუდვის დანიშვნას, აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ 2017 წლის 1 იანვრიდან. ამდენად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში განთავსებულნი არიან მხოლოდ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა შეეცვალათ თავისუფლების შეზღუდვით.

პრობაციის ეროვნული სააგენტო სრულად უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა სათანადო პირობებს – დაზღვევას, კვებას, მუშაობას და ყოფაცხოვრებას. მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების შეზღუდვის ადგილას ასევე ჩართულია სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში. მისივე თანხობით,თითოეული პირის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ინდივიდუალურად განისაზღვრება შრომითი საქმიანობის ტიპი. ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის რეაბილიტაციის მიზნით პრობაციის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით ტარდება ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსები. თავისუფლებაშეზღუდული პირის შრომითი საქმიანობა ანაზღაურებადია.

საქართველოს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის თანახმად 1. თავისუფლების შეზღუდვის მოხდის პირობები გულისხმობს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არასამუშაო და უქმე დღეებისა, თუ დაწესებულების ტიპური დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თავისუფლების შეზღუდვის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება დაწესებულების ტერიტორიიდან გასვლა დაწესებულების უფროსის წერილობითი ნებართვის გარეშე. ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ ტერიტორიის დატოვების მიზეზის დასაბუთების შემდეგ.

3. დაწესებულებაში ყოფნისას მსჯავრდებული სარგებლობს ინტერნეტით, სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, აგრეთვე ხანმოკლე პაემნის უფლებით.

ეს ყველაფერი კანონით არის გაწერილი. დანარჩენი კი რაც ჩვენი თვალით ვნახეთ უფრო საინტერესო აღმოჩნდა.

ბევრმა ადამიანმა ალბათ არც კი იცის, რომ თბილისში არსებობს სასჯელაღსრულების ისეთი დაწესებულება, რომელსაც არცერთი გისოსი არ აქვს და იქ ათეულობით მსჯავრდებული იხდის სასჯელს.

მოცემული კვლევის ფარგლებში, იმის გასარკვევად, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება თავისუფლების შეზღუდვის ადგილზე მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის რეალურად მოხდა, მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს აღნიშნულ

დაწესებულებას ვეწვიეთ. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი მორის შალიკაშვილი, ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტები და მაგისტრანტები).

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ ერთია და ის თბილისში, გლდანში მდებარეობს. (მისი მშენებლობა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრობაციის ბიუროს მიერ დაფინანსდა. თუმცა იგეგმება მსგავსი საპატიმროების აშენება ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაც. (მათი განთავსება გათვალისწინებულია ქალაქგარეთ).

პროექტის ფარგლებში დავათვალიერეთ დაწესებულების ტერიტორია, შევხვდით ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პირადად ვესაუბრეთ იმ პირებს ვინც ამჟამად თავისუფლების შეზღუდვის სახით იხდის სასჯელს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დაწესებულება სრულიად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სერვისები მოიცავს სარეაბილიტაციო ცენტრს, სპორტულ მოედანს: ფეხბურთისათვის, კალათბურთისა და ფრენბურთისათვის,,. დაწესებულებას აქვს ღია ეზოს,სადაც აქ განლაგებულია ლამაზი პატარა სკვერი, სასადილო, მაღაზია, კომპიუტერის ოთახი და მოსასვენებელი ოთახი, ბიბლიოთეკა და აუზი.

ეს ყოველივე ემსახურება მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციას, რეაბილიტაციასა და გათავისუფლებისთვის მომზადებას.

მოვიყვანთ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სტუმრად მყოფი ერთ-ერთი სტუდენტის შეფასებას – „თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში შესვლისას მივხვდი, რომ ეს არ იყო ადგილი რომლის მიზანსაც წარმოადგენდა პირის დასჯა, არამედ ეს დაწესებულება ემსახურება პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. ამ დაწესებულებაში ვიზიტამდე მეგონა, რომ მივდიოდი ტიპური ციხის სანახავად, სადაც მკაცრი რეჟიმი და ციხისათვის დამახასიათებელი წესრიგი იყო. თურმე, ვცდებოდი... თბილისში არსებული თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში არ არის გისოსები და პატიმრებიც თავისუფლად გადაადგილდებიან. მათსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის კარგი დამოკიდებულება შევნიშნე“.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და 200 დასახელების მედიკამენტით. კვირაში ერთხელ დაწესებულებაში მოდის სტომატოლოგი, ყოველ სამუშო დღეს 10:00-დან 19:00 საათამდე არის ექიმი, ხოლო ექთანი – 24 საათი. დამატებით სხვა გამოკვლევისა და კონსულტაციის შემთხვევაში შესაძლებელია გამოძახებული იქნეს სხვა პროფილის ექიმიც. შესაძლებელია თავად მსჯავრდებულის გადაყვანა სტაციონარში.

თავისუფლების შეზღუდვის ადგილას მოქმედებს სასწავლო ცენტრი, სადაც სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან მსჯავრდებულები. ეს არის რკინისა და ხის საამქრო, თაბაშირ-მუყაოს, სტილისტის, მინანქრის, დურგლის, ელექტრიკოსის

და მეფილე-მომპირკეთებლის კურსები. ეს კურსები არის ერთთვიანი და მისი გავლის შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი. ასეთი კურსის გახსნისთვის აუცილებელია მინიმუმ 5 მსჯავრდებულის სურვილი. გარდა ამისა, დადგენილ მსჯავრდებულთა რაოდენობის შეკრების შემთხვევაში დაწესებულების ტერიტორიაზე შესაძლებელია გაიხსნას სხვა ნებისმერი კურსიც. აქ პატიმარს აქვს ფართო შესაძლებლობა სწავლისა და განვითარებისათვის.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სტუმრად ყოფნისას დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ სასჯელის ეს სახე ნამდვილად ეფექტურია და მსჯავრდებულის ინტენსიურ რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული. იგი ნამდვილად ემსახურება პირის საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებას და მის მიერ განმეორებითი დანაშაულის პრევენციას. ამ ყოველივეს ხელს უწყობს მათი ადგილზე დასაქმება.

დაწესებულებაში მუშაობს მაკარონის ქარხანა, სადაც დასაქმებული არის იქ განთავსებული 12 მსჯავრდებული. ისინი ჩვენი სტუმრობის დროსაც მუშაობდნენ. ახლო მომავალში დაგეგმილია გაიხსნას პურის საცხობი ქარხანა, რომელიც მოამარაგებს, როგორც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებებსაც, მასში დასაქმდება 18 მსჯავრდებული. დასაქმების შემთხვევაში მსჯავრდებულს შეუძლია აიღოს შესაბამისი ანზღაურება. დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია მაღაზია, სადაც იყიდება სხვადასხვა სახის პროდუქტები.

აღსანიშნავია, რომ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება გათვლილია 75-დან 100 მსჯავრდებულზე. იქ სასჯელს იხდიდა 31 პირი. ეს განპირობებულია იმით, რომ აგვისტოს თვეში 30 მსჯავრდებულმა დატოვა აღნიშნული დაწესებულება. მსჯავრდებულებთან გასაუბერებისას შევიტყვეთ, რომ კიდევ რამდენიმე მათგანი მოკლე ვადაში მოიხ.იდა სასჯელს.

საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ერთ შენობაშია განლაგებული მსაჯავრდებულთა ოთახები და იქვე, ცაკლე სართულზე მუშაობენ ადმინისტრაციის წევრები. პატიმართა ოთახები ძირითადად ორ ან სამ საწოლიანია. მათ აქვთ მაგიდა, ტელევიზორი, კარადა და სხვა საჭირო ნივთები. შეიმჩნევა წესრიგი და სისუფთავე. დაწესებულებაში ამ ტიპის დაწესებულებისთვის განკუთვნილი რეჟიმია. კერძოდ, მსჯავრდებული ერთგვარ შემოწმებას გადის დილის 8:00 საათზე და საღამოს 20:00 საათზე. ეს გამოიხატება ციფრულ ღილაკზე თითის დაჭერით. დანარჩენ დროს მას შეუძლია თავისუფლად გადაადგილდეს შენობის ტერიტორიაზე. ის გარემოება რომ ადინისტრაციის პერსონალი და მსჯავრდებული პირი ერთ შენობაში იმყოფებიან, შენობა არ არის შემოფარგლული გისოსებით, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ აქ ყველაზე კარგად იციან სიტყვა – ნდობის ფასი. ამაში მსჯავრდებულებთან გასაუბრებაც გვარწმუნებს.

ჩვენი ვიზიტისას შევხდით 5 მსჯავრდებულს, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულისათვის – თაღლითობისთვს, ქურდობისთვის, ძარცვისთვის, ხულიგნობისთვის და ყაჩაღობისთვის იხდიდნენ მსჯავრს. მათი საუბრიდან იგრძნობოდა,

რომ ჩადენილ ქმედებას ნანობდნენ და სრულად აცნობიერებდნენ დანაშაულს. ხუთივე მსჯავრდებულს სასჯელის მოხდამდე 1 წელზე ნაკლები ჰქონდა დარჩენილი და ისინი მოუთმენლად ელოდნენ თავისუფლებას. სრულ თავისუფლებამდე კი თითოეულ მათგანს აახლოვებდა შაბათ-კვირა, რომლის განმავლობაშიც ისინი ტოვებენ სასჯელის მოხდის ადგილს.

მათივე გადმოცემით, იმ შეგნებით, რომ მათ დაკისრებული საპატიმრო ვადა რეჟიმის დარღვევის გარეშე უნდა მოიხადონ, თავისუფლების შეზღუდვის ადგილზე, ყოველ ორშაბათს კეთილსინდისიერად ბრუნდებიან.

აღსანიშანავია, რომ ზოგიერთი მსჯავრდებული შაბათ-კვირასაც ახერხებს მუშაობას. მათივე გადმოცემითა და თხოვნით, კარგი იქნებოდა თუ ერთ-ერთი დღე შაბათ-კვირის ნაცვლად სამუშაო კვირის დღიდან შეირჩეოდა. ასეთ შემთხვევაში უფრო უკეთ შეძლებდნენ სამუშაო ადგილის შოვნას და სახელმწიფო დაწესებულებებთან კომუნიკაციას.

ორი დღით ოჯახში დაბრუნება თითოეული პატიმრისთვის ახლობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა. მათ თავად გვიამბეს იმის შესახებ, რომ ბევრმა ადამიანმა არ იცოდა მსგავსი ტიპის დაწესებულების არსებობის შესახებ. მათივე გადმოცემით იმ ახლობლებს , რომლებმაც ასეთი დაწესებულების შესახებ არ იციან, თავად უამბობენ ამ ტიპის დაწესებულების უპირატესობებისა და შედარებით მსუბუქი რეჟიმის თაობაზე. შაბათ-კვირის შემდეგ პირს ეკრძალება დაწესებულებაში ნასვამ ან ნაბახუსევ მდგომარეობაში დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს გარკვეული სანქციები.

რაც შეეხება კვებას დაწესებულებაში მენიუ არის მრავალფეროვანი. საკვები მზადდება სანიტარული ნორმების სრული დაცვით და ყველა საკვების ნიმუში 48 საათის განმავლობაში ინახება.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც მსჯავრდებულის საზოგადოებასთან რეინტეგრაციას უწყობს ხელს გახლავთ ფსიქოლოგის მომსახურება.

მათ უტარდებათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსები შემდეგ საკითხებზე: მსჯავრდებულთა სამოქალაქო ცნობიერების განვითარება, სტრესის მართვა, ფსიქო-დრამა, ძალადობის რაობა და მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადება. მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში ყოფილ პატიმრებთან მუშაობა იწყება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გათავისუფლებამდე 1 – 3 თვით ადრე. პროგრამაში პატიმრების ჩართულობა ნებაყოფლობითია და მათი მომართვის შემდეგ თითოეულ ბენეფიციართან მუშაობს სოციალური მუშაკი.

მჯავრდებულთან ინდივიდუალური მიდგომის, ფსიქოლოგის მუშაობის შედეგია ის სიტყვები, რომელიც თავისფულების შეზღუდვის ადგილზე სტუმრობისას ერთ-ერთ დაფაზე წავიკითხეთ: შეჩერდი, ცოტა ხნით დაფიქრდი, განსაზღვრე პრობლემა, დაფიქრდი სიტუაციაზე, მოუსმინე რჩევებს, შეცვალე მიდგომა, წარმოიდგინე შესაძლო ვარიანტის შედეგები, მიიღე რჩევები, აიღე პასუხისმგებლობა. ამ რჩევებით მიმართავენ ერთმანეთს პირები, რომლებიც

ამ დაწესებულებაში იხდიან სასჯელს და სახეზეა მათ მიერ უკეთესი მომავლისა ხედვა, მათი სურვილი – გახდნენ საზოგადოების ღირსეული წევრები. ფსიქოლოგის მუშაობის შედეგია ასევე ე.წ. მოლოდინის ხე, რომელიც პატიმართა მიერ არის დახატული და მასზე მათი სურვილებია გადმოცემული. კერძოდ; მარტივად შევხედავ პრობლემას, გავიცნობ ჯგუფის წევრებს და ყველასათვის სასურველი მიზანი- თავისუფლება.

ბუნებრივია, თავისუფლების შეზღუდვის ადგილზე სტუმრობისას შევხვდით ფსიქოლოგს, რომელმაც კარგად აგვიხსნა თითოეული მსჯავრდებულის მდგომარეობა, განპირობებული ე.წ. პენიტენციური სტრესით. პენიტენციურ სისტემაში ყოფნა ხომ დაკავშირებულია გახანგრძლივებულ სტრესთან, მიუხედავად იმისა რა ტიპის დანესებულებაშიც არ უნდა იხდიდეს პირი მსჯავრს. სტრესი წარმოადგენს მოულოდნელობას და მსჯავრდებულის მდგომარეობაზე აისახება.

იგი გარკვეულ კვალს ტოვებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფსიქიკაზე და პირად მიღწევებზე. გრძელვადიანი იზოლაცია იწვევს გაუცხოებასა და ადმიანის უნარ- ჩვევების დაქვეითებას. სწორედ ამ სტრესის დაძლევაზე არის გათვლილი ფსიქოლოგიური ტრეინინგები, რომელიც თითოეულ პატიმარს ინდივიდუალურად და ჯგუფურადაც უტარდება. გათავისუფლების შემდეგ პიროვნებას ხვდება შეცვლილი გარემო. ამ გარემოსთან შეგუებისთვის, საზოგადოებაში დაბრუნებისთვის ფსიქოლოგიური მომზადება პირის რესოციალიზაციის ნაწილია.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონპროექტი თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ცვლილებას ითვალისწინებს. კერძოდ, იმ სასჯელის სახეებს რომლის შეცვლის შემთხვევაშიც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების შეზღუდვა, დაემატა ჯარიმაც. მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ თავისუფლების აღკვეთისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შემთხვევაში არის შესაძლებელი მისი შეცვლა თავისუფლების შეზღუდვით. ე.ი. მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებით ჯარიმის შეცვლა შეიძლება თავისუფლების შეზღუდვით, ოღონდ 1 წელზე მცირე ვადით. ბუნებრივია ეს ნოვაცია შესაძლებლობას იძლევა ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი შეიცვალოს შედარებით მსუბუქი სასჯელით.

რაც შეეხება ქალებსა და არასრულწლოვნებს, მათთვის მზადდება შესაბამისი თავისუფლების შეზღუდვის მოხდის დანესებულებები, სადაც შესაძლებელი იქნება, მათ მიერ ამ ტიპის სასჯელის მოხდა. გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადაა 3 წელი. ამგვარი ტიპის დანესებულების ამოქმედებემდე არასრულწლოვნისთვის განსაზღვრულია სასჯელის ისეთი სახე, როგორიც არის შინაპატიმრობა, რაც ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას.

ეს სასჯელი შეიძლება დაენიშნოს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით, ამასთან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე მას აქვს ფიზიკური,

გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება. აქედან გამომდინარე არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

შინაპატიმრობის აღსრულება უნდა მოხდეს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით.

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესების) შესაბამისად, შინაპატიმრობა შედარებით მკაცრი სასჯელია. დამნაშავეთა სახლები ძალიან განსხვავდება. ზოგიერთ ქვეყანაში ბევრი ქუჩაში ცხოვრობს, სხვები კი გადაჭედილ პირობებში. ელექტრონული მონიტორინგის სხვადასხვა საშუალებებმა შეიძლება გაზარდოს შინაპატიმრობის რეპრესიულობა. ექსცესების თავიდან ასაცილებლად სასამართლოებს შეუძლიათ შეზღუდონ შინაპატიმრობის საათები.[54] როგორც ვხედავთ, გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები) შინაპატიმრობას შედარებით მკაცრი სასჯელის სახედ მიიჩნევს. ეს ალბათ იმიტომ, რომ იგი ბევრ ქვეყანაში გათვალისწინებულია სრულწლოვანი პირებისთვის და სხვადასხვა ქვეყანაში მათი მოხდის წესი, კონტროლი და ზედამხედველობა სხვადასხვაა.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შინაპატიმრობას როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახედ ითვალისწინებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მთავარ პრიორიტეტად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე 2015 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და ჯერჯერობით მის ეფექტურ ხასიათზე ვერ ვიმსჯელებთ, გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების რეკომენდაციის და თავად შინაპატიმრობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეგვიძლია მივუთითოთ, რომ არასრულწლოვანთათვის მსუბუქი ხასიათის ღონისძიებად შეიძლება ვერ იქნეს მიჩნეული.

არასრულწლოვანს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი განვითრებისთვის ბევრი რამ სჭირდება. დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება დასაფიქრებელია როგორ იმოქმედებს მის განვითარებაზე. რაც შეეხება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებას, ამ სისტემის ასამუშავებლად ჯერჯერობით პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და შესაბამის დაწესებულებას შორის მხოლოდ ხელშეკრულებაა გაფორმებული მსოფლიო პრაქტიკა ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებას იცნობს და ხშირად მოსაზრებები ამ საშუალების მიმართ ცალსახად დადებითი არ არის.

არასრულწლოვანთათვს სასჯელის სახედ განსაზღვრულ შინაპატიმრობას-

[54] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 38, http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

თან დაკავშირებით კიდევ ერთ საკითხს შევეხებით. შინაპატიმრობა მართალია გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, მაგრამ ის არ არის მითითებული სსკ-ის 40-ე მუხლში, კერძოდ, სასჯელთა სახეების ჩამონათვალში. ჩვენი მოსაზრებით, საჭიროა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 40-ე მუხლს, როგორც სასჯელი სახე დაემატოს შინაპატიმრობა.

ზოგადად, „შინაპატიმრობა სამი სახისაა. ყველაზე მკაცრი – და პატიმრობასთან ყველაზე მეტად დაახლოებული – არის შინაპატიმრობა, რომელიც ავალდებულებს დამნაშავეს მუდამ შინ იყოს. ნებადართული გამონაკლისია სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტი ან რელიგიურ ცერემონიაში მონაწილეობა. ნაკლებად მკაცრია ჰომე დეტენტიონ – პირს შეუძლია დატოვოს სახლი მხოლოდ სამუშაოზე, სასწავლო დაწესებულებაში ან ექიმთან წასვლის დროს. ყველაზე ლიბერალური ფორმაა ცურფენ, როდესაც პატიმარი ვალდებულია შინ იყოს გარკვეული საათების განმავლობაში, რასაც განსაზღვრავს სასამართლოს გადაწყვეტილება. ძირითადად ეს ეხება ღამის საათებს". „შინაპატიმრობას შეიძლება დაერთოს ელექტორონული კონტროლი".[55] ამავე წესების მითითებით არ შეიძლება შინაპატიმრობა გამოყენებული იყოს არასწორად და შეუსაბამოდ. უნდა არსებობდეს ასეთი ალტერნატივის გამოყენების საფუძველი და გათვალისწინებული უნდა იყო დამნაშავის პიროვნება.[56]

აღსანიშნავია, რომ უცხოური გამოცდილება, როგორც არასრულწლოვნისთვის, ასევე სრულწლოვნისთვის ითვალისწინებს სასჯელის ისეთ სახეს, როგორიცაა შინაპატიმრობა. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის პროექტით ასეთი სასჯელის სახე სრულწლოვანთათვის ახლო მომავალში არ არის გათვალისწინებული. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით უბრალოდ შეცვლილია მისი სახელწოდება და სახლიდან გაუსვლელობა ჰქვია.

სახლიდან გაუსვლელობა, დამნაშავეთა გარკვეული კატეგორიის კონკრეტული მდგომარეობის თვალსაზრისით, პრივილეგირებული მოპყრობის გზას წარმოადგენს. იგი შესაძლებლობას იძლევა მსჯავრდებულმა სასჯელი სახლში ან სხვა ადგილას მოიხადოს. სახლიდან გაუსვლელობა, როგორც წესი, არსებობს მხოლოდ ელექტრონულ მეთვალყურეობასას.

სახლიდან გაუსვლელობა სლოვაკეთში

სლოვაკეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პირს შესაბამისი სამართალდარღვევისათვის სახლიდან გაუსვლელობა ეკისრება 1 წლამდე ვადით. დამნაშავეებს, რომელთაც მიესაჯათ სახლიდან გაუსვლელობა, ექვემდე-

[55] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, გამომც. „სანი", თბ. 1999, გვ. 431

[56] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 26-27, http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

ბარებიან შემდეგ პირობებს:

დამნაშავე ვალდებულია დარჩეს სახლში იმ გარკვეული დროით, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებითაა დადენილი;

დამნაშავე ვალდებულია მიჰყვეს წესიერ ცხოვრებას;

დამნაშავე ვალდებულია წარუდგინოს სათვალთვალო ელექტრონული მონიტორინგს საჭირო ანგარიში, თუ ეს სასამართლო გადაწყვეტილებით აქვს დაკისრებული; დამნაშავეს უფლება აქვს დატოვოს საკუთარი სახლი მხოლოდ მაშინ, როცა ის ეფუძნება გადაუდებელ მიზეზებს საჭირო დროის განმავლობაში.

ამ პირობების ნებისმიერმა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს დაკისრებული ალტერნატიული სასჯელის გაუქმება. თუ ეს ასეა, სასამართლო სახლიდან გაუსვლელობის შეუსრულებელი ვადის ორ დღეს შეცვლის თავისუფლების აღკვეთის 1 დღედ.

სლოვაკეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას ელექტრონული თვალთვალის შესახებ. დამნაშავეზე ზედამხედველობა სრულდება პრობაციისა და მედიაციის ოფიცრების მიერ, ალბათ დამნაშავის სახლში ვიზიტების გზით. სლოვაკეთის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია სპეციალური აქტი- გამოყენებულ იქნეს თუ არა ელექტრონული მონიტორინგი. არსებობს მრავალი საკითხი, რომელიც საჭიროებს აუცილებლად მოგვარებას, სანამ კანონპროექტს მიიღებენ. მაგალითად, რა სახის ელექტრონული მოწყობილობები უნდა იქნას გამოყენებული, დამნაშავის ღირსების საკითხები, დამნაშავისა და მისი ოჯახის კონფიდენციალურობის ფარგლები, სახლიდან გაუსვლელობის სასჯელის აღსრულების ეთიკის ასპექტები, სექსუალურ და ოჯახური ძალადობის დამნაშავე პირთა საკითხები.[57]

სლოვაკეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირობებს, რომლის დროსაც სახლიდან გაუსვლელობის ბრძანება შესაძლებელია რაიმეთი შეიზღუდოს. ნებისმიერი სხვა ალტერნატიული სანქცია შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ პირობებთან ან შეზღუდვებთან. სახლიდან გაუსვლელობის დაკისრების დროს სწორი (მოწესრიგებული) ცხოვრების პირობა არის ერთ-ერთი ფუნდამენტური პირობა, რომელიც უნდა შესრულდეს დამნაშავის მიერ. ეს დასტურია იმისა, რომ, არ არის აუცილებელი სასჯელის ციხეში მოხდა. მოწესრიგებული ცხოვრების ცნება ძალიან ზოგადია და ამიტომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სპეციალური დებულებები გარკვეული პირობების ან შეზღუდვების თაობაზე, რათა ეს ზოგადი ცნება უფრო კონკრეტული და განხორციელებადი გახადოს. ამავე დროს ამ პირობების ან შეზღუდვების დაკისრებას ხელს უწყობს მსჯავრდებულის ნდობა (რწმენა). აქედან გამომდინარე მსჯავრდებული აცნობიერებს განაჩენში ასახულ პირობებს, ისევე როგორც იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც წარმოიქმნება განაჩენის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

[57] L. Tobiasova, Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, გვ. 271

სახლიდან გაუსვლელობა ესპანეთში

ესპანეთში სახლიდან გაუსვლელობა (შიდა პატიმრობა) მსჯავრდებულებს ეკისრებათ მაქსიმუმ 12 დღემდე. დამნაშავე, რომელსაც სახლიდან გაუსვლელობა მიესაჯა, ვალდებულია მასზე დაკისრებული სასჯელი მოიხადოს თავის სახლში ან სხვაგან, როგორც ეს განსაზღვრულია მოსამართლისგან სასამართლოს განაჩენით.

განაჩენი შესაძლოა აღსრულებული იქნას ნაწილ-ნაწილ, ანუ ერთჯერ ან მეტჯერ შეწყვეტით. განაჩენის ხანგრძლივობა უცვლელი რჩება, თუმცა ეს მუშაობს არაგანგრძობითად, მხოლოდ შაბათს და კვირას (შაბათ-კვირას (ვიქენდზე) სახლიდან გაუსვლეობა).

შაბათ-კვირას (ვიქენდზე) სახლიდან გაუსვლელობა ინიშნება განაჩენის გამოტანის დროს და ის, როგორც წესი მუშაობს ციხეში, რომელიც ყველაზე ახლოსაა დამნაშავის საცხოვრებელ ადგილთან. მოსამართლეს ან სასამართლოს განაჩენის დანიშვნის მეშვეობით, შეუძლიათ დანიშნონ შიდა პატიმრობა კვირის სხვა დღეებში ან სხვა ადგილას. თუ დამნაშავეს აქვს ორი არასანქცირებული გამოუცხადებლობა (უყურადღებობა) ზემდგომ მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს სასჯელი ყოველგვარი შეფერხების (შეწყვეტის) გარეშე. ამჟამად, ესპანეთი იხილავს კანონპროექტს (შაბათ-კვირას (ვიქენდზე) სახლიდან გაუსვლელობის) გაუქმების თაობაზე, რადგან იგი არის არაეფექტური, რასაც ამ ტიპის სასჯელის შვიდწლიანი (არდამაკმაყოფილებელი) გამოცდილება უჩვენებს.[58]

გამასწორებელი სამუშაო

სასჯელის ამ სახეს თავისი ისტორია აქვს. საბჭოთა პერიოდის საქართველოს სისხლის სამართალში მას ხშირად იყენებდნენ. იგი ინიშნებოდა 1 თვიდან 2 წლამდე ვადით და მსჯავრდებულს ასეთი სასჯელი სამუშაო ადგილზე უნდა მოეხადა. ასეთ შემთხვევაში, მას ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში ექვითებოდა თანხა. ეს იყო ხელფასის არანაკლებ 5 % და არაუმეტეს 20 %. საინტერესოა ის გარემოება, რომ თუ პირი ასეთი სასჯელის შესრულებას თავს აარიდებდა კანონი მას საუარესოდ შეუცვლიდა სასჯელის სახეს, მაგალითად თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით.

დრო რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს ჩაეთვლებოდა სასჯელის მოხდის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს 1 დღე – თავისუფლების შეზღუდვის 1 დღე, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს 3 დღე – თავისუფლების აღკვეთის 1 დღე.

სასჯელის ეს სახე დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსშიც არის

[58] L. Tobiasova, Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, გვ. 272

გათვალისიწინებული და იგივე ვადით ინიშნება, რა ვადაც წინამორბედი კოდექსით იყო გათვალისწინებული. ხელფასის დაქვითვის პროცენტული მაჩვენებელიც იგივეა.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში პრობაციის ბიუროს, მსჯავრდებულს, დამსაქმებლის ადმინისტრაციას, სადაც მსჯავრდებული მუშაობს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს მსჯავრდებულის ხელფასიდან დასაქვითი თანხის შემცირების თაობაზე".[59]

გამასწორებელი სამუშაო ინიშნება მაშინ, როდესაც აღნიშნული სასჯელი პირდაპირაა მითითებული კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებულ სანქციაში. გარდა ამისა, გამასწორებელი სამუშაო შეიძლება დაინიშნოს:

1. ჯარიმის გამასწორებელი სამუშაოთი შეცვლისას (სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი);

როდესაც დანიშნულია გამასწორებელ სამუშაოზე უფრო მძიმე სასჯელი და მსჯავრდებულს დანიშნულ სასჯელს უცვლიან გამასწორებელი სამუშოთი (სსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი).

„გამასწორებელი სამუშაოს შეფარდებისას სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის ბუნება, მაგალითად, ალოგიკური იქნება გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა, თუ ჩადენილი დანაშაული მჯავრდებულის სამსახურეობრივ საქმიანობას უკავშირდება".[60]

ალტერნატიული სასჯელის გამოყენების პრაქტიკულ პრობლემებზე მსჯელობისას პროფესორი მორის შალიკაშვილი მთავარ გარემოებად მიიჩნევს:

მსჯავრდებულთა პროფესიულ უნარ-ჩვევებს;

მენტალობის პრობლემას;

არსაკმარისი სერვისების (სამუშაო ადგილების) ქონას;

მსჯავრდებულთა განათლების დაბალ დონეს;

მსჯავრდებულის სტიგმატიზირებას;

ნასამართლობა და მისგან გამოწვეულ შეზღუდვებს;

ქართული ფირმებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაკლები აქტიურობა სერვისების შემოთავაზების თვალსაზრისით.[61]

ამგვარ მოსაზრებას სრულად ვეთანხმებით, რამდენადაც გამასწორებელი სამუშაოს სრულყოფილი, ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელია ყველა ზემოთჩამოთვლილი პირობა არსებობდეს. კერძოდ, იმისთვის რომ პირი დასაქმ-

[59] არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი

[60] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომც. „მერიდიანი", თბ. 2013, გვ. 53

[61] მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილის საიუბილეო კრებული, გამომც. „იურისტების სამყარო", თბილისი 2014, გვ.87

დეს, ამაში ხელი უნდა შეუწყოს იმ პროფესიულმა უნარ-ჩვევებმა, რაც მას გააჩნია. შესაბამისი განათლება ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია პირის სრული რეალიზაციისათვის. აქ იგულისხმება კანონმდებლობის თუნდაც მინიმალურ დონეზე ცოდნა. ზოგიერთმა ადამიანმა საერთოდ არ იცის, რომ კანონი გარდა თავისუფლების აღკვეთისა სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელებს ითვალისწინებს. ბუნებრივია, ყოველივე ამას ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო განათლებამ და საზოგადოების აქტიურად ჩაბმამ ამ პროცესებში. მოცემული სასჯელის სახის ეფექტურობას თითოეული მსჯავრდებულის სურვილიც განაპირობებს. მისი შეგნებით დამამცირებელი არ უნდა იყოს საკუთარი შრომით და მიღებული შემოსავლით სასჯელის მოხდა. ყველა ამ კომპონენტს ემატება ნასამართლობის და დასაქმების პრობლემაც.

„პრობაციონერებს დიდ პრობლემას უქმნის ნასამართლობა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. გამოკითხულ პრობაციონერთა დიდ ნაწილს მძიმედ აწუხებს უმუშევრობის პრობლემა. ისინი საკუთარი ცხოვრების შეცვლის რეალურ შანსს დასაქმებაში ხედავენ. ეს მათი შეხედულება – მაგრამ კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს, ალტერნატიული სასჯელის გამოუყენებლობის ძირითადი მიზეზი არის რესურსების, კერძოდ, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის მსჯავრდებულისთვის სამუშაო ადგილების შეთავაზებას".[62]

ზემოთჩამოთვლილი პრობლემები ჩვენს ქვეყანაში დღემდე არსებობდა. ამას 2012-2013 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგებიც გვიჩვენებს, რომელიც საინიციატივო ჯგუფის მიერ განხორციელდა. ალტერნატიული სასჯელების კვლევის კუთხით გამოკითხული იქნა მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, პრობაციის ოფიცრები და პრობაციონერები. სულ 232 ადამიანი. მოსამართლეებისთვის ალტერანტიული სასჯელების გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია დამნაშავის პიროვნებაზე, მის მიერ ჩადენილი ქმდების ხასიათსა და სიმძიმეზე, დამნაშავის მოტივზე და მიზანზე, ასაკზე, განვლილ ცხოვრებაზე, ნასამართლობაზე, დამდგარ შედეგზე, დაზიანებული სიკეთის აღდგენის მცდელობაზე, სოციალურ გარემოზე.[63] – ასეთია მითითებული კვლევის შედეგები.

ალტერნატიულ სასჯელებთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და ბუნებრივია, რომ თითოეულ გადაწყვეტილებაში მოსამართლის მიერ მკაფიოდ უნდა იყოს დასაბუთებული ზემოთჩამოთვლილი გარემოებები. ამასთან, იგივე გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს, თუ რატომ იქნა შერჩეული ალტერნატიული სასჯელის ესა თუ ის სახე. არავინ დაობს იმის თაობაზე, რომ თითოეული ალტერნატიული სასჯელის სახე ეფექტურია თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით, მაგრამ ის ჩადენილი დანაშაულის ადექვატური, პროპორციული და თანაზომიერი უნდა

[62] მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილის საიუბილეო კრებული, გამომც. „იურისტების სამყარო", თბილისი 2014, გვ.101
[63] იქვე. გვ.94

იყოს. მაშინ საზოგადოების არცერთ წევრს არ უჩნდება უსამართლობის განცდა.

შევეხებით კიდევ ერთ პრობლემას – ალტერნატიული სასჯელის გამოყენების საკანონმდებლო შესაძლებლობებს. კერძოდ, სისხლის სამართლის 55-ე მუხლის ჩანაწერში „სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება“. ბუნებრივია, საპროცესო შეთანხმების გამოყენების გარეშე კანონი არ იძლევა სასჯელის შემცირების ან უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების საშუალებას. ამ კუთხით საკანონმდებლო ცვლილებები დასჯის ალტერნატიული მექანიზმების უფრო ფართოდ გამოყენების საშუალებას მოგვცემდა. ვეთანხმებით იმ მოსაზრებასაც, რომ ალტერნატიული სასჯელები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისიწინებული უფრო მეტი დანაშაულისთვის უნდა იყოს განსაზღვრული.

მოკლედ შევეხოთ საპროცესო შეთანხმების საკითხსაც. სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, 2008 წლიდან მოყოლებული საპროცესო შთანხმების გამოყენება აქტიურად ხდებოდა. მაგალითად, თუკი 2008 წელს 9201 სისხლის სამართლის საქმეზე დაიდო საპროსესო შეთანხმება, 2014 წელს 10476 სისხლის სამართლის საქმე დამთავრდა აღნიშნული შეთანხმებით. ფაქტია, რომ საპროცესო შეთანხმება კვლავაც ხშირად გამოიყენება.

ვინაიდან ჩვენი კვლევის საკითხი ალტერნატიული სასჯელებია, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტიც ამ კუთხით გვაინტერესებს. ფაქტია, რომ გასულ წლებშიც (2008-2014) საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასჯელის სახედ ხშირად ჯარიმა გამოიყენებოდა, რაც დასამალი არ არის, საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა.

ეს გარემოება უდაოდ გასათვალისწინებელია საქმის არსებითი განხილვისას ჯარიმის, როგორც ალტერნატიული სასჯელის აქტიურად გამოყენების შემთხვევაში. ასეთ დროს ჯარიმის დატვირთვა ხომ ერთია – იგი თავისუფლების აღკვეთის რეალური ალტერნატივაა. აღნიშნულთან დაკავშირებით პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსების ნაწილს თავისი შეხედულება აქვს. ისინი მიიჩნევენ, რომ საპროცესო შეთანხმების დროს, მტკიცებულებათა არსებითი გამოკვლევა არ ხდება და საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზს ამაში ხედავენ, მაგრამ ფაქტი ერთია, სასჯელის სახედ დანიშნული ჯარიმაც ხშირად არის უკმაყოფილების მიზეზი. ამიტომ, საქმის არსებითი განხილვის დროს დამნაშავისათვის სასჯელის სახედ ჯარიმის დანიშვნისას, სასამართლომ დიდი სიფრთხილითა და სიზუსტით უნდა შეაფასოს ის გარემოებები, რაზე დაყრდნობითაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეირჩა ფულადი გადასახადის ეს სახე.

ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა ასახულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. კერძოდ, 76-ე მუხლში, სადაც „მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ

ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი თუ ის წარსულში ნასამართლევი არ იყო და თუ არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა". მსგავსი დათქმა სრულწლოვან დამნაშავეთათვის იქნებოდა მიზანშეწონილი, რაღა თქმა უნდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის და სამართლიანობის პრინციპების დაცვის გათვალისწინებით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ზოგიერთ ასპექტზე მსჯელობისას პროფესორი ნონა თოდუა ეხება პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს. კერძოდ, „საქართველოს 2000 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველი ვარიანტით თუკი სასამართლო მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულის გამოსწორება შესაძლებელი იყო დანიშნული სასჯელის მოხდის გარეშეც, იგი უფლებამოსილი იყო დანიშნული სასჯელი პირობით ჩაეთვალა და დაეწესებინა გამოსაცდელი ვადა. 2006 წლის 28 აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად სასამართლოს წაერთვა პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლება თუ მხარეებს შორის არ იყო დადებული საპროცესო შეთანხმება."[64]

დღესმოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პირობითი მსჯავრის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული. ამასთან, პირი უნდა აღიარებდეს ჩადენილ დანაშაულს და თანამშრომლობდეს გამოძიებასთან. ასევე მნიშვნელოვანი პირობაა, რომ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე, ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. (სსკ-ის 63-ე მუხლი). როგორც ვხედავთ, პირობითი მსჯავრის გამოყენება მთელი რიგი გარემოებების არსებობას მოითხოვს, რაც ხშირ შემთხვევაში ზღუდავს მოსამართლეს.

აქვე მივუთითებთ სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. როგორც ვხედავთ, თავისუფლების აღკვეთის ნაწილის პირობითი მსჯავრით შეცვლისას გარკვეული პირობებია დათქმული. ბუნებრივია, პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავის პიროვნებიდან გამომინარე არ არის საჭირო მან ბოლომდე საპატიმრო დაწესებულებაში მოიხადოს სასჯელი. უმეტეს შემთხვევაში მოსამართლე ვერ იყენებს ამ ნორმას, იმიტომ რომ, კანონით გათვალისწინებული დათქმები ზღუდავს მას თავისი შეხედულებისამებრ შუცვალოს მს-

[64] ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ზოგიერთი ასპექტი, მზია ლეკვეიშვილი, სიუბილეო კრებული, გამომც. „იურისტების სამყარო", თბ. 2014, გვ. 74-75

ჯავრებულს თავისუფლების აღკვეთის ნაწილი.

პირობითი მსჯავრის საკითხს ალტერნატიულ სასჯელებზე მსჯელობისას შემთხვევით არ შევეხეთ. ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა პირობითი მსჯავრის გამოყენების გარკვეულ დათქმებს აკეთებს. ბუნებრივია, პირობითი მსჯავრი სასჯელის სახე არ არის, მაგრამ დგება საკითხი არის თუ არა უკეთესი ალტერნატივა.

„პირობით გათავისუფლება არის აგრეთვე ადვილი დასაკისრებლად. ხელისუფლებას შეიძლება დასჭირდეს გარკვეული მექანიზმის შექმნა, რათა უზრუნველყოს პირობები, რომლებიც სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს".[65]

როგორც ვხედავთ, ალტერნატიული სასჯელის სახელმძღვანელო დირექტივები (ტოკიოს წესები) დასაშვებად თვლის ისეთი მექანიზმების გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უკეთესი პირობები. იგულისხმება სასჯელის მოხდის უკეთესი ალტერნატივა. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობა მოქნილი უნდა იყოს და იძლეოდეს უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

მხედველობაში გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლი, რომელიც სასჯელის შეცვლას ითვალისწინებს უფრო მსუბუქი სასჯელით, მაგრამ კარგი იქნებოდა კანონით უფრო ზუსტად ყოფილიყო გათვალისწინებული ყველა შემთხვევა.

მაგალითად, როდესაც საკითხი ეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლს (სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის). ამ მუხლის მე-3 ნაწილი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც შვილი ერთი წლის ასაკს მიაღწევს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მთელი რიგი გარემოებების მხედველობაში მიღებით მსჯავრდებულს ათავისუფლებს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისგან, ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სასჯელის სახით. სასამართლოს ასევე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და მსჯავრდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად შესაბამის დაწესებულებაში დააბრუნოს.

რა შეეხება პირობით მსჯავრს. საინტერესოა, გულისხმობს თუ არა ზემოაღნიშნული მუხლი სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – პირობითი მსჯავრის გამოყენებას. მაგალითად, ქალბატონმა ჩაიდინა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული იმ პერიოდში, როდესაც მას ჰყავდა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი. სასამართლომ კანონის შესაბამისად მას სასჯელი გადაუვადა. შვილის ერთი წლის ასაკს მიღწევის შემდეგ, სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მსჯავრდებულის გაათავისუფლების თაობაზე ან იმის შესახებ, შეუცვალოს თუ არა სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. კონკრეტულ შემთხვევა-

[65] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 29,
http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf

ში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ქალის მატერიალური მდგომარეობა, მისი ოჯახური პირობები, ის ფაქტი, რომ ვერ ანაზღაურებს ზარალს, ჯარიმის გამოყენების შესძლებლობას არ იძლეოდა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება თუ არა პირობითი მსჯავრი განხილული იყოს უფრო მსუბუქ სახედ?

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახეზე იყო სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებები მაგ: პირის მიერ, (კონკრეტულ შემთხვევაში ამ ქალის მიერ) დანაშაულის აღიარება, მონანიება, იმავდროულად ქალბატონი მეზობლების მიერ ხასიათდება დადებითად, შვილებს ექცეოდა გულისხმიერად, მაგრამ მხედველობაშია მისაღები მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიც.

ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენება? სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახით მხოლოდ ჯარიმას, ან თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიგვაჩნია, რომ პირის მდგომარეობის, მისი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისინებით, ასვე ბავშვის ინტერესის მხედველობაში მიღებით პირობითი მსჯავრის დანიშვნა ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს.

ზომოთჩამოთვლილი ალტერნატიული სასჯელების გარდა, საერთაშორისო გამოცდილებით ცნობილია ისეთი სასჯელის სახეები, რომელიც არ არის დაკავშირებული სადამსჯელო ღონისძიებასთან. ასეთია სიტყვიერი სანქციები, როგორიცაა შენიშვნა, საყვედური, გაფრთხილება. ჩამოთვლილი ღონისძიებები ყველაზე მსუბუქი საშუალებაა, რაც შეიძლება სასამართლომ გამოიყენოს. ბუნებრივია, ეს სანქციები გარკვეულ ინფრასტრუქტურას არ საჭიროებს. განსაკუთრებით, არასრულწლოვან დამნაშავეებს ძალიან დიდი საშუალება ეძლევა იმისა, გააცნობიეროს არასწორად მოიქცა თუ არა. ამგვარი დისციპლინური სახდელები გათვალისწინებულია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, (კერძოდ მუხლი 98 არასრულწლოვნის დისციპლინური სახდელები).

ცნობილია, ის გარემოიებაც, რომ ბევრი დამნაშავე თერაპიის ან მკურნალობის მნიშვნელოვანი საჭიროებას განიცდის. ზოგჯერ დომინირებს ნარკოტიკისადმი დამოკიდებულება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა თერაპიისა და მკურნალობის ცენტრების არსებობა, სადაც სხვადასხვა პროგრამების გავლით შესაძლებელი იქნება სირთულეების დაძლევა. მოსამართლეები რეგულარულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი იმის თაობაზე, თუ რას სთავაზობს ეს ცენტრი დამნაშავეს. იმისთვის, რომ კონკრეტული დამნაშავის ასეთ ცენტრებში მოთავსება მიზანშეწონილად მოხდეს, მოსამართლეებს ესაჭიროებათ დეტალური ინფორმაცია დამნაშავის პიროვნებასა და მის პრობლემებზე.

დასკვნა

ალტერნატიული სასჯელები, როგორც ჩანს მიზნის მისაღწევად პერსპექტიული სტრატეგიაა. თუმცა, ის ყველა სახელმწიფოში განსხვავებულია. რაც შეეხება ალტერნატიული სასჯელების სამართლებრივ რეგულირებას, უმეტეს ევროპულ ქვეყანაში ის ერთმანეთის მსგავსია. მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები სასჯელის სპექტრში, რაც წინამდებარე შრომაში მოცემულმა მცირე შედარებითმა ანალიზმა დაადასტურა. ალტერნატიული სასჯელები წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენის მიმართ მოპყრობის სხვა გზას. იგი საშუალებას იძლევა დაკისრებული სასჯელი აღსრულდეს ციხ.ს გარეთ. ამგვარი სასჯელის სახე ხელს უწყობს თავისუფლების აღკვეთის კოეფიციენტის შემცირებას და ხელს უწყობს დამნაშავის საზოგადოებაში რეაბილიტაციას.

ალტერნატიული სასჯელების შედარებითი ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყანაში მათი სახე თავისებურია. მაგალითად სლოვაკეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ამგვარი სასჯელის სახე დახვეწას მოითხოვს და საკანონმდებლო კუთხით განხილვის საგანია. საქართველოს სისხლის სამართლის პროექტი სიახლეებით გამოირჩევა, რომელთა საზოგადეობაში დამკვიდრება გარკვეულ დროს მოითხოვს. მთავარია, ალტერნატიული სასჯელების განვითარების სტრატეგიაში კანონმდებლებმა, სასამართლოს მოხელეებმა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლებმა – ყველამ ერთად შეიტანოს გარკვეული წვლილი წინამდებარე საკითხის დამუშავებასა და აღსრულებაში.

საკვლევ საკითხზე რეკომენდაციის განსაზღვრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თითოეული მსჯავრდებულისადმი საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა. მაშასადამე წამყვან მიზნად რჩება სასჯელის ინდივიდულიზაციის პრინციპი. საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოში გამოკითხული ადვოკატთა ნაწილი მიუთითებს, რომ არ შეიძლება ნებისმიერი სახის დანაშაულზე ალეტრნატიული სასჯელის გამოყენება.[66] მათივე შეფასებით ალტერნატიული სასჯელების გამოყენება რეალურად დამოკიდებულია სახელმწიფო ნებაზე. ალტერნატიული სასჯელის გამოყენების აუციელებლობას ადვოკატები ასაბუთებენ სასჯელის ჰუმანურობის პრინციპით. შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარე მისასალმებელი იქნებოდა თავად დაცვის მხარეს თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე სრულყოფილად წარმოედგინა პირის შემამსუბუქებელი გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება.

ალტერნატიულ სასჯელებთან საუკეთესო შედეგის მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალთა მიერ შემუშავებული იქნეს შეთანხმებული, თანმიმდევრული სტრატეგია. ამისთვის საჭიროა:

პოლიტიკური ინიციატივა – რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკოსებმა ყველა

[66] სასჯელის აღსრულების კვლევა საქართველოში (ალტერნატიული სასჯელების გამოყენების და პირობით ვადამდე გათავისუფლების კვლევის ანალიზი) თბილისი, 2013, გვ. 9

შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ, რათა თითოეულ ქვეყანას თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის ფართოდ გამოყენების საშუალება მიეცეს. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანი ციხ.ებში პატიმრების რიცხვის შემცირება უნდა იყოს. მისი ამოცანაა, რომ თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მოხდის უკიდურესი ზომა გახდეს.

საკანონმდებლო რეფორმა – საზოგადოება, ხელისუფლება უნდა დარწმუნდეს, რომ საკანონმდებლო ბაზა სასჯელის ალტერნატივებისთვის სათანადო დონეზეა მომზადებული.

სისხლის სამართლის პოლიტიკა – რაც ნიშნავს, რომ ყველა ქვეყნაში ალტერნატიული სასჯელების გამოყენება განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკით, ე.ი დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მეთოდებით, რასაც სასჯელის მთავარი მიზანი – დანაშაულის თავიდან აცილება წარმოადგენს. ამ მიზნით დამნაშავეობასთან ბრძოლა მთავარი პრეროგატივაა.

სახელმწიფოსადმი დადებითი განწყობა (ალტერნატიული სასჯელების გამოყენებასთან დაკავშირებით). რაც საზოგადოების მხრიდან გარკვეულ მხარდაჭერას ნიშნავს. ამისთვის საჭიროა მიმდინარე პროცესებში სხვადასხვა სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.

განათლების დონის ამაღლება – იმისთვის, რომ კანონიერების პრინციპი სრულდებოდეს პირველ რიგში მოსახლეობა უნდა იცნობდეს კანონს. მხედველობაში გვაქვს, ინფორმაცია თითოეული ალტერნატიული სასჯელის შესახებ. (მაგალითად, თავისუფლების შეზღუდვის ადგილზე სტუმრობისას მსჯავრდებულთაგან შევიტყვთ, რომ თუნდაც მათმა ახლობლებმა პირადად მათი მაგალითით შეიტყვეს ასეთი დაწესებულების არსებობის თაობაზე).

ინფრასტრუქტურა და რესურსები – ალტერნატიული სასჯელების ეფექტურად განხორციელება ბუნებრივია, სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობას მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს შესაბამისი დაწესებულებები და სასჯელის ისეთი სახის დანიშვნისას როგორიც არის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, შესაბამისი რესურსების ქონა.

მონიტორინგი – ხელისუფლებამ, სამოქალაქო სექტორმა ალტერნატიული სასჯელების სწორ და ეფექტურ გამოყენებაზე მუდმივად უნდა განახორციელოს მონიტორინგი.

ელექტრონული მონიტორინგი – ზედამხედველობის კონტექსტში მნიშვნელოვანია ელექტორნული მონიტორინგის საკითხი. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილას.

ალტერნატიული სასჯელის სრულფასოვანი გამოყენებისთვის საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

ჩვენი შეფასებით, სისხლის სამართლის კოდექსში ალტერნატიული სასჯელების რაოდენების ზომიერი განსაზღვრა გარკვეულწილად ეფექტურ ხასიათს შესძენს სასჯელის მიზნის აღსრულებას. ეს იქნება გზა იმისა, როგორ მოვახდინოთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია.

ალტერნატიული სასჯელების ეფექტურობა

მცირე კვლევის შედეგად, საშუალება გვეძლევა შევაფასოთ ალტერნატიული სასჯელების ეფექტურობა სასჯელის გარდუვალობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით.

ალტერნატიული სასჯელის ეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ პირი თავისუფლებას არ კარგავს;

არასაპატიმრო სასჯელის შემთხვევაში პიროვნებას აქვს საქმიანობის უფლება, საზოგადოებრივი საქმიანობის უფლება, რაც რესოციალიზაციის საფუძველია;

ალტერნატიული სასჯელის გამოყენება პირს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ შემთხვევაში უჩენს ნდობის ხარისხს;

ამგვარი სასჯელები სასიკეთოა არამარტო მსჯავრდებულისთვის, არამედ საზოგადოების სხვა წევრებისთვის;

თავისუფლების აღკვეთას ახლავს ე.წ. პატიმრობის სტრესი, რომელიც ფსიქოლოგიურად დიდხანს ტოვებს თავის კვალს. ამდენად ალტერნატიული სასჯელი გარკვეულწილად ამ სტრესისგან ათავისუფლებს მსჯავრდებულს;

ალტერნატიული სასჯელის შემთხვევაში პატიმრის სტრესთან დაკავშირებული პრობლემებისგან თავისუფლდებიან თავად პატიმრის ოჯახის წევრები;

ალტერნატიული სასჯელები არ იწვევს მსჯავრდებულის მოწყეტას რეალიბისაგან;

ალტერნატიული სასჯელების გამოყენების დროს გასათვალისწინებელი გარემოებანი

ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, თუ ასეთი სასჯელები არასწორად იქნება გამოყენებული ის აუცილებლად ეწინააღმდეგება სასჯელის მიზნებს;

ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა და შესაბამისი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ალტერნატიული სასჯელების გამოყენების საფუძველია;

კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს ალტერნატიული სასჯელების ფართო ჩამონათვალს;

ალტერნატიული სასჯელის გამოყენება უნდა მოხდეს ჩადენილი დანაშაულის პროპორციულად და თანაზომიერად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ამგვარი სასჯელის გამოყენებამ გამოიწვიოს უარყოფითი შედეგი. მაგალითად, ჯარიმის თანხის რაოდენობის არაპროპორციულობა ჩადენილ დანაშაულთან იწვევს უსამართლობის განცდას;

სასამართლოს მიერ ალტერნატიულის სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა გარემოება, რის გამოც მოხდა სასჯელის კონკრეტული სახის არჩევა. ეს ყოველივე სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული თითოეულ გადაწყვეტილებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დაუსაბუთებლად შეფარდებულმა ალტერნატიულმა სასჯელის სახემ მსჯა-

ვრდებულის რესოციალიზაციაზე ვერ მოახდინოს ეფექტი;

ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დაზარალებული მხარის ინტერესი. თითოეული სასჯელის სახის შერჩევის დროს მხედველობაშია მისაღები საზოგადოებრივი აზრი და მისი მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულს უჩნდება განცდა, რომ მსჯავრდებულმა ფაქტიურად ჩადენილი ქმედების ადექვატურად არ აგო პასუხი, ძნელია ვისაუბროთ სასჯელის მიზნებზე;

ალტერნატიული სასჯელების ეფექტურად მუშაობისთვის საჭიროა ამუშავდეს შესაბამისი სერვისები, სამუშაო ადგილები;

გასათვალისწინებელია რომ ამგვარი სასჯელების გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული მენტალობის პრობლემასთან. კერძოდ, თითოეულ მსჯავრდებულს განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დონის ამაღლების გარდა, შესაძლებელია დახმარება გავუწიოთ მათ ჩართვას სხვადასხვა პროგრამებში;

აქტიურად უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საზოგადოებრივი სექტორის ჩართვა მიმდინარე პროცესებში.

საჭიროა საზოგადოების ფართო ინფორმირება თითოეული ალტერნატიული სასჯელის შესახებ;

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, უცხო ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ალტერნატიული სასჯელები თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით დასჯის ეფექტურ სახეს წარმოადგენენ. მთავარია, ალტერნატიული სასჯელის შეფარდებისას დაცული იყოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის, თანაზომიერების და სამართლიანობის პრინციპები. ასევე მნიშვნელოვანია დასჯის ალტერნატიული სახის შერჩევისას, სასამართლოს მხრიდან სათანადოდ იყოს დასაბუთებული, თუ რა გარემოებებსა და ვითარებაზე დაყრდნობით იქნა შერჩეული კონკრეტული ალტერნატიული სასჯელის სახე და ზომა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი სასჯელის მიზნის – დამაშავის რესოციალიზაციის მიღწევა.

ეს ყოველივე ერთად კი ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკის განხორციელების რეალური საშუალებაა.

ნონა თოდუა

I პირობითი მსჯავრი

1. საკითხის მოკლე ისტორია

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი გამოიყენება როგორც კონტინენტური სამართლის, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორც ე.წ. „გაიდლაინურ", ისე „არა გაიდლაინურ" სისტემაში.

საქართველოში მას საკანონმდებლო დასაბამი აქვს XX საუკუნის დასაწყისიდან. აღსანიშვავია, რომ 1961 წლის სს კოდექსით (46-ე მუხ.) მას ერქვა „პირობითი მსჯავრდება" და მის გვერდით არსებობდა ორი მუხლი განაჩენის აღსრულების გადადებაზე (მუხ.47-ე და 47 1), რაც სადღეისოდ არა არსებობს საქართველოს სს კოდექსში, თუმცა იგი შენარჩუნებულია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ნაწილში (მაგალითად, ბელორუსიაში).

თუ რას წარმოადგენდა სასჯელის აღსრულების გადადება და რით განსხვავდება იგი პირობითი მსჯავრისაგან, ამაზე საუბარი გვექნება მოგვიანებით, როცა განვიხ.ლავთ პირობითი მსჯავრის იურიდიულ ბუნებას.

საქართველოს 2000 წლის ახალი სს კოდექსის მიღებამდე პირობითი მსჯავდების ინსტიტუტის შესაბამისმა მუხლმა (სსკ 46-ე მ.) ორჯერ განიცადა ცვლილება. ერთხელ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე. მეორედ კი – საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით.

განსხვავებით 2000 წლის სს კოდექსის 63-64 ე მუხლებით დადგენილი პირობისაგან, 1961 წლის კოდექსის 46-ე მუხლით პირობითი მსჯავრდება გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის სახით დანიშნული იყო თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაო.

2000 წლის სს კოდექსის 63-ე მუხლით კი პირობითი მსჯავრის გამოყენება შეიძლებოდა მაშინ, თუ სასჯელის სახით დანიშნული იყო გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ტუსაღობა ან თავისუფლების აღკვეთა.

2006 წლის 28 აპრილის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კი დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სსკ 63-64 ნუხლებში საერთოდ არაა დაკონკრეტებული, თუ რომელი სახის სასჯელის ჩათვლა შეიძლება პირობით. სსკ 64-ე მუხლში, სადაც საუბარია გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობაზე, მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ დანიშნული სასჯელი შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი. თუმცა აქედან არ ჩანს ის, შესაძლებელია თუ არა ნებისმიერი ძირითადი სასჯელის (მაგალითად, ჯარიმის) ჩათვლა პირობით.

1961 წლის სს კოდექსით პირობითი მსჯავრდების გამოყენება ფორმალ-

ურად არ იყო შეზღუდული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით (იგი შეიძლება ყოფილიყო მკვლელობაც დამაძიმებელ გარემოებებში), ასევე მნიშვნელობა არ ჰქონდა ნასამართლობის ფაქტს. მთავრი იყო ის, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა საქმის გარემოებები და ბრალდებულის პიროვნება (რაშიც შესაძლოა, მხედველობაში მიიღებდა მისი ნასამართლობის ფაქტს). რაც მთავარია, სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ მიზანშეუწონელია ბრალდებულმა მოიხ.დის დანიშნული სასჯელი და განაჩენში უნდა აღენიშნა პირობითი მსჯავრდების შესაბამისი მოტივები.[1]

2000 წლის სს კოდექსის 63-ე მ-ის მე-2 ნაწილით, ანუ 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე მოქმედი ნორმით, პირობითი მსჯავრის დროს სასამართლო ითვალისწინებდა სასჯელის დანიშვნის საფუძველს და პირობითი მსჯავრის მოსალოდნელ ეფექტს.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე არაა მითითება იმაზე, რომ „სასამართლო დარწმუნდა, მიზანშეუწონელია ბრალდებულმა მოიხ.დოს დანიშნული სასჯელი".

რაც შეეხება დღეს მოქმედ კანონმდებლობას (სსკ 63-64 მმ.), აქ მხოლოდ ნეგატიურადაა მითითებული, თუ რა შეიძლება იყოს პირობითი მსჯავრის გამოყენების ხელის შემშლელი გარემოება (სსკ 63-ე მ-ის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 ნაწ.). ხოლო პოზიტიურად კი მითითებულია მხოლოდ მისი ფორმალური წინაპირობა – მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადება (63-ე მ-ის პირვ. ნაწ.).

2. პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება

პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების გარკვევას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. კერძოდ, ამ საკითხის სწორად გარკვევა თავისებურ ზეგავლენას ახდენს განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნაზე, პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის გაზრდის, ამ ვადაში შესასრულებელი ვალდებულებების შეცვლის საკითხზე, ამნისტიის გამოყენების საკითხზე, ნასამართლობის საკითხზე და სხვ.

პირობითი მსჯავრის იურიდიულ ბუნებაზე მეცნიერებაში არაა ერთიანი მოსაზრება. საკითხის სირთულე ამ ინსტიტუტის ორმაგი ბუნებითა და მრავალასპექტურობითაა განპირობებული.

სადაოა საკითხი – იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ნაირსახეობას, სასჯელის სახეს, სასჯელისაგან გათავისუფლების სახეს, სასჯელის გადავადებას, სასჯელის მოხდის თავისებურ სახეს, თუ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებას?

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იგი არის რთული იურიდიული წარმონაქმნი, რომელსაც ტრანფორმირებული სახით ახასიათებს სასჯელის

[1] იხ. საქართველოს სს კოდექსი, ცვლილებებით და დამატებებით 1995 წლის 1 ივნისამდე, თბ. 1995, მუხ. 46-ე

გადავადების, სასჯელისაგან გათავისუფლების, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებისა თუ ნასამართლობის მოხსნის ცალკეული ნიშნები.[2]

ზოგიერთი მეცნიერი კი მას მიიჩნევს სისხლის სამართლის დამოუკიდებელ, უნიკალურ ინსტიტუტად, რომელსაც ახასიათებს როგორც სასჯელის, ისე სასჯელისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის გამოყენების განსაკუთრებული წესი.[3]

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი პირობით მსჯავრს მიიჩნევს სასჯელის სახედ. უფრო მეტად ეს ეს იმ ქვეყნის მეცნიერებია, რომელთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირობითი მსჯავრი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელის ნაწილში. მათი არგუმენტებიც ძირითადად ამ გარემოებას ემყარება.[4]

პირობით მსჯავრს სასჯელის თავისებურ სახედ მიიჩნევენ საერთო სამართლის ქვეყნების მეცნიერთა ნაწილი. მაგალითად, აშშ ოქსფორდის უნუვერსიტეტის პროფესორი რიჩარდ ფრეისი მსჯელობს რა პირობითი სასჯელის სარგებლიანობაზე, წერს, რომ მსგავსი სასჯელები გახლავთ ეკონუმიური, მომჭირნე. მსგავსი სახის სასჯელი წარმოადგენს სიმბოლურ გაკიცხვას, იცილებს რა თავიდან მძიმე სასჯელებს, რომლებიც უფრო ძვირადღირებულია სახელმწიფოსათვის და უფრო კრიმინოგენულია. ასევე მძიმე სასჯელები საკმაოდ საზიანოა დამნაშავისათვის, მათი ოჯახებისათვის და საზოგადოებისათვისაც. ისევე როგორც ყველა საზოგადოებრივი სანქციები, პირობითი სასჯელებიც აძლევენ დამნაშავეს იმის საშუალებას (შანსს) რომ დანაშაულის ჩადენის გარეშე „ივარჯიშონ" ცხოვრებაში -თავისუფლების პერიოდში. მკაცრი სასჯელის შეჩერება ამისათვის იძლევა კონკრეტულ სტიმულს.[5]

როგორც ვხედავთ, ამ ინსტიტუტის შეფასებისას რ.ს. ფრეისი მას არაერთხელ მოიხსენებს, როგორც სასჯელს, თუმცა ამავე დროს მას საზოგადოებრივ სანქციასაც უწოდებს.

ზოგიერთი მეცნიერი პირობითი მსჯავრის სასჯელის სახედ მიჩნევას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში უჭერდა მხარს შემდეგი არგუნტის მოშველიებით:

ა) პირობითი მსჯავრიც, ისევე როგორც სასჯელი, ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციას;

---

[2] ვ.ა. ლომაკოს ეს მოსაზრება აღებულია ნიგნიდან: С. Ю. Скобелин, Условное Осуждение В Отечественном Уголовом Праве, Монография, Тюмен, 2012, стр, 28

[3] შეადარ. Криженко О. Условное осуждение или система испитания / Законность. 2002, #9, С. 20; Уголовное право Росии: Общая част: учебник / под ред. Н. М. Кропачева, Б. В. Волженкина, В.В. Орехова, СПБ.: 2006, С. 842, Стр. 842

[4] იხ. Гельфер М. А. Условное осуждение в СССР / Проблемы социалистичеслого права, 1939, #2, Стр. 42: Ной И. С. Вопросы теории наказания в советском уголовном праве, Саратов. 1962 . С . 53; Пионтковский А. Об условном осуждении, С. 112; Якубович М. И. О Правовой природе условного осуждения, С. 59

[5] შეადარ. Richard S. Frase, Just Sentencing, Principles and Procedures for a Workable System, Oxford, 2013, p. 53

ბ) მისი გამოყენების მიზანი იგივეა, რაც სასჯელისა;

გ) როგორც სხვა სასჯელი, ინიშნება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით დანაშაულის ჩამდენის მიმართ;

დ) როგორც სხვა სასჯელი, შეიცავს დასჯისა და გარკვეული ტანჯვის ელემენტებს.[6]

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით კი პირობითი მსჯავრი არის სასჯელის ისეთი სახე, რომელიც დგას თავისუფლების აღკვეთასა და გამასწორებელ სამუშაოს შორის[7].

ამ ჩამონათვალს ჩვენის მხრივ უნდა დაემატოს შემდეგი: პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოს სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე შეუძლია, დანიშნოს დამატებითი სასჯელი (რაც ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ პირობითი მსჯავრი ძირითადი სასჯელის სახეა);

პირობითი მსჯავრის გამოყენება ისევე იწვევს ნასამართლობას, როგორც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა პირობითი მსჯავრის გამოყენების გარეშე.

მიუხედავად ყველაფერი ამისა, პირობითი **მსჯავრი არაა სასჯელის სახე რამდენიმე გარემოების გამო:**

ა) ზემოთ მოყვანილი არგუმენტები სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი სასჯელის სახედ უნდა ჩაითვალოს, რადგან მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულისათვის აწესებს არა მარტო სასჯელს, არამედ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების სხვა სახესაც (სსკ პირველი მუხ.), რომელიც იგივე მიზანს ემსახურება, რასაც სასჯელი;

ბ) პირობითი მსჯავრი რომ არაა სასჯელის სახე, ამაზე უდაოდ მიტყველებს ის ფაქტი, რომ იგი არაა ნახსენები სს კოდექსის მე-40 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სასჯელთა სახეები;

გ) პირობითი მსჯავრის გამოყენებას აუცილებლად წინ უძღვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, რომლითაც პირს უნდა დაენიშნოს სასჯელი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, თავისუფლების შეზღუდვის, თავისუფლების აღკვეთის, თუ სხვა სახით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პირობითი მსჯავრის გამოყენება;

დ) დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელი შეუცვალა სხვა სახის სასჯელით. შესაბამისად, იგი არაა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით (სსკ 73-ე მ.), რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანიშნული სასჯელის ნაწილის მოხდის შემდეგ. დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობით ნიშნავს იმას, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებით შესაძლებელია დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს მოხდილად, თუ მსჯავრდებული შეასრულებს გარკვეულ

[6] შეად. Пионтковский А. А. Об условном осуждении или системе испитания, Уголовно-политическое исследование. Одесса, 1894

[7] შეად. Якубович М. И. О Правовой природе института условного осуждения, С. 77

პირობებს, რასაც მას დაუდგენს სასამართლო გამოსაცდელ ვადაში;

ე) პირობითი მსჯავრი სასჯელის სახე რომ იყოს, მაშინ გამოსაცდელ ვადაში დათქმული პირობების შეუსრულებლობა (მათ შორის ახალი დანაშაულის ჩადენა) არ გამოიწვევდა პირობითი მსჯავრის გაუქმებას და უკვე დანიშნული სასჯელის რეალურად აღსრულებას.

ცნობილია, რომ როცა მსჯავრდებული ჯიუტად არიდებს თავს ცალკეული სასჯელის მოხდას (მაგალითად, თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, გამასწორებელ სამუშაოს, თავისუფლების შეზღუდვას), სასამართლო მას ამ სასჯელს უცვლის სხვა უფრო მკაცრი სასჯელით (რაც შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთაც კი), რაც პირველი განაჩენით არ ყოფილა დადგენილი (სსკ 44-ე მ-ის მე-3 ნაწ. 45-ე მ-ის მე-3 ნაწ.) . პირობითი მსჯავრის დროს კი ასეთ შემთხვევაში სასამართლო დაადგენს, რომ გაუქმდეს პირობით მსჯავრი და აღსრულდეს განაჩენით უკვე დანიშნული სასჯელი;

ვ) თუ პირობით მსჯავრს ჩავთვლით სასჯელის სახედ, მაშინ გამოვა, რომ სასამართლოს ერთი განაჩენით ერთი მსჯავრდებულის მიმართ ერთდროულად გამოაქვს ორი სახის ძირითადი სასჯელი: ერთი, რასაც ადგენს სასჯელის ზოგადი საწყისების გათვალისწინებით (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა) და მეორე, რასაც ადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენებით. ამასთანავე გამოვა, რომ სასამართლო პირველი ძირითადი სასჯელის აღსრულებას აჩერებს მეორე ძირითადი სასჯელის დანიშვნის გამო. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა სრულებით უკანონო და დაუშვებელია, რადგან ერთდროულად შეუძლებელია ორი ძირითადი სასჯელის დანიშვნა, არამედ შესაძლებელია მხოლოდ ორი დამატებითი სასჯელის დანიშვნა. (სსკ 41-ე მუხლის მე -2 1 ნაწ.);

ზ) ამასთანავე თუ პირობით მსჯავრს ჩავთვლით სასჯელის სახედ, მაშინ იგი მხოლოდ ძირითად სასჯელად უნდა ჩაითვალოს და არა დამატებით სასჯელად, რადგან ჯერ-ერთი, სასამართლო არ აწესებს პირობითი მსჯავრით დადგენილი ვალდებულებების მოხდას იმ ძირითად სასჯელთან ერთად, რაც დანიშნულია მოცემული განაჩენით (როგორც საერთოდ ამას ადგილი აქვს დამატებითი სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში); მეორეც, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოს შეუძლია დანიშნოს დამატებითი სასჯელიც (სსკ 63-ე მ-ის მე-6 ნაწ.), რაც იმას ნიშნავს, რომ თავად პირობითი მსჯავრი არაა დამატებითი სასჯელი.

ამდენად, იგი არც ძირითადი სასჯელია და არც დამატებითი;

თ) გარდა ამისა, თუ პირობით მსჯავრს ჩავთვლით სასჯელის სახედ, გამოვა, რომ პირველი ძირითადი სასჯელის აღსრულება -არ აღსრულების საკითხი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეასრულებს მსჯავრდებული მეორე ძირითადი სასჯელით – პირობითი მსჯავრით დადგენილ მოთხოვნებს. ეს კი სრული იურიდიული ნონსენსია;

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ პირობითი მსჯავრი არაა სასჯელის სახე, თუმცა იგი ისეთი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებაა, რომლის

გამოყენების დროსაც შესაძლებელია (თუმცა არა აუცილებელი), სასამართლომ მსჯავრდებულს დაუნიშნოს ისეთი დამატებითი სასჯელი (მაგალითად, ჯარიმა), რაც მსჯავრდებულის მიმართ არ ყოფილა დაწესებული იმ ძირითად სასჯელთან ერთად, რაც ჩაითვალა პირობით.

საკითხავია, ხომ არაა პირობითი მსჯავრი სასჯელისაგან გათავისუფლების ნაირსახეობა?

სასჯელისაგან გათავისუფლებად მის მიიჩნევას მხარს არ უჭერდა ნ, ტაგანცევი, რომელიც წერს, რომ პირობითი მსჯავრი არც ამცირებს და მით უმეტეს, არც ხსნის დასჯადობას.... არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტის შემოღება ეწინააღმდეგება დასჯის ძირითად პრინციპს. პირიქით, იგი მთლიანად შეესაბამება მოძღვრებას სასჯელზე[8] მეცნიერთა ნაწილი კი მას მიიჩნევს **სასჯელისაგან გათავისუფლების ან მისი გადავადების ნაირსახეობად.**

მაგალითად, ა. პიონტკივსკის აზრით, სისხლის სამართალში აუცილებელია პირობითი მსჯავრის შემოღება, რათა ზოგიერთი მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულების დროს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არა მარტო არ დაექვემდებაროს დაუყონებლივ აღსრულებას, არამედ შესაძლებელი იყოს, რომ იგი საერთოდ არ აღსრულდეს.[9] ამის აუცილებლობა კი მისი აზრით, ორი გარემოებითაა განპირობებული: ჯერ-ერთი, რომ სისხლის სამართლში არსებობს თავისუფლების აღკვეთა ხანმოკლე ვადით (რამდენიმე კვირით ან რამდენიმე დღითაც კი), რომელიც არ შეესაბამება სასჯელის მიზნებს. ასევე იგი მოკლებულია რაიმე რეპრესიული მნიშვნელობას და არცთუ იშვიათად მსჯავრდებულზე ახდენს გამხრწნელ ზემოქმედებას. ამიტომ ასეთ დროს აუცილებელია, პირი ავაცილოთ თავისუფლების აღკვეთას. მეორე არგუნეტის მიხედვით, დამნაშავეებს შორის (განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ მცირე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს საზოგადოებას), შეიძლება მოიძებნოს ისეთები, რომელთათვისაც სავსებით საკმარისი დასჯა იქნება მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისა და გასამართლების ფაქტი. ასე რომ, ასეთ პირთა მიმართ თავად სასჯელის გამოყენება გადაიქცევა ზედმეტ, მიზანს აცდენილ დასჯით ღონისძიებად.[10]

როგორც ვხედავთ, ეს მოსაზრება რამდენადმე გამომდინარეობს იმ საკანონმდებლო დათქმიდან, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობაა, ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულს სასჯელის სახით აუცილებლად შეფარდებული ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთა და ისიც ხანმოკლე ვადით (რაც საქართველოში სადღეისოდ არაა დაწესებული).

პროფ. პიონტკოვსკის ამ მოსაზრებაში, რა თქმა უნდა, არის ბევრი სწორი დებულება, მაგრამ იგი მაინც არ შეიძლება ბოლომდე იქნეს გაზიარებული,

---

[8] შეად. Н. ТАГАНЦЕВ, РУССКОЕ УГОЛОВНОЕ ПРАВО, Т. 2, М. Наука, 1994, СТ. 330, 331,332

[9] შეად. ПИОНТКОВСКИЙ А. ОБ УСЛОВНОМ ОСУЖДЕНИИ ИЛИ СИСТЕМЕ ИСРЫТАНИЯ; УСЛОВНОЕ ОСУЖДЕНИЕ, ЖУРН. МИН. ЮСТ. 1897 № 5, 1998 №5. ციტატა აღებულია ნ. ტაგანცევის დასახელ. ნაშრომიდან, გვ. 330

[10] პიონტკოვსკის ამ მოსაზრებაზე იხ. ტაგანცევის დასახ. ნაშრ, იქვე

რადგან პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი არაა დაკავშირებული გამოტანილი განაჩენის აღსრულება-არაღსრულების საკითხთან რამდენიმე მიზეზის გამო:

1. პირობითი მსჯავრის გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ სასჯელის პირობით ჩათვლის გამო არ უნდა აღსრულედეს გამოტანილი განაჩენი;

2. იგი არც იმას ნიშნავს, რომ გამოტანილი განაჩენი არ აღსრულდეს დაუყონებლივ, ანუ გადავადდეს;

3. პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლო განაჩენით დადგენილ სასჯელს იმავე განაჩენითვე ჩაითვალოს პირობით. ამიტომაც პირობითი მსჯავრი ამ განაჩენის შემადგენელი ნაწილია;

4. პირობითი მსჯავრის გამოყენების მიზანი არაა, მსჯავრდებულზე სასჯელის არიდება. ეს რომ ასე იყოს, მაშინ იგი არ იქნებოდა დაკავშირებული გამოსაცდელ ვადასთან და ამ ვადაში გარკვეული მოვალეებების დაკისრებასთან.

ამდენად, ზემოთ დასმულ კითხვას – **თუ არის პირობითი მსჯავრი სასჯელისაგან გათავისუფლების ნაირსახეობა**, უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს იმ მიზეზთა გამო, რაც შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ხასიათის:

ა) იგი არაა შეტანილი სსკ XIV თავში, როგორც სასჯელისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახე. სს კოდექსის ამ თავით გათვალისწნებულია სასჯელისაგან გათავისუფლების რამდენიმე შემთხვევა, საიდანაც პირობითი მსჯავრი არც ერთ მათგანს არ შეესაბამება;

ბ) სასჯელისაგან გათავისუფლების სახეებიდან ერთ-ერთია სსკ 72-ე მუხლი **(სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება)**, რომლის გამოიყენება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული მოიხ.ის დანიშნული სასჯელის გარკვეულ ნაწილს და შესაბამისი ორგანოები (სასამართლო ან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო) მიიჩნევენ, რომ მისი გამოსწორებისათვის არაა საჭირო დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთანავე, მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში შეიძლება დაეკისროს ის მოვალეობა, რაც გათვალისწინებულია სსკ 65-ე მუხლით (პირობითი მსჯავრით დადგენილი მოვალეობა). ამასთან ამ ვალდებულების დაკისრება შეუძლია არა მხოლოდ სასამართლოს (როგორც ამას ადგილი აქვს პირობითი მსჯავრდების შემთხვევაში), არამედ ზემოთხსენებულ ადგილობრივ საბჭოსაც.

ამიტომაც სწორია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ დროს მსჯავრდებულის მიმართ დადგენილი სასჯელი რეალურად არ აღსრულდება სწორედ იმიტომ, რომ სასამართლო პირს სასჯელის რეალურად მოხდისაგან ათავისუფლებს არა უპირობოდ, არამედ გარკვეული „პირობების“ დაწესებით, ე.ი. ასეთი გათავისუფლება პირობადებულია.[11]

გ) **მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობა** ასევე შეიძლება გახდეს პირის

[11] შეად. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 127

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი, თუკი დაავადება ისეთი სიმძიმისაა, რომ ხელს უშლის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდას (სსკ 74-ე მ-ის პირვ. ნაწ.) .

პირობითი მსჯავრისაგან განსხვავებით აქ სახეზეა სასჯელის მოხდის ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოება, რა დროსაც პირის დატოვება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვერ მოემსახურება სასჯელის მიზნებს. პირიქით, მან შესაძლოა არაადამიანური მოპყრობის სახეც კი მიიღოს (მაგალითად, უკურნებელი სენის ტერმინალური სტადიით დაავადების შემთხვევა).

მძიმე დაავადება შესაძლოა გახდეს არა მარტო სასჯელისაგან გათავისუფლების, არამედ მისი გადავადების საფუძველიც ამასთანავე პირობითი მსჯავრისაგან განსხვავებით, ასეთი გადაწყვეტილება სასამართლომ შესაძლოა, მიიღოს როგორც იმავე განაჩენით, რითაც პირს დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა, ასევე განაჩენის გამოტანის შემდეგაც – განჩინებით, თუ იგი მძიმედ დაავადდა განაჩენის გამოტანის შემდეგ (სს საპროცესო კოდექსის 283-ე მ-ის პირვ. ნაწ.).

ნიშანდობლივია ისიც, რომ სასჯელისაგან ასეთი გათავისუფლება არაა საბოლოო, რადგან თუ ადგილი ჰქონდა სასჯელისაგან გათავისუფლებას (და არა გადავადებას), გამოჯანმრთელების შემთხვევაში პირს შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არაა გასული ხანდაზმულობის ვადები (სსკ 74-ე მ-ის მე-4 ნაწ.).

რაც შეეხება სასჯელის გადავადებას მძიმე დაავადების გამო, იგი შეიძლება დადგინდეს მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე (სს საპროცესო კოდექსის 283-ე მ-ის პირვ, ნაწ. „ა“ ქვ.). ამ შემთხვევაში მხარე სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც ვალდებულია, სასამართლოში წარადგინოს ექსპეტრიზის ახალი დასკვნა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სს საპროცესო კოდექსის 283-ე მ-ის მე-3 ნაწ.).

დ) სასჯელისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახეა ასევე **მსჯავრდებულის ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისაგან გათავისუფლება** სსკ 74-ე მ-ის მე-5 ნაწ.).

ეს შემთხვევა ძირითადად ემყარება სისხლის სამართლის ისეთ პრინციპს, როგორიცაა ჰუმანიზმი, რადგან ხანდაზმული ადამიანისადმი განსაკუთრებული მოპყრობა ჰუმანიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, **სისხლის სამართალი უპირველეს ყოვლისა, ქმედების სამართალია, მაგრამ იგი ამავე დროს მომქმედის სამართალიც არის.**

სისხლის სამართალი, **პირველ რიგში რომ ქმედების სამართალია**, ეს იქიდან ჩანს, რომ კრიმინალიზაციის ობიექტი არის ქმედება და არა პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება, როგორი ამორალურიც არ უნდა იყოს ეს თვისებები (ძალადობისაკენ მიდრეკილება, შურიანობა, ეჭვიანობა, კაცთმო-

ძულეობა, სიცრუე და ა.შ.).

მაგრამ სისხლის სამართალი **მეორე რიგში რომ ასევე მომქმედის სამართალიც არის**, ამის მკაფიო გამოვლინება არის არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი, რაც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეხუთე კარის XVI თავში.

ამჟამად, კი მიღებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთელ სისტემას და სადაც ყველა ნორმა ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს (იგი ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან). მაგალითად, ამ კოდექსით დადგენილია, რომ არასრულწლოვანს არ დაეინიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა (ამ კოდექსის ამოქმედებამდე, ეს შეღავათი გათვალისწინებულია სადღეისოდ მოქმედი სსკ 51-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

სისხლის სამართალი რომ მომქმედის სამართალიც არის, ამაზე სხვა მრავალი გარემოება მეტყველებს. კერძოდ, მოქმედი სს კანონმდებლობით მომქმედის ის პერსონალური ნიშანი, რაც მის პიროვნებას ახასიათებს, გათვალისწინებულია როგორც სს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, ან პირიქით, შემამსუბუქებელი გარემოება. მაგალითად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაეინიშნება იმას, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი (სსკ 51-ე მ-ის მე-2 ნაწ.); სსკ 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს ისეთ პიროვნულ მონაცემს, როგორიცაა მისი წარსული ცხოვრება; სსკ კერძო ნაწილის მუხლებში ხშირად დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული მომქმედის ისეთი პიროვნული მახასიათებელი, როგორიცაა მისი ნასამართლობა („იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის", ანდა „იგივე ქმედება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევის მიერ") და სხვ.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ნორმის (სსკ 74-ე მ. მე-5 ნაწ.) გამოყენება სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა, რა დროსაც მხედველობაში უნდა მიიღოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. ამასთანავე ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა, პირს მოხდილი ჰქონდეს დანიშნული სასჯელის ნაწილი (ნახევარი) და მისჯილი არ უნდა ჰქონდეს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ დგას სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხი. დანიშნული სასჯელი თავისი სამართლიანობის თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, არ დგება საკითხი იმაზე, რამდენადაა შესაძლებელი სასჯელის მიზნის მიღწევა დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე. არამედ საკითხი დგას იმ კუთხით, რომ სასჯელის ნაწილის მოხდის შემდეგ პირს თავისი ხანდაზმული ასაკის გამო ვაკმაროთ ის, რაც მოიხ.და და დანიშნული სასჯელი არ მოვახდევინოთ ბოლომდე, მივცეთ მოხუცებულობის ასაკის მშვიდად გატარების შესაძლებლობა. მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ ხანდაზნულობის ასაკი ადამიანის ცხოვრებაში არის ის პერიოდი, როდესაც ხდება ღირებულებების გადაფასება, ადამიანი უფრო მეტად ხდება მოტივირე-

ბული, უკუაგდოს (წარსულს ჩააბაროს) პიროვნული ნაკლოვანებები და გახდეს მორალურად სრულყოფილი პიროვნება. შესაბამისად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან უნდა შემცირდეს იმის ინტერესი, რომ ასეთმა პიროვნებამ ბოლომდე მოიხ.დის დანიშნული სასჯელი, რაც მან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო განაჩენის გამოტანის დროისათვის ნამდვილად დაიმსახურა.

ე) გამომდინარე აქედან, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლო ჯერ კიდევ გამატყუვნებელი განაჩენით სასჯელის დანიშვნისას ვარაუდობს, რომ მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის არაა საჭირო, მან მოიხ.დოს დანიშნული სასჯელი. შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან მის ნაწილს ჩაუთვლის მას პირობით.

ვ) სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახეა **გამამტყუვნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლება** (სსკ 76-ე მ.), რომელიც ასევე პრინციპულად განსხვავდება პირობითი მსჯავრისაგან. ამ დროს სასჯელი არ აღსრულდება არა იმის გამო, რომ პირის მიმართ არსებობს გარკვეული ნდობა სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე მისი გამოსწორებისა, არამედ იმიტომ, რომ განაჩენის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა ისე, რომ მსჯავრდებულს ხელი არ შეუშლია მისი აღსრულებისათვის სასჯელისაგან თავის არიდებით (სსკ 76-ე მ-ის მე-2 ნაწ.). ამასთანავე კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განაჩენის აღსრულების პერიოდში, განსხვავებით პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადისაგან, მსჯავრდებულს არ ეკისრება რაიმე ვალდებულებების შესრულება.

ზ) სასჯელისაგან პირი შესაძლოა, გათავისუფლედეს ამნისტიის (სსკ 77-ე მ. მე-2 ნაწ.) და შეწყალების (სსკ 78-ე მ. მე-2 ნაწ.) საფუძველზე. აქაც პირობითი მსჯავრისაგან განსხვავებით მსჯავრდებულის მიმართ გამამტყვნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი არ ყოფილა ჩათვლილი პირობით და არ ყოფილა დაკისრებული რაიმე მოვალეობის შესრულება, რომლის პატიოსნად შესრულების გამო შეეხო მას ამნისტია, ან მოხდა მისი შეწყალება.

შეწყალება ხდება უკვე მსჯავრდებულისა გამამტყუვნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ და მას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდულაურად.

რაც შეეხება ამნისტიას, მას განსხვავებით პირობითი მსჯავრისაგან, აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ, რის საფუძველზეც შესაძლოა, განუსაზღვრელი რაოდენობით მსჯავრდებულები გათავისუფლდნენ სასჯელისაგან.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ პირობითი მსჯავრი არაა სასჯელისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახე.

ხომ არაა პირობითი მსჯავრი სასჯელის გადავადება?

შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სამართლო მსჯავრდებულს გადაუვადებს დანიშნულ სასჯელს გარკვეული დროით

(გამოსაცდელი ვადით).

არის თუ არა პირობითი მსჯავრი სასჯელის გადავადების სახე, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გაირკვეს სასჯელის გადავადების არსი.

სასჯელის გადავადება გამოიყენება რამდენიმე შემთხვევაში:

1. როცა არსებობს სასჯელის დროულად მოხდის გარკვეული დამაბრკოლებელი გარემოება;

2. ან როცა სასჯელის მოხდა მოცემულ ვითარებაში არაჰუმანურობის გამოვლინება იქნება.

ასეთი ვითარება გვაქვს მაშინ ,როცა მსჯავრდებული ორსულადაა ან მშობიარეობის შემდეგ, როცა მას ჰყავს ერთ წლამდე ასაკის შვილი.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ თავისთავად ორსულობა ან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლა არაა ის ფაქტი, რომლის დროსაც სასამართლო ვალდებულია, გადაავადოს სასჯელი. ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს უფლებაა, და არა მოვალეობა, რა როსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

რაც მთავარია, აქაც არ დგას საკითხი, რამდენადაა საჭირო მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის დანიშნული სასჯელის მოხდა. აქ დგას საკითხი, რამდენადაა შესაძლებელი, რომ ორსულ ქალს მივცეთ შესაძლებლობა, ორსულობის პერიოდში არ იყოს დაკავებული სასჯელის მოხდით (რაც სავარაუდოდ ხელს შეუშლის ნაყოფის ნორმალურ განვითარებას). ასევე დგას საკითხი, სანამ ბავშვი გახდება ერთი წლის (ეს ყველაზე კრიტიკული ასაკია ბავშვისათვის), დედას მიეცეს შესაძლებლობა, მთლიანად დაკავდეს ბავშვის მოვლით და აღზრდით (რაც იწყება დაბადებისთანავე) და სასჯელის მოხდამ ხელი არ შეუშალოს ამ პროცესს.

პირობითი მსჯავრისაგან სასჯელის გადავადება ასევე იმითაც განსხვავდება, რომ პირობითი მსჯავრით დადგენილ გამოსაცდელ ვადაში თუკი პირი შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, მას სასჯელი მოხდილად ეთვლება, ხოლო ნასამართლობა კი – გაქარწყლებულად (სსკ 79-ე მ-ის მე-3 ნაწ. „ა“ ქვ.).

ასეთ რამეს კი ადგილი არა აქვს სასჯელის გადავადებისას. კერძოდ, ამ დროს ბავშვის ერთი წლის ასაკს მიღწევის შემდეგ სასამართლოს შეუძლია მიიღოს რამდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტილება: ა) გაათავისუფლოს მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან, ან ბ) დანიშნული სასჯელი შეუცვალოს მას უფრო მსუბუქი სასჯელით, ანდა გ) გააგზავნოს მსჯავრდებული შესაბამის დაწესებულებაში სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად (სსკ 75-ე მ-ის მე-3 ნაწ.).

პირობითი მსჯავრი რომ არაა სასჯელის გადავადების ნაირსახეობა, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1961 წლის სს კოდექსით პირობითი მსჯავრდების გვერდით არსებობდა განაჩენის აღსრულების გადადება (სსკ 47-ე და 471 მ.).

საიტერესოა, რა იყო მისი არსი?

1961 წლის სსკ 47 1 მუხლის მიხედვით, იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, ბრალეულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, აგრეთვე მისი გამოსწორებისა და საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე ხელახალი აღზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეეძლო გადაედო განაჩენის აღსრულება ერთიდან ორ წლამდე. სასამართლოს ასევე შეეძლო გადაედო დამატებითი სასჯელის აღსრულება.

სასამართლოს, პირობითი მსჯავრის მსგავსად, შეეძლო ამ პირისათვის დაეკისრებინა გარკვეული მოვალეობის შესრულება ამ ხნის განმავლობაში, რომელთა დაუცველობა, შესაბამისი ორგანოების წარდგინების საფუძველზე გამოიწვევდა განაჩენის აღსრულების გადადების გაუქმებას და მსჯავრდებულის გაგზავნას თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოსახდელად.

განაჩენის აღსრულების გადადების ვადის გასვლის შემდეგ მსჯავრდებულის ყოფაქცევისადმი კონტროლის ორგანოების წარდგინებით, მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას, რაც შეიძლება ყოფილიყო ორი სახის: ა) სასჯელისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ ან ბ) განაჩენით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ.

თუ მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების გადადების პერიოდში ახალ დანაშაულს ჩაიდენდა, სასამართლო ახალ სასჯელს მიუმატებდა ადრე დანიშნულ სასჯელს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესის შესაბამისად.

რა მსგავსება და რა განსხვავება იყო პირობით მსჯავრსა და განაჩენის აღსრულების გადადებას შორის?

მათი მსგავსება:

ამ ორ ინსტიტუტს შორის მსგავსებაა ის, რომ **ორივე შემთხვევაში** სასამართლო გამამტყუვნებელი განაჩენის გამოტანისთანავე მსჯავრდებულს უცხადებს გარკვეულ ნდობას. კერძოდ, პირის მიმართ დაუყონებლივ არ აღსრულდება გამამტყუვნებელი განაჩენით დადგენილი სასჯელი და მსჯავრდებულს ეძლევა შესაძლებლობა, იცხოვროს ისე, რომ მის მიმართ გამოტანილი სასჯელი საერთოდ არ აღსრულდეს;

ორივე შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ სასამართლო ადგენს გარკვეულ გამოსაცდელ ვადას, რის განმავლობაშიც მან უნდა შეასრულოს სხვადასხვა ვალდებულება, საიდანაც მთავარია, ის, რომ არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ასევე შეიძლება დაეკისროს სხვა მოვალეობაც;

ორივე შემთხვევაში სასამართლოს ამ ვადის განმავლობაში მსჯავრდებულის ქცევაზე ზედამხედველი სათანადო ორგანოების შუამდგომლობის საფუძველზე უფლება აქვს, გააუქმოს პირობითი მსჯავრი ან განაჩენის აღსრულების გადადება და აღსრულებისაკენ მიაქციოს განაჩენით დადგენილი სასჯელი;

ორივე შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს განაჩენთა ერთობლიობის წესით.

მათი განსხვავება:

პირველი განსხვავება მდგომარეობდა ამ ორი ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობაში.

კერძოდ, პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელი იყო მაშინ, თუ სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ საქმის გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით მიზანშეუწონელია ბრალდებულმა მოიხ. დოს დანიშნული სასჯელი.

რაც შეეხება განაჩენის აღსრულების გადადებას, მისი გამოყენება მაშინ იყო შესაძლებელი, როცა სასამართლო იგივე გარემოებების გათვალისწინებით მივიდოდა დასკვნამდე, რომ ბრალდებულის გამოსწორება შესაძლებელი იყო მისი საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე;

მაგრამ საკითხავია, როგორ და რა კრიტერიუმებით უნდა განსაზღვროს სასამართლომ, თუ როდისაა „მიზანშეუწონელი, მსჯავრდებულმა მოიხ.დოს დანიშნული სასჯელი", ხოლო როდისაა „შესაძლებელი მისი გამოსწორება საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე"?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რას ნიშნავს „მიზანშეუწონელია ბრალდებულმა მოიხ.დოს დანიშნული სასჯელი" და რას – „ბრალდებულის გამოსწორება შესაძლებელია საზოგადოებისაგან მისი იზოლაციის გარეშე"?

სწორედ ეს ბუნდოვანება იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს 2001 წლის სისხლის სამართლის კოდექსში პირობით მსჯავრთან ერთად არ იქნა გათვალისწინებული განაჩენის აღსრულების გადადება.

მეორე განსხვავება მდგომარეობდა დანიშნული სასჯელის სახეში. კერძოდ, თუ პირობითი მსჯავრის გამოყენება შეიძლებოდა თავისუფლების აღკვეთის ან გამასწორებელი სამუშაოს სახით სასჯელის დანიშვნისას, განაჩენის აღსრულების გადადება გამოიყენებოდა იმ პირის მიმართ, რომელსაც პირველად დაედო მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე;

მესამე განსხვავება მდგომარებს იმაში, რომ პირობითი მსჯავრის დროს სათანადო ორგანოების შუამდგომლობით სასამართლოს შეეძლო შეემცირებინა გამოსაცდელი ვადა ამ ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ. ხოლო განაჩენის აღსრულების გადადებისას, მსჯავრდებულს ასეთი შესაძლებლობა აქ ჰქონდა;

მეოთხე განსხვავება შემდეგში გამოიხ.ტება: პირობითი მსჯავრის ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ამ ვადაში სათანადო ორგანოების მხრიდან არ შემოსულა არავითარი შუამდგომლობა პირის მიმართ, სასამართლო არ უბრუნდება ამ საქმეს და დანიშნული სასჯელი თავისთავად არ აღსრულდება. ასევე ავტომატურად ქარწყლდება ნასამართლობა.

რაც შეეხება განაჩენის აღსრულების გადადებას, ამ ვადის გასვლის შემდეგ

სასამართლო უბრუნდებოდა ამ საქმეს და ამ ხნის განმავლობაში მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით გამოჰქონდა განჩინება სასჯელისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების ან განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ.

თუ შეიძლება პირობითი მსჯავრი ჩავთვალოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახედ?

პირობითი მსჯავრი არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახედ, რადგან:

ა) სს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას პირის მიმართ არ გამოდის გამამტყუნებელი განაჩენი და პირი არ ითვლება ნასამართევად. პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობა კი არის პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და შესაბამისი სასჯელის დანიშვნა, რაც იწვევს მსჯავრდებულის ნასამართლობას;

ბ) სწორედ ამიტომაც პირობითი მსჯავრი არაა მითითებული საქართველოს სსკ XIII თავში, სადაც ჩამოთვლილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები, რა დროსაც პირის მიმართ არ გამოდის გამამტყუნებელი განაჩენი.

მაშ რა იურიდიული შინაარსი დევს პირობითი მსჯავრის ინსტიტუტში?

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ პირობითი მსჯავრი მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, დანიშნული სასჯელი მოიხ. დოს თავისუფლებაში.

ეს აზრი არსებითად სწორია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი უფრო მეტად ესადაგება ისეთ შემთხვევას, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა და იგი ჩათვლილია პირობით (რასაც უფრო მეტად აქვს ადგილი სასამართლო პრაქტიკაში). მაგრამ საქმე ისაა, რომ მოქმედი კანონმდებლობით პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელია ასევე ისეთ შემთხვევაში, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი სასჯელი (სსკ 64-ე მ.).

ამდენად, როცა დანიშნულია სხვა ალტერნატიული არასაპატიმრო სასჯელი (მაგალითად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა), ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ პირობითი მსჯავრი პირს აძლევს შესაძლებლობას, დანიშნული სასჯელი მოიხ.დოს თავისუფლებაში, რადგან დანიშნული სასჯელი ისედაც არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, რომელიც მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, გამოსაცდელ ვადაში დაამტკიცოს, რომ მისი გამოსწორებისათვის არაა საჭირო დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდა და რომ ამისათვის საკმარისია პირობითი მსჯავრით გამოსაცდელ ვადაში დაწესებული სხვა მოვალეობების შესრულება.

3. სსკ 63-ე მუხლი – პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი

რა შემთხვევაში გამოიყენებოდა პირობითი მსჯავრი 2006 წლის 28 აპრილს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე?

ამ ცვლილებამდე სსკ 63-ე მუხლის პირველი ნაწილი შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: „თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, თავისუფლების შეზღუდვის, ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ აღნიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით“.

როგორც ვხედავთ, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოს ეკისრებოდა რამდენიმე მოვალეობა:

ა) დაესაბუთებინა, რომ პირის გამოსწორება შეიძლება სსკ 63-ე მ-ის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დანიშნული სასჯელის გარეშე. როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში არ შედიოდა ჯარიმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯარიმის ჩათვლა პირობით შეუძლებელი იყო (და ეს ასეა დღესაც).

ეს არცაა გასაკვირი, რადგან აღიარებულია, რომ სასჯელის მიზანი ჯარიმის დაკისრებისას მიიღწევა პირის „ქონებრივ დანაზოგზე დარტყმით“. ამდენად, ჯარიმას სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელის სახედ ითვალისწინებს ძირითადად ქონებრივი ან ანგარებითი ხასიათისა თუ შინაარსის დანაშაულებზე.

ბ) უნდა გაეთვალისწინებინა სასჯელის დანიშვნის საფუძველი და პირობითი მსჯავრის მოსალოდნელი ეფექტი (63-ე მ-ის მე-2 ნაწ.).

სხვა შეზღუდვა ჩადენილი დანაშაულის რაოდენობის, მისი სიმძიმის ან წინა ნასამართლობის კუთხით, არ იყო დადგენილი, რაც მოსამართლეს აძლევდა ამ ინსტიტუტის ფართედ გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა, რა თქმა უნდა, მისი გამოყენება პრაქტიკულად არ ხდებოდა ისეთი ძალადობითი დანაშაულის ჩადენისას, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა ან გაუპატიურება და სხვა.

სადღეისოდ კი მთელი რიგი შეზღუდვებია დაწესებული პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის. კერძოდ, სსკ 63-ე მუხლში მითითებულია რომ:

ა) თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად (სსკ 63-ე მ-ის პირვ. ნაწ.).

ამდენად, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლისათვის აუცილებელი წინაპირობაა ის, რომ მხარეებს შორის დადებული უნდა იყოს საპროცესო შეთანხმება;

ბ) თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია (63-ე მ-ის მე-2 ნაწ.).

ამდენად, შესაძლებელია, ჩადენილი იყოს მხოლოდ განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაული ან გაუფრთილებელი დანაშაული, რომელიც შესაძლოა, იყოს მძიმეც;

გ) თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული, ეს პირი უნდა აღიარებდეს დანაშაულს ან /და თანამშრომლობდეს გამოძიებასთან (მე-3 ნაწ.);

დ) წარსულში ნასამართლევი არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის. (ე.ი. შეიძლება ნასამართვევი იყოს განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშულისათვის – (მე-3 ნაწ.));

ე) წარსულში ნასამართლევი არ უნდა იყოს ორი ან მეტი განზრახი დანაშაულისათვის, თუნდაც ეს იყოს ნაკლებად მძიმე (მე-4 ნაწ.), რაც ასევე ზღუდავს პირობითი მსჯავრის გამოყემების შესაძლებლობას;

რაც შეეხება გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ნასამართლობის რაოდენობას, ამას არა აქვს მნიშვნელობა.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელი წინაპირობა სსკ 63-ე მუხლის მიხედვით არის საპროცესო შეთანხმების არსებობა მხარეებს შორის. ასეთი შეთანხმების არარსებობისას იგი არ გამოიყენება, თუნდაც პირი წარსულში სრულებით არ იყოს ნასამართლევი, ხოლო ამჟამად კი ჩადენილი ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაული ან სულაც გაუფრთხილებელი დანაშაული.

იურიდიულ ლიტარატურაში სწორადაა შენიშნული, რომ სსკ 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი (თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით ძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია), წინააღმდეგობაში მოდის სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილთან, რომელიც ანესრიგებს დანიშნული სასჯელის ნაწილის ჩათვლას პირობით და სადაც მნიშვნელობა არა აქვს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.[12]

როგორ უნდა გადაწყდეს ეს წინააღმდეგობა ამ მუხლებს შორის?

პრობლემა უნდა გადაწყდეს სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის სასარგებლოდ, რადგან იგი ადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენების კერძო შემთხვევას. სახელდობრ, ადგენს არა მთლიანად დანიშნული სასჯელის ჩათვლას პირობითად, არამედ მხოლოდ მისი ნაწილის ჩათვლას პირობითად.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელი წინაპირობა სსკ 63-ე მუხლის მიხედვით არის საპროცესო შეთანხმების არსებობა მხარეებს შორის. ასეთი შეთანხმების არარსებობისას იგი არ გამოიყენება, თუნდაც პირი წარსულში სრულებით არ იყოს ნასამართლევი, ხოლო ამჟამად კი ჩადენილი ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაული ან სულაც გაუფრთხილებელი დანაშაული.

ვ) რაც შეეხება არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხს, იგი მოწესრიგებულია ამავე მუხლის მე-5 ნაწილით: „თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი და

[12] იხ. ნ, გვენეტაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 393-394; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 118-119

მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული“.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის რამდენიმე წინაპირობაა აუცილებელი. კერძოდ, იგი განაჩენის გამოტანის მომენტისთვისაც უნდა იყოს არასრულწლოვანი; მას პირველად უნდა ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული და ეს დანაშაული არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე.

მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობა კი, როგორც უკვე ითქვა, სსკ 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აუცილებელი წინაპირობაა პირობითი მსჯავრის გამოყენების ყველა შემთხვევაში, ე.ი. არასრულწლოვნის შემთხვევაშიც.

რამდენად სამართლიანია კანონმდებლის მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არასრულწლოვნის მიმართ, ამაზე მოგვიანებით გვექნება საუბარი.

უფრო მეტიც, პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის მოქმედი კანონმდებლობა ბოლო დრომდე (2014 წლის 24 აგვისტოს საკანონმდებლო ცვლილებამდე) წინაპირობად არ გულისხმობდა საპროცესო შეთანხმების ყველა შემთხვევას.

ცნობილია, რომ სს საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მიხედვით, 2014 წლის აგვისტომდე, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადების ორი შემთხვევა არსებობდა: ა) შეთანხმება ბრალზე და ბ) შეთანხმება სასჯელზე (209-ე მ-ის პირვ. ნაწ.).

ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებული აღიარებს დანაშაულს (სსსკ 209-ე მ-ის მე-4 ნაწ.), ხოლო სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა (ამავე მუხლის მე-3 ნაწ.).

ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში კი აუცილებელია, სულ მცირე, პირი აღიარებდეს დანაშაულს. ამდენად, თუ საპროცესო შეთანხმება დადებული იყო იმ ვითარებაში, როცა პირი არ ეწინააღმდეგება ბრალდებას, მაგრამ ეთანხმება პროკურორს სასჯელის ნაწილში, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ აღიარებს დანაშაულს. გამომდინარე აქედან, ასეთი სახის საპროცესო შეთანხმება ბოლო დრომდე არ იყო სსკ 63-ე მუხლის გამოყენების საფუძველი.[13]

როგორც ვხედავთ, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად შეზღუდული იყო საპროცესო შეთანხმების დადების საფუძვლითაც კი, რაც ეგზომ ზღუდავდა მისი გამოყენების შესაძლებლობას.

2014 წლის ზემოთ მითითებული ცვლილების შემდეგ კი დაწესდა საპროცესო შეთანხმების დადების მხოლოდ ერთი პირობა – შეთანხმება ბრალზე. ამით კი მოიხსნა ის პრობლემა, რითაც იზღუდებოდა პირობითი მსჯავრის გამოყ-

[13] იგივე აზრია გატარებული იურიდიულ ლიტერატურაში. იხ. ნ. გვენეტაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლექტ. თბ. 2007, გვ. 393

ენება საპროცესო შეთანხმების დადების საფუძვლით.

მართალია, სს საპროცესო კოდექსში გატარებული ამ ცვლილების ზოგად შეფასებას განსახილველ საკითხთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ცვლილება სავსებით გამართლებულია, რადგან მისი დადების ერთ-ერთ წინაპირობად სასჯელზე შეთანხმების არსებობა, ბრალდების მხარისათვის ქმნიდა საფუძველს, ბრალდებულზე მოეხდინა ზეწოლა, რათა გამოეძალა მისთვის თანხმობა საპროცესო შეთანხმებაზე. მხედველობაში გვაქვს შემთხვევა, როცა პროკურორი ვერ კრებდა საკმარის მტკიცებულებას პირის ბრალდებისათვის. ამ შემთხვევაში პირზე ზეწოლის ერთ-ერთი მექანიზმი იყო საპროცესო შეთანხმების შეთავზება „მომხიბლველი" სასჯელის, ან სასჯელისაგან სრულებით გათავისუფლების დაპირებით. ასეთი შეთავაზება კი ნამდვილად მიმზიდველია პირისათვის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის პირობებში, როცა საქმის განხილვის დასრულებამდე პირი შესაძლოა, წინასწარ პატიმრობაში 9 თვე იმყოფებოდეს. (სს საპროცესო კოდექსის 205-ე მ-ის მე-5 ნაწ.).

ხოლო თუ აღმკვეთ ღონისძიებად არაა შეფარდებული პატიმრობა, დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებემდე (და არა საქმის განხილვის დასრულებამდე), პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს 9 თვის განმავლობაში. მაგრამ თუ ამ ვადის გასვლამდე მას წარედგინა ახლი ბრალი დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო, მაშინ 9 თვიანი ვადის დინება წყდება და ვადა აითვლება ახლი ბრალის წაყენების დღიდან. (სს საპროცესო კოდექსის 169-ე მ-ის მე-8 ნაწ.).

ამასთანავე მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ თუ პირის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად არაა გამოყენებული წინასწარი პატიმრობა, სასამართლო საქმის განხილვისას არაა შეზღუდული წინასწარ დათქმული ვადით. საქმე გონივრულ ვადაში უნდა იყოს განხილული, რომელიც სს დევნის დაწყებიდან არ უნდა აღემატებოდეს ამ დანაშაულისათვის სს პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადას.

მაგალითად, თუ კონკრეტული მუხლით სს პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა არის 5 წელი, სს დევნა და საქმის სასამართლოში განხილვა შესაძლოა, გაგრძელდეს 5 წელი, რაც დიდი ტვირთია პირისათვის როგორც მორალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ასეთ პირობებში დიდი ცდუნება აქვს ბრალდებულს, დათანხმდეს საპროცესო შეთანხმებას სასჯელზე შეთანხმების პირობით, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ საქმეზე არაა შეკრებილი საკმარისი მტკიცებულება, რაც ბრალმდებელს აძლევს საქმის სასამართლო განხილვის პერსპექტივას. რაც მთავარია, არაა გამორიცხული, პირს არც კი ჰქონდეს ჩადენილი რაიმე დანაშაული.

4. დამატებითი სასჯელის საკითხი პირობითი მსჯავრის დროს (სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწ.)

სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, პირობითი მსჯავრის დროს შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი.

აქ იგულისხმება პირობითი მსჯავრის გამოყენება როგორც სრულწლოვნის, ისე არასრულწლოვნის მიმართ.

საკითხავია: 1) რა სახის დამატებითი სასჯელი შეიძლება დაუნიშნოს სასამართლომ მსჯავრდებულს?

2) თუ შეიძლება ისეთი სახის დამატებითი სასჯელის დანიშვნა სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე (მაგალითად, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა) რაც დანიშნული იყო ძირითად სასჯელად, რომელიც ჩაითვალა პირობით?

3) პირობითი მსჯავრის გამოყენებისას თუ შეიძლება ისეთი სახის დამატებითი სასჯელის დანიშვნა (მაგალითად, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა), რაც დამატებით სასჯელად უკვე დანიშნული იყო იმ ძირითად სასჯელთან ერთად, რაც ჩაითვალა პირობით?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის დაწყებამდე უნდა აღინიშნოს შემდეგი: სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოიკვეთა, რომ სასამართლოები სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე დამატებით სასჯელად ნიშნავენ მხოლოდ ჯარიმას და არა სხვა სახის დამატებით სასჯელებს, თუმცა სასამართლო კანონით არაა შეზღუდული, სსკ 63-ე მ-ის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დანიშნოს სხვა სახის დამატებითი სასჯელი.

თავდაპირველად პასუხი უნდა გაეცეს პირველ კითხვას – რა სახის დამატებითი სასჯელი შეიძლება დანიშნოს სასამართლომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას?

სადაო არაა, რომ შეიძლება გამოვიყენოთ სასჯელთა მხოლოდ ის სახეები, რაც დამატებით სასჯელად მიჩნეულია სსკ 41-ე მუხლის მე-2 ნაწილით. კერძოდ, ესაა: საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ასევე ქონების ჩამორთმევა.

სხვა რამის დანიშვნა დამატებით სასჯელად ყოვლად შეუძლებელია, რადგან სასჯელთა სახეებს, როგორც ეს სსკ პირველი მუხლის პირველ ნაწილშია ნათქვამი, ადგენს კანონმდებელი. იგი ადგენს ასევე სასჯელთა სისტემაში ძირითად და დამატებით სასჯელებს (სსკ მე-40 და 41-ე მმ.). ამდენად, სასამართლოს არა აქვს უფლება, თავად გახდეს ახალი სასჯელის „ავტორი“.

რაც შეეხება სხვა მოვალეობებს, რომელთა დაკისრების უფლება სასამართლოს აქვს პირობითი მსჯავრის გამოყენებისას, ისინი არ მიეკუთვნება არც ძირითად და არც დამატებით სასჯელთა სახეს, არამედ წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებებს, რაც მხოლოდ სანიმუშოდაა ჩამოთვლილი სსკ 65-ე მუხლში.

მეორე კითხვა: პირობითი მსჯავრის გამოყენებისას თუ შეიძლება ისეთი დამ-

ატებითი სასჯელის დანიშვნა, რაც დანიშნული იყო ძირითად სასჯელად, რომელიც ჩაითვალა პირობით?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს შემდეგნაირი: ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილ დამატებით სასჯელთა უმეტესობა, გარდა ქონების ჩამორთმევისა, შესაძლებელია დაინიშნოს ძირითადი სასჯელის სახითაც, ამდენად, პირობითი მსჯავრის დროს მათი დამატებით სასჯელად გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულად უნდა გავიგოთ.

კერძოდ, თუკი სასამართლომ რომელიმე მათგანი (მაგალითად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა) დაუნიშნა მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელის სახით, მაშინ ამ სასჯელის პირობითად ჩათვლისას სრულებით დაუშვებელია, მან იგივე სახის სასჯელი დანიშნოს დამატებით სასჯელად სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის გამოყენებით.

ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, სსკ 63-ე მ-ის მე-6 ნაწილის საფუძველზე დამატებით სასჯელად დანიშნოს სხვა დამატებითი სასჯელი (მაგალითად, ჯარიმა), რადგან თუკი დამატებით სასჯელიად დანიშნული იქნება იგივე სასჯელი, რაც ჩაითვალა პირობით, მაშინ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა ყოველგვარ აზრს დაკარგავს.

გარდა ამისა, მსჯავრდებულს არ ექნება არავითარი მოტივაცია იმისათვის, რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, ვინაიდან მათი სისტემატურად ან ჯიუტად თავის არიდების გამო პირობითი მსჯავრის გაუქმებით მისი მდგომარეობა სასჯელის ნაწილში არ დამძიმდება – მას მოუწევს იგივე სასჯელის მოხდა, რაც პირობითი მსჯავრით დანიშნული ჰქონდა დამატებითი სასჯელის სახით.

უფრო მეტიც, მისთვის ეს შესაძლებელია, გარკვეულ წილად შეღავათიც კი აღმოჩნდეს, რადგან პირობითი მსჯავრით დადგენილ გამოსაცდელ ვადაში მას გარდა დამატებითი სასჯელისა (ამ შემთხვევაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა), დაკისრებული აქვს სხვა ვალდებულებებიც, რასაც ადგილი არა აქვს მაშინ, როცა პირი იხდის სასამართლოს მიერ დანიშნულ ძირითად სასჯელს.

ერთადერთი შეღავათი, რასაც მას ანიჭებს პირობითი მსჯავრის გამოყენება, არის ის, რომ გამოსაცდელი ვადის გასვლისას მისი ნასამართლობა ავტომატურად გაქარწყლებულად ითვლება (სსკ 79-ე მ-ის მე-3 ნაწ. „ა“ ქვ.).

რაც შეეხება მესამე კითხვას: პირობითი მსჯავრის გამოყენებისას თუ შეიძლება ისეთი სახის დამატებითი სასჯელის დანიშვნა, რაც დამატებით სასჯელად უკვე დანიშნული იყო იმ ძირითად სასჯელთან ერთად, რაც ჩაითვალა პირობით?

განვიხ.ლოთ ეს საკითხი შემდეგ მაგალითზე: პირი გაასამართლეს სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდობისათვის). მას ძირითად სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, ხოლო დამატებით სასჯელად კი – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

ამ პირთან საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორის შუამდგომლობით სასამართლომ მას დანიშნული სასჯელი ჩაუთვალა პირობით ერთი

წლის გამოსაცდელი ვადით.

საკითხავია: თუ შეიძლება ამ პირობით მსჯავრდებულის მიმართ სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ დანიშნოს დამატებითი სასჯელი, კერძოდ, ჯარიმა, რაც ისედაც დანიშნული ჰქონდა დამატებითი სასჯელის სახით?

სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილში და არც სხვა შესაბამის მუხლებში, რაც დაკავშირებულია დამატებითი სასჯელის დანიშვნასთან, არ არსებობს რაიმე პირდაპირი ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს წაართმევდა ასეთ უფლებას.

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოს მსგავს შემთხვევაში შეუძლია, დამატებით სასჯელად დანიშნოს ისეთი სასჯელი, რაც განაჩენით ძირითად სასჯელთან ერთად დანიშნული იყო დამატებითი სასჯელის სახით.

თუმცა სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის ასეთნაირად განმარტების შემთხვევებში სხვა პრობლემამ შეიძლება იჩინოს თავი.

კერძოდ, რა მოხდება, თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითში პირის მიმართ გაუქმდება პირობითი მსჯავრი გამოსაცდელ ვადაში გაუფრთხილებელი ან განზრახი დანაშაულის ჩადენის გამო და დადგება საკითხი განაჩენთა ერთობლიობის წესით (სსკ 59-ე მ-ის მე-5 ნაწ.) სასჯელის დანიშვნაზე სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნანილის შესაბამისად?

ამ დროს პრობლემური გახდება დამატებითი სასჯელის საკითხი მაშინ, როცა მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში ბოლომდე მოიხადა დამატებითი სასჯელი (ამ შემთხვევაში მთლიანად გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით), თუმცა ამ ვადაში ახალი დანაშაულის ჩადენის გამო გაუქმდა პირობითი მსჯავრი და სასჯელი უნდა დაენიშნოს განაჩენთა ერთობლიობით.

დასმული პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის საკითხთან (სსკ 59-ე მ-ის მე-5 ნაწ.).

სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის ორი ალტერნატიული წესი არსებობს: ა) სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს **(შეკრების წესი)**, ან ბ) ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს **(შთანთქმის წესი)**.

როგორც ვხედავთ, განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის პირველი წესიც თავის მხრივ ორი სახისაა: სასჯელთა მთლიანი შეკრებისა და სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი.

რამდენადაა შესაძლებელი, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში გამოსაცდელ ვადაში ახალი დანაშაულის ჩადენის გამო პირობითი მსჯავრის გაუქმებისას სასამართლომ გამოიყენოს სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელთა მთლიანი შეკრების წესი?

კერძოდ, დავუშვათ, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითში ქურდობაზე ნასამართლევმა პირმა, რომელმაც გამოსაცდელ ვადაში მთლიანად გადაიხადა

დამატებითი სასჯელით დაკისრებული ჯარიმა, გამოსაცდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ 117-ე მ. პირვ. ნაწ.), რისთვისაც სასჯელად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. ამავე განაჩენით სასამართლომ მის მიმართ სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გააუქმა პირობითი მსჯავრი.

ისმის კითხვა: თუ შეუძლია სასამართლოს სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გამოიყენოს სასჯელთა მთლიანი შეკრების წესი? კერძოდ, თუ შეუძლია ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს (თ.ა. 5 წლის ვადით) მთლიანად მიუმატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი (თ.ა. ერთი წლით და ასევე დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 1000 ლარი)?

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ამ პირის მიმართ განაჩენთა ერთობლიობისას არ უნდა გამოიყენოს სასჯელთა მთლიანად შეკრების წესი, რადგანაც ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ პირი ორჯერ იხდის ერთიდა იგივე დამატებით სასჯელს -ერთხელ იგი გადაიხადა პირობითი მსჯავრით დაკისრებული დამატებითი სასჯელის სახით და მეორედ უნდა გადაიხადოს წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის სახით, რაც ყოვლად დაუშვებელია.

რა წესით უნდა დანიშნოს სასჯელი სასამართლომ ასეთ შემთხვევაში?

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი. კერძოდ, პირის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს (5 წლის თავისუფლების აღკვეთა) ნაწილობრივ მიუმატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რაც იქნება თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და საბოლოო სასჯელად განუსაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

ამდენად, სასამართლომ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს არ უნდა მიუმატოს წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, რადგან მსჯავრდებულმა იგივე სახის დამატებითი სასჯელი მთლიანად გადაიხადა გამოსაცდელ ვადაში.

საინტერესოა, რამდენადაა შესაძლებელი მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას გამოიყენოს სასჯელთა არა ნაწილობრივი, არამედ მთლიანად შეკრების წესი, მაგრამ საბოლოო შედეგი სასჯელის ნაწილში იყოს იგივე, რაც სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებისას? ამდენად, თუ არის შესაძლებელი, ამ შემთხვევაშიც (სასჯელთა მთლიანად შეკრებისას) საბოლოოდ დანიშნულ სასჯელს მაინც არ მიამატოს პირველი განაჩენით დაკისრებული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შეუძლია სასამართლოს სასჯელთა მთლიანად შეკრების წესის გამოყენებისას ჩათვალოს, რომ წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა, გამოსაცდელ ვადაში უკვე მოხდილია და ამდენად, მოსახდელად დარჩენილია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით?

საქმე ისაა, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტისათვის თეორიული საფუძ-

ვლის მოძებდა უფრო ძნელია, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პირობითი მსჯავრი არაა სასჯელის სახე. ამდენად, სადაო შეიძლება გახდეს, ნიშნავს თუ არა გამოსაცდელი ვადის დინებისას დამატებითი სასჯელის მოხდა იმას, რომ მსჯავრდებულმა ნაწილობრივ მოიხადა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის ნაწილი (კერძოდ, დამატებითი სასჯელი).

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ სსკ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის შემოღებით კანონმდებელმა სასამართლოს მისცა უფლება, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას დანიშნოს დამატებითი სასჯელი, რაც განსხვავდება იმ მოვალეობებისაგან, რაც გათვალისწინებულია სსკ 65-ე მუხლში. განსხვავება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ სსკ 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობები არაა სასჯელის სახე.

ამდენად, მართალია, თავად პირობითი მსჯავრი სასჯელის სახე არაა, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს (უფლება და არა მოვალეობა) პირობითი მსჯავრის დროს მსჯავრდებულს დაუნიშნოს დამატებითი სასჯელი.

გამომდინარე აქედან, პირობითი მსჯავრის გაუქმების შემთხვევაში განაჩენთა ერთობლიობის წესით სასჯელის დანიშვნისას ზოგჯერ არაა გამორიცხული, სასამართლომ გამოიყენოს სასჯელთა მთლიანად შეკრების წესი და ეს გააკეთოს ისე, რომ ამით არ დაარღვიოს მსჯავრდებულის უფლება. კერძოდ, ორჯერ არ მოახდევინოს მსჯავრდებულს ერთი და იგივე სასჯელი, ერთიდა იგივე ზომით ან ოდენობით.

რაც შეეხება სსკ **59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელთა შთანთქმის წესს**, მისი გამოყენება პირობითი მსჯავრის გაუქმების დროს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას თავისუფლად შესაძლებელია, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში.

მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში ეს შესაძლებელია, რადგან პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელი (თ.ა. ერთი წლის ვადით და ჯარიმა) გაცილებით მსუბუქია, ვიდრე მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელი (თ.ა. 5 წლის ვადით). ამდენად, სასამართლოს შეუძლია, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას გამოიყენოს შთანთქმის წესი და საბოლოო სასჯელად განსაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

თუ როდისაა შეუძლებელი ამ წესის გამოყენება, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჯერ უნდა განვიხილოთ, თუ რაში მდგომარეობს სასჯელთა შთანთქმის არსი განაჩენთა ერთობლიობისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა დანიშვნის ერთ-ერთი წესი გამოიხატება იმაში, რომ „ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს“.

როგორ უნდა გავიგოთ ეს ჩანაწერი?

შეუძლია კი სასამართლოს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას მისი შეხედულებით (მისი „გემოვნებით“) აირჩიოს ერთ-ერთი წესი –

სასჯელთა შეკრების, ან მათი შთანთქმის წესი?

პასუხი ამ კითხვაზე ასეთი უნდა იყოს: **სასამართლოს ამის უფლება არა აქვს.**

სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის ამგვარად განმარტება დაუშვებელია.

კერძოდ, სასამართლოს არა აქვს უფლება, გამოიყენოს სასჯელთა შთანთქმის წესი მაშინ, როცა ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი უფრო მსუბუქია, ვიდრე წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

სხვა შემთხვევაში, მას ამის უფლება აქვს.

მაგალითად, პირი გაასამართლეს მკვლეობისათვის და შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით.

სასჯელის მოხდის დაწყებიდან სამი წლის წლის შემდეგ მან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (სსკ 120-ე მ.), რისთვისაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით. ამ დროისათვის მას პირველი განაჩენით მოსახდელად დარჩენილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

მეორე განაჩენის გამომტან სასამართლოს არა აქვს უფლება, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას გამოიყენოს სასჯელთა შთანთქმის წესი და დაადგინოს, რომ ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა (ერთმა წელმა) შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ანუ 11 წელი.

ასეთი **გადაწყვეტილება სრული სამართლებრივი ნონსენსი იქნება, რადგან მსჯავრდებული უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება იმით, რომ მან სასჯელის მოხდის პერიოდში ახალი დანაშაული ჩაიდინა.**

ამდენად, კანონმდებელმა სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილში განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა დანიშვნის სხვადასხვა წესი იმიტომ დაადგინა, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე, სასჯელის მოუხდელი ნაწილის სიმძიმე და ვადა, მისი შეფარდება ახლად დანიშნული სასჯელის სიმძიმესთან და ვადასთან. შესაბამისად, ყველაფერი ამის გათვალისწინებით დანიშნოს სამართლიანი სასჯელი.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე არაპირდაპირ მიუთითებს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, სადაც მოცემულია დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის წესი, კერძოდ, სასჯელთა შთანთქმის წესი.

იქ ნათქვამია: დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას **უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს**, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს.

როგორც ვხედავთ, აქ ნათლადაა ხაზგასმული, რომ **მხოლოდ უფრო მკაცრ სასჯელს შეუძლია შთანთქას ნაკლებად მკაცრი** სასჯელი და არა პირიქით. ხოლო თანაბარი სასჯელის დროს ერთი შთანთქავს მეორეს.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესი იქნება, სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი, სადაც საუბარია სასჯელთა შთანთქმაზე, ფორმულირებულ იქნას შემდეგნაირად: „.. ან

ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, თუკი ეს სასჯელი უფრო მკაცრი არაა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელთან შედარებით".

5. ისმის კითხვა: რა აზრი ჩადო კანონმდებელმა 2008 წელს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებაში, რითაც პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი მიება საპროცესო შეთანხმებას, ხოლო მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით მისი გამოყენების უფლება წაერთვა ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა სასამართლო პრაქტიკა იმ საქმეებზე, სადაც ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი. კერძოდ, შესწავლილ იქნა სს საქმეები გავრცელებულ დანაშაულებზე და მივედით დასკვნამდე, რომ ეს ცვლილება პრაქტიკულად ემსახურება საგამოძიებო ორგანოებისათვის ასე ვთქვათ, „კომფორტული გარემოს შექმნას", ასევე ფისკალური მიზნების იოლი გზით მიღწევას:

პირობითი მსჯავრის მიბმა საპროცესო შეთანხმებაზე არის ქმედების არასწორი კვალიფიკაციის „დამალვის" კარგი საშუალება.

მაგალითი პირველი (სსკ 214-ე მუხლი):

2014 წლის 13 ნოემბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე, სადაც ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ 214-ე მუხლის პირველი ნაწილით.[14] საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 2014 წლის 23 სექტემბერს მოქალაქე გ-ს თბილისში, პეკინის ქუჩაზე მდებარე შესაბამის ოფისში გადაეცა მის სახელზე საფრანგეთიდან გამოგზავნილი ამანათი, რა დროსაც იგი გაფრთხილებულ იქნა, რომ დასადეკლარირებელი ნივთების არსებობის შემთხვევაში, გაეხსნა ამანათი და მოეხდინა მათი დეკლარირება. ამის მიუხედავად, გ-მ იმ მოტივით, რომ ამანათში არ იყო მსგავსი ნივთები, დამალა და არ დაადეკლარირა ამანათში არსებულ სპეციალურ სამალავში მოთავსებული ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ნივთები და ხელოვნური ქვები, რომლის საბაჟო ღირებულება იყო 11 261 ლარი.

როგორც უკვე აღინიშნა, ეს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანას ან გადმოტანას ამ მუხლში მითითებული სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მათ შორის საბაჟო კონტროლისაგან მალულად, სადაც იგულისხმება სპეციალური სამალავის გამოყენება.

საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ საფრანგეთიდან ეს ნივთები საქართველოში არ გამოუგზავნია თავად გ-ს, არამედ იგი საფრანგეთიდან სხვა პირის მიერაა გამოგზავნილი გ-ს სახელზე. ამდენად, გ-ს არ განუხორციელებია მათი არც გადმოტანა საქართველოს საბაჟო საზღვარზე და არც გადატანა საზღვარს იქით. მან მხოლოდ თბილისში მიიღო სხვის მიერ საზღვარგარეთიდან გადმოგ-

[14] იხ. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №: 1/6365-14 (092220914003)

ზავნილი ნივთები. შესაბამისად, იგი ვერ იქნება სსკ 214-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელი. მის მიერ ამ ნივთების დაფარვის ფაქტი (თუ მან იცოდა, რა ნივთები იდო ამანათში), უნდა შეფასდეს არა სსკ 214-ე მუხლით, არამედ სსკ 218-ე მუხლით (გადასახადისათვის თავის არიდება) და ესეც იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ გადასახდელი თანხის ოდენობა იყო დიდი. კერძოდ, აღმატებოდა 50 000 ლარს.

საკითხავია, ეს არასწორი კვალიფიკაცია არის საგამოძიებო ორგანოს შეცდომის შედეგი, თუ იგი გამიზნული „შეცდომა" იყო? რატომ არ დაკვალიფიცირდა გ-ს ქმედება სსკ 218-ე მუხლით და რა ინტერესი შეიძლება ჰქონოდა გამოძიებას სსკ 214-ე მუხლის გამოყენებისა?

საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში გ-ს მიმართ სსკ 214-ე მუხლის (საბაჟო წესის დარღვევა) გამოყენების შემთხვევაში მისთვის საუკეთესო გამოსავალია საპროცესო შეთანხმების დადება, რათა ამით გადაურჩეს ისეთ სასჯელს, რაც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან.

ხოლო საგამოძიებო ორგანოსათვის კი ეს არის საუკეთესო საშუალება, რათა ამ პირისაგან ამოღებულ იქნას საფრანგეთიდან გადმოგზავნილი ნივთები და ამასთანავე ჯარიმის სახით ამოღებულ იქნას თანხა, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა კიდეც.

აქვე ჩნდება კითხვა: რატომ არ შეიძლებოდა იგივე მიზნის მიღწევა, თუ სწორად მოხდებოდა მისი ქმედების კვალიფიკაცია სსკ 218-ე მუხლით?

საქმე ისაა, რომ ქმედების სსკ 218-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, დამალული იყოს დიდი ოდენობით გადასახადი. ხოლო დიდი ოდენობის დაანგარიშების წესი აქ სრულიად განსხვავებულია სსკ 214-ე მუხლით დიდი ოდენობის დაანგარიშების წესისაგან. კერძოდ, სსკ 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, თუკი ნივთის გადატან-გადმოტანისათვის გამოყენებულია სამალავი, დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს 5 ათას ლარს.

რაც შეეხება სსკ 218-ე მუხლს, აქ დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება 50 000 ლარს.

როგორც ვხედავთ, სხვაობა არა მარტო იმაშია, რომ ოდენობები არსებითად განსხვავებულია (სსკ 214-ე მუხლში 5 000 ლარი, ხოლო 218-ე მუხლში – 50 000 ლარი), არამედ იმაშიც, რომ სსკ 214-ე მუხლში თანხის ოდენობა ნივთის საბაჟო ღირებულებიდან იანგარიშება, ხოლო სსკ 218-ე მუხლში, არა იმ ნივთის ღირებულრებით ან სხვა შემოსავლით, რაც პირმა არ დაადეკლარირა, არამედ იმ თანხის ოდენობით, რაც პირს უნდა გადაეხადა ბიუჯეტის სასარგებლოდ შემოსავლების სწორად დადეკლარირების შემთხვევაში.

გამომდინარე აქედან, ამ მაგალითში გადასახდელი გადასახადის თანხა ვერასგზით ვერ იქნებოდა 50 000 ლარზე მეტი, რადგან თავად ნივთის საბაჟო ღირებულება იყო მასზე მცირე – 11 261 ლარი. შესაბამისად, სახეზე არ იყო სსკ 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი. ეს კი იმას ნიშნავს,

რომ სახეზე არ იყო დანაშაულის შემადგენლობა.

გარდა ამისა, სსკ 218-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, პირს ამ მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე „საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში გადახდილი, გადავადებული ან კორექტირებული იქნება გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა“.

ამდენად, სახეზე რომც ყოფილიყო დიდი ოდენობით გადასახადის დამალვის ფაქტი, გ-ს ჰქონდა შესაძლებლობა 45 სამუშაო დღის განმავლობაში ნებაყოფლობით გადაეხადა დაკისრებული გადასახადის ძირითადი თანხა. ამ შემთხვევაში კი მას არ დაეკისრებოდა სს პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ვერ მოხდებოდა საფრანგეთიდან გამოგზავნილი 11 261 ლარად ღირებული ქვების ჩამორთმევა და ვერც ჯარიმის დაკისრება.

საბოლოოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში ქმედების არასწორი კვალიფიკაცია დანაშაულად და ისიც შეუსაბამო მუხლით გამოძიების ორგანოსათვის მომგებიანია იმ თვალსაზრისით, რომ ადვილია ბრალდებულის დაყოლიება საპროცესო შეთანხმებაზე და აქედან გამომდინარე, მისდამი სხვადასხვა პირობის წამოყენებაც ადვილია თავისუფლების დაპირების სანაცვლოდ.

ამ ვითარებაში ბრალდებულიც ნაკლებადაა დაინტერესებული, იბრძოლოს ქმედების სწორად დაკვალიფიცირებაზე, რადგან ჯერ-ერთი, არავინ იცის, მიაღწევს თუ არა მიზანს ეს ბრძოლა და მეორეც, ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლის გარეშეც მას სთავაზობენ მისთვის ხელსაყრელ სასჯელს. მართალია, ასეთი შეთანხმების შედეგად იგი დიდ მატერიალურ დანაკარგს განიცდის, მაგრამ სამაგიეროდ უმოკლეს დროში შეუძლია დაუბრუნდეს ჩვეულებრივ ცხოვრებას.

რაც შეეხება სასამართლოს, როცა საქმე არსებითი განხილვის გარეშე იხილება საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, მტკიცების სტანდარტი უფრო ნაკლებია, ვიდრე საქმის არსებითად განხილვის დროს. ამიტომ სასამართლოები, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე საქმის განხილვისას არ შედიან მსჯელობაში, თუ რამდენად სწორადაა დაკვალიფიცირებული ქმედება და ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ საპროცესო შეთანხმების ფორმალურ წესზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში.

განსახილველი განაჩენის მტკიცებით ნაწილში ზერელედაა აღნიშნული, რომ „სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, რის შედეგადაც დარწმუნდა, რომ ბრალდების მხარემ წარმოადგინა მტკიცებულებები (შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წერილი თანდართული მასალებით, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნები, დათვალიერების ოქმები, მოწმეების -ლ-ა ლ-ის, თ-ა შ-ს, თ-ა შ-ს, თ-ნ მ-ს და თავად ბრალდებულის ჩვენებები, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები), რომლებიც უდაოდ ადასტურებენ გ-ი მ-ს მიერ მისთვის

შერაცხული ქმედების ჩადენას".[15]

როგორც ვხედავთ, განაჩენში მხოლოდ ჩამოთვლილია მტკიცებულებები, მაგრამ ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი იმაზე, თუ რატომ ადასტურებენ ისინი ბრალდებულის მიერ სსკ 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (საქართველოში მოძრავი ნივთის შემოტანა-გატანა) ჩადენას.

მოცემულ საქმეზე ბრალდებულთან დაიდო საპროცესო შეთანხმება და აქედან გამომდინარე, სასამართლომ გ-ი დამნაშავედ ცნო სსკ 214-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით შეუფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც მას ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 6 000 ლარის ოდენობით. ხოლო სსკ 52-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა დანაშაულის საგნები – 11 261 ლარად ღირებული ნივთები, საერთო წონით 205, 5 გრ.

ამდენად, პირობითი მსჯავრის გამოყენებით მიიჩქმალა ქმედების არასწორი კვალიფიკაცია (უფრო მეტიც, უსაფუძვლო ბრალდება), რითაც მიღწეულ იქნა ფისკალური ინტერესი – მოხდა ამოღებული ნივთების სახელმწიფოსათვის გადაცემა და ასევე პირისაგან ჯარიმის სახით თანხის ამოღება.

მაგალითი მეორე (ქრთამის აღება – სსკ 338-ე მ.):

2013 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი თ-ს მიმართ სსკ 338 -ე მუხლის პირველი ნაწილით. მას ბრალად ედება ქრთამის აღება. კერძოდ, მოხელესთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ფულის მოთხოვნა იმისათვის, რომ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობის შესრულებისას სხვა პირის სასარგებლოდ შეასრულოს რაიმე ქმედება.[16] **თ-ს მიმართ ბრალდების არსი შემდეგში მდგომარეობს:** 2010 წლის 1 იანვრიდან თ-მ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო მუშაობა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში პროგრამა „ჩემი სახლის" შტატგარეშე მოსამსახურედ. მის ფუნქციაში შედიოდა ამ პროგრამის ფარგლებში იძულებით გადაადგილებულთა მიერ ბინის მოთხოვნის თაობაზე შემოტანილი განცხადების განხილვა და დევნილებისათვის კონსულტაციის გაწევა, ასევე კონსულტაციის გაწევა სპეციალური კომისიისათვის. ამდენად, თ-ი ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას...მან განიზრახა მატერიალური სარგებლის მიღება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ამ მიზნით იგი ბინის მსურველ დევნილებს და მათ ახლობელს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ დაპირდა დახმარებას, რაც ძირითადად განცხადებების განხილვის არამართლზომიერ დაჩქარებასა და საპრეზიდენტო პროგრამით დადგენილი მოთხოვნის უგულვებელყოფით საცხოვრებელი ფართით

[15] იხ. განაჩენი აღნიშნულ სს საქმეზე.

[16] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/1343-13)

დაკმაყოფილებაში მდგომარეობდა. კერძოდ, იგი 500 აშშ დოლარის სანაცვლოდ დაპირდა ნ-ს, რომ თეთრიწყაროს რაიონში გადასცემდა სამ ოთახიან ბინას მაშინ, როცა ნ-ს ოჯახს წევრების რაოდენობის მიხედვით ეკუთვნოდა 2 ოთახიანი ბინა. ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნდა საცხოვრებელი სახლი, მისი განცხადება ჯერ არ ექვემდებარებოდა განხილვას, რადგან პრიორიტეტი ენიჭებოდა იმ დევნილებს, რომლებსაც ბინა არ ჰქონდათ. ამის მიუხედავად თ-ი დაპირდა ნ-ს, რომ გადასცემდა მას 3 ოთახიან ბინას, რომ მისი საკითხი შეათანხმა ხელმძღვანელობასთან.

მართლაც, 2013 წლის 11 მარტს ნ-ს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გადაეცა 3 ოთახიანი ბინა.

2013 წლის 14 მარტს (ე.ი. ბინის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის შემდეგ) თ-ი ამხილეს მაშინ, როცა მან ნ-ს ახლობლისაგან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აიღო 500 აშშ დოლარი.

მოცემულ საქმეში თ-ს ქმედების კვალიფიკაცია სსკ 338-ე მუხლით სრულებით დაუსაბუთებელია რიგ გარემოებათა გამო:

ა) საქმის მასალებით არაა დადასტურებული, რომ იგი ნამდვილად იყო მოხელესთან გათანაბრებული პირი, რადგან არ ჩანს, რაში გამოიხატებოდა კონსულტაციის გაწევა სპეციალური კომისიისათვის? რამდენად სავალდებულო იყო ამ კომისიისათვის ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურის კონსულტაცია და ჰქონდა თუ არა მას რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა?

ბ) ესეც რომ არ იყოს, ფაქტია, რომ გადაწყვეტილება ბინის გაცემის თაობაზე მიიღო არა ბრალდებულმა, არამედ სპეციალურა კომისამ, რომლის წევრი არ ყოფილა ბრალდებული. ამდენად, მას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების მიღებაში;

გ) აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია ბრალდება იმის შესახებ, რომ თ-მ ჩაიდინა ქრთამის მოთხოვნა , რათა მას როგორც მოხელესთან გათანაბრებულ პირს თანამდებობრივი უფლება-მოვალეობის შესრულებისას სხვა პირის სასარგებლოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება;

დ) ასევე საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ბრალდებულს არც თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის (თუკი საერთოდ ჰქონდა ასეთი რამ) გამოყენება შეეძლო კომისიის წევრებზე, რადგან არ იყო კომისიის წევრებზე უფლებრივად მაღლა მდგომი პირი. შესაბამისად, მას არც თანამდებობრივი მფარველობის გაწევა შეეძლო მოქალაქეებზე ბინის მიღების საკითხთან დაკავშირებით.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, თ-ს ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის გამოძიებას მტკიცებულებები უნდა მოეპოვებინა იმის დასადგენად, ხომ არ იყო თ-ი შუამავალი მექრთამეობაში კომისიის წევრებთან ან მის თავჯდომარესთან? კერძოდ, ხომ არ იყო იგი დამხმარე ქრთამის მიცემაში უკანონო ქმედებისათვის – 25, 339-ე მ-ის მე-2 ნაწილით?

ეს საკითხი მით უფრო იწვევს ეჭვს, რადგან ფაქტია, რომ კომისიამ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და ბინა მისცა ისეთ პირს, ვისაც იგი ამ ეტაპზე

საერთოდ არ ეკუთვნოდა.

როგორც ვხედავთ, ამ საქმეზე სრულებით დაუსაბუთებელია ქმედების კვალიფიკაცია სსკ 338-ე მუხლით, მაგრამ ამ კუთხით არ დაობს დაცვის მხარე, რადგან ამ ნაკლს კარგად „აბალანსებს" საპროცესო შეთანხმება ბრალდებულთან და მის მიმართ სს კანონმდებლობით დადგენილი რამდენიმე შეღავათის გავრცელება. აქედან ერთია მის მიმართ სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით სსკ 338-ე მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე (6 წელი) ნაკლები სასჯელის (3 წელი) გამოყენება. ხოლო მეორე შეღავათი კი არის ბრალდებულის მიმართ სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე რეალურად მხოლოს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდის დაწესება სასჯელაღსრულების დანესებულებაში, ხოლო დანარჩენი ორი წლის ჩათვლა პირობით სსკ 63-64-ე მუხლების მიხედვით და გამოსაცდელ ვადად 3 წლის დადგენა.

მაგალითი მესამე (ფულის გათეთრება – სსკ 194-ე მ.):

2012 წლის 11 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხ.ლა სს საქმე დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვ-ით და 210-ე მუხლის პირველი ნაწილით. კერძოდ ბრალდებულ ლ. მ-ის ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა და შენილბვა, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. მანვე ჩაიდინა ყალბი საანგარიშწორებო და სხვა საგადასახადო დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება.

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ლ. მ-ს დაფუძნებული ჰქონდა შპს, რომელსაც ფაქტობრივად თავად ხელმძღვანელობდა. 2008 წელს მან გურჯაანის მუნიციპალიტეტთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მას ევალებოდა ქ. გურჯაანში ფარნავაზის ქუჩაზე 50 831 ლარის ღირებულების სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების შესრულება. მანვე 2009 წელს ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტთან გააფორმა ხელშეკრულება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერირორირზე და სხვადახვა სოფლებში (სულ 14 სოფელში) წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციაზე, საერთო ღირებულებით 508 448 ლარი. მანვე 2011 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტთან გააფორმა ხელშეკრულება გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობის მე-2 სართულზე საოფისე ფართის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომლის ღირებულება განისაზღვრა 43 719 ლარით.[17]

ბრალდების მიხედვით, ლ. მ-იმ ზემოთ დასახელებული სახელმწიფო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეში

[17] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/3590-12

დარღვევით განიზრახა უკანონოდ დაუფლებოდა სამუშაოთა უზრუნველსაყოფად სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხის ნაწილს და შემდგომ ყალბი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის დამზადებითა და გამოყენებით მოეხდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

ჩანაფიქრის შესასრულებლად ლ. მ-ი ეტაპობრივად ახდენდა შპს-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების დროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და ყალბ მონაცემებს ასახავდა სამუშაოს შესრულების აქტებში, ფორმა №2-ში, შემდგომ სამუშაოს დამკვეთისადმი წარდგენის მიზნით. ასევე ყალბ საანგარიშწორებო ბარათებსა და საგადასახადო დოკუმენტებს, სასაქონლო ზედნადებებს ათავსებდა კომპანიის ბუღალტერიაში და ასახავდა სამუშაოების შესრულების აქტებში, ფორმა №2-ში, რომლებშიც აფიქსირებდა, რომ თითქოსდა მან სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა სამეურნეო პროდუქცია.

2008-2011 წლებში სასაქონლო ზედნადებში ყალბად დაფიქსირებული იქნა, თითქოსდა შპს-მ სამეურნეო პროდუქციის შესაძენად გახარჯა 95 398 ლარი.

ზემოთაღნიშნული დანაშაულებრივი სქემით ლ. მ-იმ სახელმწიფოსაგან გამოყოფილი 602 998 ლარიდან უკანონოდ მიიღო 272 838 ლარი და ყალბი საანგარისწორებო ბარათებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებითა და გამოყენებით მოახდინა მათზე საკუთრების უფლების დამალვა, რითაც შეინილბა მათი წარმომავლობა და განხორციელდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

საინტერესოა, რამდენად სწორადაა შეფასებული ლ. მ-ის ქმედება? არის თუ არა ბრალდებულის ქმედებაში სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები?

დასმულ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, თავდაპირველად უნდა აღიანიშნოს, რომ სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ფულის გათეთრება) ობიექტური ნიშნების განხორციელების წინაპირობაა ის, რომ სახეზე უნდა იყოს დანაშაულის საგანი – უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე სახეზე უნდა იყოს უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მისი ლეგალიზაციისაკენ მიმართული ქმედებების (ქონებით სარგებლობა, შეძენა, ფლობა, კონვერსია, მისი წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის დამალვა და სხვ.) განხორციელება, რისი ჩადენაც ხდება სსკ 194-ე მუხლში ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მიზნით. კერძოდ, მისი უკანონო ან დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, ანდა სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით.

მოცემულ საქმეში სწორედ რომ არაა სახეზე ეს თავდაპირველი წინაპირობა, რადგან შპს-ს ხელმძღვანელს ეს თანხა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოდან კანონიერად ჰქონდა გამოყოფილი ხელშეკრულების ძალით სათანადო სამუშაოების წარმოებისათვის.

ასე რომ ეს ქონება, რომელიც ჯერ არ იყო ლ. მ-ის საკუთრება, არც უკანონო იყო და არც დაუსაბუთებელი. შესაბამისად, არ იდგა და ვერც დადგებოდა საკითხი მის „გათეთრებაზე“. შპს-ს ხელმძღვანელ ლ.მ-ის წინაშე სულ

სხვა საკითხი იდგა.

კერძოდ, იდგა შემდეგი საკითხი: როგორ მიესაკუთრებინა კანონიერად გამოყოფილი თანხის ნაწილი? ბუნებრივია, რომ მას ამ თანხის ნაწილს, რაც იყო ზედმეტი და არ იყო საჭირო სამუშაოების შესასრულებლად, არავინ აჩუქებდა. ამიტომ უნდა შეექმნა სათანადო დოკუმენტი იმისათვის, რომ ეს თანხა მის უკანონო საკუთრებაში გადასულიყო და ასევე იმის სამტკიცებლად, რომ მან ეს თანხა თითქოს კანონიერად გახარჯა.

განსახილველი განაჩენიდან არ ჩანს, ზემოთხსენებული თანხა (რომლის ნაწილიც მიისაკუთრა ბრალდებულმა), მისაკუთრებამდე უკვე იყო თუ არა გადარიცხული ლ. მ-ის შპს-ს ანგარიშზე. **ამიტომ ეს შემთხვევა ჩვენ ორ ვარიანტში უნდა განვიხილოთ.**

პირველი ვარიანტი: ვთქვათ, ეს თანხა, მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებამდე უკვე გადარიცხული იყო შპს-ს ანგარიშზე. მის ხელმძღვანელს ევალებოდა მისი კანონიერად გახარჯვა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა სათანადო სახელმწიფო ორგანოსათვის ანგარიშის სახით.

ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ეს თანხა იმყოფებოდა ბრალდებულ ლ. მ-ის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში, რადგან მას იგი გადაეცა სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის შესაბამისად აღნიშნულ შპს-ს უნდა შეესრულებინა და შეასრულა კიდეც გარკვეული სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები.

ამ რეალობაში ის ფაქტი, რომ შპს-ს ხელმძღვანელმა განიზრახა ამ თანხის ნაწილის უკანონოდ დაუფლება (როგორც ეს განაჩენშია ნათქვამი და თუ ამ ფაქტს სადაოდ არ გავხდით), ნიშნავს იმას, რომ მან განიზრახა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხის ნაწილის მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 182-ე მ-ის მე-2 ნაწ-ის „დ“ ქვ.), რაც განახორციელა კიდეც. კერძოდ, ამ განზრახვის შესასრულებლად მან შეგნებულად გაზრდილი ხარჯები უჩვენა სამუშაოს შესრულების აქტებში, ფორმა №2-ში, რასაც ათავსებდა კომპანიის ბუღალტერიაში. ასევე შემდგომში წარუდგინა ისინი სამუშაოს დამკვეთს.

ამდენად, **სამუშაოს შესრულების აქტებში ფიქტიური მონაცემის შეტანა აუცილებელი იყო მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხის ნაწილის მითვისებისათვის, შემდეგ კი შემკვეთზე მისი წარდგენით, ამ მითვისების ფაქტის დამალვისათვის.**

თუ იგი სათანადო დოკუმენტებში არ დააფიქსირებდა დაზრდილ ხარჯებს, ისე ვერ მიითვისებდა თანხის ნაწილს, რადგან ამ თანხას იგი ფიზიკურად არ ფლობდა (როგორც ამას ადგილი აქვს ზოგჯერ. მაგალითად, ბანკის მოლარე ფიზიკურად ფლობს ბანკის კუთვნილ თანხას და მას მისი მისაკუთრება ყოველგვარი ყალბი დოკუმენტის შედგენის გარეშეც შეუძლია). ეს თანხა მხოლოდ მისი ორგანიზაციის ანგარიშზე ირიცხებოდა და საჭირო იყო ამ ანგარიშიდან მისი მოხსნა სათანადო დოკუმენტის საფუძველზე. შესაბამისად, ამ თანხასთან ლ.მ-ს

ჰქონდა არა ფიზიკური წვდომა, არამედ სამართლებრივი წვდომა, იყო რა იგი ჩარიცხული მისი შპს-ს ანგარიშზე.

ასევე თუკი იგი ამგვარი გაზრდილი ხარჯის ამსახველი შინაარსის დოკუმენტს არ წარუდგენდა დამკვეთს, დამკვეთი მას უკან მოსთხოვდა თანხის იმ ნაწილს, რაც ზედმეტად დარჩა სამუშაოს მთლიანად შესრულების შემდეგ.

ყველაფერი ეს ნიშნავს იმას, რომ **სათანადო დოკუმენტებში გაზრდილი ხარჯვის აღნიშვნა ემსახურებოდა არ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, არამედ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხის ნაწილის მითვისებას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.**[18]

აღნიშნულ განაჩენში სწორადაა მითითებული, რომ „ლ. მ-მა ზემოთ დასახელებულ სახელმწიფო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეში დარღვევით განიზრახა უკანონოდ დაუფლებოდა სამუშაოთა უზრუნველსაყოფად სახელმწიფოსაგან გამოყოფილი თანხის ნაწილს... ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი სქემით ლ-ნ მ-მა სახელმწიფოსაგან გამოყოფილი 602 996 ლარიდან უკანონოდ მიიღო 272 838 ლარი...“.

განაჩენში ბრალდების ასეთი ფორმულირება ფაქტობრივად იმის აღიარებაა, რომ ბრალდებულმა განახორციელა მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. თუმცა განაჩენში ამ სწორ ფორმულირებას არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება და იქვე გრძელდება: „...და ყალბი საანგარიშო ბარათებისა და საგადასახადო დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით მოახდინა მათზე საკუთრების უფლების დამალვა, რითაც შენილბა მათი წარმომავლობა და განახორციელა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“.

რა შეცდომაა დაშვებული ამ მსჯელობაში?

პირველი შეცდომა არის ის, რომ არასწორადაა განსაზღვრული ბრალდებულის მიზანი.

რას ემსახურებოდა სხვადასხვა აქტებში არასწორი, გაზრდილი მონაცემის შეტანა ? ემსახურებოდა კი იგი უკანონოდ მისაკუთრებულ თანხაზე საკუთრების უფლების დამალვას?

რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ამგვარი დუკუმენტის შედგენა ემსახურებოდა პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხის ნაწილის (რომელიც არ იყო მისი საკუთრება) უკანონოდ მითვისებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს თანხა მის ქონებას უნდა მიერთებოდა გარეგნულად (ფორმალურად) კანონიერი გზით. **ამდენად, პირის მიზანი იყო**, ეს თანხა, რომელიც მის მართლზომიერ მფლობელობაში იყო, გადასულიყო მის საკუთრებაში და უკვე მისი ქონების

[18] ფულის გათეთრების მომიჯნავე დანაშაულებთან გამიჯვნის საკითხზე დაწვრილებით იხ. გ. მამულაშვილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბ. 2012, გვ. 814-818; გ. მამულაშვილი, კიდევ ერთხელ ფულის გათეთრების შესახებ, პროფ. მ. ლეკვეიშვილის 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ. 2014, გვ. 147- 163

ხილული ნაწილი გამხდარიყო. თანაც ეს გადასვლა ისე უნდა განხორციელებულიყო, რომ გარეგნულად მას კანონიერი სახე მისცემოდა.

რა ხდება ფულის გათეთრებისას?

ფულის გათეთრებისას მასზე „საკუთრების უფლების დამალვა" გულისხმობს ისეთ ვითარებას, როცა სახეზეა უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება, რასაც უკვე ფლობს კონკრეტული პირი არამართლზომიერად. ამდენად, მის წინაშე დგას ამოცანა, დამალოს საკუთრების უფლება ამ ქონებაზე. ე.ი. განახორციელოს ქმედება, რომლის შედეგადაც უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება არ გამოჩნდეს ამ პირის საკუთრებაში, ანუ ფორმალურად იგი არ უნდა ირიცხებოდეს მის ქონებრივ ფონდებში, შეიქმნას ილუზია, რომ ეს ქონებაზე პირს არა აქვს საკუთრების უფლება. მაგალითად, პირი უკანონოდ მიღებულ თანხაზე ბანკში ანგარიშს ხსნის „ცრუმაგიერი" პირის სახელით.

ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში კი სიტუაცია პირიქით იყო: ბრალდებულის ფაქტობრივ საკუთრებაში ჯერ არ იყო არანაირი ქონება. იგი მხოლოდ მის მართლზომიერ მფლობელობაში იყო გადარიცხული სახელმწიფოს სათანადო ორგანოებიდან გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, პირის მიზანი იყო ისე მიეთვისებინა ეს თანხა, რომ იგი სწორედ რომ გამოჩენილი ყოფილიყო მის ქონების ნაწილად ფორმალურად კანონიერი სახით (როგორც ვითომც გაწეული სამუშაოს შესრულებისათვის გახარჯული თანხა და მიღებული გასამრჯელო).

მეორე შეცდომა, რაც განაჩენით დაშვებულია ამ მსჯელობაში არის ის, რომ თითქოს ბრალდებულმა ამ ფულზე საკუთრების უფლების დამალვით შენიღბა მათი წარმომავლობა და განახორციელა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

როგორც უკვე ითქვა, ბრალდებულის წინაშე არ იდგა ამოცანა, ამ ფულის წარმომავლობის შენიღბვისა, რადგან ამ ფულს არ ჰქონდა უკანონო წარმომავლობა. იგი კანონიერად იყო გადარიცხული შპს-ს ანგარიშზე.

გამომდინარე აქედან, ფიქტიური მონაცემის ოფიციალურ დოკუმენტში შეტანა ემსახურებოდა ფულის მითვისებას და არა მისი წარმომავლობის დაფარვას.

ამდენად, მას ფიქტიური მონაცემის ოფიციალურ დუკუმენტში შეტანით არ მომხდარა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, არამედ მოხდა თანხის მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

რაც შეეხება იმას, **რომ მან ფიქტიური მონაცემის ამსახველი დოკუმენტები წარუდგინა სათანადო სახელმწიფო ორგანოს (შემკვეთს), ამით მოხდა არა უკანონო შემოსავლის (მითვისებული თანხის) ლეგალიზაცია, არამედ – მითვისების ფაქტის გაფარვა.**

ამდენად, ბრალდებულ ლ. მ-ის მიერ ფორმა № 2-ში არასწორი მონაცემის შეტანა ემსახურებოდა ფულის მითვისებას (რადგან ამის გარეშე იმ ვერ მიითვისებდა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხის ნაწილს, რომელსაც იგი ფიზიკურად არ ფლობდა), ხოლო ამ დოკუმენტების წარდგენა სამუშაოს დამკვეთზე ემ-

სახურებოდა მითვისების ფაქტის დამალვას.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ბრალდებულის მიერ განხორციელებული დანაშაულის (მითვისება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით) შედეგად **უკვე სახეზეა უკანონო შემოსავალი, რაც მომავალში შესაძლებელია, გახდეს ფულის გათეთრების საგანი.**

სადაო არაა, რომ ფულის გათეთრების საგანი შეიძლება მოპოვებული იქნეს ისეთი პრედიკატული დანაშაულითაც, როგორიცაა მითვისება ან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს ფული არ გამხდარა ამ ფულის გათეთრების საგანი, რადგან მითვისების ფაქტის დამთავრების შემდეგ არ განხორციელებულა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ფულის გათეთრების ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნიშანი ბრალდებულის ან სხვა პირის მხრიდან.

მეორე ვარიანტი: ვთქვათ, ეს თანხა ჯერ არ იყო გადარიცხული შპს-ს ანგარიშზე. ხელშეკრულების მიხედვით, იგი შპს-ს ანგარიშზე ეტაპობრივად გადაირიცხებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (ანუ შპს-ს ხელმძღვანელი) წარუდგენდა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს სათანადო დოკუმენტს, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი, თუ რა თანხა იყო საჭირო საჭირო მასალის შესაძენად, თუ კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად.

ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ეს თანხა არ იყო შპს- ს ხელმძრვანელ ლ. მ-ის მართლზომიერ მფლობელობაში ან განმგებლობაში. შესაბამისად, გამორიცხულია საუბარი ქონების მითვისებასა ან გაფლანგვაზე (სსკ 182-ე მ.).

ასეთ შემთხვევაში **ბრალდებულის ქმედებაში არის თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის** გამოყენებით (სსკ 180-ე მ-ის მე-3 ნაწ. „ა' ქვ.).

კერძოდ, მან განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა იმ თანხის ნაწილს, რაც ხელშეკრულების საფუძველზე შეთავაზებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებიდან აღნიშნულ შპს-ზე, თუკი იგი შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. სხვისი ქონების დაუფლების ხერხად კი ბრალდებულმა ლ. მ-იმ გამოიყენა მოტყუება, რისი განხორციელება ადვილად შესძლო გამომდინარე თავისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან (იყო რა შპს-ს ხელმძრვანელი, რომელთანაც გაფორმებული იყო სათანადო ხელშეკრულება).

მოტყუება კი გამოიხატა იმაში, რომ იგი ეტაპობრივად ახდენდა შპს-ს მიერ გაწეული ხარჯების ხელოვნულად გაზრდას და ამ ყალბ მონაცემებს ასახავდა სამუშაოს შესრულების აქტებში. ყალბი მონაცემების წარდგენის გზით, ბრალდებული ატყუებდა სათანადო ორგანოებს, რომელთანაც მას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული სამუშაოს შესრულებაზე. გამომდინარე ამ ყალბი მონაცემებიდან, რომელთა რეალობაში ეჭვი არავის შეჰქონდა, შპს -ს ანგარიშზე სათანადო ორგანოები ახდენდნენ შესაბამისი თანხის გადარიცხვას, რასაც ისაკუთრებდა ბრალდებული ლ. მ-ი. მას რომ სწორი მონაცემები აესახა სათანადო

დოკუმენტებში, მაშინ შესაბამისი ორგანოები გაცილებით ნაკლებ (შესრულებული სამუსაოს შესაბამის) თანხას გადარიცხავდნენ შპს-ს ანგარიშზე.

ამდენად, ამ შემთხვევაში ბრალდებულის ქმედება არის თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით (სსკ 180-ე მ-ის მე-3 ნაწ-ის '" ა" და „ბ" ქვ-ები.

გამომდინარე აქედან, ისმის კითხვა: რით ემსგავსება და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მითვისება, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და თაღლითობა, რაც ასევე ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით?

მათ შორის საერთოა ის, რომ ორივე შემთხვევაში პირი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულის ჩასადენად იყენებს მის სამსახურებრივ მდგომარეობას. სახეზე შეიძლება იყოს როგორც მოხელე, ისე კერძო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა კერძო ორგანიზაციის (შპს-ს) ხელმძღვანელი, რომელიც ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.

ამდენად, ეს დანაშაულები არის სსკ 332-ე მუხლისა (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და სსკ 220-ე მუხლის (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) კერძო შემთხვევა.

ამ **ორ დანაშაულს შორის განსხვავება** ისაა, რომ ერთ შემთხვევაში (მითვისებისას) სხვისი ნივთი ან ქონება უკვე გადაცემულია იმ პირის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, რომელსაც პასუხსაგები თანამდებობა უკავია სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციაში. ამდენად, ეს ნივთი არის ამ ორგანიზაციის ქონებრივ ფონდებში. პირი კი სარგებლობს რა ბოროტად ამ სამსახურებრივი მდგომარეობით, სხვადასხვა უკანონო ქმედების გზით ითვისებს სხვის ნივთს ან ქონებრივ უფლებას, რაც მითვისებამდე მის მართლზომიერ მფლობელობაში იყო, როგორც ამ ორგანიზაციის ქონებაზე პასუხისმგებელი პირისა (თუმცა, რა თქმა უნდა, არ იყო მის საკუთრებაში).

თაღლითობისას კი სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება არ იმყოფება მოხელის ან კერძო ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში, ანუ იგი არ ირიცხება მისი ორგანიზაციის ქონებრივ ფონდებში, არამედ იგი მოტყუების გზით (რასაც ადვილად სჩადის თავისი სამსახურებივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) აღწევს იმას, რომ სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება გადარიცხულ იქნეს მის პირად ანგარიშზე ანდა იმ ორგანიზაციის ანგარიშზე, რომლის წარმომადგენელიც არის თავად. მაგალითად, შეადგენს ყალბ დოკუმენტს და წარუდგენს მას სათანადო ორგანიზაციას ან ფიზიკურ პირს, ან სხვაგვარად მიაწვდის მათ ყალბ ინფორმაციას, რათა მისგან მოტყუებით მიიღოს ნივთი ან სხვა ქონება. შემდეგ კი მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება მას.

საინტერესოა საკითხი, შედის თუ არა სათანადო დოკუმენტებში ყალბი მონაცემების შეტანა თაღლითობისა და მითვისების ამ მაკვალიფიცირებელ გარემოე-

ბაში (ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), **თუ ამგვარი ქმედება უნდა შეფასდეს დანაშაულთა ერთობლიობით?**

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ნათელი ხდება, რომ პრაქტიკაში ყველა ამგვარ შემთხვევას ეძლევა დანაშაულთა ერთობლიობის შეფასება.

სწორი მიდგომის მიხედვით კი საკითხი უნდა გადაწყდეს დიფერენცირებულად. კერძოდ: ა) როცა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ყალბი მონაცემის შეტანა სათანადო დოკუმენტებში იყო მითვისებისათვის (ან თაღლითობისათვის) აუცილებელად საჭირო ხერხი, ანუ იგი ამ ხერხის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო; ბ) როცა შეიძლებოდა ამ ნივთის მითვისება ან თაღლითობის ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ყალბი დოკუმენტების შექმნის გარეშეც.

პირველ შემთხვევაში, კერძოდ, თუ დამტკიცდება, რომ პირმა, რომელმაც გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა, იმიტომ შეიტანა ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი მონაცემი, რომ სხვაგვარად იგი ვერ ჩაიდენდა მითვისებას ან თაღლითობას (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზემოთ განხილულ მაგალითზე), მაშინ გამოდის, რომ ამ დანაშაულის ჩადენისას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება არა სხვა რაიმე ქმედებაში, არამედ სწორედ რომ ყალბი დოკუმენტის შედგენაში და მის გამოყენებაში გამოიხატა. მას რომ არ ჰქონოდა გარკვეული სამსახურებრივი მდგომარეობა, ამგვარ ოფიციალურ დოკუმენტს, რასაც იურიდიული ძალა მისი ხელმოწერისას ეძლევა, ვერ შეადგენდა. ასევე ვერ გამოიყენებდა მას, როგორც მოხელისა, თუ კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლის სახელით.

ამდენად, ასეთ დროს ამ ქმედებათაგან ერთ-ერთი – როგორც ყალბი დოკუმენტის შედგენის, ისე მისი გამოყენების ფაქტი, არის მოცემული დანაშაულის (მითვისების) ამ დამამძიმებელი გარემოების ობიექტური შემადგენლობის ნიშანი. კერძოდ, მისი დაუმთავრებელი სტადიაა – მითვისების მცდელობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ხოლო დანაშაული დამთავრებულია მას შემდეგ, რაც პირი ამ დოკუმენტის გამოყენებით მითვისებს მის მართლზომიერ მფლონელობაში არსებულ ნივთს. შესაბამისად, ამ დროს არაა საჭირო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას მითვისების ამ დამამძიმებელ გარემოებასთან ერთად პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. ამ ქმედების ერთობლიობით კვალიფიკაციისას გამოვა, რომ ჩვენ პირის ერთ ქმედებას – სამსახურებრივი მდგომარეობის არაკეთილსინდისიერად ანუ ბოროტად გამოყენების ფაქტს – ორჯერ მივცემთ სამართლებრივ შეფასებას. ეს კი ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს (non bis in idem).[19] მსგავს შემთხვევებში, საკმარისია, ბრალდების ფორმულირებაში აღინიშნოს, რომ პირმა, გამოიყენა რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, სხვისი ნივთის მითვისების მიზნით, ყალბი მონაცემები შეიტანა ოფიციალურ დოკუმენტში, თუ

[19] ამ საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 33

სხვა აქტში, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება – მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე და ხერხი (სსკ 53-ე მ-ის მე-3 ნაწ.). ბრალდებაში ამის აღნიშვნას სხვა დატვირთვაც აქვს. კერძოდ: ა) მას აქვს მტკიცებითი მნიშვნელობა; ბ) გარდა ამისა, თუ მოხდა ისე, რომ საქმის გამხილველმა სასამართლომ ეს პირი გაამართლა მითვისების ბრალდებაში მისი დაუსაბუთებლობის გამო, თუმცა დადასტურებულია მის მიერ ყალბი დოკუმენტის შედგენის ფაქტი, სასამართლო მას ბრალს დასდებს სამსახურებრივ სიყალბეში (სსკ 341-ე მ.), ან ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შედგენაში (სსკ 362-ე მ.).

საკითხის უფრო დეტალურად გარკვევისათვის განსახილველი შემთხვევა უნდა გაიმიჯნოს იმ შემთხვევისაგან, როცა სახეზეა დანაშაულის მომზადება, რაც შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებსაც (მაგალითად, მკვლელობის მიზნით ცეცხლსასაროლი იარაღის შეძენა).

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ როცა დანაშაულის მომზადება შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით. მაგალითად, პეტრემ გადაწყვიტა პავლეს მოკვლა. ამისათვის მან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი. სახეზეა როგორც მკვლელობის მომზადება (18, 108-ე მ.), ისე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა (236-ე მ-ის პირვ. ნაწ.).[20]

რით განსხვავდება ეს შემთხვევა ჩვენს მიერ ზემოთ განხილული შემთხვევისაგან? სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი დანაშაულის მომზადებისას შესაძლოა ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, რატომ არ შეიძლება ასევე ერთობლიობით დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისება (ან თაღლითობა იგივე ვითარებაში) დანაშაულთა ერთობლიობით?

პასუხი აქ ასეთი უნდა იყოს:

ა) მართალია, ამ მაგალითში მკვლელობისათვის მომზადება გამოიხატა იარაღის შეძენაში, მაგრამ იარაღის შეძენა არაა მკვლელობის მომზადების ერთადერთი და აუცილებელი საშუალება. მკვლელობის მომზადება სხვა გზითაცაა შესაძლებელი. მაგალითად, ცივი იარაღის, საწამლავის, თოკის, ქვის, ჯაჭვის ან სხვა საგნის შეძენით. უფრო მეტიც, მისი მომზადებისათვის საერთოდ არაა აუცილებელი რაიმე საგნის შეძენა, რადგან იგი შეიძლება მომზადდეს სხვა გზით – დანაშაულის ჩადენის ადგილის წინასწარი დათვალიერებით და იქ ჩასაფრებითაც. ზემოთხსენებულ შემთხვევაში კი მითვისების (ან თაღლითობის) ჩადენა ხელმძღვანელ პირს არ შეეძლო, თუ არ შექმნიდა ფიქტიურ დოკუმენტებს, რადგან არ ქონდა ქონებაზე ფიზიკური წვდომა. მას ამ ქონებაზე მხ-

[20] შეად. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ. 2013, გვ. 238; ი. დვალიძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2007, გვ. 158

ოლოდ სამართლებრივი წვდომა ჰქონდა როგორც ამ ორგანიზაციის ანგარიშზე არსებულ ქონებაზე პასუხისმგებელ ხელმძღვანელ პირს;

ბ) საერთოდ, დანაშაულის მომზადება არაა ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დასაწყისი, არამედ იგი მხოლოდ პირობებს ქმნის კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. გამომდინარე აქედან, შეძენილი იარაღით პირმა მკვლელობის მცდელობა ან თუნდაც დამთავრებული მკვლელობაც რომ ჩაიდინოს, მისი ქმედება მაინც დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს, რადგან მკვლელობის ჩასადენად არაა აუცილებელი ცეცხლსასუნი იარაღის შეძენა ან მისი გამოყენება. მკვლელობის მომზადება, როგორც უკვე აღინიშნა, ასევე მისი ჩადენა სხვა საშუალებითაც შეიძლება.

ეს მოსაზრება უფრო ნათლად რომ წარმოჩინდეს, აქვე **ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მითვისების** (ან თაღლითობის) ძირითადი შემადგენლობა და იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

საქმე ისაა, რომ მითვისების მარტივი შემადგენლობის განხორციელებისათვის სრულებით არაა აუცილებელი ყალბი მონაცემების შეტანა რაიმე დოკუმენტებში. მითვისების განხორციელება ისედაც თავისუფლად შესაძლებელია.

მაგალითად, მაღაზიის გამყიდველს ყოველგვარი ყალბი დოკუმენტის შედგენის გარეშე, თავისუფლად შეუძლია, მიითვისოს ის ნივთი, რაც , მის მართლზომიერ მფლობელობაშია, რადგან ამ მას ამ ნივთზე აქვს ფიზიკური წვდობა (იგი მის მართლზომიერ მფლობელობაშია). სხვა საკითხია, რომ შესაძლოა, მან ამ დანაშაულის დაფარვისათვის გააყალბოს ოფიციალური დოკუმენტი.

რაც შეეხება თაღლითობას (სსკ 180-ე მ-ის პირვ. ნან.), იგი ხშირად ხორციელდება (თუმცა არა ყოველთვის) ყალბი დოკუმენტის გამოყენებით, რაც ზოგჯერ თავად ამ დანაშაულის სუბიექტის მიერაა დამზადებული. სწორედ ამ დროს დგას საკითხი ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციისა.

საქმე ისაა, რომ განსხვავებით სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი ზემოთ განხილული შემთხვევისაგან, თაღლითობის დროს პირი ამ დოკუმენტის დამზადებისას არ იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. კერძოდ, ეს დოკუმენტი სამართლებრივ ძალას არ იძენს მისი სახელისა და გვარის დაფიქსირებით, ანუ ამ პირის ნამდვილი ხელმოწერით. პირიქით, ამ დროს დოკუმენტზე არაა ამ პირის ხელმოწერა, არამედ იგი სხვის ნაცვლად აწერს ხელს და ამით აყალბებს დოკუმენტს.

ასევე ამ დოკუმენტის გამოყენებისას არ ხდება ამ პირის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რადგან მისი სამსახურებრივი მდგომარეობა (თუკი მას საერთოდ უკავია რაიმე სამსახურებრივი პოზიცია), არ აძლევს ამგვარი დოკუმენტის გამოყენების შესაძლებლობას ამ სამსახურის სახელით.

მაგალითად, პეტრემ შეადგინა ყალბი პირადობის მოწმობა და მისი გამოყენებით მოტყუებით შეძლო სხვისი კუთვნილი ფულის დაუფლება. ასეთი შემთხვევა, რა თქმა უნდა, საჭიროებს კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით – თაღლითობა და ყალბი დოკუმენტის დამზადება (სსკ 180-ე მ. პირვ. ნან. და

362-ე მ. პირვ. ნაწ.), რადგან ყალბი დოკუმენტის დამზადება არაა თაღლითობის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი. თაღლითობის ობიექტური შემადგენლობა (კერძოდ, მოტყუება) არ გულისხმობს ყალბი დოკუმენტის შედგენას. ყალბი დოკუმენტის შედგენა შეიძლება იყოს (შეიძლება, მაგრამ სავალდებულოც კი არაა ამ დანაშაულის მომზადებისათვის) მოტყუების მომზადების სტადია, მაგრამ არა თავად მოტყუება. მოტყუება ამის შემდეგ იწყება ამგვარი დოკუმენტის სათანადო ორგანოსადმი წარდგენით, ანუ მისი გამოყენებით.

სულ სხვაგვარად წყდება საკითხი,როცა სახეზეა თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. კერძოდ, თუკი პირი თაღლითობის ჩასადენად იყენებს ყალბ დოკუმენტს, რაც მის მიერაა დამზადებული თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ასევე როცა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა აძლევს მას ამ დოკუმენტის გამოყენების შესაძლებლობას გარკვეული თანხის გადანაწილების საკითხის გადასაწყვეტად, რაც მისი ორგანიზაციის ანგარიშზე ირიცხება (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩვენს მიერ ზემოთ განხილული შემთხვევის მეორე ვარიანტში), მაშინ სახეზეა არა თაღლითის მარტივი შემადგენლობა (180-ე მ. პირვ. ნაწ.), არამედ სახეზეა თაღლითობის დამამძიმებელი გარემოება – ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 180-ე მ-ის მე-3 მაწ. „ა“ ქვ.).

რაც შეეხება მითვისებას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ეს ის შემთხვევაა, როცა ხელმძღვანელ პირი მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ნივთს ფიზიკურად არ ფლობს. მაგალითად, ორგანიზაციის ანგარიშზე არსებული თანხა მოხელეს კაბინეტში ან სხვა ხელმისაწვდომ ადგილას კი არ უდევს (როგორც გამყიდველს ან დისტრიბუტორს), არამედ იგი საბანკო ანგარიშზე ირიცხება. ამიტომ მას არ შეუძლია მისი დაუფლება და თავის ქონებაზე მიერთება, თუ საამისოდ რაიმე დოკუმენტს არ შეადგენს, რითაც მან ფორმალურად უნდა შექმნას ამ ქონების განკარგვისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, ამ შემთხვევაში მითვისებისას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება სწორედ რომ ამგვარი ფიქტიური დოკუმენტის შედგენაში გამოიხატა და მას დამატებითი კვალიფიკაცია არ უნდა მიეცეს.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანა არის მითვისების (ან თაღლითობის) არა ჩადენის, არამედ მისი შენიღბვის ხერხი.

ამდენად, უნდა განვიხილოთ მეორე შემთხვევა.

მაგალითად, სახელმწიფო ორგანიზაციაში მოიტანეს ახალი ძვირადღირებული ავეჯი (ან ტექნიკა). ორგანიზაციის ხელმძღვანელმა (მოხელემ) გადაწყვიტა მისი მითვისება. ამ მიზნით მან უბრძანა ხელქვეითებს, ეს ავეჯი წაიღოთ მის სახლში, რაც ხელქვეითებმა შეასრულეს. ამ გზით მან ეს ნივთი მიისაკუთრა.

ამ ფაქტის დაფარვის მიზნით ხელმძღვანელმა ოფიციალურ დოკუმენტში უჩვენა, რომ ვითომც ეს ავეჯი ტრანსპორტირებისას სრულიად გაფუჭდა (ვთქვათ, დაიმტვრა) და ამდენად, დაექვემდებარა ჩამოწერას და განადგურებას.

მოცემულ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტის შექმნა არის მოხელის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ნივთის არა მითვისების ხერხი, არამედ მითვისების დაფარვის საშუალება. მოხელეს ყალბი დოკუმენტის გარეშეც შეუძლია (და შეძლო კიდეც) ამ ნივთის მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც გამოიხატა ხელქვეითებზე უკანონო ბრძანების გაცემაში – წაელოთ ეს ნივთი მის სახლში. ამდენად, აქ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება მითვისებისას გამოიხატა არა ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანაში, არამედ ხელქვეითებზე უკანონო ბრძანების გაცემაში. მან სწორედ ამ გზით (ხელქვეითებზე სამსახურებრივი ზემოქმედების გზით) მიითვისა ეს ნივთი.

თუმცა საქმე ისაა, რომ ეს ფაქტი აშკარა გახდება, როცა ჩატარდება შესაბამისი შემოწმება. ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი ვერ გასცემს პასუხს კითხვას: სად წავიდა ის ავეჯი, რაც შეძენილ იქნა ორგანიზაციის სახსრებით ამ ორგანიზაციის საჭიროებისათვის.

ამდენად, **მოცემულ შემთხვევაში მას სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა სჭირდება დანაშაულის დასაფარად და არა მის ჩასადენად.**

ამ შემთხვევაში მოხელის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – როგორც მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისე სამსახურებრივი სიყალბე (სსკ 341-ე მ.).

მაგალითი მესამე: 2014 წლის 30 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდებულ რ. ქ-ს საქმე, რითაც **დამნაშავედ ცნო იგი საქართველოს სსკ 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით ფალსიფიკაციის ჩადენაში**, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.[21]

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

2013 წლის 4 თებერვალს კომერციული და სამეწარმეო საქმიანობის წარმოების მიზნით რ. ქ-ს მიერ დარეგისტრირებული იქნა ინდ. მეწარმე „რ.ქ-ა", რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა შებოლილი თევზის პროდუქციის დამზადება-რეალიზაცია. საწარმო საქმიანობას უძღვებოდნენ რ.ქ-ი და ლ. ქ-ა. იჯარით აღებულ ფართში.

საქმიანობის წარმოების პროცესში მატერიელური სარგებლის მიღების მიზნით, რ. ქ-მ და ლ.ქ-ამ ერთად განიზრახეს თვისობრივად შეცვლილი თევზის დამზადება-რეალიზაცია, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამ მიზნით ისინი ჯგუფურად ამზადებდნენ თვისობრივად შეცვლილ ფალსიფიცირებულ თევზის პროდუქტებს. კერძოდ, აღნიშნული პირები ანგარების მოტივით ქიმიური საღებავების გამოყენებით ახდენდნენ თევზის პროდუქტების შებოლვის იმიტაციას, რის შემდეგადაც ამ

[21] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/5558-14

პროდუქციას ასაღებდნენ თბილისის სხვადასხვა სავაჭრო სქელებში.

2014 წლის 9 ივლისს ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიების ფარგლებში მოხდა საკონტროლო შესყიდვა აღნიშნული პირების მიერ დამზადებული თევზის პრუდუქტებისა. კერძოდ, ერთი კილოგრამი ზეთოვანას და ერთი კილოგრამი სტავრიდის შებოლილი პროდუქტისა.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს 2014 წლის 23 ქგვისტოს ქიმიური და მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით საკონტროლო შესყიდვისას შეძენილი თევზის ნიმუშები არ შეესაბამება შებოლილი თევზისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შეცვლილი აქვს თვისობრიობა, ხოლო სტავრიდას ნიმუში ასევე საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ამავე ექსტერტიზის ბიუროში ჩაუტარდა ექსპერტიზა ჩხრეკის შედეგად იჯარით აღებული ფართიდან ამოღებულ შებოლილი თევზის ნიმუშებს (17 ცალი ორაგულის ჯიშის თევზი და 10 ცალი თევზის ფილე – ე.წ. „მასლიანკა"). ექსპეტრიზის დასკვნით ეს ნიმუშებიც არ შეესაბამება ამ სახეობის თევზებისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შეცვლილი აქვს თვისობრიობა, ასევე საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

საკითხავია, რამდენად სწორადაა დაკვალიფიცირებული ჩადენილი ქმედება? კერძოდ, არის თუ არა მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის ქმედებაში ფალიფიკაცია, რასაც შეეძლო,საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა ადა ჯანმრთელობისათვის?

ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, ჯერ უნდა გაირკვეს, არის თუ არა ამ ქმედებაში ფალსიფაციის ძირითადი შემადგენლობის ნიშნები.

ფალსიფიკაცია არის დანაშაული, რომლის **ობიექტური შემადგენლობა** კუმულაციურად გულისხმობს რამდენიმე ნიშანს: ა) გარკვეულ ქმედებას და ბ) კონკრეტული ხერხის გამოყენებას.

სუბიექტურ შემადგენლობაში კი იგი აუცილებლად გულისხმობს ანგარების მოტივს (მოტივით დაფუძნებული დელიქტი).

კერძოდ, ეს ქმედება არის ნივთის თვისობრიობის (და არა ხარისხის) შეცვლა. ხოლო ხერხად გამოყენებული უნდა იყოს მოტყუება. ანუ ნივთის თვისობრიობა შეცვლილი უნდა იყოს აუცილებლად მოტყუებით. ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთუ პირი, მართალია, ცვლის ნივთის თვისობრიობას, მაგრამ არ მალავს იმას, რომ ეს ნივთი თვისობრივად შეცვლილია, სახეზე არა გვაქვს ფალიფიკაცია, თუნდაც სახეზე იყოს ანგარების მოტივი.

მაგალითად, პეტრემ დაამზადა ხელოვნული ხიზილალა ან თაფლი, გაუკეთა შესაბამისი ეტიკეტი („ხელოვნული ხიზილალა") და დაიწყო მისი გაყიდვა. თუკი ეს ხელოვნული ნაწარი შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და არაა საშიში ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, პეტრეს ქმედებაში არაა არათუ ფალსიფიკაციის, არამედ სხვა დანაშაულის ნიშნებიც. აქ ვერაფერს შეცვლის ის ფაქტი, რომ პეტრე მოქმედებდა ანგარების (ქონებრივი სარგებლის) მოტივით.

ვინაიდან ჩვენმა კანონმდებელმა ფალსიფიკაცია აუცილებლად დაუკავშირა ნივთის თვისობრიობის (და არა ხარისხის) შეცვლას, სასამართლო პრაქტიკაში პრობლემური გახდა ქმედების ფალსიფიკაციად კვალიფიკაციის საკითხი. ასევე პრობლემური გახდა ფალსიფიკაციის გამიჯვნა სხვა მსგავსი დანაშაულისაგან, როგორიცაა მაგალითად, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა, რეალიზაცია (სსკ 198-ე მ.).

ეს პრობლება უფრო თვალშისაცემია, როცა საქმე ეხება ისეთ ფალსიფიკაციას, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (197-ე მ-ის მე-3 ნაწ.).

ისმის კითხვა: რით განსხვავდება ასეთი ფალსიფიკაცია სსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან (ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება)?

სანამ ამ კითხვას გავცემთ პასუხს, უმჯობესია, ჯერ გავმიჯნოთ ფალსიფიკაციის პირველი ნაწილი და სსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილი:

ა) ფალსიფიკაციის დროს აუცილებლად ადგილი აქვს ნივთის თვისობრიობის შეცვალას. ამდენად, მზადდება ისეთი ნივთი, რაც სულ სხვა თვისების მატარებელია, თუმცა იგი გამოიყურება, როგორც ის ნივთი, როგორადაც ამას წარმოგვიდგენს მწარმოებელი ან გამსაღებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნივთი გარეგნული ფორმით, სუნით, ასევე გემოთი (თუ სახეზეა კვების პროდუქტი) ჰგავს რაიმე ნივთს, მაგრამ თვისობრივად სულ სხვაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფალსიფირებული ნივთის ინგრედიენტი არ შეესაბამება იმ ნივთის ინგრედიენტებს, რა ნივთადაც იგი წარმოდგენილია მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ. მაგალითად, გარეგნულად და გემოთი ჰგავს თაფლს, მაგრამ თაფლი არაა.

რაც შეეხება სსკ 198-ე მუხლს, აქ ადგილი არა აქვს ნივთის თვისობრიობის შეცვლას, ანუ დამზადებული ან გასაღებული ნივთი შესდგება იმ ინგრედიენტისაგან, რასაც იგი უნდა შეიცავდეს;

ბ) ფალსიფიკაციისას არაა აუცილებელი, დამზადებული ნივთი საშიში იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. უფრო მეტიც, სსკ 197-ე მუხლის პირველი ნაწილი არ გულისხმობს ასეთ შემთხვევას. ამდენად, მართალია, ფალსიფიცირებული ნივთი თვისობრივად სხვა ნივთია, მაგრამ იგი არავისთვის საზიანო არაა. მაგალითად, ფალსიფიცირებულია თაფლი, რაც არაა იმ სასარგელო თვისების მატარებელი, რაც თაფლისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ არც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის (არც სასარგებლოა, მაგრამ არც საზიანოა).

რაც შეეხება სსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, აქ სახეზეა ისეთი ნივთი (დამზადების, თუ შენახვის წესის დაუცველობის ან ვადაგასულობის გამო), რაც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მისი თვისობრიობა ხელოვნურად არაა შეცვლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შედგება იმ ინგრედიენტებისაგან,

რაც მითითებულია პროდუქციაზე, ან რისგანაც საერთოდ უნდა შედგებოდეს ასეთი პროდუქცია.[22]

საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

პირველი მაგალითი:

პეტრემ წყლის, შაქრის, სხვადასხვა საღებავების, ექსტრაქტებისა და დანამატებისაგან შექმნა სითხე, რომელიც ფერით, სუნით და გემოთი ჰგავს ყურძნის წვენს. ჩამოასხა იგი ბოთლებში, გაუკეთა სათანადო ეტიკეტი („ნატურალური ქართული ყურძნის წვენი") და გაამზადა რეალიზაციისათვის.

მეორე მაგალითი: პეტრემ ნამდვილად ყურძნისაგან დაამზადა წვენი, რომელსაც იმდენად გადაჭარბებული დოზით დაამატა გარდამქმნელები და კონსერვანტები, (შენახვის ვადის გაზრდის მიზნით), რომ მიღებული ყურძნის წვენი საშიში გახდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

პირველ მაგალითში სახეზეა ფალსიფიკაციის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნები.

კერძოდ, მწარმოებელმა (პეტრემ) შეცვალა ნივთის თვისობრიობა. ასევე გამოიყენა მოტყუების ხერხი (ამაზე მიუთითებს ეთიკეტზე მითითებული ყალბი ინფორმაცია). ამასთანავე მას ამოძრავებდა ანგარების მოტივი, რადგან ეს ნივთი დაამზადა არა თავისთვის ანდა სასაჩუქრედ, არამედ სარეალიზაციოდ, ე.ი. მატერიალური სარგებლის მისაღებად.

მეორე მაგალითში კი სახეზეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება და არა ფალსიფიკაცია, რადგან აქ ნივთის თვისობრიობა არაა შეცვლილი. ნივთი მართლაც ყურძნის წვენისაგანაა დამზადებული, მაგრამ საქმე ისაა, რომ დამზადებულია ისეთი ნივთი, რაც მისი სერთიფიკაციისა და სტანტარტიზაციის პირობებთან შეუსაბამისობის გამო (გარდამქმნელებისა და კონსერვანტების შეყვანა დადგენილი დოზის გადაჭარბებით) საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

რადგან პირველ მაგალითში მის მიერ დამზადებული სითხე თვისობრივად არაა ნატურალური ღვინო, არამედ იგი სულ სხვა თვისების მატარებელი სითხეა, ამდენად, აქ არაფერ შუაშია ამ ნივთის შესაბამისობა თუ შეუსაბამობა დადგენილი სტანდარტიზაციის თუ სერთიფიკაციის პირობებთან. ეს საკითხი ქმედების სსკ 197-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციისათვის არცაა საინტერესო, რადგან ნივთი თვისობრივად არ შეესაბამება იმ ნივთს, რითაც იგი არის წარმოდგენილი.

დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი მაშინ დგება: ა) როცა ფალსიფიცირებული ნივთი ამავე დროს საშიშიც არის ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ანუ ნივთის თვისობრიობაც შეცვლილია და ამავე დროს იგი საშიშიც არის ადამიანისათვის (სსკ 197-ე მ-ის მე-3 ნაწ.), ან ბ) როცა ნივთი

[22] სსკ 197-ე მუხლის არსსა და მისი 198-ე მუხლისაგან გამიჯვნის საკითხზე იხ. გ. მამულაშვილი, წიგნში: „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ. 2004, გვ. 281-282; 294

შეესაბამება იმ საგანს, რითაც წარმოდგენილია მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ (ანუ მისი თვისობრიობა მოტყუებით არაა შეცვლილი), მაგრამ იგი საშიშია ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის (სსკ 198-ე მ.).

ამდენად, ახლა პასუხი უნდა გაეცეს თავდაპირველად დასმულ კითხვას: რით განსხვავდება სსკ 197-ე მუხლის მე-3 ნაწილი (ფალსიფიკაცია, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის) და სსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილი?

მათ შორის განსხვავების საკითხი აქ უფრო მწვავედ დგას, რადგან მათ შორის საერთო ნიშნებიც უფრო მეტია.

კერძოდ, სსკ 197-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და სსკ 198-ე მუხლის **პირველ ნაწილს საერთო აქვს ის**, რომ ორივე შემთხვევაში სახეზეა პროდუქცია, რაც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ანუ ორივე შემთხვევაში ნივთი აბსტრაქტული საფრთხის შემცველია (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი). სსკ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი არის კონკრეტული საფრთხის დელიქტი („რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას").[23]

მათ შორის განსხვავება კი მდგომარეობს შემდეგში:

1. სსკ 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახეზეა ფალსიფიცირებული ნივთი (ანუ ნივთი, რომლის თვისობრიობა მოტყუებითაა შეცვლილი).

ხოლო სსკ 198-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნივთი არაა ფალსიფიცირებული, ანუ მისი თვისობრიობა არაა შეცვლილი მოტყუებით;

2. აქედან გამომდინარე, სსკ 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნივთი დამზადებული არაა იმ ინგრედიენტის გამოყენებით, რითაც იგი უნდა მზადდებოდეს და რაც შეთავაზებულია მყიდველზე (მაგალითად, დაფიქსირებულია ეტიკეტზე). ამასთანავე ეს ფალსიფიცირებული ნივთი საშიშიც არის ადამიანის სოცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. მაგალითად, წყლის, შაქრისა და საღებავებისაგან დაზადებულია ფალსიფიცირებული ღვინო, რაც ამავე დროს საშიშიც არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რადგან მასში მაღალი გრადუსიანობის იმიტაციის შექმნის მიზნით შეყვანილია გამაბრუებელი წამალი.

ხოლო სსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი ნივთი დამზადებულია იმ ინგრედიენტის გამოყენებით, რითაც იგი უნდა

[23] საფრთხის დელიქტზე იხ. თ. წერეთელი. სისხლის სამართლი პრობლემები, ტომი პირვ. 2007, გვ. 406-421; მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 4-41; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექ. თბ. 2007, გვ. 150-154; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 244; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 41-42; გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. თბ. 2014, გვ. 147-160; თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკად. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2014, გვ. 24-27; 96-99.

მზადდებოდეს და რაც დაფიქსირებულია ეტიკეტზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ნივთი საშიშია ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის.

მაგალითად, ნამდვილად ყურძნის წვენისაგან გამზადებულ ღვინოში შეყვანილია გამაბრუებელი წამალი მისი მაღალგრადუსიანობის იმიტაციის შესაქმნელად, რის გამოც იგი საშიშია ადამიანისათვის;

3. ფალსიფიკაციისას (სსკ 197-ე მ.) დანაშაულებრივი ქმედების წრე შეზღუდულია. კერძოდ, იგი გამოიხ.ტება მხოლოდ ნივთის თვისობრიობის შეცვლაში, ანუ ისეთი ნივთის დამზადებაში, რაც თვისობრივად განსხვავებულია ნამდვილისაგან (ჩადენილი მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ (სსკ 197-ე მ.). თუკი ადგილი აქვს წინასწარი შეცნობით სხვის მიერ ფალსიფიცირებული ნივთის გასაღებას, მაშინ სახეზეა სსკ 197[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

რაც შეეხება სსკ 198-ე მუხლს, აქ დანაშაულებრივ ქმედებათა წრე უფრო ფართეა. კერძოდ, ადამიანის სიცოცხლისა ადა ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქცია შეიძლება მივიღოთ როგორც მისი დამზადებით, ისე შენახვის პირობების დაუცველობით ან შენახვის ვადის გასვლით (ამასთანავე არც ერთ ამ ეტაპზე ადგილი არა აქვს ნივთის ფალსიფიკაციას);

მაგალითად, აქ ნივთი შეიძლება დამზადდეს ნამდვილი, მაგრამ გაფუჭებული ინგრედიენტებისაგან (კარაქი დამზადდა გაფუჭებული რძის პროდუქტისაგან), რის გამოც მივიღეთ ნივთი, რაც, მართალია, არაა ფალსიფიცირებული, მაგრამ საშიშია სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის.

ასევე ნამდვილი ნივთი შეიძლება გადაიქცეს საშიშად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის იმის გამო, რომ იგი არასათანადოდ იყო შენახული (მაგალითად, ნატურალური კარაქი არ იყო შენახული მაცივარში, რის გამოც იგი უკვე საშიში გახდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის).

ასევე ნატურალური ნივთი შეიძლება გახდეს საშიში ადამიანისათვის, რადგან უკვე გავიდა მისი შენახვის ვადა. მაგალითად, სახის ნელსაცხები, რაც დამზადებულია ნატურალური ინგრედიენტისაგან სათანადო წესის დაცვით, ვადაგასულობის გამო უკვე საშიში გახდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის (შეიძლება გამოიწვიოს კანის დაავადება).

მივიბრუნდეთ სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილ ზემოთხსენებულ შემთხვევას. რამდენად არის სახეზე ბრალდებულ რ.ქ-ს ქმედებაში ფალსიფიკაცია, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის?

როგორც განაჩენში ვკითხულობთ, ფალსიფიკაცია, კერძოდ, თვისობრივად შეცვლილი თევზის დამზადება გამოიხატა იმაში, რომ იგი ანგარების მოტივით ქიმიური საღებავების გამოყენებით ახდენდა თევზის პროდუქტების შებოლვის იმიტაციას. ექსპერტიზით დადგინდა, რომ საკონტროლო შესყიდვისას შეძენილი თევზის ნიმუშები არ შეესაბამება შებოლილი თევზისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შეცვლილი აქვს თვისობრიობა, ხოლო სტავრიდას ნიმუში ასევე საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ამავე ექსტერტიზის დასკვნით ჩხრეკის შედეგად იჯარით აღებული ფართიდან ამოღებული შებოლილი თევზის ნიმუშებიც (17 ცალი ორაგულის ჯიშის თევზი და 10 ცალი თევზის ფილე- ე.წ. „მასლიანკა“) არ შეესაბამება ამ სახეობის თევზებისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შეცვლილი აქვს თვისობრიობა, ასევე საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.[24]

ეტაპობრივად მივყვეთ განაჩენის ამ მტკიცებით ნაწილს. როგორც ვხედავთ, ფალსიფიკაციად შეფასებულია ის ფაქტი, რომ ბრალდებული ანგარების მოტივით ქიმიური საღებავების გამოყენებით ახდენდა თევზის პროდუქტების შებოლვის იმიტაციას, ხოლო ექსპერტიზის დასკვნით თევზის ნიმუშები არ შეესაბამებოდა შებოლილი თევზისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ისმის კითხვა: საღებავების გამოყენებით თევზის პროდუქტების შებოლვის იმიზაცია რამდენად ნიშნავს ნივთის ფალსიფიკაციას, ანუ მისი თვისობრიობის შეცვლას? იყო კი მიღებული პროდუქტი თვისობრივად სხვა ნივთი?

სახეზე იყო თევზის პროდუქტი (და არა სხვა ნივთი), რომელიც ფაქტობრივად არ იყო შებოლილი, არამედ სახეზე იყო შებოლვის იმიტაცია საღებავების გამოყენებით. შესაბამისად, ეს ნივთი თვისობრივად არ იყო შეცვლილი. **შეცვლილი იყო მხოლოდ მისი ხარისხი და არა თვისება.** ხარისხის შეცვლაზე მიუთითებს ის, რომ იგი არ იყო შებოლილი ამისათვის დადგენილი სტანდარტის დაცვით, რაზეც ხაზგასმითაა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნაში.

სტანდარტით დადგენილი მოთხოვნისადმი შეუსაბამობა კი თავისთავად არ ნიშნავს ნივთის თვისობრიობის შეცვლას. ექსპერტიზის დასკვნაში არაფრით არაა დასაბუთებული, თუ რატომაა ეს თევზის პროდუქტი თვისობრივად შეცვლილი. იქ ნათქვამია: თევზის ნიმუშები არ შეესაბამება შებოლილი თევზისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შეცვლილი აქვს თვისობრიობა.

გამოდის, რომ თუკი ნივთი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ რაიმე მოთხოვნებს, თითქოს ეს იწვევს მისი თვისობრიობის შეცვლას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან იგი შეიძლება იწვევდეს მხოლოდ ხარისხის შეცვლას და არა თვისობრიობის შეცვლას.

აქ დგას ის პრობლემური საკითხი, რაც უკავშირდება ნივთის ხარისხსა და თვისებას შორის განსხვავების საკითხს. **კერძოდ, სად გადის ზღვარი ნივთის ხარისხსა და თვისებას შორის?** საქართველოს შესაბამისი კანონები პროდუქტის სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის შესახებ საუბრობენ მხოლოდ ნივთის ხარისხზე და არა მის თვისებაზე.[25]

ამდენად, გამოძიებით ამოღებული ზეთოვანას ნიმუშები იყო უხარისხო პროდუქტი, რაც ექსპერტიზის დასკვნით არ ყოფილა საშიში ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის. იგი არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტს.

შესაბამისად ამ ნივთის მიმართ სახეზეა საქართველოს სსკ 219-ე მუხლით

[24] იხ. განაჩენი ზემოთ მითითებულ საქმეზე

[25] ამ საკითხზე იხ. გ. მამულაშვილი, წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2014, გვ. 493-494.

გათვალისწინებული დანაშაული – მომხმარებლის მოტყუება, რაც ხარისხის შესახებ მცდარი წარმოდგენის შექმნაში გამოიხ.ტა (და არა ფალსიფიკაცია).

რაც შეეხება სტავრიდას ნიმუშებს, ექსპერტიზის დასკვნით ისინი საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, თუმცა განაჩენში არ ჩანს, თუ რითაა ეს დასაბუთებული. საქმე ისაა, რომ ორივე სახეობის თევზის შებოლვის იმიტაციისათვის გამოყენებული იყო საღებავები. ამდენად, რითაა განპირობებული ის, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მდგომარეობა შეიქმნა მხოლოდ სტავრიდას მიმართ?

ამის მიუხედავად, თუ სადაოდ არ გავხდით ექსპერტიზის ამ დასკვნას, მაშინ თევზის მეორე სახეობის – სტავრიდას მიმართ ბრალდებულის ქმედება **უნდა დაკვალიფიცირდეს არა ფალსიფიკაციად, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის** (სსკ 197-ე მ-ის მე-3 ნაწ.), **არამედ სსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილით – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება.**

სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორის შუამდგომლობით რ. ქ-ი ცნო დამნაშავედ სსკ 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით, რაც სსკ 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ხუთი წელი. ხოლო სსკ 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. მასვე სსკ 43-ე მუხლის საფუძველზე ჩამოერთვა სამეწარმეო სუბიექტებში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელების უფლება ერთი წლის ვადით.

ამდენად, იმ ფაქტმა, რომ საპროცესო შეთანხმებას მიება სსკ 55-ე მუხლის და ასევე პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი, ამ საქმეზე შესაძლებელი გახადა ბრალდებულის მიმართ ერთდროულად ორი შეღავათის გამოყენება. სსკ 55-ე მუხლის საფუძვალზე შესაბამისი მუხლით გათვალისიწინებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის გამოყენება (თ.ა. ოთხი წლით, ნაცვლად სსკ 197-ე მ-ის მე-3 ნაწილით გათვალისიწნებული 5 წლისა). ამავე დროს ამ სასჯელის პირობით ჩათვლის გამოყენებაც.

როგორც ვხედავთ, ვინაიდან სახეზე იყო მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება და მხარეები სასჯელზეც იყვნენ გარიგებულნი, არავის გაუხდია სადაოდ ქმედების კვალიფიკაცია. ამდენად, პირობითი მსჯავრის მიბმამ საპროცესო შეთანხმებაზე გამოძიებისათვის შექმნა კარგი პირობა, შეენიღბა არასწორი კვალიფიკაცია.

რაც შეეხება სსკ 42-ე მუხლის მე-5 მაწილის შემოღებას, რომლის მიხედვითაც ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის, ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ რაც შეიძლება მეტი თანხა

ყოფილიყო ამოღებული მსჯავრდებულიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პირობითი მსჯავრის საპროცესო შეთანხმებასთან მიბმა არის კარგი საშუალება გამომძიების ორგანოსათვის, დამალოს ის ფაქტი, რომ მან ვერ მოიპოვა საკმარისი მტკიცებულება ბრალდების გასამყარებლად და როცა ქმედების კვალიფიკაციაც კი სადაოა.

მაგალითი:

2013 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხ.ლა სს საქმე რაიონული პროკურატურის პროკურორის შუმდგომლობის საფუძველზე ბრალდებულ თ-ის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა სექსუალური კონტაქტის იძულებაში სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ – სსკ 139-ე მ-ის მე-2 ნაწილით.

ბრალდების მიხედვით თ-ს ქმედება გამოიხ.ტა შემდეგში:

2012 წლის დეკემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, თ-ი გაეცნო არასრულწლოვან ს-ოს, რომელთანაც დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ჰქონდა მიმოწერა მობილური ტელეფონით. 2013 წლის 8 იანვარს თ-იმ შეხვედრა დაუთქვა ს-ოს და ისინი შეხვდნენ დაახლოებით 20.00 საათზე თბილისში ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც მან შესთავაზა ს-ოს გაუკულმართებული სქესობრივი კავშირის დამყარება და განუცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გადააგდებდა საცხოვრებელი სახლიდან. ვინაიდან ს-ო ქუჩების არცოდნის გამო ვერ შეძლებდა ღამის საათებში დამოუკიდებლად სახლში მისვლას, იძულებული გახდა, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დაჰყოლოდა თ-ს, რომელმაც ისარგებლა ამგვარი დამოკიდებულებით და დაამყარა მასთან სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით. ამის შემდეგ ს-ო დარჩა მის საცხოვრებელ სახლში . 9 იანვარს დილით თ-იმ კვლავ ისარგებლა ხსენებული დამოკიდებულებით და განმეორებით დაამყარა ს-ოსთან სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით.

გამომძიების მიერ ეს შემთხვევა დაკვალიფიცირებულია სსკ 139-ე მუხლით – სქესობრივი კავშირის ან სხვაგვარი სექსუალური მოქმედების იძულება.

ამ საქმეზე მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ბრალზე გარიგებისა და სასჯელზე შეთანხმების შესახებ, როს გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოში პროკურორის შუამდგომლობით საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე იქნა გამოტანილი გამატყუვნებელი განაჩენი.

განაჩენით თ-ის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულად იქნა მიჩნეული მისი აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულის ჩვენებით, მონმე თ.ჩ-ს ჩვენებით (რომლის შინაარსი საერთოდ არაა გადმოცემული განაჩენში) და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით.

სასამართლომ თ-ის სასჯელის სახედ სსკ 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საქართველის სსკ 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაუთვალა პირობით. გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 4 წელი. მასვე დაევალა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს გარეშე არ

შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი.

საკითხავია, რატომ დაიდო ამ საქმეში საპროცესო შეთანხმება არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ძალადობით სქესობრივ დანაშაულზე?

როგორც განაჩენიდან იკვეთება, საქმის არსი მეტად ბუნდოვანია როგორც მტკიცებულებათა საკმარისობის, ისე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის კუთხით. კერძოდ:

ა) განაჩენით დადგენილია, რომ ბრალდებული და არასრულწლოვანი ს-ი ერთმანეთს ვაგზლის ტერიტორიაზე შეხვდნენ, მაგრამ სრულებით გაურკვეველია, სად შედგა მათ შორის საუბარი – იქვე ვაგზლის ტერიტორიაზე, თუ ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში. თუ ისინი ვაგზლის ტერიტორიაზე საუბრობდნენ (და საქმის მასალებით ასე ჩანს, რადგან არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ბრალდებულმა იგი მოტყუებით სახლში აიყვანა), მაშინ როგორ გადააგდებდა იგი ამ არასრულწლოვანს საცხოვრებელი სახლიდან? იგი მას ხომ ჯერ არ ჰყავდა აყვანილი სახლში?

ბ) თუკი უკვე აყვანილი ჰყავდა სახლში და იქ შედგა ეს საუბარი (რაც ასევე სრულებით არ იკვეთება აღნიშნული განაჩენით), მაშინ ჩადენილი ქმედება უნდა შეფასდეს არაა სსკ 139-ე, არამედ სსკ 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვ-ით – სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, რაც ჩადენილია ძალადობის მუქარით, რადგან სახეზეა ძალადობის იმწუთიერი მუქარა და ამ გზით არასრულწლოვნის ნების პარალიზება;

გ) სრულიად დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია ბრალდების (ასევე განაჩენის) ის ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ ბრალდებული არასრულწლოვან ს-ოს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საცხოვრებელი სახლიდან გადაგდებით დაემუქრა, ამავე დროს იქვე არასრულწლოვნის ნების პარალიზების მიზეზად დასახელებულია ის, რომ ს-ო ქუჩების არცოდნის გამო ვერ შეძლებდა ღამის საათებში დამოუკიდებლად სახლში მისვლას.

საქმე ისაა, რომ თუკი არასრულწლოვანს თ-ი სახლიდან გადაგდებით დაემუქრა, მაშინ ეს მუქარა უნდა იყოს არასრულწლოვნის ნების პარალიზების მიზეზი და არა ქუჩების არცოდნა;

დ) ასევე საკითხავია, თუ არასრულწლოვანმა არ იცოდა ქუჩები, მაშ როგორ მივიდა იგი ღამის 22.00 საათზე ვაგზლის მოედანზე და თუკი მისვლა შეეძლო, რატომ არ შეეძლო უკან დაბრუნება?

ე) საბოლოოდ გამოდის, რომ თ-იმ არასრულწლოვანს იქვე, ვაგზლის მოედანზე შესთავაზა სექსუალური კავშირი და ამის შემდეგ ავიდნენ ისინი ბრალდებულის ბინაში, რაც გამორიცხავს რაიმე დამოკიდებულების გამოყენებას, რადგან საერთოდ სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენება მაშინაა სახეზე, როცა პირს გაცნობიერებული აქვს ასეთი დამოკიდებულების არსებობა მოცემულ შემთხვევაში და შეგნებულად იყენებს მას.

ამდენად, ისმის კითხვა: საიდან უნდა სცოდნოდა ბრალდებულ თ-ის, არასრულწლოვანმა იცოდა თუ არა თბილისის ქუჩები და შეეძლო თუ არა და-

მოუკიდებლად სახლში წასვლა? იგი ხომ არ იყო სოფლიდან ახალი ჩამოსული? მით უმეტეს, ხედავდა, რომ იგი ღამის საათებში სრულიად მარტო მოვიდა დათქმულ ადგილას.

მათ შორის წინასწარ არ ყოფილა რაიმე შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ თავად თ-ის უნდა უზრუნველეყო მისი სახლამდე მიყვანა.

აქედან გამომდინარე, ამგვარი დამოკიდებულების გამოყენებაზე საუბარი სრულიად შეუსაბამო და დაუსაბუთებელია. შესაბამისად, რადგან ს-ო არაა მცირეწლოვანი, ბრალდებულის ქმედებაში არანაირი დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. ყოველ შემთხვევაში, ეს საქმის მასალებით არა დადასტურებული.

ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ბრალდების მხარისათვის მომგებიანი იყო საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდებულთან ქმედების კვალიფიკაციის ბრალდებულისათვის ხელსაყრელი ვარიანტისა და ასევე ხელსაყრელი სასჯელის შეთავაზებით.

ასევე ბრალდებულიც დაიტერესებულია დრულად დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტს, მას არ სურს გაუთავებელი ურთიერთობა ჰქონდეს გამომძიების ორგანოსთან, ამიტომ ადვილად მიდის ისეთ აღიარებაზე, რაც მისი ქმედების შედარებით ნაკლებად საშიშ დანაშაულად კვალიფიკაციისა და ისეთი სასჯელის დანიშვნის საშუალებას იძლევა, რაც არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

ვინაიდან საქმე იხილებოდა საპროცესო შეთანხმებით არსებითი განხილვის გარეშე, სასამართლომ ისე ცნო თ-ი დამნაშავედ სსკ 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომ ყურადღება საერთოდ არ გაუმახვილებია ზემოთ ხსენებულ სადაო საკითხებზე, რადგან მასზე არც ერთი მხარე არ ამახვილებდა ყურადღებას.

როგორც ვხედავთ, მსგავს სიტუაციაში, როცა ბრალდებას არა აქვს სათანადო მტკიცებულება საქმეში, ასევე როცა მტკიცებულებები ურთიერთსაწინააღმდეგოა, საქმის დასრულებისა და მასზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის „უებარი“ საშუალებაა ბრალდებულის დათანხმება მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმებაზე მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების დაპირებით.

აღნიშნულ განაჩენში არის სხვა უზუსტობაც. კერძოდ, მის აღწერილობით ნაწილში ნათქვამია, რომ თ-რ პ-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ 139-ე მუხლის პირველი ნაწილით. ხოლო ამავე განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით კი იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სახეზეა არასრულწლოვანი დაზარალებული.

პირობითი მსჯავრის მიბმა საპროცესო შეთანხმებასთან არის ბრალდებულისგან „ფულის ამოქაჩვის“ კარგი საშუალება.

მაგალითი პირველი:

2011 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე ოთხი ბრალდებულის მიმართ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, სსკ 223[1] მუხლის პირველი ნაწილით.[26]

ამ განაჩენით ოთხ პირს ბრალი ედება ქურდული სამყაროს წევრობა, რაც გამოიხ.ტა იმაში, რომ იყვნენ რა ქურდული სამყაროს წევრები, 2010 წლის 15 მაისს მათ მოაწყვეს ქურდული გარჩევა ორ მოდავე მხარეს შორის, რა დროსაც ერთ-ერთ მეწარმეს, როგორც კრიმინალურმა ავტორიტეტებმა კატეგორიულად მოსთხოვეს, სამსახურიდან დათხოვილი ერთი პირის უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მოკვლით.

ასევე 2010 წლის 8 ივნისს მათ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მახლობლად დაიბარეს ეს მეწარმე და დაშინების მიზნით დაუწყეს ცემა. იმავდროულად დანით მიაყენეს სხეულის დაზიანება.

ამ საქმეზე ოთხივე ბრალდებულთან დაიდო საპროცესო შეთანხმება და პროკურორის შუამდგომლობით სამი მათგანის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილი სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ჩაითვალა პირობით. ხოლო მეოთხე პირის მიმართ გამოყენებულ იქნა სსკ 55-ე მუხლი და დაენიშნა მინიმუმზე მსუბუქი სასჯელი.

საინტერესოა, რა იყო საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის არგუმენტი ისეთი კატეგორიის საქმეზე, როგორიცაა ქურდული სამყაროს წევრობა?

საპროცესო შეთანხმების დადების არგუმენტად განაჩენში (ისევე როგორც საპროცესო შეთანხმებაში) მითითებულია, რომ განსასჯელებს გააჩნიათ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. კერძოდ, ისინი ხასიათდებიან დადებითად, აღიარებენ და გულწრფელად ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს.

ამ არგუმენტების გაცნობისას ბუნებრივად ჩნდება რამდენიმე კითხვა.

ჯერ-ერთი, რას ნიშნავს, რომ ისინი ხასიათდებიან დადებითად? ვინ ახასიათებთ მათ დადებითად და რაში გამოიხ.ტება ეს? ქურდული სამყაროს წევრობა (თუ ასეთი რამ მათ მიმართ დადასტურებულია საქმის მასალებით) არაა ისეთი დანაშაული, რაც პირმა შეიძლება ჩაიდინოს ერთჯერადად და თანაც შემთხვევით. იგი ამ პირის ცხოვრების სტილსა და მის ამორალურ შინაგან მრწამსზე მიუთითებს. კერძოდ, მიუთითებს მათ მისწრაფებაზე, დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს კანონებს თავიანთი „კანონებით".[27] ამდენად, არ შეიძლება პირი იყოს ქურდული სამყაროს წევრი და ამავე დროს ხასითდებოდეს დადებითად. სხვა საკითხია, რომ მას შესაძლოა, ჰქონდეს ცალკეული დადებითი პიროვნული მახასიათებელი. მაგალითად, იყოს კარგი მამა შვილისათვის, კარგი მეგობარი,

[26] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/4717-10

[27] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ნ. თოდუა, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ. 2012, გვ. 652-661

მზრუნველი შვილი მშობლისათვის და სხვა. განაჩენში კი ყოველგვარი დასაბუთების გარეშეა ნათქვამი, რომ ისინი (თანაც ოთხივე) ხასიათდებიან დადებითად.

მეორეც, რას ნიშნავს, რომ ისინი აღიარებენ და გულწრფელად ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს. **ისმის კითხვა:** ინანიებენ იმას, რომ არიან ქურდული სამყაროს წევრები? მაშინ გამოდის, რომ მათ ამ სამყაროს დატოვების გადაწყვეტილება მიუღიათ. საიდან ჩანს ეს? სხვაგვარად როგორ შეიძლება ინანიებდნენ იმ ქმედებებს (ქურდულ გარჩევას და ძალადობას, რაც ჩაიდინეს ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად), რისი მიზანიც არის ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მოტანა? რის საფუძველზე გააკეთა ბრალდების მხარემ და სასამართლომ ასეთი ალოგიკური დასკვნა? ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენამდე უკვე ორჯერაა ნასამართლევი და ორჯერვე გამოყენებული იყო პირობითი მსჯავრი.

განხილულ მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რა შედეგი გამოიწვია იმან, რომ 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, რითაც პირობითი მსჯავრი მიება საპროცესო შეთანხმებას. პირობითი მსჯავრის გამოყენებისას მოსამართლე არაა ვალდებული, ამტკიცოს პირობითი მსჯავრის მოსალოდნელი ეფექტი.

მას ამის ვალდებულება რომ ჰქონდეს, მაშინ როგორ დაამტკიცებდა, რომ ქურდული სამყაროს წევრობასთან დაკავშირებულ ბრალდების საქმეში პირობითი მსჯავრის გამოყენებით ელოდებოდა დადებით ეფექტს, იმას, რომ პირი მომავალში არ იქნებოდა ამ სამყაროს წევრი, ანუ დატოვებდა ამ სამყაროს?

როგორც განაჩენიდან ირკვევა, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორმა ოთხი ბრალდებულიდან სამი ბრალდებულის მიმართ სსკ 223 1 მუხლის პირველი ნაწილით (რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან რვა წლამდე ჯარიმით ან უამისოდ) იშუამდგომლა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, საიდანაც სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 3 წელი უნდა მოიხ.დონ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენი 3 წელი სსკ 63-64 მუხლების საფუძველზე ჩაითვალოს პირობითად, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

რაც შეეხება მეოთხე ბრალდებულს, მის მიმართ საპროცესო შეთანხმება დაიდო განსაკუთრებული პირობით. კერძოდ, მის მიმართ იგივე ბრალდების (ქურდული სამყაროს წევრობა) მიუხედავად პროკურორმა იშუამდგომლა სსკ 55-ე მუხლის გამოყენება და სასჯელის სახედ და ზომად 9 თვით თავისუფლების აღკვეთა (მაშინ, როცა სხვა ბრალდებულების მიმართ იშუამდგომლა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა). საბოლოოდ, გამოვიდა, რომ თუ ამ საქმეში სამმა ბრალდებულმა რეალურად უნდა მოიხ.დოს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, მეოთხე ბრალდებულმა უნდა მოიხადოს მხოლოდ 9 თვე. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ დანარჩენი სამი ბრალდებულის მიმართ არაა გამორიცხული, გაუქმდეს პირობითი მსჯავრი (თუ ისინი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენენ რაიმე დარღვევას) და მათ მოუწიოთ დანარჩენი სამი წლის მოხდაც.

მივუბრუნდეთ დასმულ კითხვას? მაინც რატომ იშუამდგომლა პროკურორმა ამ პირთა მიმართ სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება და სსკ 63-64 ნუხლების საფუძველზე დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა? ხოლო ერთ-ერთის მიმართ სსკ 55-ე მუხლის გამოყენება და გაცილებით მსუბუქი სასჯელის დანიშვნა? რა იყო ბრალდების მხარისათვის ამის საფუძველი?

როგორც განაჩენიდან ირკვევა, სამივე ბრალდებულს სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის და სსკ 63-64 მუხლების გამოყენების საფუძველზე დამატებით სასჯელად დაეინიშნა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამდენად, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას ფისკალური ინტერესი სახეზეა.

ამასთანავე საინტერესოა, პასუხი გაეცეს მეორე კითხვას. კერძოდ, რატომ გამოიყენა ბრალდების მხარემ მეოთხე ბრალდებულის მიმართ სსკ 55-ე მუხლი და იშუამდგომლა მის მიმართ კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა? რატომ გაავრცელა მასზე სხვა ბრალდებულებთან შედარებით გაცილებით მეტი შეღავათი?

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმებისას დიფერენცირებული მიდგომა ბრალდებულებზე და განსხვავებული შეღავათის დაწესება მათი წარსული ცხოვრების, ჩადენილ ქმედებაში მათი მონაწილეობის ხარისხის და სხვა გარემოების გათვალისწინებით ჩვეულებრივი მოვლენაა და სამართლიანიცაა.

საკითხავია, რამდენადაა დაცული ეს მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში?

როგორც განაჩენიდან ირკვევა, ეს მეოთხე ბრალდებული 2010 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილი იყო დამნაშავედ სსკ 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. მანამდე იგი იყო გასამართლებული სხვა დანაშაულის ჩადენისათვის და დანიშნული სასჯელი ჩათვლილი ჰქონდა პირობით. ამდენად, მას სსკ 67-ე მუხლის თანახმად პირველი განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეეკრიბა და განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 63-64 მუხლების საფუძველზე კვლავ ჩაეთვალა პირობითად ერთი წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 5 000 ლარი.

როგორც ვხედავთ, ეს პირი ქურდული სამყაროს წევრობისათვის საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ორჯერ ყოფილა ნასამართლევი და ორჯერვე გამოყენებული იყო პირობითი მსჯავრი, თუმცა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ორჯერვე ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული.

ამჯამად იგი მესამედ იქნა მხილებული გამოსაცდელ ვადაში ახალი განზრახი დანაშაულის (ქურდული სამყაროს წევრობა) ჩადენაში და მესამედ გასამართლდა. ამის მიუხედავად, მასთან მაინც დაიდო საპროცესო შეთანხმება და პროკურორმა იშუამდგომლა მის მიმართ სსკ 55-ე მუხლის საფუძველზე კა-

ნონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. კერძოდ, სსკ 223[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა (თავისუფლების აღკვეთა 9 თვით), რაც სასამართლომ გაიზიარა. ამ ბრალდებულის მიმართ სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად გაუქმდა 2010 წლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შეიკრიბა დანიშნული სასჯელები და განაჩენთა ერთობლიობით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით.

როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე ბრალდების საქმეზე ოთხი ბრალდებულიდან მხოლოდ ერთის მიმართ იქნა გამოყენებული სსკ 55-ე მუხლი და მხოლოდ მას დაენიშნა ყველაზე მსუბუქი სასჯელი.

მაინც რით იხ.ლმძღვანელა ბრალდების მხარემ და სასამართლომ საკითხის ასე გადაწყვეტისას?

საქმე ისაა, რომ განსხვავებით სხვა ბრალდებულებისაგან, ამ ბრალდებულმა დამატებით სასჯელად ჯარიმის სახით გადაიხ.და არა 5 000 ლარი, არამედ 35 000 ლარი.

ამდენად, აშკარაა, თუ რატომ გავრცელდა მასზე ასეთი დაუსაბუთებელი შეღავათი.

აქედან სხვა დასკვნაც კეთდება: სწორედ ფისკალური ინტერესი ედო საფუძვლად სსკ 55-ე მუხლის (კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა) მიბმას საპროცესო შეთანხმებასთან, რის გამოც ბრალდების მხარე უკვე არაა ვალდებული ამტკიცოს, თუ რატომ შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ბრალდებულის მიმართ სსკ 55-ე მუხლის გამოყენებას. ამისათვის სრულებით არაა საჭირო რაიმე განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოების ან შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობის არსებობა.

მაგალითი მეორე: 2011 წლის 23 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სამი ბრალდებულის საქმეზე ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით. ამ სამი ბრალდებულიდან ორს ბრალი ედებოდა ქურდული სამყაროს წევრობაში (სსკ 223[1] მ-ის პირვ. ნაწ.), ხოლო ერთერთ მათგანს ასევე სსკ 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და ტარებაში. ამასთანავე მხოლოდ ერთმა ბრალდებულმა აღიარა წაყენებული ბრალდება, დანარჩენები კი თავს არ ცნობდნენ დამნაშავედ.[28] სასამართლო კამათის დაწყებამდე ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სს საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა ერთ-ერთ ბრალდებულთან (სწორედ იმასთან, რომელმაც აღიარა დანაშაულის ჩადენა) დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

სასამართლომ დაამტკიცა ეს საპროცესო შეთანხმება და ამ ბრალდებულს სსკ 223[1] მუხლის პირველი ნაწილით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6

[28] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/4669-10

(ექვსი) წლის ვადით. მასვე სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად აღნიშნული სასჯელიდან 2 (ორი) წელი განუსაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო სსკ 63-64 მუხლების თანახმად დარჩენილი 4 (ოთხი) წელი ჩეუთვალა პირობით 5 (ხუთი) წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ 42-ე მუხლის თანახმად კი (აქ იგულისხმება 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რაზედაც სასამართლო ამ განაჩენში რატომღაც არ უთითებს), დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით. მასვე სსკ 65-66 მუხლების საფუძველზე დაეკისრა სხვადასხვა ვალდებულება.

ამდენად, ამ მსჯავრდენულს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა მხოლოდ 2 წელი. დანარჩენი 4 წლის მოხდა დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად შეასრულებს იგი პირობითი მსჯავრით დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება სხვა ბრალდებულებს, მათ სასამართლომ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით (6 წლით და 8 წლით).

ისმის კითხვა: რამ განაპირობა პროკურატურის მიერ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმებაზე იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც აღიარებდა დანაშაულს? ხომ არ იყო ამისი საფუძველი ის, რომ ამ პირმა (განსხვავებით სხვა ბრალდებულებისაგან) აღიარა დანაშაული?

ის ფაქტი, რომ პროკურორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა არა მარტო ძირითადი სასჯელის შემსუბუქება სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების საფუძველზე, არამედ ასევე დამატებით სასჯელად იშუამდგომლა ჯარიმის სახით სოლიდური თანხის (30 000 ლარის) დაკისრება, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ საპროცესო შეთანხმების მთავარი მოტივაცია ბრალდების მხარისათვის იყო ფისკალური ინტერესის მიღწევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრალდებულს თანხმობა რომ არ განეცხადებინა ასეთი ოდენობით ჯარიმის გადახდაზე, მასთან პროკურორი არ დადებდა საპროცესო შეთანხმებას.

ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მართალია, ეს ბრალდებული დანაშაულს გამოძიების ეტაპზეც აღიარებდა, მაგრამ საპროცესო შეთანხმება მასთან მხოლოდ საქმის სასამართლოზე განხილვის შემდეგ (მხარეთა კამათის დაწყებამდე) დაიდო.

ამ ფაქტით ერთხელ კიდევ აშკარაა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა სსკ 42-ე მუხლში მე-5 ნაწილის შემოღება, რომლითაც დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრება სასამართლოს მაშინაც შეუძლია, როცა იგი სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით არაა გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის სახით.

პირობითი მსჯავრის საპროცესო შეთანხმებასთან მიბმამ პრაქტიკაში გამოიწვია ის, რომ სასამართლოს შეუზღუდა ალტერნატიული სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა.

სასამართლო პრატიკის შესწავლით გამოვლინდა, რომ როცა პროკურატუ-

რა საპროცესო შეთანხმების დადებისას სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს პირობითი მსჯავრის გამოყენებას, ძირითადი სასჯელის სახით ითხოვს დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა, მაშინ, როცა იმ მუხლით, რითაც ბრალდებულია პირი, გათვალისწინებულია სხვა ალტერნატიული სასჯელიც (და ხშირად არაერთი ალტერნატიული სასჯელი). მოვიყვანოთ მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

მაგალითი პირველი:

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 8 თებერვალს არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდებულ ი.გ-ს მიმართ სსკ 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვის ბრალდებით. კერძოდ, 2011 წლის 9 დეკემბერს შსს თანამშრომლების მიერ მისი ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა ქარხნული წესით დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებთან ერთად.

2012 წლის 7 თებერვალს მხარეებს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე. კერძოდ, იმაში, რომ სასჯელის სახით პროკურორის მიერ სასამართლოს შეეთავაზა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლით, რაც სსკ 63-64 მუხლების საფუძველზე უნდა ჩაეთვალოს პირობით 3 წლის გამოსაცდელი ვადით. ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დაამტკიცა ეს საპროცესო შეთანხმება და დაუნიშნა ბრალდებულს პროკურორის მიერ შეთავაზებული სასჯელი.[29] თითქოს აქ სადაო არაფერია, მაგრამ ამ საპროცესო შეთანხმების შინაარსის გაცნობისას რამდენიმე საკითხი იჩენს თავს.

ჯერ-ერთი, სსკ 236-ე მუხლის პირველი ნაწილი არის ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე გათვალისწინებული იყო ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე. **მეორეც**, სსკ 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

ამდენად, ეს საქმე სასამართლოს არსებითი განხილვისათვის რომ გადასცემოდა, მას თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ დაასაბუთებდა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ვერც ერთი ალტერნატიული სასჯელის დანიშვნისას (ვერც ჯარიმის და ვერც თავისუფლების შეზღუდვის დანიშვნისას) ვერ იქნებოდა მიღწეული სასჯელის მიზანი.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში პირი აღიარებს დანაშაულს და მის მიმართ საქმეში არ არსებობს დამამძიმებელი გარემოება (რაც გახდა მხარეებს შორის

[29] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/1. 4-12

საპროცესო შეთანხმების საფუძველი), სასამართლო ამას ვერ დაასაბუთებდა და შესაბამისად მის მიმართ არ გამოიყენებდა თავისუფლების აღკვეთას, არამედ დაუნიშნავდა სხვა ალტერნატიულ სასჯელს. ეს კი თავის მხრივ, სრულებით არ გამორიცხავს ამ სასჯელის ჩათვლას პირობით. თუმცა სასამართლოს ეს სასჯელი პირობით რომც არ ჩაეთვალა, ამით სრულებით არ დაზარალდებოდა ბრალდებული.

გამოდის, რომ ვინაიდან მხარეებს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება, სსკ 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ეს მოთხოვნა პროკურორისათვის (და უკვე არც სასამართლოსათვის) არაა სავალდებულო. ამდენად, სასამართლო მოცემულ შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას არ ითვალისწინებს სსკ 53-ე მუხლის მოთხოვნებს (მათ შორის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებს), რითაც მას ეზღუდება ალტერნატიული სასჯელის დანიშვნის უფლება.

საბოლოოდ ზარალდება ბრალდებულიც, რადგან მას ძირითად სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა მაშინ, როცა საქმის არსებითი განხილვისას სასჯელი არ იქნებოდა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. იგი შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ ჯარიმა, რაც მას მოცემულ შემთხვევაში დამატებითი სასჯელის სახით მას მაინც დაეკისრა.

მაგალითი მეორე:

2014 წლის 31 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობით რსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდებულ დ.თ. ხ-ის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა სსკ 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვ-ით – განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებაში.[30]

კერძოდ, იგი იყო ერთ-ერთი შპს-ს დირექტორი 2006 წელს საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა დეკლარაცია, რა დროსაც ყალბი საგადასახადო დოკუმენტის გამოყენებით ხელოვნურად შეამცირა საწარმოს მოგება 158 645 ლარით. საქმეზე ჩატარებული რევიზიით აღნიშნულ შპს-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით სულ დაერიცხა 313 069 ლარი, საიდანაც ზემოთ მითითებული ძირითადი თანხა გადავადებული, კორექტირებული ან გადახდილი არ ყოფილა ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლომ პროკურორის შუამდგომობის საფუძველზე ბრალდებულს სასჯელის სახით დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლით, რაც 2007 წლის 29 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრა და განისაზღვრა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 63-64- ე მუხლების გამოყენებით ჩაუთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინა 4 (ოთხი) წელი. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად დ.თ. ხ-ს დანიშნული სასჯელი (პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა) გაუნახევრდა და განესაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით.

[30] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/3555-14

ამ საქმეშიც, ერთის შეხედვით, თითქოს სადაო არაფერია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

საქმე ისაა, რომ სსკ 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან რვა წლამდე. ამდენად, მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რისი გამოყენებაც იშუამდგომლა პროკურორმა მიცემულ საქმეზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში სახეზე რომ არ იყოს არც ერთი შემამსუბუქებელი გარემოება, არამედ იყოს მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებათა ერთობლიობა, 8 წელზე უფრო მკაცრ სასჯელს სასამართლო მაინც ვერ დანიშნავდა. არადა მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი საფუძველი გახდა ის, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს დანაშაულს.[31] მართალია, ძირითად სასჯელად 8 თლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემდეგ ბრალდებულის მიმართ 2007 წლის ამნისტიის კანონის შესაბამისად სასჯელი განახევრდა, ასევე ეს განახევრებული სასჯელი ჩაითვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით, რაც 2012 წლის ამნისტიის კანონის შესაბამისად ასევე გაუნახევრდა, მაგრამ ამნისტიის კანონის ორჯერ გამოყენება სასამართლოს ვალდებულება იყო. ამდენად, საპროცესო შეთანხმებით ბრალდებულის მიმართ გაწეული შეღავათი გამოიხ.ტა მხოლოდ იმაში, რომ პროკურორმა მის მიმართ სსკ 63-64 მუხლების საფუძველზე პირობითი მსჯავრის გამოყენება მოითხოვა.

საკითხავია: რატომ იშუამდგომლა პროკურორმა ძირითადი სასჯელის სახით სსკ 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის – 8 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. მაშინ როცა საქმეში არსებობს ისეთი შემამსუბუქებელი გარემოება, რაც საფუძვლად დაედო საპროცესო შეთანხმებას? რატომ არ გაითვალისწინა ბრალდებამ ეს შემამსუბუქებელი გარემოება ძირითადი სასჯელის მოთხოვნისას და რატომ არ მოითხოვა უფრო მსუბუქი სასჯელი (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით)?

საბოლოოდ, ამ საქმეშიც სასამართლოს ფაქტობრივად წაერთვა შესაძლებლობა ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა 8 წლით თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი, რადგან მხარეებს შორის დადებული იყო საპროცესო შეთანხმება, რის დამტკიცებაზე უარის თქმის ფორმალური საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად სასამართლო ასეთ დროს არ იყენებს სსკ 53-ე მუხლის პირველ ნაწილს და სასჯელს არ ნიშნავს ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებით, რადგანაც თავად მხარეები თანხმდებიან სასჯელზე.

საინტერესოა, საპროცესო შეთანხმებისას რატომ აკეთებენ პროკურორები აქცენტს შესაბამისი მუხლის ყველაზე მკაცრ სასჯელზე?

საქმე ისაა, რომ თუკი პროკურორი საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის შეთავაზების დროს გაითვალისწინებს ინდივიდუალიზაციის პრინციპს, მაშინ შესაძლოა, ბრალდებული არ დათანხმდეს საპროცესო შეთანხმებას და არ ითანამშრომლოს გამოძიებასთან იმიტომ, რომ ამ სახის ძირითა-

[31] იხ. განაჩენი ზემოთ მითითებულ საქმეზე

დი სასჯელი (მაგალითად, ჯარიმა ან თავისუფლების შეზღუდვა) მისთვის ამ სასჯელის პირობით ჩათვლის გარეშეც მისაღებია. ამდენად, შესაძლებელია ბრალდებულმა ასეთ შემთხვევაში მოისურვოს საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემა, რაც ხელს არ აძლევს ბრალდების მხარეს, რადგან საქმეში არაა საკმარისი მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

ამიტომ პროკურორი ბრალდებულზე ზეწოლას ახდენს იმით, რომ სასამართლო მის მიმართ დიდი ალბათობით გამოიყენებს ყველაზე მკაცრ სასჯელს, მაგრამ ჰპირდება, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში (რისი წინაპირობა აუცილებლად უნდა იყოს თანამშრომლობა გამოძიებასთან სულ მცირე, დანაშაულის აღიარებით), სასასმართლოს წინაშე იგი იშუამდგომლებს ამ სასჯელის პირობით ჩათვლით.

ასეთ შემთხვევაში, ბრალდებულისათვის დიდი რისკია, უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, რადგან მან დანამდვილებით არ იცის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო მის მიმართ საქმის არსებითად განხილვის შემთხვევაში. კერძოდ, გაამართლებს თუ გაამტყუნებს მას. ასევე არ იცის, რა სახის სასჯელს გამოიყენებს სასამართლო მის მიმართ – თავისფლების აღკვეთას, თუ სხვა ალტერნატიულ სასჯელს, მოცემური მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმს, თუ უფრო მსუბუქი ზომის სასჯელს.

6. ყურადღებას იპყრობს პირის ნასამართლობასთან დაკავშირებული ერთი საკითხი: სსკ 63-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია, რომ **„თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი** იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულისათვის, დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობითად დაუშვებელია“.

ისმის კითხვა: რას ნიშნავს „წარსულში ნასამართლევი იყო“? ხომ არ იგულისხმება აქ ისეთი შემთხვევაც, როცა პირს უკვე მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს წარსულის ეს ნასამართლობა?

კერძოდ, საკითხი დგას ასე: რამდენად იდენტური შინაარსი დევს სიტყვებში: „ნასამართლევი პირი“ და „წარსულში ნასამართლევი პირი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შეიძლება განსხვავებული სამართლებრივი დატვირთვა ჰქონდეს სიტყვებს: „ნასამართლობის არმქონე პირი’ და „წარსულში ნასამართლობის არმქონე პირი“?

საქმე ისაა, რომ მართალია, იურიდიულად „ნასამართლობის არმქონედ“ ითვლება არა მარტო ის, ვინც ფაქტობრივად საერთოდ არასოდეს ყოფილა ნასამართლევი, არამედ ისიც, ვისი ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებულია. მაგრამ **ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველთვის შეიძლება დაისვას კითხვა:** რამდენად ჩაითვლება „წარსულში ნასამართლობის არმქონედ“ ის, ვისაც მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა? მართალია, ასეთი პირი დღეს არ ითვლება ნასამართლევად, მაგრამ წარსულში ხომ იყო ნასამართლევი?

ამდენად, ასეთი საკანონმდებლო ფორმულირება ქმნის საკითხის ორაზროვნად გაგების საფრთხეს, რაც დაუშვებელია. გამორიცხული არაა, პრაქტი-

კაში პირის საზიანოდ იქნეს განმარტებული „წარსულში ნასამართლობა", რაც დღეისათვის მოხსნილი ან გაქარწყლებულია და მას დაუმძიმდეს მდგომარეობა.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა კი ძირს უთხრის ნასამართლობის გაქარწყლებისა და მოხსნის ინსტიტუტს, რადგან აკნინებს მის სამართლებრივ მნიშვნელობას. გამოდის, რომ ეს ინსტიტუტი ფორმალურად არსებობს, რადგან კანონშემფარდებელს კანონის ასეთი ბუნდოვანი ფორმულირების გამო ყოველთვის შეუძლია გარკვეული შეზღუდვა დაუწესოს ნასამართლობა მოხსნილ ან გაქარწყლებულ პირს.

საკითხს ისიც ამწვავებს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას, მაგრამ იგი შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნისას. მაგალითად, როცა თაღლითობისათვის ნასამართლობა მოხსნილი პირი კვლავ ჩაიდენს თაღლითობას.[32]

რადგანაც დოქტრინაში არსებობს ასეთი მოსაზრება, მით უმეტეს, იგი შეიძლება გაჩნდეს სასამართლო პრაქტიკაში. ამის საფუძველი კი მოქმედმა კანონმდებლობამ მოსამართლეს არ უნდა მისცეს.

რამდენად აქვს საკითხის ასეთ განმარტებას საკანონმდებლო ან თეორიული საფუძველი?

ჯერ განვიხილოთ იგი **საკანონმდებლო კუთხით.**

საქართველოს სს კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას".

როგორც ვხედავთ, აქ ხაზგასმა გაკეთებულია არა მარტო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე, არამედ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებაზეც კი (მაგალითად, პირობითი მსჯავრი, არასრულწლოვნის გათავისუფლება სს პასუხისმგებლობისა ან სასჯელისაგან).

ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი კრძალავს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობის მხედველობაში მიღებას არა მარტო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს, არამედ სასჯელის დანიშვნის დროსაც. ესაა იმპერატიული მოთხოვნა, რასაც სასამართლო გვერდს ვერ აუვლის.

ამის მიუხედავად, პრაქტიკაში არსებობს საფრთხე, რომ სასამართლომ მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობის ფაქტი ფაქტობრივად ჩათვალოს დამამძიმებელ გარემოებად და დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, თუმცა ამის შესახებ არ მიუთითოს განაჩენში, რადგან მას არა აქვს ასეთი უფლება.

უფრო მეტიც, იმისი საფრთხეც არსებობს, რომ მტკიცებულებათა შეფასები-

[32] შეად. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ, 2013, გვ. 99

სას მოხსნილმა ან გაქარწყლებულმა ნასამართლობამ სასამართლოზე მოახდინოს ფაქტობრივი ზეგავლენა პირის საზიანოდ. კერძოდ, მან მოახდინოს ზეგავლენა მისი დამნაშავედ ცნობის საკითხში. მართალია, მოსამართლე მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობის ფაქტს გადაწყვეტილებაში მტკიცებულებად ვერ მიუთითებს, მაგრამ ეს არ ცვლის რეალობას, რადგანაც მოსამართლეს შეუძლია, ამგვარი მითითების გარეშე ფაქტობრივად გაითვალისწინოს იგი.

განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ შემთხვევაში, როცა პირის გასამართლება ხდება იგივე სახის დანაშაულისათვის (მაგალითად, მკვლელობისათვის), რაზეც იგი წარსულში იყო ნასამართლევი, მაგრამ დღეისათვის ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს.

რა უნდა იყოს აქედან გამოსავალი?

პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს სს საპროცესო კანონმდებლობაში, რითაც უნდა აიკრძალოს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის დართვა სს საქმეზე. თუკი საქმეში ასეთი ინფორმაცია არ იარსებებს, მაშინ მასზე ვერც პროკურორი გააკეთებს აპელირებას საბრალდებო სიტყვაში და ვერც მოსამართლე გაითვალისწინებს მას მტკიცებულებათა შეფასებისას, თუ სასჯელის დანიშვნისას.

ერთადერთ შემთხვევად, როცა გამოძიებას შესაძლებლობა უნდა მიეცეს მოიპოვოს ინფორმაცია გაქარწყლებული ან მოხსნელი ნასამართლობის შესახებ, უნდა დარჩენს გამოძიების ის ეტაპი, სანამ პირის მიმართ დაიწყება სს დევნა, ვინაიდან ამ ეტაპზე ამგვარი ინფორმაცია ხშირად ეხმარება გამოძიებას საგამოძიებო ვერსიების უკეთ ჩამოყალიბებასა და მის წარმართვაში.

განვიხილოთ ეს საკითხი თეორიული კუთხით.

რას ნიშნავს, რომ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული პირი იურიდიულად ითვლება ნასამართლობის არმქონედ?

ეს ის შემთხვევაა, როცა **იურიდიული და ფაქტობრივი მხარე** არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, ფაქტობრივად ნასამართლევი პირი იურიდიულად არაა ნასამართლევი.

საერთოდ, სისხლის სამართალში არსებობს სხვა შემთხვევაც, როცა იურიდიული და ფაქტობრივი მხარე არ ემთვევა ერთმანეთს . მაგალითად, შუალობითი ამსრულებლობის დროსაც ფაქტობრივი წამქეზებელი იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო ფაქტობრივი ამსრულებელს ან საერთოდ არ დაეკისრება სს პასუხისმგებლობა, ან დაეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის.[33]

დანაშაულის პროვოკაციისას ასევე არ ემთხვევა ერთმანეთს ფაქტობრივი და იურიდიული მხარე, რადგან ფაქტობრივი წამქეზებელი იურიდიულად სულ სხვა დანაშაულის (კერძოდ, სსკ 145-ე მ-ის) ამსრულებელია. ხოლო წაქეზებული

[33] შეად. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 131; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 208-209; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ. 2013, გვ. 266-267.

კი არის არა ამავე დანაშაულის, არამედ სულ სხვა უმართლობის ამსრულებელი.[34]

იურიდიული და ფაქტობრივი მხარის ასეთი არდამთხვევა სამართლისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რასაც სამართლებრივი ფიქცია ეწოდება, რა დროსაც სამართალი ქმნის თავის საკუთარ რეალობას, რომლის უარყოფა არ შეიძლება.[35]

ამ საკითხთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს პროფ. გ. ნაჭყებია, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია ფიქციის მეთოდის გარეშე სწორად ვერ აიგება... ფიქცია გნოსეოლოგიურად ჭეშმარიტი არაა, მაგრამ იგი არც მცდარია, რადგან მას განსაზღვრული პრაქტიკული საზრისი აქვს, თუმცა იგი მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულებით არ ამოიწურება, არამედ მას მთელი რიგი მეთოდოლოგიური დანიშნულებაც აქვს, რაც დაკავშირებულია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხთან.[36]

განსახილველ ვითარებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკითხის არა ფაქტობრივ მხარეს, არამედ მის იურიდიულ მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ფიქცია აზრს დაკარგავდა. ამდენად, ასეთ შემთხვევაში საკითხის იურიდიული მხარეს აქვს დამბლოკველი ძალა საკითხის ფაქტობრივი მხარის მიმართ.

საკითხი შეიძლება განვიხილოთ **ნორმისა და ფაქტის მიმართების** კუთხითაც. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში ნორმა არის სს კოდექსის 79-ე მუხლი თავისი ნაწილებით, საიდანაც ჩვენთვის საინტერესოა მისი II, III, IV და V და ნაწილები, სადაც მოწესრიგებულია ნასამართლობის გაქარწყლებისა და მოხსნის საკითხი. კერძოდ, მითითებულია, თუ როდის შეიძლება გაქარწყლდეს ან მოიხსნას ნასამართლობა. ხოლო ამ მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნულია, თუ რა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს ნასამართლობის გაქარწყლებას ან მოხსნას, ანუ აღნიშნულია ის, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება ამ ფაქტს, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ესაა ნორმა, რომელიც არ ემთხვევა საქმის ფაქტობრივ მხარეს. კერძოდ, ფაქტობრივად ნასამართლევი პირი ამ ნორმის მიხედვით იურიდიულად ნასამართლობის არმქონედ ითვლება. ნორმის ამ მოთხოვნას უპირატესობა ენიჭება საქმის ფაქტობრივ მხარესთან მიმართებაში. იურიდიული აზროვნების წესი მოითხოვს, სამართალშემფარდებელმა დაიწყოს საქმის ფაქტობრივი მხარე და საკითხის გადაწყვეტისას იხელმძღვანელოს ნორმის მოთხოვნის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, სანამ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებულ პროექტს ამ საკითხზე, მანამდე სსკ 63-ე

[34] შეად. ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 278; ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2014, გვ. 293 -294

[35] ამ საკითხზე იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004, გვ. 197

[36] შეად. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. გვ. 259, 261

მუხლის მე-4 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თუ მსჯავრდებული ნასამართლევია ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია“.

ხოლო მას შემდეგ, რაც კანონპროექტი მიღებული იქნება, ეს საკითხი სსკ 63-ე მუხლთან მიმართებაში დღის წესრიგიდან მოისხნება, რადგან მასში არაა გათვალისწინებული ამგვარი შეზღუდვა პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ასევე უნდა შეიცვალოს წარმოდგენილი კანონპროექტის 55-ე მ-ის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის რედაქცია და იგი უნდა დაიწყოს შემდეგი სიტყვებით: „ბრალდებული არაა ნასამართლევი განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ....“ ნაცვლად ამ კანონპროექტში არსებული სიტყვებისა: „ბრალდებული წარსულში არ იყო ნასამართლევი განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის“.

საკითხავია, პირობითი მსჯავრის გამოყენების ყველა შემთხვევა თუ არის მიბმული საპროცესო შეთანხმებასთან? ამ საკითხზე არ არსებობს ერთიანი შეხედულება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით ქართულ კანონმდებლობაში შეიძლება გამოიყოს პირობითი მსჯავრის რამდენიმე სახე, საიდანაც ზოგიერთი დაკავშირებულია საპროცესო შეთანხმებასთან (63-ე მ-ის პირვ. ნაწ.), ხოლო ზოგიერთი შეიძლება დაინიშნოს საპროცესო შეთანხმების გარეშეც – სსკ 63-ე მ-ის მე-3 ნაწილი და 50-ე მ-ის მე-5 ნაწ.[37]

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ სსკ 63-ე მუხლის პირველი ნაწილით, სადაც ნათქვამია: „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“ – ადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენების საერთო წინაპირობას, რაც დაკავშირებულია ამ მუხლის დანარჩენ ნაწილებთან.

ამდენად, სსკ 63-ე მ-ის პირველი ნაწილი არაა პირობითი მსჯავრის სახე, იგი მხოლოდ პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელ და ფორმალურ წინაპირობას ადგენს (არის ე.წ. „ქუდი“ პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის), ხოლო სხვა წინაპირობები მისი გამოყენებისათვის, დადგენილია 63-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სსკ 63-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით დაკონკრეტებულია, თუ გარდა საპროცესო შეთანხმებისა. კიდევ რა წინაპირობაა საჭირო პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სხვა მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოვა, რომ სსკ 63-ე მ-ის პირველი ნაწილით თითქოს დადგენილია, რომ თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, მაშინ პირობითი მსჯავრის გამოყენება ყველა შემთხვევაში შესაძლებელია და მნიშვნელობა არა აქვს არც ჩადენილი

[37] შეად. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბ. 2013, გვ. 129

დანაშაულის სიმძიმეს და არც წარსულში ნასამართლობის რაოდენობას, რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი.

უფრო მეტიც, პირობითი მსჯავრის გამოყენების გამონაკლის შემთხვევაშიც კი (იგულისხმება შემთხვევა, როცა პირმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული), რომელსაც აწესრიგებს 67-ე მ-ის მე-5 ნაწილი, ამ დროსაც ასევე აუცილებელია საპროცესო შეთანხმების არსებობა მხარეებს შორის, მაგრამ ეს საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან. ანუ ამ გამონაკლის შემთხვევაშიც კი ფორმალური წინაპირობა საპროცესო შეთანხმებაზე, ძალაში რჩება.

ამასთან აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: ამ მოსაზრების ავტორი სწორად აღნიშნავს იმას, რომ სსკ 63-ე მ-ის მე-5 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას აუცილებელი ფორმალური წინაპირობა არის საპროცესო შეთანხმების არსებობა მხარეებს შორის.[38]

ეს რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ **მაშინ ისმის კითხვა**: თუკი 63-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა საპროცესო შეთანხმება, რატომ არაა იგი აუცილებელი იგივე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შემთხვევაში?

საინტერესოა, თუ როგორია ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკა?

მაგალითი: 2014 წლის 5 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიხილა სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 273-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ.

აღნიშნულ საქმეზე სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომ მან აღიარა და მოინანია დანაშაული, მის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული. ამ გარემოებების და ბრალდებულის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (ყავს მოხუცი დედა, რომლის პენსია ერთადერთი შემოსავალია მის ოჯახში) სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულისათვის პირობითი მსჯავრის დანიშვნა იქნება შემაკავებელი ხასიათის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიება.[39]

ამდენად, სასამართლომ ბრალდებული ცნო დამნაშავედ სსკ 273-ე მუხლით და სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით, რაც სსკ 63-64 მუხლების თანახმად ჩაუთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინა 1 (ერთი) წელი.

როგორც ვხედავთ, ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეზე სასამართლომ გამოიყენა პირობითი მსჯავრი იმის მიუხედავად, რომ მხარეებს შორის არ იყო დადებული საპროცესო შეთანხმება. ამდენად, სსკ 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი მან

[38] შეად. ი. დვალიძე, იქვე

[39] შეად. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/2221-14

განმარტა ისე, რომ ამ დროს არაა აუცილებელი საპროცესო შეთანხმება.

რამდენადაა გამართლებული ამ ნორმის ასეთნაირად განმარტება?

საერთოდ ცნობილია, რომ მოსამართლეს (და არა სამართლის სხვა შემფარდებელს. მაგალითად, პროკურორს) შეუძლია განმარტოს სს კანონი „კონტრა ლეგემ" (contra legem). მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლიანი. ამიტომ თუ კანონის სიტყვა-სიტყვით განმარტებას უსამართლო შედეგამდე მივყავართ, მაშინ იგი უნდა განიმარტოს ამ ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ. ასეთი განმარტება უზრუნველყოფს კონკრეტული ურთიერთობის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას.[40]ამდენად, მართალია, ეს განაჩენი არ შეესაბამება სსკ 63-ე მუხლის შინაარსს, მაგრამ სამართლიანობის კუთხით არ იმსახურებს კრიტიკას. პირიქით, მოწონებას იმსახურებს.

აღნიშნული განაჩენი სხვა კუთხითაცაა საინტერესო. კერძოდ, განაჩენის იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია სასჯელის დანიშვნაზე, ნათქვამია, რომ სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებული წარსულში არაერხელ არის ნასამართლევი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის, თუმცა დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იგი ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ.

ამდენად, სსკ 63-ე მუხლის მე-3 ნაწილში არსებული ჩანაწერი: „წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა" სასამართლომ განმარტა ისე, რომ ნასამართლობის არმქონედ მიიჩნია ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყვლებული პირი, რაც სწორია.

ამასთანავე ყურადღებას იპყრობს განაჩენის ის მონაკვეთი, სადაც წერია, რომ „ბრალდებული წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის, თუმცა ...".

ისმის კითხვა: რატომ აქცევს ყურადღებას სასამართლო პირის ფაქტობრივ ნასამართლობას, რასაც მოცემულ შემთხვევაში იურიდიული მნიშვნელობა დაკარგული აქვს? ანუ საერთოდ რატომ ხდის მსჯელობის საგნად იმ ფაქტს, რასაც იურიდიული მნიშვნელობა დაკარგული აქვს? საბოლოოდ გაითვალისწინა თუ არა მან ეს ფაქტობრივი გარემოება (პირის ფაქტობრივი ნასამართლობა წარსულში) სასჯელის დანიშვნისას?

როგორც განაჩენიდან ირკვევა, ბრალდებულის წარსულში ნასამართლობას, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის გაქარწყლებული იყო, ხელი არ შეუშლია მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საქმეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით პირი ჩაითვალა ნასამართლობის არმქონედ, რაც პირდაპირ წერია განაჩენში.

მაგრამ გაუგებარია, ბრალდებულისათვის სსკ 273-ე მუხლით სასჯელის დანიშვნაზე თუ მოახდინა ზეგავლენა მისმა გაქარწყლებულმა ნასამართლობამ? განაჩენის ტექსტიდან ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია, რადგან იქ წერია: „სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდებულის პასუხისმგებლობის

[40] შეად. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004, გვ. 161

შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომ მან აღიარა დანაშაული და .... , ასევე იმ გარემოებას, რომ ბრალდებული წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი ნარკოტიკული დანაშაულისათვის, თუმცა....".

როგორ გავიგოთ ჩანაწერი: „ასევე იმ გარემოებას, რომ ბრალდებული წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი"?

მიიღო თუ არა სასამართლომ ეს ფაქტობრივი გარემოება მხედველობაში, როგორც დამაძიმებელი? განაჩენის ტექსტიდან გამოდის, რომ კიდევაც იღებს მხედველობაში ამ გარემოებას და კიდევაც არ იღებს, რადგან დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იგი ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ.

ამდენად, ბუნდოვანი და ორაზროვანია საკანონმდებლო ჩანაწერი: „წარსულში ნასამართლევი პირი". იგი უნდა შეიცვალოს ჩანაწერით: „ნასამართლევი პირი".[41]

7. სსკ 64-ე მუხლი – გამოსაცდელი ვადა

ამ მუხლის მიხედვით აშკარაა, რომ პირობითი მსჯავრი არ არსებობს გამოსაცდელი ვადის გარეშე. კერძოდ, თუ სახეზეა ამ კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 63-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები (იგულისხმება ის საფუძვლები, რაც საჭიროა პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის), სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

როგორც ვხედავთ, სსკ 64-ე მუხლის მიხედვით გამოსაცდელი ვადა გულისხმობს ორი კუმულაციური ვალდებულების შესრულებას: ა) არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და ბ) შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ამდენად, ეს მოვალეობები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: 1. რომელსაც ადგენს კანონმდებელი და ამდენად, იგი არის მთავარი (გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული); 2. რომლის მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს აკეთებს კანონმდებელი სსკ 65-ე მუხლში, ხოლო სასამართლო საქმის გარემოების მიხედვით ამ ჩამონათვალთაგან აკეთებს არჩევანს.

რადგან სახეზეა ორი კუმულაციური ვალდებულება, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებულია, მსჯავრდებულს ამ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დააკისროს ის მოვალეობები, რაც ჩამოთვლილია სსკ 65-ე მუხლში (თუმცა არაა ვალდებული ყველა მათგანი იყოს დაკისრებული). ამ სხვა მოვალეობის დაკისრების საკითხი რამდენადმე სხვაგვარადაა გადაწყვეტილი სსკ 65-ე მუხლით, რაც საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამაზე

[41] იგივე მოსაზრებას ავითარებს ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 130-131

საუბარი ქვემოთ გვექნება.

რა პერიოდს გულისხმობს გამოსაცდელი ვადა?

სსკ 64-ე მუხლის მიხედვით, ეს დამოკიდებულია იმაზე, რა სახის სასჯელი დაუნიშნა სასამართლომ პირს. კერძოდ:

ა) დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა;

ბ) დაუნიშნა მასზე უფრო მსუბუქი სასჯელი; თუ

გ) დაუნიშნა სასჯელი დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობით.

კერძოდ, თუ დანიშნულია თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი, მაშინ გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი წლისა.

თუ დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა, მაშინ გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 6 წლისა.

რაც შეეხება ზემოთხსენებულ „გ" შემთხვევის დროს დანიშნულ გამოსაცდელ ვადას, სსკ 64-ე მუხლში ვკითხულობთ: დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას – არანაკლებ 2 და არაუმეტეს 6 წლისა.

როგორც ვხედავთ, აქ **კანონმდებებლი აქცენტს აკეთებს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნაზე.**

რას ნიშნავს ეს?

საქმე ისაა, რომ მოქმედი კანონმდებლობით განაჩენთა ერთობლიობის (სსკ 59-ე მ-ის მე-5 ნ.), ასევე დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის დროს (სსკ 59-ე მ-ის მე-3 ნ.) სასჯელის დანიშვნისას გამოიყენება არა მხოლოდ სასჯელთა შეკრების, არამედ შთანთქმის წესიც. ხოლო დანაშაულთა ერთობლიობისას, როცა სახეზე არაა რეციდივის შემთხვევა, საერთოდ არ გამოიყენება სასჯელთა შეკრების წესი, არამედ გამოიყენება სასჯელთა მხოლოდ შთანთქმის წესი (სსკ 59-ე მ-ის მე-2 ნაწ.).

აქედან გამომდინარე, საკითხავია: რა დროით უნდა დაინიშნოს გამოსაცდელი ვადა მაშინ, როცა სახეზე იყო დანაშაულთა ერთობლიობა, მაგრამ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გამოიყენა სასჯელთა არა შეკრების, არამედ მათი შთანთქმის წესი?

მაგალითად, პეტრე გაასამართლეს ქურდობისა და ძარცვისათვის. პროკურორის შუამდგომლობით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასამართლომ დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნისას სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის წესი და საბოლოოდ დანიშნული სასჯელი (ვთქვათ, თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით) ჩაუთვალა პირობით.

რა დროით უნდა დაინიშნოს მსჯავრდებულის მიმართ გამოსაცდელი ვადა მოცემულ შემთხვევაში?

ვინაიდან სსკ 64-ე მუხლი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას გამოსაცდელი ვადის საკითხს (არა ნაკლებ 2 და არაუმეტეს 6 წელი) უკავშირებს

სასჯელთა შეკრების შედეგად (და არა სასჯელთა შთანთქმის შედეგად) მიღებულ საბოლოო სასჯელს, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გამოსაცდელ ვადად შეიძლება დანიშნოს ის ვადა, რაც 64-ე მუხლით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთით სასჯელის დანიშვნის შემთხვევისათვის – არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 6 წელი. ამდენად, მას უფლება აქვს, გამოსაცდელ ვადად დანიშნოს ერთი წელიც.

საინტერესოა, რა აზრი ჩადო კანონმდებელმა იმაში, რომ განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლისას გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობა (2 წლიდან 6 წლამდე) დაუკავშირა მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა სასამართლო იყენებს სასჯელთა შეკრების ((და არა შთანთქმის) წესს?

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა განპირობებულია იმ მიზეზით, რის გამოც კანონმდებელმა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასამართლოს მიანიჭა უფლება, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას გამოიყენოს სასჯელთა ან შთანთქმის, ან შეკრების წესი და არ შეზღუდა იგი მხოლოდ სასჯელთა შეკრების წესით.

მაინც როდის აქვს უფლება სასამართლოს რეციდივის შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობისას, ან განაჩენთა ერთობლიობისას გამოიყენოს არა სასჯელთა შეკრების, არამედ მათი შთანთქმის წესი?

მას ამის უფლება აქვს მაშინ, თუ საქმეში მოიპოვება სხვადასხვა შემამსუბუქებელი გარემოებები და ამის გათვალისწინებით სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სასჯელის მიზნების განხორციელებისათვის არაა აუცილებელი დანიშნულ სასჯელთა შეკრება, არამედ საკმარისი იქნება სასჯელთა შთანთქმის გზით დანიშნული სასჯელიც.

გამომდინარე აქედან, თუკი კონკრეტულ სს საქმეში დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობისას სასამართლომ გამოიყენა სასჯელთა შეკრების წესი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საქმეში არ არსებობს ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებები, რისი გათვალისწინებითაც მას შეეძლო საკმარისად ჩაეთვალა საბოლოო სასჯელის დანიშვნა შთანთქმის წესის გამოყენებით. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში სსკ 64-ე მუხლით დადგენილია გამოსაცდელი ვადის მომეტებული ხანგრძიობა – 2 წლიდან 6 წლამდე.

სხვა შემთხვევაში კი, თუკი სასამართლომ დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობისას გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის წესი, საბოლოოდ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლისას გამოსაცდელი ვადა არის არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 6 წლისა.

სსკ 64-ე მუხლის სხვაგვარი განმარტება იქნება კანონის ანალოგიის გამოყენება პირის საზიანოდ, რისი უფლებას სასამართლოს არა აქვს.

ამდენად, სასამართლომ ეს ნორმა უნდა განმარტოს სიტყვა-სიტყვით და არა განვრცობითად, რადგან ამ მუხლით დადგენილი გამოსაცდელი ვადის მომეტებული ხანგრძლიობა დადგენილია იმ შემთხვევისათვის, როცა საქმეში არ

მოიპოვება შემამსუბუქებელი გარემოებები და ამიტომაც სასჯელის დანიშვნა ხდება შეკრების წესის გამოყენებით. შესაბამისად, სასამართლოს ნორმის განმარტებისას არა აქვს უფლება, წავიდეს „დიდიდან მცირესკენ"[42].

8. სსკ 65-ე მუხლი – მოვალეობის დაკისრება

აქ უნდა განვიხილოთ ორი საკითხი:

ა) გამოსაცდელ ვადაში მოვალეობების დაკისრება სასამართლოს უფლებაა, თუ მოვალეობა და

ბ) კერძოდ, რა მოვალეობა შეიძლება დაეკისროს მსჯავრდებულს?

პირველ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ როგორც უკვე აღინიშნა, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც სსკ 64-ე მუხლის მიხედვით მსჯავრდებულმა უნდა შეასრულოს ორი კუმულაციური პირობა – არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და ამავე დროს შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

სსკ 65-ე მუხლში კი ეს საკითხი რამდენადმე სხვაგვარადაა გადაწყვეტილი. კერძოდ, იქ წერია: „პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს განსაზღვრული მოვალეობებისი შესრულება: ...." და შემდეგ ჩამოთვლილია ეს მოვალეობები.

როგორც ვხედავთ, არ ჩანაწერის მიხედვით, განსხვავებით სსკ 64-ე მუხლისაგან, განსაზღვრული მოვალეობების დაკისრება არაა სასამართლოს ვალდებულება, იგი მისი უფლებაა. ამაზე მიუთითებს სიტყვები: „თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია". გამოდის, რომ სასამართლოს შეუძლია, დანიშნული სასჯელი ისე ჩათვალოს პირობით, რომ გამოსაცდელ ვადაში არ დააკისროს პირს მოვალეობები, რაც ჩამოთვლილია სსკ 65-ე მუხლში, თუკი ჩათვალა, რომ არ არსებობს საამისო საფუძველი. ასეთ შემთხვევაში კი პირობით მსჯავრდებულს მხოლოდ ერთი მოვალეობა ეკისრება – გამოსაცდელ ვადაში არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

საინტერესოა, პრაქტიკულად რომელი მუხლის მიხედვით უნდა გადაწყდეს ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაში? სხვაგვარად რომ ვთქვათ, **შეუძლია თუ არა სასამართლოს გამოსაცდელ ვადაში მსჯავრდებულს არ დააკისროს ის მოვალეობები, რაც ჩამოთვლილია** სსკ 65-ე მუხლში?

ამ საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სსკ 65-ე მუხლს, რომელიც სპეციალურად და პირის სასრგებლოდ აწესრიგებს ამ საკითხს.

რაც შეეხება სსკ 64-ე მუხლს, მასში კანონმდებელმა მხოლოდ ზოგადად განმარტა, თუ შინაარსი დევს გამოსაცდელი ვადაში.

როგორ ესმით ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაში?

---

[42] (ნორმის ახსნა-განმარტების შესახებ იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004, ვ. 148-164; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, გვ. 188-194; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 24-38; გ. ტყეშელიაძე, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2007, გვ. 90-93.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას ყოველთვის არ ხდება მსჯავრდებულზე სსკ 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებიდან რომელიმეს დაკისრება.

მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 30 სექტემბრის განაჩენით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დამნაშავედ ცნო ორი პირი (რ.ქ-ი და ლ.ქ-ი) ფალსიფიკაციის ჩადენაში, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის.[43]

სასამართლომ მათ სსკ 55-რ მუხლის გამოყენებით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც სსკ 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაუთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინა 5 წელი. მათვე დამატებითი სასჯელის სახით დააკისრა ჯარიმა 5000 – 5000 ლარის ოდენობით, ასევე ჩამოართვა სამეწარმეო სუბიექტებში ხელმძღვანელობითი საქმიანობის უფლება ერთი წლის ვადით. ორივე მსჯავრდებულს მიმართ სსკ 66-ე მუხლის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის პერიოდში ყოფაქცევაზე კონტროლი და დახმარება დაევალა პრობაციის სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

როგორც ვხედავთ, სასამართლოს ამ მსჯავრდებულებზე არ დაუკისრებია სსკ 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობები.

ამდენად, მან სსკ 64-ე და 65-ე მუხლებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებული წინააღმდეგობა განმარტა პირის სასარგებლოდ, რაც სწორია.

მეორე საკითხი: რა მოვალეობები შეიძლება დაეკისროს მსჯავრდებულს გამოსაცდელ ვადაში?

სსკ 65-ე მუხლის მიხედვით ეს მოვალეობებია:

1. პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;

ეს ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს არა აქვს უფლება, პრობაციის ბიუროს თანხმობის გარეშე საცხოვრებლად გადავიდეს სხვაგან მუდმივად. კანონში პირდაპირ არაა მითითებული, ასეთი ნებართვა გაცემული უნდა იყოს წერილობით, თუ ზეპირად, მაგრამ სადაო არაა, რომ ნებისმიერი ნებართვა, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მსჯავრდებულისათვის, უნდა იყოს წერილობითი.

რაც შეეხება დროებით წასვლას სხვა დასახლებულ პუნქტში (მაგალითად, სტუმრად ან დასასვენებლად), არ ნიშნავს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლას და ამდენად, ასეთი რამ არ ჩაითვლება ზემოთ მითითებული მოთხოვნის დარღვევად, მთავარია, ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებული დროულად გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში რეგისტრაციისათვის.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროებით საცხოვრებლად წასვლა სხვა დასახლებულ პუნქტში შეიძლება ჩაითვალოს ამ მუხლით გათვალისწინებულ

[43] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/5558-14

„სხვა მოვალეობის" დარღვევად, თუკი გამოსაცდელ ვადაში ასეთი მოვალეობა მსჯავრდებულს ჰქონდა დაკისრებული სასამართლოს განაჩენით.

2. არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში;

ამ შემთხვევაში გასარკვევია ორი საკითხი:

ა) რას ნიშნავს „ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა" და თუ შეიძლება მასში დანაშაულიც მოვიაზროთ?

ბ) ევალება თუ არა სასამართლოს, დააკონკრეტოს ამ პირთა წრე?

დავიწყოთ პირველი საკითხით.

ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა ისე უნდა გავიგოთ, როგორც ეს გაგებულია სსკ 171-ე მუხლში. კერძოდ, მასში იგულისხმება მათხოვრობა, მანანწალობა, აზარტული თამაშები, გამაბრუებელ და სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარება, პროსტიტუციაში ჩაბმა. ეს ის ქმედებებია, რომლებიც თავისთავად დანაშაულს არ წარმოადგენენ, მაგრამ შეიცავენ სხვა სახის სამართალდარღვევის ნიშნებს, ანდა უბრალოდ ამორალური ქმედებებია.[44]

ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში სსკ 65-ე მუხლის მიხედვით, განსხვავებით სსკ 171-ე მუხლისაგან, შეიძლება ვიგულისხმოთ დანაშაულიც. სსკ 171-ე მუხლში კი დანაშაულში ჩაბმა არ იგულისხმება, რადგან ასეთ შემთხვევაში პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულში ნაქეზებად. ამდენად, სსკ 65-ე მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულს შეიძლება დაევალოს, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთანაც (და უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს უნდა დაევალოს), ვინც იგი შეიძლება ჩააბას დანაშაულში, ე.ი. დაიყოლიოს დანაშაულის ჩადენაზე.

ასეთი მოვალეობის დაკისრება შეიძლება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ, რითაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული ამ მსჯავრდებულის მიერ დანაშაულისა თუ სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენა. აქვე უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ასეთი მოვალეობის დაკისრება უმეტესად არასრულწლოვანთა მიმართ იქნება შედეგის მომტანი, რადგან არასრულწლოვანი უფრო ადვილად ჰყვება სხვის ნებას, იგი უფრო ადვილად დასამორჩილებელი პირია.

რაც შეეხება მეორე საკითხს, სასამართლომ აუცილებლად უნდა დააკონკრეტოს იმ პირთა წრე, ვისთანაც ურთიერთობის დამყარება ეკრძალება პირობით მსჯავრდებულს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აკრძალვა არაფრის მთქმელი იქნება და გამოვა, რომ თავად მსჯავრდებულმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის შეუძლია მისი ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში.

საინტერესოა, როგორ უნდა განსაზღვროს სასამართლომ, ვის შეუძლია მსჯავრდებულის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში და გამომდინარე აქე-

[44] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2014, გვ. 374-377

დან, ვისთან ურთიერთობა უნდა აეკრძალოდ პირობით მსჯავრდებულს?

ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის პირი, რომელთანაც ერთად, ან რომლის ხელშეწყობითაც ჩაიდინა დანაშაული მსჯავრდებულმა, მით უმეტეს, თუ ისიც თავისუფლებაში იმყოფება.

ასევე მხედველობაშია მისაღები ის პირი, რომელმაც თავის დროზე ჩააბა მსჯავრდებული არა დანაშაულში, არამედ სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა პირობით მსჯავრდებულის ცხოვრების წესზე.

მხედველობაში მისაღებია ისეთი პირიც, რომელიც გამოირჩევა თავისი კრიმინალური ცხოვრების წესით და რომელთანაც პირობით მსჯავრდებულს აქვს ახლო პიროვნული დამოკიდებულება.

3. არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი;

რა ადგილის მონახულება შეიძლება აეკრძალოს პირობით მსჯავრდებულს?

ეს შეიძლება იყოს ადგილი, სადაც ცხოვრობს მისი დანაშაულისაგან დაზარალებული პირი;

ეს შეიძლება იყოს ის ადგილი, სადაც ხშირად იკრიბებიან ის პირები, რომლებთანაც ერთად იგი ეწეოდა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას (მაგალითად, ლოთობას);

ასევე შეიძლება იყოს ის ადგილი, სადაც არსებობს ხელსაყრელი პირობები ისეთი დანაშაულის (მაგალითად, ძარცვის) ჩასადენად, რაზეც იგი გაასამართლეს. (მაგალითად, ადგილი, სადაც ტურისტები ხშირად იმყოფებიან);

ეს შესაძლებელია იყოს ის ადგილი, სადაც იგი ჩაება ისეთ საქმიანობაში, რამაც შემდგომში მის მიერ დანაშაულის ჩადენა განაპირობა. მაგალითად, პირი სამორინეს ან ტოტალიზატორის ხშირი სტუმარი იყო, რის გამოც ჩავარდა მატერიალურ გასაჭირში, რამაც განაპირობა მის მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (მაგალითად, ქურდობის) ჩადენა.

სასამართლოს შეუძლია, ასეთი მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას, აუკრძალოს მას, მოინახულოს სათამაშო ბიზნესის შესაბამისი ადგილები.

ამდენად, სიტყვა „მოინახულოს“ უნდა განიმარტოს როგორც „ესტუმროს“ ამ კონკრეტულ ადგილს. შესაბამისად, მასში არ იგულისხმება შემთხვევა, როცა პირი შემთხვევით გაივლის იმ ადგილას.

4. მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს;

რომელ მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს ასეთი ვალდებულება და რა ფორმით?

ასეთი ვალდებულება როგორც წესი, სასამართლოს შეუძლია დააკისროს იმ მსჯავრდებულს, რომელსაც ევალება ოჯახზე ზრუნვა. მაგალითად, ოჯახის მეუღლეს ან მამას.

რაც შეეხება მისი შესრულების ფორმას, იგი უნდა იყოს არა ერთჯერადი, არამედ ეტაპობრივი მთელი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ პირობით მსჯავრდებულს ასეთი მოვალეობა ენიშნება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.

ეს მოვალეობა პირობით მსჯავრდებულს მაშინ უნდა დაეკისროს, როცა საქმის მასალებით გამოიკვეთა, რომ იგი თავს არიდებდა ოჯახზე ზრუნვას. ამავე დროს აუცილებელია, მას ჰქონდეს მატერიალური შემოსავალი.

თუმცა ამ დროს ბუნებრივად დადგება სხვა საკითხი: როცა დადგენილია, რომ პირი, მიუხედავად ვალდებულებისა, თავს არიდებდა ოჯახზე მატერიალურ დახმარებას, რამდენად იქნება გამართლებული მის მიმართ დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობით?

ეს კითხვა დღეს მოქმედი კანონმდებლობით, როცა პირობითი მსჯავრის გამოყენების სადავეები პროკურატურას უპყრია და როცა სასამართლო არაა ვალდებული, ამტკიცოს პირობითი მსჯავრის მოსალოდნელი ეფექტი, ნაკლებად პრობლემურია, თუმცა მოქმედი კანონმდებლობის სამომავლო ცვლილების შემდეგ იგი მეტად პრობლემური გახდება.

ჩვენს მიერ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით გამოიკვეთა, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოები მსჯავრდებულის მიმართ არ იყენებენ ასეთ ვალდებულებას.

ამის მიზეზი ნაწილობრივ გახლავთ თავად კანონმდებლობის ბუნდოვანება ამ საკითხში. კერძოდ, გაურკვეველია:

– რა სახით უნდა დაეხმაროს ოჯახს მატერიალურად პირობით მსჯავრდებული – ფინანსურად თუ სხვაგვარად?

– რის გათვალისწინებით და რა ოდენობით უნდა დაეკისროს მას ასეთი დახმარების ვალდებულება?

– რა მოხდება მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ასეთი ვალდებულების დაკისრების შემდეგ დაკარგა სამუშაო ადგილი და უკვე არა აქვს ოჯახზე დახმარების შესაძლერბლობა? ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დაისმევა საკითხი განაჩენის კორექტირების შესახებ, რაც ქმნის დამატების პრობლემებს.

– ვინ და როგორ უნდა გააკონტროლოს, ასრულებს თუ არა პირობით მსჯავრდებული სასამართლოს მიერ დაკისრებულ ამ მოვალეობას?

ეს საკითხი მით უმეტეს პრობლემური გახდება მაშინ, თუ მსჯავრდებულს არა აქვს სტაბილური შემოსავალი და იგი ცვალებადია გამომუშავების ან შემოსავლის ცვლილების გამო.

მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ჩანს, ბოლო წლებში სასამართლოები საერთოდ არ იყენებეს ძირითადი სასჯელის ისეთ სახეს, როგორიცაა გამასწორებელი სამუშაო იმის მიუხედავად, რომ მსჯავრდებულთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილი დასაქმებულია და სტაბილური შემოსავალიც აქვს. შესაბამისად ალბათობის მაღალი ხარისხით მოსალოდნელია, რომ სასამართლოები არ გამოიყენებენ პირობით

მსჯავრდებულის მიმართ ისეთი სახის მოვალეობას, რაც დაკავშირებულია მათ ფინანსურ მდგომარეობასთან და რაც დროში გაწელილად უნდა განხორციელდეს.

ოჯახზე მატერიალური დახმარების ვალდებულებაში იგულისხმება არა ერთჯერადი სახით დახმარება, არამედ სისტემატური დახმარება, რაც უნდა გაგრძელდეს მთელი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.

ამდენად, ამ საკითხში კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ მოწესრიგებას.

5. გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი;

საქართველოს სს კოდექსის მე-6 კარით 2007 წლის ივლისამდე მოწესრიგებული იყო მსჯავრდებულთა იძულებითი მკურნალობის საკითხი. კერძოდ, სასამართლოს უფლება ჰქონდა, დაენიშნა იძულებითი ფსიქიატრიული, ნარკოლოგიური ან ალკოჰოლიზმის შესაბამისი მკურნალობა. 2007 წლის 3 ივლისის კანონით ეს კარი სს კოდექსიდან ამოღებულ იქნა.

საკითხავია, სსკ 65-ე მუხლის ამ დანაწესით კანონმდებელმა ნაწილობრივ ხომ არ დაუტოვა მოსამართლეს იძულებითი მკურნალობის დანიშვნის უფლება?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირობით მსჯავრდებულის მიმართ მკურნალობის მოვალეობის დაკისრება, ხომ არაა იძულებითი მკურნალობის ნაირსახეობა?

ვინაიდან დღეს მოქმედი კანონმდებლობით პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა საპროცესო შეთანხმება, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დაკავშირებულია იმასთან, თუ საპროცესო შეთანხმებისას რაზე შეთანხმდებიან მხარეები სასჯელის ნაწილში.

სს საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი საპროცესო შეთანხმების თაობაზე შეთანხმდებიან, პროკურორი წერილობით ადგენს შუამდგომლობას, რომელშიც სხვადასხვა მონაცემებთან ერთად ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვ-ის მიხედვით აღინიშნება პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის სახე და ზომა.

როგორც ვხედავთ, საპროცესო შეთანხმებაში აღინიშნება მხოლოდ მოთხოვნილი სასჯელის სახე და ზომა, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორი მხარეს უთანხმდება იმაზე, თუ რა სახის სასჯელს (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთას, თუ სხვას) მოითხოვს იგი სასამართლოს წინაშე. ასევე უთანხმდება იმაზე, თუ რა ზომის სასჯელს მოითხოვს იგი ბრალდებულის მიმართ (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთას 3 წლით).

საპროცესო შეთანხმებისას მხარეები თანხმდებიან იმაზეც, რომ პროკურორი იშუამდგომლებს მოთხოვნილი სასჯელის პირობით ჩათვლაზეც, რადგან სხვა შემთხვევაში სასამართლო მას ვერ გამოიყენებს.

რაც შეეხება იმას, თუ რა მოვალეობები შეიძლება პირს დაეკისროს პირობითი მსჯავრით დადგენილ გამოსაცდელ ვადაში, ამ საკითხის გადაწყვეტა სა-

სამართლოს უფლებაა და იგი არაა მიბმული არც საპროცესო შეთანხმებასთან და არც პროკურორის სხვაგვარ შუამდგომლობასთან.

ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მხარეები არ თანხმდებიან იმაზე, თუ რა მოვალეობის შესრულება შეიძლება დაეინიშნოს ბრალდებულს პირობითი მსჯავრით დადგენილ გამოსაცდელ ვადაში.

ეს რომ ასეა, ამაზე პირდაპირ მიუთითებს სსკ 65-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვითაც: „პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: ...“.

ამაზე მიუთითებს ამავე მუხლის დანაწესი, რომლის შესაბამისად: „სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას“.

გამომდინარე იქედან, რომ ამ მოვალეობების დაკისრება სასამართლოს გადასაწყვეტი საკითხია, მისი დაკისრებისათვის არაა საჭირო ბრალდებულის თანხმობა. შესაბამისაად, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსის გავლის მოვალეობის დაკისრება არანებაყოფლობითი, იძულებითი ხასიათისაა. ამდენად, იგი მსჯავრდებულის მოვალეობაა, რადგან მისი შესრულებისაგან სისტემატურად ან ჯიუტად თავის არიდების შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს,რომ გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი. (სსკ 67-ე მ-ის მე-3 ნ.).

რაც შეეხება ამ მოვალეობის დანიშვნის წინაპირობებს, იგი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ეს დადგენილი იყო სსკ მე-6 კარში. ასევე, როგორც ეს დადგენილია სს საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 და მე-2[1] ნაწილების საფუძველზე, რაც ეხება ფსიქიკურად დაავადებული პირის არანებაყოფლობით (იძულებით) მკურნალობას.

მისი გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ უნდა არსებობდეს პირის საკუთარი თავისათვის ან /და სხვა პირისათვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკი. ამდენად, სავალდებულოა, საქმეში იყოს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რაც ადასტურებს იმას, რომ პირი არის ალკოჰოლიკი (ლოთი), ან ნარკომანი, ან ტოქსიკომანი, ანდა დაავადებულია ვენერიული სენით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დგინდება, რომ სასამართლოები პირობით მსჯავრდებულს არ აკისრებენ ასეთი სახის მოვალეობას.

6. თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია, სასამართლოს შეუძლია მას დააკისროს ასევე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი.

აქ მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როცა ოჯახის წევრის მსჯავრდება ხდება სსკ მე-11[1] მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულისათვის (მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის). შე-

საბამისად, ასეთი პირის მსჯავრდება შედეგიანი რომ იყოს, ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პირის ფსიქიკის იმგვარად შეცვლას, რომ იგი არ იყოს მიდრეკილი ძალადობისაკენ. ასეთი შედეგი კი თავისთავად არ მიიღწევა და ამ მიზანს ემსახურება შესაბამისი სწავლების კურსის გავლა.

7. სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა სსკ 65-ე მუხლით დაადგინა მოვალეობათა მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალი და სასამართლოს მიანიჭა ფართე უფლებამოსილება, დანიშნოს სხვა მოვალეობაც, რასაც იგი საჭიროდ ჩათვლის მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის.

კერძოდ, სასამართლოს შეუძლია აუკრძალოს მსჯავრდებულს საღამოს გარკვეული დროის შემდეგ (მაგალითად, 22 საათის შემდეგ) სახლიდან გასვლა, ანდა დასახლებული პუნქტიდან თუნდაც დროებით გასვლა პრობაციის ბიუროს თანხმობის გარეშე. ასევე დააკისროს სხვა ისეთი ქმედების განხორციელება, რაც მას შეაგნებინებს,თუ რა უარყოფითი შედეგი გამოიღო მის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა.

მაგალითად, პირმა ჯანმრთელობა განზრახ ნაკლებად მძიმედ დაუზიანა მოქალაქეს, რის გამოც მას ესაჭიროება ექიმთან სისტემატური ვიზიტი დაზიანებული კბილების სამკურნალოდ.

ამ დანაშაულის გამო სასამართლომ ბრალდებულს დანიშნული სასჯელი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე ჩაუთვალა პირობით და დაუნიშნა გამოსაცდელი ვადა 2 წლით.

სასამართლოს შეუძლია, დააკისროს პირობით მსჯავრდებულს მოვალეობა, გაჰყვეს დაზარალებულს ექიმთან ვიზიტის დროს და დაელოდოს მას, სანამ იგი შესაბამის პროცედურებს იტარებს.

ასეთი მოვალეობის დაკისრება განსაკუთრებით შედეგიანი იქნება მაშინ, როცა სახეზეა არასრულწლოვანი მსჯავრდებული.

ამგვარი მოვალეობების დანიშვნისას სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს ასეთი გადაწყვეტილების მოტივებზე.

რა ცვლილებაა მოსალოდნელი შემუშავებული პროექტის მიხედვით 65-ე მუხლში?

პროექტის მიხედვით, ამ მუხლის გამოყენება შესაძლებელი გახდება არა მარტო პირობითი მსჯავრის, არამედ არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის დროს;

მუხლიდან ამოღებულია ჩანაწერი: „თუ არსებობს საამისო საფუძველი“, თუმცა მოვალეობათა დაკისრება მაინც სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა;

ხაზგასმულია, რომ სასამართლოს შეუძლია პირს დააკისროს ერთი ან რამდენიმე მოვალოების შესრულება, თუ ეს ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნის შეს-

რულებას;

ერთ-ერთ მოვალოებად მითითებულია, „არ დაამყაროს ურთიერთობა კონკრეტულ პირთან“ და ამოღებულია მითითება იმაზე, რომ ამ პირებმა იგი შეიძლება ჩააბან ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში;

ჩამატებულია ახალი მოვალეობა. კერძოდ: ა) პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ დატოვის სახელმწიფო საზღვრები ან კონკრეტული ადგილი და ბ) მიიღოს ფსიქოლოგის კონსულტაცია;

სხვა მოვალიეობის დაკისრება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამას სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს სასჯელის მიზნის მისაღწევად (და არა მხოლოდ მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის, როგორც ეს მოქმედ კანონშია მითითებული.)

9. სსკ 66-ე მუხლი – კონტროლი და დახმარება

პირობით მსჯავრდებულს გამოსაცდელი ვადის მსვლელობისას სჭირდება შესაბამისი კონტროლი, ასევე – გარკვეული დახმარება,

კონტროლი საჭიროა მის ყოფაქცევაზე, ასევე იგი საჭიროა იმისათვის, რათა გაირკვეს, თუ რამდენად ასრულებს იგი სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს.

რაც შეეხება დახმარებას, მსჯავრდებულს იგი სჭირდება მაშინ, როცა ამ ვალდებულებების შესრულებისას წააწყდება დაბრკოლებას, რომლის გადალახვა მისთვის გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს. ასეთი სიძნელე პირს შეიძლება შეექმნას იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ბრალის გარეშე დაკარგა სამუშაო და ამდენად, ვერ ასრულებს ოჯახისადმი მატერიალური დახმარების ვალდებულებას. ამ დროს პრობაციის ბიურო მას შეძლებისდაგვარად უნდა დაეხმაროს ახალი სამუშაოს მოძებნაში.

პირობით მსჯავრდებულის მიმართ კონტროლს და დახმარებას ახორციელებს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო – პრობაციის ბიურო. მისი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონით „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“. პრობაციის ბიურო თვალყურს ადევნებს მსჯავრდებულზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ დაფიქსირდა მსჯავრდებულის მიერ რომელიმე მოვალეობის შეუსრულებლობა, პრობაციის ბიურომ ამის შესახებ დაუყონებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს (სსკ 66-ე მ-ის პირვ. ნაწ.).

თუ პირობითი მსჯავრდებული არის სამხედრო მოსამსახურე, ამგვარ ფუნქციას მის მიმართ ახორციელებს სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა და არა პრობაციის ბიურო (66-ე მ-ის მე-2 ნაწ.).

ისმის კითხვა: რა იურიდიული შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ პრობა-

ციის ბიურომ აცნობა სასამართლოს მსჯავრდებულის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის თაობაზე?

ხომ არაა ეს ის შედეგები, რაც გათვალისწინებულია 66-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და სსკ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილში?

დავიწყოთ სსკ 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით: „გამოსაცდელ ვადაში სასამართლოს შეუძლია იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლს და დახმარებას პირობითი მსჯავრდებულის მიმართ, მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს პირობითი მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობა ან დააკისროს მას ახალი მოვალეობა.“

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა სასამართლოს უფლება – დააკისროს მსჯავრდებულს ახალი მოვალეობა.

რაც შეეხება მის მეორე უფლებას – მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ, როცა მსჯავრდებულმა არ შეასრულა ეს მოვალეობა. მოვალეობის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების უფლება სასამართლომ მაშინ შეიძლება გამოიყენოს, როცა მსჯავრდებული პირნათალად ასრულებს მას, ანდა როცა ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია მისი შესრულება. მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო პირს არ შეუძლია იმუშაოს და დაეხმაროს ოჯახს.

მაინც რატომ უნდა განიმარტოს სსკ 66-ე მუხლის მე-3 ნაწილი ისე, რომ სასამართლოს არ შეუძლია დაკისრებული მოვალეობის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება მაშინ, როცა მსჯავრდებული არ ასრულებს მას?

ასეთი განმარტების საფუძველს ქმნის თავად ამ მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომელიც ადგენს სასამართლოს უფლებას „მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს პირობით მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობა ან დააკისროს მას ახალი მოვალეობა“.

როგორც ვხედავთ, **სახეზეა ორი ალტერნატიული უფლება**, რომელიც დაკავშირებულია კავშირით „ან“. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს აქვს ან ერთი, ან მეორე უფლება. შესაბამისად, როცა მსჯავრდებული არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სასამართლომ არ უნდა გააუქმოს მისი ეს მოვალეობა, რადგან ასეთ შემთხვევაში კანონმდებებლი არ ავალდებულებს მას სანაცვლოდ დააკისროს ახალი მოვალეობა. ამიტომაც ამ მოვალეობის გაუქმებით მსჯავრდებული, რომელმაც თავისი უპასუხისმგებლობით არ შეასრულა რომელიმე ვალდებულება, აღმოჩნდება უპირატეს მდგომარეობაში, რადგან მას საერთოდ მოუხსნეს ეს მოვალეობა.

სულ სხვა ვითარება გვექნებოდა მაშინ, სასამართლოს ეს ორი უფლება „და“ კავშირით რომ იყოს შეერთებული („მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს პირობით მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობა და დააკისროს მას ახალი მოვალეობა“).

ასეთ შემთხვევაში ნორმა სხვაგვარად უნდა განგვემარტა. კერძოდ,

იმგვარად, რომ დაკისრებული მოვალეობის გაუქმების უფლება სასამართლოს აქვს მაშინ, როცა მსჯავრდებული არ ასრულებს მას, მაგრამ სანაცვლოდ უნდა დანიშნოს ახალი მოვალეობა.

მივუბრუნდეთ ზემოთ დასმულ საკითხს: საინტერესოა, თუ შეუძლია სასამართლოს დააკისროს პირობით მსჯავრდებულს ახალი მოვალეობა მაშინ, როცა პრობაციის ბიუროსგან მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული რომელიმე მოვალეობა (მაგალითად, მიუხედავად აკრძალვისა, მოინახულა განსაზღვრული ადგილი)?

საქმე ისაა, რომ სსკ 66-ე მ-ის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ორივე უფლების განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს იმ ბიუროს წარდგინება, რომელიც ახორციელებს კონტროლსა და დახმარებას. ანუ საჭიროა პრობაციის ორგანოს წარდგინება.

ის ფაქტი კი, რომ პრობაციის ორგანომ ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლოს აცნობა მსჯავრდებულის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მან სასამართლოს წინაშე გააკეთა წარდგინება მსჯავრდებულისათვის ახალი მოვალეობის დაკისრების თაობაზე, რადგან ერთია რაიმე ფაქტის შეტყობინება სასამართლოზე, ხოლო სულ სხვაა წარდგინებით შესვლა სასამართლოს წინაშე, რათა მსჯავრდებულს დაეკისროს ახალი მოვალეობა.

ამდენად, თუ პრობაციის ბიურომ მოვალეობათა შეუსრულებლობის შესახებ შეტყობინებას თან არ მიაყოლა სასამართლოსადმი წარდგინება მსჯავრდებულისადმი ახალი მოვალეობის დაკისრების შესახებ, სასამართლო სსკ 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულს ახალ მოვალეობას ვერ დააკისრებს.

აქვე გასარკვევია, პრობაციის ბიურო წარდგინებაში მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ მსჯავრდებულს დაეკისროს ახალი მოვალეობა, თუ ამავე დროს მიუთითებს, თუ რა სახის მოვალეობის დაკისრებას ითხოვს იგი?

სსკ 66-ე მუხლის რედაქციით ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არაა მოცემული, რაც საკითხის ორგვარად განმარტების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა თუ კარგად დავუკვირდებით ნორმის არსს, სადაც საუბარია „წარდგინებაზე', ივარაუდება, რომ პრობაციის ბიუროს უფლება აქვს მასში დააკონკრეტოს, რა სახის ახალი მოვალეობის დაკისრებას ითხოვს იგი. სხვა საკითხია, რამდენად გაიზიარებს სასამართლო მის მოთხოვნას.

საკითხავია, პრობაციის ბიუროს მიერ განხორციელებულ ამგვარ შეტყობინებას ხომ არ მოჰყვება **სსკ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილით** გათვალისწინებული შედეგი? კერძოდ, გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა?

საქმე ისაა, რომ აქაც ამ საკითხის გადაწყვეტას წინ უნდა უძღოდეს პრობაციის ბიუროს წარდგინება და ამდენად, საკმარისი არაა მხოლოდ შეტყობინება ჩადენილი დარღვევის შესახებ.

მაშ, რა აზრი აქვს სასამართლოზე მხოლოდ იმის შეტყობინებას, რომ მსჯა-

ვრდებულმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, თუ ამგვარ შეტყობინებას თან ახლავს წარდგინებაც ახალი მოვალეობის დაკისრების შესახებ?

ამგვარ შეტყობინებას ის აზრი აქვს, რომ იგი სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს მაშინ, თუ მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში ჩაიდენს გაუფრთხილებელ დანაშაულს და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების ან ძალ;აში დატოვების საკითხი.

10. სსკ 67-ე მუხლი – პირობითი მსჯავრის გაუქმება ან გამოსაცდელი ვადის გაგრძელება / შემცირება

მოქმედი კანონმდებლობით პირობით მსჯავრდებულს აქვს შესაძლებლობა გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ გაუქმდეს მის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი. რა არის ამისათვის საჭირო?

სსკ 67-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე გაუქმდება პირობითი მსჯავრი და მოეხსნება ნასამართლობა.

საინტერესოა, **ვინ იღებს ასეთ გადაწყვეტილებას პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე?**

საქართველოს 2011 წლის 11 ნოემბრის კანონის საფუძველზე ასეთი უფლება ჩამოერთვა სასამართლოს და იგი გადაეცა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას, რომელიც შესდგება 5 წევრისაგან (ერთი წევრი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან, ორი წევრი – სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან, ერთი წევრი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან და ერთი წევრი – არასამთავრობო ორგანიზაციებიდან).[45]

ამასთანავე, როგორც სსკ 67-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ჩანს, ამ კომისიას ასეთი შუამდგომლობით მიმართავს არა მსჯავრდებული, არამედ პრობაციის ბიურო.

აღსანიშნავია, რომ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მუხ. 21-ე), სსკ 260-ე ან 273-ე მუხლით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულისათვის ნასამართლევ პირობით მსჯავრდებულებს დამატებით მოეთხოვებათ, მუდმივმოქმედ კომისიას ნარუდგინონ ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ შესაბამისი დასკვნა.

ამ კომისიის უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 29 ნოემბრის №208 ბრძანების

[45] ამ საკითხზე დაწერილებით იხ. მ. შალიკაშვილი, ნაშრომში: პრობაციის სამართალი, ავტ. კოლექტ. თბ. 2015, გვ. 182-184

საფუძველზე.

რამდენად სწორია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჩამოერთვა სასამართლოს და გადაეცა სპეციალურად ამისათვის შექმნილ კომისიას?

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად, რადგან ნებისმიერი საკითხი, რაც დაკავშირებულია სასჯელთან (სასჯელის დანიშვნა, მისი პირობით ჩათვლა, სასჯელისაგან გათავისუფლება, თუ პირობითი მსჯავრის გაუქმება და სხვ.) უნდა იყოს სასამართლოს გადასაწყვეტი. ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში სასჯელის „ბატონ-პატრონი" არის სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ერთად-ერთი ორგანო. რაც მთავარია, ამაზე პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, რომლის მიხედვით: სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის შემცირება წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების (კერძოდ, განაჩენის) შეცვლას, რაც კონსტიტუციით სასამართლოს პრეროგატივაა.

მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ ზემოთხსენებული ეს მუდმივმოქმედი კომისია შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე და ამავე დროს მინდობილი აქვს ასეთი საპასუხისმგებლო საკითხი, რაც ყოვლად დაუშვებელია.

პირობითი მსჯავრის გაუქმება იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ პროფესიონალ იურისტს უნდა მიენდოს.

სჩანს, კანონმდებლობაში ასეთი ცვლილების შეტანის მიზანი იყო სასამართლოების განტვირთვა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვა, რაც ნამდვილად არაა ის არგუმენტი, რომელიც საკითხის ამგვარად გადაწყვეტის დასაბუთებისათვის გამოდგება.

რა კრიტერიუმით უნდა დადგინდეს, რომ პირობით მსჯავრდებულმა ყოფაქცევით დაამტკიცა თავისი გამოსწორება?

ამისათვის უნდა დადგინდეს, რომ იგი ამ ხნის (გამოსაცდელი ვადის ნახევრის) განმავლობაში პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყველა ვალდებულებას. ასევე მხედველობაშია მისაღები ისიც, ამ ხნის განმავლობაში მას ხომ არ ჩაუდენია რაიმე ადმინისტრაციული ან დისციპლინური გადაცდომა (იგულისხმება პირობით მსჯავრდებული, რომელიც დაკავებულია სამსახურით საჯარო ან კერძო სტრუქტურაში).

საქმის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება მსჯავრდებულს ეგზავნება სხდომის ჩატარებიდან 14 სამუშაო დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (და არა მისი გაგზავნიდან) ერთი თვის ვადაში. თუ აღნიშნულმა კომისიამ პირობით მსჯავრდებულს უარი უთხრა პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე და ნასამართლობის მოხსნაზე, ამავე საკითხზე შუამდგომლობის ხელმეორედ განხილვა დასაშვებია გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ამასთანავე ხელმეორედ

საკითხის განხილვისათვის საჭიროა პრობაციის ბიუროს მიერ ახალი შუამდგომლობის წარდგენა, რადგან არაა გამორიცხული, ამ 6 თვის განმავლობაში მსჯავრდებულის ყოფაქცევა შეიცვალოს არა მხოლოდ უკეთესობისაკენ, არამედ უარესობისკენ.

თუკი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ, მან ასევე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ნასამართლობის მოხსნის შესახებ. ამ დღიდან ეს პირი ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ.

როგორც ვხედავთ, ამ კომისიას მინდობილი აქვს სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხიც, რაც დაკავშირებულია ნასამართლობის მოხსნა-არმოხსნასთან, რაც ასევე არაა სამართლიანი.

პირობითი მსჯავრის გაუქმება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

სსკ 67-ე მუხლს ბოლო დროს (2011 წლის 11 დეკემბერს) დაემატა 1[1] ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „პირობით მსჯავრდებულისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა შესაძლებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც“.

როგორც ვხედავთ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას ზემოთხსენებულ მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია, პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე, გააუქმოს პირობითი მსჯავრი და პირობით მსჯავრდებულს მოუხსნას ნასამართლობა.

საინტერესოა, რა სიმძიმის დაავადება იგულისხმება „ჯანმრთელობის მდგომარეობაში“ და რომელი ნორმატიული აქტითაა ეს საკითხი მოწესრიგებული?

ჩვენი სს კანონმდებლობა სსკ 74-ე მუხლში ითვალისწინებს სასჯელისაგან გათავისუფლებას ავადმყოფობის გამო. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების უფლება აქვს სასამართლოს, თუ დანიშნულია თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი. ხოლო თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების უფლება აქვს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას.

კერძოდ, მათ უფლება აქვთ, სასჯელისაგან გაათავისუფლონ ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას.

როგორც ვხედავთ, სსკ 74-ე მუხლის მოთხოვნაა: ა) მსჯავრდებული დაავადებული იყოს მძიმე ავადმყოფობით და ბ) ეს დაავადება ხელს უნდა უშლიდეს სასჯელის მოხდას.

ამასთანავე ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ეს პირი სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ გამოჯანმრთელდა, მას შეიძლება კვლავ დაეკის-

როს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ იყო გასული კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

როგორც ვხედავთ, სსკ 74-ე მუხლით დადგენილია, თუ რა სიმძიმის უნდა იყოს დაავადება მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევაში. რაც შეეხება სსკ 67-ე მუხლის 1^1 ნაწილს, აქ არაა დაკონკრეტებული დაავადების სიმძიმე, არამედ საუბარია მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე. ასევე არაა ნათქვამი, ჯანმრთელობის ეს მდგომარეობა უნდა უშლიდეს თუ არა ხელს პირობით მსჯავრდებულს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში. ყველაფერი ეს კი კანონის ბუნდოვანებაზე მიუთითებს.

რეალურად კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პირობითი მსჯავრის გაუქმება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, თუ დაავადება ხელს უშლის გამოსაცდელ ვადაში დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და ყველაფერი ეს კანონში ნათლად უნდა იყოს ნათქვამი.

საკითხზე, არსებობს თუ არა ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს პირობით მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის კრიტერიუმს, იურიდიულ ლიტერატურაში ასეთად დასახელებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი ბრძანება, თუმცა არაა დაკონკრეტებული ამ ერთობლივი ბრძანების არც თარიღი და არც სახელწოდება.[46]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკანონმდებლო რეფორმის საკოორფინაციო საბჭოს მიერ შემუშავებულ პროექტშიც ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერია შეცვლილი.

გამოსაცდელი ვადის გაგრძელება ან შემცირება.

სსკ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია პირობითი მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით, პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააგრძელოს (არა უმეტეს ერთი წლისა) ან შეამციროს გამოსაცდელი ვადა.

როგორც ვხედავთ, საერთოდ მსჯავრდებულის ყოფაქცევა შეიძლება გახდეს საფუძველი მის მიმართ:

ა) პირობითი მსჯავრის გაუქმებისა (67-ე მ. პირვ. ნაწ.) (რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ);

ბ) გამოსაცდელი ვადის შემცირებისა (ამავე მუხლის მე-2 ნაწ.);

გ) გამოსაცდელი ვადის გაგრძელებისა (ამავე მუხ. მე-2 ნაწ.).

რა პირობების არსებობისას უნდა დადგეს საკითხი გამოსაცდელი ვადის შემცირებაზე და რით განსხვავდება ეს პირობები იმ პირობებისაგან, რაც სსკ 67-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ხდება პირობითი მსჯავრის გაუქმების საფუძველი?

პრობლემა იმაშია, რომ კანონმდებელი ორივე შემთხვევაში საკითხის

[46] მ. შალიკაშვილი, ნაშრომში: პრობაციის სამართალი, ავტ. კოლექტ. თბ. 2015, გვ. 186

გადაწყვეტის საფუძვლად მსჯავრდებულის ყოფაქცევას აცხადებს.

გამოდის, რომ ერთ შემთხვევაში მსჯავრდებულის ყოფაქცევა შეიძლება გახდეს მის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმების საფუძველი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – გამოსაცდელი ვადის შემცირების საფუძველი.

მაშ რა განსხვავებაა სსკ 67-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს შორის?

განსხვავება პირველი: იმისათვის, რომ სასამართლომ გააუქმოს პირობითი მსჯავრი, საჭიროა, გასული იყოს გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევარი. ხოლო გამოსაცდელი ვადის შემცირებისათვის კი ასეთი წინაპირობა არაა დადგენილი;

განსხვავება მეორე: პირობითი მსჯავრის გაუქმებისათვის აუცილებელია, რომ მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით სასამართლო მივიდეს დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულმა დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

რაც შეეხება გამოსაცდელი ვადის შემცირებას, ამისათვის სასამართლო უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით მისი გამოსწორებისათვის არაა აუცილებელი დანიშნული გამოსაცდელი ვადის ბოლომდე მიყვანა, არამედ პირის გამოსწორებისათვის საკმარისი იქნება შემცირებული ვადაც. ამასთან, გამოსაცდელი ვადის შემცირება უნდა მოხდეს იმ ოდენობით, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების დღეს არ ამოიწუროს გამოსაცდელი ვადა. ნინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ სასამართლომ კი არ შეამცირა გამოსაცდელი ვადა, არამედ ფაქტობრივად გააუქმა პირობითი მსჯავრი.

მაგალითად, პირობით მსჯავრდებულს გამოსაცდელ ვადად დაკისრებული აქვს 3 წელი. 2 წლის გასვლის შემდეგ პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით სასამართლომ მას შეუმცირა გამოსაცდელი ვადა ერთი წლით.

ასეთი გადაწყვეტილების შედეგად გამოვა, რომ სასამართლომ კი არ შეამცირა გამოსაცდელი ვადა, არამედ ფაქტობრივად გააუქმა პირობითი მსჯავრი, რადგან თავდაპირველად დანიშნული გამოსაცდელი ვადიდან (3 წლიდან) სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროისათვის არაფერი დარჩა.

ასეთი რამ კი დაუშვებელია, რადგან გამოსაცდელი ვადის შემცირება თავისი იურიდიული შედეგით არ უნდა გაუთანაბრდეს პირობითი მსჯავრის გაუქმებას. გამოსაცდელი ვადის შემცირების შედეგად დარჩენილ ვადაში მსჯავრდებულს უნდა მიეცეს დამატებითი სტიმული, რომ ამ მოკლე ვადაში იგი გაამართლებს სასამართლოს ნდობას და ბოლომდე შეასრულებს ყველა ვალდებულებას.

რა ხნით შეიძლება გამოსაცდელი ვადის შემცირება?

განსხვავებით ამ ვადის გაგრძელებისაგან, კანონმდებელი ამ საკითხს არ აკონკრეტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება შემცირდეს ერთ წელზე მეტი ვადითაც, თუ მსჯავრდებულის ყოფაქცევა იძლევა ამის შესაძლებლობას.

საინტერესოა, როდის დადგება საკითხი გამოსაცდელი ვადის გაგრძელების შესახებ?

თუ აქვს მნიშვნელობა, რა ვადაა გასული მისი დაწყებიდან, ან რა დრო დარჩა

მის ამოწურვამდე?

ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი სსკ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილში არაა, მაგრამ იგი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ გამოსაცდელი ვადის გაგრძელების საკითხი რომ დადგეს, ამისათვის გასული უნდა იყოს მისი უმეტესი ნაწილი და დარჩენილი იყოს მცირე ვადა.

ასეთი განმარტების საფუძველი არის ის, რომ გამოსაცდელი ვადის გაგრძელების საკითხი უნდა დადგეს მხოლოდ მაშინ, როცა პირის ყოფაქცევიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ამ ვადაში მსჯავრდებული დაკისრებული მოვალეობის პირნათლად არ შეასრულებს ან ვერ შეასრულებს. თუმცა არც ისე ცუდადაა საქმე, რომ დადგეს საკითხი მის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად (მხედველობაში გვაქვს ვალდებულებების სისტემატურად და ჯიუტად შეუსრულებლობა).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სსკ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირობით მსჯავრდებულს (რომლის ყოფაქცევაც არაა სანიმუშო), გამოსაცდელი ვადის გაგრძელებით აძლევს შესაძლებლობას, ამ ვადაში მაინც ბოლომდე შეასრულოს იმ მოვალეობები, რაც მას დააკისრა სასამართლომ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს უფლება აქვს, არა უმეტეს ერთი წლისა გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, **თუ აქვს სასამართლოს გამოსაცდელი ვადის გაგრძელების უფლება მაშინ, როცა განაჩენით პირობით მსჯავრდებულის მიმართ უკვე დადგენილი იყო გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ზღვარი – 6 წელი, ანდა თუკი ამ ვადის ერთი წლით გაზრდის შემთხვევაში იგი 6 წელს გადასცდება?**

ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი განსახილველ მუხლში არაა. ამდენად, ეს საკითხი შესაძლოა გახდეს დავის საგანი.

პროფ. ო. გამყრელიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში სასამართლო უნდა ჩაეტიოს სსკ 64-ე მუხლით დადგენილ ვადაში.[47]

ვფიქრობთ, უფრო გამართლებული იქნება, თუ ნორმის განმარტება მოხდება იმგვარად, რომ საკითხი გადაწყდება მსჯავრდებულის სასარგებლოდ. კერძოდ, სასამართლოს ყველა შემთხვევაში მიეცეს შესაძლებლობა, გაზარდოს გამოსაცდელი ვადა, რათა ბრალდებულმა ამ ვადაში მაინც მოასწროს დაკისრებული მოვალეობის ბოლომდე შესრულება და გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ არა დადგეს საკითხი პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ. ამდენად, სსკ 64-ე მუხლით დადგენილი გამოსაცდელი ვადის მაქსიმუზე მეტი დროით გამოსაცდელი ვადის დანიშვნა ამ შემთხვევაში პირს აძლევს შესაძლებლობას, მის მიმართ დანიშნული სასჯელი რეალურად არ აღსრულედეს.

11. სასამართლოს უფლება, გააუქმოს პირობითი მსჯავრი – სსკ 67-ე მ-ის მე-3 და მე- 4 ნაწილები

[47] იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3. გვ. 120

მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოს პირობითი მსჯავრის გაუქმების უფლება აქვს არა მარტო მსჯავრდებულის სასარგებლოდ (67-ე მუხლის პირველი ნაწ.), არამედ მის საზიანოდაც.

კერძოდ, სსკ 67-ე მუხლის მე-3 ნაწილით, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში სისტემატურად ან ჯიუტად არ ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ორგანოს წარდგინებით (იგულისხმება პრობაციის ბიურო) დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და აღსრულდეს განაჩენით დადგენილი სასჯელი.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გაუქმება სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა. ამავე დროს სახეზე უნდა იყოს მოვალეობების არა ეპიზოდური შეუსრულებლობა, არამედ მას უნდა ჰქონდეს სისტემატური ან ჯიუტი ხასიათი. ასევე აუცილებელია პრობაციის ბიუროს წარდგინება.

სისტემატურ შეუსრულებლობას ადგილი აქვს მაშინ, როცა მსჯავრდებულმა არანაკლებ სამჯერ არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. ამასთან მას უნდა ჰქონდეს ტენდენციის ხასიათი, ანუ ჩადენილი უნდა იყოს დროის მცირე შუალედის დაშორებით. მაგალითად, მსჯავრდებული სამჯერ ზედიზედ არ გამოცხადდა პრობაციის ბიუროში რეგისტრაციისათვის. ანდა აკრძალვის მიუხედავად, დროის მცირე ინტერვალის დაშორებით სამჯერ მოინახულა განსაზღვრული ადგილი.

სისტემატურობის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, ერთი და იგივე მოვალეობაა შეუსრულებელი მინიმუმ სამჯერ, თუ სხვადასხვა მოვალეობა. ამდენად, სისტემატურ დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს შემთხვევა, როცა პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ერთხელ დროზე არ გამოცხადდა პრობაციის ბუიროში, ერთხელ მოინახულა აკრძალული ადგილი, ასევე ერთხელ შეხვდა იმ პირს, ვისთანაც შეხვედრა აკრძალული ჰქონდა.

ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როცა სისტემატურობას განვმარტავთ, როგორც არანაკლებ სამჯერ ჩადენილ დარღვევას, ეს პირობითი დათქმაა, რადგან ყველაფერი მაინც დამოკიდებულია გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობაზე. მაგალითად, თუ გამოსაცდელ ვადად დანიშნული იყო ერთ წელზე მეტი, ვთქვათ, 5 ან 6 წელი, მაშინ ამ ვადის განმავლობაში ერთი და იგივე მოვალეობის სამჯერ დარღვევა ვერ ჩაითვლება სისტემატურად.

ამასთანავე, თუკი რომელიმე მოვალეობის სამჯერ შეუსრულებლობას ადგილი ჰქონდა მცირე ინტერვალის დაშორებით, პრობაციის ბიურო ვალდებულია, არ დაელოდოს გამოსაცდელი ვადის ამოწურვას, არამედ ეს ფაქტი მანამდე აცნობოს სასამართლოს (სსკ 66-ე მ-ის პირვ. ნაწ.), რომელიც თავის მხრივ ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

რაც შეეხება მოვალეობათა ჯიუტად შეუსრულებლობას, მასში უნდა ვუგულისხმოთ ისეთი შემთხვევა, როცა პირობით მსჯავრდებული მიუხედავად იმისა,

რომ არაერთხელ იქნა გაფრთხილებული სათანადო ორგამოს მიერ და ხელსაც არაფერი უშლის, არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სსკ 67-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილში დადგენილი რეგულაციები (პრობაციის ბიურომ დაუყონებლივ აცნობოს სასამართლოს მსჯავრდებულის მიერ მოვალეობათა დარღვევის შესახებ, ასევე სასამართლოს უფლება, გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა), ემსახურება იმას, რომ აღკვეთილ იქნას მსჯავრდებულის მიერ მოვალეობათა სისტემატურად ან ჯიუტად თავის არიდების შემთხვევა.

როგორ ნესრიგდება ეს საკითხი სსკ პროექტში?

პროექტის მიხედვით, „თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ორგანო შეახსენებს მას მოვალეობის შესრულების მნიშვნელობასა და მისთვის თავის არიდების სამართლებრივ შედეგს. თუ მსჯავრდებული კვლავ არ შეასრულებს მოვალეობას, სასამართლოს შეუძლია ამ ორგანოს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და აღსრულდეს განაჩენით დადგენილი სასჯელი“.

როგორც ვხედავთ, პროექტიდან ამოღებულია მითითება სისტემატურად ან ჯიუტად თავის არიდებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალეობის დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს მისი არასაპატიო მიზეზით ერთჯერადი შეუსრულებლობაც, მაგრამ სანაცვლოდ დადგენილია შესაბამის ორგანოთა მოვალეობა, შეახსენოს დამრღვევ მსჯავრდებულს დარღვევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგზე, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არაა ამ ორგანოთა ვალდებულება.

აქვე ისმის კითხვა: რა უნდა მოხდეს მაშინ, თუ სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულმა სისტემატურად ან ჯიუტად არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, არ გააუქმა პირობითი მსჯავრი?

ჩვენი კანონმდებელი არც ამ საკითხზე იძლევა პასუხს განსახილველ ნორმაში, რაც ნორმის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

ამ კითხვას შემდეგი პასუხი უნდა გაეცეს: თუ სასამართლო არ გააუქმებს პირობით მსჯავრს იმის მიმართ, ვინც გამოსაცდელ ვადაში სისტემატურად ან ჯიუტად არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, მას შეუძლია, სსკ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე არაუმეტეს ერთი წლით გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა.

თუ მსჯავრდებული ამ ვადაშიც სისტემატურად ან ჯიუტად არ შეასრულებს დაკისტრებულ მოვალეობას, მაშინ სასამართლომ უნდა გააუქმოს პირობითი მსჯავრი და დაადგინოს, რომ აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი.

საკითხავია: თუ შეუძლია სასამართლოს ასეთ შემთხვევაში (როცა პირმა გამოსაცდელი ვადის გაგრძელების მიუხედავად არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა) არც პირობითი მსჯავრი გააუქმოს და არც გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა? ანუ თუ შეუძლია ჩათვალოს, რომ პირობით მსჯავრით დადგენილი პირობა შესრულებულია?

ასეთი უფლება სასამართლოს არა აქვს, რადგან სახეზეა მოვალეობათა არა ეპიზოდური, არამედ სისტემატურად ან ჯიუტად შეუსრულებლობა.

პირობითი მსჯავრი შეიძლება გაუქმდეს ასევე სსკ 67-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში: „თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, პირობითი მსჯავრის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო".

ეს ის შემთხვევაა, როცა სასამართლო იხილავს სს საქმეს და პირს ბრალად ედება გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენა წინა განაჩენით დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.

რატომ აძლევს კანონმდებელი სასამართლოს ასეთ შემთხვევაში უფლებას, არ გააუქმოს პირობითი მსჯავრი?

საქმე ისაა, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისას ადგილი არა აქვს პირობითი მსჯავრით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობას. მით უმეტეს, ადგილი არა აქვს ასეთი მოვალეობის შეგნებულ შეუსრულებლობას. სახეზეა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რაც შეიძლება ჩადენილი იყოს თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. მართალია, თვითიმედოვნებისას ხდება წინდახედულობის ნორმის შეგნებული დარღვევა, მაგრამ ეს მაინც არ ცვლის საქმის არსს, თუმცა ეს ფაქტი (ადგილი ჰქონდა თვითიმედოვნებას, თუ დაუდევრობას), სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს პირობითი მსჯავრის გაუქმება-არგაუქმების საკითხის გადაწყვეტისას. ცნობილია, რომ გაუფრთხილებლობა ბრალის დაბალი ხარისხია, რაზეც მეტყველებს სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიც: „გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში".[48]

საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე ის გარემოება, თუ რამდენად ასრულებდა მსჯავრდებული პირობითი მსჯავრით დადგენილ მოვალეობებს. თუკი იგი ამ ვალდებულებებს ეკიდებოდა პასუხისმგებლობით, სასამართლოს შეუძლია გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, არ გააუქმოს მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრი.

შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როცა მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი დანაშაული და ამავე დროს პრობაციის ბიუროს ნარდგინებით დგინდება, რომ მან ამ ვადაში სისტემატურად არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა.

ასეთ ვითარებაში ერთდროულად სახეზეა ორი გარემოება, საიდანაც თითოეული სასამართლოს უფლებას აძლევს, გააუქმოს პირობითი მსჯავრი. შესაბამისად, ამ დროს სასამართლომ უნდა გააუქმოს პირობითი მსჯავრი.

---

[48] ბრალის ხარისხზე იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, თბ. 2011, გვ. 413-423

სასამართლოს ვალდებულება, გააუქმოს პირობითი მსჯავრი – სსკ 67-ე მ-ის მე-5 ნაწილი

გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს აწესრიგებს სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი: „თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლი გათვალისწინებული წესით. იმავე წესით დაინიშნება სასჯელი ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში (იგულისხმება გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენა). გამონაკლის შემთხვევაში პირობითი მსჯავრი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მხარეთა შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე თავის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან".

როგორც ვხედავთ, გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენისას ეს მუხლი, როგორც წესი, მოითხოვს პირობითი მსჯავრის გაუქმებას და სასჯელის დანიშვნას განაჩენთა ერთობლიობის წესით. ამავე დროს უშვებს გარკვეულ გამონაკლისს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამდენად, გამოდის, რომ სსკ 64-ე მუხლით გამოსაცდელ ვადაში დადგენილი მოვალეობა – არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, უპირატესად გულისხმობს მოვალეობას, არ ჩაიდინოს განზრახი დანაშაული, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, გააუქმოს პირობითი მსჯავრი. გამოდის, რომ ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის ჩადენილი დანაშაული. არც იმას, რამდენად პირნათლად ასრულებდა მსჯავრდებული ამ ხნის განმავლობაში დაკისრებულ სხვა მოვალეობას.

ეს იმას ნიშნავს, რომ დაკისრებული მოვალეობიდან მთავარი მოვალეობაა, არ ჩაიდინოს განზრახი დანაშაული. დანარჩენი მოვალეობა შედარებით მეორე ხარისხოვანია.

12. აქვე უნდა განვიხილოთ საკითხი, თუ რა იგულისხმება სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ „გამონაკლის შემთხვევაში"?

საკითხთან დაკავშირებით პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე კითხვას:

1. რა პირობები იგულისხმება ამ „გამონაკლის შემთხვევაში"?

2. რა ხდება მაშინ, როცა სახეზეა ეს გამონაკლისი შემთხვევა. კერძოდ: ა) ამ დროს სასამართლო აუქმებს პირველი განაჩენით გამოყენებულ პირობით მსჯავრს და განაჩენთა ერთობლიობით გამოტანილ სასჯელს ჩათვლის პირობითად, თუ ბ) პირველი განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი რჩება ხელუხლებელი და ახლად გამოტანილი განაჩენით დანიშნული სასჯელიც ასევე ჩაითვლება პირობით?

დავიწყოთ პირველი საკითხის განხილვით.

კერძოდ, ისმის კითხვა: რა შემთხვევებზეა საუბარი სს საპროცესო კოდექსის

XXI თავში?

ამ საკითხს აწესრიგებს ამ თავის 218-ე მუხლი, რომელშიც განმარტებულია, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ „გამონაკლის შემთხვევაში"? კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგამოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვიანობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულისათვის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ".

ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი ასეთ შემთხვევაში აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველია მთავარ პროკურორსა და ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, როცა საქმე ეხება მსჯავრდებულს (რაც პირდაპირ კავშირშია პირობითი მსჯავრის მეორედ გამოყენების საკითხთან), ნათქვამია შემდეგი: „განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას საქართველოს მთავარმა პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, რომელსაც იგი ამ კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. მსჯავრდებულის შემთხვევაში საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე სასჯელის მოუხდელი ვადა. განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის გახსნა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია აღნიშნული თანამშრომლობით და ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისგებაში მიცემის, მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს".

ამდენად, სს საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველია სს საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის როგორც პირველ, ისე მე-3 ნაწილში მოცემული ნინაპირობები. აქედან 218-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული პირობები ვრცელდება როგორც ბრალდებულზე, ისე მსჯავრდებულზე, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული პირობები – მხოლოდ მსჯავრდებულზე.

რაც შეეხება სს საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-3 ნაწილში ნახსენებ ამავე კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილს, იქ ნათქვამია: „ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, და-

ნაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს".

როგორც სსსკ 218-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილის შინაარსიდან ჩანს, განსაკუთრებული თანამშრომლობის შედეგია ის, რომ პროკურორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს: 1. ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ; 2. მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ. (218-ე მ. პირვ. ნაწ.).

ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებაშიც, როცა დგება საკითხი პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელმაც გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული (სსკ 67-ე მ-ის მე-5 ნაწ.), პირობითი მსჯავრის ხელმეორედ გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება დადებულია სს საპროცესო კოდექსის XXI თავის შესაბამისად, რაც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან, ან მის მოადგილესთან.

ეს იმას ნიშნავს, რომ აქაც საპროცესო შეთანხმების დადებისას დაცული უნდა იყოს განსაკუთრებული თანამშრომლობის ის პირობები, რაც მოცემულია სს საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებში. ასევე საჯარო ინტერესების შეფასებისას გათვალისიწნებული უნდა იყოს სს საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირობები.

ამდენად, ეს პირობები სახეზე უნდა იყოს კუმულაციურად და არა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი (მაგალითად, სსს კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირობები).

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სსსკ 218-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული თითქმის ყველა მოთხოვნა (მაგალითად, პროკურორის მიერ გათვალისწინებულ იქნეს საჯარო ინტერესი, დანაშაულის გახსნა განპირობებული უნდა იყოს აღნიშნული თანამშრომლობით და სხვ.), ეხება როგორც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლების, ისე მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შემთხვევას.

რაც შეეხება სასჯელის მოუხდელი ვადის გათვალისწინებას, იგი საჯარო ინტერესის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მსჯავრდებულის შემთხვევაში.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ თუკი პირმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, სსკ 67-ე მუხლის მე- 5 ნაწილი უშვებს გამონაკლის შემთხვევას, როცა ამ დროსაც შესაძლებელია, მის მიმართ კვლავ გამოყენებულ იქნას პირობითი მსჯავრი, მაგრამ საამისოდ საჭიროა, სახეზე იყოს სსს კოდექსის 218-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევა. კერძოდ:

ა) ამ პირის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად უნდა

გაირკვეს დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ვინაობა; ან/და

ბ) უნდა გაირკვეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა;

გ) ამ პირის უშუალო ხელშეწყობით უნდა შეიქმნას ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები (ეს სამი პირობა მოცემულია სსსკ 218-ე მ-ის პირვ. ნაწ-ში.);

დ) გარდა ამისა, მთავარმა პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის მოუხდელი ვადა (ე.ი. დანიშნული სასჯელის რა ნაწილი მოიხადა პირმა ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენამდე და რა ვადა დარჩა მას მოსახდელი);

ე) შეთანხმება უნდა დაიდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის გახსნა ცალსახად განპირობებულია ზემოალნიშნული თანამშრომლობით (ე.ი. რომ არა ამ პირის თანამშრომლობა გამოძიებასთან, საქმე ვერ იხსნებოდა);

ვ) ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისგებაში მიცემის, ან მისთვის სასჯელის დაკისრების, ან მის მიერ სასჯელის მოხდის საჯარო ინტერესს. (ეს უკანასკნელი სამი პირობა მოცემულია სსსკ 218-ე მ-ის მე-3 ნაწ-ში).

ეს უკანასკნელი „ვ" ქვ-ით გადმოცემული პირობა უნდა გავიგოთ ისე, რომ პირის ხელშეწყობით უნდა გაიხსნას ისეთი სიმძიმის და რეზონანსის დანაშაული, რომ მისი გახსნის ფაქტმა გადაწონოს თავად ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

ასევე პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სსსკ 210-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები (საჯარო ინტერესის გათვალისწინების კრიტერიუმები).

ვნახოთ, როგორ ესმით ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაში?

მაგალითი:

2012 წლის 11 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკურუფციული დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა განაჩენი ბრალდებულ მ-ს მიმართ სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვ-ითა (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 210-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი საანგარიშწორებო ბარათისა და საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადება და გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.[49]

როგორც განაჩენიდან ირკვევა, ბრალდებული მ-ი 2011 წლის 7 ნოემბერს გასამართლებული იყო თელავის რაიონული სასამართლოს მიერ და დანიშნული სასჯელი ჩათვლილი ჰქონდა პირობით. გამოსაცდელი ვადის გასვლამდე იგი მხილებულ იქნა ორი ახალი დანაშაულის ჩადენაში, საიდანაც ერთ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ.), რის საფუძველზეც მის მიმართ დაიწყო სს დევნა.

[49] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/3590-12

სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და დაამტკიცა მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, რაც თვის მხრის შეთანხმებული იყო ზემდგომ პროკურორთან და საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილესთან.

განაჩენის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების პირობის გათვალისწინებით ბრალდებულ მ-ს სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვ-ით სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

მასვე სსკ 210-ე მუხლის პირველი ნაწილით სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით დაენიშნა ასევე 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეტა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ 59-ე მუხლის და სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს სასამართლომ დაუმატა თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი 1 (ერთი) წელი, რაც კვლავ ჩაუთვალა პირობით. საბოლოოდ, სასამართლომ ბ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით. ამავე კოდექსის 64-ე მუხლის გამოყენებით გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 3 (სამი) წელი. მასვე სსკ 65-ე მუხლის საფუძველზე დაეკისრა სხვადასხვა მოვალეობები.

როგორც ვხედავთ, განაჩენით დაუზუსტებელია, ბრალდებულ მ-ს განაჩენთა ერთობლიობით დანიშნულ სასჯელს რა (თ.ა. 1 წლით) დაუმატა სასამართლომ? რას ნიშნავს „დაუმატა თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი 1 (ერთი) წელი, რაც კვლავ ჩაუთვალა პირობით"? პირობითი მსჯავრი არაა სასჯელის სახე. ამდენად, გაურკვეველია, რისი ხანგრძლიობა იყო 2011 წლის განაჩენით ერთი წელი – თავისუფლების აღკვეთის, თუ გამოსაცდელი ვადის?

ამდენად, იმის მიუხედავად, რომ პირმა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაულები. მათ შორის ერთ-ერთი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, მის მიმართ მაინც გავრცელდა სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევა.

ვნახოთ, რა გარემოებები მიიღო მხედველობაში პროკურატურამ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადებისას.

განაჩენში ვკითხულობთ: „პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ ბრალდებული ლ. მ-ლი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, საჯარო ინტერესის დაცვით, იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტურობით იქნეს გამოყენებული სახელმწიფო რესურსები, 2012 წლის 03 ოქტომბერს, საქართველოს

სსს კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით, ბრალდებულ ლ-ნ მ-სა და საქართველოს პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორს შორის, წერილობით გაფორმდა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. ..“

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული „გამონაკლისი შემთხვევის“ დასაბუთებისათვის მიუთითა სსსკ 210-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებიდან რამდენიმე გარემოება:

ა) ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე;

ბ) ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხი;

გ) ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება;

დ) საჯარო ინტერესი, რომ მაქსიმალური ეფექტურობით იქნეს გამოყენებული სახელმწიფო რესურსი.

ამ ჩამონათვალიდან აშკარაა, რომ პროკურორს არ დაუსაბუთებია, რაში გამოიხატება ისინი მოცემულ შემთხვევაში. კერძოდ, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე – ის, რომ იგი საკმაოდ მძიმეა, რატომ ჩაითვალა საჯარო ინტერესის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

ასევე არ უმსჯელია, თუ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის რა ხარისხზეა საუბარი მოცემულ შემთხვევაში და რატომ გახდა იგი საჯარო ინტერესის გათვალისწინების კრიტერიუმი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასწორია მითითება მართლწინააღმდეგობის ხარისხზე, რადგან მართლწინააღმდეგობას, საზოგადოებრივი საშიშოებისაგან და უმართლობისაგან განსხვავებთ, არა აქვს ხარისხი. ქმედება ან არის მართლსაწინააღმდეგო, ან არაა ასეთი.[50] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სს საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილში არაა მითითებული „მართლწინააღმდეგობების ხარისხზე“.

რაც მთავარია, პროკურორის ამ შუამდგომლობაში საერთოდ არაა მხედველობაში მიღებული საქარველოს სსსკ 218-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. უფრო მეტიც, ეს მუხლი არცაა ნახსენები.

როგორც ჩანს, სასამართლო პრაქტიკას არასწორად ესმის სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, რაც წესრიგდება საქართველოს სს საპროცესო კოდექსის 218-ე და 210-ე მუხლებით. მოცემულ მაგალითში განსაკუთრებული შემთხვევის დასაბუთებისათვის გამოყენებულია (ისიც სქემატურად) მხოლოდ სს საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილი და არაა გამოყენებული სს საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი, რაც არაწორია.

მართალია, ეს საკითხი პირდაპირ კავშირში არაა განსახილველ თემასთან,

[50] ამ საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 168-171

მაგრამ არ შეიძლება, ორიოდ სიტყვით არ აღინიშნოს სს საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილში ნახსენები **„ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროება“**, როგორც საჯარო ინტერესის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

საქმე ისაა, რომ იურიდიული აზროვნების წესისათვის მიუღებელია გამოთქმა „ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროება“, რადგან სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. ამდენად, კრიმინალიზაციის საფუძველია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და არა პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალურად საშიში (საზოგადოებრივად საშიში) შეიძლება იყოს ქმედება და არა პიროვნება. პირი შეიძლება იყოს მიდრეკილი ასეთი ქმედების ჩადენისაკენ, რაც მას აქცევს „რისკ-ჯგუფში“ შემავალ პირად, დევიანტური ქცევისაკენ მიდრეკილ პირად, მაგრამ არა საზოგადოებრივად საშიშ პირად. პირის ამგვარ მიდრეკილებას უპირატესად აქვს კრიმინოლოგიური მნიშვნელობა დანაშაულის პრევენციის კუთხით.

ამ თვალსაზრისით სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანი არ არის ის გარემოება, არის თუ არა ქმედება სისხლის სამართლის ნორმით დასჯადი. კრიმინოლოგია სწავლობს ადამიანის მიერ განხორციელებულ ისეთი სახის ქმედებებსაც, რომელიც სს კოდექსით დასჯადად არ არის გამოცხადებული, მაგრამ შეიცავს საფრთხეს დარღვეულ იქნას საზოგადოებრივი თანაცხოვრება და კვლავ მოხდეს იგივე პირის მიერ უკვე სს კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.[51]

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ სისხლის სამართალი მხოლოდ ქმედების სამართალია. სინამდვილეში იგი ამ ქმედების ჩამდენის, ანუ „მომქმედის“ სამართალიც არის. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონმდებლობით შეუძლებელი იქნებოდა სასჯელის დადგენისას გაგვეთვალისწინებინა პირის წარსული ცხოვრება, მისი ყოფაქცევა ქმედების ჩადენის შემდეგ, მისი მისწრაფება, შეურიგდეს დაზარალებულს და აანაზღაუროს მიყენებული ზიანი (სსკ 53-ე მ. მე-3 ნაწ.). ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობით შეუძლებელი იქნებოდა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას პირის ნასამართლობის მხედველობაში მიღების დაწესება (სსკ 63-ე მ.). აგრეთვე შეუძლებელი გახდებოდა არასრულწლოვანთა მიმართ მთელი რიგი საკანონმდებლო შეღავათის დაწესება. ამის კიდევ ერთი დასტურია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, რაც ძალაში შევა 2016 წლის 1 იანვრიდან.

აღსანიშნავია, რომ დღეს სს კოდექსში (53-ე მუხლის მე-3 ნაწ.) ნახსენები „დამნაშავის წარსული ცხოვრება“, აშკარად განსხვავდება „პირის საზოგადოებრივი საშიშროებისაგან“, რადგან წარსულ ცხოვრებაში იგულისხმება მისი საქმიანობა წარსულში, რაც გარკვეულ ქმედებასთანაა დაკავშირებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1961 წლის სს კოდექსის 44-ე მუხლი ითვალისწინებდა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნებას, სადაც მოცემული იყო ის პირობები, რომლის არსებობისას სასამართლოს შეეძლო

[51] იხ. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მე-2 გამოცემა, თბ. 2011, გვ. 259-260

მსჯავრდებული ეცნო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. შესაბამისად, სს კოდექსის კერძო ნაწილის მთელი რიგ მუხლებში ვხვდებოდით შემდეგი სახის დამამძიმებელ გარემოებას: „იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ".

საქართველოს 2000 წლის სს კოდექსში უკვე არაა გათვალისწინებული განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება. აქ გათვალისწინებულია დანაშაულის რეციდივის (და არა რეციდივისტის) ცნება (სსკ მე-17 მ.), რითაც ხაზგასმაა გაკეთებული არა პიროვნებაზე, არამედ ქმედებაზე. აქედან გამომდინარე, დღევანდელ სს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლებში უკვე ვერ შევხვდებით დამამძიმებელ გარემოებას „იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ". თუმცა ვხვდებით დამამძიმებელ გარემოებას: „იგივე ქმედება, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი ...."[52]

ამდენად, საქართველოს სს საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილის ეს ჩანაწერი ამოვარდნილია დღეს საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო კონტექსტიდან.

სს საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილის ეს ნაკლი განსაკუთრებით თვალში საცემია იმის გათვალისწინებით, რომ კრიტერიუმების ჩამონათვალში „ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების" გვერდით ნახსენებია მისი „პიროვნული მახასიათებლები", რაც თავისთავად გულისხმობს როგორც დადებით, ისე უარყოფით პიროვნულ მახასიათებელს. შესაბამისად, მოცემული საკანონმდებლო კონტექსტიდან გამომდინარე, „ბრალდებულის საზოგადოებრივ საშიშროებაში" ვერ მოვიაზრებთ მის პიროვნულ მახასიათებლებს.

აღნიშვნის ღირსია, რომ აშშ კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომელიც კრძალავს მკაცრ და უჩვეულო სასჯელებს, ასევე ცდილობს, მოიშოროს ე.წ. „სტატუს" დანაშაულები, რომელიც სჯიან პირებს არა ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ იმისათვის, რასაც ისინი წარმოადგენენ პიროვნულად.[53]

რაც შეეხება მეორე საკითხს – რა ხდება მაშინ, როცა სახეზეა ეს გამონაკლისი შემთხვევა: ა) ამ დროს სასამართლო აუქმებს პირველი განაჩენით გამოყენებულ პირობით მსჯავრს და განაჩენთა ერთობლიობით გამოტანილ სასჯელს ჩათვლის პირობითად, თუ ბ) პირველი განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი რჩება ხელუხლებელი და ახლად გამოტანილი განაჩენით დანიშნული სასჯელიც ასევე ჩაითვლება პირობით?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, უფრო

[52] ამ საკითხზე იხ. გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2007, გვ. 343

[53] შეად.Robinson v. California, 370 U.S 660 (1962. ეს მასალა აღებულია წიგნიდან: Overcriminalization, The Limits of the Criminal Law, Douglas Husak, OXFORD University Press, 2008. გვ. 122

სნორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ დროს სასამართლო აუქმებს პირველი განაჩენით გამოყენებულ პირობით მსჯავრს და ხელახლა იყენებს პირობით მსჯავრს.[54]

ეს მოსაზრება გასაზიარებელია, რადგან იგი გამომდინარეობს არა მარტო პირობითი მსჯავრის არსიდან, არამედ სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის რედაქციიდან.

ჯერ-ერთი, აღნიშნული ნორმით განზრახი დანაშაულის ჩადენა არის ის გარემოება, რაც აუცილებლად იწვევს პირობითი მსჯავრის გაუქმებას, რაც ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისაგან განსხვავებით (გამოსაცდელ ვადაში გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენა) კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა;

მეორეც, განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის წესი დადგენილია სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც საბოლოოდ იწვევს ერთიანი სასჯელის დადგენას წინა და ბოლო განაჩენით დადგენილი სასჯელიების მთლიანი ან ნაწილობრივი შეკრების, ან მათი შთანთქმის წესის გამოყენებით;

მესამეც, სსკ 64-ე მუხლი აწესებს გამოსაცდელი ვადის გაზრდილ პერიოდს განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევისათვის (არანაკლებ 2 და არაუმეტეს 6 წელი). რა თქმა უნდა, აქ ის შემთხვევაც იგულისხმება, როცა პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელი პირობით იყო ჩათვლილი;

მეოთხეც, პრაქტიკულად სრულებით გაუმართლებელი იქნება ერთი მსჯავრდებულის მიმართ სახეზე იყოს ორი დამოუკიდებელი პირობითი მსჯავრი ორი სხვადასხვა გამოსაცდელი ვადით (ვთქვათ, პირველი განაჩენით 2 წელი, ხოლო ბოლო განაჩენით – 3 წელი) და ორი სხვადასხვა მოვალეობებით.

ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესი იქნება სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის რედაქცია ისე დაიხვეწოს, რომ ნათელი გახდეს კანონმდებლის პოზიცია ამ საკითხში.

კერძოდ, იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „...გამონაკლის შემთხვევაში წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გაუქმების შემდეგ სასამართლო დანიშნავს სასჯელს სსკ 59-ე მუხლით დადგენილი წესით, ამასთანავე ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელის მიმართ პირობითი მსჯავრი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მხარეთა შორის საქართველოს სს საპროცესო კოდექსის XXI თავის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან".

[54] იხ. ი. დვალიძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 141-142

13. სამოქალაქო შეთანხმება – სსკ 67[1] მუხლი

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს ბოლო დროს დაემატა ახალი 67[1] მუხლი – სამოქალაქო შეთანხმება (2012 წლის 22 მაისის კანონი).

ეს მუხლი ითვალისწინებს პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის კიდევ ერთ შესაძლებლობას (გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა) გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც. ამისათვის დადგენილია შემდეგი პოზიტიური და ნეგატიური წინაპირობები (პირველ ნაწ.):

ა) პირობით მსჯავრდებულთან პროკურორს გაფორმებული ჰქონდა სამოქალაქო შეთანხმება;

ბ) პირობით მსჯავრდებულმა ჯეროვნად შეასრულა სამოქალაქო შეთანხმებით განსაზღვრული მოვალეობები;

გ) არ არსებობს ამ კოდექსის 67-ე მუხლის მე-3 – მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები (გამოსაცდელ ვადაში მოვალეობათა სისტემატურად და ჯიუტად თავის არიდება, გაუფრთხილებელი ან განზრახი დანაშაულის ჩადენა);

დ) სსკ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება გამოსაცდელი ვადის გაგრძელების შესახებ.

ვისთან უნდა გაფორმდეს სამოქალაქო შეთანხმება?

სსკ 67[1] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პროკურორი სამოქალაქო შეთანხმებას აფორმებს არა ბრალდებულთან, არამედ პირობით მსჯავრდებულთან.

პროკურორმა ასეთი შეთანხმების გაფორმებისას უნდა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ყოფაქცევა. ამასთანავე საჭიროა, მსჯავრდებულს ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა, გარკვეულ სფეროში საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გაუზიაროს.

მართალია, კანონში არაა დაკონკრეტებული, განაჩენის გამოტანიდან რა ვადაში შეიძლება ამ შეთანხმების გაფორმება, მაგრამ პრაქტიკულად იგი შესაძლებელია მისი გამოტანიდან გარკვეული დროის შემდეგ, რადგან განაჩენის გამოტანისთანავე პროკურორი ვერ შეაფასებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას. მან განაჩენის გამოტანამდე შეიძლება შეაფასოს ბრალდებულის ყოფაქცევა, მაგრამ არა მსჯავრდებულისა.[55]

გარდა ამისა, „ყოფაქცევაში“ იგულისხმება არა მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, არამედ ის, თუ როგორ ეკიდება იგი განაჩენით დადგენილ მოვალეობებს. ამის განსაზღვრას კი გარკვეული დრო სჭირდება.

ვინ უნდა ვიგულისხმოთ „სხვებში“?

ისინი შეიძლება იყვნენ პირთა ჯგუფი (და არა ერთი პირი), რომლებიც დაინტერესებულნი არიან გარკვეული საქმიანობით. მაგალითად, სოფლის

[55] იგივე მოსაზრებას იზიარებს ი. დვალიძე, შეად. დასახ. ნაშრ. გვ. 143

მეურნეობით, სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობით, სპორტით და სხვ. ამასთანავე სჭირდებათ ამ საქმეში გარკვეული დახმარება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით.

„სხვებში" შეიძლება მოვიაზროთ თავად პრობაციონერებიც, რომელთა რესოციალიზაციაზე დადებითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს პირობით მსჯავრდებულის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებამ. თუმცა, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, ამისათვის საჭიროა პრობაციონერთა სურვილი, მიიღონ მონაწილეობა ასეთი სწავლების პროცესში, რადგან სხვა პრობაციონერისათვის სავალდებულოა იმ მოვალეობის შესრულება, რაც მას დააკისრა სასამართლომ და არა იმ მოვალეობისა, რაც პროკურორმა დააკისრა სხვა პრობაციონერს.

რა სახის ცოდნა და გამოცდილება არის საფუძველი ასეთი შეთანხმებისათვის?

ეს საკითხი ამ მუხლში არაა დაკონკრეტებული, მაგრამ ივარაუდება, რომ სახეზე უნდა იყოს პიროვნება, რომელიც არის თავისი საქმის მაღალი დონის პროფესიონალი და ამდენად, თუკი იგი უსასყიდლოდ გასცემს ამ ცოდნას და გამოცდილებას, ეს ქვეყნის საქმეს წაადგება.

მაგალითად, პირობით მსჯავრდებული არის სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტი, რომელიც არის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანა-კულტივირების უბადლო მცოდნე. თანაც ამ საქმეში აქვს დიდი გამოცდილება და წარმატება. თუ ასეთ პირს ექნება სურვილი და ამავე დროს პრაქტიკული შესაძლებლობა, თავისი ეს ცოდნა და გამოცდილება სხვებს, ანუ ამ საქმით დაინტერესებულ პირებს უსასყიდლოდ გაუზიაროს, პროკურორს უფლება აქვს, გააფორმოს მასთან სამოქალაქო შეთანხმება.

განსახილველ ნორმაში პირდაპირ არაა მითითებული, რომ მსჯავრდებულმა თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვებს უსასყიდლოდ უნდა გაუზიაროს, მაგრამ ასეთი მოთხოვნა მასში უდაოდ იგულისხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ სამოქალაქო შეთანხმება არის პირობით მსჯავრდებულის დასაქმების საშუალება.

სამოქალაქო შეთანხმებით განისაზღვრება:

ა) პირობით მსჯავრდებულის მოვალეობები (კერძოდ, ვის, რა სახის ცოდნა და გამოცდილება უნდა გაუზიაროს პირობით მსჯავრდებულმა);

ბ) დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს აღნიშნული მოვალეობები (მაგალითად, ერთი წელი) და რომლის გასვლის შემდეგაც შეიძლება გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და მსჯავრდებულს მოეხსნას ნასამართლობა.

პროკურორმა ამ დროის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს მსჯავრდებულისათვის დადგენილი გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობა იმ თვალსაზრისით, რომ სამოქალაქო შეთანხმებით განსაზღვრული დრო არ დაემთხვეს გამოსაცდელი ვადის მთელ პერიოდს. თუ ისინი ერთმანეთს დაემთხვა, ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულს არ ექნება სტიმული, ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობა, ვინაიდან გამოსაცდელ ვადაში სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულება ისედაც გამოიწვევს სასჯელის პი-

რობითად ჩათვლას და ნასამართლის გაქარწყლებას.

მაგალითად, პირობით მსჯავრდებულს გამოსაცდელ ვადად დანიშნული აქვს 4 წელი. მასთან სამოქალაქო შეთანხმება გაფორმდა ამ ვადის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო შეთანხმების დროდ უნდა განისაზღვროს არა დარჩენილი 3 წელი და 6 თვე, არამედ ერთი წელი, რადგანაც თუკი იგი ამ ვადაში ჯეროვნად შეასრულებს პროკურორთან ნაკისრ მოვალეობებს, გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც (ამ შემთხვევაში ერთი წლისა და 6 თვის შემდეგაც) გაუქმდება პირობითი მსჯავრი და მოეხსნება ნასამართლობა.

მართალია, ეს მუხლი შესაძლებლობას იძლევა, გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც გაუქმდეს პირობითი მსჯავრი, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ მისი გამოყენება არ შეიძლება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ განაჩენის გამოტანიდან რა ვადაში გაფორმდა სამოქალაქო შეთანხმება პირობით მსჯავრდებულსა და პროკურორს შორის.

ვინ ახორციელებს ზედამხედველობას სამოქალაქო შეთანხმებით ნაკისრ მოვალეობათა შერულებაზე და ვის უნდა წარედგინოს ანგარიში ამ საკითხზე?

პროკურორსა და პირობით მსჯავრდებულს შორის სამოქალაქო შეთანხმებით ნაკისრი მოვალეობის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ბიურო. ამასთანავე იგი შესაბამის ინფორმაციას წარუდგენს არა სასამართლოს, არამედ პროკურორს, რადგან სამოქალაქო შეთანხმება იდება მსჯავრდებულსა და პროკურორს შორის და იგი სასამართლოს მიერ დამტკიცებას არ ექვემდებარება.

რომელი ორგანო აუქმებს პირობით მსჯავრს სამოქალაქო მოვალეობათა ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში?

ისევე როგორც სსკ 67-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აქაც ასეთი ორგანოა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია.

რომელი ორგანო უნდა შეივიდეს შუამდგომლობით ამ კომისიის წინაშე პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ?

განსახილველ ნორმაში ამ საკითხზე პასუხი არაა გაცემული, რაც კანონის არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, თუკი გამოვიყენებთ სსკ 67-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ წესს, ეს ორგანო უნდა იყოს პრობაციის ბიურო. მაგრამ ეს საკითხი შესაძლოა, სადაო გახდეს, რადგან სამოქალაქო შეთანხმება დადებულია მსჯავრდებულსა და პროკურორს შორის და პრობაციის ბიურო სწორედ პროკურორს აწვდის ინფორმაციას ნაკისრი მოვალეობის შესრულების შესახებ.

საინტერესოა სამოქალაქო შეთანხმების იურიდიული ბუნების გარკვევა.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო შეთანხმება არის პირობით მსჯავრთან დაკავშირებული ინსტიტუტი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სასამართლო კონტროლის გარეშე, რაც ერთობ საეჭვოს ხდის მის სამართლებრივ სტატუსს.

ამავე დროს, ეს შეთანხმება პროკურორსა და პირობით მსჯავრდებულს შორის იდება მას შემდეგ, რაც საქმეზე განაჩენი უკვე გამოტანილია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროკურორი და მსჯავრდებული უკვე არ არიან მხარეები. ისინი ამ შეთანხმებას დებენ, როგორც თანასწორი სუბიექტები და ამ მუხლის სახელწოდებაც ამას მიანიშნებს (სამოქალაქო შეთანხმება). ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ასეთი შეთანხმება პროკურორსა და პირობით მსჯავრდებულს შორის ნებაყოფლობითობის საფუძველზე ფორმდება, რომლის შეუსრულებლობაც ბრალდებულის მიმართ არანაირ უარყოფით სამართლებრივ შედეგს არ იწვევს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი მსჯავრდებლმა არ შეასრულა სამოქალაქო შეთანხმებით ნაკისრი მოვალეობა, სსკ 67-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი რეგულაციისაგან განსხვავებით, ეს ვერ გახდება მის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდის საფუძველი . ასეთი საკითხი არც კი დადგება. ერთადერთი შედეგი, რაც მოჰყვება ამ მოვალეობის შეუსრულებლობას, არის ის, რომ იგი ვერ ისარგებლებს იმ შეღავათით, რაც დადგენილია სსკ 67[1] მუხლის პირველი ნაწილით – გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და მოეხსნას ნასამართლობა.

მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის მსვლელობისას პროკურორს არანაირი სამართლებრივი ზედამხედველობის ან კონტროლის უფლება არა აქვს. ამის მიუხედავად, ასეთი შეთანხმების დადებისას განსახილველი ნორმის მიხედვით მან უნდა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ყოფაქცევა. **მაგრამ საკითხავია, საიდან უნდა ფლობდეს პროკურორი ინფორმაციას მისი ყოფაქცევის შესახებ**, თუკი მას არა აქვს პირობით მსჯავრდებულზე ზედამხედველობისა და კონტროლის არანაირი სამართლებრივი მექანიზმი?

ყველაფერი ამის მიუხედავად, კანონმდებელმა მას მიანიჭა უფლება, გამოსაცდელი ვადის დინების დაწყების შემდეგ მსჯავრდებულთან გააფორმოს სამოქალაქო შეთანხმება, რომელსაც არსებითად შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობაზე.

რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხდება ისე, რომ სასამართლო არც შეთანხმების დადებისას და არც მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმებისას არანაირ მონაწილეობას არ იღებს. მარტივად რომ ვთქვათ, სამოქალაქო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები „გვარდება" სასამართლოს გვერდის ავლით.

ამდენად, სამოქალაქო შეთანხმება პროკურორსა და პირობით მსჯავრდე-

ბულს შორის თითქოს სამოქალაქო გარიგების ნაირსახეობაა, მაგრამ მასში შეზავებულია სისხლისსამართლებრივი ელემენტები (ნაკისრ ვალდებულებაზე ზედამხედველობა პრობაციის ბიუროს მიერ, პროკურორზე პერიოდულად ინფორმაციის მიწოდება, ბოლოს პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა).

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ როცა პირობით მსჯავრდებული არის თავისი საქმის ისეთი პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია თავისი გამოცდილება სხვებს გაუზიაროს, თავად სასამართლო არის უფლებამოსილი, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სსკ 65-ე მუხლის საფუძველზე „სხვა მოვალეობის" სახით დააკისროს მას ასეთი ვალდებულება.

გამომდინარე აქედან საკითხავია: რით განსხვავდება სამოქალაქო შეთანხმებით დადებული ვალდებულება იმ ვალდებულებისაგან, რაც სასამართლომ დააკისრა პირობით მსჯავრდებულს სსკ 65-ე მუხლის საფუძველზე (მათ შორის „სხვა მოვალეობა")?

პირველი განსხვავება არის ის, რომ სსკ 65-ე მუხლში სანიმუშოდ ჩამოთვლილია ეს მოვალეობები, ხოლო სსკ 67[1] მუხლში კი – არა;

მეორე განსხვავება არის ის, რომ ამ მოვალეობებს პირობით მსჯავრდებულს განაჩენით აკისრებს სასამართლო, ხოლო სამოქალაქო შეთანხმებისას მას პროკურორი განსაზღვრავს პირობითი მსჯავრდებულის ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით;

მესამე განსხვავება არის ის, რომ ამ მოვალეობის დაკისრებისათვიოს არაა საჭირო პირობით მსჯავრდებულის თანხმობა, ხოლო სამოქალაქო შეთანხმება პროკურორსა და პირობით მსჯავრდებულს შორის მხოლოდ მაშინ ფორმდება, თუ მსჯავრდებულს აქვს ასეთი სურვილი;

მეოთხე განსხვავება არის ის, რომ სსკ 65-ე მუხლის მიხედვით მოვალეობის დაკისრება ხდება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ხოლო სამოქალაქო შეთანხმებისას მოვალეობათა შესრულების დროს განსაზღვრავენ პროკურორი და პირობით მსჯავრდებული;

მეხუთე განსხვავება არის ის, რომ ამ მოვალეობის შესრულებისაგან სისტემატურად ან ჯიუტად თავის არიდების შემთხვევაში, სსკ 67-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია, გააუქმოს პირობითი მსჯავრი და განაჩენით დანიშნული სასჯელი მიაქციოს აღსრულებისაკენ. რაც შეეხება სამოქალაქო შეთანმხმებით დადგენილი მოვალეობის შეუსრულებლობას, მას ასეთი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

რაც შეეხება **სსკ 65-ე მუხლით გათვალისწინებულ „სხვა მოვალეობას"**, მას მეტი მსგავსება შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო შეთანხმებით დადგენილ ვალდებულებასთან, რაც იმაში გამოიხ.ტება, რომ „სხვა მოვალეობის" სახით სასამართლომ მსჯავრდებულს შეიძ;ლება დააკისროს ისეთივე მოვალეობა, რაც პროკურორმა დააკისროს პირობით მსჯავრდებულს სამოქალაქო შეთანხმებისას.

ამის მიუხედავად, მათ შორის მაინც არის განსხვავება. კერძოდ, „სხვა მოვალეობა", განსხვავებით სამოქალაქო შეთანხმებით დაკისრებული მოვალეობისაგან, უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ და ამისათვის არაა საჭირო მსჯავრდებულის თანხმობა. ამასთანავე, განსხვავებით სამოქალაქო შეთანხმებისაგან, მისი შეუსრულებლობაც იწვევს იგივე შედეგს (სსკ 67-ე მ-ის მე-3 ნაწ.), რასაც ნებისმიერი სხვა მოვალეობის შეუსრულებლობა.

ამასთან დაკავშირებით **საინტერესოა, თუ შეიძლება ერთიდა იგივე მოვალეობა დაეკისროს პირობით მსჯავრდებულს როგორც სსკ 65-ე მუხლის საფუძველზე, ისე პროკურორის მიერ სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე?** ანუ პროკურორს თუ აქვს უფლება, სამოქალაქო შეთანხმებით დააკისროს მსჯავრდებულს ის მოვალეობა, რაც მას სასამართლოს მიერ უკვე დაკისრებული აქვს სსკ 65-ე მუხლის საფუძველზე „სხვა მოვალეობის" სახით?

სადაო არ უნდა იყოს, რომ ასეთი უფლება პროკურორს არა აქვს, რადგან:

ა) ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ მსჯავრდებულს ერთი და იგივე მოვალეობა დაკისრებული აქვს ორი სხვადასხვა წყაროდან (სასამართლოს მხრიდან და პროკურორის მხრიდან), რაც დაუშვებელია;

ბ) ასევე გამოვა, რომ ის მოვალეობა, რაც მსჯავრდებულს განესაზღვრა სასამართლოს მიერ და რაც მან უნდა შეასრულოს მთელი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, სამოქალაქო შეთანხმების მიხედვით უნდა შეასრულოს იმ შემცირებული დროის განმავლობაში, რაც განსაზღვრულია მასსა და პროკურორს შორის დადებული შეთანხმებით, რაც ასევე დაუშვებელია, ვინაიდან გამოდის, რომ პროკურორთან დადებული შეთანხმება „გადაფარავს" სასამართლოს მიერ დადგენილ მოვალეობას.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „როდესაც გაფორმდება სამოქალაქო შეთანხმება, პირობით მსჯავრისას დადგენილი ვალდებულები გადაიხედება და დადგენილი ვალდებულებიდან ყველა ან მისი ნაწილი ავტომატურად მოექცევა სამოქალაქო შეთანხმების ფარგლებში, აგრეთვე დაემატება სხვა ვალდებულებები".[56]

ამ მოსაზრების საწინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ ყოვლად დაუშვებელია სასამართლოს მიერ დადგენილი მოვალეობა გადავიდეს პროკურორის მიერ მსჯავრდებულთან შეთანხმებით დადგენილ მოვალეობაში, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ეს მოვალეობა ამით ძალას დაკარგავს.

ამდენად, სს კოდექსში 67[1] მუხლის შემოღება რაიმე პრაქტიკული აუცილებლობით არაა ნაკარნახევი, რომ არაფერი ვთქვათ იმ სამართლებრივ ხარვეზზე, რაც მას ახასიათებს. სავაუდოდ ესაა იმის მიზეზი, რამ ამ მუხლის შემოღებიდან დღემდე სასამართლო პრაქტიკაში არაა დაფიქსირებული მისი გამოყენების არც ერთი შემთხვევა.

[56] იხ. ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 144

როგორაა პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი მოწესრიგებული იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საჭოს მიერ შემუშავებულ ზემოთხსენებულ პროექტში?

ამ პროექტის მიხედვით აღდგენილია 2006 წლამდე არსებული პირობები და რაც მთავარია, მისი გამოყენებისათვის არაა საჭორი საპროცესო შეთანხმება, რაც უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება სსკ 50-ე მ-ის მე-5 ნაწილს, იგი აწესრიგებს პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხს მაშინ, როცა სასჯელის სახით დანიშნულია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და ამავე დროს პირობითად უნდა ჩაითვალოს არა მთლიანი სასჯელი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი. სასჯელის დანარჩენი ნაწილი კი მსჯავრდებულმა რეალურად უნდა მოიხადოს.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. კერძოდ, შესაძლოა, ჩადენილი იყოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულიც კი. ამასთანავე საჭიროა:

ა) ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებდეს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე),

ბ) ასახელებდეს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეს და

გ) თანამშრომშრომლობდეს გამოძიებასთან.

ისმის კითხვა: თუ შეუძლია სასამართლოს სსკ 50-ე მ-ის მე-5 ნაწილის გამოყენება, როცა მხარეებს შორის არაა დადებული საპროცესო შეანხმება? სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის თუ არა საპროცესო შეთანხმება ამ ნორმის გამოყენების აუცილებელი, ფორმალური წინაპირობა?

უნდა ითქვას, რომ სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის რედაქცია ამ საკითხში ბუნდოვანია. კერძოდ, იგი იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ამ შემთხვევაშიც აუცილებელია საპროცესო შეთანხმების არსებობა მხარეებს შორის.

კერძოდ, 50-ე მ-ის მე-5 ნაწილის იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია იმაზე, თუ რა პროპორციით უნდა დაინიშნოს პირობითი მსჯავრი, ნათქვამია: „საპროცესო შეთანხმების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში -სასჯელის ერთი მესამედი, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში- სასჯელის ნახევარი“.

საკითხავია: რას ნიშნავს სიტყვები: "საპროცესო შეთანხმების გარდა"?

თუკი ამ დროს არაა საჭირო საპროცესო შეთანხმების არსებობა, მაშინ რატომაა იგი აქ ნახსენები? კანონში არასოდეს არაა მითითებული ის პირობა, რაც არაა საჭირო მისი გამოყენებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სს კანონი ყოველთვის პოზიტიურად ჩამოთვლის ნორმის გამოყენების წინაპირობებს და არა ნეგატიურად.

სხვა საკითხია, როცა სს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში და-

ნაშაულის შემადგენლობის ნიშნების უკეთ გაგებისათვის მისი შემადგენლობა, შესაძლოა, აღწერილი იყოს არა მარტო პოზიტიურად, არამედ ნეგატიურადაც. მაგალითად, სსკ 185-ე მ.- ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, თუ არ არის ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. ასეთი რედაქცია განპირობებულია იმით, რომ როგორც თაღლითობაში, ისე სსკ 185-ე მუხლშიც დანაშაულის ხერხია მოტყუება და ამდენად, არსებობს ამ დანაშაულთა ერთმანეთში აღრევის საფრთხე. სწორედ ამიტომ კანონმდებელი ხაზს უსვამს იმას, რომ სსკ 185-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არაა სახეზე სსკ 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

გამომდინარე აქედან, სსკ 50-ე მუხლში ნათქვამია ის, რომ ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სასჯელის ნაწილზე პირობითი მსჯავრის გამოყენებისა, არის საპროცესო შეთანხმება მხარეებს შორის და არა ის, რომ ამ მუხლის გამოყენებისათვის საპროცესო შეთანხმება არაა საჭირო.

უფრო მეტიც, აქაც, ისევე, როგორც სსკ 63-ე მუხლში, 2014 წლის აგვისტოს საკანონმდებლო ცვლილებამდე არ იგულისხმებოდა საპროცესო შეთანხმების ყველა შემთხვევა. აქაც საპროცესო შეთანხმება დადებული უნდა ყოფილიყო იმ პირობებში, როცა პირი აღიარებს დანაშაულს. ამდენად, საპროცესო შეთანხმება არ უნდა ყოფილიყო დადებული სასჯელზე, ანუ იმ პირობით, რომ ბრალდებული არ ეწინააღმდეგება ბრალდებას (რაც იმას ნიშნავს, რომ არ აღიარებს დანაშაულს) და ეთანხმება პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელს.

სხვა საკითხია, რამდენადაა გამართლებული კანონმდებლის მიერ მოსამართლის ასეთი შეზღუდვა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლისათვის?

თუკი კანონმდებელს სურს, რომ სსკ 50-ე მუხლის ამ ნაწილის გამოყენება შესაძლებელი იყოს საპროცესო შეთანხმების გარეშეც, მაშინ იგი ჩამოყალიბებული უნდა იყოს სხვაგვარად: **„გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ...“** და შემდეგ ისე, როგორც არის ეს დღეს მოქმედ ნორმაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა, როგორ იყო ეს საკითხი მოწესრიგებული 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე?

ვინაიდან მაშინ მოსამართლე არ იყო შეზღუდული პირობითი მსჯავრის გამოყენებისას ჩადენილი დანაშაულის არც სიმძიმით, არც რაოდენობით და არც წარსულში ნასამართლობით, სსკ 50-ე მუხლი არ იცნობდა ასეთ დანაწესს და საერთოდ სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის საკითხი მაშინ არც კი იდგა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის შესაძლებლობის შემოტანა სს კოდექსში წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, თუკი მას ჩამოვაშორებთ საპროცესო შეთანხმებას. იგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, მართალია, ადრე მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლე არ იყო შეზღუდული პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხში,

მაგრამ მას არასოდეს იყენებდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ასევე იშვიათი იყო მისი გამოყენება განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისას.

ამდენად, თუკი სასამართლოს მიეცემა შესაძლებლობა პირობითად ჩათვალოს არა მარტო მთლიანად დანიშნული სასჯელი, არამედ მისი ნაწილიც, ეს გააფართოებს ამ ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას, რაც ერთის მხრივ ჰუმანური აქტია და მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს ციხეების განტვირთვას პატიმრებისაგან.

როგორაა ეს საკითხი გადაწყვეტილი ზემოთხსენებულ კანონპროექტში?

ამ კანონპროექტის მიხედვით განსახილველი საკითხი წყდება თავად სსკ 63-ე მუხლში, სადაც მოწესრიგებულია პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი, რაც უფრო გამართლებულია როგორც პრაქტიკულად, ასევე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

ამ კანონპროექტის ბოლო ვარიანტის მიხედვით სსკ 63-ე მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამია: „სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობითად ჩათვლა. თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობითად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი. ამ ნაწილის მოთხოვნები არ გამოიყენება, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება“.

როგორც ვხედავთ, კანონპროექტი იმ მხრივაცაა განსხვავებული, რომ იგი აწესებს არა მარტო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის, არამდეგ ნებისმიერი სხვა სასჯელის ნაწილის ჩათვალას პირობითად. ამასთანავე მკაფიოდაა გამოხატული, რომ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით ეს წილობრივი შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

15. პირობითი მსჯავრის გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ (სსკ 63-ე მ-ის მე-5 ნაწ.)

ა) პირველი პირობა არის ის, რომ მსჯავრდებული განაჩენის გამოტანის მომენტშიც უნდა იყოს არასრულწლოვანი;

სანამ სხვა პირობებს ჩამოვთვლით, განვიხილოთ, თუ რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნა? **რატომ აბრკოლებს არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებას ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი პირი განაჩენის გამოტანის მომენტისათვის უკვე სრულწლოვანი გახდა?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, თუ როგორაა განმარტებული სს კოდექსის მე-80 მუხლში არასრულწლოვანი დამნაშავის ასაკი: სისლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა

14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

როგორც ვხედავთ, სს პასუხისმგებლობის დაკისრებისას არასრულწლოვნად პირის ჩათვლისათვის მთავარია ის, რომ იგი არ იყო 18 წლის დანაშაულის ჩადენამდე და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ პირი უკვე სრულწლოვანი გახდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ (მაგალითად, სასამართლოში საქმის განხილვის ან განაჩენის გამოტანის დროისათვის).

სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილით ადგილი აქვს სწორედ რომ სს პასუხისმგებლობის დაკისრებას, რა დროსაც შესაძლებელია დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირობითი მსჯავრი, მართალია, არაა სასჯელის სახე, მაგრამ სადაო არაა, რომ იგი არის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

ამასთან დაკავშირებით, სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ თუკი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ნიშნავს სრული ნდობის გამოცხადებას დანაშაულის ჩამდენის მიმართ, პირობითი მსჯავრი ნიშნავს სს პასუხისმგებლობისაგან სრული გათავისუფლების მიზანშეწონილობაზე გარკვეული „ეჭვის დატოვებას".[57]

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ პირის სს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ იწვევს ამ პირის ნასამართლობას, რასაც ვერ ვიტყვით პირობითი მსჯავრის გამოყენებისას.

ამდენად, საკითხავია, **მაშ, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას პირის არასრულწლოვნების საკითხის გადაწყვეტა რატომაა დაკავშირებული მის ასაკზე განაჩენის გამოტანის დროისათვის და არა მის ასაკზე დანაშაულის ჩადენამდე?** უდაოა, რომ ამ საკითხში სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი ეწინააღმდეგება სსკ მე-80 მუხლის შინაარსს.

სხვა საკითხია, თუ რომელ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა მოიხადოს სასჯელი მსჯავრდებულმა – არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში, თუ სრულწლოვანთათვის განკუთვნილში. არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში მსჯავრდებული მხოლოდ მაშინ გაიგზავნება, თუ განაჩენის დადგენის მომენტისათვის ის ჯერ კიდევ არასრულწლოვანია.

ამდენად, ერთია სასჯელის მოხდის დაწესებულების განსაზღვრა და სულ სხვაა სისხლისსამართლებრივი ვი პასუხისმგებლობის დაკისრება, რასაც არეგულირებს სსკ მე-80 მუხლი.

საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაში?

კერძოდ, რომელ ნორმას უნდა მიანიჭოს უპირატესობა მოსამართლემ არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის საკითხის გადაწყვეტისას – სსკ 63-ე მ-ის მე-3 ნაწილს, თუ მე-80 მუხლს?

[57] შეად. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 127

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შეუძლია სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება მაშინ, როცა იგი განაჩენის გამოტანის დროისათვის უკვე გახდა სრულწლოვანი?

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

2015 წლის 29 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა მსჯავრდებულ კახაბერ მ-ძის საკასაციო საჩივარი სისხლის სამართლის საქმეზე[58].

საქმის არსი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9 სექტემბრის განაჩენით კახაბერ მ-ძე, დაბადებული 1995 წელს, სხვა პირებთან ერთად ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ-ით (ქურდობის მცდელობა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ¼-ით და შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 63-64 მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენით საქმის არსი გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 24 იანვარს, ღამის საათებში, ქუთაისში ცახელის ქუჩის №6 -ს მიმდებარედ განთავსებულ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან კახაბერ მ-ძე და სხვა ბრალდებულები ცდილობდნენ ფულადი თანხის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

აღნიშნულ განაჩენში შევიდა ცვლილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენით. კერძოდ, გასაჩირვებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლის შესახებ.

მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 თებარვლის განაჩენის ნაწილობრივ გაუქმება სასჯელის დანიშვნის ნაწილში.

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ასეთი გადაწყვეტილება დაამყარა შემდეგ გარემოებებზე:

მან გაიზიარა საკასაციო საჩივრის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მართალია, საქართველოს სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად როდესაც არასრულწლოვან ბრალდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 18 წელი, სასამართლო უფლებამოსილი არაა, მის მიმართ გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, მაგრამ აღნიშნული მუხლის მოთხოვნა წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებითა და აქტებით დადგენილ სტანდარტებთან, რაც სს საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად საკმარისია, გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ საქმის განხილვისას;

გასაჩივრებული განაჩენის მოხედვით მ-ძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან

[58] იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არქივი, საქმე № 265 ა პ-15

არასრულწლოვნების ასაკში ჩაიდინა ქურდობის მცდელობა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფთან ერთად. იგი პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ნაწილობრივ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს . კერძოდ, უარყოფდა დანაშაულის ჩადენას ჯგუფურად. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას კი მან თავი სრულად ცნო დამნაშავედ;

აღნიშნული საქმე გამოძიებიდან სასამართლოში შევიდა 2013 წლის 6 მარტს, როცა ბრალდებული იყო 17 წლისა და 9 თვის. საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან 3 თვის შემდეგ – 2013 წლის 2 ივნისს, იგი გახდა სრულწლოვანი;

სულ ჩატარდა 11 სხდომა, ხოლო განაჩენი გამოვიდა 2013 წლის 9 სექტემბერს. პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე გამოიყენა პირობითი მსჯავრი, რომ არ იმსჯელა სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვის შესაბამისად პირობითი მსჯავრის გამოყენების მიზანშეწონილობაზე;

სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნის საფუძველზე ისე გააუქმა დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა. რომ საერთოდ არ იმსჯელა, თუ რამდენად იყო დაცული სს საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვანი ბრალდებულის პროცესს მოექცნენ თუ არა განსაკუთრებული ყურადღებით... რათა განაჩენით სწორად ყოფილიყო დაცული მისი ჭეშმარიტი ინტერესი.... სააპელაციო სასამართლომ გააუქმა მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრი არა იმ საფუძვლით, რომ მისი პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იყო პირობითი მსჯავრის გამოყენება, არამედ სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესის შესაბამისად;

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სს საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, როდესაც სს კოდექსის რომელიმე მუხლის მოთხოვნა ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რითაც ირღვევა არასრულწლოვნის უფლებები, სწორედ საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმებისათვის უპირატესი ძალის მინიჭებით უნდა გადავწყვიტოთ არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი, რისი სამართლებრივი საფუძველიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ);

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ბრალდებულს გააჩნია სამართლიანი პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული გონივრულ ვადაში, რაც მით უფრო თვალსაჩინოა, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია და სსსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხს ზღუდავს განაჩენის

გამოტანის მომენტისათვის მისი სრულწლოვანი ასაკის დადგომით;

საკასაციო პალატა საქმის გონივრულ ვადაში გადაწყვეტის საკითხთან დაკავშირებით ასევე დაეყრდნო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. ასევე სს საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმადაც საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს უწყვეტად და იგი უნდა გადაიდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ამასთანავე ხანგრძლივ სამართალწარმოებას შეუძლია მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ მოაქციოს ბრალდებული და გაამძაფროს ბუნდოვან მომავალთან, მსჯავრდების შიშსა და სასჯელის გაურკვეველ სიმძიმესთან დაკავშირებულ განცდები. მით უმეტეს, ეს უფრო მკაფიოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეებზე;

საკასაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვა აშკარად გასცდა გონივრულ ვადებს, იგი გაჭიანურდა 6 თვეს, რაც გამოწვეული იყო გარკვეულწილად მეორე სრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ სხვა ბრალდების ეპიზოდების განხილვით. ამდენად, არ მოხდა არასრულწლოვნის საქმის გამოყოფა სრულწლოვანი ბრალდებულის საქმისაგან, რათა ეფექტურად განხორციელებულიყო არასრულწლოვნის მიმართ მართლმსაჯულება;

რაც შეეხება ბრალდების მხარის განმარტებას იმის შესახებ, რომ სხდომის რამდენჯერმე გადადების მიზეზი იყო თავად მსჯავრდებული,რადგან მასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების თაობაზე, რასაც ხელი შეუშალა თავად ბრალდებულმა იმით, რომ სრულად აღიარა დანაშაული არა არ ასახელებდა მეორე მსჯავრდებულს, საკასაციო პალატან განმარტა, რომ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება გამოვიყენოთ პირის საზოანოდ;

საკასაციო პალატა გადაწყვეტილების მიღებისას ასევე მოიშველია 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ჯერ არ ამოქმედებულა და რომლის ძირითადი ნაწილი უნდა ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან. კერძოდ, ამ კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის ფაქტს არასრულწლოვნების დროს და არა იმას, შეუსრულდა თუ არა მას 18 წელი განაჩენის გამოტანის დროისათვის. საკასაციო პალატამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამ დებულებას მიანიჭა უკუძალა მსჯავრდებულის მდგომარეობის სასარგებლოდ იმის მიუხედავად, რომ ეს მუხლი ჯერ არაა ძალაში შესული;

აღსანიშნავია, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტას მხარს უჭერს პროფ. ო. გამყრელიძე. კერძოდ, მისი აზრით, ახალ სს ნორმას,რომელიც ჯერ არაა ამოქმედებული, უნდა მიენიჭოს უკუძალა, თუ იგი აუმჯობესებს პირის მდგომარეობას[59]. საბოლოოდ, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება, რომლითაც თუ პირი განაჩენის გამოტანის დროის-

[59] შეად. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 138

ათვის უკვე შესრულდა 18 წლის, სასამართლოს არა აქვს უფლება გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, წინააღმდეგობაშია საერთაშორისო აქტებთან და კონვენციებთან. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი ამ დროს უპირატესი ძალა უნდა მივანიჭოთ საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

ამდენად, საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა და საბოლოოდ დანიშნული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა3 წლის ვადით) ჩაუთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

ჩვენის მხრიდან უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით კარგი პრეცედენტი შექმნა იმისა, თუ როგორ შეიძლება საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით მაშინ, როცა ქვეყნის შიდა კანონები ასეთი გადაწყვეტილების შესაძლებლობას არ იძლევა, ან არ იძლევა საამისოდ საკმარის საფუძველს.

ერთად-ერთი შენიშვნა, რაც შეიძლება გამოითქვას ამ გადაწყვეტილების მიმართ, არის ის, რომ მასში აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ არასრულწლოვნის მიმართ სს საქმის განხილვის გაჭიანურებაზე და სწორედ აქედან გამომდინარე კარგადაა გამოყენებული საერთაშორისო აქტები და კონვენციები.

თუმცა საკითხავია, თუ შეიძლებოდა აღნიშნულ საქმეში არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ იგი განაჩენის გამოტანამდე 18 წლის შესრულდა ისე, რომ მის მიმართ საქმის განხილვა არ გაჭიანურებულა?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შეეძლო საკასაციო პალატას გარდა საერთაშორისო აქტებისა, სხვა სამართლებრივი ბერკეტის გამოყენება ამ მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლისათვის?

ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი წინააღმდეგობაში მოდის სსკ მე-80 მუხლთან.

კერძოდ, მე-80 მუხლი საზოგადოდ განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა ჩაითავლოს არასრულწლოვნად სს-ვი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას და კანონმდებელი სავსებით სამართლიანად აკეთებს აქცენტს პირის ასაკზე დანაშაულის ჩადენამდე.

ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელობა არა აქვს პირის ასაკს დანაშაულის ჩადენის შემდეგ – განაჩენის გამოტანის დროისათვის.

რაც შეეხება სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილს (რაც დაკავშირებულია პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან), იგი არასრულწლოვნების ასაკს სხვაგვარად და პირის საუარესოდ განსაზღვრავს. კერძოდ, აქცენტს აკეთებს პირის ასაკზე განაჩენის გამოტანის დროისათვის.

რომელ ნორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მოცემულ შემთხვევაში და რამდენადაა შესაძლებელი, ეს საკითხი განხილულ იქნეს ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის ჭრილში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია, რადგან თუ საკითხს ნორმათა კონკურენციის კუთხით განვიხილავთ, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რადგან იგი სსკ მე-80 მუხლთან შედარებით სპეციალურია, რამდენადაც ადგენს არასრულწლოვნების ასაკს არა საზოგადოდ, არამედ მხოლოდ პირობითი მსჯავრის დანიშვნის შემთხვევაში.

სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მე-80 მუხლის წინააღმდეგობის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის მიხედვით, რადგან ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენცია არაა დაკავშირებული სსკ ზოგადი ნაწილის მუხლებთან, არამედ იგი დაკავშირებულია სსკ კერძო ნაწილის მუხლებთან.

ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.

როგორც ვხედავთ, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი წყვეტს საკითხს, თუ როდის არაა სახეზე დანაშაულთა ერთობლიობა. ამიტომ იგი აქცენტს აკეთებს „ქმედებაზე". ეს ის შემთხვევაა, როცა პირის მიერ ჩადენილი ქმედება გათვალისინებულია როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნორმით.

ამდენად, ზოგად და სპეციალურ ნორმაში იგულისხმება არა სსკ ზოგადი ნაწილის ნორმები, არამედ სსკ კერძო ნაწილის ნორმები. შეუძლებელია პირის ქმედება გათვალისწინებული იყოს სსკ ზოგადი ნაწილის ნორმით, რადგან ზოგად ნაწილში არაა მოცემული კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობები.

ასევე მასში არ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირის ქმედება გათვალისწინებულია სსკ როგორც ზოგადი ნაწილის, ისე კერძო ნაწილის მუხლებით. ასეთი რამე საერთოდ შეუძლებელია, რადგან პირის ქმედება, შეიძლება გათვალისწინებული იყოს სსკ მხოლოდ კერძო ნაწილის ნორმაში.

ამდენად, სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით ზოგად და სპეციალურ ნორმებში არც ის შემთხვევა იგულისხმება, როცა პირის ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის საჭიროა როგორც სსკ ზოგადი ნაწილის, ისე კერძო ნაწილის ნორმებზე მითითება, როგორც ამას ადგილი აქვს დაუმთავრებელი დანაშაულის დროს ან დანაშაულში თანამონაწილეობისას (მაგალითად, 19, 108-ე მ. ანდა – სსკ 25, 108-ე მ.).

ნორმათა კონკურენციის შემთხვევად გამოდგება შემდეგი მაგალითი: პროკურორმა უკანონოდ გაათავისფლა პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მისი ქმედება გათვალისწინებულია როგორც სსკ 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), ისე სსკ 334-ე მუხლით (ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება). ამის მიუხედავად, აქ არაა სახეზე დანაშაულთა ერთობლიობა, რადგან ერთი პირის ერთი ქმედებით ხელყოფილია სისხლისსამართლებრივი დაცვის მხოლოდ ერთი ობიექტი. აქ სახეზეა მოჩვენებითი ერთო-

ბლიობა, რადგან პირის ქმედება სრულად მოიცავს სსკ კერძო ნაწილის როგორც ერთი, ისე მეორე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ამ შემთხვევაში კი სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით უპირატესობა ენიჭება იმ ნორმას, რომელიც უფრო სპეციალურია, კერძოდ, სსკ 334-ე მუხლს.

ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციისას არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი ნორმა წყეტს საკითხს პირის სასარგებლოდ – ზოგადი, თუ სპეციალური. შესაძლებელია, სპეციალური ნორმა ამძიმებდეს პირის მდგომარეობას, მაგრამ მას მაინც ენიჭება უპირატესობა ზოგად ნორმასთან შედარებით და ქმედების კვალიფიკაციისას სწორედ ეს სპეციალური ნორმა გამოიყენება.

ეს კარგად ჩანს სსკ 108-ე და 109-ე მუხლების კონკურენციისას, რა დროსაც ქმედების კვალიფიკაცია ხდება სსკ 109-ე მუხლით, რომელიც არის მკვლელობის დამაძიმებელი გარემოება.[60]

ამდენად, ჩვენს შემთხვევაში, საკითხი ეხება არა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას დანაშაულად, არამედ არასრულწლოვნების ასაკის განსაზღვრას, რაც სსკ ზოგადი ნაწილის სხვადასხვა ნორმით არაერთგვაროვნადაა განსზღვრული.

ამას ისიც ემატება, რომ სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი ამ საკითხს წყვეტს იმ ნორმის საწინააღმდეგოდ, სადაც საზოგადოდ დადგენილია, თუ ვინაა არასრულწლოვანი დამნაშავე და თანაც ამ საკითხს წყვეტს არა პირის სასარგებლოდ, არამედ, პირიქით, მის საუარესოდ.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა არ შეიძლება გადავჭრათ ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის გზით, არამედ უპირატესობა **უნდა მივანიჭოთ იმ ნორმას, რითაც კანონმდებელმა დაადგინა საერთო სტანდარტი, თუ ვინ უნდა ჩაითავლოს არასრულწლოვნად როგორ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ისე მისგან გათავისუფლებისას.**

სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის შემოღებით კანონმდებელმა გადაუხვია მის მიერ დადგენილ სტანდარტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „უღალატა" მის მიერვე დადგენილ ზოგად დებულებას არასრულწლოვნების ასაკის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

შესაბამისად, ზემოთ ხსენებულ მაგალითში უზენაეს სასამართლოს შეეძლო ემსჯელა ამ ნორმათა შორის არსებულ წინააღმდეგობაზე და პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა მიენიჭებინა სსკ მე-80 მუხლზე. ამ შემთხვევაში საკასაციო პალატის გადაწყვეტილება უფრო მეტად იქნებოდა დასაბუთებული.

ბ) შემდეგი პირობა არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის არის ის, რომ მას პირველად უნდა ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული;

[60] ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის საკითხზე დაწვრილებით იხ. ო. გამყრელიძე, დასახ. მაშრ. გვ. 224-229; გ. მამულაშვილი, სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი, თბ. 2007, გვ. 340-343

გ) ეს დანაშაული არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე (ე.ი. შეიძლება იყოს განზრახი მძიმე);

აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, თუ რამდენად სამართლიანია ის, რომ პირობითი მსჯავრი არ გამოიყენება, თუკი არასრულწლოვანი თუნდაც ერთხელაა ნასამართლევი განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ან გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის? ასეთი წინაპირობა არაა დაწესებული სრულწლოვნისათვის წარსულში ნასამართლობის კუთხით. სრულწლოვანი შეიძლება იყოს ნასამართლევი განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ან გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის; ეს საკითხი მით უფრო პრობლემურია იმ პირობებში, სანამ პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობად ჯერ კიდევ რჩება საპროცესო შეთანხმება, რისი დადებაც უნდა მოხდეს მხოლოდ დანაშაულის აღიარების შემთხვევაში.

როგორაა ეს საკითხი გადაწყვეტილი ზემოთხსენებული საბჭოს მიერ შემუშავებულ პროექტში?

პროექტში ეს საკითხი სსკ 63-ე მუხლის მეხუთე ნაწილით შემდეგნაირადაა მოწესრიგებული: „...თუ მსჯავრდებულს დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული“.

როგორც ვხედავთ, აქაც მოიხსნა საპროცესო შეთანხმების დადების აუცილებლობა, ასევე მოიხსნა დანაშაულის აღიარებისა თუ გამოძიებასთან თანამშრომლობის აუცილებლობა.

რაც მთავარია, არასრულწლოვანზე დადგენილი ეს შეღავათი გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუკი პირი დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იყო არასრულწლოვანი და მნიშვნელობა არა აქვს მის ასაკს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მაინც რჩება დანაშაულის პირველად ჩადენა, რაც ამ პროექტის გარკვეულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ წარსულში გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენაც პირობითი მსჯავრის გამოყენების შემაკავებელ გარემოებად გამოდის, რაც გამართლებულად ვერ ჩაითვლება.

16. სსკ 67-ე მ-ის მე-5 ნაწილის არსი

როგორ უნდა გავიგოთ შემდეგი ჩანაწერები:

ა) „თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა“ ; და

ბ) რას ნიშნავს: „სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდე-

ბულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“?

დავიწყოთ პირველით. როდის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული? უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, პირის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია გამამტყუნებელი განაჩენით. ამდენად, როცა სასამართლო დაადგენს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს, მხოლოდ ამ დროიდან შეიძლება ითქვას, რომ მან გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული. მანამდე კი თუნდაც მის მიმართ დაწყებული იყოს სს დევნა, ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რომ გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული.

მეორე საკითხი: როდის გააუქმებს სასამართლო პირობით მსჯავრს? ამ კითხვაზე პასუხი ასეთი უნდა იყოს: პირობით მსჯავრს სასამართლო მაშინ გააუქმებს, როცა გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი ქმედებისათვის, რითაც დამნაშავედ ცნობს პირს განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ამდენად, პირობითი მსჯავრის გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ იმ სასამართლოს, რომელმაც უნდა გამოიტანოს განაჩენი ახლად ჩადენილი ქმედებისათვის. სწორედ ასე უნდა განიმარტოს სიტყვები: „სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესის მიხედვით“. ე.ი. სასამართლო ჯერ გააუქმებს პირობით მსჯავრს და მხოლოდ ამის შემდეგ ნიშნავს სასჯელს 59-ე მუხლით დადგენილი წესით. სსკ 59-ე მუხლით სასჯელის დანიშვნაში იგულისხმება განაჩენთა ერთობლიოთ სასჯელის დანიშვნა.

გამომდინარე აქედან, ისმის სხვა კითხვა: რა მოხდება მაშინ, თუკი პირობითი მსჯავრის ვადის გასვლამდე ჩადენილი ქმედებისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადა ისე გავიდა, რომ პირი ამ ვადის გასვლემდე ასრულებდა მასზე პირობითი მსჯავრით დაწესებულ სხვა მოვალეობებს (დადგენილ ვადაში ცხადდებოდა პრობაციის ბიუროში, ასრულებდა დამატებით ვალდებულებებს. მაგალითად, ბოლომდე გადაიხადა ჯარიმა, შეასრულა სხვა პირის სასარგებლოდ დაკისრებული ვალდებულება და სხვ.) და არც ერთ უფლებამოსილ ორგანოს ამ პროცესისათვის ხელი არ შეუშლია?

განვიხილოთ ეს საკითხი შემდეგ მაგალითზე: პეტრე გაასამართლეს თაღლითობისათვის და სასჯელის სახით შეუფარდეს თ.ა. 2 წლის ვადით, რაც ჩაითვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

გამოსაცდელი ვადის დაწყებიდან 1 წლისა და 9 თვის შემდეგ პეტრე ამხილეს სხვისი ნივთის განადგურებაში – სსკ 187-ე მ-ის პირველი ნაწილით, რის გამოც მის მიმართ დაიწყო სს დევნა და აღმკვეთ ღონისძიებად გამოყენებულ იქნა გირაო.

ამ საქმეზე გამოძიებამ რამდენიმე თვეს გასტანა, რა დროსაც პეტრე პერი-

ოდულად ცხადდებოდა პრობაციის ბიუროში, ასევე ასრულებდა მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობას, ასევე ბოლომდე შეასრულა დამატებითი სასჯელით გათვალისწინებული მოვალეობა.

როცა პეტრეს საქმე განსახილველად გადაეცა სასამართლოს, მის მიმართ 2 წლიანი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა უკვე ამოწურული იყო.

სასამართლომ დადასტურებულად ცნო პირობითი ვადის გასვლამდე პეტრეს მიერ ახალი განზრახი დანაშაულის (სსკ 187 მ-ის პირველი ნაწ.) ჩადენა.

ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა სასამართლოს, გააუქმოს პეტრეს მიმართ პირობითი მსჯავრი და სასჯელი დანიშნოს სსკ 59-ე მუხლით დადგენილი წესით?

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი სადაო და პრობლემური გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ სასამართლოში საქმის განხილვამდე იგი ასრულებდა პირობითი მსჯავრით მის მიმართ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს, რაშიც არ შედის მხოლოდ გამოცხადება პრობაციის ბიუროში. არამედ მასში უპირატესად იგულისხმება ასევე ისეთი ვალდებულების შესრულება, როგორიცაა დამატებითი სასჯელის (მაგალითად, ჯარიმის) ბოლომდე მოხდა, მატერიალური დახმარება ოჯახისადმი, მკურნალობის კურსის გავლა, თავის შეკავება კონკრეტულ პირთან ურთიერთობისაგან ან განსაზღვრული ადგილის მონახულებისაგან, მუდმივი ბინადრობის ადგილის შეცვლისაგან და ა.შ.

ამ საკითხის მართებულად გადაწყვეტაზე დამოკიდებულია არა მარტო სსკ 59-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა (რაც გამოიწვევს სასჯელის დანიშვნას განაჩენთა ერთობლიობით), არამედ მასზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ან ზომის სასჯელი დაენიშნება პირს ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის.

კერძოდ,რა მოხდება, თუ ჩავთვლით, რომ გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი დანაშაულისათვის განაჩენის დადგომამდე გამოსაცდელი ვადის გასვლა უნდა ჩაითვალოს იმ გარემოებად, როცა სასამართლოს არა აქვს უფლება, გააუქმოს პირობითი მსჯავრი სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე?

თუ საკითხი ასეთნაირად გადაწყდება, ეს ნიშნავს იმას, რომ სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ-ის საფუძველზე (ნასამართლობა გაქარწყლდება: ა) პირობითი მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ) ეს პირი ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ. ამდენად, ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მას სასჯელი უნდა დაუნიშნოს იმ სტანდარტით, რაც დადგენილია სუფთა ბიოგრაფიის მქონე პირის მიმართ. ანუ იგი მის ფაქტობრივ ნასამართლობას (რაც იურიდიულად არ არსებობს ნასამართლობის გაქარწყლების გამო), ვერ ჩათვლის დამამძიმებელ გარემოებად.

მაგრამ საკითხავია,რა მოხდება, საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტისას?

კერძოდ, თუ ჩავთვლით, რომ ახლად ჩადენილი დანაშაულის საქმეზე განაჩენის დადგომამდე გამოსაცდელი ვადის გასვლა არ აბრკოლებს სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებას (ე.ი. არ აბრკოლებს პირობითი მსჯავრის გაუქმებას), მაშინ ეს პირი ითვლება ნასამართლევად და შესაბამისად, ახლად

ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს უფლება აქვს, მისი ნასამართლობის ფაქტი ჩათვალოს დამამძიმებელ გარემოებად, რაც დაამძიმებს სასჯელს.

ამას დაემატება ისიც, რომ ასეთი პირის მიმართ საბოლოო სასჯელი დაინიშნება განაჩენთა ერთობლიობის წესით (სსკ 59-ე მუხლის მე-5 ნაწ.).

საბოლოოდ გამოდის, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტას პირისათვის ორმაგად უარყოფითი სამართლებრივი შედეგი მოსდევს.

ამდენად, მის სწორად გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

პრობლემის გადაწყვეტა თავის მხრივ დაკავშირებულია პირობითი მსჯავრის თავისებურ სამართლებრივ ბუნებასთან. კერძოდ, მართალია, იგი არაა სასჯელის სახე, მაგრამ დაკავშირებულია სასჯელის ინსტიტუტთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომ არ არსებობდეს სასჯელი, არც პირობითი მსჯავრი იარსებებდა, ამდენად, იგი აქცესორული ბუნებისაა.[61]

ამასთანავე პირობითი მსჯავრი აუცილებლად დაკავშირებულია გამოსაცდელ ვადასთანაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არ არსებობს გამოსაცდელი ვადის გარეშე.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ **პირობითი მსჯავრი არის ინსტიტუტი, რაც დაკავშირებულია როგორც სასჯელთან, ისე გამოსაცდელ ვადასთანაც და იგი მათ გარეშე არ არსებობს.**

ამდენად, **მას ორმაგი აქცესორული ბუნება ახასიათებს.**

ჩვენს შემთხვევაში დგას შემდეგი პრობლემა:

ა) ერთის მხრივ გამამტყუნებელ განაჩენს, რაც გამოტანილია პეტრეს მიმართ, აღსრულების ვადა არა აქვს გასული. ამავე დროს ამ განაჩენით დადგენილი სასჯელი მოხდილადაც ვერ ჩაითვლება, რადგან პირობითი მსჯავრით დადგენილი მთავარი პირობა – ახალი განზრახი დანაშაულის ჩაუდენლობა – მსჯავრდებულმა არ შეასრულა, მან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული. მან მხოლოდ პირობითი მსჯავრით დადგენილი მეორეხარისხოვანი პირობები შეასრულა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს განაჩენი სამართლებრივად „ცოცხალია“ და აღსრულებას ექვემდებარება.

ბ) მეორეს მხრივ კი პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადა (ამ შემთხვევაში 2 წელი) უკვე გასულია ისე, რომ იგი ამ ვადის გასვლამდე არ გაუქმებულა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ასევე არ შეჩერებულა მისი მოქმედების ვადა. გარდა ამისა, არავის შეუშლია ხელი პეტრესათვის, დაეფიქსირებინა თავისი გამოცხადება პრობაციის ორგანოში, ასევე შეესრულებინა მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობა. მაგალითად, შეესრულებინა დამატებითი სასჯელით დადგენილი მოთხოვნა (მაგალითად, ბოლომდე გადაეხადა დამ-

[61] შეად. მ. ტურავა, სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 27; ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 127-128; იგივე აზრია გატარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში, რაც გამოტანილია სსკ მე-3 მუხლის პირვ. ნაწილის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით

ატების სასჯელად დანიშნული ჯარიმა, მატერიალურად დახმარებოდა ოჯახს, პერიოდულად გამოცხადებულიყო პრობაციის ბიუროში, შეესრულებინა მასზე პროკურორთან სამოქალაქო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და სხვ.) იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცავი ორგანოებისათვის უკვე ცნობილი იყო პირის მიერ დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენის ფაქტი, როს გამოც მის მიმართ დაწყებული იყო სს დევნა.

დ) გამომდინარე აქედან, საკითხავია: საერთოდ, შესაძლებელია კი იმის გაუქმება, რისი მოქმედების ვადაც უკვე გავიდა?

საქმე ისაა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, პირობითი მსჯავრი არის სასჯელთან დაკავშირებული ინსტიტუტი, რომლის მოქმედებაც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსაცდელ ვადასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ პირობითი მსჯავრი, ერთის მხრივ, არ არსებობს სასჯელის გარეშე, ხოლო მეორეს მხრივ, იგი არ არსებობს გამოსაცდელი ვადის გარეშე.

ამდენად, ამ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ პირობითი მსჯავრი კარგავს თავის იურიდიულ მნიშვნელობას. მანამდე კი იგი ინარჩუნებს ამგვარ მნიშვნელობას. ამაზე მიუთითებს სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვ-ი, სადაც ნათქვამია, რომ ნასამართლობა გაქარწყლდება პირობით მსჯავრდებულისა გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

პირობითი მსჯავრის კავშირი გამოსაცდელ ვადასთან განსაკუთრებით ჩანს იმ შემთხვევაში, როცა დანიშნული სასჯელის ხანგრძლიობა და გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობა არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, პირს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც სასამართლომ ჩაუთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადის დაწესებით. ამ შემთხვევაში 2 წელი არის ის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირმა უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა და რომელი ვადის გასვლის შემდეგაც სასჯელი (ამ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით) აღსრულებულად ითვლება, ამდენად, იგი არ მოიყვანება სისრულეში.

გამომდინარე აქედან, თუკი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის წინა განაჩენით პირობითი მსჯავრით დადგენელი გამოსაცდელი ვადა უკვე გასულია ისე, რომ იგი არავის გაუუქმებია ან მისი დინება არავის შეუჩერებია, გამოდის, რომ სასამართლო პირობით მსჯავრს ვერ გააუქმებს, რადგან იგი უკვე იურიდიულად ისედაც არ არსებობს.

როგორც ვხედავთ, მივიღეთ სიტუაცია, რაც უნდა განვიხილოთ ორ პლანში:

ერთის მხრივ, მართალია, პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში არ შეასრულა მასზე დაკისრებული მთავარი მოვალეობა ახალი დანაშაულის ჩაუდენლობის შესახებ, მაგრამ რადგანაც საქმის განხილვის პერიოდში არ შეჩერებულა გამოსაცდელი ვადის დინება, ხოლო ახალი განაჩენის გამოტანის დროისათვის ამოწურულია პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადა, შეიძლება ითქვას, რომ პირობით მსჯავრს დაკარგული აქვს თავისი იურიდიული ძალა.

შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რადგან შეუძლებელია არარსებული პირობითი მსჯავრის გაუქმება, ასევე შეუძლებელია იმ სასჯელის მოხდის დანესება, რაც დადგენილი იყო პირველი განაჩენით. ე.ი. შეუძლებელია სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით.

მეორეს მხრივ, სს კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით იმპერატიულად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე დადგენილია, რომ თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი იმ შემთხვევაზე, როცა პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადა უკვე გასულია და მის გასვლამდე მსჯავრდებული აგრძელებდა მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობის შესრულებას. ამასთანავე, ამ კუთხით მას დაბრკოლება ოფიციალური ორგანოებისაგან არ შექმნია, იმის მიუხედავად, რომ მის მიმართ სს დევნა დაწყებული იყო ახლად ჩადენილი ქმედებისათვის.

როგორია ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკა?

2015 წლის 24 თებერვალს ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა პროკურორის სააპელაციო საჩივარი ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განაჩენთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე გრიგოლ გ-ძის მიმართ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ 375-ე მუხლით (დანაშაულის დაფარვა).[62] საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2008 წელს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით გრიგოლ გ-ძე ცნობილი იყო დამნაშავედ სსკ 179-ე მუხლის (ყაჩაღობა) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვ-ით და მისჯილი ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წელი სსკ 50-ე მუხლის საფუძველზე უნდა მოეხადა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ხოლო 4 წელი ჩაითვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2011 წლის 3 ოქტომბერს. მასვე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის განჩინებით ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე პირობითი მსჯავრით დადგენილი ვადა ერთი წლით შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით.

მსჯავრდებული 2013 წლის 6 მარტს (რა დროისათვის იგი ჯერ კიდევ იმყოფებოდა აღრიცხვაზე და გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული) მხილებულ იქნა ახლი განზრახი დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, დანაშაულის დაფარვაში (სსკ 375-ე მ.).

2014 წლის 9 დეკემბერს (რა დროისათვის ბრალდებულზე პირობითი მსჯავრით დანიშნული გამოსაცდელი ვადა უკვე გასული იყო) იგი ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ამ დანაშაულში და სასჯელის სახით

[62] იხ. ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე № 1/ ბ-24-15

დაუნიშნა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, რაც სსკ 62-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირა და ჯარიმის სახით განესაზღვრა 4 000 ლარი.

როგორც ვხედავთ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ გრიგოლ გ-ძის მიმართ არ გამოიყენა სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი და არ გააუქმა პირობითი მსჯავრი. ასევე არ დანიშნა სასჯელი სსკ 59-ე მუხლის საფუძველზე (განაჩენთა ერთობლიობის წესით). თუმცა როგორც სააპელაციო სასამართლოს ზემოთხსენებულ განაჩენში ვკითხულობთ, პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორმა დააყენა შესაბამისი შუამდგომლობა.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოთხსენებული განაჩენით არ ჩანს, თუ რა არგუმენტზე დაყრდნობით მიიღო ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება. ასევე არ ჩანს, ამ ხნის განმავლობაში მსჯავრდებული თუ ასრულებდა პირობითი მსჯავრით მასზე დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს და კერძოდ, რას. სავარაუდოა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ის ფაქტი, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის პირობითი მსჯავრით დაწესებული გამოსაცდელი ვადა უკვე გასული იყო. ამდენად, მან სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ-ის საფუძველზე მიიჩნია, რომ ამ პირის ნასამართლობა უკვე გაქარწყლებული ჰქონდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პროკურორის საჩივრის საფუძველზე გამოტანილი განაჩენით დააკმაყოფილა პროკურორის სააპელაციო საჩივარი და სს საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით განაჩენი მსჯავრდებულის საუარესოდ შეაბრუნა. კერძოდ, მის მიმართ გააუქმა პირობითი მსჯავრი.

შესაბამისად, მან მსჯავრდებულის, როგორც ნასამართლევი პირის მიმართ, დანიშნა ახლი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. საბოლოოდ კი, სსკ 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოო სასჯელი დანიშნა განაჩენთა ერთობლიობის წესით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: „სააპელაციო პალატა ეთანხმება საჩივრის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ სსკ-ს 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის გაუქმება და საბოლოო სასჯელის განაჩენთა ერთობლიობით დანიშვნა გამოსაცდელ ვადაში ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. შესაბამისად, კანონმდებელი აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას არანაირად არ უკავშირებს ახალ დანაშაულზე განაჩენის დადგენის თარიღს. საქმის სასამართლო განხილვა გაჭიანურდა დაახლოებით 19 თვე და განაჩენის დადგენისას პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის დინება დასრულებული იყო. ოდავოდ დადგენილი გარემოებაა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს – 2013 წლის 6 მარტს გრიგოლ გ-ძის პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა დამთავრებული არ ჰქონდა.... აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის თანახმად პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის დინება არ წარმოადგენს სასჯელის მოხდას. ანუ გამოსაცდელი ვა-

დის დამთავრება ავტომატურად ვერ გაიგივდება სასჯელის მოხდასთან. არამედ კანონმდებელი მხოლოდ იმ პირობით პატიებს მსჯავრდებულს დანიშნულ სასჯელს, თუ ის გამოსაცდელ ვადაში არ ჩაიდებს ახალ დანაშაულს".[63] როგორც ვხედავთ, **საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო დაეყრდნო ორ არგუმენტს:**

ა) ახალი დანაშაული ჩადენილია გამოსაცდელი ვადის გასვლამდე და ბ) პირობითი მსჯავრის მოთხოვნის შესრულება არაა დაკავშირებული ახალ დანაშაულზე განაჩენის დადგენის თარიღთან.

ეს ყველაფერი ნამდვილად ასეა, თუმცა საკითხი ასე მარტივად მაინც ვერ გადაწყდება. მართალია, სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით პირობითი მსჯავრის გაუქმების საფუძველია გამოსაცდელ ვადაში ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენა, რაც იმპერატიული მოთხოვნაა სასამართლოსათვის, მაგრამ ჩაიდინა თუ არა **პირმა ახალი განზრახი დანაშაული, ეს საკითხი წყდება არა მაშინ, როცა პირის მიმართ იწყება სს დევნა ახლად ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ მაშინ, როცა ამ ფაქტზე სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს.** მანამდე კი პირი გამომდინარე უდანაშაულობის პრეზენციიდან, იურიდიულად უდანაშაულოდ ითვლება.

მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ პირობითი მსჯავრით დადგენილი ვალდებულება მხოლოდ ახალი დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავებას არ გულისხმობს, არამედ პირს სხვა მოვალეობებიც ეკისრება, რისი შეუსრულებლობაც ასევე შეიძლება (თუმცა შეიძლება და არა აუცილებლად) გახდეს პირობითი მსჯავრის გაუქმების საფუძველი.

გარდა ამისა,როგორც უკვე ითქვა, სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ-ის მიხედვით, ნასამართლობა გაქარწყლდება პირობითი მსჯავრდებულისა, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

მოცემულ შემთხვევაში კი ახლად ჩადენილი ქმედებისათვის გამამტყუვნებელი განაჩენის გამოტანამდე გამოსაცდელი ვადა უკვე გასული იყო.

ამიტომ ერთის მხრივ, სწორია განაჩენის სამოტივაციო ნაწილის ის მონაკვეთი, სადაც წერია, რომ გამოსაცდელი ვადის დამთავრება ავტომატურად ვერ გაიგივდება სასჯელის მოხდასთან, მაგრამ ამ მიმართებით ჩნდება კითხვა:

როგორ გავიგოთ „გამოსაცდელ ვადაში ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენა" სსკ 67-ე მუხლის მიხედვით და როდის ჩაითვლება ეს ვადა გასულად სსკ 79-ე მუხლის მიხედვით?

გამოსაცდელი ვადა ოდესღას ყველა შემთხვევაში გავა – იგი გავა ან ახლად ჩადენილ ფაქტთან დაკავშირებით განაჩენის გამოტანამდე, ან მის შემდეგ. სწორედ ამიტომ **გასარკვევია, რომელ მათგანს გულისხმობს საქართველოს სს კანონმდებლობა?**

ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. იგი შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი.

პირველი პასუხის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აქ უნდა ვიგულისხ-

[63] იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის ზემოთ მითითებული განაჩენი

მოთ მხოლოდ ის შემთხვევა, როცა გამოსაცდელი ვადა გავიდა, მაგრამ მის გასვლამდე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დადგინდა, რომ პირმა ამ ვადის გასვლამდე ნამდვილად ჩაიდინა ახალი დანაშაული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახლად ჩადენილი ფაქტის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული, იგი ამ განაჩენის გამოტანის შემდეგ გავიდა.

ასეთ შემთხვევაში უდაოა, რომ სასამართლომ პირის მიმართ უნდა გააუქმოს პირობითი მსჯავრი და სასჯელი დანიშნოს განაჩენთა ერთობლიობის წესით სსკ 59-ე მუხლის საფუძველზე.

მეორე პასუხი შეიძლება იყოს სხვაგვარი. კერძოდ, რადგან პირის მიმართ სს დევნის დაწყება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან გამოსაცდელ ვადაში დანაშაული ჩაიდინა, ამდენად, იგი იურიდიულად ჯერ კიდევ უდანაშაულოდ (არაბრალეულად) ითვლება. ამდენად, თუ ეს პირი აგრძელებს პირობითი მსჯავრით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულებას და ბოლომდე ასრულებს კიდეც მას, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი მის მიმართ დადგენილი არაა, მას სრული უფლება აქვს, ჰქონდეს ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მისი ნასამართლობა გაქარწყლებულად ჩაითვლება.

ამდენად, **თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ვერ დადგინდა მისი ბრალეულობა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გამოსაცდელი ვადის გასვლამდე პირს ახალი დანაშაული იურიდიულად არ ჩაუდენია** (თუმცა ფაქტობრივად შესაძლებელია, ჩადენილი ჰქონდეს).

ასეთ შემთხვევაში კი ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოს არა აქვს უფლება, სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გააუქმოს პირობითი მსჯავრი და სასჯელი დანიშნოს განაჩანთა ერთობლიობის წესით.

შესაბამისად, თუ გავიზიარებთ ამ არგუმენტს, სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით გამოსაცდელი ვადის გასვლაში შესაძლებელია, ვიგულისხმოთ ის შემთხვევა, როცა ამ ვადაში პირის მიმართ არაა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ახლად ჩადენილი ქმედების გამო, მაშინ ეს პირი შეიძლება ჩავთვალოთ ნასამართლობა გაქარწყლებულ პირად.

მესამე პასუხის მიხედვით კი მთავარია, მხილებულია თუ არა პირი გამოსაცდელ ვადაში ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენაში და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, როდის დადგება გამამტყუნებელი განაჩენი ამ ფაქტზე. ასეთ შემთხვევაში ახლად ჩადენილ ქმედებაზე განაჩენის თარიღის მიუხედავად, სასამართლო ვალდებულია, გააუქმოს პირობითი მსჯავრი და სასჯელი დანიშნოს სსკ 59-ე მუხლის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, სამივე ამ პასუხს აქვს თავისი არგუმენტი.

ამდენად, საკითხი დგას ასე: განსახილველი პრობლემის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს მხოლოდ სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილს (სადაც აქცენტი გაკეთებულია გამოსაცდელი ვადის ფარგლებზე), თუ ასევე 79-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვ-საც (სადაც აქცენტი გადატანილია გამოსაცდელი ვადის გასვლაზე)?

სააპელაციო სასამართლომ ზემოთხსენებულ განაჩენში აქცენტი მხოლოდ სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილზე გააკეთა და საერთოდ არ იმსჯელა 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის ამ ჩანაწერზე.

მართალია,პირობითი მსჯავრის მოთხოვნის შესრულება თავისთავად არაა დაკავშირებული ახალი დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის თარიღთან, მაგრამ მასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს გამოსაცდელი ვადის გასვლის საკითხი, თუ საქმის განხილვა გაჭიანურდა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში).

განხილული განაჩენის ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მასში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმაზე, ეს პირი მის მიმართ სს დევნის დაწყების შემდეგ, საქმეზე განაჩენის გამოტანამდე თუ ასრულებდა მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობას. თუკი მას ასეთი მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული და მის შესრულებას არ აგრძელებდა, მაშინ საკითხი სადაო არაა. ასეთ შემთხვევაში პირის მიმართ სსკ 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე უნდა გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და სასჯელი უნდა დაინიშნოს განაჩენთა ერთობლიობის წესით.

როგორც ვხედავთ, საკითხი ბუნდოვანია და საჭიროებს მოწესრიგებას საკანონმდებლო დონეზე, რათა მან პრაქტიკაში არ გამოიწვიოს დავა.

რა შეიძლება იყოს აქედან გამოსავალი? მსგავსი ვითარების მოსაწესრიგებლად აუცილებელია სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფა მასში დამატებების შეტანით.

კერძოდ, სსკ 67-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3[1]. ნაწილი: „თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში მხილებულ იქნა დანაშაულის ჩადენაში და მის მიმართ დაიწყო სს დევნა, მისი ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა იწვევს პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის შეჩერებას, რის შესახებ პროკურორი დაუყონებლივ აცნობებს პრობაციის ბიუროს. ამ საქმეზე სს დევნის შეწყვეტის ან პირობით მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ანდა იმ შემთხვევაში, როცა გამოსაცდელ ვადაში ჩადენილია გაუფრთხილებელი დანაშაული და სასამართლო არ გააააუქმებს პირობით მსჯავრს, ეს იწვევს პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის დინების გაგრძელებას, რაც სს დევნის შეწყვეტისას პროკურორის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში -სასამართლოს მიერ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს პრობაციის ბიუროს.

როცა პირობით მსჯავრდადებული გამოსაცდელ ვადაში გადის მკურნალობის აუცილებელ კურსს, გამოსაცდელი ვადის შეჩერება არ გამოიწვევს მკურნალობის კურსის შეჩერებას.

თუ პირის მიმართ სასამართლო დაადგენს გამამრთლებელ განაჩენს, მას ის პერიოდი, რა დროშიც შეჩერებული ჰქონდა გამოსაცდელი ვადის დინება, უნდა

ჩაეთვალოს გამოსაცდელ ვადაში.

თუ გამოსაცდელი ვადა მთლიანად გასულად ჩაითვალა, პირი თავისუფლდება პირობითი მსჯავრით დადგენილი დამატებითი ვალდებულებების ბოლომდე შესრულებისაგან ".

აქედან გამომდინარე კი, რა თქმა უნდა, შესაბამისი ცვლილება შეტანილ უნდა იქნას სს საპროცესო კოდექსშიც.

სს კოდექსში ასეთი ცვლილების შეტანის შემთხვევაში პრაქტიკაში არ შეიქმნება ისეთი პრობლემური ვითარება, როცა პირობითი მსჯავრის მთავარი პირობა არაა შესრულებული, მაგრამ პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადა მის გასვლამდე ჩადენილი ქმედებისათვის განაჩენის გამოტანამდე უკვე ამოწურულია.

17. რა ხდება მაშინ, როცა **პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის ამოწურვიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გაირკვევა, რომ ამ პირს გამოსაცდელი ვადის გასვლამდე ჩადენილი ჰქონია დანაშაული?**

ამ შემთხვევაში პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის გასვლის გამო (რომლის დინებისას არ იყო დაფიქსირებული რაიმე დარღვევა მსჯავრდებულის მხრიდან) გაუქმებულია პირობითი მსჯავრი, რაც იმას ნიშნავს, რომ განაჩენი აღსრულდა და პირმა სასჯელი თავისუფლებაში მოიხადა. ასეთი პირის ნასამართლობა უკვე გაქარწყლებულად .ითვლება და ეს არაა სადაო (სსკ 79-ე მ-ის მე-3 ნაწლია „ა" ქვ.). აქედან გამომდინარე, შეუძლებელია უკვე აღსრულებული განაჩენის ხელმეორედ აღსრულებისაკენ მიქცევა. ასევე შეუძლებელია უკვე გაუქმებული პირობითი მსჯავრის ხელმეორედ გაუქმება და სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით.

ზემოთ განხილული შემთხვევისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შესაბამისი ორგანოები ხელს ვერ შეუშლიდნენ მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელ ვადაში დადგენილი სხვა მოვალეობის შესრულებას, რადგან მათთვის არ იყო ცნობილი ამ ვადაში პირის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედების შესახებ, რაც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ამდენად, **ამ შემთხვევაში პირს დამოუკიდებლად დაეკისრება სს პასუხისმგებლობა** გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი დანაშაულისათვის, როგორც ნასამართლობის არმქონე პირს.

ისმის კითხვა: იქნებ შესაძლებელია ამ დროს საკითხის გადაწყვეტა სს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის საფუძველზე?

კერძოდ, სს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლით გათვალისწინებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები, რომლის „ზ" ქვ-ის მიხედვით განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ:

„წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგე-

ნილ გარემოებებთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ ამ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო".

საკითხის სს საპროცესო კოდექსის ამ მუხლის შესაბამისად მოწესრიგების აზრი შეიძლება გაჩნდეს იმიტომ, რომ რომ ეს ნორმა ითვალისწინებს სს საქმის არა მხოლოდ პირის სასარგებლოდ, არამედ მის საუარესოდ გადაწყვეტის შესაძლებლობასაც.

ამის მიუხედავად, ზემოთგანხილული პრობლემის გადაწყვეტა სს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის საფუძველზე გამორიცხულია რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) საპროცესო კოდექსის ეს მუხლი აწესრიგებს იმ შემთხვევებს, როცა წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რაც არ იყო ცნობილი გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს. ამდენად, ამ ნორმის გამოყენების საკითხი დგას მხოლოდ მაშინ, როცა სახეზეა სასამართლოს განაჩენი (რომელიც გასაჩივრებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში – სს საპროცესო კოდექსის 311-ე მ.), რაც უნდა შეიცვალოს სხვადასხვა გარემოებათა გამო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ნორმის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სასამართლოს განაჩენი, რის შეცვლაზეც დგას საკითხი;

ბ) ჩვენს შემთხვევაში კი საკითხი არ დგას სასამართლო განაჩენის შეცვლაზე, რადგან ამ შემთხვევაში არავინ ხდის სადაოდ იმ განაჩენს, რის საფუძველზეც მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით და დაუწესდა გამოსაცდელი ვადა.

აქ დგას სულ სხვა საკითხი: გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ გაირკვა, რომ მსჯავრდებულს ამ ვადაში თურმე ჩადენილი ჰქონია ახალი დანაშაული, რაც უცნობი იყო სათანადო ორგანოებისათვის. ამიტომ მის მიმართ სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ-ის საფუძველზე ნასამართლობა ავტომატურად გაქარწყლებულად ჩაითვალა ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე.

შესაბამისად, სახეზე არაა სასამართლოს რაიმე გადაწყვეტილება, მით უმეტეს განაჩენი, რაზეც საუბარია სს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში;

გ) ვინაიდან სს საპროცესო კოდექსის ეს მუხლი შესაძლოა, გამოვიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა სასამართლოს განაჩენი, არ შეიძლება მისი გამოყენება გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზეც, როცა სახეზე არაა სასამართლოს განაჩენი, არამედ მსჯავრდებულის მიმართ გარკვეული იურიდიული შედეგი (ამ შემთხვევაში ნასამართლობის გაქრწყლება) ავტომატურად დადგა სს კანონით დადგენილი (ამ შემთხვევაში სსკ 79-ე მ-ის მე-3 ნაწ. „ა" ქვ-ით დადგენილი) სხვა გარემოების არსებობის გამო.

უფრო მეტიც, სს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის გამოყენება დაუშ-

ვებელია სასამართლოს მიერ გამოტანილი სხვა გადაწყვეტილების მიმართ, როგორიცაა განჩინება ან დადგენილება;

დ) ესეც რომ არ იყოს, ჩვენს მიერ განსახილველი საკითხი არ უკავშირდება იმ შემთხვევებს, რაზეც საუბარია სს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტში. კერძოდ, იგი არ უკავშირდება ისეთ ფაქტს ან მტკიცებულებას, რაც ამტკიცებს: პირის უდანაშაულობას, მის მიერ უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, გამართლებულის ბრალეულობას, დანაშაულის ჩადენას იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთხსენებულ შემთხვევაში სახეზეა ისეთი ვითარება, როცა **ფაქტობრივი და იურიდიული მხარე არ ემთხვევა ერთმანეთს.** კერძოდ, მართალია, პირს გამოსაცდელ ვადაში თურმე დანაშაული ჩაუდენია, მაგრამ იურიდიულად ჩაითვლება, რომ მას ამ ვადაში დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან ამ ვადაში ვერ მოხერხდა მისი მხილება.

შესაბამისად, ფაქტობრივად ნასამართლევი პირი იურიდიულად ნასამართლობის არმქონედ (ნასამართლობა გაქარწყლებულად) ითვლება სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ-ის მიხედვით (იურიდიული ფიქცია).

18. სასამართლო პრაქტიკაში პირობითი მსჯავრით დაწესებული გამოსაცდელი ვადის დინების საკითხთან დაკავშირებით სხვა პრობლემაც შეიძლება გაჩნდეს. **კერძოდ, ჩაითვლება თუ არა გამოსაცდელ ვადის დროდ ის პერიოდი, რა დროსაც ბრალდებულს აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა?**

განვიილოთ ეს საკითხი შემდეგ მაგალითზე:

2014 წლის 22 სექტემბერს ჩადენილი დანაშაულისათვის 2015 წლის 10 თებერვლის განაჩენით არასრულწლოვანი ს.თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, რაც ჩაეთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

2015 წელს პირობით მსჯავრდებული ს.თ. სხვა დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააკავეს. 2015 წლის 21 მარტს მას სასამართლოს განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ხსენებულ საქმეზე, 2015 წლის 9 ივლისის განაჩენით არასრულწლოვანი ს.თ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

2015 წლის 24 აპრილს (ანუ სანამ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა) საპატიმრო დაწესებულებაში ჩადენილი ქმედებისათვის არასრულწლვან ს.თ -ს 2015 წლის 26 აგვსტოს (ანუ გამამართლებელი განაჩენის დადგომის შემდეგ) წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 378[2]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ბრალდების არსი მდგომარებს იმაში, რომ პატიმრობის ადგილას ყოფნისას, სანამ ძიება მიმდინარეობდა მასზე წარდგენილი ბრალდების გამო, მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

ისარგებლაა აკრძალული საგნით. კერძოდ, ითამაშა ბანქო.

ამ შემთხვევაში დგება შემდეგი სამართლებრივი პრობლემა: როგორ უნდა მოხდეს სასჯელის დანიშვნა ამ არასრულწლოვნის მიმართ საპატიმრო ადგილას ჩადენილი ქმედებისათვის (ბანქოს თამაშისათვის) გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში? **კერძოდ, თუ შეიძლება გაუქმდეს წინა განაჩენით გამოყენებული პირობითი მსჯავრი და სსკ 67-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად დაინიშნოს სასჯელი დანაშაულთა ერთობლიობით?**

საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია რამდენიმე სამართლებრივ გარემოებასთან:

ერთის მხრივ სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ადგენს, რომ თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (ანუ განაჩენთა ერთობლიობის წესით).

მეორეს მხრივ კი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 8^1 ნაწილის თანახმად: თუ პირობით მსჯავრდებულს გამოსაცდელი ვადის პერიოდში სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფროსი თავისი გადაწყვეტილებით აჩერებს სააღსრულებო წარმოებას. ამავე მუხლის 8^2 ნაწილი ადგენს: აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის სხვა ღონისძიებით შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება გრძელდება.

ამდენად, საკითხავია: იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ამ არასრულწლოვნის მიმართ პატიმრონის ადგილას ჩადენილი ქმედებისათვის (აკრძალული საგნით სარგებლობა) დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ შეუძლია მას სასჯელის დანიშვნისას იხელმძღვანელოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით? კერძოდ, თუ შეუძლია, განსახილველი შემთხვევა განმარტოს იმგვარად, რომ მსჯავრდებულმა განზრახი დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელ ვადაში და შესაბამისად, გააუქმოს პირობითი მსჯავრი, იმ პირობებში, როდესაც პრობაციის ბიუროს უფროსის გადაწყვეტილებით, საამართლოს განჩინების საფუძველზე ბრალდებულის დაპატიმრების გამო სააღსრულებო წარმოება შეჩერებული იყო?

ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, ჯერ უნდა გაირკვეს, **თუ ნიშნავს სააღსრულებო წარმოების შეჩერება გამოსაცდელი ვადის დინების შეჩერებას?**

გამოსაცდელი ვადის დინებისას მსჯავრდებული ვალდებულია, არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და ასევე შეასრულოს სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობები. ამდენად, **ეს მოვალეობები არის ორი სახის:** 1. რაც დაწესებულია კანონოთ და იგი არაა დამოკიდებული სასამართოს მიხედულებაზე; 2. რისი დაკირებაც მსჯავრდებულზე სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა (სსკ 65-ე მ.). ამ მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად კი დაწესებულია სააღსრულებო წარმოება, რაც გულისხმობს პრობაციის ორგანოს კონტროლს

მსჯავრდებულის ქცევაზე.

ამდენად, ახალი დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავება და სასამართლოს მიერ დაწესებული სხვა მოვალეობის **შესრულება მთლიანობაში არის მსჯავრდებულის მოვალეობა**, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორიდან პირველი მთავარი მოვალეობაა მსჯავრდებულისათვის.

როცა პირობით მსჯავრდებულს ახალი ბრალდების გამო აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა, იგი ფაქტობრივად ვერ შეასრულებს პირობითი მსჯავრით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და სწორედ ამიტომ ხდება სააღსრულებო წარმოების შეჩერება.

რაც შეეხება ახალი დანაშაულის ჩაუდენლობის მოვალეობას, სს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დაკავების ერთ-ერთი საფუძველი არის დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს (სს საპროცესო კოდექსი 171-ე მ-ის პირვ. ნაწ.). ამდენად, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ისაა, რომ ბრალდებულმა ვერ შესძლოს ახალი დანაშაულის ჩადენა.

ამდენად, **სააღსრულებო წარმოების შეჩერება ნიშნავს გამოსაცდელი ვადის შეჩერებას და არა მის შეჩერებას მხოლოდ იმ ასპექტში,** რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ დადგენილი მოვალეობების შესრულებასთან.

სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში მივიღებთ ვითარებას, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა პირობითი მსჯავრით დადგენილ გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობასთან.

კერძოდ, **რა მოხდება, თუ ჩავთვლით, რომ სააღსრულებო წარმოების შეჩერება აჩერებს გამოსაცდელ ვადას მხოლოდ იმ ასპექტში,** რა დროსაც მსჯავრდებულს ევალება, შეასრულოს სასამართლოს მიერ სსკ 65-ე მუხლის საფუძველზე დაწესებული ვალდებულებები, მაგრამ არ აჩერებს ამ ვადას იმ ასპექტში, რითაც მსჯავრდებულს სს კანონოთ ევალება, არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული?

ასეთი დათქმის შემთხვევაში გამოვა, რომ მსჯავრდებულის მიმართ სასამართლოს მიერ დადგენილი გამოსაცდელი ვადა ფაქტობრივად გაიზრდება, რადგან ამ ვადას დაემატება ახალი ბრალდების გამო პირის პატიმრობაში ყოფნის ვადაც.

მაგალითად, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში გამოსაცდელ ვადად დაწესებული იყო 4 წელი. ერთი წლის შემდეგ მას ახალი ბრალდების გამო აღმკვეთ ღონისძიებად შეუფარდეს პატიმრობა 2 თვის ვადით. სასამართლომ მის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

თუკი ჩავთვლით, რომ ამ 2 თვის ვადაშიც პირობით მსჯავრდებული სსკ 64-ე მუხლის თანახმად ვალდებული იყო არ ჩაედინა ახალი დანაშაული, გამოვა, რომ მის მიმართ გამოსაცდელი ვადა დაწესებული ყოფილა არა 4 წლით, არამდე 4 წლითა და 2 თვის ხანგრძლიობით, რაც არ შეესაბამება სასამართლოს წინა განაჩენის მიხედვით დადგენილ გამოსაცდელი ვადის ხანგრძლიობას.

მართალია, პირი ისევე როგორც სხვა დროს, ამ შემთხვევაშიც ვალდებუ-

ლია, არ ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ ეს საკითხი არაა დაკავშირებული პირობით მსჯავრით დადგენილი მოვალეობების შესრულებასთან, არამედ იგი დაკავშირებულია სს კანონით დაწესებული მართლზომიერი ქცევის ზოგად ვალდებულებასთან, რომლის მიხედვით, სს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ხდება ვალდებული მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს.[64]

ამდენად, **პირობით მსჯავრდებულის მიმართ სააღსულებო წარმოების შეჩერება გულისხმობს გამოსაცდელი ვადის შეჩერებას.**

შესაბამისად, ასეთ დროს ადგილი აქვს ვითარებას, როცა საქმის **იურიდიული და ფაქტობრივი მხარე არ ემთხვევა ერთმანეთს.**

კერძოდ, საქმის **ფაქტობრივი მხარე მდგომარეობს** შემდეგში:

როცა ბრალდებულმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩაიდინა ახალი დანაშაული, გამოსაცდელი ვადა ფაქტობრივად ჯერ არ იყო გასული. ამდენად, ახალი დანაშაულის ჩადენა ფაქტობრივად მოხდა ამ ვადაში.

თუმცა სულ სხვაა საქმის იურიდიული მხარე:

იურიდიულად ამ პირის მიმართ კანონით დადგენილი წესით, შეჩერებული იყო სააღსრულებო წარმოება, რაც ნიშნავს იმას, რომ შეჩერებული იყო გამოსაცდელი ვადის დინება. ამდენად, **დროის ეს მონაკვეთი იურიდიულად არ წარმოადგენს გამოსაცდელ ვადას.**

შესაბამისად, დრო, როცა მან ახალი დანაშაული **ჩაიდინა არაა გამოსაცდელი ვადის შემადგენელი ნაწილი.**

როცა ერთმანეთს არ ემთხვევა საქმის იურიდიული და ფაქტობრივი მხარე, ყველა შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქმის იურიდიულ მხარეს (და არა ფაქტობრივს). წინააღმდეგ შემთხვევაში იურიდიული ფიქცია დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

ამდენად, ბრალდებულს ახალი დანაშაული არ ჩაუდენია გამოსაცდელ ვადაში და მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ვერ იხელმძღვანელებს სსკ 76-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესით.

მას სასჯელი ამ ახალი დანაშაულისათვის უნდა დაენიშნოს დამოუკიდებლად.

მაგრამ საკითხავია, რა ბედი ეწევა წინა განაჩენით პირობითად ჩათვლილ სასჯელს და თუ შეიძლება არასრულწლოვანზე ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელის კვლავ ჩათვლა პირობითად?

ახლად დანიშნული სასჯელის კვლავ პირობითად ჩათვლისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია სახეზე იყოს სსკ 63-ე მ-ის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პირობები, რაც დადგენილია არასრულწლოვნისათვის, საიდანაც ერთ-ერთი არის ის, რომ მას პირველად უნდა ჰქონდეს ჩადენილი დანა-

[64] იხ. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010, გვ. 106-109; გ. ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სს კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ. 2015, გვ. 26-27

შაული. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა მოსამართლეს პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას ამ ვითარებაში არ აძლევს, რადგან დანაშაული არაა ჩადენილი პირველად.

თუმცა თუ ჩვენ გულდასმით შევისწავლით სს კოდექსის ზოგად ნაწილში სასჯელთან დაკავშირებულ ყველა ნორმას, ვნახავთ, რომ **მოსამართლეს შეუძლია ერთ-ერთი მათგანის გამოყენება ანალოგიის წესით და ამ არასრულწლოვნის გათავისუფლება დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.**

ეს ნორმაა სსკ 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი, სადაც წერია: „თუ პირს, რომელიც სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში იყო, ძირითად სასჯელად დაენიშნა ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმსუბუქებს მას დანიშნულ სასჯელს ან მთლიანად გაათავისუფლებს მისი მოხდისაგან“.

როგორც ვხედავთ, ეს ნორმა ეხება შემთხვევას, როცა პირი საქმის სასამართლო განხილვამდე იყო პატიმრობაში, ხოლო საქმის განხილვის შემდეგ მის მიმართ გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა დაენიშნა ზემოთ ჩამოთვლილი არასაპატიმრო სასჯელი.

კანონმდებებლი ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, დანიშნული სასჯელი პირს შეუმსუბუქოს ანდა სრულებით გაათავისუფლოს იგი ამ სასჯელის მოხდისაგან პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით.

რატომ მისცა კანონმდებელმა მოსამართლეს ამის უფლება?

აქ ჩადებულია შემდეგი აზრი: რადგან მოსამართლემ ამ პირს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რაც არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან ან მის რამენაირად შეზღუდვასთანაც კი, ეს ნიშნავს იმას, რომ პირის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება არ ყოფილა შერჩეული სამართლიანად, იგი ყოფილა მეტისმეტად მკაცრი. ამის კომპენსაციისათვის სასამართლო პირს დანიშნულ სასჯელს ან შეუმსუბუქებს, ან მთლიანად გაათავისუფლებს მისი მოხდისაგან.

ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ანალოგიის სახით გამოიყენოს ეს ნორმა, რადგან სახეზე არის ვითარება, როცა პირი სასპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებული იყო უსაფუძვლო ბრალდებით, რამაც ფაქტობრივად ხელი შეუწყო იქ ყოფნისას ისეთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენას, როგორიცაა აკრძალული საგნით სარგებლობა (ბანქოს თამაში). ამდენად, ამ დროს პირის მიმართ ასეთი შეღავათის დაწესების მეტი სამართლებრივი არგუმენტი არსებობს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სსკ 62-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია დანიშნული სასჯელი (რაც სსკ 378^2 მ-ით პირველი ნაწილით შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან 3 წლამდე) შეუმსუბუქოს, ან საერთოდ გაათავისუფლოს მისი მოხდისაგან.

რას ნიშნავს „შეუმსუბუქებს დანიშნულ სასჯელს“?

ეს შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ არა მარტო შეამციროს დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ზომა, არამედ თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს

სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (მაგალითად, ჯარიმით).

განსახილველი პრობლემა სასამართლო პრაქტიკაში გამოძიების ეტაპზევე შესაძლებელია მოგვარდეს საპროცესო კანონმდებლობის მოშველიებით. კერძოდ, საქართველოს სს საპროცესო კოდექსით პროკურორზე მინიჭებული დისკრეციული დევნის უფლებამოსილებით, რომ არა დაიწყოს სს დევნა, როცა არ არსებობს სს დევნის საჯარო ინტერესი (სს საპროცესო კოდექსის 168-ე მ.). საჯარო ინტერესის არარსებობა საბუთდება იმით, რომ არასრულწლოვანი სა-პატიმრო დაწესებულებაში მოხვდა უსაფუძვლო ბრალდების გამო, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ბანქოს თამაშში მონაწილეობის მიღებას.

პროკურორს ასევე შეუძლია გამოიყენოს სს საპროცესო კოდექსის 168[1] მუხლით გათვალისწინებული განრიდების უფლება. კერძოდ, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სს დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ ეს პირი შეასრულებს ამ მუხლში ჩამოთვლილთაგან ერთ, ან რამდენიმე პირობას.

თემურ ცქიტიშვილი

სასჯელის პროპორციულობა

1. პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის არსი

პროპორციულობის ანუ თანაზომიერების პრინციპი, რომელიც ანტიკური პერიოდის სამართლიანობის თეორიიდან იღებს სათავეს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან[1] და ძირითადი უფლებების არსიდან გამომდინარეობს.[2] იგი სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა[3] და მბოჭავი[4] ძალა გააჩნია ყველა სახელმწიფო ორგანოს მიმართ[5].

თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას და აღკვეთას ითვალისწინებენ, დასახელებულ პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს.[6]

რაც უფრო მეტად ერევა სახელმწიფო ადამიანის უფლებებში, მით უფრო დიდია მისი გამართლების მოთხოვნები. თანაზომიერების პრინციპის ფუნქციაა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრა[7].

თანაზომიერების პრინციპის ოთხ სტრუქტურულ ელემენტს გამოჰყოფენ: ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა. ადამიანის უფლებაში ჩარევა მაშინაა თანაზომიერი, როცა იგი ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.

---

[1] *Bleckmann A.*, Begründung und Anwendungsbereich des Verhältnismäßigkeitsprinzips, Jus 1994, S. 177.

[2] *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Auf., München, 2010, S. 514, §62 Rn.1; *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თარგმნა ე. ჩაჩანიძემ, თბ., 2011, გვ. 47.

[3] *იზორია ლ.*, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, კრებულში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბ., 2002, გვ. 44; *იზორია ლ.*, თანამედროვე სახელმწიფო. თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ., 2009, გვ. 203.

[4] „შეზღუდვის" ნაცვლად ტერმინ "შებოჭვა"-ს კონსტიტუციურ მნიშვნელობასა და უპირატესობაზე იხ. *ხუბუა გ.*, ერთი კონსტიტუციური ტერმინის შინაარსისათვის (შეზღუდვა თუ შებოჭვა?), „ადამიანი და კონსტიტუცია", 2000, №1, გვ. 62-63.

[5] *ხუბუა გ.*, წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 350.

[6] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 134.

[7] *იზორია ლ.*, წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 151.

თანაზომიერების პრინციპის შემდეგი მოთხოვნაა, რომ შერჩეული საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსადეგი იყოს[8]. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, ძირითად უფლებებში ჩარევა მხოლოდ მაშინ არის ნებადართული, როცა ეს ჩარევა კონსტიტუციის მიხედვით ლეგიტიმური საჯარო ინტერესის განსახორციელებლად ვარგისი და საჭიროა[9]. თუ საშუალება მიზნის მიღწევას ართულებს ან შეუძლებელს ხდის, იგი გამოუსადეგარი და არაკონსტიტუციურია.

საკანონმდებლო ღონისძიების ვარგისიანობასთან დაკავშირებით, ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა იგი ჩაითვალოს ვარგისად, როცა ამ საშუალებით დასახული მიზნის სრულად მიღწევა შეუძლებელია. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, ვარგისიანობა არ გამოირიცხება მაშინ, როცა საშუალებით მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა[10]. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, არსებობს თუ არა სხვა ალტერნატიული საშუალება, რომელიც მიზნის სრულად მიღწევას უზრუნველყოფს. თუ ასეთი საშუალება არსებობს, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება იმ საშუალების თანაზომიერება, რომელიც მიზნის მიღწევას მხოლოდ ნაწილობრივ ხდის შესაძლებლად.

საშუალების ვარგისიანობისთვის, ერთი მხრივ, საკანონმდებლო მიზნის ნაწილობრივი განხორციელება საკმარისია, ხოლო, მეორე მხრივ, თანაზომიერების პრინციპი არ მოითხოვს, რომ საშუალებამ მიზნის მიღწევას გადაწყვეტილების მიღების დროს ფაქტობრივადაც შეუწყოს ხელი. თუ საკანონმდებლო საშუალებით დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული, მხოლოდ ამ გარემოებაზე დაყრდნობით შეუძლებელია საშუალების არაკონსტიტუციურობაზე დასკვნის გამოტანა. საკანონმდებლო საშუალება კანონპროექტის მომზადების დროს უნდა ხასიათდებოდეს როგორც ვარგისი. კანონმდებელმა შეიძლება შეცდომა დაუშვას მოვლენების სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით და მას ამის უფლებაც აქვს. ამიტომ, მცდარი პროგნოზის საფუძველზე მიღებული ზომები ჯერ კიდევ არ არის არაკონსტიტუციური. არაკონსტიტუციურია მხოლოდ ის საშუალება, რომელიც კანონმდებლის შეფასებითი ფარგლების გათვალისწინებით იმთავითვეა უვარგისი საკანონმდებლო მიზნის მისაღწევად[11]. მაშასადამე, კანონპროექტის შემუშავებისას კანონმდებელს აქვს შეფასების გარკვეული ფარგლები, რომელიც შეფასების დროს შეცდომას არ

---

[8] *იზორია ლ.*, ნიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 24-25.

[9] *Bleckmann A.*, Begründung und Anwendungsbereich des Verhälltnismäßigkeitsprinzips, Jus 1994, S. 177.

[10] *Grabitz E.*, Der Grundsatz der Verhälltnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesferfassungsgerichts, Archiv des öffentlichen Rechts, 98. Band, 1973, S. 572.

[11] *Grabitz E.*, დასახ. ნაშრ., გვ. 572.

გამორიცხავს. ზუსტად იმის პროგნოზირება, კონკრეტული საშუალებით მოხდება თუ არა მიზნის მიღწევა, შეუძლებელია. პროგნოზი ყოველთვის მიახლოებითია. მთავარია, კანონპროექტის შემუშავებისა და შეფასებითი პროგნოზის გაკეთების მომენტშივე იმთავითვე არ გამოირიცხებოდეს კონკრეტული საშუალებით საკანონმდებლო მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. იგივე შეიძლება ითქვას ნორმაშეფარდებით საქმიანობასა და მოსამართლის გადაწყვეტილებაზეც. მოსამართლემ მსჯავრდებულისთვის სასჯელის შეფარდების დროს შეიძლება შეცდომა დაუშვას შეფარდებული სასჯელით სასჯელის მიზნის მიღწევის პროგნოზირებასთან დაკავშირებით. არც მოსამართლეს შეუძლია აბსოლუტური სიზუსტით იმის განჭვრეტა, სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული განმეორებით ჩაიდენს თუ არა დანაშაულს. სასჯელის მოხდის შემდეგ ნასამართლევი პირის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენა არ არის იმის მტკიცებულება, რომ წინათ შეფარდებული სასჯელი არაპროპორციული იყო. მართალია, პროპორციული სასჯელი ხელს უწყობს სასჯელის მიზნის მიღწევას და, მათ შორის, მომავალში დანაშაულის თავიდან აცილებას, მაგრამ არც პროპორციული სასჯელის შეფარდების პირობებშია გამორიცხული დანაშაულის განმეორებით ჩადენა. სასჯელი არაპროპორციული მხოლოდ მაშინ არის, როცა იგი მკვეთრად არ შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომლითაც სასჯელის პროპორციულობა იზომება.

საკანონმდებლო მიზნის მისაღწევი საშუალების ვარგისიანობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, რეგულირება მხოლოდ მაშინ არის ვარგისი, როცა იგი ერთადერთი საშუალებაა, თუ მაშინ, როცა კანონმდებელს სხვადასხვა შესაძლებლობიდან შეუძლია არჩევანის გაკეთება. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საშუალება მაშინ შეიძლება შეფასდეს პროპორციულად, როცა სხვადასხვა შესაძლებლობებს შორის არჩევანის გაკეთება გამორიცხული არ არის[12]. აქედან გამომდინარე, სასჯელის პროპორციულობის თვალსაზრისით, გამართლებულია ალტერნატიული სასჯელების არსებობა, რაც კანონმდებელსაც და მოსამართლესაც აძლევს თანაზომიერების პრინციპის შესატყვისად საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას. კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის, როგორც წესი, არა მხოლოდ ერთი კონკრეტული, არამედ ასევე სხვა სახის სასჯელიც არის გათვალისწინებული, რაც სასჯელის პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ისეთი განსაკუთრებით მძიმე და თავისი მასშტაბებით გამორჩეული დანაშაულისთვისაც კი, როგორიც გენოციდია (სსკ-ის 407-ე მუხლი), უვადოდ თავისუფლების აღკვეთის გარდა გათვალისწინებულია ვადიანი თავისუფლების აღკვეთაც (12-დან 20 წლამდე ვადით), რაც კანონმდებლის მხრიდან მართებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

თანაზომიერების პრინციპის მესამე ელემენტის შესაბამისად, ადამიანის

[12] *Grabitz E.*, დასახ. ნაშრ., გვ. 573.

უფლებაში ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს ანუ სხვა ალტერნატიულ საშუალებებთან შედარებით როგორც საზოგადოებისთვის, ისე თითოეული ადამიანისთვის ნაკლებ ზიანს უნდა იწვევდეს.[13] შეზღუდვა შეიძლება იყოს აუცილებელი, მაგრამ შეფასდეს არათანაზომიერად. თანაზომიერება მოითხოვს არა მხოლოდ შეზღუდვის, არამედ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შერჩეული საშუალების აუცილებლობასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან მიჯნავენ შეზღუდვის აუცილებლობას და გამოყენებული საშუალების აუცილებლობას.[14]

პროპორციულობის პრინციპის მეოთხე ელემენტის შესაბამისად, პროპორციულობა განისაზღვრება დამოკიდებულებით მიზანსა და საშუალებას შორის. პროპორციულად მაშინ შეიძლება საშუალება შეფასდეს, როცა იგი მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს და მისაღწევ მიზანთან პროპორციულ დამოკიდებულებაშია. იმის დასადგენად, არის თუ არა მისაღწევ მიზანთან საშუალება პროპორციულ დამოკიდებულებაში, გასათვალისწინებელია სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება. მაშასადამე, მიზნის და საშუალების პროპორციულობის განსაზღვრა სიკეთეთა შეფასებას და შეპირისპირებას მოითხოვს.[15]

პროპორციულობის პრინციპის თანახმად, ღონისძიება მაშინ არის თანაზომიერი, როცა იგი სამართალდამრღვევს არათანაზომიერად არ დატვირთავს. ამასთან ერთად, თანაზომიერების პრინციპი რელატიურ მასშტაბს წარმოადგენს, რაც მიზან-საშუალების დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, რომელსაც პროპორციულობის პრინციპი მოიცავს[16].

როდესაც ღონისძიება თანაზომიერია, აბსტრაქტულად ცოტა შეიძლება

[13] *კობახიძე ი.*, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, "სამართლის ჟურნალი", 2013, №1, გვ. 319; *იზორია ლ.*, წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 24-25.

[14] *ზოიძე ბ.*, წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 268.

[15] *ხუბუა გ.*, წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 350; *იზორია ლ.*, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, კრებულში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბ., 2002, გვ. 46; *შალიკაშვილი მ.*, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები, კრებულში: ლეკვეიშვილი მ., შალიკაშვილი მ., (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, გვ. 122; *გაბრიჩიძე გ.*, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, კრებულში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2006, გვ. 72.

[16] *Grabitz E.*, Der Grundsatz der Verhälltnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesferfassungsgerichts, Archiv des öffentlichen Rechts, 98. Band, 1973, S. 575.

ითქვას მის საჭიროებაზე. ამის მიზეზი თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის ლოგიკური სტრუქტურიდან გამომდინარეობს[17]. თანაზომიერების პრინციპი აბსტრაქტული სახისაა და ამიტომ, ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა კონკრეტულ ფაქტორებზე ორიენტირება.

მეტად მნიშვნელოვანია თანაზომიერების პრინციპთან დაკავშირებით იმის გარკვევაც, თუ როგორ დგინდება საშუალების პროპორციულობა: პოზიტიურად თუ ნეგატიურად? გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მას ადგენს ნეგატიურად, კერძოდ, იმის შემოწმებით, არის თუ არა ღონისძიება არათანაზომიერი[18]. ისევე როგორც სამართლიანობა დგინდება უსამართლობის გამორიცხვით, პროპორციულობაც შეიძლება დადგინდეს საშუალებასა და მიზანს შორის არათანაზომიერი დამოკიდებულების გამორიცხვით.

მიზნის და საშუალების არათანაზომიერი ურთიერთმიმართების გამორიცხვა, ყოველთვის არ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ეს ურთიერთმიმართება აგრეთვე ოპტიმალურიც არის[19]. მაშასადამე, საშუალება შეიძლება თანაზომიერი იყოს, მაგრამ არაოპტიმალური. ამიტომ, საშუალების თანაზომიერება და ოპტიმალურობა შეიძლება ერთდროულად არ იყოს მოცემული.

პროპორციულობის პრინციპის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული დებულება, რომლის მიხედვითაც, დანაშაულს არ წარმოადგენს ქმედება, თუ იგი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს ფორმალურად შეიცავს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე. მაშასადამე, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, განხორციელებული ქმედება არა მხოლოდ სსკ-ით უნდა იყოს გათვალისწინებული, არამედ უნდა იწვევდეს ისეთ ზიანს ან ქმნიდეს ისეთ საფრთხეს, რომ აუცილებელი გახდეს მოქმედი პირის სისხლისსამართლებრივი დასჯა, ე. ი. უნდა არსებობდეს პირის დასჯის აუცილებლობა, რაც საჯარო ინტერესით განპირობებული კანონიერი (ლეგიტიმური) მიზნიდან გამომდინარეობს. აღნიშნული დებულება, როგორც პროპორციულობის პრინციპის გამოხატულება, ბოჭავს ნორმის შემფარდებელს და სთხოვს, რომ ქმედების კვალიფიკაციისას ფორმალურის გარდა, მატერიალური კრიტერიუმებითაც იხელმძღვანელოს და ისე დაადგინოს, არის თუ არა სახეზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ასეთი მატერიალური კრიტერიუმების გათვალისწინების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ დანაშაულს, როგორიც ქურდობაა, სადაც სისხლისსამართლებრივი დასჯისთვის საკმარისი არ არის

[17] *Grabitz E.*, დასახ. ნაშრ., გვ. 576.
[18] *Grabitz E.*, დასახ. ნაშრ., გვ. 576.
[19] *Grabitz E.*, დასახ. ნაშრ., გვ. 576.

მხოლოდ იმის დადგენა, რომ პირი სხვის მოძრავ ნივთს ფარულად დაეუფლა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დასახელებული ნიშნების გარდა გადამწყვეტ როლს ასრულებს იმის გარკვევაც, განხორციელებული ქმედებიდან გამომდინარე არსებობს თუ არა პიროვნების დასჯის აუცილებლობა, რაც სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოწმდება.

სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის განაჩენი, რომლის მიხედვითაც, ქურდობის მცდელობისთვის ბრალდებული ვ. ჯანაშია გამართლდა და გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო[20]. მისი ქმედება გამოიხატა იმაში, რომ უკანონოდ შეაღწია მაღაზიაში, კერძოდ, ჩაამტვრია მაღაზიის შუშა, შეჰყო ხელი და დახლიდან აიღო 15 (თხუთმეტ) ლარად ღირებული ერთი ბოთლი არაყი. მაშასადამე, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა სხვის მოძრავ ნივთს სადგომში უკანონო შეღწევით. ბრალდებულმა არაყს იქვე მოხსნა თავი და სანახევროდ დალია, რა დროსაც იგი ადგილზე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა დაუფლებოდა სხვა ნივთებსაც, რისი განზრახვის სურვილი მას თავიდანვე არ ჰქონია და არც დაუფლებია. სასამართლოს თვალსაზრისით, განხორციელებული „ქმედება ფორმალურად შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, შინაარსობრივად კი არა, ვინაიდან არ გააჩნია საზოგადოებრივი საშიშროების ის ხარისხი, რომელიც აფუძნებს დანაშაულის შემადგენლობას". სასამართლო არ გამორიცხავს ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ, მისი ხარისხის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გამოყენება გაუმართლებელია. განაჩენში ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ საქმის შეფასებისას სასამართლო კანონიერების პრინციპის განსახორციელებლად მნიშვნელოვნად მიიჩნევს არა მხოლოდ ქმედების საკანონმდებლო აღწერილობის არსებობას, არამედ ასევე ამ აღწერილობის მიხედვით, განხორციელებული ქმედების ზუსტ სისხლისსამართლებრივ შეფასებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ პროპორციულობის პრინციპის დაცვა კავშირშია კანონიერების პრინციპის დაცვასთანაც.

პროპორციულობის პრინციპის დაცვა სისხლის სამართალში მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ, მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში და იგი ისეთ ფუნქციას იძენს, როგორც ბრალი სრულწლოვანთათვის სასჯელის შეფარდების დროს.[21]

პროპორციულობის პრინციპის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნული

[20] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/4597-15 (004220915001).

[21] *Rössner D.*, Grundsätze jugendstrafrechtlicher Rechtsfolgen, in: Meier Rössner Schöch, Jugendstrafrecht, 3. Aufl., München, 2013, S. 121, §6 Rn. 17.

კოდექსის მიხედვით, თანაზომიერება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი პრინციპია. კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს". ამ დებულებაში მნიშვნელოვანია ის, რომ სასჯელის პროპორციულობის განმაპირობებელ ფაქტორად ქმედების სიმძიმესთან ერთად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პიროვნებაც მიიჩნევა.

პროპორციულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საპოლიციო სამართალშიც[22]. პოლიციის შესახებ საქართველოს კანონში მოცემულია ის პრინციპები, რომლებიც პოლიციის საქმიანობას განსაზღვრავენ და ამ პრინციპებიდან ერთ-ერთი სწორედ თანაზომიერებას ეხება (მე-12 მუხლი).

პროპორციულობის პრინციპი გათვალისწინებულია ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი. კერძოდ, 62-ე პარაგრაფში, რომლის სათაურიც არის პროპორციულობის პრინციპი (Grundsatz der Verhältnismäßigkeit), მითითებულია, რომ უსაფრთხოებისა და გამასწორებელი ღონისძიებები (Maßregel der Besserung und Sicherung) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ ის პირის მიერ ჩადენილი ან მისგან მოსალოდნელი ქმედების ან მათგან გამომდინარე საფრთხის მოცულობის მიხედვით არაპროპორციულია.[23] მაშასადამე, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ რეტროსპექტულად განხორციელებული ქმედება, არამედ ასევე პროსპექტულად მოსალოდნელი საფრთხის შექმნა.[24] აღნიშნული კოდექსის 74b პარაგრაფი კი კონფისკაციის პროპორციულობის საკითხს ეძღვნება.

სასჯელის პროპორციულობაზე საუბრისას ჩნდება კითხვა, თუ ვის კომპეტენციას მიეკუთვნება პროპორციული სასჯელის განსაზღვრა? სანამ აღნიშნულ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ქმედების კრიმინალიზაციას ახდენს კანონმდებელი, რა დროსაც ადგენს შესაბამისი ქმედებისთვის სასჯელის სახეს და სასჯელის ზომას. ქმედების კრიმინალიზაცია სასჯელის გარეშე შეუძლებელია. სისხლის სამართლის ნორმა, რომელიც ქმედების დანაშაულებრივ ხასიათზე მიუთითებს, შესაბამის სასჯელსაც ითვალისწინებს. სასჯელის დაწესების (სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრის) დროს კანონმდებელი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი უმართლობის სიმძიმეს. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, კონკრეტული გასაკიცხი ქმედების დასჯით რამდენად შეიძლება იმ მიზნის მიღწევა, რასაც სასჯელი ემსახურება. „თუ სისხლის სამართლის სასჯელი ამა

[22] *იზორია ლ.* (რედ.)., საპოლიციო სამართალი, თბ., 2015, გვ. 63.

[23] *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 513, §62.

[24] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 168, Rn. 344.

თუ იმ ქმედების ჩადენის გამო ადამიანის დასჯით თავის მიზანს ვერ აღწევს, მაშინ კანონმდებელმა ეს ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულად აღარ უნდა გამოაცხადოს".[25] არსებობს ისეთი ქმედებები, რომელიც საზოგადოების მხრიდან უარყოფით შეფასებას იწვევს და რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ზნეობრივი პოზიციიდან უფრო ეფექტურია, ვიდრე სისხლისსამართლებრივი დასჯა. ასეთ დროს სახელმწიფო უარს ამბობს ქმედების კრიმინალიზაციასა და დასჯაზე,[26] ვინაიდან აღნიშნული ტიპის ქმედებას ზნეობა უკეთ ებრძვის, ვიდრე სამართალი. რაც შეეხება სასჯელის შეფარდებას, იგი მოსამართლის უფლებამოსილებას ეკუთვნის. თუ კანონმდებელი ახდენს ქმედების კრიმინალიზაციას და აწესებს სასჯელს, მოსამართლე კანონმდებლის მიერ დაწესებული სასჯელის ფარგლებში უფარდებს სასჯელს დანაშაულის ჩამდენს. იმისთვის, რომ მოსამართლემ დამნაშავეს დანაშაულის პროპორციული სასჯელი შეუფარდოს, არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა უნდა აძლევდეს მას ამის შესაძლებლობას.

მართებულია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ სასჯელი როგორც დანაშაულის, ისე დამნაშავის პასუხისმგებლობის პროპორციული უნდა იყოს, რასაც მოსამართლე ადგენს. კანონმდებელი გადასცემს მოსამართლეს ამ ფუნქციას, ვინაიდან კანონმდებელმა წინასწარ არ იცის დამნაშავის ხასიათი და პიროვნება. ამ თვალსაზრისით არის მართებული სასჯელის არა აბსოლუტური, არამედ მაქსიმუმის და მინიმუმის განსაზღვრა კანონმდებლის მიერ.[27] აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დამნაშავის პროპორციული დასჯა როგორც კანონმდებელზე, ისე მოსამართლეზეც არის დამოკიდებული.

2. პროპორციულობა როგორც კონსტიტუციური სამართლისა და მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი პრინციპი

პროპორციულობის პრინციპი კონსტიტუციური რანგისაა. აღნიშნული პრინციპი ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს წარმოადგენს[28]. პროპორციულობა „კონსტიტუციურობის უნივერსალური კრიტერიუმია"[29].

---

[25] *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 95.

[26] *გამყრელიძე ო.*, ზნეობრივი გაკიცხვა თუ სისხლისსამართლებრივი დასჯა, „ცხოვრება და კანონი", 2007, №2, აგვისტო-სექტემბერი, გვ. 3.

[27] *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 92.

[28] *ფირცხალაშვილი ა.*, წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 217.

[29] *პერჯიუ ვლ.*, პროპორციულობის პრინციპი და თავისუფლება. ესეი კონსტიტუციური სამართლის მეთოდზე, "კონსტიტუციური სამართლის მიმოხილვა", 2012, №5, გვ. 161.

საქართველოს კონსტიტუციაში ვხვდებით მითითებებს, რომ კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვა დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული (21-ე მუხ. მე-2 პ.; 22-ე მუხ. მე-3 პ.; 24-ე მუხ. მე-4 პ.), რაც პროპორციულობის პრინციპის კონსტიტუციური მნიშვნელობის გამოხატულებას წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია არაჰუმანური და სასტიკი სასჯელის გამოყენება, რაც სასჯელის პროპორციულობის კონსტიტუციურსამართლებრივ მნიშვნელობაზე მეტყველებს, ვინაიდან იგი ადამიანის ღირსების დაცვას უკავშირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასჯელი არ უნდა იყოს არაჰუმანური, სასტიკი ან პატივის და ღირსების შემლახავი, მაგრამ ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ქმედების სიმძიმესთან არაპროპორციული სასჯელი ჩაითვალოს არაჰუმანურად, სასტიკად ან პატივისა და ღირსების შემლახავად?

აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადა, თავისთავად, არ არის არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, მაგრამ, თუ მსჯავრდებულისთვის მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ვადა აშკარად უსამართლო და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის დისპროპორციულია, ადგილი აქვს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რაც არღვევს მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის ღირსების და სხვა ძირითად უფლებებს [30].

აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც, რომელმაც აღნიშნა, რომ „თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადა, უვადო პატიმრობაც კი თავისთავად არ გულისხმობს არაადამიანურ, სასტიკ მოპყრობას და სასჯელს", მაგრამ „თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, რიგ შემთხვევებში, ითვლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად", მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაკისრებული აშკარად არაპროპორციული საპატიმრო სასჯელი[31].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „აშკარად არაპროპორციულ სასჯელებს, რომლებიც არ შეესაბამებიან დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, არა მარტო აქვთ მიმართება სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის კონსტიტუციურ აკრძალვასთან, არამედ არღვევენ კიდეც ამ კონსტიტუციურ დანაწესს"[32]. საკონსტიტუციო

[30] *გოცირიძე ე.*, წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 125.

[31] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 24-ე პუნქტი.

[32] იქვე, 25-ე პუნქტი.

სასამართლოს გადაწყვეტილების ამ დებულებაში საგულისხმოა ის გარემოება, რომ სასამართლო სასჯელის აშკარა არაპროპორციულობაზე აკეთებს აქცენტს.

მაშასადამე, „იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სასჯელის არაპროპორციულობაზე მსჯელობა მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, სასჯელი დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ გადამეტებული"[33]. აღნიშნულის მიხედვით, სასჯელის არაკონსტიტუციურობისთვის საკმარისი არ არის დანაშაულის სიმძიმესთან მისი უბრალო შეუსაბამობა, არამედ აუცილებელია, რომ იგი უხეშად არათანაზომიერი იყოს.

კონსტიტუციის მე-17 მუხლში მოცემული ძირითადი უფლება (ღირსება) ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის საზღვრებს და ბოჭავს მას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და ბრალთან შესაბამისი და სამართლიანი უნდა იყოს. სახელმწიფოს მხრიდან სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის გამოყენება დაუშვებელია. დანაშაულის ჩამდენი პირი არ შეიძლება დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად, საშუალებად იქცეს[34]. ყოვლად გაუმართლებელია ადამიანი მიზნის მიღწევის საშუალებას (ინსტრუმენტს) წარმოადგენდეს, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს[35].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თვალსაზრისით, „თანაზომიერების პრინციპით არა მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლება, არამედ ხელისუფლების სხვა შტოებიც არის შეზღუდული"[36]. კერძოდ, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლება იგულისხმება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში „საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩაგუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" მიუთითებს, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილი სანქცია „..არ უნდა იყოს აშკარად არაგონივრული და არაპროპორციული საშუალება კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევისა და, შესაბამისად, არ უნდა იწვევდეს პირის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას"[37].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპი "პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზ-

---

[33] იქვე, 38-ე პუნქტი.

[34] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 88.

[35] *კუბლაშვილი კ.*, იქვე, გვ. 89.

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება, 37-ე პუნქტი.

[37] *ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ე.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, გვ. 98.

ღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას".[38]

პროპორციულობის პრინციპის ელემენტს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს მიზნის მისაღწევად კონკრეტული საშუალების გამოყენების აუცილებლობა. საშუალებაში იგულისხმება ის ღონისძიება, რომელიც ადამიანის უფლებაში ჩარევას გულისხმობს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თვალსაზრისით, არის თუ არა უფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი საჭიროებით და აუცილებლობით განპირობებული, დგინდება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობის გათვალისწინებით[39]. მაშასადამე, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების" ცნება დროის, სივრცისა და კონკრეტული შემთხვევის მიხედვით ცვალებადია. იგი არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული ცნება[40]. პროპორციულობის პრინციპი კონკრეტულ შემთხვევაში საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობას იძლევა[41].

როგორც მოქმედი სამართლის ნორმა, ისე საკანონმდებლო საშუალება თუ მოსამართლის მიერ გამოყენებული ღონისძიება უნდა პასუხობდეს არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ცნების ცვალებადობა განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოცემულობის ცვალებადობით. რამდენადაც იცვლება სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოცემულობა, შესაბამისად, იცვლება მასზე დამოკიდებული საზოგადოებრივი აუცილებლობის გაგებაც.

---

[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება, მე-13 პუნქტი.

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370 გადაწყვეტილება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 173-174.

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370 გადაწყვეტილება, მე-14 პუნქტი; *ლოლაძე ბ.*, საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვა საქართველოში, წიგნში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, თბ., 2010, გვ. 115.

[41] *ტურავა პ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2006, გვ. 301.

3. პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობა ევროპის კავშირის და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიხედვით

არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ევროპული სამართლითაც, თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის, ძირითადი უფლებების სფეროში შეზღუდვის ლიმიტირების საშუალებად მიიჩნევა.[42] პროპორციულობის პრინციპის დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით,[43] რომლის მე-8-11 მუხლების მე-2 პუნქტების თანახმად, ადამიანის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

აბსოლუტური ხასიათის უფლებების გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოითხოვს ბალანსის დადგენას ურთიერთსაწინააღმდეგო უფლებებსა და ინტერესებს შორის. ასეთი ბალანსი დაცულია, თუ: ადამიანის უფლების შეზღუდვა კანონითაა გათვალისწინებილი, კანონიერ მიზანს ისახავს და არის დასახული მიზნის პროპორციული.[44] ადამიანის უფლების შეზღუდვის გამართლება პროპორციულობის პრინციპის დარღვევისას შეუძლებელია. ადამიანის უფლების შეზღუდვა რომ გამართლდეს, პირველ რიგში, იგი აღნიშნული პრინციპის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აქცენტს პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნათა დაცვის მნიშვნელობაზე აკეთებს და მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული უფლების შემზღუდავი საკანონმდებლო აქტი საჯარო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს[45]. ყველა კანონი განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. ეს მიზანი აუცილებლად ლეგიტიმური უნდა იყოს. კანონის ლეგიტიმურობის საფუძველს სამართლებრივი სიკეთის დაცვა წარმოადგენს. კანონის მიზანი უნდა იყოს სიკეთის დაცვა, თუმცა პროპორციულობის პრინციპი სიკეთეთა შეპირისპირებას არ გამორ-

[42] *გაბრიჩიძე გ.*, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, კრებულში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2006, გვ. 74, 68.

[43] *კორკელია კ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004, გვ. 236.

[44] *კორკელია კ.*, იქვე, გვ. 237.

[45] *ბოხაშვილი ბ.*, (მასალები მოიძია და მოამზადა), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2004, გვ. 391-396.

იცხავს.

პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობაზე მითითებებს ვხვდებით ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც, რომლის მიხედვითაც, კავშირის წევრ სახელმწიფოებში სამართალდარღვევებისთვის დაწესებული სანქციები უნდა იყოს სამართალდარღვევის სიმძიმის პროპორციული[46] და მძიმე სანქციები არ უნდა იქცეს ქვეყანაში თავისუფლად შემოსვლის და ქვეყნის შიგნით ცხოვრებისთვის ხელშემშლელ ფაქტორად.[47] იქ, სადაც არაპროპორციულად მკაცრი სანქციები მოქმედებს, იქმნება არახელსაყრელი გარემო ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ იგი ადამიანებში მოჭარბებული შიშის გრძნობას იწვევს, რაც დემოკრატიული და სამართლებრივი საზოგადოებისთვის შეუფერებელია. არ შეიძლება დანაშაულის პრევენციის იარაღად სახელმწიფომ დაშინების მეთოდებს მიმართოს. დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული სასჯელი არ შეიძლება არაპროპორციული იყოს.

ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, პროპორციულობის პრინციპი განეკუთვნება გაერთიანების სამართლის ზოგად სამართლებრივ პრინციპებს. ამ პრინციპის მიხედვით, ღონისძიებები მხოლოდ მაშინ არის მართლზომიერი, როცა ის შესაბამისი წესით გათვალისწინებული დასაშვები მიზნების მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელია.[48] "პროპორციულობის პრინციპი გამოიყენება როგორც სამართლებრივი აქტების გამოცემის, ასევე მათი აღსრულების დროს. ის გამოყენებულია ევროპის სასამათლოს პრაქტიკაში როგორც ძირითად თავისუფლებაში ჩარევის გამამართლებელი საფუძვლების ფარგლები, ე.წ. საზღვრების საზღვრები".[49] სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროპორციულობა ის ზღვარია, რომლის ფარგლების გადალახვა გამოყენებული საშუალების არაკონსტიტუციურობის საფუძველს წარმოადგენს.

პროპორციული სასჯელის მნიშვნელობაზეა საუბარი ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვით „სასჯელის სიმძიმე დანაშაულის არაპროპორციული არ უნდა იყოს".

---

[46] *Ambos K.*, Internationales Strafrecht, 3. Aufl., München, 2011, S. 490-491; *ტურავა მ.* (რედ.), ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, გვ. 48.

[47] *ჯიშკარიანი ბ.*, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბ., 2013, გვ. 85-86.

[48] *გელაშვილი ნ., ყამარაული ე.*, ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკა, ამონარიდები ევროკავშირის სასამართლოს რჩეული გადაწყვეტილებებიდან, თბ., 2010, გვ. 6.

[49] *გელაშვილი ნ., ყამარაული ე.*, იქვე.

4. სასჯელის პროპორციულობის მოძღვრების ისტორიული წანამძღვრები

იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეული ავტორები მიუთითებენ, რომ პროპორციულობის პრინციპი XIX საუკუნის დასასრულს გერმანელმა მეცნიერებმა განავითარეს, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით ჰპოვა ფართო გავრცელება.[50] თუმცა, ეს მოსაზრება შეიძლება საკამათოდ ჩაითვალოს[51], ვინაიდან ჯერ კიდევ არისტოტელეს შრომებში ვხვდებით პროპორციული სასჯელის მნიშვნელობაზე მითითებებს.

სასჯელის პროპორციულობა და მისი როლი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით, მხედველობიდან არ გამორჩენია ცნობილ ბერძენ ფილოსოფოს *არისტოტელეს*. მისი თვალსაზრისით, ადამიანები უსამართლობას (დანაშაულს) ჩადიან მაშინ, თუ სასჯელი ნაკლები იქნება იმ მოგებაზე, რომელსაც მიიღებენ დამნაშავენი ან ისინი, ვისთვისაც ისინი ზრუნავენ.[52] *არისტოტელეს* მიხედვით, „იქ, სადაც არ არსებობს დანაშაულის შესატყვისი სასჯელის სახე, ყოველგვარი სასჯელი მცირეა, დანაშაულთან შედარებით, რადგან დანაშაული იმდენად დიდია, რომ ზარალის ანაზღაურება შეუძლებელია და არც ხდება. დიდია ის დანაშაულიც, როდესაც დაზარალებულს არ შეუძლია დაკმაყოფილებას მიაღწიოს, რადგან მისთვის მიყენებული ზიანი გამოუსწორებელია. სამართალი და სასჯელი კი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ემსახურება".[53] მაშასადამე, *არისტოტელეს* შეხედულებით, სასჯელის პროპორციულობა განისაზღვრება დანაშაულით გამოწვეული ზიანისა და სასჯელის ურთიერთმიმართებით. თუ სასჯელი არაპროპორციულია, შეუძლებელია დანაშაულით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაც. არაპროპორციული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის ერთ-ერთი მიზნის მიღწევას – დაზარალებულის დაკმაყოფილებას. თუმცა, ამ მიზნის მიღწევა, დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ შეუძლებელია. მაგალითად, მკვლელობის დროს ვერცერთი სასჯელით ვერ ანაზღაურდება დანაშაულით გამოწვეული ზარალი.

სასჯელის პროპორციულობის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებდნენ კლასიკური სკოლის ცნობილი წარმომადგენლები (იტალიელი *ჩეზარე ბეკარია* და ინგლისელი *იერემია ბენთამი*).[54] *ჩ. ბეკარიას* თვალსაზ-

---

[50] *კობახიძე ი.*, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, "სამართლის ჟურნალი", 2013, №1, გვ. 319.

[51] *Bleckmann A.*, Begründung und Anwendungsbereich des Verhältnismäßigkeitsprinzips, Jus 1994, S. 177, Fussn. 5.

[52] *არისტოტელე*, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა თ. კუკავამ, თბ., 1981, გვ. 79-80.

[53] *არისტოტელე*, იქვე, გვ. 88.

[54] *ბრეგვაძე ლ.*, კრიმინოლოგიური თეორია, წიგნში: ღლონტი გ. (რედ.), კრიმინოლოგია, თბ., 2008, გვ. 371.

რისით, „სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის გაწამება, ტანჯვა და უკვე მომხდარი დანაშაულის არარსებულად ქცევა".[55] დანაშაულის აღმოფხვრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და შედეგის მომცემია არა სასჯელის სისასტიკე, არამედ მისი გარდაუვალობა. სასტიკი სასჯელი ხელს არ უწყობს სასჯელის მიზნის მიღწევას, ვინაიდან, რაც უფრო სასტიკია სასჯელი, ადამიანის სული მით უფრო დაუნდობელი ხდება.[56] ადამიანისთვის, როგორც სიკეთე, ისე ბოროტებაც ზღვარდადებულია. სასტიკი სასჯელი თავად წარმოშობს დანაშაულის დაუსჯელობას.[57] *ბეკარია* მიუთითებდა, რომ სასჯელის ბოროტება დანაშაულით მოტანილ გამორჩენას უნდა აჭარბებდეს.[58] სასჯელის ეფექტურობისა და დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, რომ სასჯელით მიყენებული ტკივილი თუ ზიანი აღემატებოდეს იმ უპირატესობას თუ სიამოვნებას, რომელსაც ადამიანი დანაშაულის ჩადენით მიიღებს.[59] რაც უფრო ძლიერია დანაშაულის ჩადენის სტიმული და მნიშვნელოვანია დარღვეული სიკეთე, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს დაბრკოლება (ე.ი. სასჯელი), რომელიც ადამიანს დანაშაულის ჩადენისგან შეაკავებს.[60] აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულსა და სასჯელს შორის თანაფარდობის არსებობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია.[61] *ბეკარიას* დანაშაულის საზომად მიაჩნდა ის ვნება, რომელიც დანაშაულს საზოგადოებისთვის მოაქვს და არა პირის განზრახვა.[62]

ბენთამის მართებული თვალსაზრისით, დანაშაულისგან მისაღები სარგებლობის ღირებულებას უნდა გადასწონიდეს სასჯელის ძალა. თუ ეს ძალა ნაკლებია, დანაშაულის პრევენცია[63] ვერ მოხდება და დამნაშავე დანაშაულს კიდევ ჩაიდენს. ასეთ შემთხვევაში სასჯელი კარგავს თავის მნიშვნელობას.[64] იმისთვის, რომ დამნაშავემ თავი დასჯილად იგრძნოს, აუცილებელია ისეთი სახის და ზომის სასჯელის შეფარდება, რომელიც მას მომავალში დანაშაულის განმეორებით ჩადენის სურვილს დაუკარგავს. თუ საქმე ეხება ეკონომიკური ხასიათის დანაშაულს (ქურდობა, ძარცვა და ა. შ.), ჯარიმის, როგორც სასჯელის სახის, მოცულობა უნდა აღემატებოდეს მართლსაწინააღმდეგო და

---

[55] *ბეკარია ჩ.*, დანაშაულისა და სასჯელისათვის, იტალიურიდან თარგმნა ი. ხუცურაულმა, თბ., 2003, გვ. 69.
[56] იქვე, გვ. 124-125.
[57] იქვე, გვ. 127.
[58] იქვე, გვ. 126.
[59] *ბრეგვაძე ლ.*, კრიმინოლოგიური თეორია, ნიგნში: ღლონტი გ. (რედ.), კრიმინოლოგია, თბ., 2008, გვ. 368.
[60] *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 33.
[61] *ბეკარია ჩ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 47.
[62] *ვაჩეიშვილი ალ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 34.
[63] დანაშაულის პრევენციის ცნებაზე იხ. *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, თბ., 2010, გვ. 282-283.
[64] *ვაჩეიშვილი ალ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

ბრალეული ქმედებით დაუფლებული ნივთის ღირებულებას. შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, რიგ შემთხვევებში, დანაშაულით გამოწვეული ზიანის მოცულობას ითვალისწინებს. მაგალითად, ქურდობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია ქურდობა "დიდი ოდენობით" ან "რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია".

სასჯელის ეფექტურობის მიზეზად არა მის სიმკაცრეს, არამედ მის გარდაუვალობას თვლიდა *შ. ლ. მონტესკიე*. მისი თვალსაზრისით, ყოველი თავაშვებულობის მიზეზი დანაშაულის დაუსჯელობაა[65]. იგი მკაცრი სასჯელების წინააღმდეგ გამოდიოდა და წერდა, რომ ადამიანის წარმოსახვა ისევე ეჩვევა დიდ სასჯელს, როგორც მიჩვეული იყო პატარას და ვინაიდან მცირდება შიში სასჯელის წინაშე, სახელმწიფო იძულებული ხდება გაამკაცროს იგი. სასჯელის გამკაცრება იწვევს დანაშაულის შემცირებას მცირე ხნით, მაგრამ დროის გასვლის შემდეგ ისევ იზრდება იმ დანაშაულთა რიცხვი, რომლის გამოც შემოიღეს მკაცრი სასჯელი[66].

მონტესკიე დიდ ბოროტებად თვლიდა სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულის დასჯას ერთნაირი სიმკაცრით. მისი შეხედულებით, სადაც მძარცველებს და მკვლელებს ერთნაირად სჯიან, ყოველთვის მკვლელობა ხდება[67]. ამ მსჯელობიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ პროპორციული სასჯელის განსაზღვრისთვის აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგაა მიმართული ქმედება. მაგალითად, სიცოცხლის წინააღმდეგ, თუ საკუთრების. თუმცა, მხოლოდ სამართლებრივ სიკეთეზეც არ არის დამოკიდებული სასჯელის თანაზომიერება. ზოგჯერ, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე (მაგალითად აფექტში ჩადენილი მკვლელობა) უფრო მკაცრად ისჯება ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება (მით უფრო, დამამძიმებელ გარემოებაში).

ძველ ქართულ საბუთებშიც ვხვდებით მითითებებს იმაზე, რომ სასჯელი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ხასიათის თანაბარი, თანაზომიერი ანუ პროპორციული უნდა იყოს, რაზეც მეტყველებს აღნიშნულ საბუთებში გამოყენებული სიტყვები: „შემსგავსებულად საქმეთა", „შემსგავსებულად უშჯულოებათა", „ღირსი გუემისა", „ღირსი სიკუდილისა"[68] და ა. შ.

ძველ ქართულ საბუთებში, ერთი მხრივ, მოცემულია მითითებები დანაშაულის თანაზომიერ დასჯაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, დამნაშავის პროპორციული დასჯა ძველი ქართული სამართლით შეუძლებელი იყო, ვინაიდან

---

[65] *მონტესკიე შ.ლ.*, კანონთა გონი, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ, თბ., 1994, გვ. 114.

[66] იქვე, გვ. 113.

[67] იქვე. გვ. 120.

[68] *ვაჩეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I ტომი, თბ., 1946, გვ. 90.

სასჯელის პროპორციულობა მის სამართლიანობასაც გულისხმობს, ხოლო სამართლიანობა თანასწორობის გარეშე არ არსებობს. თანასწორობის დაცვა ძველი ქართული სამართლით შეუძლებელი იყო მისი კლასობრივი ხასიათიდან გამომდინარე, რაც სასჯელის პროპორციულობის უზრუნველყოფასაც შეუძლებელს ხდიდა.

5. პროპორციულობის პრინციპი, როგორც სახელმწიფოებრივი დასჯითი იძულების ზღვარგამყოფი

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც გერმანიის სს კოდექსის 175-ე პარაგრაფით ჰომოსექსუალური კავშირის დასჯადობის კონსტიტუციურობას ეხებოდა, აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის ზოგადი პრინციპებიდან, განსაკუთრებით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, გამომდინარეობს, რომ სასჯელის მუქარა მოქმედი პირის ქმედების სიმძიმის და ბრალის პროპორციული უნდა იყოს. სასჯელი არ შეიძლება დასჯადად გამოცხადებული ქმედების ტიპთან და სიმძიმესთან შეუსაბამო ან მკაცრი იყოს“[69].

აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ პროპორციულობის პრინციპი, როგორც ზოგადი კონსტიტუციური პირობა, კანონმდებლის სამართლებრივ-პოლიტიკურად არასასურველი გადაწყვეტილების კორექტურას მოითხოვს[70]. კანონმდებელი გადაწყვეტილებას არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით იღებს, თუნდაც, ქმედების კრიმინალიზაციასთან ან სასჯელის ზომასთან დაკავშირებით. ამიტომ, რამდენადაც საზოგადოებრივი აუცილებლობა, რომელიც პროპორციულობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია, ცვალებადია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მიხედვით, დროის გასვლის შემდეგ დღის წესრიგში დგება კანონმდებლის ადრინდელი გადაწყვეტილების კორექტირება თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.

არსებული რეალობის, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით არა მხოლოდ კანონმდებელი იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სასამართლოც. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება რომ დროის მიხედვით არის ცვალებადი, ამაზე მიუთითებს ერთ-ერთი საქმე, რომელიც განსახილველად ჰქონდა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული საქმე ეხებოდა აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში მოქმედი ჯაშუშების დასჯას. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ერთ სახ-

[69] *Weigend Th.*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, Berlin. New York, 1999, S. 917.

[70] *Weigend Th.*, დასახ. ნაშრ., გვ. 917-918.

ელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ მათი დასჯა უსამართლოდ, არათანაზომიერად და კონსტიტუციურად დაუშვებლად იქნა მიჩნეული[71].

აღნიშნულ შემთხვევაში დებატები გამოიწვია არა სისხლის სამართლის ნორმის ლეგიტიმურობამ, არამედ განსაზღვრულ პირთა წრის მიმართ მისი შეფარდების დასაშვებობამ. პროპორციულობის პრინციპი ეხება არა მხოლოდ ნორმის სასჯელით აღჭურვას, სასჯელის ზომას, სასჯელის შეფარდებას ბრალის ხარისხის მიხედვით და სასჯელის დასაშვებობას, არამედ ასევე სისხლისსამართლებრივ დევნაზე გადაწყვეტილებასაც[72]. შეიძლება სისხლის სამართლის ნორმა ლეგიტიმური, ხოლო სასჯელის ზომა სამართლიანი იყოს, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა განსაზღვრულ პირთა მიმართ იყოს უსამართლო, მაშასადამე, არაპროპორციული.

მაშინ, როცა სასჯელის შეფარდების დროს არაპროპორციული ჩარევის აკრძალვა ბრალის შესაბამისი სასჯელის მოთხოვნის იდენტურია, სისხლისსამართლებრივი დევნის დროს პროპორციულობის პრინციპის გამოყენება „სხვა პირობებსაც" უნდა ემყარებოდეს[73].

აღმოსავლეთ გერმანიის ჯაშუშებთან მიმართებით გერმანიის გაერთიანების შემდეგ ჯაშუშებისთვის მანამდე შეფარდებული სასჯელის პროპორციულობის შეცვლა და მისი არაპროპორციულობა განაპირობა როგორც ჯაშუშების სახელმწიფოებრივმა კუთვნილებამ, ისე ვითარების შეცვლამ. მაშასადამე, ვითარების შეცვლით შეიძლება სასჯელის პროპორციულობის საკითხი ეჭვქვეშ დადგეს და ის სასჯელი, რაც ადრე პროპორციულად ითვლებოდა კონკრეტულ პირთა მიმართ, ვითარების შეცვლის შემდეგ არაპროპორციულად შეფასდეს. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს სსკ-ის 70-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ვითარების შეცვლის გამო. დასახელებული მუხლის შესაბამისად, „დანაშაულის ჩამდენი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო". მოცემული დებულების მიხედვით, პირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მიუხედავად იმისა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას განაპირობებს არა ქმედების დეკრიმინალიზაცია, არამედ ვითარების შეცვლა. ქმედება ვითარების შეცვლის პირობებშიც რჩება დასჯადად, მაგრამ ვითარების შეცვლის შემდეგ დანაშაულის ჩამდენთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება მიზანშეწონილი ხდება მათი კონკრეტული სახელმწიფოსადმი კუთვნილების გათვალისწინებით. მასასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვას, ამ შემთხვევაში, საფუძვლად

[71] იქვე, გვ. 921-923.
[72] იქვე, გვ. 922.
[73] იქვე, გვ. 922.

უდევს კუმულაციურად ორი პირობის არსებობა: ა) ვითარების შეცვლა და ბ) დამნაშავეთა კონკრეტული სახელმწიფოსადმი კუთვნილება. განხილულ შემთხვევაში მხოლოდ ერთი პირობის არსებობა, კერძოდ, ვითარების შეცვლა, მეორე პირობის გარეშე, ვერ გამოიწვევდა დამნაშავეთა გათავისუფლებას პასუხისმგებლობისგან. მაგალითად, ისინი რომ ყოფილიყვნენ რუსეთის მოქალაქეები და რუსეთის სასარგებლოდ რომ განეხორციელებინათ ჯაშუშობა.

პროპორციულობის პრინციპის ცალკეული ელემენტები როგორც კანონმდებლობის, ისე მისი შეფარდების ეტაპზე ქმნიან სასჯელის, ვითარცა ინდივიდის წინააღმდეგ სახელმწიფოს უმკაცრესი იარაღის კონტროლისთვის დიფერენცირებულ და აქედან გამომდინარე გამოყენებად ინსტრუმენტს[74].

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ სასჯელის სახელმწიფოებრივი იძულების შემოფარგვლისას პროპორციულობის პრინციპის ფუნქცია შემდეგნაირად წარმოაჩინა: კანონმდებლობის დონეზე უნდა გაირკვეს, სისხლის სამართლის ნორმა არის თუ არა აკრძალული ხელყოფისგან სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ვარგისი და საჭირო. ამასთან ერთად სასჯელის უმთავრესი ფუნქციაა დამნაშავის ბრალის კომპენსირება (die Schuld des Täters auszugleichen), ისევე როგორც („ნეგატიური" და „პოზიტიური") გენერალური პრევენციის გზით საზოგადოების შეკავება ხელმყოფი ქმედებებისაგან. სასჯელის მიზნისთვის როგორც მნიშვნელობის მინიჭება, ისე სასჯელის მუქარის ვარგისიანობისა და აუცილებლობის შეფასება განეკუთვნება კანონმდებლის შეზღუდულად კონტროლირებად შეფასების პრეროგატივას. თუმცა, კანონმდებლობის სიბრტყეზე პროპორციულობა ვიწრო გაგებით საერთოდ ასრულებს თუ არა რაიმე როლს და რაში გამოიხატება იგი, საკამათოდ მიიჩნევა და სასამართლოს შიგნითაც იწვევს აზრთა სხვაობას[75].

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლის შეფარდების ეტაპზე ცალკეულ შემთხვევებში გამოსადეგობისა და აუცილებლობის კრიტერიუმები იმდენად დაწვრილებით არ განმარტა, მან ხაზი გაუსვა უფრო მეტად საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა სასჯელის ისეთი მიზნის პოვნა, რომლის მეშვეობითაც დამნაშავის დასჯა საჭირო იქნება. ამ შემთხვევაში ძირითად ამოცანას წარმოადგენს პროპორციულობის მესამე ელემენტის შემოწმება, ე. ი. საკითხი იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა სანქცია „თანაზომიერი". ეს ორ წინაპირობას ეფუძნება: პირველი, სანქციის სიმძიმე მსჯავრდებულის ბრალის ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს, და მეორე, სამართალდამრღვევის ბრალი არ უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დასაცავად გამოსაყენებელი სანქციის არაპროპორციული. ამ ორი პირობის ურთიერთმიმართება ცალსახად არ არის ახსნილი: მათი იდენტურობა სხვადასხვანაირად მტკიცდება, ზოგჯერ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოწმდება და ფასდება[76].

[74] იქვე, გვ. 918.
[75] იქვე, გვ. 923-924.
[76] იქვე, გვ. 924.

პროპორციულობის პრინციპის დაცვისთვის პასუხისმგებელი პირველ რიგში კანონმდებელია: მას არა აქვს უფლება შექმნას ისეთი სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დასაცავად უვარგისია ან საჭირო არ არის. გარდა ამისა, მან საჭირო მოქნილი რეგულაციების შექმნის გზით სამართლის შემფარდებელს უნდა მისცეს შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევაში დაიცვას პროპორციულობა ინდივიდუალურ ჩარევასა და სოციალურ სარგებლიანობას შორის[77]. ასეთი რეგულაციები შეიძლება იყოს როგორც მატერიალურსამართლებრივი, ისე პროცესუალური. მართალია, მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები განსაზღვრავენ დასჯად ქმედებათა წრეს და ითვალისწინებენ სასჯელს, მაგრამ პროცესუალური სამართლითაც შეიძლება შეიქმნას ისეთი რეგულაცია, რაც არაპროპორციული სასჯელის გამოყენებას ხელს უწყობს (საპროცესო შეთანხმება და ა.შ.).

მაშინ, როცა სამართლის შემფარდებლისთვის არ არის ხელმისაწვდომი ისეთი მოქნილი ინსტრუმენტები, რეგულაციები, რომელიც პროპორციულობის პრინციპის განხორციელებას ხელს უწყობს, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გამოსავალი რჩება სამართალშემფარდებელს. ასეთ დროს, გერმანულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, სამართალშემფარდებელმა არათანაზომიერი დასჯის თავიდან ასაცილებლად უნდა იხელმძღვანელოს უშუალოდ კონსტიტუციით[78]. თუნდაც ამიტომ არის მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის მატერიალურ კოდექსში ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც მოსამართლეს განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებლობას აძლევს, დანიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი. თუმცა, საკამათო შეიძლება იყოს საკითხი იმასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული კონკრეტული ქმედებისთვის კანონმდებლის მიერ ისეთი სასჯელის განსაზღვრა, რაც არ იძლევა ქმედების სიმძიმის და ბრალის ხარისხის პროპორციული სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მართებული პოზიციით, პროპორციულობის პრინციპის მასშტაბის შემოწმებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სასჯელის მისჯას, არამედ ამკრძალავი ნორმის აგებულებას და მისი დარღვევის გამო ინდივიდის თავისუფლების სფეროში შეჭრასთან დაკავშირებით სასჯელის მუქარას[79].

პროპორციულობის პრინციპთან შესაბამისობის შემოწმებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ხდება თუ არა კანონმდებლობის და სამართალშეფარდების გაზომვა ერთნაირი სიმკაცრით (ინტენსივობით) და ერთნაირად გამოიყენება თუ არა დასახელებული პრინციპის ელემენტები ორივე ეტაპზე. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს თვალსაზრისით, ვარგისიანო-

[77] იქვე, გვ. 924-925.
[78] იქვე, გვ. 925.
[79] იქვე, გვ. 925.

ბისა და აუცილებლობის ასპექტები (Geeignetheit und Erforderlichkeit) უფრო მეტად კანონმდებლობის ეტაპზეა მნიშვნელოვანი, ხოლო თანაზომიერება (Angemessenheit) სამართალშეფარდების ეტაპზე[80].

აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი და მართებულად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში *თ. ვაიგენდის* მიერ გამოთქმული კრიტიკა, რომ პროპორციულობის ასპექტების შემოწმება როგორც კანონმდებლობის, ისე სამართალშეფარდების ეტაპზე თანაბარი ინტენსივობით უნდა წარიმართოს[81].

რაც შეეხება პროპორციულობის პრინციპის შინაარსს, ვარგისიანობა და აუცილებლობა მოითხოვს მიზნის რაციონალურობის დაცვას განსაზღვრული (ლეგიტიმურ) მიზნით სახელმწიფოს აქტივობასთან დაკავშირებით. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო სისხლის სამართლის და მისი გამოყენების რელევანტურ მიზნად, გაბატონებული შეხედულების[82] შესაბამისად, მიიჩნევს საზოგადოების ცხოვრებისთვის ელემენტარული ღირებულებების დაცვას. სასჯელის მუქარას კანონმდებლის მეშვეობით შეუძლია, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მოსახლეობის მართლშეგნების დაცვას ნორმის სავალდებულოობასთან დაკავშირებით, მეორე მხრივ, იმათ, ვისაც ნორმის უგულებელყოფა სურს, მისცეს ძლიერი მოტივი, კანონსაწინააღმდეგო მისწრაფებათა ჩასახშობად. რამდენადაც აღწერილი ფსიქოლოგიური პროცესი გარკვეულწილად რეალურად მიიჩნევა, სასჯელის მუქარა, რომელსაც გენერალურპრევენციული მიზანი აქვს, წარმოადგენს რაციონალურ საშუალებას სამართლებრივი სიკეთის დასაცავად[83].

თ. ვაიგენდის თვალსაზრისით, იმის გასარკვევად, სასჯელი თუ რა შემთხვევაშია თანაზომიერი, ნაკლები მნიშვნელობა აქვს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენებულ შეპირისპირების პირობას (Abwägungsklausel), ვინაიდან იგი მხოლოდ უზოგადეს კრიტერიუმებს ეყრდნობა. სასჯელის თანაზომიერების უფრო დაწვრილებითი აღწერა იქიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ სასჯელის მისჯა და აღსრულება ცალკეულ შემთხვევაშიც იყოს საჭირო გენერალური პრევენციის მიზნის მისაღწევად. ვინაიდან სასჯელი მისი არსებით და მიზნით მსჯავრდებულთან არის დაკავშირებული, დასჯის შედეგებით სამართალდამრღვევის „ნორმალურ" დატვირთვას არ შეუძლია არათანაზომიერება გამოიწვიოს. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება სხვაგვარად მოხდეს. კერძოდ, როცა დამნაშავის დასჯა კანონმდებლის მიერ წინასწარ ნავარაუდევ „ნორმალურ დაზარალებას" გადაამეტებს[84].

---

[80] იქვე, გვ. 925-926.

[81] იქვე, გვ. 926.

[82] *Jescheck/Weigend.*, Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 2.

[83] *Weigend Th.*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, Berlin. New York, 1999, S. 926.

[84] იქვე, გვ. 929-930.

ამ შემთხვევაში მხედველობაშია სასჯელის მისჯით დამნაშავისთვის მიყენებული ზარალი. სასჯელის მიზანიც ხომ, გარკვეულწილად, დამნაშავისთვის დარტყმის მიყენებაა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს არათანაზომიერი.

სასჯელმა კანონმდებლის მიერ ნავარაუდევ ზომაზე მეტად დამნაშავის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს დამნაშავის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მაგალითად, გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს ავადმყოფობის გამო ცხოვრების მოკლე დრო რჩება. ასეთ დროს განსაზღვრული ზომის სასჯელმა შეიძლება გამოიწვიოს არა ბრალის შესაბამისი დასჯადობის, არამედ პროპორციულობის პრინციპის დარღვევა[85], ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დარღვევის გარეშე. სისხლის სამართალი ითვალისწინებს აღნიშნულ შემთხვევებს. საქართველოს სს კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასჯელისაგან შეიძლება გათავისუფლდეს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებს გერმანიის სს კოდექსის მე-60 პარაგრაფიც.

საქართველოს სს კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია ორსულ ქალს, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე სასჯელის მოხდა გადაუვადოს. მართალია, აქ საქმე ეხება არა სასჯელისაგან გათავისუფლებას, არამედ სასჯელის მოხდის გადავადებას, მაგრამ სასჯელის პროპორციულობა მოწმდება არა მხოლოდ სასჯელის შეფარდების და მისი მოხდის, არამედ აღსრულების კუთხითაც. ამიტომ, სასჯელის აღსრულების დროს პროპორციულობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია 75-ე მუხლის შინაარსი, რომელიც დასახელებული პრინციპის გამოხატულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

როდესაც საუბარია პროპორციულობის პრინციპის შესაბამის დასჯაზე, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა მოსამართლეს უფლება სასჯელისაგან გათავისუფლების დროს იხელმძღვანელოს ისეთი გარემოებებით, რომელიც სისხლის სამართლის კანონით არ არის გათვალისწინებული და უშუალოდ კონსტიტუციით იხელმძღვანელოს. ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს. თუ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამას დაუშვებლად თვლის, *თ. ვაიგენდის* საპირისპირო შეხედულებით[86], საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მისაღებია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები არის უშუალოდ მოქმედი სამართალი, რომლითაც სახელმწიფოა შეზღუდული ხელისუფლების განხორციელებისას. დამნაშავისთვის სასჯელის შეფარდება სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა,

[85] იქვე, გვ. 930.
[86] იქვე, გვ. 930.

ხოლო არაპროპორციული სასჯელის (ჩარევის) აკრძალვა ადამიანის კონსტიტუციური უფლება. აქედან გამომდინარე, დასაშვებად უნდა ჩაითვალოს სასჯელისაგან გათავისუფლების დროს სასამართლოს მიერ ისეთი გარემოების გათვალისწინება, რომელიც სს კოდექსში არ არის მოცემული, მაგრამ პროპორციულობის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარეობს.

კანონიერების პრინციპი მოითხოვს, რომ პირის დასჯა მოხდეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით და არ დაედოს მსჯავრი ვინმეს ისეთი ქმედებისთვის, რომელიც მოქმედი სს კოდექსით არაა გათვალისწინებული, მაგრამ აღნიშნული პრინციპის დარღვევასთან არ გვექნება საქმე, თუ პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება მოხდება ისეთი გარემოების საფუძველზე, რომელიც კოდექსში არ არის სახელდებით მოხსენიებული, მაგრამ გამომდინარეობს უზოგადესი კონსტიტუციური პრინციპიდან, რომელიც ნორმატიული ხასიათისაა და არ გააჩნია ფაქტობრივი შემადგენლობა.

პროპორციულ დასჯასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ რა გზით შეიძლება მსჯავრდებულის დასჯის დროს პროპორციულობის პრინციპის დარღვევის საფრთხის თავიდან აცილება. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მიზანი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას მიღწეული: როგორც მატერიალური სისხლის სამართლებრივი რეგულაციების მეშვეობით, ისე იმ შესაძლებლობებით, რომელსაც საპროცესო სამართალი იძლევა. არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია იმას, თუ როგორ, რომელი სამართლებრივი ინსტრუმენტებით მიიღწევა დამნაშავის პროპორციული დასჯა. მატერიალურსამართლებრივი რეგულაციებიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი. რაც შეეხება საპროცესო სამართლებრივ შესაძლებლობას: თუ მოსამართლემ მსჯავრდებულს არაპროპორციული სასჯელი შეუფარდა, პროკურორს და დამცველს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში. ზემდგომ ინსტანციაში სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესუალურ-სამართლებრივი შესაძლებლობა სწორედ იმ იდეას ემსახურება, რომ თავიდან იქნეს აცილებული დამნაშავის უსამართლოდ, არაპროპორციულად დასჯა.

პირველი ინსტანციის სასამართლო მსჯავრდებულს, არც თუ იშვიათად, არაპროპორციულად მკაცრ სასჯელს უფარდებს, მაგრამ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში შესაძლებელი ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული ხარვეზის გასწორება. ამ მხრივ აღსანიშნავია ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განაჩენი, რომელმაც სს კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის განხორციელებისთვის მსჯავრდებულს თორმეტი (12) წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა ისე, რომ სახეზე არ იყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი რაიმე გარემოება. უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულისთვის შეფარდებული

სასჯელი მეტისმეტად მკაცრად მიიჩნია და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა 3 წლით შეამცირა, რის შედეგადაც მსჯავრდებულს სასჯელად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა[87].

სისხლის სამართლის სფეროში პროპორციულობის პრინციპის სისტემური გამოყენების შედეგებზე, შეიძლება შემდეგი აღინიშნოს:

სასჯელის პროპორციულობასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის დონეზე, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დაისვას კითხვა, სასჯელის მუქარა განსაზღვრული ქმედებისთვის არის თუ არა ვარგისი საშუალება სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, წარმოდგენილი საკითხი მიზანთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ რომელი მიზნიდან ამოდის სახელმწიფო ინდივიდუალურ უფლებაში ჩარევის დროს, წარმოადგენს არა სისხლისსამართლებრივ, არამედ კონსტიტუციურსამართლებრივ პრობლემას. ხოლო, დასახული მიზნის მისაღწევად სასჯელის მუქარის ვარგისიანობა დამოკიდებულია შესაბამის ნორმაზე, ვინაიდან დაცვითი ეფექტი „ნორმის სტაბილურობისა“ და დაშინების მექანიზმით მოსალოდნელია, საიდანაც გამომდინარეობს პენალიზაციის გენერალურპრევენციული ზეგავლენა[88].

აუცილებლობის კრიტერიუმი კანონმდებლისგან მოითხოვს უპირველეს ყოვლისა იმის დადგენას, სასურველი მიზნის მისაღწევად სისხლის სამართალი არის თუ არა საჭირო ან სამართლებრივი ჩარევის ნაკლები ეფექტი (მაგალითად, საგადასახადო სამართალი, ზიანის ანაზღაურების სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი) ან ასევე არასამართლებრივი (მაგალითად, მედიაცია) საშუალებებიც ხომ არ იძლევა იგივე მიზნის მიღწევის შესაძლებლობას[89]. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის შეფასება, რამდენად არის აუცილებელი ზოგიერთი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება და ხომ არ უნდა მოხდეს ცალკეული ქმედების გამოცხადება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. მაგალითად, პროსტიტუციისათვის ადგილის დათმობა საქართველოს მოქმედი სს კოდექსით დასჯადი ქმედებაა (254-ე მუხ.), მაშინ როცა პროსტიტუცია არ ისჯება სს კოდექსით და იწვევს ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[3]-ე მუხლით. ეს კი აჩენს კითხვას 254-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები შეიძლება დაისვას სს კოდექსის 239-ე (ხულიგნობა) და

[87] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2013, №1-6, გვ. 26-27.

[88] *Weigend Th.*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, Berlin. New York, 1999, S. 932.

[89] *Weigend Th.*, დასახ. ნაშრ., გვ. 933.

219-ე (მომხმარებლის მოტყუება) მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა მიმართაც. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადია წვრილმანი ხულიგნობა (166-ე მუხ.) და მომხმარებელთა უფლებების შელახვა (158[1]-ე მუხ.). მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ხულიგნობა წვრილმანი ხულიგნობისგან განსხვავდება, ამ ორი სამართალდარღვევის განმასხვავებელი ნიშანი შეიძლებოდა ყოფილიყო ადმინისტრაციული გადაცდომის დამამძიმებელი გარემოება. რაც შეეხება მომხმარებლის მოტყუებას, თითქმის რთულია მყარი კრიტერიუმის პოვნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება მისი გამიჯვნა მომხმარებლის უფლების შელახვისაგან.

სისხლისსამართლებრივ ნორმათა ლეგიტიმურობის საკითხი ამით არ ამოიწურება. საეჭვოა სს კოდექსში 259-ე მუხლის არსებობის ლეგიტიმურობაც, ვინაიდან სს კოდექსის მითითებული მუხლის გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლითაც ისჯება ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა. განსხვავება ამ ორ ნორმას შორის ის არის, რომ ეს უკანასკნელი მუხლი უფრო ფართო შემადგენლობას მოიცავს და დასჯადად აცხადებს აგრეთვე ფრინველისადმი სასტიკ მოპყრობასაც.

პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, როგორც უკვე ითქვა, მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუტების დანერგვა, რომელიც სასჯელის გარეშე სასჯელის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა განრიდების და მედიაციის ინსტიტუტი[90], რომელიც დიდი ხანი არაა რაც საქართველოში დაინერგა და არც ისე წარუმატებელიც აღმოჩნდა.

6. სასჯელის მიზანი, როგორც სასჯელის პროპორციულობის ორიენტირი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასჯელის პროპორციულობის დასადგენად მნიშვნელოვანია სასჯელის მიზნების გათვალისწინება, ვინაიდან შესაფარდებელი სასჯელი ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით, უნდა იყოს ვარგისი სასჯელის მიზნების მისაღწევად. „სასჯელის მიზნები თავისებური ორიენტირია სასამართლოსათვის სასჯელის დანიშვნისას".[91] სასჯელის მიზნები არა მხოლოდ მოსამართლეს, არამედ კანონმდებელსაც ზღუდავს და ავალდებულებს, რომ არ დაადგინოს ისეთი სასჯელი, რომელიც შეუსაბამოა და

[90] აღნიშნულ ინსტიტუტზე იხ. *შალიკაშვილი მ.*, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013; *დვალიძე ი.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 166-172.

[91] *ტყეშელიაძე გ.*, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, წიგნში: სერგო ჯორბენაძე-70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 405.

არათანაზომიერია სასჯელის მიზნებთან[92].

საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლში სასჯელის შემდეგი მიზნებია ჩამოთვლილი: 1) სამართლიანობის აღდგენა; 2) ახალი დანაშაულის თავიდან აცილება; 3) დამნაშავის რესოციალიზაცია. თუ სასჯელი უზრუნველყოფს ამ მიზნების მიღწევას, იგი დანაშაულის პროპორციულად შეიძლება მივიჩნიოთ.

სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს დანაშაულის ჩამდენისთვის ისეთი სასჯელის შეფარდებას, რომელიც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რასაც სასჯელი ისახავს. სასჯელის მიზნების მიღწევის საშუალება მხოლოდ პროპორციული სასჯელია.

როდესაც სასჯელის პროპორციულობაზეა საუბარი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: ჩადენილი დანაშაულის პროპორციული არის თუ არა სასჯელის ის სახე და ზომა, რომელიც დამნაშავეს შეეფარდება. ე. ი. გასათვალისწინებელია დანაშაულის სიმძიმე და ამის საფუძველზე უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული: რა სახის და რა ზომის სასჯელი შეეფარდოს დამნაშავეს. დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინება პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად აუცილებელია, მაგრამ ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები სხვა ფაქტორებიც, რაც დანაშაულის პრევენციისთვის აუცილებელია.

სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით დღემდე არაერთი თეორია ჩამოყალიბდა, რომლებიც განსხვავებულად განსაზღვრავენ სასჯელის მიზანს. მიუხედავად სასჯელის მიზანთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვაობისა, სასჯელის შეფარდებაზე ჩამოყალიბებული ყველა თეორიის მიხედვით, ამოსავალი წერტილი, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებისას, არის დამნაშავის ბრალი.

იმისთვის, რომ სასჯელის მიზანი განხორციელდეს და სასჯელის პროპორციულობა დაცული იყოს, ბრალის და მისი ხარისხის გარდა, მოსამართლემ, სასჯელის შეფარდებისას, ცალკეულ შემთხვევებში, უნდა გაითვალისწინოს განხორციელებული სისხლისსამართლებრივი უმართლობის ტიპი და ხარისხიც. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევას, როცა განხორციელებულია ალტერნატიული შემადგენლობა.

სასჯელის შეფარდებისას, უმართლობის და ბრალის გარდა, მოსამართლემ დამნაშავის პიროვნება, მასთან დაკავშირებული გარემოებები და მისი წარსული ცხოვრებაც უნდა მიიღოს სათვალავში. დამნაშავის პროვნება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ქმედების კვალიფიკაციისას, ვინაიდან სისხლის სამართალი, უპირატესად, ქმედების სამართალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ კარგავს თავის მნიშვნელობას.

დამნაშავის დასჯის საფუძველი არ შეიძლება მისი პიროვნება იყოს, მაგრამ

---

[92] *ლეკვეიშვილი მ.*, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, "მართლმსაჯულება და კანონი", 2014, №4, გვ. 19.

დამნაშავის პიროვნებას მოსამართლე სასჯელის შეფარდების დროს ითვალისწინებს იმიტომ, რომ კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სხვადასხვა სახის სასჯელიდან სასჯელის ის სახე შეარჩიოს, რომელიც უფრო ეფექტური იქნება დანაშაულის განმეორების თავიდან აცილების თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია უზენაესი სასამართლოს პოზიცია, როცა ერთ-ერთ საქმეზე თავის გადაწყვეტილებაში ასაბუთებს, რომ სასჯელი მსჯავრდებულის პიროვნებას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ხასიათს შეესაბამება. სასამართლო სათვალავში იღებს აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ მსჯავრდებული არ არის ნასამართლევი და აღიარებს ჩადენილ დანაშაულს[93].

რამდენადაც სასჯელის მიზანი სასჯელის პროპორციულობის ორიენტირია, სწორად უნდა ჩაითვალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ განაჩენში აღნიშნულზე ხაზგასმა და იმის მითითება, რომ "სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის მიზნის მისაღწევად"[94].

სასჯელის ერთ-ერთ მიზანი, როგორც ცნობილია, დანაშაულის პრევენციაა. ერთმანეთისგან განასხვავებენ ზოგად და კერძო პრევენციას, მაგრამ სასჯელი ამ მიზანს სხვადასხვა გზით აღწევს. ზოგადი პრევენცია მიიღწევა სს კოდექსში კონკრეტული ქმედებისთვის შესაბამისი სახის და ზომის სასჯელის დაწესებით, ხოლო კერძო პრევენცია მსჯავრდებულისთვის პროპორციული სასჯელის შეფარდებით. ამიტომ, არასწორია, როცა მოსამართლე მსჯავრდებულისთვის კონკრეტული სასჯელის შეფარდების მიზანშეწონილობას კერძო პრევენციასთან ერთად ზოგადი პრევენციითაც ასაბუთებს[95]. დაუშვებელი და გაუმართლებელია მსჯავრდებულისთვის სასჯელის სახის და ზომის შერჩევა იმისთვის, რომ ამან ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების სხვა წევრებზეც. ზოგადად, დაუსჯელობის სინდრომი ზემოქმედებს საზოგადოებაზე და დანაშაულის ჩადენის ბიძგს აძლევს, ამდენად კონკრეტული მსჯავრდებულის დასჯას ან დაუსჯელობას ზოგადი პრევენციის თვალსაზრისითაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულისთვის კონკრეტული სახის და ზომის სასჯელის შეფარდების მიზანშეწონილობაც გენერალური პრევენციით უნდა დასაბუთდეს. ამ შემთხვევაში წინა პლანზე კერძო პრევენცია იწევს. თუ სასჯელის შეფარდების დროს პირველადი კერძო პრევენციაა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულებრივი ქმედებისთვის შესაბამისი სასჯელის დაწესებისას, პირიქით, არა მხოლოდ პირველადი, არამედ არსებითი სწორედ გენერალური პრევენციაა, ვინაიდან კანონი, ზოგადად, აბსტრაქტულად ყველა პოტენციური დამნაშავისკენაა მიმართული. აქედან წარმოსდგება ტერმინი „გენერალური პრევენციაც".

[93] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2014, №7-12, გვ. 11.
[94] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/5630-14.
[95] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის განაჩენი, საქმე №1/4074-14.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად შენიშნავს, რომ არ შეიძლება სახელმწიფომ პირი დასაჯოს მხოლოდ სხვათა „დაშინების" მიზნით, იმისთვის, რომ მოხდეს სხვათა გაფრთხილება და ამ გზით სხვათა მიერ დანაშაულის ჩადენის რისკების შემცირება. ზოგადი პრევენცია ვერ იქნება თვითკმარი კონკრეტული პირის მიმართ სასჯელის გამოყენებისთვის. ვინაიდან ასეთ ვითარებაში ადამიანი სახელმწიფოს ხელში „დაშინების იარაღად" ანუ საშუალებად იქცევა[96]. სასჯელის შეფარდება მხოლოდ საზოგადოების დამოკიდებულებაზე ზემოქმედებისთვის, სასჯელს თავისთავად უხეშად არაპროპორციულად აქცევს[97].

მართალია, სს კოდექსი აბსტრაქტულად საზოგადოების ყველა წევრისკენ არის მიმართული და კონკრეტული დანაშაულისთვის დაწესებულ სასჯელს ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სს კოდექსი მხოლოდ ზოგად პრევენციაზე იყოს ორიენტირებული. იგი უნდა შეიცავდეს იმგვარ დებულებებს და ისე განსაზღვრავდეს სასჯელის სახეს და ზომას, რომ მოსამართლეს ჰქონდეს კერძო პრევენციის თვალსაზრისით გამართლებული სასჯელის შეფარდების საშუალება.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავის თანაზომიერი დასჯა გენერალური პრევენციის თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი, მოსამართლემ განაჩენში სასჯელის სამართლიანობის დასაბუთებისას შეფარდებული სასჯელის გენერალურპრევენციულ მიზანშეწონილობაზე არ უნდა გაუსვას ხაზი. იგი კერძო პრევენციული მიზანშეწონილობიდან უნდა ამოვიდეს და ამ გზით შესაძლებელი გახდება გენერალური პრევენციის მიზნის მიღწევა ისე, რომ მსჯარდებული არ იქცეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად.

7. სასჯელის საზღვრები და მისი მნიშვნელობა სასჯელის პროპორციულობისთვის

7.1. სასჯელის საკანონმდებლო საზღვრების მნიშვნელობა

პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად სასჯელის საკანონმდებლო საზღვრების მნიშვნელობა დიდია, ვინაიდან სასჯელის შეფარდებისას მოსამართლე სასჯელის საკანონმდებლო საზღვრებიდან ამოდის. სასჯელის საკანონმდებლო საზღვრები ის ფუნდამენტია, რომელზეც კონკრეტული სასჯელის ზომა აიგება (განისაზღვრება)[98]. სასჯელის საკანონმდებლო ფარგლების მნიშ-

[96] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 52-ე პუნქტი.
[97] იქვე, 53-ე პუნქტი.
[98] *Zipf/Dölling*, in: Maurach/Gössel/Zipf, Strafrecht, AT, Teilband 2, 8. Aufl., Heidelberg, 2014, S. 762,

ვნელობა დიდია მით უფრო იმ შემთხვევებში, როცა სანქცია აბსოლუტურად განსაზღვრულია[99], ვინაიდან ასეთ დროს სასჯელის ფარგლები არ იძლევა სასჯელის შეფარდების დროს სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინების შესაძლებლობას, რომლებიც, როგორც წესი, სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება. შეიძლება ითქვას კიდეც, რომ აბსოლუტურად განსაზღვრული როდესაც არის სასჯელი, სასჯელის შეფარდება ფაქტობრივად არც ხდება. უფრო სწორედ, კანონმდებელი გვევლინება სასჯელის შემფარდებლის როლში და მოსამართლის ფუნქცია ამ თვალსაზრისით მინიმალურია, მას მხოლოდ ქმედების კვალიფიკაცია და იმის გარკვევა უწევს, იმსახურებს თუ არა ქმედების განმახორციელებელი სასჯელს. აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის პირობებში მოსამართლე ვერ იმსჯელებს იმაზე, დამნაშავეს რა ზომის სასჯელი შეუფარდოს, რამეთუ ეს კანონმდებელმა თავად გადაწყვიტა.

სასჯელის საკანონმდებლო ფარგლებში მოსამართლემ დამნაშავეს სპეციალური და გენერალური პრევენციის გათვალისწინებით ბრალის შესაბამისი სასჯელი უნდა დაუნიშნოს. გარდა ამისა, სასჯელის საკანონმდებლო საზღვრებით მოსამართლისთვის წინასწარ არის მოცემული სასჯელის დიფერენციაცია უმართლობის და ბრალის ნაკლები ან მეტი შესაძლო მოცულობის მიხედვით[100].

სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს: ის ზოგადი წესები, რომლებიც სასჯელის სახეებთან დაკაშირებით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული, სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები (სსკ-ის 53-ე მუხ.) და სასჯელის ფარგლების შეცვლის მიზეზები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იგულისხმება ის მიზეზები, რომელიც მოსამართლეს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის უფლებას აძლევს.

7.2. კვალიფიციური და პრივილეგიური ქმედების შემადგენლობები

როგორც ცნობილია, ქმედების შემადგენლობის სამი სახე არსებობს: ძირითადი, კვალიფიციური და პრივილეგიური. სასჯელის საკანონმდებლო ფარგლები ქმედების შემადგენლობის სამივე სახის განხორციელებისთვის განსხვავებულია. ქმედების ძირითად, კვალიფიციურ და პრივილეგიურ შემადგენლობათა განხორციელებისთვის გათვალისწინებულ სასჯელებს შორის სხვაობა დელიქტების ბუნებაზეა დამოკიდებული. შეუძლებელია კანონმდებელმა დელიქტების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე ნებისმიერი

§62 Rn. 60.

[99] *Theune W.*, in: Leipziger Kommentar StGB, 12. Aufl., Berlin, 2006, 1054, §46 Rn. 7.

[100] *Theune W.*, in: Leipziger Kommentar StGB, 12. Aufl., Berlin, 2006, 1054, §46 Rn. 7.

დანაშაულის მაკვალიფიცირებელი, თუ მაპრივილეგირებელი შემადგენლობის განხორციელებისთვის სასჯელის შემცირების ან გაზრდის ერთნაირი მათემატიკური სისტემის ფორმულა შეიმუშავოს.

სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლეს მოეთხოვება იმის გარკვევა, თუ რომელი შემადგენლობაა განხორციელებული. შესაბამის ქმედების შემადგენლობაშია აღწერილი ის წინაპირობები, რომელიც საჭიროა იმის დასადგენად, ქმედების კვალიფიციურ შემადგენლობასთან გვაქვს საქმე, თუ პრივილეგიურთან.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, *მაკვალიფიცირებელი და მაპრივილეგირებელი გარემოებები ქმედების შემადგენლობის ნიშნებია*[101] და არა ბრალის. თუმცა, გაბატონებული შეხედულების შესაბამისად, ზოგიერთი სუბიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი ნიშანი ბრალის ნიშანია. მაგალითად, მოტივი.

ო. გამყრელიძის თვალსაზრისით, სუბიექტური ნიშნებიდან სისხლისსამართლებრივ უმართლობას მხოლოდ მიზანი აფუძნებს,[102] ხოლო მოტივი ბრალის ნიშანია[103] და მას არ შეუძლია უმართლობის დაფუძნება. მაშინ, როცა მიზანს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს უმართლობაზე, მოტივს არ შეიძლება ასეთი მნიშვნელობა მივანიჭოთ.[104] თუ განზრახ დელიქტებში მიზანი უმართლობის ნიშანია და იგი ამის შემდეგ საფეხურზეც ფასდება ბრალის დადგენისას, მოტივი მხოლოდ ბრალის ხარისხზე ახდენს ზეგავლენას.[105]

მოტივზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე, ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამენ სხვა ქართველი მეცნიერებიც, რომლებიც თვლიან, რომ ანგარების მოტივით მკვლელობისას გაზრდილია არა უმართლობის, არამედ ბრალის ხარისხი[106].

იმის გარკვევა, კვალიფიციური შემადგენლობის სუბიექტური ნიშანი – მოტივი, უმართლობის ნიშანია თუ ბრალის, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ბრალის ნიშანი პერსონალურია და იგი სხვა ადამიანს, მაგალითად, და-

[101] *Theune W.*, in: Leipziger Kommentar StGB, 12. Aufl., Berlin, 2006, 1054, §46 Rn. 10.

[102] *გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 176.

[103] *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 346.

[104] *გამყრელიძე ო.*, უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის, „მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, №2, გვ. 85.

[105] *გამყრელიძე ო.*, იქვე, გვ. 87.

[106] *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 340; *ნაჭყებია გ.*, წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.*, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 232; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 92; *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 79; *თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრაქტიკული საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015, გვ. 69.

ნაშაულში თანამონაწილეს არ შეიძლება შეერაცხოს თუ ის იგივე მოტივით არ მოქმედებს.

მართებულად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ქმედების პრივილეგიურ და კვალიფიციურ შემადგენლობაში მხოლოდ უმართლობის ხარისხის განმსაზღვრელი ნიშნები უნდა შედიოდეს და არა ბრალის. შეიძლება მოტივმა და მიზანმა არა მხოლოდ დააფუძნოს უმართლობა, არამედ მისი ხარისხიც განსაზღვროს. მაგრამ, ქართული სსკ-ის მოქმედი რედაქციის ზოგიერთ პრივილეგიურ თუ კვალიფიციურ შემადგენლობაში მოცემულია ისეთი ნიშანიც, რომელიც ვერ ჩაითვლება უმართლობის დამაფუძნებელ ან მისი ხარისხის განმსაზღვრელ ნიშნად. მაგალითად, აფექტში ჩადენილი მკვლელობა და დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. თუმცა, საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია ასეთ შემადგენლობათა არსებობა? კანონმდებელმა ქმედების შემადგენლობა არა ბრალის, არამედ უმართლობის ნიშნების მიხედვით უნდა ჩამოაყალიბოს.

არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება როგორც მაკვალიფიცირებელ, ისე მაპრივილეგირებელ გარემოებას შეიცავდეს. ასეთ დროს, მაპრივილეგირებელი გარემოება შთანთქავს მაკვალიფიცირებელს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ აფექტში წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება მხოლოდ შემამსუბუქებელი გარემოების მიხედვით დაკვალიფიცირდება, მაგრამ მოსამართლემ დამამძიმებელი გარემოება შეიძლება მხედველობაში მიიღოს სასჯელის შეფარდებისას. მაშასადამე, დამამძიმებელი გარემოება სრულად როდი კარგავს მნიშვნელობას.

7.3. სასჯელის ფარგლების შეცვლის საფუძვლები სასჯელის შეფარდების პროცესში

სასჯელის შეფარდების პროცესში სასჯელის ფარგლების შეცვლის სხვადასხვა საფუძველი არსებობს, რომელთაგან ზოგიერთი სასჯელის ფარგლების შემსუბუქებას, ხოლო ზოგი, პირიქით, გაზრდას ინვევს. აქედან გარემოებათა ერთი ნაწილი იმპერატიული ხასიათისა, ხოლო მეორე არაიმპერატიული.

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ნორმა, რომელიც მოსამართლეს იმპერატიულად ავალდებულებს სასჯელის საკანონმდებლო ფარგლების შემცირებას. კერძოდ, 54-ე მუხლის თანახმად, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს, თუ დანაშაულის

ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი. 54-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებაა, რომელიც კანონშია აღწერილი და თანაც გასათვალისწინებლად სავალდებულო ძალა აქვს. მოსამართლე ვალდებულია აღნიშნულ შემამსუბუქებელ გარემოებას ანგარიში გაუწიოს. როგორც წესი, შემამსუბუქებელი გარემოება დამამძიმებელ გარემოებას შთანთქავს, მაგრამ 54-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმე განსხვავებულადაა. იმისთვის, რომ 54-ე მუხლით გათვალისწინებულმა გარემოებამ სასჯელის შემცირება გამოიწვიოს, აუცილებელია, რომ პარალელურად არ არსებობდეს დამამძიმებელი გარემოება. წინააღმდეგ შემთხვევაში, 54-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის შემსუბუქება ვერ მოხდება. თუმცა, აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა სსკ-ის კერძო ნაწილში მოცემულ ქმედების პრივილეგიური შემადგენლობის ნიშანს, არამედ ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებას, რომელიც ქმედების (პრივილეგირებული) შემადგენლობის ნიშნად ვერ ჩაითვლება.

საქართველოს სსკ-ის ძველი რედაქცია სასჯელის საკანონმდებლო ფარგლების სავალდებულო შემცირებას ითვალისწინებდა დანაშაულის მცდელობის ან მომზადების შემთხვევაში. მოსამართლე ვალდებული იყო დამთავრებული დანაშაულისთვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი დაენიშნა. მაგრამ, თუ დანაშაულის მომზადება ან მცდელობა განხორციელდა, კოდექსის დღეს მოქმედი რედაქცია მოსამართლეს პირდაპირ არ ავალდებულებს, რომ სასჯელის საკანონმდებლო საზღვრები შეამციროს (შეადარეთ 56-ე მუხლის ძველი და ახალი რედაქცია). 56-ე მუხლი დამნაშავის სასარგებლოდ მოსამართლისთვის მხოლოდ ერთ შეზღუდვას აწესებს: ვინც დანაშაულის მცდელობას ან მომზადებას განახორციელებს, არ შეიძლება უვადოდ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს.

სსკ-ის 55-ე მუხლი მოსამართლეს აძლევს უფლებას დანიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული ნორმა არ არის იმპერატიული ხასიათის, ვინაიდან 55-ე მუხლში საუბარია სასამართლოს მიერ სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობაზე და არა აუცილებლობაზე.

სასჯელის ფარგლების შემცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შეზღუდული შერაცხადობა. სსკ-ის 35-ე მუხლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს. მართალია, 35-ე მუხლში პირდაპირ, მკაფიოდ

არ არის მითითებული, რომ შეზღუდული შერაცხადობის გამო სრულწლოვან დამნაშავეს სასჯელი უნდა შეუმცირდეს, მაგრამ ნორმის შინაარსიდან ეს დასკვნა გამომდინარეობს. ამას უნდა ნიშნავდეს იმაზე მითითება, რომ მოსამართლე შეზღუდულ შერაცხადობას სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს. მას რომ არ ჰქონდეს სასჯელის ფარგლებზე არანაირი გავლენა, მისი გათვალისწინებაც მნიშვნელობას დაკარგავდა.

ქართულისგან განსხვავებით, გერმანული სსკ ითვალისწინებს სასჯელის ფარგლების შემზღუდავ ისეთ სავალდებულო ხასიათის გარემოებებს, როგორიცაა: დახმარება (27-ე პარ., მე-2 პ.), თანამონაწილეობა განსაკუთრებული პიროვნული ნიშნების გარეშე (28-ე პარ., 1-ლი პ.), თანამონაწილეობის მცდელობა (30-ე პარ., 1-ლი ნაწილის მე-2 პ.) და საპატიო უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომა, რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა (35-ე პარ., მე-2 პ.). გერმანულისგან განსხვავებით, ქართულ სსკ-ში არცერთ მუხლში არ არის მითითებული, რომ თანამონაწილე მსუბუქად დაისჯება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმის შესაძლებლობას, რომ თანამონაწილეს სასჯელი შეუმსუბუქდეს.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ისეთ გარემოებებსაც ითვალისწინებს, რომლის საფუძველზეც მოსამართლემ სასჯელის შეფარდების დროს სასჯელის ფარგლები უნდა გაზარდოს. მაგალითად, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-31 ნაწილის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისათვის. სსკ-ის კერძო ნაწილში გვხვდება ისეთი შემადგენლობებიც, სადაც ზოგიერთი დასახელებული ნიშანი ქმედების ან ძირითად ან მაკვალიფიცირებელ ნიშნადაა მოცემული. 109-ე მუხლით ისჯება მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; 142-ე მუხლითადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა; 1421-ე მუხლით რასობრივი დისკრიმინაცია. ასეთ შემთხვევაში, ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე, 53-ე მუხლის მე-31 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების სასჯელის შეფარდების დროს ხელმეორედ გათვალისწინება დაუშვებელია, ვინაიდან აღნიშნული გარემოება ქმედების (ძირითადი ან კვალიფიციური) შემადგენლობის ნიშანია.

ქართული სსკ-ი ითვალისწინებს კიდევ ერთ გარემოებას, რომლის მიხედვითაც სასჯელის ფარგლები უნდა გაიზარდოს სასჯელის შეფარდების დროს. 58-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუ-

ფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. აღნიშნული დებულება მოსამართლეს იმპერატიულ მოთხოვნას უყენებს სასჯელის გაზრდასთან დაკავშირებით, თუ სახეზეა დანაშაულის რეციდივი. მაგრამ, სსკ-ის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილი ასეთ იმპერატიულ მოთხოვნას არ იცნობს, იგი მითითებული გარემოების მიხედვით მოსამართლეს სასჯელის გაზრდის მხოლოდ შესაძლებლობას ანიჭებს. გამოდის, რომ 58-ე და მე-17 მუხლები სასჯელის გაზრდასთან დაკავშირებით ერთგვარ შეუსაბამობაშია.

7.4. სასჯელის საკანონმდებლო ფარგლების ორიენტირები

საკამათოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სასჯელის საკანონმდებლო საზღვრების დადგენა და რა კრიტერიუმები უდევს მას საფუძვლად, უმართლობის სიმძიმის გარდა, რაიმე როლს ასრულებს თუ არა ბრალი და მისი მოცულობა.

ტ. ჰიორნლეს თვალსაზრისით, პროპორციული სასჯელის შეფარდება სირთულეს აწყდება იმის გამო, რომ კანონმდებელს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებში წინასწარ აქვს გადაწყვეტილება მიღებული. რელატიური პროპორციულობის პრინციპი (Das Prinzip der relativen Proportionalität), პირველ ყოვლისა, გულისხმობს ქმედებათა შედარებას მათი სიმძიმის მიხედვით, იმისთვის რომ განისაზღვროს სასჯელის ზომა მის ფარგლებში. ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდება კი მოითხოვს, რომ სხვადასხვა ნორმის გამოყენებისას შერჩეული სასჯელის ზომა ქმედების სიმძიმეს ასახავდეს და მის ანარეკლს წარმოადგენდეს.

ჰიორნლეს შეხედულებით, ეს არ იქნებოდა პრობლემა, სასჯელის საკანონმდებლო ფარგლები უმართლობის მიხედვით რომ განისაზღვრებოდეს. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში პროპორციულობისთვის საკმარისი იქნებოდა შეფასება სასჯელის ფარგლებში, რაც ავტომატურად იქნებოდა შეფასება სხვა დელიქტებთან შეფარდებით.

ჰიორნლე მოძველებულად მიიჩნევს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, სასჯელის საკანონმდებლო საზღვრები მხოლოდ უმართლობას და მის შეფასებას ეფუძნება. მისი თვალსაზრისით, სასჯელის საკანონმდებლო საზღვრები არა მხოლოდ უმართლობის შეფასებაზე, არამედ პრევენციაზე ორიენტირებულ თვალთახედვებს უნდა ეფუძნებოდეს[107]. მაშასადამე, *ჰიორნლეს* აღნიშნული თვალსაზრისით, კანონმდებელმა არა მხოლოდ ის გარემოებები უნდა გაითვალისწინოს, რაც უმართლობას განსაზღვრავს, არამედ სხვა ფაქ-

[107] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 184-185.

ტორებითაც, რომელიც უმართლობისთვის არ არის რელევანტური, მაგრამ მნიშვნელოვანია პრევენციის კუთხით.

ჰიორნლესგან განსხვავებით, სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ძირითადად, მიიჩნევენ, რომ სასჯელის ზომა განისაზღვრება შესაბამისი დელიქტით გათვალისწინებული ქმედების აბსტრაქტული უმართლობით.

ჰ. ციპფი აღნიშნავს, რომ სასჯელის შეფარდების პროცესი გულისხმობს სამუშაოს და ფუნქციების გადანაწილებას კანონმდებელსა და მოსამართლეს შორის. კერძოდ, კანონმდებელი ახდენს გენერალურ შეფასებას (უმართლობის ტიპიზირება), ხოლო მოსამართლე კონკრეტული ქმედების ბრალეულობას აფასებს. ბრალისმიერი შეფასებიდან (aus dem Wesen der Schuldwertung) გამომდინარეობს, რომ მოსამართლის მიერ გაანგარიშებულ ბრალის ფარგლებს არ გააჩნია ისეთი მყარი საზღვრები როგორც თვით სასჯელს, ვინაიდან ბრალისმიერი შეფასება დამოკიდებულია სახელმწიფოს საზოგადოების სამართლებრივ რწმენაზე, რომელიც ცვალებადია და არ არის მუდმივი[108]. ბრალის ფარგლები განისაზღვრება როგორც სასჯელის ფარგლების სფერო, სადაც სასჯელის ბრალთან შესაბამისობაზე ეჭვი გამორიცხულია[109].

ციპფის მიხედვით, ბრალისმიერი პრინციპი სასჯელის შეფარდების პროცესში თავისუფლად არ ხორციელდება, არამედ მოსამართლისთვის წინასწარ განსაზღვრული სასჯელის ფარგლებში. მოსამართლის მიერ "თავისუფალი" ბრალისმიერი შეფასება იქნებოდა როგორც მოსამართლის სამართლებრივი გრძნობის ან საზოგადოების სამართლებრივი რწმენის მასშტაბი, რაც არ იქნებოდა საიმედო გარანტია სასჯელის შეფარდებისთვის. კონკრეტული ქმედების შეფასება არსებითად კანონმდებლის მიერ წინასწარ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით, სასჯელის ფარგლებში უნდა განხორციელდეს[110].

ციპფი მართებულად შენიშნავს, რომ თუ კანონმდებელი ტიპიზირებული უმართლობის მატერიას აფასებს, მოსამართლე კონკრეტული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. სასჯელის ვრცელი ფარგლები, სადაც მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის დიდი ამპლიტუდაა, სასჯელის შეფარდების გამო საერთო პასუხისმგებლობისგან კანონმდებლის გაქცევას წარმოადგენს[111]. თუ კანონმდებელი სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის ამპლიტუდას ამცირებს, სანახევროდ, თავის თავზე იღებს სამართალშეფარდებასაც. ხოლო, იქ, სადაც ამპლიტუდა დიდია სამართალშემფარდებელს მეტი გასაქანი ეძლევა და, შესაბამისად, მეტად უწევს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. შეფარდებული სასჯელის სამართლიანობასაც შემფარდებლისგან მეტი დასაბუთება სჭირდება.

[108] *Zipf H.*, Die Strafzumessung, Eine systematische Darstellung für Strafrechtspraxis und Ausbildung, Heidelberg. Karlsruhe, 1977, S. 26.
[109] *Zipf H.*, დასახ. ნაშრ., გვ. 26.
[110] იქვე, გვ. 27.
[111] იქვე, გვ. 27.

ბრალისმიერ პრინციპს კანონმდებლისთვის სხვა მნიშვნელობა აქვს, ხოლო მოსამართლისთვის სხვა. კანონმდებელი, მართალია, უპირველეს ყოვლისა ტიპიზირებული უმართლობის მასალის შეფასებაზეა ორიენტირებული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბრალზე შეხედულებების გამოკლებით. კანონმდებელს არა აქვს უფლება, დაადგინოს სასჯელის ისეთი ფარგლები, რომელიც ბრალეულ უმართლობასთან შეუსაბამო და არაადეკვატური იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელის ფარგლები არაკონსტიტუციური იქნება. მოსამართლე ბრალისმიერი შეფასებით იმთავითვე წინასწარ დადგენილ სასჯელის ფარგლებზეა დამოკიდებული. ბრალისმიერი პრინციპი მოსამართლისთვის წარმოადგენს ამოცანას, რომლის მიხედვითაც, მის მიერ შესაფასებელი კონკრეტული ქმედება უნდა შეაფასოს სასჯელის წინასწარ მოცემული ფარგლების შესაბამისად[112].

ჰიორნლეს შეხედულებით, რამდენადაც მოსამართლე სასჯელის საკანონმდებლო საზღვრებით შეზღუდულია და არ შეუძლია მას გასცდეს, ეს მიუთითებს სასჯელის შეფარდების პროცესში კანონმდებლის უპირატეს როლზე. დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების კონცეფციის თანმიმდევრულ გამოყენებას მივყავართ სასჯელის საკანონმდებლო საზღვრებზე ინტენსიური კავშირისკენ, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეს მოეთხოვება, რომ უმართლობაზე კანონმდებლის შეფასებით შეიზღუდოს, შემოიფარგლოს. მოსამართლის ასეთ შეზღუდვას *დრეერის* მიერ განვითარებულ შეხედულებამდე მივყავართ[113], რომლის მიხედვითაც სასჯელი არის *უცვლელი სკალა*[114]. ამ შეხედულების მიხედვით, სასჯელის საკანონმდებლო საზღვრების ფუნქცია მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ სასჯელის დასაშვები ქვედა და ზედა ზღვარი დაადგინოს. იგი სხვა როლსაც ასრულებს, რაც მოსამართლესთან არის დაკავშირებული. სასჯელთა ფარგლების მთელი სპექტრი შეესაბამება სხვადასხვა დანაშაულთა სიმძიმის გრადაციას[115].

წარმოდგენილი შეხედულების მიხედვით, მოსამართლე იმის დადგენით იქნებოდა შეზღუდული, შესაფასებელი კონკრეტული შემთხვევა ჰიპოთეტური ქმედების შემადგენლობის განხორციელების სკალის თუ რომელ ადგილს დაიკავებდა, რომლის გარეშეც განსაზღვრული ტიპის დანაშაულის აბსტრაქტულ სიმძიმეს დაეყრდნობოდა. მაგრამ, პროპორციულობის პრინციპსა და სასჯელის საკანონმდებლო საზღვრებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა,

---

[112] *Maurach/Goessel/Zipf*, Strafrecht, AT, Teilband 2, 8. Aufl., Heidelberg, 2014, S. 777-778, §63 Rn. 18; *Zipf H.*, Die Strafzumessung, Eine systematische Darstellung für Strafrechtspraxis und Ausbildung, Heidelberg. Karlsruhe, 1977, S. 27-28.

[113] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 187-188.

[114] *Bruns H-J.*, Das Recht der Strafzumessung, 2. Aufl., Köln, Berlin, Bonn, München, 1985, S. 60; *Henkel H.*, Die „richtige" Strafe, Tüingen, 1969, S. 21.

[115] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 188.

თუ სასჯელის ფარგლები მეტად მაღალია[116]. ამდენად, სასჯელის პროპორციულობის დაცვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის საკანონმდებლო საზღვრებს, რომელიც დანაშაულის სიმძიმეს უნდა ასახავდეს.

8. სასჯელთა სახეები და მათი შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან

8.1. ჯარიმა

ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომლის ოდენობასაც სასამართლო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის – ქონების, შემოსავლის გათვალისწინებით განსაზღვრავს. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, მაგრამ თუ შესაბამისი დანაშაულისთვის სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით, ჯარიმის ოდენობა შეიძლება 500 ლარამდეც იყოს.

მაშინ, როცა სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი ჯარიმის მინიმალურ ოდენობას ადგენს, არ უთითებს იმას, თუ რამდენი შეიძლება იყოს მაქსიმუმი, რაც გაუმართლებელია. მართალია, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო სათვალავში იღებს დანაშაულის სიმძიმეს და მსჯავრდებულის მატერიალურ მდგომარეობას, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა მყარ გარანტიას და არ არის გამორიცხული, რომ ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის განუსაზღვრელობა სახელმწიფომ ბოროტად გამოიყენოს და მსჯავრდებულს არაპროპორციულად დიდი ოდენობის თანხის გადახდა დააკისროს.

ჯარიმის გადახდის 3 ფორმა არსებობს: ჩვეულებრივი, დღიური ანაზღაურების ფორმა და პროპორციული ჯარიმა. ჩვეულებრივი ყველაზე ძველი და პირველი ფორმაა. მას მრავალ ქვეყანაში იყენებენ. იგი გულისხმობს კანონმდებლის მიერ მინიმუმის და მაქსიმუმის განსაზღვრას. თუმცა, ზოგჯერ კანონმდებელი მხოლოდ მინიმუმს ან მაქსიმუმს მიუთითებს. დღიური ანაზღაურების სისტემა, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, გულისხმობს არა ერთიან ფულად გადასახადს, არამედ იგი გამოიხატება ბრალდებულის დღიურ შემოსავალზე გათვლილი დღეებით. ამ სისტემის მიხედვით უნდა განისაზღვროს როგორც საჯარიმო დღეთა რიცხვი, ისე ჯარიმის ყოველდღიური საფასური. აღნიშნული სისტემა გამოიყენება არაერთ ქვეყანაში და მათ შორის, გერმანიის ფედერაციაში. პროპორციული სისტემა გულისხმობს ჯარიმის ოდენობის განსაზღვრას მიყენებული ზიანით ან ბრალდებულის მიერ მიღებული მოგებით[117].

[116] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ.

[117] *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედაქტორი

სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტით საქართველოშიც იგეგმება დღიური ანაზღაურების სისტემის შემოტანა. პროექტის მიხედვით, დღიური ანაზღაურების სისტემით გადასახდელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება დანაშაულის სიმძიმეზე, რაც ჯარიმის პროპორციულობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული ცვლილებების პირობებში ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას მოსამართლეს მოუწევს დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინება და მას ამ კუთხით არ ექნება განუსაზღვრელად ფართო უფლებამოსილება, რომელიც დანაშაულის სიმძიმის პროპორციული ჯარიმის შეფარდების კუთხით საფრთხეს შეიცავს.

ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელადაც. დამატებით სასჯელად მისი დანიშვნა მაშინაც არის შესაძლებელი, როცა მას შესაბამისი მუხლი დამატებით სასჯელად არ ითვალისწინებს. ერთადერთ გამონაკლისს კანონმდებელი, ამ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ მაშინ უშვებს, როცა საქმე 1261-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (ოჯახში ძალადობა) ეხება.

ჯარიმა ძირითად სასჯელადაც შეიძლება დაინიშნოს და დამატებით სასჯელადაც, მაგრამ დამატებით სასჯელად მისი დანიშვნა მაშინ არის მისაღები, როცა ძირითად სასჯელად სხვა სასჯელი აქვს მსჯავრდებულს შეფარდებული. ამიტომ, არასწორად მოიქცა გარდაბნის რაიონული სასამართლო, როცა მსჯავრდებულს ძირითად სასჯელად 500 (ხუთასი) ლარი განუსაზღვრა, ხოლო დამატებით სასჯელად 2000 (ორიათასი) ლარი[118]. ერთდროულად ჯარიმის ძირითად და დამატებით სასჯელად გამოყენება დაუშვებელია. თუ ჯარიმა ძირითად სასჯელად დაინიშნა, იგი დამატებითი სასჯელის ფუნქციას ვერ შეასრულებს, თუნდაც, ჯარიმის სახით შესაფარდებელი თანხის მოცულობის გაზრდის შემთხვევაში.

საქართველოს სს კოდექსის 41-ე მუხლის მე-21 ნაწილის მიხედვით, ერთდროულად რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა შესაძლებელია, მაგრამ მოქმედი რედაქცია არ უთითებს იმაზე, ჯარიმა დამატებით სასჯელად რომელ დამატებით სასჯელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს. მეტად საგულისხმოა კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, რომლითაც აიკრძალება დამატებით სასჯელად ჯარიმის და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ერთდროულად შეფარდება, რაც მართებული იქნება, ვინაიდან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება მხოლოდ იმას უნდა შეეფარდოს, ვინც ჯარიმას არ ან ვერ იხდის.

სხვა სასჯელთან ერთად ჯარიმის შეფარდების მიზანშეწონილობის საკითხი საკამათოა. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, თავისუფლების აღკვეთის გვერდით ჯარიმის მისჯა გაუმარ-

თ. ნინიძე, თბ., 1999, გვ. 426-428.

[118] ქ. გარდაბანის 2008 წლის 11 დეკემბრის განაჩენი, ხელმისაწვდომია სასამართლოების არქივში.

თლებელია. ამგვარი „ორჯერ დასჯის“ აკრძალვა ეფუძნება იმ თვალსაზრისს, რომ სასჯელის მიზნის მისაღწევად საკმარისია ან ერთი ან სხვა სანქციის მისჯა. თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ჯარიმის კუმულაციურად მისჯაში არსებობს დამნაშავის ბრალთან შეუსაბამო და რესოციალიზაციისთვის ხელის შემშლელი დატვირთვის საფრთხე. ამიტომ, თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ჯარიმის მისჯა პრინციპულად დაუშვებელია[119]. გამონაკლის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ჯარიმის შეფარდება გერმანული სამართლით მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როცა დამნაშავე განხორციელებული ქმედებით გამდიდრდა ან ცდილობდა გამდიდრებას, თუ ეს მართებულია დამნაშავის პერსონალური და ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგრამ, ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა სასამართლო დამნაშავეს ქონებრივ სასჯელს უსჯის (§41-ე)[120].

მსჯავრდებულისთვის ჯარიმის შეფარდება გაუმართლებელია ისეთ სასჯელთან ერთად, როგორიც არის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ამ უკანასკნელი სასჯელის შეფარდებისას მსჯავრდებული მატერიალურ დანაკარგს განიცდის, ვინაიდან აღნიშნული სასჯელის შედეგად კარგავს შემოსავლის წყაროს, რის გამოც ასეთ შემთხვევაში არაპროპორციულია დამატებით სასჯელად ჯარიმის შეფარდება. ჯარიმის შეფარდება ასევე გაუმართლებელია პირობითი მსჯავრის დროს.

თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ჯარიმის შეფარდების დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისებით, უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ ის არ უნდა გასცდეს ბრალის შესაბამისი სასჯელის საზღვრებს. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ისიც, რომ სასჯელის აღსრულების პროცესი მსჯავრდებულის შემოსავალს ამცირებს და იგი შემცირებულ შემოსავალს ფლობს[121], რაც ბუნებრივია, ვინაიდან თავისუფლების აღკვეთის პირობებში მსჯავრდებულს მუშაობის, შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა წართმეული აქვს.

სასამართლო ჯარიმის შეფარდების დროს ხშირად სათანადოდ არ აფასებს მსჯავრდებულის მატერიალურ მდგომარეობას. ამაზე მიუთითებს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი, რომლითაც საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით 8000 ლარი ჯარიმა განესაზღვრა ვინმე თ. შ-ეს, მაშინ, როცა იგი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ბაზაში. ამიტომ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა არასამართლიანად მიიჩნია და მსჯავრდებულს, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მინიმუმამდე

[119] *Meier B-D.*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg, 2015, S. 67.
[120] *Meier B-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 67.
[121] იქვე, გვ. 68.

(2000 ლარი) შეუმცირა[122]. ერთი მხრივ, ჯარიმის შეფარდების დროს უზენაესი სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მატერიალურ მდგომარეობაზე სათანადო ყურადღების მიქცევა სწორია, მაგრამ მეორე მხრივ, საკითხავია, რამდენად პროპორციული სასჯელია 2000 ლარიანი ჯარიმა იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც ჯარიმა გათვალისწინებულია ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად. აღნიშნული საქმე იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ როგორც განაჩენშია მითითებული, მსჯავრდებული თაღლითურად დაეუფლა 2670 ლარად ღირებულ სახელმწიფოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რითაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა[123]. მაშასადამე, მსჯავრდებულის მიერ გამოწვეული ზიანის მოცულობა აღემატება საბოლოოდ მისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობას. ყოველივე ეს კიდევ ერთი საბუთია მსჯავრდებულისთვის საბოლოოდ შეფარდებული სასჯელის არაპროპორციულობისა. სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა პროპორციული მაშინ არის, თუ ჯარიმის ოდენობა დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეულ მატერიალური სახის ზიანის მოცულობას აღემატება.

ძირითად სასჯელად ჯარიმის შეფარდება, როგორც წესი, მაშინ არის მისაღები, როცა საქმე არ ეხება ძალადობით და ისეთ დანაშაულს, რომელიც ხელყოფს ისეთ სიკეთეს, რომლის აღდგენაც შეუძლებელია. მაგალითად, ჯარიმა არ შეიძლება ძირითად სასჯელად შეეფარდოს იმას, ვინც მკვლელობას ჩაიდენს. ამ შემთხვევაში ჯარიმის გამოყენება დაუშვებელია დანაშაულის სიმძიმის და დაცული სიკეთის გათვალისწინებით. ჯარიმა არ გამოიყენება ასევე ჯანმრთელობის განზრახი მძიმე (117-ე მუხ.) და ნაკლებად მძიმე დაზიანების (118-ე მუხ.) დროს, მაგრამ იგი შეიძლება შეეფარდოს იმას, ვინც ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას (120-ე მუხ.) ჩაიდენს. თუ ჯანმრთელობის დაზიანება განხორციელდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებში, შეიძლება დამნაშავეს შეეფარდოს ჯარიმა, მიუხედავად იმისა, დაზიანება მძიმეა თუ ნაკლებად მძიმე. ასეთი შემამსუბუქებელი გარემოებებია: ქმედების განხორციელება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით; დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (121-ე, 122-ე, 123-ე მუხლები). ჯარიმა, როგორც ალტერნატიული სასჯელი გათვალისწინებულია ასევე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი ზოგიერთი დელიქტისთვის (127-ე, 128-ე, 129-ე, 130-ე, 132-ე, 135-ე მმ.), საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულისთვის (177-ე მუხ. I ნ; 178-ე მ. I ნ; 180-ე მ. I-III ნ.). აღნიშნული სასჯელის შეფარდების შესაძლებლობა

[122] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2014, №7-12, გვ. 6.

[123] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2014, №7-12, გვ. 3.

გამოირიცხება, თუ ჩამოთვლილი ქმედებები (მაგალითად, ქურდობა, თაღლითობა) დამამძიმებელ გარემოებაშია ჩადენილი.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ზოგიერთ შემთხვევაში ჯარიმას ალტერნატიულ სასჯელად აწესებს სქესობრივი დანაშაულისთვისაც. მაგალითად, 139-ე მუხლით დასჯადი ქმედებისთვის (სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება) ჯარიმა პროპორციულ სასჯელად უნდა ჩაითვალოს თუ არა საკამათოა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სქესობრივი დანაშაულებიდან ყველაზე მსუბუქია.

კანონმდებელი ცალკეულ შემთხვევებში ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის უარს ამბობს ჯარიმის დაწესებაზე და სასჯელად თავისუფლების აღკვეთას განსაზღვრავს. მაგალითად, 2001-ე მუხლით ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან გამოყენება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. გაუმართლებელია აღნიშნული დანაშაულისთვის მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დაწესება და ალტერნატიულ სასჯელების გამოყენებაზე უარის თქმა. მით უფრო მაშინ, როცა ჯარიმას კანონმდებელი, ზოგჯერ, მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვისაც ითვალისწინებს თავისუფლების გრძელვადიანი აღკვეთის ალტერნატიულ სასჯელად. 200²-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ამ შემთხვევაში საკამათოა არა მხოლოდ სასჯელის ზომა (6 თვემდე), ის, რომ აღნიშნული სანქცია აბსოლუტურად განსაზღვრულია, არამედ ისიც, რომ კანონმდებელი სასჯელად მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას აწესებს და ალტერნატიულ სასჯელზეც ამბობს უარს.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯარიმა გათვალისწინებულია არა მხოლოდ ნაკლებად მძიმე, არამედ ასევე მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვისაც, რაც გაუმართლებელია. მაგალითად, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით ისჯება თაღლითობა დამამძიმებელ გარემოებებში, ხოლო სასჯელად განსაზღვრულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. მაშასადამე, დამნაშავეს ჯარიმა შეიძლება შეუფარდონ იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადის მაქსიმუმი ცხრა წელს აღწევს, ხოლო მინიმუმი ექვსი წელია. ჯარიმა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის არის მისაღები, პროპორციული სასჯელი, როცა შესაბამისი დანაშაულისთვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმი ხუთ წელს არ აღემატება.

გერმანული სისხლის სამართალი ჯარიმას გადაცდომებისთვის აწესებს[124]. გადაცდომა კი გერმანულ სამართალში სისხლისსამართალდარღვევის სახედ განიხილება, რომელიც დანაშაულზე უფრო მსუბუქია.

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლი, რომელიც სასჯელად კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის მხოლოდ ჯარიმას

[124] *Meier B-D.*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg, 2015, S. 66.

ითვალისწინებს (1922-ე მუხ. – უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა), რაც არ არის მართებული. ჯარიმა იმიტომ მიიჩნევა ალტერნატიულ სასჯელად, რომ იგი სასჯელის რომელიმე სხვა სახესთან ერთად უნდა იყოს შესაბამის მუხლში გათვალისწინებული, როგორც სასჯელის ალტერნატიული სასჯელი და მოსამართლეს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ დამნაშავეს შეუფარდოს ჯარიმა ან სხვა სახის სასჯელი.

თავისუფლების აღკვეთა იმიტომ არ განიხილება ალტერნატიულ სასჯელად, რომ კონკრეტულ მუხლში კონკრეტული დანაშაულისთვის შეიძლება გათვალისწინებული იყოს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა სხვა ალტერნატიული სასჯელების გარეშე. მაგალითად, 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა. გაუმართლებელი იქნებოდა, რომ ისეთი დანაშაულისთვის, როგორიც განზრახ მკვლელობაა, თავისუფლების აღკვეთის გარდა სხვა ალტერნატიული სახის სასჯელიც რომ იყოს გათვალისწინებული. როგორც წესი, ჯარიმა ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის არის პროპორციული სასჯელი. ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, მისი უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით, დასაშვებია სასჯელის ალტერნატიული სახეების განსაზღვრა, რაც მოსამართლეს საშუალებას აძლევს დანაშაულის სიმძიმის და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით დამნაშავეს ერთ-ერთი სასჯელი შეუფარდოს.

ქართულისგან განსხვავებით, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს ნორმას, რომელიც კონკრეტული დანაშაულისთვის სასჯელად მხოლოდ ჯარიმას აწესებდეს[125]. საკითხის ასეთი გადაწყვეტა უფრო მისაღებია და შეესაბამება ალტერნატიული სასჯელის ბუნებას. ალტერნატიული სასჯელის ინსტიტუტი გულისხმობს არა ზოგადად არასაპატიმრო სასჯელს, არამედ მოსამართლისთვის მიცემულ შესაძლებლობას, დამნაშავეს კანონით გათვალისწინებული სასჯელებიდან შეუფარდოს ერთ-ერთი, ერთი ან მეორე სახის სასჯელი. ასეთი შესაძლებლობა მოსამართლეს არ ეძლევა, როცა ქმედებისთვის მხოლოდ ერთი კონკრეტული სასჯელია დაწესებული ალტერნატივის გარეშე.

ჯარიმის, როგორც სასჯელის პროპორციულობაზე როცა ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ სსკ-ის 42-ე მუხლის მე-51 ნაწილში ასახულ დებულებას, რომელიც გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მშობელისთვის, მეურვისთვის ან მზრუნველისთვის ჯარიმის გადახდის დაკისრებას უშვებს. იმისთვის რომ ჯარიმის გადახდა პროპორციულ სასჯელად ჩაითვალოს, მან ხელი უნდა შეუწყოს სასჯელის მიზნის მიღწევას. სასჯელის მიზნებიდან ერთ-ერთი დანაშაულის თავიდან აცილებაა, მაგრამ რამდენად შეიძლება ეს მიზანი იქნეს მიღწეული მაშინ, როცა ჯარიმის გადახდა არა დანაშაულის ჩამდენს, არამედ მის მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს ეკის-

[125] *Meier B-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

რება? რამდენად შეიძლება ასეთ დროს არასრულწლოვანმა თავი დასჯილად იგრძნოს? დასმულ კითხვაზე პასუხი შეიძლება შემდეგი იყოს: ჯარიმის დაკისრება არა დამნაშავისთვის, არამედ მისი მშობლისთვის, რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს იგი, ხელს ვერ შეუწყობს სასჯელის პრევენციული მიზნის მიღწევას. როცა ჯარიმას დამნაშავის ნაცვლად მისი მშობელი იხდის, სასჯელი ვერ ასრულებს დამნაშავეზე ზემოქმედების იმ ფუნქციას, რაც შემდგომში ხელს შეუშლის დამნაშავის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას. გარდა ამისა, ჩადენილი დანაშაულის გამო ჯარიმის დამნაშავის მშობელისთვის დაკისრება ვერც სამართლიანობის აღდგენას შეწყობს ხელს, ვინაიდან სამართლიანობის აღდგენა სასჯელის სხვა მიზნებისგან მოწყვეტით ვერ მიიღწევა. სასჯელმა სამართლიანობის აღდგენას რომ შეუწყოს ხელი, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის სახე და მისი აღსრულების წესი სასჯელის სხვა მიზნების მიღწევასაც უწყობდეს ხელს.

არასრულწლოვანი და გადახდისუუნარო შვილისთვის შეფარდებული ჯარიმის გადახდის დაკისრება მშობლისთვის მიუღებელია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა კონსტიტუციურად ცნო და მიიჩნია, რომ იგი წინააღმდეგობაში არ მოდის კანონიერების და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებთან[126], რაც მეტად საკამათოა.

მსჯავრდებულისთვის ჯარიმის შეფარდება, როცა ამის საფუძველი არსებობს, სხვა სასჯელებთან შედარებით ეფექტურია და ხელს უწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, ვინაიდან იგი არ არის მოწყვეტილი საზოგადოებისგან. გარდა ამისა, ხდება სახელმწიფო ბიუჯეტისგან მსჯავრდებულის შენახვისთვის საჭირო ხარჯების დაზოგვაც[127], რაც მეტად მნიშვნელოვანია სასჯელის ეკონომიურობის თვალსაზრისითაც.

თუ მსჯავრდებული ჯარიმის გადახდას თავს აარიდებს ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ჯარიმა შეიცვლება სხვა ისეთი სასჯელით, როგორიცაა: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების შეზღუდვა ან თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსში მითითებულია სასჯელის შეცვლა რა გაანგარიშებით ხდება, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი გაანგარიშების წესი კოდექსით მკაფიოდ განსაზღვრული არ არის იმ შემთხვევისთვის, როცა ჯარიმის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით ხდება. ეს შემთხვევითიც არ არის, რამეთუ კოდექ-

---

[126] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება. აღნიშნულ საკითხზე ასევე იხ. *კოპალეიშვილი მ.*, იწვევს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის მოქმედება მშობლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, „სამართლის ჟურნალი", 2013, №1, გვ. 295-306.

[127] *დვალიძე ი.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 42-43.

სის მოქმედი რედაქცია არ იცნობს დღიური ანაზღაურების სისტემას.

როგორც აღინიშნა, თუ მსჯავრდებული ჯარიმას არ, ან ვერ იხდის, ჯარიმა 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით თავისუფლების აღკვეთით შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ კანონიერების პრინციპის თანახმად, ასეთი შეცვლა პრობლემურია მაშინ, როცა შესაბამისი მუხლით, კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს[128]. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სსკ-ის 125-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელად გათვალისწინებულია ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან გამასწორებელი სამუშაო. გამასწორებელი სამუშაო თითქმის არ გამოიყენება. მისი გამოყენება შეუძლებელია მაშინ, როცა მსჯავრდებული არსად არ მუშაობს, ვინაიდან დასახელებული სასჯელის აღსრულება მხოლოდ სამუშაო ადგილას ხდება. თუ მსჯავრდებულის მატერიალური შესაძლებლობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მას ჯარიმა შეეფარდოს, მოსამართლეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება მოუნევს, მაგრამ, როცა მსჯავრდებული 60 წელზე მეტი ხნის ასაკისაა, ვერც ამ სასჯელს შეუფარდებს 125-ე მუხლით დასჯადი ქმედების ჩამდენს იმ შეზღუდვიდან გამომდინარე, რომელსაც 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი აწესებს პირთა განსაზღვრული წრისათვის. ასეთ დროს ვერც სსკ-ის 74-ე მუხლის მე-5 ნაწილი იძლევა გამოსავალს, ვინაიდან ასაკის გამო (ქალი-65 ნლიდან, მამაკაცი-70 ნლიდან) მსჯავრდებულის სასჯელისგან გათავისუფლების შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა სასჯელის არანაკლებ ნახევარია მოხდილი.

ჯარიმასთან, როგორც ფულად სასჯელთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა, რამდენად უწყობს იგი ხელს დანაშაულის პრევენციას, განსაკუთრებით მაშინ, როცა დანაშაულის ჩამდენი მდიდარია. ვინაიდან, მას ეძლევა შესაძლებლობა, ფულის გადახდით თავი დააღწიოს საპატიმრო სასჯელს. მაგრამ, ამ საკითხზე ერთგვარი პასუხი შეიძლება იყოს მონტესკიეს მიერ დასმულ კითხვაში: „განა მდიდრებს არ ეშინიათ ქონების დაკარგვის?"[129]. მაშასადამე, ჯარიმა პრევენციულ ფუნქციას მდიდარი მსჯავრდებულის მიმართაც ასრულებს, მაგრამ მსჯავრდებულის ეკონომიკური მდგომარეობა სასამართლომ სასჯელის შეფარდების დროს უნდა გაითვალისწინოს იმისთვის, რომ ჯარიმის ოდენობა ისე განსაზღვროს, შეფარდებული ჯარიმით სასჯელის მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყოს.

---

[128] კანონიერების პრინციპი მოითხოვს, რომ მსჯავრდებული მხოლოდ იმ სასჯელით დაისაჯოს, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი მუხლი განხორციელებული კონკრეტული ქმედებისთვის.

[129] *მონტესკიე შ.ლ.*, კანონთა გონი, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ, თბ., 1994, გვ. 121.

8.2. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა გულისხმობს დანიშვნითი თანამდებობის დაკავების, პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობის აკრძალვას. იგი შეიძლება დაინიშნოს ძირითად ან დამატებით სასჯელად. დამატებით სასჯელად მისი შეფარდება მაშინაც შეიძლება, როცა კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელად არაა გათვალისწინებული. ასეთ დროს სასამართლო მხედველობაში იღებს დანაშაულის საშიშროების ხარისხს, ხასიათს და დამნაშავის პიროვნებას. თუ აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით შეუძლებელია მსჯავრდებულისთვის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების შენარჩუნება, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას განსახილველი სასჯელის შეფარდებაზე.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრული ვადით ხდება. თუ იგი ძირითად სასჯელად ეფარდება დამნაშავეს ეს სასჯელი მეტი ვადით ინიშნება (ერთიდან ხუთ წლამდე), ხოლო დამატებით სასჯელად დანიშვნისას ვადა მცირდება (ექვსი თვიდან სამ წლამდე).

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა უფრო მეტად პრევენციულ ფუნქციას ასრულებს. მას განიხილავენ იმ სანქციებს შორის, რომლის პირველადი ფუნქცია პრევენციაა. მართალია, სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავის რესოციალიზაციაც არის, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეიძლება ამ მიზანს ემსახურებოდეს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?

დანაშაულის სიმძიმის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, დამნაშავეს შეიძლება თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა შეეფარდოს, მაგრამ ეს მიზანი მეორადია თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში. რაც შეეხება რესოციალიზაციას, ვერც ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად ვერ ჩაითვლება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. რესოციალიზაციას ხელს უწყობს არა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, არამედ მსჯავრდებულის შრომაში ჩართვა. თუმცა, მნიშვნელოვანია შრომის პირობებიც.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზანიც მომავალში დანაშაულის თავიდან აცილებაა, თუ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია განხორციელდა, იგი ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის მხრიდან მომავალში დანაშაულის განხორციელების თავიდან აცილებას. დანაშაულის თავიდან აცილებაა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის მიზანიც, მაგრამ ეს მიზანი სასჯელის ამ სახის შეფარდებისას მიიღწევა არა მსჯავრდებულის რესოციალიზაციით, არამედ სხვა გზით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას კანონ-

მდებელი იმ დანაშაულებისთვის ითვალისწინებს, რომლებიც დაკავშირებულია თანამდებობრივ ან სხვაგვარ სამსახურებრივ საქმიანობასთან. მაგალითად, აღნიშნული სასჯელი დაწესებულია ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიცაა: ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (130-ე მუხ.), სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას (131-ე მუხ. მე-3 ნ.), უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (146-ე მუხ.), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (147-ე მუხ.) და ა. შ.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულებიც, რომლის ჩადენა მხოლოდ თანამდებობის პირს შეუძლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონმდებელი სასჯელად არ უთითებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. მაგალითად, ქრთამის აღება (338-ე მუხ.), სამსახურებრივი სიყალბე (341-ე მუხ.), სამსახურებრივი გულგრილობა (342-ე მუხ.), პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა (3421-ე მუხ.) და სხვ. აღნიშნული დანაშაულებისთვის ძირითად სასჯელად თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა არ არის გათვალისწინებული, მაგრამ იგი დამატებით სასჯელად მაინც შეიძლება დაინიშნოს, ვინაიდან დამატებით სასჯელად მისი დანიშვნისთვის აუცილებელი არ არის, რომ შესაბამის მუხლში იყოს სასჯელის სახედ გათვალისწინებული.

თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა სხვა სასჯელებიდან იმით გამოირჩევა რომ აღნიშნული სასჯელის სხვა სასჯელით შეცვლის საკითხი არ დგება დღის წესრიგში, რაც ამ სასჯელის ბუნებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან მისი (თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა) შეფარდება და აღსრულება მსჯავრდებულის მდგომარეობაზე, ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, არამედ სხვაზე. თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევისგან განსხვავებით, ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება ჩაითვალოს ე. წ. **საკუთარი ხელით შესასრულებელ სასჯელად,** რაც იმას გულისხმობს, რომ მათი აღსრულებისთვის აუცილებელია მსჯავრდებულის ნება[130]. მსჯავრდებულმა, რომელსაც შეუფარდეს ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების შეზღუდვა, შეიძლება დაარღვიოს მისთვის წაყენებული პირობები და არ შეასრულოს გარკვეული მოთხოვნები, რაც მისთვის მისჯილი სასჯელის სხვა სასჯელით შეცვლის აუცილებლობას ნარმოშობს, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის დროს. ამ სასჯელის მისჯისას მსჯავრდებულს მოთხოვნა კი არ წაეყენება, არამედ უწესდება შეზღუდვა თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით. დასახელებული შეზღუდვა კი

[130] *თოდუა ნ.*, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის, წიგნში: აკაკი ლაბარტყავა, 80 წელი, საიუბილეო კრებული, თბ., 2013, გვ. 251.

უნდა გაითვალისწინოს დამსაქმებელმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსჯავრდებულისთვის თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის მისჯით, მოთხოვნა დამსაქმებელს წაეყენება.

რაც შეეხება საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, იგი თავისი ბუნებით განსხვავდება თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევისგან და ამ სასჯელის შეფარდებისას მსჯავრდებულზეც არის გარკვეულწილად დამოკიდებული შეფარდებული სასჯელიდან გამომდინარე წაყენებული მოთხოვნის დარღვევა. მაშასადამე, მოთხოვნა არა მხოლოდ დამსაქმებელს, არამედ მსჯავრდებულსაც წაეყენება, რომ მან არ განახორციელოს ის საქმიანობა, რომლის უფლებაც ჩამოერთვა.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, იგულისხმება თუ არა მასში ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა? უნდა ითქვას, რომ არა. აღნიშნული შეზღუდვა წარმოადგენს არა სსკ-ის 43-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელს, არამედ დამატებით სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას, რომელიც არის დანაშაულის თანამდევი შედეგი. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ ზოგჯერ, სასამართლოები არასწორად განმარტავენ სსკ-ის 43-ე მუხლის შინაარსს და საქმიანობის ჩამორთმევად ანუ 43-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის სახედ თვლიან ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენით სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულ ა. რ.-ს სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით და სსკ 43-ე მუხლზე მითითებით შეეფარდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით[131]. მართალია, სასამართლოს პოზიცია, ერთი მხრივ, სწორია, როცა სატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენს ჯარიმასთან ერთად მართვის უფლების განსაზღვრული ვადით ჩამორთმევა რომ შეუფარდა, მაგრამ, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ ამ უკანასკნელი სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიების მიჩნევა სსკ 43-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელად, კრიტიკას იმსახურებს. კრიტიკის საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ საქმე ეხება გაუფრთხილებლობით დანაშაულს და სასამართლო უთითებს „დანაშაულის მოტივისა და მიზნის" გათვალისწინებაზე. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის განხორციელებისას, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მიზანი და მოტივი, არ არსებობს და იგი განზრახი დანაშაულისთვისაა დამახასიათებელი.

არის შემთხვევები, როცა სასამართლო კონკრეტული დანაშაულის ჩამდენს სასჯელსაც უფარდებს და დამატებით სისხლისსამართლებრივ ღონისძიებასაც ა/მანქანის მართვის უფლების განსაზღვრული ვადით ჩამორთმევის

[131] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/4085-15 (008100715010).

სახით, მაგრამ მსჯავრდებული არღვევს ამ უკანასკნელი სახის აკრძალვას, რის გამოც ქმედებას სასამართლო სსკ 381-ე მუხლით აკვალიფიცირებს, როგორც სასამართლოს განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების შეუსრულებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა მცდარია და ქმედება ასეთ დროს სსკ-ის 381-ე მუხლით კი არ უნდა დაკვალიფიცირდეს, არამედ როგორც ადმინისტრაციული გადაცდომა და, შესაბამისად, პირს უნდა შეეფარდოს ადმინისტრაციული სახდელი[132]. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქმედების 381-ე მუხლით არასწორად კვალიფიკაციის მიზეზს წარმოადგენს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილში მოცემული ხარვეზული დებულება, რომელიც აღნიშნული კანონით ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ დაწესებული შეზღუდვის (მათ შორის მართვის უფლებასთან დაკავშირებით) დარღვევის შემთხვევაში ქმედების სსკ-ის 381-ე მუხლით კვალიფიკაციის შესაძლებლობაზე მიუთითებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის განაჩენით ნ. ც.-ს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა პირობით იმის გამო, რომ იგი მართავდა ავტო მანქანას, მაშინ, როცა სასამართლოს 2014 წლის 11 მარტის განაჩენით, ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის გამო, ჩამორთმეული ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნ. ც.-ს რესოციალიზაციისთვის, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნებისთვის უნდა დაენიშნოს სასჯელი სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში[133]. მაშინ, როცა ქმედება არასწორად კვალიფიცირდება დანაშაულად და ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენს, ადმინისტრაციული სახდელის ნაცვლად, სასჯელი ეკისრება, დაკისრებული სასჯელი ვერ ჩაითვლება მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებად.

8.3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ქართული სსკ-ს მიხედვით

საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულ სასჯელის ერთ-ერთ სახეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს, რომელიც ალტერ-

---

[132] *თოდუა ნ.*, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის, წიგნში: აკაკი ლაბარტყავა, 80 წელი, საიუბილეო კრებული, თბ., 2013, გვ. 255.

[133] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის განაჩენი, საქმე №1/961-15 (008140714006).

ნატიული სასჯელის სახეა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სასჯელის ღონისძიებად იქნას გამოყენებული.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის სახე, მე-20 საუკუნეში შეიქმნა. იგი სათავეს იღებს 1920 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თავისუფლების აღკვეთის გარეშე კოლექტიური სამუშაოების შემოღებიდან[134].

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, როგორც სასჯელის სახეს, რუსეთის 1996 წლის სს კოდექსიც (49-ე მუხლი) ითვალისწინებს „სავალდებულო შრომის" სახელწოდებით.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გულისხმობს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას. საქართველოს სს კოდექსის მიხედვით, მის სახეს პრობაციის პიურო განსაზღვრავს (44-ე მუხ.).

იმისთვის, რომ სასჯელის სახე პროპორციულობის პრინციპს შეესაბამებოდეს, აუცილებელია, რომ იგი გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს. პირველ რიგში, გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალება ანუ ხელს უნდა უწყობდეს იმ მიზნის მიღწევას, რა ლეგიტიმური მიზნისთვისაც ხდება მისი გამოყენება. სისხლის სამართლის კანონმდებლობით ასეთი მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

როგორც ცნობილია, დამნაშავის რესოციალიზაციას ყველაზე მეტად ხელს უწყობს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა[135], როგორც ალტერნატიული სასჯელი, ვიდრე თავისუფლების ვადიანი, და მით უფრო უვადო, აღკვეთა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რამდენად სწორად არის კანონმდებლობით რეგლამენტირებული ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისა და აღსრულების წესი. ზოგადად, ალტერნატიული სასჯელი კი უწყობს ხელს დამნაშავის რესოციალიზაციას, მაგრამ კანონმდებლობაში სასჯელის ამ სახესთან დაკავშირებით შეიძლება ისეთი ხარვეზები იყოს, რომ მან, პირიქით, ხელი შეუშალოს იმ მიზნის მიღწევას, რომელსაც ალტერნატიული სასჯელი ემსახურება. ასეთ ხარვეზებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც შეიცავს. კერძოდ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განმარტებულია, როგორც „მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომა". საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა რესოციალიზაციის ეფექტურ საშუალებად მაშინ ჩაითვლება, თუ იგი მოამზადებს პირს თავისუფლების პირობებში სამუშაო ცხოვრებისათვის, მაგრამ სასჯელაღსრულების ფარგლებში პირი სამუშაო

[134] *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედაქტორი თ. ნინიძე, თბ., 1999, გვ. 436.

[135] *ბერხეულიძე ი.*, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, „მართლმსაჯულება და კანონი", 2011, №2, გვ. 119.

ცხოვრებისთვის რომ მომზადდეს, აუცილებელია შრომა ანაზღაურების სახით ფასდებოდეს[136]. მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაცია მაშინ არის შესაძლებელი, როცა იგი საკუთარი თავის მატერიალურად უზრუნველყოფის გზას იპოვის[137].

მსჯავრდებულისთვის დაკისრებული შრომა სათანადოდ უნდა იყოს აღიარებული, თუმცა, „აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს აუცილებლად ფინანსურ მხარეში"[138], რაც იმას ნიშნავს, რომ გადამწყვეტი არ არის ანაზღაურების ოდენობა. ბუნებრივია, იგი ვერც იქნება ისეთი, რომ გაუტოლდეს არამსჯავრდებულ პირთა შრომის ანაზღაურებას. მთავარია, მსჯავრდებულის შრომა იყოს ანაზღაურებული, თუნდაც სიმბოლურად და იგი არ ატარებდეს უსასყიდლო, მონური შრომის სახეს.

მსჯავრდებულისთვის დაკისრებული შრომა არ უნდა იყოს იძულებითი და იგი მიზანმიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულს დაეხმაროს ცხოვრების მოწყობაში, შრომა ხელს უნდა უწყობდეს კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის შემდეგ კეთილსინდისიერი შრომის შესაძლებლობას მისცემს[139]. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიერ გაწეული შრომა ხელს ვერ შეუწყობს მის რესოციალიზაციას და იგი გახდება დესოციალიზაციის მიზეზი.

მსჯავრდებულისთვის დაკისრებული შრომის მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულისთვის იმ უნარ-ჩვევების შეძენა, რაც მას სასჯელის მოხდის შემდეგ სასჯელისაგან თავისუფალ დროს გამოადგება. მსჯავრდებულისთვის შრომის დაკისრებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი სურვილი. დაუშვებელია მსჯავრდებულისთვის ისეთი სამუშაოს დაკისრება, რაც მის სურვილს ეწინააღმდეგება[140]. მნიშვნელოვანია ასევე შრომითი პირობების არსებობა. კერძოდ, გაწეული სამუშაო არ შეიძლება მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდეს. დამსაქმებელი ვალდებულია მსჯავრდებულს უსაფრთხო შრომის პირობები შეუქმნას[141].

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას[142] საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა რვა საათს არ უნდა აღემატებოდეს. მაშასა-

---

[136] *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, გვ. 216.

[137] *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 201.

[138] *შვაბე ი.*, იქვე.

[139] *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 202, 205.

[140] იქვე, გვ. 202.

[141] იქვე, გვ. 203.

[142] საქართველოს სსს კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტით იგეგმება აღნიშნული რაოდენობის შემცირება 400 საათამდე.

დამე, მსჯავრდებულს შეიძლება დღეში რვა საათამდე უსასყიდლო შრომა შეეფარდოს, რაც მსჯავრდებულის მდგომარეობას მეტად ამძიმებს და რესოციალიზაციის მიზნის მიღწევას ართულებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას აღნიშნული სასჯელი უფრო მეტი ვადითაც შეიძლება დაინიშნოს.

ქართულისგან განსხვავებით, რუსული სს კოდექსი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის დღიურ ხანგრძლივობას ამცირებს და დღიურად მისი ხანგრძლივობა არ შეიძლება 4 (ოთხი) საათს აღემატებოდეს (49-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რაც უფრო გონივრულია. გარდა ამისა, რუსულ სს კოდექსში მითითებულია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მსჯავრდებულის ძირითადი შრომისა და სწავლისგან თავისუფალ დროს გაწეულ შრომას გულისხმობს. ასეთი დებულება ქართულ სს კოდექსში არ არის მოცემული, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან იქმნება საფრთხე, რომ აღნიშნული სასჯელის მსჯავრდებულის ძირითად სამუშაო ან სასწავლო დროს აღსრულდეს. ეს საფრთხე მით უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული კანონმდებლობით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დღიური ხანგრძლივობა შეიძლება 8 საათს აღწევდეს. 8 საათიანი უსასყიდლო შრომის შემდეგ შეუძლებელია ადამიანს დარჩეს დროს სხვა სამუშაოს შესრულებისთვის ან სწავლისთვის.

ქართული სს კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი აწესებს გარკვეულ შეზღუდვას იმ პირთა წრესთან დაკავშირებით, რომლებსაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეიძლება შეეფარდოთ. აღნიშნული სასჯელი არ შეეფარდება: პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. აღნიშნული შეზღუდვა გაუმართლებელია იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სასპატიმრო სასჯელის ალტერნატივაა და იგი შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილ პირთა მიმართ ამ სასჯელის დამატებით სასჯელად დანიშვნა დაუშვებელია, მაგრამ ძირითად სასჯელად გამართლებული იქნებოდა, თუ თვით ამ პირთა მდგომარეობა არ გამორიცხავდა ამ სასჯელის აღსრულების შესაძლებლობას და თავად არ იქნებოდნენ მისი გამოყენების წინააღმდეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია უნდა შეიცვალოს და ასეც არის დაგეგმილი სს კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტით, რაც უდავოდ მისასალმებელია.

ასაკობრივი შეზღუდვა სხვა სასჯელებთან დაკავშირებითაც არსებობს, მაგრამ ამის საფუძველი ჰუმანიზმის პრინციპია. კერძოდ, უვადოდ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არაჰუმანურია თუ მსჯავრდებული განაჩენის გამოტანის მომენტისთვის სამოცი წლისაა. თუმცა, მსგავსი ასაკობრივი შეზ-

ღუდვის დაწესება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან დაკავშირებით, პირიქით, ჰუმანიზმის პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის, ვინაიდან მოსამართლე შეიძლება იძულებული გახდეს, რომ გამოიყენოს უფრო მძიმე სასჯელი – თავისუფლების ვადიანი აღკვეთა.

პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდების ჩართვა იმ პირთა წრეში, რომლის მიმართაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება დაუშვებელია, შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ აღნიშნული სასჯელის შეფარდებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მსჯავრდებულის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, რაც ექიმის მიერ უნდა იყოს დადასტურებული. თუმცა, აღნიშნულ პირთა მიმართ განსახილველი სასჯელის შეფარდებაზე უარის თქმა მხოლოდ მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო საკამათო შეიძლება იყოს. მაინც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსჯავრდებულს თუ რა შესაძლებლობები აქვს შეზღუდული და რამდენად გამორიცხავს იგი ამ სახის სასჯელის მისთვის შეფარდებას. მაშასადამე, გამართლებულია საკითხის გადაწყვეტა მსჯავრდებულის მდგომარეობის და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგრამ ეს მოქმედი კანონმდებლობის პირობებში ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

სწორად არის აღნიშნული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ გარკვეულ შემთხვევაში გამართლებულიც შეიძლება იყოს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეფარდება იმ ქალისთვის, ვისაც შვიდ წლამდე შვილი ჰყავს[143]. კერძოდ, როცა შვილი არა დედასთან, არამედ სხვა პირთან, მაგალითად, ბებიასთან იზრდება. ასეთ დროს მოსამართლის შეზღუდვა დამნაშავისთვის აღნიშნული სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით გაუმართლებელია, ვინაიდან მოსამართლე ამ შეზღუდვით იძულებულია დანიშნოს სხვა, თუნდაც უფრო მძიმე სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის პირობებში კიდევ უფრო ილახება როგორც მსჯავრდებული დედის, ისე მისი შვილის ინტერესები, ვინაიდან დედას შვილთან კომუნიკაციის, ურთიერთობის ნაკლები შესაძლებლობა რჩება, რაც ვერ ჩაითვლება გამართლებულად. კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა არსებობდეს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის იმ მსჯავრდებული დედისთვის შეფარდების შესაძლებლობა, ვისაც შვიდ წლამდე შვილი ჰყავს. მთავარი და გადამწყვეტი უნდა იყოს არა მხოლოდ ის გარემოება, ჰყავს თუ არა მსჯავრდებულს შვიდ წლამდე შვილი, არამედ ის, თუ რამდენად არსებობს კონკრეტული სასჯელის აღსრულების პირობები მსჯავრდებულის მდგომარეობის და ოჯახის წევრებთან მისი დამოკიდებულების გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დედების მიმართ განსახილველი სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით შეზღუდვას

[143] *დვალიძე ი.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 50-51.

სხვა ქვეყნის სს კანონმდებლობაც იცნობს. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის. მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსული კანონმდებლობით მხოლოდ 3 (სამი) წლამდე შვილის დედის მიმართ იკრძალება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შეფარდება (რფსს კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში სასამართლოები მსჯავრდებულებს შესაბამისი დანაშაულის ჩადენის გამო უფარდებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. აღნიშნული სასჯელის შეფარდების მართებულობის დასასაბუთებლად სასამართლოს განაჩენში ვხვდებით იმის მითითებას, რომ დასახელებული სასჯელი ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნის (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) მიღწევას. სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი ერთ-ერთი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების მიზანშეწონილობა იმით არის დასაბუთებული, რომ მსჯავრდებული ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენია, რომელიც აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ამასთან იგი არ არის წარსულში ნასამართლევი, არა აქვს შემოსავლის წყარო და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოება[144]. სასამართლო სწორად მოიქცა, როცა მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეუფარდა, ვინაიდან 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სასჯელის სახით მხოლოდ ჯარიმას და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ითვალისწინებს. მაშინ, როცა მსჯავრდებულს შემოსავლის წყარო არ გააჩნია, სასამართლო გადახდისუუნაროს ჯარიმას ვერც შეუფარდებდა. როდესაც ჯარიმის შეფარდება შეუძლებელია მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასამართლომ მსჯავრდებულს სწორედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უნდა შეუფარდოს, თუ შესაბამისი ნორმა ამის შესაძლებლობას იძლევა.

8.4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

სისხლის სამართალი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას განიხილავდა ჯარიმის გადახდის „შესაძლებლობის არქონისა“ და „სურვილის არქონის“ დროს გადასახდელი ჯარიმის დაფარვის საშუალებას. 1986 წლიდან გერმანული კანონმდებლობით, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში გამოიყენება ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების აღკვეთა (Ersatzfreiheitsstrafe).

[144] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განაჩენი, საქმე №1/2068-15. ხელმისაწვდომია არქივში.

მოგვიანებით ფედერალური მიწების მთავრობებს მიენიჭათ უფლება, რომ პროკურატურისთვის მიეცათ შესაძლებლობა, მსჯავრდებულს დართონ ნება ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების გზით მოიხადოს[145]. მაშასადამე, აღნიშნული სახის შრომა გამოიყენება არა როგორც სასჯელის დამოუკიდებელი სახე, არამედ, როგორც ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების ღკვეთის მოხდის საშუალება.

მართალია, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო მსჯავრდებულის შრომის ანაზღაურების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს თავის გადაწყვეტილებაში, მაგრამ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის შესავალი კანონის (EGStGB) 293-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (Freie Arbeit/Gemeinnützige Arbeit) უნდა იყოს უსასყიდლო. აღნიშნული სამუშაო არ წარმოშობს იმ უფლებებს და მოვალეობებს, რაც მუშასა და დამქირავებელს შორის არსებობს შრომითი ხელშეკრულების შედეგად[146].

სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება გერმანულ ლიტერატურაში კამათს იწვევს კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ, აქ მხედველობაშია ის კონსტიტუციური ნორმა, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ შრომა თავისუფალია და იძულებითი შრომა აკრძალულია[147] (გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 პარაგრაფი და საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი).

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, სასჯელის მოსახდელად შესრულებული სამუშაო იძულებით შრომას არ განეკუთვნება[148].

8.5. გამასწორებელი სამუშაო

გამასწორებელი სამუშაო სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქციით[149] გათვალისწინებული სასჯელის სახეა, რომელიც მხოლოდ ძირითად სასჯელად ინიშნება. იგი გულისხმობს მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის დაქვითვას განაჩენით დადგენილი ოდენობით, რომლის მინიმუმი ხელფასის ხუთი, ხოლო მაქსიმუმი ოცი პროცენტია. აღნიშნუ-

[145] http://vmrz0183.vm.ruhr-uni-bochum.de/krimlex/artikel.php?BUCHSTABE=G&KL_ID=73.

[146] იქვე.

[147] იქვე.

[148] *ფუტკარაძე ი.*, წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 370.

[149] სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონის პროექტით იგეგმება აღნიშნული სასჯელის გაუქმება.

ლი სასჯელი შეიძლება დაინიშნოს ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მისი აღსრულება ხდება მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

შეიძლება მსჯავრდებული მუშაობდეს ორ ადგილზე, სხვადასხვა დაწესებულებაში, რომელთაგან ერთი იქნება ძირითადი, მეორე არაძირითადი სამუშაო ადგილი. ასეთ დროს, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გამასწორებელი სამუშაო აღსრულდება ძირითად სამუშაო ადგილზე.

გამასწორებელი სამუშაო თავისი ბუნებით კომპლექსური ხასიათისაა და იგი აერთიანებს როგორც ჯარიმისთვის, ისე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისთვის დამახასიათებელ თვისებებს. როგორც ჯარიმის მოხდისას, ისე გამასწორებელი სამუშაოს შეფარდებისას, კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული თანხის გადახდას. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჯარიმის აღსრულებისას, მსჯავრდებული უშუალოდ იხდის თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს შემთხვევაში, მსჯავრდებულის ხელფასიდან ხდება თანხის დაქვითვა. რაც შეეხება გამასწორებელი სამუშაოს მსგავსებას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან, ორივე შემთხვევაში მსჯავრდებული დასაქმებულია, განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ თუ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უსასყიდლო შრომას გულისხმობს, გამასწორებელი სამუშაოს დროს მსჯავრდებულის შრომის ანაზღაურება ხდება, თუმცა იგი უსასყიდლო შრომის ელემენტსაც შეიცავს იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებული სრულად ვერ იღებს ხელფასს და გარკვეული პროცენტით თანხის დაქვითვა ხდება.

გამასწორებელი სამუშაო სარგებლიანობის თვალსაზრისით, აღემატება როგორც ჯარიმას, ისე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასაც. სარგებლიანობაში იგულისხმება სასარგებლო შედეგები როგორც მსჯავრდებულისთვის, ისე საზოგადოებისთვის. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჯარიმის დღიური ანაზღაურების სისტემისთვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს, რამდენადაც მსჯავრდებულს თანხის გადახდა ერთბაშად კი არ უწევს სახელმწიფო ბიუჯეტში, არამედ მისი დაქვითვა ხდება ხელფასიდან და იგი, როგორც წესი, არ ატარებს ერთჯერად ხასიათს. ანუ ეტაპობრივად ისე ხდება თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში, რომ იგი შედარებით ნაკლებ ტვირთად აწვება მსჯავრდებულს, ვიდრე მაშინ, როცა მსჯავრდებულს ერთჯერადად (ერთად) ეკისრება თანხის გადახდა. გარდა ამისა, მსჯავრდებული ინარჩუნებს სამსახურს და თვითონ გამოიმუშავებს იმ თანხას, რომლის დაქვითვაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტში. ის რომ მსჯავრდებული სამსახურს ინარჩუნებს, ხელს უწყობს მის სოციალიზაციას.

გამასწორებელ სამუშაოსთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, რამდენად უწყობს იგი ხელს სასჯელის მიზნების მიღწევას და სასჯელის მიზნებიდან

უფრო მეტად რომელი მიზნის მიღწევაა შესაძლებელი გამასწორებელი სამუშაოს შეფარდებით? უნდა ითქვას, რომ თუ სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი უმართლობის სიმძიმე, ბრალის ხარისხი და სხვა გარემოებები, გამასწორებელი სამუშაო ხელს უწყობს სასჯელის სამივე მიზნის მიღწევას. მაგრამ, თუ სასჯელის შეფარდებისას არ მოხდა აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინება, არა მხოლოდ გამასწორებელი სამუშაო, არამედ სასჯელის სხვა სახეებიც ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

გამასწორებელი სამუშაოს შეფარდება მიზანშეუწონელია მაშინ, როცა მსჯავრდებულის დატოვება თანამდებობაზე ქმნის იმის საფრთხეს, რომ თანამდებობა მის მიერ დანაშაულის ჩასადენად იქნება გამოყენებული. გამასწორებელი სამუშაო, როგორც უკვე ითქვა, გულისხმობს მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის დაქვითვას, მაგრამ თუ მსჯავრდებული გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, თუ მსჯავრდებულს შეეფარდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ბუნებრივია, გამოირიცხება მსჯავრდებულისთვის გამასწორებელი სამუშაოს შეფარდების შესაძლებლობაც. მართალია, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დამატებით სასჯელადაც შეიძლება დაინიშნოს, მაგრამ არა გამასწორებელ სამუშაოსთან, არამედ სხვა სასჯელთან ერთად. ამის თაობაზე არ არის მითითებული სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ ეს ისედაც გამომდინარეობს აღნიშნულ სასჯელთა ბუნებიდან.

გამასწორებელი სამუშაო ალტერნატიულ სასჯელად გათვალისწინებულია ისეთ სასჯელებთან ერთად, როგორიცაა ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. კანონმდებლის ასეთი გადაწყვეტილება სავსებით გასაგებია, ვინაიდან როგორც უკვე ითქვა, გამასწორებელი სამუშაო ჯარიმის და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისთვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს.

გამასწორებელი სამუშაო სს კოდექსის ზოგიერთ მუხლში ჯარიმის და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გარდა, თავისუფლების ვადიან აღკვეთასთან ერთადაც არის ალტერნატიულ სასჯელად გათვალისწინებული (185-ე, 186-ე, 187-ე, 198-ე, 239-ე მუხლები), მაგრამ თავისუფლების აღკვეთის ზომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დანაშაულები, რომლებიც გამასწორებელი სამუშაოთი ისჯება, ნაკლებად მძიმე კატეგორიისაა. დაუშვებელია გამასწორებელი სამუშაოთი ისჯებოდეს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები.

როგორც უკვე ითქვა, გამასწორებელი სამუშაო გათვალისწინებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის, მაგრამ კანონმდებელი ამ სასჯელს ყველა ტიპის ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვისაც არ განსაზღვრავს. მაგალითად, სამოხელეო დანაშაულის ძირითად შემადგენლობათა უმეტესობა ნაკლებად მძიმე კატეგორიისაა, მაგრამ კანონმდებელი უარს ამბობს აღნიშნულ დანაშაულთა განხორციელებისას მსჯავრდებულისთვის გამასწორებელი სამუშაოს

შეფარდებაზე, რასაც თავისი მიზეზი აქვს.

როდესაც ჩადენილი დანაშაული მსჯავრდებულის სამსახურებრივ მდგომარეობას უკავშირდება, ალოგიკურია გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა[150]. სამოხელეო დანაშაულის ჩადენისას, დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, უმეტესწილად, მიზანშეწონილია ძირითად სასჯელთან ერთად ისეთი სასჯელის გამოყენება, როგორიცაა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. იქ, სადაც მსჯავრდებულს ეკრძალება თანამდებობის დაკავება ან განსაზღვრული სახის საქმიანობა, შეუძლებელი ხდება სასჯელად გამასწორებელი სამუშაოს შეფარდება.

მართალია, სამოხელეო დანაშაულთა თავში გვხვდება ორიოდე მუხლი (ქრთამის მიცემა – 339-ე და ზეგავლენით ვაჭრობა – 3391-ე მუხლები), რომელიც ალტერნატიულ სასჯელად გამასწორებელ სამუშაოსაც ითვალისწინებს, მაგრამ საგულისხმოა ის, რომ ამ დანაშაულებიდან არცერთის ამსრულებელი არ არის მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. მიუხედავად ამისა, მაინც საკამათოა, რამდენად მიზანშეწონილი შეიძლება იყოს აღნიშნული დანაშაულებისთვის ერთ-ერთ სასჯელად გამასწორებელი სამუშაოს გათვალისწინება.

გამასწორებელი სამუშაოს გამოყენების სასამართლო პრაქტიკა საქართველოში არ არსებობს, რის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ამ სასჯელის რეალურად აღსრულებასთან დაკავშირებით არსებული საფრთხე. როდესაც დასაქმებული პირი ჩადის დანაშაულს, იქმნება იმის სასიშროება, რომ მსჯავრდებული დამსაქმებელმა სამსახურიდან გაათავისუფლოს. თუ მსჯავრდებულმა ჩადენილი დანაშაულის გამო სამსახური დაკარგა, გამასწორებელი სამუშაოს აღსრულებაც შეუძლებელი გახდება. იმისთვის, რომ ეს სასჯელი აღსრულდეს, მსჯავრდებული უნდა იყოს დასაქმებული და დამსაქმებელი მას ხელფასს უნდა უხდიდეს.

სს კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამასწორებელი სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით, „თუ მსჯავრდებული ჯიუტად აარიდებს თავს გამასწორებელ სამუშაოს", რაც ბადებს კითხვას იმასთან დაკავშირებით, რამდენად სწორია მოცემული დებულება?

გამასწორებელი სამუშაო, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის დაქვითვას. მსჯავრდებული თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში უშუალოდ კი არ იხდის, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დამსაქმებელი უქვითავს მსჯავრდებულს ხელფასს. შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო

[150] *დვალიძე ი.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 53.

გადაწყვეტილების საფუძველზე, პრობაციის ბიურო დამსაქმებელს უგზავნის მოთხოვნას მსჯავრდებულის ხელფასიდან სასამართლო განაჩენით დადგენილი ოდენობით სახელმწიფო შემოსავალში თანხის დაქვითვის თაობაზე. მაშასადამე, გამასწორებელი სამუშაოს აღსასრულებლად მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში თანხის დაქვითვასთან დაკავშირებით მოთხოვნა მიმართულია არა მსჯავრდებულისკენ, არამედ დამსაქმებლისკენ და სწორედ მას შეუძლია ამ მოთხოვნის როგორც შესრულება, ისე შეუსრულებლობა. რაც მსჯავრდებულს გამასწორებელი სამუშაოსთვის თავის არიდების თვალსაზრისით შეუძლია, არის არა საკუთარი ხელფასის დაქვითვა (რამდენადაც ამას არა თვითონ, არამედ დამსაქმებელი აკეთებს), არამედ სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა, რაც ხელფასის გაცემის და, შესაბამისად, ხელფასიდან თანხის დაქვითვის შესაძლებლობასაც სპობს.

8.5 სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა მიეკუთვნება იმ სასჯელთა სახეებს, რომელიც მხოლოდ ძირითად სასჯელად შეიძლება დაინიშნოს. იგი გამოიყენება მხოლოდ სამხედრო დანაშაულის ჩამდენი სამხედრო პირის მიმართ (სს კოდექსის 46-ე მუხ.). მაშასადამე, აღნიშნული სასჯელის შეფარდების საფუძველია სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა, მაგრამ კანონი უშვებს სამხედრო პირის მიმართ ამ სასჯელის გამოყენებას სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც, სს კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული გამასწორებელი სამუშაოს ნაცვლად. სს კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტით იგეგმება გამასწორებელი სამუშაოს, როგორც სასჯელის გაუქმება და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა გულისხმობს მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში თანხის დაქვითვას განაჩენით დადგენილი ოდენობით არა უმეტეს ოცი პროცენტისა. ამ სასჯელის მოხდისას დაუშვებელია მსჯავრდებულის დაწინაურება თანამდებობაზე. არ შეიძლება სასჯელის მოხდის ვადა მსჯავრდებულს ნამსახურობის ვადაში ჩაეთვალოს მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად.

სს კოდექსით განსაზღვრულია განსახილველი სასჯელის როგორც მინიმუმი, ისე მაქსიმუმი (სამი თვიდან ორ წლამდე ვადით).

საქართველოს სს კოდექსის კერძო ნაწილში სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა მეტწილად ნაკლებად მძიმე სამხედრო დანაშაულებზეა გათვალისწინებული. თუმცა, იგი ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად ზოგიერთი მძიმე დანაშაულისთვისაც არის განსაზღვრული (მაგალითად,

389-ე მუხლით დეზერტირობისთვის).

სამხედრო პირის სამსახურებრივ შეზღუდვაზე საუბრისას ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა მასთან ერთად დაინიშნოს დამატებითი სასჯელი და რომელი სასჯელი?

41-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ქონების ჩამორთმევა, მაგრამ ჩამოთვლილი სასჯელებიდან დამატებით სასჯელად რომელი სასჯელის გამოყენებაა მიზანშეწონილი, როცა ძირითად სასჯელად სამხედრო პირს სანსახურებრივი შეზღუდვა ეფარდება?

ვინაიდან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ისედაც ჯარიმის ეფექტის მქონე სასჯელია იმ თვალსაზრისით, რომ სამხედრო პირის ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაქვითვა ხდება, მიზანშეუწონელია მასთან ერთად დამატებით ისეთი სასჯელის შეფარდება, როგორიც ჯარიმაა. როცა სამხედრო პირს ძირითად სასჯელად სამსახურებრივი შეზღუდვა ეფარდება, მისი შემოსავალი ამით მცირდება ხელფასიდან თანხის დაქვითვის გზით, ამიტომ დამატებით ჯარიმის შეფარდება სასჯელის პროპორციულობის კუთხით გაუმართლებელია. ჯარიმის გამოყენება დამატებით სასჯელად მაშინ შეიძლება იყოს გამართლებული, როცა ჩადენილი დანაშაულით დამნაშავემ მატერიალური გამორჩენა მიიღო ან მის მიღებას ცდილობდა. ასეთი დანაშაული არც არის გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანასაულთა თავში. მართალია, აღნიშნულ თავში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულიც, რომლისთვისაც ალტერნატიულ სასჯელად ჯარიმაა განსაზღვრული, მაგალითად, სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება (სსკ 397-ე მუხ.), მაგრამ ეს დანაშაული არ გულისხმობს დამნაშავის მხრიდან მატერიალური სარგებლის მიღებას ან მის მცდელობას და, შესაბამისად, ჯარიმა ამ დანაშაულის ჩამდენს მხოლოდ ძირითად სასჯელად შეიძლება შეეფარდოს და არა დამატებით სასჯელად სამხედრო პირის სამსახურებრივ შეზღუდვასთან ერთად.

იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო პირის სამსახურებრივ შეზღუდვასთან ერთად დამატებით მსჯავრდებულისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, აგრეთვე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შეფარდებაზე. სამხედრო სამსახურის სპეციფიკა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სამხედრო მოსამსახურემ დამატებით უსასყიდლო შრომა გასწიოს. გარდა ამისა, სამხედრო სამსახური თავისი არსით საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის სასარგებლო სამსახურის ფუნქციას ისედაც ასრულებს. მსჯავრდებულს სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს უწევს ისეთი ფუნქციის შესრულება, რაც თავისებურ შრომას და დატვირთვას წარმოადგენს. ამასთან ერთად, მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფო

ბიუჯეტში გარკვეული თანხაც ირიცხება. მაშასადამე, აღნიშნულ სასჯელში გაერთიანებულია ის ნიშნები და თავისებურებები, რომელიც დამახასიათებელია როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისთვის, ისე ჯარიმისთვის. კერძოდ, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესრულება და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გარკვეული თანხების გაღება.

რაც შეეხება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, იგი სამხედრო პირის სამასახურებრივ შეზღუდვასთან ერთად იმდენად ვერ გამოიყენება, რამდენადაც შეუძლებელია სამხედრო სამსახურში რჩებოდეს და რაიმე სახის თანამდებობას იკავებდეს პირი, რომელსაც თანამდებობის დაკავების ან განსაზღვრული საქმიანობის უფლება ერთმევა. ამ ორი სასჯელის ერთად გამოყენება, ერთის ძირითად, ხოლო მეორის დამატებით სასჯელად, ურთიერთგამომრიცხავი და ალოგიკურია.

მსჯავრდებულისთვის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს მისთვის სახელმწიფოს მხრიდან უნდობლობის გამოცხადებას. მაშინ უფარდებენ მსჯავრდებულს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, როცა მიიჩნევენ, რომ მსჯავრდებული თანამდებობის შენარჩუნებით ან განსაზღვრული საქმიანობის გაგრძელებით ზიანს მიაყენებს საზოგადოებას და სახელმწიფოს. თუ ასეთი დაბალი ნდობა არსებობს პირის მიმართ, მისი ყოფნა სამხედრო სამსახურში მით უფრო გაუმართლებელი და არაპროპორციული სასჯელია.

სამხედრო პირის სამსახურებრივ შეზღუდვასთან ერთად დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევის შეფარდების საკითხიც საკამათოა. ქონების ჩამორთმევა შეიძლება გამოიხატოს მაგალითად დანაშაულის საგნის ან იარაღის ჩამორთმევაში. ეს შეიძლება იყოს მაგალითად დანაშაულის იარაღი, რამდენადაც მსჯავრდებულის მფლობელობაში მისი დატოვება იმის საფრთხეს ქმნის, რომ იგი კვლავ იქნას გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ, ჩნდება კითხვა, პირი, რომელსაც დანაშაულის იარაღი ჩამოერთვა იარაღის ფლობით განპირობებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რამდენად მიზანშეწონილია სამხედრო სამსახურში რჩებოდეს და ჰქონდეს შემხებლობა იარაღთან და საბრძოლო მასალასთან?

8.6. თავისუფლების შეზღუდვა

თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე მსჯავრდებულის მოთავსებას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ზედამხედველობის განხორციელებით. იმისთვის რომ მსჯავრდებულს აღნიშნული სასჯელი შეეფარდოს, იგი უნდა იყოს ნასამართლობის არმქონე.

თავისუფლების შეზღუდვა მსჯავრდებულს თავიდანვე ენიშნება ან შეი-

ძლება თავისუფლების აღკვეთა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეეცვალოს ამ სასჯელით, თუ მსჯავრდებული დაადგა გამოსწორების გზას და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ არღვევს კანონის მოთხოვნას.

თავისუფლების შეზღუდვა არის თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი და ჯარიმაზე და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე უფრო მკაცრი სასჯელი. ამიტომ, თავისუფლების შეზღუდვა მსჯავრდებულს მაშინ შეეფარდება, როცა სასჯელის მიზნის მისაღწევად არ არის აუცილებელი ისეთი მკაცრი სასჯელის გამოყენება, როგორიც თავისუფლების აღკვეთაა, ხოლო უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა (ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა) არაეფექტურია დანაშაულის სიმძიმის და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.

სსკ-ის 47-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, "თავისუფლების შეზღუდვა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს". პირთა წრესთან დაკავშირებით ასეთი შეზღუდვის დაწესება გაუმართლებელია, ვინაიდან იგი ჰუმანიზმის პრინციპს არ შეესაბამება. თუ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და მსჯავრდებულის პიროვნება იძლევა აღნიშნული სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას, გაუგებარია, რატომ არ უნდა იქნეს იგი გამოყენებული. მით უფრო გაუმართლებელია არსებული შეზღუდვა პირთა წრესთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავისუფლების შეზღუდვა თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით უფრო მსუბუქი სასჯელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამართლებულია, რომ სს კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი ამ შეზღუდვის მოხსნას ითვალისწინებს.

თავისუფლების შეზღუდვის შეფარდებისას დანაშაულის სიმძიმის გარდა დამნაშავის პიროვნება და ამგვარი სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით მსჯავრდებულის სურვილიც გასათვალისწინებელია, ვინაიდან მისი აღსრულება ამ გარემოებებთან მჭიდროდ არის დამოკიდებული. თავისუფლების შეზღუდვის მსჯავრდებულისთვის შეფარდებას და შემდგომ მის აღსრულებას შეიძლება ხელი შეუშალოს მსჯავრდებულის დამოკიდებულებამ კრიმინალური სამყაროს მიმართ.

8.7. თავისუფლების აღკვეთა

8.7.1. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

ადამიანის თავისუფლების უფლება კონსტიტუციით გარანტირებულ ერთერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს. თავისუფლების აღკვეთა კი, ამ უფლე-

ბაში ჩარევას გულისხმობს. ადამიანის თავისუფლების უფლება იმდენად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც ultima ratio. თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმა ექვემდებარება უმკაცრეს კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ჩარევის პროპორციულობის კუთხით. ამასთან, რაც უფრო განგრძობადი და ინტენსიურია ჩარევა, მით უფრო იზრდება შეფასების სიმკაცრე მისი კონსტიტუციურობის განხილვისას"[151].

ადამიანის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, რაც მასში ჩარევის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ აუცილებელია, რომ ჩარევა მოხდეს კონსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით. ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმების სიმკაცრის ხარისხი განსაკუთრებით დიდია, რაც იმით არის განპირობებული, რომ „ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმით – თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას"[152].

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვისგან განსხვავებით, მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას ნიშნავს. თავისუფლების აღკვეთა სხვა სახის სასჯელებზე უფრო მძიმეა და იგი მსჯავრდებულს მოსამართლემ მხოლოდ მაშინ უნდა შეუფარდოს, როცა სასჯელის სხვა სახეების გამოყენებით სასჯელის მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.

მიუხედავად მე-19 საუკუნის ბოლოს თავისუფლების აღმკვეთი სასჯელების წინააღმდეგ წარმოებული შეტევისა, დღემდე რჩება კოდექსებში ყველაზე ხშირად გათვალისწინებულ სასჯელად, რადგანაც მძიმე დანაშაულების შემთხვევაში მხოლოდ ის უზრუნველყოფს ბოროტმოქმედთა მოცემულ მომენტში და ხანგრძლივად ნეიტრალიზებას[153].

საქართველოს სსკ-ით ვადიანი თავისუფლების აღკვეთა მინიმუმ ექვსი[154] თვით და მაქსიმუმ ოცი წლით შეიძლება დაინიშნოს. თუმცა, შესაძლებელია

---

[151] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება, მე-15 პუნქტი.

[152] იქვე, მე-6 პუნქტი.

[153] *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედაქტორი თ. ნინიძე, თბ., 1999, გვ. 423.

[154] სს კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ვადის 3 (სამ) თვემდე შემცირება.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ექვს თვეზე ნაკლები ვადითაც დანიშვნა, თუ სახეზეა გარემოება, რომელიც კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის უფლებას იძლევა. ასეთ გარემოებას, მოქმედი კანონმდებლობით, მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს. ექვს თვეზე მცირე ვადით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის გადაწყვეტილება მოსამართლემ შეიძლება მაშინაც მიიღოს, როცა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა ან ჯარიმა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით იცვლება[155]. მაშინ, როცა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მცირე ვადით ინიშნება მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სასჯელის შეფარდება პროპორციულობის პრინციპიდან გადახვევით ხდება, ვინაიდან კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის მიზეზი არ არის არც დანაშაულის სიმძიმე, არც დამნაშავის პიროვნება და აგრეთვე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი რაიმე განსაკუთრებული სახის გარემოება.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არსებობს გრძელვადიანიც და მოკლევადიანიც. ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით მეცნიერებაში აზრი იყოფა. მის გამოყენებას ყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეებიც. მოწინააღმდეგეთა აზრით, ხანმოკლე სასჯელი "არც ისე ხანგრძლივია მორალური ზემოქმედებისთვის და ძალზე დიდხანს გრძელდება პიროვნების წახდენისთვის"[156].

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემდეგი სახეებიც არსებობს: აბსოლუტურად განსაზღვრული და შედარებით განსაზღვრული. პროპორციული სასჯელის დანიშვნა შედარებით განსაზღვრული სანქციის ფარგლებშია შესაძლებელი. თუ თავისუფლების აღკვეთის ვადა აბსოლუტურად განსაზღვრულია, მოსამართლე დამნაშავისთვის პროპორციული სასჯელის დანიშვნას ვერ შეძლებს. ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში უმეტესად სწორედ შედარებით განსაზღვრულ სანქციებს ვხვდებით, მაგრამ კოდექსში გვხვდება ისეთი მუხლიც, რომელშიც თავისუფლების აღკვეთის ვადა აბსოლუტურად განსაზღვრულია. მაგალითად, 2381-ე მუხლი, რომელიც ცივი იარაღის ტარებისთვის ჯარიმის გარდა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვის ვადით. გარდა ამისა, 200[2]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით, შეძენა და გამოყენება ან სხვა პირებისათვის გადაცემა, 6 თვემდე ვადით ისჯება, მაგრამ აღნიშნული სასჯელის ქვედა ზღვარიც,

---

[155] სს კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იგეგმება გარკვეული სიახლეები. კერძოდ, კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება შესაძლებელი იქნება საპროცესო შეთანხმების გარეშე, განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას.

[156] *R. Saleiles*, "სასჯელთა ინდივიდუალიზაცია", პარიზი, 1898, გვ. 194. ციტირებულია: *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედაქტორი თ. ნინიძე, თბ., 1999, გვ. 425.

ზოგადი წესისამებრ, 6 თვეა. გამოდის, რომ აღნიშნული სანქციაც აბსოლუტურად განსაზღვრულია, ვინაიდან დასახელებული დანაშაულის ჩამდენს მოსამართლე 6 თვეზე ვერც მეტი და ვერც ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას ვერ შეუფარდებს.

პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად მნიშვნელოვანია ის, რომ თავისუფლების აღკვეთის ვადა აბსოლუტურად არ იყოს შესაბამის მუხლში განსაზღვრული და კანონმდებელი მიუთითებდეს სანქციის როგორც მინიმუმს, ისე მაქსიმუმს, მაგრამ არსებითია აგრეთვე კანონით განსაზღვრული ამპლიტუდა მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის და ის, თუ რამდენად შეესაბამება სანქციის საკანონმდებლო ფარგლები დასჯადი ქმედების სიმძიმეს. ამპლიტუდა არ უნდა იყოს მეტად მცირე, რომ ამით აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას გაუტოლდეს და ასევე მიუღებელია არაგონივრულად დიდი ამპლიტუდის არსებობა. არაგონივრულად დიდ ამპლიტუდად შეიძლება მივიჩნიოთ სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის 8 (რვა), 10 (ათი) ან 12 (თორმეტი) წლიანი სხვაობა. სსკ-ის 313-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ომიანობის დროს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე. სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის რვა წლიანი სხვაობა გაუმართლებელია, ვინაიდან მოსამართლის სუბიექტივიზმს ფართოდ უღებს კარს და შეუძლებელს ხდის იმის განჭვრეტას, თუ რა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დამნაშავეს შეეფარდოს. თორმეტიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 314-ე მუხლის მე-2 ნაწილიც (ჯაშუშობა დამამძიმებელ გარემოებაში). ხოლო 318-ე მუხლის მე-3 ნაწილი (საბოტაჟი დამამძიმებელ გარემოებებში) ათიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას აწესებს.

როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელის პროპორციულობისთვის მნიშვნელოვანია, რომ კანონით განსაზღვრული სასჯელი დასჯადი ქმედების სიმძიმეს შეესაბამებოდეს. ამ თვალსაზრისით კანონმდებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც დასაცავი სამართლებრივი სიკეთის ღირებულება, ისე სხვა გარემოებები. მაგალითად, ძალადობითი დანაშაული უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე არაძალადობითი. ქართველი კანონმდებელი ზოგჯერ ამ კრიტერიუმებს არ ითვალისწინებს და ცალკეული დანაშაულებრივი ქმედებისთვის არაპროპორციულ სასჯელს განსაზღვრავს. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული სანქცია. დასახელებული ნორმით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა ნარკოტიკული დანაშაულის (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) დამამძიმებელ გარემოებებში განხორციელება.

ნარკოტიკული დანაშაული არ მიეკუთვნება ძალადობით დანაშაულთა რიცხვს. იგი არ შეიძლება უფრო მკაცრად ისჯებოდეს, ვიდრე გაუპატიურება და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, მაშინაც კი, როცა სახეზეა დამამძიმებელი გარემოება. ამიტომ, სრულიად საფუძვლიანი იყო აღნიშნული სანქციის კონსტიტუციურობის საკითხის დასმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული სანქცია იმ მხრივაც იყო გაუმართლებელი, რომ სანქციის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის დიდი ამპლიტუდას ითვალისწინებდა, რაც მსჯავრდებულისთვის ართულებდა სასჯელის მოსალოდნელი ზომის (სამართლებრივი შედეგის) განჭვრეტის შესაძლებლობას. პირს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ იმის განჭვრეტა, თუ რა სახის სასჯელი შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩადენისას, არამედ იმისაც, თუ რა ზომის იქნება იგი.

2015 წლის 8 ივლისის კანონით (რომელიც ამავე წლის 31 ივლისს ამოქმედდა) სსკ-ის 260-ე მუხლში ცვლილებები იქნა შეტანილი, რის შედეგადაც იმ ქმედებისთვის, რომელიც მანამდე 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა, შემცირდა სასჯელის ზომა და იგი განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე. გარდა იმისა, რომ სასჯელის ზომა შემსუბუქდა, შემცირდა ამპლიტუდაც სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი სიახლე, რომ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო გასაღება ცალკე შემადგენლობად გამოიყო და უფრო მკაცრი სასჯელი დაწესდა, ვიდრე დასახელებულ ნივთიერებათა დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისთვის, რაც კანონმდებლის მართებულ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად 260-ე მუხლთან დაკავშირებით სს კოდექსში შეტანილი ცვლილებებისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თვალსაზრისით, 260-ე მუხლის სადავო ნორმის ახალი რედაქცია მნიშვნელოვანწილად, არსებითად იმეორებს ძველი რედაქციის ნორმატიულ შინაარსს[157]. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულში იმას გულისხმობს, რომ ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა თუნდაც პირადი მოხმარების მიზნით 260-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვითაც თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

მ. ტურავას თვალსაზრისით, 260-ე მუხლში 2015 წლის 8 ივლისის კანონით შეტანილი ცვლილება არასაკმარისია, ვინაიდან პირადი მოხმარების მიზნით (70 გრამამდე) მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის დაწესებული მინიმალური სასჯელი გახდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც დასახელებული

[157] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, მე-8 პუნქტი.

ქმედებისთვის არაპროპორციული სასჯელია. მ. ტურავა ამავდროულად არ ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს იმაში, რომ თავისუფლების აღკვეთა მიიჩნია არაპროპორციულ სასჯელად ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე მარიხუანის შეძენა-შენახვა[158].

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის პოზიციით, „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ღონისძიება და, შესაბამისად, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენებას აშკარად არაადეკვატურად გამოაჩენს"[159].

როდესაც საუბარია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებაზე, მხედველობაშია მისაღები სასჯელის ეკონომიურობის პრინციპი, რაც სასჯელის გამოყენებისას სახელმწიფოს მიერ გაღებულ ხარჯებს გულისხმობს. ნორმის შემფარდებელმა სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს ძვირი უჯდება. სასჯელის ეკონომიურობის პრინციპის დარღვევის ნეგატიური შედეგები ორი ასპექტით ვლინდება. თავისუფლების გრძელვადიანი აღკვეთა მძიმე ტვირთად აწვება როგორც სახელმწიფოს, ისე მსჯავრდებულის ოჯახსაც[160]. გარდა ამისა, თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ მეტია იმის შანსი, რომ მსჯავრდებულმა დანაშაული კვლავ ჩაიდინოს[161], ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ნაკლებად უწყობს ხელს. თუ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ვერ განხორციელდა, შესაბამისად, საფრთხე იმისა, რომ დანაშაული განმეორებით იქნას ჩადენილი, დიდია[162].

თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის ასაკსაც. მაგალითად, არასრულწლოვანის მიმართ აღნიშნული სასჯელის შეფარდების კუთხით დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მოსამართლემ, ვინაიდან გარდატეხის ასაკში მყოფი არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებამ მძიმე შედეგები შეიძლება გამოიწვიოს[163].

---

[158] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებაზე.

[159] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის" ზრდის თაობაზე, 1-ლი პუნქტი. იხ. *მიქანაძე გ.*, პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012, გვ. 125.

[160] *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 111-112; *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 34.

[161] *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.*, იქვე, გვ. 35.

[162] იქვე, გვ. 67-68.

[163] იქვე, გვ. 78.

8.7.2. უვადო თავისუფლების აღკვეთა

უვადო თავისუფლების აღკვეთა, ვადიანი აღკვეთისგან განსხვავებით, მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენს შეიძლება შეეფარდოს. დანაშაულის სიმძიმის გარდა სხვა საფუძველიც არსებობს, რაც ამ სასჯელის შეფარდებას დაუშვებელს ხდის. კერძოდ, დამნაშავის ასაკი და დანაშაულის განვითარების სტადია. უვადო თავისუფლების აღკვეთა არ ეფარდება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე თვრამეტი წელი არ შესრულებია ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის სამოცი წელი შეუსრულდა (სსკ-ის 51-ე მუხ.).

უვადო თავისუფლების აღკვეთა აგრეთვე არ ენიშნება იმასაც, ვინც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა განახორციელა, მიუხედავად იმ დანაშაულის სიმძიმისა, რომლის განხორციელებისთვის პირი ემზადებოდა ან რომლის ჩადენაც სცადა (56-ე მუხ. მე-4 ნ.).

ის, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არსებობს, სასჯელის პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარეობს. აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმასაც, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენის მიმართ განსახილველი სასჯელის გამოყენება დასაშვებია.

როდესაც საუბარია უვადოდ თავისუფლების აღკვეთაზე, ჩნდება კითხვა, რამდენად პროპორციული სასჯელია იგი თუნდაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და ხომ არ იწვევს იგი მსჯავრდებულის უფლებების არაკონსტიტუციურ შეზღუდვას? როგორც ცნობილია, სასჯელის მიზნებია დამნაშავის რესოციალიზაცია და დანაშაულის თავიდან აცილება, მაგამ რამდენად შეიძლება ამ მიზნების მიღწევა დამნაშავისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებით?

დასმულ კითხვაზე არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული სისხლის სამართლის ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში. *გ. ნაჭყებიას* თვალსაზრისით, უვადო თავისუფლების აღკვეთა მეტისმეტად მკაცრი სასჯელია და იგი სამაგიეროს მიზღვას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძებას. მაშასადამე, გამოთქმული შეხედულების მიხედვით, თავისუფლების უვადო აღკვეთა სასჯელის მიზნებს არ შეესაბამება და ადგილი აქვს მიზან-საშუალების შეუსაბამობას[164]. იქ, სადაც მიზან-საშუალების შეუსაბამობაა, პროპორციულობაც გამორიცხულია, ვინაიდან პროპორციულობა საშუალების მიზანთან შესაბამისობას მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, *გ. ნაჭყებია* თავისუფლების უვადოდ აღკვეთის გაუქმების ინიციატივითაც გამოდის.

[164] *ნაჭყებია გ.*, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, "მართლმსაჯულება და კანონი", 2013, №2, გვ. 113.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, თავისუფლების უვადოდ აღკვეთა, შეწყალების პრაქტიკის გათვალისწინებით, არ ლახავს ადამიანის ღირსებას, ვინაიდან, პირს, რომელსაც მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, აქვს შანსი, რომ ოდესმე გახდება თავისუფალი. თუმცა, საკმარისი არ არის მხოლოდ შეწყალების შესაძლებლობა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეწყვეტის წინაპირობები და პროცედურები კანონით იყოს განსაზღვრული[165].

სასჯელის მუქარისა და გამოყენებისთვის არაპროპორციული ჩარევის აკრძალვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება ეხებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის უვადოდ თავისუფლების აღკვეთით დასჯის საკითხს. სასამართლოს წინაშე, უპირველეს ყოვლისა, სამი საკითხი იდგა გასარკვევად: პირველი, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ხელყოფდა თუ არა ადამიანის ღირსებას, მეორე, იგი დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისთვის წარმოადგენდა თუ არა „საჭირო და თანაზომიერ" სანქციას, და მესამე, დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ყველა შემთხვევისთვის მისი მუქარა არღვევდა თუ არა არაპროპორციული ჩარევის აკრძალვას[166].

საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვეული წინაპირობების არსებობისას უვადოდ თავისუფლების აღკვეთის ადამიანის ღირსებასთან შესაბამისობა დაადასტურა, კერძოდ, კანონმდებელი უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს განსაზღვრული წინაპირობების გათვალისწინებით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას აძლევს. სასამართლომ მეორე საკითხი განიხილა იმ თეზისის საფუძველზე, რომ არსებობს „კონსტიტუციური მოთხოვნა რაციონალურ და ზომიერ სასჯელზე". ეს თეზა სასამართლომ საფუძვლად დაუდო იმის გამოკვლევას, უვადოდ თავისუფლების აღკვეთის მუქარა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისთვის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება თუ არა. სასჯელის მთავარ მიზნად მიჩნეულ იქნა საზოგადოების დაცვა სოციალურად საზიანო ქმედებისგან, ისევე როგორც საზოგადოების ცხოვრების ელემენტარული ღირებულებების დაცვა. აღნიშნული მიზანი პირველ რიგში უნდა მიიღწეს პოზიტიური და/ან ნეგატიური გენერალური პრევენციის გზით[167].

მესამე საკითხთან დაკავშირებით, დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ყველა გამოვლინებისთვის ერთადერთი სასჯელის მუქარის დასაშვებობაზე სასამართლომ კრიტიკული აზრი გამოხატა და აღნიშნა, რომ სასჯელის

[165] *შვაბე ი.*, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, გვ. 15-16.

[166] *Weigend Th.*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, Berlin. New York, 1999, S. 918-919.

[167] *Weigend Th.*, დასახ. ნაშრ., გვ. 919.

მუქარა ქმედების სიმძიმესთან და მსჯავრდებულის ბრალის ხარისხთან სამართლიან თანაფარდობაში უნდა იმყოფებოდეს. ამ თვალსაზრისით, აბსოლუტური სასჯელი პრობლემას ქმნის. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ კონკრეტულ შემთხვევაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეს ჰქონდეს ბრალის შესაბამისი სასჯელის მისჯის შესაძლებლობა[168]. თუ კონკრეტული ქმედებისთვის მხოლოდ უვადოდ თავისუფლების აღკვეთა იქნება გათვალისწინებული, პროპორციულობის პრინციპი დაირღვევა მაშინაც, როცა კანონი უშვებს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის განთავისუფლების შესაძლებლობას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, განსაზღვრულ პირობათა გათვალისწინებით. უვადოდ თავისიფლების აღკვეთასთან ერთად უნდა იყოს გათვალისწინებული ვადიანი თავისუფლების აღკვეთაც და მოსამართლეს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ბრალის შესაბამისად, მსჯავრდებულს შეუფარდოს ვადიანი ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით *გ. მიქანაძე* აღნიშნავს, რომ დამნაშავის რესოციალიზაციას ხელს უშლის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე[169]. თუ მსჯავრდებული აღნიშნული უფლებით სარგებლობს, დამნაშავის რესოციალიზაცია ამ ყველაზე მძიმე სასჯელის შეფარდების პირობებშიც შესაძლებელია.

მართლაც, გაუმართლებელი და არაპროპორციული სასჯელი იქნებოდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, თუ კანონით არ იქნებოდა გათვალისწინებული პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა და მსჯავრდებულს არ ექნებოდა იმის მოლოდინი, რომ როდესმე გათავისუფლდებოდა, თუ დაადგებოდა გამოსწორების გზას და მოიხდიდა კანონით განსაზღვრულ საშეღავათო პერიოდს. ამგვარად, ქართული სისხლის სამართლის კანონის მიხედვით უვადო თავისუფლების აღკვეთა არ წარმოადგენს არაპროპორციულ სასჯელს, რამდენადაც 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი იგი შეიძლება გათავისუფლდეს უვადოდ თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

როგორც ცნობილია, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება მიესაჯოს არასრულწლოვანს, ვინაიდან აღნიშნული სასჯელის გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ, თუნდაც ფიქსირებული ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობით, არაადამიანურ მოპყრობად განიხილება[170].

---

[168] *Weigend Th.*, დასახ. ნაშრ., გვ. 919-920.

[169] *მიქანაძე გ.*, პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012, გვ. 134-135.

[170] *გოცირიძე ე.*, წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,

უვადოდ თავისუფლების აღკვეთით ისჯება ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც მოცემულია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ, ნარკოტიკულ, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ, კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავებში და გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 318-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 323-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 3231-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 3232-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 324-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 3241-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 325-ე მუხლის I ნაწილით, 326-ე მუხლის I ნაწილით, 330-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 3311-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 3531-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 407-ე მუხლით, 408-ე მუხლით, 409-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 411-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

8.8. ქონების ჩამორთმევა

8.8.1. ქონების ჩამორთმევა ქართული სს კოდექსის მიხედვით და საკუთრების არსი

ქონების ჩამორთმევა ერთადერთია სასჯელებიდან, რომელიც მხოლოდ დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს. იგი გულისხმობს „დანაშაულის საგნის ან იარაღის[171], დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას" (სსკ-ის 52-ე მუხ.).

სს კოდექსის მიხედვით, დანაშაულის საგანი ან იარაღი, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი შეიძლება ბრალდებულის ან მსჯავრდებულის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში იყოს. აღნიშნული ნივთების ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ, თუ ადგილი ჰქონდა განზრახი დანაშაულის ჩადენას[172] ან დანაშაულის ჩადენისთვის მზადებას, რაც ისედაც განზრახ ქმედებას გულისხმობს.

რაც მეტად მნიშვნელოვანია ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, არის ის, რომ იგი განპირობებული უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგა-

---

თბ., 2013, გვ. 125.

[171] დანაშაულის იარაღი არის ის საგანი, ნივთი, რისი საშუალებითაც მოხდა დანაშაული ან გაადვილდა მისი ჩადენა. დანაშაულის საგანი, დანაშაულის იარაღთან შედარებით, ფართო შინაარსისაა და გულისხმობს არა მხოლოდ იმ ნივთს, რომელიც დანაშაულის ჩასადენად იქნა გამოყენებული, არამედ ისეთსაც, რომელიც დანაშაულის განხორციელების მიზეზს წარმოადგენდა (მაგალითად, ფული და სხვა ფასეულობა). იხ. *კობახიძე ა.*, დანაშაულის იარაღის კონფისკაცია, „სამართალი", 1991, №11-12, გვ. 24-25.

[172] *კობახიძე ა.*, დანაშაულის იარაღის კონფისკაცია, „სამართალი", 1991, №11-12, გვ. 25-26.

დოებრივი აუცილებლობით, ცალკეულ პირთა უფლებების დაცვის საჭიროებით და ხელს უნდა უწყობდეს დანაშაულთა თავიდან აცილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოყენებული სასჯელი უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებს. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს სასჯელის გამოყენების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი აუცილებლობით და საჭიროებით განპირობებულობაზე კანონმდებლის მითითება.

საქართველოს სს კოდექსი ერთმანეთისგან მიჯნავს დანაშაულის საგანს, იარაღს, დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს და დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას. თუ დანაშაულის საგანი, იარაღი და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი ბრალდებულის, მსჯავრდებულის კანონიერ მფლობელობაში შეიძლება იყოს, დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება, ბუნებრივია, მისი წარმომავლობის გათვალისწინებით, ვერ იქნება კანონიერ მფლობელობასა და საკუთრებაში არსებული.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. ამასთან ერთად, სასამართლოს მიერ აუცილებლად უნდა იყოს დადგენილი, რომ ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

ბ. ლოლაძის თვალსაზრისით, როდესაც პირი საკუთრებაში მყოფ იარაღს დანაშაულის ჩასადენად იყენებს, ამით მესაკუთრე თავისი ქმედებით იარაღზე საკუთრების უფლებას კონსტიტუციურ ფუნქციას აცლის და გაჰყავს იგი კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სფეროდან, ამიტომ ამ შემთხვევის შეფასება კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით არ უნდა მოხდეს[173], თუმცა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, კანონიერად შეძენილი ნივთი დანაშაულის საგანი ვისი ქმედებით ხდება: მესაკუთრის, თუ სხვისი ქმედებით. თუ მესაკუთრემ მის მიერ კანონიერად შეძენილი ნივთი დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა, შეიძლება იგი საკუთრების უფლებით დაცული სფეროდან გავიდეს, მაგრამ განსხვავებულად უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა კანონიერად შეძენილ ნივთს არა მესაკუთრე, არამედ სხვა, მესამე პირი აქცევს დანაშაულის საგნად.

ნივთის კანონიერად შეძენის ფაქტს ვერ აბათილებს შემდგომში სხვა პირის მიერ მის დანაშაულის საგნად ან იარაღად გამოყენება და, შესაბამისად, საკუთრების უფლებასაც ვერ აქცევს უკანონოდ. საკუთრება კანონიერია და კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შეძენა კანონის მოთხოვნათა დაცვით მოხდა. საკუთრების უფლების კანონიერებას მისი კანონიერად შეძენის ფაქტი განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით, დანაშაულის საგნად, იარაღად გამოყენებული და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული კანონიერად შეძენილი ნივთი განსხვავდება დანაშაულებრივი გზით მოპოვე-

[173] *ლოლაძე ბ.*, საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვა საქართველოში, წიგნში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, თბ., 2010, გვ. 103.

ბული ქონებისგან, რომელიც, როგორც უკანონოდ შეძენილი ქონება, ვერ ხვდება 21-ე მუხლით დაცულ სფეროში[174].

საქართველოს სს კოდექსის 52-ე მუხლში არ არის მითითებული, თუ რა სახის დანაშაულის ჩადენისას გამოიყენება ქონების ჩამორთმევა. ადრეულ ლიტერატურაში გამოითქვა თვალსაზრისი, რომ ქონებრივი სასჯელის გამოყენება გამართლებულია ისეთი დანაშაულის ჩადენისას, როცა პირმა ამ დანაშაულით უკანონო ქონებრივი სარგებელი მიიღო ანდა თავისი ქონებრივი მდგომარეობა გამოიყენა დანაშაულის ჩასადენად[175]. მაგრამ, თუ ქონების ჩამორთმევაში, როგორც სასჯელში, დანაშაულის საგნის, იარაღის და დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ჩამორთმევა იგულისხმება, აღნიშნული საგანი და იარაღი არა მხოლოდ ქონებრივ, არამედ სხვა სახის დანაშაულთა განხორციელებისას არის აგრეთვე სახეზე.

მართებულია მოსაზრება, რომ ქონების ჩამორთმევა დასაშვებია, როცა განხორციელებულია მკვლელობა ანგარებით ან ადგილი აქვს ქონებრივი მდგომარეობის გამოყენებით მკვლელობის გაადვილებას ან დაფარვას[176]. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა, თუნდაც ანგარების მოტივით, არა ქონებრივი, არამედ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, მისი ჩამდენის მიმართ (დანაშაულის განხორციელებით მიღებული ან დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული) ქონების ჩამორთმევის შეფარდება, გამართლებულია.

რამდენადაც ქონების ჩამორთმევა დამატებითი სასჯელია, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ სასჯელთან ერთად არის მისი შეფარდება მისაღები. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისეთ სასჯელთან მიმართებით, როგორიცაა ჯარიმა, ვინაიდან ორივე სასჯელი ქონებრივი ხასიათისაა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ძირითად სასჯელად ჯარიმის დანიშვნისას, დამატებით სასჯელად, ქონების ჩამორთმევის შეფარდება გაუმართლებელია[177], მაგრამ აღნიშნული შეხედულება მეტად საკამათოა, რამდენადაც, სს კოდექსის მოქმედი რედაქციით, ქონების ჩამორთმევა არა ყოველგვარი ქონების, არამედ „დანაშაულის საგნის ან იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას" გულისხმობს.

როგორც უკვე აღინიშნა, ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი

---

[174] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება. ასევე იხ. *ხასია ვლ.*, უდანაშაულო მესაკუთრისათვის დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევის პრობლემა, ნიგნში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, თბ., 2012, გვ. 171.

[175] *კობახიძე ა.*, კონფისკაცია როგორც დამატებითი სასჯელი, „სახელმწიფო და სამართალი", 1990, №11, გვ. 49.

[176] *კობახიძე ა.*, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[177] *კობახიძე ა.*, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

სასჯელის ერთ-ერთი სახეა დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევა, რაც ისევე როგორც დანაშაულის იარაღის ჩამორთმევა, ადრე (საბჭოური სს კოდექსით) არა დამატებით სასჯელად, არამედ პროცესუალური კონფისკაციის სახედ განიხილებოდა[178].

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ვერ შეასრულებს სასჯელის ფუნქციას და ამიტომ გაუმართლებელია მისი მიჩნევა დამატებით სასჯელად, ვინაიდან აქ საქმე ეხება არა დასჯას ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გამო, არამედ იმის ჩამორთმევას, რაც მსჯავრდებულს უკანონოდ აქვს მოპოვებული და რაზეც კანონიერი უფლება არ გააჩნია. სასჯელის შეფარდებისას ადგილი აქვს მსჯავრდებულის განსაზღვრული უფლების შეზღუდვას სასჯელის სახით, დანაშაულის ჩადენის გამო, მაგრამ უფლების შეზღუდვად ვერ ჩაითვლება იმის ჩამორთმევა, რაზეც პირს უფლება არ გააჩნია.

სასჯელის შეფარდებით მსჯავრდებული ერთგვარ დარტყმას განიცდის სამართლებრივი სიკეთის შეზღუდვით (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის დროს თავისუფლების უფლების შეზღუდვა, ჯარიმის შეფარდებისას ქონებრივ უფლებაში შეჭრა და სხვ.), მაგრამ ასეთ დარტყმას და სამართლებრივი სიკეთის შეზღუდვას ადგილი არ აქვს მაშინ, როცა ხდება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა, რამდენადაც ასეთი ქონება მისი წარმოშობიდან გამომდინარე ვერ ჩაითვლება მსჯავრდებულის სამართლებრივ სიკეთედ და მასზე არც საკუთრების დაცვის კონსტიტუციური გარანტია ვრცელდება. სასჯელის შეფარდების დროს შეზღუდვას სწორედ ის სიკეთე განიცდის, რაც, ზოგადად, კონსტიტუციური დაცვის გარანტიითაა უზრუნველყოფილი.

8.8.4. ქონების ჩამორთმევის და კონფისკაციის გამიჯვნა

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ქონების ჩამორთმევას და კონფისკაციას[179]. გამოთქმული შეხედულებით, თუ კონფისკაცია პოლიტიკური მიზანშეწონილობითაა განპირობებული, ქონების ჩამორთმევას საზოგადოებრივი ინტერესები უდევს საფუძვლად. მაშინ, როცა კონფისკაციისას ანაზღაურება არ ხდება, ქონების ჩამორთმევა მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით დაიშვება[180].

---

[178] *კობახიძე ა.*, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[179] კონფისკაცია ლათინური სიტყვაა და ჩამორთმევას ნიშნავს. ქონების კონფისკაციას უძველესი სამართლებრივი სისტემებიც იცნობდა და იგი გამოიყენებოდა როგორც ქონებრივი სასჯელი. ქონების კონფისკაციას აღიარებდა რომის სამართალიც. იხ. *კობახიძე ა.*, კონფისკაციის ცნება და სახეები, „სახელმწიფო და სამართალი", 1990, №9, გვ. 26.

[180] *იზორია ლ.*, ნიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს

აღნიშნული შეხედულება შეიძლება საკამათო იყოს. არსებითია არა ის, თუ რა ტერმინს (ქონების ჩამორთმევა ან კონფისკაცია) გამოიყენებს კანონმდებელი, არამედ არსებული სასჯელის გამოყენების ფარგლები და საკანონმდებლო რეგულირება.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან მიჯნავენ მთლიან და სპეციალურ კონფისკაციას. მაშინ, როცა მთლიანი კონფისკაცია სახელმწიფოს სასარგებლოდ დამნაშავის მთლიანი ქონების გადაცემას გულისხმობს, სპეციალური კონფისკაცია დანაშაულის ჩასადენად განკუთვნილი ნივთის ან დანაშაულის პროდუქტის ან დანაშაულის ობიექტის ჩამორთმევას ნიშნავს[181].

ქართული საბჭოური კანონმდებლობა ტერმინ კონფისკაციას იყენებდა, მაგრამ პრობლემა არა ტერმინში, არამედ მაშინ არსებულ საკანონმდებლო რეგულაციასა და კონფისკაციის გამოყენების არეალში იყო.

იურიდიულ ლიტერატურაში კონფისკაციის მიზანთან დაკავშირებით მიუთითებდნენ, რომ „ყველგან და ყოველთვის კონფისკაციას სოციალური მიზანი გააჩნია – იგი არის სახელმწიფოებრივი ღონისძიება მიმართული სახალხო სიმდიდრის სამართლიანი განაწილებისადმი. ამ მიზანს ემსახურება კონფისკაცია, როგორც სასჯელის ზომა"[182]. რასაკვირველია, სასჯელი სოციალური ინსტიტუტია და ამიტომ, მისი მიზანი სოციალურია, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს „სახალხო სიმდიდრის განაწილება".

8.8.5. ქონების მატერიალურ-სისხლისსამართლებრივი და პროცესუალური მიზნით ჩამორთმევის გამიჯვნა

სისხლის სამართალში აგრეთვე ერთმანეთისგან მიჯნავენ საკუთრებაში საპროცესო ხასიათის და სანქციის სახით ჩარევას. „ამ უკანასკნელმა შეიძლება მიიღოს ჯარიმის სახე ან დაკავშირებული იყოს საფრთხის შემცველი საგნების, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღი ან ნარკოტიკები, ან სხვა ქონების ჩამორთმევასთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლით სარგებლობა"[183].

საპროცესო კონფისკაციის რამდენიმე მიზეზი შეიძლება არსებობდეს: მტკიცებულებების უზრუნველყოფა, საგნისათვის დამახასიათებელი საფრთხეების პრევენცია, მოპარული საგნების დაბრუნება კანონიერი მფლობელისათვის

კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 157.

[181] *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედაქტორი თ. ნინიძე, თბ., 1999, გვ. 425.

[182] *კობახიძე ა.*, კონფისკაცია როგორც დამატებითი სასჯელი, „სახელმწიფო და სამართალი", 1990, №11, გვ. 49.

[183] *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 623.

ან პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედებისათვის მიღებული გასამრჯელოთი სარგებლობის თავიდან აცილება. საპროცესო კონფისკაცია დროებითი ხასიათისაა, რომელიც სამართალწარმოებას ემსახურება და ამიტომ, უნდა დასრულდეს სამართალწარმოების დასრულებისას. კონფისკირებული საგნების საბოლოო ბედი სასამართლოს განაჩენით განისაზღვრება. საპროცესო კონფისკაცია განიხილება სახელმწიფოს უფლების ნაწილად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად, მიიღოს ზომები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის[184].

8.8.6. მიზნის და საშუალების პროპორციის (თანაფარდობის) პრობლემა არაბრალეული მესაკუთრის ქონების ჩამორთმევის დროს

ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის პროპორციულობისა და კონსტიტუციურობის საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმის გათვალისწინებით, რომ 1997 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელი, არაკონსტიტუციურად სცნო[185], ვინაიდან სასამართლომ ქონების კონფისკაცია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ ასევე მისი ოჯახის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნია[186]. სასამართლოს პოზიციით „ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალიზაციის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი, ჩვეულებრივ, მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ"[187].

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, კონსტიტუციის საწინააღმდეგო შეიძლება იყოს არა ზოგადად კონფისკაცია, არამედ მისი შინაარსი, უფრო სწორად, მისი გავრცელების ფარგლები. საკამათო შეიძლება იყოს არა დანაშაულის საგანსა და იარაღზე, არამედ მსჯავრდებულის მთელ ქონებაზე კონფისკაციის გავრცელების კონსტიტუციურობის საკითხი[188].

მიუხედავად 1997 წლის 21 ივლისს ქონების კონფისკაციაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, მოგვიანებით, ქა-

---

[184] *ტრექსელი შ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 624.

[185] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილება.

[186] *ამირანაშვილი გ.*, კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის კონფისკაცია – კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, წიგნში: კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012, გვ. 15.

[187] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1996-1997 წწ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბ., 2002, გვ. 84.

[188] *ამირანაშვილი გ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

რთულ სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა დამატებითი სასჯელის ისეთი სახე, როგორიც არის ქონების ჩამორთმევა. ქონების ჩამორთმევა, როგორც დამატებითი სასჯელი, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში პირველად 2005 წელს შემოვიდა. მანამდე კოდექსის 52-ე მუხლი საპროცესო კონფისკაციას ითვალისწინებდა დანაშაულის საგნის და იარაღის, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევის სახით[189].

შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ 2006 წელს აღნიშნული სასჯელის კონსტიტუციურობის საკითხი დაისვა საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა იმ ნორმის კონსტიტუციურობას, რომლის საფუძველზეც მოხდა ნივთის ჩამორთმევა, რომელიც დანაშაულის საგანია, მაგრამ მსჯავრდებულის საკუთრებაში არ არის და რომლის მესაკუთრე უდანაშაულოა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველი სარჩელი შემდეგ შემთხვევას ეხებოდა: მოსარჩელეებმა თურქეთის ტერიტორიაზე შეიძინეს „სხვადასხვა დანიშნულების საქონელი", რომლის საერთო ღირებულება 537.947 ლარს შეადგენდა. თურქეთის ტერიტორიაზე გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება ერთ-ერთ გადამზიდველ ფირმასთან, რომელსაც ეს საქონელი საქართველოში უნდა ჩამოეტანა. მძღოლმა საზღვრის გადაკვეთისას ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (საბაჟო წესის დარღვევა). ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სს კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მძღოლს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოართვა „დანაშაულის საგანი – 537.947 ლარის საბაჟო ღირებულების სხვადასხვა საქონელი, რომელიც მოსარჩელეთა კუთვნილ ქონებას წარმოადგენდა".

საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა და ქონების კონფისკაციისგან განსხვავებით, სსკ-ის 52-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის – ქონების ჩამორთმევის კონსტიტუციურობა დაადასტურა[190].

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმამ ერთმანეთისგან გამიჯნა მესაკუთრე და საკუთრების ობიექტი. მესაკუთრე, რომელსაც არ ჩაუდენია დანაშაული, რჩება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასჯელის ფარგლებს მიღმა, მაგრამ დამატებითი სასჯელის ქონებრივი შედეგი არაბრალეულ მესაკუთრეზეც აისახება[191].

---

[189] *გამყრელიძე ო.*, დანაშაულის სუბიექტი და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, წიგნში: ფერაძე გ., (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2010, გვ. 236.

[190] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება.

[191] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2006-2007 წწ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, ბათუმი, 2009, გვ. 209.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – Agosi v. the United Kingdom. ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი წარმოადგენდა გერმანულ კომპანიას -სს „აგოსი" –, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა ლითონის გადამუშავების ინდუსტრიაში, აგრეთვე, ოქროს და ვერცხლის მონეტების ბაზარზე. აღნიშნული საქმე ეხებოდა შემდეგ შემთხვევას: ბ-ნმა x-მა და ქ-ნმა y-მა გერმანული კომპანიისაგან 1500 კრუგერანდის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოჭრილი ოქროს მონეტები) შეძენის სურვილი გამოთქვეს. მონეტების ღირებულება 120 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მონეტები ყიდვის მსურველებს გადაეცა. ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო ბრიტანული ბანკის ანგარიშზე გამოწერილი საბანკო ჩეკის ფორმით. სს „აგოსმა" ჩეკის განაღდება ვერ შეძლო. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, „აგოსი" ინარჩუნებდა მონეტებზე საკუთრებას მანამ, სანამ ანაზღაურებას სრულად არ მიიღებდა. მყიდველებმა მონეტების გაერთიანებულ სამეფოში შეტანა კონდრაბანდული გზით სცადეს და დაარღვიეს ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრის განკარგულებით დაწესებული აკრძალვა ოქროს მონეტების იმპორტთან დაკავშირებით, რის გამოც გაერთიანებული სამეფოს საბაჟო სამსახურმა მონეტები მყიდველებს ჩამოართვა და დააყადაღა. მონეტების მყიდველებს წარეგინათ ბრალდება ოქროს მონეტების იმპორტის აკრძალვისათვის თაღლითურად თავის არიდებაში. სს „აგოსმა" მონეტების დაბრუნება მოითხოვა, ვინაიდან ანაზღაურება არ მომხდარა და ნასყიდობის ხელშეკრულებით, ის მონეტების კანონიერ მესაკუთრედ რჩებოდა. სს „აგოსს" უარი ეთქვა მონეტების დაბრუნებაზე, ხოლო მონეტების მყიდველებს სასამართლომ მსჯავრი დასდო[192].

სს „აგოსმა" ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა საბაჟო სამსახურის უარი მონეტების დაბრუნებაზე. მომჩივანის მტკიცებით, ის რჩებოდა მონეტების მესაკუთრედ და არ მიუძღოდა ბრალი რაიმე სამართალდარღვევაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მონეტების იმპორტის აკრძალვა ქონებით სარგებლობაზე კონტროლს აწესებდა, მონეტების დაყადაღება და კონფისკაცია კი ამ აკრძალვის უზრუნველმყოფელი ზომა იყო[193].

ევროპული სასამართლოს პოზიციით, სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებში კონტრაბანდით შემოტანილი საქონელი შეიძლება კონფისკაციას დაექვემდებაროს. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე იმაზეც, რომ წევრ სახელმწიფოებში არ არსებობდა ერთიანი პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, კონფისკაციის განსახორციელებლად იყო თუ არა

[192] *ჭელიძე* ლ., საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, თბ., 2007, გვ. 161-162.

[193] *ჭელიძე* ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 162.

აუცილებელი ბრალის არსებობა[194].

ბ. ზოიძის თვალსაზრისით, როცა ქონების გამოყენება ხდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით, სახელმწიფოს მთელი ყურადღება მიპყრობილია ასეთი ქონების სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებისკენ, ხოლო არაბრალეული მესაკუთრე საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე უკანა პლანზე დგება. ამ გზით სახელმწიფო ყველა გზას კეტავს ქოების ისეთი მიზნებით გამოყენებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებს[195].

ბ. ზოიძე მართლსაწინააღმდეგო მიზნით გამოყენებულ ნივთს სამოქალაქო ბრუნვიდან გასულ ნივთებს მიაკუთვნებს, მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრე არაბრალეულია. მოცემულ ვითარებაში *ბ. ზოიძე* გამოსავალს იმაში ხედავს, რომ მესაკუთრეს მაინც რჩება გზა პასუხი მოსთხოვოს არაკეთილსინდისიერ კონტრაჰენტს და ედავოს მას სამოქალაქო-სამართლებრივი წესით[196].

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური. შესაბამისად, საკუთრების უფლება გარკვეულ შეზღუდვას ექვემდებარება. საკუთრების უფლების აბსოლუტურობა სხვა პირთა ინტერესის შელახვას გამოიწვევდა. სასამართლოს 1997 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით „კონტრაბანდული საქონლის ტრანსპორტირებამ, მიუხედავად იმისა, იგი ეკუთვნის სამართალდამრღვევს თუ მესამე პირს, შეიძლება დიდი დარტყმა მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას, ასევე შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს ხალხის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ასეთ შემთხვევაში საკუთრების შეზღუდვის ერთ-ერთი ელემენტია საკუთრების გამოყენების აკრძალვა, რათა ზიანი არ მიადგეს მესამე პირებს ან საზოგადოებას"[197].

ქონების ჩამორთმევა პროპორციულ საშუალებად რომ ჩაითვალოს, უნდა დადასტურდეს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად არის შესაფასებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში საეჭვო გახდება საკუთრების უფლებაში ჩარევის მართლზომიერება[198].

საკუთრების უფლებაში ჩარევის დასაშვებობა, თავისთავად, არ ნიშნავს ჩარევის თანაზომიერებას. ჩარევა თანაზომიერად რომ შეფასდეს, გასათვალისწინებელია ის გარანტიები, რომელიც მესაკუთრეს იცავს[199].

---

[194] *ჭელიძე ლ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

[195] *ზოიძე ბ.*, ნიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, გვ. 118-119.

[196] *ზოიძე ბ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

[197] *ამირანაშვილი გ.*, კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის კონფისკაცია – კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, წიგნში: კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012, გვ. 22.

[198] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2006-2007 წწ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, ბათუმი, 2009, გვ. 212.

[199] *ამირანაშვილი გ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

როგორც უკვე აღინიშნა, არაბრალეულ მესაკუთრეს აქვს სამართლებრივი საშუალება პასუხი მოსთხოვოს არაკეთილსინდისიერ კონტრაჰენტს და ედავოს მას სამოქალაქო-სამართლებრივი წესით, მაგრამ რამდენად წარმოადგენს იგი საკუთრების უფლების დაცვის საკმარის გარანტიას და ადგილი ხომ არა აქვს საკუთრების უფლებაში არაპროპორციულ შეჭრას? გარდა ამისა, რამდენად გამართლებულია უსასყიდლოდ, სახელმწიფოს მიერ თუნდაც, დანაშაულის საგნად მიჩნეული ქონების ჩამორთმევის შეფასება საზოგადოებრივ საჭიროებად, როცა ქონების მესაკუთრე არა ერთი პირი, არამედ პირთა ჯგუფია და, ამასთან ერთად, მათ ბრალი არ მიუძღვით იმ სამართალდარღვევაში, რომლის საგანიც მათი ქონება გახდა?

საზოგადოებრივ საჭიროებას დანაშაულის საგნის ჩამორთმევა მაშინ წარმოადგენს, როცა საგნის უკანონოდ ფლობას ჰქონდა ადგილი ან არსებობს იმის საშიშროება, რომ საგანი კვლავ იქნეს გამოყენებული სამართალდარღვევის ჩასადენად. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ჩამორთმეული საგანი ხომ არ იყო საფრთხის წყარო, იყო თუ არა იგი თავისუფალ ბრუნვაში მყოფი. თუ დასახელებული გარემოებები არ არსებობს და ისე ხდება ქონების ჩამორთმევა არაბრალეული მესაკუთრისთვის, მაშინ ქონების ჩამორთმევის პროპორციულობა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

უდანაშაულო მესაკუთრისთვის ქონების ჩამორთმევისას მესაკუთრისთვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლების მინიჭება არ არის საკმარისი გარანტია საკუთრების უფლების და პროპორციულობის პრინციპის დასაცავად, რაზეც მიუთითებს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებაც. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, „კომპენსაციასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევებში ემსახურება თანაზომიერების პრინციპის დაცვას, არ არის საკმარისი მოცულობის იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემოიფარგლებიან იმით, რომ პირს მიაკუთვნებენ მხოლოდ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას"[200]. ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, საკუთრების არსის გარანტია მესაკუთრის არათანაზომიერი დატვირთვის თავიდან ასაცილებლად რეალურ ღონისძიებათა გათვალისწინებას მოითხოვს[201].

მესაკუთრის არათანაზომიერ დატვირთვას ადგილი აქვს მაშინ, როცა ქონება სხვისი დანაშაულებრივი ქმედების საგანი გახდება, უდანაშაულო მესაკუთრეს ქონებას ჩამოართმევენ და საკუთრების უფლების დასაცავად სახელმწიფო მას მხოლოდ სამოქალაქო სამართლის წესით დამნაშავისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენებას სთავაზობს.

გ. ამირანაშვილის თვალსაზრისით, საჯარო მიზნის არაადეკვატური შეზღუდვა არ ხდება მაშინ, როცა მესაკუთრე, მართალია, კარგავს ქონებას, მა-

[200] *შვაბე ი.*, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, გვ. 277.

[201] იქვე.

გრამ ინარჩუნებს მასზე უფლებას და ამასთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ეძლევა არაკეთილსინდისიერი კონტრაჰენტისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა. მისი შეხედულებით, მთავარია, ქონების ჩამორთმევის მექანიზმი მესაკუთრისთვის დაცვის საკმარის გარანტიას უზრუნველყოფდეს. იგი ერთმანეთისგან მიჯნავს ქონების კონფისკაციას და დანაშაულის საგნისა და იარაღის კონფისკაციას[202].

გ. ამირანაშვილი[203] მორალური კონფისკაციის თეორიით ამართლებს უდანაშაულო მესაკუთრისთვის იმ ქონების ჩამორთმევის მართლზომიერებას, რომელიც სხვისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გახდა დანაშაულის საგანი. მორალური კონფისკაციის თეორიით, ამორალური ქმედების შედეგად შეიძლება ზოგიერთი ინტერესი კონფისკაციას დაექვემდებაროს, ვინაიდან არ მიიჩნევა დაცვის ღირსად. მაგრამ, ინგლისურ სამართალში მორალური კონფისკაციის თეორია შეიქმნა იმის ასახსნელად, თუ რატომ არის გამართლებული აუცილებელი მოგერიებით თავდამცველის მიერ თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობა.[204] უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი თეორიის შექმნას თავისი საფუძველი აქვს. თეორია იქმნება კონკრეტული პრობლემური საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ზემოთ დასახელებული თეორია არავითარ კავშირშია ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის გამოყენების ფარგლების განსაზღვრასთან.

უდანაშაულო მესაკუთრისთვის ქონების ჩამორთმევის პროპორციულობასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – Ismayilov v. Russia, რომელიც ეხება სახელმწიფო საზღვრის გადალახვისას ქვეყანაში შეტანილი ნაღდი ფულის დამალვის გამო პირისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად ჯარიმის სახით მალულად გადატანილი ფულადი სახსრების ჩამორთმევას.

მოპასუხე მთავრობის მტკიცებით, ფული, სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, კონფისკაციას ექვემდებარებოდა, ვინაიდან, „დანაშაულის იარაღი" იყო. კონფისკირებული ფული რომ „დანაშაულის იარაღს" წარმოადგენდა, არც ევროპულ სასამართლოს უარუყვია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ თანხის კონფისკაცია, მისი კანონიერი წარმოშობიდან გამომდინარე, სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია[205].

[202] *ამირანაშვილი გ.*, კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის კონფისკაცია – კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, წიგნში: კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012, გვ. 35-36.

[203] *ამირანაშვილი გ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

[204] *ხერხეულიძე ი.*, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, თბ., 2010, გვ. 32.

[205] *თომაძე დ.*, საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება – ევროპული სასამართლოს ხედვა, წიგნში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, თბ., 2010, გვ. 48-49.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქონების ჩამორთმევის პროპორციულობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ჩამორთმეული ნივთის წარმომავლობის გათვალისწინება. კერძოდ, იმის დადგენა, რამდენად კანონიერია მისი წარმოშობა. მაშინ, როცა ნივთი კანონიერი წარმოშობისაა, ხოლო მესაკუთრე არაბრალეული, ქონების ჩამორთმევა არაპროპორციულად უნდა შეფასდეს, იმის მიუხედავად, გახდა თუ არა ეს ნივთი სხვა პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საგანი.

მართებულად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში არასამართალდამრღვევი პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენება და ქონების ჩამორთმევა არ უნდა ხდებოდეს[206].

არაბრალეული მესაკუთრისთვის ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი საქმე – Bulves AD v.Bulgaria, რომელშიც საქმე ეხება გადამხდელზე საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრებას მესამე პირის მიერ საგადასახადო ვალდებულების დარღვევის გამო. კერძოდ, მომჩივანს საგადასახადო შემოწმების შედეგად გაუუქმდა მიღებული ჩათვლა და დაერიცხა საურავი იმის გამო, რომ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელმა 2 თვით დააგვიანა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დეკლარირება, მაშინ, როდესაც თავად მომჩივანს ზუსტად ჰქონდა დაცული საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები[207].

სასამართლომ მომჩივანის მიმართ საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება არამართლზომიერად სცნო იმის გათვალისწინებით, რომ მან სრულად შეასრულა თავისი ვალდებულებები, მან არ იცოდა და არ შეეძლო სცოდნოდა კონტრაქტორის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ და არც იმის საშუალება ჰქონდა, ეიძულებინა ეს უკანასკნელი, ბოლომდე შეესრულებინა პროცედურული მოთხოვნები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტი, მომჩივანის მიერ რეგრესის წესით კონტრაქტორისაგან მიღებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე არ მიიღო ის არგუმენტი, რომ მომჩივანმა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისას გასწია რისკი მისი კონტრაქტორის სამომავლო არასწორი მოქმედებით მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, სასამართლოს შეფასებით დადგინდა, რომ სახელმწიფომ არ დაიცვა ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლების დარღვევას[208].

ევროპულმა სასამართლომ ანალოგიური პოზიცია დაიჭირა საქმეში – Business Support Centre v Bulgaria. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს

[206] *კობახიძე ა.*, კონფისკაციის ცნება და სახეები, „სახელმწიფო და სამართალი", 1990, №9, გვ. 29.

[207] "Bulves AD v. Bulgaria", 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი №3991/03. ციტირებულია: *თომაძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[208] *თომაძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

თვალსაზრისით, როდესაც პირი ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ვერ ამცირებს თავისი პარტნიორის მიერ ვალდებულებების დარღვევის შესაძლებლობას, მესამე პირის მიერ დარღვეული ვალდებულების გამო პასუხისმგებლობის დაკისრება არამართლზომიერია[209].

ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრება სუფევს. თუ მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ სასჯელის არსებობაში პრობლემურს და არაკონსტიტუციურს არაფერს ხედავს, მეცნიერთა მეორე ჯგუფი საწინააღმდეგო აზრს გამოხატავს.

ო. გამყრელიძის თვალსაზრისით, 2005 წ. სასჯელთა სისტემაში სასჯელის ახალი სახეობის – ქონების ჩამორთმევის შემოტანით „კანონმდებელმა კვლავ გააცოცხლა კოლექტიური პასუხისმგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით 1997 წ. ძალადაკარგულად ცნობილი კოდექსის ის ნორმა, რომელიც სასჯელის დამატებით ღონისძიებად ქონების კონფისკაციას აწესებდა"[210]. მისი შეხედულებით, საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წელს არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა კონსტიტუციურად სცნო ნორმა, რომელიც დამნაშავისთვის „სხვისი ქონების" ჩამორთმევას უშვებდა. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის გადაწყვეტილებით „პირადი ქონების" ჩამორთმევა – კონფისკაცია ანტიკონსტიტუციურია, მით უფრო ანტიკონსტიტუციური უნდა იყოს დამნაშავისთვის „სხვისი ქონების" ჩამორთმევა, ვინაიდან, ეს იმას ნიშნავს, დასაჯო ის, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია[211].

ო. გამყრელიძე სს კოდექსის 52-ე მუხლთან დაკავშირებით სხვა პრობლემასაც ხედავს. კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა იმას ნიშნავს, რომ იგი მსჯავრდებულს „სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთმევა". მაშასადამე, ქონება დაზარალებულს არ უბრუნდება. თუ საქმე გაიხსნა, ნაპარავი სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა, ხოლო საქმის გაუხსნელობის შემთხვევაში, მოპარული ნივთი დამნაშავეს დარჩება. *ო. გამყრელიძე* გამოსავალს 52-ე მუხლის ტექსტის 2000 წ. 5 მაისის რედაქციით აღდგენაში ხედავს[212].

---

[209] იქვე, გვ. 43.

[210] *გამყრელიძე ო.*, დანაშაულის სუბიექტი და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, წიგნში: ფერაძე გ., (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2010, გვ. 235; *გამყრელიძე ო.*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის ერთი გადაწყვეტილების გამო, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, მარტი, 2010, №2, გვ. 130.

[211] *გამყრელიძე ო.*, დანაშაულის სუბიექტი და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, წიგნში: ფერაძე გ., (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2010, გვ. 238-239.

[212] *გამყრელიძე ო.*, ქონების ჩამორთმევის საკითხები მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, "ცხოვრება და კანონი", 2014, №1 (18), იანვარ-მარტი, გვ. 9.

ვლ. ხასიას თვალსაზრისით, იმის დასადგენად, უშვებს თუ არა სს კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილი უდანაშაულო მესაკუთრისთვის ნივთის ჩამორთმევას, საჭიროა ნორმის განმარტების მეთოდების გათვალისწინება. მისი შეხედულებით, ნორმის სიტყვასიტყვითი, ტელეოლოგიური და სისტემური განმარტება იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით უდანაშაულო მესაკუთრის საკუთრების უფლებაში ჩარევა ვერ მოხდება. იგი ყურადღებას მართებულად ამახვილებს სასჯელის მიზანზე, იმაზე, რომ სასჯელის ამოცანაა დანაშაულის თავიდან აცილება. სასჯელი შეიძლება დაეკისროს მხოლოდ დამნაშავეს და პირს, სასჯელი ვერ შეეფარდება უდანაშაულო პირს ან ნივთს[213]. მაშასადამე, სასჯელის მიზნის განხორციელებას ვერ უზრუნველყოფს დამნაშავისთვის იმ ნივთის ჩამორთმევა, რომელიც ეკუთვნის არა მას, არამედ უდანაშაულო მესამე პირს.

ვლ. ხასია მართებულად აღნიშნავს, რომ ნივთი უდანაშაულო მესაკუთრესაც შეიძლება ჩამოერთვას, მაგრამ არა სასჯელის პრევენციული მიზნიდან, არამედ იმ საზოგადოებრივი და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც სისხლისსამართლებრივი სასჯელის ფუნქციას სცილდება[214]. მას მხედველობაში აქვს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები.

როგორც უკვე ითქვა, სასჯელის და მათ შორის ქონების ჩამორთმევის ერთ-ერთი მიზანია დანაშაულის პრევენცია, რომლის მიღწევის ორი გზა არსებობს: პირველი, პირთათვის დანაშაულის ჩადენის სურვილის დაკარგვინება პირზე უშუალო ზემოქმედების მეშვეობით – in personam; მეორე, იმ საშუალებათა გაუვნებელყოფა, რომლის გამოყენებითაც მომავალში დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია და წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს. ეს საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს სხვადასხვა ნივთიდან – in rem. ასეთი ნივთი ან ბრუნვიდან არის ამოღებული, ან მასზე საკუთრების უფლება შეზღუდულად წარმოიშობა (მაგალითად, იარაღი, ნარკოტიკი და სხვ.)[215].

როდესაც საუბარია დანაშაულის პრევენციის მიზნით ქონების ჩამორთმევაზე, ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა დანაშაულის პრევენცია დამნაშავისთვის იმ ნივთების ჩამორთმევით, რომელიც უდანაშაულო პირს ეკუთვნის? დასმულ კითხვას *ვლ. ხასია* სავსებით მართებულად პასუხობს: უდანაშაულო მესაკუთრისთვის საკუთრების ჩამორთმევამ არ შეიძლება პიროვნებაზე იმოქმედოს პრევენციულად, ანუ გადაათქმევინოს მას დანაშაულის ჩადენა. პირს ყოველთვის ურჩევნია დანაშაული ჩაიდინოს სხვისი კუთვნილი ნივთით, ვიდრე თავისით, რადგან ნივთის ჩამორთმევის შემთხვევაში ის

[213] *ხასია ვლ.*, უდანაშაულო მესაკუთრისათვის დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევის პრობლემა, წიგნში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, თბ., 2012, გვ. 172-173.

[214] *ხასია ვლ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

[215] იქვე, გვ. 181.

არ დაკარგავს საკუთრებას. უდანაშაულო მესაკუთრისთვის ნივთის ჩამორთმევას არაფერი საერთო აქვს სასჯელის პრევენციულ ფუნქციასთან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად იგი უვარგისია[216].

არაბრალეული მესაკუთრისთვის ნივთის ჩამორთმევით საკუთრების უფლების არსი ირღვევა, ვინაიდან მესაკუთრეს არ შეუძლია ამგვარი შედეგის თავიდან აცილება, რამდენადაც მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მისი კუთვნილი ნივთი დანაშაულის იარაღად იქნებოდა გამოყენებული[217].

კონფისკაცია, როგორც სახდელის სახე, გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაშიც. მაგრამ, ადმინისტრაციულ სამართალში კონფისკაცია განიმარტება სახელმწიფო საკუთრებაში იმ საგნების უსასყიდლოდ იძულებით გადაცემად, რომელიც იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, საშუალება, უშუალო ობიექტი ან საგანი. რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა: „კონფისკაციას ექვემდებარება მხოლოდ დამრღვევის პირადი საკუთრების საგანი"[218].

8.8.8. როგორ უნდა განიმარტოს კანონიერი მფლობელობა ქონების ჩამორთმევის დროს?

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სს კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, "დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან *კანონიერ მფლობელობაში* არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას". ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება კანონიერ მფლობელობაში. რაც შეეხება საკუთრებას, მისი შინაარსი კანონიერი მფლობელობის ცნების შინაარსთან შედარებით უფრო გარკვეული და ნაკლებ საკამათოა.

კანონიერ მფლობელობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საკამათო და საინტერესოა საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა დამნაშავის კანონიერ მფლობელობაში არსებულად ჩაითვალოს დანაშაულის საგნად ან იარაღად გამოყენებული ნივთი, რომელიც სხვა არაბრალეული პირის საკუთრებაშია და დამნაშავეს გადასცეს დროებით, ნივთის მესაკუთრის სასარგებლოდ სხვა ტერიტორიაზე მართლზომიერად გადატანის მიზნით.

---

[216] იქვე, გვ. 182.
[217] იქვე, გვ. 186.
[218] *იზორია ლ.* (რედ.), საპოლიციო სამართალი, თბ., 2015, გვ. 228.

მფლობელობის დეფინიცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილში, სადაც აღნიშნულია: „მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი".

მაშასადამე, სამოქალაქო კოდექსში მოცემული დეფინიციის შესაბამისად, კანონიერ მფლობელად ვერ ჩაითვლება დამნაშავე, რომელიც ნივთზე ფაქტობრივად ბატონობს, მაგრამ ნივთზე ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს არაბრალეული მესაკუთრისგან მესაკუთრის სასარგებლო მოქმედების განხორციელების მიზნით.

მართებულად მსჯელობს *დ. სულაქველიძე*, როცა კანონიერი მფლობელობის შინაარსის დადგენას მიზანშეწონილად მიიჩნევს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით და აღნიშნავს, რომ კანონიერ მფლობელად ვერ ჩაითვლება ტვირთების გადამზიდავი კომპანიის მძღოლი, რომელსაც მესაკუთრის ნების შესაბამისად ქონება გადააქვს ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში. თუკი მძღოლი სხვისი ქონების ფაქტობრივი პყრობის პერიოდში ჩაიდენს განზრახ დანაშაულს, ასეთი ქონების, როგორც დანაშაულის საგნის, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევა დაუშვებელია და იგი უნდა დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, ხოლო თუ იგი ვერ იქნა მოძიებული ან დადგენილი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ქონება სახელმწიფოს გადაეცეს[219].

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ერთმანეთისგან იმიჯნება კანონიერი მფლობელობა და ნივთის ფაქტობრივი პყრობა, ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. როცა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა ნივთის მესაკუთრის ნების შესაბამისად და მის სასარგებლოდ ხდება, კანონიერ მფლობელად ითვლება არა ის, ვინც ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს ნივთზე, არამედ ნივთის მესაკუთრე. ამ შემთხვევაში ფაქტობრივი მფლობელი კანონიერ მფლობელად არ ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ნივთის გადაცემა კანონიერი საფუძვლით მოხდა[220]. კანონიერი მფლობელობის დასადგენად მნიშვნელოვანია ნივთზე არა ფაქტობრივი ბატონობა, არამედ ის, რომ ეს ბატონობა სხვისი – ნივთის მესაკუთრის ნების შესაბამისად ხდება. მაშასადამე, პირს ნივთის კანონიერ მფლობელად ვერ აქცევს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, თუ იგი უფლებამოსილი პირის ნების შესაბამისად და სასარგებლოდ ხდება და ნივთის ფლობის უფლებამოსილება მისგან აქვს მიღებული.

---

[219] *სულაქველიძე დ.*, წიგნში: ნაჭყებია გ. (რედ.), ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 936-937.

[220] *სულაქველიძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 936.

8.8.9. ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის მიმართება საკუთრების უფლების შეზღუდვასთან და საკუთრების ჩამორთმევასთან

საქართველოს კონსტიტუცია ერთმანეთისგან მიჯნავს საკუთრების უფლების შეზღუდვას (21-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და საკუთრების ჩამორთმევას (21-ე მუხლის მე-3 ნაწილი). საკუთრების უფლების შეზუდვა კონსტიტუციურ-სამართლებრივად მაშინაა გამართლებული, როცა შეზღუდვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარეობს, როცა მას ადგილი აქვს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით და, თუ შეზღუდვა არ არღვევს საკუთრების უფლების არსს (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი). „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოქმედება" გულისხმობს არა მხოლოდ უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების, არამედ აგრეთვე საზოგადოებისათვის დადებითი შედეგების მოტანის მიზნით მოქმედებასაც. საკუთრების უფლების შეზღუდვის ამგვარი შესაძლებლობა და საჭიროება კი ამ უფლების სოციალური დატვირთვიდან გამომდინარეობს[221].

ის, რომ ქონების ჩამორთმევა განპირობებული უნდა იყოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო აუცილებლობით, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვისას მხედველობაში მიიღება საჯარო ინტერესები. მაგრამ, ეს არ გულისხმობს საჯარო ინტერესის უპირატესობას კერძო ინტერესთან შედარებით. საკუთრების უფლების შეზღუდვისას აუცილებელია სამართლიანი ბალანსის დაცვა საჯარო ინტერესებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებებს შორის[222].

რაც შეეხება საჯარო ინტერესის ცნებას, ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული პრაქტიკის მიხედვით, იგი ფართოდ განიმარტება. ქონების ექსპროპრიაციის კანონმდებლობის მიღებისას იგი მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე მსჯელობას[223].

საკუთრების უფლების შეზღუდვისას სათვალავში მიიღება ის, თუ რა როლს ასრულებს სხვისი საკუთრება საზოგადოების არსებობასა და განვითარებაში. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს საკუთრების უფლების შეზ-

---

[221] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება; *ფირცხალაშვილი ა.*, ნიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 215.

[222] *პაპუაშვილი ს.*, საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, წიგნში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2009, გვ. 180.

[223] *პაპუაშვილი ს.*, დასახ. ნაშრ., გვ. 182-183.

ღუდვის სფეროში მით უფრო მეტი უფლებამოსილება ენიჭება, რაც უფრო მეტად არის სხვის საკუთრებაზე დამოკიდებული საზოგადოების ნორმალური არსებობა და განვითარება[224].

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საკუთრების უფლების შეზღუდვისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული საკუთრების უფლებით დაცული სფეროს ძირითადი არსის გამოფიტვა[225].

საკუთრების უფლების შეზღუდვასთან შედარებით უფრო მკაცრ მოთხოვნებს ითვალისწინებს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. საკუთრების უფლების შეზღუდვისთვის გათვალისწინებული კონსტიტუციური პირობების (აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და კანონით გათვალისწინებული შემთხვევა) გარდა, დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებაცაა საჭირო, საკუთრების ჩამორთმევა კონსტიტუციურად რომ ჩაითვალოს. კერძოდ, საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია: ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით; ბ) წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. თუმცა, ანაზღაურება საკუთრების უფლების შეზღუდვის დროსაც არ არის გამორიცხული, მაგრამ მაინც საყურადღებოა ის გარემოება, რომ შეზღუდვასთან დაკავშირებით ეს მოთხოვნა კონსტიტუციაში არ არის პირდაპირ მითითებული, საკუთრების ჩამორთმევისგან განსხვავებით.

ევროპული სასამართლოს თანახმად, კომპენსაციის ვალდებულება არა მხოლოდ ქონების ჩამორთმევის, არამედ უფლების სხვაგვარი შეზღუდვის დროსაც არსებობს. კომპენსაციის დროს მხედველობაში მიიღება უფლების შეზღუდვის ხასიათი, ხანგრძლივობა და ის ქონებრივი შედეგი, რომელიც მესაკუთრეს უფლების შეზღუდვის შედეგად დაუდგა[226].

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, კომპენსაციის განსაზღვრის 5 კრიტერიუმი არსებობს: 1) ჩამორთმეული ქონების ღირებულება; 2) ინდივიდუალურად ან კოლექტიურად განხორციელებული ღონისძიების სახე; 3) საზოგადოების კეთილდღეობის მიზნის მნიშვნელობისა და აუცილებლობის ხარისხი; 4) ღონისძიების სოციალური ფუნქცია; 5) სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობები[227].

James-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის გადაწყვეტილების თანახმად, ქონების ჩამორთმევა კომპენსაციის გარეშე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული[228].

---

[224] იქვე, გვ. 182-189.

[225] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება.

[226] *პაპუაშვილი ს.*, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

[227] *ტურავა პ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2006, გვ. 305-306.

[228] *ტურავა პ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 304.

ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პრეცენდენტების ანალიზისას ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, ერთი მხრივ, აუცილებელია კომპენსაცია ქონების ჩამორთმევისას, ხოლო, მეორე მხრივ, კომპენსაციის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს, მაგრამ კომპენსაციის ოდენობას ქონების ღირებულებასთან უნდა ჰქონდეს გონივრული კავშირი[229].

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქონების ჩამორთმევისას კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრას, 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, სრული ანაზღაურების ვალდებულებაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის, ისე საკუთრების ჩამორთმევის ერთ-ერთ კონსტიტუციურ პირობას წარმოადგენს, იგი სხვადასხვანაირად განიმარტება უფლების შეზღუდვისა და საკუთრების ჩამორთმევის დროს. კონსტიტუცია მოითხოვს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვისგან განსხვავებით, ჩამორთმევის შემთხვევები კანონით ამომწურავად იყოს გაწერილი[230].

საკუთრების უფლების შეზღუდვისგან განსხვავებით, საკუთრების ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილებით არის დასაშვები, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრების ჩამორთმევაზე გადაწყვეტილება ერთჯერადად და ინდივიდუალურად მიიღება.

როდესაც მსჯელობა მიმდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ საკუთრების უფლების შეზღუდვასა და საკუთრების ჩამორთმევაზე, ჩნდება კითხვა მათთან ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის (სსკ-ის 52-ე მუხ.) მიმართებასთან დაკავშირებით.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან მიჯნავენ საკუთრების რეგულირების და მისი ჩამორთმევის შემთხვევებს. მათ გასამიჯნად შემდეგ კრიტერიუმებს იყენებენ: საკუთრების ჩამორთმევის დამდგენი ნორმის ამოქმედება დამოკიდებული არ არის პირის ქმედებაზე, იგი პირს არ უდგენს ქცევის წესს. შესაბამისად, პირს არ შეუძლია ნორმის ამოქმედების თავიდან აცილება. ხოლო, საკუთრების მარეგულირებელი ნორმა, პირიქით, პირს უდგენს ქცევის წესს და გარკვეულ ჩარჩოში აქცევს მას. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი დამნაშავეს გარკვეულ ქცევის წესს უდგენს და უთითებს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დამატებითი სასჯელის სახით, შეიძლება ჩამოერთვას საკუთრებაში არსებული დანაშაუ-

[229] *პაპუაშვილი ს.*, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

[230] *ფირცხალაშვილი ა.*, წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 218.

ლის იარაღი. მაშასადამე, დამნაშავისათვის მის საკუთრებაში არსებული დანაშაულის იარაღის ჩამორთმევა წარმოადგენს არა საკუთრების ჩამორთმევას, არამედ რეგულაციას, რომლის დარღვევითაც პირმა თავად გამოიწვია ნორმის სანქციის ამოქმედება. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლებაში ჩარევის ფუნქციაა პრევენციული რეგულირება და არა სანქციური ჩამორთმევა[231].

სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევისგან გამიჯნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ სს კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული ქონების ჩამორთმევის დროს სახეზეა კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევის ფორმალურ-იურიდიული ნიშნები: ქონების ჩამორთმევა გათვალისწინებულია კანონით, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სს კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ექვემდებარება შეფასებას[232].

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, სს კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამნაშავის მიმართ ადგენს ქცევის წესს, ხოლო უდანაშაულო მესაკუთრის მიმართ ავტონომიურ პირობას. ამიტომ, პირველ შემთხვევაში (დამნაშავისთვის მისი კუთვნილი ან მის კანონიერ მფლობელობაში მყოფი ნივთის ჩამორთმევისას) საკმარისია კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვა, ხოლო მეორე შემთხვევაში (უდანაშაულო მესაკუთრის უფლებაში) ჩარევა 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის ფორმალურ და მატერიალურ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს[233]. თუმცა, *ვლ. ხასია* უდანაშაულო მესაკუთრის მიმართ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის გავრცელებაშიც პრობლემას სწორად ხედავს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა საკუთრების ჩამორთმევისას მესაკუთრისთვის წინასწარ, სრულ და სამართლიან ანაზღაურებას მოითხოვს. გარდა ამისა, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით საკუთრების ჩამორთმევა კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებშია დასაშვები, მაგრამ სს კოდექსის 52-ე მუხლში უდანაშაულო მესაკუთრისთვის საკუთრების ჩამორთმევა გათვალისწინებული არ არის[234].

ქონების ჩამორთმევასა და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით საუბრისას ჩნდე-

---

[231] *ხასია ვლ.*, უდანაშაულო მესაკუთრისათვის დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევის პრობლემა, წიგნში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, თბ., 2012, გვ. 174-175.

[232] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება.

[233] *ხასია ვლ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 178-179.

[234] იქვე, გვ. 179.

ბა კითხვა, ვრცელდება თუ არა 21-ე მუხლში მოცემული დებულებები დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების ჩამორთმევის შემთხვევებზე? საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის №2/5/309,310,311 გადაწყვეტილების შესაბამისად, კონსტიტუციის 21-ე მუხლი ვრცელდება კანონიერი გზით შეძენილ ქონებაზე, რომლის საკუთრების უფლება დავას არ იწვევს. მაშასადამე, აღნიშნული ნორმის დაცვის სფეროში ვერ მოექცევა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება, რაც მართებულია. როდესაც საუბარია საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივ დაცვაზე, ბუნებრივია, მხედველობაშია ისეთი ქონება, რომელზეც შეიძლება გავრცელდეს საკუთრების უფლება და არა ისეთი, რომელზეც საკუთრების უფლება ვერ გავრცელდება.

8.8.10. ქონების ჩამორთმევა – დამატებითი სასჯელი, თუ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების (დაცვის) სხვა ღონისძიება?

დამნაშავის საკუთრებაში არსებული დანაშაულის იარაღის ან საგნის ჩამორთმევა შეიძლება თუ არა სასჯელის სახედ განვიხილოთ, თუ იგი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს? აღნიშნული კითხვა მით უფრო ლეგიტიმური შეიძლება იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციით გათვალისწინებული ღონისძიება სასჯელად არ ითვლებოდა და, შესაბამისად, არ იყო მოცემული სასჯელთა ჩამონათვალშიც (მე-40 მუხლი)[235]. იგი დამატებით სასჯელადაც არ მოიხსენიებოდა. 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის მაშინდელ რედაქციაში ვკითხულობთ: „დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ამ კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს *სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება* დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით". მაშასადამე, 52-ე მუხლით გათვალისწინებული იყო სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება, რომელიც სასჯელად არ განიხილებოდა. ამასთან ერთად, 52-ე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებას არა ქონების ჩამორთმევა, არამედ „დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა" ერქვა.

სს კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება რომ სასჯელად არ მიიჩნეოდა, ეს სწორიც იყო, მაგრამ 52-ე მუხლის მაშინდელი რედაქციაც არ იყო დაცული ხარვეზისგან, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ დასახელებული მუხლი ასეთი ღონისძიების გამოყენებას მხოლოდ დანაშაულის, მაშასადამე, ბრალეული ქმედების ჩამდენთა მიმართ უშვებდა.

ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობით მართლსაწი-

[235] იხ. 1999 წლის საქართველოს სს კოდექსის მე-40 მუხლის თავდაპირველი რედაქცია.

ნააღმდეგო ქმედების საგნის ან იარაღის ჩამორთმევა (კონფისკაცია) სასჯელად არ მიიჩნევა, ვინაიდან მისი გამოყენება ხდება იმ პირის მიმართაც, რომლემაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება მის საკუთრებაში არსებული ნივთის მეშვეობით განახორციელა ბრალუუნაროდ ან რომლის ბრალიც ვერ დგინდება. ასეთ დროს კონფისკაცია განიხილება უსაფრთხოების დაცვის (სოციალური დაცვის) ღონისძიებად (Sicherungsmaßnahme)[236].

სასჯელის შეფარდების საფუძველი, როგორც ცნობილია, ბრალია. ბრალის გარეშე არ არსებობს არც დანაშაული და არც სასჯელი. მაშინ, როცა მართლსაწინააღმდეგო ქმედების იარაღის ჩამორთმევა სასჯელად ცხადდება, ამით იმის შესაძლებლობაც ისპობა, რომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენება მოხდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალუუნაროდ ჩამდენის მიმართ, რამეთუ ბრალუუნარობა სასჯელის შეფარდებას გამორიცხავს.

საქართველოს სს კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და მართლსაწინააღმდეგო ქმედების საგნის ან იარაღის ჩამორთმევა უნდა გამოცხადდეს სოციალური დაცვის ღონისძიებად, რომლის გამოყენება ბრალუუნარო პირის მიმართაც იქნება შესაძლებელი. მაშასადამე, ქონების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის სახე, ამოსაღებია მე-40 მუხლში მოცემულ სასჯელთა ჩამონათვალიდან და უნდა შეიცვალოს 52-ე მუხლის როგორც სათაური, ისე ტექსტის შინაარსიც.

8.8.11. კონფისკაციის პროპორციულობა გერმანული კანონმდებლობისა და დოგმატიკის მიხედვით

კონფისკაციას (Einziehung) გერმანულ სს კოდექსში არაერთი პარაგრაფი ეძღვნება, რომელთაგან ერთ-ერთი (74b) სწორედ კონფისკაციის პროპორციულობას ეხება, რაც საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობითაა განპირობებული.

კონფისკაცია გერმანული კანონმდებლობით განიხილება არა სასჯელად, არამედ სასჯელის მსგავს, სასჯელის ეფექტის მქონე ღონისძიებად, რომელიც უფრო მეტად გენერალური პრევენციის თვალსაზრისით გამოიყენება. გერმანული სს კოდექსის (74b) პარაგრაფი აწესებს აკრძალვას კონფისკაციასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური თვალსაზრისით, ქონების ღირებულების, ქმედების მნიშვნელობის, ამსრულებლის, თანამონაწილის და მესამე პირის გასაკიცხაობის გათვალისწინებით, კონფისკაცია აშკარად დისპროპორციულია და თანაზომიერების მიღმაა. მაშასადამე, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს, კონფისკაცია შეესაბამება

[236] *Schmidt W.*, in: Strafgesetzbuch, Leipziger Kommentar, 11., Aufl., Berlin, 2006, §74, Rn. 60.

თუ არა პროპორციულობის პრინციპს[237].

ვინაიდან კონფისკაცია სასჯელის მგავსი ღონისძიებაა (strafähnliche Maßnahme), აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელია სასჯელის შეფარდების ზოგადი წესი. მოსამართლემ ამასთან ერთად სათვალავში უნდა მიიღოს როგორც ქმედების მნიშვნელობა, ისე პერსონალური გასაკიცხაობა. გარდა ამისა, ძირითადი სასჯელი კონფისკაციასთან ერთად და მათი ზეგავლენა მსჯავრდებულზე. ძირითადი სასჯელი და კონფისკაცია კუმულაციურ ერთობლიობაში მსჯავრდებულის ბრალის შესაბამისი უნდა იყოს. გარემოებათა ერთობლივმა შეფასებამ შეიძლება დასკვნა განაპირობოს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი გასაკიცხაობისა, ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო კონფისკაცია არაპროპორციულია, რის გამოც იგი გამოსაყენებელი არ არის. იგივე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს მაშინაც, როცა კონფისკაცია საზოგადოებისთვის ან ცალკეულ პირთათვის განსაკუთრებული ზიანის მომტანია, მაგრამ სასამართლომ ასეთ დროს უნდა დაადგინოს, რომ ამსრულებლის, თანამონაწილის ან მესამე პირის ბრალეული გასაკიცხაობა თანაზომიერად მცირეა[238].

ზემოაღნიშნულ მსჯელობაში მნიშვნელოვანია ის, რომ კონფისკაციის პროპორციულობის დასადგენად მხედველობაშია მისაღები როგორც ქმედების მნიშვნელობა, ისე ბრალეული გასაკიცხაობის ხარისხი, ვინაიდან ისინი ერთმანეთს არ განაპირობებენ და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დგინდება. შეიძლება ქმედება იყოს უმნიშვნელო ან ბრალის ხარისხი მცირე და რომელიმე ერთ-ერთმა განაპირობოს კონფისკაციის დისპროპორციულობა.

კონფისკაციის დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ამსრულებლის და თანამონაწილის, არამედ მესაკუთრე მესამე პირის ბრალეული გასაკიცხაობაც, რაც იმას ნიშნავს, რომ კონფისკაცია არაპროპორციულად შეფასდება, თუ მესაკუთრე არაბრალეულია და ბრალი მხოლოდ ამსრულებელს და თანამონაწილეს მიუძღვით. შეიძლება მესაკუთრე არ იყოს ამსრულებელი ან თანამონაწილე, მაგრამ უნდა ჰქონდეს ბრალეული კავშირი იმ ქმედებასთან, რომლის გამოც იქნა გამოყენებული კონფისკაცია.

მესამე პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენება კონფისკაციის პრობლემატურ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება და მას ძირითადად ადგილი აქვს მაშინ, როცა საქმე ეხება მაგალითად, ფულის გათეთრებას, უკანონო ნადირობას, ნარკოტიკულ დანაშაულს. მესამე პირმა, რომელიც დანაშაულის განხორციელებაში არ მონაწილეობდა, დაუდევრობით თავისი ქმედებით შესაძლებელი უნდა გახადოს მისი საკუთრების დანაშაულის იარაღად ან საგნად ქცევა ან დანაშაულის მოსამზადებლად მისი გამოყენება, იმისთვის, რომ მის მიმართ კონფისკაციის გამოყენება დასაშვებად ჩაითვალოს (§74a Nr. 1 გსსკ). მაგალი-

[237] *Schmidt W.*, in: Strafgesetzbuch, Leipziger Kommentar, 11., Aufl., Berlin, 2006, §74b, Rn. 3.
[238] იქვე.

თად, როცა პირმა საკუთარი სანადირო იარაღი დამნაშავეს დაუთმო, შეეძლო მისი განზრახვა ამოეცნო, რომ იგი გადაცემულ იარაღს ნადირობისთვის გამოიყენებდა. ან მესამე პირს კონფისკაციას დაქვემდებარებული ნივთი შეძენილი უნდა ჰქონდეს იმ გარემოებათა ცოდნით, რომელიც კონფისკაციას საფუძვლად უდევს (§74a Nr. 2 გსსკ)[239].

ლიტერატურაში მესამე პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენების გამართლების სირთულესა და ბუნდოვანებაზე მიუთითებენ[240]. როცა საქმე ეხება დანაშაულის ამსრულებლის ან თანამონაწილის მიმართ დანაშაულის საგნის ან იარაღის კონფისკაციის გამოყენებას, მისი მართებულობაც მარტივი დასაბუთებელია. მაგრამ, მესამე პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენების მართებულობა მეტ დასაბუთებას მოითხოვს და უფრო რთულია.

მესამე პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენება ბრალისმიერ პრინციპთან მისი შეუსაბამობის კუთხით იწვევს კამათს და კრიმინალურპოლიტიკური და კონსტიტუციური თვალსაზრისით პრობლემატურად მიიჩნევა[241], რაც კითხვის ნიშნებს აჩენს პროპორციულობასთან დაკავშირებითაც.

იურიდიულ ლიტერატურაში მესამე პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების სხვა წესებთან შეუსაბამობაზე მიუთითებენ. კერძოდ, კონფისკაცია გამოიყენება იმ მესამე პირის მიმართ, რომლის ქმედებაც სისხლისსამართლებრივი თანამონაწილეობის გაკიცხვისთვის საკმარისი არ არის[242] . გარდა ამისა, მესამე პირის მიმართ, ამსრულებელთან შედარებით, ადგილი აქვს ნაკლები სუბიექტური წინაპირობებით კონფისკაციის გამოყენებას. სახელდობრ, მაშინ, როცა მესამე პირისთვის დაუდევრობაც საკმარისია კონფისკაციისთვის (§74a Nr. 1 და 2, გსსკ), ამსრულებელი საკუთრებას (დანაშაულის იარაღი, საგანი) მხოლოდ განზრახი დანაშაულის განხორციელებისას კარგავს (§74 Nr. 1 გსსკ)[243].

გერმანულის მსგავსად ქართული სს კოდექსის მიხედვითაც დანაშაულის საგნის ან იარაღის ჩამორთმევა ამსრულებლისთვის მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა განზრახი დანაშაულია ჩადენილი (52-ე მუხ. მე-2 ნ.), მაგრამ თუ გერმანული სს კოდექსი მესაკუთრის, მესამე პირის მიმართ კონფისკაციის საკითხს ძირითადი პრინციპიდან გადახვევით, განსხვავებულად წყვეტს (§74a Nr. 1 და 2, გსსკ), ქართულ სს კოდექსში მესამე პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენების მარეგულირებელი ცალკე, სპეციალური ნორმა არც არსებობს.

---

[239] *Meier B-D.*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg, 2015, S. 448.

[240] *Meier B-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 448.

[241] *Jescheck/Weigend.*, Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 799; *Meier B-D.*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg, 2015, S. 449.

[242] თუნდაც განზრახვის არარსებობის ან კიდევ იმ ქმედებიდან დიდი დისტანცირების გამო, რომელიც კონფისკაციის საფუძველია.

[243] *Meier B-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 449.

8.8.11. კონფისკაციის ცალკეული შემთხვევების პროპორციულობის შეფასება გერმანული მართლმსაჯულების მიერ

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში არაპროპორციულად იქნა მიჩნეული კონფისკაცია უნებართვოდ აღმართული რადიოსადგურისა, რომელიც მუსიკალური გადაცემების ხმამაღლა გადაცემისთვის იყო გამოყენებული, აგრეთვე კონფისკაცია ღირებული გადასატანი საშუალებისა შედარებით მცირე მნიშვნელობის გადაცდომის ჩადენის დროს. მაგალითად, როცა სიგარეტის კონტრაბანდის დროს გამოყენებული სატვირთო მანქანის ღირებულება ბევრად მეტია, ვიდრე კონტრაბანდული სიგარეტის, სატვირთო მანქანის კონფისკაცია არაპროპორციულია[244].

გერმანულმა მართლმსაჯულებამ არადისპროპორციულად ცნო და პროპორციულობის პრინციპის დარღვევა გამორიცხა გაუპატიურებისთვის გამოყენებული კატერის კონფისკაციის დროს. ანალოგიური შეფასება მიეცა არაკონსტიტუციურად შექმნილი პარტიისთვის საბეჭდი მოწყობილობისა და პროგრამის კონფისკაციას[245].

8.8.12. კონფისკაციის კლასიფიკაცია გერმანული დოგმატიკის მიხედვით

გერმანულ დოგმატიკაში მიღებულია კონფისკაციის კლასიფიკაცია დასჯით (Strafeinziehung) და უსაფრთხოების დაცვის კონფისკაციად (Sicherungseinziehung). დასჯითი კონფისკაცია შეიძლება გამოიყენებულ იქნას ამსრულებლის, თანამონაწილის ან მესამე პირის მიმართ. დასჯით კონფისკაციას, მიუხედავად იმისა, რომ იგი სასჯელი არ არის გერმანული კანონმდებლობით, იგივე ფუნქცია აქვს, რაც დამატებით სასჯელს. დასჯითი კონფისკაციის მაგალითია იმ მანქანის კონფისკაცია, რომელიც გამოყენებულ იქნა ნაქურდალის ტრანსპორტირებისთვის, ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადატანისთვის ან გაუპატიურების მსხვერპლის დანაშაულის ადგილამდე მისაყვანად. მისი მიზანი არის პრევენცია[246]. სასჯელს პრევენციულის გარდა სხვა ფუნქციაც აქვს, მაგალითად მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მაგრამ დასჯითი კონფისკაცია ამ ფუნქციას არ ასრულებს.

რაც შეეხება უსაფრთხოების დაცვის მიზნით კონფისკაციას, იგი გულისხმობს ისეთი საგნების ჩამორთმევას, რომლებიც მისი სახეობით და სხვა გარემოებებით საზოგადოებას საფრთხეს უქმნის (იარაღი, საწამლავი, ასა-

[244] *Schmidt W.*, in: Strafgesetzbuch, Leipziger Kommentar, 11., Aufl., Berlin, 2006, §74b, Rn. 4.
[245] იქვე.
[246] *Meier B-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 447.

ფეთქებელი ნივთიერება) ან რომელთა გამოყენება მომავალში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განსახორციელებლად მოსალოდნელია. უსაფრთხოების მიზნით კონფისკაციის მაგალითია უკანონო ნადირობის დროს მონადირისთვის ნადირობის მიზნით გამოყენებული იარაღის ჩამორთმევა. ასეთ შემთხვევაში კონფისკაცია საფრთხისგან დაცვას ემსახურება. მას ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიებას[247]. უსაფრთხოების დაცვის კონფისკაციას სასჯელის ხასიათი არ გააჩნია, არამედ ემსახურება საფრთხისგან, განსაკუთრებით, დანაშაულისგან მოსახლეობის დაცვის მიზანს[248].

დასჯითი კონფისკაციისგან განსხვავებით, უსაფრთხოების დაცვის მიზნით კონფისკაციის გამოყენება ამსრულებლის მიმართ მაშინაც არის დასაშვები, როცა ქმედება მის მიერ ბრალის გარეშეა ჩადენილი (§74, მე-3 აბზაცი, გსსკ), ხოლო მესაკუთრე მესამე პირს, რომელსაც ქმედების განხორციელებაში მონაწილეობა არ მიუღია და არაბრალეულიც არის, სახელმწიფოსგან ეძლევა კონპენსაცია (§74f, 1-ლი აბზაცი, გსსკ).[249]

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალის გარეშე ჩამდენი ამსრულებლის მიმართ უსაფრთხოების მიზნით კონფისკაცია რომ გამოიყენება ამას თავისი გამართლება აქვს. შეიძლება საზოგადოებისთვის საფრთხის შემქმნელ ნივთიერებას შეურაცხიც ფლობდეს და გამოიყენოს იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად. ამიტომ, ასეთ დროს საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი ნივთიერების კონფისკაციისთვის ხელშემშლელი არ უნდა იყოს ნივთის მფლობელის ბრალუუნარობა და ქმედების ბრალუუნაროდ განხორციელება. ამგვარი კონფისკაცია უტოლდება სოციალური დაცვის ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი შეურაცხის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში.

არაბრალეულ მესაკუთრეს რომ მისი საკუთრების კონფისკაციისას გერმანული სს კოდექსის 74f-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის შესაბამისად, სახელმწიფოსგან ეძლევა კომპენსაცია, მართებულია და წარმოადგენს მესაკუთრის კონსტიტუციური უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას. ამასთან ერთად, საკითხის ასეთი გადაწყვეტა სრულად შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს.

კონფისკაციასთან დაკავშირებით გერმანული კანონმდებლობის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქართული კანონმდებლობა ამ მხრივ მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს. უფრო გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს მთელ რიგ საკითხებზე რეგულირება. გარდა ამისა, ქართულ სს კოდექსში მკაფიოდ უნდა გაიწეროს მესამე პირის მიმართ კონფისკაციის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არაბრალეული მესაკუთრისთვის სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის

[247] იქვე, გვ. 449.
[248] *Jescheck/Weigend.*, Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 799.
[249] *Meier B-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 449.

გადახდის აუცილებლობა, როცა კონფისკაციით მესაკუთრის უფლების დარღვევას აქვს ადგილი. საკმარისი არ არის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს და სახელმწიფო არაბრალეულ მესაკუთრეს დარღვეული უფლების აღსადგენად სამოქალაქო სამართლის წესით დამნაშავისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენებას სთავაზობს. სისხლისსამართლის წესით დასჯილ და ისედაც კონფისკირებულ დამნაშავეს, ნაკლებსავარაუდოა, ჰქონდეს მატერიალური შესაძლებლობა არაბრალეული მესაკუთრისთვის ზიანის ასანაზღაურებლად.

8.8.13. უდანაშაულო მესამე პირის ქონების კონფისკაცია საფრანგეთის სს კოდექსის მიხედვით

საფრანგეთის 1994 წლის ახალი სს კოდექსის მიხედვით, თუ პირები თავად არ იდევნებიან სასამართლოთა წესით და არ არიან მსჯავრდებულნი, ისინი მუდმივად ფლობენ ქონებას და მათი ქონება კონფისკაციას არ ექვემდებარება (მუხლი 131-21, აბზაცი 2). მაგრამ, როცა საგნები საშიში ან ზიანის მომტანია, კონფისკაციის სასჯელი სავალდებულოა (მუხლი 131-21, აბზაცი 1). ეს დებულება ისეთ შემთხვევებსაც მოიცავს, როდესაც ქონება უდანაშაულო მესამე პირს ეკუთვნის. აღნიშნული ეხება ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის დროს მოწყობილობების, ნივთიერებების და ყოველგვარი ქონების კონფისკაციას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იქნა გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად[250].

9. დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების მოძღვრება და მისი ალტერნატივები

სისხლის სამართლის მეცნიერებაში სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით დღემდე არაერთი შეხედულება გამოითქვა, ჩამოყალიბდა თეორიები, რომლებიც განსხვავებულად წარმოგვიდგენენ სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს, რომლებიც მნიშვნელოვანია პროპორციულობის დაცვის თვალსაზრისით. ქვემოთ სწორედ ეს თეორიები იქნება მოკლედ განხილული.

---

[250] *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, რედაქტორი თ. ნინიძე, თბ., 1999, გვ. 426.

9.1. თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორია („Spielraumtheorie“)

თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორია წარმოადგენს ბრალზე დაფუძნებული და პრევენციაზე ორიენტირებული სასჯელის შეფარდების თეორიის კომბინაციას. იგი ჩამოყალიბდა სასჯელის ნამდვილ მიზანთან დაკავშირებით გამართული დისკუსიის ფარგლებში. შემაერთებელი თეორიის მომხრეები ცდილობენ სასჯელის აბსოლუტურ და რელატიურ თეორიებს შორის არსებული წინააღმდეგობა გადალახონ, რომ სასჯელმა შესძლოს როგორც სამართლიანობის აღდგენის, ისე პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილება.[251]

თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორიის წარმომადგენლები ბრალის ფარგლების დასადგენად კრიტერიუმების სტრუქტურირებისას, რომელიც დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის იყო გასათვალისწინებელი, შედეგის და ქმედების ულირსობას ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.[252]

თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორია ეფუძნება წანამძღვარს, რომ ბრალის მოცულობის მიხედვით შეიძლება დაჯგუფებული იყოს არა განსაზღვრული სასჯელები როგორც ბრალის თანაზომიერი, არამედ სასჯელების სპექტრია ბრალის შესაბამისი. სასჯელთა ამ სპექტრის ზედა და ქვედა ზღვარი ბრალის შესაბამისად არის შემოსაზღვრული. მოსამართლეს არ შეუძლია ამ (ქვედა და ზედა) ზღვარს გასცდეს.[253]

თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორიის მეორე თავისებურებას შეადგენს პრევენციული თვალსაზრისი, ბრალის მოცულობის შესაბამისად ბოლოს დასახელებული (დამატებითი) სასჯელის კონკრეტიზირება. ქართულ სსკ-ის მუხლებშიც ვხვდებით სასჯელთა ანალოგიურ სისტემატიზაციას, სადაც პირველად დასახელებული (ძირითადი) სასჯელის ზედა და ქვედა ზღვარია მითითებული, ხოლო ბოლოს დასახელებული-დამატებითი სასჯელი (რომელიც დამნაშავეს კუმულაციურად უნდა შეეფარდოს) კონკრეტულადაა განსაზღვრული.[254] მაგალითად, 1431-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადამიანით ვაჭრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით. როგორც ვხედავთ, თავისუფლების აღკვეთის, როგორც ძირითადი სასჯელის, მხოლოდ მინიმუმი და მაქსიმუმია მითითებული, მაგრამ დამატებითი სასჯელის ზომა კანონმდებელს ზუსტად აქვს განსაზღვრული და მოსამართლეს არ შეუძლია კანონში მითითებულ ვადას (მოცემულ შემთხვევაში ერთი წელი) გადაუხვიოს.

[251] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 23.
[252] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 18.
[253] იქვე, გვ. 24.
[254] იქვე, გვ. 25.

თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელი არ არის ზუსტად განსაზღვრული ფორმის სიდიდე. მოსამართლეს აქვს თავისუფალი მოქმედების სივრცე (**Spielraum**) და განსახილველი თეორიის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. სასჯელის ქვედა და ზედა ზღვარი არის ბრალის პროპორციულად განსაზღვრული. ეს ქვედა და ზედა ზღვარი და მათ შორის არსებული ამპლიტუდა იძლევა სასჯელის პრევენციული მიზნების გათვალისწინების შესაძლებლობას.[255]

ფართოდ არის აღიარებული, რომ სასამართლოს არ შეუძლია გასცდეს სასჯელის ზედა ზღვარს, თუნდაც კარგი განზრახვით, ვინაიდან ბრალი სასჯელის არა მხოლოდ საფუძველი, არამედ ზედაზღვარიც (**Obergrenze**) არის.[256] აქედან გამომდინარე, ზედა ზღვარზე მაღალი სასჯელის შეფარდებით დაირღვევა კონსტიტუციური სამართლით გარანტირებული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი.[257]

იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა მოსამართლე სასჯელის ქვედა ზღვარს გასცდეს. უახლეს მოძღვრებაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ პრევენციული მიზეზებით იგი დასაშვებია (როქსინი, ფრიში, ლაკნერი და სხვ.). თუ სასჯელი პრევენციულად არ არის დასაბუთებული, იგი მიიჩნევა არათანაზომიერად და წარმოადგენს მსჯავრდებულის სამართლებრივ სფეროში გაუმართლებელ შეჭრას.

პრევენციული მიზანი მხოლოდ სპეციალური პრევენციით არ ამოიწურება, სისხლის სამართლის ამოცანა გენერალურ პრევენციასაც მოიცავს. ამიტომ, ქვედა ზღვარზე უფრო მსუბუქი სასჯელი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაინიშნოს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, მსუბუქი სასჯელის დანიშვნა გამართლებული უნდა იყოს არა მხოლოდ სპეციალურ პრევენციული თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე, როცა იგი საერთო მართლშეგნების მიხედვით მიიჩნევა რეაქციის ერთადერთ თანაზომიერ ფორმად.[258]

თუმცა, *როქსინი* მსუბუქი სასჯელის დანიშვნას მხოლოდ სპეციალურ-პრევენციული მიზანშეწონილობით ამართლებს და აღნიშნავს, რომ სპეციალურ-პრევენციულად ორიენტირებული ქვედა ზღვარზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება შესაძლებელია, როცა იგი კრიმინოლოგიურად სასურველია და სამართლებრივად დასაშვები[259], რაც უფრო სწორიც არის. იგი დასაშვებია და შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებაში დამნაშავის მომავალი ცხოვრების გათვალისწინებით ისე, რომ არ დაირღვეს ბრალისმიერი პრინციპის დაცვითი

---

[255] *Meier B.-D.*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Berlin, Heidelberg, 2015, S. 167.

[256] *Jescheck/Weigend.*, Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 879.

[257] *Meier B.-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

[258] იქვე, გვ. 167-168; *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 25.

[259] *Roxin C.*, Prävention und Strafzumessung, Festschrift für Hans-Jurgen Bruns zum 70. Geburtstag, Köln, Berlin, Bonn, München, 1978, S. 197.

ფუნქცია[260].

კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი მაშინ უნდა ინიშნებოდეს, როცა სახეზეა განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება, რაც ბრალის ხარისხს განსაზღვრავს ან დანაშაულის ჩამდენ კონკრეტულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული[261] და იშვიათად შეიძლება ჰქონდეს ადგილი პრაქტიკაში. ამიტომ, ასეთი გარემოებები კანონმდებელს არ შეუძლია სრული სიზუსტით წინასწარ გაითვალისწინოს. მაშასადამე, პასუხისმგებლობის შემსუბუქება და კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა სპეციალურ-პრევენციული მიზანშეწონილობით უფრო უნდა იყოს განპირობებული, ვიდრე გენერალური პრევენციით. მაგრამ, კანონიც უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ქვედა ზღვარზე დაბალი სასჯელი დაინიშნოს.

ქართული სსკ-ის 55-ე მუხლის მიხედვით, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადებაა საჭირო კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის შესაფარდებლად. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობის ხარისხი (სსსკ-ის 210-ე მუხ.). გამოდის, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით საკამათოა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება მხოლოდ სპეციალურ-პრევენციული მიზნით ხდება თუ არა, ვინაიდან პროკურორი საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალის ხარისხის გარდა საჯარო ინტერესებსაც ითვალისწინებს. არც იმის თქმაა შესაძლებელი, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება ან სასჯელის შემსუბუქება გენერალური პრევენციის მიზანს ემსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, ყოველთვის არის კი საპროცესო შეთანხმების დადება გამართლებული, რამდენად ითვალისწინებენ იმ გარემოებებს, რაც სსსკ-ის მიხედვით შეთანხმებას საფუძვლად უნდა დაედოს და საერთოდ, რამდენად ამართლებს აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა? დასმულ კითხვაზე ვრცლად ცოტა ქვემოთ იქნება პასუხი გაცემული.

სანამ დასმულ კითხვას გაეცემოდეს პასუხი, აღსანიშნავია ის, რომ მსუბუქი სასჯელის შეფარდებაზე არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც (შაფშტაინი, შტრენგი, იეშეკ/ვაიგენდი), რომლის თანახმადაც, ბრალი სასჯელის არა მხოლოდ ზედა, არამედ ქვედა ზღვარიც (**Untergrenze**) არის. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის მისჯა ეწინააღმდეგება

[260] *Roxin C.*, Strafzumessung im Lichte der Strafzwecke, FS-Schultz H., Bern, 1977, S. 473.

[261] საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს ზ. გოთუა, რომელიც თვლის, რომ განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება შეიძლება ეხებოდეს როგორც დანაშაულს, ისე დამნაშავის პიროვნებას. იხ. *გოთუა ზ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001, გვ. 50.

სამართლიანობის გრძნობას და მისი სოციალური მიზანიც განუხორციელებელი რჩება.[262]

აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია კანონით გათვალისწინებულ ზომაზე მკაცრი სასჯელის მისჯა, მაგრამ პრევენციული თვალსაზრისით სავსებით დასაშვებია მსჯავრდებულისთვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება. კანონმდებელს არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს მსჯავრდებულის პიროვნებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება და დაადგინოს სასჯელის ისეთი ქვედა ზღვარი, რომელიც ყველა შემთხვევაში იქნება როგორც უმართლობის და ბრალის, ისე დამნაშავის პიროვნებასთან, წარსულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გარემოებების თანაზომიერი. ამიტომ უშვებს კანონმდებელი კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას.

თავისუფალი მოქმედების სივრცის თეორია ადგენს სასჯელის მინიმუმს და მაქსიმუმს და ამით მოსამართლეს უტოვებს მოქმედებისთვის თავისუფალ სივრცეს, მაგრამ დღემდე არ არის ცალსახად და ზუსტად დადგენილი, თუ რა კრიტერიუმებით ხდება ბრალის ფარგლების განსაზღვრა, რაც აღნიშნული თეორიისთვის გამოწვევად რჩება. ამის გამო, განხილული თეორიის საფუძველზე სასჯელის შეფარდებას მიიჩნევენ ნაკლებად გამჭვირვალე პროცესად.[263]

9.2. საფეხუროვანი თეორია („Stufen"- oder „Stellenwerttheorie")

საფეხუროვანი თეორიის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთმანეთისგან მიჯნავს ბრალს და პრევენციას. განსახილველი თეორიის თანახმად, სანქციების შეფარდება არის პროცესი, რომელიც ორ „საფეხურად" იყოფა. სასამართლომ პირველ საფეხურზე უმართლობის მოცულობის მიხედვით უნდა განსაზღვროს მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ხანგრძლივობა. პირველ საფეხურზე მოსამართლე არ ხელმძღვანელობს პრევენციული მიზანშეწონილობით. გარდა ამისა, მოსამართლეს აქვს თავისუფალი მოქმედების სივრცე (ამპლიტუდა). ამ სივრცის ფარგლებში მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სასჯელი, რომელიც ბრალდებულისთვის საზიანო არ არის. მეორე ეტაპზე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბრალის შესაბამისი რომელი სახის სასჯელი უნდა მიესაჯოს ბრალდებულს და მისჯილი სასჯელი აღსრულდეს თუ არა რეალურად. სპეციალური და/ან გენერალური პრევენცი-

[262] *Jescheck/Weigend.*, დასახ. ნაშრ., გვ. 879.
[263] *Meier B.-D.*, დასახ. ნაშრ., 168.

ული მიდგომა საკითხისადმი სწორედ ამ მეორე ეტაპზე ხდება.[264]

განსახილველი თეორიის მიმართ იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგი სახის კრიტიკა გამოითქვა: აღნიშნული თეორიის მოქმედების სივრცე შემოსაზღვრულია. სასჯელის ზომასა და სახეზე მიმართული ზემოთ აღნიშნული ორსაფეხუროვანი მეთოდი მხოლოდ ორი წლით თავისუფლების აღკვეთის ფარგლებშია შესაძლებელი; ამ ფარგლების ზევით გადაწყვეტილება განსაზღვრული სასჯელის ზომასა და სახეზე კანონის ძალით მიღებულია. ამდენად, მოცემული თეორიის მიხედვით, „პასიური სპეციალურ პრევენციული" თავალსაზრისის გარდა, კიდევ სხვა, სპეციალური და გენერალური პრევენციული მიხედულებისთვის ადგილი არ რჩება.[265] დასახელებული კრიტიკული ასპექტების გამო მიიჩნევენ, რომ განხილული თეორია არ იძლევა ბრალის შესაბამისი სასჯელის დანიშვნის და სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას.[266] გამოთქმული კრიტიკა სამართლიანია იმ თვალსაზრისით, რომ სასჯელის ქვედა და ზედა ზღვარს შორის მცირე სიშორე (ამპლიტუდა) ხელს უშლის ბრალის შესაბამისი სასჯელის შეფარდებას და ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად განხორციელებას. იგი ცოტათი თუ განსხვავდება აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციისგან.

საფეხუროვანი თეორიის სუსტი მხარე ის არის, რომ ამ თეორიის მიხედვით, სასჯელის შეფარდების პროცესი ორ ეტაპად მიმდინარეობს, რომლის შესაბამისად, პირველ ეტაპზე მხედველობაში მიიღება უმართლობის მოცულობა, მეორეზე ბრალი. მაგრამ ჩნდება კითხვა, რამდენად არის სასჯელის შეფარდების საფუძველი უმართლობის მოცულობა? უმართლობის სიმძიმე მხედველობაში უნდა მიიღოს კანონმდებელმა ქმედების კრიმინალიზაციის და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრის დროს, ხოლო მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას სათვალავში უნდა მიიღოს ბრალი. მაშასადამე, ბრალი არის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ისე სასჯელის შეფარდების საფუძველი. ბრალი ამ შემთხვევაში ორმაგ ფუნქციას ასრულებს.

მოსამართლე დამნაშავეს სასჯელს უფარდებს არა უმართლობის, არამედ ბრალის მოცულობის მიხედვით. სისხლისსამართლებრივი უმართლობა არის არა სასჯელის შეფარდების, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი. ერთმანეთისგან განსხვავდება პასუხისმგებლობის საფუძველი და სასჯელის შეფარდების საფუძველი. იმისთვის, რომ სასჯელის შეფარდება მოხდეს, დანაშაულის განხორციელებაა საჭირო. უმართლობა კიდევ დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია. მიუხედავად ამისა, უმართლობა მაინც არ არის სასჯელის შეფარდების საფუძველი. სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ისეთი გარემოებები, რომელიც კანონმდებელს არ გაუთვალისწინებია და ვერც გაითვალისწინებდა

[264] *Meier B.-D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 169.
[265] იქვე. 169.
[266] იქვე. 170.

ქმედების კრიმინალიზაციის და სასჯელის განსაზღვრის დროს. ასეთ გარემოებებს სწორედ ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, აგრეთვე დამნაშავის წარსული ცხოვრება, დამნაშავის პიროვნება წარმოადგენს.

რამდენადაც უმართლობას კანონმდებელი ითვალისწინებს უმართლობის ტიპის განსაზღვრისას, მას ასევე მოსამართლეც სასჯელის შეფარდების, ე.ი. სასჯელის სახის და ზომის შერჩევის დროს მხედველობაში ვერ მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება მსჯელობა.

სასჯელის შეფარდების დროს სისხლისსამართლებრივი უმართლობის სიმძიმე მოსამართლემ შეიძლება გამონაკლისის სახით მხოლოდ მაშინ გაითვალისწინოს, როცა საქმე ეხება ალტერნატიულ შემადგენლობას.

9.3. ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდების თეორია („Lehre von der Tatproportionalität")

ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდების მოძღვრების მიხედვით, სასჯელის ზომა უნდა იყოს ორიენტირებული (დამოკიდებული) დამნაშავის ბრალეული უმართლობის მოცულობაზე (*Ausmaß des verschuldeten Unrechts*). გერმანულ დოგმატიკაში პირველად *შუნემანმა* დაუჭირა მხარი ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდების პრინციპს, რომლის თვალსაზრისითაც, სასჯელი უნდა უთანაბრდებოდეს ქმედების კვანტიფიცირებად უღირსობას, რომელიც სამართლებრივი სიკეთის სახეში, მოდალობასა და მოცულობაში პოულობს გამოხატულებას. ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდების მოძღვრების ძირითადი არსი სასჯელის შეფარდების ფაქტორების შემცირებაში მდგომარეობს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ გარემოებებს, რომლებიც მოქმედი პირის პიროვნებასთანაა დაკავშირებული.[267] ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდება არის რეტროსპექტულად (წარსულზე) ორიენტირებული სასჯელის შეფარდების მოდელი.[268]

განსახილველი მოძღვრების მიხედვით, ქმედების პროპორციულობა ბრალის პრინციპის ჭერქვეშ არსებობს. სასჯელი განისაზღვრება ქმედების პროპორციულად ბრალისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების საფუძველზე.[269]

აღნიშნული მოძღვრების ყურადღების შუაგულში დგას არა დამნაშავის პიროვნება, არამედ ქმედების სიმძიმე. ქმედების სიმძიმის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ქმედების უმართლობა, რომელიც მოიცავს შედეგის და

---

[267] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 18.

[268] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[269] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 314, Rn. 636.

ქმედების უმართლობის სიმძიმეს, აგრეთვე ქმედების სუბიექტური შერაცხვის განმაპირობებელ სუბიექტურ ნიშნებს, რომლებიც ბრალეულობას ამცირებს. არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოებები, რომელიც დამნაშავის პიროვნებასთანაა დაკავშირებული და არავითარი კავშირი არა აქვს უმართლობასა და ბრალთან.[270]

ტ. ჰიორნლე, რომელიც პროპორციული სასჯელის შეფარდების თეორიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია, სასჯელის შეფარდებისას გასათვალისწინებლად თვლის აგრეთვე „დამნაშავის კრიმინალურ ენერგიას", ქმედების მოტივს, პოლიციის პროვოკაციული ქმედებით დამნაშავის დაყოლიებას და დამნაშავის ნასამართლობას.[271]

მაშინ, როცა აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით დისკუსია მიმდინარეობს და არ არსებობს ცალსახა პოზიცია, არავინ დაობს იმაზე, რომ სასჯელის შეფარდებისას, როგორც სასჯელის პროპორციულობის განმსაზღვრელი გარემოება, აუცილებლად გასათვალისწინებელია დამნაშავის უნარი განჭვრეტადობასთან და ქმედების წარმართვასთან დაკავშირებით (die Einsichts- und Steuerungsfähigkeit des Täters).[272]

ქმედების პროპორციულობის თეორიის მცდელობა, ფოკუსირება მოახდინოს მსხვერპლზე, მიზანს ვერ აღწევს საფრთხის შემქმნელ, მცდელობის და კოლექტიური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებში. როცა სამართლებრივი უსაფრთხოების დარღვევის ასპექტის, როგორც არასაკმარისად კონკრეტიზირებადის, გათვალისწინების უარყოფა მოხდება, დღის წესრიგიდან იხსნება დელიქტები, რომლებსაც არ ჰყავთ მსხვერპლი („opferlose" Delikte) და ამიტომ რჩება მხოლოდ ქმედების უმართლობა, რომელიც ნაკლებად ზუსტია.[273] განსახილველი თეორია ორიენტირებულია ქმედების უმართლობაზე.[274]

ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდების მოძღვრების ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი უგულებელყოფს დამნაშავის პიროვნების მნიშვნელობას სასჯელის შეფარდებისას, მაშინ, როცა პრევენციულად მართებული სასჯელის ზომის და სახის განსაზღვრა დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებასაც მოითხოვს. მართალია, დამნაშავის პიროვნება ისეთ როლს არ ასრულებს, როგორც უმართლობა და ბრალი, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში დამნაშავის პიროვნებასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

---

[270] *Meier B.-D.*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Berlin, Heidelberg, 2015, S. 170.

[271] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

[272] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 315, Rn. 637.

[273] *Streng F.*, დასახ. ნაშრ., გვ. 316, Rn. 638.

[274] *Streng F.*, დასახ. ნაშრ., გვ. 317, Rn. 640.

10. დანაშაულის პროპორციული სასჯელის პრინციპული მნიშვნელობა და საფუძველი

სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებულ არსებით თემას, რომელიც ბოლო პერიოდში საერთაშორისო დისკუსიის განსაკუთრებული საგანი გახდა, წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის შესაბამისი ანუ პროპორციული სასჯელი. იგი წარმოიშვა როგორც რეაქცია პრევენციაზე ორიენტირებული სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით, რომელიც უფრო მეტი ტრანსფარენტულობით გამოირჩევა. განსაკუთრებული კრიტიკა გამოიწვია სასჯელის გამკაცრებამ დანაშაულის განმეორების შემთხვევაში. კრიტიკოსთა ცენტრალურ მოთხოვნას წარმოადგენდა ასევე სასჯელის განჭვრეტადობა, სამართლიანობა და ერთიანობის უზრუნველყოფა. დანაშაულის სიმძიმეზე ორიენტირებული სასჯელის შეფარდება ამის საუკეთესო გარანტიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული მოძღვრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით *ა. ჰირშს, ა. აშვორტს, ა. დუფს და ნ. იარებორგს*[275].

სასჯელის შეფარდების დროს პრევენციული ფაქტორების მნიშვნელობის უარყოფა სარისკო და საკამათოა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის განსაზღვრა დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, როგორც ამოცანა თანამედროვე კრიმინალური-პოლიტიკის ღირებულ მონაპოვრად მიიჩნევა. ქმედების პროპორციულობის პრინციპი მნიშვნელოვანი თემაა ანგლო-ამერიკულ და სკანდინავიურ სამართლის ქვეყნებში[276].

დანაშაულის პროპორციული სასჯელი პირველ რიგში გულისხმობს შესაბამის დამოკიდებულებას დანაშაულსა და სისხლისსამართლებრივ რეაქციას შორის, მაგრამ პროპორციულობის პრინციპის ამ მოთხოვნის განხილვა სხვადასხვა ასპექტიდან არის შესაძლებელი[277].

პროპორციულობის პრინციპი სისხლის სამართალში არის სულ მცირე რელატიური ანუ „ორდინალური" პროპორციულობა (ordinale Proportionalität). ე.წ. ორდინალურ პროპორციულობის მიხედვით, დამნაშავის დასჯა რელატიურად პროპორციული უნდა იყოს სხვა დანაშაულთა დასჯასთან შედარებით. დამნაშავეები, რომლებმაც შედარებით ერთნაირი სიმძიმის დანაშაული ჩაიდინეს, შედარებით ერთნაირი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. დამნაშავეები, რომლებიც მძიმე დანაშაულს ჩაიდენენ უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ, ვიდრე ისინი, რომლებმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. უფრო მკაცრი დასჯა ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე უფრო მეტად იკიცხება[278].

---

[275] *Frisch W.*, Hintergrund, Grundlinien und Probleme der Lehre von der tatproportionalen Strafe, in: von Hirsch/Albrecht (Hrsg.), Tatproportionalität, Normative und empirische Aspekte einer tatproportionalen Strafzumessung, Heidelberg, 2003, S. 1.

[276] *Frisch W.*, დასახ. ნაშრ., გვ. 1-2.

[277] *Frisch W.*, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

[278] *Duff R.A.*, Was ist Tatproportionalität, und warum ist dieses Prinzip wichtig?, in: von Hirsch/Al-

ჰირშის თვალსაზრისით, ორდინალური პროპორციულობის მოთხოვნის დარღვევასთან გვექნება საქმე, თუ დამნაშავე რომელმაც თანაბრად გასაკიცხი ქმედება განახორციელა, პრევენციული მიზეზებით, სხვაზე უფრო მკაცრად დაისჯება. მეტი გაკიცხვა და სხვა ქმედებასთან შედარებით უფრო მკაცრად დასჯა იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც უფრო მძიმეა ქმედება. ორდინალური პროპორციულობის მოთხოვნის უგულებელყოფას გაკიცხვასთან დაკავშირებით სასჯელის ფუნქციის იგნორირებად მიიჩნევენ[279].

ორდინალური პროპორციულობის პრინციპის *პირველი* მოთხოვნაა თანასწორობა („პარიტეტულობა"): თუ დამნაშავეები ჩადენილი დანაშაულებისთვის ერთნაირად გაიკიცხებიან, შეფარდებით თანაბარი სიმკაცრის სასჯელი შეეფარდებათ. თუმცა, ეს მოთხოვნა არ ითვალისწინებს ერთნაირ სასჯელს ყველა იმ ქმედებისთვის, რომლებითაც ქმედების ერთიდაიგივე საკანონმდებლო შემადგენლობა განხორციელდა, ვინაიდან მიყენებული ზიანის და დამნაშავის ბრალის გათვალისწინებით შესაძლოა ადგილი ჰქონდეს განსხვავებას ერთიდაიგივე კატეგორიის დანაშაულში[280].

ორდინალური პროპორციულობის *მეორე* მოთხოვნა იერარქიული – ხარისხობრივია: როცა დამნაშავე y მეტად ისჯება, ვიდრე დამნაშავე x მაშინ, დამნაშავე y მეტად იკიცხება, რაც გამართლებულია, თუ მისი დანაშაული უფრო მძიმეც იყო. ამიტომ, სასჯელები ისე უნდა განისაზღვროს სიმკაცრის მიხედვით, რომ დანაშაულის ანარეკლს წარმოადგენდეს. ორდინალური პროპორციულობის *მესამე* მოთხოვნა სასჯელებს შორის მანძილთან არის დაკავშირებული. ამის ნათელსაყოფად *ჰირში* შემდეგ მაგალითს იშველიებს: წარმოვიდგინოთ, რომ x-მა, y-მა და z-მ ისეთი სიმძიმის დანაშაული ჩაიდინეს, რომელიც ერთ კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ მიუხედავად ამისა, y-ს დანაშაული უფრო მძიმეა, ვიდრე x-ს, მაშინ როცა z-ის დანაშაული მხოლოდ უმნიშვნელოდ უფრო მძიმეა, ვიდრე y-ს. ასეთ დროს დელიქტების გასაკიცხაობის (იგულისხმება სიმძიმე) შესანარჩუნებლად x-ის და y-ის სასჯელებს შორის მეტი დისტანცია უნდა იყოს, ვიდრე y-ის და z-ის სასჯელებს შორის[281].

ორდინალურისგან განასხვავებენ კარდინალურ პროპორციულობას (kardinale Proportionalität), რაც იმას გულისხმობს, რომ რეაქცია თვით განხორ-

brecht (Hrsg.), Tatproportionalität, Normative und empirische Aspekte einer tatproportionalen Strafzumessung, Heidelberg, 2003, S. 29. ორდინალურ და კარდინალურ პროპორციულობაზე ასევე იხ. *Hirsch A.*, Begründung und Bestimmung tatproportionaler Strafen, in: von Hirsch/Albrecht (Hrsg.), Tatproportionalität, Normative und empirische Aspekte einer tatproportionalen Strafzumessung, Heidelberg, 2003, S. 62-63.

[279] *Hirsch A.*, Begründung und Bestimmung tatproportionaler Strafen, in: von Hirsch/Albrecht (Hrsg.), Tatproportionalität, Normative und empirische Aspekte einer tatproportionalen Strafzumessung, Heidelberg, 2003, S. 62.

[280] *Hirsch A.*, in: von Hirsch/Albrecht (Hrsg.), Tatproportionalität, Normative und empirische Aspekte einer tatproportionalen Strafzumessung, Heidelberg, 2003, S. 62-63.

[281] *Hirsch A.*, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

ციელებული ქმედების სიმძიმის პროპორციული უნდა იყოს[282]. ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის სიმძიმის შედარებას სხვა დანაშაულის სიმძიმესთან.

კარდინალური პროპორციულობა გულისხმობს ზომაზე მაღალი სასჯელის აკრძალვას და შესაბამის სასჯელის ფარგლებს, რომელიც სიმკაცრით პროპორციულობის პრინციპის გაგებას შეესატყვისება. ამ პრინციპის მიხედვით, სასჯელი, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად სამართლიანი უნდა იყოს. ამავე თვალსაზრისით, სასჯელის შეფარდებისას მოსამართლემ ორდინალური პროპორციულობის თანაფარდი შეძლებისდაგვარად ზუსტი სასჯელი უნდა დანიშნოს[283]. მაშასადამე, აღნიშნული კონცეფცია აქცენტს სასჯელის სამართლიანობაზე აკეთებს, რომელიც დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარეობს. ე. ი. სასჯელი დანაშაულებრივი ქმედების პროპორციული უნდა იყოს, ხოლო დისპროპორცია დაუშვებელია.

დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების პრინციპის დამცველებისთვის პროპორციულობის მოთხოვნის დასაბუთების საკითხში გარკვეულ როლს თამაშობს სასჯელის არსებობა. ვინაიდან სასჯელი გაკიცხვაა ჩადენილი დანაშაულის გამო და სასჯელის სიმკაცრე გაკიცხვის ზომას გამოხატავს. მაშინ, როცა აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, *ჰირში* დამსახურებული გაკიცხვის შესაბამის სასჯელზე აკეთებს კონცენტრირებას, დუფი საკმარისად მიიჩნევს იმასაც, რომ სასჯელი არ იყოს დისპროპორციული დანაშაულთან შეფარდებით[284]. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს პოზიტიურ და ნეგატიურ პროპორციულობას[285] და უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს, რომელიც სასჯელის დანაშაულთან შესაბამისობის გარდა, სხვა საკითხებსაც ითვალისწინებს. კერძოდ, როგორიცაა: მომავალში მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილება, სასჯელის ეკონომიურობა და სხვ.).

ერთი მხრივ, დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდება, მართალია, უფრო საიმედო კრიტერიუმს და მეტ ტრანსფარენტულობას გვთავაზობს, მაგრამ, მეორე მხრივ, ბადებს კითხვას, თუ რამდენად შეიძლება დანაშაულის პრევენციაზე სასჯელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის ადეკვატური სასჯელით დამნაშავის პიროვნების გაუთვალისწინებლად. სასჯელის ეკონომიურობის პრინციპიც შეიძლება ვერ განხორციელდეს მკაცრი პროპორციულობით. შეიძლება სასჯელი მკაცრად პროპორციული არ იყოს და კონკრეტულ შემთხვევაში ეს უფრო ამართლებდეს, მაგრამ სასჯელის დისპროპორციულობაც დაუშვებელია. მაშასადამე, არც მკაცრი პროპორციულობაა საუკეთესო გამოსავალი ყოველთვის და არც დისპროპორციულობაა მისაღები.

[282] *Frisch W.*, დასახ. ნაშრ., გვ. 4-5.
[283] *Frisch W.*, დასახ. ნაშრ., გვ. 5.
[284] *Duff R.A.*, დასახ. ნაშრ., გვ. 39-42.
[285] *Duff R.A.*, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

პროპორციული სასჯელის შეფარდების თეორია პრიორიტეტად მიიჩნევს პროპორციულობის მიხედვით განსაზღვრული სასჯელის შეფარდებას, ვიდრე სხვა მიზნებით ხელმძღვანელობას: მაგალითად, იმ ადამიანებისთვის შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, რომლებიც თითქოსდა განმეორებით დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მატარებელნი არიან (პრევენციული მიზანი). მაგრამ, *ჰირშის* თვალსაზრისით, პროპორციულობის პრინციპი არ იქნება დარღვეული, როცა არსებობს არჩევანი თითქმის ერთნაირი სიმკაცრის თავისუფლების არშემზღუდავ ორ ღონისძიებას შორის, თუ ამ ორიდან ერთ-ერთი სპეციალურ-პრევენციული უპირატესობით გამოირჩევა[286].

აღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: თუ კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებულია ორი ან მეტი სხვადასხვა სახის სასჯელი, რომელთაგან ზოგი თავისუფლების შემზღუდავია, ხოლო ზოგი, პირიქით, არ არის ასეთი და სიმკაცრით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, პროპორციულობის პრინციპი დარღვეული იქნება. ქართულ სსკ-ში არც თუ იშვიათად შევხვდებით სანქციების ასეთ სისტემას, როცა დანაშაულისთვის ალტერნატიული სახით სხვადასხვა სიმკაცრის სასჯელია გათვალისწინებული, რაც მართალია, მოსამართლეს მოქმედების უფრო ფართო არეალს სთავაზობს, მაგრამ ბადებს კითხვებს ტრანსფარენტულობასთან დაკავშირებით. მაგალითად, 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ანდა გამასწორებელ სამუშაოს ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე. აქ გარდა იმისა, რომ სხვადასხვა სიმძიმის სასჯელებია გათვალისწინებული, ისიც არის აღსანიშნავი, რომ სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლებში, სადაც სასჯელის სახედ ჯარიმაა მოცემული, არსად არ არის მითითებული ჯარიმის მინიმუმი და მაქსიმუმი. ამასთან ერთად, არც ზოგად ნაწილშია ჯარიმის მაქსიმუმი მითითებული, რაც მოსამართლის მიერ საკითხის საკუთარი მიხედულებისამებრ გადაწყვეტის არეალს მეტისმეტად აფართოებს.

11. პროპორციული სასჯელის შეფარდების მოძღვრების ძირითადი მახასიათებლები

11.1. ბრალეული ქმედების უმართლობაზე ორიენტირებული სასჯელის შეფარდება

პროპორციულობის პრინციპის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელის ზომა დამოკიდებულია ქმედების სიმძიმეზე, სხვაგვარად რომ ვთქ-

[286] *Hirsch A.*, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ვათ, ქმედების ულირსობაზე. პროპორციული სასჯელის შეფარდების თეორიის რეალურად განხორციელებისთვის გადამწყვეტია იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელთა გამოყენება ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების ულირსობის შესაფასებლად ნებადართულია.[287]

ანგლოამერიკულ ლიტერატურაში პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად ორი კრიტერიუმი სახელდება. ერთი არის ქმედებით გამოწვეული ზიანი (Tatschaden) და მისი მოცულობა, ხოლო მეორე დამნაშავის ბრალის მოცულობა (das Ausmaß des Täterverschuldens).[288] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ფაქტორები არსებითი მნიშვნელობისაა, მაგრამ არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ პროპორციული სასჯელის შეფარდების კუთხით. მაგალითად ქმედების გენეზისში მსხვერპლის თანაბრალეულობა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.[289] ქმედების გენეზისში მსხვერპლის თანაბრალეულობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ამსრულებლის მიერ ქმედების განხორციელება მსხვერპლის წინარე ქმედებას უკავშირდება. კერძოდ, აფექტში და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი დანაშაული. დანაშაულებრივი ქმედების გენეზისში მსხვერპლის თანაბრალეულობის გათვალისწინება პროპორციული სასჯელის განსაზღვრისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა შეფასდეს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ქართული სს კოდექსის მიხედვით აფექტში და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით განხორციელებული დანაშაული შემამსუბუქებელ გარემოებაში განხორციელებულად ითვლება.

ჰირში და *იარებორგი* სასჯელის შეფარდების ორიენტირად დანაშაულის მოძღვრების პრინციპზე, განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე და საპატიებელ გარემოებებზე მიუთითებენ.[290] სასჯელის შეფარდების უახლესი გერმანული მოძღვრება მხარს უჭერს სწორედ იმას, რომ იგი დანაშაულის მოძღვრებაზე იყოს ორიენტირებული. იგი პირველ რიგში გვთავაზობს სასჯელის შეფარდების სფეროში შედეგისა და ქმედების უმართლობის გამიჯვნას და ცალკეული უმართლობისთვის რელევანტური ფაქტორების სტრუქტურირებას. პირველ ეტაპზე ხდება უმართლობის გამოკვლევა, ხოლო მას შემდეგ მოწმდება, ამსრულებლის ბრალეულობის სიმცირის გამო დანაშაული (Tatschwere) ხომ არ გამოირიცხება. მაშასადამე, ბრალის შემოწმება ხდება უმართლობის შემდგომ.[291] ამ შეხედულებაში მნიშვნელოვანია ის, რომ დასჯადობა შეიძლება გამორიცხოს არა მხოლოდ უმართლობის და ბრალის არარსებობამ ან უმართლობის მცირე ხარისხმა, არამედ აგრეთვე ბრალის სიმცირემ. შეიძლება პირი

[287] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 143.
[288] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 143-144.
[289] იქვე, გვ. 144.
[290] იქვე, გვ. 144.
[291] იქვე, გვ. 145.

ბრალეული იყოს და სახეზე არ იყოს მისი გამომრიცხავი გარემოება, მაგრამ ბრალის ხარისხი იყოს იმდენად მცირე, რომ პირის დასჯა არაპროპორციულად ჩაითვალოს.

11.2. დანაშაულის მოძღვრებაზე ორიენტირების დადებითი და უარყოფითი მხარე

ა) პროპორციულობის პრინციპის თეორიეული დასაბუთება ეფუძნება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან შიდა სისტემურ არგუმენტს: სასჯელის შეფარდების მოძღვრების დანაშაულის სისტემასთან გათანაბრებაზე მეტყველებს ის, რომ სასჯელის მისჯა ხდება გამამტყუნებელი განაჩენით და ამიტომ შეუძლებელია განსხვავებული სუბსტრატის დამოწმება,[292] ვინაიდან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და მსჯავრდებულისთვის სასჯელის მისჯა ეფუძნება სასამართლოს მიერ იმის დადგენას, რომ მსჯავრდებულმა განახორციელა სს კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის შეფარდებისას დანაშაულის სისტემა მოსამართლისთვის თავისებური ორიენტირია.

დანაშაულის სისტემაზე ორიენტირება ამარტივებს იმის დასაბუთებას, სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ მოსაზრებათა კატალოგში თუ რატომ უნდა მოიაზრებოდეს განსაზღვრული ფაქტორები. კაზუისტური ჩამონათვალისგან განსხვავებით, აღნიშნული დებულება გულისხმობს სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ ფაქტორთა *ნორმატიულ აუცილებლობას*. დანაშაულის მოძღვრებაზე ორიენტირებული სასჯელის შეფარდების მოძღვრება დასაშვებად მიიჩნევს სასჯელის შეფარდებისთვის მნიშვნელოვანი ისეთი ფაქტორების გამოყოფას, რომლებიც ტრადიციულად სასჯელის ზომას ზრდიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არც უმართლობაზე და არც ბრალზე ზეგავლენას არ ახდენენ.[293]

ბ) „ბრალის თანაზომიერი სასჯელის“ ტრადიციულ დებულებასთან შედარებით დანაშაულის უმართლობაზე მიმართული სასჯელის შეფარდებას შედეგად მოაქვს სასჯელის შეფარდების პროცესის რაციონალიზაცია. ბრალის შესაბამისი სასჯელის მოძღვრების კრიტიკოსები მიუთითებენ სასჯელის საჭიროებაზე მოსამართლის ინტუიციურ ორიენტაციასთან დაკავშირებით, რაც ღრმა ფსიქოლოგიურ განმარტებას მოითხოვს, მაშინ როცა, ბრალის ცნება გადაწყვეტილების მხოლოდ შემდგომი დასაბუთებისთვის გამოიყენება. სასჯელის შეფარდების ბრალის (Strafzumessungsschuld) ცნების განუსაზ-

[292] იქვე, გვ. 145.
[293] იქვე, გვ. 145-146.

ღვრელობა და უზუსტობა ხელს უწყობს ბრალის გარკვეული ხარისხის არაიმედო განსაზღვრას. დანაშაულის უმართლობის საფუძველზე სასჯელის განსაზღვრით შედეგზე ორიენტირებული ზღვარის დადგენა ხდება, ვინაიდან მოსამართლემ შედეგისა და ქმედების უმართლობის შეფასების საშუალებით ქმედების სიმძიმეზე საკუთარი აზრი უნდა გამოთქვას,[294] რაც ნაკლებ სირთულესთანაა დაკავშირებული ბრალის ხარისხის დადგენის პროცესთან შედარებით. თუმცა, ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებებზე ერთიანი, მყარი და საიმედო კატალოგის არარსებობის მიუხედავად, დაუშვებელია სასჯელის შეფარდების მხოლოდ უმართლობის სიმძიმეზე დაფუძნება და ბრალის მნიშვნელობის იგნორირება.

გ) გაბატონებული შეხედულება დანაშაულებრივ ქმედებასა და დამნაშავეზე დამოკიდებულ ნიშნებს გვერდიგვერდ აყეებს და მხარს უჭერს სასჯელის შეფარდების ყველა გარემოების ერთად შეფასებას. სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით ფაქტების დადგენას და შეფასებას შედეგად მოაქვს განსხვავებული ფაქტების აწონ-დაწონვა. ასეთი მოქმედება, ერთი მხრივ, არ არის პრაქტიკული, ვინაიდან შესაფასებელი პირის კოგნიტური შესაძლებლობების შეფასებას მოითხოვს, რაც ზოგჯერ გადაჭარბებითაც ფასდება. იმ მოდელის მიხედვით, რომელსაც გაბატონებული შეხედულება გვთავაზობს, მრავალი ფაქტი, რომელიც დანაშაულს და დამნაშავის პიროვნებას გადმოგვცემს, ერთ საფეხურად ერთმანეთის საპირისპიროდ ფასდება. ეს კი გულისხმობს, რომ მრავალრიცხოვანი გარემოება, რომლებიც დამნაშავეზე, შესაბამისად, მის წინააღმდეგ მეტყველებენ და რომლებსაც განსხვავებული წონა აქვთ, განაჩენში ერთბაშად შეიძლება შეჯამდეს.[295] მიუხედავად დამნაშავის პიროვნების შეფასების არაპრაქტიკულობისა, ნაკლები ტრანსფარანტულობისა, მისი მნიშვნელობის უარყოფაც დაუშვებელია. დამნაშავის პიროვნება ყოველთვის შეიძლება არ ასრულებდეს ერთნაირ როლს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, მისი იგნორირებაც გაუმართლებელია.

დ) ქმედების შეფასება უმართლობის და ბრალის კრიტერიუმების საფუძველზე აუმჯობესებს სასჯელის შეფარდების შემთხვევათა შედარების შესაძლებლობას. ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, დამნაშავის პიროვნების შეფასების ელიმინაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ამით სასჯელის შეფარდების ფაქტორების რიცხვის რედუცირება მოხდება და სხვადასხვა შემთხვევათა შედარების გზით გამარტივდება. ეს არის არა მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე ხარისხობრივი თვალსაზრისითაც გაუმჯობესება, ვინაიდან მარტივია დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შეფასებასთან დაკავშირებული მასშტაბის პოვნა, მაშინ როცა, დამნაშავის პიროვნების შეფასება პერსონალური მასშტაბის ჩართვით ხორ-

[294] იქვე, გვ. 146.
[295] იქვე, გვ. 146.

ციელდება. ამავე მოსაზრების მიხედვით, სასჯელის შეფარდების დროს გარემოებათა დადგენა და შემოწმება უნდა მოხდეს იმ თანმიმდევრობით, რომელიც დანაშაულის სისტემიდან გამომდინარეობს: ამდენად, გარემოებათა შედარება დასაშვებია საფეხურებრივად. შესაფასებელი შემთხვევის განსაკუთრებულობას და საერთო მახასიათებლებს შეიძლება ჩავწვდეთ შედეგის უმართლობას, ქმედების უმართლობას და ბრალს მიკუთვნებული ფაქტორების სისტემურად გამოკვლევით.[296]

სასჯელის შეფარდების პროცესში დამნაშავის პიროვნების როლის უარყოფა არ არის გასაზიარებელი. მართალია, სასჯელის შეფარდებას საფუძვლად უდევს მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც დამნაშავის პიროვნებას არ მოიცავს, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ მოსამართლე მხოლოდ იმ გარემოებების დადგენით და შეფასებით შემოიფარგლოს, რომლისგანაც დანაშაული აიგება და მისი სიმძიმე იზომება.

ე) ტრადიციული მოძღვრების თანახმად, რომელსაც *ჰ. ი. ბრუნი* ანვითარებს, სასჯელის შეფარდების ბრალი არის დამოუკიდებელი სასჯელის წანამძღვრებისგან. მაგრამ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, აღნიშნული მოძღვრება სასჯელის დამაფუძნებელ ბრალს (Strafbegründungsschuld) და სასჯელის შეფარდების ბრალს (Strafzumessungsschuld) ერთმანეთისგან მიჯნავს. სასჯელის შეფარდების ბრალი უმართლობას უკავშირდება. იგი არ არსებობს ქმედების შემადგენლობისგან თავისუფალ სივრცეში ანუ იქ, სადაც ქმედების შემადგენლობა არ არის მოცემული. სასჯელის ზომაზე გავლენას ახდენს არა ერთმანეთისგან იზოლირებული უმართლობა და ბრალი, არამედ „ბრალეულად განხორციელებული უმართლობა" („verschuldete Unrecht")[297], მაშასადამე, უმართლობა და ბრალი მათ ერთიანობაში.

დანაშაულის მოძღვრების და სასჯელის შეფარდების მკაცრი გამიჯვნის მოდელის მიხედვით, რომელსაც *ვ. ჰასემერი* უჭერს მხარს, უმართლობის და ბრალისთვის რელევანტური გარემოებები არ ეკუთვნის სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებას. მაშასადამე, როგორც *ვ. ჰასემერი* შენიშნავს, სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოებების წრე არ წარმოადგენს იმ ფაქტორების გამეორებას, რომლებიც ქმედების კვალიფიკაციის, ე. ი. ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასთან შესაბამისობის დადგენის დროს მიიღება მხედველობაში[298].

უმართლობისთვის რელევანტური გარემოებების მკაცრი გამიჯვნა იმ გარემოებებისგან, რომლებიც სასჯელის შეფარდებისას მიიღება მხედველობაში, ცალკეულ მეცნიერთა კრიტიკას იწვევს. კრიტიკოსთა თვალსაზრისით, ასეთი ექსტრემალური ვერსია ანგარიშს არ უწევს იმას, რომ სასჯელის

[296] იქვე, გვ. 147.

[297] *Bruns H-J.*, Das Recht der Strafzumessung, 2. Aufl., Köln, Berlin, Bonn, München, 1985, S. 145.

[298] *Hassemer W.*, Die rechtstheoretische Bedeutung des gesetzlichen Strafrahmens, in: GS-Radbruch, Göttingen, 1968, S. 286.

საკანონმდებლო საზღვრები, საიდანაც მოსამართლემ სასჯელის საბოლოო ზომა უნდა განსაზღვროს, ქმედების შემადგენლობის მკაცრად აბსტრაგირებული ფორმულირების აუცილებელი კორელატია.

ი. პუპეს შეხედულებით, თუ მოსამართლე სასჯელის ფარგლების დადგენის დროს იმ საფუძვლებზე იქნებოდა ორიენტირებული, რომელიც ქმედების შემადგენლობაში ჩადებული შეფასების პროგრამის გარეთაა, სისხლის სამართლის კოდექსის საგარანტიო ფუნქციასთან და კანონიერების პრინციპთან („nulla poena sine lege") დაკავშირებით პრობლემა წარმოიქმნებოდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა კი მიგვიყვანდა იქამდე, რომ საკანონმდებლო საფუძველი საჭირო იქნებოდა დასჯის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის, მაგრამ არა სასჯელის ზომის განსაზღვრისთვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე როგორც კი დასჯადობის საკანონმდებლო წანამძღვრების საზღვარს გადააბიჯებდა, კანონიერების პრინციპის გარანტიის, დაცვის გარეშე დარჩებოდა, ხოლო მოსამართლე უმართლობის და ბრალისმიერი გაკიცხვის შინაარსის და მოცულობის კონსტრუირებას ამ ფარგლების მიღმა მოახდენდა.[299]

შეიძლება ითქვას, რომ პუპეს კრიტიკა გადაჭარბებულია. თუ მის შეხედულებას გავიზიარებთ, უნდა დავეთანხმოთ მეცნიერებაში აქამდე გაბატონებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც უმართლობის ხარისხი ბრალის ხარისხს განსაზღვრავს, რაც ორჯერ შეფასების პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის. გარდა ამისა, კანონიერების პრინციპი იმას მოითხოვს, რომ ადამიანი დაისაჯოს კანონით გათვალისწინებული ქმედებისთვის და შეეფარდოს ის სასჯელი, რომელსაც შესაბამისი ქმედებისთვის კანონმდებელი განსაზღვრავს. მაგრამ აქ საუბარია კანონით გათვალისწინებული სასჯელის სახეზე და მაქსიმალურ ზღვარზე, იმაზე, რომ მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს ისეთი სასჯელი, რომელსაც არ იცნობს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ან შესაბამისი მუხლი და არ უნდა გასცდეს კანონით გათვალისწინებულ ზღვარს, მაგრამ კონკრეტულად რომელი სახის და რა ზომის სასჯელი უნდა შეუფარდოს დამნაშავეს, ამას იგი სწორედ რომ დამოუკიდებლად წყვეტს. ამით არ ხდება ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის საგარანტიო ფუნქციის დაკნინება.

ვ) დანაშაულის სისტემაზე სასჯელის შეფარდების ორიენტირება ქმნის იმის შეგრძნებას, რომ სასჯელის შეფარდების **დამატებით** ფაქტორებს გამონაკლისი ხასიათი აქვთ და ამიტომ განსაკუთრებულ გამართლებას საჭიროებენ. ფაქტორების კონგლომერატი, რასაც დღემდე გაბატონებული შეხედულება და სასამართლო პრაქტიკა ეფუძნება, სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებათა წრის არასაიმედო გაფართოების საფრთხეს ქმნის[300], მაგრამ ამ საფრთხის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ასეთ გარემოებათა

[299] *Puppe I.*, Idealkonkurrenz und Einzelverbrechen, Berlin, 1979, S. 59.
[300] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 149.

მნიშვნელობის აღიარება, სასჯელის პრევენციული ფუნქციიდან გამომდინარე, აუცილებელი და გარდაუვალია.

იმ ფაქტორების შემოფარგვლა, რომლებიც უმართლობის და ბრალის მიღმა იმყოფება და მხედველობაში სასჯელის შეფარდების დროს მიიღება, ბრალისმიერი პრინციპიდან გამომდინარეობს: თუ სასჯელის ლეგიტიმურობა არა მხოლოდ განაჩენის გამოტანით, არამედ აგრეთვე კონკრეტული სასჯელის ზომითაც იზომება, მაშინ უმართლობის შესაბამისზე უფრო მაღალი სასჯელის ზომა არ იქნება ლეგიტიმური. თუმცა აქ უნდა ითქვას ისიც, რომ სასჯელის ზედა საკანონმდებლო ზღვარი არა მხოლოდ უმართლობის, არამედ აგრეთვე ბრალის შესაბამისი სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. მაგრამ, კანონმდებლისთვის ამოსავალი წერტილი უმართლობა და მისი სიმძიმეა და რამდენადც ბრალი პერსონალური უმართლობაა, კანონმდებელი თითოეული მსჯავრდებულის პერსონალურ უმართლობას ანუ ბრალს წინასწარ ვერ შეაფასებს. ამიტომ გადასცემს იგი ამ ფუნქციას მოსამართლეს.

ამდენად, უმართლობის და ბრალის მიღმა შეიძლება მხოლოდ ის გარემოებები იყვნენ, რომლებიც სასჯელს ამსუბუქებენ.[301] მაშასადამე, წარმოდგენილი დებულების თანახმად, თუ სასჯელის დამაფუძნებელი და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, კანონიერების პრინციპის შესაბამისად, უმართლობის და ბრალის მიღმა არ უნდა იყოს, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება, პირიქით, შეიძლება უმართლობის და ბრალის მიღმა არსებობდეს და მას არ უკავშირდებოდეს. მაგალითად, მსჯავრდებულზე რომ არის მესამე პირი დამოკიდებული, მას რომ მსჯავრდებულის გარდა სხვა მომვლელი არ ჰყავს, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, მაგრამ აღნიშნული გარემოება არც უმართლობას უკავშირდება და არც ბრალს.

11.3. ქმედების უმართლობის შეფასება

ადრე გაბატონებული თეორია ფოკუსირებას ბრალის ცნებაზე ახდენდა და სასჯელის შეფარდებისთვის რელევანტური გარემოებებიდან ქმედების უმართლობას გამორიცხავდა: აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, მნიშვნელოვანია დანაშაულის თავიდან აცილების მხოლოდ ინდივიდუალური შესაძლებლობა. მეორე მხრივ, ბრალის დადგენისას უმართლობა არა უშუალოდ, მაგრამ გაშუალებული სახით, მხედველობაში მიიღებოდა (განზრახვა). ორიენტაცია ეს კონცეფცია *ტ. ჰიორნლეს* თვალსაზრისით, არ არის დამაჯერებელი. იგი აღნიშნავს, რომ ქმედების სიმძიმისგან დამოუკიდებლად განზრახვის კვანტიფიცირება შეუძლებელია. იგი უფრო მეტად არის „ქმედების შემადგენ-

[301] იქვე, გვ. 149.

ლობისგან" ნეიტრალური კატეგორია იმ თვალსაზრისით, რომ კოგნიტური და ვოლუნტატური ელემენტების ინტენსივობა განხორციელებული ქმედების შემადგენლობაზე დამოკიდებული არ არის.[302] მართალია, კოგნიტური და ვოლუნტატური ელემენტები ქმედების შემადგენლობის ნიშნებზეა მიმართული და ზოგადად, განზრახვა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების ცოდნა და ნებელობაა, მაგრამ ამ ნიშნებზე დამოკიდებული არ არის და მისგან დამოუკიდებლად დგინდება ის, თუ რა სახის (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) და ხარისხის (პირველი თუ მეორე ხარისხის) განზრახვით მოქმედებდა პირი.

ტრადიციულ და თანამედროვე მოძღვრებას შორის არ არსებობს არსებითი სხვაობა, როცა საქმე ეხება იმ ფაქტორების ცენტრალურ პოზიციას, რომლებიც ქმედების უმართლობას განსაზღვრავენ. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიხედვითაც ბრალის შესაბამისი სასჯელი განისაზღვრება ქმედების სიმძიმის, მართლწესრიგის დარღვევისთვის მისი მნიშვნელობის და დამნაშავის პერსონალური ბრალის ხარისხის მიხედვით. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომაც ანალოგიური თვალსაზრისი გამოხატა თავის გადაწყვეტილებებში და აღნიშნა, რომ სასჯელი ქმედების სიმძიმის და დამნაშავის ბრალის მოცულობის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

როგორც *ტ. ჰიორნლე* აღნიშნავს, გერმანიის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული პრაქტიკის ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ სასჯელის შეფარდებისთვის პრაქტიკულად უმნიშვნელოვანესია ის ფაქტორები, რომლებიც ქმედების სიმძიმეს განსაზღვრავენ[303]. ქვემოთ იქნება განხილული საკითხი იმის თაობაზე, სისხლის სამართლის ლიტერატურაში თუ რა კრიტერიუმებით განსაზღვრავენ ქმედების და შედეგის უმართლობას.

მართებულად უნდა ჩაითვალოს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ქმედების უმართლობა სასჯელის შეფარდების დროს არ კარგავს მნიშვნელობას, მაგრამ, მეორე მხრივ, უმართლობის სიმძიმის გათვალისწინებაც განხორციელებული დელიქტის ტიპზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ბრალს და მის ხარისხს, იგი სასჯელის შეფარდებისას ყოველთვის იძენს ერთნაირ მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის უმართლობა განხორციელდა.

[302] იქვე, გვ. 150.
[303] იქვე, გვ. 150-151.

12. დანაშაულებრივი ქმედების უმართლობა, როგორც სასჯელის შეფარდების საყრდენი წერტილი?

12.1. უმართლობის ფარგლების განსაზღვრა ქმედების შემადგენლობის ნიშნების საფუძველზე

ა) ქმედების შემადგენლობის კვანტიფიცირებადი და არაკვანტიფიცირებადი ნიშნები

დანაშაულებრივი ქმედების უღირსობის განსაზღვრისთვის საყრდენ წერტილს ქმედების შემადგენლობის ნიშნები შეადგენს, მაგრამ საინტერესოა, რამდენად შეიძლება იგი სასჯელის შეფარდებისას იქნეს გათვალისწინებული? როგორც *ჰიორნლე* მიუთითებს, ძალა ეცლება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის ქმედების შემადგენლობის ნიშნების ორჯერ გათვალისწინება: 1) ისე როგორც დასჯადობის წინაპირობა ქმედების კვალიფიკაციისას და; 2) აგრეთვე სასჯელის შეფარდების დროსაც. მისი შეხედულებით, ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი სასჯელის შეფარდების დროს სუბსუმფციის აბსტრაქტული ფორმით ხელახლა განხორციელებას გამორიცხავს. შესაფასებელი შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებს, რომლებიც შესაბამისი ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შეადგენენ, შეიძლება სასჯელის შეფარდების დროს დავეყრდნოთ[304].

ჰიორნლეს შეხედულების ანალოგიური მოსაზრება უფრო ადრე გამოთქვა *მ. ჰეტინგერმა*[305]. იგი მიუთითებს, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშნებსა და სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებებს შორის საიმედო ზღვარის გავლება (დღემდე) მიუღწეველია[306].

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ქმედების შემადგენლობის ნიშნების კლასიფიცირებას ახდენენ და ერთ-ერთ ჯგუფად გამოყოფენ იმ ნიშნებს, რომელთა კვანტიფიცირება შესაძლებელია. მაგალითად, ქონებრივი (მატერიალური) ზარალი[307] თაღლითობის დროს და ფული ფულის გაყალბების შემთხვევაში (საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხ.). იშვიათად გვხვდება ისეთი ქმედების შემადგენლობები, რომლებიც კვანტიფიცირებად ნიშნებს შეიცავენ. უმრავლეს შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის ნიშნები არ არის კვანტიფიცირებადი. *ჰიორნლეს* თვალსაზრისით, კვანტიფიცირებადი ნიშნების დადგენა შედარებით არაპრობლემატური და მარტივია, ვიდრე არაკვანტიფიცირებადის, რომ-

[304] იქვე, გვ. 196.
[305] *Hettinger M.*, Das Doppelverwertungsverbot bei strafrahmenbildenden Umständen, Berlin, 1982, S. 88.
[306] *Hettinger M.*, დასახ. ნაშრ., გვ. 88.
[307] *Hettinger M.*, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

ლებთან მიმართებითაც ზედსართავი სახელის ან ზმნიზედის გამოყენებით გრადაცია შესაძლებელია. მაგალითად, მოძრაობის წესების *უხეში* დარღვევა. არაკვანტიფიცირებად ნიშნებს მიეკუთვნება: მუქარა; ძალადობა; დახმარება; თავისუფლების აღკვეთა[308] და ა. შ.

ჰიორნლეს შეხედულება სასჯელის შეფარდების დროს ქმედების შემადგენლობის ნიშნების გათვალისწინებასთან დაკავშირებით საკამათოა. მისი შეხედულების გაზიარებისას იშლება ზღვარი ქმედების კვალიფიკაციის და სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებებს შორის. თუ ორივე შემთხვევაში ერთსა და იგივე გარემოებებს დაეყრდნობა მოსამართლე, არაპროპორციულ სასჯელს ვერ აცდება. საკამათოა ქმედების შემადგენლობის მხოლოდ კვანტიფიცირებადი ნიშნები, რომელიც შესაძლოა ორმაგ ფუნქციას ასრულებდეს.

ბ) მატერიალური შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობა უმართლობის დასადგენად

ბევრ ქმედების შემადგენლობაში მოცემულია ნიშნები, რომლებიც არ არის კონკრეტულად განსაზღვრული, ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და ამიტომ, მატერიალურ შეფასებას მოითხოვს. მაგალითად შეიძლება დასახელდეს „ძალადობა". იგი მრავალ სხვადასხვა ფორმაში შეიძლება გამოვლინდეს. კერძოდ: ჩაკეტვაში (ჩამწყვდევაში); დაბმაში; ჯანმრთელობის დაზიანებასა და მკვლელობაშიც. გარდა ამისა, პრაქტიკული სირთულე მაშინაც წარმოიშობა, როცა ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შეადგენს ისეთი ცვლილება, რომელიც გარესამყაროში შეუმჩნეველია და მასზე დაკვირვება შეუძლებელია[309]. ასეთი ქმედების შემადგენლობები მოითხოვენ პარამეტრს, რომელიც შედარებას შესაძლებელს გახდის. ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი მატერიალური კრიტერიუმი იქნება გამოყენებული იმისთვის, რომ კომპლექსური და მრავალსახოვანი ხელყოფა და საფრთხის შექმნა, რომლებიც ქმედების შემადგენლობებში გენერალიზებულად არიან აღწერილი, სისტემაში იქნეს მოყვანილი. შეფასების კრიტერიუმად გამოდგება არა ქმედების შემადგენლობის სიტყვასიტყვითი ჟღერადობა, არამედ საჭიროა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ქმედების სოციალური შეფასება და ქმედებით გამოწვეული ცვლილება[310].

ფორმალურ ცნებებზე კონცენტრირებული უმართლობის განსაზღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ დელიქტში უმართლობის რელატიური სიმძიმე სრულად შეუძლებელია განისაზღვროს ქმედების შემადგენლობის არაკვანტიფიცირებადი ცნებებით, ან იმიტომ,

[308] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 196-197.

[309] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 198-199. აღნიშნულის მაგალითად ჰიორნლეს შეურაცხყოფის მოცულობა მოჰყავს. ქართული სსკ-ით შეურაცხყოფა დასჯადი არ არის და ამიტომ არ გამოდგება მოყვანილი მაგალითი.

[310] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

რომ ქმედების შემადგენლობა არაკვანტიფიცირებად ცნებას არ შეიცავს ან იგი უმართლობის ადექვატური გამოკვლევისთვის შევსებას საჭიროებს, რაც დამატებითი შეფასების აუცილებლობას გულისხმობს.

ქურდობის შემადგენლობა, შეგვიძლია დავასახელოთ იმ ქმედების შემადგენლობათა მაგალითად, რომელიც არ შეიცავს უმართლობისთვის რელევანტურ *არაკვანტიფიცირებად ცნებებს* (Ordnungsbegriffe). ქურდობის უმართლობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია დაუფლებული ნივთის ღირებულება, რომელიც ქმედების შემადგენლობაში არაა მითითებული. მოპარული ნივთის ეკონომიურ ღირებულებას აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა სასჯელის შეფარდებისთვის[311]. მაშასადამე, საკმარისი არ არის მხოლოდ იმის დადგენა, რომ მოძრავი ნივთის დაუფლება განხორციელდა. დამატებით ისიც უნდა გაირკვეს, რა ღირებულებისაა ეს ნივთი. კონკრეტულ შემთხვევაში უმართლობის სიმძიმის გასაგებად საჭიროა მატერიალური შეფასების კრიტერიუმი.

12.2. უმართლობის მონისტური და დუალისტური გაგება

12.2.1. შედეგისგან დამოუკიდებელი უმართლობა: უმართლობის მონისტურ-სუბიექტური მოძღვრება

უმართლობაზე *ცილინსკის* მონისტურ-სუბიექტური მოძღვრება ფინალური მოძღვრების განვითარებას ეყრდნობა. *ცილინსკიმ* სისხლის სამართლის ნორმის ფუნქცია ქცევის განსაზღვრასთან დაკავშირებით წინა პლანზე გადმოსწია[312]. მისი თვალსაზრისით, მართლწესრიგს აქვს არა მხოლოდ შეფასების, არამედ აგრეთვე რეგულირების ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მიზნად აქვს ადამიანთა თანაცხოვრებაზე ზემოქმედება მოახდინოს. ამას აღწევს იმით, რომ ითხოვს იმ ქმედებათა განხორციელებას, რომელიც სამართლებრივად ღირებული მიზნისკენაა მიმართული. ხოლო იმ ქმედებებს, რომლებიც, პირიქით, ხელს უწყობს არაღირებული შედეგის დადგომას, კრძალავს. როდესაც საუბარია სისხლის სამართალის ფუნქციაზე, მაშინ სისხლისსამართლებრივი ნორმები შეიძლება მხოლოდ მოთხოვნად და აკრძალვად განიმარტოს. ისინი განსაზღვრული ქმედების იძულებას გულისხმობენ. სამართლებრივი მოვალეობის დასაბუთება თუ როგორი სახისაა, როგორია მისი მოტივაცია, უმნიშვნელოა[313].

ცილინსკის მიხედვით უმართლობა არის მხოლოდ აკრძალული ფინალ-

[311] *Hettinger M.*, Das Doppelverwertungsverbot bei strafrahmenbildenden Umständen, Berlin, 1982, S. 95.

[312] *Zielinski D.*, Handlungs- und Erfolgsunwert im Unrechtsbegriff, Berlin, 1973, S. 121.

[313] *Zielinski D.*, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

ური ქმედების რეალიზაცია. უმართლობის ცნების აგებისას *ცილინსკი* გადამწყვეტ როლს ქმედებას აკუთვნებს და არა შედეგს სამართლებრივი სიკეთის ობიექტის ხელყოფის სახით. მისი თვალსაზრისით, სამართლებრივი სიკეთის ობიექტის ხელყოფას თანადროული სამართლებრივი სიკეთის საწინააღმდეგო ქმედების გარეშე, შეიძლება უმართლობა ეწოდოს, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივი გაგებით. სისხლისსამართლებრივად ეს შეუძლებელია. სისხლისსამართლებრივი უმართლობა პირველ რიგში გულისხმობს განსაზღვრულ ქმედებას. სისხლის სამართლის რეგულაციური ფუნქცია კი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს იმ ქმედების თავიდან აცილებას, რომელიც სამართლებრივი სიკეთის ობიექტის ხელყოფას იწვევს[314], ე. ი. ისევე როგორც უმართლობის განხორციელება ხდება ადამიანური ქმედებით, სამართლებრივი სიკეთის ობიექტის ხელყოფის თავიდან აცილებაც შესაბამისი ქმედების თავიდან აცილებით მიიღწევა. მხოლოდ ქმედების უმართლობა აყალიბებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას. მხოლოდ მოვალეობის საწინააღმდეგო ფინალური აქტია უმართლობა. მაშასადამე, შედეგი არ აყალიბებს უმართლობას[315]. სამართლის დარღვევა ხდება აკრძალვის უგულებელყოფით და არა შედეგის დადგომით[316].

ცილინსკის შეხედულებით, სასჯელის საფუძველი და მატერიალური გამართლება არის უმართლობა და დამნაშავის ბრალი. ბრალის გარეშე სასჯელი არ არსებობს და ამიტომ, სასჯელი არ შეიძლება ბრალის მოცულობას აღემატებოდეს[317].

12.2.2. უმართლობის დუალისტური გაგება და მონისტური მოძღვრების კრიტიკა

უმართლობის მონისტური მოძღვრების საწინააღმდეგოდ სხვადასხვა არგუმენტის მოყვანა შეიძლება. პირველი, შედეგს გაუფრთხილებლობით დელიქტებში (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ან ჯანმრთელობის დაზიანება, კონკრეტული საფრთხის შექმნა, აბსტრაქტული საფრთხის შექმნა) განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. *დ. კრაუსი* მართებულად მიუთითებს, რომ შედეგის გარეშე მთელი რიგი ქმედებები დაუსჯელი დარჩებოდა და დასჯადობა რიგ შემთხვევებში სწორედ შედეგის დადგომას უკავშირდება. კერძოდ, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში. იგი მართებულად შენიშნავს, რომ შედეგის გათვალისწინების

[314] იქვე, გვ. 127.
[315] იქვე, გვ. 143.
[316] იქვე, გვ. 215.
[317] იქვე, გვ. 214.

გარეშე გაურკვეველი იქნებოდა, თუ როგორ უნდა განიმარტოს განსხვავებული ზომის სასჯელი ცალკეულ შემადგენლობებთან დაკავშირებით ან როგორ უნდა განისაზღვროს სასჯელის ზომა ცალკეულ შემთხვევებში. მას საეჭვოდაც არ მიაჩნია, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასჯელი დანაშაულებრივი შედეგის შესაბამისი უნდა იყოს[318].

ცალკეულ შემთხვევებში შედეგი მართლაც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს უმართლობის ფორმირებაში. ზოგჯერ შედეგი უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანი არის, მაგალითად, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისას. ხოლო რიგ შემთხვევებში შედეგის დადგომა უმართლობას არ აფუძნებს, მაგრამ სასჯელის გაზრდას იწვევს. ეს ეხება კვალიფიციურ შემადგენლობებს.

შედეგის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ ერთი და იგივე ქმედება, იმის მიხედვით, თუ რა სახის შედეგი დადგა ან არდადგა კვალიფიცირდება ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად ან ჯანმრთელობის დაზიანებად, ან კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად ან არადასჯად ქმედებად[319]. შედეგის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის ფრაგმენტული ხასიათის შესაბამისად, შეიძლება ითქვას, ეხება თუ არა საქმე უმართლობის შესაბამის დასჯად ქმედებას[320], რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალი ყველანაირ ქმედებას არ სჯის და ხშირად ქმედების დასჯადობას კონკრეტული შედეგის დადგომას უკავშირებს.

უმართლობის დაფუძნებაში შედეგის დადგომის მნიშვნელობაზე საუბრისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, თუ რა როლს თამაშობს იგი დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის გამიჯვნაში. შედეგის პრაქტიკული მნიშვნელობის უარყოფა გამოიწვევს დანაშაულის დამთავრებული მცდელობის გაიგივებას დამთავრებულ დანაშაულთან, ხოლო დაუმთავრებელი მცდელობისთვის სასჯელის შემცირებაზე უარის თქმას[321], რაც თავისთავად იწვევს დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულისთვის ერთნაირი სასჯელის შეფარდებას. თუმცა, შეუძლებელია ეჭვის შეტანა საკითხის ამგვარი გადაწყვეტის არამართებულობაში. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში საკამათოდ არავის მიაჩნია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად განხორციელება უფრო მსუბუქად რომ უნდა დაისაჯოს მაშინ, როცა მას შესაბამისი შედეგი არ მოჰყვება, ვიდრე მაშინ, როცა ქმედება შედეგით სრულდება.

---

318 *Krauß* D., Erfolgsunwert und Handlungsunwert im Unrecht, ZStW 1964, S. 61.

319 *Schöneborn C.*, Zum „Erfolgsunwert" im Lichte der sozialpsychologischen Attributionstheorie, GA 1981, S. 73.

320 *Schöneborn C.*, იქვე.

321 *Stratenwerth G.*, Zur Relevanz des Erfolgsunwerts im Strafrecht, FS-Schafstein F., Göttingen, 1975, S. 186.

სწორად აღნიშნავს *ბ. შუნემანი*, რომ ვინაიდან შედეგს ის ქმედების შემადგენლობა მოიცავს, რომლისგანაც უმართლობა შედგება, სუბსტრატის ადექვატურობის პრინციპიდან (Grundsatz der Substratadäquanz) გამომდინარე მოქმედ სამართალს სჭირდება ქმედებით გამოწვეული შედეგი იმ კარდინალური საკითხის გასარკვევად, თუ რა ზომის სასჯელი უნდა შეეფარდოს დამნაშავეს[322]. მართლაც დაუშვებელია შედეგის მნიშვნელობის უგულებელყოფა უმართლობის ფორმირების და სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს, მაშინ, როცა შედეგიანი დელიქტების ქმედების შემადგენლობაში შედეგს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ხოლო უმართლობა შესაბამისი ქმედების შემადგენლობის გარეშე არ არსებობს. კონკრეტული ქმედების შემადგენლობისთვის შედეგის მნიშვნელობის აღიარება თავისთავად ნიშნავს მისი ფუნქციის განსაზღვრას, როგორც უმართლობის დაფუძნების, ისე სასჯელის ზომის დადგენის თვალსაზრისით.

მხოლოდ ქმედებაზე დაფუძნებული უმართლობის მონისტური მოძღვრების საწინააღმდეგოდ სისხლის სამართლის ლიტერატურაში იმასაც მიუთითებენ, რომ ქმედების უმართლობის შეფასება უფრო რთულია, ვიდრე შედეგის უმართლობის შეფასება[323]. შედეგის უმართლობის შეფასება შედარებით მარტივი იმიტომ არის, რომ შედეგი გარესამყაროში მომხდარი ცვლილებაა, რაც ხილულია და რისი აღქმა გრძნობის ორგანოთი შესაძლებელია. ქმედების უმართლობის შეფასება მოითხოვს ქმედების სუბიექტური მხარის, იმ მოტივების და მიზნების შეფასებას, რომელიც დამნაშავის ქმედებას საფუძვლად დაედო. მაგრამ, არა თუ რთული, არამედ შეუძლებელიც არის მიზნის შეფასება შედეგისგან დამოუკიდებლად. მიზანი ხომ ის შედეგია, რეზულტატია, რომლის მისაღწევადაც ადამიანი მოქმედებს.

13. ქმედების შემადგენლობის ნიშნების ფუნქციის სწორად განსაზღვრის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის

13.1. ქმედების შემადგენლობის ნიშნების ორმაგი ფუნქცია?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ ქმედების შემადგენლობის ორმაგ ფუნქციაზე[324], რაც ბუნებრივია, წარმოშობს კითხვას, თუ საიდ-

[322] *Schünemann B.*, Neue Horizont der Fahrlässigkeitsdogmatik?, FS- Schafstein F., Göttingen, 1975, S. 171.

[323] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 206-207.

[324] *Hettinger M.*, Das Doppelverwertungsverbot bei strafrahmenbildenden Umständen, Berlin, 1982, S.103, 105.

ან გამომდინარეობს იგი. რა იგულისხმება ქმედების შემადგენლობის ორმაგ ფუნქციაში და რამდენად სწორია საკითხის ამგვარი დასმა?

მ. ჰეტინგერი დასმულ კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშნებს აქვს არა მხოლოდ სასჯელის დამაფუძნებელი და სხვა ქმედების შემადგენლობისგან გამმიჯნავი ფუნქცია, არამედ ისინი განეკუთვნებიან სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებებს, მაგრამ არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული ფორმით[325]. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობა აბსტრაქტულად არის ჩამოყალიბებული და მის ნიშნებსაც საკანონმდებლო აღწერილობაში აბსტრაქტულობა ახასიათებს, მაგრამ რეალურად ხორციელდება ქმედების შემადგენლობა არა აბსტრაქტულად, ზოგადად, არამედ კონკრეტულ ვითარებაში და აქედან გამომდინარე ქმედების შემადგენლობის ნიშნები რეალურ (განხორციელებულ) შემთხვევაში კონკრეტულ შინაარსს იძენს. ამ მოსაზრების მიხედვით, სასჯელის შეფარდება გულისხმობს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობაში აბსტრაქტულად შემოფარგლული უმართლობის და ბრალის კონკრეტიზირებას.

ქმედების შემადგენლობის ნიშნების ორმაგი ფუნქციის თაობაზე გამოთქმული მოსაზრება და მისი შესაბამისობა ორმაგი შეფასების აკრძალვის პრინციპთან მეტად საკამათოა. იმ ობიექტურ თუ სუბიექტურ ნიშნებს, რომლებსაც ქმედების შემადგენლობის ფორმირება და უმართლობის ტიპის განსაზღვრა შეუძლია მართლაც აქვთ ორმაგი ფუნქცია იმ გაგებით, რომ ისინი ან უმართლობას აფუძნებენ ან მის ხარისხს განსაზღვრავენ, ან ბრალის ხარისხზე ახდენენ ზეგავლენას. მაგრამ, დაუშვებელია ამ ნიშნებმა კონკრეტულ შემთხვევაში ორივე ფუნქცია ერთდროულად შეასრულოს. წარმოდგენილი მსჯელობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფრო სწორია საუბარი არა ქმედების შემადგენლობის ნიშნების ორმაგ ფუნქციაზე, არამედ იმ ნიშნების ორმაგ ფუნქციაზე, რომლებისგანაც შესაძლოა ქმედების შემადგენლობა აიგოს. როდესაც ვსაუბრობთ ქმედების შემადგენლობის ნიშანზე, იგულისხმება კონკრეტული ნიშანი, ვინაიდან ქმედების შემადგენლობა სისხლის სამართლის კოდექსში უკვე აღწერილია, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების შემადგენლობა დანაშაულის ტიპს აბსტრაქტულად აღწერს. ქმედების შემადგენლობა უმართლობის ტიპის აბსტრაქტული აღწერილობა იმიტომ არის, რომ ქმედების განხორციელებას შეიძლება თან ახლდეს ისეთი ნიშანიც, რომელიც ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობაში კანონმდებელს არც გაუთვალისწინებია. მაშასადამე, კანონმდებელმა წინასწარ დეტალებში არ იცის და ვერც ეცოდინება მის მიერ დასჯადად გამოცხადებული ქმედება კონკრეტულად რა ვითარებაში განხორციელდება, ვინ განახორციელებს, ვის წინააღმდეგ განახორციელებენ. ამიტომაც ეძლევა თავისი შინაარსი სასჯელის შეფარდებას, მოსამართლემ რომ შეაფასოს ის, რაც კანონმდებელმა არ შეა-

[325] *Hettinger M.*, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

ფასა ან რაც მას გამორჩა. მაგრამ, თუ კონკრეტული ნიშანი (მაგალითად, ანგარების მოტივი) კანონმდებელმა ქმედების (ძირითად, პრივილეგირებულ ან კვალიფიციურ) შემადგენლობაში გაითვალისწინა, იგი კარგავს მნიშვნელობას სასჯელის შეფარდებისათვის.

ზოგადად, ქმედების შემადგენლობის ნიშნებისთვის ორმაგი ფუნქციის მინიჭება დაუშვებელია, მაგრამ ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ალტერნატიული შემადგენლობა, რომლის განხორციელების შემთხვევაში მოსამართლეს ქმედების შემადგენლობის ნიშნის, განხორციელებული ქმედების სიმძიმის გათვალისწინება სასჯელის შეფარდების დროსაც უწევს. იგივე შეიძლება ითქვას ქმედების შემადგენლობის კვანტიფიცირებად ნიშნებზე.

13.2. ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის (Das Verbot der Doppelverwertung) თანახმად, ქმედების შემადგენლობის ნიშანი, რომელიც სასჯელის საკანონმდებლო საზღვრების დადგენისას უკვე იქნა ერთხელ შეფასებული, არ შეიძლება სასჯელის შეფარდების დროს მეორედ იქნეს გათვალისწინებული. როცა კანონმდებელი ქმედების შემადგენლობის ნიშანს ზუსტად არ მიუთითებს, მაშინ იგულისხმება, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს გარემოება, რომელსაც სასჯელის საკანონმდებლო ფარგლების განსაზღვრა შეუძლია[326].

გაუპატიურების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებას არ წარმოადგენს ის, რაც გაუპატიურების შემადგენლობას ეკუთვნის, ის, რაც გაუპატიურების დანაშაულის დამთავრებისთვის მინიმალური წინაპირობაა. გაუპატიურების ამსრულებელია ის, ვინც შესაბამისი ქმედების შემადგენლობაში ჩამოთვლილი ხერხების (იძულება, იძულების მუქარა, დაზარალებულის უმწეობის გამოყენება) გამოყენებით სქესობრივ კავშირს დაამყარებს. სქესობრივი კავშირი უკვე დამთავრებულია, როცა მამაკაცის სასქესო ორგანო შეაღწევს საშოში[327].

გაუმართლებელია მოსამართლემ სასჯელის შეფარდების დროს გაითვალისწინოს დამამძიმებელ გარემოებად ის, რომ გაუპატიურების ამსრულებელმა მიმართა იძულების ხერხს ან გამოიყენა დაზარალებულის უმწეობა, ვინაიდან იგი ქმედების შემადგენლობის ნიშანია და შესაბამისი (137-ე) მუხლით ქმედების კვალიფიკაციის წინაპირობას წარმოადგენს.

---

[326] *Miebach K.*, in: Münchener Kommentar, Band 2, 2. Aufl., München, 2012, S. 250, §46 Rn. 183.

[327] *Hettinger M.*, Zum Geltungsbereich des Doppelverwertungsverbots und zum Begriff des "normalen Erscheinungsbildes", GA 1993, S. 8.

შეიძლება ქმედების შემადგენლობაში ესა თუ ის ნიშანი/გარემოება პირდაპირ არ იყოს ნახსენები და მკაფიოდ მითითებული, მაგრამ ქმედების შემადგენლობის ინტერპრეტაციით ლოგიკურად გამომდინარეობდეს, რომ იგი ქმედების შემადგენლობას ეკუთვნის და მის გარეშე კონკრეტული შემადგენლობის სრულად განხორციელება შეუძლებელია. გაუპატიურების შემადგენლობაში არ არის მითითებული თუ რას ნიშნავს სქესობრივი კავშირი და როდის არის იგი განხორციელებული, მაგრამ ინტერპრეტაციით ამის დადგენა არ არის რთული. ისედაც ცხადია, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი.

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის მიხედვით, ერთსადაიმავე ნიშანს ერთდროულად არ შეიძლება მიენიჭოს სისხლისსამართლებრივი უმართლობის და ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი ფუნქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული პრინციპი დაირღვევა.[328]

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილში ასახული დებულება, რომლის მიხედვითაც, „თუ სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება".[329] მოცემულ დებულებაში აქცენტი გაკეთებულია ქმედების პრივილეგიური და კვალიფიციური შემადგენლობის ნიშნებზე ანუ კანონმდებელი მხოლოდ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებაზე მიუთითებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმ აზრს, რომ სასჯელის შეფარდების დროს მხედველობაში არა თუ მხოლოდ შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ მიიღება, არამედ ძირითადი შემადგენლობის ნიშნებიც. ე. ი. ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი გულისხმობს სასჯელის შეფარდების დროს არა მხოლოდ უმართლობის დამაფუძნებელი გარემოების, არამედ იმ გარემოებათა გათვალისწინების აკრძალვასაც, რომელიც უმართლობას არ აფუძნებს, მაგრამ ქმედების დასჯადობას საფუძვლად უდევს. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების დროს თავდაცვისთვის საჭირო ფარგლების გადაცილება[330].

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია ერთი და იგივე გარემოება ერთდროულად ქმედების პრივილეგიურ შემადგენლობას აფუძნებდეს და სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლემ დამატებით მეორეჯერ გაითვალისწინოს სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად. ამა თუ იმ კონკრეტულ გარემოებას მხოლოდ ერთხელ უნდა შეეძლოს სასჯელის შემსუბუქება. ამიტომ, თუ იგი მაკვალიფიცირებელი შემადგენლო-

[328] *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 901.

[329] ანალოგიურ შინაარსს შეიცავს გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე პარაგრაფიც.

[330] *Gribbohm G.*, Das Verbot strafschärfender Analogie und die strafzumessungsrechtlichen Doppelverwertungsverbote, FS-Salger H., Köln, Bonn, München, 1995, S. 41.

ბის ნიშანია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უკვე ერთხელ იქნა გამოყენებული და მეორედ იგივე გარემოება მხედველობაში არ მიიღება[331].

არ შეიძლება მოსამართლემ დამნაშავეს მკაცრი სასჯელი დაუნიშნოს იმ გარემოების საფუძველზე, რომელიც ქმედების შემადგენლობის ნიშანია. ეს ეხება ქმედების როგორც ძირითად, ისე კვალიფიცირებულ შემადგენლობას.[332] მაშასადამე, ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი იმისგან დამოუკიდებლად მოქმედებს, იგი ბრალდებულისთვის დადებითი შედეგის მომტანი (უმეტეს შემთხვევაში ასეც არის) იქნება, თუ უარყოფითის[333].

სასჯელის შეფარდების დროს არ შეიძლება ისეთი გარემოების გათვალისწინება, რომელიც ქმედების დასჯადად გამოცხადების საფუძველი გახდა და შესაბამისად, საკანონმდებლო მოტივს წარმოადგენს. მაგალითად, ქურდობის დროს საკუთრების უფლების უგულებელყოფა, სქესობრივ დანაშაულებში მსხვერპლის სქესობრივ ობიექტად დეგრადირება, ნარკოტიკებით ვაჭრობის დროს დამნაშავის მიერ საკუთარ კრიმინალურ ქმედებაში სხვა პირთა ჩათრევა და ა. შ. ნარკოტიკებით ვაჭრობა ქმედების ბუნებიდან გამომდინარე ისე ვერც განხორციელდება, რომ კრიმინალურ ქმედებაში (ნარკოტიკებით ვაჭრობა) სხვა პირები არ იქნეს ჩათრეული[334]. ვაჭრობა მინიმუმ ორ მხარეს მაინც გულისხმობს: მყიდველი და გამყიდველი. დანაშაულებრივ ქმედებაში სხვა პირთა ჩართვა მაშინ შეიძლება სასჯელის შეფარდების დროს იქნეს გათვალისწინებული, როცა დანაშაული თავისი ბუნებით ისეთია, რომ მისი განხორციელება ერთ პირსაც შეუძლია სხვათა მონაწილეობის გარეშე, რასაც ნარკოტიკებით ვაჭრობაზე ვერ ვიტყვით.

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი ვრცელდება ქმედების შემადგენლობის არა მხოლოდ ობიექტურ, არამედ სუბიექტურ ნიშნებზეც.[335] ქმედების შემადგენლობის ნიშანი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქმედების კვალიფიკაციის და არა სასჯელის დანიშვნის დროს. თუ მოსამართლემ ქმედების შემადგენლობის ნიშანი ქმედების კვალიფიკაციის და ასევე სასჯელის დანიშვნის დროსაც (ორჯერ) გაითვალისწინა, ადგილი ექნება დამნაშავის არათანაზომიერ დასჯას, ვინაიდან ერთი ნიშნის ორჯერ შეფასება აუცილებლად მოახდენს გავლენას სასჯელის ზომაზე.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ერთიდაიგივე ნიშნის მიხედვით სისხლისსამართლებრივი უმართლობის და ბრალის

---

[331] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 342, Rn. 692.

[332] *Fischer T.,* Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Auf., München, 2010, S. 360, §46 Rn. 76; *Miebach K.*, in: Münchener Kommentar, Band 2, 2. Aufl., München, 2012, S. 250, §46 Rn. 185.

[333] *Gribbohm G.*, Das Verbot strafschärfender Analogie und die strafzumessungsrechtlichen Doppelverwertungsverbote, FS-Salger H., Köln, Bonn, München, 1995, S. 41.

[334] *Miebach K.*, in: Münchener Kommentar, Band 2, 2. Aufl., München, 2012, S. 252, §46 Rn. 189.

[335] *Fischer T.*,დასახ. ნაშრ., S. 361, §46 Rn. 76b.

ხარისხის განსაზღვრა შესაძლებლად არის მიჩნეული. აღნიშნულ შეხედულებას გამოთქვამენ *ო. გამყრელიძე, ი. დვალიძე* და *ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი*.

ო. გამყრელიძის თვალსაზრისით, ორი ან მეტი ადამიანის განზრახ მკვლელობისას იზრდება როგორც უმართლობის, ისე ბრალის ხარისხიც. მისი შეხედულებით, სისხლისსამართლებრივი უმართლობის ხარისხს შეუძლია ბრალის ხარისხზე მოახდინოს ზეგავლენა.[336]

ი. დვალიძე მიუთითებს, რომ „თუკი მიზანი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებადაა მოცემული, მაშინ უმართლობის ხარისხთან ერთად იზრდება ბრალის ხარისხიც. მაგალითად, მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით".[337]

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის თვალსაზრისით, „უმართლობის ხარისხი, როგორც წესი, ბრალის ხარისხსაც განსაზღვრავს".[338]

არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, უმართლობის ხარისხი ბრალის ხარისხსაც განსაზღვრავს. არა მხოლოდ ბრალი, არამედ უმართლობაც გულისხმობს გაკიცხვას და მეტი უმართლობის ჩამდენი მეტად იკიცხება, უფრო მკაცრად ისჯება, მაგრამ თუ უმართლობა სამართლებრივი, ობიექტური ხასიათის გაკიცხვაა, ბრალი პერსონალურ გაკიცხვას გულისხმობს. უმართლობის ხარისხით ბრალის ხარისხის განსაზღვრა სხვა არაფერია თუ არა ბრალის ობიექტური, არაპერსონალური ხასიათის აღიარება და სამართლებრივი (მაშასადამე, ობიექტური) და პერსონალური გაკიცხვის გაიგივება. მოსამართლე უმართლობის ჩამდენს კიცხავს ბრალის ხარისხის გათვალისწინებით და სასჯელს უნიშნავს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული სანქციის ფარგლებში. კანონმდებელი კი სასჯელის ზომას ადგენს უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით. უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით სასჯელის ზომა ქმედების განხორციელებამდე წინასწარვეა კანონმდებლის მიერ დადგენილი, მაშინ, როცა მოსამართლე უმართლობის ჩამდენის ბრალის ხარისხს განსაზღვრავს იმ კონკრეტულ (ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის) გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც არსებობს ქმედების განხორციელებისას. უმართლობის ხარისხის განმსაზღვრელი გარემოებაც არსებობს ქმედების განხორციელებისას, მაგრამ ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი გარემოებისგან განსხვავებით, იგი ქმედების განხორციელებამდე იქნა კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული ქმედების კრიმინალიზაციისა და სასჯელის დაწესებისას.

უდავოდ სწორად მიუთითებს *ზ. პატაშური*, რომ უმართლობის საშიშ-

---

[336] *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 90.

[337] *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 79.

[338] *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 93.

როების ხარისხი იმთავითვეა კანონმდებლის მიერ განსაზღვრული სანქციის სახეობისა და ფარგლების დაწესების გზით, ხოლო ბრალს რაც შეეხება, უმართლობისგან განსხვავებით, მის ხარისხს განსაზღვრავს არა კანონმდებელი, არამედ მოსამართლე დამნაშავისთვის კონკრეტული სახის და ზომის სასჯელის შეფარდებით.[339] თუმცა, უნდა ითქვას, რომ *ზ. პატაშური* არათანმიმდევრულობას ავლენს, როცა აღნიშნავს, რომ ბრალის ხარისხი პირველ რიგში უმართლობის ხარისხს ეფუძნება და უმართლობის ხარისხი ბრალის ხარისხზე გავლენას ახდენს.[340] *ზ. პატაშური* ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორებს ორ ჯგუფად ყოფს: გარემოებანი, რომლებიც არაპირდაპირ ახდენენ ზეგავლენას ბრალის ხარისხზე (უმართლობის ელემენტები) და გარემოებანი, რომლებიც უშუალოდ ახდენენ მასზე ზეგავლენას. მისი თვალსაზრისით, პირველი ჯგუფის გარემოებებს ადგენს კანონმდებელი, ხოლო მეორე ჯგუფს პრაქტიკოსი მუშაკი.[341] წარმოდგენილი მსჯელობით, *ზ. პატაშური* საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ვინაიდან ჯერ აღნიშნავს, რომ უმართლობისგან განსხვავებით ბრალის ხარისხს მოსამართლე ადგენს და არა კანონმდებელი, ხოლო შემდეგ დასძენს, რომ ბრალის ხარისხი შეიძლება უმართლობის ხარისხითაც გაიზომოს. თუ უმართლობის ხარისხმა ზეგავლენა მოახდინა ბრალის ხარისხზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალის ხარისხს არა მხოლოდ მოსამართლე, არამედ კანონმდებელიც ადგენს. გარდა ამისა, მოცემულ მსჯელობაში არც ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის მოთხოვნაა გათვალისწინებული. *ზ. პატაშური* შეცდომას უშვებს მაშინაც, როცა იგი დანაშაულის განმეორებით ჩადენას უმართლობის და ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ კრიტერიუმად თვლის.[342] აღნიშნული გარემოება დამნაშავის პიროვნებასთან და წარსულ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული და არც უმართლობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორია და არც ბრალის.

არსებობს გარემოებები, რომლებიც მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენენ და ქმნიან კვალიფიციურ შემადგენლობას, რომელთა გათვალისწინება ხდება ქმედების კვალიფიკაციის დროს, მაგრამ სხვა შემთხვევაში, როცა ქმედების კვალიფიციური შემადგენლობის ნიშნებად არ განიხილება, მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის კონკრეტული მუხლიდან. მაგალითად, მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი. მაგრამ, თუ აღნიშნული ნიშანი ქმედების შემადგენლობის ელემენტია, იგი სასჯელის შეფარდების დროს არ უნდა გაითვალისწინოს

[339] *პატაშური ზ.*, ბრალი და მისი ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები სისხლის სამართალში, „ცხოვრება და სამართალი", 1998, №3, გვ. 51.
[340] *პატაშური ზ.*, იქვე, გვ. 51.
[341] *პატაშური ზ.*, იქვე, გვ. 52.
[342] *პატაშური ზ.*, იქვე, გვ. 52.

მოსამართლემ. სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით ისჯება ქურდობა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. მოცემული შემადგენლობა კვალიფიციურია და ამასთან ერთად ამ შემადგენლობის ნიშანია დანაშაულის რეციდივი, რაც იმას ნიშნავს, რომ დასახელებული ნიშანი სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. დანაშაულის რეციდივის მსგავსად უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინაც, როცა დანაშაული ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-31 ნაწილის მიხედვით დანაშაულის ჩადენა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვაგვარი შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, მაგრამ იგი ისედაც ამძიმებს პასუხისმგებლობას მკვლელობის შემთხვევაში 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" პუნქტის მიხედვით, ამიტომ ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის თანახმად იგი სასჯელის შეფარდებაზე გავლენას ვერ იქონიებს. აღნიშნული ეხება 53-ე მუხლის მე-31 ნაწილის მიმართებას არა მხოლოდ 109-ე მუხლთან, არამედ ასევე 142-ე, 1421-ე, 407-ე მუხლებთან.

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის გამოყენება პრობლემატური შეიძლება იყოს ალტერნატიული ქმედების შემადგენლობის შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლის ნორმა სხვადასხვა ქმედების შემადგენლობათა ალტერნატივებს ითვალისწინებს. ასეთ დროს ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თანაბარმნიშვნელოვანი და არათანაბარმნიშვნელოვანი ალტერნატივები. როცა განსხვავებული სიმძიმის ქმედების შემადგენლობის ალტერნატივებისთვის სასჯელის ერთნაირი ფარგლებია განსაზღვრული, სასჯელის შეფარდების დროს გრადაცია სიმძიმის ხარისხის მიხედვით უნდა მოხდეს (მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების დროს). თუმცა, ასეთი გრადაცია ყოველთვის არ არის ერთნაირად მარტივი (მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაულების დროს)[343]. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება შეიძლება მხედველობის ან სმენის დაკარგვაში გამოიხატოს, მაგრამ მხედველობის დაკარგვა გულისხმობს როგორც ერთ თვალში, ისე ორივე თვალში მხედველობის დაკარგვას. იგივე ითქმის სმენის დაკარგვაზეც. სადავო არ უნდა იყოს ის, რომ დამნაშავე უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს მაშინ, როცა მისი განზრახი ქმედების შედეგად დაზარალებული მხედველობას სრულად (ორივე თვალში) კარგავს და არა ნაწილობრივ (ცალ თვალში).

სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლე დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს ითვალისწინებს, მაგრამ შემამსუბუქებელი გარემოების არარსებობას არ უნდა მიენიჭოს დამამძიმებელი გარემოების არსებობის ეფექტი, ისე, როგორც დამამძიმებელი გარემოების არარსებობა ავტომატუ-

[343] *Miebach K.*, in: Münchener Kommentar, Band 2, 2. Aufl., München, 2012, S. 251, §46 Rn. 186.

რად არ უნდა იწვევდეს სასჯელის შემსუბუქებას[344].

ანალოგიური პოზიცია გამოხატა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, როცა ზიანის აუნაზღაურებლობა არ მიიჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. საკასაციო პალატამ მართებულად მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურება და დაზარალებულთან შერიგება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა, მაგრამ მისი არარსებობა არ უნდა შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად[345]. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ დგინდება შემამსუბუქებელ გარემოებათა გამორიცხვით და, პირიქით.

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის მოქმედების დიაპაზონი სათანადოდ რომ შეფასდეს, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ე. წ. „შეფასებითი ტიპიური შემთხვევის" (normative Normalfall) საკითხზე. ლიტერატურაში გამოითქვა არაერთგვაროვანი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სასჯელის შეფარდების დროს შეიძლება დასაშვები იყოს იმის გათვალისწინება, თუ რამდენად ტიპიურია განხორციელებული ქმედების სახე (Verhaltensweise) და დამდგარი შედეგი. მაშინ, როცა სახეზეა ქმედების შემადგენლობის განხორციელების ტიპური შემთხვევა, ქმედება და შედეგი ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის მოქმედების ზონაში ხვდება[346]. მაშასადამე, სასჯელის შეფარდების დროს მცდარია იმ გარემოებათა შეფასება, რომელიც ქმედების განხორციელებისთვის ტიპურია და რომელიც კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას მუდამ თან სდევს და ახასიათებს (დანაშაულის ტიპური სურათი)[347].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასჯელის დასაბუთების დროს არასწორი იქნება მოსამართლემ ზოგადად ხელყოფილი სიკეთის მნიშვნელობაზე მიუთითოს, რამდენადაც თითოეული დანაშაული კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს გულისხმობს. მაგალითად, მკვლელობა სიცოცხლის წინააღმდეგაა მიმართული. სიცოცხლე მეტად მნიშვნელოვანი სიკეთეა სამართლებრივ სიკეთეთა შორის. ამიტომ, კანონმდებელი მკვლელობისთვის უფრო მკაცრ სასჯელის სახეს და მაღალი სასჯელის ზომას განსაზღვრავს. მკვლელობისთვის მკაცრი სასჯელის დაწესებას ის განაპირობებს, რომ იგი სიცოცხლის ხელყოფას იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება სასჯელის საკანონმდებლო ფარგლები და არა სასჯელის საბოლოო ზომა, როგორც სასჯელის შეფარდების შედეგი. მაშასადამე, სამართლებრივი სიკეთე არ არის მკვლელობის შემთხვევაში სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ფაქ-

[344] *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 26. Aufl., München, 2007, S. 296, §46 Rn. 32.

[345] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2014, №7-12, გვ. 16.

[346] *Miebach K.*, in: Münchener Kommentar, Band 2, 2. Aufl., München, 2012, S. 251, §46 Rn. 187.

[347] *Miebach K.*, დასახ. ნაშრ., გვ. 251, §46 Rn. 188.

ტორი[348]. სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა მაშინ იქნებოდა სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი, იგი დანაშაულითვის რომ არ იყოს ტიპურად დამახასიათებელი და უმართლობის ტიპის განმსაზღვრელი. მაგალითად, სიცოცხლის ხელყოფა მკვლელობის უმართლობას აფუძნებს. შეუძლებელია განხორციელდეს ისეთი მკვლელობა რომელიც სიცოცხლის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული.

ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი არ დაირღვევა, თუ სასჯელის შეფარდების დროს მხედველობაში იქნება მიღებული ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ზიანის ზომა, შექმნილი საფრთხის (მათ შორის აბსტრაქტული) მოცულობა (სუსტი და ძლიერი საფრთხე), დანაშაულის საშუალების საშიშროება, ადამიანთა რაოდენობა[349]. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ ნიშანთა შეფასების საკითხიც ყოველთვის ერთნაირად ვერ გადაწყდება. ზოგჯერ კანონმდებელი დანაშაულის საშუალების საშიშროების ან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა, თუ მსხვერპლთა რაოდენობის გათვალისწინებით, კვალიფიციურ შემადგენლობას ქმნის. კერძოდ, მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას (სსკ-ის 109-ე მუხ.), მკვლელობა ჯგუფურად ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 109-ე მუხ.), მკვლელობა ორი ან მეტი პირისა (სსკ-ის 109-ე მუხ.). მაშინ, როცა დანაშაულის საშუალება, დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა თუ მსხვერპლის რაოდენობა კვალიფიციური შემადგენლობის შექმნის საფუძველია, ჩამოთვლილი ნიშნების სასჯელის შეფარდების პროცესში გათვალისწინება დაუშვებელია. აღნიშნული ნიშნები მკვლელობის კვალიფიციური შემადგენლობის ნიშნებია, ამიტომ მოსამართლე ამ ნიშნებს არა სასჯელის შეფარდების, არამედ ქმედების კვალიფიკაციის დროს შეაფასებს. აღნიშნული გარემოებები სხვა სახის დანაშაულთა განხორციელებისას, იქ, სადაც მაკვალიფიცირებელ გარემოებებს არ შეადგენენ, გათვალისწინებული იქნება სასჯელის შეფარდების პროცესში.

ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ისედაც დასრულებული დანაშაულის მოდელია მოცემული და სასჯელიც, შესაბამისად, დამთავრებული დანაშაულისთვისაა გათვალისწინებული, ორჯერ შეფასების აკრძალვის მიზნიდან გამომდინარე, დაუშვებელია სასჯელის შეფასების დროს მხედველობაში იმის მიღება, რომ დანაშაული სრულად განხორციელდა და დამნაშავემ დანაშაულზე ხელი არ აიღო[350].

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას იწვევს, ხოლო მაშინ, როცა განხორციელებული ქმედება სხვა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს, დამნაშავე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან და განხორციელებული დანაშაულისთვის

[348] *Miebach K.*, დასახ. ნაშრ., გვ. 255, §46 Rn. 194.
[349] *Miebach K.*, დასახ. ნაშრ., გვ. 251-252, §46 Rn. 188.
[350] *Miebach K.*, დასახ. ნაშრ., გვ. 252, §46 Rn. 190.

დაისჯება (სსკ-ის 21-ე მუხ.). მაგრამ, აქედან არ შეიძლება დასკვნა გაკეთდეს, რომ ხელის აღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასჯელის ავტომატურად გაზრდა გამართლებული იყოს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტაზე დამნაშავის უარი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან შეიძლება ქმედების კვალიფიკაციაზეც კი მოახდინოს გავლენა. კერძოდ, როცა ქურდობის მცდელობაზე დამნაშავეს მიუსწრებენ და ის ქმედების განხორციელებას არ შეწყვეტს და სხვის ნივთს აშკარად დაეუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ქმედება არა ქურდობად, არამედ ძარცვად დაკვალიფიცირდება (ქურდობის ძარცვაში გადაზრდა), რაც უფრო მკაცრად ისჯება. აქედან იმის თქმა შეიძლება, რომ დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტაზე უარის თქმა და ქმედების ბოლომდე განხორციელების საკითხი ყოველთვის ერთნაირად არ წყდება. ზოგადად, დანაშაულის დამთავრება არ მიიჩნევა დამამძიმებელ გარემოებად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაზე უარის თქმამ ქმედების კვალიფიკაციაზე შეიძლება იმოქმედოს დამნაშავის საუარესოდ.

დანაშაულის განხორციელების შედეგად მსხვერპლი შეიძლება ისე დაშავდეს, რომ მას სამედიცინო დახმარება დასჭირდეს, ხოლო დამნაშავეს ჰქონდეს მისთვის დახმარების შესაძლებლობა მისი სპეციალური განათლებიდან გამომდინარე და მსხვერპლს არ დაეხმაროს, რაც სასჯელის შეფარდების დროს მხედველობაში არ მიიღება[351] და სასჯელის ზომაზე გავლენას ვერ მოახდენს. საქართველოს სსკ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს განსაცდელში მიტოვებისა (128-ე მუხ.) და დაუხმარებლობისთვის (129-ე მუხ.), მაგრამ აღნიშნული ნორმები მიმართული არ არის იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთი განზრახი ქმედებით ადამიანს განსაცდელში ჩააყენებენ. ალოგიკური იქნებოდა, კანონმდებელს ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ან გაუპატიურების ჩამდენისთვის მოეთხოვა, რომ მან დახმარება აღმოუჩინოს იმას, ვინც მისი განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე დაზარალდა და სამედიცინო დახმარებას საჭიროებს.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაზარალებულისთვის დახმარების აღმოუჩენლობის საკითხი განსხვავებულად წყდება გაუფრთხილებლობით დელიქტებში, თუმცა მისი გათვალისწინება არა სასჯელის შეფარდების, არამედ ქმედების კვალიფიკაციის დროს ხდება. კერძოდ, თუ მოძრაობის უსაფრთხოების დარღვევის შედეგად მძღოლი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა და ჯანმრთელობა გაუფრთხილებლობით დაუზიანა, მძღოლი ვალდებულია დაეხმაროს მსხვერპლს. დაუხმარებლობის შემთხვევაში, მძოლს პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სატრანსპორტო დანაშაულიშთვის, არამედ განსაცდელში მიტოვებისთვისაც დაეკისრება, ხოლო შედეგის დადგომისას, შეიძლება პასუხი მკვლელობისთვისაც აგოს შედეგისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გათვალ-

[351] *Miebach K.*, დასახ. ნაშრ., გვ. 252-253, §46 Rn. 190.

ისწინებით.

სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება ასევე დანაშაულის მსხვერპლის წარმომავლობა და მოქალაქეობა, ის, რომ დაზარალებული უცხოელია. საქართველოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა უცხოელის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულისთვის დამნაშავეს მაქსიმალური სასჯელი მიუსაჯეს. სასჯელის დასაბუთების დროს სასამართლომ სასჯელის ზომა იმით გაამართლა, რომ განხორციელებული დანაშაული საქართველოს, როგორც ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს ბღალავდა, ვინაიდან დანაშაულის მსხვერპლი გახდა საერთაშორისო იმუნიტეტით მოსარგებლე პირი (გაეროს წარმომადგენლობის თანამშრომელი). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. დაუშვებელია ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედება სხვადასხვა ზომის სასჯელით დაისაჯოს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ შემთხვევაში დანაშაული განხორციელდა საქართველოს მოქალაქის, ხოლო მეორე შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქის წინააღმდეგ. დანაშაულის მხვერპლის მოქალაქეობრივი კუთვნილება არ ცვლის უმართლობის და ბრალის ხარისხს. არც პრევენციული თვალსაზრისითაა გამართლებული დამნაშავის უფრო მკაცრად დასჯა, მაშინ, როცა დანაშაული უცხოელის წინააღმდეგაა განხორციელებული.

როდესაც ვსაუბრობთ გარემოებებზე, რომლებსაც სასჯელის შეფარდების დროს არ შეიძლება მიენიჭოს სასჯელის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ნიშნის ეფექტი, ყურადღებას იპყრობს დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა რაოდენობის საკითხი. შეიძლება თუ არა მან რაიმე სახის ზემოქმედება მოახდინოს სასჯელის ზომაზე? ვინაიდან დანაშაული ამსრულებლის გარეშე არ არსებობს და სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემული ქმედების შემადგენლობებიც ამსრულებელზეა გაანგარიშებული, შესაბამისად, არ შეიძლება მკაცრი სასჯელი შეეფარდოს ამსრულებელს. ამ შემთხვევაში გაუმართლებელია იმაზე აპელირება, რომ ამსრულებელი დანაშაულის საყრდენი ღერძია. დანაშაულის განხორციელება ამსრულებლის გარეშე შეუძლებელია, ხოლო თანამონაწილის გარეშე შესაძლებელი. ამსრულებელი, ტიპურად, ყველა დანაშაულს ჰყავს. აქედან გამომდინარე, მართებულად მიუთითებს *კ. მიბახი*, რომ ერთპიროვნული ამსრულებლობა არ არის დამამძიმებელი გარემოება[352]. მართალია, ერთპიროვნულად დანაშაულის ჩადენა ამსრულებლისგან მეტ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს სასჯელის ზომას მაინც არ ცვლის.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ ერთპიროვნული ამსრულებლობის საკითხის მნიშვნელობა სასჯელის ზომის განსაზღვრაში, ჩნდება კითხვა თანამონაწილეობასთან დაკავშირებით, არის თუ არა დამამძიმებელი გარემოება დანაშაულში თანამონაწილეობა? ვინაიდან წამქეზებელი დანაშაულის ჩადენის ინი-

[352] *Miebach K.*, დასახ. ნაშრ., გვ. 254, §46 Rn. 192.

ციატორია, ხომ არ უნდა დაისაჯოს იგი ამსრულებელზე უფრო მკაცრად? *კ. მიბახის* შეხედულებით ეს არ შეიძლება წამქეზებლისთვის მკაცრი სასჯელის შეფარდების არგუმენტად მოვიყვანოთ. მისი თვალსაზრისით, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი დამხმარის მიმართაც. ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის დარღვევა იქნებოდა, თუ დამხმარეს მკაცრი სასჯელი შეეფარდებოდა იმიტომ, რომ იგი დაეხმარა ამსრულებელს. დამხმარისთვის სასჯელის გამკაცრება არ უნდა მოხდეს მაშინაც, როცა იგი ამსრულებელს ქმედების შემადგენლობის განხორციელების მზადყოფნას (განწყობას) შეუქმნის[353]. უფრო მეტიც, გერმანული სსკ-ის 27-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, დამხმარეს სასჯელი უმსუბუქდება და იგი 49-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სასჯელის შემამსუბუქებელი განსაკუთრებული გარემოებების მსგავსად ფასდება. ხოლო 28-ე პარაგრაფის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, თუ სახეზე არ არის განსაკუთრებული პიროვნული ნიშნები, რომელიც მოქმედი პირის დასჯადობას აფუძნებს, მაშინ სასჯელი უმსუბუქდება დამნაშავეს 49-ე პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მიხედვით. 28-ე პარაგრაფის 1-ლ ნაწილში ისიც არის მითითებული, რომ ასეთი განსაკუთრებულ პიროვნულ ნიშნებს ადგილი არა აქვს წაქეზების და დახმარების შემთხვევაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც დამხმარეს, ისე წამქეზებელსაც შეიძლება შეუმსუბუქდეს სასჯელი, ვინაიდან მათ მხარეს არ არის განსაკუთრებული პიროვნული ნიშანი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მე-14 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის დებულებაც, რომლის მიხედვით სხვა ადამიანისთვის მოქმედების გამო პასუხისმგებლობა მაშინ დგება, როცა სახეზეა განსაკუთრებული პიროვნული თვისებები.

როდესაც სასჯელის ზომაზე დანაშაულში თანამონაწილეობის ზეგავლენის საკითხზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა თანამონაწილის როლის ერთნაირად შეფასება გაუმართლებელია. ამ მხრივ უნდა გამოიყოს ორგანიზატორის ფუნქცია და მნიშვნელობა დანაშაულის განხორციელებისთვის. ორგანიზატორი ის ფიგურაა, რომელსაც უკავშირდება დამნაშავეთა გამოძებნა, დანაშაულის განხორციელების გეგმის შედგენა, ჯგუფის წევრებისთვის ამოცანის დასახვა და სხვა. ორგანიზატორი თანამონაწილეებიდან ყველაზე საშიში ფიგურაა. ორგანიზებული დანაშაული ჯგუფური დანაშაულის ერთ-ერთი სახეა. დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ დამამძიმებელი გარემოებაა. ზოგჯერ სსკ-ის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებში პირდაპირ არის გათვალისწინებული ჯგუფის მიერ დანაშაულის განხორციელება, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება (სსკ-ის 109-ე მუხ.). თუ კოდექსში კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით შესაბამისი მაკვალიფიცირებელი შემადგენლობა არ არის მოცემული, სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლემ მაინც უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ დანაშაული არა ერთპიროვნულად, არამედ ჯგუფურად განხორციელდა. თუ დანაშაულის

[353] *Miebach K.*, დასახ. ნაშრ., გვ. 254, §46 Rn. 192.

ჯგუფურად განხორციელება სასჯელის გამკაცრებას იწვევს, სასჯელის შეფარდებისას მით უფრო გასათვალისწინებელი უნდა იყოს, რომ ადგილი აქვს ორგანიზებულ დანაშაულს. მაშასადამე, მაშინ, როცა წამქეზებლობა და დახმარება არ არის დამამძიმებელი გარემოება, ორგანიზება, პირიქით, ცალსახად უნდა ითქვას, რომ შედარებით უფრო მძიმე სასჯელს იმსახურებს.

დანაშაულში თანამონაწილეობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევის შესაძლებლობაზე მსჯელობისას მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ჯგუფური დანაშაული მხოლოდ თანაამსრულებლობას მოიცავს, თუ თანამონაწილეობასაც. თუ ჯგუფის წევრად ვცნობთ, თანაამსრულებლის გარდა, ნებისმიერ თანამონაწილეს (წამქეზებელს და დამხმარესაც), მაშინ თანამონაწილეობა ავტომატურად ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებად. თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულის განხორციელება ჯგუფის მიერ გულისხმობს არა თანამონაწილეობას, არამედ თანაამსრულებლობას.

დაბოლოს, ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის შეფარდების დროს. იმისთვის, რომ მოსამართლემ დამნაშავეს პროპორციული სასჯელი შეუფარდოს, აუცილებელია, გაითვალისწინოს აღნიშნული პრინციპის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფარდებული სასჯელის არაპროპორციულობა გარდაუვალია.

14. ბრალის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის

14.1. ბრალი, როგორც სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ფაქტორი

სასჯელის შეფარდების გერმანულ თანამედროვე და ძველ მოძღვრებებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, თუ რა როლს ასრულებს დამნაშავის ბრალი[354]. სასჯელის შეფარდების ძველი მოძღვრებისგან ახალი მოძღვრების[355] გამოჯვნა პერსონალური ბრალის ცნებასთანაც არის დაკავშირებული. სასჯელის შეფარდების ძველ მოძღვრებას არ უკავშირდება „პერსონალური ბრალის" იდეის დანერგვა. ძველი მოძღვრების მიხედვით, **ბრალის მოცულობა დამოკიდებულია** დამნაშავის **ქმედების** პერსონალური **უმართლობის სიმძიმეზე**. თუმცა, ძველი მოძღვრების წარმომადგენლები იმასაც მიუთითებდნენ, რომ სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ ბრალს ქმედების უმართლობის გარდა, დამატებით პერსონალური ფაქტორე-

[354] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 151.

[355] *Erhard C.*, Strafzumessung bei Vorbestraften unter dem Gesichtspunkt der Strafzumessungsschuld, Berlin, 1992, S. 163.

ბიც განსაზღვრავენ.[356]

სასჯელის შეფარდების ძველი მოძღვრების მიხედვით, არსებობს უმართლობისთვის რელევანტური გარემოებები, რომლებიც ქმედების უმართლობას არ განსაზღვრავენ, მაგრამ მიუხედავად ამისა სასჯელის ზომის შემდგომი გაზრდა შეუძლიათ განაპირობონ (*ჰეტინგერი, ბრუნი*). *მ. ჰეტინგერი* თვლის, რომ უფრო დიდი უმართლობა უფრო დიდ ბრალს ნიშნავს, მაგრამ ბრალი შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს ერთნაირი უმართლობის დროსაც[357]. მაშასადამე, ამ მოძღვრების მიხედვით, უმართლობის სიმძიმე ბრალის მოცულობაზე ახდენს გავლენას, მაგრამ ბრალი მხოლოდ უმართლობის მოცულობით არ იზომება. მასზე სხვა გარემოებამაც შეიძლება იმოქმედოს. თუმცა, უმართლობის და ბრალის ურთიერთმიმართების საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეიძლება საკამათო იყოს ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე.

ბრალის მოცულობა იზრდება უმართლობის მოცულობით *ე. დრეერის* კონცეფციითაც. იგი მიუთითებს, რომ როცა ქურდი დაგეგმილი 100 აშშ. დოლარის ნაცვლად 1000 აშშ. დოლარს მოიპარავს, მისი ბრალი მეტია. *დრეერის* მიხედვით, ამ შემთხვევაში ბრალის ზრდა უმართლობის ზრდამ განაპირობა. უმართლობის სიმძიმე კი შეიძლება განსხვავებული იყოს ერთი და იმავე ტიპის, მაგრამ სხვადასხვა კონკრეტულ ქმედებაში[358]. ქურდობა, რა რაოდენობის თანხის მოპარვასაც არ უნდა ეხებოდეს საქმე, ერთი კონკრეტული ტიპის უმართლობას წარმოადგენს. მაგრამ, *დრეერის* თვალთახედვით, ქურდობის ორ სხვასახვა შემთხვევაში უმართლობის სხვადასხვა სიმძიმეს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის თანხის ან რა ღირებულების ნივთების ქურდობა განხორციელდა. მაგრამ, როდესაც საუბარია უმართლობის სიმძიმის მიხედვით ბრალის მოცულობის განსაზღვრაზე და ამის საილუსტრაციოდ ხდება ქურდობასთან დაკავშირებული მაგალითის მოშველიება, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ განსახილველი საკითხი კამათის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს, ვინაიდან ქურდობის შემთხვევაში ნაქურდალის ოდენობა (მოპარული ნივთის ღირებულება) ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს („ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია"; „ქურდობა დიდი ოდენობით"), ე.ი. კანონმდებელმა აღნიშნული გარემოების საფუძველზე პასუხისმგებლობა გაამკაცრა, რაც სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლეს ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ დასახელებული ნიშნის მიხედვით დამნაშავეს სასჯელი დაუმძიმოს. იგი მხოლოდ ქმედების კვალიფიკაციის დროს მიიღება მხედველობაში.

სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ბრალის ცნება

[356] *Tröndle H.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 48. Aufl., München, 1997, S. 284-285, § 46 Rn. 4.

[357] *Hettinger M.*, Das Doppelverwertungsverbot bei strafrahmenbildenden Umständen, Berlin, 1982, S. 121.

[358] *Dreher E.*, Die erschwerenden Umstände im Strafrecht, ZStW 1965, S. 221-222.

მოიცავს ბრალს, რომლის ხარისხობრივი ზრდა შესაძლებელია.[359] პერსონალური ბრალის ცნების ან გასაკიცხაობის ქვეშ იგულისხმება დამნაშავის მოტივის და ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ერთობა.[360]

სასჯელის შეფარდების ტრადიციული მოძღვრების პრობლემა სასჯელის დამაფუძნებელი ბრალის გაგებაში მდგომარეობს. *ჰორნის* შეხედულებით, ბრალი არის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გასაკიცხაობა, მაგრამ ბრალი ასევე არის ის, რისი ხარისხიც შეიძლება გაიზომოს. მაშასადამე, გაკიცხვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ის, რომ დამნაშავემ უმართლობა განახორციელა, რომლის თავიდან აცილებაც შეეძლო[361]. *გალასის, იეშეკის*[362], *შმიდჰოიზერის*[363] და სხვათა[364] მიხედვით, ბრალისმიერი გაკიცხვა უკავშირდება დამნაშავის მცდარ მრწამსს, რომელიც გამოხატულებას ქმედებაში ჰპოვებს.

გასაკიცხი მცდარი მრწამსი ადამიანს შეიძლება მაშინაც ჰქონდეს, როცა ის დანაშაულებრივ ქმედებას არ ჩადის. ამიტომ, ბრალის განსაზღვრებაში იმის მითითება, რომ გასაკიცხი მცდარი მრწამსი ქმედებაში უნდა გამოიხატოს, წარმოადგენს შეზღუდვას (ლიმიტირებას) კრიმინალურპოლიტიკური თვალსაზრისით[365], რამეთუ სისხლისსამართლებრივი ბრალისმიერი გაკიცხვის საფუძველი ქმედების გარეშე არ შეიძლება განიხილებოდეს. ამოსავალი პუნქტი სწორედ განხორციელებული ქმედება უნდა იყოს.

თანამედროვე შეხედულებები სასჯელის დამაფუძნებელი ბრალის თაობაზე, უშვებენ ბრალის ფორმების გრადაციას ბრალეულიდან არაბრალეულ ქმედებამდე. მაგრამ, თანამედროვე მოძღვრება, ძველისგან განსხვავებით, არ ცნობს ბრალის დახარისხებას ქვემოდან ზემოთ, ხარისხის მატების თვალსაზრისით. ქმედებით განხორციელებული უმართლობის დადგენით შესაძლებელი ბრალისმიერი გაკიცხვის მაქსიმუმის მოხაზვაც ხდება. ამასთან დაკავშირებით არავითარ როლს არ ასრულებს ნებისყოფის თავისუფლების საკითხი.[366] წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, თუ პირის ბრალეულობაზე, ნაკლებ ბრალზე ან არაბრალეულობაზე საუბარი შესაძლებელია, დაუშვებელია მსჯელობა „მეტ ბრალზე", ვინაიდან უმართლობის დადგენით და სანქციის

---

[359] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 151.

[360] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

[361] *Horn E.*, in: Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch, Band II, 8. Aufl., Köln, 2012, § 46 Rn.41.

[362] *Jescheck/Weigend*, Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 421.

[363] *Schmidhäuser E.*, Gesinnungsethik und Gesinnungsstrafrecht, FS-Gallas W., Berlin. Naw York, 1973, S. 93; *Schmidhäuser E.*, Über den axiologischen Schuldbegriff des Strafrecht, FS-Jescheck H-H., Berlin, 1985, S. 490.

[364] *Lenckner/Eisele*, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, S. 186, § 13, Rn. 119.

[365] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 152.

[366] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

მაქსიმუმის განსაზღვრით, ბრალისმიერი გაკიცხვის მაქსიმუმიც განისაზღვრება. შესაბამისად, შეუძლებელია გასაკიცხაობა აღემატებოდეს უმართლობის ფარგლებს, რამეთუ გაკიცხვა ხდება ჩადენილი უმართლობისთვის და არა იმის გამო, რაც არ განხორციელებულა. ამით არის განპირობებული ის, რომ შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნაზე საუბარი, ხოლო კანონით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება დაუშვებელია.

ბრალის უახლესი მოძღვრება ბრალისმიერი გასაკიცხაობის სრულ ნორმატივირებას ახდენს. ბრალის ნორმატიული თეორიის მიხედვით, ბრალი არის გასაკიცხაობა. ნორმატიული თეორია გასაკიცხაობის დადგენისას, ყურადღებას აქცევს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის ქონას, რაც უნდა გააჩნდეს პირს ნეიტრალური დამკვირვებლის პერსპექტივიდან.

სასჯელის დამაფუძნებელი ბრალის ხარისხობრივი განსაზღვრების დებულებას აღიარებს ბრალის არა მხოლოდ ნორმატიული, არამედ ასევე ფუნქციონალური და ონტოლოგიური[367] მოძღვრებაც. ბრალის ონტოლოგიური მოძღვრების წარმომადგენლის *გ. იაკობსის* შეხედულებით, გასაკიცხაობა დანაშაულებრივი ქმედების უმართლობიდან გამომდინარეობს[368]. თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როცა ვსაუბრობთ უმართლობაზე, როგორც გაკიცხვის საფუძველზე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბრალისმიერი გაკიცხვის ხარისხი უმართლობის ხარისხის პროპორციულად იზომება. ცხადია, გაკიცხვა დანაშაულებრივი ქმედების უმართლობიდან გამომდინარეობს და იგი გაკიცხვაა სწორედ ჩადენილი უმართლობის გამო, მაგრამ ეს უმართლობაზე, როგორც გასაკიცხაობის საფუძველზე მიუთითებს და არა უმართლობის ხარისხის პროპორციულად ბრალის ხარისხის განსაზღვრაზე.

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ბრალთან დაკავშირებით შეხედულებები ორად იყოფა. მეცნიერთა ერთი ნაწილი ნორმატიულ თეორიაზე დაყრდნობით ბრალს განმარტავს როგორც გაკიცხვას ჩადენილი უმართლობის გამო[369], ხოლო მეორე ნაწილი კრიტიკულად განიხილავს ბრალის ნორმატიულ მოძღვრებას.

მაგალითად, ლ. გ. კუტალიას თვალსაზრისით, ნორმატიული თეორია ბრალისგან ანცალკევებს ფიზიკური ქცევისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას, რაც ბრალის ცნების ყოველგვარი შეფასებითობის უარყოფას ნიშნავს[370].

გ. ნაჭყებიას შეხედულებით, „ბრალი არის ნორმატიულად დადგენილი

---

[367] *Jakobs G.*, Strafrecht, AT, 1991, S. 494, 17. Abschn., Rn. 46.

[368] *Jakobs G.*, დასახ. ნაშრ.

[369] *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 172; გამყრელიძე ო., შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, „ადამიანი და კონსტიტუცია", 2002, №3-4; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 207.

[370] *კუტალია ლ.გ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 457.

ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების სუბიექტური მიზეზი, რომელიც ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია"[371]. აღნიშნული დებულების მიხედვით, უარყოფითი შეფასების საგანია მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ანუ უპასუხისმგებლობა. თუ როგორია ბრალის ხარისხი, დამოკიდებულია ნორმატიული ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ზომაზე, რაც განსხვავებულია სისხლისსამართლებრივი უმართლობის განზრახ და გაუფრთხილებლობით განხორციელების დროს.

თ. წერეთელი ბრალს განმარტავდა საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებად, რომელიც გაკიცხვის ღირსია. მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის აუცილებლად მიაჩნდა ბრალის ცნებაში ზნეობრივი გაკიცხვის მომენტის შეტანა. მისი თვალსაზრისით, „მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღიქმება სასჯელი მესამე პირებისა და თვით მსჯავრდებულის მიერ როგორც სამართლიანი და ზნეობრივად გამართლებული რეაქცია საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ"[372].

დაბოლოს, სასჯელის შეფარდებისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რომელი მოძღვრება ბრალის ცნებას როგორ აყალიბებს, არამედ ის, თუ რაზეა ორიენტირებული ბრალისმიერი გაკიცხვა.

13.2. ბრალი, როგორც სასჯელის პროპორციულობის წინაპირობა

ბრალი დანაშაულის აუცილებელი სტრუქტურული ნიშანია. ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს. ბრალის არარსებობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვას იწვევს. ერთმანეთისგან განასხვავებენ სასჯელის დამაფუძნებელ ბრალს (Strafbegründungsschuld) და სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ ბრალს (Strafzumessungsschuld).[373] ბრალი სასჯელის წინაპირობაა, ვინაიდან სასჯელი დანაშაულის იურიდიული შედეგია, ხოლო დანაშაული, როგორც უკვე ითქვა, ბრალეული ქმედებაა.

---

[371] *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 362; ნაჭყებია გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001.

[372] *წერეთელი თ.*, ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში, „საბჭოთა სამართალი", 1967, №4, გვ. 40; Церетели Т., К вопросу о понятии вины, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, №1, გვ. 129.

[373] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 255, Rn. 527.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული სასჯელის დამაფუძნებელი და სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ბრალის ურთიერთმიმართების საკითხზე. მეცნიერთა ნაწილი ბრალს კვანტიფიცირებად ნიშნად თვლის და მიიჩნევს, რომ სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ ბრალზე საუბრისას საქმე ეხება სასჯელის დამაფუძნებელი ბრალის რაოდენობრივ მხარეს. თუმცა, აღნიშნული მოსაზრების კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ამ მოსაზრების გაზიარება იმის აღიარებას ნიშნავს, რომ სასჯელის დამაფუძნებელი და სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ბრალი ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, რაც სწორი არ არის, სასჯელის დამაფუძნებელი ბრალი ხარისხობრივ მატებას, ზრდას არ ექვემდებარება (Strafbegründungsschuld ist nicht steigerbar).[374] მაგალითად, მაშინ, როცა ანგარების მოტივი აფუძნებს უმართლობას, იგი უმართლობის ნიშნად უნდა იქნეს განხილული და, შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის შედეგად დამნაშავის მიერ მისაღები მატერიალური სარგებელის მოცულობა ვერ განსაზღვრავს სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ბრალის მოცულობას.

კანონმდებელი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის სასჯელის ზომას და სახეს განსაზღვრავს სასჯელის დამაფუძნებელი ბრალის მიხედვით. ქმედების კრიმინალიზაციისას, კანონმდებელი, რასაკვირველია, სასჯელს განსაზღვრავს ქმედების განმახორციელებელი ისეთი პირისთვის, რომელიც ქმედებას ბრალეულად განახორციელებს. სასჯელის დაწესებისას, თავისთავად ივარაუდება, რომ იგი ეხება ბრალეულად მოქმედს და არა იმას, ვინც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში ჩაიდენს, ვინაიდან სასჯელი მხოლოდ ბრალუნარიანს და ბრალეულად მოქმედს შეეფარდება.

მაშინ, როცა სასჯელის დამაფუძნებელი ბრალი ზრდას, ე. ი. ხარისხებად დაყოფას არ ექვემდებარება, სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ბრალის ხარისხზე საუბარი შესაძლებელია. თუ სასჯელის დამაფუძნებელი ბრალის ხარისხზე საუბარი შესაძლებელი იქნებოდა, სისხლისსამართლებრივი უმართლობაც შეძლებდა მასზე ზეგავლენის მოხდენას, ვინაიდან სასჯელის დამაფუძნებელ ბრალს კანონმდებელი ითვალისწინებს ქმედების კრიმინალიზაციისა და სასჯელის განსაზღვრის დროს, როცა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი უმართლობის ხარისხზე საუბარია შესაძლებელი და არა ბრალის ხარისხზე, ვინაიდან იგი კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული, რომელიც კანონმდებლისთვის წინასწარ უცნობია.

სასჯელის შეფარდებისას მოსამართლემ სათვალავში უნდა მიიღოს დამნაშავის პიროვნება და ის გარემოებანი, რომელიც ბრალის ხარისხს განსაზღვრავს, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, შეუფარდოს მსჯავრდებულს ბრა-

[374] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 328.

ლის პროპორციული სასჯელი. რამდენადაც დანაშაულის აუცილებელი ნიშანი ბრალია, ხოლო სასჯელი დანაშაულის იურიდიული შედეგი, პიროვნების ბრალეულობის დადგენა მეტად მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, მაგრამ სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეს ბრალი აინტერესებს არა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წანამძღვარი, არამედ პროპორციული სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით.[375]

თუ ქმედების კვალიფიკაციის დროს ხდება იმის დადგენა ხომ არ მოქმედებდა პირი ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში, მაშასადამე, ბრალად შეერაცხება თუ არა ჩადენილი უმართლობა, სასჯელის შეფარდების დროს მოსამართლე არკვევს დამნაშავის ბრალის ხარისხს[376].

დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანი, პასუხისმგებლობის ერთ-ერთი წანამძღვარი ბრალია და, შესაბამისად, დანაშაულის პროპორციული სასჯელი ბრალის პროპორციულ სასჯელსაც ნიშნავს. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სისხლისსამართლებრივი უმართლობის და ბრალის პროპორციული სასჯელი.

ბრალსა და სასჯელს შორის პროპორციულობას, როგორც მორალური სამაგიეროს მიზღვის წინაპირობას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა *ფოიერბახი*. იგი მორალურ სამაგიეროს მიზღვას უჭერდა მხარს, რაც მისი შეხედულებით, ბრალის და სასჯელის პროპორციულობის გარეშე არ არსებობს.[377] *ნაგლერის* შეხედულებით, სასჯელის დადება მხოლოდ ბრალისთვის შეიძლება, ხოლო სასჯელის ზომა ბრალს უნდა შეესაბამებოდეს. სასჯელის მიზანი ბრალისთვის მიზღვაა (Schuldentgeltung). ბრალი არის რეაქციის საზომი.[378]

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ვიწრო გაგებით პროპორციულობის პრინციპის, მაშასადამე, სანქციონირების თანაზომიერების შემოწმებისას მხედველობაში მიიღება ბრალისმიერი პრინციპის გამოყენების მთავარი სფერო: ყოველი სასჯელი უნდა იყოს მოქმედი პირის ბრალეულობის მოცულობის თანაზომიერი. ბრალისმიერი პრინციპი კონსტიტუციის ზოგადი პრინციპებიდან, განსაკუთრებით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არა მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის („nulla poena sine culpa"), არამედ ასევე კონკრეტული სასჯელის ზომის ბრალთან პროპორციულობის უზრუნველყოფასაც

[375] *დვალიძე ი.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 71.

[376] ბრალის ხარისხზე ქართულად იხ. *უგრეხელიძე მ.*, ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1978, №6; *პატაშური ზ.*, ბრალი და მისი ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები სისხლის სამართალში, „ცხოვრება და სამართალი", 1998, №3; *ნაჭყებია გ.*, ბრალის ხარისხის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში, „სამართლის ჟურნალი", 2009, №2.

[377] *ვაჩეიშვილი ალ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

[378] იქვე, გვ. 85.

მოითხოვს. არ შეიძლება სასჯელის შეფარდება ბრალის გარეშე და აგრეთვე დამნაშავეს სასჯელის ზომა უნდა განესაზღვროს ბრალეულად განხორციელებული უმართლობის გათვალისწინებით[379].

გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ განავითარა ბრალის ფარგლების თეორია (Schuldrahmentheorie), რომლის მიხედვითაც, სასჯელი არ შეიძლება გასცდეს იმ ზედაზღვარს, რაც დამნაშავეს ბრალეული უმართლობის (verschuldete Unrecht) გათვალისწინებით შეიძლება მიესაჯოს[380].

რაც შეეხება ბრალისმიერი პრინციპის და პროპორციულობის პრინციპის ურთიერთმიმართებას, ორივე პრინციპს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართალში. სასჯელი, რომელიც აჭარბებს ბრალის ხარისხს, არაპროპორციულია. მაშასადამე, ბრალთან შეუსაბამო სასჯელი არაპროპორციულიც არის. მაგრამ ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა არაპროპორციული (ვიწრო გაგებით) იყოს სასჯელი, რომელიც ბრალის თანაზომიერია. დასმულ კითხვაზე არსებობს პასუხი, რომ ბრალის ადეკვატური სასჯელი სხვა მიზეზებით შეიძლება წარმოადგენდეს დამნაშავის ძირითადი უფლებების სფეროში არაპროპორციულ ჩარევას, ვინაიდან იგი მის უფლებას სიცოცხლეზე და სხეულებრივ ხელშეუხებლობაზე ხელყოფს. აღმოსავლეთ გერმანიის ჯაშუშებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა, რომ არათანაზომიერი სასჯელის შეფარდება შეიძლება განპირობებული იყოს ისეთი გარემოებებითაც, რომლებიც ბრალთან არავითარ კავშირში არ არიან და ბრალის ხარისხს არ განსაზღვრავენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბრალის ხარისხთან შეუსაბამოდ მკაცრი სასჯელი ყოველთვის არაპროპორციულია, მაგრამ სასჯელის არაპროპორციულობას შეიძლება სხვა გარემოებებიც ედოს საფუძვლად[381].

ბრალის პროპორციული სასჯელის გარეშე სამართლიანობის აღდგენა შეუძლებელია.[382] სასჯელი სამართლიანი უნდა იყოს ბრალის ხარისხთან მიმართებით.[383] ბრალის პროპორციული სასჯელის დანიშვნის მოთხოვნად უნდა ჩაითვალოს ის დებულებები, რომლებიც საქართველოს სსკ-ის მთელ რიგ მუხლებშია ასახული. კერძოდ, 25-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად, ამსრულებელს და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საკუთარი ბრალისთვის, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწ-

[379] *Weigend Th.*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, Berlin. New York, 1999, S. 927-928.

[380] *Weigend Th.*, დასახ. ნაშრ., გვ. 928.

[381] *Weigend Th.*, დასახ. ნაშრ., გვ. 928-929.

[382] *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, კრებულში: ლეკვეიშვილი მ., შალიკაშვილი მ., (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, გვ. 246.

[383] *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თარგმნა ე. ჩაჩანიძემ, თბ., 2011, გვ. 373.

ილეობის ხასიათის და ხარისხის, დანაშაულის მიზნის მისაღწევად ამ მონაწილეობის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ხოლო 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებში სხვა გარემოებებთან ერთად ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმებიც იგულისხმება, თუმცა მხოლოდ ასეთი კრიტერიუმებით არ შემოიფარგლება. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: 1) გარემოებები, რომლებიც უმართლობის ხარისხს განსაზღვრავს; 2) გარემოებები, რომლებიც ბრალის ხარისხზე მოქმედებს; 3) გარემოებები, რომლებიც დამნაშავის წარსულ ცხოვრებასა და პიროვნებასთანაა დამოკიდებული და უმართლობის და ბრალის ხარისხზე არ ახდენს გავლენას.

15. სამართლიანობა, როგორც პროპორციულობის არგუმენტი

დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების მარტივი დასაბუთება შესაძლებელია სამართლიანობის მოთხოვნაზე მითითებით, რაც ბადებს კითხვას სამართლიანი გადაწყვეტილების ბაზისზე. უმარტივესი პასუხი კი მიუთითებს ინტუიციურ ცოდნაზე იმასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება სამართლიანია თუ უსამართლო.[384]

როგორც ითქვა, სამართლიანი განაჩენი სულ მცირე ინტუიციურ ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს გადაწყვეტილების სამართლიანობაზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა მოსამართლის შინაგანი რწმენა მის მიერ გამოტანილი განაჩენის სამართლიანობაზე. პირველ რიგში, მოსამართლე შინაგანად უნდა გრძნობდეს, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო, არ არის უსამართლო. ასევე მეტად მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ მართებულად აღნიშნავს, რომ სამართლიანობა როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართლის შეფარდების უპირობო მიზანს წარმოადგენს[385].

საქართველოს სსკ-ის მიზნებიდან ერთ-ერთია სამართლიანობის აღდგენა (39-ე მუხ.), მაგრამ სამართლიანობის აღდგენას მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ დამნაშავისთვის შეფარდებული სასჯელი ჩადენილი დანაშაულის პროპორციული იქნება.[386] საქართველოს სისხლის სამართლის საპრო-

[384] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 133.

[385] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 44-ე პუნქტი.

[386] *ლეკვეიშვილი მ.*, სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის

ცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, "სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს". აღნიშნული დებულების დარღვევის შემთხვევაში სამართლიანი განაჩენის და სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად საპირისპირო მდგომარეობას მივიღებთ. დანაშაულის ჩადენა თავად არის უსამართლობა, მაგრამ უსამართლობა არის ასევე დამნაშავის არათანაზომიერი დასჯაც. დამნაშავის არათანაზომიერი დასჯით, ნაცვლად სამართლიანობის აღდგენისა, საფუძველი დაედება ახალ უსამართლობას.

სამართლიანობის აღდგენაზე საუბრისას ჩნდება კითხვა, რა განსხვავება არსებობს მასსა და სამაგიეროს მიზღვას შორის, ხომ არ არსებობს მათ შორის სრული იგივეობა? უნდა ითქვას, რომ სამართლიანობის აღდგენა სამაგიეროს მიზღვას არ გამორიცხავს, მაგრამ იგი უნდა იყოს სამართლიანი[387]. მაშასადამე, არსებობს როგორც სამართლიანი, ისე უსამართლო სამაგიეროს მიზღვა. სასჯელის მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანი სამაგიეროს მიზღვით.

სამართლიანობის აღდგენისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასჯელი იყოს უკიდურესად აუცილებელი იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც სასჯელი ემსახურება, „რათა ობიექტურ პირს შეექმნას წარმოდგენა, რომ, თუ არა სწორედ ასეთი სასჯელი, საფრთხეების სხვაგვარად განეიტრალება შეუძლებელი იქნებოდა"[388]. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის საფრთხე, რომელიც დანაშაულის ჩადენითაა შექმნილი და აგრეთვე ისიც, რომელიც დამნაშავის დაუსჯელობით ან არათანაზომიერი დასჯით იქმნება.

სასჯელის გამოყენებით სამართლიანობის აღდგენა რომ იქნას მიღწეული, სამართალშემფარდებელი სასჯელის შეფარდების დროს ინდივიდუალურ გარემოებებს უნდა ეფუძნებოდეს. სამართალშემფარდებელმა სასჯელის შეფარდებით სამართლიანობის აღდგენა რომ შეძლოს, კანონმდებელმა უნდა აღჭურვოს იგი თანაზომიერი სასჯელის შეფარდებისთვის საკმარისი შესაძლებლობებით[389]. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის გამოყენებით სამართლიანობა ვერ აღსდგება, თუ არ იქნა დაცული სასჯელის ინდივიდუალიზაციის და თანაზომიერების პრინციპები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მარ-

სპეციფიკა, კრებულში: ლეკვეიშვილი მ., შალიკაშვილი მ., (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, გვ. 48.

[387] *ქათამაძე მ.*, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, „სამართალი", 2000, №10, 11, 12, გვ. 142.

[388] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 45-ე პუნქტი.

[389] იქვე.

თებულადაა აღნიშნული, რომ სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ თანაზომიერი სასჯელის გამოყენებისას არის შესაძლებელი. „არაპროპორციული, არათანაზომიერად მკაცრი სასჯელი ხელს უშლის, ზოგჯერ კი სრულად გამორიცხავს რესოციალიზაციას, შედეგად, ეწინააღმდეგება სასჯელით მისივე მიზნების, ფუნქციების განხორციელების, მიღწევის შესაძლებლობას"[390].

სასჯელი მაშინაა ეფექტური, როცა მას ხალხის მართლშეგნებაში სამართლიანობის ბეჭედი აზის.[391] მაგრამ, სასჯელის სამართლიანობა სასჯელის სიმკაცრით არ იზომება. თუ მკაცრი სასჯელების სამართლიანობა ხალხის მართლშეგნებამ არ გაიზიარა, სახელმწიფო არაჰუმანური სასჯელებით მიზანს ვერ მიაღწევს.[392] სასჯელის ჰუმანურობის მნიშვნელობაზე აკეთებდა აქცენტს *ჩ. ბეკარიაც*, რომლის თვალსაზრისით, დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისთვის მნიშვნელოვანია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი სიზუსტე. არაჰუმანური სასჯელი ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას.[393]

ბეკარიას შეხედულებით, იმისთვის, რომ სასჯელი სამართლიანად ჩაითვალოს და სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას, აუცილებელია დანაშაულის ჩადენიდან დასჯამდე დიდი დრო არ გავიდეს და სასჯელი ნაკლებად მკაცრი და ხანმოკლე იყოს. რაც უფრო ნაკლები დროა გასული დანაშაულის ჩადენიდან დასჯამდე, მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივია ადამიანის გონებაში ორი იდეის – დანაშაულის და სასჯელის კავშირი.[394] დამნაშავის დასჯას მაშინ აქვს შედეგი, როცა ჩადენილ ქმედებას არ აქვს დაკარგული თავისი მნიშვნელობა ქმედების განხორციელებიდან გარკვეული დროის გასვლის თვალსაზრისით. ამდენად, *ბეკარიას* შენიშვნა მართებულია. ქმედების განხორციელებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ქმედება კარგავს თავის მნიშვნელობას და, შესაბამისად, ქმედების ჩამდენის დასჯაც არ არის აუცილებელი და საჭირო. ამიტომაც არის, რომ სისხლის სამართალში მოქმედებს ხანდაზმულობის ინსტიტუტი. თუმცა, არსებობს დანაშაულები, რომელზეც ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება (მაგალითად, გენოციდი).

სამართლიანობის აღდგენა ყოველთვის რეპრესიული ღონისძიების გატარებას არ მოითხოვს.[395] ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მედიაცია

[390] იქვე, 46-ე პუნქტი.

[391] *ნადარეიშვილი გ.*, ქართული სამართლის ჰუმანურობის შესახებ, "სახელმწიფო და სამართალი", 1990, №5, გვ. 44.

[392] *ნადარეიშვილი გ.*, იქვე.

[393] *ბრეგვაძე ლ.*, კრიმინოლოგიური თეორია, წიგნში: ღლონტი გ. (რედ.), კრიმინოლოგია, თბ., 2008, გვ. 369.

[394] *ბეკარია ჩ.*, დანაშაულისა და სასჯელისათვის, იტალიურიდან თარგმნა ი. ხუცურაულმა, თბ., 2003, გვ. 101-102.

[395] *თუმანიშვილი გ.*, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, კრებულში: ტურავა მ. (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 263.

რომელიც საქართველოში დიდი ხანი არ არის რაც დაინერგა. გარდა ამისა, არსებობს პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი (63-ე მუხ.), რომელიც დამნაშავისთვის სასჯელის პირობით დანიშვნას ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას. ასევე აღნიშვნის ღირსია დამნაშავის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება ქმედითი მონანიების გამო (68-ე მუხ.).

თუ რა არის სამართლიანობა ამაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა არავის არ შეუძლია. სამართლიანობის უნივერსალური ცნება არ არსებობს და შეუძლებელიც არის მისი ჩამოყალიბება. სამართლიანობა არის ღირებულება, შეფასების მასშტაბი, რომლისადმი მიმართებით შეიძლება დადგინდეს სასჯელი თუ რამდენად სამართლიანია. თუ გავიზიარებთ შეხედულებას, რომ ღირებულება სუბიექტურია, იმ დასკვნამდეც მივალთ, რომ სამართლიანობა, როგორც ღირებულება სუბიექტურია, მაგრამ ეს არ არის გასაზიარებელი. თუ სამართლიანობა შეფასების მასშტაბია, იგი არ შეიძლება სუბიექტური იყოს. ზოგადად, შეფასება არ არის მოკლებული სუბიექტურობას, მაგრამ სამართლიანობა არ უნდა გავაიგივოთ შეფასებასთან. იგი არის ორიენტირი ანუ ის, რაც შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს.

არისტოტელე სამართლიანობას თანასწორობასთან მიმართებით განიხილავდა. მაშასადამე, მისი თვალსაზრისით, სამართლიანობა გულისხმობს თანასწორობას, მაგრამ თანასწორობას არა უთანასწოროთა, არამედ თანასწორთა შორის. უთანასწორობაც სამართლიანობაა, მაგრამ მხოლოდ არათანასწორთათვის და არა ყველასთვის (თანასწორთათვის).[396]

დამნაშავის დასჯის დროს ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის ეკონომიკურ მდგომარეობას, წარსულ ცხოვრებას და ამის მიხედვით უნდა შეირჩეს სასჯელის სახე და ზომა სასჯელის შეფარდების დროს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ირღვევა თანასწორობის პრინციპი და, შესაბამისად, სამართლიანობა. პირიქით, სამართლიანობა მოითხოვს, რომ სასჯელის შეფარდებისას მოხდეს აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინება. სხვაგვარად სასჯელის ინდივიდუალაიზაცია და დანაშაულის თავიდან აცილება შეუძლებელია. როგორც მოზარდის აღზრდა წარმატებით ვერ განხორციელდება პედაგოგიური შაბლონით, ისე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალიზაცია ვერ მოხდება დამნაშავის პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.[397]

თანასწორობის პრინციპზე ამახვილებდა ყურადღებას *კანტიც* და თვლიდა, რომ სამართლიანობა თანასწორობის გარეშე არ არსებობს, სამართლიანობა, როგორც სასჯელის პრინციპი, თანასწორობით ხელმძღვანელობს. იგი წერდა: "იმ სიავეს, რასაც შენ მიაყენებ სხვას, თავის თავს აყენებ". სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენებით ადამიანი საკუთარ თავს შეურაცხყოფს.[398]

[396] *წერეთელი ს.*, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, I ტომი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1973, გვ. 436.

[397] *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 100.

[398] *ვაჩეიშვილი ალ.*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 29.

თუმცა, *კანტის* მიხედვით, სამართლიანობის იდეა თავისუფალია ყოველგვარი მიზნისგან და სამართლიანობის აღდგენა, რომელსაც სასჯელი გულისხმობს, გაიგივებულია სამაგიეროს მიზღვასთან, რომელიც ტალიონის პრინციპზეა აგებული.[399]

სამართლიანობის პრინციპი მხოლოდ სასჯელის სამართლიანობით არ შემოიფარგლება. სამართლიანობის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს როგორც სასჯელი, ისე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზემოქმედების სხვა ზომები და სასჯელისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წესი, პირობები.[400]

სამართლიანობის პრინციპი გამოხატულებას არა მხოლოდ დამნაშავის დასჯაში, არამედ სასჯელისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაშიც პოულობს.[401] კერძოდ, როცა პირველად არის დანაშაული ჩადენილი; ბრალდებული თანამშრომლობს საგამოძიებო ორგანოებთან; დანაშაულის ჩადენიდან გავა ხანდაზმულობის კანონით გათვალისწინებული ვადა, პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტსაც, რაც პროპორციულობის და სამართლიანობის პრინციპთან მიმართებით მეტად საინტერესოა. თუ შესაბამისი ორგანოები მიიჩნევენ, რომ დამნაშავის გამოსწორებისთვის საჭირო აღარ არის მისთვის შეფარდებული სასჯელის მთლიანად მოხდა, მიიღება გადაწყვეტილება სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.[402] გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება: დამნაშავის წარსული ცხოვრება, კერძოდ, პირველად ჩაიდინა დანაშაული თუ განმეორებით; დანაშაულის ჩადენის გარემოებები, რა ვითარებაში განხორციელდა დანაშაული; რა სახის ზიანი გამოიწვია ჩადენილმა დანაშაულმა და აანაზღაურა თუ არა დამნაშავემ მიყენებული ზიანი; დამნაშავის დამოკიდებულება დაზარალებულთან (ასეთის არსებობისას) და ოჯახის წევრებთან; ინანიებს თუ არა დამნაშავე ჩადენილ დანაშაულს; სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის დროს დამნაშავის ყოფაქცევა და დამოკიდებულება როგორც პატიმრებთან, ისე დაწესებულების თანამშრომლებთან და ა. შ. გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინება ხელს უწყობს პროპორ-

---

[399] *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 101.

[400] *ნაჭყებია გ.*, დასახ. ნაშრ, გვ. 103.

[401] *გიორგიძე ალ.*, არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი (რა მიზანს ემსახურება სასჯელი?), კრებულში: ლეკვეიშვილი მ., შალიკაშვილი მ., (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, გვ. 83.

[402] ასეთ გადაწყვეტილებას სსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად, იღებს სასამართლო ან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული ადგილობრივი საბჭო.

ციულობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვას.

სამართლიანობის აღდგენა სასჯელის სხვა მიზნების განხორციელებასაც უწყობს ხელს. იგი არ არის განყენებული დანაშაულის (კერძო და ზოგადი) პრევენციისგან და დამნაშავის რესოციალიზაციისგან.[403] სამართლიანობის აღდგენის გარეშე დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია შეუძლებელია. მაშასადამე, სასჯელის მიზნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რეალურად არ ხორციელდება.[404]

სწორად უნდა ჩაითვალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განაჩენში სასჯელის სამართლიანობის მნიშვნელობის დასაბუთება სასჯელის მიზნის მისაღწევად[405]. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასჯელის სამართლიანობა პროპორციულობასთან კავშირშია განხილული და მითითებული, რომ სამართლიანი სასჯელით შესაძლებელია პროპორციულობის მიღწევა.

ი. დვალიძე მართებულად მიუთითებს, რომ სასჯელის სამართლიანობას, თანასწორობის გარდა, პროპორციულობაც განაპირობებს, რაც აბსტრაქტულ სამართლიანობას კონკრეტულს ხდის და პრაქტიკულად განხორციელებად კატეგორიად წარმოაჩენს[406].

სამართლიანობა, მართლაც, აბსტრაქტული კატეგორიაა, მაგრამ მაშინ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებაში სასჯელის სამართლიანობაზეა საუბარი, უნდა იყოს მითითებული კონკრეტული გარემოებები, რომელზე დაყრდნობითაც შეძლო მოსამართლემ სამართლიანი სასჯელის შეფარდება. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც საუბარია სამართლიანი სასჯელის დანიშვნაზე დანაშაულის სიმძიმის და ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების გათვალისწინებით[407]. მაშასადამე, სამართლიანი სასჯელის შესაფარდებლად, უზენაესი სასამართლოს პოზიციით, მნიშვნელოვანია როგორც დანაშაულის სიმძიმე, ისე ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება.

---

[403] *ლეკვეიშვილი მ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[404] *გიორგიძე ალ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 86-85.

[405] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/5630-14.

[406] *დვალიძე ი.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 25.

[407] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2013, №1-6, გვ. 31.

16. რამდენად შესაძლებელია სასჯელის და დანაშაულებრივი ქმედების აბსოლუტური პროპორციულობა?

პროპორციულობის პრინციპი უნდა გავიგოთ სასჯელის ზომის და ქმედების უმართლობის არა როგორც აბსოლუტური, არამედ როგორც რელატიური პროპორციულობა. სასჯელის ზომის ქმედების სიმძიმესთან დაკავშირების მოდელი გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება, ვინაიდან ქმედების სიმძიმის და ბრალის განსხვავება ამ ორი კატეგორიის ერთად გაანგარიშებას შეუძლებელს ხდის. რომელ დანაშაულებრივ ქმედებას თუ რა ზომის სასჯელი უნდა შეეფარდოს, ეს შეუძლებელია მხოლოდ ქმედების პროპორციულობის მიხედვით გადაწყდეს[408].

თვალსაზრისმა, რომლის მიხედვითაც, სასჯელის მოცულობის განსაზღვრა ერთსაფეხუროვანი სისტემით უშუალოდ ქმედების სიმძიმის მიხედვით შეუძლებელია, გავრცელება ჰპოვა ჯერ კიდე *ჰეგელის* შემდგომ ტალიონის პრინციპის უარყოფასთან ერთად. სასჯელის სიმძიმე არ წარმოადგენს აბსოლუტურ სიდიდეს. იგი ბეჭედდასმულია იმ დროით და კულტურული თავისებურებებით, რომელშიც სისხლის სამართალი ყოფიერებს. როგორც *ჰ. ჰენკელი* მიუთითებს, ცალკეულ ქმედების შემადგენლობაში ტიპიზირებული უმართლობის გენერალური, ზოგადი სიმძიმე საეჭვოა, ვინაიდან სოციალურ ღირებულებებზე შეხედულებები ცვლილებებს განიცდის, მაშასადამე დროსთან ერთად იცვლება.[409] და თუკი ცალკეული ქმედების სიმძიმე იცვლება დროის გასვლის შედეგად, შეუძლებელია ქმედების სიმძიმესა და სასჯელის ზომას შორის აბსოლუტურ პროპორციულობაზე საუბარი. ამიტომ, პროპორციულობა შეფარდებით ხასიათს იძენს. სასჯელის ის ზომა, რომელიც ქმედების შეფასების დროს იქნა მიჩნეული პროპორციულად, შეიძლება დროის გასვლის შემდეგ არაპროპორციულადაც შეფასდეს. უფრო მეტიც, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ქმედება, ზოგჯერ, საერთოდ კარგავს სოციალურად საშიში ქმედების თვისებას და დღის წესრიგში დგება ქმედების დეკრიმინალიზაცია, რაც თავისთავად იწვევს შესაბამისი ქმედებისთვის სასჯელის არა მხოლოდ ზომის შეცვლას, არამედ მის გაუქმებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდში გარკვეული სახის ქმედებებზე ხშირად შეინიშნება სასჯელის ზომის შემცირება, ლიბერალიზაცია, ხოლო, დანარჩენ ქმედებათა მიმართ, პირიქით, სასჯელის გამკაცრება.

„ქმედების პროპორციულობის პრინციპი" (Tatproportionalitätsprinzip), როგორც *ტ. ჰიორნლე* მიუთითებს, კომპარატივისტული (შედარებითი) სისტემის ბაზისს წარმოადგენს. იგი გულისხმობს თემების მწყობრ სისტემას იმის მიხედვით, გამოირჩევიან თუ არა ისინი მეტი ან ნაკლები საერთო თვისებებით.

---

[408] *Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 155.

[409] *Henkel H.*, Die „richtige" Strafe, Tübingen, 1969, S. 30.

ჰიორნლეს თვალსაზრისით, აღნიშნული სისტემა ჯობია კლასიფიკატორულ სისტემას, რომესაც მხოლოდ იმის ჩვენება შეუძლია, საკითხი თუ რომელ კლასს განეკუთვნება. სამართლებრივ ნორმათა ლოგიკური სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ კომპარატივისტული ნორმების სისტემა მოცემულია სამოქალაქო სამართალში, კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც ზიანის ანაზღაურებას ეხება. სისხლის სამართალში ქმედების დასჯადობა კლასიფიკატორულ პროცესს გულისხმობს, ვინაიდან იგი დაინტერესებულია ქმედების მიკუთვნებით „დასჯად" ან „არადასჯად" ქმედებათა წრისადმი. სასჯელის შეფარდება, პირიქით, წარმოადგენს სამართალში კომპარატივისტული სტრუქტურის გამოყენების შემთხვევას. ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის მნიშვნელოვანი ცნება „დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე" არის კომპარატივისტული (ფარდობითი) ცნება, რომელიც უშვებს ქმედების მნიშვნელობის განსაზღვრას სხვა ქმედებასთან შეფარდებით. სასჯელის შეფარდების კომპარატივისტული სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასჯელის ზომა დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმეზეა დამოკიდებული, რაც შემდეგნაირად გამოითქმის: რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო მეტია სასჯელი[410].

დაბოლოს, აბსოლუტური პროპორციულობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ზემოთ განვითარებულ მსჯელობას მივყავართ დასკვნამდე, რაც მოკლედ შემდეგი სიტყვებით შეიძლება გამოვხატოთ: ყველაფერი შეფარდებითია!

17. პროპორციული სასჯელის ზეგავლენა მესამე პირზე და სასჯელი, როგორც სოციალური ინსტიტუტი

როდესაც საუბარია სასჯელის პროპორციულობაზე, ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ამ პრინციპისგან გადახვევა და როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, თუ იგი შეიტყობს, რომ პროპორციული სასჯელი დიდი სისასტიკე და ზიანის მომტანი იქნება არაბრალეული მესამე პირისთვის? დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით ა. *აშვორტი* მიუთითებს, რომ ინგლისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დედა სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა, ვინაიდან მას პატარა ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება იყო ის, რომ უსამართლობა იქნებოდა, თუ ბავშვი მისი მშობლების გამო დაიტანჯებოდა. თუმცა, დასახელებული ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მძიმე დანაშაულის განხორციელებას ეხება. გარდა ამისა, არსებობს შემთხვევები, როცა სასამართლო ამოდის იქიდან, რომ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება დამ-

[410] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 156-157.

საქმებლისთვის, საფრთხეს უქმნის დასაქმებულებს, რის შედეგადაც ჩნდება იმის საშიშროება, რომ მათ სამუშაო ადგილი დაკარგონ და უმუშევარი დარჩნენ. ამიტომ, სასამართლო ასეთ დროს უარს ამბობს დასჯაზე[411]. აღსანიშნავია ის, რომ ფაქტორები, რის გამოც მოცემულ შემთხვევებში სასამართლომ დასჯაზე უარი თქვა, არ უკავშირდება პროპორციულობას.

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, ითვალისწინებს დამნაშავის პირად და ეკონომიკურ პირობებს. პირად პირობებში იგულისხმება სწორედ ოჯახური მდგომარეობა, ის, თუ ვინ არის დამნაშავეზე დამოკიდებული. თუ დამნაშავეს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი ან ინვალიდი მშობელი, რომელიც მის კმაყოფაზეა, სასამართლომ ეს უნდა გაითვალისწინოს სასჯელის შეფარდების დროს. აღნიშნულ გარემოებებს სასჯელის მხოლოდ შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სასჯელი არის სოციალური ინსტიტუტი და ამიტომ, სასჯელის შეფარდებისას მოსამართლემ ესეც უნდა მიიღოს მხედველობაში.

სასჯელის ინსტიტუცია სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით ყალიბდება, რომელსაც სოციოლოგიურ ლიტერატურაში ისტორიულ-ეკონომიური ფაქტორებიც ეწოდება[412]. მაშასადამე, სასჯელი არა მხოლოდ პრევენციული თვალსაზრისით უნდა იყოს გამართლებული, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც, რაც უფრო მეტია, ვიდრე პრევენცია. დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდება პრევენციულ ამოცანას შეიძლება ემსახურებოდეს, მაგრამ სასჯელი შეიძლება სოციალურ მოთხოვნებს ბოლომდე ვერ აკმაყოფილებდეს. სასჯელი არა მხოლოდ დანაშაულის პროპორციული, არამედ რაციონალურიც უნდა იყოს. მაშასადამე, სასჯელის პროპორციული უნდა იყოს ფართო გაგებით. სასჯელის პროპორციულობა, ფართო გაგებით, სასჯელის არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და ბრალის ხარისხთან შესაბამისობას გულისხმობს, არამედ სხვა ფაქტორებსაც მოიცავს. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დანაშაულის პროპორციული სასჯელი და პროპორციული სასჯელი ფართო გაგებით, რაც სასჯელის რაციონალობასაც ითვალისწინებს. სასჯელის რაციონალურობა კი სასჯელის სოციალურ ფუნქციაზე მიუთითებს.

სასჯელთან დაკავშირებულ თეორიებს *გ. ელინეკი* ორ ჯგუფად ყოფს: აქედან პირველი ჯგუფი სასჯელს განიხილავს როგორც ეთიკურ აუცილებლობას, ხოლო მეორე როგორც სოციალურ აუცილებლობას[413]. *ელინეკის*

[411] *Aschworth A.*, Kriterien für die Proportionalität der Strafe, in: Frisch/von Hirsch/Albrecht (Hrsg.), Tatproportionalität, Normative und empirische Aspekte einer tatproportionalen Strafzumessung, Heidelberg, 2003, S. 95-96.

[412] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 112-113.

[413] *Jellinek G.*, Die sozialethische Bedeutung von Recht, Unrecht und Strafe, Nachdruck der Ausgabe Wien 1878, 1967, S. 91.

შეხედულებით, სასჯელი არის სამართლიანობის აქტი, მაგრამ არა აბსოლუტური, არამედ სოციალური სამართლიანობის[414].

18. სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შეუსაბამობა დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების პრინციპთან

ტ. ჰიორნლეს შეხედულებით[415], დანაშაულის პროპორციული სასჯელის თეორია წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმასთან, რომელიც ითვალისწინებს სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას (გერმანული სსკ-ის 56-ე პარაგრაფი), ვინაიდან სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება დამნაშავის პიროვნება და პირადი ცხოვრების პირობები[416]. *ჰიორნლეს* თვალსაზრისით, აღნიშნული ფაქტორები, შეუსაბამობაშია დანაშაულებრივი ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდების პრინციპთან. როგორც აღნიშნული პრინციპი მიგვითითებს, იგი გულისხმობს სასჯელის დანაშაულებრივ ქმედებასთან პროპორციულობას, მაგრამ დამნაშავის პიროვნებას და ცხოვრების პირობებს დანაშაულებრივი ქმედება არ მოიცავს და მის გარეთაა. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ პროპორციულ სასჯელზე, უნდა გავითვალისწინოთ, მხედველობაში გვაქვს პროპორციულობა ვიწრო გაგებით, თუ პროპორციულობა ფართო გაგებით. ასევე უნდა დაკონკრეტდეს, სასჯელის პროპორციულობის განხილვა რასთან მიმართებით ხდება: ქმედებასთან, ბრალთან, თუ საერთოდ დანაშაულთან. რასაკვირველია, სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების პროპორციული სასჯელის შეფარდება და მისი აღსრულება წინააღმდეგობაში მოდის სასჯელისაგან იმ გარემოებების საფუძველზე გათავისუფლებასთან, რომელთაც არავითარი საერთო ქმედებასთან და მის სიმძიმესთან არ გააჩნიათ. მაგრამ, სასჯელი არა მხოლოდ ქმედების პროპორციული უნდა იყოს, არამედ რაციონალურიც ანუ პროპორციული ფართო გაგებით. სასჯელის რაციონალურობა სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას არ გამორიცხავს, თუ გათავისუფლებას საფუძვლად უდევს ის გარემოებები, რომელსაც სასჯელის რაციონალობა გულისხმობს.

მართალია, დანაშაულის პროპორციული დასჯა, დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოჩენილი ყოფაქცევის თუ სხვა გარემოებების გამო, დამნაშავის პირობით ვადამდე გათავისუფლებას გამორიცხავს და მასთან წინააღმდეგობაში მოდის, მაგრამ იგი შეიძლება ზოგადად სასჯელის პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს, ვინაიდან სასჯელის პროპორციულობა

[414] *Jellinek G.*, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

[415] *Hörnle T.*, დასახ. ნაშრ., გვ. 191-192.

[416] *შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ.*, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბ., 2013.

არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ ასევე დამნაშავის პიროვნების (აგრეთვე სხვა გარემოებების) პროპორციულ სასჯელსაც გულისხმობს და სასჯელის თანაზომიერება, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, უმართლობის სიმძიმის და ბრალის ხარისხის გარდა სხვა კრიტერიუმებითაც იზომება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ გამორიცხული არ არის სასამართლოს შეცდომა და მის მიერ მსჯავრდებულისთვის არაპროპორციული სასჯელის შეფარდება. თუ ასეთი რამ მოხდა, არ არის გამორიცხული, რომ სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტმა შეასრულოს იმ მექანიზმის ფუნქცია, რომელიც თავიდან აგვაცილებს დამნაშავის არაპროპორციულ დასჯას. მაშასადამე, დასახელებული ინსტიტუტი შეიძლება გახდეს პროპორციულობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალება.

მაშასადამე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რა გარემოება დაედება საფუძვლად სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლებას. მაგრამ, რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს იგი, შეიძლება მიღებული გადაწყვეტილება უმართლობის და ბრალის, ე.ი დანაშაულის პროპორციული დასჯისგან გადახვევას წარმოადგენდეს, თუმცა, შეესაბამებოდეს, ზოგადად, პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებს.

როგორც უკვე აღინიშნა, პროპორციული სასჯელი (მაშასადამე, პროპორციულობა ფართო გაგებით) დამნაშავის პიროვნების, წარსული ცხოვრების და ყველა იმ გარემოების პროპორციულ სასჯელს გულისხმობს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სასჯელის ზომის განსაზღვრისთვის, მაგრამ დამნაშავის პიროვნების სამართლებრივ მნიშვნელობაზე განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს.

ნ. თოდუას თვალსაზრისით, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინება სასჯელის დანიშვნის დროს არ არის მართებული და იგი სოციოლოგიური სკოლის ზეგავლენის ნაყოფია. მისი შეხედულებით, სამართლებრივი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს პიროვნების მახასიათებელ ნიშნებს, რომელიც მის განათლებას, სოციალურ სტატუსს, ქონებრივ მდგომარეობას, პიროვნულ ხასიათს და სხვა წმინდა პიროვნულ მონაცემებს მოიცავს[417].

აღნიშნული შეხედულება საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს. ადამიანის დასჯა მისი პიროვნების გამო მიუღებელია, არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ადამიანის პიროვნება წარმოადგენდეს, ადამიანი ისჯებოდეს მისი სტატუსის, პიროვნების, წარსული ცხოვრების გამო. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, როგორც ცნობილია, სს კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა. ამით ყველაფერია ნათქვამი. მაგრამ, რაც შეეხება დამ-

[417] *თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015, გვ. 5-6.

ნაშავის პიროვნებას, იგი შეიძლება მოსამართლემ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს.

ნ. თოდუას თვალსაზრისით, დამნაშავის ქონებრივ მდგომარეობას სასჯელის შეფარდების დროს სამართლებრივი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, მაგრამ შეუძლებელია დამნაშავეს ჯარიმის ოდენობა მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე განესაზღვროს. სს კოდექსის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიც ამაზე მიუთითებს.

19. საპროცესო შეთანხმება და მისი გავლენა სასჯელის პროპორციულობაზე

საქართველოში 2004 წლის 13 თებერვლის კანონით, ამერიკული სამართლის ზეგავლენით, სისხლის სამართლის პროცესის გამარტივებისა და შეკვეცის მიზნით შემოტანილ იქნა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი. თანამედროვე პირობებში სასამართლოებში განაჩენთა უმეტესობა სწორედ საპროცესო შეთანხმების პირობებში მიიღება, რაც ამ ინსტიტუტის ეფექტურობაზე მიუთითებს. მაგრამ, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რეალურია პროპორციული სასჯელის შეფარდება, როცა მხარეებს შორის იდება საპროცესო შეთანხმება და რამდენად უზრუნველყოფს პროპორციული სასჯელის შეფარდებას ის რეგულაციები, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით მოქმედებს.

ქართული სსკ-ის 55-ე მუხლი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსამართლემ დამნაშავეს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი შეუფარდოს, მაგრამ აღნიშნული მუხლი ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში უშვებს: თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ბუნებრივია, ასეთი შეზღუდვა არ შეესაბამება ბრალის პროპორციული სასჯელის შეფარდების პრინციპს და 55-ე მუხლში ასახულ დებულებას არავითარი საერთო არა აქვს დასახელებულ პრინციპთან. აღნიშნული მუხლის ადრე მოქმედი რედაქციის მიხედვით,[418] სასამართლოს შესაძლებლობა ჰქონდა დამნაშავისთვის, მისი პიროვნების გათვალისწინებით, შეეფარდებინა სსკ-ის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ არსებობდა განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება. ე.ი. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდების დროს სასამართლო შემდეგი სახის გარემოებებს იღებდა სათვალავში: 1) დამნაშავის პიროვნება და 2) განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება.

[418] სსკ-ის 55-ე მუხლის ტექსტი ადრე მოქმედი რედაქციით უნდა აღსდგეს *ო. გამყრელიძის* შეხედულებით. იხ. *გამყრელიძე ო.*, რა ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში?, „ცხოვრება და კანონი", 2009, №2(6), აპრილი-მაისი, გვ. 4.

მას შემდეგ, რაც 2006 წელს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევიდა, კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელი მხოლოდ ერთი გარემოება არსებობს: მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადება. სსსკ-ის 210-ე მუხლის თანახმად, „საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით". პროკურორს შეუძლია უარი თქვას შეთანხმებაზე. „ამ შემთხვევაში სასამართლოს უფლება ერთმევა, დაუნიშნოს დამნაშავეს შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი, მაშინ, როცა საქმის მასალებით დადგენილია განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოებები. ხსენებულ შემთხვევაში სასჯელის დანიშვნის უფლება სასამართლოს ჩამოერთვა და პროკურორს მიეცა".[419] საკითხის ასეთი გადაწყვეტა დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში[420].

საპროცესო შეთანხმების სამშობლოში-ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი განსაზღვროს სასჯელი. ხოლო პროკურორი მხოლოდ ბრალდების მოცულობას განსაზღვრავს და შეუძლია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ბრალდებაზე. ამერიკული სამართლის თანახმად, როცა პროკურორი უარს არ ამბობს ბრალდებაზე, ხოლო ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობს, ამ უკანასკნელს შეუძლია შეუთანხმდეს სასამართლოს სასჯელის შემსუბუქებაზე.[421]

საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის თანახმად, საპროცესო შეთანხმება უნდა დამტკიცდეს სასამართლოს მიერ, მაგრამ ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, რომ ბრალდებული და პროკურორი შეთანხმდნენ საპროცესო შეთანხმებაზე. მაშასადამე, საპროცესო შეთანხმების დადება შეუძლებელია პროკურორის თანხმობის გარეშე. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაში სასამართლო მას შემდეგ ერთვება, რაც მიღწეული იქნება შეთანხმება ბრალდებულსა და პროკურორს შორის. ამიტომ, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას, საპროცესო შეთანხმების კრიტიკოსთა სამართლიანი შენიშვნით, საუბარია არა „მართლმსაჯულებაზე", არამედ „სწრაფ" და „ეფექტიან" პროცესზე.[422]

სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობას არ მოითხოვს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის შესაფარდებლად. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ

---

[419] *გამყრელიძე ო.*, მოსყიდვა ზემოდან თუ მოსყიდვა ქვემოდან, "ცხოვრება და კანონი", 2008, იანვარ-თებერვალი, №3, გვ. 3.

[420] *თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015, გვ. 9.

[421] *გაბრიჩიძე ნ.*, საპროცესო შეთანხმება, "ადამიანი და კონსტიტუცია", 2004, №3, გვ. 56.

[422] აღნიშნულ შეხედულებაზე იხ. *კოტეტიშვილი ი.*, საპროცესო შეთანხმება-შედარებითი მიმოხილვა, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", 2010, №2, გვ. 188.

გარემოებად თავად საპროცესო შეთანხმება მიიჩნევა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ 55-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქცია სამართლიანობის პრინციპის მოთხოვნებს არ პასუხობს. იგი ასევე წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან.[423]

55-ე მუხლში 2006 წელს შეტანილი ცვლილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა საპროცესო შეთანხმების დადება ნებისმიერი კატეგორიის, თუნდაც განსაკუთრებით მძიმე, დანაშაულში ბრალდებულ პირებთან.[424] 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელისაგან სრულად განთავისუფლება მხოლოდ სსკ-ის 144^1-144^3-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მიმართ არის შეუძლებელი, რაც ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს დამნაშავის პროპორციულ დასჯას ჩადენილი დანაშაულისთვის.

საპროცესო შეთანხმების დადება მხარეებს შორის შეიძლება საფუძველი იყოს პირობითი მსჯავრის დანიშვნის. სსკ-ის 63-ე მუხლის მიხედვით, სასჯელის პირობით დანიშვნა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როცა მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

საპროცესო შეთანხმება ხშირად იდება ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულ პირებთან. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 მარტის განაჩენი, რომლითაც ლ. მ. მსჯავრდებული იქნა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. 2015 წლის 8 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებამდე 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 11 (თერთმეტ) წლამდე[425]. მაშასადამე, აღნიშნული დანაშაული, სასჯელის მიხედვით, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნებოდა. მსჯავრდებულს სასჯელად განესაზღვრა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 6 (ექვსი) თვე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 (სამი) წელი და 6 (ექვსი) თვე, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სსკ-ის 63-ე მუხლის მიხედვით, პირობით ჩაეთვალა. მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად აგრეთვე შეეფარდა ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით. 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით. მაგრამ,

[423] *ლალიაშვილი თ.*, საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები, კრებულში: ტურავა მ. (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 272.

[424] *ლალიაშვილი თ.*, იქვე, გვ. 281; *კოტეტიშვილი ი.*, საპროცესო შეთანხმება-შედარებითი მიმოხილვა, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", 2010, №2, გვ. 184.

[425] სს კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის დღეს მოქმედი რედაქციით, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ექვს წლამდე. თუ დასახელებული ნორმის ადრე მოქმედი რედაქციით დასჯადი იყო ნარკოტიკული საშუალების გასაღებაც, დღეისათვის იგი ისჯება მითითებული მუხლის მე-4 ნაწილით.

59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ საბოლოო სასჯელი შთანთქმის პრინციპის გათვალისწინებით განსაზღვრა, მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელად დაუდგინდა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 6 თვით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, 3 წელი და 6 თვე პირობითად. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით[426].

სასამართლო პრაქტიკიდან მოტანილი და განხილული შემთხვევა ნათლად მეტყველებს იმაზე, საპროცესო შეთანხმების შედეგად მსჯავრდებულს სასჯელი თუ როგორ შეიძლება შეუმცირდეს. იმ დანაშაულისთვის, რომელიც დასჯადი იყო 11 (თერთმეტ) წლამდე თავისუფლების აღკვეთით, შეეფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და აქედან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად დაუდგინდა მხოლოდ 6 თვე. მართალია, 3 წელი და 6 თვე პირობითად დაენიშნა, მაგრამ პირობითი მსჯავრი მაინც ვერ ახდენს მსჯავრდებულზე სათანადო ზემოქმედებას მაშინ, როცა განხორციელებული დანაშაული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიისაა და რეალურად მოსახდელად მხოლოდ 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ეფარდება, რაც თავისუფლების აღკვეთის მინიმუმს წარმოადგენს სს კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ამ მდგომარეობას ვერც ის გაამართლებს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულს არ ჰყავს მსხვერპლი ვიწრო გაგებით.

უცხოურ ლიტერატურაში როგორც მიუთითებენ, სამეწარმეო სფეროსთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებულს, მაშასადამე, მის დამცველს კარგი შესაძლებლობა აქვთ საპროცესო შეთანხმებისთვის, მაგრამ "კლასიკურ" დანაშაულთა შემთხვევაში ეს საკითხი სხვაგვარად გამოიყურება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება "სამართლიან" სასჯელზე მკაცრ მოთხოვნას ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა სექსუალური დელიქტები.[427] განსასჯელთან საპროცესო შეთანხმების დადება, ზოგადად, სასჯელის სამართლიანობის თვალსაზრისით სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს, ხოლო ძალადობით დანაშაულთა შემთხვევაში მით უფრო გაუმართლებელია და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

საპროცესო შეთანხმებისას ბრალდებული უარს ამბობს ზოგიერთ პროცესუალურ უფლებაზე. კერძოდ, საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავება, საქმის განხილვა არსებითად, მხარეთა მონაწილეობით, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ა. შ[428].

საპროცესო შეთანხმების დადებისას ზოგჯერ იქმნება ერთგვარი არასა-

---

[426] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 მარტის განაჩენი, საქმე №1/126-15.

[427] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 301, Rn. 610.

[428] *გვენეტაძე ნ.*, საპროცესო შეთანხმება – საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი, კრებულში: ტურავა მ. (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 218.

სურველი მდგომარეობა თავად განსასჯელისთვისაც მის მიერ ბრალის აღიარების ფორმით თანამშრომლობასთან დაკავშირებით, როდესაც პროკურატურისგან ან სასამართლოსგან მომდინარეობს დაჟინებული თხოვნა (ფაქტობრივად იძულება) და "შეთავაზება, რომელსაც უარს არ ეუბნებიან" (Angebot, die man nicht ablehnt).[429] ხშირად განსასჯელი შემოთავაზებულ საპროცესო შეთანხმებას საკუთარი სურვილით კი არ თანხმდება, არამედ იმიტომ, რომ მას სხვა გზა არ რჩება. განსასჯელს არჩევანი აქვს წართმეული როცა აღიარებისას ოთხი წლის ვადით, ხოლო აღიარებაზე უარის თქმისას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. მოლოდინის საწინააღმდეგოდ განსასჯელის უარის შემთხვევაში სასამართლო ბევრად უფრო მკაცრ სასჯელს უსჯის მას.[430]

საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულ იძულებაზე და მსჯავრდებულის მხრიდან საპროცესო გარიგებასთან დაკავშირებით იძულების პირობებში გადაწყვეტილების მიღებაზე მეტყველებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილება. კერძოდ, საქმეში დევერი ბელგიის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა მსჯავრდებულის მიმართ მუქარას ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებით, თუ იგი არჩევდა საქმის განხილვას ჩვეულებრივი სამართალწარმოების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულმა არჩია ჯარიმის გადახდა საკუთარი ბიზნესის გადარჩენის სანაცვლოდ. მოცემულ საქმეში, ევროპული სასამართლოს შეხედულებით, დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება[431]. იქ, სადაც სასჯელის შეფარდებას ადგილი აქვს იძულებით დადებული გარიგების პირობებში და დარღვეულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, შეფარდებული სასჯელის პროპორციულობაზე საუბარი წარმოუდგენელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან დანიშნული სასჯელი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაასინჯვინოს, მაგრამ საქართველოს სსსკ-ის 215-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განაჩენი არ საჩივრდება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (როდესაც საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით; ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო კოდექსით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა). ამიტომ ჩნდება კითხვა, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნასთან თავსებადობის კუთხით. თუმცა, ადამი-

[429] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S., 301, Rn. 610.

[430] *Streng F.*, ebenda, S. 301, Rn. 610.

[431] *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 142.

ანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, შემოკლებული სამართალწარმოება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს შეესაბამება, ვინაიდან მორიგებაზე დათანხმება უფლებაზე უარის თქმის ტოლფასია[432].

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსებობით და საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით ირღვევა კანონის და სასამართლოს წინაშე თანასწორობის, საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლების პრინციპები,[433] ვინაიდან ხშირად გადახდისუნარიან ბრალდებულს ეძლევა თავისუფლების გამოსყიდვის შესაძლებლობა, ხოლო იგივე სიმძიმის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული გადახდისუუნარო პირი, შესაძლოა უფრო მკაცრად დაისაჯოს.[434]

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს სავსებით მართებულად უწოდებენ მართლმსაჯულების პაროდიას,[435] ვინაიდან, იქ, სადაც ირღვევა თანასწორობის პრინციპი, განუხორციელებელი რჩება სამართლიანობის და პროპორციულობის პრინციპები, რაც შეუძლებელს ხდის დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის მიღწევას.

მართებულად მიუთითებს *ნ. გვენეტაძე*, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის ფორმალური უფლებით მოსამართლე ვერ შეძლებს სამართლიანი სასჯელის შეფარდებას[436]. საპროცესო შეთანხმების დროს სასჯელის ინდივიდუალიზაცია და სამართლიანი სასჯელის დანიშვნა იმდენად არის შეუძლებელი, რამდენადაც სასჯელის შეფარდებისას ფაქტობრივად არ ხდება ინდივიდუალურ გარემოებათა (თუნდაც მსჯავრდებულის პიროვნების) გათვალისწინება, ხოლო საპროცესო შეთანხმებაზე მსჯავრდებულის გადაწყვეტილება ხშირად იძულების პირობებშია მიღებული და იგი სრულად არ შეესაბამება მის ნამდვილ ნებას, რაც ევროპული სასამართლოს პრაქტიკამაც დაადასტურა. ჯგუფური დანაშაულის დროს შეთანხმება შეიძლება დაიდოს ჯგუფის მხოლოდ ზოგიერთ წევრთან და არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფის წევრები დაისაჯონ არა იმის მიხედვით, რომელმა წევრმა რა როლი შეასრულა დანაშაულის განხორციელებაში, არამედ სხვა ინტერესების გათვალისწინებით, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი არ არის. არასამართლიანი სასჯელის შეფარდება და

---

[432] *ტრექსელი შ.*, იქვე, გვ. 141-142.

[433] სანინააღმდეგო მოსაზრება იხ. *ჭანტურიძე გ.*, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, „მართლმსაჯულება და კანონი", 2007, №1, გვ. 176; *აქუბარდია ი.*, წიგნში: გოგშელიძე რ. (რედ.), სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 156.

[434] *ლალიაშვილი თ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 285.

[435] *რატიანი ც.*, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, "მართლმსაჯულება", 2007, №1, გვ. 170.

[436] *გვენეტაძე ნ.*, საპროცესო შეთანხმება – საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი, კრებულში: ტურავა მ. (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 231-232.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულებელყოფა კი სასჯელის პროპორციულობას თავისთავად გამორიცხავს.

როგორც ცნობილია, საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის ინტერესები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. უფრო მეტიც, იგი სრულიად იგნორირებულია.[437] მართალია, სსსკ-ის 217-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დადებამდე პროკურორმა დაზარალებულთან უნდა გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, მაგრამ ეს დებულება ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალურად ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის ინტერესების დაცვას. დაზარალებულის შეხედულების მიუხედავად პროკურორი არ არის ვალდებული შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ დაზარალებულს არა აქვს უფლება, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება (სსსკ-ის 217-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არის არავითარი მითითება იმაზე, რომ დაზარალებულს ჰქონდეს რაიმე შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს საპროცესო შეთანხმების დადებაზე, თუ იგი ამის წინააღმდეგია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა იმ პროცესუალური ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც დაზარალებულს არ აძლევს უფლებას სასამართლოში გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. მოსარჩელე მხარის პოზიციით, ასეთი რეგულირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც "ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს" (42-ე მუხლის 1-ლი პ.). საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო მოსარჩელეთა არგუმენტები და 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით განმარტა, რომ "სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, რაც საჯარო ინტერესს უდავოდ წარმოადგენს და რასაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება ისახავს მიზნად, განაპირობებს დაზარალებულისთვის პროცესუალური უფლებების ამგვარი მოწესრიგების აუცილებლობას".[438] საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტი არ არის მისაღები, ვინაიდან სსსკ-ის 217-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული ნორმა მართლაც ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების სათანადოდ დაცვას. სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება რეალურად ირღვევა იმით, რომ დაზარალებულს არა აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ყოველ ადამიანს ჰქონდეს უფლება

[437] *აქუბარდია ი.*, წიგნში: გოგშელიძე რ. (რედ.), სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 155; *გვენეტაძე ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 221.

[438] *ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, გვ. 618.

მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად.

როცა საპროცესო შეთანხმება არ იდება, დაზარალებულს მეტი შესაძლებლობა აქვს, საქმის მსვლელობაზე ზეგავლენის მოსახდენად. პროპორციული სასჯელის შეფარდება, ხშირად, სწორედ პროცესში დაზარალებულის აქტიური მონაწილეობის შედეგად მიიღწევა.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსებობა ვერ უზრუნველყოფს სასჯელის ისეთ მიზანს, როგორიც არის დაზარალებულის დაკმაყოფილება.[439] დაზარალებულის ლეგიტიმური ინტერესებისა და უფლებების დასაცავად აუცილებელია, რომ დაზარალებული შესაბამისი პროცესუალური შესაძლებლობებით აღჭურვილ პროცესის აქტიურ სუბიექტად გვევლინებოდეს და არა უუფლებო ობიექტად.[440] შეუძლებელია დაზარალებული მხარის ლეგიტიმური ინტერესების სათანადო დაცვა, როდესაც მას არ ეძლევა საპროცესო შეთანხმების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. დაზარალებულის სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, ვინაიდან დაზარალებული ხშირად, როგორც წესი, დამნაშავის უმკაცრეს დასჯას მოითხოვს და აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებამ შეიძლება დამნაშავის არაპროპორციულ დასჯამდეც მიგვიყვანოს, მაგრამ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი დაზარალებულის თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილებასაც შეუძლებელს ხდის. დაზარალებულს უფლება აქვს სამოქალაქო სარჩელი შეიტანოს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი დაზარალებულის უფლებების და ინტერესების ეფექტურად დაცვისათვის. საპროცესო შეთანხმების არსებული წესებით შეუძლებელია დაზარალებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების სრულყოფილი დაცვა.[441] ვინაიდან საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესიდან განდევნილია, საპროცესო შეთანხმების დროს განუხორციელებელი რჩება ისეთი პროცესუალური პრინციპი, როგორიცაა მხარეთა შეჯიბრებითობა.[442]

ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ხელს უწყობს ჰუმანიზმის პრინციპის გატარებას, მაგრამ ჰუმანური მიდგომა ყოველთვის არ იწვევს დადებით შედეგებს. გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმება შეიძლება არათუ ჰუმანიზმის ხელშემწყობი, არამედ დანაშაულის რეციდივის საფუძველი გახდეს, ვინაიდან არაპროპორციულად დასჯილი ადამიანი განმეორებით ჩადის დანაშაულს, რაც ზიანს

---

[439] სასჯელის დასახელებულ მიზანზე იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 107.

[440] *თუმანიშვილი გ.*, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, "სამართლის ჟურნალი", 2009, №2, გვ. 80.

[441] *რატიანი ც.*, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, "მართლმსაჯულება", 2007, №1, გვ. 172.

[442] *ჭანტურიძე გ.*, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, „მართლმსაჯულება და კანონი", 2007, №1, გვ. 179.

აყენებს საზოგადოებას.[443]

საპროცესო შეთანხმების მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, რომელმაც აღნიშნა, რომ სამართლიანობაზე ორიენტირებულ სამართლებრივ სახელმწიფოში "სამართლიანობით ვაჭრობა" ("Handel mit der Gerechtigkeit") დაუშვებელია.[444] საპროცესო შეთანხმებაზე ამ თვალსაზრისით არსებული რეპუტაცია დადებითად ვერ შეფასედება, ვინაიდან იგი მიიჩნევა თავისუფლების ყიდვის ინსტრუმენტად[445].

გერმანელი მეცნიერი *ფ. შტრენგი* აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების დროს საქმე ეხება ბრალთან შეუსაბამო, ბრალისგან დამოუკიდებელ სასჯელზე ფასდაკლებას (Schuldunabhängiger "Strafrabatt"). მხოლოდ საპროცესო ტაქტიკით მოტივირებული აღიარება მეტყველებს დამნაშავის წინააღმდეგ ბრალის და პრევენციის ასპექტით.[446] გერმანელი მეცნიერის კრიტიკა მართლაც სამართლიანია. დამნაშავის აღიარებას მაშინ აქვს პრევენციული თვალსაზრისით მნიშვნელობა, როცა აღიარება გულწრფელია და დამნაშავე მართლაც ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ მაშინ, როცა საკუთარი ბრალეულობის აღიარება საპროცესო ტაქტიკითაა მოტივირებული და არ უკავშირდება ჩადენილი დანაშაულის გულწრფელ მონანიებას, რთულია იმის თქმა, რომ საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდებულთან პრევენციული თვალსაზრისით გამართლებულია.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დადებით მხარედ ასახელებენ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.[447] გარდა ამისა, მას მიიჩნევენ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმად.[448] მაგრამ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანისას, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ადგილი აქვს არა მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ „სწრაფ პროცესს", ვინაიდან ბრალზე და სასჯელზე (შეთანხმების საგანი) შეთანხმება იდება ბრალდებულსა და პროკურორს შორის. „სწრაფ"

[443] *რატიანი ც.*, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, "მართლმსაჯულება", 2007, №1, გვ. 172.

[444] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 298-299, Rn. 608.

[445] საპროცესო შეთანხმება საქართველოში, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო", გვ. 4. ხელმისაწვდომია: http://www.osgf.ge/files/publications/2010/Plea_Bargaining_in_Georgia_-_Negotiated_Justice_-GEO_(2).pdf.

[446] *Streng F.*, Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S., 300, Rn. 609.

[447] *კოტეტიშვილი ი.*, საპროცესო შეთანხმება-შედარებითი მიმოხილვა, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", 2010, №2, გვ. 174; *ჟანტურიძე გ.*, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, „მართლმსაჯულება და კანონი", 2007, №1, გვ. 174.

[448] *გაბრიჩიძე ნ.*, საპროცესო შეთანხმება, "ადამიანი და კონსტიტუცია", 2004, №3, გვ. 55, 57; 62-63.

და „ეფექტურ“ პროცესზე უფრო მნიშვნელოვანია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე დანაშაულის თავიდან აცილება, რაც სასჯელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. არაპროპორციული სასჯელის შეფარდება მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას თავიდან ვერ აგვაცილებს.

ხელისუფლების დანაწლების პრინციპის მიხედვით, სასამართლოს, როგორც სახელისუფლო შტოს წარმომადგენელ ორგანოს, უნდა ჰქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება, რაც პირველ ყოვლისა, სწორედ დამნაშავისათვის სამართლიანი და პროპორციული სასჯელის შეფარდებაშიც გამოიხატება. *ნ. გვენეტაძის* თვალსაზრისით, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (213-ე მუხლის მე-4 ნაწილი) მოსამართლეს სასჯელის კანონიერების და სამართლიანობის შემოწმება მოეთხოვება, იგი ერთ-ერთი მცდელობაა იმისა, რომ მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილება იყოს რეალური – გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებლად და ფორმალურად არ დაადასტუროს საპროცესო შეთანხმებაში მოთხოვნილი სასჯელი. სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობაზე კანონმდებლის მოთხოვნაში მოიაზრება ის, რომ დანიშნული სასჯელი მსჯავრდებულის პიროვნებასთან და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისი უნდა იყოს[449].

თუმცა, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის კრიტიკოსთა აზრით, ქართული საპროცესო შეთანხმების ნაკლოვან მხარეს მოსამართლეთა შეზღუდული უფლებები წარმოადგენს. მოსამართლეს ჩამოერთვა უფლება, მსჯავრდებულს შეუფარდოს საპროცესო შეთანხმებაში მითითებულზე ნაკლები სასჯელი და მისი როლი მხოლოდ მხარეების მიერ შეთანხმებული სასჯელის დანიშვნა-არდანიშვნით განისაზღვრა[450]. კანონის პირველად რედაქციაში მოსამართლეს გაციელებით მეტი უფლება ჰქონდა და შეეძლო სასჯელი შეემცირებინა, თუ პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევდა. მაგრამ, 2006 წლის 29 დეკემრის კანონით მოსამართლეს აღნიშნული უფლება ჩამოერთვა[451] და მას საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეუძლია (სსსკ-ის 213-ე მუხ. მე-6 ნაწილი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის შეფარდების ფუნქცია რეალურად ერთმევა მოსამართლეს და იგი გადადის პროკურორის ხელში, მაშინ, როცა სასჯელის განსაზღვრა მოსამართლის ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს. მოსამართლე მხოლოდ ამტ-

---

[449] *გვენეტაძე ნ.*, საპროცესო შეთანხმება – საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი, კრებულში: ტურავა მ. (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 223.

[450] საპროცესო შეთანხმება საქართველოში, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, გვ. 17. ხელმისაწვდომია: http://www.osgf.ge/files/publications/2010/Plea_Bargaining_in_Georgia_-_Negotiated_Justice_-GEO_(2).pdf.

[451] იქვე, გვ. 9.

კიცებს საპროცესო შეთანხმებას, რაც ფორმალური პროცედურაა. საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელს მოსამართლის ნაცვლად პროკურორი განსაზღვრავს. მაშინ, როცა მოსამართლეს მხოლოდ შუამდგომლობის დამტკიცება-არდამტკიცების, მხარეებისთვის სასჯელის ან სხვა პირობის შეცვლის მხოლოდ შეთავაზება შეუძლია, და არა სასჯელის ზომის დამოუკიდებლად განსაზღვრა, მოსამართლე ნოტარიუსის როლში გვევლინება, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის მოსამართლის მიერ დამნაშავისთვის პროპორციული სასჯელის შეფარდებას. პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების არსებობა, რომელთა შორის ერთ-ერთი სწორედ სასჯელის ზომის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოსამართლის დამოუკიდებლობაა.

საპროცესო შეთანხმების დადებისას, ნაკლებად ხდება დანაშაულის სიმძიმის და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინება. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების დადებას უშვებს როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულის მიმართ. მართალია, მოსამართლეს მოეთხოვება სასჯელის სიმძიმის, ქმედების მართლწინააღმდეგობის და ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინება (სსსკ 210-ე მუხ.), მაგრამ იგი მაინც ვერ ჩაითვლება საპროცესო შეთანხმების დადების ხელშემშლელ ფაქტორად, რამდენადაც კოდექსში არ არის მოცემული იმპერატიული მითითება, თუ რა კატეგორიის დანაშაულზეა აღნიშნული შეთანხმების დადება შეუძლებელი. ამიტომ, მართებულად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება,[452] სსსკ-ში ცვლილებების შეტანის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომლითაც მოხდება კოდექსში იმის დაკონკრეტება, რომელი კატეგორიის დანაშაულზეა შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდებულთან.

საპროცესო შეთანხმების დროს პროკურორი მხედველობაში იღებს საჯარო ინტერესს (სსსკ 210-ე მუხ.), რაც დამნაშავის დასჯის ინტერესთან შედარებით საჯარო ინტერესის პრიმატით აიხსნება[453], თუმცა გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებას თუ გავითვალისწინებთ, კანონში არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება „საჯარო ინტერესის" ქვეშ და იგი განუსაზღვრელი და სუბიექტური რჩება[454].

სისხლის სამართალში, საპროცესო შეთანხმების გარდა, კიდევ არსებობს სხვა ინსტიტუტები, რომლებიც საჯარო ინტერესის ამგვარ უპირატესობაზე

---

[452] *გვენეტაძე ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 232.

[453] *გვენეტაძე ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 226.

[454] საპროცესო შეთანხმება საქართველოში, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო", გვ. 8. ხელმისაწვდომია: http://www.osgf.ge/files/publications/2010/Plea_Bargaining_in_Georgia_-_Negotiated_Justice_-GEO_(2).pdf.

მეტყველებს[455].

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული ქართული რეგულირების უკეთ შესაფასებლად მიზანშეწონილია უცხოური კანონმდებლობის და ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების გაანალიზება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა გერმანული გამოცდილება. ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებამ საშუალება მოგვცა ვისაუბროთ იმ განმასხვავებელ ნიშნებზე, რომელიც არსებობს ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს შორის:

1) მაშინ, როცა ქართული სსსკ-ით საპროცესო შეთანხმება ბრალდებულსა და პროკურორს შორის იდება და სასამართლო მხოლოდ ამტკიცებს მას, გერმანული სსსკ-ის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება იდება სასამართლოს, პროკურატურას და დამცველს შორის (257c პარაგრაფი).

2) გერმანულისგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ ბრალდებულს და პროკურორსაც.

3) თუ ქართული სსსკ-ით შეთანხმების საფუძველია შეთანხმება სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე, გერმანული სსსკ-ით, შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს სასჯელი (სამართლებრივი შედეგი) და არა ბრალდების შემსუბუქება ან ნაწილობრივ მოხსნა.

4) გერმანული სსსკ-ის მიხედვით სასამართლო საპროცესო შეთანხმებას არ ამტკიცებს, თუ დარწმუნდა, რომ სასჯელის ის ზომა, რომელიც შეთანხმების დადებისას მოსალოდნელია, არ არის ქმედების და ბრალის შესაბამისი (257c პარაგრაფის მე-4 პ.). ქართული სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლო ამოწმებს არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.

ეს უკანასკნელი დებულება, რომლის მიხედვითაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას მოსამართლეს გერმანული სსსკ-ით ევალება სასჯელის ქმედებასა და ბრალთან შესაბამისობის, ხოლო ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სასჯელის კანონიერების და სამართლიანობის გათვალისწინება, მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩნდება კითხვა: ხომ არ არის ეს დებულება ფორმალური ხასიათის თავად საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შინაარსის გათვალისწინებით?

საპროცესო შეთანხმების გერმანულ რეგულაციაში საინტერესოა ის, რომ შეთანხმების საგანია სასჯელი, რაც უფრო დახვეწილია ქართულ რეგულაციასთან შედარებით. ქართული სსსკ-ის მიხედვით ბრალდებული პროკურორს უთანხმდება სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. მაგრამ ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე შეთანხ-

[455] მაგალითად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

მება არის იგივე ბრალზე შეთანხმება. ამდენად იგი არ შეიძლება შეთანხმების საგანი იყოს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2014 წლამდე მოქმედი რედაქციით საპროცესო შეთანხმება იდებოდა სასჯელზე ან ბრალზე, რაც თითქოსდა შეიცვალა იმით, რომ მოქმედი რედაქციით "ბრალზე შეთანხმება" ჩაანაცვლა "ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე შეთანხმებამ", მაგრამ აქ საქმე ეხება არა რეალურ, არამედ მოჩვენებით ცვლილებას. საპროცესო შეთანხმების საგანს ბრალი იმიტომ არ შეიძლება წარმოადგენდეს, რომ სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებაში ბრალი ამა თუ იმ პირს მიუძღვის ან არ მიუძღვის და ეს არ არის დამოკიდებული მესამე პირზე (პროკურორზე, მოსამართლეზე). მოსამართლემ მის მიერ გამოტანილი განაჩენით შეიძლება პირი სცნოს ბრალეულად ან არაბრალეულად, მაგრამ აქ საქმე ეხება ბრალეულობის დადგენას და არა ბრალეულად ან არაბრალეულად პირის ქცევას. თუ პირს ბრალი არ მიუძღვის უმართლობის განხორციელებაში მოსამართლე მას ბრალეულად ვერ აქცევს, ისევე როგორც, არაბრალეულად ვერ ცნობს იმას, ვისაც უმართლობის განხორციელებაში ბრალი მიუძღვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალზე შეთანხმებაც აზრს კარგავს. რაც შეეხება სასჯელს და მის ზომას, იგი კანონმდებლის მიერ დადგენილი სანქციის ფარგლებში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, მოსამართლემ უნდა განსაზღვროს. ამიტომ, ლოგიკურად დასაშვებია სასჯელის მიჩნევა შეთანხმების საგნად. თუმცა, სამართლებრივად თუ რამდენად მართებულია საჯელზე შეთანხმება და შეთანხმების საფუძველზე სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, ზემოთ უკვე იქნა განხილული.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი მის სამშობლოში – ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვის თავიდან ასაცილებლად[456], მაგრამ ქართული რეალობის გათვალისწინებით, აღნიშნული ინსტიტუტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საპირწონედ ვერ იქცევა[457], მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, გარკვეული შეზღუდვებით, საქართველოშიც მოქმედებს.

[456] *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 141.
[457] *გვენეტაძე ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 228.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი

1. საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში

1.1. თავისუფლების აღკვეთა - პირველი ნაბიჯი სასჯელის ჰუმანიზაციის გზაზე

თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელი ევროპაში პირველად 1595 წელს ჰოლანდიაში იქნა შემოღებული და სულ მოკლე ხანში იგი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. XVII-XIX საუკუნეებში თავისუფლების აღკვეთა, როგორც სანქცია ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებმა, მათ შორის საფრანგეთის 1791 და 1810 წლის და ბავარიის 1813 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა გაითვალისწინეს.

თავისუფლების აღკვეთა თავის დროზე უკიდურესად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან იგი სიკვდილით დასჯის მრავალფეროვანი არაადამიანური სახის, სხეულებრივი სასჯელების და კატორღული სამუშაოების ჰუმანურ ალტერნატივას წარმოადგენდა. თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთ მიზანს პირის გამოსწორებასთან ერთად კერძო პრევენცია წარმოადგენდა და არა მისი სხულებრივი თუ სულიერი ტანჯვა და ფიზიკური განადგურება.

დღეისათვის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გავრცელებული სახეა. იგი ძირითად სასჯელებს მიეკუთვნება და თავისუფლების აღკვეთის ვადის განსაზღვრით სასჯელის ინდივიდუალიზაციის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა.

თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის სახის გამოყენებისას საზოგადოება რწმუნდება იმაში, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა დაუსჯელი არ დარჩება. ამგვარად მყარდება სამართლებრივი უსაფრთხოების რწმენა და სამართლებრივი სისტემისადმი ნდობა. შესაბამისად სასჯელის ეს სახე გენერალური პრევენციის მნიშვნელოვანი ბერკეტია. თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დამნაშავეს აღარა აქვს შესაძლებლობა, ჩაიდინოს სხვა დანაშაული. ამგვარად თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებას რეციდივისაგან იცავს და იდეაში პირის გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად ხორციელდება სასჯელის კიდევ ერთი მიზანი - კერძო პრევენცია.

თავისუფლების აღკვეთა უკვე მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში პიროვნების განვითარებისათვის მავნედ აღიარეს. 1882 წელს ფრანც ლისტმა საჯარო ლექციაში თემაზე „სისხლის სამართლის მიზნის იდეა“ ანუ „მარბურგის პროგრამა“ უარყო კანტისა და ჰეგელის მეტაფიზიკური შეხედულება სასჯელის მიზნებზე და ახალი, სპეციალური პრევენციის იდეა ჩამოაყალიბა. მისი აზრით, სასჯელაღსრულების მიზანია არა ჩადენილი ქმედებისათვის განხორციელებული შურისძიება, არამედ კერძო პრევენცია.

ლისტმა დამნაშავეთა სამი ტიპი და მათ მიმართ სახელმწიფოს რეაქციის სახეები ჩამოაყალიბა. ადამიანთა ერთი ნაწილი, მისი აზრით, დანაშაულს შემთხვევით სჩადის. ეს დამნაშავეები მკაცრად არ უნდა დაისაჯონ. მათი რესოციალიზაციისათვის პირობითი სასჯელი სრულიად საკმარისია. ეს სასჯელი ამგვარი შემთხვევითი დამნაშავეებისათვის შემდგომი ცხოვრებისათვის საკმარისი გაკვეთილია.

მეორე სახის დამნაშავედ *ლისტი* მიიჩნევდა პირებს, რომელთაც დანაშაულის ჩადენა ჩვეულებად აქვთ ქცეული, თუმცა შესაძლებელია მათი გამოსწორება ხანგრძლივი ზემოქმედების საშუალებით. შესაბამისად მათ მიმართ ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა უნდა იქნას გამოყენებული. გამოუსწორებელი დამნაშავეები კი სამუდამოდ უნდა იყვნენ იზოლირებული საზოგადოებისაგან ან ელიმინირებული.[1] *ლისტის* მიერ ჩამოყალიბებულმა კერძო პრევენციის ამ სტრუქტურამ ამ დროიდან მოყოლებული უდიდესი ზეგავლენა მოახდინა სანქციათა კვლევაზე. *ლისტის* კერძო პრევენციის თეორიამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა სასჯელის სახეების რეფორმაში. სწორედ ამ თეორიას უკავშირდება შესაძლებლობის ფარგლებში მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის თავდან აცილებისა და პირობითი მსჯავრის, თავისუფლების აღკვეთისას რესოციალიზაციის მიზნის განხორციელების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის, გამასწორებელი და პრევენციული ღონისძიებების ჩამოყალიბება. ამ თეორიას უკავშირდება ასევე არაფორმალური სანქციების, დერივაციის განვითარებაც. ამგვარად *ლისტის* სოციოლოგიურმა სკოლამ მსოფლიო მასშტაბით თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივათა ძიებას დაუდო სათავე როგორც ტრადიციულ სისხლის სამართალში, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც.[2] კლასიკური სკოლის მიერ ჩამოყალიბებული კანონიერების პრინციპი ამგვარად სოციოლოგიური სკოლის სუბსიდიარობის პრინციპმა ჩაანაცვლა.[3]

ლისტი ციხეს „დამნაშავეობის უმაღლეს სკოლად" თვლიდა.[4] იგი მიუთითებდა, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილება პირს ყოველი მსჯავრდების შემდეგ განუმტკიცდება. რაც უფრო

---

[1] Schmidt, Einführung in die deutsche Strafrechtspflege, 3. Aufl., Göttingen 1995, S. 376-379.

[2] ლისტის სოციოლოგური სკოლის იდეები გამოუსწორებელ დამნაშავეთაგან საზოგადოების დაცვის და მათ მიმართ კერძო პრევენციის იდეის მოქმედების შეუძლებლობის შესახებ სისხლის სამართლის ინტრიმენტალიზაციის და შესაბამისად სისხლიანი რეპრესიების თეორიული საფუძველი გახდა.

[3] *Spiess*,Wenn ncht mehr, wenn nicht härtere Strafen - was dann? Die Modernisierung des deutschen Sanktionssystemsund die Befunde der Sanktions- und Rückfallforsching. In: Soziale Probleme, 24. Jahrgang, 2013, Heft 1, S. 8/96. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (ukanasknelad Semowmebulia 06.11.2015).

[4] *Milchig,* Die gemeinnützige Arbeit, als Auslaufmodell? ZSR 2011, S. 596, http://www.rwi.uzh.ch/lehreforschung/alphabetisch/killias/publikationen/DiegemeinnuetzigeArbeit.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.20015)

მძიმეა სასჯელი, მით უფრო დიდია დანაშაულის განმეორების ალბათობა. ამიტომაც, ლისტის მიხედვით, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა პირობითი მსჯავრით, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით და ჯარიმით უნდა ჩანაცვლებულიყო.[5] 1889 წელს გერმანიაში ჩამოყალიბდა ინტერნაციონალური კრიმინალისტიკური საზოგადოება, რომლის მიზანი მოკლევადიანი თავისუფლების თავიდან აცილების ალტერნატივების ძიება იყო.

დღესდღეობით თავისუფლების აღკვეთა ადამიანის ძირითად უფლებას, მის თავისუფლებას, ყველაზე უფრო მკაცრად ზღუდავს, ამიტომაც თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასჯელის ამ სახის გამოყენება ultima ratio, ანუ „უკანასკნელი საშუალება" უნდა იყოს. პირს საპატიმრო სასჯელი მხოლოდ მაშინ უნდა მიესაჯოს, როდესაც სასჯელის სხვა, უფრო მსუბუქი სახე სასჯელის მიზნებს (კერძო და გენერალური პრევენცია) ვერ შეასრულებს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დასჯა არ მოქმედებს და პირიქით, დასჯა უფრო ამაღლებს დანაშაულის ჩადენილი ალბათობას. პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით სისხლის სამართლის სანქციის გამოყენება მის მარგინალიზაციას და სტიგმატიზაციას იწვევს. რადგან საპატიმრო სასჯელი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობაზე მოუთითებს, მისი მის მიერ ლეგალურ სექტორში დასაქმების შესაძლებლობა ძნელდება და შესაბამისად ნაციხარის სტიგმა პირის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. გარდა ამისა, საპატიმრო სასჯელი არა რესოციალიზაციის მიღწევის, არამედ დამნაშავედ ჩამოყალიბების საშუალებაა.[6] ციხის ცხოვრების ტოტალური ჰეტერონომიული განსაზღვრის გამო ყალიბდება ციხის სუბკულტურა, პირი ითავისებს ანტისაზოგადოებრივ ღირებულებებს და დევიანტურ ქცევებს და შესაბამისად, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ახალ დანაშაულს სჩადის.[7]

მსოფლიო სისხლის სამართლის პოლიტიკის გამოცდილებით დადგინდა, რომ ნაკლებად პუნიტიური არასაპატიმრო სასჯელები შედეგიანი შეიძლება იყოს და ისინი რეციდივის რისკს კი არ ზრდიან, პირიქით, უფრო ეფექტურნი არიან.[8]

[5] *Spiess*, Wenn ncht mehr, wenn nicht härtere Strafen - was dann? Die Modernisierung des deutschen Sanktionssystemsund die Befunde der Sanktions- und Rückfallforsching. In: Soziale Probleme, 24. Jahrgang, 2013, Heft 1, S. 90. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 06.11.2015).

[6] *Frey/Neckermann*, Sicherheit, Strafen und positive Alternativen, S. 63 http://ejournals.duncker-humblot.de/doi/pdf/10.3790/vjh.78.4.61. (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[7] *Frey/Neckermann*, Sicherheit, Strafen und positive Alternativen, S. 63.http://ejournals.duncker-humblot.de/doi/pdf/10.3790/vjh.78.4.61. (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[8] *Spiess*, Wenn nicht mehr, wenn nicht härtere Strafen – was dann? Soziale Probleme, 2012, Heft 1, S. 87. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (ukanasknelad Semowmebulia 31.10.2015) Morgenstern, Internationale

თავისუფლების აღკვეთა დღეისათვისაც რესოციალიზაციის კუთხით ყველაზე უფრო არახელსაყრელი სასჯელია განსაკუთრებით არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში.[9]

შვეიცარიის გამოცდილების მიხედვით, რაც უფრო მკაცრი და თავისუფლების აღკვეთაზე ორიენტირებულია კანტონის სისხლის სამართლის პოლიტიკა, მით უფრო მეტია რეციდივი კონკრეტულ[10], ქურდობის და ავტოსატრანსპორტო დელიქტებში.[11] ინტრუზიული ღონისძიებების უპირატესობა არასაპატიმრო სასჯელებთან შედარებით გერმანიის გამოცდილებითაც არ დადასტურდა.[12]

გერმანულ სისხლის სამართალშიც საყოველთაოდაა აღიარებული, რომ გენერალური პრევენციის მოსაზრებებიდან გამომდინარე, სისხლის სამართალმა უარი უნდა თქვას თავისუფლების აღკვეთაზე, რადგან რესოციალიზაციის თვალისაზრისით სასჯელის ეს ფორმა გაცილებით უფრო არახელსაყრელია, ვიდრე სანქციის სხვა სახეები.[13]

ევროპაში უკვე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდეგი მიმართულება შეიმჩნევა: ნაკლებად მძიმე ქონებრივი დანაშაულებისათვის დერივაცია და თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის ალტერნატიული სანქციები გამოიყენება, მძიმე სქესობრივ, ძალადობრივ და ნარკოტიკულ დანაშაულთა მიმართ კი - საპატიმრო სასჯელები. შეცვლილია სისხლის სამართლის პოლიტიკის ვექტორი და ამიტომაც არსებული არასაპატიმრო სასჯელების სრულყოფა და ახალი არასაპატიმრო სასჯელების ძიება ცივილიზებულ მსოფლიოში სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ამოცანად იქცა.

მიუხედავად საპატიმრო სასჯელის ალტერნატივების მნიშვნელობაზე აქცენტის გადატანისა, მსოფლიოში პატიმართა მაჩვენებლების ზრდა შეიჩნევა.

Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. XII.

[9] *Spiess*, Wenn ncht mehr, wenn nicht härtere Strafen - was dann? S. 97. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 06.11.2015).

[10] რაც შეეხება მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილ დელიქტებს, მათზე სისხლის სამართლის პოლიტიკის სხვაობა (სიმკაცრე თუ სირბილე) არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს. *Spiess*, Wenn nicht mehr, wenn nicht härtere Strafen – was dann? Soziale Probleme, 2012, Heft 1, S. 99. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015)

[11] *Spiess*, Wenn nicht mehr, wenn nicht härtere Strafen – was dann? Soziale Probleme, 2012, Heft 1, S. 99. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (ukanasknelad Semowmebulia 31.10.2015)

[12] *Spiess*, Wenn nicht mehr, wenn nicht härtere Strafen – was dann? Soziale Probleme, 2012, Heft 1, S. 99. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015)

[13] *Schöch*, Gutachten zum 59. Deutschen Juristentag, München 1992. ix. *Spiess*, Wenn nicht mehr, wenn nicht geringe Strafen, was denn? S. 93. http://www.uni -konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

პატიმართა მაჩვენებელი ევროპაში სახვადასხვაგვარია. ისლანდიაში 44-ია 100 000 მოსახლეზე, რუსეთში კი — 618. ასზე ნაკლები პატიმართა მაჩვენებელია შემდეგ ქვეყნებში - სლოვენიაში — 65,[14] შვეიცარიაში — 76, შვედეთში — 74, დანიაში — 66, ფინეთში — 67, ნორვეგიაში — 70,[15] გერმანიაში კი — 90. 2012 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოში პატიმრობის მაჩვენებელი 521 იყო.[16]

პატიმართა მაჩვენებლის ეს სხვაობა მიუთითებს იმაზე, რომ საზღვარგარეთის ქვეყანათა ერთი ნაწილი არასაპატიმრო სასჯელებს უკვე პრაქტიკაში იყენებს. ქვეყანათა მეორე ნაწილი კი ციხეების გადატვირთულობისა და საპატიმრო სასჯელების ხარჯების დაზოგვის აუცილებლობის წინაშე დგას.[17]

2. საერთაშორისო სტანდარტები

საპატიმრო სასჯელების მინიმალური სტანდარტები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მრავალ ინტერნაციონალურ რეზოლუციაშია განხილული,[18] რომელთაგან ნაწილი სავალდებულო ხასიათისაა. არასაპატიმრო სასჯელებმა და მათმა სამართლებრივსახელმწიფოებრივმა კონტროლმა კი საერთაშორისო ყურადღება შედარებით მოგვიანებით, 80-იან წლებში მიიქციეს. 1990-1992 წლებისათვის შემუშავდა მინიმალური სტანდარტები — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1990 წლის ტოკიოს წესები და ევროსაბჭოს 1992 წლის European Rules of community Sanktions and Measures „ევროპული წესები საზოგადოებრივი სანქციების და ღონისძიებების შესახებ".[19]

სისხლის სამართლის ლიტერატურასა და ინტერნაციონალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაში არსებული ტენდენცია მიმართულია იქითკენ, რომ არასაპატიმრო სასჯელები, სასჯელთა სისტემაში დომინანტური თუ არა, სასჯელების „თანასწორუფლებიანი" ფორმა მაინც გახდეს, მსოფლიოს ქვეყნებმა ინტერნაციონალური მინიმალური სტანდარტები გაითავისონ და ამგვარად მოხდეს სასჯელთა ჰარმონიზაცია. ამასთანავე ყურადღება ექცევა არასაპატიმრო სასჯელების პრობლემატიკასაც — ადამიანის უფლებების შეზღუდვის პრო-

[14] gansakuTrebul kvlevas imsaxurebs sloveniis sisxlis samarTlis politika, radgan es postsocialisturi qveyana Tavisi dabali patimrobis gamoyenebis maCvenebliT msoflioSi meore adgilzea.

[15] *Dünkel*, Gefangenenraten in internationale unda nationalen Vergleich, Neue Kriminalpolitik, http://www.nk.nomos.de/?id=1462 (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[16] http://qaliskhma.ge/?m=10&news_id=41 (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[17] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. XIII.

[18] მაგალითისათვის - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1955 წლის რეზოლუცია საპატიმრო სასჯელების მინიმალურ სტანდარტებზე.

[19] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. XII.

პორციულობასა და ნაკლებად ინტრუზიული ღონისძიებებით სოციალური კონტროლის სფერის გაფართოებასაც — net widening.

საპატიმრო სასჯელების ალტერნატივების შემუშავებას და მათს გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით ხელს უწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (United Nations Office on Drugs and Crime). იგი ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებებს, კავშირს თავისუფლების აღკვეთას, მატერიალურ გაჭირვებას, ჯანდაცვას და საპატიმრო სასჯელების მაღალ ხარჯებს.

გაეროს 1990 წლის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო სასჯელების შესახებ (ტოკიოს წესები) მიზნად არასაპატიმრო სასჯელების მოქმედების არეალის გაფართოებას ისახავს. ტოკიოს წესების შემუშავებისას გამოყენებულ იქნა *გრონინგენის წესები*, რომელიც მიღებულ იქნა 1950 წელს დაარსებული სისხლის სამართლის საერთაშორისო და სასჯელაღსრულების ფონდის მიერ the international penal und penitentiary fundation (IPPF).

სისხლის სამართლის საერთაშორისო და სასჯელაღსრულების ფონდი (IPPF) საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1950 წელს დაარსდა.[20] ესაა ინტერნაციონალური ორგანიზაცია, ქვაზი-სამთავრობო სტატუსით. იგი აფინანსებს და ხელს უწყობს დამნაშავეობის და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ კვლევას, პუბლიკაციების გამოცემას და სწავლებას. აწყობს ასევე კონფერენციებს. იგი დამტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ და აქვს კონსულტანტის სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროსაბჭოში. მისი წევრები არიან მთელი მსოფლიოს პრაქტიკოსები (მოსამართლეები და პენიტენციალური სისტემის წარმომადგენლები) და მეცნიერები. იგი იძლევა რეკომენდაციებს სასჯელაღსრულების სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის და სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა მოპყრობის გაუმჯობესების შესახებ. მისი ამჟამინდელი პრიორიტეტებია ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში პატიმართა მოპყრობის მინიმალური წესების გადასინჯვა, ასევე ციხის პოლიტიკა და ადამიანის უფლებები.

არასაპატიმრო სასჯელებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საერთაშორისო და სასჯელაღსრულების ფონდის (IPPF) 1988 წლის „არასაპატიმრო სასჯელთა და ღონისძიებათა დანერგვის სტანდარტული მინიმალური წესები", რომლებსაც მათი მიღების ადგილის მიხედვით „გრონინგენის წესები" დაერქვა.

გრონინგენის წესების წინდართული რეკომენდაციის მიხედვით, ალტერნატიული სასჯელები დამნაშავის პიროვნების სოციალური განვითარების პირობებს ქმნის, ამიტომაც საპატიმრო სასჯელებთან შედარებით მათ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ. ამასთანავე, ნაკლებად მძიმე დანაშაულებისათვის არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, უკეთესი პირობები შეიქმ-

[20] ეს ინფორმაცია იხ. https://en.wikipedia.org/wiki/International_Penal_and_Penitentiary_Foundation (უკანასკნელად შემოწმებულია 26.10.2015).

ნას თავისუფლებააღკვეთილთათვის.

ტოკიოს მე-8 2 წესი შემდეგ არასაპატიმრო სასჯელებს მოიცავს:

1. სიტყვიერი სანქცია, შეგონება, საყვედური და გაფრთხილება
2. პირობით ვადამდე გათავისუფლება
3. სტატუსური სანქცია
4. ეკონომიური სანქცია, როგორიცაა ჯარიმა და დღიური ჯარიმა
5. კონფისკაცია ან ექსპროპრიაცია
6. რესტიტუცია მსხვერპლთან, ზარალის ანაზღაურება (ანუ აღდგენითი მართლმსაჯულება)
7. პირობითი მსჯავრი
8. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა
9. მონაწილეობა გამასწორებელი ცენტრის ღონისძიებებში
10. შინაპატიმრობა
11. სხვა არაინსტიტუციონალური საშუალებები
12. ზემოთჩამოთვლილი ღონისიებების კომბინაცია.

ამასთანავე ტოკიოს წესებმა მიუთითეს ახალი ალტერნატიული სასჯელების განვითარებისა და მათი დანერგვის აუცილებლობის შესახებ.

ტოკიოს წესები, მართალია, რბილ სამართალს წარმოადგენს, მაგრამ მათი ერთხმად მიღების გამო გაეროს წევრმა ქვეყნებმა მათი შესრულების მორალური ვალდებულება აიღეს.

არასაპატიმრო სასჯელების საკითხს ეხება ასევე **ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის რეკომენდაცია R (92) 16 . „ევროპის წესების“** მიზნები მის პრეამბულაშია გათვალისწინებული. ესენია:

1. არასაპატიმრო სასჯელების ერთიანი საკანონმდებლო საფუძვლების შემუშავება
2. ადამიანის უფლებების დაცვა და
3. სასჯელაღსრულების სტანდარტიზირება და ხარისხის უზრუნველყოფა.

ალტერნატიული სასჯელების საკითხის ჭრილში საინტერესოა **პირველი მიზანი,** რომლის მისაღწევადაც „ევროპული წესები“ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებელს და პრაქტიკოსებს მოუწოდებს, შექმნან ალტერნატიული სასჯელები და გამოიყენონ ისინი პრაქტიკაში. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც საზოგადოების და მსხვერპლის, ასევე დამნაშავის ინტერესები.

„ევროპის წესების“ **მეორე მიზანი** — არასაპატიმრო სასჯელების შექმნის და გამოყენებისას ადამიანის უფლებების დაცვის ინტერნაციონალური წესების გათვალისწინება (ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია და ინტერნაციონალური პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ). ამ მხრივ გადამწყვეტია სისხლის სამართალში სასჯელის პროპორციულობის და მინიმალური ინტერვენციის პრინციპის მხედველობაში მიღება.

რაც შეეხება **მესამე მიზანს,** „ევროპის წესებმა“ უნდა შექმნან სასჯელაღსრულების ერთიანი სტანდარტების და ერთიანი პრაქტიკა არასაპატიმრო

სასჯელების გამოყენების სფეროში. ამას გარდა, როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, „ევროპის წესების" „გამოუცხადებელი მიზანია" წევრი ქვეყნების სისხლის სამართლის პლიტიკაზე ზემოქმედება და „დამატებითი ეფექტი" - დამნაშავეობის პრევენცია.[21]

„ევროპის წესები საზოგადოებრივი სანქციების და ღონისძიებების შესახებ" შემდეგი უპირატესობებით ხასიათდება: დანაშაულის ჩამდენი პირი რჩება საზოგადოებაში, მისი თავისუფლება იზღუდება და მას შესაბამისი ვალდებულებები ეკისრება, ამასთან ამ ვალდებულებების შესრულებას სათანადო ორგანო აკონტროლებს. აქ იგულსხმება ასევე თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებისაგან მოწყვეტის გარეშე აღსრულდება. ამასთან გათვალისწინებულია არა მხოლოდ ალტერნატიული სასჯელები,Aარამედ აგრეთვე ის ღონისძიებები, რომლებიც მსჯავრდებამდე ხორციელდება, ანდა მას ცვლის.[22]

ეს წესები ორიენტირებულია ზოგადად ფართოდ გაგებულ „დამნაშავეზე", რომელშიაც იგულისხმება როგორც ბრალდებული, ასევე სამართალში მიცემული და მსჯავრდებული. **აქ მოიაზრება მხოლოდ სრულწლოვანი დამნაშავე,** რადგან ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა არასრულწლოვან დამრღვევთა მიმართ რეაქციის ღონისძიებებზე რეკომენდაციები 1987 წელს მიიღო. თუ არასრულწლოვანთა მიმართ მსგავსი ალტერნატიული ღონისძიებები გამოიყენება, „ევროპის წესები" მოქმედებს ასევე არასრულწლოვანთა მიმართაც.[23]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული საზოგადოებრივი სანქციების და ღონისძიებების შესახებ ევროპის წესების სამართლებრივი მნიშვნელობა სადავოა. მართალია, ეს რეკომენდაციაა წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულო ხასიათის ინტერნაციონალური სამართლებრივი აქტი არაა, მაგრამ ამასთანავე ამ რეკომენდაციის მე-15 მუხლის ბ) პუნქტი მინისტრთა კომიტეტს უფლებას აძლევს, მთავრობებს ამ რეკომენდაციის იმპლემენტაცია მოსთხოვოს. შესაბამისად წარმოიქმნება პოლიტიკური და მორალური წნეხი ამ რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. თუმცა ეს არაა მოდალური კანონი, რომელსაც წევრი სახელმწიფოები გადაიღებენ, არამედ რჩება მხოლოდ ინსტრუმენტად, რომელიც წევრ სახელმწიფოებს შიდასახელმწიფებრივი კანონმდებლობის განვითარებაში დაეხმარება.[24]

არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში **ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის რეკომენდაციებს** ER (87)

[21] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. 107.

[22] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. 108.

[23] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. 108.

[24] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. 107.

20 **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ.**[25] ამ რეკომენდაციების მიხედვით, არასაპატიმრო სასჯელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საპატიმრო სასჯელების მიმართ უპირატესობა ენიჭებათ. არასრულწლოვანი დამნაშავეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სრულწლოვანთა დამნაშავეთათვის განკუთვნილი ყველა პროცესუალური გარანტიით. ამას გარდა, პოლიციური თუ საპროკურორო დერივაციისას უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით საჭიროა არასრულწლოვანის თანხმობა. არასრულწლოვანთა ალტერნატიულ სასჯელებად ითვლება პირობითი მსჯავრი, ინტენსიური აღმზრდელობითი ღონისძიებები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და ზარალის ანაზღაურება. „სტაციონარული სანქციის", თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად ითვლება ასევე თავისუფლების **შეზღუდვა თავისუფალ დროს, მაგ., შაბათ-კვირას.**[26]

რეკომენდაციები მოიცავს ზოგად ძირითად პრინციპებს, რომელთა შორის აღსანიშნავია სასამართლოს მიერ დანიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისას **ავტომატურად თავისუფლების აღკვეთაზე გადასვლის დაუშვებლობა (ER 10).**

რეკომენდაციები კრძალავენ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საშიში იყოს პირისათვის და რომლებიც არღვევენ საერთაშორისო ეთიკურ სტანდარტებს (ER 25--26). ისინი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებენ უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, როდესაც მსჯავრდებამდე ან მსჯავრდების გარეშე ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებისათვის პირის თანხმობას მოითხოვენ (ER 35).

გარდა ამისა, ყურადღება ექცევა ასევე ინფორმაციის მიწვდას საზოგადოების ალტერნატიული სასჯელების (საჭიროების) აღიარებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რათა ისინი უკეთესად დაეხმარონ დამნაშავეს და მიაწოდონ მას სათანადო ინფორმაცია თავისი უფლებების და მოვალეობების შესახებ. ალტერნატიული სასჯელების აღსრულების გამაკონტროლებელმა მუშაკებმა კი უნდა ზუსტად იცოდნენ, თუ რა რეაქცია უნდა მოახდინონ ვალდებულებების დარღვევისას. განსაზღვრული უნდა იყოს რეაქცია დარღვევის მნიშვნელობაზე. შესაბამისი ნეგატიური რეაქცია მხოლოდ მნიშვნელოვან დარღვევას უნდა მოჰყვეს (ER 80-81).

ER 10 – ER 86 მიხედვით, დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ალტერნატიული სასჯელის საპატიმრო სასჯელით შეცვლას არ იწვევს. გასათვალისწინებელია ამ ვალდებულებების განხორციელების ხარისხი და ზარალის ანაზღაურების ოდენობა.

გარდა ამისა, ER 87-88 მიხედვით შესაძლებელია ვალდებულებების შემსუბუქება ან მისი ხანგრძლიობის შემცირება, თუ პირი დაკისრებულ ვალდებულე-

[25] http://www.kekidatabank.be/docs/Instrumenten/RvE/1987%20CMRec%2887%2920_on%20social%20reactions %20to%20juvenile%20delinquency.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 12.10. 2015)
[26] N. 14-15, ER (7) 20.

ბას წარმატებით ასრულებს.

რეკომენდაციები ითვალისწინებენ ასევე საზოგადოებრივ საწყისებზე პირთა მონაწილეობას არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებაში და ყურადღებას ამახვილებენ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავეთა საქმიანობის დამატებით ხასიათზე. არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ორგანოებს (R 47-54).

"ევროპის წესების" ER 89-90 მოითხოვს საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებული სანქციების (community-based sanctions) ხშირ გადამოწმებას და მის შეფასებას. გათვალისწინებულ უნდა იქნას პრაქტიკოსების მოლოდინი, მათი ზეგავლენა პატიმართა რაოდენობაზე, მსჯავრდებულთა პრობლემები ამგვარი სანქციების აღსრულებისას, ამ სანქციათა ხარჯები და მათი ზეგავლენა დამნაშავეობაზე.

„ევროპის წესების" განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე **რეკომენდაციებს ევროსაბჭოს ქვეყნებში სასჯელთა მისჯის თანაზომიერების შესახებ (1992).** 1989 წელს შექმნილმა ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომისიამ შეიმუშავა ანგარიში და რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ რეკომენდაციებშიც გათვალისწინებულ იქნა საპატიმრო სასჯელთა მეორე პლანზე გადატანის ტენდენცია.[27]

ეს რეკომენდაციები **სამ ძირითად პრინციპს** ითვალისწინებენ:

1. მსგავსი შემთხვევები თანაბარი დასჯადობა

2. შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების და დამნაშავის პიროვნული მდგომარეობის გათვალისწინება

3. თავისუფლების აღკვეთის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოყენება, ანუ თავისუფლების აღკვეთა როგორც უკანასკნელი საშუალება ultima ratio.[28]

ევროსაბჭოს ქვეყნებში სასჯელთა მისჯის თანაზომიერების შესახებ რეკომენდაციები (1992) განსაკუთრებული ყურადღება აქცევს ასევე net widening ანუ სოციალური კონტროლის გაფართოების ეფექტს. გაკრიტიკებულია დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას დაუყოვნებლივი გადასვლა თავისუფლების აღკვეთაზე, ამასთანავე ჯარიმის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით.[29]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ეს რეკომენდაციები არაა სავალდებულო ხასიათის და ევროსაბჭოს ქვეყნებს შეუძლიათ საკუთარი სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნები დასახონ და თავიანთი სამართლებრივი ტრადიციები გააგრძელონ.

არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში აღსანიშნავია ასევე **1999 წლის**

---

[27] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. 116.

[28] B 5 R (92) 17.

[29] *Morgenstern*, Internationale Mindesstandards für ambulante Strafen und Maßnahmen, Mönchengladbach 2002, S. 117.

30 სექტემბერს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია ER (99) ციხეების გადატვირთვისა და პატიმართა რაოდენობის ზრდის შესახებ შემდეგ ძირითად საკითხებს მოიცავს:

1. თავისუფლების აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ზომას, სანქციას და უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ ძალიან მძიმე, რთული შედეგების მომტანი დანაშაულების ჩამდენი პირების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც სხვა ზომები, სანქციები აშკარად არაადექვატურად ჩაითვლება.

2. ციხის გაფართოება გამონაკლის ზომას უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც ასეთ მეთოდებს ზოგადად, ციხეების გადატვირთვის (საკითხის) ხანგრძლივი და საფუძვლიანი მოგვარება არ მოჰყვება. იმ ქვეყნებში, სადაც ციხეების საკმაოდ დიდი, მაგრამ ცუდად აღჭურვილი რაოდენობაა, საჭიროა რესურსების უფრო რაციონალური გადანაწილება.

ალტერნატიული სასჯელების საკითხის განხილვისას განსაკუთრებით აღსანიშნავია **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკების და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) 2012-2015 წლების თემატური პროგრამა**, რომლის მთავარი არსი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად აღდგენით მართმსაჯულებასა და ალტერნატიულ სასჯელებში მდგომარეობს.[30]

3. საპატიმრო სასჯელების ალტერნატივათა ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები

საპატიმრო სასჯელების ალტერნატივათა ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებად სისხლის სამართლის ლიტერატურაში ჰუმანურობის და თავისუფლების (in dubio pro libertate), თანასწორობის, სოციალური სახელმწიფოს და სამართლებრივი სახელმწიფოს სასამართლო სისტემის ფუნქციაუნარიანობა მიიჩნევა. ყურადღება ექცევა ასევე სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელ სუბსიდიარობის პრინციპსაც.[31]

ამასთანავე მიუთითებენ, რომ ალტერნატიული ამბულატორიული სასჯელები, მიუხედავად მათი თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით მსუბუქი ხასიათისა, ადამიანის უფლებებში ჩარევას წარმოადგენენ და მხოლოდ მაშინ უნდა დაინიშნონ, როდესაც სხვა, უფრო მსუბუქი საშუალებები წარმატების მომტანი არ იქნება. შესაძლოა საპატიმრო სასჯელით შეშინებული დამრღვევი ამბულატორიული სანქციებს ადვილად დათანხმდეს, მაგრამ ამ სანქციებმა წლების გან-

---

[30] https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/20120702_-_Thematic_Programme_Crime_Prev_and_Criminal_Justice_2012-2015_FINAL.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[31] *Schöch*, Empfehllen sich Änderungen und Ergänzungen bei den strafrechtlichen Sanktionen ohne Freiheitsentzug? Gutachten für den 59. deutschen Juristentag, C 41, https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

მავლობაში მისი თავისუფლება შეზღუდოს.[32] ამ საკითხს კარგად არეგულირებს გერმანიის სსკ 56-ე ბ) და 56 ც) პარაგრაფი, რომელთა 1-ლი აბზაცის მიხედვით მსჯავრდებულის ცხოვრების წესს დაკისრებული ვალდებულებებით დაუსაბუთებელი მოთხოვნები არ უნდა წაეყენოს.

ზოგადად ევროსაბჭოს პოზიციას ალტერნატიული სასჯელების მიმართ შემდეგნაირად აყალიბებენ:

1. საპატიმრო სასჯელი უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს

2. საზოგადოებრივი სანქციები შეთავსებადი უნდა იყოს ადამიანის უფლებებთან

3. საზოგადოებრივი სანქციების მიზანი უნდა იყოს პირის რესოციალიზაცია და ინტეგრაცია. ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნას მსხვერპლის ინტერესები

4. საჭიროა ალტერნატიული სასჯელების კარგად ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურა.[33]

4. თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივათა სახეები

თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივათა სახეები შესაძლებელია შემდეგ ძირითად ჯგუფებად დაიყოს:

1. წინასასამართლომდელი: გირაო და ელექტრონული სამაჯური წინასწარი პატიმრობის მაგიერ (ტაგგინგ ანდ ტრაცკინგ)

2. სასამართლოს მერ გამოყენებული ალტერნატიული სანქციები:

- ჯარიმა
- პირობითი მსჯავრი
- საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა
- ზარალის ანაზღაურება
- შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგით
- გამასწორებელი ღონისძიებები
- აკრძალვები (მანქანის მართვის, აკრძალულ ზონაში შესვლის)
- ამ სხვადასხვა ალტერნატივის შეხამება

3. ალტერნატივები, რომელთა მიზანია საპატიმრო სასჯელის ხანგრძლიობის შემცირება ან საპატიმრო სასჯელის ინტენსიურობის შემცირება.[34]

მოცემულ ნაშრომში განხილულია ძირითადად სასამართლოს მერ გამოყ-

---

[32] *Schöch*, Empfehllen sich Änderungen, C 41, https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[33] *Albrecht*, Sanktion polities and alternative measures to incarceration, S. 29, http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No80/No80_07VE_Albrecht.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[34] *Albrecht*, Sanktion polities and alternative measures to incarceration, S. 30, http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No80/No80_07VE_Albrecht.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

ენებული ალტერნატიული სანქციები.

ჯარიმა

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის მაგივრად თანამედროვე სისხლის სამართალში ჯარმა გამოიყენება. ჯარიმა შეიძლება იყოს მხოლოდ ძირითადი სასჯელი (გერმანია) ან ძირითადი და დამატებითი სასჯელი (აშშ, საქართველო), ანდა ძირითადი სასჯელი და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ალტერნატივა (ტაივანი).[35]

(ჯარიმა, როგორც სისხლისსამართლებრივი სანქცია პირველად 1921 წელს ფინეთმა შემოიღო. დღეს სასჯელის ამ სახეს მსოფლოს ბევრ ქვეყანაში ვხვდებით. იგი შეიძლება დაინიშნოს დღიური ანაზღაურების სისტემის ან მოჭრილი თანხის მიხედვით. გერმანიაში, უნგრეთში, საფრანგეთში,პორტუგალიასა და ავსტრიაში[36] გამოყენებული დღიური ანაზღაურების სისტემის არსი დამრღვევის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებაში მდგომარეობს.[37] შესაძლებელია ჯარიმის დანიშვნა მოჭრილი თანხის სახითაც.[38] აშშ, ბელგია, ნიდერლანდები, ნორვეგია, იტალია და ისლანდია ჯარიმის ამ სახეს იყენებს. ამგვარი სანქციისას დამრღვევის ქონებრივი მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა არ გაითვალისწინება. შესაბამისად ეკონომიურად ძლიერი დამრღვევისათვის ეს სანქცია თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, ეკონომიურად სუსტი კი ჯარიმის გადაუხდელობისათვის საპატიმრო სასჯელს იხდის.)აშშ სისხლის სამართლის სპეციალისტები მიუთითებენ, რომ გამოსავალიყოველდღიური ანაზღაურებით განსაზღვრულ ჯარიმაში შეიძლება მოიძებნოს. ამგვარად მატერიალურად ძლიერი დამრღვევისათვსი სასჯელი თავის მიზანს შეასრულებს და მატერიალურად სუსტი კი საპატიმრო სასჯელს გადაურჩება.[39] ჯარიმისადმი სწორედ ამგვარ მიდგომას და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე დღიური ანაზღაურების სისტემის უპირატესობაზე მიუთითებს ასევე ტოკიოს წესების კომენტარებიც.[40]

---

[35] *Yuan-Yih-Wu*, Landesbericht Taivan, in: Criminal Sanctions,The gap between idea and use, *Adem Sözüer* (ed.), Istanbul 2015, p. 536.

[36] ავსტრიაში ჯარიმის მეორე სახეც არსებობს. ავსტრიის საფინანსო სისხლის სამართალი ნალოგების გადაუხდელობის გამო ჯარიმას მოჭრილი თანხით აწესებს. იხ. *Schmoller*, Strafrechtliche Sanktionen in Österreich, in: Criminal Sanctions,The gap between idea and use, *Adem Sözüer (ed.)*, Istanbul 2015, p. 385.

[37] სწორედ დამნაშავის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინების აუცილებლობის გამო გადავიდა ავსტრია 1974 წელს ჯარიმის დღიური ანაზღაურების სისტემაზე.

[38] ჯარიმის ამ ორ სახეზე სხვადასხვა ქვეყნებში და მათი განვითარების ისტორიაზე დაწერილებით იხ. *Albrecht*, Sanktion polities and alternative measures to incarceration, S. 33, http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No80/No80_07VE_Albrecht.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[39] http://famm.org/wp-content/uploads/2013/08/FS-Alternatives-in-a-Nutshell-7.8.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 30.10.2015).

[40] COMMENTARY ON THE UNITED NATIONS STANDARD MINIMUM RULES FOR

ჯარიმას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. ჯარიმის დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივაა. იგი წარმატებით ცვლის მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას, რადგან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მიზნის მიღწევას (რესოციალიზაციას და სამაგიეროს მიზღვას) არ ემსახურება.

ჯარიმის ნეგატიური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ განაჩენში მითთებული თანხა მსჯავრდებულის მაგიერ სხვა პირმაც შეიძლება გადაიხადოს. „ფულს არც ხარისხი არ გააჩნია და არც ინდივიდუალობა", ამიტომაც სასჯელს ჯარიმისას პერსონალური ხასიათი ეკარგება.[41]

ჯარიმა გერმანიაში — სულ მცირე 5 დღის და მაქსიმუმ 360 დღიური ანაზღაურებას შეადგენს (Tagessatz), ხოლონმაშინ, როდესაც პირმა რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა, რომლებიც სასამართლოში ერთად განიხილება და სასჯელი ჯამური დანაშაულის ერთობლიობით ინიშნება — ჯარიმის მაქსიმალური ზღვარი 720 დღიური ანაზღაურებაა. დღიური ანაზღაურების ოდენობის გათვალისწინებით ჯარიმა შემდეგნაირად გამოიანგარიშება — მსჯავრდებულს დღიური შემოსავლიდან უნარჩუნდება მხოლოდ საარსებო მინიმუმი. ე.ი. ჯარიმის ოდენობა = პირის დღიურ შემოსავალს გამოკლებული საარსებო მინიმუმი.

გერმანიაში ჯარიმის დღიური ოდენობა გსსკ მე-40 პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით 1 ევროდან 30 000 ევრომდე მერყეობს. ე.ი. დადგენილია ჯარიმის ზედა ზღვარი (2009 წლამდე ზედა ზღვარი იყო 5 000 ევრო). 10 ევროზე ნაკლები ჯარიმის დანიშვნა იშვიათია.

თუ პირს ჯარიმის ერთბაშად გადახდა არ შეუძლია, მან შეიძლება ჯარიმა ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს. თუ ჯარიმის გადახდა მის ძალებს აღემატება, მას შეიძლება სამაგიეროდ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლიობა კორელაციაშია ჯარიმის ოდენობასთან, მსჯავრდებულის დღიური ჯარიმა შეესაბამება ერთი დღე თავისუფლების აღკვეთას.

გერმანულენოვან სისხლის სამართალში ჯარიმის შემდეგი ალტერნატივებია ცნობილი:

1. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის შესავლის 293-ე მუხლით ჯარიმას ცვლის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა (ჯარიმის გადაუხდელობისას თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად).

2. ავსტრიაში 2011 წლიდან ჯარიმის ალტერნატივაა ჯარიმის ერთი ნაწილის (მაქსიმუმ ნახევრის) პატიება.[42]

3. გერმანიაში ჯარიმის ალტერნატივაა ასევე გაფრთხილება სასჯელის დათქმით გსსკ §59 მიხედვით.

NON-CUSTODIAL MEASURES (tHE TOKIO RULES), https://www.ncjrs.gov/pdffiles1/Digitization/147416NCJRS.pdf, p. 18. (უკანასკნელად შემოწმებულია 12. 10. 2015).

[41] *Selle,* nach *Meier*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg 2015, S. 65.

[42] *Schmoller*, Strafrechtliche Sanktionen in Österreich, in: Criminal Sanctions,The gap between idea and use, *Adem Sözüer* (ed.), Istanbul 2015, p. 385.

გსსკ 59-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გაფრთხილება სასჯელის დათქმით ჯარიმის აღსრულების ალტერნატივაა, პრობითი მსჯავრია მსუბუქი ჯარიმის დანიშვნისას. იგი ას ოთხმოცი დღიური ანაზღაურებით ჯარიმის დანიშვნისას გამოიყენება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯარიმის გადაუხდელობისას პირს თავისუფლება აღეკვეთება, სასჯელის ეს ფორმა თავისუფლების აღკვეთის შორეულ ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს. გაფრთხილება სასჯელის დათქმით გამოიყენება ან სასამართლოს მიერ ტრადიციული სისხლის სამართლის პროცესის, ანდა სისხლის სამართლის საქმის დაჩქარებული წარმოებისას. სასამართლო ამ დროს განაჩენით ჯარიმის ოდენობას მხოლოდ პირობითად განსაზღვრავს და აფრთხილებს პირს, რომ თუ მან გამოსაცდელი დროის განმავლობაში დანაშაული ჩაიდინა, ანდა დაკისრებული ვალდებულებები არ შეასრულა, იგი ამ ჯარიმას გადაიხდის. აქაც, ისევე როგორც პირობითი მსჯავრის დროს, აუცილებელია პირის ქცევის შეფასებისას დადებითი სოციალური პროგნოზი. ქმედებისა და პირის შეფასების მიხედვით უნდა არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც სასჯელის მისჯის საჭიროებას გამორიცხავენ და ამასთან მართლწესრიგის დაცვისათვის სასჯელის აღსრულება საჭირო არ უნდა იყოს. ამ ბოლო პუნქტში გენერალური პრევენციის საჭიროება იგულისხმება. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას პირის პიროვნება, მისი საქციელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მისი ცხოვრების პირობები და დანაშაულის ჩადენის გარემოებები.[43] ამგვარ განსაკუთრებულ შემთხვევებად გერმანიაში თვლიან ავტოსატრანსპორტო დანაშაულებს, როდესაც დაზარალებულის თანაბრალეულობა ავარიისას დიდია, ანდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირმა დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა. გარდა ამისა, ეს რეგულაცია გამოიყენება მაშინაც, როდესაც პირი განსაკუთრებული მატერიალური გაჭირვების გამო მოქმედებდა და მის მიმართ ფულადი ჯარიმის დანიშვნა არაადექვატური სასჯელი იქნებოდა.[44]

სასამართლო გსსკ 59-ე ა) პარაგრაფის მიხედვით პირობითად დანიშნული ჯარიმის გამოსაცდელ ვადას განსაზღვრავს, რომელიც ორ წელს არ უნდა აღემატებოდეს და ერთ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. ჯარიმის პირობითად მისჯისას ამ პარაგრაფით პირს დაეკისრება ვალდებულება, დააბალანსოს ურთიერთობა დაზარალებულთან, აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, გადარიცხოს თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოს სასარგებლოდ, იმკურნალოს, მიიღოს მონაწილეობა სოციალურ ტრენინგებში[45] ანდა გაიაროს ავტომობილის მართვის კურსები.

თუ პირმა დაწესებული ვალდებულებები არ განახორციელა, იგი ჯარიმას გადაიხდის. სასჯელის აღსრულების გადავადება მეტად წარმატებული ალტერ-

[43] *Meier*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg 2015, S. 58.

[44] *Meier*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg 2015, S. 59.

[45] სოციალური ტრენინგების ვალდებულება სისხლის სამართლის კოდექსში გერმანელმა კანონმდებელმა 15.11.2012 შეიტანა.

ნატიული სანქციაა. დათქმული სასჯელი (ჯარიმა) ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით მხოლოდ დამნაშავეთა 10% (537 პირის) მიმართ აღსრულდა.[46]

ჯარიმა გერმანიაში მეტად გავრცელებული და წარმატებული სანქციაა. 2013 წლისათვის გერმანიაში გამოყენებული სასჯელის 80% ჯარიმა შეადგენდა. აქედან კი 70% პირობითად იყო მისჯილი. როგორც წესი, ჯარიმის გადახდის შემდეგ რეციდივს ადგილი არ აქვს.[47]

სტიგმატიზაციის და მარგინალიზაციის თავიდან ასაცილებლად გერმანულ სისხლის სამართალში კარგად მუშაობს შემდეგი განსაკუთრებული შეღავათები მცირე ოდენობის ჯარიმის მიმართ. თუ პირის მიმართ დაინიშნა ჯარიმა 90 დღის ანაზღაურების სახით, მისი მონაცემები სისხლისსამართლებრივ რეესტრში არ შეიტანება და იგი ნასამართლევად არ ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს სქესობრივი დანაშაულები, რომელთა მიმართაც ეს შეღავათები არ არსებობს.

საინტერესოა ავსტრიის სსკ 37-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც ჯარიმის დანიშვნა მაშინაც შეიძლება, როდესაც ეს სანქციაში არაა გათვალისწინებული. ამ პარაგრაფით 6 თვემდე მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება 360 დღიური ანაზღაურების ჯარიმით შეიცვალოს, თუ მის მიმართ თავისუფლების აღვეთა არაა მიზანშეწონილი.

რეკომენდაცია

კარგი იქნებოდა, თუ ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ჯარიმის მოჭრილ თანხაზე უარს იტყოდა და ტოკიოს წესების კომენტარებში მითითებულ და მრავალ ქვეყანაში გამოცდილ ჯარიმის დღიური ანაზღურების მიხედვით განსაზღვრას დაუბრუნდებოდა, რადგან ამგვარად გაცილებით უფრო კარგად იქნება გათვალისწინებული პირის მატერიალური მდგომარეობა.

დღეისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ჯარიმის ზედა ზღვარს არ ითვალისწინებს. უკეთესი იქნებოდა, თუ გერმანიის მაგალითის მიხედვით ჯარიმის ზედა ზღვარი დადგინდებოდა.

ასევე კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მცირე ოდენობის ჯარიმის პირობითად გადავადებას და მის ნასამართლობაზე ზემოქმედებას გაითვალისწინებდა და პირი მცირე ოდენობის ჯარიმის პირობითად გადავადებისას პირობის შესრულების შემთხვევაში ნასამართლევად არ ჩაითვლებოდა.

ასტრიის სსკ 37-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით მაშინაც კი, როდესაც ეს სანქციაში არაა

---

[46] Statistisches Bundesamt, Strafverfolgung 2012, Tab. 3.5 nach *Meier*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg 2015, S. 64.

[47] *Spiess*, Wenn nicht mehr, wenn nicht härtere Strafen - was dann? S. 97. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 06.11.2015).

გათვალისწინებული, ჯარიმას თავისუფლების აღკვეთის მოქნილ ალტერნატივად გადააქცევდა.

ასევე კარგი იქნებოდა ჯარიმის დანიშვნა პირობითად, რაც გერმანიაში დიდი წარმატებით გამოიყენება.

ასევე რეკომენდებულია ჯარიმასთან ერთად ინიშნებოდეს სამკურნალო ღონისძიებები და სოციალური (ანტიაგრესიული) ტრენინგებიც, რადგან მხოლოდ ჯარიმით პირის რესოციალიზაციის მიზანი ვერ მიიღწევა.

2. პირობითი მსჯავრი

გერმანიაში თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული ალტერნატივა ჯარიმაა, თუმცა სანქციების კვლევისას პირობით მსჯავრს გაცლებით უფრო დიდი როლი ენიჭება. ჯერ კიდევ *ლისტი* მიუთითებდა პირობითი მსჯავრის, როგორც თავისუფლების აღკვეთის სუროგატის მნიშვნელობასა და პრობაციის ოფიცრის, როგორც დამრღვევის საზოგადოებასთან დამაკავშირებელი ჯაჭვის მნიშვნელობაზე.[48] პირობითი მჯავრისას სასჯელის აღსრულება პირობით გადავადდება და პირს სამართალმორჩილების დამტკიცების საშუალება ეძლევა.[49] დღეისათვის პირობითი მსჯავრი გერმანიაში ხშირად გამოიყენება. 2013 წლის მონაცემებით თავისუფლების აღკვეთა გერმანიაში მხოლოდ ყოველ მეხუთე საქმეზე დაინიშნა და ამათგან 70% პირობითი იყო.[50]

პირობითი მსჯავრის მიზნობრივი ჯგუფი

პირობითი მსჯავრი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სასჯელის აღსრულების ალტერნატივა შეიძლება იყოს. მაგალითისათვის, ავსტრიასა და გერმანიაში იგი თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ალტერნატივაა, ესპანეთში კი თავისუფლების აღკვეთის და შინაპატიმრობის აღსრულების ალტერნატივა.

გერმანიაში პირობითი სასჯელი სასამართლოს მიერ გამოყენებული სანქციის ზომითაა შეზღუდული. გსსკ §56 1-ლი ნაწილის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა შეიძლება პირობითი მსჯავრით შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსამართლე დაადგენს, რომ ეს მსჯავრი პირისათვის ჭკუის სასწავლებელი იქნება და იგი დანაშაულს აღარ ჩაიდენს, ანუ მოსამართის მიერ „პოზიტიური სოციალური პროგნოზის" გაკეთებისას.

ამავე ნორმის მე-2 ნაწილი პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესაძლებლობას აფართოებს. თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ორი წლისა პირობითი მს-

[48] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 576.

[49] *Meier*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Auflage, Heidelberg 2015, S. 107.

[50] *Spiess*, Wenn ncht mehr, wenn nicht härtere Strafen - was dann? S. 91. http://www.uni-konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (ukanasknelad Semowmebulia 06.11.2015).

ჯავრით შეიცვლება მაშინ, როდესაც ქმედების და პირის შეფასება განსაკუთრებულ შემთხვევაზე მიუთითებს.Aამავე პარაგრაფით პირობითი მსჯავრის არეალის გაფართოებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირის სურვილს, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

პირობითი მსჯავრის დანიშვნა დამოკიდებულია არა მხოლოდ კერძო (პოზიტური სოციალური პროგნოზი), არამედ ზოგად პრევენციაზეც. თუ მართლწესრიგის დაცვა ამას მოითხოვს, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის აღსრულება პირობითი მსჯავრით არ შეიცვლება (გსსკ 56 -ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ლიტერატურაში კარგა ხანია გამოთქმულია მოსაზრება თავისუფლების აღკვეთის მოდერნიზებასა და ორწლიანი ზღვრის სამ წლამდე გაზრდის შესახებ.[51] ამგვარად შესაძლებელი გახდებოდა გერმანიაში თავისუფლების აღკვეთის 95% პირობითად მისჯა და ციხეების განტვირთვა.[52]

თავისუფლების აღკვეთის ორწლიანი ზღვრის სამ წელზე აწევის იდეას ავითარებდა ასევე გერმანიის სოციალურ-დემოკრატიული პარტია პირობთი მსჯავრის შესახებ 1996 წლის პროექტში. პირობითი მსჯავრი ამ პროექტის მიხედვით დაინიშნება მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთა სამ წელს არ აჭარბებს და პირს დანაშაული ძალადობით ან ძალადობის მუქარით არ ჩაუდენია.[53]

ამ პროექტზე საკანონმდებლო კომისიის საწინააღმდეგო აზრის მიხედვით კი ორწლიანი ზღვრის გადაბიჯება არ იქნებოდა პოზიტიური გენერალური პრევენციის ხელშემწყობი. სამწლიანი საპატიმრო სასჯელის მაგიერ პირობითი მსჯავრი ბრალის პროპორციული სასჯელი არ იქნებოდა და საზოგადოება ამგვარ ლმობიერებას ვერ შეეგუებოდა. საზოგადოება სისხლის სამართლის იუსტიციას სწორედ მძიმე დანაშაულებზე რეაქციით აფასებს, სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა კი კანონით (გერმანიაში) უკვე მძიმე დანაშაულებისთვისაა გაწერილი. საკანონმდებლო კომისია ამავე დროს მიუთითებს, რომ ორიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა პრაქტიკაში მხოლოდ მსჯავრდებულთა 1% ენიშნება. ესენია პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ძალადობრივი და სექსუალური დანაშაულები, დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა, ნარკოტიკული დანაშაულები. თუ ამგვარ პირებს თავისუფლების აღკვეთა პირობით მსჯავრით შეეცვლებათ, საჭირო გახდება გაცილებით უფრო მკაცრი კონტროლი პრობაციის ოფიცრის მიერ, რაც სხვა, რესოციალიზაციაუნარიანი პირებისათვის დახმარებას გააძნელებდა.[54]

---

[51] *Dünkel/Spiess*, Kriminalpolitische Bewertung der Strafaussetzung und Folgen für die Praxis der Bundesrepublik, in : dies (Hsg.) Alternativen zur Freiheitsstrafe. Strafaussetzung zur Bewährung im internationalen Vergleich, Kriminologische Forschungsbreichte aus dem Max-Planck-Institut für Ausländisches und Internationales Strafrecht, Bd. 14, Freiburg i.Br. 1983, S. 503 ff.

[52] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 578.

[53] BT-Drucks. 13/4462, S. 4.

[54] Abschlussbericht der Kommission zur Reform des strafrechtlichen Sanktionssystems, vorgelegt im März 2000, S. 126. https://www.bib.uni-mannheim.de/fileadmin/pdf/fachinfo/jura/abschlussbericht-der-komm-strafreform.pdf (22.09.2015)

საკანონმდებლო კომისიის ეს შეხედულება დასაბუთებას მოკლებულია, რადგან გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებულ საკანონმდებლო წინადადებაში პირობითი მსჯავრი იმ პირების მიმართ, რომლებმაც ძალადობრივი დანაშაული ჩაიდინეს, პირობითი მსჯავრის გაფართოების მიზნობრივი ჯგუფიდან თავიდანვეა გამორიცხული.

პირობითი მსჯავრის გამოსაცდელმა პერიოდმა გსსკ §56 ა) 1-ლი ნაწილის მიხედვით არ უნდა გადაამეტოს ხუთ წელს და არ უნდა იყოს ორ წელზე ნაკლები. ამავე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს კონკრეტულად დანიშნული პირობითი მსჯავრის ვადის შემცირებას და გაზრდასაც, რაც, რა თქმა უნდა, ამ მუხლის პირველი ნაწილის დროის ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს.

პირობითი მსჯავრის აღსრულება

პირობითი მსჯავრის მოხდისას პირს ეხმარება მისთვის ოფიციალურად დანიშნული პრობაციის ოფიცერი და მან სასამართლოს მიერ დანიშნული ვალდებულებები უნდა შეასრულოს, მაგ., აანაზღაუროს ზარალი, გადაურიცხოს თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, იშრომოს უსასყიდლოდ (საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა). რეციდივისას ან დაკისრებული მოვალეობების ჯიუტად შეუსრულებლობისას პირობითი მსჯავრი უქმდება და პირმა უნდა მოიხადოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. თუ პირმა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში დანაშაული არ ჩაიდინა და სასამართლოს მიერ დანიშნული ვალებულებები შეასრულა, იგი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდება. პირობითი მსჯავრისას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პრობაციის ოფიცრის დატვირთულობას, რადგან ეს პირობითი მსჯავრის აღსრულების წარმატების საწინდარია.

ბავარიის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ბავარიაში პრობაციის ერთ ოფიცერზე საშუალოდ 84 პრობაციონერი მოდის. ბავარიაში ბოლო წლებში პირობითი მსჯავრის 63% წარმატებულად დასრულდა.[55]

გარდა ამისა, გერმანიაში დიდი ყურადღება ექცევა ასევე ჩადენილ დანაშაულთა ხასიათის მიხედვით შექმნილ პრობაციონერთა ჯგუფურ ტრენინგებსაც.[56]

პირობითი მსჯავრი აშშ-ში

უკვე 60-იანი წლებიდან აშშ-ში დაიწყო დიდი დისკუსია საპატიმრო სასჯელების მავნეობის და მათი ალტერნატივების აუცილებლობის შესახებ, რაც დერივაციის პროგრამის განვითარებით დამთავრდა.[57] ამერიკის სისხლის

[55] https://www.justiz.bayern.de/gericht/lg/ho/zustand/verfahren/vf_Bewaehrungshilfe.php (უკანასკნელად შემოწმებულია 12.09.2015)

[56] http://www.lastar.mv-justiz.de/material/Rahmenkonzeption%20Gruppenarbeit%20SDJ%20MV.pdf S. 5 (უკანასკნელად შემოწმებულია 12.09.2015).

[57] *Jonson*, Modelle intensivierter Behandlung in Freiheit in der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dün-*

სამართალში აღიარებული სასჯელის ეკონომიურობის და სასჯელის პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე,[58] აღიარებულია ასევე **პირობითი მსჯავრიც.**[59]

(პირობითი მსჯავრი აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისიდანაა ცნობილი. თუმცა მისი გამოყენების პირველი შემთხვევა ჯერ კიდევ 1841 წლით თარიღდება. ბოსტონის საპოლიციო სასამართლომ პირობითი მსჯავრი გამოიყენა, როდესაც პროცესის მსმენელმა, (ალკოჰოლის მიღებისაგან) თავშეკავების საზოგადოების წევრმა, *ჯონ აუგუსტუსმა*, პირის მიმართ, რომელსაც სასიკვდილო სასჯელი ელოდა, თავდების ვალდებულება აიღო.[60] ნიუ იორკში 1876 წელს გახსნილ გამასწორებელ დაწესებულებაში ასევე გამოყენებოდა რესოციალიზირებულ პატიმართა თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ნაწილის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, თუ ეს პატიმარი პატიოსან სიტყვას დადებდა (parole).[61])

აშშ პირობითი მსჯავრი ნასესხებია ინგლისის საერთო სამართლიდან, რომელიც სასჯელის გადადების სხვადასხვა ფორმებს იცნობს: სასჯელის გადადება სასულიერო პირის შუამდგომლობით, მოსამართლის მიერ შეწყალებით, განაჩენის აღსრულების შეჩერება.[62]

აშშ-ში თავისუფლების აღკვეთის მრავალი ალტერნატივა და პრობაციის სხვადასხვა სახე არსებობს. **პრობაცია ხშირად კომუნაში საზოგადოებრივი ზემოქმედების ცენტრების მუშაობასაც უკავშირდება (Community Correctional Centres).**[63]

(პრობაცია შესაძლებლობას იძლევა დავტოვოთ დამრღვევი საზოგადოებაში, მაგრამ შევზღუდოთ მისი თავისუფლება და დავუწესოთ მას ვალდებულებები, როგორიცაა პრობაციის ოფიცერთან რეგულარული დაკავშირება, შინაპატიმრობა დღის განსაზღვრულ საათებში, შარდის ტესტების მოულოდნელად ჩაბარება, ნარკოტიკებზე უარის თქმა, მუშაობის დაწყება, საზოგადოებრივად სა-

kel/Spiess, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 281.

[58] http://www.law.cornell.edu/uscode/text/18/3553 (11.08.2015) (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

[59] Schaum, Strafzumessung im US-Prozess, 19 German American Law Journal (15. März 2010), http://www.amrecht.com/schaum2010.shtml (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

[60] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 268.

[61] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 268.

[62] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess,* Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 268.

[63] http://famm.org/wp-content/uploads/2013/08/FS-Alternatives-in-a-Nutshell-7.8.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

სარგებლო შრომის ვალდებულების აღება და მკურნალობის დაწყება. თუ პირმა ეს ვალდებულებები არ შეასრულა, მის მიმართ განხორციელდება ზედამხედველობის გაცილებით უფრო მკაცრი ღონისძიებები, პრობაცია გაუქმდება და პირს საპატიმრო სასჯელის აღსასრულებლად გადააგზავნიან.

პრობაციის ინტენსივობა აშშ-ში სხვადასხვა სახისაა [64]

1. ინტენსიური ზედამხედველობის პრობაცია ითვალისწინებს პრობაციის ოფიცრისა და დამრღვევის მჭიდრო კავშირს, ხშირ კონტროლს და ხშირ პირად შეხვედრებს.

2. ყოველდღიური ანგარიშგების პრობაცია, რომელიც ყოველდღიურ კონტროლს ითვალსწინებს. ალკჰოლის და ნარკოტიკების ტესტები ყოველდღიურად ბარდება, პრობაციის ოფიცერს დამრღვევის მიერ მიეწოდება ინფორმაცია დღის გეგმაზე.

პირობითი მსჯავრი (Probation) განსხვავდება პირობით ვადამდე გათავისუფლებისაგან (Parole). საერთო მათში ისაა, რომ ორივე საპატიმრო სასჯელის ალტერნატივაა. მაგრამ მაშინ, როდესაც პირობითი მსჯავრისას (Probation) მსჯავრდებული საპატიმრო სასჯელს საერთოდ არ იხდის, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას (Parole) მსჯავრდებული საპატიმრო სასჯელის ნაწილის მოხდისაგან პირობით ვადამდე თავისუფლდება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების სისხლის სამართლის ლიტერატურაში აკრტიკებენ ბიუროკრატიის სისუსტეებს პრობაციის დროს. მიუთითებენ, რომ იუსტიციის სხვადასხვა უწყება ურთიერთთანამშრომლობისას მხოლოდ შეზღუდულად, თავის კონკრეტულ მიზანს ახორციელებს და სხვა უწყების პრობლემებს თვალს არიდებს.[65]

აშშ-ში პრობაციის ორგანიზაციის სხვადასხვა მოდელი არსებობს. ზოგიერთ შტატში ეს შტატის ფუნქციაა და ზოგიერთში კი ორგანიზაცია კომუნალურ დონეზეა. იმ შტატში, სადაც პრობაცია შტატის ფუნქციაა, პრობაციის სისტემა აღმასრულებელ ხელისუფლებას ემორჩილება იმ არგუმენტით, რომ ამგვარი დაქვემდებარება შტატის ბიუჯეტის უკეთესად დაგეგმვას ემსახურება. ამ დაქვემდებარების წინააღმდეგ გამოთქმულია მოსაზრება, რომ პრობაცია იუსტიციას უნდა ექვემდებარებოდეს, რადგან ეს შესაძლებელი გახდის სასამართლო გადაწყვეტილების უკეთესად მომზადებას და საქმის შეწყვეტას სასამართლო პროცესამდე (pre-trial diversion).[66]

აშშ სხვადასხვა შტატში სხვადასხვა რეგულაცია არსებობს. ზოგიერთი შტა-

[64] http://famm.org/wp-content/uploads/2013/08/FS-Alternatives-in-a-Nutshell-7.8.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

[65] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 271.

[66] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 272.

ტის კანონი ითვალისწინებს პრობაციას ყველა არასრულწლოვნისა და ზრდასრულთა ნაწილისათვის.[67] ზოგიერთი კი გამორიცხავს პრობაციას სრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი და ძალადობითი დანაშაულისათვის.

პრაქტიკაში პრობაციონერზე ზემოქმედების ორი სხვადასხვა მიდგომაა: ინდივიდუალური (casework approach) და შუამავლობის („brokerage") მიდგომა. „ინდივიდუალური ანუ სამედიცინო მიდგომის" მიხედვით პრობაციის ოფიცერი ვალდებულია პრობაციონერს მზრუნველობა თავად გაუწიოს. ამ მოდელის თეორიული საფუძველი კრიმინოლოგიის **პოზიტივისტური** სკოლაა. დანაშაულებრივი ქცევას ეს მიმართულება ავადმყოფურ ქცევად აღიარებს და მის მიზეზს ფიზიკურ, ქიმიურ, ფსიქიკურ და სოციალურ ფაქტორებში ხედავს. ამ მოდელის მიხედვით გამოკვლეულ უნდა იქნას, თუ რითია „ავად" პაციენტი (დამნაშავე) და ამ კონკრეტული პირისათვის საჭირო „მკურნალობის" ღონისძიებები ჩამოყალიბდეს. ამ ღონისძიებათა განხორციელების და კონკრეტული პირის მიმართ მათი ეფექტურობის გამოკვლევის შემდეგ კი უნდა დადგინდეს, უკეთესი ხომ არ იქნებოდა ზემოქმედების სხვა რაიმე ღონისძიების განხორციელება. რაც შეეხება „რესურსებთან შუამავლობის მიდგომას", იგი არაა ინდივიდუალური. პრობაციის ოფიცერი აქ გამოიკვლევს, თუ ვის, რომელ ორგანოს შეუძლია პრობაციონერის დახმარება და იგი მას ამ ორგანოზე „გადაამისამართებს". ამგვარად იგი შუამავალია პრობაციონერსა და ამ საჭირო დამხმარე ორგანოს შორის.[68] პრაქტიკაში ხშირად ამგვარი მზრუნველობა არ ფუნქციონირებს, რადგან სათანადოდ არ დგინდება, თუ რა სჭირდება პრობაციონერს.

სისხლის სამართლის თეორიაში პრობაციის ორგანოს შემდეგი ფუნქციებს გამოყოფენ:

საზოგადოების სოციალურად მავნე ქმედებისაგან დაცვა

პრობანდის სამოქალაქო უფლებების დაცვა, პრობაციის ორგანოთა უფლებამოსილების სამართლებრივი შეზღუდვა და სასამართლოსათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება

პრობაციონერის რეინტეგრაცია

მისთვის დახმარების გაწევა.[69]

აღნიშნული ჩამონათვალი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს სამართლებრივი

---

[67] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 273.

[68] *Jonson*, Modelle intensivierter Behandlung in Freiheit in der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 282.

[69] *Allen/Carlson/Parks*, Critical Issues in Adult Probation: Summary, Washington, D.C.: National Institute of Law Enforcement and Criminal Justize, U.S. Department of Justice, September 1979, nach *Jonson*, Probation an parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 275.

სისტემის ღირებულებათა სკალას. საზოგადოების დაცვა სოციალურად მავნე ქმედებისაგან პრობაციის ორგანოს პირველადი ამოცანაა. უკეთესი იქნება, თუ დავალებათა ამ ჩამონათვალს გავიგებთ არა მკაცრი ვერტიკალური იერარქიით, არამედ ჰორიზონტალურად და ყველა ამ ამოცანას მჭიდრო ურთიერთკავშირში აღვიქვამთ.

საზოგადოება მხოლოდ მაშინ იქნება დაცული სოციალურად მავნე ქმედებისაგან, თუ პრობაციონერი რეინტეგრირებული იქნება. საზოგადოებაში მისი რეინტეგრაცია კი მისთვის დახმარების გაწევის გარეშე შეუძლებელია.

80-იანი წლებისათვის აშშ-ში ერთ პრობაციის ოფიცერზე მოდიოდა 50 პრობაციონერი, ზოგჯერ კი 200-ც კი, რაც ყველა პრობაციონერზე მზრუნველობის შესაძლებლობას გამორიცხავდა. მიუთითებდნენ, რომ ამგვარ პირობებში პიროვნული კონტაქტის დამყარება პრობაციონერთან შეუძლებელია, პრობაციონერთან ურთიერთობა თვეში ერთხელ წარდგენილ საქმიანობის შესახებ განცხადებაზე დაიყვანება, რაც ცალკეულ შემთხვევებში პირობითი მსჯავრის წარმატებით დასრულების გარანტიას ამცირებს.[70]

1953-1964 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პრობაციის ოფიცერზე მიმაგრებულ პრობაციონერთა ოდენობის შემცირება უცილობლად არ მიგვიყვანს პრობაციონერთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შემცირებასთან. გადამწყვეტი აქ პრობაციის ოფიცერთან კავშირის ხარისხი და ხასიათი უნდა იყოს.

80-იანი წლების აშშ-ში მიუთითებდნენ, რომ პრობაციონერთა დაახლოებით 25-30% განსაკუთრებული კონტროლი არ სჭირდება. თუ პრობაციისას დახმარება ინტენსიური იქნება, პრობაციის დადებითი შედეგებიც არ დააყოვნებს.[71]

პრობაციონერს სხვადასხვა **ვალდებულება** ეკისრება. მას შეიძლება აეკრძალოს კონკრეტულ პირებთან ურთიერთობა, ნარკოტიკების და ალკოჰოლის მოხმარება, შტატიდან უნებართვოდ გასვლა, იარაღის ფლობა. ასევე მას შეიძლება დაევალოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას პრობაციის ოფიცრის ინფორმირება.

პრობაციის ოფიცერი ვალდებულია ზემდგომ ორგანოს წარუდგინოს ანგარიში პრობაციონერის საქმიანობის შესახებ. პრობაციონერს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, ამ ანგარიშს გაეცნონ.

აშშ-ში პრობაცია გამოიყენება როგორც ზრდასრულთა, ასევე არასრულწლოვანთა მიმართაც. 1961 წელს კალიფორნიის ახალგაზრდათა საქმეების განყოფილებამ წამოიწყო კომუნალური პროექტი, რომელიც შემდგომ აშშ-ში არასრულწლოვანთა ამბულატორიული დახმარების მაგალითად გადაიქცა. საპატიმრო სასჯელის მაგიერ მოსამართლე არასრულწლოვნებს პირდაპირ პირო-

[70] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess,* Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 275-276.

[71] *Jonson*, Probation and parole: die Stellung der Strafaussetzung im Sanktionssystem der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess,* Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S. 278.

ბით მსჯავრს უფარდებდა. პრობაციის ოფიცერს მცირე ოდენობის დამრღვევებს ამაგრებდნენ. პრობაციის ოფიცერი არასრულწლოვანთა შესაძლებლობებს იკვლევდა. ჯპროგრამა ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას ითვალისწინებდა. თუ ოჯახი არასასურველ ზემოქმედებას ახდენდა არასრულწლოვანზე, შესაძლებელი იყო მათი მოთავსება როგორც თავშესაფარში და მინდობით, ასევე მათი ცხოვრება ჯგუფურად. ამასთან იყო გათვალისწინებული კულტურული და სპორტული ღონისძიებები. მთავარ ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდათა სუბკულტურის შექმნას, რომელიც ახალგაზრდათა მიერ სოციალურ ნორმათა შესრულებაზე იყო ორიენტირებული.[72]

რეკომენდაცია

ქართულ სამართლის სისტემაში პირობით მსჯავრთან დაკავშირებით გასაზიარებელია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე გერმანიის გამოცდილება. კარგი იქნებოდა, თუ საქართველოში პრობაციონერთან როგორც ინდივიდუალურ, ასევე შუამავლურ მიდგომა დამკვიდრდებოდა (აშშ).

აუცილებელია ყურადღება მიექცეს როგორც პრობაციის ოფიცერზე მიმაგრებულ პრობაციონერთა, ასევე მათთან შეხვედრების ოპტიმალურ ოდენობას. 2011 წლისათვის საქართველოში 36 635 პირობით მსჯავრდებული იყო და ერთ პრობაციის ოფიცერზე 264 პირობით მსჯავრდებული იყო მიმაგრებული.[73] შესაბამისად შეულებელი იყო მათთან ინდივიდუალური მიდგომა. 2013 წლისათვის პრობაციონერთა რაოდენობა შემცირდა და ერთი პრობაციის ოფიცერი მხოლოდ 57 პრობაციონერს კურირებს.[74] ამგვარად პრობაციონერთა რაოდენობა გერმანულ პრაქტიკაში მიღებულ რაოდენობაზე მცირეა. პირობითი მსჯავრის წარმატებით განსახორციელებლად რეკომენდებულია ამ ოდენობის შენარჩუნება. პრობაციის ოფიცერზე მიმაგრებულ პრობაციონერთა ოდენობაზე ზემოქმედება შესაძლებელია გერმანიის გამოცდილების გაზიარებით და საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პრობაციის ოფიცერთა სისტემის ჩამოყალიბებით.)

3. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა

ისტორიული შესავალი და გამოყენების გეოგრაფიული არეალი

სასჯელის ამ სახემ დროის მრავალ გამოცდას გაუძლო. გერმანიაში იგი პირველად 1892 წელს ლისტის სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებში

---

[72] *Jonson*, Modelle intensivierter Behandlung in Freiheit in der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S.288-289.

[73] შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი 2011, გვ. 163.

[74] http://moc.gov.ge/public/files/pdf/text_142045799l0.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.10. 20015).

იქნა მოხსენიებული. 1895 წელს კი გერმანიის იურისტთა კავშირმა იურისტების 23-ე კონფერენციაზე მიაქცია მას ყურადღება.[75]

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა პირველად 1966 წელს აშშ-ში, კალიფორნიაში მდედრობითი სქესის დამნაშავეების მიმართ იქნა გამოყენებული სატრანსპორტო დანაშაულისას. შემდგომ კი იგი ყველა შტატში დაინერგა.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ევროპის ქვეყნებიდან პირველად 1971 წელს შვეიცარიაში არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გამოიყენეს.[76] 1972 წლიდან სასჯელის ეს სახე დაინერგა ინგილსსა და უელსში, შემდგომ, 80-იან წლებში ევროპის სხვა ქვეყნებში, იტალიაში, დანიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში.[77] სკანდინავიის ქვეყნებმა (დანიის გარდა) საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა 90-იანი წლებისათვის შემოღეს. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გავრცელდა ასევე ლათინურ ამერიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკაში.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების სამართლებრივი არეალი და გამოყენების ხანგრძლიობა

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა აშშ-ის ყველა შტატში გამოიყენება ან როგორც დამოუკიდებელი სასჯელი, ან ვალდებულება პირობითი მსჯავრისას, ანდა თავისუფლების აღკვეთის ან ჯარიმის ალტერნატივა. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა უსასყიდლო შრომა სახელმწიფო ან საქველმოქმედო ორგანზაციისათვის. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ყოველი დღე ჯარიმის ოდენობას ამცირებს.[78]

ევროპის ქვეყნებში მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად **საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სხვადასხვა სახით** გამოიყენება.

1. ნაკლებად მძიმე და საშუალო სიმძიმის დანაშაულებში ეს სანქციით გათვალისწინებული **სასჯელია** (ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი). სასჯელის ეს სახე ნებაყოფლობითია. თუ პირმა არ იმუშავა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით შეიცვლება.

2. იგი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კონკრეტულად დანიშნული **სასჯელის სუროგატიც**, ანუ სასჯელი დაინიშნოს და შემდეგ კონკრეტულად დანიშნული სასჯელი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეიცვალოს[79] (ეს-

---

[75] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 568.

[76] *Milchig*, Die gemeinnützige Arbeit, als Auslaufmodell? ZSR 2011, S. 596, http://www.rwi.uzh.ch/lehreforschung/alphabetisch/killias/publikationen/DiegemeinnuetzigeArbeit.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.10.2015).

[77] *Dünkel*, Gemeinnützige Arbeit, What Works? S. 4. http://www.rsf.uni-greifswald.de/fileadmin/mediapool/lehrstuehle/duenkel/Dokumente/Gemeinzuege_Arbeit_What_works.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.10.2015).

[78] http://famm.org/wp-content/uploads/2013/08/FS-Alternatives-in-a-Nutshell-7.8.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 30.10.2015).

[79] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 572.

ტონეთი, დანია, ფინეთი, კროატია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები).[80] მოსამართლე ჯერ გამოიტანს თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენს, შემდგომ კი ამ სასჯელს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეცვლის. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც პირს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება.

3. დანიასა და შვედეთში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სანქციის დამოუკიდებელი ფორმა კი არა, არამედ საქციებთან, ჯარიმასა და თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებაა.

4. შვედეთში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სანქციის დამოუკიდებელი ფორმა კი არაა, არამედ ვლდებულება სანქციის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა დამცავი ზედამხედველობა,[81] რომელიც გამოიყენება ახალგაზრდა დამრღვევთა მიმართ მოკლევადიანი და საშუალო ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად.[82] ნორვეგიაშიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გამოიყენება არა მხოლოდ როგორც სანქცია, არამედ ასევე როგორც ვალდებულება არასრულწლოვანთა პირობითი მსჯავრისას.[83]

5. დანიაში შვედეთსა და ნორვეგიაში ეს ვალებულება შეიძლება შეუთავსდეს სხვა **ვალდებულებებსაც,** როგორიცაა საცხოვრებელი ადგილის დამკვიდრება, სწავლის ან მუშაობის დაწყება.[84]

6. გერმანიაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ძირითადი სასჯელის, ჯარიმის სუროგატი, ანდა სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტისას ან პირობითი მსჯავრისას დანიშნული ვალდებულებაა.

გერმანიაში სისხლის სამართლის კოდექსის შესავლის 293-ე მუხლის მე-3 ნაწილით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა შესაძლებელია პირის შეწყალებისასაც დაინიშნოს.

როგორც წესი, ევროპაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას სასამართლო მსჯავრდებულის თანხმობით ნიშნავს. საზოგადოებრივად სასარგე-

---

[80] *Milchig,* Die gemeinnützige Arbeit, als Auslaufmodell? ZSR 2011, S. 600, http://www.rwi.uzh.ch/lehreforschung/alphabetisch/killias/publikationen/DiegemeinnuetzigeArbeit.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.20015).

[81] შვედეთის ეს სანქცია, დამცავი ზედამხედველობა ახალგაზრდა დამრღვევეების მიმართ დამოუკიდებელი კვლევის საგანია. დამცავი ზედამხედველობა არაა პირობითი მსჯავრი, რადგან პირობითი მსჯავრს შვედეთის სანქციათა სისტემა დამცავი ზედამხედველობის პარალელურად ითვალისწინებს. *Cornils/Schütz-Gärdén*, Schweden, S. 642, https://www.mpicc.de/files/pdf2/11-schweden.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 12.08.2015).

[82] *Cornils/Schütz-Gärdén*, Schweden, S. 623, https://www.mpicc.de/files/pdf2/11-schweden.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 12.08.2015).

[83] *Dünkel*, Gemeinnützige Arbeit, What Works? S. 5. http://www.rsf.uni-greifswald.de/fileadmin/mediapool/lehrstuehle/duenkel/Dokumente/Gemeinzuege_Arbeit_What_works.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.2015)

[84] *Dünkel*, Gemeinnützige Arbeit, What Works? S. 5. http://www.rsf.uni-greifswald.de/fileadmin/mediapool/lehrstuehle/duenkel/Dokumente/Gemeinzuege_Arbeit_What_works.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.2015)

ბლო შრომის სასჯელად და ვალდებულებად დანიშვნა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-4 მუხლის მეორე ნაწილს არ ეწინააღმდეგება. ამ მუხლის მე-3 ნაწილის ა) პუნქტში მითითებულია, რომ ამ მუხლით აკრძალულ იძულებით და სავალდებულო შრომად არ ითვლება შრომა, რომელიც კომპეტენტური სასამართლოს მიერ კანონიერი მსჯავრდებით თავისუფლებააღკვეთილსა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულს დაეკისრება. მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ც) პუნქტიც. პირის თანხმობა მხოლოდ იმიტომ ითვლება საჭიროდ, რომ ყოველგვარი მოტივაციის გარეშე შრომა არავითარი შედეგის მომტანი არ იქნება.[85]

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების პრაქტიკა

2001 წლის მონაცემებით გერმანიის ჴსისხლის სამართლის პრაქტიკაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ნაკლებად გამოიყენებოდა. ამ წელს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტისას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ვალდებულება შეწყვეტილ საქმეთა მხოლოდ 1%-ზე იქნა გამოყენებული. სანქციის სახით დანიშნული ჯარიმის გადაუხდელობისას კანონში გაწერილი თავისუფლების აღკვეთის მაგიერ ან ჯარიმის გადახდის სხვა გზებს მიმართავენ (77%), ანდა მას თავისუფლების აღკვეთით ცვლიან (14,2%). ჯარიმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით მხოლოდ საქმეთა 8,5 % იცვლება. ევროპის სხვა ქვეყნებში ამ საუკუნის დასაწყისის მონაცემებით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ხშირად ინიშნება და საქმეთა 50-60% უპირობო მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას ცვლის.[86]

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ფინეთში, სადაც კანონმდებელი უშუალოდ მიუთითებს, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თავისუფლების აღკვეთას ცვლის. აქ მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად საქმეთა 90% საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ინიშნება. ფინეთში ამ სანქციის გამოყენების არეალს აფართოებს ისიც, რომ 2011 წლისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა პრობაციას და ელექტრონულ ზედამხედველობას დაუკავშირდა და ამგვარად კლიენტთა ახალ ჯგუფზე, ნარკოტიკების მომხმარებლებზეც გავრცელდა.[87]

გერმანიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, აუცილებელია გერმანიის სისხლის სამართლის პრაქტიკამ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას გაცილებით უფრო დიდი ყურადღება მიაქ-

[85] *Milchig*, Die gemeinnützige Arbeit, als Auslaufmodell? ZSR 2011, S. 597, http://www.rwi.uzh.ch/lehreforschung/alphabetisch/killias/publikationen/DiegemeinnuetzigeArbeit.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.20015)

[86] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 568.

[87] *Dünkel*, Gemeinnützige Arbeit, What Works? S. 19. http://www.rsf.uni-greifswald.de/fileadmin/mediapool/lehrstuehle/duenkel/Dokumente/Gemeinzuege_Arbeit_What_works.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.2015).

ციოს. დადებითი იმპულსები მოდის როგორც გერმანული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლიდან (გერმანიის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსის §15 1-ლი ნაწილის მე-3 პუნქტი, ვალდებულება დისციპლინური ღონისძიებების გამოყენებისას) ასევე საზღვარგარეთის სისხლის სამართლის პრაქტიკიდან.[88]

გერმანიის სისხლის სამართალში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის დამოუკიდებელ სასჯელად ჩამოყალიბებამ შეიძლება დადებითი შედეგები არ მოგვიტანოს, როგორც ეს შვეიცარიის მაგალითმა აჩვენა. შვეიცარიაში 2007 წლამდე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თავისუფლების აღკვეთის ორგანოს მიერ მსჯავრდებულის განცხადების შედეგად ინიშნებოდა როგორც დანიშნული სასჯელის სუროგატი ანუ სასჯელაღსრულების ალტერნატიული ფორმა. 2007 წელს განხორციელდა სისხლის სამართლის რეფორმა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სანქციების მნიშვნელობის გაზრდის მიზნით და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში იქნა გათვალისწინებული, როგორც დამოუკიდებელი სანქცია. კანონმდებლის ამ აქტივობამ სასურველი ეფექტი არ გამოიღო და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სანქციის გამოყენების არეალი კი არ გაზარდა, არამედ შეზღუდა. არსებული სტატისტიკური მონაცემებით 2007 წლიდან, ანუ რეფორმის გატარებიდან 2011 წლამდე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენება 44 % ით შემცირდა.[89]

შვეიცარიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების შემცირების მიზეზად მისი დანიშვნის კომპეტენციის გადამისამართებას თვლიან. ახალი კანონით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა მოსამართლის მიერ ინიშნება, რაც მეცნიერებაში გამოთქმული აზრით, არაა რეკომენდებული. მიაჩნიათ, რომ სასჯელაღსრულების ორგანოს გაცილებით უფრო უკეთესად შეუძლია შეაფასოს ადამიანის შესაძლებლობები და მისი შრომისადმი დამოკიდებულება. გარდა ამისა, ახალი კანონის პირობებში დიდი დრო გადის სასჯელის მისჯასა და მის აღსრულებას შორის. თუ უმუშევარმა პირმა, რომლის მიმართაც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა დაინიშნა, ამ პერიოდში სამსახური იშოვა, მას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მოტივაცია ეკარგება. თუ იგი ამ სასჯელს არ აღასრულებს, აუცილებელი ხდება ამ სასჯელის ჯარიმად გარდაქმნა. შესაბამისად ზედმეტი შრომის თავიდან ასაცილებლად სასამართლოები თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას ერიდებიან.[90] შვეიცარიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში უკეთესად

[88] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 570.

[89] შვეიცარიის სტატისტიკა იხ. http://www.nzz.ch/schweiz/gemeinnuetzige-arbeit-nimmt-ab-1.17683307 (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.1959).

[90] *Milchig*, Die gemeinnützige Arbeit, als Auslaufmodell? ZSR 2011, S. 607. http://www.rwi.uzh.ch/lehreforschung/alphabetisch/killias/publikationen/DiegemeinnuetzigeArbeit.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.20015).

თვლიან ძველ რეგულაციას, რომლის დროსაც მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით სასჯელაღსრულების ორგანოს მიერ ინიშნებოდა და მისი შესრულება თავისუფლების აღკვეთის მუქარით იყო გარანტირებული.[91]

გარდა ამისა, შვეიცარიაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სანქციად ჩამოყალიბების შემდეგ გაიზარდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის თავის დანებების პროცენტული მაჩვენებელიც, რაც სამართალდამცავ ორგანოთა გადატვირთვას იწვევს. სავარაუდოა, რომ ამის გამო სასამართლო ნიშნავს არა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, არამედ ჯარიმას.[92]

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების უფლებამოსილება

ევროპის ქვეყნებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების უფლებამოსილება სასამართლოს ეკუთვნის. გამონაკლისია ისლანდია, სადაც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების საკითხს წყვეტს არა სასამართლო, არამედ თავისუფლების აღკვეთის ორგანო. **ამით ისლანდია** სოციალური კონტროლის გაფართოების საშიშროების იცილებს თავიდან, თუმცა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ამ პრაქტიკის საწინააღმდეგოდ კანონიერი სასამართლოს უფლების საკონსტიტუციოსამართლებრივი არგუმენტი არსებობს.[93]

გერმანიაში სისხლის სამართლის კოდექსის შესავალი გერმანიის მიწებს ანიჭებს უფლებას, გასცენ განკარგულებები, რომელთა მიხედვითაც ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა თავიდან იქნება აცილებული. ამ ნორმის მიხედვით **პროკურორს,** რომელიც სასჯელაღსრულებას ზედამხედველობს, თავად შეუძლია იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სანქციის სახით დაკისრებული ჯარიმა ვერ ან არ გადაიხადეს, ჯარიმა თავისუფლების აღკვეთით კი არა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეუცვალოს. თუ პირმა დაკისრებული ვალდებულება შეასრულა, მას თავისუფლება არ აღეკვეთება. ეს სამუშაო უსასყიდლო უნდა იყოს და მომგებიან ეკონომიურ მიზნებს არ უნდა ემსახურებოდეს.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ხანგრძლიობა

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ხანგრძლიობა სხვადასხვა ქვეყა-

---

[91] *Milchig,* Die gemeinnützige Arbeit, als Auslaufmodell? ZSR 2011, S. 597. http://www.rwi.uzh.ch/lehreforschung/alphabetisch/killias/publikationen/DiegemeinnuetzigeArbeit.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.20015).

[92] *Milchig,* Die gemeinnützige Arbeit, als Auslaufmodell? ZSR 2011, S. 608. http://www.rwi.uzh.ch/lehreforschung/alphabetisch/killias/publikationen/DiegemeinnuetzigeArbeit.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.20015).

[93] *Dünkel,* Gemeinnützige Arbeit, What Works? S. 5. http://www.rsf.uni-greifswald.de/fileadmin/mediapool/lehrstuehle/duenkel/Dokumente/Gemeinzuege_Arbeit_What_works.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.2015)

ნაში სხვადასხვანაირია და დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე.

შვედეთში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ხანგრძლიობა 40 საათიდან 200 საათამდეა, ინგლისში 40 საათიდან 300 საათამდე.[94] ფინეთში 200 საათს აღწევს, ნორვეგიაში — 420.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მიზნობრივი ჯგუფი

ზოგადად, ევროპის ყველა ქვეყნისათვის საერთოა ის, რომ ალტერნატიული სანქციის ეს სახე სასამართლოს მიერ დაინიშნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენთათვის მაშინ, როდესაც პრევენციისათვის პირის მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა არაა საჭირო.

ინგლისში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა დაენიშნებათ, როგორც წესი, დანაშაულის პირველად ჩამდენებს მსუბუქი ქონებრივი დანაშაულისათვის (სხვისი ნივთის დაზიანება, თაღლითობა, ასევე ქურდობა და ნაქურდალის გასაღება). ამასთან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ინგლისში შეიძლება დაენიშნოს მძიმე დანაშაულის ჩამდენსაც კი. არსებული სტატისტიკით, ძალადობრივ დანაშაულთა 6% საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ისჯება.[95]

2000 წლებისთვის სკანდინავიის ქვეყნებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის არეალი გაფართოვდა. შვედეთში იგი პირობით ვადამდე გათავისუფლებას დაუკავშირეს. დანიამ და ნორვეგიამ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ავტოსატრანსპორტო დელიქტებზეც გაავრცელა, რაც თავდაპირველად კატეგორიულად იყო გამორიცხული (მანქანის მართვა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ). ამ ცვლილების მიღებიდან ორი წლის შემდეგ დანიაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების რიცხვი გაოთხმაგდა. ნორვეგიაში კი ამ სანქციის გამოყენების რიცხვი წელიწადში შესაბამისად 500-დან 2500-მდე გაიზარდა.

ნორვეგიამ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, როგორც სანქციის მნიშვნელობის განსამტკიცებლად მას სახელი გადაარქვა და საზოგადოებრივად სასარგებლო სასჯელი უწოდა.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელია ფინეთში დანიშნული სანქციების 5%, შვედეთში 7 %, დანიაში 8%, ნორვეგიაში კი 13%.[96]

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის დროს დაკისრებული ძირითადი და დამატებითი ვალდებულებები

პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო შრო-

[94] https://www.justice.gov.uk/downloads/offenders/probation-instructions/pi_02_2010_unpaid_work_community_payback_service_specif (უკანასკნელად შემოწმებულია 2.11.20015).

[95] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 572.

[96] *Dünkel*, Gemeinnützige Arbeit, What Works? S. 6. http://www.rsf.uni-greifswald.de/fileadmin/mediapool/lehrstuehle/duenkel/Dokumente/Gemeinzuege_Arbeit_What_works.pdf უკანასკნელად შემოწმებულია 2.11.20015).

მა, კომუნისათვის შემდეგ საქმიანობას ახორციელებს — გრაფიტის მოცილება, დასუფთავება და საჯარო ადგილების დეკორაცია. უმუშევარი ვალდებულია, კვირაში 3-4 დღე უსასყიდლოდ იმუშაოს.

გარდა ამისა, ინგლისში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან ერთად პირს შესაძლებელია დაეკისროს ვალდებულება, მონაწილეობა მიიღოს ასევე ასევე კონკრეტულ პროგრამებში,[97] ნარკომანის დეტოქსიკაციის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სამკურნალო, პროფესიული კვალიფიკაციის და ჩვევების მისაღებად. ინგლისში ასევე შესაძლებელია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა დაუკავშირდეს სხვა ღონისძიებებსაც, მათ შორის ელექტრონულ სამაჯურის ტარებას. შესაძლებელია ასევე სხვადასხვა აქტოვობების აკრძალვა, მაგ., მსხვერპლის ადგილსამყოფელისათვის მიახლოების, ლუდის ბარში და სტადიონზე მაყურებლად წასვლის აკრძალვაც. პირს შეიძლება ასევე ახლო ნათესავთან ცხოვრების ვალდებულებაც დაეკისროს.[98]

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კრიტიკული შეფასება

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სანქციად გამოყენებისას შრომა — მეტად ძვირფასი და სასურველი ფასეულობა ნეგატიურ დატვირთვას, სასჯელის ფორმას იღებს.[99] ამასთან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის სახე ან ვალდებულება კოლიზიაშია სოციალური დახმარების მიმღებთა დასაქმების პროგრამებთან.[100] გარდა ამისა, სახელმწიფო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით მოგებას კი არ იღებს, პირიქით, მსჯავრდებულთა შესამოწმებლად საჭირო ხდება სოციალური მუშაკების დასაქმება. შესაბამისად **საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ორგანიზაცია და ლოგისტკა თავის მხრივ ხარჯებთანაა დაკავშირებული.**[101]

ამასთანავე, **საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ვალდებულების დაკისრება** მოკლევადიანი თავსუფლების აღკვეთის მაგიერ ხშირად არაეფექტურია. მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა მარგინალიზირებული პირების მიმართ წვრილმანი ქურდობის და (გერმანიაში) უბილეთოდ მგზავრობის გამო ინიშნება. ამ პირებს კი შრომის შედარებით დაბალი მოტივაცია ახასიათებთ. შესაბამისად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ყოველთვის არ შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა იყოს.[102]

მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თავისუფლების აღკვეთის საუკეთესო ალტერნატივაა, რადგან თავიდან იქნება აცილებული

97 https://www.gov.uk/community-sentences/treatment-and-programmes (უკანასკნელად შემოწმებულია 2.11.20015).

98 https://www.gov.uk/community-sentences/what-you-can-and-cant-do-while-on-a-community-sentence (უკანასკნელად შემოწმებულია 2.11.20015).

99 *Kubinik,* Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 575.

100 *Weigend,* Sanktionen ohne Freiheitsentzug, GA 1992, Bd. 139, S. 360.

101 *Weigend,* Sanktionen ohne Freiheitsentzug, GA 1992, Bd. 139, S. 360.

102 *Kubinik,* Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S. 575.

თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური შედეგები და სახელმწიფოს საპატიმრო სასჯელთან შედარებით გაცილებით უფრო ნაკლები უჯდება.)

დისკუსია გერმანიაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, როგორც ძირითადი სასჯელის შემოღების შესახებ

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გერმანიაში სასჯელის სახე კი არა, არასაპატიმრო სასჯელებთან დაკავშირებული ვალდებულებაა, ამიტომაც გერმანიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია მისი სასჯელად შემოღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. შემოთავაზებულია სასჯელის ახალი სახე — ჯარიმისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კომბინაციის სახით. ამ სასჯელის დანიშვნისას პირი ვალდებული იქნება ან ფულადი ჯარიმა გადაიხადოს, ანდა თავისი შრომით შესაბამისი თანხა დროში განწილვადებურად აანაზღაუროს.

ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ერთ-ერთ ძირითად სასჯელად შემოღებას ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლში მითითებული იძულებითი შრომის აკრძალვა. ამიტომაც გერმანულ სისხლის სამართალში ჯერჯერობით ეს საკანონმდებლო ცვლილება მოსალოდნელი არაა.

გასათვალისწინებელია ასევე შვეიცარიის მაგალითიც, სადაც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სისხლისსამართლებრივ სანქციად ჩამოყალიბებამ მისი გამოყენების სტატისტიკა გააუარესა.[103] თუ ახალი რეგულაციის შემოღებამდე პირი მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას თავად ირჩევდა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სანქციად გარდაქმნის შემდეგ იგი მხოლოდ იმ პირების მიმართ გამოიყენება, რომელსაც ჯარიმის გადახდა მატერიალურად არ შეუძლია.

რეკომენდაცია

(როგორც ინტერნაციონალური გამოცდილება გვიჩვენებს, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ნაკლებად მძიმე დანაშაულებისათვის გამოსადეგი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებაა (სანქცია, ვალდებულება) და მისი გამოყენების არეალი საქართველოში უნდა გაფართოვდეს. სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო რესურსი სასჯელის ამ სახის ეფექტურად გამოყენებისათვის.

კარგი იქნებოდა, თუ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ევროპის მაგალითზე ასევე კონკრეტულ დეტოქსიკაციის და საგანმანათლებლო პროგრამებსაც დაუკავშირდებოდა.[104] ამგვარად სანქციის ეს სახე რესოციალიზაციის შესაძლებლობებს გააფართოებდა.)

[103] შვეიცარიის სტატისტიკა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების შესახებ იხ. http://www.nzz.ch/schweiz/gemeinnuetzige-arbeit-nimmt-ab-1.17683307 (უკანასკნელად შემოწმებულია 05.11.1959).

[104] https://www.gov.uk/community-sentences/treatment-and-programmes (უკანასკნელად შემოწმებულია 2.11.20015).

4. ელექტრონული ზედამხედველობა

ტერმინთა განმარტება

თანამედროვე სისხლის სამართალში ელექტრონული მოწყობილობის, „ელექტრონული სამაჯურის" გამოყენების რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს. ელექტრონული კონტროლი გამოიყენება როგორც შინაპატიმრობის, ასევე აკრძალულ ადგილებთან მიახლოების, ანუ პირის ადგილსამყოფელის გასაკონტროლებლად.

შინაპატიმრობა საკუთარ სახლში დაპატიმრებას, სახლიდან გამოუსვლელობის ვალდებულებას ასახავს. სახლიდან გამოუსვლელობა პირს განსაზღვრული დროის განმავლობაში ეკისრება. იგი ვალდებულია ან კონკრეტულ (ღამის) საათებში არ დატოვოს თავისი საცხოვრებელი, ანდა თავისუფალი დღეები ან განსაზღვრული ოდენობის დღე-ღამე სახლში გაატაროს.

აშშ-ში, რომელიც ელექტრონული მონიტორინგის სამშობლოა, ელექტრონული სამაჯურით კონტროლირებული შინაპატიმრობის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „Electronic Monitored Home Confinement", რომელიც შინაპატიმრობით თავისუფლების შეზღუდვის სამ სხვადასხვა სახეს მოიცავს:

კომენდანტის საათი „Curfew", რომელიც პირს ვალდებულებას აკისრებს, არ გავიდეს სახლიდან ღამის საათებსა და შაბათ-კვირას.

შინაპატიმრობის მსუბუქი სახე „Home Detention", რომელიც პირს ავალდებულებს, იყოს სახლში და უფლებას აძლევს, საცხოვრებელი განსაზღვრული მიზნებისათვის დატოვოს.

შინაპატიმრობის მკაცრი ფორმა „Home Incarceration" კი პირს არა მხოლოდ საცხოვრებლის დატოვებას, არამედ აგრეთვე სტუმრის მიღებასაც კი მკაცრად უკრძალავს.[105]

რაც შეეხება ადგილსამყოფელის ელექტრონულ ზედამხედველობას, აშშ-ში გამოყენებულია ტერმინი - Electronic tagging.

გერმანიაში 1.1.2011 კანონით (კანონი პრევენციული პატიმრობის შესახებ) სამართლებრივად მიღებულია ტერმინი „ადგილსამყოფელის ელექტრონული ზედამხედველობა", რაც ამ მოწყობილობის გამოყენების დღევანდელ პრაქტიკას სრულად შეესაბამება. იგი მოიცავს არა მხოლოდ შინაპატიმრობის ვალდებულებების შემოწმების, არამედ აგრეთვე აკრძალულ ადგილებთან მიახლოების (პოტენციური მსხვერპლის ადგილსამყოფელი) შესაძლებლობებს. ამიტომაც ტერმინი „შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგი" ვიწროა და ამ ტექნიკური მოწყობილობის გამოყენების მხოლოდ ერთ კონკრეტულ შესაძლებლობას შეეხება.

გერმანულ მედიასა და სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოყენებუ-

[105] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S.3.

ლი ტერმინი „ელექტრონული ბორკილი" სამეციერო-პოპულარული ჟარგონია, მაგრამ ამ ტერმინს გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, ვიდრე სამართლებრივ ტერმინს - „ადგილსამყოფელის ელექტრონული ზედამხედველობა".

დოგმატიკურად თავისუფლების აღკვეთის ამ ალტერნატივას, ელექტრონულ სამაჯურს, „თავისუფლების შეზღუდვის" სახეს მიაკუთვნებენ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს:

1. წინასწარი გამოძიებისას წინასწარი პატიმრობის ალტერნატივას
2. ან სანქციის სისტემაში ინტეგრირებული ვალდებულებას (ვალდებულება პირობითი მსჯავრისას)
3. ან სასჯელაღსრულების მსუბუქ ფორმას (ვალდებულება პირობით ვადამდე გათავისუფლებისას) თავისი სხვადასხვა ვარიაციით.[106]

შინაპატიმრობის და ადგილსამყოფელის ელექტრონული კონტროლის შესაძლებლობა სასჯელის (თავისუფლების აღკვეთის ლატერნატივასთან დაკავშირებული ვალდებულების) ამ სახეს მოქნილ, თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით ჰუმანურ და როგორც სახელმწიფოს, ასევე პირის ოჯახისათვის ეკონომიურად მისაღებ ალტერნატივად აქცევს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელსამაჯურის გამოყენება ყველა პრობლემის ერთი ხელის დაკვრით გადაწყვეტის საშუალებას არ იძლევა და შესაბამისად ამ ახალი ტექნიკური შესაძლებლობით უკრიტიკო აღტაცების არავითარი საფუძველი არაა. მისი წარმატების უცილობელი საწინდარი სათანადო „კლიენტურის" არჩევაა, რაც მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელსამაჯურის გამოყენებისას წარმოშობილი ტექნიკური და სამართლებრივი პრობლემები მრავალი თავსატეხის წინაშე აყენებს როგორც სისხლის სამართლის თეორიას, ასევე პრაქტიკასაც.

ელექტრონული სამაჯურის ტექნიკური მხარე

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ელექტრონული სამაჯურის სამ თაობას. პირველი თაობის მეთვალყურეობას აქტიური (ContinuousSignalling განგრძობადი) და პასიური სიგნალი (ProgrammedContact პროგრამირებული სიგნალი) მიეკუთვნება.[107] აქტიური ზედამხედველობა გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე პროგრამირებული. აქტიური ზედამხედველობის დროს პირის ადგილსამყოფელი ოცდაოთხსაათიან რეჟიმში კონტროლდება. რაც შეეხება პროგრამირებულ რეჟიმს, პირის ადგილსამყოფელის მხოლოდ პერიოდულად მოწმდება. იმისათვს, რომ პირის ადგილსამყოფელი დადგინდეს, იგი ტელეფონის მახლობლად უნდა იმყოფებოდეს.[108]

აბსოლუტური და ეფექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად „მეორე

---

[106] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 616.

[107] *Redlich, Manja*, Die elektronische Überwachung, Frankfurt am Main, 2005, S. 33.

[108] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 7.

თაობის" მოწყობილობა GPS (Global PosotioningSatellite) გამოიყენება.[109] „ელექტრონული სამაჯური" წყალგაუმტარი, მაჯის საათის მსგავსი მოწყობილობაა, რომელსაც პირს ფეხზე, კოჭთან უმაგრებენ. შესაძლებელია მისი ხელზე ან ყელზე დამაგრებაც.[110] ეს ხელსაწყო ყოველ 20 წამში გამოსცემს სიგნალს და საკონტროლო ცენტრს პირის ადგილმდებარეობას აცნობებს. ტექნიკური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია პირმა ბინაში მიმღები დაამონტაჟებინოს. მიმღების სიძლიერე სხვადასხვანაირია, 10 მეტრიდან 50 მეტრამდე. თუ პირმა ვალდებულება დაარღვია, სახლიდან გავიდა ან აკრძალულ ადგილს მიუახლოვდა, მაკონტროლებელ ცენტრს ინფორმაცია მიეწოდება. გერმანიაში, ჰესენის მიწაზე დარღვევაზე მაკონტროლებელი ორგანო სამაჯურით აღჭურვილ პირთან მომენტალურად რეკავს და სიტუაციას არკვევს, რაც, ამ ორგანოს ცნობით, ესკალაციის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. თავისუფლების აღკვეთის ორგანოს მხოლოდ ის დარღვევა გადაეცემა, რომელიც 30 წუთზე დიდ ხანს გრძელდება.[111]

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ელექტრონული სამაჯურის მოცილება, ამ მოწყობილობას აქვს სენსორი, რომელიც სხეულის ტემპერატურას ზომავს. თუ პირი სამაჯურის მოიხსნის, სხეულის სითბოს მაკონტროლებელი სენსორი ტემპერატურის დაცემას აღიქვამს და საკონტროლო ცენტრს ინფორმაციას აწვდის. გარდა ამისა, ელსამაჯურის მოცილებისას ელექტრული წრედი წყდება და საკონტროლო ცენტრს ინფორმაცია უფრო სწრაფად, ტემპერატურს დაცემამდე მომენტალურად მიეწოდება.

არსებობს ასევე ელექტრონული სამაჯურის გამოყენების სხვა ვარიანტებიც, სისხლიში ალკოჰოლის და ნარკოტიკის შემადგენლობის განსაზღვრისა და დაკისრებული მოვალეობის დარღვევისას ტკივილის მიყენების შესაძლებლობებითაც კი. ეს უკანასკნელი მოწყობილობა აშშ-სა და კანადაში განვითარდა და დღევანდელ სისხლის სამართლის პრაქტიკაში არასად არაა დანერგილი საფუძვლიანი კრიტიკული არგუმენტების გამო.[112]

ელექტრონული სამაჯურის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ეკონომიური მნიშვნელობა

ელექტრონული სამაჯურით შინაპატიმრობის და ადგილმდებარეობის კონტროლის გამოიყენება საპატიმრო სასჯელის ალტერნატივაა. სპეციალისტთა

---

[109] 2000 წლიდან გერმანიაში (ჰესენის მიწაზე) გამოიყენება. *Dittmann/Nowak/ Beck,* Elektronische Fußfessel, Fluch oder Segen der Kriminalpolitik? Göttingen, 2011, S. 211.

[110] *Dahs,* Im Banne der elektronischen Fußfessel, NJW 1999, 3469 (3470).

[111] https://justizministerium.hessen.de/ueber-uns/praevention/gemeinsame-elektronische-ueberwachungsstelle-der-laender (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015). *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 8.

[112] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 8.

ერთი ნაწლის აზრით, მას შეუძლია თავიდან აიცილოს პირის სტიგმატიზაცია, მას საშუალება მისცეს დარჩეს თავის სოციალურ წრეში, გააგრძელოს მუშაობა და ამგვარად გადასახადის გადამხდელს კი არ დააწვეს ტვირთად, არამედ თავად შექმნას მატერიალური სიკეთე და გადაიხადოს ნალოგი გადასახადი, ანდა გააგრძელოს სწავლა. ამგვარად შესაძლებელი ხდება განიტვირთოს მსოფლიოს გადაჭედილი ციხეები,[113] ასევე შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ სახელმწიფოს (გადასახადის გადამხდელი), არამედ აგრეთვე ოჯახის მატერიალური დანახარჯების თავიდან აცილება.[114] მისი ერთ-ერთი მიზანია აგრეთვე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, ანუ საზოგადოების დანაშაულისაგან დაცვაც. ამასთან, ამ სასჯელის ამ სახეს სისხლისსამართლებრივი, პუნიტიური, დამსჯელი და გამასწორებელი (რესოციალიზაცია) ხასიათიც უნდა ჰქონდეს.[115]

ელექტრონული სამაჯურის მიზნობრივი ჯგუფი აშშ-სა და ევროპაში

როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ასევე პრაქტიკაში ელექტრონული სამაჯურის მიზნობრივი ჯგუფის დადგენა რთულ საქმედ ითვლება.[116] ინტერნაციონალური სამართალშედარება აჩვენებს, რომ დელიქტების სპექტრი, რომელთა მიმართაც ელექტრონული სამაჯური გამოიყენება. მეტად მრავალფეროვანია.[117]

ელექტრონული სამაჯურის სამშობლოში, აშშ-ში, როგორც წესი, ეს მოწყობილობა დანაშაულის განხორციელების დაბალი რისკის მქონე პირთა მიმართ (lowriskoffender) გამოიყენება. ესენია პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის დანაშაული, რომლებიც რეციდივის ალბათობის დაბალი საშიშროებით ხასიათდებიან და მყარი სოციალური ფონის ნაწილად გვევლინებიან.[118] განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ეს სასჯელი აშშ-სა[119] და შეედეთში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მიერ ჩადენილი დარღვევისას.

[113] აშშ-ში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების უმნიშვნელოვანეს მიზნად სწორედ ეს ეკონომიური მიზანი სახელდება და არა ჰუმანური. იხ. *Lindenberg*, Überwindung der Mauer: das elektronische Halsband, München, 1992, S. 69f.

[114] *Lockhart-Mirams/ Pickles/Crowhurst*, Cutting Crime, The role of tagging in offender managment, september 2015, p. 6; http://www.reform.uk/wp-content/uploads/2015/09/Tagging-report_AW_WEB.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 17.09.2015).

[115] *Albrecht/Arnold/Schädler,* Der hessische Modelversuch zurAnwendung der elektronischen Fußfessel" in: ZRP, 2000, 466 (467)*; Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S.4.

[116] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 616.

[117] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 619.

[118] ავსტრიაში 2013 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით ელექტრონული ბორკლით 201 პირი, ანუ საპატიმრო სასჯელმისჯილთა 3% იყო აღჭურვილი. Strafvollzug im Österreich, Stand Jänner 2013, S. 34 https://www.justiz.gv.at/web2013/file/2c94848b47af5e070148aba8bc8c1661.de.0/strafvollzug_download.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.08.2015)

[119] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 618.

ალკოჰოლიკები და ნარკომანების ამ პროგრამაში გათვალისწინებას არასახარბიელოდ მიიჩნევენ, თუმცა ხანდახან აშშ-ში პროექტები მათი მონაწილეობითაც ხორციელდება.[120] სწორედ მათზეა გათვლილი ახალი თაობის ელსამაჯურები, რომლებიც სისხლში ალკოჰოლის და ნარკოტიკის მოცულობას ზომავენ.

ელექტრონული სამაჯური **ინგლისში** ძირითადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულებისათვის გამოიყენება.[121]

ნიდერლანდებში 1995 წლიდან ელექტრონული სამაჯურის გამოყენების საპილოტო პროგრამები ხორციელდება. ელექტრონული სამაჯური გამოიყენება არა მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც უცილობლად მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ, არამედ აგრეთვე პირობით ვადამდე **გათავისუფლების დროსაც**. ნიდერლანდებში ელსამაჯურისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კომბინაციასაც ეხვდებით. იმ პირებს, რომელთა მიმართაც შეიძლება დაინიშნოს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მეტი ვადით, მაგრამ რომლებიც ელსამაჯურის შესაფერის კანდიდატებად ჩაითვლებიან, დაინიშნება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ელექტრონული ზედამხედველობით ექვს თვემდე, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არაა ერთიანი აზრი იმის შესახებ, ძალადობრივ და სქესობრივ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ უნდა იქნას თუ არა გამოყენებული ელექტრონული სამაჯური.

როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენთა (middelrisk and high riskoffender) პირობით ვადამდე გათავისუფლების და ელექტრონული სამაჯურით ზედამხედველობას რეციდივის გამო დადებითი შედეგები არ მოჰყოლია.[122] შესაბამისად, გერმანულ სისხლის სამართლის თეორიაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, დამნაშავეთა ამ კატეგორიის მიმართ აშშ-ში ეს მოწყობილობა არ გამოიყენება.[123] უახლესი ინგლისური მონაცემებით კი ელექტრონული ამ დამნაშავეთა მიმართ ელექტრონული კონტროლის ეფექტურობაზეა ხაზი გასმული.[124]

ნიდერლანდებში ელექტრონული ზედამხედველობით სასჯელის მოუხდელი

---

[120] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 10.

[121] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 13.

[122] *Hudy*, Elektronisch überwachter Hausarrest, Baden-Baden, 1999, S. 72; *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 7.

[123] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 618.

[124] *Lockhart-Mirams/ Pickles/Crowhurst*, Cutting Crime, The role of tagging in offender managment, september 2015, p. 6; http://www.reform.uk/wp-content/uploads/2015/09/Tagging-report_AW_WEB.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 17.09.2015).

ნაწილის შეცვლის პროგრამაში ჩართული არიან ის პირებიც კი, რომლებმაც მკველობა და გაუპატიურება ჩაიდინეს.[125] სტატისტიკა იმისა, წარმატებულია თუ არა მძიმე დანაშაულის ჩამდენთა მიმართ ნიდერლანდებში ელექტრონული სამაჯურის გამოყენება, ლიტერატურაში ჯერჯერობით არ ჩანს.

ელექტრონული სამაჯურის მატარებელთა შორის უმეტესობა მამაკაცია (90%) და მათი საშუალო ასაკი 30 წელია (ინგლისში 27 წელი).[126]

„ელექტრონული სამაჯურის" გამოყენების გეოგრაფიული და სამართლებრივი არეალი

ელექტრონული სამაჯური პირველად 1983 წელს აშშ-ში იქნა შემოღებული და მაშინვე მსოფლიოს სხვა ქვეყნების კრიმინოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა.[127] მისი მიზანი გადატვირთული ციხეების განტვირთვა იყო.[128]

აშშ-ს შემდეგ ელექტრონული ზედამხედველობა 1998 წლიდან 2000 წლამდე შემოღებულ იქნა ევროპის ქვეყნებში, შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში. მოგვიანებით კი ასევე შვეიცარიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში ან როგორც კოდიფიცირებული ვალდებულება ან სასჯელი, ანდა როგორც საცდელი პროექტი.[129] ელექტრონული სამაჯური განსაკუთრებულად გავრცელდა შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებსა და ბელგიაში. სამხრეთ ევროპის ქვეყნებში კი მათ შედარებით ნაკლებად იყენებენ.[130]

ელექტრონულ ზედამხედველობას (შინაპატიმრობა და ადგილმდებაროების ელექტრონული კონტროლი), როგორც სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას **აშშ-ში** თავისუფლების აღკვეთასა და პრობაციას შორის ათავსებენ.[131] მსოფლიოში მისი გამოყენების მრავალი სხვადასხვა სახე ზოგადად ორ ჯგუფად უნდა დაიყოს: „Frontdoor System" და „Backdoor System".

---

[125] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 619.

[126] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S.13.

[127] *Feltes*, Bewährungshilfe, 1988, S. 93, nach *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 14.

[128] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 616.

[129] *Weber*, Der elektronisch überwachter Hausarrest und seine versuchsweise Einführung in der Schweiz, nach *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 11.

[130] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 5; *Weber*, Der elektronisch überwachter Hausarrest und seine versuchsweise Einführung in der Schweiz, nach *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 11.

[131] *Albrecht*, Der elektronische Hausarrest, Monatrsschrift für Kriminologie und Strafrechtsreform, 2002, 84 (86).

„Frontdoor System“ (ციხისკარამდელი) ელსამაჯურის გამოყენება მათთვის, ვინც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული და უნდა შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა მცირე ხნით და

„Backdoor System“ (ციხის შემდგომი) მათთვის, რომლებმაც თავისუფლების აღკვეთის ნაწილი უკვე მოიხადეს და გათავისუფლებამდე მცირე დრო აქვთ დარჩენილი.

„Frontdoor System“ გამოიყენებით, როდესაც ელექტრონული სამაჯური მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას ცვლის, პირს პენიტენციალურ სისტემასთან ყოველგვარ შეხებას აცილებენ თავიდან.[132] ელექტრონული სამაჯური გამოიყენება ასევე სასჯელის მოუხდელი ნაწილის შესაცვლელად - „Backdoor System“, რათა ერთი მხრივ, პირი შეეჩვიოს თავისუფლებაში ყოფნას და მეორე მხრივ, გარანტირებულ იქნას საზოგადოების უსაფრთხოება.[133]

ევროპაში 90-იანი წლების ბოლომდე ყველაზე გავრცელებული იყო „Frontdoor System“ მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის და **წინასწარი პატიმრობის** თავიდან ასაცილებლად. დღეისათვის გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ნაწილის შეცვლას ელექტრონული ზედამხედველობით „Backdoor System“.

არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ელექტრონულ ბორკილს 2012 წლის მონაცემებით იყენებდა ინგლისი და და უელსი და გერმანიაში - ჰესენის მხარე.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში ჰესენის მხარე ამ ღონისძიებას არასრულწლოვანთა საპატიმრო სასჯელის სრულ დასრულებამდე „თავისუფლებისათვის მოსამზადებლად“ იყენებს და არა მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად (იხ. ქვემოთ, ელექტრონული სამაჯურის გამოყენება არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში).

ელექტრონული ბორკილი 2012 წლის მონაცემებით მხოლოდ საფრანგეთსა და გერმანიაში გამოიყენება როგორც პირობითი მსჯავრისას ვალდებულების დაკისრება.[134]

შვედეთში მოსამართლეს ჯერ თავისუფლების აღკვეთის შესახებ გამოაქვს განაჩენი, შემდეგ კი მას ელექტრონული ზედამხედველობით ცვლის.

შვეიცარიაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის, სულ მცირე ერთი წლის მოხდის შემდეგ თავისუფლებააღკვეთილს განაცხადი შეაქვს გათავისუფლების და ელექტრონული ზედამხედველობის დან-

---

[132] *Albrecht/Arnold/Schädler,* Der hessische Modelversuch zur Anwendung der elektronischen Fußfessel“ in: ZRP, 466 (469).

[133] ავსტრიის იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, ავსტრიაში სქესობრივ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ ელექტრონული ბორკილი გამოიყენება მხოლოდ სასჯელის მოუხდელი ნაწილის ელექტრონული ზედამხედველობით შეცვლისას. Strafvollzug im Österreich, Stand Jänner 2013, S. 34 https://www.justiz.gv.at/web2013/file/2c94848b47af5e070148aba8bc8c1661.de.0/strafvollzug_download.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.08.2015)

[134] *Önel,* Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel“, in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 12.

იშვნასთან დაკავშირებით. ელექტრონული ზედამხედველობა დაინიშნება ექვსი კვირიდან ერთ წლამდე. ელექტრონული ზედამხედველობა აქ თავისუფლების აღკვეთის ნაწილია და მის დანიშვნაზე გადაწყვეტილება საპატიმროს დირექციას გამოაქვს.[135]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში ელექტრონული ზედამხედველობის მრავალფეროვნებისაგან დამოუკიდებლად მისი გამოყენების რამდენიმე ზოგად წინაპირობა უნდა გამოიყოს: უპირველესად საჭიროა თავად პირის თანხმობა, რომელმაც ელექტრონული სამაჯური უნდა ატაროს. ხშირ შემთხვევაში მოითხოვენ ასევე ოჯახის წევრთა თანხმობასაც.[136] ამასთან აუცილებელია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (საკმარისია ახლობლის ან მეგობრის ბინა ან საცხოვრებელი ქარავან-ავტომობილი) და პირველი თაობის ელექტრონული კონტროლისათვის სტაციონარული ტელეფონი. საჭიროა ასევე, პირს ჰქონდეს კვირაში სულ მცირე 20 საათი დასაქმება (სწავლა, სამუშაო, თერაპია). თუ პირი პენსიონერი ან უმუშევარია, მან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა უნდა დაივალოს. აკრძალულია ზედამხედველობისას ნარკოტიკების და ალკოჰოლის მიღება, რაც მკაცრად კონტროლდება. სამაჯურით აღჭურვილთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ზედამხედველობის ორგანოს. კონტროლი ხორციელდება არა მხოლოდ ელექტრონულად, არამედ აგრეთვე ზედამხედველობის ორგანოს მიერაც. ზედამხედველობის ორგანოს კონტროლი შეიძლება იყოს როგორც მოულოდნელი, ასევე მცირე ხნით ადრე შეტყობინებული.[137]

ზედამხედველობის განსახორციელებლად დასაქმებული არიან ან სოციალური მუშაკები, ანდა პრობაციის ოფიცრები.[138]

ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ხანგრძლიობა

ელექტრონული სამაჯური, როგორც წინასწარი პატიმრობის ალტერნატივა, გამოყენებულია პორტუგალიაში, იტალიასა და საფრანგეთში, ასევე არასრულწლოვანთა საქმეებზე წინასწარი გამოძიებისას ინგლისსა და უელსში. მისი გამოყენების ხანგრძლიობა არაა მითითებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ მისი ხანგრძლიობა წინასწარი გამოძიების ხანგრძლიობით განისაზღვრება.[139]

ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ხანგრძლიობა სხვადასხვა ქვეყა-

---

[135] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 6.

[136] *Fünfsinn*, Die elektronische Fußfessel in Hessen – Sicherheitsmaßnahme oder pädagogisches Hilfsmittel? in: *Müller/Sander/Valkova*, FS für *Ulrich Eisenberg*, München 2009, S. 691 (703).

[137] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 6.

[138] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 7.

[139] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 12.

ნაში სხვადასხვაა და არაა დამოკიდებული გამოყენების სახეზე (საპატიმრომდე თუ პატიმრობის შემდეგ). ევროპის პრაქტიკაში ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ხანგრძლიობა კანონით მითითებულის სრულ ხანგრძლიობას კი არ ამოწურავს, არამედ მხოლოდ მის ნახევარზე მეტია.

ყველაზე ეკონომიურად, როგორც წინასწარი პატიმრობის თავიდან აცილების საშუალებას (Frontdoor), მას შვედეთში იყენებენ და პრაქტიკაში ორმოც დღეს არ სცილდება. მას მოსდევს ინგლისი და უელსი, როგორც საპატიმროს შემდგომი ვარიანტი (Backdoor), სადაც ელექტრონული სამაჯურის გამოყენება ორ თვეს არ აღემატება. გამოყენების ყველაზე ხანგრძლივ დროს, თორმეტ თვეს საფრანგეთის ესპანეთის და ნიდერლანდების კანონმდებლობა ითვალსწინებს და ეს საპატიმროს შემდგომი ვარიანტია (Backdoor). ელექტრონული ბორკილს ამ ვარიანტით ყველაზე ხანგრძლივად, რვა თვით პრაქტიკაში მხოლოდ ესპანელები გამოიყენებენ.

2012 წლისათვის აშშ-ში ელექტრონულ ბორკილს 100 000 პირი ატარებდა და საშუალოდ მათი გამოყენება 79 დღით განისაზღვრებოდა.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება მსოფლიოს მასშტაბით საშუალოდ ორ თვეს აღწევს.[140]

„ელექტრონული სამაჯური" როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა გერმანიაში

გერმანიის მიწათაგან ჰესენის მიწას ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს.[141] ამ მხარემ კონტროლის ეს ახალი საშუალება უკვე 2000 წლიდან დანერგა.

ჰესენის საპილოტო პროექტი ელექტრონული სამაჯურის გამოყენებას შემდეგ შემთხვევებში ითვალისწინებდა:

1. პირობითი მსჯავრის შეფარდებისას მოვალეობის დაკისრება (§56 c StGB)
2. პირობითი მსჯავრის გაუქმების მაგიერ (§56 f StGB)
3. ქცევაზე კონტროლისას პრევენციული პატიმრობის შემდეგ (§§68 ff StGB) (იხ. ზემოთ).
4. წინასწარი პატიმრობის მაგიერ (§116 StPO) და მოგვიანებით ასევე

---

[140] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 7.

[141] გერმანიაში სასჯელაღსრულება მხარეთა (მიწათა) კომპეტენციაშია. ჰესენის მიწასთან ერთად ელექტრონული სამაჯურის გამოყენებას ასევე სხვა რამდენიმე მიწის სასჯელაღსრულების კანონმდებლობაც ითვალისწინებს. 2012 წლის 1 იანვარს კი ძალაში შევიდა გერმანიის რამდენიმე მხარის (ჰესენის, ბავარიის, ნორდრაინ-ვესტფალენის და ბადენ-ვურტემბერგის) სახელმწიფო ხელშეკრულება ამ მიწათა საერთო ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ. იხ. https://justizministerium.hessen.de/ueber-uns/praevention/gemeinsame-elektronische-ueberwachungsstelle-der-laender (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2011).

5. ჰესენის მიწის შეწყალების შესახებ კანონით შეწყალებისას.[142]

6. შემდგომ კი ამ ჩამონათვალს დაემატა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ღონისძიება. არასრულწლოვანთა „წინასწარი გათავისუფლება" სასჯელის მოხდამდე ოთხი თვით ადრე, თავისუფლების პირობებთან ადაპტაციისათვის. (გერმანიის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესის §83).

ყველა ამ შემთხვევაში **ელექტრონული სამაჯურის გამოყენება შეიძლება** მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მის გარეშე თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გადაუდებელი აუცილებლობა იქნებოდა. ამგვარად, ელექტრონული სამაჯური ჰესენში ორ ფუნქციას ასრულებს. ესაა ან **უცილობელი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, ანდა პრევენციული პატიმრობიდან გათავისუფლებულზე ზედამხედველობის საშუალება.**

ჰესენის საპილოტო პროექტის კრიმინოლოგიურმა გამოკვლევამ, რომელიც მაქს პლანკის ინსტიტუტის მიერ პარალელურად ხორციელდებოდა აჩვენა, რომ ამ ჩამოთვლილ **პრობაციონერებიდან ყველაზე კარგი შედეგები პირობების დაცვის მხრივ იმ პირებს ჰქონდათ,** რომლებსაც პირობითი მსჯავრის გაუქმება ელოდათ. მათ პირობითი მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით კი არ შეეცვალა, არამედ ვალდებულებების დაკისრებით და ამ ვალდებულებათა შესრულების ელექტრონული კონტროლით. ელექტრონული სამაჯურის ღონისძიება მხოლოდ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების და წინასწარი პატიმრობის რამდენიმე შემთხვევაში გაუქმდა და პირები თავისუფლების აღკვეთის დაგილას დაბრუნდნენ[143]. თუმცა შეუძლებელია თქმა იმისა, რომ ზოგადად ამ პირთა მიმართ ამ ღონისძიების გამოყენება უშედეგო იყო.

როგორც ვხედავთ, ეს ღონისძიება გერმანიაში ყველა შემთხვევებისათვის არ იყო გამოსადეგი. თუმცა ეს კრიმინოლოგიური გამოკვლევა მხოლოდ ამ კონკრეტული მიწის თავისებურების გამომხატველი შეიძლება იყოს და ინტერნაციონალური მასშტაბით განზოგადების საშუალებას არ იძლეოდეს.

ელექტრონული სამაჯურის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის გამოსადეგობა ჰესენის პროექტის მიხედვით

ჰესენის პროექტმა პრობანდებს **თავისუფლების უცილობელი აღკვეთის** სანაცვლოდ „ელექტრონული ბორკილი" შესთავაზა. სწორედ ამაში მდგომარეობდა ამ ღონისძიების დადებითი მხარე. პრობანდები პროექტში საკუთარი (და ოჯახის) სურვილით ჩაერთვნენ და უდიდესმა უმრავლესობამ ეს გამოცდა

[142] *Mayer,* Modelprojekt elektronische Fußfessel, S.1 http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

[143] ჰესენის მოდელპროექტით ვალდებულების დარღვევის გამო ელექტრონული სამაჯურის ღონისძიების დამთავრების სიხშირე ევროპის გამოცდილებას იმეორებს. ევროპაში ამგვარი დარღვევის გამო ამ ღონისძიების დამთავრება 5-15 %-მდეა. *Mayer,* Modelprojekt elektronische Fußfessel, S.16 http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

წარმატებით ჩააბარა.

ელექტრონული კონტროლის პარალელურად პრობანდებს მჭიდრო, უმეტესწილად პოზიტიური **კონტაქტი** (კვირაში ერთხელ) ჰქონდათ სამეცნიერო პროექტის მონაწილეებთან. ამასთანავე მათ შეეძლოთ ოცდაოთხსაათიანი კონტაქტი დაემყარებინათ პროექტის სხვა მონაწილეებთანაც.[144]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც კვირის გეგმის მოქნილობა, ასევე ამ ღონისძიების ადრეულად დამთავრების შესაძლებლობის ვარგისიანობა. თუ **დადგინდებოდა,** რომ პირი სოციალური ცხოვრების წესებს არ არღვევდა და დადგენილ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდა, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ამ ღონისძიების **ვადაზე ადრე დამთავრებაც**.

მკვლევართა მიერ დადასტურდა აგრეთვე ადამიანური ფაქტორის და პედაგოგიური მიდგომის გადამწყვეტი როლი „ელექტრონული ბორკილის" გამოყენებისას, რასაც ჯერ სათანადო ყურადღება არ მიჰქცევია. გამოირკვა, რომ პროექტში არსებობდა ელექტრონული კონტროლისადმი ორგვარი მიდგომა. ერთი მიდგომის მიხედვით, ელექტრონული კონტროლისათვის შექმნილი იყო კვირის მეტად მკაცრი, მჭიდრო გეგმა. ნებისმიერი გადახვევა ამ გეგმისაგან ზედამხედველთან უნდა შეთანხმებულიყო. პრობანდი იძულებული ხდებოდა, თავისუფალი დრო მკაცრად განსაზღვრული რეჟიმით განეხორციელებინა, რაც სპონტანური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას გამორიცხავდა და პირის სოციალური კონტაქტების რღვევას იწვევდა. შესაბამისად იზრდებოდა ზედამხედველის **ძალაუფლება და** ხდებოდა გეგმიდან გადახვევის პროვოცირება.

კონტროლის მეორე ტიპი კვირის გეგმის შედგენისას ხშირ შემთხვევაში პრობანდის მოთხოვნილებებს იღებდა მხედველობაში და გაცილებით უფრო მოქნილი იყო. შესაბამისად ზედამხედველს გაცილებით ნაკლები ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე პირველ შემთხვევაში, რადგან გეგმის შეცვლისათვის გადაწყვეტილების მიღება მასზე დამოკიდებული არ იყო. ეს კი შესაძლებელს ხდიდა შესაბამისად სოციალური კონტაქტების შენარჩუნებას და ელექტრონული სამაჯურის მიხედვით კონტროლი ადვილად ასატანი ხდებოდა. სამაგიეროდ ზედამხედველს არ ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა **პრობაციონერის** ცხოვრებაზე. კრიმინოლოგების მითითებით, კონტროლის როგორც ერთი, ასევე მეორე ტიპი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლებელია ფსიქოლოგიურად გამართლებული და კარგი შედეგის მომტანი იყოს.[145] შესაბამისად აუცილებელია არა მხოლოდ ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება, არამედ ინდივიდუალური მიდგომა ცალკეულ პირთან. აუცილებელია კლიენტის პიროვნების თავისებურებებიდან გამომდინარე კვირის გეგმის შედგენა და კონტაქტის ინტენსიურობის საკითხის გადაწყვეტა.

---

[144] *Mayer,* Modelprojekt elektronische Fußfessel, S.18. http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

[145] *Mayer,* Modelprojekt elektronische Fußfessel, S.21. http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

ელექტრონული სამაჯურის გამოყენებისას უნდა დადგინდეს, თუ როდის ჩაითვლება შინაპატიმრობის **გეგმიდან გადახვევა** დარღვევად. ნებისმიერი ხუთწუთიანი დარღვევა სამართლებრივი შედეგების გამომწვევი არ უნდა იყოს. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს დარღვევის სიხშირესაც და დარღვევის საფუძველსაც.

ამასთან საჭიროა პირის და მისი ოჯახის ინფორმირება, თუ რა შედეგი მოჰყვება აუცილებლობით გამოწვეულ გეგმიდან გადახვევას. იმ შემთხვევაში, თუ გეგმიდან გადახვევა გადაუდებელი საჭიროებით არის ნაკარნახევი და ეს დასაბუთებადიცაა, გეგმიდან გადახვევა სამართლებრივი შედეგების გამომწვევი არ უნდა იყოს და ელსამაჯურის მატარებელი და მისი ოჯახი ამ იფორმაციას უნდა ფლობდეს. ამ ინფორმაციის არქონა როგორც სამაჯურით აღჭურვილი პირის, ასევე მისი ოჯახის ზედმეტ სტრესს გამოიწვევს.

„ელექტრონული სამაჯური" გერმანიაში როგორც სასჯელმოხდილ „საშიშ პირთა" კონტროლის საშუალება პრევენციული პატიმრობის ნაცვლად

გერმანიაში სისხლისსამართლებრივი რეაქცია მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე ორკვალიან სისტემას მისდევს, ანუ სისხლისსამართლებრივი რეაქცია ჯგუფად იყოფა — სასჯელი და გამასწორებელი ღონისძიებები. სასჯელის დანიშვნის **წინაპირობაა** ბრალი დანაშაულის ჩადენაში, რაც შეეხება გამასწორებელ ღონისძიებებს, ისინი ბრალისაგან დამოუკიდებლად დაინიშნება.

გამასწორებელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები გერმანიაში ორ ჯგუფად იყოფა - თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებები და ღონისძიებები თავისუფლების აღკვეთის გარეშე.

თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული გამასწორებელი და სოციალური დაცვის ღონისძიებებია: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება (გსსკ §63), მოთავსება სადეტოქსიკაციო დაწესებულებაში (გსსკ §64) და პრევენციული თავისუფლების აღკვეთა (გსსკ §66).

გამასწორებელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები თავისუფლების აღკვეთის გარეშე შემდეგია: ქცევაზე ზედამხედველობა (გსსკ §68) მართვის უფლების ჩამორთმევა (გსსკ 69) და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (გსსკ §70).

ამ ღონისძიებათა დანიშვნა შესაძლებელია როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ასევე ერთადაც. მართალია, გამასწორებელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები ბრალის გარეშე დაინიშნება, მაგრამ ისინიც მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოში არიან მოქცეული. დაუშვებელია პირის საშიშროების არაპროპორციული გამასწორებელი ღონისძიების დანიშვნა. პირის საშიშროება კი მისგან განხორციელებული ქმედებით და ამ ქმედების რეციდივის ალბათობით უნდა განისაზღვროს.

კანონი **სოციალური დაცვის ღონისძიების, ქცევაზე ზედამხედველობის შესახებ,** გერმანიაში 22.12.2010 იქნა მიღებული და 01.01.2011 წელს შევიდა ძა-

ლაში. ამ კანონის მიხედვით სასამართლოს შეუძლია კანონში მითითებული დანაშაულებისათვის (გსსკ §66 აბზ. 3 1-ლი წინადადება, ძალადობრივი და სქესობრივი დანაშაული, დანაშაული ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ და ა.შ) თავისუფლების აღკვეთის გვერდით ქცევაზე კონტროლი დანიშნოს, თუ არსებობს საშიშროება იმისა, რომ პირი შემდგომში ამ დანაშაულს გაიმეორებს. რადგან კანონი ქცევაზე კონტროლის დასაწესებლად მხოლოდ ამ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რეციდივის საშიშროებას მოითხოვს, ცალსახაა, რომ ქცევაზე კონტროლი სხვა, მსუბუქი დანაშაულის ჩადენის საშიშროებისას არ უნდა დაინიშნოს.[146]

ქცევაზე ზედამხედველობა დაინიშნება იმ შემთხვევაში, თუ პირის საშიშროება დადგინდება. გადაწყვეტილება გამოაქვს არა იმ სასამართლოს, ვინც განაჩენი გამოიტანა, არამედ სასჯელაღსრულების პალატის მოსამართლეს, სასჯელის სრულად მოხდამდე ცოტა ხნით ადრე.

ქცევაზე ზედამხედველობის ფუნქციაა სასჯელმოხდილ და საფრთხის შემცველ ადამიანთა როგორც კონტროლი, ასევე მათი დახმარება და მათზე მზრუნველობა.[147]

ამ პირთაგან მომდინარე საფრთხის შესამცირებლად და ზედამხედველობის უკეთესად განსახორციელებლად სისხლის სამართლის კანონმა ახალი ინსტრუმენტი — **ქცევის ელექტრონული კონტროლი** (§68 ბ აბზ. I 1-ლი წინადადება, ნომერი 12) ანუ „ელექტრონული სამაჯური" შემოიღო. ელექტრონული მონიტორინგი გერმანიას ჩვეული საფუძვლიანი დებატების შემდეგ არ დაუკანონებია. თავისუფლების შეზღუდვის ამ სახის შემოღება გადაუდებელი საჭიროების გამო გახდა აუცილებელი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ პრევენციული პატიმრობის შესახებ გერმანული კანონმდებლობის და პრაქტიკის ადამიანის უფლებათა დამრღვევად აღიარების შემდეგ.[148] ამგვარად გერმანია იძულებული გახდა, პრევენციულად თავისუფლებააღკვეთილი პირები გაეთავისუფლებინა[149] და მათ დიდ ნაწილზე პოლიციის მკაცრი ოცდაოთხსაათიანი ზედამხედველობა დაეწესებინა. პოლიციის მხრივ გამოითქვა აზრი, რომ მკაცრი

---

[146] საფრანგეთში ალექტრონული კონტროლი ასევე მძიმე დანაშაულის ჩამდენებისთვისაა გათვალისწინებული, ასევე ქცევაზე კონტროლის ღონისძიებაა. იხ. *Baunesein*, Die elektronische Überwachungdes Aufenthaltsorts als neues Instrument der Führungsaufsicht, StV 5, 211, S. 315.

[147] *Maier*, Strafrechtliche Sanktionen, Berlin Heidelberg, 2015, S. 292.

[148] ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ თავისუფლების აღმკვეთი სოციალური დაცვის ღონისძიება სასჯელად ჩათვალა და დარღვეულად მიიჩნია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცი (თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება) და მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი (არ არის სასჯელი კანონის გარეშე).

[149] http://www.coe.int/t/d/menschenrechtsgerichtshof/dokumente_auf_deutsch/volltext/urteile/ 2009 1217- M.asp (უკანასკნელად შემოწმებულია 08.09.2015); *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 1.

ზედამხედველობის განხორციელება დიდ ხანს ვერ გაგრძელდებოდა.[150] სწორედ ამან განაპირობა „ელექტრონული ბორკილის" (გსსკ §68 ბ აბზ. I 1-ლი წინადადება, ნომერი 12) შესახებ საკანონმდებლო ცვლილება სასჯელის და სოციალური დაცვის ღონისძიებისგან გათავისუფლებულ იმ პირთა მიმართ, რომელთა სოციალური საშიშროება განსაკუთრებით დიდია, ანუ დიდია საშიშროება იმისა, რომ ისინი ახალ დანაშაულს ჩაიდენენ.

ეს ღონისძიება არაა სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების მსგავსი, რადგან პირებმა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით სრულად მოიხადეს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „ელექტრონულ ბორკილს" მისი მატარებლის მიმართ ამგვარ შემთხვევებში პრევენციის კი არა, ფსიქოლოგიური ბარიერის ფუნქცია ეკისრება, რადგან ამგვარი კონტროლისას პირის დანაშაულის დამნაშავის გამოვლენის რისკი მაღალია.[151]

„ელექტრონული სამაჯურის" მატარებელთა მოვალეობანი კანონითაა (გსსკ §68 ბ აბზ. I 1-ლი წინადადება, ნომერი 12) განსაზღვრული. ამ ნორმის მიხედვით პირი ვალდებულია ელექტრონული კონტროლისათვის განკუთვნილი ხელსაწყო მუდამ თან ატაროს, იგი პასუხისმგებელია ამ ხელსაწყოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე და ამასთანავე იგი ვალდებულია არ მოახდინოს არავითარი ზემოქმედება ამ ხელსაწყოზე. ელექტრონული სამაჯურის მატარებლებს ასევე განესაზღვრებათ ადგილსამყოფელი (ბინიდან გაუსვლელობა განსაზღვრულ დროს), ანდა ეკრძალებათ მისვლა ისეთ ადგილებში, სადაც მათი პოტენციური მსხვერპლი იმყოფება. მაგალითისათვის, პედოფილებს ეკრძალებათ საბავშვო დაწესებულებებთან, სკოლებთან და ბავშვების სათამაშო ადგილებთან მიახლოება.

ელექტრონული სამაჯურის ეკონომიურობა

ვარაუდობენ, რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენებამ მატერიალური რესურსები უნდა დაზოგოს და საპატიმროები განტვირთოს.

ჰესენის მიწის საპილოტო პროექტის განხორციელებისას ელექტრონული სამაჯურის ყოველდღიური ღირებულება თითოეულ პრობაციონერზე დღიურად 92.88 ევროს შეადგენდა. აქ გაითვალისწინება არა მხოლოდ ტექნიკური ზედამხედველობის, არამედ აგრეთვე მზრუნველობის ღირებულებაც. ჰესენის მიწის საპილოტო პროექტის განხორციელებისას ვარაუდობდნენ, რომ ელსამაჯურის გამოყენება ყოველდღიური ღირებულება ადამიანური ფაქტორის პოტენციალის სრული გამოყენებისას დაახლოებით მხოლოდ 20-25 ევრო უნდა დაჯდეს. დღევანდელი მონაცემებით გერმანიაში ელექტრონული კონტროლი

---

[150] ერთ ამგვარ საშიშ კონტროლირებულზე 25 პოლიციელი მოდის. იხ., B*Baunesein*, Die elektronische Überwachungdes Aufenthaltsorts als neues Instrument der Führungsaufsicht, StV 5, 211, S. 311.

[151] B*Baunesein*, Die elektronische Überwachungdes Aufenthaltsorts als neues Instrument der Führungsaufsicht, StV 5, 211, S. 312.

სახელმწიფოს 36 ევრო უჯდება.[152] როგორც ვხედავთ, საპილოტო პროექტის განხორციელებისას ჩატარებული კვლევის ვარაუდი არ გამართლდა და დღევანდელი ხარჯები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სავარაუდო.

2012 წლისათვის ამერიკის ციხეებში პატიმართა ოდენობა ელექტრონული სამაჯურის აქტიური გამოყენების მიუხედავად 2, 1 მილიონს შეადგენდა. პატიმართა რაოდენობა 2,8%-ით მეტი იყო, ვიდრე წინა წელს. ყოველ წელს ამერიკაში ელექტრონული ზედამხედველობა 450 000-ჯერ დაინიშნება.[153] ძნელია თქმა იმისა, თუ რამდენი პატიმარი იქნებოდა აშშ-ის ციხეებში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების გარეშე, მაგრამ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აშშ-ში ელექტრონულ სამაჯურს სასურველი შედეგი — მატერიალური რესურსების დაზოგვა არ მოჰყოლია.[154]

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ელექტრონული სამაჯურის ღირებულება დღეში საპატიმრო სასჯელის აღსრულების (დღიურად) 1/3 იქნება.[155] თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ერთი პატიმრის შენახვა ყოველდღიურად სახელმწიფოს 31 ლარი უჯდება, [156] გამოდის, რომ ელექტრონული სამაჯური სახელმწიფოს დაახლოებით 10 ლარი (დაახლ. 3 ევრო) უნდა დაუჯდეს. გერმანიაში ელექტრონული კონტროლი სახელმწიფოს 36 ევრო უჯდება,[157] საპატიმროში პატიმრის შესანახად კი სახელმწიფო კი საშუალო სტატისტიკური მონაცემებით 100 ევროს გაიღებს.[158] აშშ-ს ელექტრონული სამაჯური დღეში 7 დოლარი (დაახლოებით 16 ლარი) უჯდება, ერთი პატიმრის შენახვა კი - 35 დოლარი.[159] დასადგენია, რას ეყრდნობა ელსამაჯურის ასეთი

---

[152] ჰესენის საპოლოტო პროექტის მიხედვით ელექტრონული სამაჯურისათვის გაღებული თანხა გაცილებით უფრო მეტია. სავარაუდოა, რომ გერმანიის საერთო მონაცემები, განსხვავებით ჰესენის საპოლოტო პრეოქტისაგან, ადამიანურ ფაქტორს, ზედამხედველობას პოლიციელის მიერ, დანახარჯებში არ ითვალისწინებს.

[153] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 10.

[154] Illert, Aspekte einer Implementierung des elektronischüberwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Göttingen 2005, S. 32; Nach *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 11.

[155] http://www.netgazeti.ge/GE/105/law/24717/ (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

[156] http://www.bpn.ge/ekonomika/10275-ra-ujdeba-sakhelmtsifos-erthi-patimris-shenakhva.html?lang=ka-GE (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

[157] ჰესენის საპოლოტო პროექტის მიხედვით ელექტრონული სამაჯურისათვის გაღებული თანხა გაცილებით უფრო მეტია. სავარაუდოა, რომ გერმანიის საერთო მონაცემები, განსხვავებით ჰესენის საპოლოტო პრეოქტისაგან, ადამიანურ ფაქტორს, ზედამხედველობას პოლიციელის მიერ, დანახარჯებში არ ითვალისწინებს.

[158] http://www.focus.de/politik/ausland/dominique-strauss-kahn/tid-22407/elektronische-fussfessel-fussfesseln-in-deutschland-auf-dem-vormarsch_aid_629426.html (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

[159] https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische_Fu%C3%9Ffessel (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

დაბალი ფასი საქართველოში — დაბალფასიან (და შესაბამისად უხარისხო ელსამაჯურს) თუ ადამიანის ფაქტორის ეკონომიას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული ბორკლით აღჭურვილის მონაწილეობა ამ ღონისძიების დაფინანსებაში. ავსტრიაში ელსამაჯურის მატარებელი ყოველდღიურად 22 ევროს იხდის.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები **პენიტანციური სისტემის კომერციალიზაციის საფრთხეც.** ჰესენის საპილოტო პროექტის მიხედვით, ელექტრონულის სამაჯურის გამოყენების გამო გერმანიის პენიტენციალურ სისტემას ამერიკის პენიტენციალური სისტემის მსგავსად **კომერციალიზაციის** საფრთხე არ ემუქრება. საკითხავია, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ეს ღონისძიება ქართულ პენტენციალურ სისტემაზე ამ კუთხით.

ელექტრონული სამაჯურის „მისჯის" და აღსრულების კომპეტენცია

ელექტრონულ სამაჯურის გამოყენების ვალდებულებას პირს იმის მიხედვით, თუ ქვეყანაში რომელი ვარიანტია არჩეული, Frontdoor თუ Backdoor სხვადასხვა ორგანო აკისრებს. თუ იგი სასჯელადაა გამოყენებული (Frontdoor), მას სასამართლო ნიშნავს. მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ელექტრონული ზედამხედველობით შეცვლის უფლება შვედეთში სასჯელაღსრულების ორგანოს აქვს.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის ელექტრონული სამაჯურით შეცვლაც (Backdoor) ევროპის ქვეყნებში (ნიდერლანდების გარდა) თავისუფლების აღკვეთის ორგანოს მიერ ხდება. ნიდერლანდებში კი საპატიმრო სასჯელს ელექტრონული სამაჯურით სპეციალური ორგანო ცვლის.

რაც შეეხება აღსრულებას, ეს პოლიციის ან კერძო ფირმათა ხელშია.[160]

ელექტრონული სამაჯური და რესოციალიზაცია

ელექტრონული სამაჯურის გამოყენების პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს ღონისძიება ევროპის ქვეყნებში ზოგადად დადებითად აღიქმება.

მიმტევებლობა და გაფრთხილება ელსამაჯურის მატარებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას გაცილებით დიდ ეფექტს იძლევა, და რესოციალიზაციის ხელშემწყობია, ვიდრე დაკისრებული ვალდებულებების მცირე გადახვევაზე მკაცრი რეაგირება. ევროპის ქვეყნებში ელექტრონული სამაჯური 70-90% შედეგიანია.

თუმცა აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ელექტრონულ ბორკილს ხშირად იმ პირთა მიმართაც იყენებენ, რომელთა მიმართ საპატიმრო სასჯელის აუცილებლობა არ არსებობს.[161] ამიტომაც თქმა იმისა, რომ პირის მიერ დანაშაულის

[160] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 12.

[161] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 618.

ჩაუდენლობა მხოლოდ ელექტრონული სამაჯურის ეფექტურობის მაჩვენებელია, არ იქნებოდა სწორი.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ გაცილებით უფრო ეფექტიანია Backdoor პროგრამა (პირობით ვადამდე გათავისუფლება ელექტრონული სამაჯურით), ვიდრე Frontdoor პროგრამა (მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ელსამაჯურით).[162]

თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მონაცემებიც. შვედეთში 1994 წლის კანონით მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის მაგიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაწესდა. შვედეთი მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ელექტრონულმა სამაჯურმა მისი ფუნქცია შეასრულა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ციხეებში პატიმართა რაოდენობა შეამცირა.[163]

შვედეთში ელექტრონული ბორკილის მატარებელთა თითქმის ორ მესამედს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის (ერთი თვე) მაგივრად ელექტრონული ზედამხედველობა შეეფარდა. ერთთვიანი საპატიმრო სასჯელის შეცვლა ელექტრონული ბორკილით Frontdoor პროგრამაა. შვედეთის ეს წარმატება აბათილებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ Backdoor პროგრამა გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე Frontdoor პროგრამა. ეს ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ შვედეთის ელექტრონული სამაჯურის წარმატების მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ.

შვედეთის ელექტრონული სამაჯურის პროგრამა ელსამაჯურის მატარებელსა და პრობაციის განყოფილებასთან **მჭიდრო ადამიანური კონტაქტით** ხასიათდება. „ელსამაჯურის კლიენტურა" ნებისმიერ დროს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოწმდება პრობაციის ოფიცრის მიერ.[164] აშკარაა, რომ შვედეთის ელექტრონული სამაჯურის ეს პროგრამა სწორედ ადამიანური ურთიერთობის კომპონენტის დომინირების გამოა წარმატებული.

ევროპაში ელექტრონული სამაჯურით ზედამხედველობის მიმართ ორი განსხვავებული მიდგომაა. ევროპის ზოგიერთ ქვეყნაში ელექტრონული სამაჯურით ზედამხედველობის გვერდით მრავალფეროვანი დამატებითი ღონისძიებები ხორციელდება. ამ საკითხზე ყურადღებას გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც ამახვილებს და მიუთითებს, რომ რესოციალიზაციისათვის ელექტრონული სამაჯურის გამოყენება არაა საკმარისი. აუცილებელია ელბორკილის მატარებელთა სოციალური პროგრამებში ჩართვა.[165] ესპანეთში, ნიდერლანდებსა და შვედეთში არსებობს რესოციალიზაციისათვის საჭირო პროგრამები: დასაქმება, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, სოციალური ტრენინგის კურსები და სხვ. ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პრობაციის ოფიცერთან დადებითი

[162] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 13.

[163] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 14.

[164] *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 619

[165] BVerfGE 109, 133, 151.

ადამიანური ურთიერთობის ფაქტორსაც. ამიტომაცაა, რომ ამ სისტემამ განსაკუთრებულად კარგი შედეგი გამოიღო ჰოლანდიაში, სადაც 1999 წელს ვადამდე ადრე გათავისუფლებული ელექტრონული სამაჯურით აღჭურვილი 300 პირიდან მხოლოდ ერთმა ჩაიდინა დანაშაული და დაბრუნდა საპატიმროში.[166]

ქვეყანათა მეორე ნაწილი მხოლოდ ელექტრონულ ზედამხედველობას სჯერდება. იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და პორტუგალიაში ელექტრონული ზედამხედველობა ამ ღონისძიებების განხორციელებას არ უკავშირდება.[167]

ელექტრონული სამაჯურის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ჰესენის საპილოტო პროექტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ „კარგად მორგებული", ანუ სწორი კლიენტურისათვის დანიშნული ელექტრონული სამაჯური დაკისრებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს უზრუნველყოფს, პირი ამ ვალდებულების შესრულების საჭიროებას ითავისებს და ამგვარად დაკისრებული მოვალეობების შესრულების შანსი იზრდება.[168]

ელექტრონული სამაჯურის უარყოფითი შედეგები დაწვრილებით იქნა გამოკვლეული როგორც მსოფლიო გამოცდილების გათავლისიწინებით, ასევე ჰესენის საპილოტო პროექტის მიხედვითაც. შინაპატიმრობის და ადგილსამყოფელის ელექტრონული კონტროლის შესახებ გერმანულ სამართლებრივი ლიტერატურაში დადებითი პროგნოზის გვერდით ტექნიკური, ასევე სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე მრავალი კრიტიკული შეხედულებაც გამოითქვა.

დადგინდა, რომ ელექტრონული სამაჯური ტექნიკური ნაკლოვანებებით ხასიათდება. მრავალსართულიან სახლებში მათი ცდომილება დიდია. პერიოდულად ასევე შესაძლებელია ცდომილება ადგილსამყოფელის განსაზღვრისას. გამაკონტროლებელი ორგანო ამ ტექნიკურ ცდომილებას ეჩვევა და კრიტიკულ სიტუაციაში რეაგირებას არ ახდენს, რადგან ჰგონია, რომ ისევ ტექნიკურმა დეფექტმა იჩინა თავი.[169] ზოგჯერ ძნელია ზღვრის გავლება ტექნიკურ დეფექტსა და პირის მიერ განხორციელებულ მანიპულაციას შორის, ამიტომაც პირის დასჯა-დაუსჯელობის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება.

ელექტრონული სამაჯურის მატარებელი პირები უჩივიან ტკივილებს ფეხის არეში. შეზღუდულია ასევე მათი ფიზიკური დატვირთვა და სპორტული აქტივობები (ფეხბურთის თამაში), თუმცა დღეისათვის დაწვრილებითი ინფორმაცია ამ დანადგარის ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი მავნეობის შესახებ არ არსებობს.

ამას გარდა აუცილებელი ხდება ელექტრონული სამაჯურის ბატარიის დატვირთვა, რისთვისაც ამ მოწყობილობის ტექნიკური მონაცემების თანახმად, მარ-

[166] http://www.heise.de/tp/artikel/1/1788/1.html (უკანასკნელად შემოწმებულია 14.09.2015)

[167] *Haverkamp/Levy/Mayer,* Will Electronic Monitoring have a Future in Europe? 2003, S. 1, *nach Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 13.

[168] *Mayer,* Modelprojekt elektronische Fußfessel, S.20. http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

[169] *Beukelmann*, Elektronische Fußfessel, NJW Spezial 2011, S. 632.

თალია, დღე-ღამეში ორი საათია საჭირო,[170] მაგრამ პრაქტიკაში გაცილებით უფრო დიდ დროს მოითხოვს, რაც პირის მოქმედების არეალს ამცირებს.

ჰესენის პროექტის მკვლევარები მიუთითებენ, რომ ელექტრონული სამაჯური პირის ყოველდღიურ ცხოვრებას ზღუდავს და ეს მის სოციალურ კონტაქტებზეც აისახება. მკაცრად გაწერილი კვირის გეგმა სპონტანური სოციალური კონტაქტებისათვის ადგილს არ ტოვებს. თუ პირს თავისი მკაცრი კვირის გეგმის ნამდვილი მიზეზის გამჟღავნება არ სურს, იგი სოციალურ კონტაქტებს კარგავს.[171]

ელექტრონული სამაჯურის გამოყენებისას გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა ადამიანის უფლებების დარღვევასაც. სპეციალისტთა აზრით, ადამიანის უფლებები ელექტრონული სამაჯურის გამოყენებით „ფეხქვეშ ითელება". ამიტომაც გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ ელექტრონულ სამაჯურს ძალიან ხშირად უარყოფითი კონნოტაციით დატვირთული ტერმინებით გამოხატავენ. როგორც ნესი, გამოიყენება სამეცნიერო ჟარგონი - „ელექტრონული ბორკილი", იშვიათად „ელექტრონული საყელურიც" კი, რომელიც ჰეგელის ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორიის გამოძახილია, რადგან, კრიტიკოსთა აზრით, ელექტრონული სამაჯურით ადამიანს ,,ეპყრობიან როგორც ძაღლს, რომელსაც ჯოხს უღერებენ".

სპეციალისტები ამასთანავე მიუთითებენ, რომ სახელმწიფო ელექტრონული სამაჯურის გამოყენებისას **რესოციალიზაციაზე უარს ამბობს** და მოკლე დროში მხოლოდ პირის ადგილსამყოფელის ლიტონი კონტროლით კმაყოფილდება.

კრიტიკოსთა ამ აზრს განამტკიცებს ამ ბოლო წლებში (არასწორად შერჩეული) ელექტრონული სამაჯურის მატარებელთა მიერ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენა. პრაქტიკაში დადგინდა, რომ ელსამაჯურის ფეხიდან მოცილებაც შესაძლებელია და ამისი მაგალითებიც არსებობს. შესაბამისად ელსამაჯური **რეციდივის საფრთხეს** თავიდან ვერ გვაცილებს და პრევენციისათვის ნაკლებად გამოდგება.[172] ამიტომაც გერმანიის პროფკავშირები ელექტრონულ ბორკილს „მოსახლეობის დამამშვიდებელ სარისკო აბს უწოდებს."[173]

სპეციალისტები მიუთითებდნენ, რომ ელექტრონული ბორკილით არც პირის იზოლაცია და სტიგმატიზაცია იქნება თავიდან აცილებული, რადგან სახლში ჩაკეტილი ადამიანი ძველ სოციალურ კონტაქტებს დაკარგავს და ახალ კონტაქტებს ვეღარ დაამყარებს.

---

170 *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 24.

171 *Mayer*, Modelprojekt elektronische Fußfessel, S.23. http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuel!23.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

172 http://www.faz.net/aktuell/politik/inland/salafist-reist-trotz-elektronischer-fussfessel-nach-syrien-13207421.html (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

173 http://www.gdp.de/gdp/gdpnrw.nsf/id/DE_Elektronische-Fussfessel-ist-riskante-Beruhigungspille (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

სპეციალისტთა აზრით, სასჯელი თავის პუნიტიურ ფუნქციასაც ვერ შეასრულებს, რადგან შესაძლებელი გახდება „სასჯელის მოხდა ტელევიზორის წინ ლუდის ბოთლით ხელში" და დამნაშავე, (როგორც წესი, მამაკაცი) როგორც „დამწყვდეული ვეფხვი", ცოლ-შვილს საშიშროებას შეუქმნის.[174]

კრიტიკოსთა შეხედულებით, ელექტრონული სამაჯურის დაკანონებით ყოვლისმომცველი და ყოვლისმაკონტროლებელი **სახელმწიფო** იბადება და ორუელის ლიტერატურულ-კრიტიკული პროგნოზები მართლდება. გარდა ამისა, გამოითქვა შიშიც, რომ საპატიმრო სასჯელის ეს ალტერნატივა ციხეებს კი არ განტვირთავს, არამედ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად სივრცეს აფართოებს და სასჯელის ახალ ფორმას წარმოშობს საპატიმრო სასჯელსა და პრობაციის სხვა მსუბუქ ვალდებულებათა შორის.

სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი სივრცის გაფართოება (Net Widening) ელსამაჯურის გამოყენების კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი პუნქტია.[175] ელექტრონული სამაჯურის გამოყენება ციხეების გადატვირთულობის გამო თავისუფლების აღკვეთის ჰუმანურ და ეკონომიურად მომგებიან საშუალებად ითვლება, თუმცა მიუთითებენ, რომ ამ ხელსაწყოს გამოყენებამ ქვეყანათა უდიდეს უმრავლესობაში **ციხეები არ განტვირთა.** პირიქით, იმ პირთა მართ, რომლებიც წინათ პირობით ვადამდე თავისუფლდებოდნენ სხვადასხვა ვალდებულებების დაკისრებით, ამჟამად ხშირად ელექტრონული ბორკილი გამოიყენება. ამგვარად სახელწიფოს კონტროლის განვრცობის საფრთხე წარმოიშობა. ამ ეფექტს კრიმინოლოგებმა ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში არასრულწლოვანთა დერივაციის ღონისძიებებთან დაკავშირებით მიაქციეს. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ახალი, დღეისათვის უკვე დამკვიდრებული ტერმინი Net Widening, რაც სოციალური კონტროლის გაფართოებას ასახავს, ელსამაჯურის კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ პუნქტად იქცა.[176]

დედგენილია, რომ ხშირად სახელმწიფო ახალი სისხლისსამართლის ალტერნატიული ღონისძიებებით უკან კი არ იხევს და სოციალური კონფლიქტების ნაწილის მოგვარებას კი არ გადაამისამართებს, არამედ სისხლის სამართლის გამოყენების საზღვრებს ზრდის. ტერმინი Net Widening სისხლის სამართლის ექსპანსიას ასახავს.[177]

---

[174] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 14.

[175] *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S.4; S. 14.

[176] *Joling/Rogers*, Elektronisch überwachter Hausarrest: darstellung einer Strafvollzugsalternative in den Vereinigten Staaten, Monatrsschrift für Kriminologie und Strafrechtsreform, 1990, S. 201-209; *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 19.

[177] აშშ-ში ხშირად ელექტრონულ ბორკილს ხშირად იმ პირთა მიმართაც იყენებენ, რომელთა მიმართ საპატიმრო სასჯელის აუცილებლობა არ არსებობს. *Kubik*, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 618.

Net Widening ეფექტის სამ სხვადასხვა ვარიანტს გამოყოფენ: Wider Nets, StrongerNets, New Nets.

Wider Nets კონტროლის ახალ ან არასწორ ადრესატებზე გავრცელებას გულისხმობს. რომ არა ეს ღონისძიება, ანუ კონტროლის ეს სახე, ეს პირი ან სისხლის სამართლის სუბიექტად საერთოდ არ იქნებოდა აღქმული (ახალი ადრესატი), ანდა მის მიმართ სხვა, გაცილებით უფრო მსუბუქი სასჯელი (მაგალითად, მხოლოდ პირობითი მსჯავრი ან მხოლოდ ჯარიმა) იქნებოდა გამოყენებული (არასწორი ადრესატი).

StrongerNets ყურადღებას ამახვილებს ზოგადად სისხლისსამართლებრივი სანქციების გამკაცრებაზე. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ამ ახალი ღონისძიებით პირი გაცილებით უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე უკვე არსებულით. რადგან ელექტრონული სამაჯურის ტარების „მისჯა" შესაძლებელია უფრო ხანგრძლივი ვადით დაინიშნოს, ვიდრე საპატიმრო სასჯელი, კრიტიკის ეს პუნქტი ელსამაჯურის გამოყენების კრიტიკული თვალით შესახედად გამოდგება.

New Nets კი ახალი ორგანოების ჩამოყალიბებაზე მიუთითებს, რომლებიც ამ ახალი სანქციების გარეშე არ იარსებებდნენ. ისინი არსებულ ორგანოებს კი არ ცვლიან, არამედ მათ გვერდით აღმოცენდებიან და ვითარდებიან, რითაც სახელმწიფოს დამატებით ტვირთად აწვებიან. ელსამაჯურის გამოსაყენებლად ახალი ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება და მათი ტექნიკური ზედამხედველობაა საჭირო. ამგვარად ყალიბდება კონტროლის ახალი ქსელი, რომელიც დამატებით დაფინანსებას მოითხოვს.

ელექტრონული სამაჯური არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში

2012 წლის მონაცემებით არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ელექტრონული სამაჯური მხოლოდ ინგილსსა და უელსში გამოიყენებოდა.[178]

გერმანიაში, ჰესენის მინაზეც ელსამაჯურის გამოყენება დაიწყეს არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას. 2015 წლის იანვრის მონაცემებით კი შვეიცარიაში, ბაზელის კანტონში ტრადიციულ სისხლის სამართალში წინასწარი პატიმრობის თავიდან ასაცილებლად ელექტრონული ბორკილით მიღებული კარგი შედეგების გამო ელსამაჯური არასრულწლოვან დამნაშავეებზეც გავრცელდა.[179] ვარაუდობენ, რომ ელსამაჯური დადებით შედეგებს მოიტანს ასევე საპატიმრო სასჯელის სრულ მოხდამდე, პირის თავისუფლებისათვის მომზადებისასაც.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილით მუხლის მიხედვით შინაპატიმრობა ინიშნება ექვსი თვიდან ერთ წლამდე. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით შინაპატიმრობაზე ელექტრონული

---

178 *Önel*, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012,S. 12.

179 https://www.baselland.ch/electronic-monitoring-htm.305223.0.html (უკანასკნელად შემოწმებულია 14.09.2015).

ზედამხედველობა ხორციელდება. გამოდის, რომ შინაპატიმრობა ელექტრონული ზედამხედველობით არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ინიშნება, რაც მეტად მკაცრი რეაქციაა[180] და მისი გამოყენება არაპროპორციულია.

ფსიქოლოგთა კვლევით დადგენილია, რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენებიდან ექვსი თვის შემდეგ სრულწლოვან და ფსიქიკურად მდგრად პირებს ფსიქიკური გადახრები აღენიშნებათ. ამიტომაც საფრანგეთმა საპილოტო პროექტში ელექტრონული სამაჯურის გამოყენება ზრდასრულ პირთა მიმართ ექვსი თვით შეზღუდა.[181] პირთა ასაკი, რომელთა მიმართაც ელექტრონული სამაჯური გამოიყენება, მსოფლიო გამოცდილებით 30 წელს შეადგენს. გამონაკლისია ინგლისი, სადაც ელექტრნული სამაჯურის კლიენტურის საშუალო ასაკი 27 წელია.[182]

საკითხავია, რა ზეგავლენას მოახდენს საქართველოში ერთ წლამდე ელექტრონული ზედამხედველობით კონტროლირებული შინაპატიმრობა არასრულწლოვნის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე.

ელექტრონული სამაჯურის სიძვირის გამო 2013 წლის მონაცემებით ავსტრიაში მსჯავრდებული ყოველდღიურად 22 ევროს იხდის.[183] თუ საქართველოში თანადაფინანსება საჭირო გახდება, შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგით არასრულწლოვნის მშობლის მიმართ დანიშნული შეფარული ჯარიმა იქნება.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენება ციხეების განტვირთვამდე ვერ მიგვიყვანს და პირიქით, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს კონტროლის სფერო ფართოვდება (Net Widening). ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის არასრულწლოვნისათვის შინაპატმრობის დანიშვნა ელექტრონული მონიტორინგით ელექტრონული ბორკილის არასწორად, არასწორი ადრესატის მიმართ გამოყენების საპარადო მაგალითად გამოდგება, როგორც Net Widening მოვლენის პირველი გამოვლინება - Wider Nets (იხ. ზემოთ).

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დაცვას ითვალისწინებს. ამ მუხლის მე-2 ნაწილით ინფორმაცია არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ საჯარო

---

[180] სწორედ ამიტომაც გერმანიაში ელექტრონული ბორკილი პრევენციული პატიმრობიდან გათავისუფლებულ იმ პირთა მიმართ გამოიყენება, რომლებიც რეციდივის საშიშროებით ხასიათდებიან. არასრულწლოვნებისათვის კი ელსამაჯური ჰესენის პროექტის მიხედვით, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას გამოიყენება.

[181] https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische_Fu%C3%9Ffessel (უკანასკნელად შემოწმებულია 15.06.2015).

[182] *Önel*, S. 12 Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „elektronischen Fußfessel", in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Instituts der Leibniz Universität Hannover, Band 1, 2012, S.13 (15.06.2015).

[183] Strafvollzug in Österreich, S. 35, https://www.justiz.gv.at/web2013/file/2c94848b47af5e070148aba8bc8c1661.de.0/strafvollzug_download.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 15.06.2015).

არაა. ასევე დაუშვებელია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების რაიმე სახით გამჟღავნება. ელექტრონული სამაჯური კი ყველასათვის ხილვადია და არასრულწლოვნის ნასამართლობას საჯაროს ხდის. შესაბამისად ხდება მისი **სტიგმატიზაცია და მარგინალიზაცია.**

ელექტრონული სამაჯურის გამოყენების პერსპექტივები

ჰესენის მოდელურმა პროექტმა აჩვენა, რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენება სპეციალურ შემთხვევებში თავისუფლების აღკვეთის ჰუმანური ალტერნატივაა. მკვლევართა აზრით, ზედამხედველ პირთა მიერ ელექტრონული სამაჯურის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია კარგად ჩამოყალიბებული, პედაგოგიურად დასაბუთებული გეგმის შედგენა და ადრესატების წრის სწორი განსაზღვრა. ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ყველაზე დიდი საფრთხე მისი არასწორი ადრესატის მიმართ გამოყენება, ე.ი. ელექტრონული სამაჯურით იმ პირის გაკონტროლებაა, რომელსაც თავისუფლების უცილობელი აღკვეთა არ ემუქრება (net widening).[184] სწორად მიუთითებენ გერმანულ სიხლის სამართლის თეორიაში, რომ ელბორკილი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც თავისუფლების აღკვეთის **პირობითად ჩათვლა** შეცვლა შეუძლებელია.[185]

რეკომენდაცია

ქართულის სინამდვილისათვის უკეთესია, რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ორივე ვარიანტისას (ციხისკარამდელი და cixis შემდგომი) ელექტრონული ზედამხედველობის დანიშვნის პრეროგატივა მხოლოდ სასამართლოს ხელში იყოს, აღსრულებას კი მხოლოდ პოლიცია ხელმძღვანელობდეს.

საქართველოში ელექტრონული სამაჯურის გამოყენება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სხვა ღონისძიებებს. ადამიანის ფაქტორი არ უნდა იყოს გამორიცხული და სახელმწიფოს ზემოქმედება დამნაშავეზე მხოლოდ ვირტუალურ საზღვრებში მოქცევით არ უნდა დასრულდეს. მარტოდენ ელექტრონული ზედამხედველობის განახორციელება სასჯელის მიზნებს ვერ შეასრულებს. ამიტომაც აუცილებელია რისკ-ჯგუფებზე მორგებული სოციალ-ფსიქოლოგიური და სასწავლო ტრენინგების შემოღება. მაგ., ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენისათვის შინაპატიმრობის ელექტრონული სამაჯურით გაკონტროლების გვერდით ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების კურსების გავლა, ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენისათვის — სოციალური ტრენინგი. ასევე აცილებელია ელსამაჯურის გვერდით ნარკოდანაშაულის ჩამდენისათვის დეტოქსიკაციის ვალდებულების დაკისრება.

---

184 *Mayer,* Modelprojekt elektronische Fußfessel, S.25-26. http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 09.09.2015).

185 *Fromel*, Alternative Strafen und alternativen zum Freiheitsentzung, Neue Kriminalpollitik 1999, 3. S. 12.

ყურადღება უნდა მიექცეს ასევე დაზარალებულის ინტერესებსაც. ქონებრივი დანაშაულისათვის ელსამაჯურის ტარების ვალდებულებასთან ერთად ზარალის ანაზღაურების და დაზარალებულთან ურთიერთობის დაბალანსების ვალდებულების დაკისრება საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამკვიდრების საწინდარი იქნება.

ქართულ სინამდვილეში ელექტრონული სამაჯურის გამოყენებამ შეიძლება კარგი შედეგი მოიტანოს როგორც სრულწლოვანთა, ასევე არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას შინაპატიმრობით და მისი ელექტრონული კონტროლით, ანუ ელსამაჯური „ციხის კარის შემდეგ".

ასევე შეიძლება ელსამაჯურმა დადებით შედეგები მოიტანოს საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივ მოხდის შემდეგ, პირის თავისუფლებისათვის მოსამზადებლად, სხვათა მიერ დაგეგმილი დღის წესრიგიდან ავტონომიურ დღის წესრიგზე გადასვლის სიძნელეების თავიდან ასაცილებლად.

ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ელსამაჯურის „ციხისკარამდელი" გამოყენება წინასწარი პატიმრობის შესაცვლელად.

ელსამაჯურის გამოყენება მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად მხოლოდ უაღრესად გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს დაშვებული, ანუ მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთა პირს უცილობლად ემუქრება. მხოლოდ ამგვარად იქნება თავიდან აცილებული სოციალური კონტროლის დაუშვებელი გაფართოების საფრთხე net widening.

5. ზარალის ანაზღაურება მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთიერთობის დაბალანსება

ქართული ჩვეულებითი სამართლის დადღევანდელი სინამდვილისათვის კარგად ცნობილი ზარალის ანაზღაურების და მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთერთობის დაბალანსების იდეა გერმანულ სისხლის სამართალში ჩრდილო ამერკის, ავსტრალიის და კანადის ხალხთა კულტურაზე წარმოშობილი ინსტიტუტია.[186] გერმანიის სისხლის სამართალში დამრღვევსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის დაბალანსებას სისხლის სამართლის სანქციის ახალ კვალად თვლიან და ყურადღებას ანიჭებენ არა მხოლოდ მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, არამედ აგრეთვე პირთა შორის სოციალური ურთიერთობის მოგვარებას სახელმწიფოს მიერ დასჯის უფლებაზე უარის თქმით.[187] დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის დაბალანსება და ზარა-

[186] Vom Täter-Opfer Ausgleich zur Konzeption `Restorative Justice~, S. 4, https://www.schleswig-holstein.de/DE/Fachinhalte/O/opferschutz/Downloads/toa_rj.pdf?__blob=publicationFile&v=1 (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[187] *Schöch*, Gutachten zum 59. Deutschen Juristentag, München 1992, C 54. https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

ლის ანაზღაურება (გსსსკ 155-ე ა) პარაგრაფი) სისხლის სამართლის პროცესის ყოველ სტადიაზეა შესაძლებელი. ამგვარად შესაძლებელი ხდება ან სისხლის სამართლის პროცესზე ან სისხლის სამართლის **სანქციაზე** უარის თქმა, ანდა სასჯელის შემსუბუქება, თუ პირი სერიოზულად ეცდება ზარალის ანაზღაურებას და მსხვერპლთან პირადი ურთიერთობის მოგვარებას (გსსკ 46ა პარაგრაფი).

პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით თავის თავზე აღებით ზარალის ანაზღაურება სამართლებრივი მშვიდობის აღდგენის წინაპირობაა. იგი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მიჯნაზეა, წინ უძღვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან **გათავისუფლებას** და ამგვარად, განსხვავდება ზარალის ანაზღაურების, როგორც სანქციისაგან, რომელიც გათვალისწინებული იყო სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში და რომელსაც იცნობს ინგლისის სისხლის სამართალიც (compensation) და ზარალის ანაზღაურების, როგორც პირობთი მსჯავრისას დაკისრებული ვალდებულებისაგან (გერმანიის სსკ 56-ე გ) პარაგრაფის მეორე ნაწილი).[188]

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გვთავაზობენ აგრეთვე **მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთიერთობის დაბალანსების, როგორც სასჯელის** შემოღებას და მის გავრცელებას იმ ქმედებებზეც კი, რომლებიც კლასიკურ მსხვერპლს, როგორც ფიზიკურ პირს არ გულისხმობენ. სავარაუდოა, რომ **მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთიერთობის დაბალანსებაში** ამგვარ დელიქტებში ქმედითი მონანიება იგულისხმება. ქმედითი მონანიებისას მისაღებად მიიჩნევენ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ბუნების დაცვის, ნარკოტიკულ და ჩვენების მიცემის შესახებ დელიქტებზე.[189]

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას მსხვერპლისათვის ზარალის ანაზღაურების სომბოლურ სახედ იქცა დაკისრებული თანხის გადარიცხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების ან სახელმწიფოს ანგარიშზე (გერმანიის სსსკ 153 ა) პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, მე-2 წინადადება.

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით ზარალის ანაზღაურება მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთიერთობის დაბალანსებით თავის თავში მოიცავს აღდგენით მართლმსაჯულებას. **აღდგენითი მართლმსაჯულება მხოლოდ** სისხლის სამართლის პროცესის ალტერნატივაა და არა თავისუფლების აღკვეთის,[190] შესაბამისად მისი განხილვა ამ ნაშრომის ფარგლებს სცილდება.

---

[188] *Schöch*, Empfehllen sich Änderungen, C 69, https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[189] *Schöch*, Empfehllen sich Änderungen, C 75, https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[190] http://famm.org/wp-content/uploads/2013/08/FS-Alternatives-in-a-Nutshell-7.8.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 30.10.2015).

6. არაფორმალური სანქციონირება და საპატიმრო სასჯელების ორიგინალური ალტერნატივები გერმანიაში

საპატიმრო სასჯელების ალტერნატივათა მოძიება ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ თემაზე ჯერ კიდევ 1992 წელს ჩატარებულ გერმანიის იურისტთა 59-ე კონფერენციაზე გამახვილდა ყურადღება, სადაც განხილულ იქნა დერივაცია (გსსკ 153-ე და 153-ე ა პარაგრაფები), რაც საპატიმრო სასჯელების კი არა, ფორმალური სისხლის სამართლის პროცესის ალტერნატივას წარმოადგენს, ბრალის დადგენა სასჯელის მისჯის გარეშე, გსსკ 59-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გაფრთხილება სასჯელის დათქმით, ზარალის ანაზღაურება და დამრღვევსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის დაბალანსება[191] და გარდა ამისა, ამ შემოთავაზებულ იქნა ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სსკ-ში არსებული პირადი თავდებობის სამართლებრივი ინსტიტუტის დანერგვა გფრ-ს სისხლის სამართალში.[192]

დღეისათვის გერმანიაში საპატიმრო სასჯელების ალტერნატივას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე აღდგენითი მართლმსაჯულების, ასევე სასამართლოს მიერ საპატიმრო სასჯელზე უარის თქმის და მისი სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის ხასიათი.

ინტერნაციონალური გამოცდილების გათვალისწინებით გერმანიის სისხლის სამართლის პრაქტიკა თავისუფლების აღკვეთას ნაკლებად იყენებს და გაზრდილია არაფორმალურ და ალტერნატიულ სანქციათა რიცხვი. 2011 წლისათვის არსებული მონაცემებით საქმეთა სასამართლო განაჩენით მხოლოდ 43% დასრულდა სასამართლო განაჩენით. საქმეთა 17% არაფორმალურად იყო სანქციონირებული ყოველგვარი ვალდებულების დაკისრების გარეშე, 40% კი ვალდებულებათა დაკისრებით დასრულდა. არაფორმალური სანქციონირება აქ უმეტესად პროკურორის მიერ ხორციელდება (2000 წლისათვის საქმეთა 85%).

გერმანულ სისხლის სამართლის ცნობილი **ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა** (გსსკ §44) **დამატებითი სასჯელია.** მართვის უფლების მოწმობის ჩამორთმევა[193] სატრანსპორტო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის მნიშ-

[191] სამართლებრივი სისტემები ხშირად ან დამრღვევზე არიან ორიენტირებული, ან მსხვერპლზე. მსხვერპლისა და დამრღვევის ურთიერთობის დაბალანსება ოქროს შუალედად უნდა იყოს აღქმული. *Schöch*, Empfehllen sich Änderungen, C 56, https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[192] *Schöch*, Empfehllen sich Änderungen, C 53, https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015). დღეისათვის პირადი თავდებობა აღიარებულია წინასწარი პატიმრობის თავიდან აცილების ღონისძიებად უკრაინის სსსკ-ს 152-ე პარაგრაფით, პოლონეთის სსსკ 257-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით http://www.ra-bluemel.de/de/rechtsanwaelte.php?kategorie=Rechtsgebiete&gebiet=Strafrecht&bereich=Die%20Untersuchungshaft (უკანასკნელად შემოწმებულია 31.10.2015).

[193] *Schöch*, Gutachten zum 59. Deutschen Juristentag, München 1992, C 30. https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

ვნელოვანი საშუალებაა.[194] მართვის უფლების ჩამორთმევა გერმანულ სისხლის სამართალში პირისათვის საჯარო სივრცეში ნებისმიერი სახის ავტომანქანის ტარების აკრძალვას ნიშნავს. ესაა დამატებითი სასჯელი და დაინიშნება თავისუფლების აღკვეთის ან ჯარიმის პარალელურად, თუ პირმა ავტოსასტრანსპორტო დანაშაული ჩაიდინა. ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა პირს ერთი თვიდან სამ თვემდე ენიშნება, თუმცაMმას მართვის მოწმობა უნარჩუნდება. თუ პირმა ამ აკრძალვის მიუხედავად მანქანა მაინც მართა, მისი ქმედება მართვის უფლების არმქონის მიერ მანქანის მართვად ჩაითვლება და იგი შესაბამისად დაისჯება.

ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა განსხვავდება მართვის **მოწმობის ჩამორთმევისაგან**. ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა მაშინ დაინიშნება, თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა და იგი ბრალის პროპორციული უნდა იყოს. რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ჩამორთმევას, ეს გამასწორებელი (სოციალური დაცვის) ღონისძიებაა და მისი დანიშვნისათვის უმართლობის განხორციელებაა საკმარისი.

გერმანიაში კარგა ხანია მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენადაა შესაძლებელი **ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვის** ძირითად სასჯელად დანიშვნა თავისუფლების აღკვეთის და ჯარიმის გვერდით. სასჯელის ეს სახე სატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის მეტად მტკივნეული იქნება და ამიტომაც თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს. საკანონმდებლო წინადადებები ითვალისწინებენ მართვის აკრძალვას ერთ წლამდეც კი.[195] აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკანონმდებლო წინადადებებში ეს აკრძალვა მხოლოდ იმ დანაშაულებს ეხება, რომლებიც ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვასთანაა დაკავშირებული, ანუ ამ პროექტებში მართვის აკრძალვა „ამრეკლავ სასჯელს" წარმოადგენს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, უკეთესი იქნება სასჯელის ამრეკლავ ხასიათზე უარის თქმა და ამ აკრძალვის, როგორ სანქციის გავრცელება სხვა დანაშაულებზეც. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს თავისუფლების შეზღუდვის ახალი სახე იქნება.[196] ამ ათასწლეულის დასაწყისში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ამ ახალ სახეს, როგორც ძირითად სასჯელს, პოლიტიკური პარტიების მთელი სპექტრი უჭერდა მხარს. პოლიტიკოსები მართვის აკრძალვას, როგორც ძირითად სასჯელს, გონივრულად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ ავტოსატრანსპორტო დანაშაულებში, არამედ ექსტრემისტულ და ძალადობრივ დანაშაულებშიც კი.[197]

საწინააღმდეგო არგუმენტის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი სასჯელები

[194] მთვრალ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა გერმანიაში სისხლისსამართლებრივად ისჯება გსსკ 316-ე პარაგრაფი.

[195] BT-Druks.13/4462, S. 4.

[196] *Schöch,* Gutachten C für den 59 Deutschen Juristentag, 1992, S. C 120; nach *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S.584.

[197] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S.584.

სამოქალაქო თავისუფლებების წინააღმდეგაა მიმართული. ეს თავისუფლებებია — სიცოცხლის უფლება (ზოგიერთ ქვეყანაში), გადაადგილების თავისუფლება და ფინანსური განკარგვის თავისუფლება. რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებას, ესეც, მართალია, ადამიანის გადაადგილების თავისუფლების გამოხატულებაა და ახალი „საზოგადოებრივი მოდაა", მაგრამ ამ თავისუფლების შეზღუდვის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა ჯერჯერობით დაუდგენელია. სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასა და მასზე რეაქციას შორის კავშირი უნდა არსებობდეს. ამგვარი კავშირი ძალადობრივ დანაშაულსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების აკრძალვას შორის არ არსებობს,[198] ანუ სასჯელის „ამრეკლავი ხასიათი" იკარგება და სასჯელში ჩადენილი დანაშაულის არსი **არ აისახება**. შესაბამისად ალოგიკური და სამართლებრივი საზოგადოებისათვის გაუგებარი იქნებოდა ქურდობისათვის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვის სასჯელად განსაზღვრა.

გასათვალსწინებელია ისიც, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას ევროპის ქვეყნებშიც და კერძოდ, გერმანიაში, ყველა არ ფლობს. შესაბამისად ამ სასჯელის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის დანიშვნა მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი მატერიალურად ძლიერი პირისათვის იქნება უპრიანი. იმ პირისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა, ვინც ამას არ ფლობს, სასჯელის არავითარ ფუნქციას არ შეასრულებს. გამოდის, რომ კანონმდებელი შემოიღებს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივას, რომელიც მხოლოდ მატერიალურად ძლიერი ფენისათვის იქნება მნიშვნელოვანი. ერთი და იმავე დანაშაულისათვის შეძლებულ ადამიანს მხოლოდ გადაადგილების თავისუფლება „მსუბუქად" შეეზღუდება, ანუ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა ჩამოერთმევა, ავტომანქანის არმქონე კი სხვა, თავისუფლების უფრო მეტად შემზღუდავი სასჯელით დაისჯება, რაც კანონის წინაშე თანაბრობის პრინციპს დაარღვევს.

ამასთან, სავარაუდოა, რომ ხშირ შემთხვევაში პირი ამ აკრძალვას შეეწინააღმდეგება და მისი დამორჩილების შემოწმება ძნელი იქნება.[199] შესაბამისად სასჯელის ეს სახე პრევენციულ ფუნქციას ვერ შეასრულებს როგორც გენერალური, ასევე კერძო პრევენციის სახით.

რეკომენდაცია:

ქართულ სინამდვილეში მართვის უფლების ჩამორთმევის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის შემოღებას გაცილებით უფრო ნაკლები ეფექტი ექნება, ვიდრე გერმანიაში მისი გადამოწმების სიძნელის გამო. ამასთან ამგვარი სანქცია საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშია მოთავსებული. საქართველოში მართვის მოწმობის ჩამორთმევა სა-

[198] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S.584.

[199] *Kubinik*, Strafen und ihre Alternativen im zeitlichen Wandel, Berlin 2002, S.583.

ტრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეჩერებასთანაა დაკავშირებული. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-300 მუხლის მიხედვით (სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების აღსრულების წესი) პირს მართვის მოწმობა ჩამოერთმევა იმ შემთხვევაში, თუ მას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეჩერებული აქვს. სამართლებრივი რეაქციის ამგვარი დაწყვილება ლოგიკურია და ცვლილების შეტანა რაიმე სარგებელს არ მოიტანს.

ბრალის დადგენა სასჯელის დანიშვნის გარეშე

განსაკუთრებულ, სისხლის სამართლის კოდექსით კონკრეტულად გაუთვალისწინებელ შემთხვევებში გერმანიის სასამართლო პირის ბრალს ადგენს, მაგრამ მას არც კი აფრთხილებს. პირის მიმართ არავითარი სანქცია არ ინიშნება. სასამართლო მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ პირმა ნორმა დაარღვია, კიცხავს ამ ქმედებას და დაზარალებულის მიმართ სოლიდარობას აცხადებს. სახელმწიფოს ეს რეაქცია სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებების განსაკუთრებული ალტერნატივაა.[200] სასჯელის დანიშვნაზე უარის თქმა პროცესუალურად გსსსკ 153 ბ პარაგრაფით ხდება (სისხლის სამართლის დევნაზე უარის თქმა სასჯელზე უარის თქმის შესაძლებლობის არსებობისას).

ბრალს სასჯელის დანიშვნის გარეშე სასამართლო შემდეგ შემთხვევებში ადგენს — წვრილმანი დანაშაული, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები და შეკვეცილი შემადგენლობები, როდესაც დანაშაულის მატერიალური დამთავრება მეტად შორისაა, ქმედითი მონანიების შემთხვევები, რაც ქმედების სასჯელის ღირსობას გამორიცხავს. პირი ამ დროს შექმნილ საფრთხეს თავადვე ანეიტრალებს და ამგვარად სისხლის სამართალში აღიარებული სასჯელის მიზნები უკვე მიღწეულია.[201]

შემთხვევათა ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ასევე გსსკ მე-60 პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც პირის მიმართ სასჯელი არ დაინიშნება, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგებმა პირი თავად იმდენად დააზარალა, რომ სასჯელის დანიშვნა მის მიმართ უშედეგო იქნებოდა. ამგვარ დაუსჯელ ქმედებებს მიეკუთვნება მხოლოდ ისინი, რომელთათვისაც სისხლის სამართლის კანონი ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალის დადგენა სასჯელის დანიშვნის გარეშე ხშირად როგორც თავად პირის, ასევე საზოგადოების მიერ სანქციად არ აღიქმება, ამიტომაც 1992 წელს გერმანიის იურისტთა კავშირის კონფერენციაზე წამოყენებულ იქნა წინადადება ამ სანქციის და ზარალის ანაზღაურების ერთიერთდაკავშირების შესახებ. ამგვარი დაკავშირების მიზნად დაზარალებულის **ინტერესების** დაკმაყოფილება

[200] *Meier*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg 2015, S. 54.

[201] *Eser*, Absehen von Strafe Schuldspruch unter Strafverzicht, Sonderducke aus der Albert-Ludwigs-Universitt Freiburg, S. 257-260. https://www.freidok.uni-freiburg.de/dnb/.../6277 (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015.

და პოზიტიური გენერალური პრევენცია დასახელდა.[202]

სახელმწიფოს რეაქციის ეს ფორმა მეტად იშვიათია. 2012 წლისათვის ამგვარი სანქცია მხოლოდ 287 პირის მიმართ დაინიშნა, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,03 % შეადგენდა.[203]

ბრალის დადგენისას სასამართლო პირს ჰკიცხავს, შესაბამისად სასჯელის დანიშვნის გარეშე ბრალის დადგენა თავისი სამართლებრივი შინაარსით სოციალისტური სამყაროს სასჯელის სახეს — საზოგადოებრივ გაკიცხვას ემსგავსება. განსხვავებულია მხოლოდ ტერმინოლოგია. დღეისათვის ბრალის დადგენა სასჯელის დანიშვნის გარეშე გაცილებით უფრო მისაღები ტერმინია, ვიდრე საზოგადოებრივი გაკიცხვა, რადგან საზოგადობრივ გაკიცხვას ხარისხები არ აქვს, ბრალის დადგენისას კი მოსამართლემ ბრალის სხვადასხვა ხარისხი შეიძლება დაადგინოს.

რეკომენდაცია

კარგი იქნებოდა, თუ ქართული სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებული ექსტრემალური შემთხვევებისათვის სასჯელისაგან გათავისუფლების ამგვარ შემთხვევებს გაითვალისწინებდა, პირის ბრალს დაადგენდა და მას მხოლოდ გაკიცხავდა, სასჯელის მისჯის გარეშე.

ნეგატიური სისხლისსამართლებრივი სანქციის შემცვლელი ალტერნატივები ტერორიზმის მაგალითზე de lege ferenda

გერმანიაში დამნაშავეობის შესახებ არსებული კვლევები დასჯასა და დამნაშავეობას, უმუშევრობას, დაბალ განათლებასა და დამნაშავეობას შორის კავშირს აქცევენ ყურადღებას. დადგენილია, რომ დაბალი განათლება უმუშევრობას იწვევს, ეს კი ლეგალურ სექტორში წარმატების მიღწევის ალბათობას ამცირებს. სამართლის მეცნიერები ამიტომაც დასჯასა და დაშინებაზე დამყარებული სისხლის სამართლის პოლიტიკაში ცვლილების შეტანას გვთავაზობენ. მიიჩნევენ, რომ დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენთათვის ქმედითი მონანიებისას სასჯელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა უნდა გაფართოვდეს. [204]

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესწავლას. მიუთითებენ, რომ ამგვარი დანაშაულებისათვის მოსალოდნელ მაღალ სასჯელს შემაშინებელი ფუნქცია არ აქვს. შეუძლებელია,

---

[202] *Schöch*, Gutachten zum 59. Deutschen Juristentag, München 1992, C 89. https://epub.ub.uni-muenchen.de/6556/1/6556.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[203] Statistisches Bundesamt, Strafverfolgung 2012, Tab. 2.2. nach *Meier*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Heidelberg 2015, S. 56.

[204] *Frey/Neckermann*, Sicherheit, Strafen und positive Alternativen, S. 64. http://ejournals.duncker-humblot.de/doi/pdf/10.3790/vjh.78.4.61. ((უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

თვითმკვლელობის გადაწყვეტილების მიმღები ტერორისტი მაღალი სასჯელით დავაშინოთ. ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ ნეგატიურ სანქციებს კი დამნაშავეთა სამყაროში მათი პოპულარობის და გავლენის გაძლიერება მოსდევს.[205] თუ მუქარაზე დამყარებული სისხლის სამართლის პოლიტიკა დანაშაულებრივი ჯგუფის ერთიანობას აძლიერებს, ქმედითი მონანიების შესაძლებლობა პირიქით, დანაშაულებრივ ქმედებაზე უარის თქმის სტიმულს იძლევა.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გვთავაზობენ ტერორისტული ორგანიზეციების მონანიე წევრთა მიმართ სასჯელის შემცირებას და მათი ცხოვრების შემდეგ უზრუნველყოფას, რაც მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობას გამორიცხავს.[206] ამ პირებისათვის ლეგალურ სამყაროში დაბრუნების შესაძლებლობას ხელს უშლის ტერორისტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ მათი იზოლაცია. მეცნიერთა აზრით, პოზიტიურ სანქციებზე დამყარებული სისხლის სამართლის პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ამ იზოლაციის გარღვევას, რათა ამ ადამიანებს დასაქმების შემოთავაზების მიღების და ამგვარად ლეგალურ სამყაროში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცეთ.[207]

ასევე გვთავაზობენ ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან: პოლიტიკურ დისკუსიაში შესვლასა და მათ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვასაც.[208]

რეკომენდაცია

ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ განვითარებული ეს მოსაზრებები ქართულ სინამდვილეში შესაძლებელია ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენ პირებსა და ტერორისტული მოსამზადებელ ბანაკების მონაწილეებზე გადავიტანოთ და მათ მიმართ ქმედითი მონანიების სამართლებრივი ბერკეტები შევიმუშაოთ. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულმა ეკონომიურმა სტიმულმა შესაძლებელია პირიქით, გამოიწვიოს პირთა ჩართვა ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულში შემდგომში ქმედითი მონანიების და ეკონომიური უპირატესობის მიღების მიზნით.

---

[205] *Frey/Neckermann*, Sicherheit, Strafen und positive Alternativen, S. 62. http://ejournals.duncker-humblot.de/doi/pdf/10.3790/vjh.78.4.61. (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[206] ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ ამგვარი მიდგომა გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში იხ. *Frey/Neckermann*, Sicherheit, Strafen und positive Alternativen, S. 67. http://ejournals.duncker-humblot.de/doi/pdf/10.3790/vjh.78.4.61. (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[207] *Frey/Neckermann*, Sicherheit, Strafen und positive Alternativen, S. 67. http://ejournals.duncker-humblot.de/doi/pdf/10.3790/vjh.78.4.61. ((უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[208] ამგვარი ტერორისტული ორგანიზაციის ჩამბა პოლიტიკურ პროცესებში შვეიცარიის, იტალიის, გერმანიის და საფრანგეთის მაგალითზე იხ. იქვე, *Frey/Neckermann*, Sicherheit, Strafen und positive Alternativen, S. 67. http://ejournals.duncker-humblot.de/doi/pdf/10.3790/vjh.78.4.61. (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

7. თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივები ამერიკის შეერთებულ შტატებში

თავისუფლების აღკვეთა ამერიკის შეერთებულ შტატებში სასჯელის ყველაზე გავრცელებული სახეა. ამერიკულ სისხლის სამართალში მოსამართლე სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებს: ჩადენილი ქმედების ხასაიათსა და სიმძიმეს, პირის ნასამართლობას, სასამართლო პრაქტიკას და ცალკეული შტატის და ფედერალურ სახელმძღვანელო მითითებებს.[209]

აშშ პენიტენციური სისტემის 2015 წლის აგვისტოს მონაცემების მიხედვით ამ ქვეყნის ციხეებში დღეისათვის 2 217 000 პატიმარია.[210] აშშ ამ სტატისტიკით მსოფლიოში წინა წლებშიც ლიდერობდა. 2010 წლისათვის აშშ-ში პატიმართა რიცხვმა 100 000 მოსახლეზე 730 მიაღწია.[211]

გერმანული კრიმინოლოგიური კვლევების მიხედვით, მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად აშშ-ში 1980 წლის შემდეგ პატიმართა ოდენობა ოთხჯერ გაიზარდა. თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ პირთა ნახევარზე მეტი პირველი სამი წლის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის ადგილას ბრუნდება.[212]

აშშ-ში საპატიმროების განსატვირთად და სახელმწიფოს დანახარჯების შესამცირებლად მოსამართლეს სახელმძღვანელო მითითებებით შემოთავაზებული სასჯელის გარდა სხვა, მსუბუქი, საკუთარი მიხედულებით ჩამოყალიბებული თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის გამოყენების უფლებაც აქვს. აშშ ერთმა მისამართლემ დამნაშავეთათვის საპატიმრო სასჯელის ალტერნატიული საკუთარი ფანტაზიით სავსე არასაპატიმრო სასჯელების მისჯის პრაქტიკა დაამკვიდრა. მისმა ამგვარმა გადაწყვეტილებებმა მოკლე ხანში უკვე სასამართლო პრეცედენტის ძალა შეიძინეს.[213]

1. შემთხვევა: ცხოველთა თავშესაფრის ხელმძღვანელმა 25 კატის კნუტი ტყეში უპატრონოდ დატოვა. ცხოველის წამებისათვის საპატიმრო სასჯელის

---

[209] *Schaum*, Strafzumessung im US-Prozess, 19 German American Law Journal (15. März 2010), http://www.amrecht.com/schaum2010.shtml (უკანასკნელად შემოწმებულია 02.03.2015).

[210] http://de.statista.com/statistik/daten/studie/3212/umfrage/laender-mit-den-meisten-gefangenen-im-jahr-2007/ (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

[211] *Dünkel/Geng*, Die Entwicklung der Gefangenenraten im nationalen und internationalen Vergleich, (1.09.2015) http://www.rsf.uni-greifswald.de/fileadmin/mediapool/lehrstuehle/duenkel/Dokumente/Die_Entwicklung_von_Gefangenenraten_im_nationalen_und_internationalen_Vergleich.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

[212] *Spiess*, Wenn nicht mehr, wenn nicht geringe Strafen, was denn? S. 109. http://www.uni -konstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 29.10.2015).

[213] ინფორმაცია განსაკუთრებული ფანტაზიით დაჯილდოებული ამერიკელი მოსამართლის, მიხაელ ჩიკონეტის და მის მიერ მიღებული განაჩენების შესახებ დაწვრილებით იხ., ttps://en.wikipedia.org/wiki/Michael_Cicconetti (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

მაგიერ მოსამართლემ მას ზამთარში ტყეში ღამის გათენება მიუსაჯა, რათა მან გაიგოს, თუ რას გრძნობს მიტოვებული არსება.

2. შემთხვევა: ქალმა ტაქსის მძღოლს ფული არ გადაუხადა. მოსამართლემ იგი არჩევანის წინაშე დააყენა — ან 60 დღით პატიმრობა, ანდა იმავე მარშრუტის, 50 კილომეტრის ფეხით გავლა.

3. შემთხვევა: არასრულწლოვნები, რომლებმაც ქრისტეს ხატს სამი ექვსიანი მიახატეს, მოსამართლემ მიუსაჯა მაიმუნთან ერთად ქუჩაში სიარული ტრაფარეტით: „აპატიეთ ამ მაიმუნს თავისი დანაშაული, ეს ისეთი საყვარელია"!

4. შემთხვევა: პირს, რომელმაც პოლიციელს ღორი უწოდა, პოლიციის **წინ უზარმაზარ ღორთან ერთად დგომა მიესაჯა.** მას უნდა ეტარებინა ტრაფარეტი „ეს არაა პოლიციელი".

5. შემთხვევა: იარაღის უკანონოდ მატარებელი მოსამართლემ ციხეში კი არ გაუშვა, არამედ მორგში, რათა მას ენახა, თუ რა შედეგი მოჰყვება იარაღის გამოყენებას.

ამ მოსამართლის შეხედულებით, დამნაშავის ქცევის გამოსწორება მოსამართლის ვალდებულებაა და ამგვარი სასჯელები საპატიმრო სასჯელის გამოყენებაზე ეფექტურია.[214]

სასამართლო ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის ისტორიაში კარგად ცნობილ, ტალიონის პრინციპის ვარიანტს, „ამრეკლავ სასჯელებს" ალადგენს მკვდრეთით, რომელთა „მკაცრი ფორმა" უკვე ჰამურაბის კანონებში (1800 წელი ქრისტეშობამდე) გვხვდება. ამრეკლავი სასჯელი დანაშაულს მისი მსგავსი სასჯელით სჯის ისე, რომ გამოყენებული სასჯელი დანაშაულის ხასიათსა და სახეზე არაორაზროვნად მიგვითითებს.

რეკომენდაცია

სადავო არაა, რომ საპატიმრო სასჯელი, რომელიც მაღალი კრიმინალური დასნებოვნების პოტენციალის მქონეა, მრავალ ალტერნატივას საჭიროებს. ამ **„ამრეკლავი სასჯელების"** პრევენციული ეფექტურობის მიუხედავად ქართული სისხლის სამართლის პრაქტიკისათვის მათი სრული რეცეფცია არაა რეკომენდებული, რადგან იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კოდექსით განმტკიცებულ (სსკ მე-7 მუხლის 1-ლ ნაწილში) კანონიერების პრინციპს — „არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე." სასჯელის დანიშვნისას მოსამართლის მიხედულების ამგვარი გაფართოება მოსამართლის თვითნებობას დააკანონებდა. იგი თავიდან ვერ აგვაცილებდა ასევე დამნაშავის სტიგმატიზაციას.

მისასალმებელი იქნება ამ გამოცდილების გაზიარება და ადამიანის უფლებათა მკაცრი დაცვით არა „ამრეკლავი სასჯელების", არამედ ამრეკლავი ვალდებულებების გამოყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. მაგ., სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანს არასრულწლოვანთა მართლმსა-

[214] https://en.wikipedia.org/wiki/Michael_Cicconetti (f (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015)

ჯულების კოდექსის 45-ე მუხლით სხვადასხვა მოვალეობანი დააკისროს. ეს მუხლი მართალია, მრავალ მოვალეობას ითვალისწინებს, მაგრამ მათ ამომწურავად არა ჩამოთვლის. ამ კოდექსის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე) პუნქტში კანონმდებელი ზოგადად მიუთითებს, რომ სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანს დააკისროს სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ხელახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. თუ არასრულწლოვნები გატეხავენ ლიფტის ყულაბას, რომელშიც მრავალსართულიანი სახლის მაცხოვრებლები გადაადგილებისათვის მონეტებს ყრიან და ამ ფულს მიითვისებენ, პროკურორს შეუძლია ამ ქმედებათა მრავალჯერადი ხასიათის მიუხედავად არასრულწლოვანთა მიმართ განრიდება გამოიყენოს (ასსმკ 42-ე მუხლი) და არასრულწლოვნებს საპატიმრო სასჯელი თავიდან აცილოს. არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, მათ 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე) პუნქტით დაეკისროთ მოვალეობა, რამდენიმე თვის განმავლობაში მრავალსართულიანი სახლის მაცხოვრებლებს კიბეზე მძიმე ჩანთები თავად აატანინონ. ამგვარად მხოლოდ განრიდებით და „ამრეკლავი მოვალეობის" დაკისრებით არასრულწლოვანი საპატიმრო სასჯელის დამასნოებოვნებელ ზემოქმედებას ასცდება. პროკურორის სწრაფი რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე **„ამრეკლავი მოვალეობის"** მეშვეობით რესოციალიზაციის საუკეთესო საშუალება იქნება, სახელმწიფოსაც საპატიმრო სასჯელის აღსრულებისათვის აუცილებელი თანხა დაეზოგება. ამასთან ჩადენილ დანაშაულზე საპატიმრო სასჯელის ამგვარი ალტერნატივის გამოყენება (განრიდება და ამრეკლავი რეაქცია) არასრულწლოვანთა ოჯახების როგორც სულიერ, ასევე მატერიალურ პოტენციალსაც დაზოგავს.

ინტენსიური ხასიათის ღონისძიებები თავისუფლების აღკვეთის მაგიერ

აშშ-ში დიდი ყურადღება ექცევა ასევე სისხლისსამართლებრივი სანქციის მაგიერ სამართლებრივი სიკეთის დაცვას **სამოქალაქო ჯარიმით, რომელმაც** მილიონებს შეიძლება მიაღწიოს და შესაბამისად დიდი ტვირთია სამართალდამრღვევისათვის, მაგრამ ეს არაა სისხლისსამართლებრივი სასჯელი.[215]

აშშ-ს სისხლის სამართლის პრაქტიკაში ასევე გამოიყენება **წინა-სასამართლო პრობაციაც,** ანუ სასჯელისაგან გათავისუფლება წინასასამართლო განხილვისას (pretrial release). ესაა სასჯელის ალტერნატიული ფორმა, შეთანხმება სახელმწიფოსა (პროკურორსა) და დამნაშავეს შორის სასამართლოს ძირითად სხდომამდე. თუ ბრალდებული წინასასამართლო პრობაციის პირობებს დაიცავს, იგი ამითი დაადასტურებს, რომ მას საზოგადოებაში აღიარებული ნორმების დაცვა შეუძლია და შესაბამისად რეაბილიტაციის ღირსია.[216]

---

[215] *Schaum*, Strafzumessung im US-Prozess, 19 German American Law Journal (15. März 2010), http://www.amrecht.com/schaum2010.shtml (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

[216] http://www.judges.org/wp-content/uploads/pretrial-whitepaper0513.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.09.2015).

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აშშ-ში დიდი ყურადღება ექცევა ასევე კომუნაზე ორიენტირებული სასჯელის ფორმებსაც, რომლებიც **სტაციონალური დახმარების, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ პროგრამებს მოიცავენ.** სტაციონარული დახმარების, საერთო საცხოვრებლების მსგავსი დაწესებულებები კერძოა და სახელმწიფო ციხეების ალტერნატივას წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ამგვარი დაწესებულება განკუთვნილია ისეთი პირებისათვის, რომელთა მიმართ ამბულატორიული დახმარების ალტერნატივები არ იმუშავებს, მაგრამ მათი საზოგადოებაში დატოვება მიზანშეწონილია. მსჯავრებულს აქ აძლევენ რჩევას სამუშაოს შოვნის, პროფესიული და სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მითითებულია, რომ ამგვარი კერძო დაწესებულებები პირობითი მსჯავრის განხორციელებისათვისაა განკუთვნილი.[217]

დღეისათვის მოპოვებული ინფორმაციით კი ამგვარი დაწესებულებები გარდამავალი ხასიათისაა და პირს საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდგომ ცხოვრებასთან ადაპტაციაში ეხმარება.[218]

პროგრამები ფსიქიკურად დაავადებულთათვის

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებული მონაცემებით, ფსიქიკურად დაავადებულები, ასევე ყოფილი ჯარისკაცები, რომლებიც სომარ ოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას, აშშ-ში გაცილებით უფრო ხშირად ხვდებიან ციხეებში, ვიდრე ფსიქიკურად ჯანმრთელები. ციხეებში ფსიქიკურ დაავადებათა სიხშირე ექვსჯერ დიდია, ვიდრე გარეთ, საზოგადოებაში. ციხეში მყოფ მამაკაცთა 14.5 % და ქალთა 31% ფსიქიკურადაა დაავადებული. ამასთან მსჯავრდებულ ფსიქიკურად დაავადებულთა უდიდესი უმრავლესობა არაძალადობრივი დანაშაულისათვის იხდის სასჯელს. ფსიქიკურად დაავადებულ მსჯავრებულთა 70% აქვს ასევე ნარკოტიკების პრობლემები. ამასთან ფსიქიკურად დაავადებულ მსჯავრდებულების 83-89% ციხეში სამედიცინო დახმარებას არ იღებს. ფსიქიკურად სერიოზულად დაავადებულები შეიძლება გაცილებით უფრო ადვილად იყვნენ ციხეში ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი, ასევე მათ შეიძლება ციხეში ყოფნა უფრო გაუგრძელდეთ, ვიდრე ფისიქიკურად ჯანმრთელებს, ასევე მაღალია მათი რეციდივი. ამიტომაც ეს მნიშვნელოვანი დისპროპორცია დიდ მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ აშშ ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს ფსიქიკურად დაავადებულთა დახმარების პროგრამათა მთელი სპექტრი, რომელთა განხორციელებისას შესაძლებელია არა მხოლოდ მსჯავრებულთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ასევე მატერიალური ხარჯების დაზოგვაც.[219]

[217] *Jonson*, Modelle intensivierter Behandlung in Freiheit in der USA, in: Alternativen zur Freiheitsstrafe, Strafaussetzung zur Bewährung und Bewährungshilfe im internationalen Vergleich, *Dünkel/Spiess*, Hrsg., Freiburg i. Br. 1983, S.289.

[218] http://www.ppl-inc.org/wp-content/uploads/2012/08/Ex-Offenders-Housing-Resource-List1.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 05.09.2015)

[219] *Cloud/Davis*, Treatment Alternatives to incarceration for people with Menthal Helath Needs in the

ამ ღონისძიებებს მიეკუთვნება **პრევენციული ღონისძიებები — სამართლის დაცვა, კრიზისის ინტერვენციის ჯგუფი და კომუნალური მომსახურება**, რომლის დროსაც სპეციალური ჯგუფები კოოპერატიულად მოქმედებენ, პოლიცია მინიმალურად ერევა და ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს დაპატიმრების მაგიერ სამკურნალოდ აგზავნიან.[220] ამგვარად გამოირიცხება პირის მარგინალიზაცია და სტიგმატიზაცია და იზოგება ხარჯებიც. **მაგალითისათვის** ლიტერატურაში მითითებულია, რომ კომუნის მიერ განხორციელებული ზემოქმედება-მკურნალობა დღე-ღამეში 12 დოლარი ჯდება, ციხეში — 137 დოლარი, სასწრაფო დახმარებისას კი — 986 დოლარი.

კრიზისის ინტერვენციის ცენტრს ჰყავს სპეციალიზებული ოფიცერი, რომელიც დახელოვნებულია ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებთან ურთიერთობაში. მას 25%-ით მეტად შეუძლია ამ ადამიანთა ტრანსპორტირება კომუნის სპეციალურ დაწესებულებაში, ვიდრე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს. ამასთან კრიზისის ინტერვენციის ცენტრის ოფიცრის მიერ განხორციელებული ღონისძიება ყოველთვის პროპორციულია. უმრავლეს შემთხვევაში ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა მენტალური კრიზისის სიტუაციისას ძვირადღირებული ჯგუფების ჩართვა საჭირო არაა, დერივაციას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა საავადმყოფოში მოთავსებით გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაპატიმრებისა და სტაციონარში მოთავსების რისკის შემცირება შეუძლია.[221] **ამგვარად**, სამხარეო ციხის **საპატიმრო სასჯელის (Jail) დერივაცია**[222] ფსიქიკური დაავადების მქონე პირების მიმართ საშუალებას იძლევა საპატიმრო სასჯელის მაგიერ გამოყენებულ იქნას მკურნალობის მრავალი ღონისძიება.

სპეციალიზებული სასამართლოები

აშშ-ში არსებობს აგრეთვე სპეციალიზებული სასამართლოები ფსიქიკური

Criminal Justice, System, The Cost-Savings Implications, p. 2, http://www.vera.org/sites/default/files/resources/downloads/treatment-alternatives-to-incarceration.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 06.09.2015).

[220] http://www2.nami.org/Content/ContentGroups/Advocate/2001f28.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 10.08.2015).

[221] *Cloud/Davis,* Treatment Alternatives to incarceration for people with Menthal Helath Needs in the Criminal Justice, System, The Cost-Savings Implications, p. 2, http://www.vera.org/sites/default/files/resources/downloads/treatment-alternatives-to-incarceration.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 06.09.2015).

[222] ანგლოამერიკულ სისხლის სამართლის სისტემაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მოკლეხნიან (ერთი წელი თავისუფლების აღკვეთა ან უფრო ნაკლები) სამხარეო ციხესა (Jail, სადაც სასჯელს იხდიან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენები, ანდა თავსდებიან ის პირები, რომლებიც სასამათლო პროცესს ელოდებიან) და ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთისათვის განკუთვნილ ციხეს (Prison), მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულთათვის. იხ., http://www.diffen.com/difference/Jail_vs_Prison (უკანასკნელად შემოწმებულია 06.09.2015).

დაავადებების მქონე ადამიანებისათვის, ნარკომანებისა და ომის ვეტერანებისათვის. ნარკოტიკების მოხმარებისათვის ნარკოტიკების სასამართლოს მიერ დაინიშნება არა საპატიმრო სასჯელი, არამედ პრობაცია და ნარკოტიკების სასამართლოს სპეციალური პროგრამა.

ნარკოტიკული დანაშაულის განმხილველი სასამართლოები იხილავენ საქმეებს იმ ნარკომანთა მიმართ, რომლებსაც არა აქვთ განხოციელებული ძალადობრივი ქმედებები და არ არიან ნასამართლევი.[223] **ნარკოსასამართლოს საქმე გადაეგზავნება პროკურორის ან სასამართლოს მიერ.**

ნარკოტიკული დანაშაულის განმხილველი სასამართლოები სასამართლო სისტემის ნაწილია. ამგვარი სასამართლოები ფედერალურ დონეზე არ არსებობს, მაგრამ ყველა 50 შტატს რამდენიმე ნარკოსაწინააღმდეგო პროგრამა აქვს, რომელიც ნარკოტიკების მომხარებელს ნარკომანიის დაძლევის შესაძლებლობებს აძლევს. ზოგიერთი შტატის ნარკოსასამართლოს აქვს ნარკოპროგრამა როგორც მოზრდილების, ასევე არასრულწლოვნებისათვის, ასევე საოჯახო ნარკოპროგრამა, რომელიც ნარკომან მშობლებს საშუალებას აძლევს, **შეინარჩუნონ** ბავშვები ან დაიბრუნონ ისინი.

ნარკოსასამართლო სხვადასხვა შტატში სხვადასხვა წინაპირობას მოითხოვს და სხვადასხვა საპროგრამო კომპონენტს იყენებს, თუმცა მათ შორის მრავალი საერთოც არსებობს. ნარკოტიკების მომხარებლისაგან ამგვარი პროგრამა მოითხოვს **მოულოდნელად დანიშნულ შარდის ანალიზს,** მოითხოვს რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ნარკომანთა დახმარების ანონიმურ შეხვედრებში, შეხვდნენ პრობაციის ოფიცერს და მოახსენონ სასამართლოს მათი მდგომარეობის გაუმჯობებსების შესახებ.

ნარკოსასამართლოს აქვს უფლებამოსილება, დაასაჩუქროს ნარკომომხმარებელი მიღწეული წარმატებისათვის, ანდა დასაჯოს იგი ჩადენილი დარღვევისათვის, მაგ., გაგზავნოს ფედერალურ ან სამხარეო ციხეში.

ის დამრღვევები, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ ნარკოპროგრამას, ბრალეულად არ იქნებიან ცნობილი აღნიშნული ნარკოდანაშაულის ჩადენაში, არ დაისჯებიან ამ დანაშაულისათვის, არ ითვლებიან ნასამართლევად ან მათ მოეხსნებათ ნასამართლობა.[224]

ამ სასამართლოთა გამოცდილებამ აჩვენა, რომ გაცილებით ეფექტურია ამ ადამიანთა გადამისამართება ციხიდან სამკურნალო დაწესებულებაში. ამ პროგრამაში ჩართვა შესაძლებელია როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგაც.[225]

[223] შემდგომი ინფორმაცია მიღებულია ბმულიდან http://famm.org/wp-content/uploads/2013/08/FS-Alternatives-in-a-Nutshell-7.8.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

[224] http://www.gao.gov/new.items/d05219.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015)

[225] *Cloud/Davis,* Treatment Alternatives to incarceration for people with Menthal Helath Needs in the Criminal Justice, System, The Cost-Savings Implications (2013), p. 3, http://www.vera.org/sites/default/files/resources/downloads/treatment-alternatives-to-incarceration.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 1.09.2015).

კრიმინოლოგიური გამოკვლევებს მიხედვით, პირები, რომლებიც სასამართლო დერივაციით სამკურნალოდ იქნენ გადაგზავნილი, გაცილებით ნაკლები რეციდივის რისკის მატარებლები არიან, ვიდრე პირები, რომლებიც პირდაპირ სამხარეო ციხეში მოხვდნენ.

ნარკოდანაშაულისათვის სასამართლო დერივაცია საშუალებას იძლევა დაიზოგოს ხარჯები ციხეშიც (Prison).[226]

სქესობრივი დანაშაულის ჩამდენთა მკურნალობა

სქესობრივი დანაშაულის ჩამდენთათვის **პირობითი მსჯავრის გამოტანისას** მათ ავალდებულებენ, რომ მონაწილეობა მიიღონ სქესობრივი დანაშაულის ჩამდენთათვის არსებულ პროგრამებში, რეგულარულად მოახსენონ პრობაციის ოფიცერს თავიანთი მდგომარეობის შესახებ, არ დაეკონტაქტონ თავიანთ მსხვერპლს, არ იცხოვრონ და არ იმუშაონ განსაზღვრულ ადგილას. მათი ფსიქოლოგიური მკურნალობა არსებული მიდრეკილებების დასაძლევად შეიძლება იყოს როგორც სტაციონარული, ასევე არასტაციონარული.

20 შტატში არსებობს ასევე სპეციალური პროგრამები, რომლებშიაც სქესობრივი დანაშაულისათვის სასჯელმოხდილნი არიან ჩართული. ამგვარი მკურნალობა არაა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა და ამ დაწესებულებათა მუშაობის განხილვა მოცემული თემის ფარგლებს სცდება.

დამრღვევთა (სპორტული) ბანაკი

დამრღვევთა (სპორტული) ბანაკში ჯარის მსგავსად დამრღვევი ინტენსიურად ფიზიკურად იწვრთნება.[227] ამგვარ ბანაკებში პირები ატარებენ ფორმას და მოკლე თმას. ისინი ვალდებულნი არიან, პასუხისმგებელ ოფიცერს ბატონობით (სერ) მიმართონ და მათი შემოსვლისას ფეხზე ადგნენ. თუ პირმა თავისი პროგრამა დაასრულა, იგი ბანაკიდან თავისუფლდება. დამრღვევებისათვს ამგვარ ბანაკებში ასევე საგანმანათლებლო პროგრამაც არსებობს.

დღეისათვის ციხეების ფედერალური სისტემა ამ პროგრამას არ ითვალისიწებს და მათი გამოყენებაც ცალკეულ შტატებში იშვიათია.

საზოგადოებრივი გაკიცხვა

აშშ-ში საზოგადოებრივი გაკიცხვა მოძიებული ინფორმაციით საჯარო დამცირებასთანაა გაიგივებული. ესაა ალტერნატიული სანქციის სახე, ანდა დამატებითი სასჯელი.[228] საზოგადოებრივი გაკიცხვის მრავალი არაორდინალური

[226] აშშ-ში არსებობს ასევე საინტერესო და საქართველოსთვის სინამდვილისათვის საჭირო პროგრამები რეინტეგრაციისათვის, რომლის განხილვაც აქ თემისაგან გადახვევა იქნებოდა.

[227] http://famm.org/wp-content/uploads/2013/08/FS-Alternatives-in-a-Nutshell-7.8.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 30.10.2015).

[228] დამატებითი სასჯელის მაგალითი — სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირი სასამართლომ დაავალდებულა, რომ თავის ჭიშკარზე მიემაგრებინა სპეციალური აბრა მისი დანაშაულის შესახებ, ბავშვების გასაფრთხილებლად. იხ. http://usatoday30.usatoday.com/news/

მეთოდია გამოყენებული. მაგ., იმ მძღოლებისათვის, რომლებმაც სიმთვრალეში მართეს ავტომანქანა, ოჰაიოს შტატში მანქანის სპეციალური ნომრები დამზადდა, რათა სხვა მძღოლებს მათი იდენტიფიცირება შეეძლოთ. ტექსასში, ჯორჯიასა და კალიფორნიაში სასამართლომ მაღაზიის ქურდები დაავალდებულა, დამდგარიყვნენ მაღაზიის წინ ტრაფარეტით, რომელზედაც ეწერა, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს მათ.[229]

შეღავათები მშობელთა მიმართ

აშშ-ს სისხლის სამართლის პრაქტიკა ითვალისწინებს ასევე სასჯელის დანიშვნისას შეღავათებს მშობელთა მიმართ, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ შვილების აღზრდაში.

ე.წ. სახლი ნახევარ გზაზე ანდა აშშ-ის ციხეების ფედერალური ბიუროს ტერმინოლოგიით, კომუნალური (საზოგადოებრივი) კორექციის ცენტრი თავისუფლების შეზღუდვის სპეციალური დაწესებულებაა. იგი პირს საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს. ამგვარი საცხოვრებლები გამოიყენება აგრეთვე მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებშიც. პირს ეკისრება ვალდებულება, დარჩეს ამგვარ საცხოვრებელში, თუ იგი არ მუშაობს ან სასამართლოში არ აქვს საქმე.

სპეციალური ალტერნატივები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკში სამართლადამრღვევებს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სპეციალურ პროგრამებს სთავაზობენ.[230] ამ პროგრამათა რაოდენობა 165-ს აღწევს. ეს პროგრამები ოთხ ჯგუფად იყოფა. ესენია — ჩვეულებრივი დამრღვევების (მამაკაცთა), ნარკომანების, ქალების და არასრულწლოვნების. ეს პროგრამები მაღალი წარმატებით ხასიათდება, რადგან მათ მონაწილეთა 60% დანაშაულს არ სჩადის.

ამერიკის შეერთებული შტატების რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრი[231]

ალტერნატიული სასჯელები მჭიდროდ უკავშირდება სისხლის სამართლის პროცესის გამარტივებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში კონფლიქტების არასისხლისსამართლებრივი რეგულირების მრავალი პროექტი მოქმედებს. ერთერთ ამგვარ პროექტს წარმოადგენს რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრი, რომელიც 2000 წელს ნიუ იორკში, რედ ჰუკის უბანში

nation/2004-08-17-shame-sentencing_x.htm (უკანასკნელად შემოწმებულია 30.10.2015).

229 http://usatoday30.usatoday.com/news/nation/2004-08-17-shame-sentencing_x.htm (უკანასკნელად შემოწმებულია 30.10.2015).

230 ნიუ-იორკისსპეციალური პროგრამები იხ. http://www.criminaljustice.ny.gov/opca/ati_description.htm (უკანასკნელად შემოწმებულია 30.08.2015).

231 http://www.courtinnovation.org/project/red-hook-community-justice-center (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

(ბრუკლინი) დაარსდა და წარმატებით ფუნქციონირებს. ეს ცენტრი სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობის ნაყოფია და მასში ჩართულია ყველა სახელმწიფოებრივი დონე — როგორც ადგილობრივი, საქალაქო, ისე საშტატო და ფედერალური. ინიციატივა წამოვიდა პროკურატურიდან, აშშ იუსტიციის სამინისტრომ კი ეს პროგრამა დაგეგმა. პროგრამა ფინანსდება არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე კერძო დამფინანსებლების მიერაც.

ამ სასამართლოს ერთი მოსამართლე ერთპიროვნულად წყვეტს 200 000-იანი მოსახლეობის უბანში შექმნილ დავებს სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე. მოსამართლეს **განკარგულებაში** აქვს სანქციათა მთელი სისტემა, როგორიცაა კომუნალური აღდგენითი მართლმსაჯულების პროექტები, მოკლევადიანი ფსიქოლოგიურ-საგანმნათლებლო ჯგუფებში მონაწილეობა და გრძელვადიანი სამკურნალო ღონისძიებები (ნარკოტიკების, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ფსიქიკური ტრავმის და სტრესული გამოცდილებების გადამუშავების პროგრამები). რედ ჰუკის სასამართლო ადგილობრივ სოციალური სამსახურის შესაძლებლობებსა და სხვა შესაბამის ადგილობრივ სამსახურებს იყენებს. არასრულწლოვანთა მიმართ ამ სასამართლოს აქვს როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურული პროექტები. იგი ასევე **მედიაციასაც** იყენებს. ამას გარდა, ხელმღვანელობს არასრულწლოვანთა ტრენინგებს, რათა არასრულწლოვნებმა თავად შეძლონ არასრულწლოვანთა საკითხების გადაწყვეტა. ამ ცენტრს აქვს საცხოვრებელი ფართიც, რომელსაც იგი გადაუდებელ შემთხვევებში იყენებს.

გამოკითხულ დამრღვევთა **85%/-მა** მიუთითა, რომ რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლოში მას სამართლიანად მოექცნენ და დამრღვევის სოციალურ ფონს (რასა, სქესი, განათლება და სხვ.) საქმის გადაწყვეტაზე არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია.[232]

ეს სასამართლო წელიწადში დაახლოებით სრულწლოვანთა 3000 ნაკლები მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეს და 175 არასრულწოვანთა დანაშაულს იხილავს. განსაკუთრებით ხშირია ნარკოტიკების ფლობის, საგზაო წესების დარღვევის, ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლის მიღების და მცირემნიშვნელოვანი თავდასხმის შემთხვევები.

რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის საქმიანობას მრავალი დადებითი შედეგი სდევს თან. უპირველესად, საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლო საპატიმრო სასჯელს იცილებს თავიდან. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ამ ცენტრის მოქმედების შედეგად საპატიმრო სასჯელების გამოყენება **35 %-ით**[233] (და სხვა მონაცემებით კი 50%-

[232] http://www.courtinnovation.org/sites/default/files/RH_Fact_sheet.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 28.10.2015).

[233] http://www.courtinnovation.org/project/red-hook-community-justice-center (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

ით)[234] შემცირდა. შესაბამისად გაიზარდა ალტერნატიულ სასჯელთა გამოყენების ოდენობა. ალტერნატიულ სანქციად ხშირად გამოიყენება როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ასევე სოციალური მომსახურებაც. წელიწადში ეს სასამართლო 70 000 საათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ნიშნავს.

ბრუკლინის ტრადიციული სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, ალტერნატიული სასჯელები დამნაშავეთა 20% -ისათვის გამოიყენება, განსხვავებით საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლოსაგან, რომელიც ამ სანქციებს დამნაშავეთა 78% -ის მიმართ იყენებს. შესაბამისად მცირეა სასამართლო პროცესის ხარჯები. თითოეულ დამრღვევზე იხარჯება 5 000 დოლარზე ნაკლები, ვიდრე ეს ტრადიციული სასამართლოშია.

ამ სასამართლოს მოღვაწეობის შედეგად მცირდება რეციდივი. სრულწლოვანი დამრღვევები საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის ამ ღონისძიებების გამოყენების შემდეგ **10%-ით** ნაკლებ დანაშაულს სჩადიან. არასრულწლოვანთა დანაშაულის რეციდივი კი **20% -ით** მცირდება.

საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლოს გახსნის შემდეგ პოლიციის, პროკურატურის და სასამართლოს რეიტინგმა სამჯერ აიწია. კარდაკარ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ უბნის 94% საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლოს ენდობა. ამ ცენტრის გახსნამდე კი ნდობის კოეფიციენტი მხოლოდ 12% იყო.

საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების კოეფიციენტი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ტრადიციული სასამართლოსი. თუ საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლოს გადაწყვეტილება ნებაყოფლობით **75%-ით** სრულდება, ტრადიციული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობითი შესრულება მხოლოდ 50%-ს აღწევს.

რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის მიერ გამოყენებული არასტანდარტული, ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა მეტად დიდია საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების, სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების შიშის გადალახვის და ნდობის დამყარების საქმეში. ამ ცენტრის ამოქმედების შემდეგ მოსახლეობის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების (პარკი, მეტრო) შიში 42%-ით შემცირდა.

რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლომ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იგი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის და როგორც დამრღვევთა, ასევე მსხვერპლთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი მოდელია მსოფლიო მასშტაბით. მსგავის ცენტრები შეიქმნა ასევე არა მხოლოდ ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში, არამედ აგრეთვე ინგლისში (ლივერპული), კანადასა (ვენკუვერი) და ავსტრალიაში (მელბურნი). მას ასევე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, როგორიცაა აშშ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების

[234] http://www.courtinnovation.org/sites/default/files/RH_Fact_sheet.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 28.10.2015).

ასოციაციის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის და სხვ. პრიზები.

რეკომენდაცია

რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის მუშაობა სოციალისტური სისტემის სამართლისათვის ცნობილ ამხანაგურ სასამართლოებს გვაგონებს. ქართულ სინამდვილეში ამგვარი სასამართლოს ეფექტურობა საეჭვოა. მცირემნიშვნელოვანი ქმედებებისათვის რეაქციის მთელი სპექტრი არსებობს სსკ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით დაწყებული და დერივაციით დამთავრებული. სისხლისსამართლებრივი სანქციის დანიშვნა კი მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივად უნდა დარჩეს.

5. ალტერნატიული სასჯელები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში

ფორმალური რეაქცია არასრულწლოვანთა დევიანტურ ქცევაზე გერმანიაში

არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო სასჯელი გერმანიაში მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობისას დაინიშნება:

1. სასამართლო მივა არახელსაყრელი სოციალური პროგნოზამდე, ანუ დამტკიცდება, რომ არასრულწლოვანს მავნე ჩვევები ახასიათებს, მასში **განმტკიცებულია** არასწორი ჩვევები, რომელთა აღმოსაფხვრელად ძლიერი პედაგოგიური ზემოქმედების განხორციელებაა საჭირო.

2. სასამართლო დაადგენს **არასრულწლოვნის** მძიმე ბრალს — არა მხოლოდ უმართლობის, არამედ ბრალის განსაკუთრებულ სიმძიმეს.

სასჯელის ზომა განსაზღვრება აღმზრდელობითი ღონისძიების საჭიროებითა (კერძო პრევენცია) და სამართლებრივი მშვიდობიანობის დამყარებისაკენ მიმართული სასჯელის საშუალებით ბრალის კომპენსაციის საჭიროებით, (გენერალური პრევენცია).

სისხლის სამართლის ფორმალური პროცესის მასტიგმატიზებელი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, პირის რესოციალიზაციისათვის და სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოების განსატვირთად არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში პროცესუალური ინსტიტუტი - დერივაცია გამოიყენება. დერივაცია ხორციელდება როგორც პროკურორის, ასევე სასამართლოს მიერ. სასამართლოს მიერ განხორციელებული დირივაციისათვის პროკურორის თანხმობაა საჭირო.

ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნის რესოციალიზაციისათვის სრულიად საკმარისია მის მიერ ჩადენილი ქცევის მიუღებლობის გაცნობიერება. ამის მიღწევა არაფორმალური ღონისძიების გამოყენებით ხდება. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების 60% გერმანიაში ამგვარი ღონისძიებით მთავრდება.

დერივაციის დროს სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგი შესაძლებლობები არსებობს:

1. საქმის შეწყვეტა ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე

2. საქმის შეწყვეტა, რადგან აღმზრდელობითი ღონისძიებები უკვე იქნა გამოყენებული მშობლის, სკოლის, მერიის არასრულწლოვანთა საქმეების გან-

ყოფილების, **პროკურორის ან მოსამართლის მიერ.**

3. საქმის შეწყვეტა მოსამართლის მონაწილეობით დამრღვევი პირისათვის მოთხოვნების წაყენებით და მითითებების მიცემით.

დერივაციით (განრიდებით) **სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის გვერდით** არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში ფორმალური სანქციები გამოიყენება ესენია:

1. აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები
2. დისციპლინური ხასისათის ღონისძიებები
3. არასრულწლოვნის საპატიმრო სასჯელი

შესაძლებელია ამ ღონისძიებების შეთავსებაც, რაც ყოველთვის კარგ შედეგებს არ იძლევა. აღმზრდელობითი და დისციპლინური ხასიაათის ღონისძიებები **არასრულწლოვანთა არასაპატიმრო სანქციებს მიეკუთვნება.**

აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები გერმანიის არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში (გასსკ §§9-12)

არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში აღმზრდელობითი ხასიათის მითითებანი და ვალდებულებანი გამოიყენება მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დანაშაულთა მიმართ, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი მრავალჯერ მოხვდება სამართალდამცავი ორგანოების ფოკუსში, მაგრამ მის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენება ჯერ კიდევ ნაადრევია. **პირველად ჩადენილი მსუბუქი დელიქტების მიმართ ეს სანქცია არაა რეკომენდებული.** ამ ღონისძიებათა მიზანია ინდივიდუალური მოქმედების უნარის ჩამოყალიბება და შესაბამისად სოციალური ჩართულობის შესაძლებლობის შექმნა.

აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები გათვალისწინებულია გასსკ §9-ში. ამ ნორმის პირველი ნაწილი მოიცავს **მითითებებს,** რომლებიც ამავე კანონის §10 პირველ ნაწილში არა ამომწურავად, არამედ **სამაგალითოდაა** ჩამოთვლილი. ესენია:

1. სავალდებულო ხასიათის მითითებები ადგილსამყოფელის შესახებ
2. მითითებები, რომ იცხოვროს ოჯახში ან პანსიონატში
3. ვალდებულება მუშაობის ან სწავლის შესახებ
4. ვალდებულება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შესახებ
5. მზრუნველობის ან ზედამხედველობისათვის დამორჩილების ვალდებულება
6. სოციალური ტრენინგის კურსებში, მონაწილეობის ვალდებულება. მაგ., **ანტიაგრესიული ტრენინგი.** ანტიაგრესიული ტრენინგის მიზანია არასრულწლოვნის მიერ მსხვერპლის პერსპექტივით თავისი ქმედების დანახვა და მისი გრძნობების გათავისება. ასევე სოციალური ქცევების სტერეოტიპების შეცვლა, სათანადო სოციალური ქცევების, კონფლიქტების არაძალადობრივი მოგვარების, განსხვავებული აზრის ტოლერირების, კამათის ხელოვნების შესწავლა, კომუნიკაციის და სხვა მსგავსი უნარების გამომუშავება.

სოციალური ტრენინგის კურსი შესაძლებელია სამიდან ექვს თვემდე გაგრძელდეს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამ კურსის ერთ წლამდე გაგრძელებაც. ამგვარი ჯგუფი ერთმანეთს კვირაში ერთხელ ხვდება, საჭიროების შემთხვევაში ტარდება ასევე ინდივიდუალური შეხვედრებიც. სოციალური ტრენინგის კურსები არაა მხოლოდ ქცევების ზოგადი შესწავლისათვის განკუთვნილი. შეხვედრებისას საუბარია არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებაზე და ამ ქმედების შეფასებაზეც. გათვალისწინებულია ასევე რამდენიმედღიანი სათავგადასავლო ღონისძიებები — ნიჩბოსნობა, კლდეზე ცოცვა, კემპინგი, ლაშქრობები.

არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს დაზარალებულთან ურთიერთობის დაბალანსების და ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს ასევე კონკრეტულ პირებთან ურთიერთობის აკრძალვა, ბარებსა და გასართობ დაწესებულებაში შესვლის აკრძალვა და ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების შემსწავლელ კურსებში მონაწილეობის მიღების ვალდებულება.

არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც ჯერ საკუთარი შემოსავალი არ გააჩნიათ, ხშირად გამოიყენება სანქციის სახე - **საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა**. ამგვარი სანქციის აღმზრდელობითი ხასიათი აშკარაა იმ პირებისათვის, რომლებიც არც სწავლობენ და არც მუშაობენ. ისინი იძულებული ხდებიან, დრო შესაბამისად გადაანაწილონ და ამგვარად მათი **ცხოვრება** აქამომდე არარსებულ და საჭირო სტრუქტურას იძენს.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება. ესაა ჯგუფური აქტივობა პედაგოგიური ზედამხედველობით. არასრულწლოვნები ქმნიან ბიოტოპებს, აშენებენ სათამაშო მოედნებს, მუშაობენ საქველმოქმედო ორგანიზაციაში. სამუშაოს ხასიათი ორიენტირებულია ჯგუფის წევრთა შესაძლებლობებსა და უნარებზე. აუცილებელია ისიც, რომ თავიდან იქნას აცილებული სტიგმატიზაცია და აქცენტი გადატანილი იყოს თავად მიყენებულ ზიანზე, ე.ი. შრომას კავშირი უნდა ჰქონდეს დარღვევით მიყენებულ ზიანთან. პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა 80 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

იმ არასრულწლოვანის და მოზრდილისათვის კი, რომელთაც უკვე საკუთარი შემოსავალი აქვს, სანქციის სახედ მიყენებული **ზარალის მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურება** უფრო უპრიანია, ვიდრე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

ჯარიმა არასრულწლოვნის მიმართ მხოლოდ მაშინ დაინიშნება, როცა არასრულწლოვანს საკუთარი შემოსავალი აქვს. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის ეს სახე მაინც არაა პრაქტიკაში მიღებული, რადგან არასრულწლოვნის სისხლის სამართალი აღმზრდელობითი ხასიათისაა და მონეტარული (მატერიალური) სანქციის ეს სახე სათანადო შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომაც უმრავლეს შემთხვევაში მოსამართლე დამრღვევ არასრულწლოვნის მიმართ სასამართლო

სხვა არასაპატიმრო სასჯელებს იყენებს, როგორიცაა გაფრთხილება, სხვადასხვა დავალება-მითითებების მიცემა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

გარდა ამისა, შესაძლებელია დაინიშნოს არასრულწლოვნის თერაპია, მისი დეზინტოქსიკაცია ან სხვა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები.

გასსკ §9 მე-2 ნაწილის მიხედვით (აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებების სახეები) მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს სოციალური სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიება (გასსკ §12):

1. მიიღოს დახმარება აღზრდაში

2. ისარგებლოს სადღეღამისო თავშესაფრით ან სხვა საცხოვრებლით, რომელზედაც ზედამხედველობა ხორციელდება.

აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები არაა სასჯელი და ამიტომაც ცენტრალურ ფედერალურ რეესტრში (Bundeszentralregister) არ შეიტანება. ეს ღონიძიებები მოთხოვნები და ვალდებულებებია, რომლებიც არასრულწლოვნის ცხოვრების სტილზე ახდენენ ზემოქმედებას. კრიმინოლოგიურმა გამოკვლევებმა მართლაც აჩვენა, რომ არასაპატიმრო სასჯელებმა თავისუფლად შეიძლება შეცვალონ საპატიმრო სასჯელები და არასრულწოვანთა მიმართ არასაპატმრო სასჯელების გამოყენება რეციდივს არ ზრდის.[235]

არასრულწლოვნის მიმართ მზრუნველის (და არა პრობაციის ოფიცრის) დანიშვნა ინტრუზიული ღონისძიებაა. მზრუნველი არასრულწლოვანს ექვსიდან თორმეტ თვემდე ენიშნება. იგი არასრულწლოვანს შემდეგი პრობლემების მოგვარებაში ეხმარება:

1. ოჯახთან და მეგობრების წრესთან ურთიერთობის დამყარება და რეგულირება.

2. სამუშაოს და ბინის ძებნა

3. კონფლიქტების გადაწყვეტის სტრატეგიის შემუშავება და სხვ.

მზრუნველის დანიშვნისას სიმძიმის ცენტრი გადატანილია დახმარებაზე, ნაკლებად — ზედამხედველობასა და კონტროლზე.

დისციპლინური ღონისძიებები არასრულწლოვანთა მიმართ გასსკ §§13-16 მიხედვით

არასრულწლოვნის მიმართ დისციპლინური ღონისძიებები გათვალისწინებულია გასსკ §13 I-ში. ეს ღონისძიებები, განსხვავებით აღმზრდელობითი ღონისძიებებისაგან, კანონში ამომწურავადაა ჩამოთვლილი. არასრულწლოვნის და მოზრდილის ქმედებაზე ამგვარი რეაქცია, სუბსიდიარულობის და პროპორ-

[235] BT-Drs. 11/5829 vom 27.11.1989, S. 11, nach Vorstand der Arbeitsgemeinschaft für Kinder- und Jugendhilfe – AGJ , Jugenddelinquenz: Zum Umgang mit straffällig gewordenen jungen Menschen in der Kinder- und Jugendhilfe und der Jugendgerichtsbarkeit Beitrag der Arbeitsgemeinschaft für Kinder und Jugendhilfe – AGJ zur IAGJ-Konferenz, S. 3, http://www.agj.de/fileadmin/files/positionen/2012/Jugenddelinquenz.pdf. (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

ციულობის პრინციპის გათვალისწინებით, მაშინ გამოიყენება, როდესაც **აღმზრდელობითი ხასიათის ჩარევა არაა საკმარისი და საპატიმრო სასჯელი მკაცრი და არაპროპორციული ჩარევა იქნებოდა.**

დისციპლინური ღონისძიება პირის მიმართ გამიზნულად გამოყენებული „დამსჯელი სანქციაა" ჩადენილი უმართლობისათვის, თუმცა ეს არაა არაა „ნამდვილი სასჯელი", რადგან მას ნასამართლობა არ მოსდევს.

დისციპლინური ღონისძიებების მიზანია, არასრულწლოვანმა და მოზრდილმა გააცნობიეროს თავისი ქმედების უმართლობა და გაისიგრძეგანოს, რომ მას ჩადენილი ქმედებისათვის პასუხი მოეთხოვება. მისი მიზანია შურისძიება ჩადენილ დანაშაულზე და თუ ისინი არ შესრულდა, შესაძლებელია დაინიშნოს პატიმრობა დაუმორჩილებლობისათვის ოთხ კვირამდე.

დისციპლინურ ღონისძიებები მოსამართლის მიერ ინიშნება. გასსკ §13 მიხედვით ამ ღონისძიებებს მიეკუთვნება:

გაფრთხილება
ვალდებულებების დაკისრება
დისციპლინური პატიმრობა

გაფრთხილება — როგორც წესი, თუ მარტოდენ გაფრთხილება საკმარისია, დერივაცია გამოიყენება. ამიტომაც არასრულწლოვნის მიმართ სასამართლო გაფრთხილებას კომბინაციით იყენებს. გაფრთხილება დაინიშნება ან გასსკ §10 აღმზრდელობითი ხასიათის მითითებებთან და ვალდებულებებთან და ან §15 დისციპლინურ ვალდებულებებთან კავშირში.

§15 I მიხედვით მოსამართლე დანიშნავს შემდეგ დისციპლინურ ვალდებულებებს:

1. ქმედებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება შესაძლებლობის მიხედვით
2. დაზარალებულთან პირადად ბოდიშის მოხდა
3. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა
4. საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის ფულადი თანხის გადარიცხვა.

დაზარალებულთან პირადად ბოდიშის მოხდა (გასსკ §10 I 7, დაზარალებულთან ურთიერთობის დაბალანსება) და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა (გასსკ §10 I 4) აღმზრდელობით ღონისძიებებშიცაა გათვალისწინებული.

§15 II მითითებულია, რომ **ფულადი თანხის გადარიცხვა**, როგორც დისციპლინური სასჯელი, მხოლოდ მაშინ დაინიშნება, როდესაც არასრულწლოვანმა მსუბუქი გადაცდომა ჩაიდინა და იგი ამ ფულად თანხას **საკუთარი სახსრებიდან გადარიცხავს**[236] ანდა თუ არასრულწლოვანს ის მოგება ჩამოერთმევა, რომელიც მან დანაშაულებრივი ქმედებით მიიღო. მოსამართლეს შეუძლია არასრულწლოვანი ამ დავალებებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს, თუ ეს საჭიროა აღმზრდელობითი მიზნებისათვის.

[236] ჯარიმა, რომელსაც არასრულწლოვნის მშობელი იხდის, სასჯელის მიზანს ვერ ასრულებს და პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

ფულადი თანხის გადახდა, როგორც დისციპლინური ხასიათის ღონისძიება, მონეტარულ (მატერიალური) მოთხოვნებზეა ორიენტიებული და ამიტომაც მას აღმზრდელობითი ხასიათი აკლია. სავარაუდოა, რომ მსუბუქი გადაცდომის ჩამდენი არასრულწლოვნის მიმართ დერივაცია გაცილებით უკეთეს შედეგებს მოიტანდა.

გაცილებით უფრო დიდ კრიტიკას იმსახურებს **დისციპლინური პატიმრობა, რომელიც** იმ პირთა მიმართ გამოიყენება, რომელებმაც დევიანტური ქცევა მრავალგზის ჩაიდინეს, მაგრამ მავნე ჩვევები ჯერ არ ჩამოჰყალიბებიათ. **მავნე ჩვევების** არსებობის შემთხვევაში კი უკვე არასრულწლოვნის საპატიმრო სასჯელები გამოყენება.

დისციპლინური პატიმრობა სამგვარი სახისაა:

1. დისციპლინური პატიმრობა თავისუფალი დროისას
2. მოკლევადიანი დისციპლინური პატიმრობა - ორი დღიდან
3. ხანგრძლივი დისციპლინური პატიმრობა - ერთ თვემდე

დისციპლინური პატიმრობა აღსრულდება სპეციალურ დაწესებულებაში და არა არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთისათვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების ორგანოში.

პრაქტიკაში ზოგიერთი დისციპლინური სასჯელის აღმასრულებელი დაწესებულება არასრულწლოვანს სხვადასხვა აღმზრდელობით ღონისძიებას სთავაზობს. დისციპლინური პატიმრობის აღმასრულებელი ზოგიერთი დაწესებულება კი მხოლოდ საზოგადოებისაგან იზოლაციას ემსახურება, რაც არასრულწლოვნის მართლმსაჯულების ინტერესებთან სრულიად შეუსაბამოა.

დისციპლინური პატიმრობის გვერდით მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს პატიმრობა **დაუმორჩილებლობისათვის.** ამგვარი პატიმრობა ინიშნება მაშინ, როდესაც პირი სასამართლოს მიერ დანიშნულ აღმზრდელობით (გასსკ §11 III) ან დისციპლინურ ღონისძიებებს (გასსკ §15 III) არ შეასრულებს.

დისციპლინური ღონისძიებები ნასამართლობას არ იწვევენ.

არასრულწლოვნის დისციპლინური (გამაფრთხილებელი) პატიმრობა არასრულწლოვნის საპატიმრო სასჯელის გვერდით და მისი სამართლებრივი შეფასება

2012 წელს გერმანიის კანონმდებელმა არასრულწლოვნის სისხლის სამართალში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. დაკანონდა დისციპლინური პატიმრობა, რაც მრავალი წლის განმავლობაში განხილვის საგანი იყო. ამასთანავე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე პრობაციის დათქმაც (გასსკ §61-61 ბ).

დისციპლინური პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში:

1. პირობითი სასჯელი (გასსკ §21, §16ა და გასსკ §8Aმე-2 აბზ. მე-2 წინადადება).

2. პრობაციის დათქმა (გასსკ §27 და §16ა 1-ლი აბზ. და გასსკ §8Aმე-2 აბზ.

მე-2 წინადადება)

3. საპატიმრო სასჯელის აღსრულების შეჩერების დათქმა (თავისუფლების აღკვეთის გადავადება) (გასსკ §61, §16ა და §8Aმე-2 აბზ. მე-2 წინადადება).

დისციპლინური პატიმრობის აუცილებლობის დასასაბუთებლად მიაჩნიათ, რომ გასსკ §21 (პრობაცია) და გასსკ §27 (საპატიმრო სასჯელის დანიშვნის შეჩერება) სისხლისსამართლებრივ სასჯელად კი, არა, „მეორე ხარისხის გამამართლებელ განაჩენად“ აღიქმება და ამ სანქციებთან ერთად დამატებითი გამაფრთხილებელი ღონისძიებების მიღებაა საჭირო. კანონის მოტივად მითითებულია არასრულწლოვნის მიერ სიტუაციის სერიოზულობის აღქმის საჭიროება, თუმცა ეს მიზანი გასსკ §21 შემთხვევაში პრობაცის დამხმარის დახმარებითაც შეიძლება, რაც შეეხება გასსკ §61 (საპატიმრო სასჯელის აღსრულების შეჩერების დათქმა), საპატიმრო სასჯელი აქ პირს უკვე აშკარად ემუქრება და დამატებითი მკაცრი ღონისძიების გამოყენება არაა საჭირო.

ამ სანქციას შემდეგ შედეგებს უკავშირებენ: მიუთითებენ, რომ პრობაციისათვის მოსამზადებლად ეს დრო საკმარისი არაა და მავნე ურთიერთობები ამ **მოკლე** დროში ვერ გაწყდება. პირიქით, ამგვარმა აღმკვეთმა ღონისძიებამ შესაძლებელია არასრულწლოვნის მავნე ურთიერთობები კიდევ უფრო გაამტკიცოს მისდამი სოლიდარობის გამო. დისციპლინური პატიმრობისას არასრულწლოვანი პრობაციისათვის პრაქტიკულად არ ემზადება, რადგან დისციპლინური პატიმრობის ორგანოს მუშაკებს ამგვარი მომზადების დრო არ აქვთ. დისციპლინური პატიმრობა მისჯიდან თვეების შემდეგ ხორციელდება, პრობაციის დამხმარეს კი არასრულწლოვანმა განაჩენის გამოტანისთანავე უნდა მიმართოს. რადგან პრობაცია დისციპლინურ პატიმრობას წინ უძღვის, დისციპლინური პატიმრობით პრობაციისათვის მომზადება შეუძლებელია.

კანონმდებლის აზრით, ეს სანქცია რეციდიული არასრულწლოვნებისათვისაა განკუთვნილი. პრაქტიკაში კი დადასტურებულია, რომ დისციპლინური პატიმრობა სოციალური აღზრდის კურსების შეთავაზებით არასრულწლოვნის რესოციალიზაციას ხელს არ უწყობს, რადგან ამგვარი ღონისძიების შემდეგ რეციდივი 70% აღწევს. ამიტომაც ერთი თვე გამაფრთხილებელი პატიმრობა დადებითი აღმზრდელობითი ზემოქმედებისათვის და მავნე ჩვევების აღმოსაფხვრელად არასაკმარისია.

გერმანიის მოსამართლეთა ასოციაციის დასკვნითაც პრობაციისას ამგვარი სახის პატიმრობა არაა საჭირო. არგუმენტები, რომლითაც ამ სანქციის აუცილებლობას ასაბუთებენ, დაუსაბუთებელია.

გამაფრთხილებელი დისციპლინური პატიმრობა გასსკ §87 მე-4 აბზ. მე-2 წინადადების მიხედვით დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. ამ მუხლის მოთხოვნების შესრულება მოსწავლეთა და მომუშავე არასრულწლოვანთა მიმართ შეუძლებელია, რადგან ამგვარად ისინი სწავლასა და მუშაობას მოსწყდებიან და ეს მეტად ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს მათ ცხოვრებაზე. პრაქტიკაში ამოტომაც ამგვარ შემთხვევებში გამაფრთხილებელი დისციპლინ-

ური პატიმრობის აღსრულება არდადაგების და შვებულების დროს ხდება, რაც მის გამაფრთხილებელ ზემოქმედებას (სასწრაფო რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე) ამცირებს.

სისხლის სამართლის სპეციალისტები მიუთითებენ, რომ გამაფრთხილებელი დისციპლინური პატიმრობის შემდეგ (რომელიც განსხვავდება საპატიმრო სასჯელისაგან) არასრულწლოვანს საპატიმრო სასჯელის შიში გაუქრება, ამასთან იგი მიიჩნევს, რომ ამგვარად სანქცია უკვე ამოწურულია და პრობაციის მითითებების და დავალებებს აღარ შეასრულებს.[237]

გამაფრთხილებელი დისციპლინური პატიმრობის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას ისიც, რომ პრობაცია და დისციპლინური პატიმრობა შეუთავსებელია, რადგან პრობაციის დასანიშნად პოზიტიური პროგნოზია საჭირო. მართალია, შეიძლება ამგვარმა პატიმრობამ არასრულწლოვანზე ზემოქმედება მოახდინოს და პოზიტიურ პროგნოზამდე მიგვიყვანოს, მაგრამ გაუგებარია, რატომ არაა უკეთესი პრობაციის დალოდება, რომელსაც მსგავსი ეფექტი ექნებოდა. ფ ფაქტიურად აქ ადგილი აქვს არასრულწლოვნის (დაშინების მიზნით)[238] საპატიმრო სასჯელის მისჯას. ეს იმითაც მტკიცდება, რომ გამაფრთხილებელი დისციპლინური პატიმრობა საჭიროების შემთხვევაში საპატიმრო სასჯელის მოხდაში ითვლება.[239]

სპეციალისტები ამ ნორმის კონსტიტუციორობასაც უარყოფენ. გასსკ §16 (დისციპლინური პატიმრობა საპატიმრო სასჯელის გვერდით) იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მავნე ჩვევები და **დანაშაულის** ჩადენაში მძიმე ბრალი მიუძღვით (საპატიმრო სასჯელის წინაპირობა) იმ პირთათვის **განკუთვნილ** სანქციას სთავაზობენ, რომლებიც ამგვარ წინაპირობებს (მავნე ჩვევები და მძიმე ბრალი) არ აკმაყოფილებენ. ეს კი აღნიშნული ნორმის განუსაზღვრელობასა და ანტიკონსტიტუციორობაზე მიუთითებს (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან ნორმის განსაზღვრულობა ეხება არა მხოლოდ მის დისპოზიციას, არამედ სანქციასაც. ამ სასჯელის დანიშვნა მოსამართლის პოლიტიკურ რწმენასა და მის მიხედულებაზე დამოკიდებული ხდება, რაც შეხდედულებას მის **ანტიკონსტიტუციურობაზე** კიდევ უფრო განამტკიცებს.[240]

ბრალის დადგენა საპატიმრო სასჯელის დანიშვნის შეჩერებით

არასრულწლოვნისათვის საპატიმრო სასჯელის დანიშვნა გერმანიაში მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენილი მავნე ჩვევების არსებობისას ხდება. ამიტომაც თუ გამოძიებით არასრულწლოვნის მავნე ჩვევების არსებობა და საპატიმრო სასჯელის დანიშვნის აუცილებლობა დანამდვილებით არ საბუთდება, გასსკ §27 მიხედვით მოსამართლეს შეუძლია ბრალი დაადგინოს, სასჯელის

---

[237] *Ostendorf,* Warnung vor dem neuen „Warnschussarrest", ZIS 2012/12, S. 610.

[238] შენიშვნა ჩემია, ქ.მ.-ჰ.

[239] *Ostendorf,* Warnung vor dem neuen „Warnschussarrest", ZIS 2012/12, S. 610.

[240] *Ostendorf,* Warnung vor dem neuen „Warnschussarrest", ZIS 2012/12, S. 611.

დანიშვნა კი მის მიერ განსაზღვრული გამოსაცდელი ვადით გადადოს.

არასრულწლოვანთა (საპატიმრო) სასჯელი და პირობითი მსჯავრი

გასსკ §21 მიხედვით შესაძლებელია არასრულწლოვნის (საპატიმრო) სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლა. არასრულწლოვანთა პირობითი მსჯავრის ზოგადი წინაპირობებია:

1.საპატიმრო სასჯელის მისჯა არაუმეტეს ორი წლისა

2. მოლოდინი იმისა, რომ ახალგაზრდა ამ განაჩენს **გაფრთხილებად** მიიღებს და პრობაცია მასზე აღმზრდელობით ზემოქმედებას მოახდენს და ამის შემდეგ იგი მართალ ცხოვრებას შეუდგება.

3. მესამე პუნქტადაა გამოყოფილი, თუმცა იმეორებს მეორეს — პრობაციის პოზიტიური პროგნოზი.

პრობაციის ვადა 2-დან 3 წლამდე განისაზღვრება და არასრულწლოვანს ეკისრება **ვალდებულება, დაემორჩილოს პრობაციის დამხმარის ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას** (გასსკ §24). გარდა ამისა, მოსამართლემ ბრალდებულს დამატებით მითითებები და დავალებები უნდა მისცეს. თუ ბრალდებულმა პრობაციის ვადაში დანაშაული ჩაიდინა და მოსამართლის მითითებები და ვალდებულებები არ შეასრულა, ისევე, როგორც ტრადიციულ სისხლის სამართალში, არასრულწლოვანთა სისხლის სამართალშიც პირობითი მჯავრი უქმდება.

მისასალმებელია, რომ გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანთა ქართული სისხლის მართლმსაჯულების კოდექსი „გამაფრთხილებელ დისციპლინურ პატიმრობას" არ ითვალისწინებს.

რეკომენდაცია: კარგი იქნებოდა, სხვა ისეთ მოვალეობაში, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილებას (საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე) პუნქტი) ანტიაგრესიული და სოციალური ტრენინგი იქნებოდა მოაზრებული.

ალტერნატიული რეაქცია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებზე აშშ-ში გამოიყენება არა მხოლოდ საპატიმრო სასჯელები, არამედ აგრეთვე სხვა ღონისძიებებიც, როგორიცაა აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებები, სპეციალურ ბანაკებში (Bootcamp) და სპეციალიზებულ სკოლაში, გლენ მილის სკოლაში გადაგზავნაც.

Bootcamp ტერმინს ახალწვეულების სპორტული გაკაჟებისათვის არსებული ბანაკებს უწოდებენ. ამავე სახელწოდებას მიმართავენ იმ ბანაკების დასახელებისას (განსაკუთრებით, კრიტიკული შეხედულების განვითარებისას), სადაც 1983 წლიდან ახალგაზრდა დამნაშავეების, ნარკომანების და დევიანტური ქცევების განმახორციელებელთა რესოციალიზაცია (ხელახალი აღზრდა) ხდება.

Bootcamp არის 2-3 წლამდე, ზოგჯერ კი 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივაც კი.[241]

ალტერნატიული რეაქციის ეს სახე გამოიყენება ქურდობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ნარკოტიკებით ვაჭრობის და მკვლელობის მცდელობისათვისაც კი. დაუშვებელია იმ პირთა აღმზრდელობით ბანაკში მოთავსება, რომელთაც მკვლელობა ჩაიდინეს.

პირი ამ ბანაკში 120 დღის ექსტრემალური ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვის შემდეგ გათავისუფლდება. აშშ-ში ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო პირების მიერ შექმნილი აღმზრდელობითი ბანაკები.

არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ამგვარ ბანაკში მოთავსება შესაძლებელია არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ აგრეთვე არასრულწლოვნების მშობელთა თხოვნით პრევენციულად იმ არასრულწლოვანთა მიმართაც, რომელთაც ამგვარი დარღვევა ჯერ არ ჩაუდენიათ. ამ შემთხვევაში ბანაკში მოთავსების ხანგრძლივობა 120 დღით არ იზღუდება, შესაძლებელია წლების განმავლობაში მოთავსება და პირი მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ თავისუფლდება.

ამ ბანაკების მიმართ ბევრი კრიტიკული შენიშვნაა გამოთქმული, ექსტრემალურად დამქანცველი ფიზიკური ვარჯიშებს არასრულწლოვნები თავიანთი შესაძლებლობის ზღვარზე მიჰყავთ. ეს ვარჯიშები მრავალ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანებას, მოტეხილობებს და სიკვდილსაც კი იწვევენ. დაზიანებების შემდეგ არასრულწლოვნები ჩვეულებრივ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაჰყავთ. 1990 წლიდან აშშ-ს ამ ბანაკებში სულ მცირე, 30 არასრულწლოვანი გარდაიცვალა.

ერთ, მეტად გახმაურებულ შემთხვევაში ამგვარ ბანაკში 14 წლის არასრულწლოვანი ვიდეოკამერის წინ 7 მცველმა ცემით მოკლა. მედდა საქმეში არ ჩაერია. მშობლებმა საჩივარს შედეგი არ მოჰყოლია. საქმე პროკურატურაში შეწყდა იმ საფუძვლით, რომ 7 მცველი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედებდა.[242]

გარდა ამისა, 2005 წლისათვის არსებული მონაცემებით ბავშვთა მიმართ 1600 შემთხვევაში სექსუალური ძალადობის გამოყენებაც დაფიქსირდა.

ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა აზრით, ამგვარ ბანაკებში ახალგაზრდა ადამიანის ნებას ტეხენ, მათ უპირობო და უკრიტიკო დამორჩილებას უნერგავენ ისევე, როგორც ელიტურ საბრძოლო ჯგუფებში. ამგვარად ახალგაზრდას ზრდიან არა სამოქალაქო ცხოვრებისათვის, არამედ ომის პირობებისათვის. ახალგაზრდებს აძლევენ დავალებებს, რომელთა დამაკმაყოფილებელი შესრულება შეუძლებელია, მუდმივი შეურაცხყოფა ამ დავალებების შეუსრულებლობის

---

241 http://problemwithteens.com/helping-troubled-teens/troubled-teen-boot-camps-2/ (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

242 https://de.wikipedia.org/wiki/Bootcamp_%28Strafvollzug%29 (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

გამო ადამიანის უფლებებს არღვევს.[243]

დღეისათვის აშშ-ში ეს ბანაკები ამგვარი დარღვევების გამო პრაქტიკულად თითქმის აღარ გვხვდება.

გერმანიაში ამგვარი ბანაკები არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ *ლოთარ კანნენბერგის* (მეკრივე, ავტოდიდაქტი პედაგოგი) ტრენინგის ბანაკი, სადაც ამგვარ დარღვევებს ადგილი არ აქვს.[244]

აშშ-ში გაცილებით უფრო პოპულარულია ცნობილი **გლენ მილის დახურული** სკოლა,[245] სადაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს რესოციალიზაციისათვის ყოველგვარი პირობები ექმნებათ. რეციდივიც ამ სკოლის დამთავრების შემდეგ ექსტრემალურად ნაკლებია. თუმცა ამ სკოლის დიდ წარმატებას ექსპერტები კლიენტურის სწორ შერჩევას უკავშირებენ.[246]

აშშ-ში ასევე ფუნქციონირებს „ახალგაზრდული სასამართლოებიც", რომლებიც წვრილმან და სტატუსურ დანაშაულებს განიხილავენ.[247]

რეკომენდაცია

ქართული სინამდვლისათვის მიუღებელია ამგვარი სპეციალური აღმზრდელობითი ბანაკების შექმნა, რადგან მათ აშშ-შიც არ გაამართლეს.

საქართველოში ვერც სამართალდამრღვევი არასრულწლოვნის სწავლისა და განვითარებისათვის ყოველგვარი პირობის შემქმნელი სპეციალური სკოლა მიგვიყვანდა სათანადო შედეგამდე, რადგან დამრღვევ ახალგაზრდას უკეთესი პირობები შეექმნებოდა, ვიდრე სამართალმორჩილს. ეს კი სამართლებრივი მშვიდობის აღდგენის კი არა, მისი დარღვევის წინაპირობა იქნებოდა.

საქართველოსათვის ასევე მიუღებელია „ახალგაზრდული სასამართლოების" დანერგვაც, სადაც წვრილმანი და სტატუსური დანაშაულები განხილება, რადგან ამგვარად არაბრალეულობის პრეზუმფციის (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილი) და სამართლიანი სასამართლოს უფლების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) დარღვევის დიდი რისკი გაჩნდებოდა.

---

[243] ამ ბანაკების კრიტიკა იხ. http://www.nospank.net/boot.htm (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

[244] https://de.wikipedia.org/wiki/Lothar_Kannenberg (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

[245] *Colla,* Glen Mills School – a private out of state residential facility, S. 9-29, in: Die Glen Mills School, Pennsylvania, USA, Ein Model zwischen Schule, Kinder- und Jugendhilfe und Justiz? Eine Expertise, München 2002, http://www.dji.de/fileadmin/user_upload/bibs/124_619_expertise2.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

[246] *Weitekamp,* Dei Einbettung der Glen Mills Schools innerhalb der kriminologischen Diskussion in den Vereinigten Staaten von Amerika, S. 37, in: Die Glen Mills School, Pennsylvania, USA, Ein Model zwischen Schule, Kinder- und Jugendhilfe und Justiz? Eine Expertise, München 2002, http://www.dji.de/fileadmin/user_upload/bibs/124_619_expertise2.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).

[247] http://www.youthcourt.net/?page_id=24 (უკანასკნელად შემოწმებულია 27.10.2015).